
ჩინეთის ისტორია

中国历史



ჩინეთის ისტორია

中国历史

მთავარი რედაქტორი და შემდგენელი

მარინე ჯიბლაძე

玛琳娜•吉布拉泽　主编

გამომცემლობა ოქროს საწმისი
თბილისი 2022

წიგნი „ჩინეთის ისტორია" გამოიცა საქართველოს სინოლოგთა ასოციაციის მიერ საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მხარდაჭერით. იდეის ავტორია საქართველოს სინოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. მარინე ჯიბლაძე.

წიგნში გადმოცემულია ჩინეთის ისტორია. თანმიმდევრობით არის მოთხრობილი ჩინური ცივილიზაციის ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. ამ ქვეყანამ დიდი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე, არამედ სხვა რეგიონებზეც.

წიგნში გამოყენებულია ჩინეთის ეროვნული მუზეუმის (პეკინი), ასევე ჩინეთის სხვა სახელმწიფო და მუნიციპალური მუზეუმების ექსპონატები და სამეცნიერო მასალა.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი გაწეული შრომისა და თანამშრომლობისთვის ავტორთა ჯგუფს, საქართველოს სინოლოგთა ასოციაციის წევრებს, მეცნიერებსა და დიპლომატებს, რომლებიც ჩემთან ერთად მუშაობდნენ ამ ნიგნზე. დიდი მადლობა დახმარებისა და მხარდაჭერისთვის – საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს; კონსულტაციისა და რჩევებისთვის – ჩინელ კოლეგას, პროფ. თანგ ლეის; ქართული ტექსტის ენობრივი რედაქტირებისათვის – პროფ. თინათინ ბოლქვაძეს; ჩინური ტექსტის რედაქტირება-კორექტირებისათვის – ჩინელ ენათმეცნიერს, ჭანგ იენს.

ტექსტში გამოყენებული ჩინური საკუთარი სახელები და ტერმინები გადმოცემულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესების მიხედვით, რომელიც დაბეჭდილია დეპარტმანეტის მეორე ბიულეტენში (თბილისი, 2019-2020).

წინამდებარე გამოცემა განკუთვნილია სტუდენტებისთვის, ლექტორებისა და ჩინეთით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

მთავარი რედაქტორი და შემდგენელი:
მარინე ჯიბლაძე

ნიგნზე მუშაობდა ავტორთა ჯგუფი:
ოთარ ჭილაძე
დავით ანდღულაძე
ნანა გელაშვილი
შალვა ჩიხლაძე
არჩილ კალანდია
მარინე ჯიბლაძე

ქართული ტექსტის რედაქტორი:
თინათინ ბოლქვაძე

ჩინური ტექსტის რედაქტორი:
ჭანგ იენი 张艳

კონსულტანტი:
თანგ ლეი 唐蕾

დიზაინერი:
ანა შარაშიძე

ISBN 978-9941-8-4415-7
© გამომცემლობა ოქროს სანმისი, 2022

სარჩევი

წინასიტყვაობა 11

იმპერიამდელი ჩინეთი

პალეოლითის ეპოქა 15
ნეოლითის ეპოქა 20
ადრენეოლითური ხანა 22
შუანეოლითური ხანა 24
გვიანნეოლითური ხანა 29
სიას დინასტია 33
სიას პერიოდის არქეოლოგია – ბრინჯაოს ხანის დასაწყისი ჩინეთში 42
შანგის დინასტია 47
პოლიტიკური სისტემა 52
სოციალური წყობა 54
რწმენა-წარმოდგენების სისტემა 57
სამხედრო სისტემა 63
ეკონომიკა 64
კალენდარი 67
ჩინური იეროგლიფური დამწერლობის ჩამოყალიბება 68
შანგის დინასტიის პერიოდის ჩინეთის არქეოლოგია 75
ჭოუს დინასტია 85
დასავლეთი ჭოუ 86
სარწმუნოება და წარმოდგენები სამყაროზე 96
აღმოსავლეთი ჭოუ 98
ჩუნციოუ 98
ეკონომიკა და აგრარული ურთიერთობები 106
სოციალური ძვრები გაბატონებული კლასის შიგნით 107
ინტელექტუალური კრიზისი 108
ჭანკუო 111
ეკონომიკის განვითარება 112
სოციალური და სახელმწიფო წყობა 114
კულტურული ურთიერთობები 116
სოციალურ-პოლიტიკური სწავლებები 116

იმპერიული ჩინეთი

ცინის დინასტია 124
ადმინისტრაციული აპარატი 127
გატარებული რეფორმები 129
სამშენებლო სამუშაოები 134
საგარეო პოლიტიკა 136
კონფუცისტების გენოციდი 137
სახალხო აჯანყებები და იმპერიის დაცემა 139
ხანის დინასტია 145
დასავლეთი ხანი 145
სამოქალაქო ომი 145
იმპერიის დაარსება 148
დედოფალი ლუ და „უმოქმედობის" ხანა 151
იმპერატორი უ (უ ტი) 155
იდეოლოგიების კონფლიქტი 163
დასავლეთ ხანის გვიანი პერიოდი 166
ვანგ მანგის გადატრიალება 169
აღმოსავლეთი ხანი 170
ხანის დინასტიის აღდგენა 170
საიმპერატორო კარის თამაშები 173
დინასტიის დაცემა 174
აბრეშუმის გზა 178
ხანის დინასტიის მეცნიერება და კულტურა 181
სამი სამეფო 185
ვეი (ცაო ვეი) 186
ცაო ცაოს და ცაო ფის რეფორმები 188
სმას საგვარეულოს გაძლიერება 192
შუ (შუ ხანი) 195
ჭუკე ლიანგი შუ ხანის სათავეში 197
უ (აღმოსავლეთი უ) 199
აღმოსავლეთ უს სამხრეთული ექსპანსია 200
სანაოსნო ვაჭრობა უში 202
სამი სამეფოს კულტურა და მეცნიერება 203
ძინის დინასტია 206
დასავლეთი ძინი 206
სმა იენის მმართველობა 206
სმა იენის რეფორმები 209
ფეოდალიზმის აღორძინება ძინის დინასტიაში 212
აჯანყებების სერია ძინის დინასტიაში 213

იუნგძიას ქაოსი 216
დასავლეთ ძინის დინასტიის დაცემის მიზეზები 218
აღმოსავლეთი ძინი 220
ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიგრაცია 221
ფეოდალური კონფლიქტები აღმოსავლეთ ძინში 222
ბრძოლა ჩრდილოეთთან და ჩრდილოეთისათვის 226
აღმოსავლეთ ძინის დინასტიის აღსასრული 229
ძინის დინასტიის კულტურა და ტექნოლოგია 232

16 სამეფო 235
საწყისი პერიოდი (304-351) 237
შუა პერიოდი (351-383) 241
ბოლო პერიოდი (383-439) 244

სამხრეთისა და ჩრდილოეთის დინასტიები 246
სამხრეთის დინასტიები 246
საერთაშორისო ვაჭრობა 251
კულტურა და ტექნოლოგია სამხრეთის დინასტიებში 252
ჩრდილოეთის დინასტიები 254
სიაო ვენ ტის რეფორმები 256
ექვსი გარნიზონის აჯანყება 260
იმპერიის დაშლა 261
კულტურა და ტექნოლოგია 264

სუის დინასტია 266
ვენ ტის რეფორმები 267
ვენ ტის საგარეო პოლიტიკა 271
იანგ ტი 272

თანგის დინასტია 278
ბრძოლა დინასტიის დაფუძნებისათვის 278
თანგ თაი წუნგის „კარგი მმართველობის ხანა" 281
ერთადერთი ქალი იმპერატორი – უ წეთიენი 285
დეცენტრალიზაცია, აჯანყებები და საჭურისები 288
თანგის დინასტიის რელიგიური პოლიტიკა 295
დინასტიის დასასრული 299
თანგის დინასტიის კულტურა 301

ხუთი დინასტია და ათი სამეფო 305

სუნგის დინასტია 310
ჩრდილოეთ სუნგის დაარსება 310
დაპირისპირება ჩრდილოეთისა და სამხრეთის კლანებს შორის 313
ჩრდილოეთ სუნგის დასასრული 320

სამხრეთი სუნგი 326
სუნგის ეპოქის კულტურა 330
იუენის დინასტია 334
მონღოლთა ლაშქრობები ჩინეთში 334
მონღოლთა იუენის დინასტიის დაარსება 339
მონღოლთა მიერ სამხრეთ სუნგის დინასტიის დამხობა 341
ევროპელების მოღვაწეობა ჩინეთში 348
სავაჭრო-ეკონომიკური ვითარება 355
იუენის ხელისუფლების იდეოლოგიური პოლიტიკა 357
იუენის დინასტიის დასუტება და დამხობა 361
მინგის დინასტია 367
მინგის დაარსება – ჭუ იუენჭანგი 367
იმპერატორი ძიენვენი და ძინგნანის კამპანია 371
იუნგლეს მმართველობა 373
ჭენგ ხეს მოგზაურობა 376
იუნგლეს მემკვიდრეები და თუმუს კრიზისი 378
სტაგნაციის საუკუნე – მინგის დინასტიის შუა პერიოდი (1464-1566) 382
დინასტიის გვიანი პერიოდი. მინგის დაცემა (1567-1644) 395
ხელისუფლების ფაქტორი 395
ეკონომიკური ფაქტორი 400
სამხედრო ფაქტორი 403
საგარეო ფაქტორი 406
ბუნების ფაქტორი 409
დინასტიის აღსასრული 409
მინგის დინასტიის კულტურა და მეცნიერება 410
ცინგის დინასტია 412
მინგის დინასტიის დასასრული და გლეხთა მასშტაბური აჯანყებები 412
მანჯურიელების ეთნოგენეზი და პოლიტიკური აღმასვლა 417
იმპერატორ შუნჭის მმართველობა და ბრძოლა მინგის დინასტიის
მემკვიდრეებთან 425
ჯუნგარების სახანოს აღზევება ცენტრალურ აზიაში, დასავლეთ ჩინეთისა
და მონღოლეთის სტეპებში 439
იმპერატორი ქანგსი 444
იუნგჭენგის მმართველობა 459
ციენლუნგის მმართველობა 464
ჯორჯ მაკარტნის დიპლომატიური მისია 470
იმპერატორი ძიაცინგის მმართველობა და ცინგის დინასტიის დასუსტება 475
ოპიუმის პირველი ომი და „ჩაგვრის საუკუნის“ დასაწყისი 484
თაიფინგის ზეციური სამეფო და ქრისტიანების აჯანყება სამხრეთ ჩინეთში 503

ოპიუმის მეორე ომი და მუსლიმთა აჯანყებები 511
რეფორმები კრიზისის დასაძლევად და დედოფალ ცსის მმართველობის დასაწყისი 522
რეგიონალური დომინანტობის მცდელობა და კონფლიქტი საფრანგეთთან 526
პირველი ჩინურ-იაპონური ომი და იაპონიის სამხედრო-პოლიტიკური აღმასვლა 527
რეფორმების ასი დღე და კონსერვატორული ელიტის რევანში 530
მოკრივეთა აჯანყება და პეკინის აღება რვა ქვეყნის ალიანსის მიერ 531
სინხაის რევოლუცია და იმპერიული ჩინეთის დასასრული 539

პოსტ-იმპერიული ჩინეთი

ჩინეთის რესპუბლიკა 547
იუენ შიქაის მმართველობა. ჩინეთის რესპუბლიკა პირველი მსოფლიო ომის დროს 547
ეროვნული ასამბლეის არჩევნები და ნაციონალისტების წარმატება 549
სამხედრო მმართველების ერა და ოთხი მაისის საპროტესტო ტალღა 552
პირველი მსოფლიო ომის დასასრული და ჩინეთის საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე 555
კომუნისტური პარტიის დაარსება და ეროვნული თანხმობა ნაციონალისტურ პარტიასთან (1924-1927) 558
პირველი ეროვნული გაერთიანება (1924-1927) და ჩრდილოთის ექსპედიციის დასაწყისი 560
20 მარტის ინციდენტი და ნაციონალისტების მემარცხენე ფრთის დეზინტეგრაცია 561
1927 წლის შანგხაის ინციდენტი და „კუომინტანგის დეკადის“ დასაწყისი 563
მანჯურიაში იაპონელთა სამხედრო ინტერვენცია და მანჭოუკუოს დაარსება 570
ანტაგონიზმი და თანამშრომლობა კომუნისტურ პარტიასა და კუომინტანგს შორის. ბრძოლა იაპონელთა წინააღმდეგ. 572
სიანის ინციდენტი 574
იაპონური იმპერიალიზმის გრადაცია და ფართომასშტაბიანი ომი ჩინეთის რესპუბლიკასთან 575
იაპონელთა კაპიტულაცია და სამოქალაქო ომის ბოლო ეტაპი 580
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 584
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსება და ახალი ჩინეთის საშინაო პოლიტიკა 584
კულტურული რევოლუცია 590
ახალი ჩინეთის საგარეო პოლიტიკა 594
ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკა 602
ერთი სახელმწიფო – ორი სისტემა 608

ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები 612
სარტყელისა და გზის გლობალური ინიციატივა 613
პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა 614
ახალი ერა 616
ჩინეთის რეაგირება COVID-19-ის პანდემიაზე 621
გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის შედეგები 623
ჩინეთის ადმინისტრაციული დაყოფა 629
ჩინეთის ისტორიის ქრონოლოგიური ცხრილი 632
ჩინეთის ხელისუფალთა მმართველობის ქრონოლოგიური ცხრილები 634
სახელთა საძიებელი 650
ბიბლიოგრაფია 665

XXI საუკუნეში ჩინეთი გლობალური მნიშვნელობის სახელმწიფოდ გვევლინება. მისი გამორჩეული მახასიათებლებია: განსაკუთრებული მრავალფეროვნება, ხანგრძლივი ისტორია, დიდი გეოგრაფიული და დემოგრაფიული მასშტაბები. ჩინეთს ახსოვს როგორც გაერთიანებისა და გაფართოების, ასევე დაცემის პერიოდები. ჩინელმა ხალხმა შეძლო ისეთი კულტურული სამყაროს შექმნა, რომელიც ავტონომიურად არსებობდა, დანარჩენი მსოფლიოსგან იზოლაციის პირობებშიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს არანაკლებ მდიდარი ისტორია და უნიკალური კულტურა აქვს და ვფიქრობ, რომ მომავალში ამ კუთხითაც საინტერესო იქნება გარკვეული პარალელების გავლება ჩინეთთან.

მქონდა პატივი მემუშავა წინამდებარე წიგნზე თანაავტორებთან, პროფესიონალი სინოლოგების ჯგუფთან. ვფიქრობ, რომ საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისთვის ამ უძველესი ისტორიისა და მდიდარი კულტურის გაცნობა, რომელსაც ეფუძნება თანამედროვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში
საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
არჩილ კალანდია

წინასიტყვაობა

ამ წიგნის გამოცემაზე მუშაობა გადამაწყვეტინა სინოლოგიის დარგში მოღვაწეობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ და ჩინეთის ისტორიის სასწავლო თუ საკითხავ მასალაზე მოთხოვნის ზრდამ ქართულ საზოგადოებაში. ჩინეთის წარსულითა და თანამედროვეობით, მისი კულტურით, ეკონომიკური წარმატებებითა და ცხოვრების სტილით დაინტერესება სულ უფრო იზრდება ჩვენს ქვეყანაში.

იმისათვის, რომ ადამიანმა საფუძვლიანად გაიგოს ჩინეთის კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, აუცილებელია, იცოდეს ამ ქვეყნის ისტორია. წინამდებარე წიგნი, რომლის მსგავსი საქართველოში ქართულ ენაზე ჯერ არ შექმნილა, მოიცავს ჩინეთის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. წიგნში ასახულია ჩინეთის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ცხოვრების უწყვეტი პროცესი, მნიშვნელოვანი ცვლილებები და შედეგები.

ეს წიგნი არის მოგზაურობა დროში და წარმოსახვითი შეხვედრები წარსულში მცხოვრებ ჩინელებთან და მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ისტორიული ფაქტების აღდგენა. ვიმედოვნებთ, რომ ამ ინფორმაციის ფლობა არ იქნება მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება, არამედ მისი მეშვეობით მკითხველი შეძლებს წარსულის გამოცდილების გათვალისწინებას და მისი შემდგომი ძიებისათვის გამოყენებას.

წიგნზე მუშაობდა ავტორთა ჯგუფი, რომლის თითოეული წევრი იკვლევს და ასწავლის ჩინეთის ისტორიის სხვადასხვა პერიოდს, აქვეყნებს სამეცნიერო, ანალიტიკურ და შემეცნებით სტატიებს. ამიტომ გადავწვიტეთ ჩვენი ძალების გაერთიანება, რომ შეგვექმნა შემაჯამებელი ნაშრომი.

როდესაც წიგნზე მუშაობას შევუდექით, ვაცნობიერებდით ჩვენს მიზანს – შეძლებისდაგვარად სრულყოფილად გადმოგვეცა იმ ქვეყნის ისტორია, რომელიც ცნობილია როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ცივი-

ლიზაცია, გამორჩეული ფილოსოფიითა და დამწერლობით, ორიგინალური კულტურითა და ეგზოტიკური ხელოვნებით.

ჩინეთისადმი საზოგადოების ინტერესი ყოველთვის ძალიან დიდი იყო. ჩინეთმა კაცობრიობის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა. მან არა მხოლოდ თავისი კულტურა გაუზიარა აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებსა და ხალხებს, არამედ თავადაც ბევრი რამ მიიღო სხვა ქვეყნებისგან და თან ისე, რომ კი არ დაკარგა თავისი იდენტობა, არამედ გაიმდიდრა კულტურა და საოცრად მრავალფეროვანი გახადა იგი.

რთულია ერთი წიგნში ჩინეთის მრავალათასწლოვანი ისტორიის გადმოცემა, თუმცა მაქსიმალურად ვეცადეთ ყველა მთავარი მოვლენა ასახულიყო, რომლებიც წარმოდგენას შეუქმნიან მკითხველს ჩინური საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ თვისებებსა და თავისებურებებზე: დინასტიური ციკლები, სოციალური პრობლემები, ბრძოლები, მასობრივი აჯანყებები და ასე შემდეგ.

ჩინეთის ისტორია დავყავით სამ ნაწილად: იმპერიამდელი (უძველესი დროიდან ცინის დინასტიამდე); იმპერიული (ცინის დინასტიიდან ცინგის დინასტიის დამხობამდე) და პოსტ-იმპერიული (1912 წლიდან დღემდე).

ძველი დროიდანვე, ჩინელი სახელმწიფო მოხელეები გულმოდგინედ აფიქსირებდნენ ჯერ კუს ბაკნებზე და ცხოველების ძვლებზე, შემდეგ – ბრინჯაოს ჭურჭელზე, ბამბუკის ფირფიტებსა და აბრეშუმის გრაგნილებზე, მოგვიანებით კი უკვე ქაღალდზე ყველაფერს, რაც ესმოდათ და რასაც ხედავდნენ, რაც ხდებოდა მათ ირგვლივ და საყურადღებოდ ითვლებოდა. ამას ხელს უწყობდა სახელმწიფო და თანდათანობით ჩინეთის სულიერი კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. პირველი განზოგადებული, დიდი მოცულობის, ვრცელი ისტორიოგრაფიული ნაშრომი „შიძი“ („ისტორიული ჩანაწერები“) ეკუთვნის ცნობილ ჩინელ ისტორიკოსს სმა ციენს (ძვ.წ. II-I საუკუნის მიჯნაზე).

ასეთ ნაშრომებს ადგენდნენ სპეციალისტები, რომლებიც ცდილობდნენ გადმოეცათ წინა დინასტიის ისტორიული მოვლენები და შეჯამებისას, შედეგებით ცდილობდნენ მიმდინარე დინასტიის ლეგიტიმურობა დაედასტურებინათ და ხაზი გაესვათ ჩინეთის მმართველობაზე ცის გავლენისთვის, რაც მოითხოვდა შესაბამის ინტერპრეტაციას. „ცის მანდატი“ შეიძლება მიეღო იმას, ვისაც ჰქონდა მორალური ღირსება (ტე), რაზეც იყო დამოკიდებული დინასტიების ცვლილებები. აქედან გამომდინარე, ადამიანზე

არის დამოკიდებული ქვეყნის ბედი და ცა ამ შემთხვევაში მარეგულირებელი საშუალებაა.

წიგნზე მუშაობის დროს სირთულეს ქმნიდა ტერმინების ქართულ ენაზე თარგმნა, განსაკუთრებით კი, ტიტულებისა და წოდებების გადმოტანა, არისტოკრატული იერარქიის გამომხატველი ჩინური და დასავლური ცნებების ეკვივალენტობის დადგენა. დანართის სახით საჭიროდ ჩავთვალეთ ჩინეთის რუკისა და ადმინისტრაციული დაყოფის შესახებ მოკლე ცნობების დამატება, რომ უფრო მარტივი გამხდარიყო მკითხველისთვის აღწერილ მოვლენებში ორიენტირება. წიგნს ახლავს ჩინეთის ისტორიის პერიოდიზაციის ცხრილი, ჩინეთის ხელისუფალთა მმართველობის ვრცელი ქრონოლოგიური ცხრილები და ბიბლიოგრაფია.

სახელთა საძიებელში ანაბანის რიგზეა დალაგებული წიგნში დასახელებულ პირთა სახელები, გეოგრაფიული სახელწოდებები, მოვლენები, ჩინური ტერმინები და სხვ. სათანადო გვერდებზე მითითებით, რაც გაუმარტივებს მკითხველს მისთვის საინტერესო თუ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიებას.

აქვე ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ჩინური საკუთარი სახელების ქართულ მართლწერასთან დაკავშირებით. ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების გააქტიურებასთან ერთად, ვრცელდება ახალ-ახალი ინფორმაციები, ქვეყნდება სტატიები ჟურნალ-გაზეთებსა და სოციალურ ქსელებში, ითარგმნება მხატვრული, სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურა. ჩინური საკუთარი სახელების ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაცია ავტორებისთვის სერიოზულ სირთულეს ქმნის. ეს კი იწვევს ჩინური სიტყვების არასწორად გადმოტანას. ამის მთავარი მიზეზებია შუამავალი ენების – რუსული და ინგლისური ენების გამოყენება და ფინინის (სალიტერატურო ენა – ფუთუნგხუასთვის შემოღებული რომანიზებული სისტემა, რომელიც ბოლომდე არ მისდევს ბგერათა ლათინურად ტრანსლიტერაციის წესს) გავლენა, რაც სხვადასხვაგვარი დაწერილობის მიზეზი ხდება. ეს კი მიუჩვეველ მკითხველს ხელს უშლის ჩანაწერის სწორად აღქმაში და აბნევს მას. წიგნში გათვალისიწნებულია ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკიფცია-ტრანსლიტერაციის წესები, რომლებიც მიიღო სახელწმიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიამ. მაგალითად, რუსულის გავლენით დამკვიდრდა ქართულში: დენგ სიაოპინი ან ტაივანი. რომ არა რუსულის გავლენა, ქართულად უნდა გადმოსულიყო, როგორც „ტენგ სიაოფინგი“ და „თაივანი“. ასეთ შემთხვევებში სასურველია ან პირდაპირ სწორი ვარიანტი გამოვიყენოთ ან

ტრადიციულად დამკვიდრებულ ფორმას ფრჩხილებში მივუწეროთ სწორი ვარიანტი, რაც ხელს შეუწყობს არასწორი დაწერილობის თანდათანობით გაქრობას ქართულ ენაში. ჩინური საკუთარი სახელების სწორად წერისა და, განსაკუთრებით კი, ოფიციალური დოკუმენტების სიზუსტის დაცვა მოითხოვს უკვე შემუშავებული წესების ცოდნასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებას.

იმედია, მკითხველები ინტერესით წაიკითხავენ წინამდებარე წიგნს, ავტორები და შემდგენლები კი მადლიერებით მიიღებენ წიგნის გაუმჯობესების მიზნით შემოთავაზებულ შენიშვნებსა და რჩევებს.


წინამდებარე წიგნი გათვალისწინებულია სტუდენტებისთვის, ლექტორებისა და ჩინეთის ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვის.

საქართველოს სინოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი

პროფ. მარინე ჯიგლაძე

იმპერიამდელი ჩინეთი

პალეოლითის ეპოქა



არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ჩინეთის ტერიტორიაზე მილიონ შვიდასი ათასი წლის წინ გამოჩნდნენ ჰომოერექტუსის რიგის წარმომადგენელი უძველესი ანთროპოიდები, რომელთა კვალს სამხრეთ ჩინეთში, იუნნანის პროვინციაში მიაკვლიეს და აღმოჩენის ადგილის მიხედვით „იუენმოუელი ადამიანი" უწოდეს (სურ. 1).

ამჟამად ჩინეთში ჰომოერექტუსის ნაშთები რამდენიმე ადგილასაა მიკვლეული. მათ შორის ყველაზე ცნობილია ე.წ. „პეკინელი ადამიანი" (სურ. 2).



სურ. 1 იუენმოუელი ადამიანის კბილები

„პეკინელი ადამიანი" არის არქეოლოგების მიერ ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი პირველი პირველყოფილი ადამიანი. ის დაახლოებით 600000-400000 წლების წინ ცხოვრობდა ჩრდილოეთ ჩინეთში, თანამედროვე პეკინის გარეუბანში ჭოუქოუტიენის გამოქვაბულებში. როდესაც არქეოლოგებმა ეს ადგილი გათხარეს, აქ აღმოაჩინეს ნახშირისა და ცხოველების ძვლების 5-მეტრიანი ფენა. ეს მეტყველებს, რომ „პეკინელი ადამიანი" უკვე იყენებდა ცეცხლს ხორცის შესაწვავად. ცეცხლს მრავალგვარი დანიშნულება ჰქონდა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში.



სურ. 2 პეკინელი ადამიანის თავის ქალა



სურ. 3 პეკინელი ადამიანის ქვის იარაღი


გარდა საკვების მომზადებისა, ცეცხლს იყენებდნენ გასათბობად და მტაცებლებისაგან თავის დასაცავად. გამოქვაბულში ყოველთვის უნდა დარჩენილიყო ვინმე, ცეცხლი რომ არ ჩამქრალიყო. იყენებდნენ პრიმიტიულ, უხეშად დამუშავებულ ან საერთოდ დაუმუშავებელ ქვის იარაღებს საჭრელად, სატეხად და სხვა დანიშნულებით (სურ. 3). „პეკინელი ადამიანი“ ჯგუფებად ცხოვრობდა, რაც მის განვითარებაზე მეტყველებს. ჯგუფში შრომის გადანაწილება საკვების მოპოვებასა და თავდაცვას უფრო აადვილებდა.

დაახლოებით 40-50 ათასი წლის წინ ჩინეთის ტერიტორიაზე ჰომო საპიენსი გამოჩნდა. იგი აგებულებით თანამედროვე ადამიანთან ახლოს იდგა. ძირითადი ცვლილებები იყო ძვლის სისქის შემცირება და თავის ქალის მოცულობის გაზრდა. მათ გამოჩენას მოჰყვა ცვლილებები საზოგადოებისა და ქვის იარაღების განვითარებაში. დროთა განმავლობაში ნელ-ნელა იხვეწებოდა ქვის იარაღების დამუშავების ტექნიკა, იზრდებოდა მათი სახეობები დანიშნულებისამებრ. ჯგუფურად ცხოვრება და შრომის გადანაწილება ზრდიდა თვითგადარჩენის შესაძლებლობებს. შესაბამისად, ჯგუფის წევრთა რიცხვიც იზრდებოდა. რაც უფრო იზრდებოდა ჯგუფში ინდივიდების რაოდენობა, მით უფრო კომპლექსური ხდებოდა ფუნქციები და ინდივიდთა შორის იერარქია. ასეთი ტენდენციის შედეგად დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ორგანიზების სისტემები. პირველი ასეთი სისტემა იყო მატრიარქატი, რომელიც ჩინეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 35-40 ათასი წლის წინ დაიწყო. მატრიარქატის პერიოდში წამყვანი როლი ეკავა ქალს. ეს გამოწვეული იყო შრომის გადანაწილებით: მამაკაცის ძირითადი ფუნქცია იყო ნადირობა, ხოლო ქალისა – შემგროვებლობა. შესაბამისად, მამაკაცი დროის უმეტეს ნაწილს სახლის გარეთ ატარებდა, ამავდროულად ნადირობა ხშირად წარუმატებლად სრულდებოდა. ჯგუფის გამოსაკვებად გაცილებით შედეგიანი იყო შემგროვებლობა. რადგანაც ქალი საცხოვრებელ ტერიტორიას იშვიათად სცილდებოდა და სოციუმის

გამოკვებაც ძირითადად მის საქმიანობაზე იყო დამოკიდებული, საზოგადოების ცხოვრებაში წამყვანი როლიც მას ეკავა.

ინდივიდების გაზრდილ რაოდენობას, ბუნებრივია, მეტი რაოდენობით საკვები სჭირდებოდა. ეს კი მოითხოვდა ნადირობის მეთოდების დახვეწას, ახალი იარაღების შექმნას და ძველის გაუმჯობესებას. ასეთი მოთხოვნების გაჩენის პროცესში შექმნილი ერთ-ერთი იარაღი იყო მშვილდ-ისარი. დაახლოებით 28 ათასი წლის წინ თანამედროვე შანსის პროვინციაში მოსახლე ტომებმა დაიწყეს მშვილდ-ისრის გამოყენება გარეულ ცხენებსა და თხებზე სანადიროდ. ისრის თავი, რა თქმა უნდა, ქვისაგან მზადდებოდა. მშვილდ-ისრის გამოგონება იყო ძალიან დიდი ნახტომი ნადირობის განვითარებისა და მტაცებელი ცხოველებისაგან თავდაცვისათვის. ამიერიდან შესაძლებელი გახდა შედარებით შორეული დისტანციიდან დროის მოკლე მონაკვეთში ნადირზე მრავალჯერადი თავდასხმა, რაც მსროლელის უსაფრთხოებასა და მსხვერპლის მონადირების შესაძლებლობებს ზრდიდა.


ქრისტეს შობამდე 16 ათასი წლის წინ პირველყოფილი ადამიანები დაბრუნდნენ თანამედროვე პეკინის სიახლოვეს, კვლავაც ჭოუქოუტიენის გამოქვაბულებში. რადგანაც მათი საცხოვრებელი „პეკინელი ადამიანის“ გამოქვაბულების ზემოთ მდებარეობდა, ამიტომ ახალ ბინადარს „ზემო გამოქვაბულის ადამიანს“ უწოდებენ (სურ. 4). ერთი და იმავე ადგილას სხვადასხვა პერიოდში მცხოვრები ამ ორის შედარებისას კარგად ჩანს პირველყოფილი ადამიანების მიერ გავლილი განვითარების გზა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „ზემო გამოქვაბულის ადამიანს“, განსხვავებით „პეკინელი ადამიანისაგან“, შეეძლო ცეცხლის დანთება. ცეცხლს ანთებდნენ კაჟისა და ხმელი ხის ტოტების ერთმანეთზე ხანგრძლივი ხახუნით. ცეცხლის დანთების სწავლა უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა ადამიანის მიერ ბუნების ერთ-ერთი სტიქიის მოთვინიერებას.



სურ. 4 ზემო გამოქვაბულის ადამიანის თავის ქალა

„ზემო გამოქვაბულის ადამიანი“ კიდევ სხვა მიზეზების გამოც არის განსაკუთრებული. მის მიერ გამოყენებული ქვისა და ძვლის იარაღების დამზადების

ტექნიკა გაცილებით დახვეწილი და დაწინაურებულია წინა პერიოდებთან შედარებით. ძვლის იარაღებიდან გამოსარჩევია ნემსი, რომელიც ჩინეთის ტერიტორიაზე უძველესია. ცხოველის ძვლისაგან ნემსის დამზადება ძვლის საგულდაგულოდ დამუშავებას მოითხოვს, რომ გარეკანი იყოს გლუვი, ნემსი თავიდან ბოლოსაკენ პროპორციულად წვრილდებოდეს, ბოლო კი წვეტიანი ჰქონდეს. ნემსი მეტყველებს არამარტო ძვლის დამუშავების განვითარებულ ტექნიკაზე, არამედ ტანსაცმლის შექმნის უკეთეს შესაძლებლობებზეც. სამოსის ძირითადი მასალა იყო ცხოველების ტყავი. ნემსის საშუალებით მათ უკვე შეეძლოთ უფრო რთული კონსტრუქციისა და მოსახერხებელი სამოსის შეკერვა, რაც სიცივისაგან კარგად დაიცავდა მათ (სურ. 5). აღსანიშნავია, რომ ძვლისგან დამზადებული ნემსი ჩინეთის ტერიტორიაზე ხანის დინასტიამდე გამოიყენებოდა, შემდეგ ძვალი რკინამ ჩაანაცვლა.



სურ. 5 ძვლის ნემსი

„ზემო გამოქვაბულის ადამიანის“ ესთეტიკის აღქმა მხოლოდ ტანსაცმლით არ შემოიფარგლებოდა. ჩინეთში მოსახლე პირველყოფილ ადამიანებს შორის მათ პირველებმა დაიწყეს სამკაულების გამოყენება. სამკაულები მზადდებოდა ცხოველების – ირმის, მელიის კბილების ან რქების ნაწილებისაგან, ნიჟარებისაგან და მათ ჰემატიტით წითლად ღებავდნენ.

„ზემო გამოქვაბულის ადამიანს“ ჰქონდა დამარხვის რიტუალი, რაც იმქვეყნიურ სამყაროს შესახებ პირველყოფილი წარმოდგენების ჩასახვაზე მეტყველებს. მისი საცხოვრებელი გამოქვაბული იყოფოდა ორ ნაწილად: ზემოთ – საცხოვრებელი და ქვემოთ – სასაფლაო. დასაკრძალი ადგილის ასეთი სიახლოვე მეტყველებს ტომის გარდაცვლილ წევრებთან სიახლოვის განცდაზე. დაკრძალული ინდივიდების სხეულის გარშემო მოყრილია ჰემატიტი, რაც მიუთითებს, რომ დამარხვა რიტუალის თანხლებით ტარდებოდა.

„ზემო გამოქვაბულის ადამიანის“ ძირითადი საკვები იყო: თევზი, ანტილოპა, კურდღელი, ირემი, ცხენი, გარეული ღორი, მოლუსკები. აღსანიშნავია, რომ საკვების მოპოვების ერთადერთი საშუალება ნადირობა და შემგროვებლობა არ იყო. როგორც ჩანს, მათ მეზობელ ტომებთან პროდუქტის გაცვლაც დაიწყეს. ჰემატიტისა და მოლუსკე-

ბის ნარჩენები, რომლებიც მათი საცხოვრებლის გათხრისას აღმოაჩინეს, 300 კილომეტრის რადიუსში არ მოიპოვებოდა. ეს მიუთითებს ტომებს შორის ურთიერთობის დონის გაზრდაზე და პრიმიტიული ვაჭრობის დაწყებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „ზემო გამოქვაბულის ადამიანი“ საკმაოდ განვითარებულია, მისი ცხოვრების ძირითადი წყარო ჯერ კიდევ შემგროვებლობა და მონადირეობაა, არ აუთვისებიათ მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, არ იციან ქვის გაპრიალების ტექნიკა. შესაბამისად „ზემო გამოქვაბულის ადამიანი“ ძველი ქვის ხანის ეპოქას ეკუთვნის.



ნეოლითის ეპოქა

დაახლოებით 15-18 ათასი წლის წინ უკანასკნელი დიდი გამყინვარების შედეგად შორეულ აღმოსავლეთში სანაპირო ზოლმა დღევანდელთან შედარებით რამდენიმე ასეული კილომეტრით დაიხია უკან. იაპონია სახმელეთო გზით დაუკავშირდა კონტინენტს. ძვ. წ. 13 ათასი წლიდან გამყინვარების პერიოდი დასრულდა და კლიმატი დათბა. ტემპერატურის მატების ტენდენცია გაგრძელდა და მაქსიმუმს მიაღწია ძვ. წ. 7500-3000 წლებს შორის. ამ პერიოდში ჩრდილოეთ ჩინეთში საშუალო ტემპერატურა თანამედროვესთან შედარებით 5-6 გრადუსი ცელსიუსით მაღალი იყო. აქ ბინადრობდნენ ისეთი ცხოველები, როგორიცაა სპილო, მარტორქა, ვეფხვი, ანტილოპა. გაბატონებული იყო სუბტროპიკული ფაუნა, რომელიც დღეს ჩინეთის სამხრეთ რეგიონებში გვხვდება. ტემპერატურის ზრდამ მცენარეების ვეგეტაციის პერიოდიც გაზარდა. ამ და სხვა მიზეზების შედეგი უნდა იყოს, რომ დაახლოებით 10 ათასი წლის წინ ჩინეთის ტერიტორიაზე მიწათმოქმედება ჩაისახა და კაცობრიობამ ნეოლითის ეპოქაში შეაბიჯა. ნეოლითი ანუ ახალი ქვის ხანა მნიშვნელოვანი პერიოდია კაცობრიობის განვითარების ისტორიაში. განსხვავებით ძველი ქვის ხანისაგან, დროის შედარებით მცირე მონაკვეთში საზოგადოების სტრუქტურაში, ეკონომიკასა და ტექნიკაში ევოლუციური ცვლილებები მოხდა: განვითარდა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეთუნეობა და ჩამოყალიბდა პატრიარქატი.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მიწათმოქმედება. უცნობია, ზუსტად რა მიზეზებმა გამოიწვიეს, რომ ადამიანმა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში თითქმის ერთსა და იმავე პერიოდში დაიწყო მიწათმოქმედებაზე გადასვლა. განსხვავებით ნადირობისა და შემგროვებლობისაგან, მიწათმოქმედება სარჩოს მოპოვების უფრო სტაბილური საშუალებაა. მიწათმოქმედების განვითარებამ გამოიწვია ადამიანების გამოქვაბულებიდან გამოსვლა, მათი მიწაზე მიმაგრება და ხანგრძლივად ერთ ადგილას დასახლება.



სურ. 6 თიხის ჭურჭელი

მიწათმოქმედების კვალდაკვალ ადამიანმა მეცხოველეობაც ისწავლა. დიდი ხნის განმავლობაში ერთ ადგილას ცხოვრებამ შექმნა იმის წინაპირობები, რომ ადამიანს მოეშინაურებინა გარეული ცხოველები და ხორცის მარაგის შესაქმნელად მხოლოდ ნადირობაზე აღარ ყოფილიყო დამოკიდებული. ცხოველების მოშინაურებას არა მარტო ხორცის მარაგის შევსებისათვის ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, არამედ მომავალში მიწათმოქმედებისა და სამხედრო საქმის განვითარებაშიც დიდი როლი ითამაშა.

მეთუნეობის პირველი ნიმუშები ჩინეთის ტერიტორიაზე მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თანადროულად ჩნდება დაახლოებით 10 ათასი წლის წინ. თიხისაგან კერამიკის შექმნა დიდი ნახტომი იყო ტექნიკის განვითარების ისტორიაში (სურ. 6). როცა ადამიანი უბრალოდ ამუშავებდა ისეთ ბუნებრივ მასალებს, როგორიცაა ქვა და ძვალი, ის კმაყოფილდებოდა მათი ფიზიკური თვისებებით. ხოლო დამუშავება კი გულისხმობდა მასალის გარეგნულ დეფორმაციას, მისი ფორმის ხელოვნურად შეცვლას. ამასთან, შედარებით ნამდვილი ტექნოლოგიური გარღვევა იყო ერთი სახის მასალისგან ხელოვნური ჩარევის გზით სხვა სახის მასალის მიღება, რომელიც საწყისი მასალისაგან განსხვავდება ფორმითა და, რაც მთავარია, ფიზიკური თვისებებით. ამგვარად, ადამიანი კიდევ უფრო დამოუკიდებელი გახდა ბუნებისაგან. მეთუნეობის განვითარებას თან სდევდა საყოფაცხოვრებო ნივთების რაოდენობის ზრდა. ადამიანს საშუალება მიეცა ესთეტიკის თავისებური ხედვა უკეთ ეჩვენებინა დასამუშავებელ მატერიალურ მასალაში. რაც მთავარია, შესაძლებელი გახდა საკვების დაგროვება და შენახვა. ამგვარად, ზამთრისა და მოუსავლიანი პერიოდების გადალახვა გაადვილდა. აღსანიშნავია, რომ პატრიარქალური სისტემის ჩამოყალიბებამდე პირველი მეთუნეები ქალები იყვნენ.

ნეოლითის ეპოქის დაწყებისას ჩინეთის მიწებზე მოსახლე ხალხში მატრიარქატს უკვე დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. ქალი იყო სოციალური იერარქიის კიბის სათავეში. მას ებარა ახალი თაობის აღზრდა და საკვების შეგროვება, სანამ მამაკაცი სახლიდან შორს ნადირობდა. მაგრამ, ნეოლითის პერიოდში სარჩოს მოპოვების მეთოდების


ცვლილება აისახა საზოგადოების სტრუქტურაზეც. მიწათმოქმედება მოითხოვდა დიდ ფიზიკურ ძალას, ამიტომ მთავარი მიწათმოქმედი გახდა კაცი. რამდენადაც მამაკაცს აღარ უწევდა ხშირად სახლის დატოვება და შრომის დანაწილების სფეროშიც მისი როლი გაიზარდა ქალის როლის შემცირებასთან ერთად, ბუნებრივია, რომ ის სოციალურ იერარქიაში დომინანტი გახდა. ამგვარად, ჩამოყალიბდა პატრიარქატი – კაცის მმართველობის სისტემა.

ადრენეოლითური ხანა



სურ. 7 ქვის ნამგალი, ფეილკანგის კულტურა

ნეოლითის ხანა ჩინეთის ტერიტორიაზე იყოფა სამ პერიოდად: 1) ადრენეოლითური ხანა – ძვ. წ. 7500-5000; 2) შუანეოლითური ხანა – ძვ. წ. 5000-3000; 3) გვიანნეოლითური ხანა – ძვ. წ. 3000-2000. მათ შორის ადრენეოლითური ხანის ძეგლები ყველაზე ცოტაა აღმოჩენილი. მათგან შედარებით კარგად შესწავლილი და ცნობილი არის ფეილიკანგის კულტურა (ძვ. წ. 7500-5000) ხენანის პროვინციაში და სინგლუნგვას კულტურა (ძვ. წ. 6200-5400) შიდა მონღოლეთისა და ლიაონინგის პროვინციის მოსაზღვრე ტერიტორიაზე. ადრენეოლითური ხანა არის სოფლის მეურნეობაზე გადასვლის საწყისი პერიოდი (სურ. 7). ბუნებრივია, გამოუცდელობის და სამუშაო იარაღების დაუხვეწელობის გამო მიწათმოქმედების პროდუქტიც თავდაპირველად ვერ იქნებოდა საკმარისი კვების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ ნადირობა, თევზაობა და შემგროვებლობა საკვების მოპოვებაში ჯერ კიდევ მნიშნელოვან როლს თამაშობდა. სინგლუნგვასა და ფეილიკანგის კულტურებში ძირითადი მარცვლეული იყო ფეტვი. ფეტვმა თავისი დომინანტი პოზიცია ჩრდილოეთ ჩინეთში, აქაური შედარებით მშრალი კლიმატის გამო, ხანის დინასტიამდე შეინარჩუნა (სურ. 8). შეინიშნება მესაქონლეობის განვითარებაც. პირველი მოშინაურებული ცხოველები იყვნენ: ღორი, ძროხა და ქათამი. სინგლუნგვას კულტურის ძიახუს ნასახლარი გამოირჩევა კერამიკაზე შესრულე-



სურ. 8 ქვის წისქვილი, ფეილიკანგის კულტურა

ბული უცნაური ნიშან-სიმბოლოებით. ზოგიერთი მეცნიერი ამ ნიშან-სიმბოლოებს იეროგლიფური დამწერლობის საწყის სიმბოლოებად აღიქვამს. თუმცა ასეთი დასკვნის გაკეთება საფუძველს მოკლებულია.[1] ადრენეოლითურ ხანაშივე გამოჩნდა ნეოლითური ეპოქის ჩინეთის დასახლების დაგეგმარების ძირითადი პრინციპი – დასახლების ცენტრში რამდენიმე დიდი ზომის ნაგებობის თავმოყრა, მათ გარშემო კი პატარა საცხოვრებელი სახლების განლაგება.

სინგლუნგვას კულტურამ ჩინურ ცივილიზაციას შესძინა ორი მნიშვნელოვანი ელემენტი: ნეფრიტი და დრაკონი. ნეფრიტი არის მინერალური ქვა, რომელსაც ჩინურ კულტურაში დიდი დატვირთვა აქვს. ჩინელების რწმენით ნეფრიტი იცავს ადამიანს ბოროტი სულებისაგან. იმპერიულ ჩინეთში ნეფრიტის გამოყენება მაღალი არისტოკრატიის პრივილეგია იყო. ამ მინერალური ქვის წმინდა მატერიად აღქმა დაიწყო სწორედ სინგლუნგვას კულტურიდან და ნეოლითის პერიოდშივე გავრცელდა ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე, როგორც პოლიტიკური და რელიგიური ძალაუფლების სიმბოლო. დრაკონის მოტივებიც პირველად სწორედ ამავე კულტურაში ჩნდება. დრაკონის მნიშვნელობა ჩინურ კულტურაში მსოფლიო მასშტაბითაა ცნობილი: განსხვავებით დასავლეთ აზიისა და ევროპის ხალხთა მითოლოგიისაგან, ჩინური დრაკონი კეთილი და ადამიანების დამხმარეა, დრაკონი იყო იმპერატორის უმაღლესი ძალაუფლების სიმბოლო, ის ერთდროულად განასახიერებდა სიბრძნესა და ძალას. უფრო მეტიც, ჩინელი ხალხი საკუთარ თავს დრაკონის შთამომავალს უწოდებს. დრაკონის მოტივები იანგშაოს კულტურაშიც (ძვ. წ. 5000-3000) გავრცელდა. აქ აღმოჩენილ ერთ-ერთ სამარხში ადამიანის მარცხნივ ნიჟარებით დრაკონის ფიგურაა გამოსახული, მარჯვნივ კი – ვეფხვის.

[1] ძიახუს ნიშნებზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვიმსჯელებთ, როცა განვიხილავთ შანგის დინასტიის პერიოდში იეროგლიფური დამწერლობის ჩამოყალიბებას.

შუანეოლითური ხანა

ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მრავალი შუანეოლითური ხანის კულტურა. ქვემოთ ვიმსჯელებთ შედარებით ცნობილ ორ კულტურაზე – იანგშაოსა და ხემუტუს კულტურებზე. მათი შედარება იმითაცაა საინტერესო, რომ პირველი ხუანგხეს[1] აუზში განვითარდა, მეორე კი იანგწის[2] ქვემო წელზე. ამ ორი რეგიონის კონტრასტი კულტურულ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში მთელ ჩინეთის ისტორიას გასდევს და დღესაც აშკარად შესამჩნევია თანამედროვე ჩინურ საზოგადოებაში.

იანგშაოს კულტურა, რომელიც 1921 წელს შვედმა მეცნიერმა – იოჰან გუნარ ანდერსონმა აღმოაჩინა, ჩინეთის ნეოლითური კულტურებიდან ყველაზე ცნობილია. ქრონოლოგიურად ის მოიცავს პერიოდს ძვ. წ. 5000-3000 წლებს შორის. ამ კულტურის ცენტრი იყო ხენანის ჩრდილოეთი, შანსის სამხრეთი და შაანსის[3] აღმოსავლეთ მიწები,[4] თუმცა მისი გავრცელების არეალი საკმაოდ დიდი იყო: დასავლეთით ცინგხაისა და კანსუს პროვინციების ცენტრალურ ნაწილებამდე, სამხრეთით – მდინარე იანგწიმდე, ჩრდილოეთით წვდებოდა შიდა მონღოლეთის მიწებს, აღმოსავლეთით კი – ზღვამდე. აღსანიშნავია, რომ ტემპერატურის მატებისა და ყინულის დნობის


---

[1] „ხუანგხე", იეროგლიფებით 黃河, რაც „ყვითელ მდინარეს" ნიშნავს, ხანის დინასტიიდან გამოიყენება. მანამდე ხუანგხეს ეწოდებოდა „ხე" – 河 (მდინარე). ქართულ ენაში დამკვიდრებული იყო, როგორც „ხუანხე".

[2] ჩინეთის ისტორიაში იანგნის სხვადასხვა მონაკვეთსა და მთლიანად მდინარესაც განსხვავებული სახელები ჰქონდა. დღეს ჩინეთში იანგნის ჩანგძიანგს უწოდებენ, რაც გრძელ მდინარეს ნიშნავს. საკუთრივ ტერმინი იანგნი კი მე-6 საუკუნის მიწურულს გამოჩნდა და აღნიშნავდა მდინარის მონაკვეთს ნანძინგიდან მდინარის შესართავამდე. სახელწოდება მომდინარეობს ნანძინგის მეზობლად მდებარე ქალაქ იანგჭოუდან, რომლის მახლობლად მდინარე ფართოვდება და სწორედ აქ გააკეთეს მე-6 საუკუნეში ე.წ. იანგნის ბორნის გადასასვლელი.

[3] მიუხედავად მსგავსი გამოთქმისა, ეს ორი სხვადასხვა პროვინციაა ჩინეთში და განსხვავებული იეროგლიფებით ინერება: შანსი (山西), შაანსი (陕西).

[4] ტრადიციულ ჩინურ ისტორიოგრაფიაში ამ ტერიტორიას „ჩინური ცივილიზაციის აკვანს" უწოდებდნენ. მათი მოსაზრებით ჩინური ცივილიზაცია ჯერ კიდევ ნეოლითის პერიოდში ჩაისახა აქ და გავრცელდა სხვა ტერიტორიაზე. თუმცა, მე-20 საუკუნის განმავლობაში ჩინეთში ჩატარებული დიდი არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად მეცნიერების უმრავლესობა მხარს უჭერს ნეოლითის ეპოქაში ჩინეთში არა ერთი, არამედ რამდენიმე ცენტრის არსებობის იდეას, რომელთა ურთიერთქმედება და სინთეზი გახდა ჩინური კულტურის წარმოშობის საფუძველი.



სურ. 9 მოხატული კერამიკული ჭურჭელი, იანგშაოს კულტურა

გამო ამ პერიოდში სანაპირო ზოლი დღევანდელთან შედარებით 100 კილომეტრით დასავლეთით იყო შემოჭრილი. იანგშაოს კულტურაში მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქტი იყო ფეტვი, რომლის უძველესი ნაშთები ძვ. წ. მეექვსე ათასწლეულის მიწურულით თარიღდება. მიწათმოქმედების იარაღი იყო ქვისა და ხის ბარი. იანგშაოს კულტურის ხალხი პიონერი იყო ჩინეთში ბოსტნეულის მოყვანის საქმეშიც. რაც შეეხება მეცხოველეობას, ცხოველებიდან მოიშინაურეს ძაღლი, ღორი, ძროხა და ქათამი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია იანგშაოს კულტურის კერამიკა, რომელსაც ფერად კერამიკასაც უწოდებენ (სურ. 9). ამის მიზეზია ის, რომ აქ აღმოჩენილი კერამიკის ნიმუშები შავი, ნაცრისფერი და წითელი ფერისაა. გარდა ფერადოვნებისა, იანგშაოს კერამიკა განსაკუთრებულია თავისი მოხატულობითაც. თავდაპირველად კერამიკაზე გამოსახავდნენ ცხოველებს, ფრინველებს, თევზებს. მოგვიანებით კი უკვე ჭარბობს გეომეტრიული ფიგურები. იანგშაოს კულტურის მიწურულისკენ იყენებდნენ ნელა მოძრავ სამეთუნეო ჩარხს, რაც აადვილებდა თიხისათვის სიმეტრიული ფორმის მიცემას. კერამიკის საგნები მრავალგვარი დანიშნულებისა იყო, თუმცა მეთუნეობა ძირითადად საყოფაცხოვრებო ნივთებით ამარაგებდა თემს: ჯამები, თასები, დოქები, ჭიქები და სხვა.

იანგშაოს კულტურის ტრადიციული დასახლება იყოფოდა სამ ნაწილად: ჩრდილოეთით სასაფლაო, სამხრეთით საცხოვრებელი, აღმოსავლეთით კი მეთუნეობის უბანი. ამ რაიონებს შორის გათხრილი იყო 5 მეტრის სიგანის თხრილი, რაც საცხოვრებელი უბნის უსაფრთხოების სისტემის ნაწილი იყო. საცხოვრებელ უბანში განლაგებული იყო მცირე სახლები საცხოვრებლად და რამდენიმე შედარებით დიდი დარბაზი, სავარაუდოდ შეკრებებისათვის. საცხოვრებელი სახლები იყო მრგვალი და კვადრატული ტიპის. საშენ მასალად იყენებდნენ თიხასა და ხის სვეტებს. სახლის ია-

ტაკი თითქმის ერთი მეტრის სიღრმეზე ამოთხრილი იყო მიწაში. აღსანიშნავია, რომ ხუანგხეს ლიოსის[1] დაბლობზე მოსახლე ტომები სახლებს მთლიანად ან ნახევრად მიწაში თხრიდნენ. ამგვარად სახლი ზაფხულში – სიგრილეს, ხოლო ზამთარში სითბოს ინარჩუნებდა. ერთ დასახლებაში დაახლოებით 100-მდე მცირე ზომის სახლი იყო, მოსახლეობა კი, სავარაუდოდ, 400-500 კაცამდე უნდა ყოფილიყო.



სურ. 10 სახლის ძელის ნაკეთობა ფრინველის გამოსახულებით. ხემუტუს კულტურა

იანგშაოს კულტურის პარალელურად სამხრეთში, მდინარე იანგწის ქვემო დინებაზე განვითარებული იყო ხემუტუს კულტურა (ძვ. წ. 5000-3300) (სურ. 10). რამდენადაც ხემუტუს კულტურის მიერ ათვისებული მიწები ახლოს იყო ზღვასთან და იანგშაოს სამხრეთით მდებარეობდა, ბუნებრივია, აქაური კლიმატი გაცილებით ნესტიანი იყო. ეს აისახა ხემუტუს კულტურის ცხოვრების წესზეც და განსხვავებების უმეტესობა ამ ორ კულტურას შორის სწორედ გეოგრაფიული ფაქტორის შედეგია. განსხვავებით იანგშაოსაგან, ხემუტუს სახლები ხის ერთ მეტრიან ხიმინჯებზე იდგა, რათა ზედმეტი ტენიანობისაგან თავი დაეცვათ. საინტერესოა, რომ სახლები ერთმანეთისაგან გამოყოფილი არ იყო, არამედ მრავალი მცირე ზომის სახლის დაკავშირებით ერთი დიდი ხის კონსტრუქცია იქმნებოდა, რომლის საერთო მასშტაბი დაახლოებით 500 კვადრატულ მეტრს შეადგენდა. ხემუტუს კულტურაში ფიქსირდება ჩინეთის ტერიტორიაზე პირველად ხის ნაწარმის ლაქით დაფარვის პრაქტიკა. მოგვიანებით, გვიანნეოლითურ და განსაკუთრებით ბრინჯაოს ეპოქის

[1] ლიოსი – (გერმ.) ერთგვაროვანი არაშრეებრივი ჩალისფერი ქანი, რომელის შედგება კვარცისა და სილიკატების, თიხამინისა და ნახშირმჟავა კალციუმისაგან. ლიოსის ქანები ძირითადად ქარის მიერ გადატანილი მტვერისა და ქვიშის დაგროვებით იქმნება. ჩინეთში ხუანგხეს ზემო და შუა ნელზე ორივე მხრიდან ესაზღვრება ლიოსის დაბლობები, რომელიც მონღოლეთის სტეპებიდან არის ქარის მიერ გადმოტანილი. ჩალისფერ ლიოსის დაბლობების გავლის გამო ხუანგხეც მის ფერს იღებს. აქედან მომდინარეობს მდინარის სახელი ხუანგხე – ყვითელი მდინარე.

ჩინეთში ლაქის წარმოება მრეწველობის ერთ-ერთ უმთავრეს დარგად იქცა.

ამ ორი კულტურის მოსახლეობის კვების რაციონიც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ხემუტუს კულტურის მცხოვრებლებმა ძაღლსა და ღორთან ერთად კამეჩიც მოიშინაურეს. გარშემო მრავალი წყლიანი ტერიტორიის არსებობის გამო აქ კამეჩის მოშინაურების შესანიშნავი გარემო შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ანკესის კავები იანგშაოს ნასახლარებშიც აღმოაჩინეს, თევზი ხემუტუს მოსახლეობის კვების რაციონის უფრო დიდ ნაწილს იკავებდა. უკეთესი გადაადგილებისა და თევზაობისათვის ხემუტუელებმა დაიწყეს კანოეების გამოყენება. ღორს, კამეჩსა და თევზს მეორადი ადგილი ეკავათ კვების რაციონში. მთავარი საკვები პროდუქტი იყო ბრინჯი, რომელიც ხემუტუს კულტურაში ძველი წელთაღრიცხვით მეექვსე-მეხუთე ათასწლეულების მიჯნიდან მოჰყავდათ. ბრინჯი ათასწლეულების განმავლობაში სამხრეთ ჩინეთის მოსახლეობის ძირითადი საკვები იყო. იანგწის ჩრდილოეთით კი ბრინჯი მხოლოდ ხანის დინასტიიდან გახდა პოპულარული. მიუხედავად იმისა, რომ ხანის ეპოქიდან ორი ათასი წელი გავიდა, ბრინჯი დღემდე სამხრეთელების საყვარელ პროდუქტად რჩება.

იანგშაოსა და ხემუტუს გარდა ჩინეთის ტერიტორიაზე ნეოლითის ეპოქაში არაერთი სხვა არქეოლოგიური კულტურა არსებობდა. თითოეულ მათგანს ჰქონდა გარკვეული ინდივიდუალური მახასიათებლები, რომლებიც დროთა განმავლობაში სხვა კულტურებშიც შეაღწიეს და მომავალში ჩინური კულტურის ძირეულ ელემენტებად იქცნენ. მაგალითად, იანგწის ზემო წელზე განვითარებულ ტასის (ძვ. წ. 5000-3000) კულტურაში პირველად დაიწყეს დასახლებების გარშემო კედლების შემორტყმა. ხუანგხეს ქვემო წელზე განვითარებულ ტავენქოუს კულტურის (ძვ. წ. 5000-3000) (სურ. 11) სამარხებს მიცვალებულებისათვის ჩატანებული ნივთების სიმრავლე გამოარჩევს თანადროული სხვა კულტურებისაგან.



სურ. 11 ღორის ფორმის კერამიკური ნაკეთობა, ტავენქოუს კულტურა

კედლით დაცული დასახლებები და დიდი რაოდენობით ნივთების ჩატანება სამარხში მთლიანი ჩინეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებში გავრცელდა ძვ. წ. მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან. იანგშაოსა და ტავენქოუს კულტურებში აღმოჩენილია ჩინეთის ტერიტორიაზე ღვინის დამზადების უძველესი ნაშთები. თუმცა ღვინო მზადდებოდა არა ყურძნისაგან, არამედ ხილისგან. მოგვიანებით, როცა ბრინჯი ჩრდილოეთშიც გავრცელდა, ბრინჯი იქცა ღვინის დამზადების მთავარ მასალად. ფეილიკანგის კულტურის ძიახუს უბანზე აღმოაჩინეს ძვლისაგან დამზადებული სალამურები, რომელიც ძვ. წ. 6000 წლით თარიღდება. ეს სალამურები ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი მუსიკალური ინტსრუმენტებია. მოგვიანებით, კერამიკისგანაც დაიწყეს მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოება. ძვ. წ. 4000 წლისათვის იანგშაოსა და ხემუტუს კულტურებში უკვე ჩანს კერამიკის დასარტყამი ინსტრუმენტები. იანგშაოს კულტურის ნასახლარზე აღმოჩნდა მოშინაურებული აბრეშუმის ჭიის უძველესი ნიმუშები. როგორც ჩანს, აბრეშუმის წარმოებას ჩინეთში იმაზე დიდი ხნის ისტორია აქვს, ვიდრე თვითონ ძველ ჩინურ წერილობით წყაროებშია მითითებული.[1]

ძვ. წ. მე-5-4 ათასწლეულების მიჯნაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივ წყობაში. სწორედ ამ პერიოდში ხდება მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებმა მიწათმოქმედება გაცილებით ადრე დაიწყეს, მიწის დამუშავების ხარისხი ჯერ კიდევ დაბალი იყო, პრიმიტიული იარაღებით მიწის მხოლოდ ზედაპირული დამუშავება ხერხდებოდა, რის გამოც მიწათმოქმედებით მიღებული პროდუქტი საკმარისი არ იყო და მამაკაცებს მაინც უწევდათ ხოლმე სანადიროდ გასვლა. მას შემდეგ, რაც სამიწათმოქმედო იარაღები დაიხვეწა, შესაძლებელი გახდა მიწის ღრმად დამუშავება, ამან კი მოსავლის გაზრდას შეუწყო ხელი. როგორც უკვე აღინიშნა, მამაკაცს აღარ უწევდა ხშირად საცხოვრებელი ტერიტორიის დატოვება.

[1] ამ წყაროების მიხედვით, სერიკულტურის (აბრეშუმიის ჭიის გამოზრდის კულტურა აბრეშუმის მისაღებად) გამოგონება მიენერება ლეგენდარული ყვითელი იმპერატორის ცოლს – ლეი ნუს. ტრადიციული ჩინური ისტორიოგრაფიის მიხედვით, ყვითელი იმპერატორი და შესაბამისად, ლეი ნუც ძვ. წ. 27-26 საუკუნეებში მოღვაწეობდნენ. იანგშაოს კულტურა კი დაახლოებით ძვ. წ. 30-ე საუკუნეში დასრულდა.

პატრიარქატის ჩამოყალიბებამ გამოიწვია სერიოზული ცვლილებები თემის იერარქიასა და საქორწინო ურთიერთობებში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მატრიარქატის ეპოქაში ქალი იყო გაერთიანების ლიდერი. ეს კარგად ჩანდა სამარხების ორგანიზაციაშიც – ერთ დიდ სამარხში კაცები და ქალები ცალ-ცალკე ესვენენ. ამავდროულად, ქალები ერთი ადამიანის გარშემო იყვნენ დაჯგუფებულნი, ვინც სავარაუდოდ მატრიარქი იყო. პატრიარქატში ქალი და კაცი ანუ ცოლ-ქმარი ერთად იკრძალებოდა. იყო შემთხვევები, როცა ერთ კაცს რამდენიმე ქალს აყოლებდნენ. ხშირად ფიქსირდება გარდაცვლილი მამაკაცისთვის მეუღლის ცოცხლად ჩაყოლება. ეს მეტყველებს სოციუმის წევრთა იერარქიის რადიკალურ ცვლილებებზე. რაც შეეხება საქორწინო ურთიერთობებს, მატრიარქატის ეპოქაში ერთი ტომის წევრების დაქორწინება არ შეიძლებოდა, თუმცა ტომის გარეთ „თხოვდებოდა“ არა ქალი, არამედ – კაცი. ქალსა და კაცს შორის მკაცრი მონოგამიური კავშირი არ არსებობდა, ერთ ქალს რამდენიმე პარტნიორი შეიძლებოდა ჰყოლოდა. პატრიარქატის დროს კი მონოგამიის მკაცრად განსაზღვრული სისტემა შეიქმნა. ამჯერად უკვე ქალებს უწევდათ ტომის დატოვება.

გვიანნეოლითური ხანა

ჩინეთში ნეოლითის ეპოქის გვიანი პერიოდი არის ძვ. წ. III ათასწლეული. ამ პერიოდში საზოგადოების შიგნით გამალებით მიმდინარეობს დიფერენციაციის პროცესი. ეს პროცესი თვალნათლივ აისახება სამარხების მოწყობაზე. შანსის პროვინციაში აღმოჩენილი სამარხთა კომპლექსი 600 პატარა და 6 დიდი სამარხისაგან შედგებოდა. დიდი სამარხების ზომა და გაფორმება გაცილებით აღემატება პატარა სამერხებისას. იმავე პერიოდის იანგწის ქვემო დინების ლიანგჭუს კულტურის ერთ-ერთ სამარხში მიცვალებულს 547 ნივთი ჰქონდა ჩატანებული. მაშინ როცა, პატარა სამარხებში ძალიან მცირე რაოდენობით ნივთებია აღმოჩენილი. განსხვავდებოდა თვით ჩატანებული ნივთებიც. ღარიბებს ძირითადად სამიწათმოქმედო იარაღებს ატანდნენ და ცოტა კერამიკას. დიდ სამარხებში მრავლადაა ნეფრიტი, კერამიკის ელეგანტური ნიმუშები, ნიჟარები და ა.შ. საზო-

გადოების ქონებისა და ძალაუფლების მიხედვით დაყოფის პროცესში, ბუნებრივია, კონფლიქტებიც მრავლად იქნებოდა. ამის ნიშანია გვიანნეოლითურ პერიოდში ყველა დასახლების გარშემო დატკეპნილი მიწის მეთოდით[1] აშენებული დამცავი კედლები. კონფლიქტს საზოგადოებისთვის უარყოფითთან ერთად დადებითი შედეგებიც მოჰქონდა. კერძოდ კი, ის აიძულებდა ტომებს დაეხვეწათ მმართველობის სისტემა და ჩამოეყალიბებინათ უფრო დიდი გაერთიანებები. ამ პროცესში ჩნდება ხალხის მცირე მასა, რომელიც სოციუმის სათავეში ექცევა და პოლიტიკურ-რელიგიური ძალაუფლება მის ხელში ერთიანდება. პოლიტიკურ-რელიგიური იმიტომ ვთქვით ერთად, რომ პირველი ლიდერები სავარაუდოდ ორივეს სადავეებს ფლობდნენ. რელიგიური რწმენა-წარმოდგენები „ზემო გამოქვაბულის ადამიანის" მიერ დამარხვის რიტუალის შექმნიდან მოყოლებული იხვეწებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-8 ათასწლეულის სინგლუნგვას კულტურიდან დაიწყო ნეფრიტის წმინდა ნივთად აღქმა. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებაში იყო ჩამოყალიბებული გარკვეული რწმენა-წარმოდგენების სისტემა და არსებობდა პირი, რომელიც ფლობდა ამ წმინდა ნივთებს. სავარაუდოდ, იგი ასრულებდა შამანის ფუნქციებს, ზებუნებრივ ძალებთან მედიუმის როლს. შამანის მსგავსი ინსტიტუტის არსებობას ადასტურებს იანგშაოს კულტურის სამარხი, რომელშიც ნიჟარებით შესრულებული დრაკონი და ვეფხვი არის გამოსახული ადამიანის ორივე მხარეს. ძვ. წ. მესამე ათასწლეულში მძლავრი სოციალური დიფერენციაციის პროცესში ბუნებრივია, რწმენა-წარმოდგენების სისტემაც უფრო კომპლექსური გახდებოდა. ასეთ სიტუაციაში, ვის ექნებოდა უკეთესი შესაძლებლობები და ლეგიტიმაცია ძალაუფლებისა და ქონების ხელში ჩაგდებისა,

[1] დატკეპნილი მიწის მეთოდი ძალიან საინტერესო ტექნიკაა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ანტიკურ ჩინეთში. ამ ტექნიკით არა მხოლოდ ნეოლითის, ბრინჯაოსა თუ რკინის ხანის დასახლებების თავდაცვით კედლებს აგებდნენ, ჩინეთის დიდი კედლის პირველი კონსტრუქციაც სწორედ დატკეპნილი მიწით ააგეს. ესაა ძალიან მარტივი ტექნიკა, თუმცა ამავდროულად ძალიან შრომატევადი საქმე. საშენ მასალად გამოიყენება მინა, ქვიშა და ხრეში. მასალას მოაქცევდნენ ხის ჩარჩოს შიგნით და ნიხვით კუმშავდნენ მას, ვიდრე სასურველ სისქემდე არ დავიდოდა. თითო ფენის სისქე 10-25 სანტიმეტრს შორის მერყეობდა. ასე იგებოდა კედლები საფუძვლიდან ნულრამდე. რა თქმა უნდა, სიმაღლის მატებასთან ერთად ფენების სიგანე მცირდებოდა.

ვიდრე შამანს, ქურუმს, რომელიც საზოგადოებასა და ღმერთებს შორის მედიუმი იყო. სწორედ ამის დამადასტურებელია გვიანნეოლითური ხანის დიდ სამარხებში ნეფრიტის ნაჯახების, დანებისა და სხვა სარიტუალო ნივთების აღმოჩენა. საომარი იარაღი, ერთი მხრივ, სამხედრო-პოლიტიკურ ძალაუფლებაზე მიუთითებს, მათი ნეფრიტისაგან დამზადება კი მფლობელის მაღალი რელიგიური სტატუსის აღმნიშვნელია (სურ. 12).



სურ. 12 ცერემონიებისთვის განკუთვნილი ნეფრიტის ნაჯახი, ლიანგჭუს კულტურა

გვიანნეოლითურ ჩინეთშიც ორი ძირითადი კულტურა გამოიყოფა. პირველი არის ლუნგშანის კულტურა (ძვ. წ. 2500-2000), რომელიც იანგშაოს მემკვიდრეა და მდინარე ხუანგხეს შუა და ქვემო წელზე იყო გავრცელებული (სურ. 13). მეორე კი ლიანგჭუს კულტურა, რომელიც იანგწის ქვემო დინებაზე, ხემუტუს კულტურის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. ლუნგშანი, გარდა დასახლებების თავდაცვითი კედლებისა და მდიდარი სამარხებისა, ასევე გამოირჩევა შავი კერამიკით. განსხვავებით იანგშაოს ფერადი კერამიკისა, ლუნგშანის კერამიკა კუპრივით შავი და ძალიან თხელი იყო, ზოგჯერ კერამიკის სისქე კვერცხის ნაჭუჭის სისქეს უტოლდებოდა. ასეთი თხელი კერამიკა უსათუოეს დამუშავებას საჭიროებდა. ამის საშუალებას კი მეთუნეებს ამ პერიოდში გამოგონებული სწრაფად მბრუნავი სამეთუნეო ბორბალი აძლევდა. შავი კერამიკის გამოწვა უფრო მაღალ 1000 გრადუს ცელსიუსზე მიმდინარეობდა, ვიდრე ჩვეულებრივი კერამიკისა, რომელიც 800 გრადუს ცელსიუსზე გამოიწვება. განვითარდა მიწათმოქმედებაც და მესაქონლეობაც. ლუნგშანის კულტურაში მოაშინაურეს ცხვარი და დაიწყეს ბრინჯის მოყვანა. ეს იყო ბრინჯის კულტურის თავდაპირველი გამოჩენა ჩინეთის



სურ. 13 მოხატული კერამიკის ჭურჭელი დრაკონის გამოსახულებით, ლუნგშანის კულტურა

ჩრდილოეთ რეგიონში. თავის მხრივ ლიანგჭუს კულტურა ცნობილია ნეფრიტის დამუშავების ტექნიკის არნახული განვითარებით. როგორც ჩანს, ამ კულტურის ხალხისათვის ნეფრიტს უზარმაზარი საკრალური და ესთეტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. სხვანაირად ვერ ავხსნით იმ ფაქტს, რომ დღემდე შემორჩენილია ლიანგჭუს კულტურაში დამზადებული 20000-ზე მეტი ნეფრიტის ნივთი.



სიას დინასტია



წინა თავები ეხებოდა ჩინეთის პრეისტორიულ ხანას. ზუსტად როდის სრულდება პრეისტორია და იწყება ისტორია? რა არის ამ ორ პერიოდის წყალგამყოფი? ისტორიკოსების მიერ გაზიარებულია იდეა, რომ დამწერლობის გაჩენასთან ერთად იწყება ისტორიული პერიოდი. თუ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ მხოლოდ ქრისტეს შობამდე მე-13 საუკუნიდან შეგვიძლია ჩინეთის ისტორიაზე მსჯელობა, რადგან სწორედ ამ დროით თარიღდება ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი დამწერლობის ნიმუშები – ე.წ. ძიაკუვენი – წარწერები კუს ბაკნებსა და ცხოველების ძვლებზე. მაგრამ საკითხის ასე დაყენება არ იქნება სწორი. მართალია, ჩინეთში უფრო ადრინდელი დამწერლობის ნიმუშები არქეოლოგებს ჯერ არ აღმოუჩენიათ, მაგრამ გვაქვს შემორჩენილი ძველი ჩინური წერილობითი წყაროები ქრისტეს შობამდე პირველი ათასწლეულიდან, რომელთა მიხედვით ჩინეთის ტერიტორიაზე პირველი დინასტიის დაარსება ძველი წელთაღრიცხვით მესამე ათასწლეულის მიწურულით თარიღდება. რაც შეეხება არქეოლოგიური მასალის არარსებობას, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ჯერ კიდევ ვერ მიაკვლიეს საჭირო არტეფაქტებს. ჩინეთის არქეოლოგიას ახასიათებს მოულოდნელი აღმოჩენები. გასულ საუკუნეში ბევრმა აღმოჩენამ რამდენჯერმე ძირეულად შეცვალა მეცნიერების ხედვა ჩინეთის პრეისტორიასა და ისტორიაზე. მაგალითად, XX საუკუნის დასაწყისამდე, სანამ ძიაკუვენს აღმოაჩენდნენ და გაშიფრავდნენ, საეჭვოდ მიაჩნდათ არა მხოლოდ სიას, არამედ მისი მომდევნო დინასტიის – შანგის არსებობაც. მეტიც, 1924 წელს ამერიკელმა სწავლულმა თომას ფრენსის კარტერმა (1882-1925) თავის მონოგრაფიაში ბეჭდვის ტექნიკის ჩინური ფესვების შესახებ, ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეული ჩინეთში მთლიანად პრეისტორიულ ხანად განსაზღვრა. მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან ძიაკუვენის გაშიფვრისა და შანგის ბოლო დედაქა-

ლაქის ნასახლარის აღმოჩენის შემდეგ, უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი შანგის დინასტიის არსებობაში. რაც მთავარია, ძიაკუვენზე დაცული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ემთხვევა ძველ ჩინურ ისტორიულ წყაროებში შესაბამის პერიოდზე არსებულ ცნობებს. არსებობს ეჭვი, რომ ეს წყაროები სიას დინასტიაზე მსჯელობისას არ ცდებიან, მაგრამ ამ საკითხზე მეცნიერთა მოსაზრებები განსხვავებულია. ქვემოთ ჩვენ წარმოგიდგენთ ამ დინასტიის პერიოდის ჩინეთზე წერილობითი წყაროების მიერ მოწოდებულ და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

ძველი ჩინური წერილობითი წყაროები, რომლებიც სიას დინასტიის შესახებ გვაწვდიან ცნობებს შედგენილია ჭოუსა და ხანის პერიოდში. მათ შორის გამოსაყოფია უძველესი ჩინური წერილობითი ტრაქტატები – უძინგი,[1] შიძინგი,[2] შანგშუ (შუძინგი),[3] ლიძი,[4] იძინგი,[5] ჩუნციოუ,[6] ჩინეთის ისტორიის საწყისი პერიოდის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა „შანგშუ", რომელიც, ისტორიკოსთა ნაწილის აზრით, უძველესი ჩინური მონათხრობია. სავარაუდოდ, მისი უძველესი ნაწილი შედგენილი უნდა იყოს დასავლეთ ჭოუს ან ჩუნციოუს ეპოქაში. აღმოსავლეთ ჭოუს, განსაკუთრებით კი ჭანკუოს ეპოქაში ჩინეთის ტერიტორიაზე არსებულ სამეფო-სამთავროებში იწერებოდა დიდი რაოდენობით ფილოსოფიური, ლიტერატურული და სტრატეგიული ტრაქტატები. დაიხვეწა ანალების – ყოველწლიური ისტორიის წერა. ძველი ჩინეთის ისტორიული აზრის განვითარების მწვერვალი იყო ჩინეთის ისტორიის მამის სახელით ცნობილი სმა ციენის (ძვ. წ. 145-87) „შიძი" (ისტორიული ჩანაწე-

---

1 五经 – უძინგი, ხუთი კლასიკა. უძინგი სშუსთან (四书 – ოთხი წიგნი) ერთად აერთიანებს კონფუციზმის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებებს.

2 诗经 – შიძინგი, სიმღერების წიგნი, უძველესი ჩინური პოეზიის კრებული.

3 尚书/书经 – შანგშუ/შუძინგი, დოკუმენტების წიგნი, უძველესი ჩინური ისტორიული ნაწარმოები, მოიცავს ჭოუსა და ნინა დინასტიების მეფეებისა და გამოჩენილი პირების ისტორიებს.

4 礼记 – ლიძი, რიტუალების წიგნი. მასში თავმოყრილია კონფუციზმის შეხედულებები სოციალური წესების, მორალის, რიტუალების, ტრადიციებისა და სხვა ძირეული საკითხების შესახებ.

5 易经 – იძინგი, ცვლილებების წიგნი. უძველესი ჩინური პიმნების წიგნი, რომელიც ჩინური კოსმოლოგიისა და ფილოსოფიის არაერთი მიმდინარეობის განვითარების საფუძველი გახდა.

6 春秋 – ჩუნციოუს ანალები, ისტორიული ანალები, რომელიც მოიცავს ჩინეთის ისტორიაში ძვ. წ. 722-481 წლებს შორის პერიოდს.

რები). ეს ნაშრომი შეიცავს ქრონოლოგიურ რიგზე დალაგებულ ისტორიულ მოვლენებს სიას დინასტიის ჩამოყალიბებამდე პერიოდიდან დასავლეთ ხანის დინასტიის იმ ეპოქამდე, რომელშიც თვითონ ავტორი ცხოვრობდა.[1] რამდენადაც სმა ციენი იმპერატორის კარის ისტორიკოსი და არქივარიუსი იყო, მას ხელი მიუწვდებოდა იმ დროისათვის ჩინური წერილობითი წყაროების საუკეთესო ბიბლიოთეკაზე.

ტრადიციული ჩინური ისტორიოგრაფია ჩინეთის ისტორიას იწყებს არა სიას დინასტიიდან, არამედ მისი წინამავალი ეპოქიდან, ე.წ. სამი მთავარისა და ხუთი იმპერატორის[2] მმართველობის პერიოდიდან. სამი მთავარი იყო: ფუსი, შენნუნგი და სუეიუენი. ეს ლეგენდარული პირები, რომლებიც თავიანთი შესაძლებლობებითა და ფუნქციებით ნახევარღმერთებს ჰგვანან, ჩინეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომების პირველი ლიდერები არიან. მათი მმართველობის პერიოდი ასახავს პატრიარქალურ საზოგადოებაში ძლიერი დიფერენციაციის შედეგად ლიდერის ინსტიტუტის გაჩენას და შეესაბამება ლუნგშანის კულტურის პირველ ფენას, დაახლოებით ძვ. წ. მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარს. თითოეულ მათგანის სახელს უკავშირდება სხვადასხვა გამოგონება. მაგალითად, ფუსიმ გამოიგონა თევზაობა, კალენდარი, პაკუა.[3] შენნუნგმა ადამიანებს ასწავლა სოფლის

---

[1] 史記 – შიძი. ისტორიული ჩანაწერები იყოფა ხუთ ნაწილად: 1) ძირითადი ჩანაწერები (მოიცავს გაბმულ თხრობას სამი მთავარისა და ხუთი იმპერატორის ხანიდან ავტორის ცხოვრების პერიოდამდე), 2) ქრონოლოგიური ცხრილი (მოცემულია მეფეების მმართველობის წლები, მნიშნელოვანი მოვლენების თარიღები და სამეფო საგვარეულოს გენეალოგია), 3) მოკლე ჩანაწერები ასტრონომიის, მუსიკის, რიტუალების, მსხვერპლშეწირვების, კალენდრების, საირიგაციო სისტემის შესახებ, 4) მემკვიდრეობითი საგვარეულოები (შანგისა და უმეტესად ჭოუს პერიოდის გამოჩენილი საგვარეულოების გენეალოგიები), 5) ბიოგრაფიები (შეიცავს შანგიდან ავტორის ცხოვრების პერიოდამდე გამოჩენილი პირების მოკლე ბიოგრაფიებს).

[2] ჩინეთის პირველი ნამდვილი იმპერატორი იყო ცინ შიხუანგტი.

[3] 八卦 – პაკუა, ეწოდება რვა ტრიგრამას, რომლებიც ტაოისტური კოსმოლოგიის ცენტრს წარმოადგენენ. პაკუას ტრიგრამები ეწოდება იმიტომ, რომ თითოეული მათგანი შედგენილია სამი ხაზისაგან. პაკუა შედგება ორი სახის – დაყოფილი და დაუყოფელი ხაზებისაგან. დაუყოფელი ხაზი არის იანგის (მზის, სინათლის, მამაკაცური საწყისის) სიმბოლო, დაყოფილი – ინის (მთვარის, სიბნელის, ქალური საწყისის). სამი დაუყოფელი ხაზი ერთად განასახიერებს სრულ იანგს ☰, სამი დაყოფილი ხაზი ერთად კი სრულ ინს ☷. პაკუა დალაგებულია თანმიმდევრობით სრული იანგიდან სრულ ინამდე: ☰,☱,☲,☳,☴,☵,☶,☷. დროთა განმავლობაში პაკუა დაუკავშირდა ასტრონომიას, კოსმოლოგიას, ანატომიას, გეომეტრიას. დღეს უკვე პაკუა ჩინური კულტურისა და რწმენა-წარმოდგენების განუყოფელი ნაწილია.



სურ. 14 ხუანგტი (ყვითელი იმპერატორი), ხანის ეპოქის ქვის ბარელიეფიდან.

მეურნეობა და სამკურნალო მცენარეების გამოყენება. სუეიჟენს მიეწერება ცეცხლის გამოგონება და გამოყენება. სამივე მათგანზე წყაროები ძალიან ბუნდოვან და მწირ ინფორმაციას გვაწვდიან. შედარებით მეტი ცნობები გვაქვს ხუთი იმპერატორის შესახებ, ესენია: ხუანგტი, ჭუან სიუ, ქუ, იაო, შუნი.


მათი მმართველობის პერიოდის წყაროებში ასახულია ტომობრივი გაერთიანებების ჩამოყალიბების ისტორია, როცა სამხედრო დაპირისპირებები გახშირდა და ორგანიზებული ხელისუფლების აპარატის ჩამოყალიბება დაიწყო.

ხუთი იმპერატორიდან პირველს – ხუანგტის ანუ ყვითელ იმპერატორს[1] დღემდე დიდ პატივს სცემენ ჩინელები (სურ. 14). მის სახელზე აგებულია არაერთი ტაძარი. ამის მიზეზია ის, რომ ჩინელებს ხუანგტი თავიანთ უძველეს წინაპრად წარმოუდგენიათ და თავის თავს უწოდებენ ყვითელი იმპერატორის შთამომავლებს. ხუანგტის ტომი თანამედროვე ხეპეის პროვინციის სამხრეთ მიწებზე სახლობდა. მათ მეზობლად მდებარეობდა იენტის ტომი. იგი თავისი ტერიტორიის აღმოსავლეთით გაფართოებისას დაუპირისპირდა ჩილუნგის მეომართა ტომს. ხუანგტიმ და იენტიმ დაამარცხეს ჩილუნგი და მისი მიწებიც დაისაკუთრეს, თუმცა ამის შემდეგ ხუანგტიმ ყოფილი მოკავშირეც დაამარცხა და იენტის ტომი შეიერთა. მიუხედავად იმისა, შეესაბამება თუ არა ეს ამბავი რეალობას, მოვლენათა ასეთი განვითარება ნამდვილად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ტომობრივი გაერთიანებების ჩამოყალიბების სანყის პერიოდში.

მომდევნო იმპერატორებიდან შედარებით მნიშვნელოვანი ფიგურები არიან: იაო და შუნი. ზოგჯერ მათ რიგს ამატებენ სიას დინასტიის

[1] ჩინურად „ხუანგტი" გადმოიცემა ამ იეროგლიფებით: 黃帝, რაც სიტყვასიტყვით სწორედ ყვითელ იმპერატორს ნიშნავს. არ აგერიოთ ჩინეთის პირველი გამაერთიანებელი იმპერატორის ცინ შიხუანგტის სახელში, რომელშიც ხუანგტი გადმოიცემა იეროგლიფებით: 皇帝 და ნიშნავს იმპერატორს.

მამამთავარს – იუს და სამივეს ერთად უწოდებენ სამ ბრძენ მეფეს (სურ. 15). იაო და შუნი აღმოსავლეთ ჭოუს ეპოქიდან მოყოლებული მწერლებისა და ფილოსოფოსებისათვის იყვნენ როგორც ბრძენი და მოწყალე მმართველის ეტალონები. ამის ძირითადი მიზეზი კი იყო ის, რომ მათ თავიანთ მემკვიდრედ არა საკუთარი შვილები, არამედ ტომის შიგნით ყველაზე ღირსეული პიროვნებები დაასახელეს. ფაქტობრივად ამ პერიოდში ახალ მეთაურს ტომების წარმომადგენლების გაერთიანებული კრება ირჩევდა. მმართველი წარადგენდა კანდიდატს და თუ ის დაიმსახურებდა საერთო მოწონებას, მხოლოდ მაშინ გახდებოდა ნამდვილი მემკვიდრე. ძალაუფლების არამემკვიდრეობითი ცვლა მიუთითებს იმაზე, რომ ტომობრივ გაერთიანებაში ცალკეული ტომის წარმომადგენლების უფლება ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მმართველს არ ჰქონდა ჯერჯერობით შეძენილი ის სოციალური თუ რელიგიური ავტორიტეტი, რაც საჭირო იყო ძალაუფლების ერთი საგვარეულოს, ერთი ოჯახის მიერ თაობების განმავლობაში ფლობისათვის.



სურ. 15 იმპერატორი იაო, ხანის ეპოქის ქვის ბარელიეფიდან



სურ. 16 სიას დინასტიის იუ, ხანის ეპოქის ქვის ბარელიეფიდან

მთავარი ხელისუფალის არჩევის წესი შეიცვალა იუ დიდის მმართველობის შემდეგ. იუ სხვადასხვა წყაროში ხან ხუთი იმპერატორიდან ერთ-ერთია, ხან კი სიას პირველ მეფედ მოიხსენიებენ, თუმცა მას მეფის სტატუსი არასოდეს ჰქონია. იგი შუნმა დანიშნა თავის მემკვიდრედ. იუს მთავარი ღვაწლი არის წყალდიდობების თავიდან არიდება (სურ. 16). ჯერ კიდევ იაოს პერიოდიდან წყალდიდობები დიდ საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობას და სოფლის მეურნეობის პროდუქტის მარაგს.

ამიტომ შუნმა იუს მამას – კუნს დაავალა ამ პრობლემის მოგვარება. კუნმა დიდი დამბები ააშენა წყალდიდობის დროს წყლის შესაჩერებლად. თუმცა ადიდებულმა წყალმა გადმოხეთქა ჯებირებიდან და უფრო დიდი ზიანი მიაყენა ხალხს. ამიტომ შუნმა კუნი სიკვდილით დასაჯა. მამის მისიის შესრულება დაევალა იუს. მან შეცვალა მამამისის მეთოდი და დაიწყო ჯებირების შენება, რითაც ადიდებულ წყლებს მიმართულება მისცა ზღვისა და ტბებისაკენ. იუს მეთოდმა გაამართლა და წყალდიდობების პრობლემაც გადაიჭრა. მისი ავტორიტეტი ხალხში იმდენად გაიზარდა, რომ იუს გარდაცვალების შემდეგ მმართველად აირჩიეს მისი შვილი – ცი. ასე ჩაეყარა საფუძველი ძალაუფლების ცვლის მემკვიდრეობით სისტემას.

მეცნიერების მიერ მოპოვებული ინფორმაციით, გვიანნეოლითურ ხანაში ყვითელმა მდინარემ ორჯერ შეიცვალა კურსი. თავდაპირველად ხუანგხეს ქვედა წელის კალაპოტი თანამედროვესაგან შედარებით უფრო ჩრდილოეთით მიედინებოდა – ხეპეის პროვინციას გადაკვეთდა და პოხაის ზღვაში ჩაედინებოდა. დაახლოებით ძვ. წ. 2600 წელს მან შეიცვალა დინება და კალაპოტმა სამხრეთით რამდენიმე ასეული კილომეტრით გადაინაცვლა – ძიანგსუსა და ანხუეის პროვინციების გავლით აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ჩაედინებოდა. ძვ. წ. 21-ე საუკუნეში ხუანგხეს კალაპოტმა კვლავ ჩრდილოეთით გადაინაცვლა, საწყისი პოზიციიდან შედარებით სამხრეთით – შანტუნგის პროვინციის გადაკვეთის შემდეგ ისევ პოხაის ზღვაში ჩაედინებოდა. ბუნებრივია, ამ დიდი მდინარის კალაპოტის ცვლას კატასტროფული შედეგები მოჰყვებოდა ხოლმე ახლომახლო მიწებზე მოსახლეებისთვის. მითი იუს მიერ წყალდიდობის დამორჩილებაზე სწორედ ამ დიდი კატასტროფებისაგან თავდაცვაზე ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში შემორჩენილი ცოდნაა.

იუს გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლება მისი ვაჟის – ცის ხელში გადავიდა. ეს იყო ტომთა გაერთიანების მმართველის თანამდებობის მამიდან შვილზე გადასვლის პირველი შემთხვევა. ბუნებრივია, ხელისუფალის არჩევის ტრადიციის ცვლილებას მოჰყვა უთანხმოება საზოგადოებაში. ცის აუჯანყდა ხუს საგვარეულო, მაგრამ მან აჯანყებულები სამაგალითოდ დასაჯა და შედეგად სხვა საგვარეულოებსაც პრეტენზია აღარ გამოუხატავთ. ეს მიუთითებს, რომ იმ პერიოდის საზოგადოებაში უკვე იყო მზაობა მონარქიის ინსტიტუტის

მილებისა. ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა ტომობრივი წყობის ტრადიცია, რომ ტომის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია ლიდერობაზე. ყალიბდება ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი საგვარეულოები, რომლებთაც ზურგს უმაგრებს ავტორიტეტი და საკუთარ მმართველობას საკრარულ ლეგიტიმაციას უძებნიან.

წერილობითი წყაროები სიას დინასტიის მეფეების მმართველობის შესახებ საკმაოდ მცირე ინფორმაციას გვაწვდიან. „ისტორიული ჩანაწერების“ მიხედვით, სიას დინასტიას სულ 17 მეფე ჰყავდა ციდან მოყოლებული. საკუთრივ სამეფო მდებარეობდა თანამედროვე ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ და შანსის პროვინციის სამხრეთ მიწებზე. სიას ოთხი მხრიდან ერტყნენ ბარბაროსული ტომები: აღმოსავლეთით – ი, დასავლეთით – ჟუნგი, სამხრეთით – მანი, ჩრდილოეთით კი – ტი. ცის გარდაცვალების შემდეგ აღმოსავლეთიდან ი დაესხა თავს სიას და მისი მნიშნელოვანი ნაწილი დაიკავა. ისტორიული წყაროები ამაში ცის ვაჟს, თაი ქანგს ადანაშაულებენ, რადგან მან სახელმწიფო საქმეებისადმი უყურადღებობა გამოიჩინა. აღსანიშნავია, რომ თაი ქანგის შემდეგ ტახტზე ერთმანთის მიყოლებით მისი სამი ძმა ადის. მხოლოდ მათ შემდეგ იკავებს ტახტს თაი ქანგის ვაჟი – შაო ქანგი. ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი მამიდან შვილზე სამეფო ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემის სისტემა. ძალაუფლება განიხილებოდა არა როგორც ერთი ოჯახის, არამედ საგვარეულოს საკუთრება.

შაო ქანგმა სია კვლავ ააღორძინა. აქედან მოყოლებული სიას უკანასკნელ მეფემდე, წყაროებიდან ფაქტობრივად სიას დანარჩენი მეფეების მხოლოდ სახელებია ცნობილი. სიას დინასტიის მე-17 და უკანასკნელი მეფე ძიე წყაროების მიხედვით სასტიკი და მფლანგველი პიროვნება იყო (სურ. 17). ძიე მაღალ გადასახადებს აკისრებდა მოსახლეობას, აგებდა ახალ სასახლეებს თავის ხარჭებთან ერთად გასართობად, სასახლე ნეფრიტის კარითა და პლატფორმებით მოაწყო. ძიე



სურ. 17 სიას ტირანი ძიე, ხანის ეპოქის ქვის ბარელიეფიდან

განსაკუთრებით ანებივრებდა გამორჩეულ ხარჭას და ხაზინის დიდ ნაწილს მისთვის ძვირფასეულობების ყიდვაში ხარჯავდა. ზღვარგადასულ მფლანგველობას ემატებოდა ძიეს გულგრილობა სამეფო საქმეებისადმი. იგი აწინაურებდა მოხელეებს, რომლებიც მხოლოდ კარგ ამბებს ატყობინებდნენ. ხოლო, ქვეშევრდომებს, რომლებიც ბედავდნენ და ურჩევდნენ მას მეტი სიფრთხილე გამოეჩინა საშინაო და საგარეო საფრთხეებისადმი, სიკვდილით სჯიდა. ასეთი ბედი ეწია ერთ-ერთ ერთგულ ვეზირს – კუანლუნგ ფენგს.

უნდა ითქვას, რომ წყაროების მიერ ძიეს არასასურველ მეფედ დახასიათება შემთხვევითი არაა. ჭოუს დინასტიიდან მოყოლებული ჩინეთში არსებობდა ე.წ. „ცის მანდატის" ცნება. ძველ ჩინურ რწმენა-წარმოდგენებში ცა გაიგივებული იყო უმაღლეს ღვთაებასთან, უმაღლეს განგებასთან. ცა ანიჭებდა მიწიერ მმართველს ძალაუფლებას, რომ ემართა ხალხი. ამიტომაც მმართველები ატარებდნენ საპატიო ტიტულს – „ცის შვილი". თუმცა ცის მიერ მონიჭებული ძალაუფლება სამარადისო არ იყო. მისი ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო მმართველის ღირსებაზე. თუ დინასტია გადაუხვევდა ღირსეულ გზას, იგი დაკარგავდა ძალაუფლებას და „ცის მანდატი" გადაეცემოდა ახალ ღირსეულ დინასტიას. როცა ჭოუს დინასტიამ შანგი დაამხო, თავისი მმართველობის ლეგიტიმაციისათვის შემოიღო „ცის მანდატის" ცნება და შანგის უკანასკნელი მეფე – ჭოუ წარმოსახეს, როგორც სრულიად უზნეო და უპრინციპო მმართველი, რაც თითქოსდა გახდა საფუძველი „ცის მანდატის" შეცვლისა. შემდეგში მსგავს თარგზე ააგეს ისტორიკოსებმა სიას უკანასკნელი მეფის – ძიესა და დასავლეთ ჭოუს ბოლო მეფის – იოუს ისტორიებიც. ძიეს, ჭოუსა და იოუს შესახებ ცნობები ერთმანეთს ძალიან ჰგავს. სამივე შემთხვევაში მეფე უყურადღებობას იჩენს სამეფოს მართვისადმი, საშინელ ექსპლუატაციას უწევს უბრალო ხალხს, არ უსმენს ერთგული მსახურების რჩევებს, ენევა უზნეო ცხოვრებას, ჰყავს ხარჭა, რომელსაც ყველა სურვილს უსრულებს. ასეთი მსგავსებები მრავლადაა. მოყვანილი მაგალითები საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ისტორია მოცემულ სამ მეფეზე გვიანდელი პერიოდის ისტორიკოსების მიერ შეთხზულად მივიჩნიოთ. შესაბამისად, ამბები ძიეს აბსოლუტური ტირანიისა და არაკომპეტენტურობის შესახებ, შესაძლოა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამებოდეს სიმართლეს.

ძიეს მმართველობის პერიოდში ხუანგხეს დინების ქვემო წელზე გააქტიურდა შანგის ტომი. შანგი მომთაბარე მესაქონლე ან ნახევრადმომთაბარე მიწათმოქმედი ტომი იყო. ძვ. წ. XVII საუკუნის მეორე ნახევარში მათი ლიდერი იყო თანგი. თანგი თავის ხალხს ორი გამოჩენილი მრჩევლის – ი ინის და ჭუნგ ხუეის დახმარებით მართავდა. მათი რჩევით თანგმა შეცვალა თავისი ტომის განსახლების არეალი და პო აირჩია დედაქალაქად. ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. პოდან სიას დედაქალაქამდე ბუნებრივი ბარიერი არ არსებობდა, მხოლოდ გაშლილი ველები იყო. ეს კი შესანიშნავ წინაპირობას ქმნიდა მომავალში სამხედრო ინტერვენციისათვის.

წყაროების მიხედვით, შანგი სიას მოხარკე ქვეყანა იყო. როცა შანგის ტომმა ტერიტორიული გაფართოება და მეზობელი ტომების დაპყრობა დაიწყო, ძიე შეაშფოთა შანგის ტომის გაძლიერებამ, თანგი თავის სასახლეში მოიწვია და დაატუსაღა. ი ინმა და ჭუნგ ხუეიმ სიას სამეფო კარზე დიდი ძღვენი გაგზავნეს თანგის გამოსახსნელად. ძიემ ვერ შეეფასა სწორად სიტუაცია და თანგი განათავისუფლა. მოგვიანებით, როცა შანგის ტომის ძალები უფრო გაიზარდა, ხოლო სია შიდა არეულობამ მოიცვა, თანგმა შეკრიბა ჯარები და დაიწყო სიას ტერიტორიის დაპყრობა. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა მინგთიაოს ველზე. მართალია, ძიეს სახელდახელოდ შეკრებილი არმია მნიშვნელოვნად აღემატებოდა შანგისას, თუმცა სიას მხარეს არ იყო ერთიანობის განცდა და შემართება მეომრებში. მეორე მხრივ, შანგის არმია გაწვრთნილი და შემართული მეომრებისაგან შედგებოდა. ამიტომ მათი პირველი შეტევისთანავე სიას ლაშქარი უწესრიგოდ დაიშალა. ძიე ბრძოლის ველიდან გაიქცა და სამხრეთით ნანჩაოს სამეფოს შეაფარა თავი. ზოგი ვერსიით, ნანჩაოში მთიდან გადახტა და თავი მოიკლა. ამგვარად დასრულდა სიას დინასტია და დაიწყო ჩინეთის პირველი არქეოლოგიურად დადასტურებული დინასტიის – შანგის ეპოქა.

სიას პერიოდის არქეოლოგია – ბრინჯაოს ხანის დასაწყისი ჩინეთში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღემდე არაა აღმოჩენილი სიას პერიოდის დამწერლობის ნიმუშები. თუმცა არქეოლოგების ნაწილი ჩინეთის ტერიტორიაზე არსებული სიას დინასტიის თანადროული პერიოდის არტეფაქტებს, კერძოდ კი, მეცნიერები სიას დინასტიას აიგივებენ მის თანადროულ ერლითოუს არქეოლოგიურ კულტურასთან. ერლითოუს კულტურა აღმოაჩინეს 1959 წელს ხენანის პროვინციაში, მდინარე ლუოს სამხრეთ სანაპიროზე. სახელი ადგილის თანამედროვე სახელწოდებიდან მოდის. ერლითოუს კულტურის ნასახლარები აღმოჩენილია ხენანის ჩრდილოეთ, შანსის სამხრეთ, შაანსის აღმოსავლეთ, ხეპეისა და ხუპეის პროვინციების ტერიტორიებზე. აღმოჩენილი არტეფაქტები, C14-ით დათარიღების მეთოდის მიხედვით, ეკუთვნის დაახლოებით ქრისტეს შობამდე 2000-1500 წლებს შორის პერიოდს. ბუნებრივია, ერლითოუს კულტურის სიას დინასტიასთან ტერიტორიულმა და ქრონოლოგიურმა დამთხვევამ მეცნიერებში წარმოშვა თეორია, რომ ერლითოუ სიას დინასტიის არქეოლოგიური ძეგლია (სურ. 18).




სურ. 18 ერლითოუს კულტურის საფლავი

საკუთრივ ერლითოუს ნასახლარი არის დასახლება თავდაცვითი კედლის გარეშე, რომლის ზომებია – ჩრდილოეთიდან სამხრეთით 2 კილომეტრი, აღმოსავლეთიდან დასავლეთით 1.5 კილომეტრი. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ერლითოუს თავდაცვითი კედელი არ აქვს, ერლითოუს კულტურის სხვა ძეგლების აბსოლუტური უმეტესობა ხასიათდება დასახლების გარშემო დატკეპნილი მინის თავდაცვითი კედლით. ერლითოუს ნასახლარის ცენტრში არის დატკეპნილი მინით შექმნილი ტერასა, რომელზეც რამდენიმე შედარებით დიდი ნაგებობის კვალია შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანის სიგრძე 36 მეტრია, სიგანე – 11 მეტრი. ნასახლარის სხვა მნიშვნელოვანი ნაწილები არის სამარხებისათვის გამოყოფილი ტერიტორია და ბრინჯაოს დამუშავე-

ბის რაიონი. ერლითოუს ნასახლარს არქეოლოგები ქრონოლოგიურად ყოფენ ოთხ ფენად. მათგან მესამე და მეოთხე ფენა უკვე შანგის დინასტიის საწყის პერიოდს ემთხვევა.

ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის მიწურულს ჩინეთში ნეოლითის პერიოდი დასრულდა და საზოგადოება ბრინჯაოს ეპოქაში გადავიდა. ბრინჯაოს გამოყენება მაღალი კლასის პრივილეგია იყო. მისგან არ მზადდებოდა მიწათმოქმედების იარაღები. შესაბამისად, ბრინჯაოს გამოგონებას სოფლის მეურნეობის წინსვლა არ გამოუწვევია. ბრინჯაოს ძირითადი დანიშნულება იყო სარიტუალო და საომარი იარაღების, ხელსაწყოების, საყოფაცხოვრებო და ძალაუფლების გამომხატველი ნივთების დამზადება; მაგალითად, ღვინის ჭურჭელი, ნაჯახები, ისრისთავები, შუბისთავები, დანები, მახათები, ბეჭდები და სხვა (სურ. 19).




სურ. 19 ერლითოუს კულტურის ღვინის თასი

ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ბრინჯაოს ნივთი ნაპოვნია კანსუს პროვინციაში. იგი დაახლოებით ძვ. წ. 3000-2300 წლებს შორის პერიოდს მიეკუთვნება, თუმცა ბრინჯაოს დამუშავების პირველი ადგილობრივი კულტურა, რომელიც ციძიას კულტურის სახელით არის ცნობილი კანსუს პროვინციაში, ძვ. წ. XXII საუკუნით თარიღდება. სულ ციძიას კულტურიდან 50-მდე ბრინჯაოს ნივთია აღმოჩენილი. ასეთი მცირე რაოდენობის ბრინჯაოს არტეფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ბრინჯაოს მიღებისა და დამუშავების ტექნიკა ციძიას კულტურის პერიოდისათვის განვითარების საწყის სტადიაზე იყო.

ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩინეთის ტერიტორიაზე ბრინჯაოს დამუშავების ყველაზე განვითარებული ტექნიკა სწორედ ერლითოუს კულტურაში დასტურდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთრივ ერლითოუს ნასახლარში ბრინჯაოს ბრძმედებს 10 ათასი კვადრატული მეტრის ფართობი ეკავა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აქ საკმაოდ დიდი რაოდენობით ბრინჯაო მზადდებოდა. თუმცა, ამ დროისთვის აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს არტეფაქტების

სიას პერიოდის არქეოლოგია – ბრინჯაოს ხანის დასაწყისი ჩინეთში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღემდე არაა აღმოჩენილი სიას პერიოდის დამწერლობის ნიმუშები. თუმცა არქეოლოგების ნაწილი ჩინეთის ტერიტორიაზე არსებული სიას დინასტიის თანადროული პერიოდის არტეფაქტებს, კერძოდ კი, მეცნიერები სიას დინასტიას აიგივებენ მის თანადროულ ერლითოუს არქეოლოგიურ კულტურასთან. ერლითოუს კულტურა აღმოაჩინეს 1959 წელს ხენანის პროვინციაში, მდინარე ლუოს სამხრეთ სანაპიროზე. სახელი ადგილის თანამედროვე სახელწოდებიდან მოდის. ერლითოუს კულტურის ნასახლარები აღმოჩენილია ხენანის ჩრდილოეთ, შანსის სამხრეთ, შაანსის აღმოსავლეთ, ხეპეისა და ხუპეის პროვინციების ტერიტორიებზე. აღმოჩენილი არტეფაქტები, C14-ით დათარიღების მეთოდის მიხედვით, ეკუთვნის დაახლოებით ქრისტეს შობამდე 2000-1500 წლებს შორის პერიოდს. ბუნებრივია, ერლითოუს კულტურის სიას დინასტიასთან ტერიტორიულმა და ქრონოლოგიურმა დამთხვევამ მეცნიერებში წარმოშვა თეორია, რომ ერლითოუ სიას დინასტიის არქეოლოგიური ძეგლია (სურ. 18).



სურ. 18 ერლითოუს კულტურის საფლავი

საკუთრივ ერლითოუს ნასახლარი არის დასახლება თავდაცვითი კედლის გარეშე, რომლის ზომებია – ჩრდილოეთიდან სამხრეთით 2 კილომეტრი, აღმოსავლეთიდან დასავლეთით 1.5 კილომეტრი. მიუხედავად იმისა, რომ საკუთრივ ერლითოუს თავდაცვითი კედელი არ აქვს, ერლითოუს კულტურის სხვა ძეგლების აბსოლუტური უმეტესობა ხასიათდება დასახლების გარშემო დატკეპნილი მიწის თავდაცვითი კედლით. ერლითოუს ნასახლარის ცენტრში არის დატკეპნილი მიწით შექმნილი ტერასა, რომელზეც რამდენიმე შედარებით დიდი ნაგებობის კვალია შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანის სიგრძე 36 მეტრია, სიგანე – 11 მეტრი. ნასახლარის სხვა მნიშვნელოვანი ნაწილები არის სამარხებისათვის გამოყოფილი ტერიტორია და ბრინჯაოს დამუშავე-

ბის რაიონი. ერლითოუს ნასახლარს არქეოლოგები ქრონოლოგიურად ყოფენ ოთხ ფენად. მათგან მესამე და მეოთხე ფენა უკვე შანგის დინასტიის საწყის პერიოდს ემთხვევა.

ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის მიწურულს ჩინეთში ნეოლითის პერიოდი დასრულდა და საზოგადოება ბრინჯაოს ეპოქაში გადავიდა. ბრინჯაოს გამოყენება მაღალი კლასის პრივილეგია იყო. მისგან არ მზადდებოდა მიწათმოქმედების იარაღები. შესაბამისად, ბრინჯაოს გამოგონებას სოფლის მეურნეობის წინსვლა არ გამოუწვევია. ბრინჯაოს ძირითადი დანიშნულება იყო სარიტუალო და საომარი იარაღების, ხელსაწყოების, საყოფაცხოვრებო და ძალაუფლების გამომხატველი ნივთების დამზადება; მაგალითად, ღვინის ჭურჭელი, ნაჯახები, ისრისთავები, შუბისთავები, დანები, მახათები, ბეჭდები და სხვა (სურ. 19).



სურ. 19 ერლითოუს კულტურის ღვინის თასი


ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ბრინჯაოს ნივთი ნაპოვნია კანსუს პროვინციაში. იგი დაახლოებით ძვ. წ. 3000-2300 წლებს შორის პერიოდს მიეკუთვნება, თუმცა ბრინჯაოს დამუშავების პირველი ადგილობრივი კულტურა, რომელიც ციძიას კულტურის სახელით არის ცნობილი კანსუს პროვინციაში, ძვ. წ. XXII საუკუნით თარიღდება. სულ ციძიას კულტურიდან 50-მდე ბრინჯაოს ნივთია აღმოჩენილი. ასეთი მცირე რაოდენობის ბრინჯაოს არტეფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ბრინჯაოს მიღებისა და დამუშავების ტექნიკა ციძიას კულტურის პერიოდისათვის განვითარების საწყის სტადიაზე იყო.

ძვ. წ. მე-2 ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩინეთის ტერიტორიაზე ბრინჯაოს დამუშავების ყველაზე განვითარებული ტექნიკა სწორედ ერლითოუს კულტურაში დასტურდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთრივ ერლითოუს ნასახლარში ბრინჯაოს ბრძმედებს 10 ათასი კვადრატული მეტრის ფართობი ეკავა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აქ საკმაოდ დიდი რაოდენობით ბრინჯაო მზადდებოდა. თუმცა, ამ დროისთვის აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს არტეფაქტების

რაოდენობა დიდი არაა. შეიძლება ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი იყოს ის, რომ რადგან თავდაპირველად ბრინჯაოს დამზადების ტექნიკა შედარებით პრიმიტიული იყო, ამიტომ ხშირად ძველ ნივთებს ადნობდნენ და თავიდან ამუშავებდნენ.

ერლითოუს სამარხებში ასევე აღმოჩენილია ნეფრიტისაგან დამზადებული რიტუალური დანები. უფრო საინტერესოა რამდენიმე ბრინჯაოს დანა, რომლებიც თავისი დამუშავების ტექნიკითა და ბრინჯაოს შემადგენლობით მიეკუთვნებიან ჩრდილოეთის ზონის კულტურას. ჩრდილოეთის ზონის კულტურა ეწოდება ძვ. წ. მეორე ათასწლეულში თანამედროვე ჩრდილოეთ ჩინეთის ვრცელ ტერიტორიაზე – შიდა მონღოლეთში, შანსის ჩრდილოეთ ნაწილში, ძილინში გავრცელებულ ბრინჯაოს კულტურას. განსხვავებით ციძიასა და ერლითოუს კულტურებისაგან, რომლებიც ბრინჯაოს დამუშავების ადგილობრივ ტექნიკებს იყენებენ, ჩრდილოეთის ზონის კულტურაში ბრინჯაოს მიღება-დამუშავების ტექნიკა ციმბირის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურებიდან გავრცელდა. ეს ფაქტი, რომ ერლითოუში ჩრდილოეთის ზონაში დამზადებული ნივთები აღმოჩნდა, ჩინეთის ტერიტორიაზე არსებულ კულტურებს შორის გაზრდილ ურთიერთობაზე მიუთითებს (სურ. 20).

არის თუ არა ერლითოუს კულტურა სიას დინასტიის არქეოლოგიური ძეგლი? როგორც ვთქვით, მეცნიერთა ნაწილი მათ ტერიტორიულ და ქრონოლოგიურ თანხვედრას იშველიებს არგუმენტად ამ თეორიის დასამტკიცებლად. თუმცა, ამ თეორიას აქვს არაერთი ნაკლი. უპირველეს ყოვლისა, ერლითოუს კულტურის არც ერთ ნა-




სურ. 20 ერლითოუს კულტურის ბრინჯაოს ნაკეთობები

სახლარში არ არის აღმოჩენილი დამწერლობის კვალი. გარდა ამისა, ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც ერლითოუშია აღმოჩენილი, განეკუთვნება მესამე და მეოთხე არქეოლოგიურ ფენებს. ეს ფენები კი თარიღდება ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის შუა ხანებით, რაც სიას დინასტიისათვის საკმაოდ გვიანი თარიღია. გარდა ამისა, მესამე-მეოთხე ფენის ბრინჯაოც და კერამიკაც ერლიკანგის კულტურის გავლენას განიცდის. ერლიკანგის კულტურა ჩინეთის ტერიტორიაზე პირველი მასშტაბური ბრინჯაოს კულტურაა და მას შანგის დინასტიასთან აკავშირებენ. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ის ბრინჯაოს ნივთები და მათი დამუშავების ტექნიკაც ერლითოუში შანგის დინასტიის საწყის პერიოდში ერლიკანგის კულტურის გავრცელების შემდეგ შევიდა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სიას დინასტიის რეალურად არსებობის მხარდასაჭერად არქეოლოგიური წყაროები ჯერ მწირია. ის წერილობითი წყაროები, რომლებიც მის შესახებ გვაწვდიან ინფორმაციას, სიას დაცემიდან მინიმუმ ათასი წლის შემდეგ შეიქმნა. შესაბამისად, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის რეალობასთან შესაბამისობა საეჭვოა. მეორე მხრივ, ამ წერილობითი წყაროების სრული უარყოფაც არ იქნება სწორი. ისინი გადმოგვცემენ სოციალური დიფერენციაციის პროცესში ტომთა დიდი გაერთიანებების ჩამოყალიბებისა და მმართველობის აპარატის ორგანიზების განვითარების გზას, რომელიც, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ახლოს უნდა იყოს ჭეშმარიტებასთან. ბუნებრივია, მოვლენებიდან ათასწლეულზე მეტი ხნით დაშორებულ ანტიკური ეპოქის ისტორიკოსებს ვერ მოვთხოვთ ფაქტებისა და სახელების სიზუსტეს. არქეოლოგიური და წერილობითი მონაცემების შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ლუნგშანის კულტურის ეპოქაში, ძვ. წ. მესამე ათასწლეულში ჩინეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა დაპირისპირება ტომებს შორის. ამას მოჰყვა ტომების დიდი გაერთიანებების ჩამოყალიბება, მმართველობის ინსტიტუტის დახვეწა, შრომის კომპლექსური გადანაწილებით ბუნების ძალების უარყოფითი ზემოქმედებისაგან უკეთესი თავდასაცავი ღონისძიებების გატარება, პირველი პროტოსახელმწიფოების ჩამოყალიბება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ტომთა არაერთი გაერთიანება იარსებებდა ჩინეთის ტერიტორიაზე, აღმოსავლეთ ჭოუს ისტორიკოსებმა გამოარჩიეს

მხოლოდ ერთი. ეს გააკეთეს ზემოთ ნახსენები „ცის მანდატის" პრინციპის დასამტკიცებლად და ხალხის მასებში საკუთარი მმართველობის გასამართლებლად. მათ სურდათ ეჩვენებინათ, რომ ჭოუ არ იყო პირველი დინასტია, რომელიც ამ პრინციპით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. არამედ შანგის დინასტიამაც თავის დროზე იმავე მეთოდით ჩაანაცვლა სხვა დინასტია. ამ მიზნით მათ სავარაუდოდ გამოიყენეს შანგისა და ჭოუს დინასტიების ცენტრალურ ტერიტორიაზე – ხენანისა და სამხრეთ შანსის მიწებზე არსებული ტომობრივი გაერთიანების შესახებ ხალხში შემორჩენილი ლეგენდები. ეს ლეგენდები გახდა თარგი ახალი „ძველი" დინასტიის ისტორიისათვის, ხოლო თარგის შესალამაზებლად და მისი რეალური ისტორიისათვის მისამსგავსებლად დამატებითი სახელები, ტერმინები და ფაქტები თავისი პერიოდის რეალობიდან ისესხეს. ამიტომაა, რომ სიას დინასტიის შესახებ წყაროებში არის ჭეშმარიტების მარცვალი იმაზე საუბრისას, თუ როგორ ვითარდებოდა პროტოსახელმწიფოები – ეს არის ხალხში შემორჩენილი ლეგენდების თარგი. მაგრამ ამავდროულად ვხვდებით არაერთ ანაქრონიზმს, როცა ამ თარგს ავსებენ ფიქციური სახელებითა და მოვლენებით, რომლებთაც აშკარად ეტყობათ, რომ ამოღებულია ჭოუს პერიოდის რეალობიდან.

შანგის დინასტია



შანგის დინასტია ჩინეთის წერილობით წყაროებში მოხსენიებული უძველესი, არქეოლოგიურად დადასტურებული დინასტიაა. დინასტიის ზეობის ხანა დაახლოებით ძვ. წ. 1600-1046 წლებს შორის პერიოდზე მოდის. ამ ხუთი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ტახტზე 31-ჯერ შეიცვალა მეფე. დინასტიის ცენტრი იყო ხენანის ჩრდილოეთი და შანსის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე, თუმცა შანგის დინასტია დიდ ტერიტორიაზე გადაიჭიმა: დასავლეთით – კანსუს პროვინციამდე, სამხრეთით – მდინარე იანგწიმდე, აღმოსავლეთით – ზღვამდე, ჩრდილოეთით კი – ხებეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილამდე. ზოგჯერ შანგის დინასტიას ინის ან ინ-შანგის დინასტიასაც უწოდებენ, თუმცა ჩვენ აქ შანგს გამოვიყენებთ.

განსხვავებით სიას დინასტიისაგან, შანგის ეპოქაზე შედარებით მეტი წყაროები გვაქვს, როგორც წერილობითი, ისე – არქეოლოგიური. წერილობითი წყაროებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია შანგის დინასტიის დროინდელი ჩანაწერები, რომლებიც ძირითადად ძვალსა და კუს ბაკანზე სრულდებოდა, თუმცა მცირე ნაწილი კერამიკასა და ბრინჯაოს ნიმუშებზეც არის შესრულებული. ეს წყაროები უმნიშვნელოვანესია, რადგან ისინი გაცილებით სანდო ცნობებს გვაწვდიან შანგის დინასტიაზე, ვიდრე მოგვიანო პერიოდის წყაროები, თუმცა ძიაკუვენი და ძინვენი[1] ჩნდება მხოლოდ შანგის დინასტიის უკანასკნელი 9 მეფის პერიოდში, დაახლოებით ძვ. წ. მე-13-12 საუკუნეების მიჯნაზე. უფრო ადრინდელი შანგის ეპოქის წერილობითი მასალები დღემდე არაა აღმოჩენილი. ზემოთ აღნიშნული მოგვიანებით შედგენილი წყაროები ჭოუს დინასტიიდან

[1] 金文- ძინვენი, წარწერები ბრინჯაოზე

ხანის დინასტიის დასასრულამდე იქმნებოდა. რამდენადაც შანგის დინასტიის დროს შედგენილი ჩანაწერები მინის ქვეშ სამარხებსა და სარიტუალო დანიშნულების ორმოებში იყო ჩაფლული, მომდევნო ხანების ისტორიკოსებისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა მათ მიერ დაცული ინფორმაცია.

ძალიან მდიდარია შანგის დინასტიის არქეოლოგიური მასალებიც. ძიაკუვენი და ძინვენი სწორედ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა. ამჟამად აღმოჩენილია შანგის ეპოქის 500-მდე არქეოლოგიური ძეგლი თითქმის მთელი ჩინეთის ტერიტორიაზე; მათ შორის, დინასტიის დედაქალაქები, სამარხები მდიდარი ინვენტარით, დიდი რაოდენობით ბრინჯაო. შანგის დინასტიის არქეოლოგია დღემდე აქტუალურია და მომავალშიც მოსალოდნელია ისეთი აღმოჩენები, რომლებიც კვლავ შეცვლიან ისტორიკოსების ხედვას ამ ეპოქაზე.

ანტიკური ჩინური წერილობითი წყაროები შანგის დინასტიაზე საუბარს პირდაპირ თანგის მიერ ძიეს დამარცხებიდან კი არ იწყებენ, არამედ ჯერ მოკლედ მოგვითხრობენ ამ ტომის წარმომავლობას და მის დინასტიამდელ ისტორიას. სმა ციენი „ისტორიულ ჩანაწერებში“ მოგვითხრობს შანგის ტომის უძველესი წინაპრის – სიეს დაბადების ამბავს. სიეს დედამ – ძიენ ტიმ მითიური ფრინველის კვერცხი გადაყლაპა და ასე ჩაისახა სიე. ეს მცირე მონაკვეთი ძალიან საინტერესო ცნობებს გვაწვდის ძველი ჩინელი ისტორიკოსების ხედვაზე უძველესი დროის შესახებ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცნობილია სიეს დედა და არა მამა. ეს უნდა იყოს მატრიარქატის ეპოქის ანარეკლი, შემორჩენილი ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში. მატრიარქატის ეპოქაში რადგანაც არ იყო ჩამოყალიბებული მონოგამია, ქალებს რამდენიმე მამაკაცი პარტნიორი ჰყავდათ. ამიტომ ბავშვის ბიოლოგიური მამაც უცნობი იყო. მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ სმა ციენი მოიხსენიებს ძიენ ტის, როგორც სიეს დედას, მას მაინც არ უწოდებს შანგის ტომის უძველეს წინაპარს. ეს პატრიარქატისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშანია – ნათესაური კავშირები უკვე გადადის არა ქალის, არამედ მამაკაცის ხაზით.

„შიძის“ ანუ „ისტორიული ჩანაწერების“ მიხედვით, სიე ეხმარებოდა სიას დინასტიის მამამთავარს – დიდ იუს წყალდიდობების დამორჩილებაში. ამგვარად, ანტიკური პერიოდის ისტორიკოსები გვიამბობენ

სიეს დიდ დამსახურებაზე და ასე ხსნიან სიეს შთამომავლების ლეგიტიმაციას ძალაუფლებაზე. სიეს შთამომავლის, თანგის დროს შანგის ტომი ძალიან გაძლიერდა და შეძლო სიას უკანასკნელი მეფის – ძიეს დამარცხება. თანგი არ დასჯერდა სიას დაპყრობას და სამეფოს საზღვრები კიდევ გააფართოვა დასავლეთით (სურ. 21).



სურ. 21 შანგის დინასტიის დამფუძნებელი შანგ თანგი

იგი სამეფოს მართავდა მთავარი ვეზირის კანცლერის – ი ინის დახმარებით. ი ინი უბრალო წარმოშობის პირი იყო, თუმცა თავისი ნიჭის წყალობით მოახერხა სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატის სათავეში მოსვლა. არასამეფო წარმოშობის პირების დაწინაურება პოლიტიკურ ასპარეზზე დასტურდება ძიაკუვენითაც.

მეფე თანგის გარდაცვალების შემდეგ ერთმანეთის მიმდევრობით მეფობდა მისი სამი შვილი. თანგის უკანასკნელი ვაჟის გარდაცვალების შემდეგ მეფობა მიიღო მისი პირველი შვილის უფროსმა ვაჟმა – თაი ძიამ. სიას დინასტიის მსგავსად, შანგის მეფის ტიტული თავდაპირველად გადადიოდა ძმიდან ძმაზე. როდესაც ძმებს შორის უმცროსიც გარდაიცვლებოდა, მხოლოდ მაშინ იღებდა უფროსი ძმის უფროსი შვილი ძალაუფლებას. დინასტიის ბოლოს, უ ტინგის შემდეგ სამეფო ძალაუფლების გადაცემის პრიმოგენიტური[1] პრინციპი შემოიღეს. ქანგ ტინგის შემდეგ საბოლოოდ დამკვიდრდა ტახტის მამიდან შვილზე გადასვლის ტრადიცია.

თაი ძიას შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული წერილობით წყაროებში. მმართველობის საწყის პერიოდში ის უყურადღებობას იჩენდა სამეფო საქმეებისადმი და ხშირად ერთობოდა. ამის გამო, კანცლერმა ი ინმა იგი ჩამოაშორა სამეფოს მართვას და დედაქალაქიდან გადაასახლა სამი წლით. სამი წლის განმავლობაში თაი ძიამ გააცნობიერა მეფის როლი სახელმწიფოს მართვის საქმეში და მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნა ი ინმა მას მეფის სტატუსი.

[1] მემკვიდრეობის უფროს ვაჟზე გადასვლის ტრადიცია.

რამდენად შეესაბამება ეს ფაქტი რეალობას, რთული დასამტკიცებელია, მაგრამ ამ ისტორიით გადმოცემულია ძველ ჩინეთში საზოგადოდ მიღებული თვალსაზრისი – მმართველი უნდა იყოს დაკავებული თანამდებობის ღირსი, მმართველის ტიტული არაა სამუდამო და მისი შეცვლა დასაშვებია.

შანგის დინასტიის მომდევნო ცნობილი მეფე, რომლის შესახებ შედარებით მეტი ინფორმაცია გვაქვს, არის ფან კენგი. იგი დაახლოებით ძვ. წ. მე-14-13 საუკუნეების მიჯნაზე მართავდა სამეფოს. ისტორიული ცნობებით, მან გადაიტანა დედაქალაქი ინში, თანამედროვე ხენანის პროვინციის ტერიტორიაზე. ზოგადად, დედაქალაქის ცვლილება შანგის დინასტიისათვის უცხო სულაც არ იყო. ფან კენგამდე ხუთჯერ შეიცვალა დინასტიის ცენტრალური ქალაქი. რა იყო მიზეზი დედაქალაქების ასეთი სწრაფი ცვლისა, უცნობია. მეცნიერთა ნაწილი ამას უკავშირებს წყალდიდობებს, ნაწილი – სოციალურ არეულობებს, ნაწილი კი თვლის, რომ საცხოვრებელი ადგილის პერიოდულად ცვლა, ზოგადად, შანგის ტომის ტრადიცია იყო. აქედან მოყოლებული ჭოუს მიერ შანგის დაპყრობამდე, ქალაქი ინი თითქმის 270 წელი ასრულებდა დედაქალაქის ფუნქციას. თუმცა დღეისთვის ინში აღმოჩენილი ყველაზე ადრეული სამარხები და ნერილობითი წყაროები მე-12 საუკუნის დასაწყისით, უ ტინგის მეფობის პერიოდით თარიღდება. დღემდე არაა აღმოჩენილი ფან კენგიდან უ ტინგამდე ერთი საუკუნის შემავსებელი არტეფაქტები.

უ ტინგი შანგის 23-ე მეფე იყო, არქეოლოგიური მონაცემებით დადასტურებული შანგის პირველი მეფე. ის 56 წლის განმავლობაში მართავდა სამეფოს (სურ. 22). მისი სახელი მრავალჯერ მოიხსენიება ძიაკუვენში. უ ტინგის პერიოდში ხშირია სამხედრო კამპანიები მეზობელი ტომების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ სარდალთაგან ერთ-ერთი იყო უ ტინგის საყვარელი ხარჭა, ფუ ხაო. ამ ქალის სახელი 170-ჯერ მოიხსენიება ძიაკუვენში. ფუ ხაოს ასეთი მაღალი სტატუსი ნამდვილად უჩვეულოა შანგის დინასტიის ქალისათვის. იგი განსაკუთრებულია იმითაც, რომ



სურ. 22 უ ტინგი

მისი სამარხი ერთადერთია დედაქალაქ ინში აღმოჩენილი სამარხებიდან, რომელიც მძარცველებს გადაურჩა და დღემდე ხელუხებლად მოაღწია.

უ ტინგის შემდეგ პერიოდშიც ხშირია მეფეთა სამხედრო ექსპედიციები, თუმცა ამ დროიდან შანგი ძირითადად თავდაცვით პოზიციებზე იდგა. დინასტიის უკანასკნელი მეფე იყო ტი სინი, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია სახელით – ჭოუ[1]. ისტორიული წყაროები ჭოუს ისევე გვიხასიათებენ როგორც სიას მეფე ძიეს. ცნობები მასზე შედარებით დაწვრილებითია. წყაროებში ჩამოთვლილი მისი ძირითადი ნაკლი არის: წინაპართა ტრადიციების დავიწყება, მსხვერპლშეწირვის შეუსრულებლობა, გაუთავებელი ომები მეზობელი ტომების დასაპყრობად, გადასახადების გაზრდა, უბრალო ხალხის გასაჭირისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება, სახელმწიფო რესურსების ზღვარგადასული ფლანგვა, გარყვნილება, უაზრო სისასტიკე. ტი სინი გადასახადებს ზრდიდა, მაგრამ შემოსულ თანხას სახელმწიფოს მიზნებისათვის კი არ იყენებდა, არამედ – პირადი სურვილების დასაკმაყოფილებლად. მეფე ჭოუს ინტერესების სფეროში არ შედიოდა ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე საუბარი ვეზირებთან. თუ რომელიმე ვეზირი მაინც გაბედავდა ამ საკითხის წამოწევას და ურჩევდა მეფეს, რომ უფრო სამართლიანად ემართა ქვეყანა, მეფის რისხვას მიიღებდა. ასე დაემართა ტი სინის ნახევარძმას (ან ბიძას), პი კანს. როცა მან მეფეს მოუწოდა გამოფხიზლებულიყო და ქვეყანა დაცემისაგან ეხსნა, ჭოუმ პი კანის წამება ბრძანა.

ძველი ჩინური ისტორიული წყაროების თანახმად, შანგის დინასტია დაეცა მისი მმართველი რეჟიმის დეგრადაციის შედეგად, ხოლო ეს რეჟიმი დაამხო სხვა ტომის – ჭოუს[2] ტომის ბელადებმა. წყაროები ტი სინს საოცრად სასტიკ მმართველად წარმოსახავენ, თუმცა რეალობა მთლად ასეთი არ უნდა ყოფილიყო. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჭოუს ტომის მიერ შექმნილი „ცის მანდატის“ სქემის პირველი მსხვერპლი სწორედ ტი სინი იყო. სწორედ მისი დამხობა მოუწია ჭოუს ტომს ძალაუფლების ხელში ასაღებად. ბუნებრივია, შანგის უკანასკნელი მეფე განსაკუთრებით სასტიკ ტირანად უნდა დაეხა-

[1] შანგის დინასტიის უკანასკნელი მმართველის ტი სინის (帝辛) მეორე სახელი „ჭოუ“ გადმოიცემა იეროგლიფით 纣, იგივე ჭოუ ვანგი 纣王.

[2] ჭოუს ტომისა და შემდეგ დინასტიის სახელი გადმოიცემა იეროგლიფით – 周.

ტათ, რათა ხალხისა და მომავალი თაობების თვალში ტახტიდან მისი ჩამოგდება სამართლიან აქტად წარმოესახათ. ტი სინის მსგავს სასასტიკეზე არც ძიაკუვენი არ იძლევა ინფორმაციას, თუმცა, მეორე მხრივ, ამის ახსნა შესაძლებელია, რადგან ეს წარწერები უშუალოდ მეფის დაკვირვების ქვეშ სრულდებოდა. ბუნებრივია, მისი მეთვალყურეობით მეფის უარყოფით საქმეებს ნამდვილად ვერ აღწერდნენ. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ტი სინი არ იყო ისეთი სასტიკი, როგორც მას ჭოუს ეპოქის წყაროები გვიხატავენ, თუმცა შესაძლოა მართლაც ხშირად ილაშქრებდა მოსაზღვრე ტომების წინააღმდეგ, ლაშქრობების დასაფინანსებლად და ხაზინის შესავსებად კი თანხას გადასახადების მომატებით იღებდა, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა.

რაც შეეხება ჭოუს ტომს, აღსანიშნავია, რომ ჭოუ რამდენჯერმე მოიხსენიება ძიაკუვენში. შესაძლოა, მიუხედავად ჭოუს ტომის თანდათანობითი გაძლიერებისა, შანგის სამეფო კარი მაინც არ თვლიდა მას ისეთ ანგარიშგასაწევ ძალად, როგორც მოგვიანო ხანების წერილობითი წყაროები აღწერენ. ამ წყაროების მიხედვით, ჭოუ ძვ. წ. XI საუკუნეში აღმავლობის პერიოდში იყო. მათი ლიდერი, შემდეგში მეფე ვენად (იგივე: ვენ ვანგი)[1] წოდებული, აქტიურად მოღვაწეობდა ჭოუს გასაძლიერებლად.

პოლიტიკური სისტემა

შანგის დინასტიის პოლიტიკურ და სოციალურ სისტემებში ჯერ კიდევ მრავლადაა შემორჩენილი ტომობრივი პერიოდის ელემენტები. ეს კარგად აისახება შანგის ტერიტორიის დანაწილებაში. შანგის დინასტიის პოლიტიკური იერარქიის სათავეში იდგა მეფე. ის იყო უმაღლესი მთავარსარდალი, უმაღლესი ქურუმი და მთავარი მიწათმფლობელი, მაგრამ მეფის აბსოლუტური ძალაუფლება ვრცელდებოდა დედაქალაქსა და მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე, რომლის ფართობი

[1] შანგისა და ჭოუს ეპოქებში „ვანგი" 王 იყო მეფე, ანუ ნიშნავდა მონარქს, შესაბამისად, აქ გამოვიყენებთ ორივეს: „მეფეს" და „ვანგს" (მაგ. მეფე ვენი ან ვენ ვანგი), მაგრამ, გასათვალისწინებელია, რომ ხანის დინასტიიდან ტერმინი „ვანგი" უკვე ნიშნავს მთავარს, ფეოდალს, თავადს, პრინცს.

დაახლოებით 30-35 კმ² იყო. ეს ტერიტორია სამეფო საგვარეულოს შიგნით კიდევ ნაწილდებოდა. ნაწილს მართავდნენ ტახტზე მყოფი მეფის შვილები, რომლებზეც მეფის უფლება აბსოლუტური იყო. მეფეს შეეძლო ნებისმიერ დროს ებრძანა მათთვის საომრად შეკრება, გამოცხადება მის კარზე თუ რაიმე სახის დავალების მიცემა. ისინი ასევე ხშირად მოიხსენებოდნენ მეფის რიტუალებში. ტერიტორიების ნაწილი ასევე გადაეცემოდა წინა ორი მეფის შთამომავლობასაც. ისინი დედაქალაქის შორიახლო ტერიტორიას განაგებდა და შანგის არმიის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენდა. რაც შეეხება სამეფო საგვარეულოს იმ წევრებს, რომლებიც ორ თაობაზე ადრე დაშორდნენ სამეფო ოჯახს, მათ შედარებით შორეული მიწები ჰქონდათ სამართავად. მათ ჩამოყალიბებული ჰქონდათ თავიანთი განშტოებები სამეფო საგვარეულოში და მათი დამოკიდებულებაც მეფეზე არ იყო იმდენად ძლიერი, როგორც წინა ორი კატეგორიის. მეფეს არ შეეძლო, ან, ყოველ შემთხვევაში, ძიაკუვენში არ ჩანს, ხშირად გამოეძახა ისინი, თუმცა კი მაინც სამეფო გვარის წევრები იყვნენ და ვალდებულება ჰქონდათ სამეფოს საზღვრები დაეცვათ, ლაშქრობებისას თავიანთი დანაყოფი გამოეყვანათ. სამეფო საგვარეულოს წევრების მიერ დაკავებული მთლიანი ტერიტორია მდებარეობდა ხენანის პროვინციის ჩრდილოეთითა და შაანსის პროვინციის სამხრეთ მიწებზე. ეს იყო დინასტიის ცენტრალური რეგიონი.

ძიაკუვენში ნახსენებია ისეთი პირებიც, რომლებიც ფლობდნენ დიდ სამხედრო და პოლიტიკურ ძალას, მაგრამ შანგის მეფეს არ ემორჩილებოდნენ. ესენი იყვნენ შანგის დინასტიის მეზობელი ტომების მეთაურები – პო და ხოუ. როგორც წესი, შანგის მეფე მათ მოკავშირეებად იყენებდა ხოლმე. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ესა თუ ის ტომი მოკავშირეობიდან მტრად გადაიქცეოდა. ჩანს, რომ პო და ხოუ დამოკიდებული არ იყო შანგის მეფეზე. ისინი დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალები იყვნენ, რომლებიც ინტერესთა თანხვედრის ან შანგის მეფის სიძლიერის გამო მის მხარეს იჭერდნენ ლაშქრობებში. ზოგიერთი ასეთი მოკავშირე საჩუქრებსაც უგზავნიდა ხოლმე შანგის მეფეს შესაწირი ცხოველების სახით, ან თავისი მიწებიდან გამოყოფდნენ ხოლმე გარკვეული რაოდენობის ცოცხალ ძალას შანგის მეფის დასახმარებლად. ჰქონდა თუ არა ამ საჩუქრებს რეგულარული ხარკის სახე? აღიარებდნენ თუ არა

ეს პოლიტიკური ერთეულები შანგის დინასტიას მათზე აღმატებულ ძალად? ნერილობითი და არქეოლოგიური წყაროები ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემის საშუალებას არ გვაძლევენ.

შანგის მოსაზღვრე სამეფოები, რომლებიც არ ემორჩილებოდნენ შანგის მეფეს, არ შედიოდნენ მასთან ალიანსში ან შანგისადმი მტრულად იყვნენ განწყობილნი, ზოგადად, ეწოდებოდათ ფანგი. ძიაკუვენი ფანგის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაციას გვაწვდის. ვიცით, რომ პოლიტიკური ძალების ნაწილი, რომლებთაც ფანგი ეწოდებოდა, არ ჩამორჩებოდა შანგის დინასტიას სამხედრო ძლიერებით, იარაღის ტექნიკითა და ცოცხალი ძალით.

რაც შეეხება საკუთრივ სამეფო კარის ადმინისტრაციას, ამ მხრივაც მცირე ცნობები გვაქვს. რამდენადაც შანგის დინასტიაში ძალაუფლებას საგვარეულოები ფლობდნენ, შესაძლოა მეფის კარზეც სამეფო საგვარეულოს წევრები ასრულებდნენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს. მოგვიანო ხანების წერილობით წყაროებში დამოწმებული ვეზირების ინსტიტუტი ძიაკუვენში არ ჩანს. თუმცა, სახელისუფლებო აპარატის ფუნქციების მიხედვით დაყოფა არსებობდა შანგის დინასტიაში. კერძოდ, ძიაკუვენში მოხსენიებულია თანამდებობის პირები, რომლებსაც ევალებოდათ ცხენების, მოსავლის, სანადირო ძაღლების, იარაღების ზედამხედველობა. ძიაკუვენში უშუალოდ ი ინის სახელი არ არის მოხსენიებული, სამაგიეროდ ცნობილია ე.წ. „ძველი ბატონები" – არასამეფო წარმომავლობის პირები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს შანგის გაძლიერებაში. აქედან გამომდინარე, შანგის დინასტიაში უნდა ყოფილიყო ისეთი სამოხელეო აპარატი, რომელიც სამეფო საგვარეულოს გარეთ მყოფ პირებსაც აძლევდა საშუალებას, მაღალი პოსტი დაეკავებინა.

სოციალური წყობა

შანგის დინასტიის სოციალურ წყობაზე განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის ძიაკუვენი და ძველი ჩინური ტრადიციული ისტორიოგრაფია. ამ წყაროებზე დაყრდნობით ჩანს, რომ შანგის დინასტია მონათმფლობელობას ეფუძნებოდა. მონები იყვნენ მიწათმოქმედების წამყვანი ძალა, თუმცა ძიაკუვენში ერთხელაც კი არაა ნახსენები

მონის ან თავისუფალი კაცის აღმნიშვნელი იეროგლიფი, არც ადამიანის ყიდვა-გაყიდვა ან ვალის გამო ვინმეს მოსამსახურედ ქცევაა აღნიშნული.

შანგის საზოგადოებაში ტომობრივი ეპოქის გადმონაშთები საკმაოდ ძლიერი იყო და სოციალური ფენები ძირითადად საგვარეულოების მიხედვით იყოფოდა. უმაღლესი სტატუსი ეკავათ მეფესა და მისი საგვარეულოს წევრებს. მათ ხელში იყო პოლიტიკური, რელიგიური და სამხედრო ძალაუფლების სადავეები. ისინი აკონტროლებდნენ სამეფოს მიწების უმეტესობას. მეფის საგვარეულო იყოფოდა რამდენიმე ნაწილად: I. უშუალოდ მეფის ოჯახი, II. უფლისწულები, III. „მრავალი უფლისწული", IV. შორეული უფლისწულები. შემდეგ მოდიოდა გავლენიანი საგვარეულოები, რომლებიც დიდ ავტორიტეტსა და ქონებას ფლობდნენ, თუმცა სამეფო საგვარეულოსთან არ იყვნენ სისხლით დაკავშირებულნი. მეფის ხარჭები ხშირად მათი რიგებიდან გამოდიოდნენ. მიუხედავად გავლენისა და ქონებისა, ამ საგვარეულოებს არ შეეძლოთ დამოუკიდებლად რიტუალების შესრულება. მათ მაგიერ მეფე ასრულებდა მათი წინაპრებისადმი რიტუალებს. რადგანაც ეს საგვარეულოები არ ფლობდნენ მიწებს, თუმცა კი მაღალი სტატუსი ეკავათ საზოგადოებაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი ვაჭრები იყვნენ. თუმცა ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა, რომლის დადასტურება ამჟამად შეუძლებელია, რადგან ძიაკუვენი ამ საკითხზე დამატებით ინფორმაციას არ გვაწვდის.

საზოგადოების ყველაზე დაბალი ფენა იყო ჭუნგი და ჟენი. მათ იყენებდნენ სოფლის მეურნეობაში, ომებში, გზების გაყვანისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარებისთვის, თუმცა ეს მათ მონობას არ ნიშნავს. მათაც ჰქონდათ უფლებები, მეტიც, ისინი მსხვერპლშეწირვაშიც მონაწილეობდნენ. ჭუნგსა და ჟენს რომ მონის სტატუსი არ ჰქონდათ, ამაზე მიუთითებს მეფის მიერ საკმაოდ ხშირად მათი უსაფრთხოებისათვის აღსრულებული რიტუალები. მეფე ეკითხებოდა წინაპრების სულებს, უახლოეს ხანებში ჭუნგსა და ჟენს მოელოდა თუ არა რაიმე საფრთხე. ჭუნგი და ჟენი იყვნენ მიწათმოქმედებისა და ომის ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ბუნებრივია, შეუძლებელია, რომ ომში არმიის ძირითადი ნაწილი მონებისაგან იყოს დაკომპლექტებული. თანაც ეს არაა სამხედრო წესებით გაწვრთნილი მონა, როგორებიც იყვნენ

შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში მამლუქები და ღულამები. ჭუნგი და ჟენი როცა არ ომობდნენ, მინათმოქმედებას მისდევდნენ. შესაბამისად, ისინი მონები არ უნდა ყოფილიყვნენ. ჭუნგი და ჟენი სოფლის სახის დასახლებებში ცხოვრობდნენ, რომელსაც ი ენოდებოდა. თითოეული ის მოსახლეობა დაკომპლექტებული იყო ერთი საგვარეულოს წევრებისაგან.

განსხვავება იყო თვით ჭუნგსა და ჟენს შორის. ეს ყველაზე კარგად შეიმჩნევა არმიის შემადგენლობასა და ბრძოლის დანაკარგებზე მსჯელობისას. როგორც წესი, არმიის უმეტეს ნაწილს შეადგენდა ჟენი. მათი რაოდენობა ათასობით იყო მაშინ, როცა ჭუნგი მხოლოდ ასეულობით სახელდება. გარდა ამისა, როცა ჭუნგზეა საუბარი, წინასწარ ახსენებენ ხოლმე შანგის მეფის მოკავშირე მთავრებს – ხოუსა და პოს. სავარაუდოა, რომ ჭუნგი უნდა ყოფილიყო ჟენის თანაბარი სოციალური ფენის წარმომადგენელი, მაგრამ ის არ იყო შანგის მეფის უშუალო მორჩილებაში. მისი ბატონი უნდა ყოფილიყო შანგის მოკავშირე ტომის ლიდერი.

მეცნიერები, რომლებიც მხარს უჭერენ შანგის დინასტიის მონათმფლობელურობას, თავიანთი მოსაზრების დამადასტურებელ არგუმენტად ასახელებენ ადამიანთა მსხვერპლშეწირვის პრაქტიკას შანგის პერიოდში. თუმცა ეს არგუმენტი არ გამოდგება საიმისოდ, რომ მონათმფლობელური სისტემის არსებობა დაამტკიცოს. კერძოდ კი, ზოგი მსხვერპლშეწირვაში მონაწილე თავისი ნებით მიჰყვებოდა გარდაცვლილ ბატონს თუ ოჯახის უფროსს იმქვეყნიურ სამყაროში. ეს შანგის დინასტიის რწმენა-წარმოგენებთან არის დაკავშირებული და არა მონათმფლობელობასთან. ეს ხალხი თავისი ნებით იკლავდა თავს, მართალია მსხვერპლშეწირულთა უმეტესობა ძალადობრივადაა მოკლული, რასაც მათი დეფორმირებული ჩონჩხიც ადასტურებს. თუმცა, დიდი ალბათობით, ისინი უნდა ყოფილიყვნენ ძირითადად სამხედრო ტყვეები, რომლებიც ომების დროს ჩაიგდეს ხელთ.

რა თქმა უნდა, მონების გარკვეული რაოდენობა იქნებოდა შანგის დინასტიაში, თუმცა ისინი არ იყვნენ მინათმოქმედების წამყვანი ძალა და არც ძირითად ცოცხალ ძალაში არ შედიოდნენ ომის დროს. ის ფაქტი, რომ მონები არ მოიხსენიება ძიაკუვენში, მიუთითებს მათ უმნიშვნელო რიცხვზე შანგის საზოგადოებაში.

რაც შეეხება ხელოსნებსა და ვაჭრებს, მათ შესახებ ინფორმაცია ძიაკუვენში არ გვხვდება. არადა აშკარაა, რომ ორივე ფენის წარმომადგენლები მნიშვნელოვანი რაოდენობით უნდა ყოფილიყვნენ შანგის საზოგადოებაში. ამაზე მიუთითებს ინის ნანგრევებში, ანიანგში დადასტურებული დიდი ფართობის ბრინჯაოს, კერამიკისა და ძვლის დამუშავების რაიონები და ბრინჯაოს პროდუქტის ძალიან დიდი რაოდენობა. გარდა ამისა, სამარხებში აღმოჩენილი ნივთების საკმაოდ დიდი ნაწილი სხვა კულტურებიდან არის შემოტანილი, რაც განვითარებულ სავაჭრო ურთიერთობებზე მიუთითებს. ვაჭრობის განვითარებაზე შანგის დინასტიაში მეტყველებს ის ფაქტი, რომ იეროგლიფი, რომლითაც გადმოიცემა შანგის დინასტიის სახელი 𐋢, ასევე აღნიშნავს ვაჭრობას.

სოციალური ფენების მიხედვით განსხვავდებოდა ჩაცმულობაც. მდიდარი წარჩინებულები აბრეშუმის სამოსს იცვამდნენ და ატარებდნენ ქუდს, რომელიც ძვირფასი თვლებით იყო მოოჭვილი. სამკაულები ძალიან გავრცელებული იყო დიდგვაროვანთა შორის. არსებობდა თავის, კისრის, ყურის, ხელის სამკაულები. ძირითადი მასალა ასეთი სამკაულების დასამზადებლად იყო ბრინჯაო და ნეფრიტი. დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლების სამოსის ძირითადი მასალა იყო უხეში ბამბა და კანაფის ქსოვილი. შანგის დინასტიის ბრინჯაოს ნაწარმზე გამოსახული ადამიანების ჩაცმულობის მიხედვით, დიდგვაროვნები იცვამდნენ გრძელ მოკლესახელოიან სამოსს, რომელიც ნაქარგებით იყო გაფორმებული, წელზე კი ქამარს ირტყამდნენ.

რწმენა-წარმოდგენების სისტემა

შანგის დინასტიის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენის სისტემაზე შესანიშნავი წყაროები გვაქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ძიაკუვენი, რომელიც სრულდებოდა წინაპრების სულებთან საკონტაქტოდ. ამიტომ უშუალოდ ასახავს რელიგიურ წარმოდგენებს. გარდა ამისა, ძვირფას ინფორმაციას გვაწვდიან არქეოლოგების მიერ გათხრილი სამარხები და აქ აღმოჩენილი ნივთები.

შანგის დინასტიის ლეგიტიმაცია სწორედ რელიგიაზე იყო დაფუძნებული. მეფის ძალაუფლება გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან,

რომ მხოლოდ მას შეეძლო ძიაკუვენის ინტერპრეტაცია. მეფის გარდა, არავის ჰქონდა უფლება და შესაძლებლობა, „გამოეცნო" წინაპრების სურვილები. მეფე იყო უმაღლესი ქურუმი და ერთადერთი წინასწარმეტყველი. მას უნდა ჩაეტარებინა რიტუალები და წინაპრებისა თუ ბუნების ძალების დახმარებით ეწინასწარმეტყველა, უახლოეს მომავალში როგორი იქნებოდა დინასტიის ბედი.

შანგის მოსახლეობის წარმოდგენებით, ზებუნებრივი ძალები იყოფოდა ექვს ჯგუფად: ტი, ბუნების ძალები, „ძველი ბატონები", დინასტიამდელი წინაპრები, დინასტიური წინაპრები, მდედრობითი სქესის დინასტიური წინაპრები. მათ შორის უზენაესი იყო ტი. ტის ფუნქციები და შესაძლებლობები მრავალფეროვანი და დაუზუსტებელია, თუმცა მისი ძირითადი დანიშნულება იყო წვიმის მოვლინება. სოფლის მეურნეობის განვითარებასა და საზოგადოების ცხოვრებაში მის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს წვიმის მომვლენელი ღვთაების დაყენება პანთეონის სათავეში. საინტერესოა, რომ ზებუნებრივი ძალებიდან ტი ერთადერთი იყო, რომელსაც სხვა ძალებზე გავლენის მოხდენა შეეძლო. მას შეეძლო გამოეწვია წვიმა, გვალვა, კარგი და ცუდი ამბები. როდესაც მეფე ტის სახელზე ატარებდა მსხვერპლშეწირვას, არასოდეს უგზავნიდა თხოვნას ტის. ეს გვაფიქრებინებს, რომ ტი იყო ნეიტრალური ძალა. ის არც შანგის კარგად ყოფნით იყო დაინტერესებული და არც მისი დაცემით. ამას ადასტურებს სხვა პასაჟებიც ძიაკუვენიდან. ტი ზოგჯერ უბედურებას მართებს შანგს, ზოგჯერ კი ხელს უწყობს მას მტრებზე გამარჯვებაში. შანგის მეფე უ ტინგის გარდაცვალების შემდეგ, ძიაკუვენში ტი აღარ მოიხსენიება ზებუნებრივ ძალად. ის ხდება გარდაცვლილი მეფეების საპატიო ტიტული. ტის გაუჩინარება რიტუალებიდან და წარწერებიდან უნდა გამოეწვია სწორედ მის ნეიტრალურობას. რამდენადაც ადამიანის ჩარევა ვერანაირად ვერ ახდენდა ტის მიერ გამოწვეულ პროცესებზე ზეგავლენას, შესაბამისად, მის სახელზე რიტუალების ჩატარებასაც აზრი აღარ ჰქონდა.

იერარქიულად მეორე ადგილს პანთეონში იკავებდნენ ბუნების ძალები. ბუნების ძალებში იგულისხმება: მთა, მდინარე, მზე. მათი წარმოდგენით, ბუნების ობიექტებს თავისი ძალები გააჩნდათ. რაც უფრო მასიური იყო ობიექტი, მით უფრო დიდ ძალას ფლობდა იგი.

ბუნების ძალების შემდეგ მოდიოდნენ „ძველი ბატონები". ამ ტერმინით არ იგულისხმება ანტიკური ხანის ტომების მეთაურები, არამედ ის არასამეფო წარმომავლობის პირები, რომლებმაც დინასტიის გაძლიერებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

დინასტიამდელი წინაპრები იყვნენ შანგის დინასტიის ჩამოყალიბებამდე შანგის ტომის დიდი ლიდერები, ხოლო დინასტიური წინაპრები კი – გარდაცვლილი მეფეები. მდედრობითი სქესის დინასტიური წინაპრები აღნიშნავს იმ სამეფო ხარჭებს, რომელთა შვილებიც მეფეები გახდნენ.



სურ. 23 ბრინჯაოს კვადრატული ფორმის ტიგი – ორყურიანი და ოთხფეხა ჭურჭელი, შანგის ეპოქა

იმისათვის, რომ ამ ზებუნებრივი ძალებისაგან მფარველობა მოეპოვებინა და მომავალი ეწინასწარმეტყველა, შანგის მეფე ხშირად მართავდა მსხვერპლშეწირვის რიტუალებს, რომელზეც ამა თუ იმ ზებუნებრივ ძალას იწვევდა. თუ საკითხი არც ისე მნიშვნელოვანი იყო, მაგალითად, მეფის ან მისი ოჯახის წევრის ჯანმრთელობას შეეხებოდა, მაშინ რიტუალზე იწვევდნენ შედარებით დაბალი იერარქიის ზებუნებრივ ძალებს – დინასტიურ წინაპრებსა და მდედრობითი სქესის დინასტიურ წინაპრებს. სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე, მაგალითად, მტრის შემოჭრაზე, მოსავლის ავკარგიანობაზე უფრო ბუნების ძალებს, „ძველ ბატონებსა" და დინასტიამდელ წინაპრებს იძახებდნენ. მოწვეული ზებუნებრივი ძალისათვის მართავდნენ ნადიმს, რომელზეც მის სახელზე მსხვერპლად შეწირული ცხოველები: საქონელი, ღორი, ცხვარი, ასევე სასმელები იყო. ზოგიერთ შემთხვევაში რიტუალების დროს ადამიანების მსხვერპლშეწირვაც დასტურდება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შესაწირ სასმელს, კერძოდ კი ღვინოს. ეს აშკარად ჩანს შესაწირი ღვინის ჭურჭლის ფორმებისა და დანიშნულების მრავალფეროვნებაში. რიტუალის მთავარი ნაწილი იყო მკითხაობა კუს ბაკნებზე და ძვლებზე. ამისათვის იყენებდნენ კუს ბაკანს ან ცხოველის ძვალს. ქურუმი მასზე წერდა კითხვას და პასუხს ზებუნებრივი ძალისაგან მოელოდნენ. ფირფიტაზე რამდენიმე ადგილას აკეთებდნენ პატარა ხვრელებს, შემდეგ ამ ნახვრეტებში

გაცხელებულ მეტალს დებდნენ. გახურების შედეგად კუს ბაკანზე ან ძვალზე გაჩენილი ბზარების მიხედვით მეფე წინასწარმეტყველებდა მომავალს, ინტერპრეტაციას უკეთებდა ზებუნებრივი ძალის მიერ კითხვაზე გაცემულ პასუხს. ამის შემდეგ, პასუხს კვლავ სამკითხაო მასალაზე წერდნენ და ძვალს ინახავდნენ კალათაში, რომელიც გავსების მერე ტაძართან სარიტუალო ორმოში იფლობოდა ან მეფეს სამარხში ჩააყოლებდნენ.

რიტუალების ჩატარების სისტემა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. თავდაპირველად რიტუალების ჩატარება შეეძლო მეფეს და სამეფო საგვარეულოს ზოგიერთ წარმომადგენელს. თუმცა უ ტინგის შემდეგ თანდათანობით მეფემ მიიღო რიტუალების ჩატარების მონოპოლიური უფლება. გარდა ამისა, შეიცვალა რიტუალების შინაარსიც. კერძოდ, უ ტინგის პერიოდში კითხვები ზებუნებრივი ძალებისადმი ძალიან მრავალფეროვანი იყო. მათი თემები მოიცავდა ყველაფერს: მეფის ხარჭის ორსულობიდან დაწყებული საგარეო პოლიტიკითა და ბუნებრივი მოვლენების წინასწარმეტყველებით დასრულებული. თუმცა, დინასტიის ბოლოსკენ, რიტუალების სისტემატიზაცია დაიწყო. წინანდელთან შედარებით შემცირდა კითხვების მრავალფეროვნება. კითხვები გახდა მარტივი, პასუხი კითხვებზე უნდა ყოფილიყო მხოლოდ კი ან არა. მეფე ატარებდა რიტუალების ციკლს, რომელიც ყოველ ათ დღეში მეორდებოდა. შესაბამისად, მეორდებოდა კითხვებიც და რიტუალებიც ზებუნებრივი ძალების მიმართ.

რიტუალების მნიშნელოვანი ნაწილი იყო ადამიანთა მსხვერპლშეწირვა. ჩინეთის დინასტიათა შორის, მხოლოდ შანგის დინასტიის დროს იყენებდნენ ოფიციალურად ადამიანებს, როგორც მსხვერპლშესაწირ საგანს. ადამიანებს მსხვერპლად სწირავდნენ შენობის აშენებისას, დიდი რიტუალის ჩატარებისას, თუმცა მსხვერპლშეწირულთა უმეტესობა გარდაცვლილ მეფეთა ან სხვა დიდი ავტორიტეტისა და ძალაუფლების პირთა სამარხებშია ჩაყოლებული. სულ ანიანგში გათხრილი სამარხებიდან ასეთი 5400 ადამიანის ჩონჩხია აღმოჩენილი. თითოეულ სამარხში მათი რაოდენობა 3-დან რამდენიმე ასეულამდე მერყეობდა. ერთ შემთხვევაში მეფეს 500-მდე ადამიანი ჩააყოლეს სამარხში. საკუთრივ მსხვერპლშეწირულ ადამიანთა შორისაც არის განსხვავება. ეს განსხვავება კარგად ჩანს სამარხებში ჩატანებული ადამიანების ერთმანეთთან შედარე-

ბისას. ზოგიერთი მათგანი სამარხის პატრონის გვერდით ასვენია, აქვს თავისი სარკოფაგი და სარიტუალო ნივთები, მის სხეულს არ აღენიშნება დეფორმაცია. ესენი უნდა ყოფილიყვნენ სამარხის პატრონთან დაახლოებული პირები, შესაძლოა მისი ოჯახის წევრებიც, რომლებიც თავისი ნებით გაჰყვნენ ბატონს იმქვეყნიურ ცხოვრებაში, რომ თან ხლებოდნენ მას. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმეტესობა სამარხში ჩატანებულთაგან ნებაყოფლობით არ მომკვდარა. ასე მსხვერპლად შეწირულ ადამიანებს საკუთარი სარკოფაგი არა აქვთ. ისინი სარიტუალო ორმოებში იყვნენ მოთავსებულნი სამარხის გარშემო და სამარხის შესასვლელ დერეფნებში. მათი მოვალეობა იყო გარდაცვლილი დიდებულის დაცვა და მისი მომსახურება იმქვეყნად.


ადამიანების გამოყენება მსგავსი მიზნებისათვის ჩინეთის ტერიტორიაზე არ დასტურდება არც შანგის დინასტიამდე და არც მის შემდეგ. თვით ჭოუს დინასტიაც კი, რომელმაც შანგის კულტურის ძალიან დიდი ზეგავლენის ქვეშ იყო, ფაქტობრივად გააგრძელა და განავითარა შანგის სარიტუალო კულტურა, არასოდეს არ იყენებდა ადამიანებს მსხვერპლშეწირვისათვის. უფრო მეტიც, ჭოუსა და შემდეგი დინასტიების ტექსტებში საერთოდ არაა ნახსენები, რომ შანგის დინასტიის დროს ადამიანებს სარიტუალოდ მსხვერპლად წირავდნენ.

შანგის მოსახლეობის წარმოდგენით, ადამიანი გარდაცვალების შემდეგ გადადიოდა იმქვეყნიურ სამყოფელში, თუმცა სოციალური სტატუსი კვლავაც უცვლელი რჩებოდა. მეფე ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც მმართველი იყო, გლეხი კი – მსახური. ადამიანის დაბადებიდან მოყოლებული განსაზღვრული იყო მისი სტატუსი ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც. არ იყო რაიმე კრიტერიუმი იმქვეყნად სტატუსის ამაღლებისა. აღსანიშნავია, რომ როდესაც ადამიანი გარდაიცვლებოდა, მისი სული მთლიანად სხვა სამყაროში კი არ გადადიოდა, არამედ მას ვალდებულებები რჩებოდა ცოცხალთა სამყაროში. ეს ყველაზე კარგად ჩანს მეფეების მაგალითზე. გარდაცვლილი მეფე აღიჭურვებოდა რა ზებუნებრივი ძალებით, მისი ცოცხალი მემკვიდრეების მიერ შესრულებული რიტუალების წყალობით, კვლავ მონაწილეობდა დინასტიის მართვაში. ამიტომაც ჰქონდა რიტუალების ჩატარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა შანგის დინას-

ტიაში. რიტუალი იყო ცოცხალთა და გარდაცვლილთა სამყაროებს შორის ურთიერთობის საშუალება.

რიტუალები სრულდებოდა მუსიკის თანხლებით. ჭოუს დინასტიის წერილობითი წყაროებიდან ვიცით, რომ რიტუალებს თან ახლდა მუსიკალური აკომპანიმენტი. მიუხედავად იმისა, რომ შანგის დინასტიის ძიაკუვენი მსგავს ინფორმაციას არ გვაწვდის შანგის დინასტიაზე, გვაქვს არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამოღებული არტეფაქტები. შანგის პერიოდის მუსიკალური ინსტრუმენტები ძირითადად ბრინჯაოსაგან, ქვისა და კერამიკისგან მზადდებოდა. ბრინჯაოსგან აკეთებდნენ განსხვავებული ზომის ზარების ანსამბლს, რომლებიც დარტყმისას განსხვავებული ჟღერადობის ხმას გამოსცემდნენ.

საინტერესოა ასევე, თუ როგორ აღიქვამდნენ სამყაროს შანგის დინასტიაში. ძიაკუვენის მიხედვით, შანგის დინასტიის მოსახლეობის აზრით, სამყარო წარმოადგენდა კვადრატს, ჰორიზონტის ოთხი მხარის შესაბამისად. სამყაროს ცენტრში კი განლაგებული იყო „ცენტრალური შანგი". აღსანიშნავია, რომ უშუალო ცენტრად ცხადდებოდა არა შანგის დინასტიის მთელი ტერიტორია, არამედ კონკრეტულად დედაქალაქი. მსგავსი კონცეფცია დასტურდება ჭოუს სამეფოშიც. ჭოუს წერილობით წყაროებში „ცენტრალური ქვეყანა" იყო სამეფო დედაქალაქი და მისი შემოგარენი მიწები (სურ. 24).



სურ. 24 შანგელების წარმოდგენა სამყაროზე, რეკონსტრუქცია

დროთა განმავლობაში „ცენტრალური ქვეყნის" დატვირთვა უფრო გაიზარდა და მრავალფუნქციური გახდა. კერძოდ, ეს ტერმინი გახდა არა მხოლოდ დედაქალაქის, არამედ მთელი ჩინეთის აღმნიშვნელი. გარდა ამისა, მან გეოგრაფიულთან ერთად კულტურული დატვირთვაც მიიღო. ცენტრალური ქვეყანა ანუ ჩინეთი იყო სამყაროს გეოგრაფიული და კულტურული ცენტრიც, ყველაფერი მის გარეთ იყო პერიფერია, დაბალი დონის კულტურის მქონე ბარბაროსი ხალხით დასახლებული მიწები. სამყაროს გეო-

გრაფიულ, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად ყოფნის იდეა ჩინეთში დინასტიების მთელ ისტორიას გასდევს და იმდენად გათავისებულია ჩინურ კულტურაში, რომ თანამედროვეობაშიც ღრმადაა გამჯდარი ჩინელი ხალხის მსოფლმხედველობაში. დღემდე ჩინელები საკუთარ ქვეყანას „ცენტრალურ სამეფოს/ქვეყანას" ეძახიან. ეს ერთი ტერმინი ფაქტობრივად გვიჩვენებს, თუ როგორი იყო ჩინელი ხალხის წარმოდგენა სამყაროზე და სად ხედავდნენ საკუთარ თავს ამ სამყაროში. ამ ერთი ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე ცნების ისტორია კი სწორედ შანგის დინასტიიდან დაიწყო.

სამხედრო სისტემა

ძიაკუვენის მნიშნელოვანი ნაწილი მოიცავს მეფის მიერ ზებუნებრივი ძალებისადმი თავისი არმიისა და მოსალოდნელი ომის შედეგების შესახებ დასმულ კითხვებს. ამას ერთად არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი საომარი იარაღები საერთო ჯამში შანგის დინასტიის სამხედრო საქმეზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან.

ჯარი იკრიბებოდა სამეფო მიწებზე დასახლებული ხალხისაგან, ხოლო ჯარის დანაყოფებს, სავარაუდოდ, საგვარეულოებისგან ქმნიდნენ. რამდენადაც სამეფო მიწები დანაწილებული ჰქონდათ პრინცებს სამართავად, შესაბამისად, თითოეული მათგანი ორგანიზებას უწევდა თავისი მიწიდან შენაერთის გამოყვანას და მეთაურობდა მას ბრძოლის ველზე. არმიის უმაღლესი მთავარსარდალი იყო მეფე. როდესაც დიდი სამხედრო კამპანია იწყობოდა, ან ძლიერი მტერი უტევდა შანგს, მეფე პირადად ხელმძღვანელობდა არმიას.

ჯარის ძირითადი შემადგენლობა ქვეითად იბრძოდა. უმეტესად ესენი იყვნენ ჭუნგისა და ჟენის სოციალური ფენის წარმომადგენლები. არმია იყოფოდა სამ ნაწილად: მარჯვენა, მარცხენა და ცენტრალური არმია. თავის მხრივ, ეს ნაწილებიც მცირე, 100-კაციანი დანაყოფებისაგან შედგებოდა. ცალკე ასეულებს შეადგენდნენ მშვილდოსნები და ცხენოსნები. შანგის მეფე უ ტინგის დროიდან ეტლებიც დაემატნენ შეიარაღებას, მაგრამ, როგორც ჩანს, შანგის არმიაში ეტლები საბრძოლო დანიშნულებით არ გამოიყენებოდა, არამედ მისი ფუნქცია იყო არმიის მობილურობის გაზრდა, ბრძოლის ველზე

ბრძანებების სწრაფი გადაცემა, მშვილდოსნების გადაადგილება. შანგის მეფეს დიდი ლაშქრობების წარმოებისას ხშირად ჰყავდა ხოლმე საგარეო მოკავშირეები, რომელთა არმიაც შანგის ჯარს ემატებოდა. ჩვეულებრივ შანგის მეფის მობილიზებული არმია 3000-5000 კაცისგან შედგებოდა. თუმცა, ერთ შემთხვევაში შორეული ლაშქრობისას 10 ათას კაციანი არმიაც შეკრიბა.

მეომრების შეიარაღებას შეადგენდა: ხანჯალი, ნაჯახი, შუბი, მშვილდ-ისარი, ფარი და მუზარადი. შანგის მეომრები იყენებდნენ შედგენილ მშვილდს[1], რომელიც ხის, ძვლისა და რქის ნაწილებისაგან შედგებოდა და დაფარვის მანძილიც მხოლოდ ხისაგან დამზადებულ მშვილდზე მეტი ჰქონდა. რთული მშვილდის ქონა არსენალში მიუთითებს აქტიურ კონტაქტებს ჩრდილოეთის ზონის კულტურასთან, რომელსაც, თავის მხრივ, ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტეპების ტომებთან. სწორედ მათ გამოიგონეს რთული მშვილდი. ჩრდილოეთის ზონიდან შემოტანილი უნდა იყოს ეტლიც, რომელიც უ ტინგის მეფობამდე ჩინეთის ტერიტორიაზე საერთოდ არ არსებობდა. მეტიც, ცხენსაც კი არ იყენებდნენ ეტლის გამოჩენამდე საომარი დანიშნულებით. საბრძოლო იარაღის ძირითადი მასალა იყო ბრინჯაო. როგორც ჩანს, შანგის დინასტიაში იარაღს დიდი რაოდენობით ამზადებდნენ. უ ტინგის ხარჭის, ფუ ხაოს სამარხში 271 ცალი ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი აღმოაჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ შანგის დინასტიის ბოლო პერიოდში უკვე იწყება რკინის დამუშავება, რკინამ დიდი ხნის განმავლობაში ვერ ჩაანაცვლა ბრინჯაო საომარი იარაღების დამზადებაში.

ეკონომიკა

შანგის დინასტიის ეკონომიკის ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობა იყო. ეს კარგად ჩანს ძიაკუვენიდან. მეფის მთავარი საზრუნავი, როდესაც ის იწვევდა ზებუნებრივ ძალებს, რათა დახმარებოდნენ მას მომავლის წინასწარმეტყველებაში, იყო მოსავლის

[1] მშვილდებში, ზოგადად, გამოიყოფა მარტივი და შედგენილი მშვილდები. მარტივი მშვილდის კატეგორიაში ერთიანდება ერთი მერქნისაგან დამზადებული მშვილდები, ხოლო შედგენილი მშვილდი შედგება სხვადასხვა მასალისაგან: ხე, რქა, ძვალი, მეტალი და სხვა.

ავკარგიანობა. არქეოლოგიური მონაცემებით დგინდება, რომ შანგის დინასტიაში მთავარი მარცვლეული კულტურა იყო ფეტვი. ასევე მოჰყავდათ ბრინჯი და ხორბალი. სოფლის მეურნეობის იარაღები – ბარი, ნამგალი, გუთანი და თოხი ძვლის, ხისა და ნიჟარებისაგან მზადდებოდა[1]. მიწას ამუშავებდნენ ჭუნგისა და ჟენის სოციალური ფენები. მიწის მოსავლიანობის გაზრდისათვის გაყვანილი ჰქონდათ სარწყავი არხები, თუმცა დიდი მასშტაბის სამელიორაციო სისტემას არქეოლოგებმა დღემდე ვერ მიაგნეს. მიწათმოქმედების ძირითადი მიზანი იყო ყამირი მიწების დამუშავება. ეს გულისხმობდა უყი, დაუმუშავებელი ადგილის გასუფთავებას და მის შეერთებას სასოფლო-სამეურნეო მიწებთან. ეს სამუშაო საკმაოდ დიდ შრომას მოითხოვდა. მას კარგად ორგანიზება სჭირდებოდა: ყამირი მიწის დამუშავებას ზედამხედველობდნენ სპეციალური ოფიცრები სამეფო კარიდან. მუშა ხელის სახით იყენებდნენ ჭუნგსა და ჟენს. როგორც ჩანს, ყამირი მიწების ათვისება დაკავშირებული იყო სამხედრო საქმესთან. რამდენადაც იგი მოითხოვდა დიდ შრომასა და კარგ ორგანიზებას. ამიტომ ამ საქმეში ჩართულნი იყვნენ არმიის ძირითადი შემადგენელი ხალხი – ჭუნგი და ჟენი. ეს პროცესი ერთგვარი წვრთნა იყო მათთვის. შეიძლება ამ მხრივ მიწის ათვისება შევადაროთ ფეოდალურ სამყაროში ნადირობის ფენომენს. ნადირობა და სამეურნეო მიწა შანგის დინასტიაშიც დაკავშირებული იყო ერთმანეთთან. იეროგლიფი 田, რომელიც ნიშნავს სამიწათმოქმედო ნაკვეთს, ანტიკურ დროში აღნიშნავდა აგრეთვე ნადირობას.

საკმაოდ განვითარებული იყო მესაქონლეობაც შანგის დინასტიის შიგნით. ძიაკუვენის მიხედვით, იყო შემთხვევები, როცა ერთ რიტუალზე მსხვერპლად სწირავდნენ ასეულობით საქონელს: ღორს, ცხვარს და სხვა სახის ცხოველებს. ნაწილი შეწირული ცხოველებისა მეზობელი სამთავროებიდან ნაჩუქარი თუ ხარკის სახით იყო მოწოდებული, მაგრამ უმეტესობა სარიტუალო ოთხფეხისა ადგილობრივი წარმოშობის იქნებოდა. ამაზე მიუთითებს ასევე მესაქონლეობასთან

[1] შანგის უკანასკნელი დედაქალაქის, ინის ნაქალაქარში ბრინჯაოსაგან დამზადებული მცირე რაოდენობის სოფლის მეურნეობის იარაღიცაა აღმოჩენილი, თუმცა მათ, სავარაუდოდ, რიტუალური დატვირთვა ჰქონდა. ბრინჯაო ავტორიტეტისა და საკრალურობის სიმბოლო იყო და მისი გამოყენება დაბალ სოციალურ ფენას ეკრძალებოდა.

დაკავშირებული სპეციალური სახელოები სამეფო კარზე: მრავალი ძაღლისა და მრავალი ცხენის ზედამხედველები.

როგორც შანგის დინასტიის სოციალური ფენების აღწერისას აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ძალიან განვითარდა ვაჭრობა. შანგის სამეფოში დამზადებული ნივთები გვხვდება ჩინეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ლიაონინგის პროვინციიდან იანგწის სამხრეთ მიწებამდე. თავის მხრივ, ეს მიუთითებს შანგის დინასტიის მაღალი წარმოების უნარზე. ძირითადი მრეწველობის პროდუქტები შანგის დინასტიაში იყო: ბრინჯაო, ნეფრიტი, კერამიკა, ძვლისა და ხის დამუშავება, ლაქი, ღვინო. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აწარმოებდნენ ბრინჯაოს. შანგის დინასტიის ეპოქაში ჩამოსხმული ყველაზე დიდი ბრინჯაოს ნივთი 873 კილოს იწონიდა.

შანგის პერიოდში ერთ-ერთი ძირითადი სავაჭრო პროდუქტი იყო კერამიკა, რომელიც გვიანი შანგის წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა. გამოჩნდა თეთრი კერამიკა, რომელიც ფაიფურის წინამორბედია. ზოგი მეცნიერი მას პრიმიტიულ ფაიფურსაც კი უწოდებს. თეთრ კერამიკას და ზოგადად, ფაიფურს ჩვეულებრივი კერამიკისაგან სამი ძირითადი მახასიათებლით ასხვავებენ: 1) მასალაში ჭარბად უნდა იყოს ალუმინის ოქსიდი და რაც შეიძლება მცირე რაოდენობით რკინის ოქსიდი. ეს საჭიროა კერამიკის თეთრი ფერის შესანარჩუნებლად; 2) თეთრი ფაიფურის გამოწვა მინიმუმ 1200°C მიმდინარეობს, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი კერამიკისა (800°C) და შავი კერამიკის (1000°C) გამოწვის ტემპერატურა; 3) კერამიკის მოჭიქვა[1].

ბუნებრივია, ვაჭრობის განვითარება შეუძლებელი იქნებოდა ვალუტის გარეშე. შანგის დინასტიის დროს ვალუტის ერთეულად იყენებდნენ ნიჟარებს, როგორც ბუნებრივს, ასევე მეტალისაგან ჩამოსხმულ მათ ანალოგებს. საკუთრივ ეს ნიჟარები ზღვისპირეთიდან მოდიოდა. ამგვარად, შანგის გარესამყაროსთან ურთიერთობის სისტემა აღმოსავლეთითაც გაიშალა.

[1] ჭიქური არის თხელი მინისმაგვარი შრე, რომელიც კერამიკის ნაკეთობის ზედაპირზე წარმოიქმნება სპეციალურ ნივთიერებათა დაფენისა და მაღალ ტემპერატურაზე გამოწვის შედეგად. ჭიქურის სისქე დაახლოებით 0.1-0.3 მილიმეტრი უნდა იყოს.

კალენდარი

შანგის დინასტიას ჩინეთის დინასტიათაგან პირველია, რომელსაც კალენდარი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ჭოუს დინასტიის დროინდელი ისტორიული წყაროები სიას დინასტიასაც მიაწერენ კალენდრის შექმნას, დღემდე ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალა არ არის აღმოჩენილი[1]. შანგის კალენდარი მზისა და მთვარის კალენდრის ნაზავი იყო. წლისა და დღის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა მზის მოძრაობის, თვის ხანგრძლივობა კი – მთვარის მოძრაობის მიხედვით[2]. წელიწადი დაყოფილი იყო 12 დიდ და მცირე თვედ. დიდი თვე 30 დღისაგან შედგებოდა, მცირე კი 29-საგან. მთვარისა და მზის წელიწადებს შორის სხვაობის[3] შესავსებად შემოიღეს დამატებითი თვე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში წლის ბოლოს მე-13 თვედ თავსდებოდა. ახალი წელი იწყებოდა ზამთრის ნაბუნიობიდან პირველ ახალ მთვარეს. თვე დაყოფილი იყო 10 დღიან კვირებად. თავისებური სისტემა შემოიღეს კვირის დღეების სახელებისათვის. ისინი დგინდებოდა 10 ზეციური ღეროსა[4] და 12 მიწიერი განშტოების[5] კომბინაციით და 60-დღიანი ციკლი იქმნებოდა. ამ 60-დღიან ციკლში კი თითოეულ დღეს თავისი სახელი ჰქონდა[6].

---

1 ჯერ კიდევ იანგშაოს კულტურაში ტაბეცუნის გათხრებისას აღმოაჩინეს კერამიკის ნიმუში, რომელზეც გამოსახული იყო 12 მზე. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეს მიუთითებს კალენდრის შემუშავების საწყის ეტაპზე.

2 თანამედროვე ჩინურშიც იეროგლიფი 日 აღნიშნავს მზესა და დღეს, იეროგლიფი 月 კი – მთვარეს და თვეს.

3 მთვარის დედამიწის გარშემო მოძრაობის მიხედვით განსაზღვრული თვის ხანგრძლივობა არის 29.5 დღე. შესაბამისად, ასეთი 12 თვე 354 დღიან წელს ქმნის. მზის წლიანადის ხანგრძლივობა კი 365.6 დღეა. მათ შორის 11 დღიანი სხვაობა არსებობს.

4 შანგის დინასტიის მოსახლეობას ჯეროდა, რომ არსებობდა ათი მზე და ისინი ერთმანეთის მონაცვლეობით ჩნდებოდნენ ცაზე. 10 ზეციური ღერო სწორედ მათთვის მინიჭებული სახელებია. ესენია: ძია, ი, პინგი, ტინგი, უ, ძი, კენგი, სინი, ჟენი, კუეი.

5 მიწიერი განშტოებების რაოდენობა დაფუძნებული იყო იუპიტერის მოძრაობაზე. რამდენადაც იუპიტერს თავისი ორბიტის გარშემო ერთი წრის შესასრულებლად 11.86 წელი სჭირდება, შანგის დინასტიის ასტრონომებმა ცა 12 ნაწილად დაყვეს იუპიტერის ორბიტის მიხედვით. მიწიერი განშტოებების სახელებია: ნი, ჩოუ, ინ, მაო, ჩენ, სპი, უ, ვეი, შენ, იოუ, სუ, ხაი.

6 თითოეული დღის სახელი შედგება ორი ნაწილისაგან: საწყისი – ზეციური ღერო და დაბოლოება – მიწიერი განშტოებები. მაგალითად: ძიაწი – პირველი დღე, იჩოუ – მეორე დღე, პინგ-ინი – მესამე დღე.

კალენდრის არსებობა მიუთითებს განვითარებულ სოფლის მეურნეობასა და ასტრონომიაზე. მიწათმოქმედებისათვის საციცოცხლო მნიშვნელობისაა დროის პერიოდების ზუსტი დაყოფა, რათა სამინათმოქმედო სამუშაოებიც წლის განმავლობაში კლიმატის ცვლას ჰარმონიულად მიჰყვეს. კალენდრის შესაქმნელად კი მათემატიკა და ციური სხეულების შესახებ მნიშვნელოვანი ცოდნაა საჭირო. ძიაკუვენიდან შანგის დინასტიის მათემატიკურ ცოდნაზე ბევრ ცნობას ვერ ვიღებთ. ვიცით, რომ იყენებდნენ ათობით სისტემას. თვლის სისტემაში ჰქონდათ რიცხვები: ათი, ასი, ათასი და ათიათასი. უდიდესი რაოდენობა, რაც დაფიქსირებულია ძიაკუვენში, არის 30000. შედარებით მეტი ცნობები გვაქვს ასტრონიმიის შესახებ. ძიაკუვენში არაერთხელ არის მოხსენიებული მზისა და მთვარის დაბნელება. ისტორიკოსთა ნაწილი ამ ჩანაწერებსა და მთვარისა და მზის დაბნელებების აქტივობის გამოანგარიშებაზე დაყრდნობით ცდილობს შანგის დინასტიის ქრონოლოგიის დაზუსტებას. თუმცა პრობლემა ისაა, რომ ხშირად ასეთი მოვლენების აღწერისას, მითითებულია მხოლოდ მეფის გამეფებიდან რომელ წელსა და თვეს მოხდა დაბნელება, მაგრამ მეფის სახელი არაა დაკონკრეტებული. გარდა მზისა და მთვარისა, სხვა ციურ სხეულებსაც აკვირდებოდნენ. ძიაკუვენში მოხსენიებულია რამდენიმე თანავარსკვლავედი და პლანეტა მარსიც. მიუხედავად იმისა, რომ წარწერებში არ არის ამაზე ინფორმაცია, მინიერი განშტოებების შედგენა უშუალოდ უკავშირდება პლანეტა იუპიტერის თავისივე ორბიტის გარშემო მოძრაობას, ანუ შანგის დინასტიის ასტრონომები იუპიტერსაც კი აკვირდებოდნენ.

ჩინური იეროგლიფური დამწერლობის ჩამოყალიბება

აღიარებულია, რომ დღემდე ჩვენს ხელთ არსებული ჩინური დამწერლობის ნიმუშებიდან უძველესი იეროგლიფები არის შანგის დინასტიის პერიოდის ე.წ. ძიაკუვენი და ძინვენი, რომლებიც დაახლოებით ერთდროულად – ძვ. წ. XIII-XII საუკუნეების მიჯნაზე ჩნდებიან. ძიაკუვენი და ძინვენი უკვე შემდგარი დამწერლობებია, რომლებსაც განვითარების ყველა დონე აქვთ გავლილი. ჯერ კიდევ არაა აღმოჩენილი ჩინური იეროგლიფური დამწერლობის ადრეული

პერიოდის არტეფაქტები, თუმცა ნეოლითური და ადრებრინჯაოს კულტურების შესწავლისას გამოჩნდა ნიშან-სიმბოლოები, რომლებსაც ზოგიერთი თანამედროვე ენათმეცნიერი ძიაკუვენის წინაპრად თვლის. ასეთი ნიშნები გასდევს მთელი ნეოლითის პერიოდს, დაწყებული ადრენეოლითური ფეილიკანგის კულტურიდან (ძვ. წ. 7500-5000), შემდეგ შუანეოლითურ იანგშაოსა (ძვ. წ. 5000-3000) და ტავენქოუს (ძვ. წ. 4100-2000), გვიანნეოლითურ ლუნგშანის (ძვ. წ. 3000-2000) კულტურაში და გრძელდება ადრებრინჯაოს ერლითოუს კულტურაშიც (ძვ. წ. 1900-1500). ამ ნიშან-სიმბოლოებს ყოფენ ორ ჯგუფად: გეომეტრიული და ნახატისებრი სიმბოლოები.

უძველესი ნიშნები აღმოჩენილია ძიახუს არქეოლოგიურ გათხრებზე, რომელიც ფეილიკანგის კულტურას მიეკუთვნება. ძიახუ თარიღდება დაახლოებით ძვ. წ. მე-7-6 ათასწლეულებით. კუს ბაკანსა და ძვლებზე ამოტიფრული ძიახუს 16 ნიშანი ძიაკუვენის დამწერლობასთან მსგავსებას ავლენს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ისევე როგორც ძიაკუვენი, ძიახუს ნიშნებიც კუს ბაკანსა და ძვალზეა შესრულებული. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ქრონოლოგიური დაშორება ძიახუსა და ძიაკუვენის სიმბოლოებს შორის არის დაახლოებით 5000 წელი. თუ ძიახუს ნიშნები მართლაც დამწერლობა იყო, შეუძლებელია ეს ნიშნები 5000 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე შემორჩენილიყო შანგის დინასტიამდე და ძიაკუვენის დამწერლობაში ასახულიყო. გარდა ამისა, ნეოლითური ხანის ნიშან-სიმბოლოები ძალიან ცოტა და უსისტემოა იმისათვის, რომ დამწერლობა ეწოდოს. უფრო ახლოს შეიძლება იდგეს ჭეშმარიტებასთან ის ვარაუდი, რომ ამ ნიშან-სიმბოლოებისაგან აიღო ფორმები შემდგომ ეპოქაში დამწერლობამ. როგორც ვთქვით, ძიაკუვენი უკვე ჩამოყალიბებული დამწერლობაა. უფრო ადრინდელი, ჩამოყალიბების პერიოდში მყოფი დამწერლობის ნიმუშები დღემდე არაა აღმოჩენილი. ბუნებრივია, როდესაც გაჩნდებოდა საჭიროება დამწერლობის შესაქმნელად, სულაც არაა გამორიცხული, რომ ფორმა-მოხაზულობა ესესხათ ათასწლეულების განმავლობაში დაგროვილი ნიშან-სიმბოლოებიდან.

საინტერესოა ძიაკუვენის აღმოჩენის ისტორია. შანგის დინასტიის ჭოუს დინასტიით შენაცვლების შემდეგ, შანგის დედაქალაქი ინი მიატოვეს, დროთა განმავლობაში კი მთლიანად დაივიწყეს. მომდე-

ვნო სამი ათასი წლის განმავლობაში ხალხის ცოდნა ამ დინასტიაზე შემოიფარგლებოდა მისი დაცემიდან რამდენიმე ასეული წლის შემდეგ დაწერილი მატიანეებიდან მიღებული ინფორმაციით. თუმცა ამ მატიანეებში დაცული ინფორმაციაც ძალიან მწირი იყო. შანგის დაცემიდან ექვსი საუკუნის შემდეგ კონფუცი უკვე ჩიოდა, რომ შანგის ეპოქაზე მასალები არ იყო შემორჩენილი.

დროდადრო მიწაში ჩამარხული ძიაკუვენის ფირფიტები მიწის ზედაპირზე ხვდებოდნენ. შუასაუკუნეების ჩინეთში ჩინური მედიცინის მაღაზიებში ნახავდით ძვლებს, რომელსაც ეწოდებოდა „დრაკონის ძვალი". ძველ ჩინურ სამედიცინო ენციკლოპედიებში დრაკონის ძვალი არაერთი წამლის დამზადების მნიშვნელოვანი ინგრედიენტია. „დრაკონის ძვლები" სხვა არაფერი იყო, თუ არა ძიაკუვენის ფირფიტები. ხალხი, რომელიც შანგის დინასტიის დამხობიდან ორი ათასწლეულის შემდეგ დასახლდნენ ინის ნაქალაქარის ადგილას სოფელ სიაოთუნში, ხშირად ხვნისას და არხების გაყვანისას მიწიდან



სურ. 25 კუს ბაკნებისა და ცხოველების ძვლები ინის ნანგრევებში

უცნაურ ძვლებს იღებდნენ ხოლმე, რომლებზეც მათთვის გაუგებარი ნიშნები ეწერა. მალე გაირკვა, რომ ეს ძვლები წამლადაც გამოდგებოდა და ადგილობრივებმა ძვლების მიყიდვა დაიწყეს აფთიაქებისთვის. მაგრამ, არავინ იცოდა, რომ გაუგებარი წარწერები ძვლებზე უძველესი ჩინური დამწერლობა იყო, რადგან არც გლეხებსა და არც ვაჭრებს არ ჰქონდათ საკმარისი ცოდნა ამის გასაცნობიერებლად. აფთიაქების მეპატრონეები კი ითხოვდნენ სუფთა ძვლებს, რის გამოც სიაოთუნის მაცხოვრებლები ძვლებზე წარწერებს ფხეკდნენ და ისე ჰყიდდნენ. ასე გრძელდებოდა 1899 წლამდე (სურ. 25).

XIX საუკუნის ბოლოს პეკინში ცხოვრობდა ვანგ იჟუნგი (1845-1900), ცინგის დინასტიის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირი. ვანგს მალარია შეეყარა და ექიმის რჩევით დრაკონის ძვლებით მკურნალობა დაიწყო. ვანგთან დაახლოებულმა პირებმა კარგად იცოდნენ, რომ ის ანტიკვარების დიდი მოყვარული იყო. ერთხელაც,


ვანგის მეგობარმა, ანტიკვარებით მოვაჭრემ, რომელმაც იცოდა, რომ ვანგი დრაკონის ძვლებს იყენებდა წამლად და თან ანტიკვარებსაც აგროვებდა, ხენანის პროვინციის ქალაქ ანიანგში იყიდა რამდენიმე დრაკონის ძვალი და ვანგს მიუტანა. საბედნიეროდ, ამ ძვლებზე წარწერები ჯერ კიდევ არ იყო გადაფხეკილი. უცნაურმა ნიშნებმა ვანგი დააინტერესა და თავის მეგობარ მწერალ – ლიოუ ესთან (1857-1909) ერთად კვლევა-ძიების შემდეგ დაადგინა, რომ ეს ნიშნები ძვლებზე უნდა ყოფილიყო უფრო ძველი, ვიდრე ჭოუს დინასტიის დამწერლობა, სულ მცირე შანგის დინასტიის დროინდელი. სამწუხაროდ, 1900 წელს, როცა პეკინი ევროპელებმა აიღეს, ვანგმა ცოლთან და უფროს რძალთან ერთად თავი ჭაში დაიხრჩო. ვანგის შვილმა მამის მიერ შეგროვებული დრაკონის ძვლები ლიოუ ეს გადასცა, რომელმაც 1903 წელს გამოაქვეყნა ძიაკუვენის პირველი ლექსიკონი. თვითონ ლიოუმ 40-მდე ნიშანი წარმატებით გაშიფრა.

1917 წელს ჩინელმა მეცნიერმა, ვანგ კუოვეიმ გამოაქვეყნა „კვლევა მეფეებსა და არისტოკრატებზე ინის სამკითხაო წარწერებიდან“, რომელშიც მან დაამტკიცა, რომ სამკითხაო წარწერებში მოხსენიებული მეფეების სახელები ემთხვეოდა სმა ციენის მიერ შედგენილი შანგის მეფეების სიის ბოლო ცხრა მეფეს. 1928-1937 წლებში ანიანგში, სიაოთუნის სოფელში მიმდინარეობდა დიდი არქეოლოგიური გათხრები, რომლის შედეგებმაც უზარმაზარი გავლენა იქონია ანტიკური ჩინეთის ისტორიის კვლევაზე. გათხრების შედეგად აქ აღმოჩნდა შანგის დინასტიის უკანასკნელი დედაქალაქის, ინის ნანგრევები და ძიაკუვენის 150000-ზე მეტი ფირფიტა.

დღესდღეობით აღმოჩენილი შანგის დროინდელი ძიაკუვენის წარწერებიდან დაახლოებით 4800 იეროგლიფია ცნობილი, მათგან 1500-1700 არის გაშიფრული. ქრონოლოგიურად ისინი განეკუთვნებიან ძვ. წ. XIII–XI საუკუნეებს. ძიაკუვენის ნიმუშების უმეტესობა რელიგიური შინაარსისაა, ძალიან მცირე რაოდენობის ფირფიტა ასახავს არარელიგიურ თემებს. ძიაკუვენს იყენებდნენ სამეფო კარზე, უიშვიათეს შემთხვევაში მეფის ძალიან ახლო ნათესავებიც, წინაპართა სულებისათვის რჩევის საკითხავად და მომავლის წინასწარმეტყველებისათვის.

ძიაკუვენი არის უკვე ჩამოყალიბებული დამწერლობა. იწერებოდა ზემოდან ქვემოთ, მარჯვნიდან მარცხნივ. დამწერლობის ფორმა არის

სწორი, უხეში, კუთხოვანი, რითაც ძიაკუვენი ძალიან განსხვავდება მისი თანადროული ძინვენის – ბრინჯაოზე შესრულებული წარწერების ფორმებისაგან, რომელიც ხასიათდება ოვალური და დახვეწილი შტრიხებით. ძიაკუვენის იეროგლიფების ასეთი ფორმები გასაგებია, რამეთუ ძვალსა და ბაქანზე დანით ან სხვა წვეტიანი საგნით ტვიფრავდნენ. ბუნებრივია, ასეთი უხეში იარაღებით მაგარ ზედაპირზე წერა საკმაოდ რთული იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ძიაკუვენის რიტუალი თითქმის ყოველდღიურად, ზოგჯერ კი დღეში რამდენჯერმე სრულდებოდა. ძიაკუვენის იეროგლიფები არაპროპორციულია, ორთოგრაფია საკმაოდ გაუმართავი, ძინვენის დამწერლობა კი პროპორციულობითა და სიმეტრიულობით ხასიათდება. ძიაკუვენის ერთსა და იმავე ფირფიტაზე შესაძლებელია სხვადასხვა ზომის იეროგლიფები ყოფილიყო. ასევე არსებობდა ერთი და იმავე იეროგლიფის წერის რამდენიმე ვარიანტი. გაუმართავია იეროგლიფთა მიმართულება. ერთი იეროგლიფი ზოგან მარჯვნივაა მიმართული, ზოგან – მარცხნივ, ზოგჯერ კი ამოტრიალებულია. ამ ფაქტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ძიაკუვენი ახალჩამოყალიბებული დამწერლობა იყო და ჯერ კიდევ არ იყო დახვეწილი (სურ. 26).



სურ. 26 შანგის პიქტოგრამების ნიმუშები

ძიაკუვენის პარალელურად, თითქმის იმავე პერიოდში განვითარდა დამწერლობა ბრინჯაოს ნივთებზე ტვიფრისა, ე.წ. ძინვენი. ძინვენი სრულდებოდა ამგვარად: თიხის ყალიბზე ამოტვიფრავდნენ იეროგლიფებს, ბრინჯაოს ჩამოსხმის შემდეგ კი ნიშნები ბრინჯაოზე აისახებოდა. ჯერ კიდევ შანგის ეპოქიდან არის შემორჩენილი ძინვენი. თუმცა კი, ამ პერიოდის ძალზე მცირეა და შემოიფარგლება გამკეთებლის ან იმ პირის სახელით, ვისაც სწირავდნენ ამ ნივთს. მაგალითად, უდიდეს ბრინჯაოს ნაკეთობაზე, რომელიც 873 კილოგრამს

იწონის, სამად სამი იეროგლიფია: 司母戊 (სპი მუ უ). როგორც აღვნიშნეთ, განსხვავებით ძიაკუვენისაგან, ძინვენი გამოირჩეოდა იეროგლიფების პროპორციულობითა და სიმეტრიულობით. ამ განსხვავების მიზეზი არის საწერი მასალა და ნაწერის დანიშნულება. ძიაკუვენი ინერებოდა ყოველდღიურად უხეშ ზედაპირზე. შესაბამისად, მყარ მასალაზე სიჩქარეში შესრულებული იეროგლიფები ვერ შეინარჩუნებდნენ სიმეტრიულობას. ძინვენი კი სრულდებოდა ბრინჯაოზე, რომლის დამზადებას დიდი დრო სჭირდებოდა და დროც საკმარისი ჰქონდათ, რომ ხელოსნებს კარგად გამოეყვანათ იეროგლიფები თიხაში. გარდა ამისა, ძიაკუვენი ინახებოდა მიწის ქვეშ, ყველასაგან უხილავ ადგილას. ბრინჯაოზე შესრულებული დამწერლობა კი საუკუნეების განმავლობაში უნდა ყოფილიყო მომავალი თაობების თვალწინ. მას უფრო მაღალ ესთეტიკურ მოთხოვნებს უყენებდნენ.

ძიაკუვენის აღმოჩენამ მრავალ კითხვას გაუცა პასუხი, თუმცა წარმოიშვა ახალი კითხვებიც. კერძოდ: იყო თუ არა ანიანგი ის ადგილი, სადაც ჩინური იეროგლიფური დამწერლობა ჩაისახა? ანიანგის გარდა სხვაგანაც თუ გამოიყენებოდა ეს დამწერლობა? მხოლოდ ბრინჯაოს, კუს ბაკანსა და ძვალს იყენებდნენ მასალად დამწერლობისათვის თუ სხვა მასალაც გამოიყენებოდა? იყო თუ არა რელიგიური მსახურება დამწერლობის შექმნის მიზეზი? და ა.შ.

დღევანდელი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ძიაკუვენის დამწერლობა ანიანგის გარდა სხვაგან არ ფიქსირდება. თუმცა, არქეოლოგები და ისტორიკოსები თავს იკავებენ იმის მტკიცებისაგან, რომ ანიანგს ჰქონდა მონოპოლია დამწერლობაზე. ჩინეთის არქეოლოგია ხასიათდება უეცარი აღმოჩენებით, როგორც ეს ძიაკუვენის შემთხვევაში მოხდა და ის, რომ ჯერ კიდევ არ აღმოჩენილა ანიანგის გარეთ შანგის პერიოდის დამწერლობის ნიმუში, იმას არ ნიშნავს, რომ ეს დამწერლობა მხოლოდ აქ გამოიყენებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ამის დამადასტურებელი უშუალო არქეოლოგიური მასალები, მეცნიერთა აზრით, შანგის პერიოდში ბრინჯაო და ძვალი არ იყო ერთადერთი მასალა დამწერლობისათვის. ასევე გამოიყენებოდა ბამბუკი და ფუნჯიც. მიზეზი, რატომაც ბამბუკისა და ფუნჯის დამწერლობის ნიმუშები არ შემორჩა ჩვენამდე, არის თვითონ მასალის ნაკლები მედეგობა, რადგან დროის სვლასთან ერთად ორივე მალე იხრწნება. ძვალი და

მით უმეტეს, ბრინჯაო დიდხანს ძლებს, ბამბუკი და სხვა მცენარეებიც, სპეციალური პირობების გარეშე, მალე ფუჭდება. მეცნიერები ასევე ეყრდნობიან არაპირდაპირ წყაროებს. პირველი ესაა, იეროგლიფ 册-ს (ტრადიციული ფორმით 冊) გამოჩენა ძიაკუვენში. 册 ნიშნავს ძაფით აკინძულ ბამბუკის წვრილ და გრძელ ფირფიტებს, რომლებიც ძველ ჩინეთში გამოიყენებოდა ყოველდღიურ ცხოვრებაში საწერ საშუალებად ქაღალდის გამოგონებამდე. გარდა ამისა, ძველი ჩინური ლიტერატურის ხუთი მთავარი წიგნიდან ერთ-ერთის, „შანგშუს" მიხედვით, შანგის დინასტიის დროს იყენებდნენ ბამბუკის გრაგნილებს. რაც შეეხება ფუნჯის გამოყენებას, ამას მეცნიერები ძიაკუვენის ზოგიერთი იეროგლიფის მრგვალი მოხაზულობიდან და იეროგლიფის შტრიხების სისქიდან ასკვნიან. მათი აზრით, ასეთი იეროგლიფები ჯერ ფუნჯით იწერებოდა ძვალზე, შემდეგ კი დანით ამოიკანრებოდა (სურ. 27). ფუნჯის გამოყენება უძველეს დროში დასტურდება არქეოლოგიური წყაროებითაც. 1965 წელს არქეოლოგებმა შანსის პროვინციაში, ძინის სამეფოს დედაქალაქის ნანგრევებში აღმოაჩინეს ნეფრიტზე და ქვაზე ფუნჯით შესრულებული წარწერები. ეს წარწერები განეკუთვნება ძვ. წ. VI-V საუკუნეებს.



სურ. 27 ძიაკუვენი, შანგის ეპოქა

იყო თუ არა რელიგია მთავარი მიზეზი დამწერლობის შექმნისათვის? მიუხედავად იმისა, რომ შანგის დინასტიის წარწერების აბსოლუტური უმრავლესობა რელიგიური შინაარსისაა, მეცნიერების აზრით ეს არ ნიშნავს იმას, რომ რელიგიური მსახურების გამო შეიქმნა დამწერლობა. მიზეზი იმისა, თუ რატომ შემორჩა მხოლოდ რელიგიური წარწერები, არის ის, რომ ეს წარწერები სრულდებოდა მყარ მასალაზე, რადგან მათი შენახვა სურდათ. ბუნებრივია, ყოველდღიურ ცხოვრებაში ნაკლებად გამოიყენებდნენ ასეთ უხეშ მასალას საწერად და უპირატესობას ანიჭებდნენ უფრო მოსახერხებელ ბამბუკს, მცენარეთა სხვა სახეობას ან სხვა, ჩვენთვის უცნობ მასალას. ასეთი მასალები კი მალე ფუჭდება, რის გამოც ჩვენამდე ვერ მოაღწია.

შანგის დინასტიის პერიოდის ჩინეთის არქეოლოგია

შანგის დინასტიის პერიოდი ჩინეთში იყო სამეფოების ჩამოყალიბების, მასშტაბური საომარი კონფლიქტების დაწყების, ახალი ტექნოლოგიების განვითარების ეპოქა. ამ ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები მთელ ჩინეთშია მოფენილი. ძირითადად ყურადღებას გავამახვილებთ შანგის დინასტიასთან დაკავშირებულ არქეოლოგიურ კულტურებზე, თუმცა განვიხილავთ რამდენიმე შანგისაგან დამოუკიდებელ, მაგრამ მასზე არანაკლებ განვითარებულ კულტურებსაც.

როგორც უკვე არაერთხელ ვახსენეთ, შანგის დინასტია არის ჩინეთის დინასტიათაგან პირველი, რომლის არსებობაც არქეოლოგიურადაა დადასტურებული. შანგის არქეოლოგია დაიწყო ინის ნანგრევების გათხრით. ამის შემდეგ, მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში არქეოლოგების აქტიური მუშაობის შედეგად მნიშვნელოვანი აღმოჩენებით გამდიდრდა ჩვენი ცოდნა. ამ აღმოჩენებით მიღებული ინფორმაციისა და მათი წერილობით წყაროებთან შედარებითი ანალიზის მეშვეობით ისტორიკოსებს საშუალება მიეცათ, აღედგინათ შანგის დინასტიის ისტორია. უნდა ითქვას, რომ ჩინეთის მთავრობები, იქნებოდა ეს ჩანგ ქაიშის კუომინტანგი თუ მაო წეტუნგის კომუნისტური პარტია, უკლებლივ ყველა მხარს უჭერდა და შეძლებისდაგვარად ახალისებდა არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას.

შანგის დინასტიის პირველი პერიოდის, დაახლოებით ძვ. წ. მე-15-14 საუკუნეების შესაბამისი არქეოლოგიური კულტურა არის ე.წ. ერლიკანგის კულტურა, ბრინჯაოს ხანის პირველი დიდი კულტურა ჩინეთის ტერიტორიაზე. ერლიკანგი აღმოაჩინეს 1951 წელს თანამედროვე ხენანის პროვინციის დედაქალაქ ჭენგჭოუს გარეუბნებში ჩატარებული გათხრებისას. ამ კულტურის დამახასიათებელი ნიშანი არის ბრინჯაოს წარმოების მასშტაბის საოცარი გაზრდა წინა ეპოქის ბრინჯაოს კულტურებთან შედარებით. თუ ციძიასა და ერლითოუს კულტურების გათხრებისას ჩინეთში ბრინჯაოს წარმოების უძველეს ცენტრებში ასამდე ბრინჯაოს ნივთი აღმოაჩინეს, ერლიკანგში მათი რაოდენობა ასეულებს აღემატება. გაიზარდა არა მარტო რაოდენობა, არამედ ინდივიდუალური ნივთების ზომებიც. ჭენგჭოუში აღმოჩენილი ზოგიერთი ბრინჯაოს ნივთი უფრო მეტს იწონის, ვიდრე ერლითოუს ათეულობით ბრინჯაოს ნივთი ერთად. ეს ფაქტი მიუთითებს

ბრინჯაოს მიღებისა და დამუშავების ტექნოლოგიის განვითარებაზე. დაიხვეწა ბრინჯაოს ჩამოსხმის, ფორმის მიცემისა და გაფორმების ტექნიკაც.


ჭენგჭოუს არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ანტიკური ქალაქის ნაშთები, რომლის საერთო ფართობი 20-25 კვადრატული კილომეტრია. მეცნიერების აზრით, ჭენგჭოუ უნდა იყოს შანგის დინასტიის პირველი ან მეორე დედაქალაქი. დასახლების ცენტრალური ნაწილი შემოსაზღვრულია 7 კმ. პერიმეტრის დატკეპნილი მიწის კედლით. კედლის სიგანე საძირკველში 22 მ. იყო, უმაღლეს წერტილზე კი 9 მ. ქალაქის გარეთაა განლაგებული სამეწარმეო უბნები – ბრინჯაოს, ძვლისა და კერამიკის დამუშავების რაიონები. ქალაქი ნაკლებ ბინძურდებოდა და ხანძრის გაჩენის საფრთხეც ნაკლები იყო. ბრინჯაოს რაიონი 10 ათას კვადრატულ მეტრს ფარავდა. შემორჩენილია ბრძმედებისა და ბრინჯაოს ნარმოების შედეგად დატოვებული ნარჩენები. კერამიკის უბანში აღმოჩენილი მეთუნეობის ნიმუშები ფორმით ბრინჯაოს ნაწარმს ჰგავს. როგორც ჩანს, მეთუნეობამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა და პირველობა ბრინჯაოს დაუთმო მისი სამხედრო, პოლიტიკური და რელიგიური დატვირთვის გამო.

ერლიკანგის კულტურის განსაკუთრებულობა არა მარტო ბრინჯაოს წარმოების ტექნოლოგიისა და მასშტაბების განვითარებაში ჩანს, არამედ კულტურის გავრცელების ფარგლებითაც. მალევე, მას შემდეგ, რაც ერლიკანგში დაიწყო ბრინჯაოს წარმოების ახალი ტექნიკის გამოყენება, იგი გავრცელდა ფართო ტერიტორიაზე, ჩრდილოეთიდან ლიაონინგის პროვინციიდან სამხრეთით ანხუეისა და ჭეძიანგის პროვინციებამდე, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვიდან კანსუს პროვინციამდე. ხალხები, რომლებიც საერთოდ არ იცნობდნენ ბრინჯაოს, ახლა უკვე აწარმოებდნენ მაღალი ხარისხის ბრინჯაოს იმ ტექნიკით, რომელიც ერლიკანგში გამოიყენებოდა. ისტორიკოსთა და არქეოლოგთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ბრინჯაოს დამუშავების ერლიკანგისეული ტექნოლოგიის ასეთი სწრაფი გავრცელება მხოლოდ დიდი მასშტაბის სამხედრო ექსპანსიას შეეძლო გამოეწვია. არქეოლოგიური წყაროები ამჯერად წერილობით წყაროებს ემთხვევა – ჭოუს ეპოქის ისტორიების მიხედვით, შანგის დამაარსებელმა

მეფე თანგმა სიას დაპყრობის შემდეგ სამეფოს საზღვრები კიდევ გააფართოვა მომდევნო დაპყრობითი ომებით.

ერლიკანგის კულტურის სწრაფი ექსპანსიის მაგალითია იანგწის დინების ქვემო წელზე, ხუპეის პროვინციაში ფანგლუნგჩენგის ნაქალაქარი. მიუხედავად იმისა, რომ ჭენგჭოუსთან შედარებით 40-ჯერ მცირე დასახლება იყო, ამ არქეოლოგიური ძეგლის არქიტექტურა, ბრინჯაოს ტექნოლოგია, დაკრძალვის რიტუალები, სამარხში ჩატანებული ნივთები ერლიკანგის კულტურის სრული ანალოგია. კედლებიც კი დატკეპნილი მიწითაა ნაგები. გასათვალისწინებელია, რომ ფანგლუნგჩენგი ჭენგჭოუდან 400 კილომეტრთ სამხრეთით მდებარეობდა (სურ. 28).

ერლიკანგისეული ტექნიკის უნიტარულობა ახლად დაპყრობილ მიწებზე დიდხანს არ გაგრძელებულა. მალევე გამოიკვეთა ცვლილებები როგორც ბრინჯაოს დამზადების და დამუშავების მეთოდებში, ისე მის დეკორაციასა და ფორმებში. სავარაუდოდ, როცა ადგილობრივებმა მიიღეს და შეითვისეს ახალი მეტალის გამოყენების ტექნოლოგია, შანგის დინასტიის სამხედრო და ტექნოლოგიური უპირატესობა მათზე ძალიან შემცირდა, რამაც გამოიწვია ახალი მიწების დაკარგვა. აქ ბრინჯაოს დამუშავების ტექნიკაც ერლიკანგისაგან რამდენადმე განსხვავებული გზით წავიდა. დროთა განმავლობაში ეს განსხვავება იმდენად გაიზარდა, რომ ერლიკანგის უნიტარული კულტურის დროს გავრცელებული ცოდნის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი, ერლიკანგისაგან დამოუკიდებელი ბრინჯაოს კულტურები. ერლიკანგის კულტურის დასრულებიდან (ძვ. წ. მე-14 ს.) ინის ეპოქამდე (ძვ. წ. 12 ს.) პერიოდს ეწოდება გარდამავალი ხანა და მოიცავს ძვ. წ. მე-13 საუკუნეს. გარდამავალი ხანის დროს ძი-



სურ. 28 ფანგლუნგჩენგის სასახლე, რეკონსტრუქცია

რითადი „მოთამაშეები" არიან ზემოთ ნახსენები ახლად გაჩენილი ბრინჯაოს კულტურები. მათ ბრინჯაოს წარმოებაში შემოიტანეს ახალი იდეები, განსხვავებული ტექნიკა და დეკორაციები. გარდამავალი ხანა არ ყოფილა ჩაკეტილი პერიოდი, არამედ ამ ბრინჯაოს კულტურებს შორის იყო აქტიური სავაჭრო-კულტურული ურთიერთობები.

ძვ. წ. მე-12 საუკუნიდან ხუანგხეს ქვემო დინებაზე, თანამედროვე ხენანის პროვინციაში ყალიბდება ანიანგის კულტურა, რომელიც მიეკუთვნებოდა შანგის დინასტიის უკანასკნელ დედაქალაქს, ინს. ანიანგის[1] გათხრები 1928-1937 წლებში დაიწყო. არქეოლოგებმა ეს ადგილი გათხრებისთვის აირჩიეს იმიტომ, რომ ე.წ. „დრაკონის ძვალი", რომელიც რეალურად შანგის დინასტიის დროინდელი სამკითხაო ძვლები იყო, სწორედ აქედან ვრცელდებოდა. გლეხები მიწის დამუშავებისას დიდი რაოდენობით სამკითხაო ძვლებს იღებდნენ ხოლმე მიწიდან. თავდაპირველად არქეოლოგიური სამუშაოების მიზანიც სწორედ ამ ძვლების მოპოვება იყო, მაგრამ, არქეოლოგებისათვის მოულოდნელად, მათ თვალწინ გადაიშალა არა მხოლოდ ძიაკუვენის საცავები, არამედ შანგის ბოლო დედაქალაქის, ინის ნაქალაქარი. ამ აღმოჩენამ დაუდო სათავე შანგის არქეოლოგიის განვითარებას, რასაც შემდეგ არქეოლოგიის მხარდაჭერა მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან.


როგორც აღვნიშნეთ, ანიანგის გათხრების დაწყების მთავარი მიზანი იყო ძიაკუვენის მიგნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ გათხრების შედეგად არაერთი დიდმნიშვნელოვანი აღმოჩენა გაკეთდა, ძიაკუვენის მიკვლევა მაინც რჩება ამ პროექტის მთავარ მიღწევად. ამჟამად ანიანგიდან ამოღებულია 150 ათასამდე ძიაკუვენის ფირფიტა. ძიაკუვენში დაცული ინფორმაცია უმნიშვნელოვანესი წყაროა შანგის დინასტიის არსებობის დადასტურებისა და მისი ისტორიის შესასწავლად.

საკუთრივ ანიანგი ძალიან მასშტაბური დასახლება იყო. მეფე უ ტინგის დროს ქრისტეს შობამდე მე-12 საუკუნის დასაწყისში ქალაქის ფართობი 15 კმ² შეადგენდა. დინასტიის ბოლოს იმავე მაჩვენებელმა 24 კმ² მიაღწია. ქალაქი და მისი შემოგარენი დაყოფილი იყო რამდენიმე რაიონად: დიდი შენობების რაიონი (სადაც,

[1] ქალაქი და პრეფექტურა ხენანის პროვინციაში.

სავარაუდოდ, სამეფო კარი იყო განლაგებული), სატაძრო ადგილი, სამარხების ტერიტორია და სამეწარმეო რაიონი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ დღემდე ანიანგში ვერ აღმოაჩინეს ქალაქის კედლის კვალი. ასეთი მასშტაბური ქალაქი დამცავი კედლის გარეშე ძალიან რთული წარმოსადგენია იმ პერიოდის ჩინეთისათვის. მოყოლებული ძვ. წ. მესამე ათასწლეულის ლუნგშანის კულტურიდან ჩინეთის ტერიტორიაზე არსებული კულტურების დიდი და მცირე დასახლებები ყოველთვის შემოსაზღვრული იყო დამცავი კედლით. თვით შანგის დინასტიის სხვა დასახლებები, მათ შორის ჭენგჭოუ ძალიან კარგადაა გამაგრებული განიერი და მაღალი დამცავი კედლით. ბუნებრივია, ამ ფონზე ანიანგში ქალაქის კედლის არქონა საგონებელში აგდებს ისტორიკოსებს. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ანიანგი იყო არა სამეფოს დედაქალაქი, არამედ მისი რელიგიური ცენტრი. შესაბამისად, მას არ სჭირდებოდა დამცავი კედლები. მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ შანგის დინასტიის ბოლო პერიოდში სამეფოს ტერიტორია იმდენად დაცული იყო, დედაქალაქის უსაფრთხოებას ფაქტობრივად ვერაფერი ვერ დაემუქრებოდა კედლებით შემოზღუდვის გარეშეც. ეს ორი ჰიპოთეზა დამაჯერებელი ჩანს, თუმცა ეწინააღმდეგება შანგის დინასტიის ბოლო პერიოდის ისტორიულ რეალობას. უპირველეს ყოვლისა, ძიაკუვენიდან ვიცით, რომ შანგის ბოლო პერიოდი სულაც არ იყო მშვიდობიანი, სამეფოს ესაზღვრებოდა ძლიერი მოწინააღმდეგეები, რომელთა სამხედრო ძალა შანგისას არ ჩამოუვარდებოდა. რაც შეეხება პირველ ჰიპოთეზას, იბადება კითხვა, თუ რატომ არ უნდა ჰქონოდა თუნდაც რელიგიურ ცენტრს დამცავი კედელი. აქ ხომ სამეფოს ყველაზე საკრალური ნივთები ინახებოდა და გროვდებოდა ძალიან დიდი სიმდიდრე. ამდენად, მტრისათვის დაპყრობისა და გაძარცვის ერთ-ერთი საინტერესო ადგილი იყო. ამიტომ დღემდე ვერ იხსნება ანიანგში ქალაქის კედლის უქონლობის ფაქტი.

ანიანგის ერთ უბანში განლაგებულია შედარებით დიდი ზომის ნაგებობები. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს სამეფო სასახლეებისა და ტაძრების ნარჩენები. ნაგებობათა სიგრძე 20 მ-ია, სიგანე კი 50 მ. ნაგებობათა შორის ყველაზე გრძელი 85 მ-ს აღწევს. აქაც გამოყენებულია ტრადიციული დატკეპნილი მიწის ტექნიკა. ამ შენობების გარშემო აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ძიაკუვენი, რაც მიუთი-



სურ. 29 ნეფრიტის კაცის ქანდაკება ფუ ხაოს სამარხიდან

თებს, რომ აქ სარიტუალო ადგილი უნდა ყოფილიყო.

ანიანგის არქეოლოგიური უბნიდან ყველაზე მნიშნელოვანი მაინც სამარხების რაიონია. სამარხები არა მარტო იმ პერიოდის არქიტექტურასა და რწმენა-წარმოდგენებზე გვაწვდის ინფორმაციას, არამედ ასევე ინახავს მიცვალებულისათვის ჩატანებულ არტეფაქტებს, რომლებიც მნიშვნელოვანი წყაროა შანგის დინასტიის ტექნოლოგიის, სოციალური სიტუაციის, პოლიტიკისა და ეკონომიკის შესახებ. ანიანგის სამარხები განსხვავდებიან ზომის მიხედვით. სამარხის ზომა შეესაბამება პიროვნების სოციალურ სტატუსს. ყველაზე დიდი ეკუთვნოდა მეფეს. ერთ-ერთი მეფის სამარხის ზომა ჩრდილოეთიდან სამხრეთით 66 მ-ია, აღმოსავლეთიდან დასავლეთით კი 44 მ იყო. სამეფო სამარხი ჯვრის ფორმის იყო. მას ოთხივე მხრიდან ჰქონდა შესასვლელი[1]. შესასვლელი დერეფნების გადაკვეთის წერტილას იყო ოთხკუთხედი ოთახი, სადაც ასვენებდნენ გარდაცვლილსა და იმ პიროვნებებს, რომლებმაც თავიანთი ნებით გადაწყვიტეს ბატონს გაჰყოლოდნენ იმქვეყნიურ სამყოფელში. დასაკრძალი ოთახი ასევე ივსებოდა დიდი რაოდენობით შესაწირი ნეფრიტის, ბრინჯაოს, კერამიკის ნივთებით (სურ. 29). მაღალი სოციალური სტატუსის პირებს, განსაკუთრებით კი მეფეებს, სამარხში ასევე აყოლებდნენ შეწირულ ცხოველებსა და ადამიანებს, რომლებსაც უნდა დაეცვათ მიცვალებული ავი სულებისაგან. ზოგან შეწირული ადამიანების რიცხვი ლამის 500-ს აღწევს. შეწირულ ცხოველებში სპილოც არის ნაპოვნი.

ანიანგის სამარხების აბსოლუტური უმრავლესობა გაიძარცვა ანტიკურ პერიოდშივე. ერთადერთი სამარხი, რომელმაც ხელუხლებლად მოაღწია ჩვენამდე ეკუთვნის უ ტინგის ხარჭას, ფუ ხაოს. ფუ ხაოს სახელი ზემოთაც ვახსენეთ. ის იყო უ ტინგის საყვარელი ხარჭა, ძალიან ნიჭიერი და ამბიციური ქალი, რომელ-

[1] მდიდარი ნარჩინებულების სამარხებს მხოლოდ ორი შესასვლელი ჰქონდა.



სურ. 30 ბუს გამოსახულების ჭურჭელი, ფუ ხაოს სამარხიდან

მაც დაარღვია ანტიკური ჩინეთის სოციალური წესები და აქტიურად მონაწილეობდა უ ტინგის სამხედრო კამპანიებში როგორც სარდალი. როგორც ჩანს, ფუ ხაო ახალგაზრდა გარდაიცვალა, რადგან უ ტინგი მის სახელზე ატარებდა ხოლმე რიტუალებსა და მსხვერპლსაც ხშირად სწირავდა. შანგის დინასტიის რწმენა-წარმოდგენების მიხედვით კი რიტუალი მხოლოდ გარდაცვლილ ადამიანს შეიძლება მიეძღვნას. დაზუსტებით ვიცით, რომ ეს კონკრეტული სამარხი ეკუთვნის მართლაც ფუ ხაოს, რადგან მის სამარხში აღმოჩენილ ნივთებზე ძალიან ხშირად წერია ეს სახელი. ფუ ხაოს სამარხის ზომები მოკრძალებულია მეფეების სამარხებთან შედარებით. მისი დასაკრძალი ოთახი 5.6 მ-ია სიგრძეში, 4 მ – სიგანეში. მიუხედავად ამისა, ამ ერთ სამარხში 1928 ნივთია ჩატანებული. მათი უმეტესობა ნეფრიტის, ბრინჯაოს, ძვლის იარაღები და საყოფაცხოვრებო ნივთებია. აქვეა მარგალიტისა და ფირუზის თვლები, სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი სამი ჭიქა, რომელთაგან ორი ფირუზის თვლებით იყო მოოჭვილი. ფუ ხაოს სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების საერთო წონა 1600 კილოგრამია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ის მხოლოდ ხარჭა იყო, ადვილი წარმოსადგენია რამდენად უფრო მდიდარი უნდა ყოფილიყო მეფეთა სამარხები. შესაწირი ნივთების ასეთი სიმდიდრე შანგის დინასტიის ეკონომიკურ სიძლიერეზე მეტყველებს (სურ. 30).

განსაკუთრებით საყურადღებოა ეტლის აღმოჩენა ანიანგში. არსად მანამდე ჩინეთის ტერიტორიაზე ეტლი დაფიქსირებული არაა. უფრო მეტიც, ანიანგში ეტლების გამოჩენამდე ჩინეთში ბორბალიც კი არ გამოიყენებოდა და არც ცხენი იყო მოშინაურებული. ბუნებრივია, ასეთ ფონზე უცებ ეტლის გამოჩენა ნიშნავს, რომ ის გარედან არის შემოტანილი, ანუ სხვა კულტურიდან გადმოღებული ელემენტია. ეტლი, ისევე როგორც მშვილდ-ისარი და სარკეები, ანიანგში შესულია ჩრდილოეთის ზონიდან, რომელსაც ახლო კონტაქტები ჰქონდა სტეპისა და ციმბირის მოსახლეობასთან. ეტლი ძირითადად

ხისაგან მზადდებოდა, გადასაბმელების მასალად გამოყენებული იყო ბრინჯაო. ანიანგის ეტლს არ ჰქონდა საბრძოლო დანიშნულება. ახლო აღმოსავლეთის ეტლებთან შედარებით, ის უფრო მოცულობითი და მძიმეა. მისი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ბრძოლის ველზე ბრძანებების სწრაფი გადაცემა, არმიის მობილურობის გაზრდა და სხვა. შანგის პერიოდის ეტლი ანიანგის გარდა მხოლოდ სიანში, შანსის პროვინციაშია აღმოჩენილი და ისიც ანიანგის ეტლის ანალოგია. ეტლი მხოლოდ შანგის დინასტიას არ ჰყავდა იმ პერიოდში. თვით ძიაკუვენიდან ნათლად ჩანს, რომ შანგის მოწინააღმდეგე არმიების შემადგენლობაშიც არაერთხელ დასტურდება ეტლები.

როგორც ამ თავის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, წერილობით წყაროებთან შეუსაბამისობის გამო არაერთი მნიშნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენა იგნორირებულია ან არასწორადაა გაგებული. შანგის დინასტიის პერიოდში ჩინეთის ტერიტორიაზე არსებობდა სხვა კულტურებიც, რომელთა ბრინჯაოს დამზადების ტექნიკა და არქიტექტურა არაფრით ჩამოუვარდება ერლიკანგისა და ანიანგის კულტურებს. ეს კულტურები აშკარად მათგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდნენ. ასეთი სახის კულტურებიდან გამოსარჩევია იანგწის დინების ქვემო წელი და სანსინგტუეი ჩინეთის დასავლეთით, სჩუანის პროვინციაში.

ანიანგის ნაქალაქარის თანადროულად იანგწის დინების ქვემო წელზე, თანამედროვე ხუპეის პროვინციის სამხრეთ და ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე, არსებობდა დასახლებები, რომელთა ბრინჯაოს დამუშავების დონე საკმაოდ მაღალი იყო, თან ანიანგის სტილისაგან რამდენადმე განსხვავებული, არა მხოლოდ დამუშავების ტექნიკით, არამედ ნივთის დანიშნულებით, ფორმებითა და დეკორაციით. მთავარი განსხვავება არის სამხრეთის კულტურაში დიდი ზომის ზარების სიხშირე. ბრინჯაოს ზარი ანიანგშიც მზადდებოდა, მაგრამ შედარებით ცოტა და მცირე ზომის. სამხრეთით კი მათი წონა ზოგჯერ 200 კგ-ს აღწევდა. თუ ანიანგში ძირითადად ბრინჯაოს აფორმებდნენ მითიური ცხოველების დეკორაციით, როგორიცაა დრაკონი, ფენიქსი და სხვა, სამხრეთში უმეტესად რეალური ცხოველების მოტივებს ანიჭებდნენ უმეტესობას. არა მხოლოდ ცხოველების გამომსახველ დეკორს იყენებდნენ ბრინჯაოსთვის, არამედ ცხოველების ფორმის ბრინჯაოს ქანდაკებებსაც

ასხამდნენ. მაგალითად, სპილოს და ტახის ბრინჯაოს ქანდაკებები. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთის კულტურის დიდი დასახლებები არაა შემორჩენილი, ბრინჯაოს ნივთების ზომები და რაოდენობა მეტყველებს, რომ აქ დიდი საქალაქო კულტურები უნდა ყოფილიყო განვითარებული.

კიდევ უფრო საინტერესოა სანსინგტუეის ნასახლარი სჩუანის პროვინციაში. ეს ტერიტორია საკმაოდ დაშორებულია როგორც შანგის დინასტიის, ისე სამხრეთის კულტურის რეგიონიდან. მისი ბრინჯაო გამოირჩევა ინდივიდუალური ფორმებითა და ტექნიკით. სანსინგტუეის ნასახლარი ქრონოლოგიურად ჯდება ძვ. წ. 15-11 საუკუნეებში, მოყოლებული ჭენგჭოუს პერიოდიდან ანიანგის კულტურის დასრულებამდე. ნასახლარი შემოზღუდული იყო დატკეპნილი მიწისგან აგებული კედლით. კედლის სისქე საფუძველში 40 მ იყო, სიმაღლე 6 მ. კედელი 2.6 კმ² ტერიტორიას საზღვრავდა, თუმცა გალავნის გარეთ დასახლება გრძელდებოდა და საერთო ჯამში 12 კმ²-ს მოიცავდა. რადგანაც ეს ნაქალაქარი ათასწლეულების განმავლობაში უცნობი იყო ადამიანებისათვის და მხოლოდ მეოცე საუკუნის ბოლოს აღმოაჩინეს არქეოლოგებმა, მისი სამარხები გაუძარცვავია. მიუხედავად იმისა, რომ აქაური სამარხები ანიანგის სამარხებთან შედარებით მცირე ზომისაა, მათში ჩატანებული ნივთები უკლებლივ შემონახულია. ფიქსირდება რიტუალური ორმოები, თუმცა განსხვავებით შანგის დინასტიისა, სანსინგტუეიში ასეთი ორმოები შეწირული ადამიანებით კი არა, არამედ შეწირული სპილოს ძვლების, ბრინჯაოსა და ნეფრიტის ნივთებით იყო სავსე. როგორც ჩანს, არც აქაური კულტურის სარიტუალო პრაქტიკაში არ იყო ადამიანების მსხვერპლად შეწირვის წესი.


ძალიან ინდივიდუალურია სანსინგტუეის ბრინჯაო. თუ ანიანგსა და იანგწის ქვემო წელის კულტურებში ბრინჯაოს ნივთების გაფორმების ძირითადი მოტივი იყო ცხოველები, მითიური და რეალური, სანსინგტუეიში უმეტესად ადამიანის ფორმებს გამოსახავდნენ. რაც მთავარია, არაერთი ბრინჯაოს ქანდაკება ადამიანის ზომისა იყო. ამ ბრინჯაოს ქანდაკებების ჩაცმულობით ვიგებთ, თუ როგორი სტილის ტანსაცმელს იყენებდა ამ კულტურის ხალხი – ისინი იცვამდნენ გრძელ სამოსს გრძელი სახელოებით, რომლის ბოლოები მუხლებამდე აღწევდა. ასევე აღმოჩენილია ადამიანის სახის ბრინ-

ჯაოს ნიღბები. უცნობია თუ რაში იყენებდნენ მათ, რიტუალური დანიშნულებით ჰქონდათ თუ კიდევ რაიმე სხვა მიზნით იყენებდნენ. ყველაზე უცნაური მაინც მთლიანად ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული სამი ოთხმეტრიანი ხე იყო, რომლის მსგავსი არც ერთ მის თანადროულ კულტურაში არ დასტურდება.

სანსინგტუეის კულტურის წარმომავლობა დღემდე გაურკვეველია. ის ისევე უკვალოდ გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა. ძვ. წ. მე-11 საუკუნეში აქ წყდება ადამიანის აქტივობა. არ დასტურდება ამ კულტურის გავლენა სხვა, შემდეგი ეპოქის კულტურებზეც. სულ რაღაც ერთი საუკუნის შედმეგ სანსინგტუეიდან 10 კმ-ში დასავლეთ ჭოუს დასახლება დაარსდა, თუმცა მათ არაფერი იცოდნენ სანსინგტუეის კულტურის ნასახლარის არსებობაზე.

შანგის ეპოქის არქეოლოგია დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას სამეცნიერო წრეებში. არქეოლოგიური სამუშაოები ძირითადად გაშლილია შანგის დინასტიის დაფარვის რეგიონში, რათა შეძლებისდაგვარად აღადგინონ ჩინეთის პირველი რეალური დინასტიის ცხოვრების ისტორია. თუმცა, ფაქტია, რომ შანგის ფარგლებს გარეთაც არსებობდა განვითარებული კულტურები და მიუხედავად იმისა, რომ წერილობითი წყაროები მათზე ინფორმაციას არ გვაწვდიან, საჭიროა ამ კულტურების სათანადოდ გამოკვლევა და ობიექტურად შესწავლა. ჩინეთის უძველესი ისტორია უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდება.

ჭოუს დინასტია



სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ჭოუს ეპოქის ორ ძირითად პერიოდად დაყოფა: დასავლეთი ჭოუ (ძვ. წ. XI-VIII სს.) და აღმოსავლეთი ჭოუ (ძვ. წ. VIII-III სს.), რომელიც ასევე იყოფა ორ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ დროის მონაკვეთად – გაზაფხულისა და შემოდგომის (ჩუნციოუ, ძვ. წ. VIII-V სს.) და მებრძოლი სამეფოების (ჭანკუო, ძვ. წ. V-III სს.). მოცემული პერიოდიზაცია ზუსტად ასახავს ამ ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების დინამიკას. დასავლეთი ჭოუ არის ჭოუს ცენტრალიზებული სახელმწიფოს განმტკიცებისა და აღზევების ეპოქა. გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში მიმდინარეობს სამთავრო მამულების იმ ნაწილების დამოუკიდებელ სახელმწიფო წარმონაქმნებად ტრანსფორმირების პროცესი, რომლებიც თავის დროზე ჭოუს დამაარსებელმა უ ვანგმა თავის ნათესავებსა და თანამებრძოლეებს დაუნაწილა. ეს ნაწილები მხოლოდ ნომინალურად იყვნენ დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე. მებრძოლ სამეფოთა პერიოდი ცნობილია ჭოუს სახელმწიფოს საბოლოო დაშლისა და ჩინეთის ტერიტორიაზე რამდენიმე სუვერენული სამეფოს დაარსებით, რომელთა შორის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად ძლიერი იყო შვიდი სამეფო-ჰეგემონი. ჭოუს საზოგადოების სულიერი ცხოვრების მხრივაც ინტენსიური და ნოვატორული ხასიათის პროცესები იკვეთება. ეს იყო ეროვნული ფილოსოფიური აზრის ფორმირებისა და დამოუკიდებელი ფილოსოფიური მიმართულებებისა და სკოლების, მათ შორის კონფუციზმისა და ტაოიზმის, გამოკვეთა.

ჭოუს დინასტია გამოირჩევა სწორედ იმით, რომ ამ დროს ჩამოყალიბდა ძირითადი სახელმწიფო ინსტიტუტები, მორალური ღირებულებები, მაღალზნეობრივი ნორმები და ფასეულობები, რამაც განსაზღვრა ჩინეთისა და ჩინური კულტურის სახე.

დასავლეთი ჭოუ

ისტორიული წყაროების მიხედვით, ჭოუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო შანგელი მმართველების (ვანგების) ადმინისტრაციული გავლენის სფეროში და ჭოუელები საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებით ჩამორჩებოდნენ შანგელებს. ჭოუ ძვ. წ. II ათასწლეულში აღუდგა შანგის ჰეგემონიას.

ჭოუს პერიოდი გაგრძელდა რვა საუკუნის განმავლობაში, თუმცა მისი წარმომადგენლები ყოველთვის არ ფლობდნენ რეალურ ძალაუფლებას იმ მიწებზე, რომლებიც ფორმალურად მათ მფლობელობაში შედიოდა. მხოლოდ სამი საუკუნის განმავლობაში ჰქონდათ რეალური ძალაუფლება და ჭოუს პირველი მეფეები უდავოდ გამორჩეული მმართველები იყვნენ. სწორედ ამ პირველ ფაზას ეწოდა დასავლეთი ჭოუ.

დასავლეთი ჭოუს პერიოდში გაფორმდა ჭოუს რელიგიური და პოლიტიკური კულტურა, რომელიც გაბატონდა აღმოსავლეთ აზიის დიდ ნაწილში.

ჭოუს ძალებმა აღმოსავლეთის მიმართულებით თავიდანვე უამრავი ტერიტორიის ოკუპირება მოახერხეს. თავდაპირველად მიწა ითვლებოდა ტომის კუთვნილებად, ხოლო მოგვიანებით დაიყო ახალი კლასის, არისტოკრატების კერძო სამფლობელოებად. ეს არისტოკრატები მეფის, მოკავშირეთა ლიდერების, ადგილობრივი ბელადების ნათესავები იყვნენ, რომლებიც უზენაეს მმართველს, ვანგს, ერთგულებას ეფიცებოდნენ. ისინი კრებდნენ გადასახადებს, რომლის ნაწილიც სამეფო ხაზინაში მიდიოდა. ჭოუს სამეფოს ვანგი თავის ვასალებსა და არჩეულ მოხელეებს მაღალ თანმდებობებზე მდიდრული ცერემონიებით ნიშნავდა. თანამდებობებზე დანიშნულ ადამიანებს გადასცემდნენ საჩუქრებს. საჩუქრების ფასი დამოკიდებული იყო მათ რანგზე, დაწყებული ღვინიდან დამთავრებული ბრინჯაოს ჭურჭლით,



სურ. 31 ნეფრიტის ვეფხვი

მონებით, ცხენებით, ეტლებით, იარაღებით, ნეფრიტის ნაკეთობებით, საქონელით, წითელი ფეხსაცმელებით, ტანსაცმელით და სხვა. ყველაზე მნიშვნელოვან პირებს გადასცემდნენ ბრინჯაოს ჭურჭელს, რომელსაც ამ ამბის აღმნიშვნელი წარწერა უკეთდებოდა. მათი ნაწილი დღემდე არის შემონახული და ისტორიკოსებისთვის ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა (სურ. 31; სურ. 32).

სამფლობელოების მთავრებს ასევე გადაეცემოდათ ნეფრიტის სკიპტრა, რომელიც ზომით სამეფო სკიპტრაზე პატარა იყო. მათ მეფესთან ნეფრიტის სკიპტრით ხელში შეხვედრა ევალებოდათ.

ახალმა სამეფომ ზომით ძველს გადააჭარბა. მან ძალიან სწრაფად შთანთქა თითქმის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი, მდინარე იანგწიდან უდაბნოებამდე.

ჭოუელების ბელადის, ძი ჩანგის[1] შვილმა, უ ვანგმა შეკრიბა ჭოუსა და მოკავშირეების არმია და მუიესთან[2] ახლოს გადამწყვეტ ბრძოლაში შანგელები დაამარცხა, მაგრამ შანგის სახელმწიფოს დედაქალაქის აღებითა და ტი სინის სიკვდილით არ დასრულებულა შანგის სახელმწიფოს არსებობა (სურ. 33). როგორც ჩანს, ჭოუელები არ იყვნენ მზად საკუთარი ძალებით ამხელა ტერიტორიის სამართავად. აქ იყო უამრავი ნახევრად დამოუკიდებელი სამფლობელო და ტომობრივი ჯგუფი. უ ვანგი იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ჭოუს მიწებზე. დაბრუნებამდე კი შანგის მმართველების წინაპრებისთვის მსხვერპლშეწირვის ცერემონია ჩაატარა. მიწები თავის ნათესავებსა და ახლობლებს მემკვიდრეობით გადასცა მფლობელობაში, რითაც საფუძველი ჩაუყარა სამფლობელოებად დაყოფის სისტემას. უ ვანგმა ნება დართო შანგის ბოლო მმართველის, ტი სინის შვილს, უ კენგს, ემართა



სურ. 32 ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი

[1] 姬昌 ძი ჩანგი. მოგვიანებით ჭოუელებმა მიანიჭეს ტიტული ვენ ვანგი (文王).
[2] 牧野 მუიე, ხენანის პროვინციაში.



სურ. 33 უ ვანგი

ყოფილი სატახტო ქალაქ ინში, თუმცა უ კენგი უკვე სხვა სამფლობელოთა მმართველების რანგს გაუთანაბრდა. მას უნდა მიექცია ყურადღება, რომ „არ შეწყვეტილიყო შანგის წინაპრებისთვის მსხვერპლშეწირვები. უ ვანგმა „მრჩევლებად" დატოვა თავისი ძმები (აღმოსავლეთით – კუან შუ, ინში კი – ცაი შუ და ხუო შუ), რომელთაც პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით უნდა გაეკონტროლებინათ უ კენგი და დედაქალაქის მოსახლეობა.

უ ვანგმა დაიწყო ახალი დედაქალაქის, ლუოის, მშენებლობა აღმოსავლეთში, მდ. ლუოხეს მიდამოებში, სადაც მდებარეობდა ძველი პოლიტიკური და საკრალური ცენტრი; სადაც, როგორც სმა ციენი გვამცნობს, იყო „ცისქვეშეთის გული". უ ვანგის ძმის, ჭოუ კუნგის ძალისხმევით, ახალი დედაქალაქის მშენებლობა უ ვანგის მემკვიდრის, ჩენგ ვანგის დროს დასრულდა, მაგრამ მას იყენებდნენ მხოლოდ საყოველთაო სახელმწიფო რელიგიური ცერემონიების ჩასატარებლად. ჭოუს სამეფო კარი აღარ დაბრუნებულა დედაქალაქში.

ამის შემდეგ, უ ვანგი შეუდგა შანგის კუთვნილ ტერიტორიებზე რეალური კონტროლის დამყარებას. მან მფლობელებად თავისი უახლოესი ნათესავები დააყენა. ტერიტორიების ნაწილზე კი დატოვა ადგილობრივი გვარის წარმომადგენლები, რომლებიც ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ ახალი დინასტიის მიმართ.

უ ვანგი მალევე გარდაიცვალა. მისი მცირეწლოვანი შვილი ჩენგ ვანგი უ კენგის და თავისივე ბიძების – კუან შუსა და ცაი შუს შეთქმულების შედეგად, შანგელების ამბოხების წინაშე აღმოჩნდა. ჭოუს ჯარს ისევ მოუწია ამბოხებული შანგელების დედაქალაქის შტურმით აღება. ჩენგ ვანგის ერთ-ერთმა ბიძამ, რეგენტმა ჭოუ კუნგმა ჩაახშო ამბოხება და ორგანიზატორები – კუან შუ და უ კენგი კი სიკვდილით დასაჯა. ცაი შუ გააძევა, ხოლო შანგელები სხვაგან გადაასახლა და მათზე ჭოუს ხელისუფლების კონტროლი დააწესა.[1]

[1] არსებობს ვარაუდი, რომ ჩენგ ვანი იყო უზენაესი სამხედრო ლიდერი. ჭოუ კუნგს მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს მიანერენ. ჩენგ ვანგმა მიაღწია უმაღლეს ადმინისტრაციულ ძალაუფლებას შანგის დაპყრობილ მიწებზე.

ასე დასრულდა ჩენგ ვანგის მართვის პერიოდში შანგის დამოუკიდებლობა, ლიკვიდირებულ იქნა მისი პოლიტიკური ძალაუფლების ყველა სიმბოლო და სახელმწიფო-ადმინისტრაციული მმართველობის ნაშთები. ჭოუ კუნგმა, თავისი მტკიცე ხასიათისა და ინტელექტის წყალობით, დაუნდობელი სამხედრო ოპერაციებითა და სწორი გათვლებით, უბოძა მეფეს მშვიდობა და გააძლიერა მისი ძალაუფლება.



სურ. 34 ჭოუ კუნგი

ტრადიციულად ითვლება, რომ სწორედ ჭოუ კუნგმა შეძლო დასავლეთ ჭოუს სახელმწიფოს ფორმირება (სურ. 34). მას მიაწერენ ზოგიერთი საკრალური ტექსტის შედგენას, რომლებიც მოგვიანებით „შუძინგში" შევიდა. მასვე მიეწერება ცერემონიალის ნორმების სისტემატიზაცია და იმ პოსტულატთა ნაწილის ავტორობა, რომლებიც საფუძვლად დაედო ჩინელების წარმოდგენებს უზენაეს ძალაუფლებაზე. არსებობს ვარაუდი, რომ ჭოუელების ძალაუფლების ლეგიტიმაციის მიზნით, ცის ნება დასახელდა შანგის დინასტიის დაცემის მიზეზად. ამით საშუალება მიეცათ დამორჩილებულ შანგელებს სახე შეენარჩუნებინათ.[1] ჭოუ კუნგმა შექმნა კონცეფცია – ცის მანდატი (თიენ მინგი) ანუ უზენაესი ძალაუფლება, რომელსაც უბოძებს ცა გამოურჩეულებს და ჩამოართმევს იმ შემთხვევაში, თუ დაიკარგება ზნეობრიობა (ტე), ანუ მორალური ღირსება და სიკეთე.[2]

ცა (თიენ) იყო ჭოუელების უმაღლესი ღვთაება. ცის კულტმა უმაღლესი სახელმწიფო მნიშვნელობა შეიძინა. ცა ცისქვეშეთის მართვის უფლებას მხოლოდ ღირსეულს ანიჭებდა. ჭოუ კუნგმა ჩამოაყალიბა ხელისუფლების შეცვლის კონცეფცია – ჯერ ცამ მანდატი უბოძა სიას დინასტიას, შემდეგ კი, მისმა ბოლო მმართველმა, რომელიც იყო სასტიკი და დაუნდობელი, უღირსი ქმედებების გამო, დაკარგა ცის კურთხევა და მისი ძალაუფლება გადავიდა შანგზე, ანუ გამოდის, რომ შანგის ბოლო მეფემ – ტი სინმა თავისი ამ-

[1] ამ ხერხს ხშირად იყენებდნენ ქვეყნის მეთაურის წინააღმდეგ შიდაპოლიტიკური დაპირისპირებისა და სხვა ქვეყნებთან შეტაკების დროს.

[2] ზოგიერთი მეცნიერი ამ კონცეფციის შემუშავებას მიაწერს ვენ ვანგს – ჭოუელების ბელადს, ძი ჩანგს.

პარტავნების, უსამართლობის, სისასტიკის, უზნეობის გამო დაკარგა ცის მანდატი. ცამ გადასცა მანდატი უ ვანგს. ჭოუს ძალაუფლება ითვლებოდა ცის ბოძებულად. ამდენად, ჭოუელები ვალდებულნი იყვნენ შანგი დაემხოთ.

ჭოუელებმა ბევრი ტექნიკური და კულტურული მიღწევა გადაიღეს შანგელებისაგან, მათ შორის ტანსაცმელი, ეთიკური ნორმები, ხელოვნება, რელიგიური მრწამსი, დამწერლობა და ა.შ. როგორც ვარაუდობენ, ჭოუელები სარგებლობდნენ დამწერლობით, რომელიც შანგის დაპყრობამდე არსებითად განსხვავდებოდა ინის დამწერლობისგან. ასევე გადაიღეს კალენდარი, მათემატიკა, ბორბლიანი ტრანსპორტი. მათ სრულყვეს ბრინჯაოს ჩამოსხმის ტექნიკა, დაიწყეს შრომის იაღარების დამზადება.

ჭოუელებმა, მართალია, შანგის დაპყრობის შემდეგ, გადაიღეს მათგან მართვის გამოცდილება, თუმცა შეიმუშავეს თავისი მართვის სისტემა და არ ახდენდნენ შანგელების კოპირებას.

იმ დროისთვის მინათსარგებლობის პროგრესული სისტემის შემოღების, მეურნეობის სხვადასხვა ფორმის მოქნილი შეთავსების, ეკონომიის რეჟიმის დაცვის, გონივრული საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარების წყალობით, ჭოუს სამეფო არცთუ ისე დიდი სახელმწიფოდან იქცა უზარმაზარ და ძლიერ სახელწმიფოდ.

მთლიანობაში, ჭოუს სახელმწიფოს გააჩნდა თავისი მართვის აპარატი, თავისი ბიუროკრატია, თავისი სისხლის სამართლის კოდექსი, ციხეები, ჯარი, თავისი რელიგიური წარმოდგენები, თავისი იდეოლოგია.

ჭოუს მმართველებმა შექმნეს მართვის ეფექტური სისტემა, რომელსაც შეეძლო სიტუაციასთან გამკლავება სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე. ჯარი გამოიყენებოდა მხოლოდ შორეულ გარნიზონებზე არსებული ბარბაროსების წინააღმდეგ.

ჭოუ კუნგმა შეინარჩუნა და სრულყო სამფლობლოების დაყოფის სისტემა. ჭოუს სამეფოში უზენაესი მმართველი იყო *ვანგი*. ის ატარებდა ცის შვილის ტიტულს *(თიენ წი)* და ითვლებოდა ერთადერთ შუამდგომლად ცასა და ხალხს შორის. სამფლობელოების სხვა მემკვიდრეობითი მფლობელები *(ჭუხოუ)* თავიანთი ტიტულების თანახმად იყოფოდნენ ხუთ კატეგორიად – *კუნგი, ხოუ, პო, წი, ნანი*.

ჭუხოუს დაბლა იდგნენ დიდგვაროვანი მიწათმფლობელები *(ტაფუ)*, რომელთაც ეკავათ მნიშვნელოვანი თანამდებობები სამეფო კარზე, მაგრამ არ გააჩნდათ სამფლობელოები. იერარქიულ კიბეზე ტაფუს დაბლა იდგნენ მიწათმფლობელები *(ში)* – ოჯახის თავები და მმართველები. მათ დაბლა უკვე – დაქვემდებარებული მოსახლეობა (*შუჟენი*, იგივე – უბრალო ხალხი): ხელოსნები *(კუნგი)*, ვაჭრები *(შანგი)*, ასევე გლეხები, მოსამსახურეები, მონები *(წაოლი)*. ვანგის გარდა, ყველა იყო ვალდებული, ყველა ზემდგომისთვის გადაეხადა ხარკი სიმინდის, აბრეშუმის და ნეფრიტის სახით. მიწას ამუშავებდნენ გლეხები, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ მიღებული ნაკვეთის სანაცვლოდ დაემუშავებინათ მიწათმფლობელების ნაკვეთები. ამ სოციალურ კატეგორიებს შორის არსებობდა მატერიალური და საზოგადოებრივი სხვაობა. ვანგს შეეძლო საკვებად გამოეყენებინა ხარის, ცხვრისა და ღორის ხორცი; ჭუხოუს – საქონლის; ტაფუს – ღორის; შის – თევზის; შუჟენს კი – ბოსტნეული. ვანგს შეეძლო მსხვერპლად შეეწირა 3 ხარი, 3 ცხვარი და 3 ღორი; ჭუხოუს – ხარი, ცხვარი და ღორი; ტაფუს – ცხვარი და ღორი; შის – ღორი; შუჟენს – თევზი. ანალოგიური განსხვავებები იყო ჩაცმულობაში, საცხოვრებელსა და იარაღებში.

მეფეების, ფეოდალური მმართველებისა და ტაფუს შვილები სწავლობდნენ მშვილდის სროლას, ეტლის მართვას, ფარისა და შუბის გამოყენებას, ცეკვებს, მუსიკას, რიტუალებს და სხვა. იდეალური მეომარი არა მხოლოდ კარგად უნდა დაუფლებოდა იარაღის გამოყენების ხელოვნებას, არამედ უნდა ყოფილიყო ერთგული და მის პირად უსაფრთხოებაზე წინ ღირსება დაეყენებინა, ვალდებულება – სიცოცხლეზე წინ და არ შეშინებოდა სირთულეებს.

ადამიანის სოციალური სტატუსი განისაზღვრებოდა ნათესაური კავშირით. უფროს ვაჟს გადაეცემოდა მამის რანგი, სხვა დანარჩენი შვილები ერთი რანგით ქვეითდებოდნენ. მაგალითად, ჭუხოუს გვერდითი შთამომავლები მესამე თაობაში ხდებოდნენ უბრალო ადამიანები. მხოლოდ ჭუხოუს უფროსი ვაჟები და პირდაპირი შთამომავლები იყვნენ მათი მემკვიდრეები და იმავე პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რომლებითაც – მათი მამა. ჭოუს საზოგადოებაში ქონებრივ უთანასწორობას საფუძვლად ედო სოციალური უთანასწორობა. სოციალური ფენის წარმომადგენელი იყო გავლენიანი არა სიმდიდრის

წყალობით, არამედ – პირიქით: მისი გავლენა განაპირობებდა მის სიმდიდრეს. მაშასადამე, ადამიანის საზოგადოებრივი სტატუსი განისაზღვრებოდა მისი დაბადებისთანავე.

დანაშაულისთვის ადამიანს მონად აქცევდნენ, ანუ მას მიაკუთვნებდნენ იმ სოციალურ ჯგუფს, რომელიც სოციალურ იერარქიში არ შედიოდა. ჭოუელებმა უარი თქვეს ტყვეების მასობრივ მსხვერპლშეწირვაზე, არჩიეს მათი მონებად ქცევა და შრომისთვის, კერძოდ კი – მინათმოქმედებასა და მშენებლობაში გამოყენება.

დასავლეთ ჭოუს ეპოქაში დაიწყო ადმინისტრაციული აპარატის ჩამოყალიბება, რომლითაც განისაზღვრებოდა ყოველი ჩინოსნის თანამდებობრივი მოვალეობა და სადაც ერთი მოხელე მეორეს უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

იერარქიის მწვერვალზე იყო დიდი დამცველი *(თაიპაო)*, დიდი მდივანი *(თაიში)*, ცერემონიების დიდი ოსტატი *(თაიწუნგი)*, მთავარსარდალი *(შიში)*, მმართველის პირადი დაცვის უფროსი *(ხუჩენი)*. ამ ჩინოსნების ქვემოთ, ბოლო საფეხურზე იყვნენ სხვადასხვა უწყებების უფროსები *(სჰი)*, მათ შორის ხალხის საქმეებსა და ცხენებზე პასუხისმგებელი საზოგადოებრივი სამსახურის უფროსი.

შვიდწლიანი რეგენტობის შემდეგ, როდესაც ახალგაზრდა ცის შვილმა, ჩენგ ვანგმა სრულწლოვნებას მიაღწია, ჭოუ კუნგმა ყველა პრინციპის დაცვით დაუთმო მას საკუთრი ტახტი და ძალაუფლება, თუმცა გაურკვეველი დაპირისპირების გამო იძულებული გახდა ჩუს სამეფოში გაქცეულიყო. შედეგად, დამოუკიდებელი მართვის დასაწყისში ჩენგ ვანგს მოუწია სამხრეთში ჩუს სამეფოს წინააღმდეგ გალაშქრება, თუმცა გამარჯვების მოპოვება ვერ მოახერხა. ჩუს მონარქმა არ გადასცა ჭოუ კუნგი, მოგვიანებით კი, ჩენგ ვანგის თხოვნით, იგი თვითონ დაბრუნდა ჭოუში.

ჩენგ ვანგის დროს ოთხი ქალაქი – ფენგი და ხაო (ქ. სიანთან ახლოს), წუნგჭოუ, სადაც მდებარეობდა ჭოუს სამეფო გვარის წინაპრების ტაძრები და ჩენგჭოუ იყო ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საქმიანობისა და რელიგიური ცხოვრების მთავარი ცენტრები. როგორც ჩანს, სწორედ ამ ტერიტორიებზე სახლობდნენ ჭოუელები. გარდა ამისა, მათი დასახლებები და გარნიზონები იყო განთავსებული დაპყრობილი ტერიტორიების ყველა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პუნქტში. იმ დროისთვის ჭოუელების

სამხედრო-პოლიტიკური აქტიურობის მთავარი რაიონები არის მიწები ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ დასავლეთ ნაწილში სრულად ინარჩუნებდნენ კულტურულ-რელიგიური მეტროპოლიის ფუნქციას. ეს მდგომარეობა გრძელდებოდა ძვ. წ. VIII საუკუნამდე, როცა ჭოუს გვარის ვანგებმა დაკარგეს კონტროლი დასავლეთის მიწებზე და იძულებულნი გახდნენ დედაქალაქი გადაეტანათ აღმოსავლეთში, ქალაქ ლუოიში (თანამედროვე ლუოიანგი). პერიოდს შანგის დაცემიდან დედაქალაქის გადატანამდე დაერქვა აღმოსავლეთი ჭოუ.

ჩენგ ვანგის შემდეგ ტახტზე ავიდა ქანგ ვანგი. იგი აგრძელებდა ვენ ვანგისა და უ ვანგის კურსს. მისი მეფობის დროს, სახელმწიფოში წესრიგი სუფევდა. შანგელების დარჩენილი ნაწილი გადაასახლეს ჭოუს დედაქალაქთან ახლოს, რითაც წინა სახელმწიფოს დედაქალაქში შესუსტდა „წინააღმდეგობის პოტენციალი“, ახალი დედაქალაქის მოსახლეობა კი გაიზარდა. ქანგ ვანგის დროს მიმდინარეობდა ხანგრძლივი ლაშქრობები აღმოსავლეთით.

ქანგ ვანგის შენდეგ ტახტზე ავიდა მისი შვილი ჭაო ვანგი, რომელიც შედარებით დიდ ხანს მართავდა ქვეყანას. მან გაილაშქრა სამხრეთით, ჩუს მიწების დასაპყრობად, მაგრამ განიცადა მარცხი და ვანგი დაიღუპა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ტერიტორიების გაფართოება სამხრეთის ხარჯზე შეუძლებელი იყო. ამ მოვლენამ და დასავლეთის სტეპებიდან შემოტევების გაძლიერებამ ჭოუს პირველი მონარქების საგარეო ექსპანსიის მცდელობები დაასრულა.



სურ. 35 მუ ვანგი

ჭაო ვანგის ჩათვლით, დასავლეთ ჭოუს პირველი მმართველების პერიოდი იყო დასავლეთ ჭოუს პირველი და საუკეთესო პერიოდი – ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების წლები.

ჭაო ვანგის სიკვდილის შემდეგ გაძლიერდა დედაქალაქის მთავრების ბრძოლა ძალაუფლებისა და გავლენისათვის. ადრე შემოერთებული მიწების მმართ-

ველები კი მეტი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ. მაგრამ ცენტრალური ხელისუფლება ჯერ კიდევ ძლიერი იყო, არ შეწყვეტილა ძალაუფლების მემკვიდრეობითი გადაცემა და ტახტზე ავიდა წინა მმართველის შვილი – მუ ვანგი (სურ. 35). მუ ვანგის დროს დაიწყო ჭოუს სახელმწიფოს ისტორიის მეორე პერიოდი, რომელსაც უწოდებენ აღმავლობის დროს.

მუ ვანგის მოღვაწეობის შესახებ არსებობს ცნობები, რომ მისი ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზარდა, რასაც მოწმობს სამფლობელოების მმართველთა ვიზიტი სამეფო კართან, სასახლეების, სადამკვირვებლო კოშკების რეგულარული მშენებლობა და სამეფო ნადირობა. მან ასევე წამოიწყო ახალი დედაქალაქის, სიჭენგის მშენებლობა. მუ ვანგი ისტორიაში შევიდა, როგორც სტეპელი ტომების წინააღმდეგ დიდი მებრძოლი. თავისი სამხედრო ლაშქრობებით მან შეაჩერა სტეპელების შემოჭრა და მათი მხრიდან საფრთხე დროებით მოხსნა. ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ მისი წარმატებული ლაშქრობების მასშტაბებმა საფუძველი დაუდო მის შესახებ ლეგენდებს. მუ ვანგის მმართველობას განსაკუთრებული როლი უჭირავს დასავლეთ ჭოუს ისტორიაში. მის დროს ჭოუს ვანგის ძალაუფლება ისეთი ძლიერი იყო, როგორც არასდროს. ჭოუს გავლენა კი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, როგორც დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთში, ისე – სამხრეთში. შედეგად კი, მისი მემკვიდრის კუნგ ვანგის თითქმის ოცწლიანი მმართველობის განმავლობაში, სახელმწიფო ინარჩუნებდა შიდაპოლიტიკურ წონასწორობას. ცნობები კუნგ ვანგის შესახებ მწირია, თუმცა ცნობილია, რომ მან გააგრძელა წარმატებული ლაშქრობები ჩრდილოეთით.

პირველი პოლიტიკური კრიზისის ნიშნები გაჩნდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ტახტზე ავიდა კუნგ ვანგის შვილი ი ვანგი, რომელიც ადრეულ ასაკში გარდაიცვალა და რადგანაც მისი შვილი ჯერ კიდევ ახალშობილი იყო, ძალაუფლება გადავიდა მის ბიძაზე – კუნგ ვანგის ძმაზე, სიაო ვანგზე (პიფანგი). ამით დაიწყო ჭოუს ისტორიაში მესამე პერიოდი, როცა ქვეყანას დაეტყო პირველი პოლიტიკური კრიზისი. დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მეზობლებისგან გაძლიერდა ზეწოლა; განახლდა ომები სტეპელებთან. ჭოუს სახელმწიფო დასუსტდა. თავი იჩინა ვანგსა და მთავრებს შორის გამძაფრებულმა კრიზისმა და მიაღწია ისეთ დაძაბულობას, რომ

ვანგი იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა დედაქალაქი. ამ კრიზისის სხვადასხვა მიზეზი სახელდება, მათ შორის, სახელმწიფოს მართვის სფეროში სიახლეების შეტანის მცდელობა. მაგალითად, დინასტიის წევრების უკმაყოფილების მიუხედავად, სხვა ტომელის (ჟუნგის) ი კუნგის პირველ მინისტრად დანიშვნა. სამხედრო წარუმატებლობებმა კიდევ უფრო დაასუსტა ჭოუს ვანგის ძალაუფლება.

ამ პერიოდისთვის, როგორც „ისტორიულ ჩანაწერებში" არის აღწერილი, „ჭუხოუებმა შეწყვიტეს სამეფო კარზე ვიზიტები", რამაც შეარყია დასავლეთ ჭოუს პოლიტიკური წყობის საფუძვლები. 841 წელს ერთ-ერთი ამბოხების შედეგად, ლი ვანგმა ჭოუს სახელმწიფო დატოვა. იგი გადატრილებიდან 14 წელიწადში გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა ახალი მმართველი სიუენ ვანგი.

ამ დროიდან ჭოუს ისტორიაში იწყება მეოთხე პერიოდი, რომელიც დასრულდა დასავლეთი ჭოუს კრიზისითა და დაცემით. სიუენ ვანგის მმართველობა რომ შევაჯამოთ, მიუხედავად მამამისის ტრაგიკული დასასრულისა, მან გააგრძელა მისი პოლიტიკის ძირითადი კურსი – გააძლიერა პირადი ძალაუფლება. მას შეეძლო თავისი ნაბიჯების შედეგების გათვლა, ლოდინი და შესაბამის სიტუაციაში მოქმედება, თუმცა უკვე დაიწყო სამფლობელოების ჭოუს სახელმწიფოდან გამოყოფის პროცესი და დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაჩენა. ამ პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

იოუ ვანგის დროს, კრიზისმა უკვე შეუქცევადი ხასიათი მიიღო. უფრო და უფრო მეტი სამფლობელოს მმართველი ითხოვდა დამოუკიდებლობას. სტეპელების შემოტევაც გამძაფრდა და სწორედ მათთან ერთ-ერთი შეტაკებისას იოუ ვანგი მოკლეს. ამის შემდეგ მის შვილსა და მემკვიდრეს, ფინგ ვანგს მოუწია დედაქალაქის აღმოსავლეთით, ქ. ლუოიში გადატანა. ამ დროიდან იწყება ახალი ისტორიული პერიოდი – პოლიცენტრიზმის ეპოქა, ანუ აღმოსავლეთ ჭოუს ეპოქის ჩუნციოუს პერიოდი. ამ დროისთვის ჩინეთის ტერიტორიაზე უკვე 200 თითქმის დამოუკიდებელი სამფლობელო არსებობდა, რომელთა სათავეში დამოუკიდებელი მეფეები იყვნენ.

მოკლედ რომ შევაჯამოთ დასავლეთ ჭოუს ისტორია, სამფლობელოების მემკვიდრეობითი ხასიათი მუდმივ საფრთხეს უქმნიდა ვანგის ძალაუფლებას. მთავრები (ჭუხოუ) ცენტრალური ძალაუფლებისკენ მიილტვოდნენ. თავდაპირველად, ჭოუს ვანგს შეეძლო სურვილისამებრ

ჭუხოუს გადაყენება, მაგრამ დროთა განმავლობაში ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაკარგა ადგილობრივ არისტოკრატიაზე გავლენა. სახელმწიფოში ჩნდებოდა ახალი სახელმწიფოები. ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში ვანგისა და არისტოკრატიის დაპირისპირებამ ზენიტს მიაღწია, რაც დაემთხვა მომთაბარე ციუენჟუნგების თავდასხმებს. ამ დროისთვის ჭოუს ისტორია შევიდა ახალ ფაზაში. სამთავროები თითქმის სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბდნენ. მათ შექმნეს საკუთარი ძლიერი არმია. წარსულს ჩაბარდა მეგობრული კავშირები. სრული დამოუკიდებლობა მოიპოვეს და უარი განაცხადეს მეფის ბრძანებების შესრულებაზე, გადასახადებსაც კი აღარ იხდიდნენ. სუსტმა, ბრიყვმა, ძუნწმა და სასტიკმა მმართველებმა ჭოუს სახელმწიფოს დაცემის პროცესი დააჩქარეს. ძვ. წ. 770 წელს ჭოუს დედაქალაქი ფენგხაო (სიანთან ახლოს) დაეცა, ჭოუს სამეფო კარის წარმომადგენლები გაიქცნენ აღმოსავლეთ დედაქალაქ ლუოიში. ასე დაიწყო აღმოსავლეთ ჭოუს ეპოქის პირველი პერიოდი – ჩუნციოუ, ანუ „გაზაფხულისა და შემოდგომის" პერიოდი.

სარწმუნოება და წარმოდგენები სამყაროზე

მკაცრმა ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა ღმერთების მკაცრი გამოსახულებები ადამიანების ფანტაზიაში, რადგან ადამიანები ბუნების ძალების წინაშე ხშირად უძლურნი და დაუცველნი იყვნენ. ძველი ჩინელები ბუნების ყველა მოვლენაში სულებსა და ღმერთებს ხედავდნენ. ისინი აღმერთებდნენ ღრუბლებს, წვიმას, ქარს, მთებს, ჭექა-ქუხილს, მთებსა და წყლებს. ხშირად სულები წარმოედგინათ ურჩხულისმაგვარ ცხოველებად და ფრინველებად. ადამიანს ესაჭიროებოდა საიმედო დამცველი. აქედან დაიბადა სხვა მრწამსიც – წინაპრების კულტი. წინაპრების სულს უნდა დაეცვა და ეზრუნა თავის შთამომავლობაზე. მას შეეძლო დაეცვა ადამიანი ბოროტი სულების ხრიკებისაგან, ღმერთების რისხვისაგან და ბედისწერის დარტყმისგან. გარდაცვლილის სულებისთვის უნდა ემსახურათ მთელი ცხოვრება – მათ საფლავზე ეზრუნათ, საკვები მიეტანათ, გაემართათ სხვა რიტუალებიც. იმისთვის, რომ გარდაცვლილის სულებს არაფერი მოკლებოდათ, საფლავში ატანდნენ ადამიანებსაც. თუ შთამომავლო-

ბა არ სცემდა სათანადო პატივს წინაპრების სულებს, ითვლებოდა, რომ სულებს შეეძლოთ ბოროტ სულებად გადაქცევა და შემდეგ ადამიანებისთვის სამაგიეროს გადახდა. წინაპრების კულტი ჩინეთში შენარჩუნდა მრავალი საუკუნის განმავლობაში. ძველი ჩინელების ცხოვრების დიდ ნაწილს იკავებდა მსხვერპლშეწირვა, რიტუალური ცერემონიები და მკითხაობები, რომლის გარეშე არ იწყებდნენ არცერთ საქმეს.

დასავლეთ ჭოუს სახელმწიფო უმნიშვნელოვანესი თვისებით გამოირჩეოდა. კავშირი მონარქსა და ქვეშევრდომს შორის მყარდებოდა პირდაპირ. პერიფერიებში მცხოვრები ქვეშევრდომები ჯილდოს იმსახურებდნენ შესრულებული საქმეებისთვის. ასეთი ურთიერთობა ჯერ კიდევ შანგის ბოლოს დაიწყო, მაგრამ თავისი საბოლოო სახე ჭოუს დროს მიიღო.

ცერემონიები, რომლებსაც ატარებდნენ, როგორც ჭოუს მმართველები, ისე სამფლობელოების მეთაურები, იყოფა ორ მიმართულებად: რელიგიური (ურთიერთობა წინაპრებთან და ღმერთებთან) და საერო (აუდიენციები სამფლობელოების მფლობელებთან ან ელჩებთან და სხვ.). რელიგიური ცერემონიების დროს უკრავდნენ მუსიკალურ ინსტრუმენტზე, კითხულობდნენ ლოცვებს, გალობდნენ, ასრულებდნენ ოდებსა და ჰიმნებს, კითხულობდნენ „წმინდა ისტორიის“ ტექსტებს და სწირავდნენ მსხვერპლს.

ჩინელების წარმოდგენით, სამყაროში მიმდინარეობდა გაუთავებელი ბრძოლა ორ საპირისპირო ძალას შორის. ერთი იყო აქტიური ძალა (მამრობითი) – იანგი, რომელიც ასოცირდებოდა სინათლესთან და სითბოსთან და მეორე იყო პასიური ძალა (მდედრობითი) – ინი, რომელიც ასოცირდებოდა სიბნელესთან და სიცივესთან. მათ წარმოედგინათ, რომ სამყარო შედგებოდა 5 საწყისი ელემენტისგან: წყლის, ცეცხლის, მიწის, ხისა და ლითონისაგან.

ჩინელები მიიჩნევდნენ, რომ მათი სამშობლო მდებარეობდა დედამიწის შუაგულში და ზემოდან ეფარა ზეცა, ამიტომ თავის ქვეყანას დაარქვეს თიენსია – ცისქვეშეთი ან ჭუნგკუო – შუამდებარე ქვეყანა, რომელსაც დღესაც ასე უწოდებენ ჩინელები.

ამ პერიოდისთვის მიწათმოქმედების პრაქტიკულმა მიზნებმა საფუძველი ჩაუყარა ასტრონომიული ცოდნის განვითარებას. ძველი ხალხი უკვე მედიცინაზე გარკვეულ ინფორმაციას ფლობდა. სამკურ-

ნალოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა მცენარე. ქალაქების მშენებლობა და არხების მოწყობა მეტყველებდა ზუსტი მეცნიერების განვითარებაზე.

ჩინური საზოგადოების განვითარების ისტორიაში, დასავლეთ ჭოუს ეპოქა ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდია. დასავლეთ ჭოუს რეჟიმი, თავისი აღზევების პერიოდში იყო სამართლიანი მართვის შესანიშნავი მაგალითი.

აღმოსავლეთი ჭოუ

ძველი ჩინელი ისტორიკოსი სმა ციენი ძვ. წ. VIII-III საუკუნეებს უწოდებს აღმოსავლეთი ჭოუს დინასტიის მართვის დროს. თუმცა ცისქვეშეთში პოლიტიკური ძალაუფლება ვითარდებოდა ცალკეული დამოუკიდებელი ქვეყნების ფარგლებში, რომელთა მმართველები მხოლოდ ნომინალურად და დროებით აღიარებდნენ ჭოუს მეთაურობას. ძვ. წ. VIII-V საუკუნეების ძველი ჩინეთის ისტორია ცნობილია როგორც „ჩუნციოუ“ (გაზაფხულისა და შემოდგომის), ხოლო ძვ. წ. V-III საუკუნეების პერიოდს ჩინეთის ისტორიოგრფიაში ეწოდა „ჭანკუო“ (მებრძოლი სამეფოები). სმა ციენი წერდა: ჭოუს სახლი ეცემოდა და სუსტდებოდა. ჭუხოუებს შორის ძლიერები შთანთქავდნენ სუსტებს“. ძვ. წ. V-III საუკუნეებში, ძალაუფლებისთვის ბრძოლამ მიიღო გააფთრებული ხასიათი. ეს ბრძოლა შვიდი მსხვილი სახელმწიფოს შექმნით დასრულდა: ცინი, ჩუ, ცი, ხანი, ჭაო, ვეი და იენი.

ჩუნციოუ

აღმოსავლეთი ჭოუს ეპოქის პირველ ეტაპს უწოდეს „ჩუნციოუ“ (გაზაფხულისა და შემოდგომის). ძველი ისტორიის ეს ახალი პერიოდი მოგვითხრობს იმდენად არა დედაქალაქის აღმოსავლეთით გადატანას, რამდენადაც ჭოუს ცენტრის როლის დაქვეითებასა და შემდეგ უკვე მის დაცემას. ამიტომ ამ პერიოდს ეწოდება არა მხოლოდ აღმოსავლეთი ჭოუ, არამედ ჩუნციოს პერიოდიც და იგულისხმება

ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც გაბატონდნენ ჩინეთში ძვ. წ. VIII-V საუკუნეებში. თვით სახელწოდება „ჩუნციოუ" (გაზაფხულისა და შემოდგომის) არის ბუნებრივი სეზონებისა და სოციალური ციკლების მუდმივი და თანმიმდევრული ცვლა. ჩუნციოუს პერიოდში ჩინური საზოგადოების სურათი წინა პერიოდებთან შედარებით მკვეთრად იცვლება. ამ პერიოდის ძირითად წყაროდ გამოიყენება „წუოჭუანი",[1] და კიდევ უფრო დიდ როლს თამაშობს „კუოიუ".[2]

ეს პერიოდი გამოირჩევა ჩინეთის ტერიტორიაზე უამრავი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობით, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად ითვლებოდნენ ჭოუს მმართველის ვასლებად. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, დასუსტებული ცენტრალური ხელისუფლება შენარჩუნდა რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში. მიზეზი იყო, უპირველეს ყოვლისა, ცის მანდატის საყოველთაო პატივისცემა და კონკურენცია სამფლობელოებს შორის. საზოგადოების თვალში ცის მანდატი მაშინ დაეკარგებოდა მმართველს, თუ ის მოიქცეოდა არაკეთილსინდისიერად, თუ ახასიათებდა უსამართლობა, სისასტიკე და არ ზრუნავდა ქვეყნის კეთილდღეობაზე. მხოლოდ ცუდი მმართველის ჩამოგდება იყო შესაძლებელი.

უზენაესი ხელისუფლების სტრუქტურამ, რომელიც ჩუნციოუს პერიოდში ჩამოყალიბდა, აითვისა დასავლეთ ჭოუს პერიოდის უზენაესი ხელისუფლების ძირითადი თვისებები. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩუნციოუს პერიოდში წინა პერიოდთან შედარებით ძველი ჩინური საზოგადოების სურათი მრავალ ასპექტში მკვეთრად იცვლება. ჩუნციოუს პერიოდი იყო ჭოუს ვანგების ძალაუფლების დასუსტებისა, ანუ სახელმწიფო-ადმინისრაციული სისტემის მოშლის და უამრავი სხვა პოლიტიკური ცენტრის გაძლიერების დრო. სამთავროების რიცხვმა მიაღწია ორასს. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ჩუნციოუს მთელი პერიოდის განმავლობაში ჭოუს ვანგი იყო ერთადერთი მმართველი. ისინი, როგორც წესი, აღიარებდნენ ჭოუს ვანგის სულიერ ავტორიტეტს. იგი უწინდებურად ითვლებოდა ცის შვილად (თიენ წი) და ხალხის თვალში უწინდებურად ავტო-

[1] 左转 წუოჭუანი, ისტორიული ტექსტების ვრცელი კრებული, რომელიც აერთიანებს ამბებს ძვ. წ.722 წლიდან 468 წლამდე.

[2] 国语 კუოიუ, ისტორიული ტექსტების კრებული, რომელიც ძირითადად მოგვითხრობს ჩუნციოუს პერიოდის ამბებს.

რიტეტული იყო. პირველ ათწლეულებში ჭოუს ვანგი ჯერ კიდევ აღიქმებოდა უზენაეს ხელისუფლად, თუმცა რეალურად მას უკვე ძალაუფლება აღარ გააჩნდა. სამფლობელოებმა გადაიღეს ჭოუს ინსტიტუტები, კერძოდ კი, სამფლობელოებად დაყოფის სისტემა და მოხელეების ტიტულები; არიგებდნენ მიწებს მსახურებისთვის. სანამ ვანგი ასრულებდა უზენაესი პონტიფიკოსის როლს, სამთავროთა მფლობელები ერთმანეთთან მუდმივად ომობდნენ პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის მოპოვებისთვის. ისინი არ ერიდებოდნენ ქალების გატაცებას, კორუფციას და სხვა უზნეო საქციელს; ინტრიგებს ხლართავდნენ, შეთქმულებებს აწყობდნენ, ღალატი და ომი ჩვეულებრივი ამბავი იყო შედარებით სუსტი მეზობლების დასამორჩილებლად. მიწებს იფართოებდნენ და სახელმწიფოში თითქმის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ქმნიდნენ. დროთა განმავლობაში, ზოგმა მმართველმა მიიღო ვანგის ტიტული, რითაც თავი ჭოუს ვანგს გაუტოლა. ჭოუს მმართველები კი აგრძელებდნენ ლუოიში ცხოვრებას, სადაც რეალურ ძალაუფლებას ჯერ კიდევ ფლობდნენ, მაგრამ მათი პოლიტიკური გავლენა უკიდურეს დაკნინდა. ამას თან ახლდა მათი იდეოლოგიური პრესტიჟის თანდათანობითი დასუსტება და ტრადიციული რელიგიურ-პოლიტიკური დოქტრინის ეროზია.



სურ. 36 ჰეგემონი ვენ კუნგი

დროთა განმავლობაში გაჩნდა ჰეგემონიის ინსტიტუტი (სურ. 36). ჰეგემონებად იქცნენ იმ მსხვილი სახელმწიფოების ხელისუფალნი, რომლებიც თითქმის არასდროს ყოფილან დაკავშირებულნი ჭოუსთან დინასტიური კავშირებით (ძინის სამფლობელოს ვენ-კუნგის გარდა).

დიდი და პატარა სამფლობელოების მმართველები ჯიუტად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის, რომ თვითონ მიეღოთ გადაწყვეტილებები საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებში. ჭოუს ვანგის საკრალურ ავტორიტეტს ამჯობინებდნენ ჰეგემონის რეალურ

ავტორიტეტს და ყოველ ჯერზე, როცა ჭოუს ვანგი ცდილობდა მართვის ველი გაეფართოვებინა, დაუყოვნებლივ ეწინააღმდეგებოდნენ დომენში შეჭრით, დედაქალაქის დაკავებით და სხვ.

ყველა სამთავროს ჰქონდა თავისი პოლიტიკური ინტერესები. მმართველი ყველას აჭარბებდა თავისი სოციალური სიმაღლით, ოღონდ გარკვეულ საზღვრამდე. მას ეწოდება პა – პირველი დანარჩენებს შორის. მაგრამ ჭოუს მმართველი – ვანგი იერარქიით ბევრად უფრო მაღლა იდგა. პა იყო პირადი ტიტული და მემკვიდრეობით არ გადადიოდა. ვისაც უნდოდა გამხდარიყო პა, უნდა დაემსახურებინა ეს უფლება. რაც უნდა ძლიერი ყოფილიყო პა, იგი ვერ გახდებოდა მმართველი ვანგი, რადგან სხვა სამთავროები არ მოისურვებდნენ იმუამინდელი სუსტი ჭოუს ვანგის გაცვლას პაზე, რომელიც აუცილებლად მოინდომებდა ყველას დამორჩილებას.

ჰეგემონიის ინსტიტუტის გაჩენა დაკავშირებული იყო პოლიტიკური ძალაუფლების ახალი ცენტრების და სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ფორმირებასთან. მართალია, „წუოჭუანი" გვეუბნება, რომ ჰეგემონს – პას უნდა „დაეშოშმინა მმართველები და მათ ვანგის ბრძანებები უნდა აღესრულებინათ", სინამდვილეში კი, ვანგი აღარ იყო ცენტრალური ფიგურა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. პა ერეოდა ცალკეული ქვეყნების მმართველების საშინაო საქმეებში, კოორდინირებას უწევდა მათ საგარეო პოლიტიკას და ჭოუს ნებისმიერ ვანგზე გაცილებით ძლიერი იყო, თუმცა არ გააჩნდა საკრალური სტატუსი. დასრულდა სამთაოროების შედარებითი თანასწორობის ეპოქა. ყველაზე ძლიერი სამთავროს მმართველს შეეძლო ეკარნახა დანარჩენებისთვის თავისი ნება. ჰეგემონის ირგვლივ იქმნებოდა მუდმივი მოკავშირეების ბლოკი (მაგ. დიდი ვაკის „ბლოკში" შემავალი ლუ, ვეი, სუნგი, ჩენი, ჭენგი და ა.შ.), მაგრამ ჩნდებოდნენ ახალი სამფლობელოები და ჰეგემონიის სხვა პრეტენდენტები.

ჩუნციოუს პერიოდის სამთავროებში დიდ როლს თამაშობდნენ მმართველის მთავარი ცოლის ვაჟები, ანუ ტახტის პოტენციური პრეტენდენტები. მმართველს ჰყავდა ვაჟიშვილები (კუნგ ნი) და ქალიშვილები (ნიუ კუნგ ნი). ქალიშვილები მემატიენეთა ყურადღებას მხოლოდ იმ შემთხვევაში იმსახურებდნენ, თუ ისინი მისთხოვდებოდნენ სხვა სამთაროს მმართველებს. მთავარი ცოლის უფროსი

ვაჟი ან ის ვაჟი, რომელსაც ნიშნავდა თავად მმართველი ან ადმინისტრაციული აპარატი, იწოდებოდა მემკვიდრედ (თაი ნი). მთავარი ცოლის ვაჟებს, რომლებიც შესაძლოა გამხდარიყვნენ კანონიერი მემკვიდრეები, ეწოდებოდათ – ტი.

რომელიმე სამთავროს მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი ან სულაც მმართველის ვაჟი თუ რამეში არ ეთანხმებოდა მმართველს და თვლიდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე შეიძლება დამუქრებოდა ან უკვე რეალურად ემუქრებოდა, მაშინ იძულებული ხდებოდა გაქცეულიყო სხვა სამფლობელოში. თუ მამა დააპირებდა ძალაუფლების გადაცემას სხვა ცოლის მიერ გაჩენილი ვაჟისთვის, უფლისწულები ხშირად გარბოდნენ იმ სამფლობელოებში, საიდანაც მათი დედები იყვნენ წარმოშობით. ცალკეულ შეთხვევებში, მმართველები სხვადასხვა საბაბით ასახლებდნენ ამა თუ იმ არისტოკრატს თავისი სამფლობელოდან იმისთვის, რომ თავი აერიდებინათ მისი სიკვდილით დასჯით გამოწვეული კონფლიქტისგან.

ამ დროისთვის ვანგის მრავალ ადგილობრივ მფლობელს მის მიერ კონტროლირებადი მიწების საზღვრებში ჰქონდა დიდი ადმინისტრაციული ძალაუფლება და ფაქტობრივად იქცნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. დიდი ნაწილი თანამედროვე ხენანის პროვინციის ტერიტორიისა, რომელიც არის ძველი ჩინური ცივილიზაციის ფორმირების ცენტრი, რამდენიმე სამფლობელოს – ჭენგს, ვეის, ჩენსა და სუნგს შორის გადანაწილდა. შანტუნგზე ბატონობა ცისა და ლუს სამფლობელოების მმართველებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული. თანამედროვე შანსის პროვინციის მიწები შედიოდა ძინის სამფლობელოს შემადგენლობაში. ჩრდილო-დასავლეთის ბატონი გახდა ცინი, სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში ბატონობდნენ ჩუ, იუე და უ.

ჩუნციოუს პერიოდის დასაწყისში ეკონომიკურად და სოციალურ-პოლიტიკურად ყველაზე განვითარებული იყო ის სამფლობელოები, რომელთა ტერიტორია ოდესღაც შანგის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და მოსახლეობა უმეტესწილად შანგელების შთამომავალი იყო. ეს ეხება ვეის, ჭენგის და სუნგის სამფლობელოებს (ხენანის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს), ასევე ლუს სამფლობელოს (შანტუნგის სამხრეთ ნაწილს).

ჩუნციოუს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში ძინის სამფლობელო გამოჩნდა და უკვე დიდ ტერი-

ტორიებსაც მოიცავდა (შანსის პროვინცია, ხეპეის სამხრეთ-დასავლეთი და შაანსის აღმოსავლეთი ნაწილი).

კარგმა ბუნებრივმა პირობებმა ასევე განაპირობა ცის[1] სამფლობელოს ზღვისპირა სამფლობელოთა რიგში მოხვედრა. ძვ. წ. VII საუკუნეში ცის სამფლობელოს ხუან კუნგმა პირველმა მიიღო ჰეგემონის (ბა) წოდება, რასაც ხელი შეუწყო პირველმა მინისტრმა კუან ჭუნგმა, რომელიც ყველაზე წინ აყენებდა კანონს. ყველა, გამონაკლისის გარეშე, უნდა დაქვემდებარებოდა კანონს. ხუან კუნგმა, მიუხედავად ცის სამხედრო სიძლიერისა, გაითქვა სახელი იმით, რომ არ იპყრობდა სუსტ სამფლობელოებს. იგი იცავდა ტრადიციული ურთიერთობის შენარჩუნების პრინციპს და აღიარებდა ჭოუს ვანგის უზენაესობას.

ჩუნციოუს პერიოდში ძველი ჩინური კულტურის გავრცელების ზონა მნიშვნელოვნად გაფართოვდა. სამფლობელოებს შორის იყო განსხვავები დიალექტური თვალსაზრისით, ზომისა და წონის სისტემაში და ა.შ., მაგრამ გასაოცარია „ამ ცივილიზაციის ერთობა, რადგან იგი ყოველთვის ინარჩუნებდა კავშირს წარსულთან. იგი ძალიან ჰგავდა ხეს მისი ზრდის პროცესში არსად ყოფილა წყვეტა და ჭკნობა, მხოლოდ ახალ ტოტებს აქეთ-იქით უშვებდა, რაც მას უფრო აძლიერებდა“.

ამ ქვეყნის გარშემო იყო სხვა პოლიტიკური წარმონაქმნებიც. მთლიანობაში, მათ ეწოდებოდა ტი (ჩრდილოური ტომები), ი (აღმოსავლური ტომები), მანი (სამხრეთ ტომები) და ჟუნგი (დასავლური ტომები). უკვე ჩუნციოუს პერიოდში ჩამოყალიბდა წარმოდგენა ჭუნგკუოს (შუამდებარე ქვეყნის) მთელ მსოფლიოში კულტურული უპირატესობის თაობაზე. კონფუცის „ლუნ იუში“ წერია: „ბარბაროსები, რომელთაც ჰყავთ ხელმწიფე, ვერ შეედრებიან ჩინეთს მაშინაც კი, როცა მას არ ჰყავს ხელმწიფე“ (ლუნ იუ III.5).

სამხედრო საქმე ჩუნციოუს პერიოდში ვითარდებოდა, განსაკუთრებით ჩუს სამფლობელოში არმიის აუცილებელი ნაწილი იყო საბრძოლო ეტლებით აღჭურვილი ჯარი. ჩუ ძალიან ამბიციური იყო, მისმა მმართველმა მოინდომა თავისი თავისთვის მიენიჭებინა ვანგის ტიტული, თუმცა ჩრდილოურმა სამფლობელოებმა წინააღმდეგობა

[1] 齐国, ცის სამფლობელო მდებარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთით შანტუნგის ნახევარკუნძულზე

გაუწიეს და აიძულეს იგი ელიარებინა ჭოუს ვანგის უზენაესობა. ცის დასუსტების შემდეგ, სხვადასხვა დროს ჰეგემონებად იქცნენ: ჩრდილოეთ სამფლობელო – ძინი და სამხრეთ სამფლობელოები – ჩუ, უ და იუე.

ჰეგემონები ძვ. წ. VII-V საუკუნეებში

სამფლობელო	მმართველი	ჰეგემონიის წლები	დახასიათება
ცი	ხუან კუნგი	679-643	მოწოდება – „ვანგის პატივისცემა"; ჰეგემონი – ჩინეთის დიდი ვაკის სამფლობელოთა „ბლოკის" მეთაური
ძინი	ვენ კუნგი სიანგ კუნგი	632-628 627-621	ჰეგემონი – ჩინეთის დიდი ვაკის სამფლობელოთა „ბლოკის" მეთაური, რომელიც ცდილობდა შეეკავებინა ჩუს სამფლობელოს წინსვლა. იქცეოდა ისე, თითქოს ჰეგემონი იყო, იძახებდა სამფლობელოთა მმართველებს ძინში.
ჩუ	ჭუანგ ვანგი	597-591	„ვანგის ხელისუფლების უღიარებლობა", ცდილობდა გაეფართოებინა თავისი სახელმწიფოს საზღვრები ჩინეთის დიდი ვაკის სამხრეთ ნაწილის ხარჯზე.
უ	ფუ ჩაი	495-473	ცდილობდა ჩუს, იუეს და ჩინეთის დიდი ვაკის სამხრეთ ნაწილის ხარჯზე მიწების გაფართოებას
იუე	კოუ ძიენი	473-464	უს მიწების მიტაცება და ბრძოლა ჩინეთის დიდი ვაკის სამხრეთ ნაწილსა და შანტუნგის სამხრეთ-აღმოსავლეთზე გავლენის გაფართოებისათვის.

ჰეგემონის უპირატესობას იწვევდა ტერიტორიების მიტაცების სურვილი, თუმცა სხვა მოტივიც არსებობდა. ჰეგემონი გამოდიოდა შიდა კონფლიქტებისა და დაპირისპირებების მარეგულირებლის როლში და ეს ყველაფერი იხსნებოდა ჭოუს ვანგზე, როგორც ცის ერთადერთ შვილზე ზრუნვით. რეალურად კი, ეს ნიშნავდა, რომ ჭოუს ვანგის გვერდით გამოჩდა მმართველი, რომელსაც ოფიციალურად გადაეცა მართვის ფუნქციები. ისინი სამფლობელოთა მმართველებისთვის აუდიენციებს მართავდნენ, როგორც ჭოუს ვანგი. თუ რომელიმე მმართველი გაბედავდა და არ დაესწრებოდა, ჰეგემონი გზავნიდა ლაშქარს იმ მმართველის სამფლობელოში. ასეთი ძალაუფლების მიუხედავად, ჰეგემონობა არ იყო მემკვიდრეობითი.

პირველ პერიოდში (ძვ. წ. 771-697) ჭოუს ვანგს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს პოლიტიკურ პროცესებზე კონტროლი. დასაწყისში ჭოუს ვანგები არა მხოლოდ მონოპოლურ საკრალურ ხელისუფლებას ფლობდნენ, არამედ ცდილობდნენ სამთავროთა მმართველებზე შეენარჩუნებინათ გავლენის ზოგიერთი ბერკეტი. მეორე პერიოდში (ძვ. წ. 696-597) ჩრდილოელი ჰეგემონების პერიოდია. დომინირებენ ჰეგემონები – ცი და ძინი, ანუ ეს არის უკვე დიდ სამფლობელოებში ძალაუფლების გაძლიერება. მესამე პერიოდში (ძვ. წ. 597-464) იწყება სამხრეთის ჰეგემონების პერიოდი. ამ პერიოდში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი ჰეგემონი, თუმცა დროდადრო ცალკეული სახელმწიფოების მმართველები ცდილობდნენ ჰეგემონიის დამყარებას. ჯერ შეინიშნება ჩუს ხანმოკლე ჰეგემონია. ძინი და ცი თანდათანობით სუსტდებიან და სამხრეთი სამფლობელოები, უს და შემდეგ იუეს გავლენა ძლიერდება. მეორე და მესამე პერიოდებში ჯერ ცისა და ძინის პოლიტიკური ჰეგემონია მყარდება, მოგვნიანებით კი ჩრდილოეთ სამფლობელოები სუსტდებიან და სამხრეთის გავლენა ძლიერდება.

ჩუნციოუს პერიოდის ბოლოსთვის, ჭანკუოს პერიოდის დასაწყისში ყველაზე მსხვილი სამფლობელოები ფაქტობრივად სახელმწიფოებად იქცნენ. ესენი იყვნენ: ძინი, ცი, იენი, ვეი, ჭოუ, ჭენგი, სუნგი, ლუ, ჩუ, უ, იუე. უფრო მცირე სამფლობელოები მნიშვნელოვან როლს უკვე ვერ თანაშობდნენ.

ეკონომიკა და აგრარული ურთიერთობები

ჩუნციოუს პერიოდში საწარმოო ძალების განვითარების უმთავრეს მაჩვენებლებად სახელდება ბრინჯაოს ჩამოსხმა და რკინის მეტალურგიის შექმნა. მორალული დაცემისა და არასტაბილურობის მიუხედავად, იყო პროგრესის პერიოდი. ჩინეთში დადგა რკინის საუკუნე და მალე რკინის წარმოების ტექნოლოგიაში ჩინელებმა დასავლეთს გაუსწრეს. სამფლობელოებს შორის რკინის წარმოების ტექნოლოგიის გავრცელებამ ხელი შეუწყო მათი ეკონომიკის დამოუკიდებლობის გაძლიერებას. რკინამ მკვეთრად გააიაფა შრომისა და სამხედრო იარაღების წარმოება. ამან შედეგად გამოიწვია მოსახლეობის, არმიისა და ქალაქების უთანასწორობა და მეტოქეობის ზრდა.

ამავე პერიოდს ეკუთვნის პირველი სარწმუნო წყაროები სარწყავი სისტემების შექმნაზე. ნახსენებია სარწყავი არხები, რომლებიც ეკუთვნოდა ცალკეულ კლანებს. ძვ. წ. VIII-V საუკუნეებში სასოფლო სამეურნეო კულტურებს შორის მნიშვნელოვნად გაფართოვდა პარკოსნებისა და ბრინჯის კულტურები. მნიშნელოვნად გაიზარდა გაცვლის ინტენსივობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნებს შორის, რაც მეტყველებს სასაქონლო წარმოების ზრდაზე.

ამ დროიდან ძველი ჩინეთის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა სამეურნეო დარგში სპეციალიზდება, რაც ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობების განსხვავებამ განაპირობა. წყაროებში ნახსენებია სხვადასხვა პროდუქტი, რომლითაც ესა თუ ის სამფლობელო იყო განთქმული და საერთო ჩინურ ბაზარს აწვდიდა. მაგალითად, განსაკუთრებული სახეობის ხე, ტყავი და რქა – ჩუდან, თეთრი აბრეშუმი – უდან, შავი კამეჩისა და სპილოს ტყავი – პაფუდან (თანამ. სჩუანის პროვინციის ტერიტორიაზე) და ა.შ. საქონელის ტრანსპორტირების ყველაზე ეფექტური გზა იყო მდინარეებით გადაზიდვა. გაიზარდა ქალაქების რიცხვი და მათი მასშტაბებიც. ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან მაჩვენებლად ითვლებოდა მონეტების ფართოდ გავრცელება.

ჩუნციოუს პერიოდში შეინიშნება პროგრესი მიწათმოქმედებაში, რამაც შესაძლებელი გახადა მეურნეობის ინდივიდუალურად წარმართვა. გლეხთა მეურნეობის ინდივიდუალიზაციის პარალელურად

შეინიშნება საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდა. მიწათმოქმედებაში უკვე გამოიყენება დაქირავებული შრომა.

სოციალური ძვრები გაბატონებული კლასის შიგნით

სამფლობელოებში ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ფუნქციები იყო მოქცეული რამდენიმე გავლენიანი გვარის ხელში, რომლებიც წარმოშობით უკავშირდებოდნენ მმართველ საგვარეულოს. ხშირად ეს გვარები ინარჩუნებდნენ კონტროლს სახელმწიფო ცხოვრების განსაზღვრულ სფეროებზე. ასე, მაგალითად, ჩუნციოუს პირველ წლებში ცის მართავდნენ კაოს და კუოს ოჯახები. მოგვიანებით ძალაუფლება გადავიდა ჩუეის და ცინგის ოჯახებზე და ბოლოს, მეთაურობისთვის ბრძოლის მესამე ეტაპზე, გამოიკვეთა თიენის, პაოსა და იენის ოჯახები. ჩუნციოუს პერიოდის წყაროებში ხშირად არის საუბარი ადგილებზე, რომლებიც დიდი ხნის პერიოდში იყო ამა თუ იმ კლანის ხელში. კლანებს ქმნიდნენ პრივილეგირებული საოჯახო-სანათესაო კოლექტივები, რომელთა წარმომადგენლებს გააჩნდათ განსაზღვრული მემკვიდრეობითი ფუნქციები სამფლობელოთა ცენტრალურ ადმინისტრაციულ აპარატში. ისინი განაგებდნენ განსაკუთრებულ სამხედრო და პოლიტიკურ ორგანიზაციებს. მფლობელები ამ ტერიტორიებიდან შემოსავალს იღებდნენ საკუთრებაში, მაგრამ თავიანთი უფლებებით დროებით, თანამდებობაზე ყოფნის დროს, სარგებლობდნენ.

კლანები, მუდმივად სეპარატიზმისკენ ლტოლვით, კლანის მიწებსა და სამხედრო ჯარზე დაყრდნობით ჩუნციოუს პერიოდში იქცნენ ცენტრალური ხელისუფლების სახიფათო მეტოქეებად. ცენტრალური ხელისუფლება იძულებული იყო მიეღო ისეთი ზომები, რომლებიც ხელს შეუშლიდა ავტონომიური ტერიტორიული წარმონაქმნების დაარსებას. ამიტომ ჩუნციოუს პერიოდის მეორე ნახევარში შეინიშნება მსახურობის პირობით განსაზღვრული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული განაწილების სტაბილური და რეგლამენტირებული სისტემის არსებობა, რომელიც ჩუნციოუს პერიოდის მეორე ნახევრიდან კიდევ უფრო გამკაცრდა და მეტი შეზღუდვები დაწესდა ცენტრალიზაციის მხარდასაჭერად. უკვე ძვ. წ. VI საუკუნის შუა პერიოდიდან კლანე-

ბის პოლიტიკურ გავლენასთან ბრძოლა სხვადასხვა სამფლობელო იქცა ცენტრალური ადმინისტრაციის მთავარ საქმედ.

სოციალურ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრალიზაციის ზრდის პროცესში კლანურ არისტოკრატიას დევნიდნენ მართვის ყველა სფეროდან. ჩუნციოუს პერიოდის მეორე ნახევარში მართვის ცენტრალური აპარატი რთულდება. ამ დროს ადმინისტრაციის ადგილობრივი ორგანოები იძენენ უფრო დახვეწილ ფორმებს. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო საგადასახადო აპარატის ფუნქციის გამყარებასა და ზრდას.

ინტელექტუალური კრიზისი



სურ. 37 კონფუცი

გაუთავებელმა ომებმა და შიდა კონფლიქტებმა, სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ (რკინის საუკუნის დაწყება, ახალი მიწების ათვისება, სარწყავი სისტემისა და შრომის იარალის გაუმჯობესება) და განათლების დონის ზრდამ გამოიწვია ინტელექტუალური კრიზისი. ტრადიციული რიტუალები უმნიშვნელო და უსარგებლო გახდა. ასეთ პირობებში ძველი ჩინეთის მოაზროვნეებმა დაიწყეს ეფექტური სახელმწიფო მართვის, საზოგადოებრივი მოწყობისა და ადამიანის ბუნების საკითხების განხილვა.

ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ლუს სამფლობელოს ბრძენი – კონფუცი[1] (სურ. 37). იგი დაიბადა ჩუნციოუს პერიოდის ბოლოს, ძვ. წ. 551 წელს. გარდაიცვალა ძვ. წ. 479 წელს, ჭანკუოს პერიოდის დასაწყისში. კონფუციმ შექმნა კონფუციზმი – ეთიკურ-ფილოსოფიური სწავლება, რომელიც იქცა და დღემდე რჩება ქვეყნის იდეოლოგიად. მართალია, ჩსრ-ის ოფიციალური იდეოლოგია არის სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით, მაგრამ ეს სპეციფიკა ბევრ რამეში ეყრდნობა კონფუციზმს. ღირსეული ადამიანი იცავს

[1] 孔子 ქუნგ ნი, იგივე კონფუცი (ძვ. წ. 551-479). ევროპაში ცნობილი როგორც კონფუცი – ჩინური სახელის 孔夫子 (ქუნგ ფუ ნი) ლათინიზებული ფორმაა.

კონფუცის მცნებებს, რომლის მიხედვით ჩინელები ახდენენ ადამიანის შეფასებას.

კონფუცი ახალგაზრდობაში იყო სახელმწიფო მოხელე, მოგვიანებით დაიწყო კერძო მეცადინეობების ჩატარება. მისი სწავლება ჩინური კულტურის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. კონფუცის შეხედულებები ასახულია ფილოსოფიურ-პოლიტიკური ხასიათის კრებულში „ლუნ იუ". მისი გამონათქვამები მოწაფეებმა ჩაწერეს მისი გარდაცვალების შემდეგ[1] (სურ. 38). კონფუცი იცავდა ტრადიციული ცოდნისა და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის აუცილებლობის პრიორიტეტებს. კონფუციმ საზოგადოებრივი მოწყობის პატრიარქალური თეორია შეიმუშავა, სადაც სახელმწიფო და ოჯახი შეადარა ერთმანეთს. როგორც შვილი მამას სცემს პატივს, ისევე უნდა სცემდეს პატივს ხალხი ხელისუფალს და როგორც მამა ზრუნავს შვილზე, ისე უნდა ზრუნავდეს სახელმწიფო ხალხზე. ადამიანებს შორის ურთიერთობები უნდა იყოს დარეგულირებული ტრადიციული რიტუალებით (ლი) და შვილმოსილების მსგავსი პატივისცემით უმცროსისა უფროსისადმი.

კონფუცი, მართალია, აღიარებდა ხელმწიფის უზენაეს ძალაუფლებას, თუმცა ამავრდოულად, ეწინააღმდეგებოდა მართვის დესპოტურ ფორმას და მოუწოდებდა ყველა ხელისუფალს ტრადიციული რიტუალების დაცვისკენ.

კონფუცის სოციალური იდეალია – დიდსულოვანი, ღირსეული ადამიანი (ძიუნ წი). ის უყოყმანოდ ასრულებს თავის მოვალეობას, ჰუმანურია (ჟენ), თავაზიანი და ზრდილი, გამჭრიახი, სამართლიანი, კეთილი, განათლებული (ვენ). კონფუციმ ჩამოაყალიბა ზნეობრივი პრინციპი. ის აღნიშნავდა, რომ ღირსეული ადამიანის საპირისპირო არის პატარა ადამიანი (სიაოჟენ). კონფუცი მოუწოდებდა მმართველებს გამოეყენებინათ ბრძენი და ნიჭიერი მოხელეები, რომლებიც ზნეობრივად (ტე) და ადამინურად იმოქმედებდნენ. კონფუცი თვლიდა, რომ სახელმწიფო იყო საზოგადოების ბუნებრივი მდგომარეობა. მას მიაჩნდა, რომ სახელმწიფო სამსახურზე უარის თქმა დანაშაულის ტოლფასია, თუმცა დიდად არ იყო აღფრთოვანებული იმდროინდელი მმართველებით.

---

[1] 论语 ლუნ იუ, იგივე „კონფუცის ანალექტები", „კონფუცის სწავლებებისა და აზრების კრებული". არსებობდა მისი სამი ვერსია. XI-XII საუკუნეში შეადგინეს ტექსტის ერთ-ერთი ვერსიის ოფიციალური რედაქცია.

კონფუცის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებას არ იზიარებდნენ ძველი ჩინეთის სხვა ფილოსოფიური მიმდინარეობების წარმომადგენლობები, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ტაოიზმი, რომელიც გაჩნდა ჭანკუოს პერიოდში.



სურ. 38 კონფუცი მოსწავლეებთან ერთად, ცინგის ეპოქის გრავიურა

ჩუნციოუს პერიოდში შეიქმნა პოეტური ანთოლოგიის „შიძინგი“ და „შუძინგი“, რომელიც ასევე ცნობილია სახელწოდებით „შანგშუ“. კონფუციური ტრადიციით, ორივე წიგნის შედგენას კონფუცისტები მიაკუთვნებენ კონფუცის.

კონფუცი გამოყოფდა ღირსეული ადმიანის ხუთ მთავარ თვისებას: კაცთმოყვარეობა (ჰუმანურობა), სამართლიანობა, რიტუალების დაცვა, კეთილგონიერება, გულწრფელობა. კონფუცის მიზანი იყო ძველი, ჰარმონიული საზოგადოების აღდგენა, რომელიც ეფუძნებოდა ამ თვისებებს. მაგრამ მის დროს ყველაფერს წყვეტდა ძალა და წარმატება. განსაკუთრებით, მებრძოლი სამეფოები და სამართლიანობა ურთიერთშეუთავსებელია.

ჩუნციოუს პერიოდის პოლიტიკური ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ის იყო, რომ მრავალი მცირე და საშუალო სამფლობელო გახდა ძლიერი მეზობლების მსხვერპლი და გაქრა ძველი ჩინეთის პოლიტიკური რუკიდან. განსაკუთრებით ინტენსიურად ეს პროცესი მიმდინარეობდა ჩუნციოუს ბოლოს. ძვ. წ. 487 წელს სუნგმა შთანთქა ცაო, ძვ. წ. 479 წელს ჩუმ მიიერთა ჩენი,

ძვ. წ. 473 წელს იუემ გაანადგურა უ. ისეთი სამფლობელოები როგორებიც იყვნენ ლუ, ჭენგი და სუნგი, ჩუნციოუს პერიოდისთვის უკვე იყვნენ ძალიან დასუსტებულნი, დაკარგეს დამოუკიდებლობა. შესაბამისად, ჩუნციოუს პერიოდის განმავლობაში ცისქვეშეთის პოლიტიკურმა სტუქტურამ განიცადა სერიოზული ცვლილებები. ისეთი სახელმწიფოების რიცხვი, რომელთაც ჰქონდათ შესაძლებლობა გაეტარებინათ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, ძალიან შემცირდა. ცისქვეშეთის ცენტრალურ ზონაში გაჩნდა სახელმწიფოები, რომელთაც არანაირი ტრადიცია არ აკავშირებდა ჭოუს სახლთან. ჭოუს ვანგების რელიგიურმა ავტორიტეტმა, რომლის მეშვეობით ჩუნციოუს დასაწყისში გავლენას ახდენდა სამთავრობოებს შორის ურთიერთობებზე, დაკარგა თავისი ძალა.

ჩუნციოუს პერიოდის ბოლოს 200 სამფლობელოდან დარჩა მხოლოდ 10. შვიდმა მათგანმა ძვ. წ. V საუკუნის ბოლოს დაიკავა წამყვანი პოზოციები და შთანთქა სხვა დანარჩენები. ძველი ჩინეთის ისტორიის ახალ ეპოქას, რომელიც ხასიათდება უმსხვილესი სამეფოების გაცხარებული ბრძოლით და ძველ ჩინურ სახელმწიფოში ღრმა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ძვრებით, ეწოდება ჭანკუო.

ჭანკუო

ტერმინი „ჭანკუო“ (მებრძოლი სამეფოები) პირველად გვხდება ძვ. წ. V-III საუკუნეების ძეგლებში. ჭანკუოს პერიოდში ჰეგემონიისთვის ბრძოლას აწარმოებდა შვიდი სამეფო: ხანი, ვეი, ჭაო, ცინი, ჩუ, იენი, ცი.[1] ჩამოთვლილი სამეფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკა აქტიურ გავლენას ახდენდა ისტორიული მოვლენების სვლაზე.

---

[1] ხანი (韩 ცინის აღმოსავლეთით, მდ. ხუანგხეს მარჯვენა სანაპიროზე, თანამედროვე შანსისა და ხენანის პროვინციების ტერიტორიაზე), ვეი (魏 ხანის და მდ. ხუანგხეს ჩრდილოეთით, თანამედროვე ხენანის, ხებეის, შანსისა და შანტუნგის პროვ. ტერიტორიაზე), ჭაო (赵 ვეიდან ჩრდილოეთით, დღევანდელი შიდა მონღოლეთის, ხებეის, შანსისა და შაანსის პროვ. შეესაბამება), ცინი (秦 სამეფოების დასავლეთით, მდ. ვეის ხეობაში), ჩუ (楚 სამეფოებიდან სამხრეთით), ჩრდილო-აღმოსავლეთით – იენი (燕 თანამ. პეკინის ტერიტორია შედის, მდ. ჭიშუეის ხევში) და ცი (齐 შანტუნგის ნახევარკუნძულის ტერიტორია)



სურ. 39 აღმოსავლეთ ჭოუს ეპოქის მეომარი

მეხუთე საუკუნის შუა პერიოდში ოდესღაც ძლიერი სამეფო ძინი დაიშალა სამ სამეფოდ: ხანი, ვეი და ჭაო. სამეფოები გამუდმებით ეომებოდნენ ერთმანეთს, დროებით ზავებს დებდნენ და, დაახლოებით, ორასი წლის განმავლობაში ინარჩუნებდნენ პოლიტიკურ ბალანსს (სურ. 39).

ზემოთ ჩამოთვლილი შვიდი სახელმწიფოს გარდა ჩინეთში ჭანკუოს პერიოდში არსებობდა პატარა სამეფოები: სუნგი, ლუ, ვეი, ჭენგი, თენგი და სხვა. მათი უმრავლესობა რომელიმე მსხვილ ქვეყანაზე იყო პოლიტიკურად დამოკიდებული. შვიდ დიდ სამეფოს შორის ომების დროს ყველა პატარა ქვეყანა განადგურდა.

ეკონომიკის განვითარება

ჭანკუოს პერიოდი იქცა მნიშვნელოვანი ეკონომიკური აღმავლობის პერიოდად. რკინისა და ფოლადის გამოდნობა დაიწყო, რამაც გააიაფა საბრძოლო და შრომის იარაღების წარმოება, მოგვიანებით კი შეიმჩნევა არსებითი პროგრესი რკინის გამოდნობის ტექნიკაში. ჩინეთში ჭანკუოს პერიოდს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს რკინის იარაღების ფართო გავრცელების ეპოქა. თანდათან რკინისგან დაიწყეს თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო შრომის იარაღის წარმოება.

მუშავდებოდა უამრავი სამთო საბადო, მხოლოდ გარკვეულ ნანილში მოიპოვებენ სპილენძს, ხოლო ყველა დანარჩენში – რკინას. ერთ-ერთ წყაროში, „შან ხაი ძინგში" მოყვანილია 34 ყველაზე მსხვილი რკინის მადნის საბადო. საბადოები განლაგებული იყო ჩინეთის სხვადასხვა რაიონში. ეს 34 საბადო განლაგებული იყო თანამედროვე შაანსის, შანსის, ხუპეისა და ხუნანის პროვინციებში, ანუ ისეთ დიდ სამეფოებში, როგორიც იყო ცინი, ვეი, ჭაო ხანი, ჩუ და ა.შ. ყველაზე უხვად კი მოიპოვებოდა ჩუსა და ხანის სამეფოებში. რკინის საბადოების ინტენსიურ დამუშავებას თან ახლდა ჩინელების ცნო-

ბიერების ამაღლება გეოლოგიის დარგში. ჭანკუოს პერიოდის რკინის იარაღებს ჩინეთის თითქმის ყველა დიდ მუზეუმში შეხვდებით.

განვითარდა მიწათმოქმედება, გაიზარდა შრომის პროდუქტიულობა, გააქტიურდა და განვითარდა ირიგაციული მშენებლობა, დაიხვეწა ნიადაგის განოყიერება, აყვავდა ლაქის წარმოება. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა ვაჭრობა. სავაჭრო ურთიერთობები უკვე გასცდა ცალკეული სამეფოების საზღვრებს. გამოიკვეთა ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაზე დახელოვნებული უბნები და ქალაქები. მაგალითად, იანგჭოუ და ცინგჭოუ ცნობილი იყო აბრეშუმით; ჩუს სამეფოში ამზადებდნენ შუბისთვის ძალიან მახვილ პირს; ხანის სამეფოში ამზადებდნენ ბასრ და მყარ ხმლებს და სხვა.

ვაჭრობის გაძლიერებულმა ზრდამ განაპირობა ქალაქების მნიშვნელოვანი ზრდა. ჭანკუოს პერიოდში გაჩნდა ბევრი ახალი ქალაქი. იზრდებოდა ძველი ქალაქები. იმჟამინდელი ჩინეთის ყველა სამეფოს დედაქალაქი მსხვილი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრი იყო დიდი მოსახლეობით. ასეთ ქალაქებს მიეკუთვნებოდა ხანტანი (ჭაოს სამეფო), სიანგ-იანგი (ცინის სამეფო), ტალიანგი (ვეის სამეფო), ლინწი იყო მსხვილი სავაჭრო ცენტრი დიდი მოსახლეობით (ცის სამეფო). ზოგიერთ ქალაქში ცხოვრობდა ნახევარ მილიონამდე ადამიანი.

მსხვილმა სავაჭრო კავშირებმა განაპირობა წყლის ტრანსპორტის განვითარება, რომელიც იყო კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელი და იაფი საშუალება. ჭანკუოს პერიოდში შეიქმნა არხების მთელი სისტემა, რომელიც სხვადასხვა სამეფოს ერთმანეთთან აკავშირებდა.

მოსახლეობის ზრდისა და მიწათმოქმედების დაწინაურების შედეგად განვითარდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები. ქვეყნის სხვადასხვა რაიონებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარების სურვილი განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა ფულადი სისტემის ევოლუციის, კონკრეტულად კი, ფულის ფორმის განვითარების მაგალითზე. ჭანკუოს პერიოდის დასაწყისში არსებობდა სამი სახეობის ბრინჯაოს მონეტა: ხმლისებური, ბარის ფორმის და ნიჟარის ფორმის. ხმლისებური იყო გავრცელებული ცის, იენის და ნაწილობრივ ჭაოს სამეფოებში; ბარისებური – ცინის, ხანის, ჭაოსა და ვეის სამეფოებში, ნიჟარასებური კი – ჩუს სამეფოს საზღვრებში. გამოდის, რომ იმ დროს იყო სამი რაიონი, სადაც ვრცელდებოდა მონეტები.

ვაჭრობის და სავაჭრო-ფულადი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად შეინიშნოდა ცვლილებები მონეტების გამოდნობის ტექნიკაშიც. ჭანკუოს შუა პერიოდში თანდათანობით, ბარისებური მონეტების ჩამოსხმა დაიწყეს ხანში, ჭაოში, ვეიში, ძინში, ციში და ჩუში. ჭანკუოს პერიოდის ბოლოსთვის, სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერების შედეგად, უკვე ყველა მსხვილი სამეფო, ჩუს გარდა, გადავიდა ერთნაირი ფორმის მრგვალი მონეტების ჩამოსხმაზე. მეფის ძალაუფლების გაძლიერებასთან ერთად ეს სისტემა ვრცელდებოდა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიებზე.

ვაჭრობის განვითარებას ხელს უშლიდა ერთიანი ფულადი სისტემის არარსებობა და მაღალი საბაჟო გადასახადები სამეფოების საზღვრებზე. მაგალითად, შანგ იანგი ცინის მეფის, სიაო კუნგის მრჩეველი, საბაჟოდან მიღებულ შემოსავალს ჯარის გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ განიხილავდა, ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალს კი – მიწათმოქმედების განვითარების საშუალებად.

სამეფოების ქიშპი ასევე უარყოფითად აისახებოდა მიწათმოქმედების განვითარებაზე. ჭანკუოს პერიოდში შვიდი დიდი სამეფოს სარწყავი სისტემა სხვადასხვა დონეზე დაკავშირებული იყო ხუანგხესა და იანგწის აუზებთან. წყლის ამ მნიშვნელოვანი არტერიების მოხმარება ორგანულად აკავშირებდა სხვადასხვა სამეფოს სარწყავ სისტემებს, რაც მათ გაერთიანებას ხელს უწყობდა. ზოგიერთი ქვეყნის მმართველი იყენებდა სარგებლიან გეოგრაფიულ მდებარეობას სათავისოდ, მაგალითად, გვალვის დროს წყალს აკავებდნენ, რაც მეზობელ ქვეყანაში შიმშილს იწვევდა; კოკისპირული და ხანგრძლივი წვიმების დროს, პირიქით, ხსნიდნენ დამბებს და ამით ტბორავდნენ მტრული სახელმწიფოს მინდვრებს. ეს ქმედებები ყველას აყენებდა ზარალს. ამიტომ აუცილებელი იყო სხვადასხვა სამეფოს სარწყავი სისტემის გაერთიანება.

სოციალური და სახელმწიფო წყობა

ამ პერიოდისთვის საზოგადოებაში გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა, იმონებდნენ თავისუფალ ადამიანებს. თავიდან ყველა სამეფოში მაღალი პოსტები ჰქონდა გადანაწილებული არისტოკრა-

ტიას, რომელსაც მეფეებიც ებრძოდნენ. ისინი მოგვიანებით იწყებდნენ ადმინისტრაციული ორგანიზაციების ტერიტორიული პრინციპით დაყოფას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ცენტრიდან გამოგზავნილი სახელმწიფო მოხელეები.

ძვ. წ. V-III საუკუნეებში ომი და სამხედრო საქმე მნიშვნელოვან ადგილზე იყო „მებრძოლი სამეფოების" საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. საომარი მდგომარეობის დროს იქმნებოდა უზარმაზარი არმია, რომელსაც სჭირდებოდა დიდი რაოდენობით სპეციალურად მომზადებული ადამიანი. ჭანკუოს პერიოდში გამოჩნდა ჯარის ახალი სახეობები, მათ შორის იყო კავალერია. ამისთვის კი აუცილებელი იყო მაღალპროფესიული სწავლება და მუდმივი ვარჯიში. ამ გარემოებებმა ხელი შეუწყო მიწათმოქმედთა კლასში სამხედრო პირების განსაკუთრებული სოციალური ჯგუფის ჩამოყალიბებას (სურ. 40).



სურ. 40 ჭანკუოს პერიოდის ჩინელები: ბრძოლის სცენა (ბრინჯაოს ჭურჭლის ორნამენტაციიდან, ძვ. წ. IV-III სს.)

ვაჭრობის და სავაჭრო-ფულადი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად შეინიშნოდა ცვლილებები მონეტების გამოდნობის ტექნიკაშიც. ჭანკუოს შუა პერიოდში თანდათანობით, ბარისებური მონეტების ჩამოსხმა დაიწყეს ხანში, ჭაოში, ვეიში, ძინში, ციში და ჩუში. ჭანკუოს პერიოდის ბოლოსთვის, სავაჭრო ურთიერთობების გაძლიერების შედეგად, უკვე ყველა მსხვილი სამეფო, ჩუს გარდა, გადავიდა ერთნაირი ფორმის მრგვალი მონეტების ჩამოსხმაზე. მეფის ძალაუფლების გაძლიერებასთან ერთად ეს სისტემა ვრცელდებოდა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიებზე.

ვაჭრობის განვითარებას ხელს უშლიდა ერთიანი ფულადი სისტემის არარსებობა და მაღალი საბაჟო გადასახადები სამეფოების საზღვრებზე. მაგალითად, შანგ იანგი ცინის მეფის, სიაო კუნგის მრჩეველი, საბაჟოდან მიღებულ შემოსავალს ჯარის გაძლიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ განიხილავდა, ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალს კი – მინათმოქმედების განვითარების საშუალებად.

სამეფოების ქიშპი ასევე უარყოფითად აისახებოდა მიწათმოქმედების განვითარებაზე. ჭანკუოს პერიოდში შვიდი დიდი სამეფოს სარწყავი სისტემა სხვადასხვა დონეზე დაკავშირებული იყო ხუანგხესა და იანგწის აუზებთან. წყლის ამ მნიშვნელოვანი არტერიების მოხმარება ორგანულად აკავშირებდა სხვადასხვა სამეფოს სარწყავ სისტემებს, რაც მათ გაერთიანებას ხელს უწყობდა. ზოგიერთი ქვეყნის მმართველი იყენებდა სარგებლიან გეოგრაფიულ მდებარეობას სათავისოდ, მაგალითად, გვალვის დროს წყალს აკავებდნენ, რაც მეზობელ ქვეყანაში შიმშილს იწვევდა; კოკისპირული და ხანგრძლივი წვიმების დროს, პირიქით, ხსნიდნენ დამბებს და ამით ტბორავდნენ მტრული სახელმწიფოს მინდვრებს. ეს ქმედებები ყველას აყენებდა ზარალს. ამიტომ აუცილებელი იყო სხვადასხვა სამეფოს სარწყავი სისტემის გაერთიანება.

სოციალური და სახელმწიფო წყობა

ამ პერიოდისთვის საზოგადოებაში გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა, იმონებდნენ თავისუფალ ადამიანებს. თავიდან ყველა სამეფოში მაღალი პოსტები ჰქონდა გადანაწილებული არისტოკრა-

ტიას, რომელსაც მეფეებიც ებრძოდნენ. ისინი მოგვიანებით იწყებდნენ ადმინისტრაციული ორგანიზაციების ტერიტორიული პრინციპით დაყოფას, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ცენტრიდან გამოგზავნილი სახელმწიფო მოხელეები.

ძვ. წ. V-III საუკუნეებში ომი და სამხედრო საქმე მნიშვნელოვან ადგილზე იყო „მებრძოლი სამეფოების" საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. საომარი მდგომარეობის დროს იქმნებოდა უზარმაზარი არმია, რომელსაც სჭირდებოდა დიდი რაოდენობით სპეციალურად მომზადებული ადამიანი. ჭანკუოს პერიოდში გამოჩნდა ჯარის ახალი სახეობები, მათ შორის იყო კავალერია. ამისთვის კი აუცილებელი იყო მაღალპროფესიული სწავლება და მუდმივი ვარჯიში. ამ გარემოებებმა ხელი შეუწყო მიწათმოქმედთა კლასში სამხედრო პირების განსაკუთრებული სოციალური ჯგუფის ჩამოყალიბებას (სურ. 40).



სურ. 40 ჭანკუოს პერიოდის ჩინელები: ბრძოლის სცენა (ბრინჯაოს ჭურჭლის ორნამენტაციიდან, ძვ. წ. IV-III სს.)

კულტურული ურთიერთობები

ჭანკუოს პერიოდში, ეკონომიკური კონტაქტების გარდა, ასევე შეინიშნებოდა სხვადასხვა სამეფოების კულტურული დაახლოება. კუო მოჟუოს აზრით, ჯერ კიდევ ჩუნციოუს პერიოდში ჩინეთის კულტურულმა ცენტრმა გადაინაცვლა ქვეყნის აღმოსავლეთში, ლუს სამეფოში. ეს მდგომარეობა შენარჩუნებული იყო ჭანკუოს პირველ ნახევარშიც, როცა ახალგაზრდობა სხვადასხვა სამეფოდან მიემართებოდა ლუს სამეფოში განათლების მისაღებად. ლუ განსაკუთრებულად დიდ გავლენას ახდენდა ჩუს სამეფოზე. ჩუს მკვიდრნი, ჩრდილოეთში სწავლის შემდეგ, გახდნენ ცნობილნი მთელი ჩინეთისთვის. მათ რიცხვს, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივაკუთვნოთ ძიენ პი, რომელსაც თანამდეროვე მკვლევარები თვლიან წიგნის „ჭოუ ის" ავტორად.

ჭანკუოს დასაწყისში შეინიშნება ცის და ლუს სამეფოების დამწერლობის დაახლოება, რომელიც გამოირჩეოდა იეროგლიფების წერის სიმარტივით, და, რომელსაც მოგვიანებით, ხანის პერიოდში უკვე ეწოდა „კუვენი" – ძველი დამწერლობა. დასავლეთში ასევე ხდებოდა რამდენიმე სამეფოს დამწერლობის დაახლოება, კონკრეტულად კი, ცინის, ხანის, ჭაოს და ვეის სამეფოებისა. შეინიშნა კულტურული დაახლოება იმ სამეფოებს შორის, რომლებიც ენობრივად შედიოდნენ ერთ დიალექტურ ჯგუფში.

რკინის იარაღების ფართო გავრცელება, აქტიური სავაჭრო ურთიერთობები, წყლის გზების განვითარება, მონეტების ფორმის უნიფიკაცია, ცალკეული სამეფოების კულტურული დაახლოება – ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ჭანკუოს პერიოდში ხდებოდა ქვეყნის სხვადასხვა რაიონების კონსოლიდაცია. თუმცა ამ პროცესებს აბრკოლებდა ჩინეთის დანაწევრება რამდენიმე მოქიშპე დამოუკიდებელ სამეფოდ.

სოციალურ-პოლიტიკური სწავლებები

სამეფოებს შორის მუდმივი კონფლიქტების შედეგად, ზარალდებოდა ქალაქის ხელოსნობა და ვაჭრობა, ქვეყნებს შორის იზღუდებოდა წყლის და სახმელეთო კავშირები. ეს ყველაფერი დამღუპველად

მოქმედებდა ქალაქის ხელოსნებსა და ვაჭრებზე. მაგრამ კიდევ უფრო მეტად ზარალდებოდნენ მინათმოქმედები, რადგან მათ ზურგზე გადადიოდა ყველა სიმძიმე, რაც ომის წარმოებასთან იყო დაკავშირებული. დაუსრულებელი გადასახადები და საომარი მოსაკრებელი, ჯარში ხანგრძლივი სამსახური იწვევდა მინათმოქმედების განადგურებას. მოსახლეობას სურდა ომების შეწყვეტა, რაც აისახა ჭანკუოს სხვადასხვა მიმართულების ფილოსოფიურ სკოლებში.

ეს პერიოდი ჩინეთის ისტორიაში ითვლება დიდი რეფორმების ეპოქად. სოციალურმა ცვლილებებმა განაპირობა კულტურის აღმავლობა. ამ ეპოქისთვის გამოჩნდნენ დიდი მოაზროვნეები, რომლებიც გამოდიოდნენ განსხვავებული პოზიციებით და სხვადასხვა შეხედულებებით ერთსა და იმავე საკითხებზე. თანდათანობით შეიქმნა სხვადასხვა სკოლები – ტაოისტური, კონფუციური, მოძია, ფაძია. ჩინეთში ამ პერიოდს უწოდეს „100 სკოლა", ანუ სხვადასხვა ფილოსოფიური სწავლებებისა და სკოლების წარმომადგენლები.[1]



სურ. 41 მენგ წი

მშვიდობისკენ სწრაფვა გამოიყენა კონფუციზმის ერთ-ერთმა დამაარსებელმა – მენგ წიმ (სურ. 41). იგი ქადაგებდა ქვეყნის გაერთიანებას ადამიანების განადგურების გარეშე. ქვეყნის გაერთიანების იდეა ასევე გვხვდება სიუნ წისთან, რომელიც ქადაგებდა, რომ მთელი ჩინეთის ტერიტორია უნდა იყოს როგორც ერთი ოჯახი (სურ. 42). ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისკენ ლტოლვა გვხვდება ტრაქტატში „ლიუში ჩუნციოუ". ეს აიხსნება იმითაც, რომ ეს ტრაქტატი დაიწერა ცინის სამეფოში, რომლის მმართველები პრეტენზიას აცხადებდნენ ქვეყნის უზენაესი გამაერთიანებლის როლზე.



სურ. 42 სიუნ წი

სულიერების ძიება, რომელიც დაიწყო ჩუნციოუს პერიოდში, გაგრძელდა ჭანკუოს პერიოდშიც. აქტუალურ თემად რჩებოდა ადა-

[1] 诸子百家 ჭუწი პაიძია „ასი სკოლა", ფილოსოფიური სწავლებების და სკოლების წარმომადგენლები ძველ ჩინეთში.

კულტურული ურთიერთობები

ჭანკუოს პერიოდში, ეკონომიკური კონტაქტების გარდა, ასევე შეინიშნებოდა სხვადასხვა სამეფოების კულტურული დაახლოება. კუო მოჟუოს აზრით, ჯერ კიდევ ჩუნციოუს პერიოდში ჩინეთის კულტურულმა ცენტრმა გადაინაცვლა ქვეყნის აღმოსავლეთში, ლუს სამეფოში. ეს მდგომარეობა შენარჩუნებული იყო ჭანკუოს პირველ ნახევარშიც, როცა ახალგაზრდობა სხვადასხვა სამეფოდან მიემართებოდა ლუს სამეფოში განათლების მისაღებად. ლუ განსაკუთრებულად დიდ გავლენას ახდენდა ჩუს სამეფოზე. ჩუს მკვიდრნი, ჩრდილოეთში სწავლის შემდეგ, გახდნენ ცნობილნი მთელი ჩინეთისთვის. მათ რიცხვს, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივაკუთვნოთ ძიენ პი, რომელსაც თანამდეროვე მკვლევარები თვლიან წიგნის „ჭოუ ის" ავტორად.

ჭანკუოს დასაწყისში შეინიშნება ცის და ლუს სამეფოების დამწერლობის დაახლოება, რომელიც გამოირჩეოდა იეროგლიფების წერის სიმარტივით, და, რომელსაც მოგვიანებით, ხანის პერიოდში უკვე ეწოდა „კუვენი" – ძველი დამწერლობა. დასავლეთში ასევე ხდებოდა რამდენიმე სამეფოს დამწერლობის დაახლოება, კონკრეტულად კი, ცინის, ხანის, ჭაოს და ვეის სამეფოებისა. შეინიშნა კულტურული დაახლოება იმ სამეფოებს შორის, რომლებიც ენობრივად შედიოდნენ ერთ დიალექტურ ჯგუფში.

რკინის იარაღების ფართო გავრცელება, აქტიური სავაჭრო ურთიერთობები, წყლის გზების განვითარება, მონეტების ფორმის უნიფიკაცია, ცალკეული სამეფოების კულტურული დაახლოება – ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ ჭანკუოს პერიოდში ხდებოდა ქვეყნის სხვადასხვა რაიონების კონსოლიდაცია. თუმცა ამ პროცესებს აბრკოლებდა ჩინეთის დანაწევრება რამდენიმე მოქიშპე დამოუკიდებელ სამეფოდ.

სოციალურ-პოლიტიკური სწავლებები

სამეფოებს შორის მუდმივი კონფლიქტების შედეგად, ზარალდებოდა ქალაქის ხელოსნობა და ვაჭრობა, ქვეყნებს შორის იზღუდებოდა წყლის და სახმელეთო კავშირები. ეს ყველაფერი დამღუპველად

მოქმედებდა ქალაქის ხელოსნებსა და ვაჭრებზე. მაგრამ კიდევ უფრო მეტად ზარალდებოდნენ მიწათმოქმედები, რადგან მათ ზურგზე გადადიოდა ყველა სიმძიმე, რაც ომის წარმოებასთან იყო დაკავშირებული. დაუსრულებელი გადასახადები და საომარი მოსაკრებელი, ჯარში ხანგრძლივი სამსახური ინვევდა მიწათმოქმდების განადგურებას. მოსახლეობას სურდა ომების შეწყვეტა, რაც აისახა ჭანკუოს სხვადასხვა მიმართულების ფილოსოფიურ სკოლებში.

ეს პერიოდი ჩინეთის ისტორიაში ითვლება დიდი რეფორმების ეპოქად. სოციალურმა ცვლილებებმა განაპირობა კულტურის აღმავლობა. ამ ეპოქისთვის გამოჩნდნენ დიდი მოაზროვნეები, რომლებიც გამოდიოდნენ განსხვავებული პოზიციებით და სხვადასხვა შეხედულებებით ერთსა და იმავე საკითხებზე. თანდათანობით შეიქმნა სხვადასხვა სკოლები – ტაოისტური, კონფუციური, მოძია, ფაძია. ჩინეთში ამ პერიოდს უწოდეს „100 სკოლა", ანუ სხვადასხვა ფილოსოფიური სწავლებებისა და სკოლების წარმომადგენლები.[1]



სურ. 41 მენგ ნი

მშვიდობისკენ სწრაფვა გამოიყენა კონფუციზმის ერთ-ერთმა დამაარსებელმა – მენგ წიმ (სურ. 41). იგი ქადაგებდა ქვეყნის გაერთიანებას ადამიანების განადგურების გარეშე. ქვეყნის გაერთიანების იდეა ასევე გვხვდება სიუნ წისთან, რომელიც ქადაგებდა, რომ მთელი ჩინეთის ტერიტორია უნდა იყოს როგორც ერთი ოჯახი (სურ. 42). ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნისკენ ლტოლვა გვხვდება ტრაქტატში „ლიუში ჩუნციოუ". ეს აიხსნება იმითაც, რომ ეს ტრაქტატი დაიწერა ცინის სამეფოში, რომლის მმართველები პრეტენზიას აცხადებდნენ ქვეყნის უზენაესი გამაერთიანებლის როლზე.




სურ. 42 სიუნ ნი

სულიერების ძიება, რომელიც დაიწყო ჩუნციოუს პერიოდში, გაგრძელდა ჭანკუოს პერიოდშიც. აქტუალურ თემად რჩებოდა ადა-

[1] 诸子百家 ჭუნი პაიძია „ასი სკოლა", ფილოსოფიური სწავლებების და სკოლების წარმომადგენლები ძველ ჩინეთში.

მიანის მაღალზნეობრივი ბუნება, საზოგადოების მართვის საუკეთესო გზა და გაუთავებელი ომების დასრულება.

კონფუცის მიმდევრებს – მენგ წის და სიუნ წის ადამიანის ბუნებაზე განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ. მენგ წის მიაჩნდა, რომ ადამიანი თავიდანვე კეთილია, სიუნ წი კი ადამიანის ბუნების ბოროტ საწყისს უსვამდა ხაზს. კონფუციზმის ორ ლიდერს აერთიანებდა სოციალური უთანასწორობის მიმართ დამოკიდებულება. მათ მიაჩნდათ ეს საზოგადოების ბუნებრივ მდგომარეობად. ისინი თვლიდნენ, რომ ძირეული სხვაობაა დიდგვაროვნებსა და უბრალო ადამიანებს შორის. მენგ წის აზრით, რელიგიური რიტუალები წარმოადგენდა სახელმწიფო სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. იგი ითხოვდა დადგენილი რიტუალებისა და წესების დაცვასა და ზედმინევნით შესრულებას. ნებისმიერი ინოვაციის წინააღმდეგი იყო და ემხრობოდა კონფუცის აზრს სიძველისა და ძველი ცოდნის პრიორიტეტულობაზე.



სურ. 43 ლაო ნი

მენგ წიმ შეიმუშავა „ოთხი საწყისის" კონცეფცია – ჰუმანურობის (ჟენ), სამართლიანობის (ი), რიტუალის (ლი) და გონივრულობის (ჭი). ეს საწყისები განასხვავებენ ადამიანებს ცხოველებისგან და განსაზღვრავენ სწორ საზოგადოებრივ წყობას. კონფუცისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ღირსეულ ადამიანს მიაწერდა ჰუმანურობას, მენგ წი თვლიდა, რომ ყველა ადამიანს შესწევდა უნარი ყოფილიყო ღირსეული. იგი ავითარებდა სახელმწიფოს პატრიარქალურ თეორიას. პრიორიტეტად მიაჩნდა შვილების მხრიდან მშობლებისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება და სიყვარული. მისთვის ერთგულება აღემატებოდა დაწერილი კანონებით ხისტად მართვას.



სურ. 44 ლაო ნი ცხენზე

ტაოიზმი – სწავლება, რომელსაც ტრადიციულად მიაწერენ ბრძენ ლაო წის („მასწავლებელი ლაო", სიტყვასიტყვით – „მოხუცი ბავშვი"), ითვლება, რომ ცხოვრობდა ძვ. წ. V-IV სს (სურ. 43; სურ. 44).

ტაოიზმის მთავარი ტექსტი არის – ტაო ტე ძინგი („გზისა და ზნეობრიობის კანონი"). კონფუციზმისგან განსხვავებით, ტაოიზმი ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას ონტოლოგიის საკითხებზე. ტაოიზმს საფუძვლად უდევს წარმოდგენა ტაოზე – სამყაროს განვითარების ბუნებრივ გზაზე. ცას არ გააჩნია ნება და არ ახდენს გავლენას მიწიერ მოვლენებზე, ღმერთებიც კი – ბუნების ნაწილნი არიან, ტაო ტე ძინგის მიხედვით.

ტაოისტები მოუწოდებდნენ მოვლენების ბუნებრივი კანონზომიერებით მოქმედებისკენ ტაოსთან შერწყმის მიზნით. ისინი თვლიდნენ, რომ ადამიანის აქტიური მოღვაწეობა და მისი პროდუქტი – სახელმწიფო არის ბუნებრივი გზიდან გადახვევა. ტაოისტური უვეის, ანუ „უმოქმედობის" გაგება არ ნიშნავს ყველანაირ საქმეზე უარის თქმას. უვეი არის უარი უაზრო, ზედმეტ, ბუნებრივი განვითარების საწინააღმდეგო საქმიანობას. ასევე უარი უნდა თქმულიყო ბუნების გარდასახვაზე, საზოგდოებრივი ცხოვრების ახალი ფორმების ძიებაზე.

ტაოიზმის ერთ-ერთმა ადრეულმა წარმომადგენელმა, იანგ ჭუმ ჩამოაყალიბა ადამიანის ბუნებრივი არსებობის თეორია, რომლის თანახმად, ადამიანი განსხვავდება ბუნების სხვა მოვლენებისგან მხოლოდ აზროვნების უნარით, სიკვდილი კი – ბუნებრივი პროცესია. იანგ ჭუ ვარაუდობდა, რომ სიკვდილი ყველა ადამიანს – კეთილს, ბოროტს, ბრძენს და სულელს ათანასწორებს. იგი უარყოფდა ადამიანის განდიდებას მისი გარდაცვალების შემდეგ, რადგან გარდაცვლილისთვის ეს უკვე სულერთია. ადამიანი ცხოვრებით უნდა დატკბეს, აკეთოს ის, რასაც ითხოვს მისი გრძნობები და სული.

იანგ ჭუ მართვასთან დაკავშირებით ამბობდა: მხოლოდ იმას შეიძლება ანდო ძალაუფლება, ვინც არ ზრუნავს ცისქვეშეთზე. უნდა იზრუნოს მხოლოდ თავის სწორ უმოქმედობაზე და არ შეუშალოს ხელი სხვებს ასეთსავე უმოქმედობაში. როდესაც მმართველი, განსაკუთრებით მოხელეები, იწყებენ „ზრუნვას" სხვა ადამიანებზე: ანესებენ კანონებს, მითითებებს, განკარგულებებს, რითაც იწყება სხვისი ცხოვრების ბუნებრივ პროცესში ჩარევა, ანუ ადამიანები ვერ

იქცევიან სურვილისამებრ, ამით მსოფლიოში ზრდიან უსამართლობას და ქრება ტაოს მართალი გზა.



სურ. 45 მო წი

კონფუციზმსა და ტაოიზმთან ერთად განვითარდა ფილოსოფოს მო ტის (იგივე – მო წი) სწავლება – მოიზმი (სურ. 45). მო ტიმ შეიმუშავა „საყოველთაო სიყვარულისა და ურთიერთსარგებლიანობის“ დოქტრინა, რომლის მიხედვითაც საზოგადოების თითოეული წევრის მოქმედებები უნდა იზომებოდეს „ცისქვეშეთისთვის მოტანილი სარგებელით“. თუ პირადი ინტერესი ეწინააღმდეგება საერთო სარგებელს, მაშინ უნდა დათმო პირადი ინტერესი. არისტოკრატიის ზედმეტი ფუფუნება, მმართველის სარჩენად გაღებული უაზრო ხარჯები, კოლოსალური ხარჯები რიტუალებსა და უსასრულო ომებზე – ამას არ მოაქვს ხალხისთვის სარგებელი და კეთილდღეობა. მო ტიმ კონფუციური ვალდებულების/ სამართლიანობის გაგება (i) გააიგივა სარგებელთან: „სამართლიანი არის ყველაფერი, რაც სასარგებლოა“. იგი გამოდიოდა სოციალური სტატუსის მემკვიდრეობით გადაცემაზე და მოუწოდებდა დაბალი ფენის ნიჭიერი ადამიანების მოზიდვასა და დაწინაურებისკენ. მო ტი უარყოფდა ბედისწერას და აღიარებდა ადამიანის მიზანდასახული შრომისა და მოღვაწეობის მნიშვნელობას, რაც მის კონცეფციას განასხვავებდა კონფუციზმისა და ტაოიზმისაგან.

ლეგისტები (ფაძია; ფა – „დანერილი კანონი“) ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ შეუძლებელია მართო დიდი ქვეყანა დაწერილი კანონმდებლობის გარეშე. ამით ლეგისტები მკვეთრად განსხვავდებოდნენ კონფუცის დროინდელი ადრეული კონფუცისტებისგან. ლეგიზმის დიდი თეორიტიკოსები იყვნენ შანგ იანგი (ძვ. წ. IV საუკუნე) და ხან ფეი (ძვ. წ. III საუკუნე). საზოგადოებაში წესრიგის დამყარებისა და დეტალურად შემუშავებული კანონმდებლობით რეგულირების უზრუნველყოფა, ლეგისტების აზრით, შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, თუ კანონიდან ოდნავი გადახვევისთვისაც კი მკაცრი სასჯელით დაისჯებოდნენ მოქალაქენი. ლეგისტები იყვნენ ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლებისა და არისტოკრატიისგან

დამოუკიდებელი მოხელეთა აპარატის მომხრენი.

ძვ. წ. IV საუკუნის შუა პერიოდში ლეგიზმის საფუძველზე შანგ იანგმა გაატარა რეფორმების სერია დასავლეთ სამეფოში – ცინში (სურ. 46). შანგ იანგი დაინიშნა ცინის მეფის მინისტრად. მან შემოიღო ერთიანი კანონმდებლობა, შეცვალა ყველა არისტოკრატული წოდება და შემოიღო 20-რანგიანი ტიტულატურის ერთიანი სისტემა. ამ რანგების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ პირადი დამსახურებებით.



სურ. 46 შანგ იანგი

შანგ იანგმა მოხსნა შეზღუდვები მიწის ნაკვეთების რაოდენობასა და საერთოდ, კერძო საკუთრებაზე. ახლა შესაძლებელი იყო მიწების დაგირავება, მემკვიდრეობით გადაცემა და ყიდვა. დაუმუშავებელი მიწების ათვისების მიზნით მინისტრმა გაათავისუფლა ხალხი გადასახადებისგან გარკვეული დროის განმავლობაში, რამაც მოიზიდა სხვა სამეფოებში მცხოვრებლები და გამოიწვია ცინის სამეფოში მოსახლეობის ზრდა.

ლეგისტური დოქტრინის მიხედვით, ოჯახის წევრის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მთელი ოჯახი კოლექტიურად აგებდა პასუხს. არმიაში შანგ იანგმა ჭაოს სამეფოს ეტლების რაზმები შეცვალა ცხენოსანთა რაზმებით. მან სრულყო ადმინისტრაციული აპარატი: მოხელეები მოსახლეობის ყველა ფენიდან ინიშნებოდნენ. შანგ იანგის რეფორმებმა ცინის სამეფო ჭანკუოს პერიოდის სამეფოებს შორის ყველაზე ძლიერ სამეფოდ აქცია.

ცინის სამეფოს დაჩქარებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო ფასეულობათა სისტემაში ახალი მოვლენების ფორმირებას. ხან ფეიმ ტრაქტატში „ხან ფეი წი“ სილარიბისადმი ლეგისტების დამოკიდებულება გამოხატა: „სილარიბე – ნაკლია“; „ზარმაცები ღარიბდებიან, შრომისმოყვარენი კი – მდიდრდებიან“ (სურ. 47). მან შექმნა თეორია სახელმწიფოებრიობის ბუნებრივი განვითარების თაობაზე და დაასაბუთა ტრადიციებზე უარის თქმის აუცილებლობა, რადგან იგი ვეღარ პასუხობდა ახალ ამოცანებს.



სურ. 47 ხან ფეი

წინაპრების კონფუციური კულტი და წარსულის სამართლიანი იმპერატორები (უპირველეს ყოვლისა, იაო და შუნი) თუ საზიანოდ არა, უსარგებლოდ მაინც ითვლებოდა. წინაპართა კულტი ყაირათიანობასთან იყო შეუთავსებელი და სიღარიბესკენ უბიძგებდა ადამიანებს. ძნელია იმ საზოგადოების მართვა, რომელშიც ასეთი დიდია სოციალურ-ქონებრივი სხვაობა. ხან ფეი აკრიტიკებდა აგრეთვე იმათ, ვისაც წინასწარმეტყველების სჯეროდა და მსხვერპლშეწირვის რიტუალებში მონაწილეობდა. სწორედ ლეგისტების პრაგმატულობამ განაპირობა მათი მნიშვნელოვანი როლი ჩინეთის სახელმწიფოსა და საზოგადოების ისტორიაში.

ძვ. წ. 246 წელს ცინის სამეფოს ტახტზე ავიდა ინგ ჭენგი, რომელიც თავის მრჩეველ ლეგისტთან ერთად რამდენიმე წლის განმავლობაში ემზადებოდა ჩინეთის დანარჩენი ექვსი სამეფოს დასაპყრობად. შეიქმნა იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო არმია. მისი მეომრები იყვნენ აღჭურვილნი ისრებითა და არბალეტებით, ხმლებითა და ხანჯლებით. ძვ. წ. 230 წელს დაიწყეს მეზობლების დაპყრობა. პირველი დაეცა ხანის სამეფო, ხუთი წლის შემდეგ დადგა ვეის სამეფოს ჯერი. ძვ. წ. 223 წელს ინგ ჭენგმა დაიპყრო სამხრეთით მდებარე ჭანკუოს პერიოდის ყველაზე დიდი სამეფო – ჩუ. ძვ. წ. 222 წელს ინგ ჭენგმა დაიპყრო ჩრდილოეთით მდებარე სამეფოები – ჭაო და იენი. იენის დედაქალაქი იყო – ნიჩენგი (თანამედროვე პეკინი). ძვ. წ. 221 წელს ინგ ჭენგმა დაამარცხა და შემოიერთა ბოლო სამეფო – ცი, რითაც დაასრულა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისთვის. შემდეგ მან შექმნა ერთიანი ცინის იმპერია ცენტრალიზებული ხელისუფლებით. ეს ითვლება პროგრესულ ნაბიჯად ჩინური საზოგადოების განვითარების ისტორიაში.

როგორც ვხედავთ, ჭანკუოს პერიოდის მეორე ნახევრისთვის მომწიფდა ნინაპირობები, რომლებიც აუცილებელი იყო ქვეყნის გაერთანებისთვის. მებრძოლი სამეფოების ძალთა ფარდობაში მოხდა ძირეული ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ ძვ. წ. IV საუკუნის

ბოლოს ქვეყნის ტერიტორია ჯერ კიდევ შვიდ დამოუკიდებელ ქვეყნად იყო დაყოფილი, ძალთა შეფარდება უკვე ბევრად განსხვავებული იყო ჭანკუოს პერიოდის დასაწყისთან შედარებით. ამ დროისთვის ძლიერდება ცინის სამეფო. უწყვეტი ომების შედეგად, ცის, ჭაოს, ხანის, იენის, ჩუს და ვეის სამეფოებმა დაკარგეს თავიანთი დიდება – მათი არმიები მარცხს განიცდიდნენ. მათი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო ცინის სამეფომ.

ცინის სამხედრო წარმატებები ძირითადად აიხსნება იმ რეფორმებით, რომელიც გაატარა შანგ იანგმა. შანგ იანგის რეფორმებმა მემკვიდრეობითი არისტოკრატიის პოზიციები შეარყია, გააძლიერა სამეფო ძალაუფლება და ცინის სახელმწიფო არმია. შანგ იანგის რეფორმების თანმიმდევრულმა განხორციელებამ გაამყარა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო ძლევამოსილება.



იმპერიული ჩინეთი

ცინის დინასტია

ლეგისტებისგან განსხვავებით, ყველა დანარჩენი ფილოსოფიური სკოლების წარმომადგენლები ისტორიული პრეცედენტის ძიებაში მუდმივად წარსულისკენ იმზირებოდნენ. ლეგისტების სკოლის პოზიცია განსხვავებულია. მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი ხან ფეი აღწერს გადმოგვცემს ასეთ ამბავს: „ერთი გლეხი მიწას ამუშავებდა, როდესაც კურდღელმა ჩაურბინა, თავით ხეს დაეჯახა, მოიტეხა კისერი და მოკვდა. გლეხმა შეწყვიტა მუშაობა, დადგა ხესთან და ელოდებოდა, თუ როდის გამოჩნდებოდა სხვა კურდღელი და ისევ თავით დაეჯახებოდა ხეს. აქედან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვინც დღეს მართავს ქვეყანას და ძველი პერიოდის მეფეების მეთოდებს იყენებს, ნამდვილად ჰგავს იმ გლეხს, რომელიც კურდღელს ხესთან ელოდებოდა". ლეგისტების რევოლუციური იდეა ისტორიის უწყვეტი ცვლილებების პროცესად გააზრებაა. ამიტომ მართვის მეთოდებიც შესაბამისად ცვალებადი უნდა იყოს. სახელმწიფოს მართვის მეთოდები ეფუძნება სწავლებას ჯილდოებისა და სასჯელის შესახებ.

ძველ ჩინურ სამეფოებს შორის განუწყვეტელი ომები ანადგურებდა მინათმოქმედებას და ხელს უშლიდა სახელმწიფოს განვითარებას. მუდმივი სამხედრო მოქმედებების შედეგად მოსახლეობის დიდი ნაწილი განადგურდა და უამრავი თავისუფალი ადამიანი ტყვედ და მონად იქცა.

ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისში, იმ დროის ერთ-ერთ წამყვან კონფუცისტს, მენგ წის ჰკითხეს: „რა გზა არსებობს სიმშვიდის მისაღწევად ცისქვეშეთში?" მან უპასუხა: „გაერთიანება". და მართლაც, მეოთხე საუკუნეში, იმ ეპოქის ნამყვანი მოაზროვნეები უკვე ფიქრობდნენ ძველი ჩინური სამეფოების პოლიტიკური გაერთიანების პრობლემაზე. თანდათანობით იქმნებოდა ობიექტური წინაპირობები ერთიანი იმპერიის დასაარსებლად. ძვ. წ. V-III საუკუნეებში ერთ-

მანეთის ტერიტორიების მიტაცებითა და ლიკვიდაციების მცდელობებით სიტუაცია იქამდე მივიდა, რომ რამდენიმე ათეული სამეფო შემორჩა, მათ შორის „შვიდი უძლიერესი“: ჩუ, ცი, ჭაო, ხანი, ვეი, იენი და ცინი.

ასეთმა პოლიტიკურმა რეალობამ გამოიწვია სამეფოებს შორის ბრძოლის შეწყვეტისა და მთელი ქვეყნის გაერთიანებისკენ სწრაფვა, მაგრამ იმ პერიოდში ამის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი, დაპყრობის გზით, რაც განახორციელა კიდევაც ცინის სამეფომ. მრავალწლიანი ომების შედეგად მაღალორგანიზებულმა ცინის სახელმწიფომ დაიპყრო დანარჩენი ექვსი სამეფო – ჭაო, იენი, ცი, ჩუ, ხანი და ვეი და შექმნა ერთიანი იმპერია (სურ. 48).



სურ. 48 ცინის სიუნიანგის სასახლე (ძვ. წ. IV ს., ცინის სამეფოს დედაქალაქში – სიუნიანგში, თანამედროვე შაანსის პროვ. ტერიტორიაზე)

ინგ ჭენგმა, რომელიც ძვ. წ. 221 წელს გამოცხადდა ერთიანი ჩინური იმპერიის მმართველად, უარი განაცხადა სამეფო ტიტულის – ვანგის დატოვებაზე და მიიღო ახალი ტიტული – ხუანგტი („უზენაისი იმპერატორი“), სრულად კი – ცინ შიხუანგტი („ცინის პირველი უზენაისი იმპერატორი“), და იგი სწორედ ამ სახელით შევიდა ისტორიაში (სურ. 49). პირველად გაერთიანდა სიტყვები „ხუანგი“ და „ტი“, რომლებიც იყო დაკავშირებული ძველი ჩინელი ხალხის ბუნების წმინდა ძალებზე წარმოდგენასთან და გამოიყენებოდა უშუალოდ ღვთაებრივი პერსონაჟების ტიტულატურაში). მისი ძალაუფლება ცისქვეშეთის ისტორიაში იყო უპრეცედენტო. ის, რომ „ცინ შიხუანგტის“ ასევე განმარტავდენ როგორც „პირველ ღვთაებრივ მბრძანებელს, რომელმაც დაარსა ცინის ერა“ – უკვე იყო ჩინური საზოგადოების მართვის იმპერიულ ფორმაზე გადასვლის ფორმალური ნიშანი.

ტიტული „ხუანგტი“ ენიჭებოდა ყველა მომდევნო ჩინელ იმპერატორს 1912 წლამდე. იმპერიის სახელწოდება „ცინი“ იქცა ჩინეთის



სურ. 49 ცინ შიხუანგტი


სახელწოდებად ევროპულ ენებში: ინგლისური China, ფრანგული Chine, გერმანული China, ესპანური China.

ძვ. წ. 221 წლისთვის ცინის იმპერიას ეკავა საკმაოდ დიდი ტერიტორია.

სმა ციენის ცნობით, მისი საზღვრები აღმოსავლეთით აღწევდა პოხაის ყურეს სანაპიროებს და ჩაოსიენის სახელმწიფოს (თან. კორეა), დასავლეთით – ლინციაოს (თან. კანსუს ცენტრალურ ნაწილში), სამხრეთით – პეისიენხუს, ჩრდილოეთით საზღვარი მიჰყვებოდა ხუანგხეს ზოლს, რომელიც იყო ბუნებრივი დაბრკოლება, შემდეგ კი – ინშანის მთიდან ლიაოტუნგამდე გრძელდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ახალი ტიტულის მიღების შემდეგ, მართვის პირველივე წლებში, ცინ შიხუანგტი ეცადა იდეოლოგიურად დაესაბუთებინა ახალი დინასტიის უზენაესი უფლება ჩინეთის მთელ ტერიტორიაზე. ცინ შიხუანგტი საკმაოდ დიდ ყურადღებას ამახვილებდა „ხუთი სტიქიის“, იგივე ენერგიის თეორიაზე და თვლიდა, რომ მათმა თანამიმდევრობამ მიანიჭა მის დინასტიას წყლის ენერგია, რომელსაც შეესაბამებოდა შავი ფერი და რიცხვი 6. გაიცა საგანგებო განკარგულება, რომელიც აცხადებდა შავ ფერს ცინის იმპერიის სახელმწიფო ფერად. სწორედ ამიტომ დროშები, თავისი და სახელმწიფო მოხელეების ტანისამოსი იყო შავი ფერის და მის ეტლში კი შებმული იყო 6 ცხენი; ყველა რიცხვი, რაც კი გამოიყენებოდა, იყოფოდა ექვსზე, მაგალითად, ქვეყნის 36 ოლქად დაყოფა, ჩამორთმეული იარაღის გადადნობა და 12 ქანდაკებისა და ზარის ჩამოსხმა; დედაქალაქში 120 ათასი ოჯახის გადასახლება და სხვა უამრავი მაგალითის მოხმობა შეიძლება ამის საილუსტრაციოდ. და მაინც, მას ყველაზე მეტად ხიბლავდა ტაოიზმი, თუმცა იზიდავდა არა იმდენად ტაოიზმის ფილოსოფია, რამდენადაც მისი შამანიზმთან და ჯადოქრობასთან კავშირი.

განადგურდა დამოუკიდებელი სამეფოების საზღვრები და იმპერია დაიყო 36 ადმინისტრაციულ ერთეულად – ოლქებად (ძიუნებად) (სურ. 50). ოლქების მეთაურები ინიშნებოდნენ პირადად იმპერატო-



სურ. 50 ცინის იმპერიის ტერიტორია

რის ბრძანებით. ოლქები შედგებოდა მაზრებისგან (სიენი), მაზრები კი – სოფლებისგან. ცინის იმპერია იყო მკაცრად ცენტრალიზებული და იმისათვის, რომ ძველი სამეფოები მეხსიერებიდან ამოეშალათ, მთელ მოსახლეობას უწოდეს „ციენშოუ" ანუ შავთავიანები, იგივე – უბრალო ხალხი. სახელწოდება „ციენშოუ" ასევე უკავშირდება ცინის იმპერიის სახელმწიფო ფერს – შავ ფერს. „შავთავიანები" იმპერიის პერიოდში ეწოდებოდა ყველა თავისუფალს, მონებისგან, ბოროტმოქმედებისგან და სხვებისგან განსხვავებით.

ადმინისტრაციული აპარატი

იმპერატორის ძალაუფლება იყო განუსაზღვრელი. ცინ შიხუანგტის უახლოესი დამხმარე იყო ორი პირველი მრჩეველი, რომელთა ფუნქციებში შედიოდა იმპერატორის ყველა ბრძანების აღსრულება და ადმინისტრაციული ორგანიების აპარატის მუშაობის ხელმძღვანელობა. ცინის იმპერიის მთელი სახელმწიფო აპარატი იყოფოდა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებად. ქვეყნის ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოების შემადგენლობაში შედიოდა შვიდი

უწყება: სამხედრო, სასამართლო და ფინანსური უწყებები, საიმპერატორო კარის უწყება, რიტუალების უწყება, იმპერატორის დაცვის უწყება და უზენაისი პროკურატურა. ცინის იმპერიის ერთ-ერთი ძირითადი უწყება იყო სამეფო კარის უწყება, რომელსაც მართავდა მაღალჩინოსანი – შაოფუ. იგი პასუხისმგებელი იყო სამეფო კარისთვის განკუთვნილი გადასახადების აკრეფაზე, თითქმის ყველა ეს შემოსავალი ხმარდებოდა იმპერატორის ხარჯებს. ცინის იმპერიის დროს რეალიზებულ იყო ლეგისტების ეკონომიკური პროგრამების ერთ-ერთი მთავარი დებულებება – საიმპერატორო მონოპოლია ბუნებრივ სიმდიდრეებზე. ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციების წარმატებული განხორციელებისთვის ცინის შაოფუს მოხელეების დიდი შტატი გამოუყვეს. ამ მოხელეების არსებობა მოწმობს იმაზე, რომ იმპერატორის უზენაის საკუთრებაში იყო წყალი. ასევე იმპერატორს მონოპოლია ჰქონდა მარილისა და რკინის მოპოვებისა და რეალიზაციაზე; ამას გარდა, საიმპერატორო ზედამხედველობა ვრცელდებოდა მარცვლეულის საბაზრო ფასებზე, იარაღის წარმოებასა და შენახვაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ შვიდი ცენტრალური უწყების არსებობას უნდა უზრუნველეყო იმპერატორთან ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და სასულიერო ძალაუფლების კონცენტრაცია.

ჩინოსნების დიდი ნაწილის ეკონომიკური კეთილდღეობა მთლიანად იმპერატორზე იყო დამოკიდებული, ყველა რანგის ჩინოსანი მკაცრ კონტროლზე იყო აყვანილი და ყველა თანამდებობის პირზე ვრცელდებოდა. ურთიერთპასუხისმგებლობის სისტემაზე – ბრძანების დარღვევის შემთხვევაში ან უბრალოდ ცუდი მუშაობისთვის ისჯებოდა არა მხოლოდ დამნაშავე, არამედ ისიც, ვინც მას რეკომენდაცია გაუწია ამ თანამდებობაზე. ამავე სისტემის თანახმად, ჩინოსანი, რომელიც ხედავდა და იცოდა ეს, მაგრამ ხელისუფლებას არ აწვდიდა ინფორმაციას, ისეთივე სასჯელს იხდიდა, როგორსაც დამნაშავე. ცინის იმპერიის კანონმდებლობით, არსებობდა სპეციალური სასჯელი, რომელიც ვრცელდებოდა მხოლოდ ჩინოსნებზე – სასაზღვრო ჯარებში რიგითად გაწვევა. ერთმანეთის თვალთვალი და კონტროლი იყო ამ იმპერიის სახელმწიფო აპარატის დამახასიათებელი ნიშანი.

ცინ შიხუანგტი იყო დესპოტური მართვის ფორმის სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაური. იგი ფლობდა საკანონმდებლო, ადმინის-

ტრაციულ, აღმასრულებელ და უზენაისი სასამართლოს ძალაუფლებას. ჩინოსანთა აპარატი მხოლოდ აღმასრულებელი იარაღი იყო.

გატარებული რეფორმები



სურ. 51 ლი სპი

ექვსი სამეფოს დაპყრობა და ტერიტორიების გაერთიანება ერთიანი სახელმწიფოს შექმნისკენ გადადგმული მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცინის პირველი იმპერატორის საყოველთაო რეფორმებს, რომლებიც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული დაქუცმაცების შედეგების ლიკვიდაციას შეძლებდა. რეფორმებს წინ უძღვოდა მწვავე დაპირისპირებები მოსაზრებათა სხვადასხვაობის გამო, თუ როგორ იყო საჭირო შემოერთებული ტერიტორიების მართვა; რომელი პრინციპი სჯობდა საფუძვლად დასდებოდა იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემას. იმპერატორმა მიიღო ლი სპის[1] წინადადება (სურ. 51). ლი სპის გეგმა პასუხობდა იმპერატორის საკუთარი ძალაუფლების გაძლიერებისკენ მისწრაფებებს. ცინ შიხუანგტიმ კატეგორიული უარი განაცხადა შვილებისთვის მიწების დარიგებაზე. ამას მისი ცისქვეშეთში მშვიდობის დამყარებაზე ზრუნვით ხსნიდა. „ცისქვეშეთი ახლახანს გაერთიანდა, – ამბობდა ცინ შიხუანგტი, – ახლა ისევ სამეფოების შექმნისთვის ხელის შეწყობა ნიშნავს ომის მომზადებას".

ახალი, დესპოტური ხელისუფლების პოლიტიკა მიზნად ისახავდა ძველი წესრიგის შენარჩუნების ტენდენციების ჩახშობას. ცინ შიხუანტიმ სწრაფი ტემპებით გაატარა ღონისძიებები ძალაუფლების ცენტრალიზების განსამტკიცებლად და რეფორმები ახალი იმპერიის გასაძლიერებლად. ძვ. წ. 221 წელს იმპერიის დედაქალაქში, ქ. სიენიანგში (შაანსის პროვინციაში, ქ. სიანთან ახლოს), იძულე-

[1] ცინ შიხუანგტის მთავარი მრჩეველი იყო ლეგისტი ლი სპი.

ბით გადმოასახლეს ყველა დაპყრობილი სამეფოდან არისტოკრატების, მოხელეებისა და ვაჭრების 120 ათასი ოჯახი. ამ მასობრივი გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი დაპყრობილი სამეფოების ადმინისტრაციული აპარატის განახლებისკენ სწრაფვა იყო. ახლად შექმნილ იმპერიაში ხელმძღვანელის პოსტებზე ცინის სამეფოს წარმომადგენლებს ნიშნავდნენ. ოკუპირებულ სამეფოებში ყველა იარაღის კონფისკაცია მოხდა, რათა ამით განეიარაღებინათ დარჩენილი ექვსი სამეფოს დამარცხებული სამხედროები. ჩამორთმეული იარაღები გადაადნეს და ჩამოასხეს ბრინჯაოს უზარმაზარი ზარები და ქანდაკებები (12 ადამიანის ქანდაკება, თითოეულის წონა იყო 30 ათასი კგ), რომლებიც განათავსეს დედაქალაქში ახალი საზოგადოებრივი წესრიგის დასტურად.

ცინ შიხუანგტის რეფორმები პირდაპირ პასუხობდა ერთიანი იმპერიის ეკონომიკურ და სახელმწიფო განვითარების მოთხოვნებს. მართვისა და კონტროლის გასამარტივებლად შეიქმნა სტანდარტული გზების ერთიანი ქსელი[1]; დაწესდა წონის, სიგრძისა და მოცულობის საზომი ერთეულების ერთიანი სისტემა; შემუშავდა ერთიანი ფულადი სისტემა, ერთიანი დამწერლობა, ერთიანი კანონმდებლობა.

ფული იყო ორი სახის: ოქროს მონეტები, როგორც უმაღლესი ვალუტა და სპილენძის მონეტები. იმავდროულად, გაიცა ბრძანება, რომელიც კრძალავდა იასპის, კუს ბაკნებისა და ვერცხლის გამოყენებას ფულის ფუნქციით. საიმპერატორო ედიქტში ეწერა, რომ შეიძლებოდა ამ საგნების მოსაკაზმ საშუალებად გამოყენება. სპილენძის მონეტებს ჰქონდა მრგვალი ფორმა შუაში კვადრატული ხვრელით. ასეთი სახის მონეტები გამოიყენებოდა მომდევნო დინასტიების დროსაც და იარსება 2000 წელზე მეტ ხანს (სურ. 52).



სურ. 52 სპილენძის მონეტები და მონეტების ჩამოსასხმელი ფორმა

[1] ყველა გზას სამი ზოლი ჰქონდა, შუა ზოლი განკუთვნილი იყო საიმპერატორო ეტლისთვის.



სურ. 53 ძველი ქვის ფილაზე სიაოჭუანის სტილით შესრულებული თორმეტი პატარა ბეჭდის სიმბოლო, ცინის დინასტია

ქვეყნის გაერთიანებამ ასევე აუცილებელი გახადა საყოველთაო სახელმწიფო დამწერლობის შექმნა, რადგან არსებობდა დიდი განსხვავება სამეფოების დიალექტებს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს ყველა ოლქების სამეურნეო და ადმინისტრაციული მართვა. ცინის სამმა მაღალჩინოსანმა ლი სჰიმ (პირველმა მრჩეველმა), ჭაო კაომ (მემატიანემ და კარის ასტროლოგმა) და ხუმუ ძინგმა (სამეფო კარის ისტორიკოსმა) ჭოუს დამწერლობის – ტაჭუანის (დიდი ჭუანის) ბაზაზე შექმნეს შედარებით გამარტივებული დამწერლობა – სიაოჭუანი (მცირე ჭუანი), რითაც ცდილობდნენ დამწერლობა აღსაქმელად უფრო ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ამასთან არანაირი გრამატიკული ცვლილებები არ შეუტანიათ, ლექსიკური შემადგენლობა და ენის სტრუქტურა შენარჩუნებული იყო, გამარტივდა და უნიფიცირებულ იქნა მხოლოდ იეროგლიფების წერის მეთოდები (სურ. 53). ყოველმა მათგანმა ამ ახალი სტილით დაწერა თითო ქრესტომატიული ტექსტი. ლი სჰიმ დაწერა წიგნი „ცანგ ძიე", რომელიც შედგებოდა შვიდი ნაწილისგან; ჭაო კაომ შეადგინა „იუენლი" ექვსი ნაწილისგან, ხუმუ ძინგმა შექმნა „პოსიუე" – შვიდი ნაწილისგან. ტექსტების შექმნა და მოგვიანებით გადაწერა მიზნად ისახავდა ოფიციალურად სახელმწიფო სტილად გამოცხადებული სიაოჭუანის პოპულარიზაციას. მაგრამ ეს დამწერლობა, მიუხედავად აქტიური ხელშეწყობისა, ფართოდ არ გამოყენებოდა, თუმცა მომდევნო დინასტიებში შემდგომი სრულყოფის შედეგად, გააგრძელა არსებობა. სიაოჭუანთან ერთად არსებობდა დამწერლობა ლიშუ, რომელიც ეფუძნებოდა სიაოჭუანს, მაგრამ გამოირჩეოდა გაცილებით მარტივი წერის წესით, ამ დამწერლობით სარგებლობდნენ ცინის დინასტიის იურისტები და კერძო

პირები.[1] ეს იხსნება იმით, რომ სასამართლოს წარმომადგენლები ძალიან დატვირთულები იყვნენ ბევრი და ხშირი წერით. ასევე ხდებოდა მიმოწერა ამ სტილის გამოყენებით კერძო პირებს შორის. ხანის დინასტიის ბოლოს ლიშუმ საბოლოოდ ჩაანაცვლა სიაოჭუანი და გახდა წერის ერთადერთი სახეობა, რომელმაც მცირეოდენი მოდიფიკაციით დღემდე მოაღწია. ერთიანი დამწერლობის შექმნამ დიალექტური თუ ენობრივი სირთულეები მეორეხარისხოვან პრობლემად აქცია და იმპერიის სხვადასხვა ოლქებსა და რეგიონებს შორის საქმიანი კომუნიკაციის წარმოება შესაძლებელი გახადა.

ახლად დაარსებული სახელმწიფო სტრუქტურების განმტკიცებაში არსებითი როლი საკანონმდებლო რეფორმებმა შეასრულა. გაერთიანებული ოლქების წარმატებული მართვა, რომლებშიც ბატონობდა ადგილობრივი ადათ-წესები და კანონები, შეუძლებელი იქნებოდა ყველასათვის ერთიანი, იმპერიის საყოველთაო კანონმდებლობის გარეშე. ცინ შიხუანგტის შემდგომი მოღვაწეობიდან ჩანს, რომ ეს არ იყო უბრალო დეკლარაცია. იმპერატორი ისწრაფვოდა, რომ მისი დადგენილი კანონები აღსრულებულიყო. ძვ. წ. 221 წელს სპეციალური საიმპერატორო ედიქტით გააუქმეს ძველი სამეფოების კანონები და შემოიღეს ახალი კანონმდებლობა, რომელიც მთელი იმპერიისთვის ერთი იყო. ქვეყნის ყველა მცხოვრები, იქნებოდა ეს უბრალო ადამიანი თუ მაღალჩინოსანი, ვალდებული იყო უსიტყვოდ შეესრულებინა ხელისუფლების განკარგულებები, დამორჩილებოდა ახალ კანონებს. რომელიმე პუნქტის დარღვევა ან ნორმიდან ოდნავი გადახვევაც კი მკაცრად ისჯებოდა. ცინ შიხუანგტი და ლი სჰი ისევე, როგორც შანგ იანგი, მიიჩნევდნენ, რომ სახელმწიფოს ძალაუფლების გაძლიერების საიმედო გზა იყო სისხლის სამართლის კოდექსი. კანონების შემუშავება ხდებოდა წახალისებისა და დასჯის პრიორიტეტების ლეგისტური პრინციპით: დაწესდა სასტიკი სასჯელები, მათ შორის სიკვიდლით დასჯის 12 სახეობა. ცინის იმპერიის სასჯელთა უმრავლესობა იყო გადაღებული ცინის სამეფოს სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა შანგ იანგის რეფორმების პერიოდში. ამას დაემატა რამდენიმე ახალი

[1] ხანის დინასტიის ბოლოს, ლიშუმ საბოლოოდ განდევნა სხვა დამწერლობა და იქცა დამწერლობის ერთადერთ სახეობად, რომელიც უმნიშვნელო მოდიფიკაციით შემონახულია დღემდე.

სასჯელი. მაგალითად, თხემის ძვლის ლურსმნით გახვრეტა, ნეკნების დამტვრევა და დიდ ქვაბში ხარშვა. ე.წ. საპატიო სიკვდილით დასჯა იყო, როდესაც იმპერატორი „წყალობდა სიკვდილით“, უგზავნიდა მსჯავდებულს ხმალს და აიძულებდა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე თავის სახლში. ეს ვრცელდებოდა არა მხოლოდ მმართველი გვარის წევრებზე, არამედ შედარებით მაღალი რანგის ჩინოსნებზეც. სწორედ ამ სახით გაუსწორდა მეფისწულ ფუ სუს ცინ შიხუანგტის უმცროსი შვილი ხუხაი, რომელმაც არაკანონიერი გზით დაიკავა ტახტი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ იმპერატორს ჰქონდა ამ წესის დარღვევის და მსჯავდებულის უფრო სამარცხვინო სიკვდილით დასჯის უფლება.

ცინის კანონმდებლობა ასევე სასტიკად იბრძოდა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების წინააღმდეგ და სჯიდა როგორც სახელმწიფო მოღალატეს, ისე მის სამი თაობის ნათესავებს. მაგალითად, ასეთი გზით სჯიდნენ იმათ, ვისაც სახლში ჰქონდა შენახული აკრძალული კონფუციური წიგნები ან კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდა იმპერატორის და მის მიერ გატარებული პოლიტიკური ღონისძიებების მისამართით. სიკვდილით დასჯა, უმრავლეს შემთხვევაში, ხდებოდა სახალხოდ. როგორც ჩანს, იმპერატორი ამით ცდილობდა ხალხის დაშინებას და გარკვეულწილად არიდებდა თავს შესაძლო ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს.

მსუბუქი დანაშაულის ჩადენისთვის დამნაშავე და მისი სამი თაობის ნათესავები ხდებოდნენ სახელმწიფო მონები. სახელმწიფო მონობა გავრცელდა გლეხებისა და მონების იძულებითი შრომის სისტემის წყალობით, რადგან მიმდინარეობდა ცინის იმპერიის გიგანტური მშენებლობები, მათ შორის იყო გზების ერთიანი ქსელი, ჩინეთის დიდი კედელი და იმპერატორის აკლდამა.

ცინ შუხუანგტი ხელს უწყობდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ათიათასობით უმინო ან მცირე მიწის მქონე მოქალაქეები და მოხალისეები გადაასახლეს ახალდაპყრობილ მიწებზე. ამასთან, მათ ათავისუფლებდნენ ყოველგვარი შრომითი ბეგარასგან და აჯილდოებდნენ არისტოკრატიის სხვადასხვა რანგით. ზოგიერთი იძულებით გადაასახლეს, მაგალითად, კატორღელები, დეზერტირები, ვაჭრები, ლეგისტური პრინციპის შესაბამისად დასჯილი მოხელეები, რომლებმაც ვერ შეასრულეს თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობები და


სხვა. მინათმოქმედება, ვაჭრობისა და ხელობისგან განსხვავებით, ოფიციალურად ითვლებოდა „ძირითად საქმიანობად“.

ერთ-ერთი აღსანიშნავი მოვლენა იყო იმპერატორის გამაერთიანებელი მოგზაურობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ცინი მოგზაურობაში თითქმის ყოველი წლის რამდენიმე თვეს ატარებდა თავისი საიმპერატორო კორტეჟით. ჯერ დასავლეთით გაემგზავრა, შემდეგ კი, აღმოსავლეთით – ზღვასთან, რათა მოსახლეობის დიდ რაოდენობას დაენახა იგი და გაეაზრებინა ის ფაქტი, რომ მათ ქვეყანას მართავდა ცინ შიხუანგტი და, რომ ისინი ემორჩილებოდნენ მხოლოდ ერთ იმპერატორს.

კონსოლიდაციისა და გაერთიანების მთელ ამ პროცესში, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ რეფორმებს, საყოველთაო თანასწორობას კანონის წინაშე; წონის, სიგრძის, მოცულობის საზომი ერთეულების, გზების სიგანის უნიფიკაციას; ვალუტისა და დამწერლობის სტანდარტიზაციას – პირველი იმპერატორისა და მრჩეველის როლი იმსახურებს ქებასა და დიდებას.

სამშენებლო სამუშაოები

ცინ შიხუანგტის აკლდამის მშენებლობა გრძელდებოდა 35 წელი. იგი მდებარეობს ლიშანის მთის ძირას სიანთან ახლოს (სურ. 54). შიდა ნანილის მოპირკეთებაზე მომუშავე მშენებლები ცდილობდნენ ზემოთ შეექმნათ ცა და ქვემოთ – მიწის ლანდშაფტი. მშენებლებმა შექმნეს უამრავი მინიატურული სასახლე, მდინარეები და ზღვები.



სურ. 54 ბრინჯაოს ეტლი და ცხენები, ცინ შიხუანგტის საფლავი

აკლდამაში იყო განლაგებული ასი ჩინოსნის ფიგურა.

სამშენებლო საქმეების განსაკუთრებით გააქტიურებაზე სასახლეების მშენებლობებიც მეტყველებდნენ. ჯერ კიდევ ქვეყნის გაერთიანებისთვის ომების დროს ცინ შიხუანგტიმ გასცა ბრძანება, სიენიანგთან ახლოს სასახლეების მშენებლობები დაეწყოთ მის მიერ დაპყრობილი სამეფოების საუკეთესო სასახლეების მაგალითების გამოყენებით. სმა ციენის ცნობების მიხედვით, იმპერიაში ჯამში 700-ზე მეტი სასახლე არსებობდა, აქედან 300 – უშუალოდ ყოფილი ცინის სამეფოს ტერიტორიაზე. ყველაზე დიდი სასახლე იყო ეფანგკუნგი, რომელიც ცინ შიხუანგტიმ ააშენა დედაქალაქთან ახლოს, მდ. ვეიხეს სამხრეთ სანაპიროზე. ეს იყო დახურული გალერეებითა და შეკიდული ხიდებით ერთმანეთთან დაკავშირებული შენობების მთელი ანსამბლი.



სურ. 55 ცინის დინასტიის ჩინეთის დიდი კედლის სქემატური რუკა

შიდა გამაგრებების განადგურება ხელს უწყობდა იმპერიის ოლქებს შორის რეგულარული კავშირების დალაგებას. კონკრეტულად კი, დაინგრა ყველა სამეფოს სასაზღვრო კედელი, გარდა ცინის, ჭაოს და იენის სამეფოების გარე კედლებისა და ჩრდილოეთით თავდაცვითი ზოლისა. ეს ზოლი კი, პირიქით, შეკეთდა, გაფართოვდა და გაძლიერდა, ამით უზრუნველყო უსაფრთხოება და იმპერია ჩრდილოელი მომთაბარე ტომებისგან დაიცვა. ამ უკვე ერთიან კედელს მიენიჭა სახელწოდება „ჩინეთის დიდი კედელი" – ჩინეთის ერთ-ერთი მთავარი კულტურული სიმბოლო, რომელიც შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ჩამონათვალში.[1] უშუალოდ ცინის დინასტიის დროს აშენდა ერთ-ერთი მონაკვეთი, რომლის სიგრძეა 750 კმ (სურ. 55).

[1] იგი ასევე ცნობილია სახელწოდებით „ვანლი ჩანგჩენგი" (ათი ათასი ლის სიგრძის კედელი). დიდი კედლის სიგრძეა 3100 კმ, კედლის სიმაღლეა 5-7 მ, სიგანე – 6-10 მ.

ჩინეთის დიდი არხი – ჰიდროტექნიკური ნაგებობა, რომლის უნიკალურობაც მდგომარეობს იმაში, რომ ორი საპირისპირო მიმართულების მდინარე ხელოვნურად გათხრილი კალაპოტის მეშვეობით (32 კმ სიგრძის) შეერთდა. ამის შედეგად ძველმა ჩინელმა ინჟინრებმა შექმნეს გიგანტური წყლის არტერია, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს და რომელზეც დღესაც მიდის ნაოსნობა შიდა წყლების გზებით.

ცინ შიხუანგტის ამ ღონისძიებამ, რასაკვირველია, გააძლიერა ცენტრალური ხელისუფლების პოზიციები და ხელს უწყობდა იმპერიის ერთიანობის გაძლიერებას.

საგარეო პოლიტიკა

ცინ შიხუანგტი აქტიური საგარეო პოლიტიკით გამოირჩეოდა. იგი აქტიურ საგარეო პოლიტიკას მხოლოდ შიდა ვითარების მოწესრიგებისა და თავისი ადგილის განმტკიცების შემდეგ შეუდგა, ეს დაიწყო ქვეყნის გაერთიანებიდან ექვსი წლის შემდეგ. ცინის იმპერიის საომარი მოქმედებები ძირითადად ორი მიმართულებით – ჩრდილოეთით და სამხრეთით – ვითარდებოდა. ჩრდილოეთში, ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლები, ძირითადად, იყო თავდაცვითი ხასიათისა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გარდა იმპერიის საზღვრების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. მდიდარ სამხრეთში კი, რომელიც გამოირჩეოდა ფუფუნების საგნებით, ძირითადად იყო დამპყრობლური ომები. ჩრდილოეთით მომთაბარე ტომების, ჰუნების მხრიდან სერიოზული საფრთხე არსებობდა. ჰუნების მეთაურობით შედგა ტომობრივი კავშირი. ჰუნები იყვნენ ბარბაროსები, რომლებსაც „ძარცვა უფრო მარტივი ეჩვენებოდათ, ვიდრე შემოქმედებითი შრომა და ამით თავიც მოსწონდათ". ომი და მისი ორგანიზება იყო ჰუნების ცხოვრების წესი, თუმცა მეცნიერები ომების ინიციატორებად ყოველთვის მხოლოდ ჰუნებს არ თვლიან. ცინის იმპერიასაც ხიბლავდა ჩრდილოეთის მიწები და მათი გამორჩეული ცხენები, რომლებიც მიწებზე ნაკლებად ძვირფასი არ იყო. მართალია, იქმნებოდა ბაზრები, სადაც მშვიდობიანი ვაჭრობა მიმდინარეობდა, თუმცა მათი შემოსავლის ძირითადი წყარო

მაინც ომები იყო. ცინის საიმპერატორო კარზე ხშირად ბჭობდნენ, როგორი პოლიტიკა აერჩიათ ჰუნების მიმართ: ზოგი მოუწოდებდა მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და საზღვრების გამაგრებისკენ, ზოგი კი – მათი სამუდამო განადგურებისკენ. მთელი ისტორიის მანძილზე, ჰუნები რჩებოდნენ ჩინელების თავის ტკივილად. ლი სჰი არ ურჩევდა იმპერატორს ჰუნების წინააღმდეგ გალაშქრებას. იგი თვლიდა, რომ ომი მხოლოდ დაღლიდა შუამდებარე ქვეყანას და ამით სიხარულს მოჰგვრიდა ჰუნებს. ამჯერად ცინ შიხუანგტიმ ლი სჰის რჩევა არ გაითვალისწინა და მაინც გაილაშქრა ჰუნების წინააღმდეგ. ძვ. წ. 215 წელს ცინ შიხუანგტის 300 ათასიანმა არმიამ მენგ თიენის მეთაურობით ჰუნებს მარცხი აგემა, მაგრამ ვერ შეაჩერა მათი შემოჭრის საფრთხე. თუმცა ორწლიანი უდრეკი ომის შედეგად, ცინელებმა მოახერხეს მომთაბარეებისთვის უზარმაზარი ტერიტორიის – დაახლოებით 400 კმ-ის წართმევა.

ცინ შიხუანგტის მიზნად ჰქონდა დასახული სამხრეთში ვიეტნამური სახელმწიფოების – ნამვიეტისა და აულაკის ექსპანსია. მიუხედავად სერიოზული წინააღმდეგობისა, ცინის იმპერიამ ნამვიეტისა და აულაკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილის დაპყრობა შეძლო. ახალ მიერთებულ ტერიტორიაზე სამი ოლქი შეიქმნა. კამპანიები განხორციელდა ასევე ჩრდილოეთით, მათ შორის იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს შიდა მონღოლეთის ნაწილია. მთლიანობაში, სასაზღვრო ტეროტორიის კოლონიზაცია ხელსაყრელი იყო სახელმწიფოსთვის, რადგან ეს ზრდიდა ქვეყნის თავდაცვით უნარიანობას და აჩქარებდა ახალი ტერიტორიების ათვისების პროცესს.

კონფუცისტების გენოციდი


ცინ შიხუანგი ხვდებოდა, რომ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის უნდა დაეწყნარებინა დაპყრობილი სამეფოების კონფუცისტები. თავიდან იგი თავს მშვიდობისმყოფელად, კონფუციური ჰუმანურობისა და მშობლების პატივისცემის თაყვანისმცემლად აჩვენებდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წარმატება იყო – ცოდნის აკადემიის დაარსება, რომელზეც მიმაგრებული იყო სამოცდაათი სწავლული. მათ თავიდან უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ. თუმცა მოგვიანებით



სურ. 56 კონფუციური წიგნების დაწვა და კონფუცისტების ცოცხლად დამარხვა, XVIII საუკუნეში შესრულებული ილუსტრაცია

კი, ძვ. წ. 213 წელს მოხდა ისეთი რამ, რამაც დაგვანახა დიქტატურის განსაკუთრებული თვისება (სურ. 56).

საქმე ის იყო, რომ ახალი სახელმწიფო მართვის სისტემა ძირითადად შენდებოდა ლეგისტური კონცეფციის საფუძველზე და ლეგიზმი (ფაძია) იყო ცინის იმპერიის ოფიციალური იდეოლოგია. ცინ შიხუანგტისა და ლი სჰის პოლიტიკა არისტოკრატიის პროტესტს იწვევდა. კონფუციურად განწყობილი სწავლულები ძველი ტრადიციების მაგალითზე მითითებით ცინის დინასტიას დაცემას უწინასწარმეტყველებდნენ, უნდობლობას გამოხატავდნენ ხელისუფლების მიმართ, მოუწოდებდნენ ხალხს წინააღმდეგობისაკენ. მაგალითად, „ცოდნის აკადემიის“ ერთ-ერთმა კონფუცისტმა საიმპერატორო სასახლეში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ძველი დინასტიები დიდხანს ძლებდნენ, რადგან ისინი წახალისების მიზნით მიწებს ურიგებდნენ თავიანთ შვილებსა და ჩინოსნებს დამსახურებისთვის. „ახლა კი, მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი ყველაფრის მფლობელია, მისი შვილები და უმცროსი ძმები უბრალო ადამიანებად რჩებიან. არასოდეს გამიგია, რომ სისტემას, რომელიც არ არის ჩვენი წინაპრების მსგავსად შექმნილი, დიდხანს გაეძლოს.“ ამაზე ლი სჰიმ უპასუხა: „არიან სწავლულნი, რომელნიც სწავლობენ ნარსულს, რათა აკრიტიკონ ანმყო; ისინი აბნევენ უბრალო ხალხს და უბიძგებენ მათ აჯანყებისკენ.“ ის თვლიდა, რომ თუ ეს ტენდენცია არ დასრულდებოდა, იმპერატორის ძალაუფლება შესუსტდებოდა, რაც ქვედა ფენებში არეულობას გამოიწვევდა.



სურ. 57 ხეობა, სადაც ცინ შიხუანგტის დროს ცოცხლად დამარხეს კონფუცისტები

ამიტომ, ძვ. წ. 211-213 წლებში ცინ შიხუანგტის

ერთ-ერთი აქტივობა გახდა კონფუციური წიგნების დაწვა. მათ ხელი არ უხლიათ სამკითხაო ტექსტებისთვის, არც სამედიცინო-ფარმაკოლოგიურ და მიწათმოქმედების შესახებ წიგნებისთვის. თუმცა ლიტერატურის დაწვასთან დაკავშირებით რამდენიმე მეცნიერს ეჭვი აქვს, რომ შესაძლოა საიმპერატორო ბიბლიოთეკაში მაინც შემორჩენილიყო რამდენიმე ეგზემპლარი. ცინ შიხუანგტიმ 460 კონფუცისტი სწავლული სიკვდილით დასაჯა – ცოცხლად დამარხა, დანარჩენი კი საზღვარგარეთ გადაასახლა (სურ. 57). ამ ზომების მიღების საბაბი გახდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონფუცისტების ანტისახელისუფლებო საქმიანობაში შეტანილი ეჭვი. ძველი ლიტერატურისა და კონფუცისტების განადგურება ეხმარებოდა მათ ლეგისტური იდეების დანერგვაში.

სახალხო აჯანყებები და იმპერიის დაცემა

აქტიური საგარეო პოლიტიკა და ღონისძიებები ქვეყნის შიგნით მოითხოვდა დიდ ფინანსებს და უამრავ მუშახელს. ჩინეთის დიდი კედლისა და გზების მშენებლობაზე, სიენიანგის სასახლეების ასაგებად და მავზოლეუმის – იმპერატორის მიწისქვეშა სასახლის მშენებლობაზე სამუშაოდ ასი ათასობით ადამიანი ქვეყნის ყველა მხრიდან მოჰყავდათ. ეს იყო მძიმე და დამქანცველი შრომა, განსაკუთრებით მათთვის, ვინც არ იყო მიჩვეული მკაცრ კლიმატურ პირობებს. ათასობით ადამიანი უმძიმესი შრომისგან იფიტებოდა და იღუპებოდა (სურ. 58).

არაერთი ლეგენდა არსებობს ჩინეთის დიდ კედელთან დაკავშირებით, მათ შორის, ძალიან ცნობილი გულისამაჩუყებელი ლეგენდა „მენგ ძიანგნიუ მოთქვამს ჩინეთის დიდ კედელთან“ სხვადასხვა ვარიაციებით. ეს ლეგენდა მოგვითხრობს ქალზე, რომელმაც ცრემლებით დაშალა დიდი კედელი, სადაც მისი ქმარი იყო ჩაშენებული. აქვე დავიმოწმებთ ერთ-ერთს:



სურ. 58 ჩინეთის კედლის აშენების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტები

მენგ ძიანგნიუს მეუღლე ფან სილანგი მოხელეების ზეწოლის ქვეშ საბატონო ბეგარის სახით გაიწვიეს ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობაზე. მეუღლის გამგზავრების შემდეგ, მენგ ძიანგნიუს თვეების განმავლობაში არაფერი სმენია მის შესახებ, ამიტომ გადაწყვიტა ფან სილანგთან გამგზავრება და თან მისთვის ზამთრის თბილი ტანისამოსის წაღება.

როდესაც მიაღწია დიდ კედელს, სამწუხაროდ, მისი მეუღლე უკვე გარდაცვლილი დახვდა. ამბის გაგებით თავზარდაცემული მენგ ძიანგნიუ იქამდე მოთქვამდა ცხარე ცრემლებით, სანამ დიდი კედელი არ ჩამოიშალა იმ ადგილას, სადაც მისი ქმარი იყო ჩაშენებული (სურ. 59). საუკუნეების განმავლობაში ჩინეთის ყველა კუთხეში დგამდნენ სპექტაკლებს და წერდნენ საოპერო ნაწარმოებებს ამ ლეგენდის მოტივებზე. მენგ ძიანგნიუს სახელობის ტაძრებიც შენდებოდა. რამდენიმე ათეულ ტაძარს შორის არის ერთი ტაძარი ჩინეთის დიდი კედლის შანხაიკუანის მონაკვეთზე. იგი ახლაც კარგ მდგომარეობაშია.



სურ. 59 მენგ ძიანგნიუ მოთქვამს ჩინეთის დიდ კედელთან

იმპერიული გიგანტომანია, საგადასახადო და ადმინისტრაციული წნეხი, მიწათმოქმედების გაკოტრება, დამონების შიში ხელს უწყობდა მოსახლეობის მასობრივ უკმაყოფილებას. ამიტომაც უკმაყოფილოთა დაუმორჩილებლობისთვის დასჯის მუქარა უკვე უშედეგო იყო. ხალხი გაიხიზნა და იმალებოდა მთებში, ჭაობიან ადგილებში, ასევე ჩრდილოეთში, სადაც ცხოვრობდნენ ჰუნები, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთში, კორეულ დასახლებებში. მასობრივი გახიზნვა იყო მმართველი წრის წინააღმდეგ პროტესტის ერთ-ერთი ფორმა. ასეთ სიტუაციაში ექვსი დაპყრობილი სამეფოს მემკვიდრეობითმა არისტოკრატიამ თანდათანობით გააქტიურა თავისი მოქმედებები. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის გაერთიანება და იმპერიის შექმნა სულაც

არ ნიშნავდა ბრძოლის დასრულებას. მოგვიანებით, ბრძოლამ შეიძინა ახალი ფორმები: მემკვიდრეობითი არისტოკრატიის გადარჩენილი წარმომადგენლები დაადგნენ ტერორის გზას. ძვ. წ. 218 წელს ცინ შიხუანგტის თავს დაესხნენ ქვეყნის აღმოსავლეთ ოლქებში ერთ-ერთი მოგზაურობისას, მაგრამ ეს თავდასხმა ისევე, როგორც ძვ. წ. 216 წელს, დასრულდა მარცხით. ამ მარცხმა უბიძგა მემკვიდრეობით არისტოკრატიას სხვა ხერხებისთვის, ბრძოლის სხვა ფორმებისთვის მიემართა. ცინ შიხუანგტის სიცოცხლის ბოლო წლებში აბ ბრძოლამ მიიღო იდეოლოგიური ხასიათი, რომელსაც მოჰყვა კონფუცისტების განადგურება.

მმართველი კლასის და მემკვიდრეობითი არისტოკრატიის წარმომადგენლებს აერთიანებდათ საერთო ინტერესი – მიწების ხელში ჩაგდება. ცინ შიხუანგტი სიცოცხლის ბოლო წლებში ცხოვრობდა სიკვდილის შიშში. იგი ეძებდა უკვდავების ელექსირს და ამასთან დაკავშირებით, ჯადოსნების რჩევით საზღვაო ექსპედიციასთან ერთად გააგზავნა რამდენიმე ასეული ქალ-ვაჟი, რომელიც მას შემდეგ აღარავის უნახავს. სიკვდილამდე მუდმივად ეშინოდა თავდასხმების, რადგან მას ერთხელ თავად მოუხდა საკუთარი სიცოცხლის ხმლით დაცვა, მოგვიანებით კი სხვა შეთქმულებებიც გაიხსნა. ის ერიდებოდა ერთსა და იმავე ადგილას ერთ ღამეზე მეტის გატარებას. ძვ. წ. 210 წელს, აღმოსავლეთში მოგზაურობის შემდეგ დაბრუნებული, უეცრად ავად გახდა და 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. ვარაუდობენ, რომ მოწამლეს. ცინ შიხუანგტიმ თავისი მმართველობის კვალი ჩინეთის ისტორიაში მომდევნო 2000 წლის მანძილზე დატოვა.

1974 წლის 29 მარტს გაიხსნა ცინ შიხუანგტის „ტერაკოტას არმია" – ძვირფასი საგნებითა და ძვირფასი ქვებით სავსე მის აკლდამას რამდენიმე ათასი მეომრის ქანდაკება იცავდა. კვლევები დღემდე გრძელდება. ეს აკლდამა მდებარეობს ბუნებრივი კლდის შიგნით. იქვე ახლოს აღმოჩენილია სახელმწიფო მოხელეების, მომსახურე პერსონალისა და ცხოველების



სურ. 60 ტერაკოტას არმია



სურ. 61 ტერაკოტას არმიის ჯარისკაცი

ქანდაკებებიც. როგორც სმა ციენი აღწერს, ამ ადგილმა უთვალავი ხარჯა შეიწირა, ასევე ყველა მუშა, ვინც აშენებდა აკლდამას, რათა არავის გაეგო მისი არსებობის ამბავი (სურ. 60; სურ. 61).

როცა პირველი იმპერატორი გარდაიცვალა, მისი უფროსი ვაჟი ფუ სუ ჩრდილოეთის საზღვართან დიდ მხედართმთავართან მენგ თიენთან ერთად იყო. ცინ შიხუანგტის დაახლოებულმა პირებმა, ჭაო კაომ და ლი სჰიმ გახსნეს გარდაცვლილი იმპერატორის წერილი, რომელშიც იგი თავის მემკვიდრედ უფროს ვაჟს ასახელებდა. მათ შეცვალეს წერილი, თითქოს გარდაცვლილი იმპერატორი მეორე ვაჟს ასახელებდა მემკვიდრედ, ხოლო მენგ თიენსა და ფუ სუს სიცოცხლე თვითმკვლელობით უნდა დაესრულებინათ, რაც შეასრულეს კიდეც. საჭურისმა ჭაო კაომ და მინისტრიმა ლი სჰიმ ასე აიყვანეს ტახტზე ცინ შიხუანგტის ერთ-ერთი ვაჟი – ხუხაი, რომელმაც მიიღო სატახტო ტიტული ერში ხუანგტი („მეორე იმპერატორი", იგივე – ცინ ერში). იმ დროისთვის შიდა სოციალური დაპირისპირება ქვეყანაში მნიშვნელოვნად დაიძაბა. თავიდან ერში ხუანგტი აპირებდა მამამისის მსგავსად გაეგრძელებინა მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება, თუმცა არ დასცალდა. იგი ზედმეტად ენდობოდა ჭაო კაოს, რასაც საბოლოოდ შეეწირა. ძვ. წ. 209 წელს ჭაო კაო არწმუნებდა მას, რომ უფრო მეტად უნდა გაემკაცრებინა კანონები და თავისი რამდენიმე უმცროსი ძმისთვის სიკვდილი მიესაჯა.

მთელი ქვეყნის მასშტაბით აჯანყებები არ წყდებოდა. ძვ. წ. 209 წელს დაიწყო საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლების: მონების, კონფუცისტების, მიწათმოქმედების, მეომრების, მმართველი კლასის წარმომადგენლებისა და სხვათა მონაწილეობით. აჯანყებულები მოქმედებდნენ სხვადასხვა მიმართულებით. მათი საბოლოო მიზანი იყო დედაქალაქის აღება. პირველი ბიძგი, რომელმაც შეარყია ცინის დინასტია, იყო აჯანყება, რომლის ლიდერები

იყვნენ ჩენ შენგი და უ კუანგი, მათი მთავარი მოწოდება იყო ჩუს სამეფოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა. მაგრამ მალევე მეთაურებს შორის მოხდა უთანხმოება და ჩენ შენგი, რომელიც ხელმწიფედ გამოაცხადეს, ძვ. წ. 208 წელს მოკლეს. ეს იყო უკვე სიგნალი მომდევნო მრავალრიცხოვანი ანტიცინური გამოსვლებისა, რომლებმაც მალე მოიცვეს თითქმის მთელი ქვეყანა (სურ. 62).



სურ. 62 ჩენ შენგისა და უ კუანგის აჯანყება

ჭაო კაომ მოინდომა სრული ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მან ჯერ ლი სჰი მოიშორა იმპერატორის ხელით. სახელმწიფო მოღვაწე ლი სჰი სასტიკად აწამეს, მისი ახლო ნათესავებიც ამოწყვიტეს. შემდეგ კი ჭაო კაომ სხვადასხვა მაქინაციებით აიძულა ახალგაზრდა იმპერატორი, თავი მოეკლა. მის მიერ ტახტზე აყვანილმა პირმა – პირველი იმპერატორის შვილიშვილმა ინგ წიინგმა, იმის შიშით, რომ ერში ხუანგტის ბედს გაიზიარებდა, მალევე გამოიძახა თავის პალატაში აუდენციაზე ჭაო კაო, სადაც იგი მოკლეს. მაგრამ დრო უკვე ხელიდან იყო გაშვებული, ძვ. წ. 207 წელს ინგ წიინგი ტყვედ ჩაბარდა ჩუს სამეფოდან გამოსულ და მომავალში ხანის დინასტიის დამაარსებელს, ლიოუ პანგს. მან დაიკავა ცინის დედაქალაქი ქ. სიანი. ძვ. წ. 206 წელს აჯანყებულთა მეორე ლიდერმა სიანგ

იუმ დედაქალაქი გააცამტვერა (ამ დროს კიდევ უფრო მეტი ძველი ტექსტი განადგურდა, ვიდრე ცინ შიხუანგტის რეპრესიების დროს), ინგ წიინგი კი სიკვდილით დასაჯა. ამგვარად, ცინის დიდებული იმპერიისგან აღარაფერი დარჩა.

თითქოსდა ცინ შიხუანგტიმ მრავალწლიანი მოღვაწეობის დროს შეიმუშავა და განახორციელა ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები, რომელთა დახმარებით შექმნა საკანონმდებლო ბაზა და მმართველობითი სტრუქტურები. ქვეყნის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში თავდაცვითი კომპლექსის შექმნას უნდა მოეტანა მეტი სტაბილურობა, მაგრამ მოხდა პირიქით. სამშენებლო სამუშაოებზე მატერიალური და ადამიანური ძალების ძალადობრივმა გადაადგილებამ გამოიწვია გადასახადების მკვეთრი ზრდა, დამძიმდა მოსახლეობის მდგომარეობა. თითქოსდა ასრულდა ლი სჰის სიტყვები, ომმა ჰუნებთან და სამშენებლო სამუშაოებმა მართლაც „დაქანცა შუამდებარე ქვეყანა" მოკლედ რომ ვთქვათ, ცინ შუხუანგტიმ სწორად ვერ გათვალა თავისი შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ ისტორიკოსები ცინის იმპერიის ხანმოკლე არსებობას სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან. ესენია: ცინ შიხუანგტის პიროვნული თვისებები, გატარებული რეფორმების სისასტიკე და ნაჩქარევი პოლიტიკურ-სოციალური აქტივობები. მემკვიდრეობითი არისტოკრატიისა და ინტელექტუალური ელიტის წარომადგენლები გააგზავნეს კატორღულ სამუშაოებზე ან პირდაპირ გაანადგურეს. ჩინეთის დიდი კედლისა და ჩინეთის დიდი არხის მშენებლობას ეწირებოდა ასი ათასობით ადამიანის სიცოცხლე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ცინის იმპერიამ სულ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იარსებება, ზემოთ ჩათვლილი საქმეები ცხადყოფს, რომ მან დატოვა შესამჩნევი კვალი მთელი ჩინური ცივილიზაციის ისტორიაში.

ხანის დინასტია

ხანის დინასტიას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ჩინეთის ისტორიაში. ამ მნიშვნელობის გასაცნობიერებლად საკმარისია ითქვას, რომ ერთიანმა ჩინეთმა საბოლოო სახე სწორედ ხანის დინასტიის დროს მიიღო. დღემდე ჩინელი ერის ენდონიმი[1] არის სწორედ „ხანი"[2]. ისტორიკოსები ხშირად ამბობენ, რომ თუ გსურს იცნობდე თანამედროვე ჩინეთს, საჭიროა გაიცნო ჩინეთის ისტორია მინიმუმ ოპიუმის ომიდან. მსგავსი ფორმულა შეიძლება ხანის დინასტიასაც მოვარგოთ: თუ გსურს შეიცნო იმპერიული ჩინეთი, ამისათვის ჯერ ხანის დინასტია უნდა შეისწავლო. ხანის ეპოქაში მოხდა ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ათასობით წელი ახდენდნენ და დღემდე ახდენენ გავლენას ჩინეთის საზოგადოებაზე.

ცინის დინასტიის დამხობის შემდეგ ჩამოყალიბებულმა ხანმა განვითარების დიდი გზა განვლო. ახალდაარსებულ იმპერიას მოუწია იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც წინამორბედმა დინასტიამ მცირეხნოვანი არსებობის გამო ვერ შეძლო. ოთხასწლიანმა დინასტიამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა იმპერიის პოლიტიკური, კულტურული, იდეოლოგიური საფუძვლები და, შეიძლება ითქვას, ერთგვარი სამოქმედო გეგმის სახელმძღვანელო დაუტოვა შემდეგ დინასტიებს.

დასავლეთი ხანი

სამოქალაქო ომი

ზოგიერთი ისტორიკოსი ხანის დინასტიის წლების ათვლას ძვ. წ. 206 წლიდან იწყებს, როცა ცინის დინასტია დაემხო და ლიოუ პანგმა ხანის მეფის ტიტული მიიღო. ზოგი კი ხანის დინასტიის და-

---

[1] სახელი, რომელსაც ეთნიკური ჯგუფი საკუთარ თავს უწოდებს. მაგალითად, ქართველების ენდონიმი არის „ქართველი".

[2] 漢-ხან-დინასტიისა და ენდონიმის იეროგლიფიც ერთი და იგივეა.

საწყისად ძვ. წ. 202 წელს მიიჩნევს, როცა ლიოუ პანგმა საბოლოოდ დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და ოფიციალურად დააარსა ხანის დინასტია, სწორედ ცინის დაცემიდან ამ ოთხი წლის განმავლობაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა.

ეს მონაკვეთი ერთ-ერთია ჩინეთის ხანგრძლივი ისტორიის იმ თითზე ჩამოსათვლელი პერიოდებიდან, რომლებიც ინარჩუნებენ ინტერესს საზოგადოების ფართო მასებში.

ძვ. წ. 206 წელს ცინის დინასტიის საბოლოო დამარცხებამ ძალაუფლების იერარქიის უმაღლესი საფეხური ცარიელი დატოვა. მართალია, აჯანყებულები აქამდე ასე თუ ისე ერთობლივად მოქმედებდნენ, მაგრამ მათ შორის არ იყო შეთანხმებული აზრი გამარჯვების შემდგომ „ნადავლის“ განაწილებაზე. ამბოხებულთა შორის დროთა განმავლობაში ორი ლიდერი გამოიკვეთა: ლიოუ პანგი და სიანგ იუ. ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ამ ორი ექსცენტრიკული პიროვნების ბრძოლა ძალაუფლებისათვის ორი სხვადასხვა იდეოლოგიის – ერთიანი ჩინეთისა და რამდენიმე დამოუკიდებელ სამეფოდ დანაწევრებული ჩინეთის იდეოლოგიის ბრძოლას განასახიერებდა.



სურ. 63 სიანგ იუ

სიანგ იუ (ძვ. წ. 232-202) ჩუს სამეფოს სამხედრო არისტოკრატიულ ოჯახს ეკუთვნოდა. იგი ადრევე ჩაება აჯანყებაში და ბიძამისის გვერდით იბრძოდა. მალევე დაიმკვიდრა გამორჩეული სარდლის სახელი, თუმცა პოლიტიკის საკითხებში ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა, რამაც საბოლოოდ მისი დამარცხება გამოიწვია. საინტერესოა, რომ მიუხედავად საბოლოო მარცხისა ლიოუ პანგთან, ხანის დინასტიის ისტორიკოსები მაინც აღფრთოვანებით აღნიშნავენ მის ფიზიკურ მონაცემებსა და უბადლო სტრატეგობას (სურ. 63).

ხანის დინასტიის დამაარსებელი ლიოუ პანგი უბრალო წარმოშობის პიროვნება გახლდათ, რომელიც ცინის დინასტიაში დაბალი რანგის მოხელე იყო. აჯანყებების დაწყებიდან მან მალევე დატოვა თანამდებობა და ამბოხებულთა რიგებს შეუერთდა. იგი მომავალი მოწინააღმდეგის – სიანგ იუს ბიძის დროშის ქვეშ იბრძოდა. ნამდვილად არ იყო კარგი მეომარი, სარდალი, სწავლული ან პოლიტიკოსი,

მაგრამ ძალაუფლების უშრეტი წყურვილი ჰქონდა. საკუთარ ნაკლს სხვადასხვა სფეროში კი გამოცდილი და ჭკვიანი კადრებით აბალანსებდა (სურ. 64).



სურ. 64 ლიოუ პანგი

ძვ. წ. 206 წელს ლიოუ პანგმა ყველა სხვას დაასწრო და ცინის დედაქალაქი სიენიანგი აიღო. ცინის დინასტიის ცენტრის დაკავებითა და ლმობიერების გამოხატვით ხალხის მხარდაჭერა კი მოიპოვა, მაგრამ სამაგიეროდ მალევე მოუწია თავისი ქმედებების გამო სიანგ იუსათვის ბოდიშის მოხდა. ამ დროისათვის სიანგ იუს უძლიერესი არმია ჰყავდა და აშკარა იყო პირველობას სხვას არ დაუთმობდა. მან სიენიანგი გადაწვა და ჩინეთის ხელახალი მოწყობაც დაიწყო: ჩინეთი სამეფოებად დაყო და საკუთარ მომხრეებს დაურიგა, თვითონ კი ამ სამეფოთა კოალიციის ლიდერი გახდა. მაგრამ, მისი პოზიცია სრულიად განსხვავდებოდა იმპერატორობისაგან. მარტივად რომ ვთქვათ, იგი ხდებოდა პირველი თანასწორთა შორის და ამგვარად ცდილობდა კვლავაც ჭანკუოს პერიოდის დანაწევრებულ სტრუქტურას დაბრუნებოდა.

სიანგ იუსაგან განსხვავებით ლიოუ პანგმა ცინ შიხუანგტის „ერთი იმპერია-ერთი იმპერატორის" იდეა დაიმემკვიდრა. სიანგ იუს წყობა სრულად აცდენილი იყო ლიოუ პანგის იდეოლოგიას. შესაბამისად, მიუხედავად ძალთა აშკარა უთანასწორობისა, ლიოუ პანგმა იმავე წელს ღიად გამოუცხადა ომი სიანგ იუს.

ომის პირველი წლები სიანგ იუს სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ რამდენიმე გადამწყვეტ მომენტში მან საბოლოო დარტყმა ვერ მიიტანა მოწინააღმდეგეზე და ამგვარად ლიოუ პანგს გადარჩენის შესაძლებლობა მისცა. ლიოუ პანგმა ფრონტი გაშალა და რამდენიმე მხრიდან შეუტია სიანგ იუს პოზიციებს, რათა ერთიანი შეტაკებისაგან თავი აერიდებინა და მტრის არმია დაეფანტა. ლიოუ პანგის სტრატეგიამ გაამართლა და ძვ. წ. 202 წელს სიანგ იუ იძულებული გახდა მასთან ხანკოუს ზავი დაედო, რომლითაც ისინი ჩინეთს ორად იყოფდნენ. ტყვეების გაცვლისა და არმიების უკან დახევის შემდეგ, სიანგ იუსათვის მოულოდნელად, ლიოუ პანგმა

სიტუაციაში რესურსების სწრაფად მობილიზება, რაც, უპირველეს ყოვლისა, სასაზღვრო ზოლების უსაფრთხოებისათვის იყო მნიშვნელოვანი.

მეორე მხრივ, ვანგების სისტემა დიდ საფრთხეს შეიცავდა. კერძოდ, მათი სამფლობელოების ტერიტორია და მოსახლეობა გაცილებით აღემატებოდა მუნიციპალიტეტებისას. თითოეულ ვანგს ანგარიშგასაწევი ძალის გამოყვანა შეეძლო. თუკი რომელიმე მათგანი აჯანყებას გადაწყვეტდა, იმპერია დიდი კრიზისის წინაშე აღმოჩნდებოდა. ლიოუ პანგი თავიდანვე აცნობიერებდა მოსალოდნელ საფრთხეს, მაგრამ მაშინ იძულებული იყო გამორჩეული სარდლებისათვის მხარდაჭერის სანაცვლოდ მიცემული პირობა შეესრულებინა. თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა სიტუაცია შედარებით დასტაბილურდა, მან აქტიურად დაიწყო ვანგების წინააღმდეგ მოძრაობა. მან თითქმის ყველა ძველი ვანგი მოხსნა თანამდებობიდან და მათ მაგივრად საკუთარი საგვარეულოდან დააყენა ახალი ვანგები. ამ პერიოდში იმპერიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმარისი რესურსი ვანგთა სამფლობელოების გასაუქმებლად.



სურ. 66 ცხენმა სიუნგნუს ფეხი დაადგა, დასავლეთ ხანის ქვის ქანდაკება

ლიოუ პანგმა დედაქალაქი ჩანგანი[1], ცინის დედაქალაქ სიენიანგის შორიახლოს გადაიტანა. ქალაქი 160 კვარტლად იყო დაყოფილი, რომლებსაც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გამავალი 8 მთავარი ქუჩა ყოფდა. თითოეული ქუჩა იმდენად განიერი იყო, რომ 12 ეტლს შეეძლო ერთდროულად გაევლო.

ლიოუ პანგის საგარეო პოლიტიკის მთავარი საკითხი სიუნგნუს[2] ტომებთან დაპირისპირება იყო (სურ. 66). სიუნგნუ ხანის დინასტიის ჩრდილოეთით, თანამედროვე

[1] 长安 ჩანგანი – ხანგრძლივი მშვიდობა, თანამედროვე სიანი, შაანსის პროვინციის დედაქალაქი.

[2] 匈奴 – სიუნგნუ – სასტიკი მონები.

მონღოლეთის, რუსეთის სამხრეთი და ცენტრალური აზიის სტეპების მომთაბარეებისაგან ჩამოყალიბებული კოალიცია იყო. ძვ. წ. 209 წელს ჩანიუ[1] მოტუს[2] ტახტზე ასვლის შემდეგ კოალიცია აღმასვლის გზას დაადგა და მომდევნო საუკუნეებში ხანის მთავარი მეტოქე გახდა. მეცნიერები დღემდე დაობენ სიუნგნუს წარმომავლობასთან დაკავშირებით. ერთი თეორიით, ისინი ჰუნების წინაპრები იყვნენ, თუმცა ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელია[3].

ცინის დინასტიის დასუსტებასთან ერთად სიუნგნუს კოალიცია უფრო და უფრო ძლიერდებოდა და ახლადდაარსებულ ხანის დინასტიასაც ავიწროებდა. ძვ. წ. 200 წელს ლიოუ პანგი პირადად გაუძღვა ექსპედიციას მათ წინააღმდეგ, მაგრამ, მოულოდნელი თავდასხმის შედეგად მცირე ამალასთან ერთად ერთკვირიან ალყაში მოექცა და ძლივს გადაურჩა ტყვეობას. ამის შემდეგ სიუნგნუსთან იგი ძირითადად დიპლომატიურ მეთოდებს იყენებდა. კერძოდ, ძვ. წ. 195 წელს პრაქტიკაში შემოიღეს ე.წ. „ხეცინის"[4] სისტემა, რომელიც გულისხმობდა სიუნგნუს მმართველისათვის საიმპერატორო გვარიდან ცოლის გაგზავნასა და უხვ საჩუქრებს ოქროსა და აბრეშუმის სახით. „ხეცინის" დიპლომატია ერთ-ერთია ხანის დროინდელი იმ პოლიტიკური პრაქტიკიდან, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი დინასტიების მიერაც.

დედოფალი ლუ და „უმოქმედობის" ხანა

ძვ. წ. 195 წელს ხანის დინასტიის დამაარსებელი ლიოუ პანგი გარდაიცვალა და ტახტი მისმა ვაჟმა, ხუეი ტიმ (ძვ. წ. 196-188) დაიკავა. მისმა მმართველობამ საკმაოდ უღიმღამოდ ჩაიარა. ერთადერთი შედარებით გამოსარჩევი მოვლენა, რომელიც მას მიეწერება დედაქალაქისათვის კედლის შემორტყმა იყო. ხუეი ტი პიროვნულად

---

[1] 单于 ჩანიუ – სიუნგნუს კოალიციაში უმაღლესი ხელისუფალის ტიტული.

[2] 冒顿 მოტუ – სიუნგნუს ხანის სახელი.

[3] სიუნგნუს ჰუნებთან ნათესაობის თეორია ძირითადად ეყრდნობა მათი სახელების მსგავსებას. ხანის პერიოდში „სიუნგ"-ის გამოთქმა ფონეტიკურად საკმაოდ ჰგავდა „ჰუნს". თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ეს მონინააღმდეგის დამამცირებელი ჩინური ტერმინია და ნამდვილ ეთნონიმთან ფონეტიკური კავშირი არა აქვს.

[4] 和亲 ხეცინ – მშვიდობიანი ნათესაობა.

სუსტი ადამიანი აღმოჩნდა, რეალურად ძალაუფლებას ლიოუ პანგის მთავარი ცოლი და ხუეი ტის დედა-დედოფალი ლუ ფლობდა. ძვ. წ. 188 წელს ხუეი ტის გარდაცვალების შემდეგ მან ერთმანეთის მიყოლებით ორი მცირეწლოვანი იმპერატორი აიყვანა ტახტზე და რეგენტის სტატუსით თვითონ მართავდა იმპერიას გარდაცვალებამდე. მან საკუთარი საგვარეულოს გაძლიერება დაიწყო: ვანგის ტიტული ჩამოართვა ლიოუს საგვარეულოს რამდენიმე წევრს და მათ ადგილას ლუს გვარის წარმომადგენლები დანიშნა, მაღალი სამხედრო თანამდებობები დაუნაწილა საკუთარ ახლო ნათესავებსაც. მიუხედავად ლიოუ პანგის ანდერძის აშკარა დარღვევისა, დედოფალ ლუს სიცოცხლეში ვერავინ გაბედა მის წინააღმდეგ წასვლა. ძვ. წ. 180 წელს დედოფალი ლუ გარდაიცვალა. კანცლერმა და იმპერიულმა მრჩეველმა მალევე გაანადგურეს ლუს საგვარეულო და ლიოუს გვარი დააბრუნეს ადრინდელ პოზიციებზე.

დედოფალი ლუ ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფიგურაა. ზოგადად, ჩინეთის ისტორიაში მრავალი დედოფალი იყო, რომლებიც ანონიმურად აკონტროლებდნენ იმპერიას. დედოფალი ლუ კი მათი პირველი და ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია. მან სასტიკი მეთოდებით მოიშორა ყველა მოწინააღმდეგე და რომ არა ნაადრევი გარდაცვალება, ალბათ ლიოუს საიმპერატორო გვარს საკუთარი საგვარეულოთი ჩაანაცვლებდა კიდეც. მისმა მმართველობამ იმდენად ღრმა გავლენა მოახდინა იმპერიაზე, რომ აქედან მოყოლებული მთელ ადმინისტრაციულ აპარატს ერთგვარი შიში გაუჩნდა დედოფლების მიმართ. მეტიც, როცა ახალი იმპერატორის არჩევაზე მიდგა ჯერი, ერთ-ერთი კრიტერიუმი, რითაც ჭაოს ვანგი შეარჩიეს, იყო დედამისის რადიკალური პიროვნული განსხვავება დედოფალ ლუსაგან.

ძვ. წ. 180 წელს ტახტზე ავიდა ლიოუ პანგის ვაჟი, ვენ ტი. ტრადიციულ ჩინურ ისტორიოგრაფიაში იგი მიჩნეულია იმპერატორის ეტალონად. ის იყო უკიდურესად ეკონომიური იმპერატორი, რომელიც ვერ იტანდა ფულის უმიზნოდ დახარჯვას. ერთხელ სასახლის ბაღში გზის მოკირწყვლის პროექტიც კი გააუქმა, როცა გაიგო რა ჯდებოდა. გარდა ამისა, ის ნაკლებად ერეოდა ყოველდღიურ ადმინისტრაციულ პროცესებში. მინიმუმამდე დაიყვანა მკაცრი სასჯე-

ლები და მოსახლეობას გადასახადების სიმძიმე შეუმსუბუქა. მამის პოლიტიკა მისმა მემკვიდრე ძინგ ტიმაც გააგრძელა.

ვენ ტისა და ძინგ ტის მმართველობა გამოირჩეოდა ქვეყნის აღორძინებისათვის გადადგმული ნაბიჯებით. ცინის დინასტიის მკაცრი მმართველობისა და აჯანყებების შედეგად ჩინეთს დიდი ადამიანური და მატერიალური ზარალი მიადგა. მმართველმა ფენამ გააცნობიერა, რომ არსებულ სიტუაციაში უპირველესი პრიორიტეტი რესურსების აღდგენა იყო. ამისათვის კი მათ ტაოიზმის პრინციპებს მიმართეს. ზოგადად, ამ ორი იმპერატორის ხანა ხასიათდება ტაოიზმის აღორძინებით და მისი იდეოლოგიის მმართველობაში გატარებით, რაც გამოიხატა ე.წ. „მართე უმოქმედოდ" პრინციპის გამოყენებით. ბუნებრივია, ეს მაქსიმა არ გულისხმობდა ხელისუფლების მხრიდან პასუხისმგებლობის სრულ უგულვებელყოფას. იგი გულისხმობდა ქვეყნის ცხოვრებაში ხელისუფლების მინიმალურ ჩარევას. ტაოიზმის მიხედვით სახელმწიფო ბუნებრივად უფრო კარგად ფუნქციონირებდა, ვიდრე მმართველის აქტიური ჩარევით. შესაბამისად, ორივე იმპერატორი მაქსიმალურად ცდილობდა თავი შეეკავებინათ მკვეთრი ნაბიჯებისაგან საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

რა თქმა უნდა, რესურსების აღდგენა უბრალოდ ჩაურევლობით მოკლე დროში ვერ მიიღწეოდა. ამისათვის იმპერატორებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა გაატარეს. ძვ. წ. 167 წელს ათი წლით გაუქმდა სამეურნეო გადასახადი, ხოლო როცა აღდგა, ტარიფი განახევრებული იყო. შემცირდა სავალდებულო შრომის პერიოდი, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას ცინის დინასტიაში კოლოსალური პროექტების მშენებლობის გამო. გამოიცა დეკრეტები ვაჭრების უფლებების შესაზღუდად. არსებული იდეოლოგიით, სოფლის მეურნება უნდა ყოფილიყო ქვეყნის მთავარი ბურჯი, ვაჭრების საქმიანობა კი მეურნეობისათვის ზიანის მომტანად მიაჩნდათ. გარდა ამისა, მოხუცებს გარკვეულ ასაკს ზემოთ სახელმწიფო დახმარება დაენიშნათ.

მიუხედავად იმპერატორის მცდელობისა, მინიმალურად ჩარეულიყო სახელმწიფოს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაინც რჩებოდა ერთი საკითხი, რომელსაც ვენ ტი და ძინგ ტი უბრალოდ გვერდს ვერ აუვლიდნენ. ეს იყო ვანგების პრობლემა. ლიოუ პანგის გარდაცვალებიდან უკვე რამდენიმე ათეული წელი იყო გასული და

მიუხედავად საერთო საგვარეულო წარმოშობისა, ვანგების იმპერატორისადმი მორჩილება უფრო და უფრო ზედაპირული ხდებოდა. ისინი იმპერიის უდიდეს და საუკეთესო ნაწილს ფლობდნენ და მათი ძალაუფლების გაზრდა იმპერიისათვის კარგს არაფერს მოასწავებდა.

განსაკუთრებით დიდი შემართებით მოითხოვდა ვანგის ინსტიტუტის დასუსტებას ძინგ ტის კანცლერი, ჩაო ცუო (ძვ. წ. 200-154). მისი რჩევით, იმპერატორმა ნელ-ნელა დაიწყო მათი ავტონომიის შესუსტება, მაგრამ, მეორე მხრივ, ვანგებიც აცნობიერებდნენ, რა პროცესები მიმდინარეობდა იმპერიაში. მართალია, არცერთ მათგანს არ სურდა ერთმანეთის საიმპერატორო ტახტზე ხილვა, მაგრამ გადარჩენის ინსტინქტმა იძალა და ძინგ ტის პოლიტიკამ მათი დროებითი გაერთიანება გამოიწვია. ძვ. წ. 154 წელს მოხდა ე.წ. „შვიდი სამფლობელოს აჯანყება“. აღსანიშნავია, რომ მათი საბაბი აჯანყებისათვის „ცუდი“ მოხელეების მოშორება იყო, რომლებმაც იმპერატორი არასწორ გზაზე დააყენეს. ვანგებიც აცნობიერებდნენ, რომ, მართალია, ისინიც ლიოუს საგვარეულოს წევრები იყვნენ, მაგრამ იმპერატორად თავის გამოცხადება მხოლოდ ხალხის ანტიპათიას გამოიწვევდა. ამიტომ მათი მთავარი ოფიციალური სამიზნე ჩაო ცუო გახდა და არა იმპერატორი. თავდაპირველად იმპერატორის არმია რამდენჯერმე დამარცხდა. იმპერატორმა ძინგ ტიმ სხვა გამოსავალი რომ ვერ მონახა, ჩაო ცუო სიკვდილით დასაჯა და აჯანყებულებს დაშლისაკენ მოუწოდა. შესაძლოა გულუბრყვილო იმპერატორს მართლაც სჯეროდა, რომ ჩაო ცუოს სიკვდილი ყველა პრობლემას მოაგვარებდა, მაგრამ აშკარაა, რომ მან დიდი შეცდომა დაუშვა. ამ ნაბიჯით მან კომპეტენტური კანცლერი დაკარგა და ვერც აჯანყება ვერ ჩაახშო.

საბოლოოდ ძინგ ტიმ გამოცდილი სარდალი, ჭოუ იაფუ (?-ძვ. წ. 143) მოიხმო. ჭოუ იაფუს მეთაურობით არმიამ სულ რაღაც სამ თვეში გაანადგურა აჯანყებულთა ძალები და ამბოხებაც ჩაახშეს. რამდენადაც დიდი იყო აჯანყების საფრთხე, იმდენად დიდი იყო მისი ჩახშობით მიღებული შედეგები: ვანგების ძალაუფლება ძალიან შემცირდა, აჯანყებულ სამფლობლოებში მუნიციპალიტეტების რიცხვი მინიმუმამდე დაიყვანეს, ვანგებს ჩამოერთვათ გადასახადის ამკრეფის დანიშვნის უფლება, შეიკვეცა მათი ადმინისტრაციული აპარატი.

ვენ ტისა და ძინგ ტის ორმოცწლიანი მმართველობა ქვეყნისათვის ერთგვარი ტაიმაუტის პერიოდი იყო. იმპერიამ ძალები აღიდგინა, გაიზარდა მოსახლეობა, შეივსო ხაზინა და მომზადდა საფუძველი ახალი ამბიციური პროექტებისათვის. ვანგუების ავჯანყების ჩახშობით შიდა პოლიტიკა დასტაბილურდა, იმპერატორის ძალაუფლება კიდევ უფრო გამყარდა და აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებისათვის შესაფერისი სიტუაცია შეიქმნა. შესვენების პერიოდის შემდეგ დაიწყო ხანის დინასტიის ნამდვილი აღმავლობა და ყველაზე აქტიური საგარეო პოლიტიკის პერიოდი დინასტიის ისტორიაში იმპერატორ უს ხელმძღვანელობით.

იმპერატორი უ (უ ტი)



სურ. 67 ხან უ ტი

ძვ. წ. 141 წელს ძინგ ტის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც იმპერატორი უ (იგივე – ხან უ ტი) (სურ. 67). ეს იმპერატორი რამდენიმე მიზეზის გამო უნიკალურ პოზიციას იკავებს ჩინეთის იმპერატორებს შორის. ჯერ ერთი ის ერთ-ერთია იმ მცირე რაოდენობის იმპერატორთაგან, რომელთა მმართველობამაც ნახევარ საუკუნეს გადააჭარბა. გარდა ამისა, მისმა რეფორმებმა და აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ ჩინეთის, არამედ მსოფლიო ისტორიის განვითარებაზე.

მმართველობის პირველივე წლებში ახალგაზრდა იმპერატორი აშკარად კონფუციზმისაკენ გადაიხარა. კონფუცის სწავლება ცინის დინასტიიდან მოყოლებული საკმაოდ ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა. ცინის იმპერატორმა დაწვა კონფუცისტი სწავლულები და კონფუციზმის წიგნები. ხანის საწყის პერიოდში, მართალია, კონფუციზმი აღარ იდევნებოდა, მაგრამ არც სახელმწიფო მხარდაჭერა არ ჰქონდა. თავდაპირველად, ტაოიზმმა უფრო მიიზიდა მმართველი ფენის ყურადღება.

უ ტი იყო პირველი ხანის იმპერატორებიდან, ვინც ინტერესი გამოიჩინა. თუმცა, მიუხედავად მისი სურვილისა, ვერ შეძლო კონფუციზმის დაწინაურება დედოფალი ტოუს (ძვ. წ. 205-135) წინააღმდეგობის გამო. იგი იმპერატორ ვენის მთავარი ცოლი იყო და ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საიმპერატორო კარზე. ტაოიზმის მიმდევარი ტოუს წინააღმდეგობის ქვეშ უ ტი იძულებული გახდა გადაედო გეგმები სახელმწიფოს მთავარი სახელმძღვანელო იდეოლოგიის ცვლილებასთან დაკავშირებით.


ძვ. წ. 135 წელს დედოფალი ტოუს გარდაცვალების შემდეგ უ ტის ხელ-ფეხი გაეხსნა. მას უკვე შეეძლო სრულად გამოეყენებინა იმპერატორის ძალაუფლება. იგი განსაკუთრებით მიიზიდა ცნობილი კონფუცისტის, ტუნგ ჭუნგშუს (ძვ. წ. 179-104) მოძღვრებამ. ტუნგის თეორიით სამყარო ხუთი ძირეული ელემენტისაგან შედგებოდა. ესენია: მეტალი, ხე, წყალი, ცეცხლი და მიწა. სამყაროს წესრიგი ამ მატერიების მუდმივი ურთერთმონაცვლეობით ყალიბდება. ეს პრინციპი მართავს არა მხოლოდ კოსმიურ ჰარმონიას, არამედ ადამიანთა სამყაროსაც. თითოეული დინასტია ერთ ელემენტს განასახიერებს და დროთა განმავლობაში მეორე ელემენტით ჩანაცვლდება. მაგალითად, ცინის დინასტია წყლის ელემენტს განასახიერებდა და ხანის, ცეცხლის ელემენტით შეიცვალა. ამ კოსმოსურ წესრიგში იმპერატორი ზებუნებრივ ძალებსა და ადამიანთა შორის შუამავლის როლს ასრულებს, როგორც „ცის შვილი". მისი ძალაუფლება აბსოლუტური და შეურყეველია. ტუნგის მიერ საიმპერატორო ხელისუფლების სამყაროს წესრიგთან დაკავშირების მსგავსი ფორმულა უ ტიმ მიიღო და ძვ. წ. 104 წელს ოფიციალურად გამოაცხადა კიდეც, რომ ხანის დინასტია ცეცხლის ელემენტს განასახიერებდა. მოგვიანებით ეს თეორია უფრო დაიხვეწა და აღმოსავლეთ ხანის დროს უკვე სახელმწიფოს მთავარ დოქტრინად იქცა.

გარდა დინასტიის ძალაუფლების ლეგიტიმაციისა, უ ტიმ კონფუციზმი გამოიყენა ადმინისტრაციული სისტემის კადრების შესავსებად. კერძოდ, ძვ. წ. 125 წელს მან ტუნგ ჭუნგშუს რეკომენდაციით, დააარსა აკადემია, რომელშიც შესაფერისი მონაცემების მქონე პირებს ამზადებდნენ ბიუროკრატიულ სისტემაში მაღალი თანადებობის დასაკავებლად. კადრების შევსება მანამდე სხვადასხვა მეთოდით ხდებოდა. მაგალითად, მაღალ თანამდებობებზე ხშირად ინიშნებოდნენ

საიმპერატორო და დედოფლის ან სხვა ძალიან წარჩინებული გვარის წარმომადგენლები. რიგ შემთხვევებში იმპერატორი პირადად ავალებდა რომელიმე დიდ მოხელეს თვითონ მოენახა და წარედგინა იმპერატორისათვის კომპეტენტური კანდიდატების სია. უ ტის მიერ აკადემიის დაარსება ახალი სიტყვა იყო ამ პროცესში, რომელიც საბოლოოდ საუკუნეების შემდეგ საიმპერიო გამოცდების სისტემით[1] დაგვირგვინდა. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ ადრეული ხანის დინასტიაში მაღალი თანამდებობები დიდგვაროვნების მონოპოლიის ქვეშ არ იყო. ზუსტად არ ვიცით, რა ოფიციალური გზები არსებობდა ამისათვის, მაგრამ ცხადია, რომ უბრალო გლეხსაც შეეძლო სოციალურ კიბეზე ზემოთ ასვლა, თუკი მას ამის მონაცემები ჰქონდა. მაგალითად, უ ტის კანცლერი და ტუნგ ჭუნგშუსთან ერთად კონფუციზმის ერთ-ერთი ადრეული პროპონენტი, კუნგ სუნხუნგი (ძვ. წ. 200-121) ღორების მომვლელიდან იმპერიის კანცლერის თანამდებობამდე დაწინაურდა.

უ ტის მიერ აკადემიის დაარსება არა მხოლოდ კადრების შევსების ახალ არხს ხსნიდა, არამედ ასევე მოასწავებდა კონფუციზმის გაძლიერების ტენდენციას თვით აკადემიით სათავეში. საქმე ისაა, რომ გადამზადება ძირითადად მიმდინარეობდა კონფუციური წიგნების მიხედვით. შესაბამისად, კურსდამთავებულებს და მომავალ მოხელეებს მოეთხოვებოდათ კონფუციზმის თეორიის კარგი ცოდნა და ასევე მისი მორალური პრინციპების ცხოვრებაში დაცვაც.

მეორე მნიშვნელოვანი რეფორმა შიდა პოლიტიკაში უ ტიმ განახორციელა ვანგების სამფლობელოების წინააღმდეგ. მართალია, ვენ ტისა (სურ. 68) და განსაკუთრებით ძინგ ტის დროს ვანგთა სამფლობელოების სისტემა მნიშვნელოვნად დასუსტდა, მაგრამ



სურ. 68 ვენ ტის ოქროს ბეჭედი, დასაელეთი ხანი

[1] 科舉 ქეძიუ – საიმპერიო გამოცდები – რამდენიმესაფეხურიანი წერილობითი გამოცდები, რომლის გავლით ნებისმიერ პიროვნებას შეეძლო სამოქალაქო სექტორში დასაქმება. გამოცდების პირველი აშკარა მაგალითები თანგის დინასტიის დროს ჩანს, სუნგის დინასტიიდან კი რეგულარული სახე მიიღო.

ისინი მაინც ძლიერ ძალად და საფრთხედ რჩებოდნენ იმპერიისათვის. უ ტიმ განახორციელა საინტერესო რეფორმა, რომელიც ერთი შეხედვით მას გულმოწყალე იმპერატორად წარმოაჩენდა, მაგრამ სინამდვილეში პირდაპირ სამფლობელოების დაშლისა და დასუსტებისაკენ იყო მიმართული. მან გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ვანგები იძულებული იყვნენ თითოეული შვილისათვის დაეტოვებინათ ქონების ნაწილი. როგორც წესი, უფროსი ვაჟი ხდებოდა მემკვიდრე და დანარჩენები ოჯახის განაყოფებს ქმნიდნენ, თუმცა ძალაუფლება და ქონება პირდაპირ არ გადაეცემოდათ. ამიერიდან ვანგთა სამფლობელოები რამდენიმე მცირე ერთეულად იყოფოდა. შედეგად, ერთეულ ვანგს უკვე აღარ გააჩნდა იმდენი რესურსი, რომ იმპერატორს დამუქრებოდა. მათი რიცხვის ზრდასთან ერთად კი ერთობლივად მოქმედების შესაძლებლობებიც მცირდებოდა. გარდა ამისა, უ ტი ნებისმიერ საბაბს იყენებდა ვანგების დასაჯარიმებლად და თანამდებობის ჩამოსართმევად. მაგალითად, ერთ-ერთ ვანგს ტიტული გარდაცვლილი იმპერატორის სახელზე არასაკმარისი შესაწირის გაგზავნის საბაბით ჩამოართვა. შედეგად, ვანგების სამფლობელოების რიცხვი იზრდებოდა, მაგრამ პარალელურად მცირდებოდა თითოეული მათგანის ფართობი და ძალაუფლება.

უ ტის მმართველობიდან ყველაზე გამოსარჩევი მაინც მისი საგარეო პოლიტიკაა. ამ მიმართულებით იგი სრულიად განსხვავდებოდა წინა იმპერატორებისაგან. თუკი ლიოუ პანგი, დედოფალი ლუ, ვენ ტი და ძინგ ტი მაქსიმალურად ცდილობდნენ საგარეო კონფლიქტებისთვის თავი აერიდებინათ, უ ტი პირიქით, აქტიურ ექსპანსიაზე გადავიდა. მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი მეტოქე და სამიზნე კი სიუნგნუს კოალიცია იყო.

ხანის იმპერატორები თავდაპირველად სიუნგნუსთან მშვიდობას „ხეცინის" პოლიტიკის გამოყენებით ცდილობდნენ და ფულს იყენებდნენ მათი მარბიელი ლაშქრობების აღსაკვეთად. თუმცა კი ძვ. წ. 195-135 წლებში სიუნგნუსა და ხანს შორის დადებული შეთანხმება ცხრაჯერ განახლდა და თითოეულ ჯერზე ხანის მხრიდან გასაგზავნი „საჩუქრების" რაოდენობა ძალიან იმატებდა. იმპერატორი უ ტახტზე ასვლიდანვე უარყოფითად იყო განწყობილი ხეცინის პრაქტიკისადმი და სიუნგნუსთან სამხედრო დაპირისპირება ჰქონდა გეგმაში. ეს კარგად ჩანს იქედან, რომ ძვ. წ. 138 წელს მან ჭანგ ციენი (ძვ. წ. 164-

114) გაგზავნა დასავლეთით იუეჭის[1] მომთაბარე ტომებთან სიუნგნუს წინააღმდეგ ალიანსის შესაკვრელად (სურ. 69). ჭანგ ციენის ელჩობასა და მის შედეგებზე ქვემოთ დაწვრილებით ვიმსჯელებთ. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა, რომ უ ტი პირველივე წლებიდან აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა, რომლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილიც სამხედრო ოპერაციები იყო. ძვ. წ. 134 წელს, როგორც კი უ ტიმ საკუთარ ხელში აიღო ძალაუფლება, დაიწყო კიდეც სამხედრო მოქმედებებზე გადასვლა. ძვ. წ. 127 წელს ცნობილი სარდლის, ლი კუანგის (ძვ. წ. 184-119) მეთაურობით, ხანის არმიამ სიუნგნუ ორდოსიდან[2] გააძევა. კოალიციის დაარსებიდან ეს იყო სიუნგნუს პირველი ტერიტორიული დანაკარგი ხანის დინასტიასთან.

ძვ. წ. 122-119 წლებში უფრო მასშტაბური ექსპედიცია მოეწყო სიუნგნუს წინააღმდეგ. სამი სარდლის – ვეი ცინგის (?-ძვ. წ. 106), ლი კუანგისა და ხუო ციუპინგის (ძვ. წ. 140-117) მეთაურობით ხანის არმიამ გობის უდაბნო გადალახა, სიუნგნუ დაამარცხა და რამდენიმე მეფეც შეიპყრო. შედეგად, დაახლოებით მომდევნო ოცი წლის განმავლობაში სიუნგნუს ხანის წინააღდეგ დიდი შეტევა აღარ განუხორციელებია.

უ ტი სიუნგნუს არა მხოლოდ ჩრდილოეთით, ჩრდილო-დასავლეთით, ხუანგხეს დასავლეთით მდებარე მიწებზეც ებრძოდა. რამდენიმეწლიანი დაძაბული ბრძოლის შედეგად ხანის არმიამ ეს რეგიონი სიუნგნუსაგან გაათავისუფლა. აღსანიშნავია, რომ ხანის ექსპანსია მხოლოდ ბრძოლაში გამარჯვებით არ შემოიფარგლებოდა. თითოეული ტერიტორიის დაკავებისთანავე იწყებოდა მისი ათვისების, გამაგრებისა და ასიმილაციის პროცესი. ახალდაპყრობილ მიწებზე ასახლებდნენ მოსახლეობას იმპერიის შიდა მიწებიდან, აყალიბებდნენ გარნიზონებს, ქმნიდნენ მუნიციპალიტეტებსა და პრეფექტურებს. ერთი სიტყვით, ახალი ტერიტორიები იმპერიის ჩვეულებრი-

---

[1] 月氏 – იუეჭი – მომთაბარე ტომი, რომელიც ხანის დინასტიის დასაწყისში თანამედროვე ცინგხაისა და კანსუს პროვინციის ტერიტორიაზე სახლობდა. ძვ. წ. მე-2 საუკუნის 70-იან წლებში სიუნგნუსთან მარცხის შედეგად მათი დიდი ნაწილი სინძიანგის გავლით ცენტრალურ აზიაში გადავიდა და ნელ-ნელა მკვიდრი ცხოვრების სტილი აითვისა.

[2] ორდოსის პლატო, ორდოსის ქვაბული მდებარეობს მდინარე ხუანგხეს შუა ნელზე. ძირითადად განლაგებულია თანამედროვე შაანსის პროვინციასა და ნინგსია-ხუეის ავტონომიური რეგიონის ტერიტორიებზე.

ვი ნაწილი ხდებოდა. ამგვარი პოლიტიკით ხუანგხეს დასავლეთით ოთხი მუნიციპალიტეტი დააარსეს. მათგან ყველაზე დასავლეთით ტუნხუანგი მდებარეობდა. ამ მუნიციპალიტეტების, და განსაკუთრებით ტუნხუანგის როლი მოვლენათა შემდგომი განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რადგან აქედან იწყებოდა ე.წ. ხესის კორიდორი, ათას კილომეტრზე გადაჭიმული ვიწრო დერეფანი ცილიენის მთებსა და ტიბეტის პლატოს შორის, რომელიც ჩინეთის ცენტრალურ დაბლობს სინძიანგთან, ხანის დროის სი-იუსთან[1] აკავშირებდა. საუკუნეების განავლობაში ეს დერეფანი იყო აბრეშუმის გზის მთავარი ნაწილი, უმოკლესი და ყველაზე უსაფრთხო გზა სინძიანგიდან ორდოსის ქვაბულამდე და პირიქით გადასასვლელად. სწორედ ამ კორიდორის გაკონტროლებამ მისცა საშუალება ხანის დინასტიას აქტიური კავშირები ჰქონდა სი-იუსა და კიდევ უფრო შორეულ სამეფოებთან.



სურ. 69 ჭანგ ციენის მოგზაურობა დასავლეთში, ფრესკას ასლი

[1] 西域 – სი-იუ – დასავლეთის ტერიტორია. ძველ ჩინურ ისტორიულ წყაროებში სი-იუს ორი გაგება არსებობს: 1) თანამედროვე სინძიანგი, 2) ჩინეთის დასავლეთით მდებარე მთელი ტერიტორია.

ხესის კორიდორის დაკავების შემდეგ ხანის დინასტიამ სიუნგნუსთან კიდევ ერთი ახალი ფრონტი გახსნა. სიუნგნუ ათწლეულების განმავლობაში აკონტროლებდა სი-იუს და აქაური სამეფოებისაგან დიდ მატერიალურ სარგებელს იღებდა. ხანის სი-იუში შესვლის მთავარი მოტივიც სწორედ სიუნგნუსათვის ამ „საბადოს" ჩამოჭრა იყო. მაგრამ, სიუნგნუს წინააღმდეგ გამიზნულმა ნაბიჯმა უფრო დიდი შედეგი გამოიღო აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის გახსნის სახით, რომელსაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

ჭანგ ციენმა მეორე ელჩობაც გაგზავნა სი-იუში, ამჯერად უსუნის[1] ძლიერ ტომთან სიუნგნუს წინააღმდეგ ალიანსის შესაკვრელად. მართალია, პირველი ელჩობის მსგავსად, ამჯერადაც ვერ მიაღწიეს სასურველ მიზანს, მაგრამ უკანა გზაზე მას უსუნისა და სხვა ადგილობრივი ძალების ელჩობები გამოჰყვა და დედაქალაქ ჩანგანში იმპერატორ უ ტის ძღვენი გადასცეს. აქედან დაიწყო აქტიური კონტაქტი სი-იუს სამეფოებთან. ყოველწლიურად ხელისუფლების მხრიდან იგზავნებოდა უზარმაზარი ქარავნები ამ სამეფოებთან ვაჭრობისა და მოლაპარაკებების საწარმოებლად, ასევე იღებდნენ საპასუხო ელჩობებსაც.

ხანის თვალსაწიერი გასცდა თანამედროვე სინძიანგსა და ცენტრალურ აზიაშიც შეაღწია. წყაროების მიხედვით, ჭანგ ციენი იყო პირველი ჩინელი, რომელმაც აქ ფეხი დადგა. სულ რაღაც ორი ათწლეულის შემდეგ, ძვ. წ. 104-101 წლებში, უ ტის ბრძანებით, სარდალმა ლი კუანგლიმ (?-ძვ. წ. 88) ფერღანას სამეფო დალაშქრა თანამედროვე უზბეკეთის ტერიტორიაზე. ეს იყო ჩინური არმიის ყველაზე შორეული სამხედრო ოპერაცია დასავლეთით მეშვიდე საუკუნემდე, თუმცა ამ ეტაპზე არც ფერღანასა და არც სინძიანგში მუდმივი გარნიზონები არ ჩაუყენებიათ.

უ ტის დროს ხანის დინასტიის ექსპანსია მხოლოდ სიუნგნუს ტერიტორიების დაპყრობით არ შემოიფარგლებოდა. ხანის არმიამ წარმატებით დალაშქრა კორეის ნახევარკუნძული. ასევე დაიპყრო იანგ-

[1] 烏孫 – უსუნი – მომთაბარე ტომი, რომელიც ხანის დინასტიის დაარსებისას თანამედროვე ცინგხაისა და კანსუს პროვინციაში ცხოვრობდა იუეჭის მეზობლად. ძვ. წ. II საუკუნის 60-იან წლებში სიუნგნუს წაქეზებით იუეჭის აედევნენ, თანამედროვე მდ. ილის ხეობიდან გაყარეს ისინი და თვითონ დაისაკუთრეს ეს რეგიონი.

ნის სამხრეთით შორეული ტერიტორიები: თანამედროვე კუანგჭოუ და კუეიჭოუ, კუნძული ხაინანი და ვიეტნამის ჩრდილოეთ ნაწილი. აქაც, ჩრდილოეთის მსგავსად, დაიწყეს კონსტრუქციული ასიმილაციის პროცესი მათი ჩინურ ადმინისტრაციულ სისტემაში შეყვანით.

ვენ ტისა და ძინგ ტის დაგროვებულმა კაპიტალმა იმპერატორ უს საშუალება მისცა გრანდიოზული გეგმები განეხორციელებინა, მაგრამ მუდმივი შორეული ლაშქრობები ძალიან დიდ თანხას მოითხოვდა. ამას დაერთო საკუთრივ უ ტის ექსტრავაგანტური ცხოვრების სტილი. ვენ ტისაგან განსხვავებით, იგი გრანდიოზულობის განცდით შეპყრობილი იმპერტორი იყო: აგებდა ახალ სასახლეებს, აწყობდა დიდებულ რიტუალებსა და ნადიმებს. ამის შედეგად ათეულობით წლის ნაგროვები ხაზინა ნელ-ნელა დაიცალა და ფულის პრობლემა გაჩნდა.

ექსპედიციებისათვის საჭირო თანხების შეგროვება უ ტიმ მონოპოლიების შემოღებით გადაწყვიტა. ძვ. წ. 119 წელს მონოპოლია დააწესეს მარილსა და რკინაზე. ამიერიდან მთელ იმპერიაში აიკრძალა მარილისა და რკინის კერძოდ ყიდვა-გაყიდვა. მათი მოპოვება, წარმოება და გასაღება მთლიანად ხელისუფლებამ აიღო საკუთარ თავზე. ძვ. წ. 98 წელს მონოპოლია დააწესეს ალკოჰოლურ სასმელზეც. გარდა ამისა, იმპერატორმა უმ სამონეტო რეფორმა გაატარა და ძვ. წ. 113 წლიდან მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას შეეძლო მონეტის მოჭრა.

მიუხედავად დამატებითი კაპიტალის წყაროებისა, უ ტის მმართველობის ბოლოსკენ სახელმწიფო მაინც სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. ამიტომ ძვ. წ. I საუკუნის დასაწყისიდან, ვენ ტისა და ძინგ ტის მსგავსად, მანაც „შესვენება" აიღო, რათა იმპერიას ძალები აღედგინა.

შეუძლებელია იმპერატორ უს მმართველობაზე მსჯელობისას არ ვახსენოთ სმა ციენი და მისი მონუმენტური ნაწარმოები „შიძი" (ისტორიული ჩანაწერები). სწორედ უ ტის დაკვეთით დაიწყო სმა ციენმა ამ გრანდიოზული პროექტის შესრულება. შესაბამისად, ნაწარმოების თხრობაც მისი მმართველობის პერიოდით სრულდება. ჩვენთვის საბედნიეროდ, დიდი ისტორიკოსი სწორედ ამ ექსცენტრული იმპერატორის თანამედროვე იყო და ცოცხალი ფერებით მოგვაწოდა დეტალური ავთენტური ინფორმაცია ამ უმნიშვნელოვანეს პერიოდზე.

იმპერატორ უს შეფასებისას გვერდს ვერ ავუვლით იმ კრიზისს, რომელიც იმპერიაში შეიქმნა მისი ზღვარგადასული ფუფუნებისა და მუდმივი ომების გამო. მეორე მხრივ, შეუძლებელია მის მიღწევებზე თვალი დახუჭო. უ ტის დროს გაიზარდა არა მხოლოდ ხანის დინასტიის საზღვრები, არამედ ხალხის თვალსაწიერი. ხალხმა, რომელსაც თავი მსოფლიოს ცენტრად და ერთადერთ ცივილიზებულ სოციუმად მიაჩნდა, გაიგო, რომ თურმე მსოფლიო უფრო დიდი და მრავალფეროვანი ყოფილა. დამყარდა პოლიტიკური და სავაჭრო კავშირები დასავლეთთან, საკუთარი საზღვრებიდან გაიყვანეს და კიდევ უფრო შეავიწროვეს ყოფილი აგრესორი სიუნგნუ. ამავდროულად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა შიდა პოლიტიკისა და ეკონომიკის მოსანესრიგებლად.

იდეოლოგიების კონფლიქტი

უ ტის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორის არჩევის პრობლემა შეიქმნა. საქმე ის იყო, რომ უ ტიმ ძვ. წ. 91 წელს საკუთარი მემკვიდრე სიკვდილით დაასჯევინა და ამის შემდეგ ახალი მემკვიდრე არ დაუსახელებია. იმდროინდელი წესები მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ იყო კარგად გაწერილი. ამიტომ მამიდან უფროს შვილზე ტახტის მემკვიდრეობით გადაცემა აუცილებელი არ იყო. საბოლოოდ, კანცლერი ხუო კუანგის[1] (?-ძვ. წ. 68) ჩარევით არასრულწლოვანი იმპერატორი ჭაო დასვეს ტახტზე.

იმპერატორ უს მმართველობის შემდეგ იმპერია სრულიად ახალი სირთულეების წინაშე დადგა. გადასაწყვეტი იყო სიუნგნუს საკითხი, სი-იუს სამეფოებთან ურთიერთობა, დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება. ძლიერი კრიზისი იყო ეკონომიკაში. ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად იმპერატორმა ჭაომ შეკრიბა გამოჩენილი მოხელეები და სწავლულები და ძვ. წ. 81 წელს გამართა ე.წ. „მარილისა და რკინის დისკუსია".

დისკუსიის განმავლობაში ერთმანეთს ძირითადად ორი დაჯგუფება უპირისპირდებოდა. თანამედროვე ისტორიკოსები მათ კონფუცისტებად და ლეგისტებად, ან რეფორმისტებად და მოდერნისტებად

[1] სარდალი ხუო ციუპინგის უმცროსი ძმა.

მოიხსენიებენ. ამ დაჯგუფებების წარმომადგენლებს გადაჭრით ვერც კონფუცისტებს მივაწერთ და ვერც ლეგისტებს, რადგან მათი იდეოლოგია უფრო ფართო საკითხებს მოიცავდა და ცდებოდა ერთი ფილოსოფიური მიმდინარეობის ფარგლებს, მაგრამ კიდევ უფრო შეუსაბამოდ მიგვაჩნია მათთვის რეფორმისტებისა და მოდერნისტების წოდება. ამიტომ გამოვიყენებთ ტერმინებს – „კონფუცისტი" და „ლეგისტი", ოღონდ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ იმ მახასიათებლებს, რომლებთაც ქვემოთ ჩამოვთვლით, ზოგადად ამ ორ სკოლას მთლიანად ვერ მივაწერთ.

ე.წ. ლეგისტები უ ტის მმართველობის სტილის მხარდამჭერი პირები იყვნენ. საგარეო პოლიტიკაში ისინი მხარს უჭერდნენ აქტიურ ექსპანსიას და უცხო სამეფოებთან სამხედრო-ეკონომიკურ ურთიერთობას. ამისათვის სახსრების მოძიებას კი საერთაშორისო ვაჭრობის წახალისებასა და მონოპოლიების დაარსებაში ხედავდნენ. მონოპოლიების საჭიროებას ასევე ხსნიდნენ იმით, რომ გლეხები უზრუნველყოფილი იქნებოდნენ ცხოვრებისათვის საჭირო რესურსებით შეღავათიან და მკაცრად დაწესებულ ფასებში. ლეგისტები სოფლის მეურნეობას ხედავდნენ ქვეყნის ეკონომიკის მთავარ საყრდენად და ვაჭრობის შეზღუდვას ემხრობოდნენ. შიდა სტაბილურობის შესანარჩუნებლად კი კანონების მკაცრი დაცვა მიაჩნდათ აუცილებელ წინაპირობად. ლეგისტების გადმოსახედიდან საიმპერატორო ძალაუფლების ლეგიტიმაცია ცინ შიხუანგტიდან მოდიოდა და ის მიაჩნდათ სამაგალითო მმართველად, რადგან სწორედ მან დააგვირგვინა ჩინეთის გაერთიანების პროცესი. შესაბამისად, ჩანგანის დედაქალაქობასაც მხარს უჭერდნენ.

ე.წ. კონფუცისტები ლეგისტებს თითქმის ყველა საკითხში ეწინააღმდეგებოდნენ. აქტიური საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ვაჭრობა მათი აზრით არათუ სასარგებლო, არამედ იმპერიისათვის ზიანის მომტანი იყო. შესაბამისად, არც მონოპოლიების იდეას იწონებდნენ და ამ დარგების კერძო ვაჭრობაში დაბრუნება სურდათ. ერთადერთი საკითხი, რომელზეც ეს ორი დაჯგუფება თანხმდებოდა, იყო ის, რომ სოფლის მეურნეობა უნდა ყოფილიყო მთავარი დარგი, თუმცა მის დასაცველად განსახორციელებელი ღონისძიებები სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ. კონფუცისტების აზრით, ვაჭრობის შეზღუდვა სულაც არ იყო საჭირო მეურნეობის დასაცავად. უფრო

დიდ საფრთხეს, მათი აზრით, დიდი მიწათმფლობელების რაოდენობის ზრდა წარმოადგენდა, ამიტომ საკუთრებაში მყოფი მიწის მაქსიმუმის განსაზღვრა სურდათ ღარიბთა და მდიდართა შორის ზღვარის შესამცირებლად. რაც შეეხება სამაგალითო მმართველს, კონფუცისტებისთვის ეს ჭოუს მეფე იყო, რომელმაც მართალია ჩინეთი ვერ გააერთიანა, მაგრამ იცავდა კონფუცისტებისთვის უმნიშვნელოვანეს ელემენტს – მორალური პრინციპებით მართავდა სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, დედაქალაქის ლუოიანგში, ჭოუს სამეფოს ყოფილ დედაქალაქში გადატანას ითხოვდნენ.

სწორედ სახელმწიფოს მართვისადმი დამოკიდებულებაში იყვნენ ყველაზე ახლოს „კონფუცისტები" და „ლეგისტები" ნამდვილ კონფუციურ და ლეგისტურ მოძღვრებებთან. ლეგიზმი კანონების მკაცრი და ზუსტი დაცვით ქადაგებდა სახელმწიფოს მართვას. კონფუციზმი კი უფრო მეტად მორალურ პრინციპებს ანიჭებდა უპირატესობას. მათი აზრით, ცარიელი კანონი სასურველ შედეგს ვერ მოიტანს, თუ იგი ღირსეულმა პიროვნებამ არ მოიყვანა სისრულეში. ამიტომ თანამდებობაზე დანიშვნისათვის აუცილებელი იყო პიროვნებას „სწორი" მორალური სტანდარტები ჰქონოდა. „სწორში" კი კონფუციური სტანდარტები იგულისხმება.

ამ დისკუსიის შედეგად ერთპიროვნული გამარჯვებული არ გამოცხადებულა, მაგრამ ნელ-ნელა კონფუციური დაჯგუფება ძლიერდებოდა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოიხატა ეკონომიკის სფეროში. იმპერატორების – იუენისა და ჩენგის დროს ფინანსთა მინისტრები მაქსიმალურად ცდილობდნენ ეკონომია გამოეჩინათ. მათი ინსტრუქციით შემცირდა საიმპერატორო კარის ხარჯები, ძვ. წ. 44 წელს გაუქმდა მონოპოლიები, მაგრამ ხაზინის დაცლის გამო რამდენიმე წელში ისევ აღადგინეს. ამ დაჯგუფების იდეოლოგიის მმართველობის ზედა ფენებში მყარი ზრდის კულმინაცია იყო ახ. წ. 8 წელს კონფუცისტი მოხელის, ვანგ მანგის მიერ დასავლეთ ხანის გაუქმება და ახალი დინასტიის დაარსება.

დასავლეთ ხანის გვიანი პერიოდი


რა თქმა უნდა, უ ტის პოლიტიკის მომხრეების პოზიციები უცებ არ გამქრალა. ამ პერიოდში მიაღწიეს საგარეო პოლიტიკაში რამდენიმე დიდ წარმატებას. მაგალითად, სიუენ ტის დროს ამ მხრივ ორი უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა. პირველი, მუდმივი გარნიზონები ჩააყენეს სი-იუში. აქამდე გარნიზონებს იმიტომ არ აყენებდნენ, რომ მათი შენახვის სიძვირეს ერიდებოდნენ. ეს პრობლემა სამხედრო მეურნეობების დაარსებით გადაჭრეს, რაც გულისხმობდა ჯარისკაცების მიერ მიწის დამუშავებასა და თვითმყოფი გარნიზონის შექმნას. შედეგად, ძვ. წ. 60 წელს იმპერატორმა სიუენმა „სი-იუს პროტექტორატი" დააარსა და ამ რეგიონზე კონტროლი გაიმყარა.

მეორე დიდ წარმატებას სიუნგნუსთან დაკავშირებით მიაღწიეს. ძვ. წ. I საუკუნის სიუნგნუს კოალიცია უკვე აღარ იყო ერთიანი დიდი ძალა. ძვ. წ. 85 წელს მათი ჩანიუს გარდაცვალებას ახალ კანდიდატებს შორის ბრძოლა მოჰყვა. საბოლოოდ, ერთ-ერთი ჩანიუ ხუ ხანსიე ხანის დინასტიას მიეკედლა. იმპერატორმა ამ შესაძლებლობით ისარგებლა და იგი „ძღვენის სისტემაში" შეიყვანა.

„ძღვენის სისტემა" ხანის დინასტიის შემდეგი დინასტიებისათვის დატოვებული კიდევ ერთი ტრადიციაა. ეს სისტემა ჯერ კიდევ ჭოუს დინასტიის დროს არსებობდა და გულისხმობდა ფეოდალი მმართველების მიერ გარკვეული დროის მონაკვეთში ჭოუს მეფისათვის დადგენილი ძღვენის გაგზავნას მორჩილების გამოსახატავად. ხანის დინასტიაში ეს ტრადიცია დაიხვეწა და მთელს ქვეყანაში გავრცელდა. ამიერიდან ყველა ვანგი, ხოუ თუ მუნიციპალიტეტის ზედამხედველი ვალდებული იყო მსგავსი ძღვენი გაეგზავნა დათქმულ დროს. რაც მთავარია, „ძღვენის სისტემა" ქვეყნის გარეთაც გაიტანეს და საგარეო პოლიტიკის წარმოების მთავარი წესი გახდა. კერძოდ, ხანის გადმოსახედიდან ნებისმიერ უცხოურ პოლიტიკურ ერთეულს, თუკი ხანთან პოლიტიკური ან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება სურდა, „ძღვენის სისტემის" ფარგლებში უნდა ემოქმედა, რაც ავტომატურად ნიშნავდა ჩინური, ამ შემთხვევაში ხანის დინასტიის უზენაესობის აღიარებას. სწორედ ამგვარი საგარეო პოლიტიკის ჩარჩოს გამო იყო, რომ მე-16-17 და შემდეგ საუკუნეებში ჩინეთის დინასტიებს ასე გაუჭირდათ დასავლეთის ძალებთან კონტაქტი.

სიუნგნუს ჩანიუ დათანხმდა ამ ფორმატში ხანთან ურთიერთობას, რითაც აღიარა ხანის უზენაესობა. ეს ნაბიჯი ხანის იმპერიისათის დიდი გამარჯვება იყო. თუკი საუკუნე-ნახევრით ადრე კაო ტი იძულებული იყო სიუნგნუს ჩანიუ თანაბარი დონის მმართველად მოეხსენიებინა, ახლა ურთიერთდამოკიდებულება ხანის სასარგებლოდ შეიცვალა. იმპერატორმა სიუნგნუს ამ ნაწილს უფლება მისცა იმპერიის ჩრდილო-დასავლეთ მიწაზე დასახლებულიყვნენ. შეთანხმებისამებრ, ჩანიუ კონკრეტულ ვადებში ძღვენს გზავნიდა იმპერატორთან, ძვ. წ. 51 წელს კი პირადად ესტუმრა დედაქალაქ ჩანგანს.

ჩენგ ტის გარდაცვალების შემდეგ დინასტიის მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა. საკუთრივ ეს იმპერატორიც საკმაოდ უცნაური პიროვნება გახლდათ. იგი არამარტო საიმპერატორო საქმეებისადმი გულგრილობით გამოირჩეოდა, არამედ ღამღამობით ჩანგანის ქუჩებში გადაცმული დაეხეტებოდა და მამლების ჩხუბს ესწრებოდა ხოლმე. მის შემდეგ 15 წელში ტახტზე ერთმანეთის მიყოლებით ავიდა სამი არასრულწლოვანი იმპერატორი: აი ტი, ფინგ ტი და ლიოუ ინგი. ეს უკანასკნელი სულ რაღაც ორი წლის იყო ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებისას და ვერც კი მოასწრო ოფიციალურად იმპერატორი გამხდარიყო. ახ. წ. 8 წელს რეგენტმა ვანგ მანგმა ლიოუ ინგი გადააყენა და სინის დინასტიის (8-23 წწ.) დაარსება გამოაცხადა (სურ. 70).



სურ. 70 სინის დინასტიის ვალუტა

დასავლეთ ხანის დინასტიის დაცემის მიზეზებზე არაერთი შეხედულება არსებობს. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკურმა კრიზისმა. საკადასტრო სისტემის ეფექტური რეფორმაციის შეუსრულებლობით ხაზინა სწრაფად ცარიელდებოდა მონოპოლიების შემოღების მიუხედავად. საკუთრივ მონოპოლიებიც ხალხის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. ასევე აღსანიშნავია დინასტიის ბოლო ათწლეულში დედოფლების ოჯახების ძალაუფლების მატება და ერთ-

მანეთთან ბრძოლა. მართალია, ამ ფენომენს ისეთი დიდი მასშტაბი არ მიუღია, როგორც აღმოსავლეთ ხანში, მაგრამ არაკომპეტენტური და არასრულწლოვანი იმპერატორების მონაცვლეობის პერიოდში ძალაუფლების ბალანსი მნიშვნელოვნად დააზიანა.

გარდა ადამიანური ფაქტორისა, ასევე მოქმედებდა ბუნების ფაქტორიც. ახ. წ. 2 წელს ხუანგხეს მთავარ დინებას მოულოდნელად ერთი დიდი ტოტი გამოეყო და სამხრეთით მდინარე ხუაიხეს შეუერთდა. ამან ყველაზე დასახლებული და ნაყოფიერი ტერიტორია დააზიანა და დიდი ზარალი მიაყენა მოსახლეობასა და მოსავალს.

ცალკე გამოსაყოფია დასავლეთ ხანის დასრულების იდეოლოგიური საფუძველი. ერთი შეხედვით ირონიულია, მაგრამ ხუთი ელემენტის მონაცვლეობის იდეოლოგია, რომელიც დინასტიის ძალაუფლების ლეგიტიმაციისათვის შემოიღეს, ასევე მისი დასასრულის მიზეზი გახდა. საქმე ისაა, რომ ეს იდეოლოგია მუდმივ მონაცვლეობას გულისხმობდა და შესაბამისად, ძველის დამხობა და ახალი დინასტიის დაარსება ბუნებრივი მოვლენა იყო. რა თქმა უნდა, დინასტია უბრალოდ ადამიანის სურვილით ვერ შეიცვლებოდა. ამისათვის საჭირო იყო ზეცისაგან, უმაღლესი ძალისაგან, ნიშნის გამოგზავნა, რომელიც ამა თუ იმ დინასტიის დასრულებას მოასწავებდა. მსგავსი ნიშნები უამრავი სახის შეიძლებოდა ყოფილიყო. ვანგ მანგიც კარგად იყენებდა ამ ფაქტორს და დიდი პროპაგანდა გააჩაღა. მაგალითად, მან თავი ლეგენდარული ყვითელი იმპერატორის შთამომავლად გამოაცხადა. ყვითელი მიწის ფერი იყო, მიწა კი ხუთი ელემენტის სისტემაში წყლის ანუ ხანის დინასტიის ელემენტის შემდეგ მოდიოდა. გარდა მსგავსი პროპაგანდისტულად შეთხზული ნიშნებისა, არსებობდა უფრო აშკარა, ბუნების ნიშნები. მათ შორის ყველაზე ცხადი და მნიშვნელოვანი კი წყალდიდობა იყო. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ხუანგხეს კალაპოტის კატასტროფულმა ცვლამ არამარტო მატერიალური ზარალი მიაყენა დასავლეთ ხანს, არამედ უფრო მეტად მის იდეოლოგიურ საფუძველს დაარტყა და ერთგვარი ფანჯარა გახსნა ახალი დინასტიის შემოსვლისათვის.

ვანგ მანგის გადატრიალება

ახ. წ. 8 წელს ვანგ მანგმა ხანის დინასტიის იმპერატორი გადაყენებულად გამოაცხადა, სინის დინასტია[1] დააარსა და დედაქალაქი ლუოიანგში გადაიტანა (სურ. 71). ხანის საიმპერატორო კარზე ვანგის საგვარეულოს აღმავლობა ჩენგ ტის დედოფალ ვანგს უკავშირდება. მცირეწლოვანი იმპერატორების პერიოდში მან რეგენტის უფლებები მიიღო და საკუთარი საგვარეულოს გაძლიერებას შეუდგა.



სურ. 71 ოთხი ღუთაების გამოსახულება მრგვალ ფოლებზე, სინის დინასტია

ვანგ მანგი ნამდვილად კომპეტენტური და ენერგიული იმპერატორი იყო. მან ტახტზე ასვლიდან მალევე რამდენიმე დიდი რეფორმა განახორციელა: გააუქმა მონებით ვაჭრობა, მიწის ყიდვა-გაყიდვა, მიწა თანაბრად დაურიგდათ გლეხებს, საშემოსავლო გადასახადი დაედოთ ვაჭრებსა და ხელოსნებს, გაუქმდა მონოპოლიები. მმართველობის პირველ ხანებში საკმაოდ წარმატებული გამოდგა სიუნგნუს პრეტენზიების ჩახშობაშიც. მაგრამ, საბოლოოდ, მას თითქმის ყველა რეფორმის გაუქმება მოუწია. მისი დინასტია კი მალევე დაეცა.

ვანგ მანგის მარცხის ახსნა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ჩინურ ისტორიოგრაფიაში. ცხადია, მისი რეფორმები ვაჭრებსა და დიდ მიწათმფლობელებს გააღიზიანებდა. ლიოუს საგვარეულოც მართივად არ უნდა შეგუებოდა იმპერატორობის ჩამორთმევას. მაგრამ, საინტერესო ისაა, რომ ვანგ მანგის მმართველობის პირველი 6-7 წელი უჩვეულო სიწყნარით გამოირჩეოდა. მიუხედავად კონსტრუქციული რეფორმებისა, არ ჩანს არც გლეხთა აჯანყება, არც ლიოუს საგვარეულოს დიდი ორგანიზებული ამბოხი, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა ახალ დინასტიას. კიდევ უფრო გასაკვირია კონფუცისტი

[1] 新潮 – სინ ჩაო – სინის დინასტია

მოხელეების სიწყნარე. ეს ფენა მორალური პრინციპების თავგამოდებული დამცველი იყო, თუმცა კი დასავლეთ ხანის გაუქმების შემდეგ არ ყოფილა მოხელეების დიდი გამოსვლა უზურპატორის წინააღმდეგ. სავარაუდოდ, ეს ვანგ მანგის ოსტატურ პროპაგანდას უნდა მივაწეროთ. მან მშვენივრად გამოიყენა ხუთი ელემენტის მონაცვლეობის თეორია და თვით კერკეტი სწავლულებიც კი დააჯერა, რომ ხანის დინასტიის „ცის მანდატს" ვადა გაუვიდა.

სინის დინასტიის სწრაფი დაღმასვლის ძირითადი მიზეზი ისევ ბუნებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ამ პერიოდში ხუანგხემ ისევ შეიცვალა კალაპოტი და საბოლოოდ ჩადგა დღევანდელ დინებაში. ისევე როგორც ფინგ ტის დროს, მსგავსი კატაკლიზმა ახალდაარსებული იმპერიის მატერიალურ და იდეოლოგიურ საფუძველს დიდ დარტყმას მიაყენებდა და ასეც მოხდა. ახ. წ. 17 წლიდან დაიწყო გლეხთა აჯანყებები, რომლებიც 23 წელს ვანგ მანგის მოკვლით და ორი წლის შემდეგ აღმოსავლეთ ხანის დინასტიის დაარსებით დასრულდა.

აღმოსავლეთი ხანი

ხანის დინასტიის აღდგენა

სინის დინასტიის დამხობის უშუალო მიზეზი გლეხთა აჯანყებები იყო. თავდაპირველად ამ აჯანყებებს ერთი გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავდა, მაგრამ ვანგ მანგის მოშორების შემდეგ ახალი იმპერატორის არჩევის საკითხის წინაშე დადგნენ. აჯანყებულები ერთობლივად შეთანხმდნენ საიმპერატორო ტახტი ლიოუს საგვარეულოსათვის დაებრუნებინათ. იმპერატორობის რამდენიმე კანდიდატს შორის საბოლოოდ უპირატესობა ლიოუ სიოუმ მოიპოვა, 25 წელს ხანის დინასტიის აღდგენა გამოაცხადა და დედაქალაქი ლუოიანგში გადაიტანა. თუმცა კი, იმპერიის საბოლოო გაერთიანება 37 წელს დასრულდა.

ახლად აღდგენილი დინასტია მრავალი პრობლემის წინაშე იდგა. საჭირო იყო შიდა სტაბილურობისა და ადმინისტრაციული აპარატის, ეკონომიკის, მეურნეობის აღდგენა. აჯანყებების პერიოდში დაიკარგა

კონტროლი სიუნგნუსა და სი-იუზე. დიდი ზარალი მიადგა ქვეყნის მოსახლეობას. ისტორიკოს პან კუს (32-92 წწ.) შედგენილ წიგნში „ხანშუ"[1] დაცულია ახ. წ. 2 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები, რომლის მიხედვით, მთელ იმპერიაში 58 მილიონი ადამიანი აღირიცხებოდა. 140 წლის შემდეგ კი მოსახლეობა მხოლოდ 49 მილიონი იყო. ამავდროულად დაიწყო დიდი მიგრაცია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. თუ პირველი საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ ჩინეთის მოსახლეობა სამჯერ აღემატებოდა სამხრეთისას, მეორე საუკუნეში ეს მაჩვენებელი ლამის გათანაბრდა. ბუნებრივია, სამხრეთული მიგრაცია ჩრდილოეთში რამდენიმეწლიანმა ავჯანყებებმა გამოიწვია.


მართალია, პირველი იმპერატორის დროს საგარეო პოლიტიკა მეორე პლანზე იყო გადაწეული, მაგრამ ერთ დიდ წარმატებას მაინც მიაღწიეს – ახ. წ. 49 წელს სიუნგნუს კოალიციაში შიდა ომის გამო ერთი ჩანიუ ისევ ხანის დინასტიას მიეკედლა და „ძღვენის სისტემაში" შესვლის პირობით იმპერიის შიგნით დასახლების უფლება მიიღო. ხე ტის ტახტზე ასვლიდან მალევე ხანის არმიამ დამორჩილებულ სიუნგნუებთან ერთად შეუტია ჩრდილოეთ სიუნგნუს და საბოლოოდ გაანადგურა. ამის შემდეგ სიუნგნუ ხანის დინასტიისათვის საშიშ ძალას აღარ წარმოადგენდა.

რაც შეეხება სი-იუს, ამ მიმართულებითაც საკმაოდ წარმატებული კამპანიები განხორციელდა საუკუნის მეორე ნახევარში. 89 წელს ხანის არმია ისევ დაბრუნდა სი-იუს რეგიონში და პროტექტორატი აღადგინა. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ეს რეგიონი მტკიცედ იყო შემოერთებული ხანის იმპერიაში. აღსანიშნავია, რომ სი-იუს კამპანიის წარმატება მამა-შვილის, პან ჩაოსა (32-102 წწ.) და პან იუნგის (?-128 წწ.) პირადი დამსახურებაა. როგორც კი პან იუნგი გარდაიცვალა, ამ რეგიონზე ხანის კონტროლი შესუსტდა და მალევე მთლიანად დაიკარგა. პან ჩაოს სახელს ერთი საინტერესო მოვლენა მიეწერება: 97 წელს მისი ბრძანებით კან ინგმა დასავლეთით მოგზაურობა დაიწყო. იგი გასცდა სინძიანგის რეგიონს და ხმელთაშუაზღვამდე მიაღწია. კან ინგის მოგზაურობა ჩინელი ადამიანის მიერ დასავლეთით განხორციელებული ყველაზე შორეული მოგზაურობა იყო მინიმუმ მომდევნო ათასი წლის განმავლობაშიც.

[1] 汉书 – ხანშუ – ხანის ისტორია, ხანის წიგნი.

აღმოსავლეთ ხანის სანყის პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა და აღიარება მოიპოვა ტუნგ ჭუნგშუსა და სხვა კონფუცისტი სწავლულების შემუშავებუმა დინასტიის ლეგიტიმიზაციის თეორიამ, რომელიც ხუთი საწყისი ელემენტის მონაცვლეობასა და ცის მანდატს ეხება. შესაბამისად, დაიხვეწა „ზეციური ნიშნების" ინტერპრეტაციის მეთოდები. თითოეული ბუნებრივი კატასტროფა, იქნებოდა ეს მინისძვრა, წყალდიდობა, გვალვა თუ სხვა რამ ზეცის რისხვად წარმოედგინათ და ამის გამომწვევი მიზეზის აღმოჩენისა და აღმოფხვრისათვის დიდ დისკუსიებს მართავდნენ. დროთა განმავლობაში ეს გახდა მშვენიერი საშუალება უკმაყოფილო პირებისათვის საკუთარი შეხედულებები თავისუფლად გამოეთქვათ და თვით იმპერატორიც კი გაეკრიტიკებინათ, რადგან ამჯერად საქმე ცის ნებას ეხებოდა.

პირველი საუკუნის ბოლოსათვის აღმოსავლეთ ხანის დინასტია საკმაოდ კარგ მდგომარეობაში იყო. იმპერატორის ძალაუფლება მთელ იმპერიაზე ვრცელდებოდა, აღდგა მოშლილი ადმინისტრაცია, ეკონომიკა, მეურნეობა, იმპერიის საზღვრებმა უ ტის დროინდელ ნიშნულს მიაღწია. ერთი შეხედვით ხანის იმპერია სიძლიერის ზენიტს დაუბრუნდა (სურ. 72).



სურ. 72 მამულების გამოსახულება, აღმოსავლეთი ხანის ფრესკა.

საიმპერატორო კარის თამაშები

მიუხედავად გარეგანი ბრწყინვალებისა, პირველი საუკუნის მიწურულისკენ აღმოსავლეთ ხანის დინასტია დიდი კრიზისის წინაშე დადგა. ამ კრიზისის გამომწვევი მიზეზი კი საიმპერატორო კარის ინტრიგები იყო. ბუნებრივია, საიმპერატორო კარზე მუდამ მიმდინარეობდა სხვადასხვა დაჯგუფებას შორის დაპირისპირება ძალაუფლებისათვის, მაგრამ ის, რაც ხანის დინასტიაში ხდებოდა მეორე საუკუნეში, სრულიად ახალ სიმაღლეზე ავიდა.

ამ პერიოდში ხანის იმპერიას მართავდა ხუთი იმპერატორი: ხე ტი, ან ტი, შუნ ტი, ხუან ტი და ლინგ ტი, თუმცა არცერთი მათგანი სრულწლოვანი არ ყოფილა ტახტზე ასვლისას. შესაბამისად, მათ რეგენტობას წინა იმპერატორის დედოფალი ასრულებდა. თავის მხრივ, სწორედ ამ დედოფლების დამსახურება იყო არასრულწლოვანი კანდიდატის ტახტზე აყვანა, რათა რეგენტის რანგში ძალაუფლება შეენარჩუნებინათ. რეგენტობის პერიოდში კი მაქსიმალურად აძლიერებდნენ საკუთარ საგვარეულოებს. ხე ტის ტახტზე ასვლიდან ლინგ ტიმდე განუწყვეტლივ მეორდებოდა ასეთი ფორმულა. შედეგად, მეორე საუკუნეში დინასტიას ძლიერი იმპერატორი არ ჰყოლია. ძალაუფლება ერთი დედოფლის საგვარეულოდან მეორის ხელში გადადიოდა, რა თქმა უნდა, ძალისმიერი მეთოდებით.

დედოფლების საგვარეულოებს შორის განუწყვეტელი ომის ფონზე, კონფუციისტი მოხელეები უცნაურ პოზიციაში აღმოჩნდნენ. ერთი მხრივ, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ საიმპერატორო ძალაუფლების დედოფლების ხელში გადასვლას, მეორე მხრივ კი, უშუალოდ იმპერატორებსაც აკრიტიკებდნენ სისუსტისათვის. რამდენადაც არც იმპერატორს უჭერდნენ მხარს და არც დედოფლებს, მოხელეების სახით ცალკე დაჯგუფება ჩამოყალიბდა საიმპერატორო კარზე, მაგრამ მათი უფლებები ნელ-ნელა იკვეცებოდა. ამის მიზეზი კი, სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორედ მათ მიერ შემუშავებული ცის ნების იდეოლოგია იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კატაკლიზმების დროს დისკუსიები იმართებოდა „დამნაშავის“ გამოსავლენად. როგორც წესი, სწორედ დიდი თანამდებობის პირი ხდებოდა განტევების ვაცი ასეთ სიტუაციაში. მათი „მორალისაგან აცდენილი ქმედებით“ ხსნიდნენ ზეცის განრისხებას. შედეგად, მეორე საუკუნეში არაერთი

კანცლერი და იმპერიული მრჩეველი ემსხვერპლა მსგავს გადაბრალებებს. ეს ყველაფერი კი მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობების მნიშვნელობას ამცრობდა.

ამ ინტრიგების ეპოქაში კიდევ ერთი ახალი დაჯგუფება შეუერთდა ბრძოლას ძალაუფლებისათვის საჭურისების სახით. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ ისინი იმპერატორის მხარეს ჩაებნენ ამ ბრძოლაში. საჭურისები ჯერ კიდევ დინასტიის დაარსებიდან მსახურობდნენ საიმპერატორო კარზე, მაგრამ დასავლეთი ხანის დროს მათ რეალური ძალაუფლება არასოდეს ჰქონიათ. ძალაუფლებას მოკლებული არასრულწლოვანი იმპერატორები სწორედ საჭურისების გარემოცვაში იზრდებოდნენ. რამდენადაც დედოფლისა და მოხელეების დაჯგუფებები მათ წინააღმდეგ მოქმედებდნენ, იმპერატორები საჭურისებს დაუახლოვდნენ და რიგ შემთხვევებში ერთიანი მოქმედებით სასწორს თავიანთ სასარგებლოდ სწევდნენ. მაგალითად, 126 წელს იმპერატორი შუნი სწორედ საჭურისებმა გადაარჩინეს ტყვეობას და ტახტზე აიყვანეს. იმპერატორებსა და საჭურისებს შორის მტკიცე პაქტი საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. რა თქმა უნდა, საჭურისებს ერთგულება უფასდებოდათ და რამდენიმე შემთხვევაში ხოუს ტიტული კი მიიღეს. გარდა ამისა, გამოიცა ედიქტი, რომლის მიხედვითაც მათ შეეძლოთ საკუთარი ტიტული და ქონება შვილობილისათვის დაეტოვებინათ. ეს ახალი პრეცენდენტი იყო ხანის ისტორიაში. აქამდე საჭურის არისტოკრატიული ტიტულის მიღების უფლება არ ჰქონდა. 135 წელს შუნ ტის ბრძანებით გაიზარდა იმ სფეროების რიცხვი, რომლებშიც საჭურისებს შეეძლოთ თანამდებობის დაკავება. საუკუნის მეორე ნახევრისათვის ისინი ფაქტობრივად მთელ სასახლეს განაგებდნენ და იმპერატორის მუდმივ გარემოცვაში იყვნენ.

დინასტიის დაცემა

168 წელს საბოლოო გარდატეხა მოხდა ძალთა ბალანსში. საჭურისების წინააღმდეგ დედოფლის საგვარეულო და კანცლერი მოქმედებდა, მაგრამ არაორგანიზებულობის გამო საჭურისებმა ინიციატივა აიღეს და ორივე მონინააღმდეგე მოიშორეს. შედეგად, ლინგ ტის მმართველობის განმავლობაში მათი დაჯგუფება პირველობას

ინარჩუნებდა. 168-184 წლებში გაატარეს პროსკრიფციები[1], რომლის შედეგადაც მოიშორეს მათი მოწინააღმდეგე მოხელეები. ამგვარად, ხანის დინასტიაში კონფუცისტი მოხელეების დაჯგუფება საბოლოოდ გამოეთიშა ძალაუფლებისათვის ბრძოლას. ამავდროულად, 178 წლიდან წესად იქცა მაღალი თანამდებობების გაყიდვა. ადმინისტრაციული აპარატის დაკნინება და მოშლა დინასტიის დაღმასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა.

აღმოსავლეთ ხანის დაცემის უმთავრესი მიზეზი მაინც „ყვითელთავსაბურიანთა" აჯანყება იყო. ეს აჯანყება განსხვავდება წინამორბედებისაგან, რამდენადაც იგი იყო არა გლეხთა ან წარჩინებულთა ამბოხება მატერიალური ზარალით თუ ძალაუფლების მოპოვების ამბიციით გამოწვეული, არამედ ეს იყო რელიგიური აჯანყება, რომელიც სრულიად განსხვავებული იდეოლოგიით უპირსპირდებოდა ხანის დინასტიას. ჯერ კიდევ მეორე საუკუნის 70-იან წლებში ძმებმა ჭანგებმა საკუთარი იდეოლოგიის გავრცელება დაიწყეს და მალე მომხრეები მთელ იმპერიაში გამოუჩნდნენ. აჯანყება 184 წელს დათქმულ დღეს 36 მუნიციპალიტეტში თანადროულად უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, ღალატის შედეგად ხელისუფლებამ ეს გაიგო და დროზე ადრე გამოსვლა მოუწიათ.

„ყვითელთავსაბურიანთა" მთავარი ძალა რამდენიმე თვეში დაამარცხეს, მაგრამ აჯანყების მომხრეები მთელ იმპერიაში გავრცელდნენ და კიდევ ორი ათეული წლის განმავლობაში წარმოადგენდნენ ანგარიშგასაწევ ძალას. „ყვითელთავსაბურიანთა" აჯანყებით ისარგებლეს სხვა უკმაყოფილო დაჯგუფებებმაც და ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე აჯანყების ცენტრი გაჩნდა იმპერიაში. 188 წელს, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, იმპერატორმა ერთი შეხედვით ლოგიკური, თუმცა კი, საბედისწერო ნაბიჯი გადადგა. მან ქვეყანა პროვინციებად დაყო და პროვინციის ზედამხედველებს უფლება მისცა საკუთარ პროვინციაში არმია შეეკრიბათ[2]. ამგვარად, მათ შეეძლებოდათ ბიუროკრატიული პროცესების გვერდის ავლით უფრო სწრაფად ემოქმედათ აჯანყე-

[1] პროსკრიფცია – კანონგარეშედ გამოცხადებულ პირთა სპეციალური სიები.

[2] თითქმის 1700 წლის შემდეგ თაიფინგების აჯანყების ჩასახშობად ცინგის დინასტიამაც იგივე ნაბიჯი გადადგა. შედეგად, ლამის ერთი საუკუნე დასჭირდა დამოუკიდებელი სამხედრო მმართველების ამოძირკვას.

ბულების წინააღმდეგ. ამ მიზნით რეფორმამ გაამართლა, თუმცა შედეგად იმპერიაში გაჩნდნენ დამოუკიდებელი ძალები დიდი არმიით. ფაქტობრივად, შეიქმნა დენთის კასრი, რომელიც მხოლოდ აფეთქებას ელოდებოდა.

189 წელს ეს ნაპერწკალიც გამოჩნდა. იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ საჭურისებსა და მთავარსარდალ ხე ძინს (135-189 წწ.) შორის დაპირისპირებამ ხე ძინი იმსხვერპლა. საპასუხოდ მისმა მომხრეებმა მთელს დედაქალაქში დაიწყეს საჭურისების ამოხოცვა. ამგვარად, საჭურისების დაჯგუფება სულ რაღაც ერთ ღამეში გაქრა სცენიდან.

ამასობაში დედაქალაქში გამოჩნდა სარდალი ტუნგ ჭუო (?-192 წწ.) არმიით. ამან კი საბოლოოდ არია მონასტერი. მან იმპერატორი გადააყენა და მის მაგივრად ყოფილი იმპერატორის უმცროსი ძმა, სიენ ტი (189-220 წწ.) დასვა ტახტზე. შემდეგ დედაქალაქი ლუოიანგი გადაწვა და დასავლეთ ხანის დროინდელ დედაქალაქ ჩანგანისაკენ წაასხა მოსახლეობა და საიმპერატორო კარი.

აქედან მოყოლებული 220 წელს ცაო ფის მიერ ვეის დინასტიის დაარსებამდე, ხანის დინასტიისაგან მხოლოდ სახელიღა არსებობდა. 30 წლის განმავლობაში ჩინეთი სამხედრო მმართველების ბრძოლის არეალად იქცა. აღარ არსებობდა ცენტრალური ხელისუფლება, იმპერატორი მხოლოდ ძალაუფლების სიმბოლოდ დარჩა, რომელიც ხან ერთ არმიას მიჰყავდა, ხანაც – მეორეს. შეიძლება ითქვას, რომ ხანის დინასტია რეალურად 189 წელს დასრულდა, ნომინალურად კი – 220 წელს.

ხანის დინასტიის დაცემის რამდენიმე ძირითადი მიზეზი შეიძლება გამოვყოთ. პროვინციის ზედამხედველების სამხედრო ძალაუფლებით აღჭურვამ მართლაც წერტილი დაუსვა იმპერატორის რეალური ძალაუფლების არსებობას. მაგრამ, თავის მხრივ, ეს მოვლენაც უკვე არსებული მძიმე კრიზისის შედეგი იყო.

ტრადიციული ჩინური ისტორიოგრაფიის მიხედვით, მთავარი „დამნაშავეები" საჭურისები და დედოფლები იყვნენ. მათ მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში გადადგმულმა ნაბიჯებმა იმპერიაში ძალთა ბალანსი მოშალა, დაქვეითდა იმპერატორის ავტორიტეტი, დასუსტდა ადმინისტრაციული აპარატი. საჭურისებისა და დედოფლებისადმი განსაკუთრებული ანტიპათია ტრადიციული

იდეოლოგიითაა გამოწვეული, რომლის მიხედვითაც ძალაუფლება იანგს, ანუ მამაკაცისეულ საწყისს უნდა ეკონტროლებინა. ქალები ინის საწყისს ეკუთვნოდნენ, საჭურისებიც კი ჩამორთმეული ჰქონდათ იანგის ელემენტი.

დინასტიის დასუსტების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო ტახტის გადაცემის ზუსტი წესების არარსებობა. მთელი ხანის დინასტიის განმავლობაში არ არსებობდა არცერთი კანონი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა, ვის შეეძლო ტახტზე ასვლა. ზოგადად, მემკვიდრედ მთავარი მეუღლის ვაჟს ირჩევდნენ, თუმცა კვლავ იმპერატორზე იყო დამოკიდებული, რომელი ცოლის შვილებიდან გააკეთებდა არჩევანს და უფროს-უმცროსობით შეზღუდული არ იყო. ხოლო თუკი იმპერატორი ოფიციალური მემკვიდრის დასახელების გარეშე გარდაიცვლებოდა, დედოფალს ჰქონდა უფლება ახალი იმპერატორი აერჩია. ამ შემთხვევაში კი არჩევანის დიაპაზონი კიდევ უფრო იზრდებოდა. მაგალითად, 168 წელს, როცა იმპერატორი ხუანი გარდაიცვალა, დედოფალმა ტოუმ ოთხი თაობის წინანდელი იმპერატორის, ჭანგ ტის (76-88 წწ.) მცირენლოვანი შთამომავალი აარჩია ახალ იმპერატორად, მიუხედავად იმისა, რომ წინა იმპერატორთან უფრო ახლო ნათესაური კავშირის მქონე პირების მთელი უწყება არსებობდა. ტახტის გადაცემის წესების არქონამ საშუალება მისცა საიმპერატორო საგვარეულოს გარე პირებს უზენაესი ხელისუფლებით მანიპულირება დაეწყოთ.

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბუნებრივ მოვლენებსაც. ლინგ ტის მმართველობის პერიოდში არაერთი წყალდიდობა და მიწისძვრა მოხდა. მატერიალურ ზარალთან ერთად მსგავსი კატაკლიზმები დინასტიის იდეოლოგიურ საფუძვლებსაც არყევდა. ალბათ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მეორე საუკუნიდან რამდენიმე რელიგიური აჯანყება მოხდა.

აბრეშუმის გზა

ხანის დინასტიის დროს ჩამოყალიბდა ტრანსკონტინენტური სავაჭრო მაგისტრალი, რომელსაც ფერდინანდ ფონ რიხტოფენმა (1833-1905 წწ.) აბრეშუმის დიდი გზა უწოდა. სავაჭრო გზების ეს უზარმაზარი სისტემა საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და დიდი გავლენა იქონია აზია-ევროპა-აფრიკას შორის მატერიალური და არამატერიალური კულტურის მიმოცვლაზე.

აბრეშუმის გზის დაარსება უკავშირდება იმპერატორ უს მიერ ძვ. წ. 138 წელს იუეჭის მომთაბარე ტომებთან ალიანსის შესაკვრელად ჭანგ ციენის გაგზავნას. ჭანგ ციენის 13-წლიანი მოგზაურობა ალიანსის შექმნის გარეშე დასრულდა, მაგრამ თავისდა უნებურად მან უფრო დიდ მოვლენას დაუდო სათავე. ამ 13 წლის განმავლობაში იგი ესტუმრა სინძიანგისა და ცენტრალური აზიის სამეფოებს და ჩინეთში ჩაიტანა ინფორმაცია აქაურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციაზე. მისმა მონაყოლმა იმპერატორის აღფრთოვანება გამოიწვია და დასავლეთისაკენ ახალი მისიები გაუშვა.

ბუნებრივია, აბრეშუმის გზის გახსნა ერთი ინციდენტის შედეგი არ იყო. მისი ჩამოყალიბებისათვის წინაპირობები ათწლეულობით მზადდებოდა. ერთი მხრივ, ჩინეთში საგარეო ვაჭრობისათვის შესაფერისი სიტუაცია შეიქმნა. ვენ ტისა და ძინგ ტის დროს შიდაპოლიტიკური სიტუაცია დაწყნარდა და სოფლის მეურნეობისა და სახელოსნო ნაწარმის რაოდენობა ძალიან გაიზარდა. უ ტის დროს ეკონომიკურ და შიდაპოლიტიკურ მზაობას საგარეო პოლიტიკისადმი ინტერესის ზრდა და სამხედრო ექსპედიციების შედეგად სიიუს რეგიონისაკენ გამავალი მარშრუტის შემოერთება დაემატა (სურ. 73).



სურ. 73 ქვის ბარელიეფზე ასახული ხვნის პროცესი (ფრაგმენტი)

რაც შეეხება ცენტრალურ აზიას, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შემდეგ ეს რეგიონი უფრო დაუახლოვდა დასავლეთს და სავაჭრო კავშირები დასავლეთთან უკვე არსებობდა.

მთავარი რგოლი აბრეშუმის გზის ამუშავებისათვის იყო სინძიანგის პროვინცია, რომელსაც ხანის დინასტია და ცენტრალური აზია უნდა დაეკავშირებინა. მიუხედავად მსოფლიოში უმაღლესი მთათა სისტემებისა და ტაკლამაკანის უდაბნოს გარემოცვაში ყოფნისა, ხანის ეპოქის სინძიანგის კლიმატი უფრო ზომიერი იყო და რეგიონს გაცილებით მეტი წყლის რესურსი ჰქონდა ვიდრე დღეს. სინძიანგის რეგიონში ამ დროს პატარა სამეფო-სამთავროები არსებობდნენ, რომელთა ხანის დინასტიასთან პოლიტიკურად დაკავშირებამ გზა გაუხსნა უფრო აქტიურ სავაჭრო საქმიანობას.

იმპერატორ უ ტის დროსვე იყო საზღვაო აბრეშუმის გზის ამუშავების პირველი მცდელობაც. იმპერატორმა საზღვაო გზით გაგზავნა ელჩობა შორეულ ინდოეთამდე. ამ პერიოდისათვის სანაოსნო ტექნოლოგია და გამოცდილება ჯერ კიდევ არ იყო სათანადო დონეზე ასული, ამიტომ საზღვაო აბრეშუმის გზის ამოქმედებას კიდევ რამდენიმე საუკუნე დასჭირდა.

მთავარი საექსპორტო პროდუქტი ჩინეთიდან, ბუნებრივია, აბრეშუმი იყო (სურ. 74). აბრეშუმს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ხშირ შემთხვევებში სწორედ მას იყენებდნენ გაცვლის ერთეულად ფულის მაგივრად. დროთა განმავლობაში აბრეშუმით ვაჭრობა რომსა და პართიას შორის პოლიტიკური ინტერესების დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ სფეროდ იქცა. პართიელები, ასრულებდნენ რა შუამავლის როლს რომსა და ჩინეთს შორის, რიგ შემთხვევებში აბრეშუმის ფასს ძალიან ზრდიდნენ, რაც რომის იმპერიასთან სამხედრო დაპირისპირებებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ამ უპირატესობის შენარჩუნებისათვის პართიელები ყველანაირად ცდილობდნენ ჩინეთსა და რომს შორის პირდაპირი კონტაქტი არ დაეშვათ. პირველი საუკუნის ბოლოს, როდესაც კან ინგი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მიადგა, პართიელებმა გადააფიქრებინეს დასავლეთისაკენ მოგზაურობის გაგრძელება. საკუთრივ ჩინელებიც აცნობიერებდნენ პართიელების მცდელობებს, რომ მათსა და რომს შორის კონტაქტი ჩაეშალათ.

საინტერესოა, რომ მიუხედავად პირდაპირი კონტაქტის არქონისა, ჩინურ წყაროებში რომი დიდი პატივისცემით მოისენიება, როგორც ჩინეთის მსგავსი მაღალცივილიზებული სახელმწიფო. ამას ადასტურებს ჩინურ წყაროებში რომის სახელწოდებაც, ტაცინი, რაც დიდ ცინს ნიშნავს. რაც შეეხება მათ შორის შესაძლო კონტაქტების არსებობას, ერთადერთი ჩინური ცნობა, რომელიც ხანის დროს ჩინეთსა და რომს შორის პირველ კონტაქტს შეიძლება აღწერდეს, გვიამბობს, რომ 166 წელს ხანის იმპერატორს ელჩები ეახლნენ ტაცინიდან. თუმცა კი, გასათვალისწინებელია, რომ ტაცინს ორი ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა, უშუალოდ რომის იმპერია და ჩინეთის დასავლეთით არსებული სამეფოების ერთიანობა. ამ შემთხვევაში მეორე მნიშვნელობით უნდა გამოიყენებოდეს, რადგან რომაულ წყაროებში არსად არ არის ნახსენები ამ დროს ჩინეთში ელჩობის გაგზავნა. ერთი ვერსიით ესენი იყვნენ რომაელი ვაჭრები, რომლებმაც თავი რომის იმპერატორის ელჩებად გაასაღეს უკეთესი პირობების მისაღებად.



სურ. 74 ძაფის დართვისა და ქსოვის პროცესის გამოსახულება ქვის ბარელიეფზე.

აბრეშუმის გზის გავლით ჩინეთში მრავალფეროვანი უცხოური პროდუქტი შედიოდა. იმპერატორის მხრიდან ყველაზე მოთხოვნადი ცენტრალური აზიური ცხენი იყო, რომელსაც „ზეციურ ცხენად" მოიხსენიებენ ჩინურ წყაროებში. გარდა ცხენისა, ასევე შევიდა ვირი, აქლემი, კამეჩი. მათ შორის ვირი დიდი პატივით სარგებლობდა. უ ტი ხანდახან ოთხვირშებმული ეტლით მოძრაობდა ხოლმე. ცენტრალური აზიიდან ჩინეთში ასევე შევიდა ბროწეული, სეზამი, ყურძნის ღვინო, თუმცა ეს უკანასკნელი თანგის დინასტიამდე ვერ დამკვიდრდა ჩინეთში. იმპორტში მთავარ

ადგილს მაინც ძვირფასეულობა იკავებდა, როგორიცაა ნეფრიტი, მარჯანი, ქარვა, სპილოს ძვალი და სხვა.

ხანის დინასტიის მეცნიერება და კულტურა

ხანის პერიოდის მთავარ სამეცნიერო მიღწევად, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა ჰქონდა, ქაღალდის შექმნა მიიჩნევა. ქაღალდი ჯერ კიდევ დასავლეთ ხანის პერიოდში შექმნეს. მაგრამ წარმოების მეთოდი არ იყო დახვეწილი და შესაბამისად, ნაკლებად გამოიყენებოდა. ახ. წ. 105 წელს ცაი ლუნმა (50-121 წწ.) იმპერატორს ქაღალდის ახალი დამზადების მეთოდი წარუდგინა, რომელიც გულისხმობდა მერქნის, ტილოს, სათევზაო ბადეების, კანაფისა და სხვა იაფი მასალის გადამუშავებით ქაღალდის მიღებას. ამ მეთოდის დანერგვის შემდეგ ქაღალდის წარმოება და გამოყენება იმდენად გაიზარდა, რომ ტრადიცია ცაი ლუნს მიაწერს ქაღალდის გამოგონებას (სურ. 75).



სურ. 75 ფუფუნგის ქაღალდი

მეცნიერების დარგში ასევე დიდი მიღწევა იყო ჭანგ ხენგის (78-138 წწ.) მიერ მსოფლიოში პირველი სეისმოგრაფის შექმნა. მან ასევე დაადგინა, რომ დედამიწას ოვალური ფორმა ჰქონდა.

ხანის ეპოქაში დიდი წინსვლა მოხდა სამედიცინო კუთხითაც. საბოლოოდ ჩამოყალიბდა აკუპუნქტურა, პირველად ფიქსირდება ანესთეზიის გამოყენება ოპერაციისას. გარდა ამისა, გამოიცა უძველესი ჩინური სამედიცინო ნაშრომი სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკის შესახებ. სწორედ ხანის დროს დაიწერა ჩინური მედიცინის ერთ-ერთი საფუძველი, „ხუანგტი ნეიძინგი", რომელიც 311 დაავადების განკურნების მეთოდს იძლევა, ახსნილია დაავადებების პათოლოგიური და ფიზიოლოგიური ნიშნები. დადგინდა ჩინური მედიცინის მთავარი მაქსიმა – მკურნალობის მიზანი არა მისი გამოვლინების,



სურ. 76 აკუპუნქტურის პროცესის გამოსახულება ქვის ბარელიეფზე (ფრაგმენტი)

არამედ გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრაა (სურ. 76).

მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა ისტორიოგრაფიაში. ხანის დროს მოღვაწეობდა ჩინეთის ორი დიდი ისტორიკოსი: სმა ციენი და პან კუ. სმა ციენმა სათავე დაუდო ისტორიის ახალი სტილით წერას (სურ. 77). თუკი მანამდე მხოლოდ კონკრეტული მმართველის, სამეფოს ან დინასტიის ისტორია იწერებოდა, მან მთელი ჩინეთის ისტორია გააერთიანა ერთ წიგნში – უძველესი დროიდან ვიდრე საკუთარ პერიოდამდე. ამ ორმა ავტორმა ოფიციალური ისტორიის წერის ძირითადი ჩარჩო და პრინციპები ჩამოაყალიბეს, რომელსაც შემდეგი 1500 წლის განმავლობაში იცავდნენ საიმპერატორო კარის ისტორიკოსები.

გადატრიალება მოხდა ბიბლიოგრაფიის დარგშიც. „ხანშუ" მოიცავს ტრაქტატებს ბიბლიოგრაფიაზეც, რომელშიც დაცულია ცნობილი სწავლულების, მამა-შვილის, ლიოუ სიანგისა (ძვ. წ. 77-6) და ლიოუ სინის (ძვ. წ. 50 – ახ. წ. 23) ჩამოყალიბებულ სტრუქტურაზე დაფუძნებული ბიბლიოგრაფიული სისტემა. ამ სისტემის მიხედვით ავტორმა იმ პერიოდისათვის არსებული წიგნები ექვს კატეგორიად დაყო და თითოეული მათგანის სახელწოდების, ავტორის, შინაარსისა და აგებულების შესახებ ინფორმაცია მოგვანოდა.

უ ტის დროს საიმპერატორო კარზე ჩამოყალიბდა სპეციალური უწყება, იუეფუ, რომლის მოვალეობაც ხალხუ-



სურ. 77 სმა ციენი

რი სიმღერებისა და ლექსების შეგროვება და დაცვა იყო. დღემდეა შემორჩენილი ხანის დროინდელი არისტოკრატებისა და დაბალი სოციალური ფენის პოეზია, მუსიკა, სიმღერები (სურ. 78; სურ. 79). ხანის დინასტიაში ასევე იმართებოდა აკრობატული ნომრების ჩვენება (სურ. 80). ჩინურ ფილოსოფიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს აღმოსავლეთ ხანის დროინდელ ფილოსოფოს ვანგ ჩუნგს (27-97 წწ.). მას ეკუთვნის ნაწარმოები „ლუნხენგი“, რომელშიც იგი უარყოფს ღმერთებისა და სულების არსებობას. მისი აზრით, სამყარო მხოლოდ საწყისი მატერიისაგან შექმნილი სტრუქტურაა და უზენაეს არსებას მის შექმნასა და არსებობაში ხელი არ ურევია.



სურ. 78 დასარტყამი ინსტრუმენტის თანხლებით რეჩიტატივების შესრულება. აღმოსავლეთ ხანის ფიგურა

აღმოსავლეთ ხანის დროს ბუდიზმმა შეაღწია ჩინეთში. მართალია, ამ პერიოდში ბუდიზმი ჯერ კიდევ შორს იყო გავლენიანი რელიგიის სტატუსისაგან, მაგრამ უკვე დაიწყო ბუდისტური ნაწარმოებების ჩინურად თარგმნა. აღსანიშნავია, რომ პირველი მთარგმნელები არა ჩინელები, არამედ ჩინეთში დასახლებული უცხოელები, მათ შორის პართიელები იყვნენ. საინტერესოა, რომ ბუდიზმის შემოსვლას ბუდისტური მედიცინის გავრცელება მოჰყვა ჩინეთში, საიდანაც ჩინური მედიცინის ერთ-ერთი ძირითადი გასინჯვის მეთოდი, პულსზე დაკვირვება გავრცელდა.



სურ. 79 მუსიკოსთა ფიგურები, რომლებიც უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტზე – სე



სურ. 80 ქვის ბარელიეფზე გამოსახული სხვადასხვა სახის აკრობატული ნომრების ჩვენება

სამი სამეფო

სამი სამეფოს[1] სახელით მოიხსენიებენ ჩინეთის ისტორიაში პერიოდს ხანის დინასტიის დაშლიდან ძინის დინასტიის მიერ ჩინეთის ხელახალ გაერთიანებამდე. სამოცი წლის განმავლობაში ჩინეთი დაიყო სამ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად: ვეი (ცაო ვეი), შუ (შუ ხანი) და უ (აღმოსავლეთი უ)[2] (სურ. 81). მიუხედავად მცირე პერიოდისა, სამი სამეფოს ეპოქამ დიდი როლი ითამაშა ჩინეთის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. აღმოსავლეთ ხანის უკანასკნელ წლებში იმპერია აჯანყებებმა მოიცვა. ცენტრალური მმართველობის აპარატი მოიშალა, სრული ქაოსი სუფევდა საგადასახადო სისტემაში, მეურნეობა და ეკონომიკა დაღმასვლას განიცდიდა. სამი სამეფოს ეპოქაში მოწესრიგდა მმართველობის სისტემა და ნიადაგი მომზადდა ჩინეთის კვლავ გასაერთიანებლად. კიდევ უფრო დიდია ამ ეპოქის მნიშვნელობა ჩინეთის კულტურისთვის. რამდენადაც ვეის, შუსა და უს ერთმანეთთან მუდმივი



სურ. 81 ჩინეთი სამი სამეფოს ეპოქაში (რუკა)

[1] ტერმინი „სამი სამეფო" რეალურად სწორი არ არის. თითოეულს ამ სამი პოლიტიკური გაერთიანებიდან დამოუკიდებელი იმპერიის სტატუსი ჰქონდა. რადგან „სამი სამეფო" უკვე დიდი ხანია გამოიყენება ამ პერიოდის აღსანიშნად, ჩვენც ამ ტერმინს გამოვიყენებთ.

[2] ცაო ვეი, შუ ხანი და აღმოსავლეთ უ თანამედროვე ისტორიკოსების მიერ დადგენილი სახელწოდებებია იმისათვის, რომ მესამე საუკუნის ვეი, შუ და უ სხვა პერიოდებში იმავე სახელწოდების სამეფოებისაგან განასხვაონ.


კონფლიქტი ჰქონდათ, გაიზარდა მეომარი კლასის სტატუსი და მომდევნო დინასტიებისათვის სამი სამეფოს ეპოქას რაინდული რომანტიზმის ელფერი დაჰკრავდა. მე-14 საუკუნეში დიდმა ჩინელმა მწერალმა, ლუო კუანჭუნგმა (1280-1360 წწ.) დაწერა „სამი სამეფოს რომანი", რომელიც ყველა დროის ჩინური ლიტერატურის ოთხი შედევრიდან ერთ-ერთია[1]. ამ ნაწარმოებმა სამი სამეფოს სამოცწლიანი ისტორია, საზოგადოდ, უფრო ცნობილი გახადა, ვიდრე ნებისმიერი სხვა დინასტია.

ოფიციალურად სამი სამეფოს პერიოდს იწყებენ 220 წლიდან, როცა ვეის ვანგმა, ცაო ფიმ ხანის იმპერატორი აიძულა ტახტი მისთვის დაეთმო და თვითონ გახდა ვეის იმპერატორი. თუმცა, ზოგი ისტორიკოსი ათვლას უფრო ადრე, 190 წლიდან იწყებს. მართალია, ამ დროს აღმოსავლეთი ხანი ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი, თუმცა იმპერატორი რეალურ ძალაუფლებას ვეღარ ფლობდა. ხანის იმპერიის ტერიტორია სხვადასხვა სარდალს შორის განაწილდა, რომლებთაც გამუდმებული ომი ჰქონდათ პირველობისათვის. საბოლოოდ, ძალები სამ პარტიას შორის გადანაწილდა: ცაო ცაო, ლიოუ პეი და სუნ ციუენი. 208 წელს ცაომ ლიოუსა და სუნის ალიანსს შეუტია და ცნობილ ჩიპის ბრძოლაში დამარცხდა. ვინ იცის, როგორი იქნებოდა ჩინეთის ბედი, ცაოს რომ ამ დაპირისპირებაში გაემარჯვა და ჩინეთი გაეერთიანებინა. ამ მარცხის შემდეგ ცაო ჩრდილოეთის შემომტკიცებას შეუდგა, იანგწის სამხრეთ მიწები კი ლიოუ პეიმ და სუნ ციუენმა დაინაწილეს.

ვეი (ცაო ვეი)

ვეი მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას იანგწის ჩრდილოეთით. იმპერია ჩრდილოეთით თანამედროვე ლიაონინგის პროვინციას წვდებოდა, აღმოსავლეთით ზღვამდე მიდიოდა, სამხრეთით მდინარე ხუაიხესა და იანგწიზე უს სამეფოსთან საზღვარი გადიოდა, სამხრეთ-დასავლეთით ემიჯნებოდა შუს, დასავლეთით კი თანამედროვე სინძიანგში გადიოდა. სამი სამეფოდან ვეი ყველაზე დიდი იყო ტერიტორიულად და მოსახლეობით (სურ. 82).

[1] 四大名著 – სტა მინგჭუ; ჩინური ლიტერატურის ოთხი შედევრი: 《三国演义》 „სამი სამეფოს რომანი", 《水浒传》 „ამბები ნყლის პირას", 《西游记》 „მოგზაურობა დასავლეთში" და 《红楼梦》 „სიზმარი წითელ სასახლეში".



სურ. 82 ქვის ბარელიეფზე გამოსახული თავდაცვითი ციხე-სიმაგრე. სამი სამეფოს ეპოქა, ვეი.

ვეიში აღირიცხებოდა დაახლოებით 4.4 მილიონი ადამიანი. ხანის დინასტიის ბოლო წლებში გამუდმებულმა ომებმა ვეის ცენტრალური ტერიტორია, ხუანგხეს აუზი ძალიან დააზარალა: უკან დაწია ეკონომიკა და მეურნეობა, შეამცირა მოსახლეობა. მეორე მხრივ, რადგან ხუანგხეს აუზი საუკუნეების განმავლობაში იყო ჩინური სამეფოების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ცენტრი, განვითარებისთვის აქ უფრო კარგი ადამიანური და მატერიალური რესურსი მოიძებნებოდა, ვიდრე სხვა რეგიონებში.



სურ. 83 ცაო ცაო

ვეის იმპერიის დაარსება უშუალოდ უკავშირდება ცაო ცაოს სახელს (სურ. 83). იგი 155 წელს დაიბადა თანამედროვე ანხუეის პროვინციაში. მამამისი საიმპერატორო კარზე გავლენიანმა საჭურისმა იშვილა. ასე რომ, ცაოს კარგი განათლება ჰქონდა მიღებული. როდესაც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ჩაერთო, მოწინააღმდეგეები ხშირად უხსენებდნენ, რომ საჭურისის ოჯახიდან იყო გამოსული. ამ ფაქტს ცაოსთვის ხელი არ შეუშლია, რომ სრული ქაოსის პირობებში ძალაუფლების კიბის სათავეში მოქცეულიყო. ჭკვიანმა და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა, ორგანიზაციული ნიჭითა და ჭკვიანი ხალხის შემოკრების უნარით შექმნა ერთგუ-

ლი და დისციპლინირებული არმია, რომლითაც რიცხობრივად მრავალჯერ აღმატებული, თუმცა სუსტი და ამორალური მტრები დაამარცხა. უკვე 196 წელს მან ხანის იმპერატორი სიენ ტი თავის დედაქალაქში, სიუჩანგში[1] გადაიყვანა და ამგვარად, თავის მომავალ ქმედებებს ლეგიტიმაცია მისცა.

ჩიპის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, ცაო ცაომ სამხრეთისკენ გაფართოებაზე ხელი აიღო და ჩრდილოეთით მიმართა ყურადღება. 211-220 წლებში მან დაიკავა სტრატეგიული პუნქტი, ხანჭუნგი[2] და ლიანგჭოუ[3]. 213 წელს ცაომ იმპერატორისაგან მიიღო ვეის კუნგის[4] ტიტული, 216 წელს კი – ვეის მეფის[5] წოდება. ცაო ცაო 220 წელს გარდაიცვალა. გარდაცვალების წინ მან დაიბარა, რომ აკლდამაში არ ჩაეყოლებინათ ოქრო და ნეფრიტი, რომ მის დაკრძალვაზე მისასვლელად სამსახური არ გაეცდინათ. ცაო ცაო ისე გარდაიცვალა, რომ თავი იმპერატორად არ გამოუცხადებია. მაგრამ, როცა მისმა ვაჟმა დააარსა ვეის დინასტია, პირველი საპატიო იმპერატორის ტიტული მაინც მამას უბოძა[6].

ცაო ცაოს და ცაო ფის რეფორმები

ცაო ცაოს რეფორმებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ორი: ნიჭიერი კადრების დასაქმება და სამხედრო მეურნეობების, თუნთიენის რეფორმა. ერთი შეხედვით, ნიჭიერი ხალხის ხელშეწყობაში განსაკუთრებული არაფერი ჩანს, თუმცა ამ რეფორმის მნიშვნელობა რომ გავიგოთ, ჯერ იმ პერიოდის ვითარებაში უნდა გავერკვეთ. აღმოსავლეთ ხანის დინასტიაში თანამდებობაზე დანიშვნისა და კარიერული წინსვლის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო წარმომავლობა და ღირსება. ღირსება გუ-

[1] თანამედროვე ხენანის პროვინცია.

[2] შაანსის პროვინციის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ მაზრა, ესაზღვრება სჩუანისა და კანსუს პროვინციებს.

[3] თანამედროვე კანსუს პროვინცია.

[4] 公 – უმაღლესი წოდება ძველი ჩინეთის არისტოკრატიული ტიტულების ხუთსაფეხურიან სისტემაში.

[5] იმპერატორი თავის მოხელეს ან ნათესავს მეფის ტიტულს ხშირად უბოძებდა ძველ ჩინეთში. ვანგი კულავაც იმპერატორის ვასალი იყო, თუმცა თავის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ავტორიტეტი ჰქონდა.

[6] ცაო ცაოს გარდაცვალების შემდგომი ტიტული იყო უ ტი – სამხედრო იმპერატორი.

ლისხმობდა კონფუციური მოვალეობების (მამის პატივისცემა, უფროსის მორჩილება და სხვა) შესრულებას. შესაბამისად, მაღალი თანამდებობები არისტოკრატების ხელში მოექცა. ეს იყო აღმოსავლეთ ხანის დინასტიის დამხობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი.

რამდენადაც ცაო ცაო თვითონაც არ იყო მაღალი სოციალური კლასიდან გამოსული, შესაბამისად, მოხელის დანიშვნისას პიროვნების წარმომავლობაზე წინ, მის პიროვნულ მონაცემებს აყენებდა. ამგვარად, ცაომ ადმინისტრაციული და სამხედრო აპარატი გაავსო ნიჭიერი, თავისი საქმის მცოდნე ხალხით, რაც აპარატის კარგად ფუნქციონირებას განაპირობებდა.

განსხვავებით ხანის დინასტიისაგან, ცაომ თავისი ნათესავებიდან მხოლოდ მათ ჩააბარა სერიოზული თანამდებობები, ვისაც პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა, დანარჩენები კი ჩამოაშორა ძალაუფლებას. მათ ტიტულები დაურიგა, თუმცა მმართველობის ბერკეტები არ მიუცია. ეს იყო ერთგვარი რეაქცია ხანის დინასტიაში განვითარებულ მოვლენებზე, როცა იმპერატორის ნათესავებმა დაინაწილეს ძალაუფლება და ცენტრალური ხელისუფლება დაასუსტეს.

ცაო ცაოს სამეფოს ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება იდგა მის მიერ გატარებული სამხედრო მეურნეობის „თუნთიენის" რეფორმაზე. სამხედრო მეურნეობა ჯერ კიდევ ხანის დინასტიის დროიდან გამოიყენებოდა, თუმცა ცაო ცაომ უფრო დახვეწა, განავითარა და დიდი მასშტაბები შესძინა. ცაომ სამხედრო მეურნეობა ორ კატეგორიად დაყო: სამოქალაქო და სამხედრო. სამოქალაქო თუნთიენი უშუალოდ ცაოს ინოვაცია იყო. ამ რეფორმის ფარგლებში უმიწო გლეხებს, ლტოლვილებს ეძლეოდათ მიწა, სამეურნეო იარაღები და თესლი. მთავრობა იღებდა მოსავლის ნახევარს. თუ გლეხი მთავრობის ხარებს გამოიყენებდა, მაშინ გადასახადი 60%-მდე ადიოდა. ამას გარდა, მათ სხვა შრომითი ვალდებულებებიც ჰქონდათ.

სამხედრო თუნთიენი გადაეცემოდა ადამიანთა დიდ ჯგუფს იმ პირობით, რომ ყოველი 10 მამაკაციდან ორი არმიაში იმსახურებდა საპენსიო ასაკამდე. ასე იქმნებოდა სამხედრო დასახლებები და სამხედრო ოჯახები. არმიაში სამსახური მემკვიდრეობითი იყო. იმისათვის, რომ მეომარი პენსიაზე გასულიყო, მისი ოჯახიდან ახალ წევრს უნდა ჩაენაცვლებინა იგი. ვეის სამეფოს ეპოქაში სამხედრო ოჯახებს მხოლოდ ერთმანეთში შეეძლოთ ქორწინება. ამგვარად, შენარჩუნებული იყო ადა-

მიანური რესურსი სამხედრო სამსახურისათვის. სამხედრო თუნთიენიდან გადასახადებს არ კრებდნენ და არც სავალდებულო შრომა მოეთხოვებოდათ. აქ მიღებული მოსავლით იქმნებოდა რეზერვები სამხედრო საჭიროებისათვის. რამდენადაც მუდმივი არმიის პრობლემა გადაიჭრა, ჩვეულებრივ გლეხებს აღარ ევალებოდათ სამხედრო სამსახური.

ამ რეფორმით ცაო ცაომ რამდენიმე სასიცოცხლო პრობლემა გადაჭრა: აითვისა დაუმუშავებელი მიწები, გაზარდა გადასახადის გადამხდელთა რიცხვი, ჩამოაყალიბა მუდმივი არმია და მოაწესრიგა არმიის მომარაგების სისტემა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიწის ათვისება იყო. მეორე საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული მუდმივი აჯანყებების გამო დამუშავებული მიწის ფართობი გამუდმებით მცირდებოდა. გლეხები მიწებიდან გარბოდნენ; საიმპერატორო ხაზინაში შემავალი გადასახადი იკლებდა, რაც იმპერატორის ხელისუფლებას ასუსტებდა. ცაომ დაგროვებითი მიწის რეფორმით შექმნა სოფლის მეურნეობის მყარი ბაზა და მოაწესრიგა მუდმივი ჯარის სისტემა.

სამხედრო დაგროვებითი მიწის რეფორმა აღმოსავლეთ უსა და შუ ხანშიც გადაიღეს, თუმცა ისეთი წარმატება არ მოჰყოლია, როგორიც ვეიში. ამის მიზეზი იყო მოსახლეობის სიმცირე. ხანის დინასტიის ბოლო წლებში არეულობის, მუდმივი აჯანყებებისა და ომების, საგადასახადო და სარეგისტრაციო აპარატის მოშლის შედეგად მოსახლეობა ძალიან შეთხელდა. თუ აღმოსავლეთ ხანის დროს 50-55 მილიონი ადამიანი აღირიცხებოდა, ძინის დინასტიის დაარსებისას, მესამე საუკუნის 70-80-იან წლებში მოსახლეობა 17 მილიონამდეც ვერ აღწევდა. მოსახლეობის ასეთი კატასტროფული შემცირების პირობებში მთავარი სიმდიდრე არა მიწა, არამედ ხალხი იყო. ხშირად ერთი სამეფო მეორის დალაშქვრის შემდეგ მოსახლეობას თავის მიწებზე ერეკებოდა, რადგან მიწა ბევრი ჰქონდათ, მაგრამ მუშახელი აკლდათ. ასე იქცეოდა ხოლმე ჭუკე ლიანგი. ერთ-ერთი ლაშქრობისას კანსუს პროვინციიდან, რომელიც ცაო ვეის ეკუთვნოდა, მოსახლეობა შუში გადაასახლა. როცა სუნ ციუენის სარდალმა ცაო ვეის მიწები დაარბია თანამედროვე ანხუეის პროვინციაში, ადგილობრივები აღმოსავლეთ უში გადაასახლა. ასე ხდებოდა სუეის დინასტიამდე. შესაბამისად, უცხო ტომების დაპყრობისას მნიშვნელოვანი ახალი მიწების შემოერთება კი არ იყო, არამედ ადამიანური რესურსის ნამატი.

ცაო ცაოს მუდმივი ჯარი სამხედრო დასახლებებიდან გამოჰყავდა, მაგრამ მისი არმიის მთავარი დამრტყმელი ძალა მაინც მსუბუქი და სა-

შუალოდ შეჯავშნული კავალერია იყო, რომელიც ძირითადად უცხო, მომთაბარე ტომებისაგან კომპლექტდებოდა. მომთაბარეები ჩინეთის ჩრდილოეთით ვრცელ სტეპებზე ხანის დროიდან ცხოვრობდნენ და დიდ პრობლემას უქმნიდნენ „ცენტრალურ სამეფოს". ხანის დინასტია მუდმივად უპირისპირდებოდა მომთაბარე სიუნგნუს ტომთა კოალიციას. საბოლოოდ, მომთაბარეების პრობლემის გადასაწყვეტად იარაღის მაგივრად მათ ასიმილაციას მიმართეს. ჯერ კიდევ ხანის დროს მოკავშირე სიუნგნუს ტომებს ხანის ტერიტორიაზე ასახლებდნენ, მათ მიწებს აძლევდნენ და არმიაში რიცხავდნენ. ცაო ცაომ ეს პრაქტიკა კიდევ უფრო გააძლიერა. მის კავალერიაში არა მხოლოდ სიუნგნუს, არამედ სიენპეის, უხუანისა და სხვა ტომების წარმომადგენლებიც შედიოდნენ.

ჩრდილოეთის ერთი მმართველობის ქვეშ გაერთიანებამ შექმნა პირობები სავაჭრო გზების აღდგენისათვის. ცაო ვეის ახლო ეკონომიკური კავშირები ჰქონდა დასავლეთით სი-იუსთან და აღმოსავლეთით – იამატოს სამეფოსთან, იაპონიაში.

ცაო ცაო ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი პიროვნებაა. ჩინურ კულტურაში მისი სახელი ცბიერებასა და ძალაუფლების მოხვეჭასთან ასოცირდება. ცაო ცაოზე ასეთი წარმოდგენა ძირითადად „სამი სამეფოს რომანის" გავლენით შეიქმნა. ამ ნაწარმოებში ცაო ცაო დახატულია, როგორც უპრინციპო პიროვნება, რომელიც ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ყველაფერზე წავიდოდა, მაგრამ, შეუძლებელია, თვალი დავხუჭოთ მის მიღწევებზე. ცაომ სრული ქაოსიდან გამოიყვანა ქვეყანა და საფუძველი მოამზადა ჩინეთის ახალი გაერთიანებისათვის. სავსებით სამართლიანი იქნება ვთქვათ, რომ ცაო ცაო მესამე საუკუნის მთავარი პიროვნება იყო.

ცაო ცაოს გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ასვლის ორი მთავარი პრეტენდენტი იყო: ცაო ფი და ცაო ჭი. დაპირისპირებაში გამარჯვებული ცაო ფი გამოვიდა. იმავე წელს მან ხანის დინასტიის იმპერატორი სიენ ტი აიძულა გადამდგარიყო და იმპერატორის რეგალიები მისთვის გადაეცა. 220 წელს ცაო ფიმ გამოაცხადა ვეის დინასტიის დაარსება, დედაქალაქი სიუჩანგიდან ლუოიანგში გადაიტანა, თვითონ კი მიიღო ტიტული – ვენ ტი.

ცაო ფი მამამისის პოლიტიკას აგრძელებდა: უფრო გააფართოვა სამხედრო მეურნეობები, გაიყვანა საირიგაციო არხები. მისი მთავარი რეფორმა იყო მოხელეების დანიშვნისა და რანგობრივად დანაწილების შე-

მოღება. მან შემოიტანა მოხელეების ცხრარანგიანი სისტემა. რანგის შესაბამისად ეძლეოდათ თანადებობის პირებს ანაზღაურება. ნებადართული იყო მხოლოდ თანაბარი რანგის ფარგლებში დაქორწინება. რაც შეეხება ახალწვეულების მიღებას, ცაო ფიმ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს უბრძანა, რომ ყოველწლიურად თავიანთი რეგიონიდან გაეწიათ რეკომენდაცია ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც გაიგზავნებოდნენ დედაქალაქში, სადაც მას შესაბამის რანგს მიანიჭებდნენ. დამსახურების მიხედვით შესაძლებელი იყო დაწინაურებაც.

სმას საგვარეულოს გაძლიერება



სურ. 84 სმა ი

226 წელს 40 წლის ასაკში ცაო ფი გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი 22 წლის ვაჟი, მომავალი იმპერატორი მინგ ტი. მიუხედავად იმისა, რომ მინგ ტი ტახტზე ასვლისას სრულწლოვანი იყო, ცაო ფიმ მას მაინც დაუნიშნა 4 რეგენტი. მათ შორის იყო სმა ი, რომელმაც მოვლენათა შემდგომ განვითარებაში ცენტრალური როლი ითამაშა (სურ. 84). სმა ი ჯერ კიდევ ცაო ცაოს დროს იკავებდა მაღალ თანამდებობებს. ის იყო ძალიან გონიერი პიროვნება. თავის დროზე თვით ცაო ცაომაც კი გამოთქვა აზრი, რომ მასთან ფრთხილად უნდა ემოქმედათ. სმა ი მხოლოდ სამოქალაქო სფეროში კი არ იყო დახელოვნებული, არამედ სამხედრო საქმეებშიც. 226 წელს მან მოიგერია აღმოსავლეთ უს შეტევა. 227-234 წლებში შუ ხანის მთავარი ვეზირის, ჭუკე ლიანგის შეტევებიც სწორედ მან უკუაგდო. ამასობაში, მინგ ტის დანარჩენი სამი რეგენტი გარდაიცვალა. ამან კიდევ უფრო გაზარდა სმა ის წონა საიმპერატორო კარზე.

238 წელს მან გაილაშქრა იენის სამეფოს წინააღმდეგ ჩინეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთში, ლიაოტუნგის ნახევარკუნძულზე. ჩრდილოეთ საზღვართან ნახევრად დამოუკიდებელი ერთეულის არსებობა მოსვენებას უკარგავდა მინგ ტის. მან 237 წელს სცადა სამხედრო კამპანიის მოწყობა ლიაოტუნგში, მაგრამ ამინდმა ხელი შეუშალა. 237 წელს



სურ. 85 კოგურიოს მმართველი ტახტზე

იენის სამეფომ აღმოსავლეთ უსთან ალიანსი შექმნა. სწრაფი მოქმედება აუცილებელი იყო. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კოორდინირებულ თავდასხმებს შეიძლებოდა კატასროფული შედეგი მოჰყოლოდა. იენის წინააღმდეგ არმიას სმა ი გაუძღვა. იგი შეუთანხმდა კორეულ სამეფოს, კოგურიოს, ზურგიდან დაერტყა იენისათვის (სურ. 85). გაერთიანებული შეტევით მათ გაანადგურეს იენის სამეფოს არმია და ეს ტერიტორია ცაო ვეის შეუერთდა. აღსანიშნავია, რომ კოგურიოს არ დაუფასდა დახმარება იენის წინააღმდეგ და 244-245 წლებში ვეის არმიამ დაარბია.

სამხედრო გამარჯვებებმა სმა ის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა. მისი სახელი და ძალა იმდენად გაიზარდა, რომ ცაოს ოჯახს საფრთხეს უქმნიდა. 239 წელს გარდაიცვალა იმპერატორი მინგ ტი. გარდაცვალებამდე მან თავისი მემკვიდრის რეგენტებად სმა ი და ცაო შუანგი დანიშნა. ახალი იმპერატორი ტახტზე ასვლისას სულ რაღაც 7 წლის იყო. მალევე აშკარა გახდა დაპირისპირება სმა ისა და ცაო შუანგს შორის. ცაო შუანგს საიმპერატორო საგვარეულო ედგა უკან. ცაო შუანგმა სმა ის საიმპერიო აღმზრდელის საპატიო ტიტული მისცა, რაც რეალურად არანაირ უფლება-მოვალეობას არ გულისხმობდა. ამგვარად, სმა ი ჩამოაშორა პოლიტიკას. სმა იმ კარგად იცოდა, ცაო შუანგის ეს ნაბიჯი რა მიზანს ისახავდა, თუმცა იმ დროისათვის უკან დახევა ამჯობინა და ათი წლით ჩამოშორდა პოლიტიკას.

249 წელს დადგა მომენტი, რომელსაც სმა ი ელოდა. ამჯერად მას უკვე შექმნილი ჰქონდა საფუძველი ცაოს გვართან დაპირისპირებისათვის. მან ისარგებლა იმპერატორისა და ცაო შუანგის ქალაქიდან გასვლით და დედაქალაქზე კონტროლი აიღო. ცაო შუანგი იძულებული იყო დანებებულიყო სმა ის. მას თავი მოჰკვეთეს. ამ გადატრიალების შემდეგ ძალაუფლება რეალურად სმას საგვარეულოს ხელში გადავიდა. ვეის იმპერატორი ისეთივე მარიონეტი გახდა, როგორიც თავის დროზე ხანის იმპერატორი – ცაო ცაოს ხელში. სმა ის საქმე მისმა შვილებმა, სმა შიმ და სმა ჭაომ გააგრძელეს. მათ ჩაახშეს 251, 255 და 257 წლების აჯანყებები, რომლებიც სარდლებისა და გუბერნატორების მიერ იყო ორგანიზე-

ბული, და გაიმყარეს კონტროლი იმპერიაზე. 254 წელს იმპერატორმა ცაო ფანგმა სცადა გადატრიალება მოეწყო სმა შის წინააღმდეგ, მაგრამ ამხილეს და ტახტიდან გადააყენეს.

სმას საგვარეულომ თავი მოუყარა დიდი რაოდენობით ნაყოფიერ მინას. სწორედ ეს ეკონომიკური ბაზისი განაპირობებდა მათ დომინანტობას. მხოლოდ ეკონომიკური უპირატესობით დინასტიას რომ ვერ შექმნიდნენ, ეს კარგად იცოდნენ. აუცილებელი იყო სამხედრო მიღწევები, რომ ხალხის თვალში გაემართლებინათ თავიანთი მმართველობა. პირველი სამიზნე გახდა შუ ხანის სამეფო. 263 წელს ცაო ვეის ორმა სარდალმა სხვადასხვა მხრიდან შეუტიეს შუ ხანს. შუს დედაქალაქი ჩენგტუ ცაო ვეის არმიას დანებდა და ამგვარად დასრულდა შუ ხანის ისტორიაც.

265 წელს სმა ჭაო გარდაიცვალა. სმას საგვარეულოს მეთაური გახდა ჭაოს უფროსი ვაჟი, სმა იენი. იენი უფრო ამბიციური იყო, ვიდრე – მამამისი. მან ცაოს გვარის უკანასკნელი იმპერატორი, იუენ ტი აიძულა, საიმპერატორო რეგალიები დაეთმო. ამგვარად, სმა იენმა[1] მაღლევე ძინის დინასტიის დაარსება გამოაცხადა.

ჩინეთის გასაერთიანებლად დარჩენილი იყო აღმოსავლეთ უს დაპყრობა, რომელიც დაცული იყო მდინარე იანგწის განიერი დინებით და სამხრეთის ტროპიკული კლიმატით, რომელსაც ჩრდილოელები არ იყვნენ შეჩვეულნი და ხშირად ავადდებოდნენ. უს ძლიერი ფლოტი ჰყავდა და შუ ხანის დაცემის შემდეგ კიდევ 16 წელი გაუძლო ძინის შეტევებს. 280 წელს სმა იენმა გენერალური კამპანია მოაწყო აღმოსავლეთ უს წინააღმდეგ. სულ ხუთი მიმართულებით განხორციელდა შეტევა აღმოსავლეთ უზე. მთავარი დამრტყმელი ძალა იყო ყოფილი შუ ხანის ტერიტორიიდან წამოსული ფლოტი. ისინი იანგწის დინებას დაუყვნენ და მოულოდნელი შეტევით აღმოსავლეთ უს ფლოტი დაამარცხეს. ფლოტის მარცხის შემდეგ აღმოსავლეთ უს სხვა ქმედითი ბერკეტი თავდაცვისთვის აღარ ჰქონდა და მალე დაეცა.

[1] სმა იენის გარდაცვალების შემდგომი სახელია – უ ტი

შუ (შუ ხანი)

შუ ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთით, თანამედროვე სჩუანის, კანსუს სამხრეთ, იუნნანისა და კუანსის ტერიტორიების ნაწილებს იკავებდა. ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა ცაო ვეი, აღმოსავლეთით – უ, სამხრეთით – არაჩინური ტომები, დასავლეთით კი – ტიბეტი. სამი სამეფოდან მისი ტერიტორია და მოსახლეობა ყველაზე მცირე იყო. აქ 940 ათასი პირი აღირიცხებოდა. შუ ხანის ტერიტორიას ძირითადად მთაგორიანი რელიეფი ჰქონდა, მაგრამ მარცვლეული კულტურის მოყვანის განვითარებული ტექნოლოგიით გამოირჩეოდა. გარდა ამისა, მას არ შეხებია „ყვითელთავსაბურიანთა“ აჯანყების ნგრევა. შესაბამისად, როცა შუ ხანის სამეფო დაარსდა, ქვეყნის მდგომარეობა საკმაოდ სტაბილური იყო. მიუხედავად იმისა, რომ არც შუ ხანს და არც აღმოსავლეთ უს არ შეხებია აჯანყებები და ომები, ამ ტერიტორიაზე სამეფოს დაარსებას თავისი მინუსი ჰქონდა: მიუხედავად ტერიტორიის სიდიდისა, მოსახლეობა მცირე იყო.

შუს სამეფოს დამაარსებელი იყო ლიოუ პეი, რომელიც მრავალ ასპექტში ცაო ცაოს სრულ ანტიპოდს წარმოადგენდა (სურ. 86). ცაოს წინაპრები დაბალი სოციალური კლასის წარმომადგენლები იყვნენ, თუმცა ცაოს მამა მაღალი თანამდებობის პირმა იშვილა და ამით ცაო ცაოს სოციალური სტატუსიც ამაღლდა. ლიოუ პეის ჰქონდა ხანის საიმპერატორო გვარი – ლიოუ და შესანიშნავი გენეალოგია. მის დაბადებამდე, რამდენიმე თაობით ადრე ოჯახი გაკოტრდა და ლიოუ პეის ქუდების ქსოვით გაჰქონდა თავი. „ყვითელთავსაბურიანთა“ აჯანყების დროს მან შემოიკრიბა ერთგული მეომრებისა და მოხელეების ჯგუფი. მათ შორის გამოსარჩევია ლიოუ პეის ძმადნაფიცები: ჭანგ ფეი და კუან იუ. დიდი ხნის განმავლობაში თავის ჯგუფთან ერთად ხან ერთ სარდალს ეკედლებოდა, ხან – მეორეს. საბოლოოდ სამხრეთ ჩინეთში, ძინგის პროვინციაში[1] დამკვიდრდა. ჩიპისთან გამარჯვების შემდეგ ძინგის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ 4 მუნიციპალიტეტი დაიკავა და თავის ბაზად აქცია.



სურ. 86 ლიოუ პეი

[1] თანამედროვე ხუნანისა და ხუპეის პროვინციები.

ლიოუ პეის გაძლიერებასა და შუ ხანის სამეფოს ჩამოყალიბებაში განუზომელია ჭუკე ლიანგის (181-234 წწ.) წვლილი. მისი სახელი ჩინეთში გონიერებისა და გამჭრიახობის სინონიმად იქცა. იგი იყო შესანიშნავი პოლიტიკოსი, სტრატეგი, გამომგონებელი. მისი დახმარებით 214 წელს ლიოუ პეიმ პროვინცია ი[1] შემოიერთა. მომდევნო წელს ყოფილ მოკავშირეს, სუნ ციუენს დაუპირისპირდა და ძინგის პროვინცია შუაზე გაიყვეს. 219 წელს ცაო ვეის წაართვეს ხანჭუნგი[2] და ლიოუ პეიმ თავი ხანჭუნგის ვანგად გამოაცხადა.

ლიოუ პეი ცაო ცაოს ლეგიტიმურ მმართველობას ედავებოდა. რადგან საიმპერატორო გვარის ნევრი იყო, ლიოუ პეი თავს ხანის დინასტიის დამცველად აცხადებდა და ამ საბაბით ცაოს წინააღმდეგ ომებს აწარმოებდა. როდესაც ცაო ფიმ ხანის უკანასკნელი იმპერატორი გადააყენა, ლიოუ პეიმ ჩათვალა, რომ მას უნდა გაეგრძელებინა ხანის საიმპერატორო ხაზი და 221 წელს ჩენგტუში ხანის იმპერატორად ეკურთხა.

ლიოუ პეი ეყრდნობოდა ძველ არისტოკრატიას. მოსახლეობის სიმცირის პირობებში მას არ შეეძლო იმ რაოდენობის სამხედრო დასახლებების შექმნა, რომ არმიის შევსების ძირითად წყაროდ ექცია ისინი. იმავე პრობლემას წააწყდა სუნ ციუენი სამხრეთში. ეს იყო ცაო ვეის უპირატესობის ერთ-ეთი განმაპირობებელი ფაქტორი.

იმპერატორად კურთხევის შემდეგ ლიოუ პეის პირველი სამიზნე არა ცაო ვეი, არამედ აღმოსავლეთ უ იყო. საქმე ისაა, რომ 219 წელს, როცა ლიოუ ვანგად ეკურთხა, ძინგის პროვინციის მმართველი და ლიოუ პეის ძმადნაფიცი კუან იუ ცაო ცაოს პოზიციებს უტევდა. ამით ისარგებლა სუნ ციუენმა, კუან იუს ზურგიდან დაარტყა და მთელი ძინგის პროვინცია აიღო, კუან იუ[3] კი სიკვდილით დასაჯა.

222 წელს ლიოუ პეიმ დიდი არმია დაძრა აღმოსავლეთ უს წინააღმდეგ, იმპერიის საქმეები კი ჭუკე ლიანგს ჩააბარა, რომლის ბრძოლის ველზე არყოფნამ დიდად განაპირობა სამხედრო კამპანიის მარცხი. უს

---

1 თანამედროვე სჩუანის პროვინცია.

2 ხანჭუნგი სტრატეგიული პუნქტი იყო. მდებარეობდა თანამედროვე შაანსის პროვინციის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ესაზღვრებოდა სჩუანისა და კანსუს პროვინციებს. ხანჭუნგი დაცული იყო მაღალმთიანი კანიონებით. ამ რეგიონიდან თავისუფლად შეიძლებოდა ხუანგხეს დაბლობში გადასვლა.

3 კუან იუს პერსონაჟი იმდენად პოპულარულია ჩინურ კულტურაში, რომ ის ომის ღმერთი გახდა ტაოისტურ პანთეონში. 2016 წელს ააგეს კუან იუს 58-მეტრიანი ქანდაკება ძინგჭოუში.

ძალების მთავარსარდალმა, მიუხედავად შუს ჯარების რიცხობრივი უპირატესობისა, მოწინააღმდეგის ბანაკს ცეცხლი წაუკიდა, როცა ქარმა ხელსაყრელი მიმართულებით დაუბერა, შემდეგ კი თვითონ წამოიწყო შეტევა. ლიოუ პეი უს ტერიტორიიდან არმიის ნარჩენებთან ერთად დაბრუნდა. მარცხით გამოწვეული სტრესის გამო ლიოუ პეი 223 წელს გარდაიცვალა და ტახტზე მისი შვილი, ლიოუ შანი ავიდა.

ჭუკე ლიანგი შუ ხანის სათავეში



სურ. 87 ჭუკე ლიანგი

ლიოუ შანი, მსუბუქად რომ ვთქვათ, ჭკუასუსტი იყო. მას არ ჰქონდა მამამისის ამბიციები, გამძლეობა და პოლიტიკის ნიჭი. მისი მმართველობის 40 წლის განმავლობაში იგი მთლიანად გარემოცვაზე იყო დამოკიდებული. პირველ ხანებში მისი რეგენტი იყო ჭუკე ლიანგი (სურ. 87). ამის გამო იმპერიის შიგნით სიტუაცია ასე თუ ისე სტაბილური რჩებოდა.

აღმოსავლეთ უსთან დამარცხების შემდეგ შუ ხანის სამხრეთში უცხო ტომებმა და შუ ხანის ზოგიერთმა მოხელემ აჯანყება დაიწყეს. შექმნილ სიტუაციაში აღმოსავლეთ უსთან კონფლიქტის გაგრძელება კატასტროფის მომტანი იქნებოდა. შუ ხანის შიგნით აჯანყებას რომ თავი დავანებოთ, ცაო ვეი ისარგებლებდა ორი სამხრეთული სამეფოს ომით. ამიტომ ჭუკე ლიანგმა ელჩი გაგზავნა სუნ ციუენის კარზე და უსთან კვლავ მეგობრული ურთიერთობა აღადგინა, თვითონ კი სამხრეთში წავიდა აჯანყების ჩასახშობად.

223-225 წლებში ჭუკე ლიანგი ამბოხებულებთან ბრძოლით იყო დაკავებული. შუ ხანის სამხრეთ ნაწილი[1] ძირითადად უცხო ტომებით იყო დასახლებული. ამიტომ მათთან ურთიერთობების მოსაწესრიგებლად მხოლოდ სამხედრო ძალაზე დაყრდნობა საკმარისი არ იყო. მან შვიდჯერ შეიპყრო აჯანყებულების ლიდერი, მენგ ხუო და შვიდჯერვე გაათავისუფლა იგი. საბოლოოდ მენგ ხუომ ჭუკე ლიანგს შუს ერთგულება შეჰ-

[1] თანამედროვე იუნნანისა და კუანგსის ნაწილი.

ფიცა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ჭუკე ლიანგმა ადგილობრივ ტომებს ჩააბარა სამხრეთ მიწების ადმინისტრაცია, რითაც მათი გული მოიგო. ამგვარად, მან არა მხოლოდ აჯანყების საფრთხე მოსპო, არამედ ადამიანური და მატერიალური რესურსის ახალი ბაზა შექმნა.

დედაქალაქში დაბრუნების შემდეგ ჭუკე ლიანგმა დაიწყო მზადება ცაო ვეიზე სალაშქროდ. 227 წელს მოეწყო მისი პირველი სამხედრო კამპანია ცაო ვეის წინააღმდეგ. 234 წლამდე სულ 5 ასეთი კამპანია ჩაატარა და ყველა მარცხით დასრულდა. ყოველ ჯერზე იგი ხანჭუნგიდან შედიოდა ცაო ვეის ტერიტორიაზე, მაგრამ რესურსის ნაკლებობისა თუ სარდლების დაუმორჩილებლობის ან უუნარობის გამო უკან დახევა უწევდა. 234 წელს მეხუთე კამპანიისას მუდმივი მუშაობით გადაღლილი ჭუკე ლიანგი თავის ბანაკში გარდაიცვალა.

ისტორიკოსები ხშირად სვამენ კითხვას, თუ რატომ შეუტია ჭუკე ლიანგმა ცაო ვეის, როცა ამ დროს სამი იმპერიიდან შუ ყველაზე პატარა და სუსტი იყო, ცაო ვეი კი ყველაზე ძლიერი. მის გადაწყვეტილებას პრაგმატული მიზეზები ჰქონდა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ჭუკე ლიანგს მოქმედების ახალი გეგმა უნდა დაეწყო. აღმოსავლეთ უსთან ახალი კონფლიქტი დაუშვებელი იყო, რადგან ამ პროცესში ცაო ვეის შეეძლო რომელიმე მათგანისათვის შეეტია. უმოქმედოდ გაჩერებაც არ იყო კარგის მომტანი. შუს ტერიტორია მთაგორიანი იყო. მოსახლეობითა და ფართობით სამი იმპერიიდან შუ ყველაზე პატარა იყო. საჭირო იყო გაფართოება. სამხრეთით დაუპყრობელი მიწები დედაქალაქიდან შორს მდებარეობდა და მათი კონტროლი რთული იქნებოდა. დასავლეთით შუს ტიბეტის ზეგანი ესაზღვრებოდა. ამ მიმართულებით გაფართოება არ იქნებოდა შედეგიანი. დარჩა ერთადერთი ვარიანტი, გალაშქრება ჩრდილო-დასავლეთით, ცაო ვეის წინააღმდეგ. ამ მოქმედებას იმით გაამართლებდა, რომ ცაო ვეიმ ხანის იმპერატორი ძალით გადააყენა. ჭუკე ლიანგი მოქმედებდა პრინციპით: „ან ახლა, ან არასოდეს". წარმატების მისაღწევად მხოლოდ მისი შრომა საკმარისი არ აღმოჩნდა. თანაც ვეის მხარეს არანაკლები გენიოსი, სმა ი იბრძოდა.

ჭუკე ლიანგის გარდაცვალების შემდეგ, შუს მთავარსარდალი ძიანგ ვეი გახდა (202-264 წწ.). იგი შეეცადა გაეგრძელებინა ჭუკე ლიანგის კამპანიები, მაგრამ – წარუმატებლად. შუს საიმპერატორო კარზე საჭურისებმა მოიკიდეს ფეხი; სახელმწიფოს ადმინისტრაციაში კორუფცია სუფევდა. სამხედრო და სამოქალაქო სისტემების გაუარესებისა და სუს-

ტი იმპერატორის მმართველობის პირობებში ცაო ვეის არმიამ ადვილად აიღო შუს დედაქალაქი. 263 წელს შუ დაეცა, იმპერატორი ლიოუ შანი კი ლუოიანგში გადაასახლეს და კუნგის წოდება მიანიჭეს. როცა ჭკუასუსტობა და ჭკუამხიარულება შეატყო, სმა ჭაო მიხვდა ლიოუ შანი მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა და ცოცხალი დატოვა.

უ (აღმოსავლეთი უ)

აღმოსავლეთი უ მოიცავდა ტერიტორიას იანგწის დინების შუა და ქვემო წელზე. ჩრდილოეთით იანგწისა და მდინარე ხუაიხეზე ვეისთან გადიოდა საზღვარი, დასავლეთით შუს ემიჯნებოდა, სამხრეთით ვიეტნამი და სამხრეთ ჩინეთის ზღვა მდებარეობდა, აღმოსავლეთით კი აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვა ეკვროდა. ჯერ კიდევ ჩუნციოუსა და ჭანკუოს პერიოდების დროს ამ ტერიტორიაზე უს და იუეს სამეფოები არსებობდა. ხანის დინასტიის პერიოდში იანგწის სამხრეთ მიწების ათვისება უფრო გაძლიერდა. თუმცა მესამე საუკუნეშიც იანგწის სამხრეთი ჩრდილოეთთან შედარებით გაცილებით ნაკლებ განვითარებული იყო. უს იმპერიის დაარსებამ რამდენადმე შეცვალა სიტუაცია. უს მოსახლეობა 2.3 მილიონი ადამიანისაგან შედგებოდა.



სურ. 88 სუნ ციუენი

უს ტერიტორიაზე პოლიტიკური გაერთიანება ჯერ კიდევ სუნ ციუენის უფროსმა ძმამ ჩამოაყალიბა, თუმცა იგი ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა და სამეფოს შენება მისმა უმცროსმა ძმამ, სუნ ციუენმა გააგრძელა. სუნ ციუენი შორსმხედველი და მიზანდასახული პიროვნება გამოდგა. მან მოიგერია ჩრდილოეთიდან მომავალი საფრთხე, გამოაცხადა უს იმპერიის დაარსება და სახელმწიფო მნიშვნელოვნად გააძლიერა (სურ. 88).

საქმე ისაა, რომ სუნ ციუენს იმპერატორობის გაცილებით ნაკლები ლეგიტიმაცია ჰქონდა, ვიდრე ცაო ფის და ლიოუ პეისას. ცაო ფის თვით ხანის დინასტიის უკანასკნელმა იმპერატორმა გადასცა საიმპერატორო რეგალიები, რაც ცის მანდატის მასზე გადასვლას ნიშნავდა. ლიოუ პეი

ხანის დინასტიის საიმპერატორო გვარის წევრი იყო და ხანის იმპერატორების ხაზის გამგრძელებლად წარმოაჩენდა თავს. სუნ ციუენს კი არ ჰქონდა ასეთი საფუძველი, რომ ხალხის თვალში ლეგიტიმურად წარმოესახა თავისი გაიმპერატორება. თუ ამას ცაო ფის და ლიოუ პეისთან ერთად გააკეთებდა, გამოჩნდებოდა თითქოს იგი უბრალოდ მათ ეჯიბრებოდა და მეტი არაფერი. სუნ ციუენმა იცოდა ეს. ამიტომ ჯერ ცაო ვეის ვასალობაზე თქვა უარი და საბოლოოდ გამოაცხადა თავი იმპერატორად.

219 წელს სუნ ციუენმა მოულოდნელი შეტევით დაამარცხა კუან იუ და ძინგის პროვინცია დაისაკუთრა. ამის შემდეგ მთელი ყურადღება ჩრდილოეთით ვეისაგან თავდაცვასა და სამხრეთით გაფართოებას დაუთმო. ვეის წინააღმდეგ უს ძირითადი იარაღი იყო ფლოტი. ვეის ძალიან კარგი არმია, განსაკუთრებით ძლიერი კავალერია ჰყავდა, თუმცა წყალზე ბრძოლისას, ვეის არმია კარგავდა თავის უპირატესობას. გარდა ამისა, ჩრდილოელი მეომრები სამხრეთის ჭაობიან, ხშირტყიან და ნესტიან მიწებს შეუჩვეველნი იყვნენ. ამ მიზეზების გამო საზღვარი უსა და ვეის შორის 220-280 წლებში თითქმის არ შეცვლილა.

აღმოსავლეთ უს სამხრეთული ექსპანსია

მე-3 საუკუნის პირველ ხანებში აღმოსავლეთ უს ცენტრი იანგწის სამხრეთ დინების მოსაზღვრე მიწები იყო, უფრო კონკრეტულად კი ტერიტორია იანგწისა და თაიხუს ტბას[1] შორის. დამუშავებული მიწისა და ადამიანური რესურსის გაზრდისთვის საჭირო იყო იმპერიის გაფართოება. ამისათვის ყველაზე კარგი მიმართულება სამხრეთი იყო: არაჩინური ტომებით დასახლებული ვრცელი მიწები, რომლის უმეტესი ნაწილი მცირედ ან საერთოდ დაუმუშავებელი იყო. თანამედროვე ჭეძიანგის, ფუძიენის, ძიანგსუს პროვინციებში მცხოვრები შანიუეს ტომები სუნ ციუენს დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ისინი მთიან და ხშირტყიან ადგილებში ცხოვრობდნენ, ამიტომ მათთან ბრძოლა რთული იყო. მაგრამ უს სარდლების წარმატებული კამპანიების შედეგად ასი ათასობით შა-

[1] ძიანგსუსა და ჭეძიანგის პროვინციების საზღვარზე.

ნიუეს ტომის წევრი დაასახლეს დაბლობზე, მისცეს მიწები და ასწავლეს მიწის დამუშავება.

გარდა მეურნეობისა, ახლადდაპყრობილი ტომების მნიშნელოვან ნაწილს სამხედრო თუნთიენში ანაწილებდნენ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ქმნიდნენ ასეთ დასახლებებს საზღვრებზე, რომ მტრის შემოტევის შემთხვევაში მეომრები მობილიზებულნი ყოფილიყვნენ.

სუნ ციუენის სამხრეთული კამპანიები საკმაოდ შორს, კუნძულ ხაინანიდან და ძიაოს პროვინციამდე[1] გავრცელდა. ხაინანი და ვიეტნამის ჩრდილოეთ ნაწილი ჯერ კიდევ დასავლეთ ხანის დროს შევიდა იმპერიის შემადგენლობაში, თუმცა სიშორის გამო ისინი მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდნენ იმპერიას. რამდენადაც უს ცენტრიც სამხრეთში მდებარეობდა, ამ მიწებზე კონტროლი უფრო ძლიერი იყო. სუნ ციუენის თვალსაწიერი მხოლოდ სამხრეთით არ შემოიფარგლებოდა. 230 წელს მან ფლოტი გაგზავნა ნახევრადლეგენდარული ის პროვინციისკენ[2]. ფლოტმა მიაღწია თაივანს და დაახლოებით 10 ათასამდე ადგილობრივი გადმოასახლეს უს მიწებზე. სუნ ციუენი ბოლომდე იყენებდა თავის უპირატესობას წყალზე: ჰქონდა კავშირები იამატოს სამეფოსთან იაპონიაში, ჩინეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლიაოტუნგის პროვინციაში გზავნიდა ხოლმე ფლოტს ცხენებისა და ხალხის წამოსაყვანად.

აღმოსავლეთ უს ტერიტორია შორს იყო ხუანგხეს აუზისაგან, სადაც ათწლეულების განმავლობაში ომები მძვინვარებდა. ხანის დინასტიის ბოლო წლებში წარმოებული ომებისაგან არ დაზიანებულა, მაგრამ ჰქონდა მნიშვნელოვანი მინუსი: რამდენადაც წინა საუკუნეებში პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ცენტრი ხუანგხეს აუზი იყო, იანგწის აუზში მოსახლეობა მცირე იყო, ეკონომიკა, მეურნეობა, ხელოსნობა კი ჩრდილოეთთან შედარებით განუვითარებელი. ჩრდილოეთში ომების პერიოდში მრავალი გლეხი გადმოსახლდა სამხრეთში თავშესაფარის საძიებლად. მათ თან წამოიღეს სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის ტექნიკა, განვითარდა ირიგაცია, გაიყვანეს ახალი არხები.

[1] ვიეტნამის ჩრდილოეთი ნაწილი.
[2] თანამედროვე თაივანი.

სანაოსნო ვაჭრობა უში

ხუანგხეს აუზში პოლიტიკური არეულობა არა მხოლოდ მოსახლეობის შემცირებასა და დაფანტვაზე, არამედ საერთაშორისო სავაჭრო გზების ცვლაზეც აისახა. თუ მანამდე ძირითადი გზები ცენტრალური აზიიდან სინძიანგის გავლით შედიოდა ჩრდილოეთ ჩინეთში, ახლა განვითარდა საზღვაო გზა, რადგან ამგვარი ვაჭრობა უფრო უსაფრთხო გახდა. სუნ ციუენის აღმოსავლეთ უ კი საზღვაო აბრეშუმის გზის საწყისი წერტილი გახდა. უს დედაქალაქი, ძიენიე და კუანგჭოუს ახლოს არსებული პორტები საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრებად იქცნენ. ისტორიული წყაროების მიხედვით, 226 წელს კუანგჭოუში რომის იმპერატორის წარმომადგენლები შევიდნენ. აქედან ისინი დედაქალაქში გაგზავნეს იმპერატორთან შესახვედრად.

სანაოსნო ვაჭრობა არა მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით განვითარდა უში, არამედ ქვეყნის შიგნით მთავარი ტრანსპორტირების საშუალებად გემები და ნავები იქცა. ამას ხელს უწყობდა იანგწის სამხრეთ ნაწილის ნესტიანი და მდინარეებით სავსე მიწები. შესაბამისად, ფლოტი არა მხოლოდ სამხედრო, არამედ ეკონომიკური საჭიროებაც იყო. ისტორიული ჩანაწერებით დგინდება, რომ უს ფლოტში დიდი ზომის გემები სიგრძეში 33-35 მეტრს აღწევდა, სიმაღლე წყალს ზემოთ 7-10 მეტრი, იტევდა 600-700 მგზავრს. საერთაშორისო სავაჭრო გემები 4 – და 7 – აფრიანები იყო.

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, სუნ ციუენის ძირითადი დასაყრდენი ძალა მაინც იანგწის ქვემო დინების მდიდარი არისტოკრატია იყო. ისინი ამარაგებდნენ მას ძირითადი სამხედრო ძალით, სამაგიეროდ, საკუთარ მიწებზე საკმაოდ დიდი თავისუფლებით სარგებლობდნენ. დიდ მიწათმფლობელებს საკუთარი არმიაც კი ჰყავდათ. ისინი იკავებდნენ მაღალ თანამდებობებს ადმინისტრაციაში და დროთა განმავლობაში ზოგიერთი თანამდებობა მემკვიდრეობითიც კი გახდა. 221 წელს სუნ ციუენმა სცადა მათგან დამოუკიდებლობა მოეპოვებინა და იანგწის შუა წელზე – უჩანგში[1] გადაიტანა დედაქალაქი, თუმცა არისტორკატიის დაჟინებული მოთხოვნით, 229 წელს კვლავ ძიენიეში დაბრუნება მოუწია.

[1] ხუპეის პროვინცია.

ასეთი ძლიერი ჯგუფების არსებობა სუნ ციუენის, როგორც კომპეტენტური იმპერატორის ტახტზე ყოფნის დროს სხვადასხვა საშუალებით ბალანსირდებოდა. მისი გარდაცვალებისთანავე დაიწყო დაპირისპირება ტახტის მემკვიდრეებს შორის. მათ უკან კი სწორედ ძლიერი მინათმფლობელები იდგნენ, რომელთაც თავისი კანდიდანტის გაიმპერატორების შემთხვევაში პრივილეგიები ელოდათ. ასეთ სიტუაციაში უს სამეფო დასუსტდა და საბოლოოდ, 280 წელს, ძინის არმიის მსხვერპლი გახდა.

სამი სამეფოს კულტურა და მეცნიერება

მიუხედავად არსებობის მცირე პერიოდისა, სამი სამეფოს ეპოქამ ღრმა კვალი დატოვა ჩინეთის კულტურასა და მეცნიერებაში. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია რელიგია და ფილოსოფია. ხანის დინასტიაში კონფუციზმი იყო სახელმწიფო დოქტრინა. არსებობდა ცენზორის თანამდებობა, რომელსაც უნდა შეემოწმებინა, რამდენად იცავდა ხალხი კონფუცის დოგმებს. ხანის დინასტიის დაღმასვლასთან ერთად ხალხის დამოკიდებულება კონფუციზმისადმი შეიცვალა. კონფუციზმმა ვერ შეასრულა თავისი მისია და სახელმწიფოს სტაბილურობა ვერ უზრუნველყო. ამიტომ დაიწყო ახალი იდეების, ახალი წარმოდგენების განვითარება. ყველაზე გავლენიანი იყო ე.წ. „ბნელი მოძღვრება“[1] ანუ ნეოტაოიზმი. ტაოიზმი, მართალია, ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-6-5 საუკუნეებში ჩაისახა, თუმცა ხანის დინასტიის დროს კონფუციზმის ჩრდილის ქვეშ მოექცა. ნეოტაოიზმის მიზანი იყო ტაოიზმის მეტაფიზიკისა და კონფუციზმის ეთიკის ჰარმონიული შეჯერება ლაო წის „ტაო ტე ძინგისა“ და კონფუციური წიგნის, „იძინგის“ საფუძველზე.

ტაოისტების ნაწილი კიდევ უფრო შორს მიდიოდა და კონფუციზმს საერთოდ უარყოფდა. ვეის სამეფოში არსებობდა ე.წ. „ბამბუკის ტყის 7 ბრძენის“ დაჯგუფება. ეს იყო შვიდი განათლებული პიროვნება, მათ შორის ზოგი პოეტი, ზოგი მაღალი თანამდებობის პირი. მათი საყვარელი საქმიანობა იყო ტყეში ღვინის სმა და საუბრები. ეს ჯგუფი მთლიანად უარყოფდა კონფუცის მოძღვრებას. მათთვის იდეალური მმართველობა იყო „მართვა მოქმედების გარეშე“ (无为而治), რომელიც ეწინააღმდეგე-

[1] 玄学 სიუენსიუე – პირველი იეროგლიფი ნიშნავს ბნელს და ღრმას, ამიტომ ზოგჯერ ამ ტერმინს თარგმნიან, როგორც „ღრმა სწავლება“ ან „ბნელი სწავლება“.

ბოდა სმას კლანის მიზნებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთ მთავარ წევრს, ძი ქანგს, სმა ჭაოს ბრძანებით, თავი მოჰკვეთეს. ზოგიერთი რადიკალი ტაოისტი „უმეფობის თეორიასაც“ კი ქადაგებდა. ზოგადად, ტაოიზმი კონფუციზმზე თავისუფალი რელიგიაა და მიმდევრებს ნაკლებად ზღუდავს. თუ მმართველის ხელისუფლება კონფუციზმში აბსოლუტურია, ტაოიზმში ყველა თავისუფალია და ცის მანდატი მნიშვნელოვანი არ არის. ამიტომ ავჯანყებული გლეხები ხშირ შემთხვევაში ტაოიზმის მიმდევრები იყვნენ.



სურ. 89 ბუდისტური ღვთაების გამოსახულება ბარელიეფზე (VI ს.)

კონფუციზმის დასუსტებასთან ერთად თანდათან ფეხი მოიკიდა ბუდიზმმა (სურ. 89). პირველი ბუდისტური ტაძარი ლუოიანგში ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში აიგო, თუმცა კონფუციზმის მარწუხების ქვეშ ვერ ვითარდებოდა. ხანის დინასტიის დაცემამ შესანიშნავი შესაძლებლობა მისცა ბუდას მოძღვრებას საზოგადოების ფართო ფენებში გავრცელებულიყო. ბუდიზმის თავდაპირველ წინსვლას კავშირი ჰქონდა ტაოიზმთან. საქმე ისაა, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ბუდისტური ტრაქტატების ჩინურად თარგმნის განვითარებული სკოლა. ჩინელი ბუდისტები კარგად ვერ ერკვეოდნენ ორიგინალურ ბუდისტურ ტრაქტატებში ენობრივი ბარიერის გამო და ამიტომ ზოგიერთი გაუგებარი მეტაფიზიკური ტერმინი გააიგივეს ტაოიზმის ტერმინებთან. შესაბამისად, ზოგი ბუდიზმსა და ტაოიზმს ერთ რელიგიად აღიქვამდა. ტაოიზმმა ფაქტობრივად რეკლამა გაუკეთა ბუდიზმს.

მეცნიერებისა და ხელოვნების მხრივ ვეი გაცილებით განვითარებული იყო, ვიდრე უ და შუ. სამი სამეფოს ეპოქის ყველაზე ცნობილი მეცნიერი იყო ვეის მცხოვრები მა ძიუნი (220-265 წწ.). მან გამოიგონა ე.წ. „სამხრეთის მაჩვენებელი ეტლი“. ეს არის არამაგნიტური მექანიზმი, რომლის მოძრაობის მიმართულების მიუხედავად, მის თავზე დამაგრებული ისარი მაინც სამხრეთს უყურებდა.

ამავე პერიოდში მოღვაწეობდა ჩინური მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ექიმი, ვანგ შუხე (202-280 წწ.). მან დაწერა ტრაქტატი

პულსზე, რომელიც 100 ათასი იეროგლიფისაგან შედგებოდა. ხუანგფუ მიმ (215-282 წწ.) შეადგინა პირველი ნაშრომი აკუპუნქტურაზე. ლიოუ ხუეიმ (225-295 წწ.) დაწერა კომენტარები ხანის დინასტიის დროს შედგენილ „მათემატიკის ხელოვნების ცხრა თავზე".

ლიტერატურისა და კალიგრაფიის მხრივაც ვეი სხვა სამეფოებზე წინ იდგა. საინტერესოა, რომ სამი სამეფოს საუკეთესო პოეტებისა და კალიგრაფების რიგებში იდგნენ ცაო ცაო, ცაო ფი და ცაო ჭი, რომელიც ამ ეპოქის საუკეთესო მწერლად ითვლებოდა.



ძინის დინასტია

დასავლეთი ძინი

ძინის დინასტია დააარსა ვეის სამეფოში დაწინაურებულმა სმას საგვარეულომ. ხანის დაცემიდან ვიდრე სამი სამეფოს დასრულებამდე ჩინეთის ტერიტორია მუდმივ ომებში იყო გახვეული. ძინის დინასტიამ მოახერხა ჩინეთის კვლავ გაერთიანება და რიგი ნაბიჯები გადადგა მომავალი სამხედრო დაპირისპირებებისა და იმპერიის დაშლის თავიდან ასაცილებლად. ეს ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა და დინასტიის დაარსებიდან მალევე იმპერია სრულ ქაოსში აღმოჩნდა. ომი ძალაუფლებისათვის, თავისუფლებისა და გადასახადების შემცირებისათვის კატასტროფული შიმშილობების ფონზე მძვინვარებდა. შიდა და გარე მტრების მიერ დასუსტებულმა იმპერიამ ვერ შეძლო ერთიანობის შენარჩუნება. 311 წელს მომთაბარეებმა ჩინეთის „რომი", ლუოიანგი აიღეს, ხუთი წლის შემდეგ კი მეორე დედაქალაქი, ჩანგანი. ამგვარად დასრულდა ძინის დინასტიის საიმპერატორო ოჯახის პირდაპირი ხაზი. სმას საგვარეულოს ერთმა წევრმა მოახერხა ძალთა გადაჯგუფება ნანძინგში და აქ თავი ძინის იმპერატორად გამოაცხადა, მაგრამ მას უკვე ხელი აღარ მიუწვდებოდა ჩრდილოეთ ჩინეთზე. ჩანგანის დაცემით დაიწყო ცინ შიხუანგტის მიერ ჩინეთის გაერთიანებიდან მოყოლებული დღემდე ჩინეთის დაშლილობის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც მხოლოდ მე-6 საუკუნის ბოლოს დასრულდა სუეის დინასტიის მიერ ჩინეთის კვლავ გაერთიანებით. იმისათვის, რომ ჩანგანის აღებამდე და აღების შემდეგ პერიოდები ერთმანეთისაგან განასხვავონ, ისტორიკოსები ძინის დინასტიას ორ ნაწილად – დასავლეთ და აღმოსავლეთ ძინად ჰყოფენ.

სმა იენის მმართველობა

სმა იენი ჩინეთის ისტორიის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა (სურ. 90). მან დაასრულა ხანის დინასტიიდან ჩინეთის დაშლილობის ეპოქა, თუმცა ამავდროულად თავისი ქმედებებით მომავალი კრიზისის საფუძვე-



სურ. 90 სმა იენი

ლი შექმნა. 264 წლიდან იგი სმას საგვარეულოს მეთაურობდა[1]. 265 წელს ცაო ვეის უკანასკნელი იმპერატორი აიძულა ტახტიდან გადამდგარიყო, მომდევნო წელს კი ჟინის დინასტიის დაარსება გამოაცხადა და 265 წელს მისი პირველი იმპერატორი გახდა[2]. სმა იენს იმის დასამტკიცებლად, რომ ცის მანდატი მართლაც მის ხელში იყო, სჭირდებოდა რაიმე დიდი მიღწევა, დამსახურება, რაც ხალხის თვალში მის ავტორიტეტს ასწევდა. ასეთი ტრიუმფის მიღწევის საშუალება იყო აღმოსავლეთი უს დაპყრობა. 263 წელს შუ ხანის შემოერთების შემდეგ, ერთიანი ჩინეთის აღსადგენად უს შემოერთებაღა იყო დარჩენილი. თუ სმა იენი იმპერიის გაერთიანებას შეძლებდა, მის კანონიერებას ეჭვქვეშ აღარავინ დააყენებდა.

უზე ლაშქრობა დიდ სამზადისს და ზურგის უსაფრთხოებას საჭიროებდა. ამიტომ, სმა იენი საფუძვლიანად ემზადებოდა ამ კამპანიისათვის. მე-3 საუკუნის 70-იან წლებში მან შანსის პროვინციაში ჩაახშო მომთაბარეების წამოწყებული რამდენიმე აჯანყება. ეს მომთაბარეები ცაო ცაომ ჩაასახლა ჩინეთის ჩრდილოეთ პროვინციებში მათგან კავალერიის გამოსაყვანად. მუდმივი ომების პირობებში კავალერია დიდ უპირატესობას იძლეოდა, მაგრამ ჩრდილოეთი ჩინეთი უკვე შემომტკიცებული იყო, სამხრეთში უს წინააღმდეგ ომში კი კლიმატისა და რელიეფის გამო კავალერია წამყვანი ძალა ვერ იქნებოდა. როცა შეამჩნიეს, რომ მათი მნიშვნელობა და პრივილეგიები სუსტდებოდა, ხელისუფლებისგან კონტროლი კი იზრდებოდა, მომთაბარეები აჯანყდნენ. სმა იენმა მოახერხა მათი ამბოხის ჩახშობა. ამგვარად, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ჩინეთში ვითარება დაწყნარდა.

---

[1] სმა იენი სმა ჭაოს უფროსი შვილი იყო. სმა ჭაოს მემკვიდრედ ასევე განიხილებოდა სმა იოუ (司马攸). საქმე ისაა, რომ სმა ჭაოს უფროს ძმას, სმა შის მემკვიდრე არ ჰყავდა, ამიტომ ჭაოს ერთ-ერთი შვილი, სმა იოუ იშვილა. სმა ში მალევე გარდაიცვალა. ამ დროს იოუ სრულწლოვანი არ იყო, ამიტომ ჭაომ აიღო თავის თავზე საგვარეულოს მეთაურობა. როცა სმა ჭაო მემკვიდრის საკითხს განიხილავდა, ამ დროს სმა იოუ უკვე სრულწლოვანი იყო, თუმცა ჭაომ მაინც პირველი შვილი, სმა იენი აირჩია, რადგან იგი ამ დროს უკვე თითქმის 30 წლის იყო და პოლიტიკურ საქმეებში უფრო ერკვეოდა. ასევე ბევრი მაღალი თანამდებობის პირი მის კანდიდატურას უჭერდა მხარს.

[2] გარდაცვალების შემდგომი სახელი – 武帝 უ ტი, სამხედრო იმპერატორი.

საბოლოოდ, 280 წელს ძინის ჯარებმა უს მხრიდან შეუტიეს. წყაროების მიხედვით, ძინის არმია 200 ათას კაცს ითვლიდა. ლაშქრობას დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია და იმავე წელს მთელი ჩინეთი ძინის დინასტიის ქვეშ გაერთიანდა.

უს დაპყრობით სმა იენმა თავისი მთავარი მიზანი შეასრულა – გააერთიანა ჩინეთი და დინასტიის ცის მანდატი დაამტკიცა. შესაძლოა სწორედ დიდი გამოწვევის არარსებობამ განაპირობა ის მოვლენები, რაც შემდეგ მოხდა. იმპერატორი არც ადრე უჩიოდა მდიდრული ცხოვრებისაკენ სწრაფვას, მაგრამ სიცოცხლის ბოლო ათწლეულში ზღვარს გადავიდა. აწყობდა უზარმაზარ ნადიმებს, იმპერიის მასშტაბით აგროვებდა ლამაზ ქალებს თავისი პარამხანისათვის.

იმპერატორის მთავარი მინუსი მაინც სახელმწიფო საქმეებისადმი ნაკლები დროის დათმობა გახდა. თუკი აღმოსავლეთ უს დაპყრობამდე, სმა იენი აქტიურად მონაწილეობდა ყოველდღიურ პოლიტიკაში, შემდეგში შეიცვალა და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, თუ როგორ ფუნქციონირებდა ხელისუფლება. კორუფცია სუფევდა სამოხელეო აპარატში. მან შეინარჩუნა ვეის დროინდელი 9-რანგიანი სისტემა. მაგრამ კორუფციის გამო ზედა რანგებში არცერთი უბრალო წარმოშობის პირი არ იყო, დაბალ რანგებში კი არც ერთი წარჩინებული. მეტიც, თანამდებობები საჯაროდ იყიდებოდა. ადმინისტრაციული აპარატი იმდენად დასუსტდა, რომ სმა იენის შემდეგ დაწყებული კრიზისების მოგვარება ვერ შეძლო.

სმა იენის მთავარ შეცდომად მაინც მემკვიდრედ უფროსი ვაჟის დანიშვნას მიიჩნევენ. სმა ჭუნგი (იგივე – ხუეი ტი) სმა იენისა და მისი მთავარი მეუღლის შვილი იყო. პიროვნულად გულკეთილი სმა ჭუნგს სუსტი გონება ჰქონდა. ერთხელ, როცა ერთ-ერთ პროვინციაში გვალვის გამო ხალხი შიმშილობდა, ჭუნგი დაინტერესდა ხალხის გასაჭირით. როცა უთხრეს, რომ ხალხი შიმშილისგან იტანჯებოდა, მან გულუბრყვილოდ იკითხა: „თუ შიათ, ხორცს და ფაფას რატომ არ ჭამენ“[1].

[1] ისტორიკოსები დღემდე დაობენ, თუ რატომ აირჩია იმპერატორმა სმა ჭუნგი მემკვიდრედ. ყველაზე გავრცელებული მოსაზრებით, ამის მიზეზი იყო სმა ჭუნგის ვაჟი, სმა იუ (司马遹). იგი ბავშობიდანვე გამოირჩეოდა გონიერებით და დიდი მომავალი ესახებოდა. შესაბამისად, იმისათვის, რომ იმპერატორის ტიტული მასზე გადასულიყო, სმა იენმა მემკვიდრედ ჭუნგი დაასახელა. მაგრამ სმა ჭუნგის გაიმპერატორების შემდეგ სმა იუ ჭუნგის ცოლმა, ძიამ მოაკელევინა, რადგან იუ მისი შვილი არ იყო.

290 წელს სმა იენი გარდაიცვალა. მან მმართველობის 25 წლის განმავლობაში დაასრულა ჩინეთის დაშლილობის ეპოქა, გარკვეული პერიოდი იმპერიაში სიმშვიდე სუფევდა. მაგრამ მის გარდაცვალებას დომინოს პრინციპით მოჰყვა დამანგრეველი მოვლენები, რომლებმაც საბოლოოდ კატასტროფულ შედეგებამდე მიიყვანა მთელი იმპერია. მოვლენათა ასეთ განვითარებაში კი სმა იენის ბრალი დიდია.

სმა იენის რეფორმები

იმპერიაში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და საომარი ვითარებების შემცირებისათვის სმა იენმა გაატარა რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა. ესენია: მიწების დარიგება ნათესავებისათვის, მოსახლეობის საერთო განიარაღება, საგადასახადო რეფორმა.

როგორც ვეის სამეფოზე მსჯელობისას ვახსენეთ, ცაოს ნათესაურ კავშირებს იმდენად დიდ ყურადღებას არ აქცევდა, რამდენადაც ნიჭიერებას. შესაბამისად, მისი საგვარეულოს ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება საიმპერატორო ოჯახზე იყო დამოკიდებული. სმა იენის აზრით, სწორედ ამან განაპირობა ცაოს ოჯახის დასუსტება. ამიტომ სმა იენმა საგვარეულოს სათავეში მოსვლიდან მალევე სმას გვარის 27 წევრს მიანიჭა ვანგის ტიტული, დანარჩენებს კი სხვადასხვა რანგის წოდება უბოძა. საერთო ჯამში სანათესაოსადმი გაცემული ნაბოძვარი სამ – დიდ, საშუალო და მცირე კატეგორიად დაიყო. დიდ კატეგორიაში მოხვედრილები 30 ათას ოჯახს იღებდნენ სამართავად და 5000 კაციანი არმიის ყოლის უფლება ჰქონდათ. საშუალო კატეგორიაში გადაეცემოდა 10 ათასი ოჯახი და 2-3-ათასკაციანი არმია. მცირე კატეგორიას ეძლეოდა 5000 ოჯახი და 500 კაციანი არმია. ვანგი თავის ტერიტორიაზე გლეხების მოსავლის 1/3-ს იღებდა გადასახადის სახით და მიღებულის 2/3-ს აგზავნიდა დედაქალაქში. თავდაპირველად სმას საგვარეულოს წევრები დედაქალაქში რჩებოდნენ და ისე განაგებდნენ საკუთარ მიწას. ამგვარად, მათ ახლო კონტაქტი სამართავ მიწაზე არ ჰქონდათ და იმპერატორიც მარტივად აკონტროლებდა მათ თითოეულ ნაბიჯს. მაგრამ 277 წელს გამოცემული ბრძანებით, სმას გვარის ვანგებს ევალებოდათ ნაბოძებ მიწაზე წასულიყვნენ და ადგილიდან ემართათ იგი. ვანგი თავის მიწაზე დიდი უფლებებით სარგებლობდა. მას ებარა სამხედრო და სამოქალაქო

საქმეები. ვანგებზე კონტროლის შესანარჩუნებლად იმპერატორი მათ მინისტრებს უნიშნავდა. მაგრამ დედაქალაქს მოშორებული, ნახევრად დამოუკიდებელ სამფლობელოებში გაბატონებული და დიდი ძალის მქონე ვანგები მალევე იწყებენ ფიქრს იმპერატორის ტახტზე.

მიწების სანათესაოში დარიგების რეფორმა თავის დროზე ხანის დინასტიის დამაარსებელმა, ლიოუ პანგმაც გაატარა. რეფორმის დადებითი მხარე ის იყო, რომ ახალი იმპერიის დაარსებისას ძალაუფლება ვიწრო სანათესაოს ხელში იყრის თავს, რაც აძლიერებს ცენტრალიზაციას და ამცირებს აჯანყებების საფრთხეს. მაგრამ ასევე აქვს ძალიან დიდი უარყოფითი მხარე. საიმპერატორო გვარის წევრს ძალაუფლებზე უფრო მეტი პრეტენზია და ლეგიტიმაცია აქვს, ვიდრე ნებისმიერ სხვას. მით უმეტეს, თუ მათ ისეთ ავტონომიას და ძალაუფლებას მიანიჭებ, როგორც ეს ლიოუ პანგმა და სმა იენმა მიანიჭეს. დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით თაობის ცვლის შემდეგ იმპერატორის კონტროლი მათზე სუსტდება და ერთ დროს იმპერიის სიმტკიცის საფუძველი მისი დეცენტრალიზაციის მიზეზი ხდება. ასე მოხდა ხანის დინასტიის დროს. როცა იმპერატორმა ვანგების ძალაუფლების შეზღუდვა სცადა, ძვ. წ. 154 წელს დიდი აჯანყება დაიწყო. სმა იენის გარდაცვალებიდან მალევე დაიწყო ე.წ. „რვა მეფის აჯანყება". ხანის დროს მოახერხეს აჯანყების ჩახშობა, ძინმა კი ამ კრიზისს ვერ გაუძლო.

280 წელს იმპერატორმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით გაუქმდა ადგილობრივი არმიები, პროვინციების გუბერნატორებს ჩამოერთვათ სამხედრო უფლებები, იარაღები კი სახელმწიფო დაწესებულებებში უნდა ჩაებარებინათ. მხოლოდ იმპერატორის გვარდიას და დედაქალაქის დაცვას ჰქონდა იარაღის შენარჩუნების უფლება. იმისათვის, რომ ამ რეფორმის არსი კარგად გავიგოთ, განვიხილოთ მისი თითოეული ნაწილი. აღმოსავლეთ უს დაპყრობამდე პროვინციების გუბერნატორებს სამხედრო მოვალეობებიც შეთავსებული ჰქონდათ, რომ საომარი ვითარების შემთხვევაში არმია უფრო მობილური ყოფილიყო. ჩინეთის გაერთიანების შემდეგ ამის საჭიროება აღარ არსებობდა. ამიტომ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება ერთმანეთისაგან განაცალკევდა. ადგილობრივი არმიები შედგებოდა სამხედრო დასახლებებიდან ანუ სამხედრო მეურნეობის მიწებიდან აყვანილი მეომრებისაგან. უს დაპყრობის შემდეგ დიდი რაოდენობის მუდმივი არმია იმპერატორმა სახიფათოდ მიიჩნია და მეომრების მიწაზე მიმაგრება ბრძანა, მათი იარა-

ღი კი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. ამგვარად, არმიის დიდი ნაწილი მიწაზე მიმაგრდა და უიარაღოდ დარჩა. შეგროვებული იარაღები გადაადნეს და ახალი მონეტები გამოუშვეს.

გუბერნატორებისათვის სამხედრო უფლებების ჩამორთმევა კარგი ნაბიჯი იყო იმპერატორის ძალაუფლების განსამტკიცებლად. მაგრამ სმა იენმა თვითონვე მოშალა ეს რეფორმა. 290 წელს მან შემოიღო ახალი კანონი. სმას კლანის ვანგები, რომლებიც ასევე იყვნენ რამდენიმე პროვინციის გუბერნატორები, სამოქალაქოსთან ერთად სამხედრო უფლებებითაც აღიჭურვენ. სულ ასეთი ექვსი პიროვნება იყო. მათ ხელში ძალიან დიდმა ძალაუფლებამ მოიყარა თავი.

ხანის დინასტიის ბოლო პერიოდიდან მოყოლებული ძინის მიერ უს დაპყრობამდე ჩინეთის ტერიტორია მუდმივად შიდა სამხედრო კონფლიქტებში იყო გახვეული. სმა იენი, რომელიც ჯერ კიდევ ვეის პერიოდში დაიბადა, პირადად იყო ამ სიტუაციის მომსწრე. ხანგრძლივი ომიანობის აღკვეთის მიზნით გაატარა ზემოთ აღნიშნული რეფორმა იმპერატორმა. რეფორმის შედეგად დედაქალაქს მოშორებულ მოხელეებს არ ექნებოდათ იმის შესაძლებლობა, რომ დიდმასშტაბიანი აჯანყების რესურსები შეეგროვებინათ. თუმცა რეფორმას ჰქონდა ერთი დიდი ნაკლი. იგი არ ეხებოდა სმას საგვარეულოს ვანგების ტერიტორიებს. ამიტომაც, ბევრი ჯარისკაცი მათ ტერიტორიას შეეფარა. ზოგმა ჩრდილოეთ ჩინეთს მიაშურა და მომთაბარე ტომებს ჩაუდგა სამსახურში. ამის შედეგად რეფორმამ საპირისპირო შედეგი მოიტანა – იმპერატორის სამხედრო ძალის შემცირების ფონზე ვანგების სამხედრო პოტენციალი კიდევ უფრო გაიზარდა.

სმა იენის საგადასახადო რეფორმამ მოაწესრიგა და გააუმჯობესა ვითარება ამ სფეროში. ხანისა და ვეის დინასტიების დროს გადასახადის ამკრებნი მოსახლეობიდან იღებდნენ გასამრჯელოს. სმა იენმა აკრძალა მათი ასეთი თვითნებური ქმედება და განსაზღვრული ხელფასი დაუნიშნა მათ.

უს დაპყრობის შემდეგ იმპერიას დიდი რაოდენობით მიწები დაემატა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძინის მოსახლეობა ლამის სამჯერ ჩამორჩებოდა აღმოსავლეთი ხანის მოსახლეობის რაოდეობას, ბუნებრივია, რომ თავისუფალი მიწები დიდი რაოდენობით დარჩებოდა. მიწების ასათვისებლად მუშახელის გამოყოფა იყო კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ

დაშალა სმა იენმა ადგილობრივი არმიები. სრულწლოვან[1] მამაკაცს გადაეცა 70 მუ[2] მიწა, ქალს კი – 50 მუ. აქედან მამაკაცს 50 მუ-ზე მოყვანილი მოსავლიდან უნდა გადაეხადა გადასახადი, ქალს – 30 მუდან. თითო მუ-ზე გადასახადი 8 ლიტრი მარცვლეული იყო[3]. გარდა ამისა, ცალკე იყო სულადობრივი გადასახადები: სრულწლოვან მამაკაცს წელიწადში 3 შეკვრა ტილოს ქსოვილი და 1.5 კილო ბამბა უნდა ჩაებარებინა[4], ქალს – ამის ნახევარი. აღსანიშნავია, რომ ეროვნული უმცირესობების სულადობრივი გადასახადი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ხანის ეროვნებისა.

ფეოდალიზმის აღორძინება ძინის დინასტიაში

ჩინეთში ფეოდალიზმი ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-10 საუკუნეში, ჭოუს დინასტიის დროს დაიწყო. ჭოუს მეფემ თავის ქვეშევრდომებს დაურიგა მიწები სამემკვიდრეოდ. მიწის მფლობელი ფეოდალები ვალდებულები იყვნენ მისთვის ძღვენი მიერთმიათ მორჩილების ნიშნად და საჭიროების დროს ჯარი გამოეყვანათ. ჩუნციოუს ეპოქაში ეს ფეოდალები ფაქტობრივად დამოუკიდებელ მეფეებად იქცნენ. ისინი თავიანთ სამფლობელოებში ჭრიდნენ საკუთარ მონეტას, საფეოდალოებს შორის ჰქონდათ საბაჟო გადასახადი. ჭოუს მეფე ვერ ერეოდა მათ შიდა საქმეებში. მაგრამ ამ სიტუაციაშიც კი ისინი აღიარებდნენ ჭოუს მეფის უზენაესობას. რამდენიმე მათგანის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი ჭოუს მეფისას გაცილებით აღემატებოდა, მაგრამ ისინი ოფიციალურად მეფის ტიტულს მაინც არ იღებდნენ. ასეთ სისტემას მხარს უჭერდა კონფუციზმის იდეოლოგია. როცა ჩინეთი გააერთიანა ცინ შიხუანგტიმ, მან გააუქმა იმპერიის ფეოდალურ საფუძველზე დაყოფის სისტემა და შემოიღო მუნიციპალიტეტებისა და პრეფექტურების სისტემა. ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში მოხელეებს უშუალოდ საიმპერატორო კარი ნიშნავდა. მემკვიდრეობითობა თანამდებობაზე გაუქმდა. ხანის დინასტიაში შერეუ-

[1] ძინის პერიოდში პიროვნება სრულწოვანი 16 წლის ასაკში ხდებოდა, 13-დან 16-წლამდე და 61-დან 65 წლამდე პიროვნება სრულწლოვანის ნახევარ მოვალეობებს ასრულებდა.

[2] 畝 მუ – ძველი ჩინური ფართობის საზომი ერთეული. 1 მუ= 667 კვადრატული მეტრი.

[3] ვეის დროს 4 ლიტრი.

[4] ვეის დინასტიის დროს, 2 შეკვრა ტილო და 1 კილო ბამბა.

ლი სისტემა არსებობდა. იმპერია საფეოდალოებად დაიყო. ფეოდალი იყო კონკრეტული ტერიტორიის ზედამხედველი, თუმცა ამავდროულად საფეოდალოები იყოფოდნენ მუნიციპალიტეტებად და პრეფექტურებად, რომლის მოხელეებს საიმპერატორო კარი ნიშნავდა.

ძინის დინასტიის ფარგლებში ხანის დროს არსებული შერეული სისტემა გაგრძელდა, ოღონდ ერთი განსხვავებით, მიწათმფლობელებს შეეძლოთ საკუთარ მფლობელობაში ჰყოლოდათ გარკვეული რაოდენობის ოჯახები და ისინი სახელმწიფო გადასახადს არ გადაიხდიდნენ. ყველაზე დიდი მიწათმფლობელები, ბუნებრივია, იყვნენ სმას საგვარეულოს წევრები. გარდა ამისა, იმპერატორი მოხელეებს გადასცემდა ორი სახის მიწას სამსახურის სანაცვლოდ: სამემკვიდრეოს და დროებითს. დროებითი მიწა მას მხოლოდ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში შეეძლო გამოეყენებინა. 1-ელი რანგის მოხელეს 50 ცინგი[1] მიწა გადაეცემოდა სამემკვიდრეოდ. თითო რანგით ქვემოთ მიწა 5 ცინგით მცირდებოდა. გარდა ამისა, კონკრეტულად განსაზღვრეს, რომელი რანგის მოხელეს რამდენი ოჯახის ყოლა შეეძლო კერძო საკუთრებაში. 1-ელი და მე-2 რანგისათვის 50 ოჯახის ყოლა შეიძლებოდა, მე-9 რანგის მოხელეს კი მხოლოდ 1 ოჯახის ყოლა შეეძლო. თუ ეს მოხელეები თავის მიწაზე დადგენილზე მეტ ოჯახს დაასახლებდნენ, მაშინ ეს ნამატი ოჯახები სახელმწიფო გადასახადს გადაიხდიდნენ.

კერძო საკუთრებაში ოჯახების ყოლის უფლება დიდ მიწათმფლობელებს კიდევ უფრო აძლიერებდა. მართალია, პირად საკუთრებაში ნებადართული ოჯახების მაქსიმალური კვოტის მიუხედავად, ამ კანონს ხშირად არღვევდნენ, განსაკუთრებით კი სმას საგვარეულოს წევრები. რადგანაც ვეის დინასტიასთან შედარებით გადასახადები ლამის გაორმაგდა, გლეხები და ყოფილი მეომრები ფეოდალების მიწებზე გარბოდნენ თავშესაფარისათვის.

აჯანყებების სერია ძინის დინასტიაში

სმა იენი 290 წელს გარდაიცვალა. მან სმას საგვარეულოს წევრებს დიდი ძალაუფლება მისცა, მაგრამ ძლიერი იმპერატორი მაინც შეძლებდა მათ მოთოკვას. სამწუხაროდ, ძინის დინასტიისათვის ასეთ მნიშვნელო-

[1] 1 ცინგი – ძველი ჩინური ფართობის საზომი ერთეული. 1 ცინგი= 6.667 ჰექტარი.

ვან მომენტში ტახტზე ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი იმპერატორი, ხუეი ტი ავიდა. იმის მაგივრად, რომ გაეწონასწორებინა ვითარება, იგი თვითონ გახდა სათამაშო სხვების ხელში.

ამ პერიოდში ძალთა ბალანსი სამ ჯგუფს შორის გადანაწილდა: სმას საგვარეულოს ვანგები, იანგის (ხუეი ტის დედის) საგვარეულო და ძიას საგვარეულო (ხუეი ტის მეუღლის საგვარეულო). სმა იენმა ანდერძით ხუეი ტის რეგენტობა დააკისრა თავის ცოლის ძმას – იანგ ძიუნს [1]. ეს ფაქტი სმას საგვარეულოს აღიზიანებდა. იმპერატორის მთავარმა ცოლმა, ძიამ უფრო გაამწვავა ეს დაპირისპირება და მათ ომი გააჩაღებინა, რომელშიც სმას გვარმა გაიმარჯვა. 291 წელს მათი არმია ლუოიანგში შევიდა და იანგ ძიუნი მოკლეს. ამის შემდეგ დედოფალმა ძიამ სმას გვარის ვანგები წაიკიდა ერთმანეთს. ეს ვანგები ისედაც ძალაუფლებას დახარბებული პიროვნებები იყვნენ. მხოლოდ იმ შემთხვევაში მოქმედებდნენ ერთად, თუ სხვა საგვარეულო ან სმას გვარის რომელიმე ერთი წევრი მიითვისებდა ძალაუფლებას. სხვა შემთხვევაში მუდმივად ერთმანეთის განადგურებაზე ეჭირათ თვალი. დედოფალ ძიას ჩარევამ უბრალოდ დააჩქარა საომარი მოქმედებები.

ასე დაიწყო ე.წ. „რვა ვანგის აჯანყება". ეს პროცესი სულ 16 წელს გაგრძელდა და ჩრდილოეთი და ცენტრალური ჩინეთი მოიცვა. აჯანყების სხვადასხვა ეტაპზე მთავარი მოქმედი პირი იყო სმას საგვარეულოს რვა ვანგი. ისინი დაუნდობლად ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთის მიწებს, იყენებდნენ ყველა საშუალებას მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად. აჯანყებამ შეიწირა იმპერატორი ხუაი ტი და დედოფალი ძიაც. საბოლოო ჯამში რვიდან მხოლოდ ერთი ვანგი დარჩა ცოცხალი. შეიძლება იგი ჩავთვალოთ ამ აჯანყების გამარჯვებულად, თუ ამას გამარჯვება ჰქვია. მუდმივი ომების შედეგად შემცირდა მოსახლეობა, დაზიანდა ეკონომიკა, მოიშალა საერთო იმპერიული ადმინისტრაციული სისტემა. დიდი დარტყმა მიადგა თვით სმას საგვარეულოს ძალაუფლებას.

„რვა ვანგის აჯანყებას" თან ახლდა არაერთი გლეხთა ამბოხი. ცენტრალური მმართველობის მოშლას მოჰყვა ქაოსი საგადასახადო სის-

[1] სინამდვილეში სმა იენმა ანდერძში ჩაწერა, რომ რეგენტად ნიშნავდა იანგ ძიუნს და სმა ლიანგს (司馬亮). ლიანგი სმას გვარის ვანგებს შორის ყველაზე გამოცდილი და დაფასებული იყო. იანგ ძიუნმა, იმის შიშით, რომ სმა ლიანგს კონკურენციას ვერ გაუწევდა, იმპერატორის ანდერძი შეცვალა და მხოლოდ თავისი თავი ჩაწერა რეგენტად ყალბ ანდერძში.

ტემაში. ამას თან დაერთო ბუნებრივი კატასტროფები: წყალდიდობა, გვალვა და ამით გამოწვეული შიმშილი. საიმპერატორო კარი და სმას საგვარეულოს ვანგები ერთმანეთთან ბრძოლით იყვნენ დაკავებულნი. შესაბამისად, ასეთ რთულ სიტუაციაში ჩვეულებრივი ხალხის პრობლემების მოგვარებას არავინ აპირებდა. ამან გამოიწვია გლეხთა დიდი აჯანყებები 301, 306, 311 წლებში. ეს კიდევ უფრო აუარესებდა მდგომარეობას.

„რვა ვანგის აჯანყების" მიერ გამოწვეული უბედურებებიდან ყველაზე საშიში და დინასტიისათვის დამლუპველი იყო „ხუთი ბარბაროსის[1] აჯანყება". ხუთ ბარბაროსში იგულისხმება ძინის დინასტიის ტერიტორიაზე მოსახლე ხუთი მთავარი მომთაბარე ტომი: სიუნგნუ[2], სიენპეი[3], ციანგი[4], ტი[5] და ძიე[6]. მომთაბარე ტომებს ჩინეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ხანის დინასტიის დროიდან ასახლებდნენ იმპერატორები. ამ ნაბიჯის მიზანი იყო მათგან კავალერიის გამოყვანა. გარდა ამისა, ამგვარად ნაწილებად ჰყოფდნენ ძველ, დიდ გაერთიანებებს და მათ სამხედრო პოტენციალს ასუსტებდნენ. ეს მეთოდი ცაო ცაომაც გამოიყენა. მან მომთაბარეები ჩაასახლა ჩრდილოეთ ჩინეთის პროვინციებში. ესაა თანამედროვე კანსუს, შაანსის, შანსის, ხეპეის პროვინციების ტერიტორია. აღსანიშნავია, რომ მომთაბარეების მსუბუქი და საშუალოდ შეჯავშნული კავალერია დიდ როლს თამაშობდა ბრძოლებში. მე-3 საუკუნის ბოლოს ჩინელებმა მძიმე კავალერიაც დანერგეს არმიაში, მაგრამ მომთაბარეების სწრაფი კავალერია მაინც ძლიერი დამრტყმელი ძალა იყო.

მართალია, მომთაბარეების სახით ძლიერი სამხედრო ძალა შეიძინეს, მაგრამ მათი დიდი რაოდენობით დასახლება ჩინეთის მიწებზე ორპირიანი

---

1 ჩინელები თავის კულტურას ყველა დანარჩენზე აღმატებულად მიიჩნევდნენ. მათ თვალში მომთაბარეები განვითარების დაბალ სტადიაზე მყოფი ხალხები იყვნენ და ბარბაროსებს უწოდებდნენ.

2 სიუნგნუ მომთაბარე ტომთა გაერთიანება იყო ჩინეთის ჩრდილოეთით, მონღოლეთისა და სამხრეთ რუსეთის სტეპებზე.

3 სიენპეიც ტომთა გაერთიანება იყო, რომლის ძირითად ნაწილს მონღოლოიდური ხალხები შეადგენდნენ. მათი ენაც მონღოლურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნებოდა.

4 ციანგი ტიბეტური ტომი იყო. თანამედროვე ჩინეთში არსებობს ციანგის ეთნიკური უმცირესობა. ისინი სჩუანის პროვინციაში ტიბეტის პლატოს მოსაზღვრე მიწებზე სახლობენ. დაუდგენელია, არის თუ არა რამე ნათესაური კავშირი ანტიკური ეპოქის ციანგის ტომსა და თანამედროვე ციანგის ეთნიკურ უმცირესობას შორის.

5 ტიც ტიბეტური ტომი იყო.

6 ძიეს ტომი მე-3-4 საუკუნეების მიჯნაზე შევიდა ჩინეთში დასავლეთიდან. ჩინური წყაროებით ამ ტომის ხალხს თეთრი კანი, ხშირი წარბები და წვერი ჰქონდათ. ყველაზე გავრცელებული თეორიით, ისინი ირანიდან გადავიდნენ ჩინეთში.

მახვილივით იყო. მათი გამოყენება ერთანირად საფრთხილო იყო როგორც მტრისთვის, ისე მოყვრისთვის. იმპერიის ძლიერების დროს მომთაბარეების პრეტენზიებს მარტივად უმკლავდებოდა იმპერატორი. ასე მოხდა უს დაპყრობამდეც, როცა სმა იენმა ჩაახშო მათი გამოსვლები. მაგრამ, „რვა ვანგის აჯანყებამ" სიტუაცია შეცვალა. იმპერატორის ხელისუფლება ფაქტობრივად აღარ არსებობდა, ძალაუფლება ვანგების ხელში გადანაწილდა. ხანგრძლივმა ომმა კი მათი რესურსებიც ამოწურა.

მომთაბარეების კავალერია აქტიურად იყო ჩართული „რვა ვანგის აჯანყებაში". სმას საგვარეულოს ვანგები არ ერიდებდნენ მათ გამოყენებას ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. ასეთმა არეულობამ მათ მორალური პრობლემაც შეუქმნა. თუკი ადრე ერთი იმპერატორის ქვეშ იბრძოდნენ კონკრეტული მიზნისათვის, ახლა რამდენიმე ძალაუფლებას მოწყურებული დაჯგუფება იყენებდა მათ. „ცის მანდატის" იდეას ყველანაირი საფუძველი გამოეცალა. შესაბამისად, მათ საკუთარი ძალაუფლებისათვის ბრძოლა დაიწყეს.

„ხუთი ბარბაროსის აჯანყების" დასაწყისად მიჩნეულია 304 წელი, როცა სიუნგნუს ერთ-ერთი ტომის ბელადმა, ლიოუ იუენმა თავი ხანის ვანგად გამოაცხადა და ძინის დინასტიას დაუპირისპირდა. იმავე წელს ტის ტომის მეთაურმა თანამედროვე სჩუანის პროვინციაში გამოაცხადა ტაჩენგის სამფლობელოს შექმნა.

იუნგძიას ქაოსი

„რვა ვანგის აჯანყებიდან" გადარჩენილმა ვანგმა მოაწამვლინა ხუეი ტი და მის მაგივრად ტახტზე დასვა ხუაი ტი, რეალურად კი ძალაუფლება მის ხელთ იყო. მიუხედავად ამისა, მისი ძალაუფლება აბსოლუტური არ იყო. უფრო მეტიც, სმას საგვარეულოს სხვა ვანგები არ ენდობოდნენ და არ ემორჩილებოდნენ მას. „რვა ვანგის აჯანყების" შემდეგ საგვარეულოს შიგნით დაპირისპირება არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. იმის მაგივრად, რომ ისინი გაერთიანებულიყვნენ ახალი დიდმასშტაბიანი აჯანყების წინააღმდეგ, რომელიც უცხო, არახანური წარმოშობის ხალხმა დაიწყო, საკუთარ სამფლობელოებში ჩაიკეტნენ. სმა იენის მიერ მათთვის მიცემული პრივილეგიები ამ კრიტიკულ მომენტში დინასტიისთვის სანინააღმდეგოდ შემობრუნდა.

იუნგძია არის იმპერატორ ხუაი ტის ზეობის სახელი, რომელიც 307-313 წლებს მოიცავს. იმის გამო, რომ ამ ექვსწლიან პერიოდში მოვლენები ნამდვილად ქაოსურად განვითარდა დასავლეთ ძინის დინასტიისათვის, დროის ეს მონაკვეთი იუნგძიას ქაოსის სახელითაა ცნობილი. მთავარი საფრთხე დინასტიისათვის ლიოუ იუენის სამფლობელო იყო. ლიოუ იუენი თავდაპირველად ძინის დინასტიას ერთგულად ემსახურებოდა და სმას საგვარეულოს ვანგებს აქტიურად ეხმარებოდა, მაგრამ საბოლოოდ თავისი ინტერესებისთვის ბრძოლა არჩია და დამოუკიდებელი მოქმედება დაიწყო. იმავე წელს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანმა აჯანყებამ იფეთქა მომთაბარეებში.

16-წლიანი შიდა ომებისა და აჯანყებებისაგან დასუსტებულ ძინის დინასტიას არ ძალუძდა ამ გამოწვევის გადალახვა. გლეხთა აჯანყებების გავრცელების კვალდაკვალ მათ უკვე ეთნიკურ ჩინელებშიც აღარ ჰქონდა მხარდაჭერა. შესაბამისად, დინასტია აღსასრულის გზას დაადგა. 310 წელს ძინის 100 000-იანი არმია ლიოუ იუენის ძალებმა გაანადგურეს. ამის შემდეგ ძინმა ვეღარ შეძლო დიდი არმიის მობილიზება. მართალია, იმავე წელს ლიოუ იუენი გარდაიცვალა, მაგრამ ახალმა ლიდერმა, ლიოუ ცუნგმა უფრო აქტიურად გააგრძელა ბრძოლა. 311 წელს მისმა არმიამ აიღო ძინის დედაქალაქი ლუოიანგი. მათ სასტიკად დაარბიეს ქალაქი, 30000-მდე ადამიანი მოკლეს და ძინის იმპერატორი ხუაი ტი შეიპყრეს. ხუაი ტის მონად ამუშავებდნენ ლიოუ ცუნგის კარზე. საბოლოოდ იგი 313 წელს მოკლეს.

ლუოიანგის დაცემის შემდეგ ძინის დინასტიის დედაქალაქი დასავლეთით, ჩანგანში გადაიტანეს. იმპერატორ ხუაი ტის სიკვდილით დასჯის შემდეგ კი აირჩიეს ახალი იმპერატორი, მინ ტი. მინ ტიმაც მალევე გაიზიარა ბიძის, ხუაი ტის ბედი. მომაკვდავ დინასტიას უკვე აღარ შესწევდა ძალა მომთაბარეების მზარდი ძალებისათვის წინააღმდეგობა გაეწია. მდგომარეობას აუარესებდა ისიც, რომ თვით ძინის დინასტიაში სმას საგვარეულოსა და წარჩინებულებს შორის ახლაც არ არსებობდა შეთანხმებული მოქმედება. შედეგად, 316 წელს ლიოუ ცუნგის არმიამ ჩანგანიც აიღო და მინ ტიც დაატყვევეს. მინ ტი ორი წლის შემდეგ დასაჯეს სიკვდილით, ჩანგანის აღებით კი დასავლეთ ძინის დინასტიამ არსებობა დაასრულა.

ლუოიანგისა და ჩანგანის დაცემა და იმპერატორების შეპყრობა უზარმაზარი დარტყმა იყო დინასტიისთვის და ზოგადად ჩინელებისათვის არა

მხოლოდ სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ იდეოლოგიური კუთხითაც. იმპერატორი, როგორც ცის შვილი, უზენაესი განგების, ცის კეთილგანწყობით სარგებლობდა ხალხის თვალში. მისი ნებისმიერი მარცხი შეიძლება გაეგოთ, როგორც ნიშანი იმისა, რომ ზეცამ დინასტიის შეცვლა ანიშნა ხალხს. იმპერატორის შეპყრობა კი დინასტიის დასრულების უეჭველ ნიშნად აღიქმებოდა.

ლუოიანგი და ჩანგანი ჩვეულებრივი ქალაქები არ იყო. აღმოსავლეთ ჭოუს დინასტიიდან მოყოლებული ისინი მონაცვლეობით ან თანადროულად ასრულებდნენ იმპერიის დედაქალაქის ფუნქციას. ეს ქალაქები კულტურის, ვაჭრობის, პოლიტიკის ცენტრებს წარმოადგენდნენ. მათ საკრალური მნიშნელობა ჰქონდათ შეძენილი ხალხის თვალში, რადგან აქ იმპერატორი ცხოვრობდა. უნდა ითქვას, რომ ამ ქალაქების დაცემას უფრო დიდი მნიშნელობა ჰქონდა, ვიდრე იმპერატორის შეპყრობას. რამდენადაც ისინი საუკუნეების განმავლობაში არა ერთი, არამედ რამდენიმე დინასტიის დედაქალაქები იყვნენ, ეს ქალაქები ჩინური კულტურისა და ცის მანდატის სიმბოლოებად იქცნენ. ამიტომ მათი აღება არაჩინელების მიერ იყო დიდი დარტყმა მრავალსაუკუნოვანი ჩინური კულტურისა და ეთნიკური ცნობიერებისათვის. სიმბოლურია, რომ მათი დაცემით დაიწყო პირველი გაერთიანების შემდეგ ყველაზე ხანგრძლივი დაშლილობის პერიოდი ჩინეთის ისტორიაში.

დასავლეთ ძინის დინასტიის დაცემის მიზეზები

დიდებული, სწრაფი და გასაოცარი იყო დასავლეთ ძინის აღმასვლაც და დაღმასვლაც. დროის მოკლე პერიოდში ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია კვლავ გაერთიანდა ძლიერი იმპერატორის მიერ. იმპერიაში ვაჭრობა და მეურნეობა ყვაოდა, იმპერატორს ემორჩილებოდა უზარმაზარი არმია, დიდი წინსვლა შეინიშნებოდა ლიტერატურასა და მეცნიერებაში. საინტერესოა, რომ სულ რაღაც ერთ ათწლეულში იმპერია ძლიერების პიკიდან დაღმასვლის მორევში საოცარი სისწრაფით გადაეშვა ისე, რომ შეცდომებზე სწავლის დროც არ დარჩა. მოვლენათა ასეთი სწრაფი ცვლილება სუბიექტური და ობიექტური მიზეზების შედეგი იყო. ესენია:

1. სმას გვარის ვანგების გაძლიერება. სმა იენმა ცაო ცაოს მაგალითზე ჭკუა ისწავლა და იმპერიის მიწების დიდი ნაწილი საკუთარ საგვარეუ-

ლოს დაუნანილა. თუმცა ამ შემთხვევაშიც გაექცა სადავეები სმა იენს. მართალია, სმას საგვარეულო ერთპიროვნულ ლიდერად გადაიქცა დიდ ფეოდალურ სახლებს შორის, მაგრამ საკუთრივ საგვარეულოს შიგნით რამდენიმე პიროვნება იმდენად ძლევამოსილი იყო, რომ იმპერატორს უწევდა კონკურენციას.

2. ცენტრალური ხელისუფლების მიერ მოხელეების უფლებების შეზღუდვა. სმა იენმა პროვინციის გუბერნატორებისა და სხვა მოხელეების უფლებები ძალიან შეკვეცა. ამ ნაბიჯის მიზანი იყო, რომ აღეკვეთა დედაქალაქიდან მოშორებით მყოფი მაღალი თანამდებობის პირების ზედმეტად გაძლიერება. თუმცა ეს რეფორმა განზრახულის საპირისპიროდ მოუბრუნდა იმპერიას. შეზღუდული უფლებების გამო მოხელეებს არათუ იმპერატორის წინააღმდეგ გამოსვლა, არამედ იმპერიის კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანაც კი აღარ ძალუძდათ. ვანგების ძალაუფლების ზრდის ფონზე ხელისუფლების მოხელეებისათვის უფლებების შეზღუდვამ საიმპერატორო კარი მნიშვნელოვნად შებოჭა პროვინციებში.

3. სამხედრო რეფორმა. არმიის დიდი ნაწილის განიარაღება იმპერიის გაერთიანების შემდეგ ჭკვიანური ნაბიჯი იყო, მით უმეტეს დიდი რაოდენობით ასათვისებელი მიწების ფონზე. მაგრამ, დიდი შეცდომა იყო ამ რეფორმის გაუტარებლობა ვანგების ტერიტორიებზე. ამით იმპერატორმა საკუთარი არმიის შემცირების ფონზე გააძლიერა ვანგების სამხედრო პოტენციალი.

4. იმპერატორ ხუაი ტისა და დედოფალი ძიას ფაქტორი. რთულია იმის თქმა, თუ რა მოხდებოდა, იმ დროს დასავლეთ ძინის დინასტიის სათავეში ეს ორი პიროვნება რომ არ ყოფილიყო. პირველი გონებასუსტი და სათამაშო სხვების ხელში, მეორე კი ძალაუფლებაზე დახარბებული, ეგოისტი და უპრინციპო იყო. ხუეი ტის რომ დედოფალი ძიას თვისებები ჰქონოდა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა, მაგრამ დინასტიისათვის ისეთ კრიტიკულ მომენტში, როცა სადავეების მყარად მოთოკვა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ტახტზე სრულიად არაკომპეტენტური პიროვნება ავიდა.

ჩინურ ფოლოსოფიასა და მენტალიტეტში დიდი ადგილი უკავია იეროგლიფ 和 ხე-ს. იგი ნიშნავს ჰარმონიულობას, თანწყობას, სწორ განვითარებას. სწორედ ეს აკლდა სმა იენის რეფორმებს. მისი თითოეული რეფორმა სწორ დროსა და სწორ ადგილას იმპერიას განამტკიცებდა, მაგრამ არა მაშინ და არა იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს მან გააკეთა.

აღმოსავლეთი ძინი

იმპერატორების დატყვევებისა და მომთაბარეების მიერ დედაქალაქების აღების შემდეგაც კი, სმას საგვარეულოს ჰქონდა საკმარისი რესურსები, რომ დაემარცხებინა არაჩინელი ტომები, მაგრამ მათ არ ჰყავდათ ლიდერი. თითოეულ მათგანს საკუთარი თავი ჰყავდა წარმოსახული იმპერატორის ტახტზე. პირადი ამბიციების გამო ვერ მოხერხდა საგვარეულოს ძალების გაერთიანება და სწორი გადანაწილება. ცალ-ცალკე კი მათი ძალები საკმარისი არ იყო ჩრდილოეთ ჩინეთში მომთაბარეებისათვის წინააღმდეგობის გასანევად. სმას საგვარეულოს ერთადერთმა წევრმა, სმა ჟუეიმ მოახერხა ძალაუფლების შენარჩუნება და დინასტიის გაგრძელება. მან დედაქალაქად გამოაცხადა ძიენქანგი, თანამედროვე ნანძინგი, და აკონტროლებდა ტერიტორიას მდინარე იანგწისა და ხუაიხეს სამხრეთით.

ჩრდილოეთ ჩინეთის მომთაბარეების მიერ დაკავებამდე სმა ჟუეი საგვარეულოს შიგნით გამორჩეული პიროვნება ნამდვილად არ იყო. 307 წელს იმპერატორისაგან მან მიიღო ნანძინგისა და მისი შემოგარენის გუბერნატორის წოდება. დედაქალაქისაგან ასე მოშორებით და ისიც სამხრეთით მდებარე პროვინციაში გაგზავნა ნორმალურ ვითარებაში განვითარების დიდ პერსპექტივას არ იძლეოდა, მაგრამ სმა ჟუეის ბედმა გაუღიმა. დინასტიის დაცემის ფონზე მის ხელში აღმოჩნდა ტერიტორია, რომელიც ყველაზე კარგი ადგილი იყო იმპერიის ახალი ცენტრის შესაქმნელად.

სმა ჟუეის წარმატება განაპირობა გეოგრაფიულმა ფაქტორებმა. ჩრდილოეთ ჩინეთი სტეპის ვრცელი ველებიდან დაუცველი იყო ბუნებრივი ბარიერებით. განსხვავებული სიტუაცია იყო სამხრეთ ჩინეთში. ტენიანი კლიმატი და იანგწის დინება გადაულახავ ბარიერს ქმნიდა მომთაბარეებისათვის სამხრეთში შესაღწევად. ტყიან, ჭაობიან და ნესტიან მინებზე ცხენით ბრძოლა შეუძლებელი იყო. სწორედ ამ პერიოდიდან იქცა იანგწის სამხრეთი საიმპერატორო კარის თავშესაფრად უკიდურესი გაჭირვებებისას.

აღმოსავლეთ ძინი დასავლეთ ძინის სამართალმემკვიდრე იყო, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თავისი წინამორბედისაგან. ახალ იმპერიას, თუკი მას შეიძლება ასე ეწოდოს, იმპერიის ცენტრის დაკარგვის შემდეგ, უფრო სუსტი სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალა

ჰქონდა. იმპერატორის ხელისუფლება დიდ ფეოდალურ საგვარეულოებს ეყრდნობოდა და ამავდროულად მათთან მუდმივ კონფლიქტში იყო. გადასახადების აკრეფა, მოსახლეობის აღწერა, ჩრდილოელი მიგრანტების ორგანიზება, არმიის შეკრება და ჩრდილოეთიდან წამოსული საფრთხის მოგერიება აღმოსავლეთ ძინის დინასტიის მუდმივი თავის ტკივილი იყო.

ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიგრაცია

ახალმოსახლეების მარტივად განაწილებისათვის ისინი დაასახლეს ცალკე მიწებზე, მათ დასახლებებს ზუსტად იგივე სახელები დაარქვეს, რაც ჩრდილოეთში ყოფნისას; შეიყვანეს სამხრეთელები ანგწის სამხრეთით. ხანის ეროვნების მიგრაცია ჯერ კიდევ ხანის დინასტიის დროს დაიწყო და უფრო გაძლიერდა სამი სამეფოს ეპოქაში. ამ პროცესმა პიკს აღმოსავლეთ ძინის ფარგლებში მიაღწია. იმ ფონზე, როცა ჩრდილოეთ ჩინეთში კულტურულად და სოციალურად განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი მომთაბარეები დათარეშობდნენ, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის სამხრეთ ჩინეთი, სადაც ცის შვილი კვლავ იჯდა ტახტზე, ნამდვილ თავშესაფარს წარმოადგენდა. შედეგად, მე-3 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო მოსახლეობის მასიური გადინება ცენტრალური ჩინეთიდან. ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით წავიდა, სადაც დასავლეთ ძინის ყოფილი მოხელეები ინარჩუნებდნენ პოზიციებს მომთაბარეების წინააღმდეგ. უმეტესობამ კი სამხრეთს მიაშურა. მიგრირებულთა შორის იყვნენ არა მხოლოდ გლეხები, ვაჭრები და ხელოსნები, არამედ წარჩინებულნიც. ელიტის უდიდესმა ნაწილმა დატოვა ჩრდილოეთი ჩინეთი. თავის მხრივ, ამან გამოიწვია პირველად ჩინეთის ისტორიაში კულტურის ცენტრის სამხრეთით გადანაცვლება.

მოსახლეობის სამხრეთისაკენ მიგრაცია უკონტროლო და ქაოსური პროცესი არ იყო. რა თქმა უნდა, მათ შორის იყვნენ ინდივიდუალურად წამოსული პირები, მაგრამ ძირითადად კოლექტიური მიგრაცია ხდებოდა. კერძოდ კი, ფეოდალს მოჰყვებოდა მთელი თავისი სახლეული, სანათესაო, დამოკიდებული გლეხები, მეომრები. ასეთი ჯგუფი ზოგჯერ ასობით, ათასობით და ათიათასობით ადამიანისაგან შედგებოდა. სულ სამხრეთში 900 ათასი ადამიანი გადავიდა ჩრდილოეთიდან, რაც აღმოსავლეთ ძინის მოსახლეობის 1/6-ს შეადგენდა.

ბუნებრივია, ასეთი დიდი რაოდენობით მოსახლეობის შემოსვლა ქვეყნის ტერიტორიაზე ქმნის ორგანიზების პრობლემას. ჩრდილოეთიდან გადმოსახლებული ხალხის აღწერა და სახელმწიფო რეესტრში მათი შეყვანა ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემა გახდა დინასტიისათვის.

მასიურ მიგრაციას მხოლოდ საორგანიზაციო პრობლემები არ გამოუწვევია. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი ამ დროისთვის უკვე საუკუნეების განმავლობაში იყო ერთიანი კულტურული სივრცე, მის ნაწილებს შორის, განსაკუთრებით კი სამხრეთ და ჩრდილოეთ ჩინეთს შორის არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებიც დღემდე შეინიშნება საზოგადოების ტრადიციებსა და მენტალიტეტში. ჩრდილოელების დიდი მასის უეცარ შემოსვლას სამხრეთელები უარყოფითად შეხვდნენ. მათ შორის ასიმილაცია შენელდა ჩრდილოელების იზოლირებულ კოლექტივებში დასახლების გამო. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა სამხრეთელები და ჩრდილოელ მიგრანტებთან ანტაგონიზმი გაძლიერდა. საინტერესოა, რომ არა მხოლოდ სამხრეთელ არახანის ეროვნების მოსახლეობას ჰქონდა კონფლიქტი მიგრანტებთან, არამედ ადრე გადმოსახლებულ ხანელებსაც ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ ახალ ნაკადთან.

მიგრაციას ჰქონდა ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარე. აღმოსავლეთ ძინს დაემატა ახალი რესურსი ძლიერი არმიის გამოსაყვანად. უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთ ძინის ძირითად დამრტყმელ ძალას ბრძოლის ველზე ჩრდილოელი მიგრანტების მიერ დაკომპლექტებული დანაყოფები ნარმოადგენდნენ. ეს განპირობებული იყო ორი მიზეზით: უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთ ჩინეთი საუკუნეების განმავლობაში სამოქალაქო ომისა და მტრების შემოსევების მთავარი არეალი იყო. ბუნებრივია, აქაური მოსახლეობა უფრო შეჩვეული იყო საომარ ვითარებას და სამხედრო ცხოვრებას. მეორე მხრივ, ისინი უფრო მეტად იყვნენ დამუხტული მომთაბარეებთან საბრძოლველად, რომლებმაც ისინი აიძულეს მშობლიური მიწიდან აყრილიყვნენ.

ფეოდალური კონფლიქტები აღმოსავლეთ ძინში

აღმოსავლეთ ძინის დინასტიის არსებობას მუდმივად თან სდევდა შიდა საზოგადოებრივი კონფლიქტები. გარდა მკვიდრ და ახლად ჩამოსახლებულ მოსახლეობას შორის შუღლისა, დაპირისპირებებულ ბანაკებ-

ში იყვნენ ფეოდალები და გლეხები, იმპერატორი და ფეოდალები, იანგწის ქვემო და ზემო დინების ფეოდალები, სამხრეთელი და ჩრდილოელი ფეოდალები და საკუთრივ ჩრდილოელი ფეოდალები ერთმანეთშიც. კარგად ჩანს, რომ კონფლიქტის მთავარი წყარო მაინც ფეოდალების მხრიდან მოდიოდა. ფეოდალიზმი ჯერ კიდევ დასავლეთ ძინის დროს გაძლიერდა, აღმოსავლეთ ძინში კი უფრო განვითარდა. იმპერატორის ძალაუფლება და იმპერიის ერთიანობა დამოკიდებული იყო დიდ ფეოდალურ სახლებთან იმპერატორის ურთიერთობის სიავკარგეზე.

ფეოდალების ასეთი სიძლიერე აღმოსავლეთ ძინში გამოწვეული იყო იმპერიის შექმნის წინაპირობებით. მართალია, სმა ჟუეის სამხრეთის კლიმატური და რელიეფური ბარიერები ჩრდილოელებისაგან იცავდა, მაგრამ სამხრეთ ჩინეთის უზარმაზარ სივრცეში თავის იმპერატორად გამოცხადება მხოლოდ ამაზე დაყრდნობით შეუძლებელი იქნებოდა. მისი მთავარი დასაყრდენი ძალა იყო რამდენიმე დიდი ჩრდილოური ფეოდალური საგვარეულო, რომლებისთვისაც სამხრეთ ჩინეთი ახალ სტაბილურ ბაზას წარმოადგენდა. შედეგად, ეს ფეოდალები გახდნენ სმა ჟუეის ძირითადი სამხედრო ძალა. გარდა ამისა, სმა ჟუეი იძულებული იყო სამხრეთელი ფეოდალების კეთილგანწყობაც მოეპოვებინა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მიეღო მისი მმართველობა. ერთი მხრივ, მოსახლეობის მიმხრობისა და მეორე მხრივ, არმიის მხარდაჭერის საჭიროების გამო, სმა ჟუეი იძულებული გახდა ფეოდალებისათვის მნიშვნელოვანი პრივილეგიები მიენიჭებინა.

ფეოდალები და განსაკუთრებით დიდი ფეოდალური სახლები საკუთარ მიწებზე დამოუკიდებლები იყვნენ. მართალია, სახელმწიფო კანონმდებლობით მათ მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის გლეხებისათვის შეეძლოთ გადასახადების არიდება, მაგრამ რეალურად ეს კანონი ხშირად ირღვეოდა. სუსტი ცენტრის პირობებში კი ფეოდალების თვითნებობის ალაგმვა შეუძლებელი იყო. შეიქმნა ერთგვარი მოჯადოებული წრე. გლეხებისა და ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულების დიდი ნაწილი ფეოდალების მიწებზე სახლდებოდა, რათა თავი აერიდებინათ საიმპერიო გადასახადებისათვის. გადასახადის გადამხდელების შემცირება აიძულებდა საიმპერატორო კარს გაეზარდა გადასახადები, რომ ხაზინა შეევსო. გაზრდილი გადასახადები კი უფრო აძლიერებდა საიმპერატორო გლეხების ფეოდალების მიწებისკენ გადინებას. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა გადასახადების სისტემის მოუწესიგებლობა და ახალი მძიმე

რეგულაციები. ამ მხრივ პიკი იყო იმპერატორ სიაო უ ტის მიერ გამოცემული ედიქტი, რომელიც გადასახადს არა მიწის რაოდენობის მიხედვით, არამედ სულადობრივად ანაწილებდა, იმისდა მიუხედავად, ჰქონდა თუ არა პიროვნებას კერძო საკუთრება. გარდა იმისა, რომ გლეხების გაქცევით სახელმწიფოს აკლდებოდა გადასახადების გადამხდელები, ასევე მცირდებოდა პოტენციური მეომრების რიცხვიც. ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი იყო საერთო აღრიცხვის ჩატარებით გამოევლინათ ფეოდალების მიწებზე კვოტას გადაცილებული გლეხების რაოდენობა და ისინი სახელმწიფოს მიწებზე დაებრუნებინათ ან ფეოდალებისათვის გლეხების გადასახადების არიდების პრივილეგია გაეუქმებინათ.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნული ნაბიჯების გადადგმა პირდაპირი დარტყმა იყო ფეოდალებისადმი. მართალია, მათ ერთმანეთი სძულდათ, მაგრამ როგორც კი იმპერატორისაგან შევიწორებას იგრძნობდნენ, ერთიანდებოდნენ უფლებების დასაცავად. ზოგიერთი კი იმდენად ძლიერი იყო, რომ ინდივიდუალურად შეეძლო იმპერატორთან გამკლავება. ამიტომ იმპერატორის მიერ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის ქმედითი ზომების მიღებას ყოველთვის მოჰყვებოდა ხოლმე ძლიერი უკურეაქცია. ასე მოხდა 322-324 წლებში, როცა იმპერატორმა გამოსცა ბრძანება, რომ ფეოდალების, გლეხებისა და მონების ნაწილი (განსაკუთრებით ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულნი) იმპერატორის საკუთრებად ცხადდებოდა. ეს აქტი მიზნად ისახავდა ვანგის გვარის დასასუსტებას. ვანგის საგვარეულო იმპერატორის მხარდამჭერ ჩრდილოელ ფეოდალებს შორის უძლიერესი იყო. ამ საგვარეულოს ლიდერს იმდენად დიდი წვლილი მიუძღოდა იმპერიის ჩამოყალიბებაში და იმდენად დიდ პატივისცემას იღებდა სმა ჟუეისაგან, რომ ხალხში გავრცელდა ასეთი გამოთქმა: „სმა და ვანგი მართავენ ცისქვეშეთს“[1].

მიუხედავად იმპერიის ჩამოყალიბებაში დახმარებისა, ვანგის საგვარეულო მთავარი შიდა საფრთხე იყო საიმპერატორო კარისათვის. მათ ხელში მოექცა იანგწის ზემო წელის რეგიონების სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება, რომ აღარაფერი ვთქვათ, საკუთრივ საგვარეულოს მიწებზე. ვანგის გვარის ლიდერი, ვანგ ტუნი არ დაემორჩილა იმპერატორის ბრძანებას და აჯანყდა. საიმპერატორო არმია იმდენად დასუსტებული და შემცირებული იყო ფეოდალების გაძლიერების ფონზე, რომ იმპერატორ-

[1] 王与马, 共天下 – „სმა და ვანგი მართავენ ცისქვეშეთს“.

მა ვანგს ახალი თანამდებობები მისცა დასაშოშმინებლად. 324 წელს ვანგ ტუნი გარდაიცვალა, მის შთამომავლებს კი მომხრეები შემოეფანტათ, შედეგად საიმპერატორო კარს ეს დიდი საფრთხე მოსცილდა.

საკუთრივ იანგწის ზემო და ქვემო დინების დაპირისპირება ისევე დამახასიათებელია ჩინეთის ისტორიისათვის, როგორც სამხრეთი და ჩრდილოეთი ჩინეთის კონფლიქტი. გეოგრაფიული ფაქტორების გამო იანგწის ეს ორი რეგიონი ერთმანეთისაგან რამდენადმე იზოლირებული და ერთმანეთთან დაპირისპირებული რეგიონები იყო ისტორიულად. ის, ვინც აკონტროლებდა ზემო დინებას, სარგებლობდა მდინარის დინების მიმართულების უპირატესობით. ეს რეგიონი შესანიშნავი პლაცდარმი იყო მდინარის ქვემო წელზე წყლიდან შეტევის წამოსაწყებად. სწორედ ასე მოიქცა სმა იენი აღმოსავლეთ უს აღებისას. ეს სტრატეგია გამოიყენა სუეის დინასტიის დამაარსებელმა იანგ ძიენმაც უკანასკნელი სამხრეთული დინასტიის დასაპყრობად. საიმპერატორო კარი კარგად აცნობიერებდა ამ რეგიონის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ყოველთვის ფრთხილად მოქმედებდა აქაური მოხელეების მიმართ. რამდენადაც იმპერატორის ხელისუფლების ცენტრი იანგწის ქვემო დინებას მოიცავდა, ზემო დინების მფლობელს მუდამ დამოუკიდებლობისკენ ეჭირა თვალი, როგორც ეს ვანგის შემთხვევაში გამოჩნდა. მოგვიანებით მსგავსი სცენარი განვითარდა ხუან ვენისა და ხუან სიუენის შემთხვევებშიც.

ვანგის საგვარეულოსთან ბრძოლა კლასიკური მაგალითი იყო აღმოსავლეთ ძინში იმპერატორსა და ფეოდალს შორის დაპირისპირებისა. აღმოსავლეთ ძინის დინასტიის არსებობის განმავლობაში საიმპერატორო კარი მუდმივად ებრძოდა ფეოდალებს, მაგრამ არა მთლიანად ფეოდალურ კლასს. ამის არც საშუალება და არც პირობები არ არსებობდა, რამეთუ იმპერატორიც ამ კლასის წევრი იყო. თავის უძლურებას იმპერატორი ფეოდალებს შორის დაპირისპირებით ავსებდა. რეალურად როცა საიმპერატორო კარი ფეოდალთა ერთ ჯგუფს უპირისპირდებოდა, მის უკან სხვა ფეოდალები იდგნენ. საიმპერატორო კარის მხარდაჭერა ფეოდალებს საშუალებას აძლევდა საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად. სწორედ ფეოდალებს შორის ლავირებით გადარჩა იმპერატორის ხელისუფლება მე-4 საუკუნის ბოლომდე.

ბრძოლა ჩრდილოეთთან და ჩრდილოეთისათვის

მიუხედავად ჩრდილოეთის დაკარგვისა, ერთიანი იმპერიის აღდგენის სურვილი არც წარჩინებულებში და არც უბრალო ხალხში არ გამქრალა. განსაკუთრებით ჩრდილოელი მიგრანტები იყვნენ განმსჭვალული მომთაბარეებისადმი სიძულვილით და მუდმივად მზად იყვნენ მათთან საბრძოლველად. იმპერატორისათვის ჩრდილოეთის შემოერთება ძველი დიდების აღდგენას ნიშნავდა, ფეოდალებისათვის კი – საგვარეულო მიწების დაბრუნებას. მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში ჩრდილოეთ ჩინეთში გაბატონებული მომთაბარეებიც არ იყვნენ იმდენად მოძლიერებული, რომ გადაულახავი წინააღმდეგობა შეექმნათ. ისინიც მუდმივად ერთმანეთში ომობდნენ და ეს აღმოსავლეთ ძინის წისქვილზე ასხამდა წყალს. ჩრდილოეთში დარჩენილი ხანელი მოსახლეობა კი ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდა ძინის ჩრდილოურ ლაშქრობებს. ძინის დინასტიას ჰქონდა შესანიშნავი მომენტები და წამოწყებები ჩრდილოეთის შემოერთებისათვის, მაგრამ ამავდროულად არსებობდა მრავალი ფაქტორი, რაც ხელს უშლიდა ამ მიზნის შესრულებას.

იმპერატორს არ გააჩნდა საკმარისი სახსრები ჩრდილოეთით დიდი ლაშქრობის მოსაწყობად. გარდა ამისა, თუ ექსპედიცია მარცხით დასრულდებოდა, მისი ავტორიტეტი დაეცემოდა. ვერც ფეოდალების წამოწყებებს უჭერდა მხარს. ჩრდილოეთით წარმატების მიღწევა ნიშნავდა ხალხში მხარდაჭერის მოპოვებას. შესაბამისად, საიმპერატორო კარი ფეოდალების ჩრდილოურ ლაშქრობებში მუდმივად მის წინააღმდეგ მიმართულ მახვილს ხედავდა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შიში საფუძვლიანიც იყო, ზოგჯერ კი გულწრფელი პატრიოტული გრძნობების მქონე ხალხი ამ ეჭვების გამო დაზარალდა.

ამ უკანასკნელ ჯგუფს მიეკუთვნებოდა აღმოსავლეთ ძინის პერიოდში ჩრდილოეთის დაბრუნებისათვის პირველი ოპერაციების წამომწყები წუ თი. იგი ჯერ კიდევ 313 წლიდან იბრძოდა მომთაბარეების წინააღმდეგ და ბრძოლა სიცოცხლის ბოლომდე გააგრძელა. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მცირე მხარდაჭერისა სამხრეთიდან, წუ თიმ დიდ წარმატებებს მიაღწია. მან რამდენჯერმე დაამარცხა ჩრდილოეთ ჩინეთში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სარდალი, ში ლე, რომელმაც მოგვიანებით თავისი სამფლობელო დაარსა. რამდენად ირონიულია, რომ სწორედ ეს წარმატებები გახდა წუ თისადმი საიმპერატორო კარის უნდობლობის საფუძველი.

ის ჩამოაშორეს წინამძღოლობას და მის მაგივრად ჩრდილოურ ექსპედიციებს დედაქალაქიდან გაგზავნილი სარდალი უძღვებოდა. შედეგად, ოპერაცია კრახით დასრულდა და წუ თიც მალევე გარდაიცვალა (321 წ.).

ჩრდილოეთით ლაშქრობების შემდეგი დიდი ტალღა დაკავშირებულია ხუან ვენის სახელთან. ხუანი დასავლეთის პროვინციების ანუ იანგწის ზემო წელის გუბერნატორის და სარდლის პოსტს იკავებდა. 346 წელს მან თანამედროვე სჩუანის ტერიტორიაზე მოქმედი ჩენგ ხანის სახელმწიფოც დაამარცხა და აღმოსავლეთ ძინს შემოუერთა. ამის შემდეგ ძირითადი ყურადღება ჩრდილოეთით მიმართა. სულ სამჯერ მოაწყო დიდი ლაშქრობა – 354, 356 და 369 წლებში. 354 წელს ჩანგანს მიუახლოვდა, 356 წელს ლუოიანიც კი აიღო, მაგრამ რამდენიმე წელში დაკარგეს. 369 წელს ხუანგხეს მიუახლოვდა, მაგრამ უკან დახევა მოუწია, რომლის დროსაც არმიის დიდი ნაწილი დაკარგა. მისი წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი იყო საკვებით მომარაგების სირთულე და საიმპერატორო კარისგან მხარდაჭერის უქონლობა. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში საიმპერატორო კარი არ შემცდარა. ხუან ვენს ნამდვილად ჰქონდა მისწრაფებები საიმპერატორო ტახტის უზურპაციისაკენ. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მის ხელში თავი მოიყარა იანგწის ზემო დინების სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებამ. სჩუანის აღებით კიდევ უფრო გაძლიერდა მისი ავტორიტეტი და ძალაუფლება. ჩრდილოეთითაც რომ წარმატებისათვის მიეღწია, დიდი ალბათობით იმპერატორი იქნებოდა შემდეგი სამიზნე. მით უმეტეს, რომ წარუმატებელი ჩრდილოური კამპანიების მარცხის შემდეგაც კი დაუპირისპირდა იმპერატორს და ტახტიც დაათმობინა მას. თუმც, ხუან ვენს ვანგ ტუნის მსგავსად არ დასცალდა მიზნების ბოლომდე მიყვანა და მალევე გარდაიცვალა, საიმპერატორო კარი კი კიდევ ერთ კრიზისს გადაურჩა.

მე-4 საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ძალთა ბალანსი შეიცვალა. თუ აქამდე სამხრეთელები აქტიურობდნენ, ახლა უკვე ჩრდილოეთი გადავიდა შემტევ პოზიციაში. ამის მიზეზი იყო ჩრდილოეთში პოლიტიკური რეალობის ცვლილება. ამ პერიოდში ჩრდილოეთ ჩინეთი ადრეული ცინის სამეფოს ქვეშ გაერთიანდა. ძლიერი მმართველის ქვეშ სამხედრო პოტენციალის უკეთესი რეალიზაცია მოხდა და სამხრეთს დიდი საფრთხე დაემუქრა. 373 წელს ცინმა დაიპყრო სჩუანის პროვინცია. 383 წელს კი მოეწყო გენერალური შეტევა აღმოსავლეთ ძინის წინააღმდეგ. ჩრდილოეთ ჩინეთში მცხოვრები არახანელი და ხა-

ნელი მეომრებისაგან დაკომპლექტებული არმია ზოგიერთ ცნობით 800 ათას მეომარს აღემატებოდა. სავარაუდოდ, ეს რიცხვი გადაჭარბებულია, თუმცა ადრეული ცინის არმია მართლაც ზღაპრული რაოდენობის უნდა ყოფილიყო. ძინის მხარეს ძირითადი მებრძოლი ძალა იყო „ჩრდილოური არმია", რომელიც 80 ათას მეომარს მოითვლიდა.

გადამწყვეტი ბრძოლა ცინისა და ძინის ძალებს შორის იმავე წელს მდინარე ფეიშუეისთან[1] გაიმართა. ძინის ძალებმა ათჯერ აღმატებული მოწინააღმდეგის არმიას სძლიეს და სამხრეთ ჩინეთი დიდი კატასტროფისაგან გადაარჩინეს. ცინის უზარმაზარი არმიის მარცხის მიზეზი ლოჯისტიკა და ცუდი ორგანიზება იყო. მრავალი ეთნოსით დაკომპლექტებულ არმიას ერთიანობის გრძნობა აკლდა. ძინის მხარეს კი „ჩრდილოური არმია" მომთაბარეებზე შურისძიების სურვილით იყო სავსე.

ფეიშუეის ბრძოლაში გამარჯვებამ შესანიშნავი შესაძლებლობა მისცა აღმოსავლეთ ძინს ჩრდილოეთის შემოსაერთებლად. ძინის არმიის ნაწილმა შანტუნგის პროვინციასაც კი მიაღწია, მაგრამ საიმპერატორო კარმა არჩია ბრძოლის მოგებით გამოწვეული მუხტი შიდა კონფლიქტების ჩასახშობად და ფეოდალების მოსათოკად გამოეყენებინა. ამის შედეგად, ჩრდილოეთის დაბრუნება კვლავ გადაიდო გაურკვეველი დროით.

აღმოსავლეთ ძინის დინასტიის ფარგლებში ჩრდილოეთით ბოლო დიდი ლაშქრობების მოწყობა ეკუთვნის ლიოუ იუს. „ჩრდილოური არმიის" მთავარსარდალმა 409 და 417 წლებში არახანური ტომების დაარსებული სამხრეთ იენი და გვიან ცინი[2] დაიპყრო. ხუან ვენის მსგავსად, ლიოუ იუსაც ავტორიტეტის ასამაღლებლად სჭირდებოდა ჩრდილოეთში წარმატებული ლაშქრობები. შედეგმაც არ დააყოვნა. 420 წელს მან გადააყენა აღმოსავლეთ ძინის უკანასკნელი იმპერატორი და დაარსა ლიოუ სუნგის დინასტია.

ამგვარად, აღმოსავლეთ ძინის დინასტია ისე დაეცა, რომ ჩრდილოეთ ჩინეთი ვერ შემოიერთა. უფრო მეტიც, დროის სელასთან ერთად ჩრდილოელი მომთაბარეები იღებდნენ ინიციატივას. იმპერიის არასტაბილური შიდა პოლიტიკის გამო საგარეო პოლიტიკაც წარუმატებლად

[1] მდინარე თანამედროვე ანხუეის პროვინციაში.

[2] მე-4-5 საუკუნეებში არსებობდა ორი სხვადასხვა ცინის სამეფო ერთმანეთის მიმდევრობით. მათი ერთმანეთისაგან გამოსაყოფად თანამედროვე ისტორიკოსები ქრონოლოგიურად უფრო ადრე ჩამოყალიბებულს მოიხსენიებენ, როგორც ადრეული ცინი და გვიანდელს როგორც გვიანი ცინი – 前秦, 后秦.

მიმდინარეობდა. იმპერატორის სამხედრო ძალა საკმარისი არ იყო ჩრდილოეთით წინსვლისთვის, ფეოდალების ნებისმიერი ინიციატივა ამ მხრივ იმპერატორს მეტოქის გაჩენის შიშს უქმნიდა. ჩრდილოეთ ჩინეთის დაპყრობის საუკეთესო პერიოდი სწორედ მე-4 საუკუნის პირველი ნახევარი იყო, სანამ არახანური წარმოშობის ტომები ძალთა კონსოლიდაციას დაიწყებდნენ და ძლიერი სამეფოები გამოჩნდებოდნენ. მე-4 საუკუნის ბოლოდან ჩრდილოელმა ტომებმა უკვე დაიწყეს ჩინური გამოცდილების მაგალითზე ძლიერი იმპერიების ჩამოყალიბება, რომლის წინააღმდეგაც სამხრეთის არაცენტრალიზებულ იმპერიას სამხედრო წარმატების მცირე შანსი ჰქონდა.

აღმოსავლეთ ძინის დინასტიის აღსასრული

აღმოსავლეთ ძინის დინასტიის არსებობის განმავლობაში იმპერატორს არასოდეს არ ჰქონდა მყარი კონტროლი ქვეშევრდომებზე. ამის ძირითადი მიზეზი იყო სუსტი არმია. რადგან მას საკუთარი ძლიერი სამხედრო ძალა არ ჰყავდა, საგარეო და საშინაო კონფლიქტებში ყოველთვის ფეოდალებზე იყო დამოკიდებული. მუდმივი არმიის შექმნის მიზნით ჯერ კიდევ ცაო ცაომ ჩამოაყალიბა ე.წ. სამხედრო დასახლებები და სამხედრო ოჯახები. ეს ინსტიტუტი დასავლეთ და აღმოსავლეთ ძინშიც არმიის მთავარ წყაროდ რჩებოდა. მაგრამ აღმოსავლეთ ძინის დინასტიას მოსახლეობის სიმცირისა და მოუწესრიგებელი ადმინისტრაციის გამო საკმარისი რაოდენობით სამხედრო ოჯახები არასოდეს ჰყავდა. მეომრები გაურბოდნენ სახელმწიფო სამხედრო ვალდებულებას და ფეოდალების მიწაზე იმალებოდნენ. მეორე მხრივ კი, იმპერატორს მუშახელი სჭირდებოდა მიწების დასამუშავებლად და ვერც გლეხებიდან ავსებდნენ არმიას.

არმიის პრობლემა მხოლოდ მე-4 საუკუნის დასასრულისკენ გადაწყდა. დიდი ფეოდალური გვარის, სიეს წევრმა, სიე სიუენმა 70-იან წლებში ე.წ. „ჩრდილოური არმია" ჩამოაყალიბა, რომელიც აღმოსავლეთ ძინის მთავარი სამხედრო ძალა გახდა. საკუთრივ არმიის მოწყობის ტიპზე ცოტაა ცნობილი. ვიცით, ახალი დანაყოფისათვის მეომრები ჩრდილოეთიდან გადმოსახლებული ოჯახებიდან გამოიყვანეს. ეს ხალხი უფრო გამოცდილი იყო სამხედრო საქმეში და მეტი ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ

ჩრდილოელ მომთაბარეებთან ბრძოლას. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ 383 წელს ძინი გადაურჩა ადრეული ცინის შემოტევას.

მართალია, „ჩრდილოური არმიის" სახით დინასტიამ ძლიერი სამხედრო ძალა შეიძინა, მაგრამ ასეთი ძალის არსებობა სახიფათოც იყო იმპერატორისათვის. არმიის მეთაური დამოუკიდებელ ფეოდალად ჩამოყალიბდა, მიწის გარეშე, მაგრამ დიდი არმიით. ნებისმიერი კონფლიქტის ბედს წყვეტდა ის, თუ ვის მხარეზე დადგებოდა მთავარსარდალი. ამას საიმპერატორო კარზეც ამჩნევდნენ და ფეიშუეის ბრძოლის შემდეგ შეეცადნენ „ჩრდილოური არმია" ცენტრალური ხელისუფლებისათვის უშუალოდ დაექვემდებარებინათ.

ფეიშუეის ბრძოლაში გამარჯვებამ საიმპერატორო კარს აფიქრებინა, რომ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების დრო დადგა. ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს დიდი ფეოდალური სახლების შევიწროება. პირველი დარტყმა სიეს საგვარეულომ მიიღო. ეს გვარი ჩრდილოეთიდან გადმოსახლებული დიდი ფეოდალური სახლებიდან ერთ-ერთი იყო. მისი წევრი იყო „ჩრდილოური არმიის" დამფუძნებელი სიე სიუენი და მთავარი ვეზირი სიე ანი. ფეიშუეის ბრძოლის შემდეგ მათი გავლენა ნელ-ნელა შემცირდა. მალე ორივე ავადმყოფობით გარდაიცვალა და სიეს საგვარეულომ ძველი ავტორიტეტიც დაკარგა.

იმპერატორის გაძლიერების პროცესში საიმპერატორო კარი სხვა დიდ საგვარეულოებსაც დაუპირისპირდა, ვანგსა და ხუანს. წარსულში ორივე მათგანი ასჯანყებია იმპერატორს. თითოეული მათგანი დიდ ტერიტორიას და მრავალრიცხოვან არმიას ფლობდა. გარდა ამისა, ებარათ მნიშვნელოვანი სამხედრო და სამოქალაქო პოსტები. იგრძნეს თუ არა, რომ მათ ძალაუფლებას საფრთხე ემუქრებოდა იმპერატორის მხრიდან, მაშინვე აჯანყდნენ. მე-4 საუკუნის 90-იანი წლებიდან სამხრეთ ძინი აჯანყებების სერიამ მოიცვა. საიმპერატორო კარმა არათუ იმპერიის ცენტრალიზება ვერ მოახერხა, ფეოდალებთან დაპირისპირების დაჩქარებული ტემპის შედეგად დედაქალაქიც კი დაკარგეს. 403 წელს ხუან ვენის შვილმა, ხუან სიუენმა დედაქალაქი ძიენქანგი (ნანძინგი) აიღო და თავი იმპერატორად გამოაცხადა.

ფეოდალების აჯანყება აღმოსავლეთ ძინის ერთადერთი პრობლემა არ იყო. სუსტი საორგანიზაციო აპარატისა და ფეოდალების თვითნებობის პირობებში ყველაზე მეტად გლეხების ფენა ზარალდებოდა. მთელი იმპერიის გადასახადები იმ მცირე მოსახლეობის კისერზე იწვა, რომელიც

იმპერატორს პირდაპირი გამგებლობის ქვეშ დარჩა. სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებდა გადასახადების სულადობრივი მეთოდით ამოღება. ამას ემატებოდა ფეოდალების მიერ საკუთარ მინაზე არსებული ტყეების, მდინარეებისა და ტბების კერძო საკუთრებად გამოცხადება. გლეხებს აეკრძალათ ტყეში ნადირობა ან შეშის მოჭრა, ტბებსა და მდინარეებში თევზაობა. ამის გამო აღმოსავლეთ ძინის დინასტიაში ხშირი იყო გლეხების აჯანყებები. მე-4 საუკუნის ბოლოს დაიწყო დიდმასშტაბიანი გამოსვლები.

გლეხთა აჯანყებებიდან გამოსარჩევია ე.წ. „ვანგ ენის აჯანყება". ტაოიზმის მიმდევარმა ვანგ ენმა დიდი რაოდენობით გლეხები შემოიკრიბა და პერიოდულად თავს ესხმოდა კონტინენტს მეზობელი კუნძულებიდან. აჯანყებულების სამიზნე იყო ფეოდალების ფიზიკური განადგურება. შედეგად, 399-403 წლებში ფეოდალურმა საგვარეულოებმა არნახული ადამიანური ზარალი განიცადეს. რამდენიმე მათგანი გაქრა, ძლიერი საგვარეულოები კი დაკნინდნენ. ვანგ ენის აჯანყებას თავისი დადებითი შედეგიც ჰქონდა. კერძოდ, აჯანყებულების მიერ წარჩინებულების ხოცვის გამო, ფეოდალური საგვარეულოების რიცხვი მნიშნელოვნად შემცირდა, შესაბამისად იკლო მათმა ავტორიტეტმა და ეკონომიკურმა სიძლიერემაც.

ასეთ სიტუაციაში ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდა სარდალი, ლიოუ იუ, უბრალო წარმოშობის პიროვნება, რომელიც გამორჩეული ნიჭის გამო „ჩრდილოური არმიის" რიგებში სწრაფად დაწინაურდა. მან ჩაახშო ვანგ ენის აჯანყება და „ჩრდილოური არმიის" სათავეშიც მოექცა. არისტოკრატიული საგვარეულოების დაკნინების ფონზე, ლიოუ იუმ თავისი ძალა იგრძნო და ყოფილ მოკავშირეს, ხუან სიუენს დაუპირისპირდა. ხუან სიუენმა ძინის იმპერატორი დაამხო და თავი გამოაცხადა ახალი დინასტიის დამაარსებლად. ლიოუ იუმ 404 წელს ბრძოლაში დაამარცხა ხუან სიუენი და ძინის იმპერატორი დააბრუნა ტახტზე. ამგვარად, მოღალატის იარლიყის მაგივრად დინასტიის გადამრჩენელის სტატუსი მიიღო.

ლიოუ იუს პიროვნება ძალიან ჰგავს ცაო ცაოსას. ორივე ღარიბი ოჯახიდან გამოვიდა და სამხედრო მიღწევებით მოხვდა პოლიტიკურ ასპარეზზე. ორივე მიიღვწოდა იმპერატორის ტახტისაკენ. ცაო ცაო ვერ მოესწრო გაიმპერატორებას, ლიოუ იუმ კი მოასწრო დინასტიის დაარსება. 404 წლიდან იგი ცდილობდა საფუძველი მოემზადებინა ამ მომენტისათვის. ჩაახშო შიდა აჯანყებები, მოიშორა მეტოქეები, შემოიერთა

სჩუანის პროვინცია, წარმატებულად ილაშქრა ორჯერ ჩრდილოეთით და ორი არახანური ეთნოსის სამეფო გაანადგურა. შედეგად ჯერ თავადად გამოაცხადა თავი, შემდეგ ვანგად, ბოლოს კი, 420 წელს, ძინის იმპერატორი აიძულა ტახტი ოფიციალურად დაეთმო. იმავე წელს ლიოუ იუმ დაარსა სუნგის დინასტია[1] (420-479 წწ.). ამგვარად, აღმოსავლეთ ძინი დაემხო და ძინის დინასტიის ეპოქა საბოლოოდ დასრულდა.

ძინის დინასტიის კულტურა და ტექნოლოგია

ძინის დინასტია, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ძინი მნიშვნელოვანი ტეხილია ჩინეთის კულტურის განვითარების ისტორიაში. მე-4 საუკუნემდე ინტელიგენცია, ხელოვანები, ხელოსნები კონცენტრირებულნი იყვნენ ჩრდილოეთ ჩინეთში, მდინარე ხუანგხეს აუზში. აქედან ვრცელდებოდა ჩინეთის დანარჩენ ნაწილებში კულტურისა და ტექნიკის მიღწევები. მე-4 საუკუნეში ჩრდილოეთის დაკარგვასთან ერთად საიმპერატორო კარი, დიდი ფეოდალური საგვარეულოები და ინტელიგენციის მთავარი ნაწილი სამხრეთ ჩინეთში გადავიდა. ამდენად, სამხრეთი არათუ დაეწია ჩრდილოეთს, მე-6 საუკუნის ბოლომდე, როცა ჩინეთი კვლავ გაერთიანდა, იანგწის სამხრეთ ტერიტორია იყო ჩინეთის კულტურისა და ტექნოლოგიური სიახლეების ცენტრი.

ძინის დინასტიის ფარგლებში ძირითადი რელიგიები იყო ტაოიზმი და ბუდიზმი. ისევე როგორც სამი სამეფოს დროს, ტაოიზმის ორი მიმართულება გამოიკვეთა. პირველი – შამანური ტაოიზმი, რომელიც უბრალო ხალხში სარგებლობდა პოპულარობით. ეს მიმდინარეობა შელოცვებითა და თილისმებით ზებუნებრივი ძალების გამოყენებას ქადაგებდა. მეორე მიმართულება იყო ელიტური, ფილოსოფიური ტაოიზმი, ე.წ. „ბნელი სწავლება“. ეს მიმდინარეობა ინტელიგენციას იზიდავდა ყოფიერების ფილოსოფიური საკითხებითა და თავისუფალი აზროვნებისაკენ მისწრაფებით. ნელ-ნელა ფეხი მოიკიდა ბუდიზმმაც სამხრეთის მოსახლეობაში. თუმცა წმინდა წიგნებისა და მქადაგებლების სიმცირის გამო, აქ ბუდიზმის გავრცელება ნელა მიმდინარეობდა. 399 წელს ბუდისტი ბერი, ფა სიენი (337-422 წწ.) სახმელეთო გზით გაემგზავრა ინდოეთში, იქ უფრო

[1] ჩინეთის ისტორიაში სხვა სუნგის დინასტიაც იყო. ლიოუ იუს მიერ დაარსებულ დინასტიას „ლიოუ სუნგსაც“ უწოდებენ ხოლმე.



სურ. 91 ფა სიენი

ღრმად შეისწავლა ბუდისტური დოქტრინა და წმინდა წიგნებით დაბრუნდა ჩინეთში (სურ. 91). მან 414 წელს მიაღწია დანიშნულების წერტილს – ძინის დედაქალაქს, ნანძინგს. მომავალში არაერთმა ბუდისტმა ბერმა მიმართა ფა სიენის მაგალითს. ამან ხელი შეუწყო ბუდიზმის უკეთ გაგებას და ხალხის ფართო მასებისათვის მის ახსნას.

ლიტერატურის დარგში გამოჩნდა ლიტერატურული თეორიის შედგენის პირველი მცდელობები. ახალი ტენდენციები დაფიქსირდა პოეზიაში. დასავლეთ ძინის ბოლო წლებში პოლიტიკური მოვლენების გამო პოეტური ნაწარმოებები ტრაგიზმით იყო სავსე. აღმოსავლეთ ძინის პოეტებში კი იდეალური ცხოვრებისკენ სწრაფვა ჩანს. გამოსარჩევია თაო იუენმინგის (365-427 წწ.) პოეზია. მისი ლექსები ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ჩინეთში გახდა ძალიან პოპულარული.

აღმოსავლეთ ძინის დინასტიის დროს მოღვაწეობდნენ ჩინური კალიგრაფიის უდიდესი ოსტატები – ვანგ სიჭი (303-361 წწ.) და ვანგ სიენჭი (344-386 წწ.) (სურ. 92; სურ. 93). ვანგის წარჩინებული გვარიდან გამოსულმა მამა-შვილმა ახალი სიტყვა თქვეს კალიგრაფიაში. მათ ნამუშევრებს დაეფუძნა ახალი სტილი, რომელიც ჩვეულებრივი და სწრაფი წერის სტილის შერწყმის შედეგი იყო და შემდეგში ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსაყენებელ სტილად დამკვიდრდა.



სურ. 92 ვანგ სიჭი და ვანგ სიენჭი



სურ. 93 ხელნერის ნიმუში, ვანგ სიჭი

ძინის დინასტიის დროს მწერლობის ცალკე დარგად ჩამოყალიბდა ისტორია. ამას ხელი შეუწყო ძლიერი ფეოდალური ოჯახების გამოჩენამაც. თუ აქამდე ისტორიის წერა საიმპერა-

ტორო კარის პრივილეგია იყო, ახლა უკვე დიდი ფეოდალებიც უკვეთავდნენ საკუთარი გვარის ისტორიებს. შესაბამისად, ისტორიის შესწავლა უფრო საზოგადო მოვლენა გახდა და მხოლოდ იმპერატორის ნებაზე აღარ იყო დამოკიდებული. როგორც ძველი, ისე ახალი ისტორიკოსებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ე.წ. „ბამბუკის ანალების" აღმოჩენა 279 წელს. ეს ნაშრომი ძვ. წ. 299 წელს ვეის ვანგს ჩაატანეს სამარხში და ხუთი საუკუნე მიწის ქვეშ ინახებოდა. მასში დაცულია ცნობები უძველესი დროიდან ძვ. წ. 299 წლამდე.

ძინის დინასტიის ფარგლებში ძალიან განვითარდა ხატვაც. მანამდე მხატვრები ძირითადად საიმპერატორო კარზე მუშაობდნენ. მათი ძირითადი მოვალეობა იყო იმპერატორის პორტრეტების შედგენა და ხარჭების დახატვა, რომ იმპერატორს მათგან სასურველი ამოერჩია. აღმოსავლეთ ძინის დროს ხატვა ცალკე პროფესიად ჩამოყალიბდა და საიმპერატორო კარზე დამოკიდებული პროფესია აღარ იყო. ამ დროს მოღვაწეობდა ჩინური მხატვრობის ერთ-ერთი მამამთავარი, კუ ქაიჭი (344-406 წწ.). მისი ნახატები უფრო რეალური და ტექნიკურია, ვიდრე მანამდე ტრადიციულ მხატვრობაში იყო გავრცელებული. მანვე შეადგინა სამი წიგნი მხატვრობის თეორიაზე.

საფუძველი ჩაეყარა ფენგშუეის მოძღვრების წერილობით ტრადიციას. კუო ფუმ (276-324 წწ.) გამოსცა პირველი წიგნი ფენგშუეის შესახებ, აღწერა და განავრცო ფენგშუეის თეორია. მანვე მოაწესრიგა და თავიდან გამოუშვა ძველი ჩინური მითების კრებული.

16 სამეფო

მე-4 საუკუნის დასაწყისიდან ჩრდილოეთ ჩინეთი არახანური წარმოშობის ეთნოსების მმართველობის ქვეშ მოექცა. სამხრეთში გადახვეწილმა საიმპერატორო კარმა ვეღარასოდეს მოახერხა ჩრდილოეთზე კონტროლის აღდგენა. ამ პერიოდში ჩრდილოეთ ჩინეთში უამრავი დიდი და მცირე სამეფო ჩამოყალიბდა. ისტორიკოსები მათგან ყველაზე მნიშვნელოვან 16 პოლიტიკურ ერთეულს გამოყოფენ და სწორედ აქედან დამკვიდრდა ეპოქის სახელი, 16 სამეფო. იგი იწყება 304 წელს, ჩრდილოეთ ჩინეთში უცხო ეთნოსის მიერ პირველი სამეფოს დაარსებით და სრულდება 439 წელს, როცა ჩრდილოეთ ჩინეთში დაშლილობის ეპოქა ჩრდილოეთ ვეის იმპერიის მიერ ყველა სხვა სამეფოს დაპყრობით დასრულდა.

დროის ამ მონაკვეთში ჩრდილოეთი ჩინეთი ნამდვილ კულტურულ, პოლიტიკურ და ეთნიკურ კალეიდოსკოპად იქცა. სხვადასხვა კულტურის, ეთნიკური წარმომავლობისა და სოციალური შედგენილობის ხალხები უეცრად გამოჩნდნენ დიდ პოლიტიკურ ასპარეზზე. იმდენად დიდი იყო თვით არახანურ ეთნოსებს შორის განსხვავება, რომ ძალიან რთულია მათი ერთი ტერმინის ქვეშ გაერთიანება. მათი ნაწილი მომთაბარე იყო, ნაწილი მკვიდრ ცხოვრებას მისდევდა; ნაწილი ტიბეტურ ეთნოსებს მიეკუთვნებოდა, ნაწილი თურქულ-მონღოლურს, ზოგიერთმა მიიღო ჩინური კულტურის გავლენა, ზოგმა კი ძველი წესები შეინარჩუნა. დაზუსტებით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ ამ პერიოდში განსხვავებულ ეთნოსებს შორის ურთიერთობა, ასიმილაცია, კულტურათა დიალოგი სრულიად ახალ სიმაღლეზე ავიდა.

16 სამეფოს ეპოქაში ჩრდილოეთ ჩინეთში უამრავი ეთნიკური გაერთიანება არსებობდა. მათგან მხოლოდ რამდენიმეს ეკავა მნიშვნელოვანი ადგილი იმდროინდელ პოლიტიკაში. ესენია: სიუნგნუ, სიენპეი, ციანგი, ტი, ძიე და საკუთრივ ხანი. მართალია, ხანელების მნიშვნელოვანი ნაწილი სამხრეთში გადაიხვეწა იმპერატორთან ერთად, მაგრამ ჩრდილოეთში მოსახლეობის უმეტესობას მაინც ისინი შეადგენდნენ. ასე რომ, სრულად მაინც არ ჩამოშორებიან ჩრდილოეთ ჩინეთის პოლიტიკურ ცხოვრებას.

თავისებური იყო ამ პერიოდის სამეფოების სტრუქტურაც. არახანური ხალხების მიერ შექმნილი პოლიტიკური ერთეულები კი ატარებდნენ იმპერიისა და სამეფოს სახელს, მაგრამ რეალურად ეს იყო ეთნოსთა დიდი გაერთიანება, რომელსაც სათავეში ჰყავდა ერთი ინიციატორი ტომი. როგორც კი ეს ცენტრალური ძალა სადავეებს მოუშვებდა ან ავტორიტეტი შეელახებოდა, გაერთიანება იშლებოდა ნაწილებად ახალი ინიციატორის მოლოდინში. ამ დროს ხანის ეროვნებიდან ჩრდილოეთ ჩინეთში ყველაზე გავლენიანი დიდი ფეოდალები იყვნენ. მათ შეინარჩუნეს თავიანთი მიწები უცხოტომელებთან დათმობებზე წასვლის ხარჯზე. საკუთრივ არც ახალ მოსულებს უნდოდათ მთელი ჩინური მოსახლეობის გადაკიდება. მათთვის მომგებიანიც კი იყო ფეოდალების თავიანთ ადგილებზე დატოვება. ფეოდალებს შეეძლოთ მოსახლეობის ორგანიზება, გადასახადების მოწესრიგებულად აკრეფა, რაც აუცილებელი იყო ნებისმიერი სამეფოს არსებობისათვის. გარდა ამისა, ეს ფეოდალური სახლები დიდ ეკონომიკურ და სამხედრო ძალას ფლობდნენ, ამიტომ ყოველი ახალი სამეფოს დაარსებისას, ახალი გაერთიანების ლიდერი მათგან ერთგულების ფიცის მიღებით კმაყოფილდებოდა. მეორე მხრივ, არც ეს ფეოდალები არ გამოდგებოდნენ საიმედო დასაყრდენ ძალად, რამეთუ კრიზისის პერიოდში ისინი მუდამ მზად იყვნენ აჯანყებისთვის.

16 სამეფოს ეპოქა სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ: საწყისი პერიოდი – 304-351 წწ., შუა პერიოდი – 351-383 წწ. და ბოლო პერიოდი – 383-439 წწ. ეპოქის ასეთ დაყოფას ძირითადად პოლიტიკური მიზეზები უდევს საფუძვლად. საწყის პერიოდში (304-351 წლებში) პირველი სამეფოები ჩამოყალიბდა. მათ აკლდათ შიდა ერთიანობა და სისტემის მოწესრიგებულობა, ამიტომ მალევე დაიშალნენ. მეორე ეტაპზე დიდი გაერთიანებები გამოჩნდა. არახანური ეთნოსები უფრო და უფრო მეტად იყენებდნენ ჩინურ გამოცდილებას ქვეყნის მართვაში. მესამე ეტაპზე მთავარი მოთამაშე გახდა ჩრდილოეთ ვეის სამეფო, რომელმაც დაასრულა კიდეც 16 სამეფოს ეპოქა.

საწყისი პერიოდი (304-351)

304 წელს დასავლეთ ძინის დინასტია კატასტროფის წინაშე იდგა. რვა ვანგის აჯანყების შედეგად იმპერიის ძლიერება გაცამტვერდა, მიწასთან გასწორდა ხუანგხეს შუა და ქვემო დინების მიწები. ასე თუ ისე აღდგენილი ეკონომიკაც ისევ მოიშალა. ასეთ სიტუაციაში გადადგა თავისი ნაბიჯი ლიოუ იუენმა, სიუნგნუს ერთ-ერთი ტომის ბელადმა. საიმპერატორო კარზე შესანიშნავი ჩინური განათლების მიღების შემდეგ, ლიოუ იუენი დიდხანს ერთგულად ემსახურებოდა იმპერიას, მაგრამ ძალაუფლებისათვის უაზრო ომის შემყურეს, ერთგულების არანაირი საფუძველი აღარ დარჩა და თავისი იმპერიის შენება დაიწყო. რადგან ატარებდა ხანის დინასტიის საიმპერატორო გვარს, ლიოუს, თავის სამეფოს ხანი დაარქვა და ძველი ხანის იმპერიის აღდგენა გამოაცხადა. ამ გზით ლიოუ იუენს თავისი ქმედებების გამართლება და ხანის ხალხის თვალში სამართლიან მოთამაშედ გამოსვლა სურდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლიოუ იუენიცა და მისი მემკვიდრე ლიოუ ცუნგიც ჩინური კულტურის წიაღში გაიზარდნენ, ამას მათთვის ხელი არ შეუშლიათ სასტიკად გასწორებოდნენ ძინის დინასტიის არმიასა და დედაქალაქებს. 311 წელს ლუოიანგისა და 316 წელს ჩანგანის აღებისას ქალაქებში საშინელი სასაკლაო მოეწყო. არ დაინდეს თვით „ცის შვილიც“. დასავლეთ ძინის უკანასკნელმა იმპერატორებმა სიცოცხლის ბოლო წლები მონურ შრომაში გაატარეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 16 სამეფოს პოლიტიკური გაერთიანებები მხოლოდ ერთი ტომის ეთნიკური გაერთიანება არ იყო. ისინი აერთიანებდნენ მრავალ სხვა ტომსაც. ლიოუ იუენის არმიას ნებით თუ ძალით შეუერთდა ძინის მმართველობით უკმაყოფილო არაერთი არახანური ტომი. მათ შორის იყო ში ლე, ძიეს ტომიდან. ყოფილი მონა, ში ლე რვა ვანგის აჯანყების დროს ყაჩაღთა ბანდას შეუერთდა და მალე საძმოს სათავეში მოექცა. იგი ერთგულად ემსახურებოდა ლიოუ იუენსა და ლიოუ ცუნგს. თუმცა, მათი გარდაცვალების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა.

ჯერ კიდევ მამა-შვილის სიცოცხლეში, ში ლე მათი სახელით მოქმედებისას საკუთარ გავლენას აძლიერებდა. ის შესაბამის მომენტს ელოდებოდა, რომ აჯანყება დაეწყო. მალე ეს მომენტიც დადგა. 318 წელს ლიოუ ცუნგი გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა ლიოუ იაო. მან ჭაოს

(赵) დინასტიის დაარსება გამოაცხადა. ყოფილი თანამებრძოლის[1] მიერ ტახტის დაკავება ში ლემ არ სცნო. ჩრდილოეთ ჩინეთი ორად გაიყო: დასავლეთით ლიოუ იაოს ეკუთვნოდა, აღმოსავლეთი კი – ში ლეს. სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებდა ის ფაქტი, რომ თავის სამეფოს ში ლემაც ჭაო დაარქვა[2]. საბოლოოდ დაპირისპირებაში ში ლემ გაიმარჯვა. 328 წელს მან მთავარ ბრძოლაში დაამარცხა ლიოუ იაო, შემდეგ წელს კი მისი დედაქალაქიც აიღო. ამგვარად, ჩრდილოეთ ჩინეთის უდიდესი ნაწილი ში ლეს ხელში მოექცა. მაგრამ ის მალევე გარდაიცვალა და ბევრი გეგმა შეუსრულებელი დარჩა.

დინასტიის განვითარებისათვის ასეთ საჭირო დროს ძალაუფლება უზურპაციის გზით ხელთ იგდო ში ლეს ძმისშვილმა, ში ხუმ. ჩინური ისტორიული წყაროები ში ხუს გვიხატავენ კლასიკურ ტირანად, სასტიკი, შეუბრალებელი და მფლანგველი სუვერენი. განსაკუთრებით სისასტიკეს იგი იჩენდა ხანის ეთნოსის მიმართ. მმართველობის 15-წლიან მონაკვეთში გადამეტებული სისასტიკის შედეგად შვილებიც კი აიმხედრა და საბოლოოდ მათი აჯანყებების ჩახშობის პროცესში გარდაიცვალა. ალბათ, ში ხუს მხრიდან გამოჩენილმა სისასტიკემ ხანელებში შურისძიების გრძნობა გაამძაფრა. საინტერესო ისაა, რომ მათ მოძრაობას ში ხუს შვილობილი, წარმოშობით ჩინელი, ჟან მინი უძღვებოდა. მან შესანიშნავად გამოიყენა ხანელების სიძულვილი უცხოტომელებისადმი და საკუთარი მმართველობის ქვაკუთხედად სწორედ ამ სიძულვილის გაღვივება და პრაქტიკაში გატარება აქცია. ფაქტობრივად იგი უცხოტომელებისადმი ახალ ში ხუდ იქცა. მან გამოაცხადა ვეის სამეფოს დაარსება და ყველა არაჩინურ ეთნოსს ომი გამოუცხადა.

საკუთრივ ჟან მინის რადიკალურმა ქმედებებმა არახანური ეთნოსების დიდი ყურადღება მიიქცია. შედეგად, ახლადჩამოყალიბებული და მზარდი ვეის სამეფოს წინააღმდეგ ადრეული იენის სამეფო გამოვიდა. ვეიმ ვერ გაუძლო ძლიერი მტრის შემოტევას და დაარსებიდან სულ რაღაც ერთ წელში დაასრულა არსებობა.

---

[1] სწორედ ლიოუ იაო და ში ლე მეთაურობდნენ ლუოიანგისა და ჩანგანის აღების ოპერაციებს.

[2] იმისათვის, რომ განასხვაონ ერთმანეთისაგან, ისტორიკოსები ლიოუ იაოს მიერ დაარსებულ დინასტიას ადრეულ ჭაოს, 前赵 უწოდებენ, ში ლეს დინასტიას კი – გვიან ჭაოს, 后赵.

16 სამეფოს პირველ ეტაპზე ჩამოყალიბებული სამეფოები ახალ პოლიტიკურ რეალობაში შექმნილი პირველი ერთეულები იყვნენ. ეს სამეფოები აღარ მიეკუთვნებოდნენ დიდ იმპერიას. უზარმაზარი კონგლომერატიდან გამოსულ ხალხს მოქმედების ახალი, მანამდე წარმოუდგენელი ასპარეზი გადაეშალათ. ქაოსმა ამ შემთხვევაში მართლაც კიბის როლი ითამაშა. არისტოკრატით დაწყებული მონით დამთავრებული ყველას ჰქონდა ძალაუფლების კიბის სათავეში მოქცევის შანსი.

იმპერატორის აპარატის მოშლამ ჩრდილოეთ ჩინეთში ნამდვილი ქაოსი გამოიწვია. დაწყებული 291 წელს რვა მეფის აჯანყებიდან 16 სამეფოს ეპოქის დამთავრებამდე მდინარე ხუანგხეს აუზში გამუდმებით მიმდინარეობდა ომები, ფეოდალთა და გლეხთა აჯანყებები, ბანდიტური დაჯგუფებების ჩამოყალიბება, ხშირი იყო მასშტაბური შიმშილი. გაუთავებელი კატაკლიზმებისა და გადასახლებების გამო ჩრდილოეთ ჩინეთში ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობას დიდი ზარალი მიადგა, ხალხი ნატურალურ ვაჭრობაზე გადავიდა, საგრძნობლად იკლო მოსახლეობამ. საქმე იქამდე მივიდა, რომ მიწის დასამუშავებლად გლეხები აღარ ჰყოფნიდათ[1]. დაპყრობების შედეგად მიღებულ ძირითად სიმდიდრედ მიწა კი არა გლეხი იქცა. ამიტომ, ყოველი ახალი სამეფოს დაპყრობით ომებს ძირითადად დაპყრობილი ტერიტორიიდან მოსახლეობის საკუთარ მიწაზე, განსაკუთრებით კი დედაქალაქის გარშემო დასახლებისათვის აწარმოებდა.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს დასავლეთი ძინის დამხობასთან ერთად ჩრდილოეთში პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზი მხოლოდ არახანურ ტომებს მიჰყავდათ. 16 სამეფოს ეპოქის პირველ მონაკვეთში ჩამოყალიბდა ოთხი ძირითადი სამეფო: ადრეული ჭაო, გვიანი ჭაო, ადრეული იენი და ადრეული ლიანგი. ეს უკანასკნელი მდებარეობდა თანამედროვე კანსუსა და ცინგხაის პროვინციების ტერიტორიებზე, ძირითადი სავაჭრო გზების გასწვრივ. იგი დაფუძნდა ამ რეგიონში გაგზავნილი დასავლეთ ძინის გუბერნატორის მიერ. მან გაუძლო უცხო ტომელების თავდასხმებს და დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. ადრეული ლიანგი იყო აბსოლუტურად ხანის ეთნოსით მართული და დასახლებული ჩინური სამეფო. უფრო მეტიც, ლიანგის მეფეები აღიარებდნენ აღმოსავლეთ ძინის იმპერატორის უზენაესობას და მას ხარკსაც უხდიდნენ.

[1] ალბათ ესეც იყო ხანის ეროვნების ჯარში გაუწვეველობის მიზეზი. მმართველ ფენას მიწის დამმუშავებელთა რაოდენობის შემცირება არ სურდა.

ჩრდილოეთში ძინის იმპერატორის ძალაუფლების დაცემას და არახანური ეთნოსების გაძლიერებას მოჰყვა ხანელების სოციალური სტატუსის შემცირება. აღარ იწვევდნენ მათ არმიაში, რადგან მომთაბარეებისათვის ნამდვილი მეომარი ცხენოსანი იყო და არა ქვეითი. თუ ხანელებს არმიაში გაიწვევდნენ, ისიც მხოლოდ ტვირთის საზიდად და ბანაკში საქმის საკეთებლად. ზოგჯერ ისინი ძლიერი შევიწროების მსხვერპლნიც კი ხდებოდნენ, როგორც ეს ში ხუს შემთხვევაში მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, ახლად ჩამოყალიბებულ სამეფოებში ხანელებს ცალკე რეესტრში წერდნენ და სხვა კრებითი სახელით მოიხსენიებდნენ.

ვერ ვიტყვით, რომ ეს საზოგადოდ გაზიარებული მოვლენა იყო. მაგალითად, სიენპეის ტომის ერთ-ერთი ჯგუფის, მუჟუნგის მიერ დაარსებული ადრეული იენის სამეფოში[1] ხანის ეროვნების შევიწროების ნიშანი არ ჩანს. გარდა ამისა, ეს არახანური სამეფო აღმოსავლეთ ძინის იმპერატორის უზენაესობას აღიარებდა[2]. სწორედ ამ მიზეზების გამო, ცენტრალური ჩინეთიდან ომიანობის დროს გადასახლებულების ნაწილი ადრეულ ლიანგსა და ადრეულ იენში დასახლდა.

რაც უნდა ზემოდან ეყურებინათ ხანელებისათვის, „ბარბაროსები" სამეფოების დაარსებიდან მალევე მიხვდნენ, რომ ქვეყნის მართვა ჩინელებისა და ჩინური გამოცდილების გარეშე შეუძლებელი იყო. ჯერ კიდევ მონღოლების გამოჩენამდე ცხრაასი წლით ადრე ჩრდილოეთ ჩინეთში მცხოვრები არახანური ხალხებისათვის ცხადი გახდა მწარე რეალობა: „სახელმწიფოს ცხენის უნაგირიდან ვერ მართავ"[3]. ისეთ ლიდერებს, როგორიც იყვნენ ში ლე, ლიოუ იუენი, ლიოუ იაო ჰყავდათ ჩინელებისაგან დაკომპლექტებული სამოხელეო აპარატი. ში ლეს წარმატებული აღმასვლა დიდწილად დამოკიდებული იყო მის ხანელ მრჩეველზე, ჭანგ პინზე. გააცნობიერეს, რომ ხალხის ფართო მასების ორგანიზება და გადასახადების აკრეფა ცხენის ჭენებით ვერ მოგვარდებოდა და ში ლემ და ლიოუ იაომ დაარსეს არაერთი სასწავლებელი და უნივერსიტეტის მსგავსი დაწესებულებები მოხელეების მოსამზადებლად.

---

[1] მდებარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, თანამედროვე ლიაონინგისა და ძილინის პროვინციების ტერიტორიაზე.

[2] სანამ თვითონ დააარსებდნენ იმპერიას 351 წელს, ვეის დაპყრობის შემდეგ.

[3] ეს ცნობილი გამოთქმა ეკუთვნის იელუ ჩუცაის (1190-1244 წწ.). იგი წარმოშობით ხიტანების ტომიდან იყო, თუმცა ჩინურ კულტურულ გარემოში გაიზარდა, მოგვიანებით კი მონღოლთა საიმპერატორო კარზე მთავარი მრჩეველი გახდა.

ხშირად ისმის კითხვა, თუ როგორ გაძლო ჩინეთის მსგავსმა უზარმაზარმა სახელმწიფომ ათასწლეულების განმავლობაში. პასუხი ჩინეთის სამხედრო ძლიერებაში კი არა, არამედ მის კულტურაშია, როგორც ლიტერატურულ, ისე პოლიტიკურ კულტურაში. მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო იმპერატორის ტახტზე – ხანელი, მონღოლი თუ რომელიმე სხვა ეთნოსის წარმომადგენელი, იმპერიის მართვის აპარატი ყოველთვის ჩინურ მოდელს ეფუძნებოდა და ჩინელი მოხელეების წყალობით ფუნქციონირებდა. სწორედ ეს იყო ჩინელების უძლიერესი იარაღი დამპყრობლების ნინააღმდეგ.

შუა პერიოდი (351-383)

16 სამეფოს ეპოქის შუა პერიოდის მთავარი გმირი ადრეული ცინის იმპერია იყო. ეს ქვეყანა 351 წელს ჩამოყალიბდა ტიბეტური წარმოშობის ტის ტომის მიერ. ეს ტომი და მთლიანად ადრეული ცინის იმპერია 16 სამეფოს ხანაში უნიკალური მოვლენა იყო. საქმე ისაა, რომ ტის ტომი, განსხვავებით ამ ეპოქის სხვა ძირითადი ტომებისაგან, არა მეცხენეობას, არამედ მინათმოქმედებას მისდევდა. ჯერ კიდევ ხანის იმპერატორის მმართველობისას, ტის ტომი გადასული იყო მკვიდრ ცხოვრებაზე. ისტორიულად ისინი არც ომისადმი მიდრეკილებით გამოირჩეოდნენ და ცხენოსანი დანაყოფებიც მეორეხარისხოვანი იყო მათ არმიაში. ცინის არმია ძირითადად ფეხოსან ლაშქარს ეყრდნობოდა და ამიტომ ხანის ეროვნების მეომრებიც ჩაწერეს ჯარში.

ადრეული ცინის სამეფოს დაწინაურება დაკავშირებულია იმპერატორ ფუ ძიენთან. მან მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა არმიასა და მთავრობაში. იგი უფრო ჩინური გამოცდილებას დაეყრდნო. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ზედა ფენა მაინც ტის ეროვნების პირებს ეკავათ. ერთადერთი ხანელი, რომელიც ამ წრემდე აღწევდა, იყო იმპერატორის მრჩეველი, ვანგ მენგი. ფუ ძიენი იმდენად ენდობოდა მას, რომ ნებისმიერი ვინც ვანგ მენგს შეურაცხყოფდა მკაცრად ისჯებოდა, სარდლები და მინისტრებიც კი.

იმპერიის შიდა პრობლემების მოწესრიგების შემდეგ, ფუ ძიენი აქტიურ საგარეო დაპყრობებს შეუდგა. მან წარმატებით მოიგერია აღმოსავლეთ ძინის სარდლის, ხუან ვენის რამოდენიმე შემოჭრა; 370 წელს

დაამარცხა მთავარი მოწინააღმდეგე ჩრდილოეთ ჩინეთში, ადრეული იენი; სამი წლის შემდეგ აღმოსავლეთ ძინს სჩუანის პროვინცია წაართვა, კიდევ სამი წლის შემდეგ კი ჩრდილოეთ ჩინეთში ხანის ეროვნების უკანასკნელი სამეფო – ადრეული იენიც აიღო. ამგვარად მან ჩრდილოეთ ჩინეთი ადრეული ცინის ქვეშ გააერთიანა.

ჩრდილოეთ ჩინეთში წარმატებულმა სამხედრო კამპანიებმა ფუ ძიენის ამბიციები გაზარდა და მომავალ მეტოქედ აღმოსავლეთ ძინის დინასტია დაისახა. თავის დროზე ვანგ მენგი აფრთხილებდა მას, რომ ძინისათვის არ შეეტია. ვანგ მენგი 376 წელს გარდაიცვალა. არავინ იცის ვანგ მენგის ეს რჩევა საკუთარი ეროვნებისადმი სენტიმენტებით იყო გამოწვეული თუ სამხრეთ ჩინეთის გეოგრაფიისა და ჩინეთის ისტორიის კარგი ცოდნით. საქმე ისაა, რომ სამხრეთით ლაშქრობა ხშირად გამხდარა დიდი სარდლების ნაგების მიზეზი. არმიის ის ძლიერი მხარეები, რომლებსაც ჩრდილოეთ ჩინეთში წარმატება მოჰქონდა, სამხრეთში უსარგებლო იყო. თავის დროზე ცნობილმა სარდალმა, ცაო ცაომაც დიდი მარცხი იწვნია, როცა სამხრეთ ჩინეთის დაპყრობა მოინდომა. როგორც ჩანს, ფუ ძიენს განდიდების სინდრომმა მასწავლებლის გაფრთხილება დაავიწყა. ალბათ ძალიან დიდი იყო ცდუნება იმისა, რომ ცინის დინასტიის სახელით ჩინეთი მეორედ გაერთიანებულიყო და ცინ შიხუანგტისთან თანაბარ სიმაღლეზე დამდგარიყო.

381 წლიდან ფუ ძიენმა დაიწყო ლაშქრობა იანგწის სამხრეთის დასაპყრობად. მისი არმია კოლოსალური სიდიდის იყო. წყაროების მიხედვით მას 600 ათასი ქვეითი და 240 ათასი ცხენოსანი ჰყავდა. არმიაში არა მხოლოდ ტის ტომის მეომრები, არამედ იმპერიის ყველა ტომის წარმომადგენელი იყო. რეალურად ტის ტომიდან გამოსული მეომრები არმიის მხოლოდ 1/10-ს შეადგენდნენ. ეს უზარმაზარი არმია 383 წელს დაიძრა აღმოსავლეთი ძინის დასამარცხებლად. მოწინააღმდეგის მხარეს 100 ათასამდე მეომარიც კი ვერ შეგროვდა, თუმცა ძინის მთავარი ძალა, „ჩრდილოური არმია" ძლიერ დისციპლინირებული და მაღალი საბრძოლო უნარ-ჩვევების დანაყოფი იყო.

იმავე წელს გაიმართა მთავარი ბრძოლა ორ არმიას შორის მდინარე ფეიშუეისთან. ისტორიული წყაროების მიხედვით ცინისა და ძინის არმიები მდინარე ფეიშუეის მოპირდაპირე მხარეებზე დაბანაკდნენ. ძინის არმიის სარდალმა შესთავაზა ცინის არმიის მთავარსარდალს, რომ უკან დაეხიათ და საშუალება მიეცათ ძინის არმიისათვის მდინარე გადაე-

ლახათ, რომ მთავარი ბრძოლა დაეწყოთ. ცინის უზარმაზარი არმიის ხანგრძლივი დროით შენახვა შეუძლებელი იყო, ამიტომ ცინის მხარეც ამ ბრძოლას ელოდებოდა. მათ რეალურად გეგმაში ჰქონდათ ძინის ნახევარი არმიისათვის ეცლიათ მდინარეზე გადმოსვლა და შემდეგ მოულოდნელად შეეტიათ. ამიტომ ცინის მთავარსარდალი დასთანხმდა შემოთავაზებულ წინადადებას და არმიას უკან დახევა უბრძანა. რამდენადაც ცინის არმია ძალიან მოცულობითი იყო, უკან დახევის მიზეზების მთელი არმიისათვის გადაცემა ვერ მოხერხდა. უკანა რიგებში მყოფ მეომრებს ეგონათ, რომ ბრძოლა უკვე წააგეს და ქაოსურად დაიწყეს უკან დახევა. ამის შედეგად ცინის მთლიანი არმია აირია. ამ მომენტით ისარგებლეს ძინის სარდლებმა და შეტევაზე გადავიდნენ. ცინის სამეფოს არმიის თავდაპირველი რაოდენობის მხოლოდ 70-80-მა პროცენტმა გააღწია სამხრეთიდან.

მიუხედავად იმისა, რომ წყაროები ბრძოლის წაგების მიზეზად არმიაში არეულობას ასახელებენ, ასეთი დიდი ბრძოლის ფიასკოთი დასრულების ახსნა მხოლოდ ამ ერთი მიზეზით შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ მონინააღმდეგე არმიებს შორის მეომრების შეფარდება 1:10-ზე იყო. მაშ რამ გამოიწვია მარცხი? მიზეზი რამდენიმეა: არმიაში კოორდინაციისა და დისციპლინის ნაკლებობა, არმიის ჭრელი შემადგენლობა, არმიის სიდიდე და გაწელილი მომარაგების ხაზი, სამხრეთ ჩინეთის კლიმატი.

როგორც აღვნიშნეთ, სამხრეთით ლაშქრობისას ფუ ძიენის არმიის მხოლოდ მეათედი იყო ტის ტომიდან. დანარჩენები მის მიერ დაპყრობილი სხვადასხვა ტომებიდან გამოსული მეომრებისგან დაკომპლექტდა, მათ შორის ხანელებიც იყვნენ. ბუნებრივია, ამ ხალხის მთავარ მოტივს ომის ალაფი წარმოადგენდა. რამდენადაც იმპერია ახლად ჩამოყალიბებული იყო, იმპერიის შიგნით მცხოვრებ ხალხებს შორის ასიმილაციის პროცესი შორს ვერ წავიდა. იგივე სიტუაცია იყო არმიაში, სადაც დანაყოფები ძირითადად წარმომავლობის საფუძველზე იკრიბებოდა. მრავალეთნიკური არმიის მეომრებში ერთიანობის განცდა არ იყო, შესაბამისად არც მეომრებს ჰქონდათ მაღალი საბრძოლო სულისკვეთება და იმპერიის ერთგულება.

არმიის სიდიდეს ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. რაც უფრო შორდებოდა ასეთი მოცულობის არმია იმპერიის საზღვრებს, მისი მომარაგება უფრო და უფრო რთული ხდებოდა. მით უმეტეს სამხრეთ ჩინეთის პირობებში, რომელიც მდინარეებით, ჭაობები-

თა და ტყეებით იყო დაფარული. კლიმატმა იმოქმედა მეომრებზეც, რომელთა დიდი ნაწილიც ჩრდილოეთში დაბადებულ-გაზრდილი არახანური წარმოშობის ხალხი იყო. ტენიან გარემოში უცებ გადასვლის შედეგად არმიაში დაავადებები გავრცელდებოდა. რაც მთავარია, სამხრეთ ჩინეთი იანგწით იყო გამოყოფილი ჩრდილოეთისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ლაშქრობამდე რამდენიმე წლით ადრე ფუ ძიენმა აიღო სჩუანი, რომელიც სამხრეთზე წყლით თავდასხმისათვის შესანიშნავი ბაზა იყო, ფუ ძიენმა ეს უპირატესობა არ გამოიყენა. მისი არმია ძირითადად არახანელებისაგან იყო დაკომპლექტებული. ამ ხალხებს კი წყალზე ბრძოლის გამოცდილება არ ჰქონდათ.

ფეიშუეისთან ბრძოლის შემდეგ ფუ ძიენი რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მისი ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დაეცა. რეალურად რაც მის მიერ შეკოწიწებულ იმპერიას აერთიანებდა, იყო საკუთარი სამხედრო წარმატებები. ასეთი კატასტროფული მარცხის შემდეგ კი კოალიციაში ბზარების გაჩენა მოსალოდნელი იყო და ასეც მოხდა. იმავე წელს დაიწყო აჯანყებები. ორი წლის შემდეგ თვითონ ფუ ძიენიც აჯანყებულებმა მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულმა ცინმა კიდევ ათი წელი გასტანა, ძველი დიდება ვეღარ დაიბრუნა.

ბოლო პერიოდი (383-439)


ადრეული ცინის კატასტროფულ მარცხს ჩრდილოეთში დიდი ძვრები მოჰყვა პოლიტიკაში. ფუ ძიენის ყოფილი ქვეშევრდომები და მოკავშირეები მის წინააღმდეგ გამოვიდნენ, ჩამოყალიბდა უამრავი ახალი პატარა და დიდი სამეფო. შედეგად, ჩრდილოეთ ჩინეთი კვლავ ომის საბურველში გაეხვია. ამ დიდ არეულობაში ნელ-ნელა წინ წამოიწია ჩრდილოეთ ვეის სამეფომ. სიენპეის ტომის თუოპას საგვარეულოს მიერ ჩამოყალიბებულმა ამ სამეფომ მტკიცე ცენტრალური მმართველობისა და სწორი საგარეო პოლიტიკის წყალობით, სულ რაღაც სამ ათწლეულში ჩრდილოეთ ჩინეთში წამყვანი პოზიციები დაიკავა. დაარსებიდან 40 წელში კი ჩრდილოეთ ჩინეთი კვლავ ერთი სამეფოს ქვეშ გააერთიანა.

16 სამეფოს ეპოქა მნიშვნელოვანი პერიოდია ჩინეთის ტერიტორიაზე მოსახლე ხანელი და არახანელი ხალხების კულტურათა დიალოგის, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების რეფორმირებისა და პრაქტი-

კაში დანერგვის მხრივ. ხანელები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ბატონობდნენ ხუანგხეს დინებაზე, უეცრად უცხო ხალხების ბატონობის ქვეშ მოექცნენ და საზოგადოებაში პრივილეგირებული მდგომარეობიდან ყველაზე დაბალ ფენად იქცნენ. მართალია, ზოგიერთ სამეფოში ცდილობდნენ ხანელი გლეხების მოზიდვას და ფეოდალების ერთგულების მიღებას, მაგრამ საერთო ჯამში უცხოტომელები მათ მაინც არ ენდობოდნენ და პოლიტიკის ზედა ფენებს არ აკარებდნენ. თუმცა ვერც ხელისუფლებიდან მათი სრული მოკვეთა შეძლეს, რადგან საკუთრივ არახანელ ხალხს იმპერიის მართვის კულტურა არ ჰქონდა. ამიტომ იძულებულები იყვნენ მოხელეების დიდი ნაწილი ისევ ხანის ეთნოსიდან აეყვანათ.

მართალია, ხანელებს ძალაუფლებისაკენ მიმავალ გზებს უბლოკავდნენ, მაგრამ არახანელი ხალხები ნებით თუ უნებლიეთ ჩინური კულტურის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ. ხალხები, რომლებიც მომთაბარულ ცხოვრებას მისდევდნენ მკვიდრ ცხოვრებაზე გადავიდნენ და ფეოდალიზმის სტადიაზეც შეაბიჯეს. ფულისა და სიმდიდრის დაგროვებასთან ერთად, სწრაფვა ჩინური მაღალი საზოგადოების ცხოვრებისადმი უფრო და უფრო მატულობდა. მეორე მხრივ, ჩინური კულტურის ასეთი მძლავრი ქმედება უცხოტომელების ნაწილში შიშს ბადებდა და უარყოფითი განწყობა ეუფლებოდათ ყოველივე ჩინურის მიმართ საკუთარი ტრადიციების დაკარგვის შიშით. მაგრამ ასეთი კონსერვატიული დამოკიდებულება მხოლოდ გარკვეული დროით ანელებდა ხალხთა ასიმილაციას.

კულტურათა შორის დიალოგისას გავლენა ცალმხრივი არ ყოფილა. ხანელებმაც შეითვისეს არახანელი ხალხებისაგან ზოგიერთი წეს-ჩვეულება, მაგალითად, ჩრდილოეთში ქალი უფრო მეტი თავისუფლებით სარგებლობდა, ვიდრე სამხრეთში. ზოგადად, ტრადიციულ ჩინურ საზოგადოებაში კონფუციური დოგმების მიხედვით ქალის უფლებები და განვითარების პერსპექტივები საგრძნობლად შემცირებული იყო. მომთაბარეებში კი სოციალური სტრუქტურა ისეთი კონსტრუქციული და დიფერენცირებული ნამდვილად არ იყო, როგორც ხანელებში. შესაბამისად, ქალი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა გარკვეულ თავისუფლებას.



სურ. 94 ჩრდილეთისა და სამხრეთის დინასტიები

სამხრეთის დინასტიები

420 წელს დასავლეთ ძინის უკანასკნელმა იმპერატორმა იძულებით თქვა უარი ტახტზე და ლიოუ იუს მიერ დაარსდა ახალი, ლიოუ სუნგის დინასტია. მომდევნო 150 წლის განმავლობაში სამხრეთ ჩინეთში ერთმანეთს ოთხი დინასტია ჩაენაცვლა: სუნგი, ცი, ლიანგი და ჩენი, ოთხივე ერთმანეთზე სუსტი. ჩრდილოეთის შემოერთებაზე უკვე ოცნებალა იყო დარჩენილი. ამ ოთხ დინასტიას აერთიანებენ ერთი ტერმინით – სამხრეთის დინასტიები. საკუთრივ სამხრეთის დინასტიებს კი აერთიანებენ უფრო ფართო ეპოქაში – სამხრეთისა და ჩრდილოეთის დინასტიები. ეს ეპოქა დასრულდა უკანასკნელი სამხრეთული დინასტიის, ჩენის დაცემით და სუეის დინასტიის მიერ ჩინეთის გაერთიანებით.

სამხრეთის ოთხი დინასტიიდან ყველაზე ძლიერი იყო ლიოუ იუს მიერ დაარსებული სამხრეთ სუნგის დინასტია. ლიოუ იუ ქარიზმატული პიროვნება იყო და სამხედრო გენიასთან ერთად სახელმწიფოს მართვის უნარიც გააჩნდა. მან გაატარა რიგი რეფორმები იმპერატორის ძალაუფლების გასამყარებლად. უპირველეს ყოვლისა, მაღალი თანამდებობები ნათესავებს ჩააბარა, მაგრამ არმია იმპერატორის დაქვემდებარებაში რჩებოდა. მოაწესრიგა საგადასახადო სისტემა. გადასახადის ამკრეფების თვითნებობას სასტიკად სჯიდა. რაც ყველაზე მთავარია, მან დიდი მასშტაბით გაატარა „მიწის ჩამოჭრის" რეფორმა. ეს რეფორმა გულისხმობდა ჩრდილოეთიდან გადმოსახლებული ჩრდილოური ოჯახების შთამომავლების ჩვეულებრივ რეესტრში ჩაწერას და ფეოდალების მიწებზე დამოკიდებული გლეხების რაოდენობის შემოწმებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ ძინში ჩრდილოელი მიგრანტები ცალკე რეესტრში ჩაწერეს და მათ გადასახადი და სამხედრო ვალდებულება არ ეხებოდა. ლიოუ იუმ ეს ხარვეზი ამოძირკვა და ჩრდილოელებიც ჩვეულებრივი მოსახლეობის გვერდით დააყენა. ამან დააჩქარა ხალხში მიმდინარე ასიმილაციის პროცესი, ამავდროულად იმპერიას გადასახადების ახალი გადამხდელები და მეომრების ბაზა შეემატა.

ლიოუ იუ მალევე გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, ვენ ტი. ვენ ტის 30-წლიანი მმართველობის განმავლობაში იმპერიაში მშვიდობა სუფევდა. მხოლოდ ბოლო პერიოდში, 451-452 წლებში გაიმართა დიდმასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება ჩრდილოეთ ვეის იმპერიასთან. ამ დროს ამ უკანასკნელს დასრულებული ჰქონდა ჩრდილოეთ ჩინეთის გაერთიანება და ანგარიშგასაწევი ძალა იყო. მათ შორის ომი სტატუს-კვოს აღდგენით დასრულდა. როგორც ჩანს, ამგვარი შედეგი ორივე მხარის იმპერატორს მარცხად ჩაუთვალეს, რამეთუ ომის დასრულებიდან მალევე ორივე შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ვენ ტი საკუთარმა მემკიდრემ ჩამოაგდო.

453 წლიდან ლიოუ სუნგის დინასტიაში იწყება ბრძოლა ძალაუფლებისათვის. საიმპერატორო ტახტისათვის ერთმანეთს ლიოუ იუს შვილები და ლიოუს საგვარეულოს სხვა წევრები ებრძოდნენ. 25-წლიანმა სამოქალაქო ომმა ძალიან დაასუსტა იმპერია. ამ პერიოდშივე დაიშალა „ჩრდილოური არმია", რომელიც იმპერატორის მთავარი დასაყრდენი სამხედრო ძალა იყო. იგი ჩაანაცვლა დაქირავებულმა არმიამ. არმიის ეს ტიპი სამხრეთის დინასტიების ბოლომდე რჩებოდა ძირითად სამხედრო ძალად.



სურ. 95 ლიანგ უ ტის საფლავი

მუდმივი ომის პირობებში საკუთრივ ლიოუს საგვარეულოც დასუსტდა. შედეგად, 479 წელს საიმპერატორო დაცვის უფროსმა, სიაო ტაოჩენგმა აიღო დედაქალაქი და გამოაცხადა ცის დინასტიის დაარსება. სამხრეთის დინასტიებიდან ცი ყველაზე ნაკლებ სტაბილური იყო. არსებობის 22 წლის განმავლობაში ტახტზე შვიდი იმპერატორი ავიდა. 502 წელს შიდა ომებში გამარჯვებული გამოვიდა საიმპერატორო საგვარეულოს წევრი, სიაო იენი. მან საკუთარი დინასტია დააარსა, ლიანგი უწოდა და თვითონ კი უ ტის ტიტული მიიღო[1] (სურ. 95).

სიაო იენი ძალიან საინტერესო იმპერატორი იყო. მთელი ჩინეთის იმპერიულ ისტორიაში მმართველობის ხანგრძლივობით იგი მესამე ადგილზეა. ფაქტობრივად, მან დააარსა იმპერია, მოესწრო მის აყვავებას და დაცემასაც. გარდა სტაბილური იმპერიის ჩამოყალიბებისა, ის ხელს უწყობდა ბუდიზმის გავრცელებასაც. თვითონაც მორწმუნე ბუდისტი იყო. რამდენჯერმე სასახლიდანაც კი გაიქცა ბუდისტურ მონასტერში და ჩვეულებრივ ბერად აღიკვეცა. მხოლოდ ვეზირების მიერ მონასტრებისადმი დიდი შესაწირის გაღებისა და ხვენნა-მუდარის შემდეგ ბრუნდებოდა ხოლმე დედაქალაქში.

პოზიციების გაძლიერებასთან ერთად ბუდისტური ტაძრის სიმდიდრეც მატულობდა. იმპერატორისა და ფეოდალებისაგან მოწყალების სახით მიღებული მიწები და გლეხები იმდენად დიდი რაოდენობის იყო, რომ ეკლესია ძალიან მსხვილ ერთეულად გადაიქცა. გარდა ამისა, ის თავისუფალი იყო გადასახადებისაგან. ფაქტობრივად, ბუდისტური ტაძარი ძლიერ ფეოდალურ კონგლომერატად ჩამოყალიბდა. იგი აქტიურად ჩაერთო ვაჭრობაში და ლომბარდის ფუნქციებსაც ითავსებდა.

[1] 武帝 – უ ტი – სამხედრო იმპერატორი. ეს ტიტული საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა როგორც იმპერატორის გარდაცვალების შემდგომი სახელი ხანის დინასტიის დამხობიდან თანგის დინასტიის დაარსებამდე (618 წ.). ამ ტიტულს ძირითადად ატარებდნენ დინასტიების დამფუძნებლები – ცაო ცაო (ვეი), სმა იენი (ძინი), ლიოუ იუ (სუნგი), სიაო იენი (ლიანგი), ჩენ პასიენი (ჩენი).

იმპერატორ უ ტის საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა მოწინააღმდეგის ბანაკიდან გამოქცეული სარდლის შეფარება. 548 წელს აღმოსავლეთ ვეის[1] აუჯანყდა საკუთარი სარდალი, ხოუ ძინგი. მან თავშესაფარი ლიანგის დინასტიას სთხოვა და იმპერატორმაც მიიღო იგი. ხოუ ძალიან ამბიციური და უპრინციპო პიროვნება იყო. მისთვის ერთგულების ცნება არ არსებობდა. მომდევნო წელს მან ლიანგის დინასტიის წინააღმდეგ დაიწყო აჯანყება და დედაქალაქ ძიენქანგს ალყა შემოარტყა. ალყა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ქალაქის მოსახლეობა 100 000-დან 2 000-მდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ იმპერატორს არავინ არ დაეხმარა და საკუთარი ბედის ანაბარა მიატოვეს. აშკარაა, რომ მიუხედავად გარეგანი სიმშვიდისა, ლიანგის დინასტიაში ერთიანობა და იმპერატორის უზენაესობა ნამდვილად არ არსებობდა. ხოუმ საბოლოოდ მოახერხა დედაქალაქის აღება და იმპერატორი უ ტი შიმშილით მოკლა.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორს არ დაეხმარნენ, ლიანგის დინასტიის დიდებულებსა და სარდლებს ხოუს ქვეშევრდომობის იდეა სულაც არ ხიბლავდათ. მათ დრო მისცეს ხოუს, რომ იმპერატორი ჩამოეცილებინა ტახტიდან, შემდეგ კი ხოუს დამარცხებით მოლალატის დამსჯელისა და იმპერიის გადამრჩენელის სახელს მიიღებდნენ. სწორედ ასე მოიქცა სარდალი ჩენ პასიენი. მან 552 წელს ხოუ ძინგი დაამარცხა და ლიანგის დინასტია აღადგინა. თუმცა, 557 წელს თვითონვე გადააყენა იმპერატორი და თვითონ დაარსა ახალი დინასტია – ჩენი.

სამხრეთის ოთხი დინასტიიდან ჩენი ყველაზე სუსტი და პატარა იყო. ოფიციალურად იმპერია იანგწის სამხრეთ დინებას და სამხრეთ ჩინეთს მოიცავდა კუანგჭოუმდე, მაგრამ რეალურად უკიდურესი სამხრეთი დამოუკიდებელი იყო და იმპერატორს მხოლოდ იანგწის ქვემო დინების რაიონი შერჩა. თითქოს ეს საკმარისი არ იყო და იმპერიის შიგნით კორუფცია ყვაოდა და ძალაუფლებისათვის ბრძოლა იყო გაჩაღებული. ამიტომ სუსტი და შიგნიდან გამოფიტული ჩენის დინასტია ძლიერი და მზარდი სუეის დინასტიის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა. 589 წელს სუეის დინასტიის ხუთი მხრიდან განახორციელა სამხრეთ ჩინეთზე შეტევა, უპრობლემოდ აიღო ჩენი და ჩინეთის 350 წლიანი დაშლილობის პერიოდი დაასრულა.

[1] ჩრდილოეთი ვეი ორ ნაწილად დაიყო: აღმოსავლეთი ვეი და დასავლეთი ვეი.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთის დინასტიები აღმოსავლეთ ძინის უშუალო სამართალმემკვიდრენი არიან, ამ ორ ეპოქას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია. უპირველეს ყოვლისა, ესაა სამხედრო სფეროში უბრალო ხალხის დაწინაურება და ზოგადად, სამხედრო საქმიანობის სტატუსის ამაღლება. საქმე ისაა, რომ ხანის დინასტიიდან ძინის დინასტიის დამხობამდე, წარჩინებულები და ინტელიგენტები სამხედრო სფეროს უარყოფითად უყურებდნენ. რა თქმა უნდა, ხშირი იყო შემთხვევები, როცა არისტოკრატები ინიშნებოდნენ სარდლებად, მაგრამ ისინი შორს იყვნენ ნამდვილი მეომარი სარდლის სურათიდან. მათ ეხერხებოდათ სტრატეგიების შემუშავება და თეორიის განხილვა, თუმცა საომარ ველს ახლოსაც არ ეკარებოდნენ. ასეთი დამოკიდებულება გამონვეული იყო კონფუციისა და ძველი სტრატეგიების ავტორების მოძღვრებით. კონფუცი სამოქალაქო საქმეების სფეროს უპირობოდ აყენებდა სამხედრო სფეროზე ზემოთ. მეორე მხრივ, ძველი სტრატეგები, მათ შორის სუნ წი[1], ქადაგებდნენ, რომ ომში უნდა დაეყრდნო არა ძალას, არამედ გონებას.

როგორც ჩანს, ეს შეგონება ძველ ჩინეთში ინტელექტუალებმა ცოტა განსხვავებულად გაიგეს. ისინი უფრო და უფრო ჩაეფლენ სტრატეგიების თეორიებში და რეალურ, ყოველდღიურ სამხედრო ცხოვრებას დაშორდნენ. დროთა განმავლობაში ეს დაშორება იმდენად გაიზარდა, რომ სარდალი არმიას გაუუცხოვდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ლიოუ იუ მადლობას უხდიდა ერთ-ერთ წარჩინებულს, რომ მასთან ერთად ცხენზე ამხედრებული მისდევდა არმიას სამხედრო კამპანიისას.

სამხრეთის დინასტიების პერიოდში ეს დამოკიდებულება რამდენადმე შეიცვალა. რადგანაც სამხრეთის ოთხი დინასტიიდან სამი გლეხობიდან აღზევებულმა პირმა დააარსა; საზოგადოების დაბალ ფენას წინსვლის უფრო მეტი გზა მიეცა. დაწინაურების საუკეთესო ასპარეზს კი სამხედრო სფერო წარმოადგენდა. მე-5-6 საუკუნეებში არაერთი გამოჩენილი სარდალი გამოვიდა დაბალი სოციალური ფენიდან. თავდაპირველად მათი უმეტესობა ჩრდილოური წარმოშობის იყო, თუმცა, ჩენის დინასტიაში სამხრეთელი გლეხების ფენიდან გამოსულმა სარდლებმა იმრავლეს. მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა, სამხედრო სფეროსადმი უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლა მაინც ვერ მოხერხდა. სამოქალაქო მოხე-

[1] სუნ წი – ჩინელი სტრატეგი და მოაზროვნე, ცხოვრობდა ძვ. წ. VI საუკუნეში, ცნობილი ტრაქტატის „ომის ხელოვნების" ავტორი.

ლეებს ეკრძალებოდათ ცხენზე ჯდომა და სამხედრო პირების სოციალური სტატუსიც მათზე დაბალი იყო.

საერთაშორისო ვაჭრობა

აბრეშუმის გზა ჯერ კიდევ ხანის დინასტიის იმპერატორ უ ტის დროს ჩამოყალიბდა. უკვე ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში გაიხსნა საზღვაო აბრეშუმის გზა. გემები არაბეთიდან, სპარსეთიდან, ინდოეთიდან მიემართებოდნენ ჩინეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე განლაგებული პორტებისაკენ. ჩრდილოეთით პოლიტიკური სიტუაციის არევამ სახმელეთო აბრეშუმის გზაზე მიმოსვლა შეანელა. სამაგიეროდ, სამხრეთ ჩინეთის განვითარებასთან ერთად აყვავდა საზღვაო აბრეშუმის გზა.

ჯერ კიდევ აღმოსავლეთ უს დროიდან ქვეყნის შიდა სამდინარო სისტემებს იყენებდნენ. აღმოსავლეთ ძინის ფარგლებში იანგწისა და უკიდურეს სამხრეთ რეგიონების მდინარეების აუზებში სანაოსნო მოძრაობას უმეტესად იყენებდნენ გადაადგილებისა და ვაჭრობისათვის. გარდა იმისა, რომ სამხრეთ ჩინეთი მდინარეებითა და ტბებითაა დასერილი, აღმოსავლეთითა და სამხრეთით მას ზღვებიც ესაზღვრება. ხელისუფლებამ და ვაჭრებმა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებასაც მიხედეს. შეიქმნა ახალი ტიპის გემები, რომლებიც სპეციალურად დიდი მარშრუტისთვის იყო განკუთვნილი. საკუთრივ გემების რაოდენობაც ძალიან გაიზარდა. მეექვსე საუკუნეში აჯანყებული სარდლის, ხოუ ძინგის წინააღმდეგ ბრძოლაში ლიანგის დინასტიამ 1000 საბრძოლო გემი გამოიყვანა. სამხრეთული დინასტიების დედაქალაქი, ძიენქანგი (ნანძინგი) იქცა საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრად. მეორე დიდი პორტი განლაგებული იყო იმპერიის სამხრეთით, თანამედროვე კუანგჭოუს მიდამოებში.

საზღვაო აბრეშუმის გზის განვითარების შედეგად ჩინეთში შემოდიოდნენ გემები იაპონიიდან, ინდონეზიის კუნძლებიდან, ინდოჩინეთიდან, ინდოეთიდან, ირანიდან, არაბეთიდან. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, 226 წელს თვით რომის იმპერიის ელჩებიც კი ესტუმრნენ აღმოსავლეთ უს. მათ გემით მიაღწიეს კუანგჭოუს ნავსადგურს, აქედან კი სახმელეთო გზით წაიყვანეს დედაქალაქისაკენ.

ჩინეთიდან ძირითადად აბრეშუმის ნაწარმი გაჰქონდათ. სამხრეთის დინასტიებში აბრეშუმის წარმოება ძალიან განვითარდა. წელიწადში აბრეშუმის ჭიის 5-8 თაობა მოჰყავდათ. ფაქტობრივად მეაბრეშუმეობა გლეხების მეორადი პროფესია გახდა. გარდა აბრეშუმისა, დიდი მოთხოვნა იყო სანელებლებზე, ბამბის, ტილოსა და კანაფის ქსოვილზე, ხელნაკეთობაზე, რკინის, თიხის, ლაკის, ოქრო-ვერცხლის ნაწარმზე. ხოლო, საზღვარგარეთიდან ძირითადი საიმპორტო საქონელი იყო: სპილოს ძვალი, მარტორქის რქა, კუს ბაკანი, მარგალიტი, მინა. მანჯურიიდან შემოჰყავდათ კარგი ჯიშის ცხენები.

კულტურა და ტექნოლოგია სამხრეთის დინასტიებში

სამხრეთის დინასტიების პერიოდი მნიშვნელოვანი მონაკვეთია ჩინეთის რელიგიურ ისტორიაში. სწორედ ამ დროს მოიპოვა ბუდიზმმა საბოლოოდ დომინანტი რელიგიის როლი სამხრეთში. ამ საქმეში ლომის წვლილი კი ლიანგის იმპერატორ უ ტის ეკუთვნის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი თვითონაც ძალიან მორწმუნე ბუდისტი იყო. მისი მმართველობისას დედაქალაქში 500-მდე ბუდისტური მონასტერი ფუნქციონირებდა. უკვე არა მხოლოდ ჩინეთიდან გადიოდნენ ინდოეთისაკენ წმინდა წიგნების ჩამოსატანად, არამედ ინდოეთიდანაც მოდიოდნენ სწავლულები ჩინეთში ახალი იდეების გასავრცელებლად. ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდა ბერი ბოდჰიდჰარმა, რომელიც მე-5-6 საუკუნეების მიჯნაზე ჩავიდა ჩინეთში. აქ მან ჩამოაყალიბა და გაავრცელა ბუდიზმის ახალი მიმდინარეობა, ჩან ბუდიზმი, რომელსაც შემდგომ იაპონიაში ძენ ბუდიზმი ეწოდა და დღეს სწორედ ამ სახელით ვიცნობთ.

ბუდიზმის აყვავების კვალდაკვალ მოღვაწეობდა ძველი ჩინეთის ისტორიაში ყველაზე ცნობილი ათეისტი, ფან ჭენი (450-515 წწ.). მას ეკუთვნის ნაშრომი „სულის მოკვდინების თეორია". ფან ჭენის აზრით, სხეული და სული ურთიერთდაკავშირებულია და ერთი მეორის გარეშე ვერ იარსებებს. შესაბამისად, როცა ერთი კვდება, მეორეც უჩინარდება. ძალიან საინტერესოა, რომ მისი მოღვაწეობა ბუდიზმის ოქროს ხანას დაემთხვა. ბუდისტური ეკლესია და თვით საიმპერატორო კარიც კი ფან ჭენის ფილოსოფიის დასამარცხებლად მართავდა ოფიციალურ დისკუსიებს, რომელზეც ფან ჭენი მარტო უპირისპირდებოდა ათეულობით

მონვეულ ბუდისტ სწავლულს, მაგრამ ყოველ ჯერზე გამარჯვებული გამოდიოდა.

სამხრეთის დინასტიების პერიოდში მოღვაწეობდა ლიოუ სიე, ჩინური ლიტერატურული თეორიისა და ლიტერატურული კრიტიციზმის მამა. მისი ნაშრომი ასახავს, თუ როგორ იცვლებოდა ლიტერატურული ესთეტიკა დროის სვლასთან ერთად, რა გავლენა ჰქონდა კონკრეტული დროის პოლიტიკურ და სოციალურ რეალობას ლიტერატურული ნაწარმოების სტილსა და შინაარსზე.

ლიანგის დინასტიაში დიდი ყურადღება ექცეოდა ლიტერატურისა და ისტორიის განვითარებას. იმპერატორ უ ტის მემკვიდრის თაოსნობით შეადგინეს ლიტერატურული კრებული, რომელიც აერთიანებდა უძველეს ჩინურ ტრაქტატებსა და ლიტერატურულ ნამუშევრებს. საერთო ჯამში, 700 წლიანი მონაკვეთიდან 130 ავტორის 700-მდე ნაწარმოები შეაგროვეს. დაიწერა ისტორიები: „ხოუხანშუ", „ვეიშუ", „სუნგშუ", „ციშუ". ამ პერიოდშივე გამოჩნდა „უშუს" ანუ ჩინური საბრძოლო ხელოვნების პირველი სახელმძღვანელო.

სამხრეთის დინასტიების ეპოქაში ძალიან განვითარდა სანაოსნო სფერო. შეიქმნა პირველი მექანიკურად მოძრავი გემები, რომლებიც დღეში 50 კილომეტრს ფარავდნენ. შორეული ნაოსნობისათვის გამოჩნდა ახალი მასიური გემები. ზოგადად, სამხრეთ ჩინეთში გემებისა და ნავების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. ერთ-ერთი ტაიფუნისას, ნანძინგის სიახლოვეს 10000-მდე მცირე და საშუალო ზომის გემი დაზიანდა.

საიმპერატორო კარი აკონტროლებდა რკინის წარმოებას. განვითარდა ფოლადის, მაღალი და ნაკლებ ნახშირბადიანი რკინის წარმოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს უკანასკნელი, რადგან იგი უფრო მტკიცე და ადვილად ჭედადია. მნიშვნელოვანი წინსვლა მოხდა ქაღალდის წარმოებაში. მასალად იყენებდნენ კანაფს, თუთის მერქანსა და ლიანასებრ მხოხავ მცენარეებს. წარმოების გამარტივებასთან ერთად ქაღალდის ფასი შემცირდა და მთავარი საწერი საშუალება გახდა.

ამ პერიოდის საუკეთესო მეცნიერი იყო წუ ჩუნგჭი (429-500 წწ.). მას შეთავსებული ჰქონდა მათემატიკოსის, ასტრონომის, პოეტისა და პოლიტიკოსის პროფესიები. მისი ყველაზე ცნობილი მიღწევაა π-ს გამოთვლა. მისი მაჩვენებელი მომდევნო 800 წლის განმავლობაში საუკეთესო იყო მთელ მსოფლიოში. მან ასევე თავიდან ააწყო ვეი დინასტიის დროს მა

ძიუნის მიერ შექმნილი ე.წ. „სამხრეთისაკენ მიმართული ეტლი“, რომლის მექანიზმი დაკარგული იყო.

ჩრდილოეთის დინასტიები



სურ. 96 თუოპას იმპერატორი გარემოცვასთან ერთად

ფუ ძიენის იმპერიის დაშლამ ჩრდილოეთ ჩინეთში დიდი არეულობა გამოიწვია. ერთმანეთის მიყოლებით ჩამოყალიბდა მრავალი ახალი სამეფო. მათ შორის ერთ-ერთი იყო ვეი, რომელსაც ისტორიკოსები მოიხსენიებენ, როგორც ჩრდილოეთ ვეი. იგი დაარსდა სიენპეის გაერთიანების წევრი თუოპას ტომის მიერ (სურ. 96). ეს ხალხი ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა ძინის დინასტიის ტერიტორიაზე. მოგვიანებით საკუთარი სამეფოც კი დააარსეს, სახელად ტაი, მაგრამ ფუ ძიენის იმპერიის გაფართოების პროცესში მოყვნენ და დამოუკიდებლობა დაკარგეს. ახლა კი კვლავ დაიწყეს საკუთარი სამეფოს ჩამოყალიბება.

თუოპას კლანს მეთაურობდა გამოცდილი პოლიტიკოსი და სარდალი, თუოპა კუეი. მან ვეი იმპერიად გამოაცხადა და ძირითადი ყურადღება იმპერიის მოწყობაზე გადაიტანა. ხანელებისა და მომთაბარეების თითქმის საუკუნოვანი თანაცხოვრების გამოცდილებიდან, მან იცოდა, რომ იმპერიის აშენება და ფუნქციონირება მხოლოდ ომით ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ თუოპას მომთაბარული ტრადიციების გვერდით ჩინური კულტურის ელემენტებიც დანერგა, ძირითადად სახელმწიფოს ადმინისტრაციის საქმეში. მან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გაამახვილა მეურნეობის განვითარებაზე. თუოპა, რომელიც მომთაბარე ხალხი იყო, მიწაზე მიამაგრა, დაუნაწილა მათ მიწები და სახელმწიფო რეესტრში ჩაწერა. მიწები დაუნაწილეს ხანელ გლეხებსა და მონებსაც. ამგვარად, ჩამოყალიბა გადასახადების გადამხდელთა მყარი ბაზა. ხანელი განათლებული პირები დაასაქმა სახელმწიფო ადმინისტრაციაში. სამოხელეო აპარატის შესავსებად კი დედაქალაქსა და მოგვიანებით პროვინციებშიც გაიხსნა

საგანმანათლებლო დაწესებულებები, სადაც კონფუციზმის დოქტრინასა და ჩინურ ლიტერატურას ასწავლიდნენ. კომპრომისზე წავიდა ხანელ ფეოდალებთან. იმპერიის შიგნით დაძაბულობის განტვირთვის მიზნით, მათ არა მხოლოდ ტიტული და მიწები შეუნარჩუნა, მათ მიწაზე მოსახლე გლეხებიც ფეოდალების პირად საკუთრებად გამოაცხადა და სახელმწიფო აღწერებში არ შეიყვანა.

იმპერიაში სტაბილური სიტუაციის დამყარების თანადროულად ჩრდილოეთი ვეი აქტიურ საგარეო პოლიტიკას ახორციელებდა. მან ნელ-ნელა, მიყოლებით დაიწყო ხანური და არახანური სამეფოების დაპყრობა და სულ რაღაც 40 წელში მთელი ჩინეთი იანგწის ზემოთ ჩრდილოეთ ვეის ეგიდით გაერთიანდა. ამ შედეგს ორი მთავარი განმაპირობებელი მიზეზი ჰქონდა: პირველი, თვით ვეის იმპერიის მოწესრიგებული და თანმიმდევრული საშინაო და საგარეო პოლიტიკა. იმპერიის შიდა სამზარეულოს სტაბილიზაციამ გამოათავისუფლა კაპიტალი და სამხედრო ძალა საგარეო ქმედებების საწარმოებლად. მეორე მხრივ კი, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებაც ვეის წისქვილზე ასხამდა წყალს. როგორც აღვნიშნეთ, ამ დროს ჩრდილოეთი ჩინეთი ერთმანეთთან დაპირისპირებულ სამეფოებად იყო დაყოფილი. წარსულს ჩაბარდა ში ლეს და ფუ ძიენის ეპოქა, როცა ორი-სამი ძლიერი პოლიტიკური ერთეული ქმნიდა პოლიტიკურ ამინდს ხუანგხეს აუზში. ძალთა ასეთმა დაქსაქსულობამ გაუმარტივა ვეის იმპერიას ჩრდილოეთ ჩინეთის საკუთარ ხელში მოქცევა.

მე-5 საუკუნის 40-იანი წლებისათვის ჩინეთი მხოლოდ ორ ნაწილად იყო დაყოფილი. იანგწის ჩრდილოეთი ვეის დინასტიის ხელში მოექცა, სამხრეთი კი სუნგის დინასტიას ემორჩილებოდა. სამხრეთისა და ჩრდილოეთის დაპირისპირებამ კვლავ წინა პლანზე გადმოიწია. ამ პერიოდში ორივე იმპერია ახლადჩამოყალიბებული, მაგრამ ძალების პიკში იყო. ეს აისახა მათი დაპირისპირებების შედეგზეც. 450 წელს ლიოუ სუნგის არმიამ ვეის შეუტია, მაგრამ უკან დაახევინეს. წარმატებული თავდაცვის შემდეგ ვეი გადავიდა შეტევაზე და ამჯერად თვითონ იგემა მარცხი. სტატუსკვო აღდგა, მაგრამ სასაზღვრო ტერიტორია სასტიკად მოოხრდა. გარდა ამისა, ზავით არცერთი მხარე არ იყო კმაყოფილი. უკმაყოფილო ელიტამ ორივე იმპერიაში გადატრიალება მოაწყო. ჩრდილოეთ ვეის იმპერატორი, თაი უ ტი შეთქმულებმა მოკლეს და მომდევნო ოცი წელი საიმპერატორო კარი შიდა ინტრიგებში იყო გახვეული. ვეისათვის საბედ-

ნიეროდ, სუნგის დინასტიაც მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა და შედეგად სამხრეთიდან ინტერვენციას გადაურჩა.



სურ. 97 ლუნგმენ შიქუ. ბუდას ქანდაკება. ლუოიანგი, ხენანის პროვინცია

ჩრდილოეთ ვეის ფარგლებში ბუდიზმი წამყვან რელიგიად იქცა (სურ. 97). სახელმწიფოსაგან მხარდაჭერის შედეგად, ბუდისტური ეკლესია მსხვილ ფეოდალურ ერთეულად ჩამოყალიბდა. იმპერატორისა და ფეოდალების მიერ ბუდისტური ეკლესიებისთვის შეწირული მიწები არ იბეგრებოდა. შესაბამისად, გლეხები აქ გამორბოდნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან თავის ასარიდებლად. ბუდისტური ეკლესია ვაჭრობაშიც აქტიურად ჩაება. მე-4 საუკუნეში, აბრეშუმის გზის გასწვრივ სწორედ ბუდისტური მონასტრები იქცა ვაჭრების შესასვენებელ პუნქტებად. მოგვიანებით კი თვითონ დაიწყეს ვაჭრობა. ამგვარად, ბუდისტებს ჰქონდათ დიდი ეკონომიკური ძალა, ასევე დიდი იყო ხალხზე მათი გავლენა. რიგ შემთხვევებში, იმპერატორის ხელისუფლებასთანაც კი უხდებოდათ დაპირისპირება.

სიაო ვენ ტის რეფორმები

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ ვეის იმპერიის შენებაში გამოყენებული იყო ჩინური გამოცდილება და ხანელებსაც შეღავათები მისცეს, საკუთრივ თუოპას ტომი შორს იდგა ჩინური კულტურისაგან. ისინი უფრთხოდნენ კიდეც მას და საკუთარ მომთაბარულ ტრადიციებს იცავდნენ, განსაკუთრებით კი ძალაუფლების მაღალ ეშელონებში, რომელიც მთლიანად თუოპას ტომის ხალხით იყო დაკომპლექტებული. ვეის არმიაც არახანელებისაგან შედგებოდა. ხანელებს მხოლოდ ტვირთის საზიდად და სხვა ლოჯისტიკური საქმეებისათვის თუ იახლებდნენ არმიაში. გარდა ამისა, მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, მიემაგრებინათ მიწის დამუშავებაზე, ტობას და, ზოგადად, სიენპეის ძირითადი საქმიანობა მაინც მესაქონლეობა იყო. მართალია, ასეთი ვითარება ძლიერ სოციალურ კონფლიქტს არ ქმნიდა, მაგრამ სახელმწიფოს განვითარე-

ბას ამუხრუჭებდა, რადგან ხანელი და მომთაბარე ხალხების ასიმილაცია ნელდებოდა.

არახანელ ხალხებში ჩინური კულტურის გავრცელების ახალი ტალღა წამოვიდა ჩრდილოეთ ვეის იმპერატორ სიაო ვენ ტის ტახტზე ყოფნის პერიოდში. უნდა ითქვას, რომ ეს რეფორმები მხოლოდ იმპერატორის პირადი მოსაზრების გამო არ გატარებულა. როცა ის ტახტზე ავიდა, სულ რაღაც 5 წლის იყო. რეგენტად დაინიშნა მისი ბებია, დედოფალი ფენგი. საკუთრივ იმპერატორის დედაც ჩინელი იყო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიაო ვენ ტის რეფორმების წამომწყები და მთავარი გონება სწორედ დედოფალი ფენგი და მისი გარემოცვა იყო. როცა იმპერატორი წამოიზარდა, თვითონაც დამოუკიდებლად გააგრძელა ამ კურსის გატარება. საიმპერატორო კარზე მსგავსი ორიენტაციის ხალხის გაჩენა ნიშნავს, რომ ჩინურ კულტურას უკვე ფეხი მყარად ჰქონდა მოკიდებული თუოპას ტომის უმაღლეს ეშელონებში.

სიაო ვენ ტის რეფორმები მიმართული იყო იმპერატორის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ თუოპას „გაჩინელების" გზით. საქმე ისაა, რომ არახანელ ხალხებს არ ჰქონდათ დიდი პოლიტიკური ერთეულების შექმნისა და მართვის გამოცდილება. საუკეთესო შემთხვევაში მათ შეეძლოთ ტომთა უზარმაზარი გაერთიანების შექმნა, მაგრამ იგი მოკლებული იქნებოდა შიდა ერთიანობას და, როგორც წესი, გამაერთიანებელ პირის ცხოვრებასთან ერთად დასრულდებოდა ხოლმე. ამის მიზეზი იყო სახელისუფლებო აპარატის პრიმიტიულობა და ცალკეულ ტომთა ფართო ავტონომია. ხანის ეთნოსმა ეს ეტაპი ათასწლეულებით ადრე გაიარა და ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ისტორია ჰქონდა. საუკუნეების განმავლობაში შექმნილი კულტურა და ისტორია იყო ამ ეთნოსის შემკვრელი ფაქტორი. სწორედ ამ კულტურის ქვეშ სურდა სიაო ვენ ტის და მის დაჯგუფებას არახანელი ხალხის შეყვანა ძლიერი იმპერიის აშენებისათვის.

483 წელს იმპერატორმა გამოსცა პირველი ედიქტი მომთაბარული ტრადიციების აკრძალვისთვის. ამას გარდა, ედიქტით იკრძალებოდა თუოპას ტომის 30 წლამდე წევრებისთვის თუოპას ენის გამოყენება. ოფიციალური ენა ჩინური გახდა. ასევე აიკრძალა საიმპერატორო კარზე თუოპას ტრადიციული სამოსით გამოჩენა. სავალდებულო გახდა ხანის ეთნიკური სამოსის ტარება. რაც მთავარია, აკრძალეს საგვარეულოსა და ტომებს შიგნით ქორწინება. ეს აიძულებდა ერთი ტომის წევრებს

ურთიერთობა ჰქონოდათ სხვა ჯგუფებთან და შედეგად საზოგადოების ფართო ფენებს შორის ასიმილაცია დაჩქარდა. იმპერატორი ამაზე არ შეჩერდა. მან არახანელ ხალხებს ხანელების ერთმარცვლიანი გვარები დაურიგა და თვით დინასტიის სახელწოდებაც შეცვალა ჩინური სახელით, იუენი.

იმპერატორმა მიწების რეფორმაც გაატარა. დაპყრობითი ომების შედეგად ჩრდილოეთ ჩინეთის ფართო ველები უკვე ვეის ხელისუფლებას ემორჩილებოდა, მაგრამ ხშირმა ომიანობამ მოსახლეობა ძალიან შეამცირა. დაუმუშავებელი იყო ყველაზე ნაყოფიერი, ხუანგხეს ქვემო და შუა დინების ველები, რომლებიც მანამდე ხანელების იმპერიების სოფლის მეურნეობის ცენტრი იყო. სიტუაციის გამოსასწორებლად იმპერატორმა 477 წელს გამოსცა და 485 წელს გაატარა მიწის თანაბარი განაწილების ედიქტი. სრულწლოვან პიროვნებას, იქნებოდა ის თავისუფალი თუ მონა[1], ქალსა და კაცს გადაეცემოდათ დადგენილი რაოდენობის მიწა დასამუშავებლად[2]. აკრძალული იყო მარცვლეულის მოსაყვანი მიწის გაყიდვა. მიწის მფლობელის გარდაცვალების შემდეგ, ეს მიწა თავიდან ნაწილდებოდა სხვა პიროვნებაზე, ნათესაური კავშირების განუხილველად. თითო პიროვნებას ასევე ეძლეოდა ბაღი, ე.წ. „თუთის ხის მიწა". ამ ტერიტორიაზე უნდა გაეხარებინათ მრავალწლიანი კულტურები, უპირველეს ყოვლისა კი თუთის ხე. „თუთის ხის მიწა" კერძო მფლობელობაში სამემკვიდრეოდ ეძლეოდათ და დაშვებული იყო მისი გაყიდვა[3].

486 წელს სიაო ვენ ტიმ გამოსცა ე.წ. „სამი უხუცესის სისტემის" ედიქტი. იგი ბრძანებდა, რომ 5 გლეხი შეადგენდა სამეზობლოს და მას უნდა ჰყოლოდა თავისი უხუცესი. 5 სამეზობლო ერთიანდებოდა სოფელში, რომელსაც ასევე ჰყავდა უხუცესი. ხუთი სოფელი კი თემს შეადგენდა, რომლის სათავეშიც უხუცესი იდგა. ეს უხუცესები კოლექტივში ერთგვარი ორგანიზატორისა და ზედამხედველის ფუნქციას ასრულებდნენ. მათი ძირითადი მოვალეობა იყო გადასახადების შეგროვება და სოფლის

---


[1] თავისუფალ პირსა და მონას თანაბარი მიწის ნაკვეთი გადაეცემოდა, თუმცა მონას უფრო ნაკლები გადასახადი ჰქონდა. გარდა ამისა, მათ სამხედრო ვალდებულებაც არ ეხებოდათ.

[2] კაცს გადაეცემოდა 120 მუ (1 მუ – 0.165 აკრი), ქალს – 60 მუ, მაგრამ აქედან მხოლოდ მესამედის დამუშავება შეეძლოთ ერთ წელს. მიწის დანარჩენი ორი მესამედი უნდა დაესვენებინათ.

[3] მოგვიანებით მსხვილმა მიწათმფლობელებმა სწორედ ეს მეთოდი გამოიყენეს საკუთარი სამფლობელოს გასადიდებლად.

მეურნეობის სამუშაოების ორგანიზება. გარდა ამისა, თემს გადაეცემოდა მის ტერიტორიაზე ტყეები, საძოვრები, ტბები, მდინარეები. უხუცესები იმპერატორის აპარატთან იყვნენ პასუხისმგებელნი. ეს რეფორმა მიზნად ისახავდა ფეოდალების უფლებების შემცირებას. უხუცესების სახით იმპერატორი უშუალოდ მივიდა საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენასთან და ასევე ყველაზე ფართო მასასთან. ფეოდალის გვერდის ავლით მათთან ურთიერთობა დიდი დარტყმა იყო ფეოდალის ავტონომიისათვის.

სიაო ვენ ტის რეფორმების დამაგვირგვინებელი ნაბიჯი იყო 494 წელს დედაქალაქის ლუოიანგში გადატანა (სურ. 98). აქამდე დედაქალაქი მდებარეობდა შანსის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში, ფინგჩენგში (平城). ლუოიანგი გაცილებით სამხრეთით, თანამედროვე ხენანის პროვინციაშია. დედაქალაქის სამხრეთით გადატანა ნიშნავდა, რომ იმპერიის კურსი ორიენტირებული იყო სამხრეთით განვითარებაზე. ლუოიანგის არჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. ეს უფრო სიმბოლური ნაბიჯი იყო. ლუოიანგის არჩევით, რომელიც მომთაბარეების მიერ განადგურდა, იმპერატორი გმობდა მომთაბარეების მიერ ჩინური კულტურის გათელვას და თავს სწორედ ჩინური კულტურის და ჩინური იმპერიულობის გამგრძელებლად აცხადებდა. გარდა ამისა, დედაქალაქის ლუოიანგში გადასვლით, უფრო სწრაფად აღდგებოდა ხუანგხეს მიწებზე ცხოვრება, რომელიც იმპერიის სამეურნეო, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი უნდა ყოფილიყო. მართლაც, დედაქალაქად გამოცხადებიდან რამდენიმე წელში ლუოიანგის მოსახლეობა ნახევარ მილიონამდე ავიდა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა.



სურ. 98 ქ. ლუოიანგის გეგმა.

ტიკური ორიენტირის ჩრდილოეთის მაგიერ სამხრეთისაკენ გადატანას. ამის შედეგად გარნიზონების ტერიტორია იმპერიის უკანა ეზოდ გადაიქცა. მისი როლი იმპერიის სამხედრო ცენტრიდან პერიფერიად შეიცვალა. თუკი ადრე გარნიზონებში სამსახური კარიერული წინსვლის გარანტია იყო, უკვე აქ სამსახური სასჯელის მოხდის ტოლფასი ხდებოდა. გარდა ამისა, გარნიზონები და ლუოიანგი კულტურულადაც იყო ერთმანეთთან დაპირისპირებული. მიუხედავად იმისა, რომ გარნიზონების მოსახლეობა მრავალეთნიკური იყო და შედგებოდა ხანელების, სიენპეის, სიუნგნუსა და სხვა ხალხებისაგან, აქ გავრცელებული იყო მომთაბარეების სამხედრო კულტურა. აქ ჩასახლებული ყველა ხალხი, თვით ხანელებიც კი სიენპეიზაციას განიცდიდნენ. ყოველდღიური ურთიერთობა თუოპას ტრადიციულ ენაზე მიმდინარეობდა, ჩაცმულობაც და ჩვეულებიც თუოპას ტრადიციებით იყო ნაკარნახევი. ლუოიანგი კი ჩინური კულტურის სიმბოლოს წარმოადგენდა.

როგორც ვნახეთ, სიაო ვენ ტის რეფორმების შედეგად გარნიზონების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და თვით კულტურული სტატუსიც კი დაკნინდა. ბუნებრივია, გარნიზონების სამხედრო ელიტა სიტუაციის ასეთ სწრაფ შემოტრიალებას არ მოითმენდა. საბოლოო წვეთი იყო 523 წელს ჟოუუანების შემოტევა, როცა იმპერატორმა გარნიზონების მარცვლეულით მომარაგებაზე უარი თქვა. ამან დენთის კასრზე ცეცხლის ნაპერწკალივით იმოქმედა და გარნიზონები ერთიანად აჯანყდნენ. აჯანყება სულ შვიდ წელს გაგრძელდა და საბოლოოდ ჩაახშეს, მაგრამ ამ პროცესში აჯანყების სული მთელ იმპერიას მოედო და ახალ-ახალი აჯანყებების კერები გაჩნდა.

იმპერიის დაშლა

როგორც ხანგრძლივი შიდა ომების დროს ხდება ხოლმე, სიტუაციით ყველაზე მეტად სარდლებმა იხეირეს. აჯანყების ჩახშობის შემდეგ მილებული სამხედრო სიძლიერე და ავტორიტეტი ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე მათრობელასავით მოქმედებს სამხედრო მეთაურებზე და მათ იმპერიისადმი ერთგულებას აქარწყლებს ინდივიდუალური ამბიციების ქარცეცხლში. ამ შემთხვევაში ისე მოხდა, რომ ორი სარდალი დარჩა ერთმანეთის პირისპირ, კაო ხუანი და იუვენ თაი. მათ შორის დაპირის-

პირების შედეგად ჩრდილოეთ ვეის იმპერია გაიყო ორ ნაწილად. თითოელი მათგანი ტახტზე ტოვებდა ვეის საიმპერატორო გვარის იმპერატორს, თვითონ კი იმპერატორის სახელით მოქმედებდა. კაო ხუანმა გამოაცხადა აღმოსავლეთი ვეის დაარსება, იუვენ თაიმ კი დასავლეთი ვეი დააარსა.

ორი ვეის დაპირისპირების ცენტრალური მოედანი სწორედ ყოფილი დედაქალაქი ლუოიანგი იყო, რომელიც ახალი ომების შედეგად ისევ გაუბედურდა. კაო ხუანი და იუვენ თაიც ისე გარდაიცვალნენ, რომ იმპერიის გაერთიანება ვერც ერთმა ვერ მოახერხა. მათმა მემკვიდრეებმა საჭიროდ არ ჩათვალეს ისევ ვეის იმპერატორისადმი თუნდაც ფორმალური მორჩილება და ახალი იმპერიების დაარსება გამოაცხადეს. 550 წელს აღმოსავლეთ ვეის ჩრდილოეთი ცი დაერქვა, 557 წელს კი დასავლეთ ვეის ჩრდილოეთ ჭოუ ეწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჩრდილოეთ ვეის იმპერიიდან გამოვიდა, ჩრდილოეთ ცი და ჭოუ ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა შიდა სოციალური, პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობით. ჩრდილოეთ ციმ გააგრძელა სიაო ვენ ტისეული ხანელებისა და არახანელების დაახლოების პოლიტიკა. იმპერიის გაყოფის შემდეგ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცის ტერიტორიაზე დარჩა, მათ შორის ხანელების დიდი რაოდენობა. შესაბამისად, ჩრდილოეთი ცის ეკონომიკა საკმაოდ ძლიერი იყო, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით არმიაზე. მოსახლეობის ციში კონცენტრირების გამო მას უფრო დიდი არმია უნდა ჰყოლოდა, მაგრამ ცის ხელისუფლება ხანელებს არმიაში არ იწვევდა. სავარაუდოდ, უფრთხოდნენ მათ ზედმეტად გაძლიერებას. ამის გამო მოსახლეობის სიმრავლე არმიის სიძლიერეზე არ აისახა.

ჩრდილოეთ ჭოუ ხუანგხეს შუა წელზე მდებარეობდა. მისი ცენტრი იყო კუანჭუნგი[1]. ეს რეგიონი ჩანგანის გარშემო სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს პუნქტს ქმნიდა. დასავლეთი ძინის დამხობამდე ეს რაიონი, ლუოიანგთან ერთად იმპერიის ცენტრი იყო. დასავლეთ ძინის დამხობის შემდეგ მისი დანიშნულება შემცირდა და ომიანობის გამო მოსახლეობამაც იკლო. ჩრდილოეთ ჭოუს ხელისუფლებამ სწორედ კუანჭუნგი აირჩია

[1] 关中 – კუანჭუნგი – გასასვლელთა შორისი, თანამედროვე შაანსის პროვინცია. ეს რაიონი მოქცეული იყო ოთხი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის შუაში. აღმოსავლეთით ხანკუს ხეობით უკავშირდებოდა ხუანხეს დაბლობს, დასავლეთით კი – კანსუს პროვინციას.

საკუთარ ბაზად და ჩანგანი დედაქალაქად გამოაცხადეს. ეს რეგიონი ბუნებრივი ბარიერებით შემოზღუდული სივრცე იყო. გარდა ამისა, აქ გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზები. შესაბამისად, სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით კუანჭუნგის არჩევა მომგებიანი იყო.

ცისაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ჭოუ სიაო ვენ ტის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. მათ უარყვეს ასეთი სწრაფი ტემპით გაჩინელება. ერთგვარი უკუპროცესის დაწყებაც კი სცადეს. კერძოდ, ჩინელებს დაურიგეს თუოპას გვარები. ბუნებრივია ამ ნაბიჯებმა არ გაამართლა. არახანელი ხალხის „გაჩინელება" შეუქცევადი პროცესი იყო, რომლის მხოლოდ დროებით დაყოვნებას თუ შეძლებდნენ. ამ დროისათვის ეს პროცესი უკვე საკმაოდ შორს იყო წასული როგორც საზოგადოების დაბალ ფენებში, ისე ელიტაშიც.

იმპერიის გაყოფის შემდეგ ჩრდილოეთ ჭოუ არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი და ჩრდილოეთ ვეის ყველაზე განვითარებული მიწები ჩრდილოეთი ცის მმართველობის ქვეშ მოექცა. მაგრამ, ჩრდილოეთ ჭოუს ჰქონდა ერთი ძლიერი მხარე – ეს იყო ძლიერი ბირთვი სამხედრო პირებისა, რომლებიც იუვენ თაის გარშემო შეიკრიბნენ. გააანალიზა რა არსებული სიტუაცია, იუვენ თაიმ ყურადღება ქვეყნის სამხედრო სიძლიერეზე გადაიტანა. ჩამოაყალიბა „ადგილობრივი პოლიცია", რომელიც თითოეულ დასახლებაში ადგილობრივებისაგან იკრიბებოდა და საზოგადოებრივ წესრიგს განაპირობებდა. მან არმიაში მიიღო ხანელებიც და ამით მნიშნელოვნად გაზარდა მეომრების რაოდენობა. ჩრდილოეთ ჭოუს სიძლიერის მთავარი მიზეზი მაინც ადეკვატური მმართველების ყოლა იყო. შედარებისათვის, 60-70-იან წლებში ცის ტახტზე ასული იმპერატორები ქვეყნის საქმეების კარგი ცოდნით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდნენ. ამ პერიოდში კი ჭოუს ტახტზე ავიდა ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული იმპერატორი, უ ტი, სამხედრო იმპერატორი. მან ჯერ საიმპერატორო კარზე მოიშორა მოწინააღმდეგეები, შემდეგ კი ენერგიულად შეუდგა არმიის გაძლიერებას.

უ ტის პიროვნებაში ჩინური განათლება და თუოპას მეომრის კულტურა შეერწყა ერთმანეთს. ის ერთდროულად კარგი პოლიტიკოსი და საუცხოო სარდალი იყო. ხშირად მიჰყვებოდა არმიას აბჯარასხმული. უსაზღვრო იყო მისი ენერგია და ამბიციები. სათანადო სამზადისის შემდეგ მან ორჯერ ილაშქრა ჩრდილოეთ ციზე და საბოლოოს 576 წელს

დაიპყრო იგი. მომდევნო წელს უ ტი თურქებზე ლაშქრობას გეგმავდა და, სავარაუდოდ, მალე სამხრეთ ჩინეთსაც მიხედავდა, რომ არა მისი მოულოდნელი გარდაცვალება 577 წელს. უ ტის სიკვდილმა დაამუხრუჭა დინასტიის განვითარება. ახალი იმპერატორი მამის ჩრდილსაც კი ვერ შეედრებოდა სამხედრო საქმესა და პოლიტიკაში. ასეთ სიტუაციაში ინიციატივა იმპერატორის სიმამრმა, იანგ ძიენმა აიღო. მან იმპერატორი გადაყენებულად გამოაცხადა და თვითონ მიიღო იმპერატორის სტატუსი. სწორედ მის მიერ დაარსებული სუეის დინასტიამ დაასრულა ჩინეთის სამსაუკუნოვანი დაშლილობის ეპოქა.

კულტურა და ტექნოლოგია

III-IV საუკუნეები ჩინეთში ის ეპოქაა, როცა ბუდიზმი ფეხს იკიდებს საზოგადოებაში. სამხრეთ ჩინეთში ეს რამდენადმე გაუჭირდა, რადგან აქ ხანელ ხალხში კონფუციზმისა და ტაოიზმის გავლენა ძლიერი იყო. ჩრდილოეთ ჩინეთში კი არახანელმა მოსახლეობამ სწრაფად მიიღო ბუდიზმის მოძღვრება, როგორც გზა ჭეშმარიტებისაკენ. ბუდიზმს არ გასჭირვებია მომთაბარეების პრიმიტიული რწმენა-წარმოდგენების სისტემის ჩანაცვლება და მალე იქცა საერთო რელიგიად. გარდა ამისა, ბუდიზმის სწრაფი გავრცელება განაპირობა იმან, რომ ამ პერიოდში ჩრდილოეთ ჩინეთში შესული ბუდიზმი იყო არა ორიგინალური, ინდური, არამედ ცენტრალური აზიური ბუდიზმი. ბუდიზმის ეს სახეობა ისედაც განიცდიდა შამანიზმის ელემენტების ზეგავლენას. შესაბამისად, შამანისტური კულტების მქონე მომთაბარე ხალხებშიც სწრაფად მოიკიდა ფეხი ჩრდილოეთ ჩინეთში.

ცენტრალური აზიის გავლით ჩინეთში ბუდიზმის შესვლამ ინდური და ცენტრალური აზიის კულტურის გავრცელებაც გამოიწვია. განსაკუთრებით ეს გამოიკვეთა სახვით ხელოვნებაში. ბუდიზმის გავრცელებას ჩრდილოეთ ჩინეთში თან სდევდა კლდეში ნაკვეთი კომპლექსების შესრულება. მათგან გამოსარჩევია მოკაოს ქვაბულები ტუნხუანგში[1], იუნკანგის გამოქვაბულები შანსიში და ლუნგმენის კომპლექსი ლუოიანგის მახლობლად. თითოეული ეს ქვაბულთა კომპლექსი მოიცავს ბუდას ათასობით გამო-

[1] სჩუანის პროვინცია.

სახულებას: ფრესკულს, რელიეფურსა და ქანდაკებებს. მათში შერწყმულია ადგილობრივი და შემოსული ხელოვნების სტილი. განსაკუთრებით დიდია ე.წ. „განდჰარას სკოლის"[1] გავლენა. საინტერესოა პოლიტიკური ვითარების ცვლილების ასახვა ხელოვნებაზე. იუნკანგში, რომელიც ვეის ძველი დედაქალაქიდან ახლოს იყო, ქანდაკებებსა და გამოსახულებებს ინდური ჰაბიტუსი აქვთ. ლუნგმენში კი, რომელიც ლუოიანგთანაა, ჰაბიტუსი და თვით პერსონაჟების სამოსიც კი ჩინურია.

როგორც ჩინურმა კულტურამ მოახდინა გავლენა მომთაბარეებზე, ისევე მიიღო მან არახანელი ხალხების ზეგავლენა. განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ეს სიმღერებსა და ეპოსებში, რადგან მომთაბარეებს ეპოსების ძალიან ძლიერი ტრადიცია აქვთ. ამ ეპოქის ჩრდილოეთ ჩინეთის ყველაზე ცნობილი ეპოსია „სიმღერა მულანზე". ახალგაზრდა გოგო მამის მაგიერ მიდის ჯარში და ქვეყნის სამსახურში დიდებას მოიხვეჭს. ტრადიციული კონფუციური ხედვით, ასეთი შინაარსი სრულიად დაუშვებელია, მაგრამ მომთაბარეებში ქალი შედარებით თავისუფალი იყო და ეს ფაქტორი ჩრდილოეთ ვეის საზოგადოებაშიც აისახა. ჩრდილოეთში ქალს მეტი უფლებები ჰქონდა ვიდრე სამხრეთის დინასტიებში.

მიუხედავად მე-4 საუკუნეში ჩრდილოეთ ჩინეთში ტექნოლოგიური განვითარების დამუხრუჭებისა, მომდევნო ეპოქებში ამ მხრივ განვითარება შეიმჩნევა. აღსანიშნავია ფაიფურის წარმოება. სწორედ ჩრდილოეთ ციში დაამზადეს პირველად ცნობილი თეთრი ფაიფური[2].



[1] ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების შედეგად ბერძნულმა კვეთის ხელოვნებამ შორეულ ინდოეთამდეც მიაღწია. ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ და პაკისტანი-ავღანეთის ტერიტორიებზე ქუშანების სამეფოში (45-420 წწ.) ჩამოყალიბდა „განდჰარას მიმდინარეობა", რომელიც ძველბერძნული ხელოვნების დიდ ზეგავლენას განიცდიდა. ეს გამოიკვეთა ქანდაკებების რეალისტურ ფორმებსა და კვეთის საოცრად მაღალ ხარისხში.

[2] თეთრი ფაიფური მიიღება ფაიფურის გამოსანვავ მასალასა და ჭიქურში რკინის შემცველობის შემცირებით.

სუეის დინასტია

581 წელს ჩრდილოეთ ჭოუს მოხელემ, იანგ ძიენმა გადააყენა ჭოუს უკანასკნელი იმპერატორი და საკუთარი დინასტია დააარსა, სახელად სუეი. სუეის დინასტია მნიშვნელოვანი ტეხილია ჩინეთის დინასტიურ ისტორიაში. მიუხედავად არსებობის სამი ათწლეულისა, ამ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები და ჩამოყალიბებული სტრუქტურები გახდა საფუძველი თანგის დინასტიის ფარგლებში ჩინეთის პირველი ოქროს ხანის მისაღწევად. თავისი მნიშვნელობით სუეის დინასტია შეიძლება შევადაროთ ცინის დინასტიას (ძვ. წ. 221-206 წწ.). ორივე ეს დინასტია, მიუხედავად არსებობის პერიოდის სიმცირისა, გახდა გარდამავალი ეტაპი დაშლილობის ხანიდან დიდი იმპერიის შექმნამდე. ფაქტობრივად, მათ მიერ მომზადდა ის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული და სოციალური ბაზა, რომელზეც შემდეგ დაშენდა ჯერ ხანის, შემდეგ კი თანგის იმპერია.

საინტერესოა საკუთრივ იანგ ძიენის პიროვნება. ის გამოვიდა ჩრდილოეთ ჭოუს ახალი ელიტიდან, რომელსაც კუანლუნგის[1] დაჯგუფებასაც უწოდებენ. ამ ახალ თაობას თანაბრად ჰქონდა შეთვისებული ჩინური კულტურა და მომთაბარული ტრადიციები. მათ ზრდიდნენ როგორც სამხედროებს და იყვნენ უბადლო მეომრები და სარდლები. ასევე იწვრთნებოდნენ კონფუციზმსა და ჩინურ ლიტერატურაში. სამხრეთის ელიტა კი სამხედრო სფეროს ჯერ კიდევ ზემოდან უყურებდა. ჩრდილოეთში გამოჩენილ ახალი ტიპის ელიტას მეტი პოტენციალი და ენერგია ჰქონდა ძლიერი იმპერიის ჩამოსაყალიბებლად.

იანგ ძიენი ძალიან მიზანდასახული და საოცრად შრომისმოყვარე პიროვნება იყო. ისტორიული წყაროების მიხედვით, იმპერატორი მთელი დღე სახელმწიფოს საქმეებს განიხილავდა. ხშირად, წვრილმან საქმეებსაც კი არჩევდა და საღამოს მორჩენილი დოკუმენტები საძინებელშიც

[1] სახელწოდება მიღებულია კუანჭუნგისა და ლუნგსის რაიონების სახელების შეერთებით. სწორედ ამ ორი რაიონიდან გამოვიდა ჩრდილოეთ ჭოუსა და შემდეგ სუეის დინასტიის ნამყვანი პოლიტიკური და სამხედრო ელიტა.

მიჰქონდა. ფულის მიმართ საოცარ მომჭირნეობას იჩენდა და უაზროდ არასოდეს ხარჯავდა კაპიტალს. ამის შედეგად მისი მმართველობის პერიოდში იმპერიის ხაზინა შეივსო.

რამდენადაც იანგ ძიენიც ამ ახალი კულტურიდან გამოსული პიროვნება იყო, მას არ სურდა თავისი დინასტია ძველი სამეფოების მსგავსად მომთაბარულ წესებზე აწყობილიყო. იანგ ძიენმაც რადიკალური რეფორმები გაატარა იმპერიის ცხოვრების ყველა სფეროში. შეიქმნა ახალი დინასტია, რომელზეც ნამდვილად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იყო ჩინური დინასტია.

ვენ ტის რეფორმები

იმპერატორის ტახტის დაკავების შემდეგ იანგ ძიენმა ძალაუფლების განმტკიცებასა და იმპერიის შიდა ცხოვრებაზე გაამახვილა ყურადღება. თავდაპირველად მას მოუხდა აჯანყებების ჩახშობა და ძველი დინასტიის საიმპერატორო საგვარეულო ლამის ამოწყვიტა. ტახტის განმტკიცების შემდეგ მან აქტიურად დაიწყო საერთო საიმპერატორო მნიშვნელობის რეფორმები. მისი რეფორმები ძირითადად შეეხო იმპერიის ადმინისტრაციას, საგადასახადოს, არმიას, სასამართლოს.

ვენ ტიმ[1] გააუქმა ჩრდილოეთ ჭოუს დროინდელი მოწყობა და შექმნა ახალი ადმინისტრაციული აპარატი (სურ. 99). ხელისუფლება დაიყო სამ სამინისტროდ: სახელმწიფო საქმეთა დეპარტამენტი, კანცელარია და სამდივნო. მათგან ყველაზე მნიშნელოვანი იყო პირველი, რომელიც იყოფოდა ექვს შტოდ: სამოქალაქო საქმეები, სამხედრო საქმეები, ფინანსები, რიტუალები, სასამართლო და საზოგადოებრივი სამუშაოები. გარდა ამისა, არსებობდა ცენზორის თანამდებობა, რომელიც ერთგვარი



სურ. 99 ვენ ტი

[1] 文帝 ვენ ტი – კულტურული იმპერატორი – იანგ ძიენის გარდაცვალების შემდგომი წოდება. ამით ხაზი გაესვა იმას, რომ მიუხედავად იმპერიის სამხედრო გზით დაარსებისა, მისი მოღვაწეობის მთავარი მიღწევა მაინც კულტურასა და რეფორმებთან ასოცირდებოდა.

ინსპექტორის ფუნქციას ასრულებდა და მოხელეების მუშაობის ეფექტურობას და ეთიკას ამოწმებდა. იმპერატორმა ასევე გააუქმა იმპერიის ტერიტორიული დაყოფის სამფაზოვანი სქემა. მანამდე იმპერია იყოფოდა პროვინციებად, მუნიციპალიტეტებად და პრეფექტურებად. სუეის დაარსებიდან მალევე მუნიციპალიტეტები გააუქმეს და პრეფექტურების რიცხვი გაიზარდა. მთავარი სირთულე, რასაც ახალდაარსებული იმპერია ნააწყდა იყო კომპეტენტური კადრების სიმცირე. ამიტომ ვენ ტიმ აღადგინა ვეის დინასტიის დროს ცაო ცაოსა და ცაო ფის შემოტანილი მეთოდი: თითო პრეფექტურიდან ყოველწლიურად სამი გამორჩეულად ნიჭიერი პიროვნება უნდა გაეგზავნათ დედაქალაქში, სადაც მათ მოსამზადებელი კურსების გატარების შემდეგ შესაბამის თანამდებობას მიანიჭებდნენ. ამ მეთოდით მიღებული კადრების რაოდენობაც არ აკმაყოფილებდა უზარმაზარ იმპერიას. ამიტომ ვენ ტიმ დაიწყო საიმპერიო გამოცდების ჩატარება. გამოცდების სისტემამ შესწორებები თანგის დინასტიაშიც გაიარა და მხოლოდ სუნგის ეპოქაში მიიღო რეგულარული სახე, თუმცა მან იმდენად გაამართლა, რომ 1905 წლამდე იმართებოდა. ვენ ტის არც ადგილობრივი მოხელეების კორუფციისაკენ მიდრეკილება დავიწყებია. ამიერიდან, მოხელეებს ერთ ადგილას მხოლოდ სამი წელი შეეძლოთ ემსახურათ. ვადის გასვლის შემდეგ სხვა პოსტზე ან სხვა რეგიონში გადადიოდნენ. რაც მთავარია, მათ არ ჰქონდათ უფლება ოჯახი თან ჰყოლოდათ. ყოველი წლის ბოლოს კი დედაქალაქში იმართებოდა პრეფექტურების წარმომადგენელთა კრება წლიური ანგარიშის მოსახსენებლად.

ტახტზე ასვლიდან მეორე წელსვე ვენ ტიმ მიწების ხელახალი დანაწილების რეფორმა გამოსცა, თუმცა გლეხზე გაცემული მიწის კვოტა შემცირდა აღრიცხული მოსახლეობის ზრდის გამო. საქმე ისაა, რომ იმპერიის დაარსებისას აღრიცხული იყო 3.5 მილიონი ოჯახი. ვენ ტის მიერ ჩატარებული მკაცრი აღრიცხვების შედეგად კი სახელმწიფო რეესტრში ჩაწერილთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. უკვე 609 წლისათვის იმპერიის შიგნით 9 მილიონი ოჯახი აღირიცხებოდა, რაც დაახლოებით 46 მილიონიან მოსახლეობას ნიშნავს. ბუნებრივია, აღრიცხული მოსახლეობის ასეთი სწრაფი მატება გასაცემი მიწის კვოტას შეამცირებდა, სამაგიეროდ გაიზარდა გადასახადების გადამხდელთა რიცხვი.

სუეის არმია თავდაპირველად ჩრდილოეთ ჭოუს სამხედრო სისტემას მიჰყვებოდა. იმისათვის რომ ჩრდილოეთი ცი დაეპყრო, ჭოუს იმპერა-

ტორმა უ ტიმ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით, გლეხი თუ არმიას შეუერთდებოდა, სამხედრო რეესტრში ჩაიწერებოდა და გადასახადები და სავალდებულო შრომა აღარ შეეხებოდა. პროვინციებს ჰყავდათ საკუთარი ადგილობრივი არმია. ჩამოყალიბდა სპეციალური ზონები, სადაც გუბერნატორებს სამოქალაქო და სამხედრო უფლებები თანადროულად ეჭირათ. იმპერიის შიგნით ვითარების ჩაწყნარების შემდეგ ვენ ტიმ დაიწყო იმპერიის დემილიტარიზაცია. განსაკუთრებით კი იმპერიის გაერთიანების შემდეგ მან სახიფათოდ ჩათვალა დიდი რაოდენობით მუდმივი ჯარის ყოლა. 590 წელს, უკანასკნელი სამხრეთული დინასტიის, ჩენის დაპყრობის შემდეგ ჯარისკაცებიც ჩვეულებრივი მოქალაქეების რეესტრში ჩაწერა. მეომრებს დაუნაწილდათ მიწა და საგადასახადო ვალდებულებაც დაედოთ. თუკი აქამდე ისინი ბრძანების მიხედვით ერთი პუნქტიდან მეორეში გადადიოდნენ, ამიერიდან მიწაზე იყვნენ მიმაგრებულნი. რეგულარული დარჩა მხოლოდ საიმპერატორო გვარდია, სადაც როტაციის წესით მსახურობდნენ ახლა უკვე მიწაზე დამაგრებული მეომრები. 595 წელს ვენ ტიმ საერთო განიარაღებაც გამოაცხადა. ყველა ყოფილ მეომარს, რომელიც მინას ამუშავებდა, იარაღი უნდა ჩაებარებინა[1].

ტახტზე ასვლიდანვე ვენ ტიმ დაიწყო მზადება ახალი კოდექსის გამოსაცემად. ძველი კოდექსი ზედმეტად დიდი და გაუგებარი იყო. 583 წელს, ორწლიანი მუშაობის შედეგად, გამოიცა ახალი, შემცირებული კოდექსი, რომელიც იყო ძინიდან ჩრდილოეთ ჭოუს დინასტიამდე არსებულ კანონთა სინთეზირებული და გამარტივებული ვარიანტი. ახალი კოდექსი უფრო ლოიალური იყო დამნაშავეებისადმი. გაუქმდა ისეთი რადიკალური დასჯის მეთოდები, როგორიცაა 9 თაობის ამოწყვეტა, ცხენებით კიდურების მოცლა და სხვა. დარჩა მხოლოდ ოთხი სახის სასჯელი: სიკვდილით დასჯა, გადასახლება, გაწკეპვლა და იძულებითი შრომა. თუმცა, ეს მხოლოდ საზოგადოების დაბალ ფენას შეეხებოდა. ელიტისათვის ყველაზე დიდი სასჯელი იყო თანამდებობისა და სტატუსის ჩამორთმევა. რიგ შემთხვევებში იმპერატორი თვითონ სჯიდა სიკვდილით მაღალი თანამდებობის პირებსაც. წინსვლა იყო სასამართლოს სისტემაშიც. თუკი სასამართლოს განაჩენი არ იქნებოდა დამაკმაყოფილებელი, შეეძლოთ უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოში გადაეტანათ საქმე.

[1] ეს კანონი არ შეეხო კუანჭუნგის რაიონს, რადგან ეს ტერიტორია ვენ ტის სამხედრო დასაყრდენ ბაზას წარმოადგენდა.

ჩრდილოეთ ჭოუს იმპერატორ უ ტის დროს საიმპერატორო კარი ბუდისტურ ეკლესიას დაუპირისპირდა, რადგან მას დიდძალი ქონება და ძალაუფლება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთი პერიოდი ბუდისტურ მონასტერში იზრდებოდა და მთელი ცხოვრება გულმხურვალე ბუდისტი იყო, ბუდისტური ეკლესია მკაცრი კონტროლის ქვეშ ჰყავდა და ტაძრის გლეხებიც კი გაჰყავდა ჯარში. ვენ ტი ასევე მფარველობდა კონფუციზმსა და ტაოიზმს. ამ სამი რელიგიისა და რწმენა-წარმოდგენების სისტემის მეშვეობით ვენ ტი საკუთარი მმართველობისათვის ზებუნებრივ ახსნას ცდილობდა. თითოეულ მათგანს თავისი ადგილი ჰქონდა ვენ ტის იდეოლოგიის შეგნებაში. ვენ ტი ბუდიზმს მხოლოდ თავისი პირადი სიმპათიის გამო უწევდა პროპაგანდას. იგი ბუდიზმის მოძღვრებას იყენებდა საკუთარი მმართველობის სამართლიანობის დასამტკიცებლად. კერძოდ, თავს აცხადებდა ჩაკრავარტინ მეფედ, რაც ბუდისტურ თეოლოგიაში არის მსოფლიოს იდეალური მბრძანებელი, რომელიც ღირსეულად მართავს სამფლობელოს. ტაოიზმი და კონფუციზმი სჭირდებოდა ძველ ჩინურ დინასტიებთან, განსაკუთრებით კი ხანის დინასტიასთან დასაკავშირებლად. საქმე ისაა, რომ ვენ ტის სჭირდებოდა საკუთარი იმპერია რომელიმე ძველ დინასტიასთან დაეკავშირებინა, რომ ხანელებისათვის დაემტკიცებინა ცის მანდატი მართლაც მას ჰქონდა[1]. ამ მხრივ საუკეთესო ვარიანტი კი ხანის დინასტია იყო, რომლის ფარგლებში ჩინეთი ყველაზე დიდხანს იყო ერთიანი. შესაბამისად, ხშირად ატარებდა ხოლმე წმინდა ტაოისტურ რიტუალებს იმპერიის კეთილდღეობისათვის, როგორც ეს ხანის დინასტიის დროს ხდებოდა. რაც შეეხება კონფუციზმს, იგი არ იყო მხოლოდ რელიგია, არამედ სამოხელეო აპარატის ეთიკისა და მორალის წესების კრებულიც. შესაბამისად, მისი უგულვებელყოფა შეუძლებელი იყო.

ვენ ტის იდეოლოგიური პოლიტიკის ნაბიჯი იყო ახალი დედაქალაქის აგება. მან ჩანგანის ახლოს ბრძანა ახალი ქალაქის გაშენება, რომელსაც ტასინგი, „დიადი აყვავება" უწოდა. ქალაქი შენდებოდა ჩინური არქიტექტურისა და ფილოსოფიის წესების მიხედვით. ადგილის არჩევასა და ქალაქის დაგეგმარებაში გაითვალისწინეს ფენგშუეის ფაქტორი. ახალ დედაქალაქს კვადრატული ფორმა ჰქონდა და თვით ქალაქის შიგნითაც კვადრატებად დაიყო კვარტლები. იმპერატორი ტასინგში უკვე 583 წელს დასახლდა. მისი ბრძანებით დიდი ფეოდალები და ვაჭრებიც აქ გადმო-

[1] ზოგადად, ჩინურ დინასტიებს ახასიათებთ წარსულზე ორიენტაცია და რომელიმე ძველი დინასტიის მემკვიდრედ თავის გამოცხადება.

სახლდნენ. თუმცა კი, ქალაქის ბოლომდე აგება მხოლოდ თანგის დინასტიის დროს დასრულდა.

ვენ ტიმ იმპერიის მასშტაბით გაატარა მარცვლეულის შენახვისა და დაგროვების სისტემა. ამ სისტემას ადრეც იყენებდნენ ხოლმე, რათა გვალვის პერიოდში ბაზარზე მარცვლეულის ფასებით სპეკულაცია არ დაწყებულიყო. უბრალოდ სუეის დინასტიის პერიოდში მასშტაბები გაიზარდა. ვენ ტის ბრძანებით, შეიქმნა რამდენიმე დიდი საცავი, სადაც უნდა დაგროვებულიყო მარცვლეულის მარაგი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, კერძოდ, შიმშილობისას ან საომარი ვითარებისას უნდა გამოეყენებინათ. წყაროების მიხედვით, ვენ ტის გარდაცვალებისას საცავებში მარცვლეულის იმდენი მარაგი იყო, რომ იმპერიას რამდენიმე ათეული წელიწადი ეყოფოდა.

ვენ ტის საგარეო პოლიტიკა

ვენ ტის საგარეო პოლიტიკა ძირითადად ორი მიმართულებით იყოფოდა: თურქებთან გამკლავება და იმპერიის გაერთიანება. თურქების პრობლემა ჯერ კიდევ მე-6 საუკუნის შუა ხანებში დაიწყო. თავდაპირველად ეს მომთაბარე ხალხი ჟოუჟანების ქვეშევრდომები იყვნენ. მაგრამ, დროთა განმავლობაში მოძლიერდნენ და ყოფილი ბატონები დაამარცხეს. 552 წელს დააარსეს თურქთა ხაკანატი, რომელიც მოგვიანებით მანჯურიის სტეპებიდან ვოლგის დაბლობებამდე გადაიჭიმა. მიუხედავად იმისა, რომ თურქებმა დასავლეთითაც დაიწყეს გავრცელება, მთავარი ძალა მაინც ჩინეთის მეზობლად რჩებოდა. მათთან ურთიერთობაში ჯერ ჩრდილოეთ ჭოუ და ცი, შემდეგ კი სუეის დინასტია ომსა და დიპლომატიას ურთიერთმონაცვლეობით იყენებდა. უმეტესად კი მაინც დიპლომატიას ეყრდნობოდა. მომთაბარეებთან ურთიერთობის გამოცდილება ჯერ კიდევ ხანის დინასტიას ჰქონდა. ხანელები მიხვდნენ, რომ მომთაბარეებთან მხოლოდ იარაღით დაპირისპირება წარმატებას ვერ მოიტანდა, რადგან მთავარ ბრძოლას ვერ უმართავდნენ და ვერც მომთაბარეების მსგავსად მუდმივად მოძრაობაში ეყოლებოდათ არმია. ამიტომ დაიწყეს ხარკის გადახდა და დანათესავების პოლიტიკა. შედეგად, მომთაბარეებს შიგნით შექმნეს დაპირისპირება და მათი ძალები დაყვეს, შემდეგ კი მათ შორის ომის პროვოცირებაც მოახდინეს. ხანის გამოცდილება შესანიშნავად გამოიყენა სუეის იმპერიამ. 583-584 წელს თურქთა ხაკანატი დაიყო ორ – დასავლეთ და

აღმოსავლეთ ნაწილებად. გაყოფილი ხაკანატებიც მალე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, სუეის საიმპერატორო კარი ხელს უწყობდა აღმოსავლეთ ხაკანატში ფრაქციებს შორის შუღლის გაჩენას. ისინი მხარს უჭერდნენ თავიანთ ფავორიტს ფულითა და არმიით და როცა ეს ფავორიტი ხაკანი გახდებოდა, სუეის ვასალობას კისრულობდა. ამგვარი მეთოდებით სუეის დინასტიამ მოახერხა თურქთა საფრთხის დროებითი განეიტრალება.

იანგ ძიენის მთავარი მიზანი მაინც იყო სამხრეთ ჩინეთის შემოერთება და ჩინეთის გაერთიანება. როგორც ვთქვით, მას ხანის დინასტიის მემკვიდრეობაზე ჰქონდა პრეტენზია. შესაბამისად, ჩინეთის გაერთიანებაც იქნებოდა ნიშანი იმისა, რომ ცის ნება მისკენ იყო. სამხრეთული კამპანიისათვის მან დიდი მზადება დაიწყო. 589 წელს დაიწყო დიდი სამხედრო კამპანია. სამხრეთზე შეტევისას არმია ხუთ ნაწილად დაიყო. აქედან სამი სახმელეთო გზით გადავიდა იანგწის სამხრეთით. დანარჩენმა ორმა კი წყლიდან შეუტია ჩენის დინასტიას. მთავარი დამრტყმელი ძალა მაინც იყო თანამედროვე სჩუანის პროვინციიდან[1] იანგწის დინებას დაყოლილი ფლოტი, რომელმაც მოულოდნელი შეტევით გაჭრა ჩენის დაცვის ხაზი. მალე ჩენის დინასტიის იმპერატორიც დანებდა. თუმცა სამხრეთის დაპყრობა ამით არ დასრულებულა. საკუთრივ ჩენი სამხრეთ ჩინეთის მხოლოდ ნაწილს აკონტროლებდა. სუეის არმიას მომდევნო ხუთი წელი დასჭირდა, რომ სამხრეთ ჩინეთში აჯანყებები ჩაეცხრო და კუანგჭოუმდე მისულიყო.

იანგ ტი

იანგ ძიენი ჩინეთის ისტორიაში იმ თითზე ჩამოსათვლელ იმპერატორთა სიაშია, რომლებთაც ერთი ცოლი ჰყავდათ. მისი მეუღლე, დედოფალი ვენ სიენი, გავლენიანი ოჯახის შვილი იყო და დაქორწინებამდე პირობა ნაუყენა იანგ ძიენს, რომ მომავალში სხვა ცოლი არ უნდა შეერთო. იმპერატორ ვენ ტის ცოლის სიცოცხლეში არც დაურღვევია ეს პირობა. დედოფალი აქტიურად იყო ჩართული იმპერიის საქმეებში. უნდა ითქვას, რომ ქმარზე მეტად ობიექტური იყო და საკუთარ სანათესაოს სხვებზე წინ არასოდეს აყენებდა.

პარადოქსულია, რომ ასეთი ჰარმონიული ცოლ-ქმარი სიცოცხლის ბოლო წლებში შეთქმულების პარანოიამ მოიცვა, რასაც არაერთი დამსახურებუ-

[1] სჩუანის პროვინცია ჯერ კიდევ 553 წელს წაართვა დასავლეთ ვეიმ ლიანგის დინასტიას.

ლი მოხელე და თვით მათი შვილებიც კი შეეწირნენ. ვენ ტის და დედოფალ ვენ სიენს სულ ხუთი ვაჟი ჰყავდათ. აქედან ოთხი სიკვდილით დასაჯეს, იმ ბრალდებით, რომ იმპერატორის წინააღმდეგ გადატრიალებას აწყობდნენ. გადარჩა მხოლოდ მეორე ვაჟი, მშობლების ფავორიტი და მომავალი იმპერატორი, იანგ ტი. შესაძლოა, მშობლების პარანოიასა და ძმების ღალატში დადანაშაულებაში მისი ხელიც ერიოს. ეს ეჭვი საფუძველს მოკლებული არაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მან საკუთარი მამაც კი მოწამლა ტახტზე სწრაფად ასვლისთვის მაშინ, როცა იმპერიის ფაქტობრივი მმართველი თვითონ იყო. 602 წელს დედოფლის გარდაცვალებასთან ერთად ვენ ტი სახელმწიფო საქმეებს ჩამოშორდა და შვილს ჩააბარა ქვეყნის მართვა. ეს ჯერ არაოფიციალურ ხასიათს ატარებდა. იანგ ტიმ დიდხანს ლოდინი არ ისურვა და მამის გარდაცვალება დააჩქარა.



სურ. *100* იანგ ტის ეპიზოდი ძიანგტუში.

ტახტზე ყოფნის 13 წლის განმავლობაში იანგ ტიმ გრანდიოზული საქმეები განახორციელა. მას გამოჰყვა მამამისის პოლიტიკური უნარი, მაგრამ მამისაგან განსხვავებით დიდების სენით იყო შეპყრობილი და ფულს კატასტროფულად ფლანგავდა (სურ. 100; სურ. 101). როგორც მისი პიროვნება, ისე მისი მმართველობა ნინააღმდეგობებითაა სავსე. იგი იყო პოეტი და მწერალი, ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე და კრიტიკოსი. ამავდროულად, კარგად ესმოდა პოლიტიკა და ცივი გონებით მოქმედებაც შეეძლო. მან, ერთი მხრივ, გადადგა ნაბიჯები იმპერატორის ძალაუფლების გაძლიერებისა და იმპერიის საერთაშორისო გავლენის გაზრდისათვის, მეორე მხრივ კი, ისეთი შეცდომებიც დაუშვა, რაც თვითონ მას და დინასტიას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.



სურ. *101* იანგ ტის ღამის გასეირნება

ტახტზე ასვლამდე გაცილებით ადრე იანგ ტი უკვე იცნობდა იმპერიის მუშაობის პრინციპებს. 589 წელს, როცა სამხრეთ ჩინეთი დაიპყრეს, ვენ ტიმ სწორედ ის დაადგინა ამ ტერიტორიის ზედამხედველად. იანგ ტიმ ათი წლის განმავლობაში შეისწავლა სამხრეთ ჩინეთის სპეციფიკა, მოიყვანა სამხრეთელი ცოლი და აქაური დიალექტიც კი აითვისა. მიუხედავად აჯანყებებისა, მან მოახერხა სამხრეთ ჩინეთის იმპერიაში ინტეგრირება. სამხრეთში ცხოვრებამ მასზე დიდი გავლენა იქონია. მომავალში, როცა იმპერატორის ტახტზე დაჯდა, მამამისის მსგავსად მხოლოდ კუანჭუნგის რაიონის ელიტაზე არ იყო დამოკიდებული. მასთან დაახლოებული წრე უფრო ფართო გეოგრაფიული არეალიდან შეიკრიბა, მათ შორის სამხრეთ ჩინეთიდანაც იყვნენ წარმომადგენლები.

იანგ ტიმ იმპერატორის ტახტზე ასვლიდან მალევე შეუტია სამხედრო სფეროს. მან გააუქმა სპეციალური ზონები, სადაც გუბერნატორს სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლება ეკავა. ასევე შეამცირა არმიის შიდა დიფერენციაცია, გააერთიანა სხვადასხვა დანაყოფები. ამგვარად, სარდლების გავლენა შემცირდა. აღადგინა კონფუცისტების დაფინანსება და სასწავლებლები, რომლებიც ვენ ტიმ მმართველობის ბოლო წლებში ბუდიზმის წინ წამონევის მიზნით დახურა.

იანგ ტის სახელთან დაკავშირებული ყველაზე დიდი პროექტი მაინც არის „დიდი არხის" მშენებლობა. ეს არის არხების კასკადი, რომელიც ჩრდილოეთ ჩინეთიდან, თანამედროვე პეკინის ტერიტორიიდან ვიდრე იანგწის სამხრეთამდე, ხანგჭოუმდე გადაიჭიმა. იმპერატორმა გაიყვანა ოთხი დიდი არხი, რომლებმაც ერთმანეთთან დააკავშირეს მდინარეები ხუანგხე, იანგწი, ხუაიხე და ციენთანგი. მდინარეების, ტბების და არხების საერთო სისტემა 2500 კილომეტრს ფარავდა და გზად გაივლიდა ჩანგანს, ლუოიანგს, იანგჭოუს[1] და ხანგჭოუს[2]. „დიდი არხის" გაყვანას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩინეთის განვითარებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთი და სამხრეთი ჩინეთი სანაოსნო გზით დაუკავშირდა ერთმანეთს, რამაც უფრო დააახლოვა ჩინეთის ორი ნაწილი ერთმანეთთან. გაცილებით მარტივი გახდა მოგზაურობა და ტვირთის გადაზიდვა შორეულ დისტანციებზე. მანამდე სამხრეთსა და ჩრდილოეთს

[1] ქალაქი ძიანგსუს პროვინციაში, მდინარე იანგწიზე. სწორედ აქედან მართავდა იანგ ტი სამხრეთ ჩინეთს. ფაქტობრივად იანგჭოუ სუეის დინასტიის მესამე დედაქალაქი იყო ჩანგანისა და ლუოიანგის შემდეგ.

[2] თანამედროვე ჭეძიანგის პროვინციის დედაქალაქი.

შორის გათიშულობის ძირითადი მიზეზი სწორედ კონტაქტის სიმცირე იყო. თვით ლაშქრობებიც კი ვერ ეწყობოდა ერთი ნაწილიდან მეორეში სურსათით მომარაგების სირთულის გამო. „დიდი არხის" გაყვანის შემდეგ სამხრეთ ჩინეთი აქტიურად ჩაერთო საერთო იმპერიულ ვაჭრობასა და რესურსების მიმოცვლაში. „დიდი არხის" მშენებლობას თავისი უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ასეთი გრანდიოზული პროექტის 5-6 წელში დასრულებას არაადამიანური შრომა სჭირდებოდა. იანგ ტიმ არხის სამუშაოებზე ასეულ ათასობით გლეხი გაიყვანა. მართალია, გლეხებს ყოველწლიური 20 დღიანი სავალდებულო შრომა ჰქონდათ, მაგრამ არხის მშენებლობა უფრო მეტს მოითხოვდა. როცა მუშახელის ნაკლებობა ფიქსირდებოდა, ქალებსაც კი ამუშავებდნენ. დიდი რაოდენობით ადამიანური მსხვერპლი დასჭირდა ამ დიდი პროექტის განხორციელებას.

იანგ ტის საგარეო პოლიტიკა ძირითადად კონცენტრირებული იყო სამეზობლოში სუეის დინასტიის დომინანტობის განმტკიცებაზე. როდესაც 607 წელს ჩინეთის საიმპერატორო კარს პირველად ეწვია იაპონიის ოფიციალური ელჩობა, რომელმაც იმპერატორს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ცის შვილი მზის ამომავალი ქვეყნიდან სალამს უძღვნის ცის შვილს მზის ჩამავალ ქვეყანაში". ამან იმპერატორის რისხვა გამოიწვია. იანგ ტის აზრით, მხოლოდ სუეის იმპერატორს უნდა ჰქონოდა „მზის შვილის" სტატუსი და სხვას არავის. თავისი სტატუსის აღმატებულობის დამტკიცების მიზნით იგი აწყობდა საოცარი მასშტაბის კარნავალებსა და ზეიმებს, რომლებზეც სხვა ქვეყნების ელჩებსა და მეფეებს იწვევდა ხოლმე.

ახალი იმპერატორის ზეობის ხანაში საგარეო ლაშქრობებმაც იმატა. ჯერ კიდევ ტახტზე ასვლამდე 602 წელს, მისი ბრძანებით, სუეის არმიამ ილაშქრა ვიეტნამის ცენტრალურ ნაწილამდე. 607-610 წლებში თაივანზე გააგზავნა ფლოტილია. დიდ წარმატებას მიაღწია თუიუხუნების წინააღმდეგ. ეს ხალხი სიენპეის ჯგუფს მიეკუთვნებოდა. მოგვიანებით დატოვეს ძველი საცხოვრებელი და თანამედროვე კანსუსა და ცინგხაის პროვინციების ტერიტორიაზე ძლიერი გაერთიანება ჩამოაყალიბეს. იანგ ტიმ მოახერხა მათი დამარცხება და მნიშვნელოვანი სავაჭრო დერეფანი დაიკავა. თურქები ამ პერიოდში უკვე იმპერიის ვასალები იყვნენ. მათი ხაკანის ნათესავები ლუოიანგში რჩებოდნენ საპატიო მძევლების სახით.

ერთი შეხედვით, ტახტზე ასვლიდან 4-5 წლის განმავლობაში იანგ ტიმ სუეის იმპერია ძლიერების ზენიტში აიყვანა: იმპერატორის ძალაუ-

ფლება განამტკიცა, გაიყვანა „დიდი არხი", იმპერიის საერთაშორისო ავტორიტეტი აამაღლა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ სწორედ აქ დაუშვა იანგ ტიმ დიდი შეცდომა. მან დაიწყო რამდენიმეწლიანი ფუჭი ომი კოგურიოს კორეულ სამეფოსთან. ამ ომებს შეეწირა მისი ავტორიტეტი, დიდი რაოდენობით ადამიანური და მატერიალური რესურსი.

აღსანიშნავია, რომ კოგურიოს და სუეის დაპირისპირება კოგურიომ გახსნა, როცა 598 წელს სუეის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიწები დაარბია. მაშინ ვენ ტიმაც გაილაშქრა კოგურიოზე, მაგრამ წვიმის სეზონმა მოუწია და უკან დაიხია. კოგურიოს მეფემ კი ბოდიში გამოუგზავნა და ვენ ტიც დაკმაყოფილდა. რამ გამოიწვია იანგ ტის კორეული ლაშქრობები? ყველაზე გავრცელებული ვერსიით, 608 წელს, როცა იანგ ტი თურქთა ხაკანის მოძრავ დედაქალაქს ესტუმრა, აქ კოგურიოს ელჩები დახვდა. ამ ორი მეზობლის კავშირი სუეის იმპერიას კარგს არაფერს უქადდა. ამიტომ იანგ ტის აქედანვე ჩაჰყვა კოგურიოსკენ ლაშქრობის იდეა. მოგვიანებით მან კოგურიოს მეფე დედაქალაქში გამოიძახა. როცა უარი მიიღო, 611 წელს გამოაცხადა კორეაში კოგურიოს სამეფოზე[1] ლაშქრობა. მომდევნო წელს თანამედროვე პეკინის ტერიტორიიდან გაერთიანებული ლაშქარი დაიძრა კოგურიოსკენ. ლაშქარს თან მიჰყვებოდა ფლოტი. წყაროების ცნობით, არმია მილიონ ჯარისკაცს აჭარბებდა. თუ გავითვალისწინებთ იმპერიის 46-მილიონიან მოსახლეობას და იანგ ტის გრანდიოზულობას მოწყურებულ ბუნებას, არმიაში მართლაც ასეულობით ათასი მეომარი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ასეთი რიცხობრივი უპირატესობისა, სუეის არმიამ გამანადგურებელი მარცხი განიცადა. მიუხედავად მარცხისა, იანგ ტი მაინც არ დანებდა და მომდევნო ორი წელი მიყოლებით ილაშქრა კოგურიოზე, მაგრამ შედეგი უცვლელი იყო – კატასტროფული მარცხი იწვნიეს.

კოგურიოზე ლაშქრობისას სუეის სარდლობამ და თვითონ იმპერატორმა ბევრი რამ არ გაითვალისწინეს. მარცხის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი გეოგრაფიული მდებარეობა იყო. კოგურიოს საზღვრები სუეის დასახლებული ზონიდან ასეულობით კილომეტრის მოშორებით იყო. ამის გამო წარმოიშვა სურსათის გადაადგილების პრობლემა. საკუთრივ კოგურიოში ზამთარი უხვთოვლიანობით, ხოლო გაზაფხული და შემოდგომა წვიმებით გამოირჩეოდა. ამრიგად, სამხედრო ოპერაციებისათვის

[1] ამ პერიოდში კორეაში სამი სამეფო იყო: კოგურიო – კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით, ცენტრით ფხენიანში, სილა – სამხრეთ-აღმოსავლეთით და პეჭჩე – სამხრეთ-დასავლეთით.

ძალიან მცირე პერიოდი რჩებოდა სუეის არმიას. ამ ყველაფერს დაემატა სახმელეთო და საზღვაო ძალების არაკოორდინირებული მოქმედებები და შედეგად სუეის უზარმაზარი არმია დამარცხდა.

კოგურიოში მარცხმა იმპერიის შიგნით საზოგადოების უკმაყოფილება გააძლიერა. ხალხი ისედაც ცუდად იყო განწყობილი იმპერატორის გადამეტებული მფლანგველობით და ექსტრავაგანტული ცხოვრების წესით[1]. მიყოლებით წარმოებულმა საგარეო ლაშქრობებმა დიდი რაოდენობით მატერიალური რესურსი მოითხოვა. ომის წაგებამ კი რესურსების ნაკლებობა უფრო მწვავე საკითხად აქცია. უკვე 611 წლიდან დაიწყო აჯანყებები იმპერიის სხვადასხვა წერტილში, 613-614 წლებში კი აჯანყებების ნამდვილი ბუმი მოხდა. საიმპერატორო არმია უკვე ვეღარ აუდიოდა ამბოხებების ჩახშობას. თვით ასეთ სიტუაციაშიც კი იმპერატორი კიდევ ერთ კორეულ ლაშქრობას გეგმავდა, მაგრამ გარემოცვამ გადააფიქრებინა მას ახალი ავანტიურის მოწყობა. სამაგიეროდ, სწორედ ეს გარემოცვა უმალავდა იმპერატორს, თუ რა სიტუაცია იყო იმპერიის შიგნით. იმპერიის თავდაცვის აპარატი იმდენად მოიშალა, რომ 615 წელს იმპერატორი თურქთა ალყაში მოექცა ჩრდილოეთ ჩინეთში სასაზღვრო ტერიტორიის დათვალიერების დროს და ძლივს გადაურჩა ტყვეობას.

615 წლის ბოლოს იანგ ტი სრულ სასოწარკვეთას მიეცა და იმპერიის საქმეებს საერთოდ ჩამოშორდა. მიატოვა ჩრდილოეთი ჩინეთი და სამხრეთში გადავიდა. აქ იანგჭოუში დაიდო ბინა და ცხოვრების ბოლო წლები გართობაში გაატარა. საბოლოოდ მას თავისი გარემოცვა აუჯანყდა და აბანოში მოკლეს. ამ დროს სუეის იმპერია უკვე არსებობის ბოლო დღეებს ითვლიდა. იმპერია სარდლებმა, ფეოდალებმა და აჯანყებების ლიდერებმა დაინაწილეს. საბოლოოდ მათგან გამარჯვებული გამოვიდა ლი იუენი, რომელმაც თანგის დიდებული დინასტია დააარსა. თანგის დიდება სწორედ სუეის მიერ მომზადებულ საფუძველზე იდგა.

[1] იმპერატორი იანგ ტი „დიდი არხის" გასნვრივ ყოველწლიურად აწყობდა ხოლმე მოგზაურობებს. გემები 50 კილომეტრზე იყო განლაგებული არხში. მოგზაურობისას კი ფლოტის გაჩერების ადგილიდან 200 კილომეტრის რადიუსში მოსახლეობას უნდა უზრუნველყო ისინი პროდუქტით, თანაც უფასოდ.

თანგის დინასტია

ბრძოლა დინასტიის დაფუძნებისათვის

სუეის დინასტიის მმართველობის ბოლო წლებში აჯანყებები მძლავრობდა იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. 616 წლის მიწურულისთვის იმპერატორმა იანგ ტიმ სამხრეთ დედაქალაქში, ძიანგტუში გადაინაცვლა, ხოლო ჩრდილოეთ ჩინეთის უდიდესი ნაწილი აჯანყებულებს დარჩათ. მიუხედავად იმისა, რომ იანგ ტი ნომინალურად ინარჩუნებდა იმპერატორის წოდებას 618 წლის გაზაფხულამდე, რეალური ძალაუფლება ადგილობრივი მეამბოხეების ხელში იყო. ლი მი განაგებდა ლუოიანგის მიდამოებს, ტოუ ძიენტე – ჩრდილო-აღმოსავლეთს, სიუე ძიუ – უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთს და ლი – შანსის. 617 წლის დასაწყისში ლი იუენმა დაამარცხა აღმოსავლეთ თურქული ტომები და მათი დახმარებით შეუტია დედაქალაქს, ნლის ბოლოსათვის ჩანგანი დაეცა, ხოლო სიუე ძიუს მეამბოხეები დამარცხდნენ. ამის შემდეგ, იმპერატორი იანგ ტი გამოცხადდა „გადამდგარ იმპერატორად", ხოლო ტახტზე ავიდა სუეის ერთ-ერთი უფლისწული კუნგ ტი. იანგ ტის მკვლელობის შემდეგ ლი იუენმა (სატაძრო სახელი[1] – კაო წუ) გადააყენა მარიონეტი კუნგ ტი და თავი ახალი დინასტიის, თანგის იმპერატორად გამოაცხადა.

ახალი იმპერატორი თანგ კაო წუ იყო იმდროინდელი ჩინეთის ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტთაგანი. მართალია, სიუე ძიუ და-

[1] 庙号 (მიაო ხაო) – ხანის დინასტიიდან მოყოლებული ყველა ჩინელ იმპერატორს გარდაცვალების შემდგომ ეძლეოდა ე.წ. „სატაძრო სახელი", რომელიც აუცილებლად იწყებოდა დინასტიის სახელით და ემატებოდა ორი იეროგლიფისაგან შემდგარი სახელი, რომელთაგან პირველი იყო ზედსართავი (მაგ. 祖 („კაო" მაღალი) ან 太 („თაი" დიადი), ხოლო მეორე აღნიშნავდა საკუთრივ იმპერატორს (მაგ. 祖 („წუ" წინაპარი, დიდი ბაბუა) ეძლეოდა დინასტიის დამაარსებლებს, ხოლო 宗 („წუნგი" წინაპარი; მემკვიდრე) დინასტიის დანარჩენ წარმომადგენლებს). იმპერატორი ისტორიაში, როგორც წესი, სატაძრო სახელით შედიოდა. ასეთივე პრაქტიკა არსებობდა კორეასა და ვიეტნამში.

მარცხებული იყო, მაგრამ რჩებოდა რამდენიმე ძირითადი ძალა, რომელთანაც ახალ იმპერატორს ბრძოლა უხდებოდა – სუეის მიმართ ლოიალურად განწყობილი ძალები, რომლებიც ლუოიანგში იყვნენ გამაგრებულები ვანგ შიჩუნგის მეთაურობით, მეამბოხე ლი მი ხენანის პროვინციაში, მეამბოხე ტოუ ძიენტე ხეპეის პროვინციაში და სუეის სამხრეთის არმიები – იმპერატორ იანგ ტის მკვლელ იუვენ ხუაძის მეთაურობით. ვანგ შიჩუნგმა ლუოიანგში იმპერატორად გამოაცხადა იანგ ტის შვილიშილი, შემდეგ ლი მის დახმარებით დაამარცხა იუვენ ხუაძი. დაპირისპირება მოხდა ვანგ შიჩუნგსა და ლი მის შორის, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებული გახდა გაქცეულიყო და გადასულიყო თანგის მხარეს. ამის შემდეგ, ვანგ შიჩუნგმა გადააყენა იანგ ტის შვილიშვილი და თავი ახალ იმპერატორად გამოაცხადა.

სამხედრო უპირატესობა თანგის მხარეს იყო. 621 წლისთვის კაო წუს ვაჟმა, ლი შიმინმა ალყა შემოარტყა ლუოიანგს. ვანგ შიჩუნგი ცდილობდა ტოუ ძიენტესთან კოალიციის შექმნას, რომელიც ხეპეის პროვინციაში იყო გამაგრებული და წარმატებით უმკლავდებოდა თანგის ჯარებს. ტოუმ გადაწყვიტა ვანგის დახმარება, მაგრამ ლი შიმინი თავს დაესხა მის ჯარებს, სანამ ისინი ალყის მოხსნას შეძლებდნენ. ტოუ ტყვედ ჩავარდა, ხოლო ვანგ შიჩუნგმა კაპიტულაცია გამოაცხადა. შედეგად, თანგმა დაიმორჩილა ჩინეთის ყველაზე ჭარბად დასახლებული და მოსავლიანი მხარე.

თანგის ხელისუფლება შედარებით ლმობიერად ეპყრობოდა ამბოხებულებს. მათი დიდი ნაწილი მაღალ თანამდებობებზე მსახურობდა, თუმცა განსხვავებული ბედი ეწიათ ვანგ შიჩუნგსა და ტოუ ძიენტეს – ვანგს მიუსაჯეს გადასახლება, მაგრამ გზაში მოკლეს, ხოლო ტოუ პირდაპირ სიკვდილით დასაჯეს. ტოუს მომხრეები ისევ აჯანყდნენ 621 წელს ლიოუ ხეითას მეთაურობით და დაიმორჩილეს თითქმის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი. ისინი საბოლოოდ დაამარცხა ტახტის მემკვიდრე ლი ძიენჩენგმა 623 წლის დასაწყისში. ჩრდილოეთში თანგისადმი წინააღმდეგობა სხვადასხვა ფორმით გრძელდებოდა დინასტიის მმართველობის მთელ პერიოდში.

წინააღმდეგობა არც მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთით შემოფარგლულა. ჩრდილოეთ შანსიში გამაგრებული ლიოუ უჭოუ, რომელიც 619 წლიდან იყო საფრთხე, საბოლოოდ დაამარცხეს მისმა თურქმა მოკავშირეებმა 622 წელს. სამხრეთში, სიაო სიენმა თავი ლიანგის

დინასტიის იმპერატორად გამოაცხადა. ის აკონტროლებდა მდ. იანგწის ცენტრალურ ნაწილს, ძიანგსისა და კუანგტუნგის პროვინციებს და ვიეტნამს. მდ. იანგწიზე გამართული ორი ბრძოლის შემდეგ სიაო სიენი დამარცხდა და დაემორჩილა თანგს. სამხრეთ-აღმოსავლეთს განაგებდა ლი წითუნგი, რომელიც ჭეძიანგის პროვინციაში იყო გამაგრებული. თუმცა, 621 წელს ისიც დამარცხდა და მისი სამფლობელოები შეუერთდა თანგის იმპერიას. სამხედრო ლიდერმა ფუ კუნგშიმ[1] ტან-იანგში, თანამედროვე ნანკინთან, 624 წელს წამოიწყო უკანასკნელი სამხრეთული ამბოხი, რომელიც მალევე დამარცხდა და იმპერიაში მშვიდობამ დაისადგურა.

კაო წუ იყო ეფექტური მონარქი, მის მიერ ჩამოყალიბებული ბიუროკრატიული პრაქტიკა დღემდე ფუნქციონირებს ჩინეთში. იმის გამო, რომ სახელმწიფო, ფაქტობრივად, გაკოტრებული იყო, აუცილებელი გახდა სახელმწიფო აპარატი მცირერიცხოვანი, მარტივი სტრუქტურისა და იაფი ყოფილიყო. სუეის დროინდელი მიწის გადანაწილების სისტემა შენარჩუნდა იმისთვის, რომ ყველა გადახდისუნარიანი მამაკაცისთვის გადაეცათ მიწის ნაკვეთი და შეემცირებინათ დიდი მამულების რაოდენობა. კაო წუნგმა არ გააუქმა სუეის საგადასახადო სისტემა. მან შექმნა ზარაფხანები და შემოილო სპილენძის მონეტები. ასევე განაახლა სამართლებრივი სისტემა და 624 წელს გამოსცა თანგის სამართლის კოდექსი, რომელიც ყოველ 20 წელიწადში უნდა შესწორებულიყო. ამ კოდექსს იყენებდნენ არა მხოლოდ მომავალი დინასტიები, არამედ სხვა სახელმწიფოებიც: კორეა, იაპონია, ვიეტნამი.

კაო წუს ორი ვაჟი ებრძოდა ერთმანეთს ტახტის დაკავებისათვის – იმპერატორის მიერ მემკვიდრედ გამოცხადებული ლი ძიენჩენგი და ლი შიმინი, გენერალი, რომელმაც გამაერთიანებელ ომებში დიდი როლი შეასრულა. მათმა დაპირისპირებამ პიკს 625-626 წლებში მიაღწია. სამხედრო გადატრიალებისას, ლი შიმინმა დახოცა საკუთარი ძმები, მათ შორის ლი ძიენჩენგი და იძულებით გადააყენა საკუთარი მამა. 626 წელს ლი შიმინი ავიდა ტახტზე და გახდა იმპერატორი თაი წუნგი.

[1] ფუ კუნგში ზოგ წყაროში მოიხსენიება როგორც – ფუ კუნგთუო; არ არის ცხადი მისი სამხედრო წოდებაც. ზოგ წყაროში ის იხსენიება როგორც გენერალი, ხოლო სხვაგან – ლეიტენანტი.

თანგ თაი წუნგის „კარგი მმართველობის ხანა“



სურ. 102 თანგ თაი წუნგი

იმპერატორი თანგ თაი წუნგი ცნობილია როგორც ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი იმპერატორი. მისი იმპერატორობის პერიოდს კარგი მმართველობის ხანა ეწოდა (სურ. 102). თაი წუნგს არ შეუტანია არსებითი ცვლილებები მართვის სისტემაში, ის თავისი მამის მიერ შემუშავებულ პრინციპებს მისდევდა. თაი წუნგის მმართველობის განსაკუთრებული წარმატებულობა განაპირობა მისმა კარგმა დამოკიდებულებამ შესანიშნავ კონფუციისტ მრჩევლებთან. თაი წუნგი მიუახლოვდა ძლიერი, ენერგიული, უნარიანი და მორალური მმართველის კონფუციისეულ იდეალს, რომელიც ისმენს ბრძენი მრჩევლების დარიგებებს. მართალია, მან ხელისუფლების უზურპაცია განახორციალა, დახოცა საკუთარი მოწინააღმდეგეები (მათ შორის, ძმები და მამაც), მაგრამ მან თავის სასარგებლოდ გამოიყენა წინაპრების პატივისცემის ჩინური კულტი და დახოცილი ნათესავები საკუთარ ზეციურ მრჩევლებად გამოაცხადა. ამ ქმედებამ და, ასევე, მისმა ძველმა და შემდგომმა წარმატებებმა გარკვეულწილად დაამოწმა, რომ მას ნამდვილად აქვს ცის მანდატი.

თაი წუნგის მმართველობის პერიოდში სამეფო კარი არისტოკრატიით იყო დაკომპლექტებული, ყველა მნიშვნელოვან თანამდებობას არისტოკრატები იკავებდნენ, თაი წუნგი ცდილობდა დაებალანსებინა სამეფო კარის არისტოკრატიული ჯგუფები, რომ თავიდან აეცილებინა რომელიმე რეგიონის დომინანტობა. ამისთვის მას მოუწია შანტუნგის დიდ კლანთან გამკლავება. ისინი საკუთარ თავს სამეფო სახლზე უპირატესად მიიჩნევდნენ. თაი წუნგმა გამოსცა გენეალოგიების სახელმწიფო კრებული, სადაც სამეფო სახლი პირველ ადგილზე იყო. მათ ასევე დაატოვებინეს უმაღლესი თანამდებობები, მაგრამ სხვა ჯგუფებს თაი წუნგმა მისცა თანამდებობები უმაღლეს მმართველობით ორგანოებსა და საკუთარი მრჩევლების ჯგუფშიც.

თაი წუნგმა ასევე გადაწყვიტა საგამოცდო სისტემის უფრო ფართოდ გამოყენება. სუეის საგამოცდო სისტემა უკვე აღდგენილი

იყო იმპერატორ კაო წუს მიერ, რომელმაც ასევე აღადგინა სუეის უმაღლესი სკოლები დედაქალაქში. თაი წუნგმა გააფართოვა არსებული სკოლები და გახსნა ახალი სკოლებიც. დედაქალაქის სასწავლებში ძირითადად არისტოკრატებისა და მაღალჩინოსნების ვაჟები სწავლებდნენ. გამოცდების ჩაბარების სხვა მსურველები ადგილობრივი სკოლებიდან იყვნენ. გამოცდების ჩაბარება თითქმის ყველას შეეძლო, მაგრამ ბიუროკრატია შედარებით ნაკლებად ივსებოდა ამ გამოცდების მეშვეობით. ძირითადი ნაწილი მაინც მემკვიდრეობითი პრივილეგიების და სხვადასხვა გავლენების მეშვეობით იკავებდა ამა თუ იმ თანამდებობას. გვიანი თანგის პერიოდშიც კი ჩინოსნების არაუმეტეს 10% იყო შერჩეული გამოცდების მეშვეობით. გამოცდები გზას უხსნიდა შედარებით დაბალი რანგის ადგილობრივ არისტოკრატიას უმაღლეს ეშელონებში. შესაბამისად, ადამიანები, რომლებიც თავის მდგომარეობას იმპერატორსა და დინასტიას უმადლოდნენ და არა წარმომავლობას, იმპერატორის მიმართ ერთგულებით გამოირჩეოდნენ, რაც, ბუნებრივია, ძალიან სჭირდებოდა თანგის ახალ დინასტიას.

თაი წუნგმა გააგრძელა საკუთარი მამის პოლიტიკა. მისი სახელმწიფო აპარატი შედარებით მარტივი და იაფი იყო. მან სცადა დედაქალაქის ბიუროკრატიული დაწესებულებების შემცირება. ასევე მკვეთრად შეამცირა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების რაოდენობა. ქვეყანა დაიყო 10 ადმინისტრაციულ ერთეულად, რომლებიც არ ითვლებოდა მყარ და მუდმივ სტრუქტურულ ერთეულებად, უფრო დედაქალაქებიდან გაგზავნილი ინსპექციებისათვის გამოიყენებოდა, როგორც ერთგვარი სქემა. ინსპექციები ეფექტური და მყარი ადილობრივი ხელისუფლების შენარჩუნების დამატებით საშუალებას იძლეოდა. სტიქიური უბედურებებით დაზარალებული რეგიონებისთვის საგადასახადო შეღავათების შემოღებამ და შიმშილობისგან თავის ასაცილებლად ხორბლის მარაგების შექმნამ გამოიწვია სოფლის აყვავება. იმპერატორ თაი წუნგის მმართველობისას შენარჩუნებული იყო დაბალი ფასები და სტაბილური ეკონომიკური ზრდა.

წინამორბედებისაგან განსხვავებით, თანგის დინასტიის მმართველებმა გადახედეს საკუთარ პოლიტიკას თურქთა სახაკანოს მიმართ. თუ დინასტიის დამაარსებელი მათ ხარკს უხდიდა, უკვე 628-630 წლებში, თაი წუნგის მმართველობის პერიოდში ჩინელებმა ისარგებლეს შიდაარეულობით და შეიჭრნენ თურქების ტერი-



სურ. *103* უცხოელი დიპლომატები

ტორიაზე, დაამარცხეს ისინი და დაატყვევეს ხაკანი, ხოლო თაი წუნგი გამოცხადდა „ზეციურ ხაკანად“. დამორჩილებული თურქები მსახურობდნენ ჩინურ არმიაში. მსგავსი პოლიტიკა გატარდა დასავლეთ თურქული ტომების წინააღმდეგაც. 642-643 წლებში ახალმა ხაკანმა ჩინეთის დახმარებით აღადგინა ერთიანობა და ჩინეთის მოხარკედ იქცა. ჩინელებსა და თურქებს შორის დამყარდა დინასტიური კავშირიც.[1]

თურქების დამორჩილებამ ხელი შეუწყო ჩინელების დასავლურ ექსპანსიას. 640-იანი წლების მიწურულისთვის თანგის ხელისუფლება ვრცელდებოდა თანამედროვე სინძიანგის მიღმა, რაც ხანის დინასტიის დროინდელი ჩინეთის საზღვრებს სცდებოდა. აბრეშუმის გზის დიდ ნაწილზე კონტროლის მოპოვებამ გაზარდა კავშირები დასავლეთთან, ცენტრალურ აზიასთან, და ინდოეთთან. საიმპერატორო კარზე მოდიოდნენ ელჩები სასანიდური ირანიდან[2] და ბიზანტიის იმპერიიდან. 648 წელს ჩინეთში ჩავიდა ყირგიზების დიპლომატიური მისია (სურ. 103).

მეშვიდე საუკუნის დასაწყისიდან დამყარდა ოფიციალური ურთიერთობები იაპონიასთან, საიდანაც 607 წელს ჩამოვიდა ელჩობა. ძლევამოსილმა ჩინურმა ფლოტმა განახორციელა ექსპედიციები თაივანისა და რიუკიუს კუნძულებზე, რომლებთანაც მოგვიანებით მჭიდრო ურთიერთობები დამყარდა.

634 წელს დედაქალაქ ჩანგანში ჩამოვიდა ელჩობა ტიბეტიდან (სურ. 104). რამდენიმე წელიწადში, 647 წელს, ჩინეთსა და ტიბეტს შორის დამყარდა მშვიდობა, რომელიც გაამყარა ქორწინებამ ტიბეტის სრონგცენ გამპოსა (569-649?/605-649 წწ.) და ჩინეთის პრინცესა ვენჩენგს (628-680/2 წწ.) შორის. ლჰასაში დასახლდნენ ჩინელი ჩინოსნები, სამხედრო პირები და ვაჭრები.

---

[1] თაი წუნგმა ხაკანს ერთ-ერთი პრინცესა მიათხოვა.

[2] ცნობილია, რომ უკანასკნელი სასანიანი ხელმწიფე იეზდიგერდ მესამე (632/633-651/652 წწ.) ჩინეთს დახმარებასაც კი სთხოვდა.



სურ. 104 თაი წუნგის მიერ ტიბეტის ელჩის მიღება

თაი წუნგის მმართველობის პერიოდშივე დამყარდა ოფიციალური ურთიერთობები ინდოეთთან. 641 წელს ჩანგანში ჩამოვიდა ელჩობა ჩრდილოეთ ინდოეთის სახელმწიფოს მმართველ ჰარშასგან[1].

წარმატებების მიუხედავად, თაი წუნგის საგარეო პოლიტიკის აქილევსის ქუსლი კორეა იყო. კოგურიოს ჩრდილოური სახელმწიფო სისტემატიურად აგზავნიდა ხარკს ჩინეთში, მაგრამ 642 წელს მოხდა შიდა გადატრიალება, კოგურიო თავს დაესხა ჩინეთთან ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფ სხვა კორეულ სახელმწიფოს, სილას. თაი წუნგმა უგულებელყო მრჩეველთა გაფრთხილება და გადაწყვიტა კოგურიოში შეჭრა. 645 წელს თანგის ჯარები მანჯურიელების, ციტანების[2] და ორი სამხრეთ-კორეული სახელმწიფოს – პეკჩესა და სილას დახმარებით შეიჭრნენ კოგურიოში. ისინი ფხენიანსაც კი მიუახლოვდნენ, მაგრამ საბოლოოდ მძიმე დანაკარგებით დამარცხდნენ. შემდგომი ასევე წარუმატებელი მცდელობა ჰქონდათ 647 წელს. თაი წუნგის მმართველობის ბოლო წლებში ჩინეთი აშენებდა მძლავრ ფლოტს კოგურიოში შესაჭრელად.

640-იან წლებში, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ტახტის მემკვიდრეს გარკვეული მენტალური პრობლემები ჰქონდა, მემკვიდრედ დასახელდა ლი ჭი (სატაძრო სახელი კაო წუნგი), რომელიც, მართალია, სუსტი პერსონა იყო, მაგრამ ყველაზე გავლენიანი კარისკაცების მხარდაჭერით სარგებლობდა.

---

[1] ამ პერიოდში რამდენიმე ელჩობა გაიგზავნა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდანაც. ყველაზე მნიშნელოვანია 648 წლის ვანგ სიუენცეს მისია. ელჩობის ინდოეთში ჩასვლის დროისათვის იმპერატორი ჰარშა უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო ახალი მმართველი არუნაშვა თავს დაესხა ჩინურ ელჩობას. ვანგ სიუენცე იძულებული გახდა გაქცეულიყო, თუმცა მალევე შეაგროვა ტიბეტელებისა და ნეპალელებისაგან დაკომპლექტებული ჯარი და სასტიკი მარცხი აგემა არუნაშვას, რომელიც, ჩინური წყაროების მიხედით, ტყვედაც კი ჩაუარდა. მნიშნელოვანია, რომ ამ გამარჯვების აღსანიშნავად თაი წუნგის აკლდამაში გააკეთეს არუნაშვას პატარა ქანდაკება.

[2] 契丹 ციტანი (ინგლისურისა და რუსულის გავლენით ზოგჯერ გვხვდება ფორმები ხიტანი ან კიდანი) – ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიაში მობინადრე მომთაბარე ტომები. წინამდებარე წიგნში გამოვიყენებთ როგორც ციტანს, ისე ხიტანს.

იმპერატორი თანგ კაო წუნგი 21 წლის ასაკში ავიდა ტახტზე. მისი მმართველობის პირველ წლებში რეალური ძალაუფლება თაი წუნგის დროინდელი უმაღლესი კარისკაცების, მეტადრე ჭანგსუნ უძის ხელში იყო, თუმცა მალევე ძალაუფლება დედოფალ უ ხოუს ხელში გადავიდა.

ერთადერთი ქალი იმპერატორი – უ წეთიენი

დაახლოებით 638 წელს, თაი წუნგმა ხარჭად აირჩია 14 წლის გოგონა უ ხოუ[1]. ახალგაზრდა ხარჭასა და მომავალ იმპერატორ ლი ჭის ერთმანეთი შეუყვარდათ. იმპერატორ თანგ თაი წუნგის გარდაცვალების შემდეგ უ ხოუ სხვა ხარჭებთან ერთად სამუდამოდ გააგზავნეს ბუდისტურ მონასტერში. თუმცა ტახტზე ასულმა ლი ჭიმ (თანგ კაო წუნგმა) მოახერხა მისი მონასტრიდან გამოხსნა და პირველ ხარჭადაც დანიშნა. პირველ ხარჭასა და დედოფალ ვანგს შორის, ბუნებრივია, არც ისე კარგი ურთიერთობა არსებობდა. გადმოცემის თანახმად, უ ხოუმ მოკლა საკუთარი შვილი და მკვლელობა დედოფალ ვანგს დააბრალა. 655 წელს მისი ჩამოშორების შემდეგ უ ხოუმ დაიკავა დედოფლის ადგილი.



სურ. 105 უ ხოუ თანმხლებ პირებთან ერთად

დედოფლისა და ხარჭის დაპირისპირება არ ყოფილა უბრალოდ ჰარამხანის ინტრიგა. ვანგს ჰქონდა არისტოკრატიული წარმომავლობა, მას მხარს უჭერდნენ ძველი ჩრდილო-დასავლური არისტოკრატიები და თაი წუნგის კარის მაღალი რანგის მინისტრები. უ ხოუს ოჯახს უფრო დაბალი წარმომავლობა ჰქონდა. მისი მამა კაო წუს ძველი მხარდამჭერი იყო, ხოლო დედა – სუეის სამეფო ოჯახის წევრი. მას მხარს უჭერდა აღმოსავლეთის არისტოკრატია და დაბალი რანგის ბიუროკრატები. ეს „ინტრიგა", საბოლოო ჯამში, სამეფო კარის გადატრიალებას გულისხმობდა.

[1] უ ხოუ ერთ-ერთია მის სახელთაგან, რაც სიტყვა-სიტყვით დედოფალ უს ნიშნავს. გავრცელებულია ასევე სახელი უ ჭაო და თიენხოუ (ზეციური დედოფალი).

ძალაუფლება მალევე გადავიდა უ ხოუს ხელში (სურ. 105). მხოლოდ ინტრიგებისა და რეპრესიების მეშვეობით იყო შესაძლებელი ამ ძალუფლების შენარჩუნება. გადაყენებულ დედოფალსა და იმპერატორის სხვა ფავორიტებს სასტიკად გაუსწორდნენ. 657-659 წლების რეპრესიების პირველ ტალღაში მოყვნენ თანგ თაი წუნგის სამეფო კარის მაღალჩინოსნები. მათ ასახლებდნენ, ხოცავდნენ ან მიჰყავდათ თვითმკვლელობამდე. საიმპერატორო კარსა და იმპერატორს შორის თაი წუნგის დროინდელი ურთიერთობა გაუქმდა. 660 წელს კაო წუნგის ჯანმრთელობა გაუარესდა და მმართველობას სათავეში უ ხოუ ჩაუდგა.

657 წელს ლუოიანგი გამოცხადდა მეორე დედაქალაქად, რაც გულისხმობდა პოლიტიკური ცენტრის ჩრდილო-დასავლური არისტოკრატიის მშობლიური მხარიდან გადატანას. მეორე დედაქალაქის გამოჩენას მოჰყვა მაღალი თანამდებობების და, შესაბამისად, სახელმწიფო ხარჯების გაორმაგება. ბიუროკრატია უკვე ნაკლებად ჰგავდა თაი წუნგის მცირე და იაფ სახელისუფლებო აპარატს.

683 წელს, კაო წუნგის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ჭუნგ წუნგი, რომელიც უ ხოუმ ერთ წელიწადში გადააყენა. მის მაგივრად მან ტახტზე მეორე შვილი ჟუეი წუნგი აიყვანა. რეალური ძალაუფლება, ცხადია, დაქვრივებული დედოფლის ხელში რჩებოდა. 690 წელს უ ხოუმ თავი იმპერატორად გამოაცხადა და დაირქვა უ წეთიენი, რაც ცის ნების აღმსრულებელს ნიშნავს (სურ. 106). დინასტიის სახელი ასევე შეიცვალა. ამიერიდან ჩინეთს ჭოუს დინასტია განაგებდა. ხოლო მის შვილებს გადაეცათ დედის გვარი – უ. უ წეთიენი ჩინეთის ისტორიაში ერთადერთი ქალი იმპერატორია. მან წინა პლანზე წამოწია ბუდიზმი და ლუოიანგი საკულტო დედაქალაქადაც გამოაცხადა. იმპერატორი ბუდას რეინკარნაციადაც კი გამოცხადდა. 700 წლის შემდეგ უ წეთიენი ნელ-ნელა შორდებოდა პოლიტიკას, ხოლო 704 წელს საიმპერატორო კარმა მას გადადგომა აიძულა. მომდევნო წელს ის გარდაიცვალა.



სურ. 106 უ წეთიენი

ისტორიკოსებს შორის გარკვეული უთანხმოებაა უ წეთიენის შეფასებასთან დაკავშირებით. ზოგიერთს მიაჩნია, რომ ის სასტიკი და

დაუნდობელი მმართველი იყო, რომელსაც მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნება აინტერესებდა. სხვების აზრით, ის ძლიერი მმართველი იყო, რომელმაც ხელი შეუწყო იმპერიის შემდგომ აყვავებას.

უ წეთიენის გადაყენების შემდეგ ტახტზე ისევ ავიდა მისი ვაჟი ჭუნგ წუნგი, რომლის მმართველობის პერიოდშიც რეალური ძალაუფლება მის მეუღლეს, დედოფალ ვეის ჰქონდა. 710 წელს, ჭუნგ წუნგის გარდაცვალების შემდეგ ვეიმ სცადა ხელისუფლების უზურპაცია, მაგრამ ლი ლუნგძიმ, მომავალმა იმპერატორმა სიუენ წუნგმა უ წეთიენის ქალიშვილის თაიფინგისა და სასახლის ჯარის დახმარებით ტახტზე აღადგინა მამა, ჟუეი წუნგი. პრინცესა თაიფინგი ცდილობდა გავლენა მოეხდინა საკუთარ ძმაზე, მაგრამ 712 წელს ჟუეი წუნგმა ტახტი სიუენ წუნგს მმართველობა დაუთმო, თუმცა ძალუფლების დიდი ნაწილი ისევ მის ხელთ რჩებოდა. 713 წლის გადატრიალების შემდეგ ძალაუფლება მთლიანად გადავიდა ახალი იმპერატორის ხელში, ხოლო თაიფინგმა თავი მოიკლა.


თანგ სიუენ წუნგის მმართველობა თანგის დინასტიის ოქროს ხანად იწოდება. ეს არის ჩინური კულტურის აღმავლობის პერიოდი. წინა პერიოდის შედარებით სტაბილურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ განაპირობა მოსახლეობის რაოდენობის ზრდა. გაიზარდა დამუშავებული მიწის ფართობი, რასაც, ბუნებრივია, მოსავლის რაოდენობრივი ზრდაც მოჰყვა. 720 წლის შემდეგ ჩატარდა მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაცია, რამაც გაზარდა სახელმწიფო კონტროლი იქამდე არარეგისტრირებულ ოჯახებზე და გაზარდა გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა. დაწესდა ახალი გადასახადებიც. 730-იანებში აღდგა და განახლდა საარხო სისტემა, რამაც ხელი შეუწყო ახალი მიწების ათვისებას და ასევე კომუნიკაციის გაძლიერებას ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. უფრო მოსახერხებელი გახდა მარცვლეულის გადატანა იანგწის რეგიონიდან დედაქალაქსა და ჩრდილოეთ საზღვრებზე.

უ წეთიენმა და მისმა წინამორბედებმა წინა პლანზე წამოწიეს ბუდიზმი, რომელიც იმდროინდელი ჩინეთის უმთავრეს რელიგიურ მიმდინარეობად იქცა. სიუენ წუნგის მმართველობის პერიოდში ბუდიზმი ისევ ინარჩუნებდა დომინანტურ მდგომარეობას, მაგრამ იმპერატორი გატაცებული იყო ტაოიზმით, და თვლიდა რომ სიღრმისა და მისტიკურობისა გარდა, ტაოიზმს აქვს ხალხის გაერთიანების უფრო მეტი

შესაძლებლობაც. მისი ბრძანებით ყველა ოჯახში უნდა ყოფილიყო ტაოისტური ტექსტები. შემდგომი ჩინეთისთვის დამახასიათებელი ე.წ. „სამი მოძღვრება“, რომელიც განსაზღვრავს მთელ ჩინურ კულტურას, სწორედ ამ პერიოდში მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს.

სიუენ წუნგმა აკრძალა სიკვდილით დასჯა. აბრეშუმის გზაზე უსაფრთხოების ნორმების გაძლიერების მეშვეობით მან გააძლიერა ჩინური ეკონომიკა. სამხედრო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა პროფესიონალური ჯარი, რომელიც შედგებოდა გამოცდილი მეომრებისაგან. გლეხებს შეეძლოთ არ წასულიყვნენ ჯარში; გაუქმდა სავალდებულო გაწვევა. პროფესიონალი მეომრები, ბუნებრივია, უფრო წარმატებით უმკლავდებოდნენ მომთაბარეებს.

დეცენტრალიზაცია, აჯანყებები და საჭურისები



სურ. 107 იანგ კუეიფუის საფლავი. სინგფონგი, შაანსის პროვინცია

ჯერ კიდევ 711 წელს სავაჭრო გზებისა და ჩრდილოეთის საზღვრების დაცვის მიზნით თანგის ხელისუფლებამ შექმნა ერთგვარი გენერალ-გუბერნატორების (ძიეტუში) თანამდებობა.[1] თურქი მომთაბარეები და ტიბეტელები მრავალი წლის განმავლობაში სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ თანგის იმპერიას. სწორედ მათთან გამკლავების მიზნით შეიქმნა გენერალ-გუბერნატორების სისტემა. სისტემა ნელ-ნელა ვითარდებოდა და დასრულებული სახე 737 წლისთვის მიიღო, ლი ლინფუს კანცლერობის პერიოდში. 736 წლიდან რეალური ხელისუფლება კანცლერის ხელში იყო. ეს ნიშნავდა იმას, რომ უ წეთიენის მმართველობის დროს დაკნინებული ტრადიციული არისტოკრატიული გვარები სრულად დაუბრუნდნენ თავის პრივილეგირებულ მდგომარეობას და ოფიციალური სტრუქტურების გვერდის ავლით ავრცელებდნენ საკუთარ გავლენას საიმპერატორო კარის

[1] ასეთი თანამდებობა ადრეც არსებობდა. ამ პერიოდიდან მან ახალი უფლება-მოვალეობები შეიძინა.

პოლიტიკაზე. მას შემდეგ, რაც 745 წელს იანგ იუხუანი[1] იმპერატორის პირველი მეუღლე გახდა, იმპერატორი, ფაქტობრივად, მთლიანად ჩამოშორდა ქვეყნის მართვას და კანცლერის ძალაუფლება კიდევ უფრო გაიზარდა (სურ. 107).

ჯამში, გენერალ-გუბერნატორების კონტროლ ქვეშ აღმოჩნდა 10 საზღვრისპირა პროვინცია და ნახევარ მილიონამდე ჯარისკაცი. ბუნებრივია, გენერალ-გუბერნატორებმა დაიწყეს სამოქალაქო საკითხების შეთავსებაც, რაც არ მოსწონდათ დედაქალაქში. მათგან ყველაზე გამორჩეული იყო სოღდული [2] წარმომავლობის მქონე ან ლუშანი, რომელიც მერვე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისისთვის ათიდან სამ საზღვრისპირა პროვიანციას აკონტროლებდა და რომელსაც 150 ათასზე მეტი ჯარისკაცი ემორჩილებოდა. ან ლუშანმა ძალაუფლება ლი ლინფუს დახმარებით მიიღო და მისი მოკავშირეც იყო. კარგი ურთიერთობა ჰქონდა ანს იანგ კუეიფეისთანაც.

თანგის დინასტიის ძლიერების ხანა ნელ-ნელა წარსულს ბარდებოდა. 751 წელს თანგის იმპერია დამარცხდა აბასიანთა სახალიფოსთან ტალასის ბრძოლაში. ამის შედეგად ჩინეთმა დაკარგა გავლენა ცენტრალურ აზიაზე და, შესაბამისად, აბრეშუმის გზის უდიდეს ნაწილზეც. მარცხს განიცდიდა ჩინური არმია სამხრეთ-დასავლეთშიც, სადაც გააქტიურდა ნანჭაოს სახელმწიფო. ჩრდილო-აღმოსავლეთში ჩინეთმა დაკარგა კონტროლი მანჯურია-კორეის საზღვარზე, სადაც შეიქმნა ახალი სახელმწიფო – პოხაი. გარდა ამისა, ციტანები მუდმივ საფრთხეს ქმნიდნენ სასაზღვრო რეგიონში. ტიბეტელების შეკავება ხერხდებოდა უზარმაზარი სამხედრო ხარჯების ფასად. გაუთავებელი ომების გამო გლეხები ომში მიჰყავდათ, რაც აზიანებდა მიწათმოქმედებას და ხაზინასაც. ამას ემატებოდა საიმპერატორო კარზე შიდა დაპირისპირებაც.

752 წელს გარდაიცვალა კანცლერი ლი ლინფუ და მისი ადგილი დაიკავა იანგ კუეიფეის ნათესავმა, იანგ კუოჭუნგმა. იანგ კუოჭუნგი ცდილობდა მთელი ძალაუფლების საკუთარ ხელში მოკრებას,

[1] იანგ იუხუანი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალია ჩინეთის ისტორიაში. მასზე წერდნენ ლექსებს ცნობილი პოეტები: ლი პაი, ტუ ფუ და სხვები. იგი ცნობილია როგორც იანგ კუეიფეი, რაც სიტყვასიტყვით ძეირფას მეუღლე იანგს ნიშნავს. იანგ კუეიფეი ერთ-ერთია ე.წ. „ოთხ უძველეს ლამაზმანს" შორის.

[2] სოღდი, სოგდიანე – უძველესი ირანული ცივილიზაცია, რომელიც თანამედროვე უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

რაც, ცხადია, არ მოსწონდათ გენერალ-გუბერნატორებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ცენტრისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ან ლუშანი, გარდა იმისა, რომ სასაზღვრო ძალების დიდ ნაწილს აკონტროლებდა, სარგებლობდა მეზობელი ტომების კეთილგანწყობითაც. 755 წელს მან ჯარებსა და დედაქალაქის მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით დაიწყო აჯანყება თანგის წინააღმდეგ. 756 წლის დასაწყისში ანმა აიღო აღმოსავლეთი დედაქალაქი ლუოიანგი, ხოლო იმავე წლის ივლისში მან აიღო დედაქალაქი ჩანგანიც. იმპერატორი სიუენ წუნგი გაიქცა სჩუანის პროვინციაში. გზად იმპერატორის გარემოცვამ დახოცა იანგ კუოჭუნგი, იანგ კუეიფეი და მათი მომხრეები. ან ლუშანის ჯარებმა დაამყარეს კონტროლი ხეპეისა და ხენანის პროვინციების უდიდეს ნაწილზე. მან კი თავი იმპერატორად გამოაცხადა და დაარსა ახალი – იენის დინასტია (燕朝). 757 წელს ან ლუშანი მოკლეს, მისმა მემკვიდრეებმა ვერ შეძლეს იმპერიის შენარჩუნება, თუმცა აჯანყების საბოლოოდ დამარცხება ვერ მოხერხდა 763 წლამდე. საიმპერატორო კარმა ითხოვა უიღურების დახმარება, მათ ასევე ისარგებლეს აჯანყებულებს შორის შიდა დაპირისპირებით. აჯანყების ჩახშობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ თანგის ხელისუფლება შემწყნარებლურად მიუდგა აჯანყების ლიდერებს და მათ ფორმალურ მორჩილებას დასჯერდა.

მართალია, ან ლუშანის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ „ცის შვილის" გაქცევამ სერიოზულად შეარყია თანგის ავტორიტეტი. ფაქტობრივად, ამ მოვლენების შედეგად, თანგის იმპერია მუდმივი შიდა ომების ეპოქაში გადაეშვა.

სიუენ წუნგმა ტახტი საკუთარ შვილს, იმპერატორ სუ წუნგს დაუთმო, თვითონ კი სიცოცხლის ბოლომდე განცხრომით ცხოვრობდა სასახლეში (სურ. 108). იმპერატორ თანგ სუ წუნგის მთავარი მიზანი ან ლუშანის აჯანყებასთან გამკლავება იყო, რასაც მან მეტ-ნაკლები წარმატებით გაართვა თავი. უილურების დახმარების სანაცვლოდ მან ხანს მიათხოვა საკუთარი ქალიშვილი. მისი მმართველობის პერიოდში, სიტუაციიდან გამომდინარე, გაუმჯობესდა ურთიერთობა მუსლიმ



სურ. 108 თანგის დინასტიის სასახლე – ტამინგ კუნგი

ლიდერებთან. იმპერატორმა დახმარება სთხოვა ბაღდადის ხალიფას, ალ-მანსურს, რომელმაც გამოგზავნა 4000 მხედარი. ითვლება, რომ ეს მხედრები არიან თანამედროვე ჩინეთში არსებული ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფის – ხუეის წინაპრები და დღემდე ისლამის მიმდევრებად რჩებიან.

სუ წუნგის მმართველობა გამორჩეულია იმითაც, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებულად ძლიერდებიან სასახლის საჭურისები (宦官 ხუანკუანი) (სურ. 109). ერთ-ერთი მათგანი, ლი ფუკუო ხელმძღვანელობდა საიმპერატორო გვარდიას. 762 წელს, იმპერატორ თანგ სუ წუნგის გარდაცვალების შემდეგ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მან მოკლა დედოფალი, მისი დამარცხება შეძლო შემდგომმა იმპერატორმა ტაი წუნგმა.



სურ. 109 სასახლის საჭურისი (ხუანკუანის) ფიგურა

სუ წუნგის მმართველობის დროს დაიწყო ეკონომიკური სისტემის რეფორმა. რეფორმები შეეხო მარცვლეულის ტრანსპორტირებას, მარილის მონოპოლიას, და მარილისა და მარცვლეულის ფასის კონტროლს. მარცვლეულის ტრანსპორტირება დიდი არხის მეშვეობით ხორციელდებოდა სახელმწიფოს და არა ვაჭრების მიერ. მარილის წარმოება ასევე სახელმწიფოს ხელში იყო. ვაჭრები ვალდებულნი იყვნენ სახელმწიფოსაგან ეყიდათ მარილი რეალიზაციისათვის. პროვინციებში, რომლებშიც მარილი ბუნებრივად არ მოიპოვებოდა, უკმარისობის პერიოდში, ფასის რეგულირების მიზნით, მარილი საგანგებო საწყობებში ინახებოდა.

იმპერატორ თანგ ტაი წუნგის კარი მისი ფავორიტის გავლენის ქვეშ მოექცა. კიდევ უფრო გაიზარდა საჭურისების როლი. ისინი სულ უფრო მეტ ოფიციალურ თანამდებობას იკავებდნენ. იმპერატორი ფაქტობრივად იზოლირებული იყო მათ მიერ.

ან ლუშანის აჯანყებამ და შემდგომმა არასტაბილურმა პერიოდმა საგრძნობლად შეცვალა დემოგრაფიული სიტუაცია და, შესაბამისად, საგადასახადოც. პროვინციებში არსებულმა სეპარატიზმმა, რომელსაც საიმპერატორო კარი ვერ უმკლავდებოდა, გამოიწვია ჩრდილოეთში სიტუაციის დესტაბილიზაცია. გადასახადები ხაზინაში მხოლოდ

ხუანგხესა და იანგწის სამხრეთით მდებარე პროვინციებიდან შედიოდა. გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა სამი მეოთხედით შემცირდა. ასეთ ვითარებაში ძველი საგადასახადო და აგრარული წესრიგის შენარჩუნება მიზანშეწონილი აღარ იყო. 780 წელს, იმპერატორ თანგ ტე წუნგის ზეობისას, პირველმა მინისტრმა იანგ იენმა უარი თქვა ძველ სისტემაზე და შემოიღო ახალი – ორმაგი დაბეგვრის სისტემა. ახალი წესების მიხედვით, გადასახადი გადაიხდებოდა ერთადერთი კრიტერიუმის – მიწის ფართობისა და ხარისხის მიხედვით. გადასახადის გადამხდელთა ასაკი და შრომისუნარიანობა აღარ იყო მნიშვნელოვანი. საკუთრებაში არსებული მიწების მიხედვით, მოსახლეობა ცხრა კატეგორიად დაიყო. რეფორმა გადასახადებს აკისრებდა პირებს, რომლებიც ადრე თავისუფალნი იყვნენ გადასახადისაგან, კერძოდ, ქალაქის მოსახლეობას – ხელოსნებსა და ვაჭრებს.

ორმაგი დაბეგვრა გულისხმობდა იმას, რომ მეორე მოსავალიც დაიბეგრა (სამხრეთ ჩინეთის რიგ პროვინციაში მოსავალი წელიწადში ორჯერ მოდიოდა). ახალმა საგადასახადო სისტემამ ხელი შეუწყო ხაზინის შევსებას.

იანგ იენის რეფორმამ დააკანონა მიწის თავისუფალი ყიდვა-გაყიდვაც. რეფორმებმა პოზიტიური შედეგი იქონიეს თანგის ჩინეთის ეკონომიკაზე. ამ სისტემამ თითქმის უცვლელი სახით იარსება მინგის დინასტიამდე

იმპერატორ ტე წუნგს სურდა ნახევრადდამოუკიდებელი პროვინციების დამორჩილება მათი ჯარების შემცირებისა და ადგილობრივ ხელისუფალთა ცენტრისგან დამოუკიდებლობის აღკვეთის გზით. ამას ხეპეის პროვინციის აჯანყება მოჰყვა. 781-785 წლებში აჯანყება შეეხო არა მხოლოდ ჩრდილოეთის რეგიონს, არამედ დედაქალაქის მიმდებარე ტერიტორიებსაც. თანგის ხელისუფლებამ მოახერხა ამბოხის ჩახშობა მხოლოდ ამბოხებულთა შორის შიდა დაპირისპირების წყალობით. ამ მოვლენებმა ან ლუშანის აჯანყებაზე გაცილებით დიდი ზიანი მიაყენა თანგის იმპერიას. მოლაპარაკებების შედეგად, ფაქტობრივად აღდგა ამბოხებამდელი სტატუს კვო – ჩრდილოეთმა ცენტრისგან დიდი დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, თუმცა ცენტრმა შეძლო ხეპეიში ორი ახალი პატარა პროვინციის შექმნა.

ტე წუნგისთვის გასაგები გახდა, რომ ხისტი პოლიტიკა ვერ იქნებოდა შედეგიანი. ამიტომ სიტუაციის სტაბილიზაციის შემდეგ ის ცდილობდა ახალი საგადასახადო სისტემის დანერგვას, რამაც საგრძნობი ეკონომიკური სარგებელი მისცა. ტე წუნგმა წარმატებებს მიაღწია სამხედრო სფეროშიც. მან შექმნა სასახლის ახალი არმია, რომელშიც 100 ათასამდე მეომარი შედიოდა. საგარეო ფრონტზე, მან მოახერხა ნანჭაოსა და ტიბეტის გათიშვა, გააძლიერა გარნიზონები იმპერიის ჩრდილო-დასავლეთში და შეაკავა ტიბეტური საფრთხე.

ტე წუნგის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ავიდა მისი სუსტი ჯანმრთელობის მქონე ვაჟი, შუნ წუნგი, რომელმაც მალევე თქვა უარი ტახზე, თავისი ვაჟის, სიენ წუნგის სასარგებლოდ.

მეტ-ნაკლებად სტაბილურმა ეკონომიკურმა სიტუაციამ საშუალება მისცა ტე წუნგის მემკვიდრეს, იმპერატორ თანგ სიენ წუნგს, რომ გაემყარებინა ცენტრალური ხელისუფლება და ეწარმოებინა წარმატებული სამხედრო კამპანია გენერალ-გუბერნატორების წინააღმდეგ. მან სწრაფად ჩაახშო აჯანყებები სჩუანის პროვინციასა (806 წ.) და მდ. იანგწის დელტაში (807 წ.). თუმცა, 809-810 ნლებში ვერ მოახერხა ხეპეის დამარცხება და ისევ კომპრომისზე წასვლა დასჭირდა. 814-817 წლების აჯანყება ხუაისიში დიდი გამოწვევა იყო. საფრთხე ემუქრებოდა დიდ არხს, მაგრამ სიენ წუნგმა მოახერხა აჯანყებულების დამარცხება და პროვინცია რამდენიმე ნაწილად გაიყო. 818 წელს ასევე ჩაახშეს აჯანყება შანტუნგში. იმპერატორის ხელისუფლება შეუვალი იყო თითქმის მთელი ჩინეთის მასშტაბით ისე, როგორც ეს იმპერატორ სიუენ წუნგის მმართველობის პირველ წლებში იყო.

სიენ წუნგის წარმატებას მხოლოდ სასახლის ჯარების ეფექტური გამოყენება როდი განაპირობებდა. ძალაუფლების ცენტრალიზაცია შეუძლებელი იქნებოდა სწორი ადმინისტრაციული პოლიტიკის გატარების გარეშე. იმპერატორი ცდილობდა პრეფექტურებისა და სხვა უფრო დაბალი დონის ადმინისტრაციული ერთეულების გაძლიერებას; ხელს უწყობდა ცენტრთან მათ დაახლოებას. პრეფექტურებს საკუთარი სამხედრო შენაერთების ყოლის უფლებაც კი მიეცათ. ყოველივე ეს ამცირებდა მათ დამოკიდებულებას პროვინციულ ხელისუფლებაზე და აახლოვებდა ცენტრთან. საიმპერატორო კარი აქტიუ-

რად უჭერდა მხარს პროვინციების დაყოფას, რაც ასევე უწყობდა ხელს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას.

სიენ წუნგის მმართველობისას კიდევ უფრო მეტად გაიზარდა საჭურისების როლი. თუმცა, იმპერატორის ხელისუფლება შეუვალი იყო და საჭურისები მას ემორჩილებოდნენ (მათი წინაპრებისგან განსხვავებით), იმპერატორისვე ინიციატივით, მათ ოფიციალურ თანამდებობებზე ნიშნავდნენ. მაგალითად, სასახლის ჯარის მმართველები საჭურისები იყვნენ. გარდა ამისა, ყველა პროვინციაში დაიგზავნა ჯარის საჭურისი ზედამხედველები, რომლებიც პროვინციული მმართველისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდნენ. ფაქტობრივად, თანგის დინასტიის ყველა შემდეგი იმპერატორის ტახტზე ასვლასა და მმართველობაში საჭურისები აქტიურ როლს ასრულებდნენ. სიცოცხლის ბოლოს, სიენ წუნგი ძალიან იყო შეწუხებული მოახლოებული სიკვდილით. ამიტომ, ის სვამდა სპეციალურ ელექსირებს, რომლებსაც სიცოცხლე უნდა გაეხანგრძლივებინათ, ხოლო ზოგიერთს, თითქოს უკვდავების მინიჭებაც შეეძლო. ამ ელექსირების გავლენით, იმპერატორი ძალიან ადვილად ლიზიანდებოდა და მკაცრად სჯიდა მის ირგვლივ მყოფებს, რომელთა უდიდეს უმრავლესობას საჭურისები წარმოადგენდნენ. არსებობს ვარაუდი, რომ სიენ წუნგი ერთ-ერთმა საჭურისმა მოკლა. მისი მემკვიდრე იმპერატორები, მუ წუნგი და ძინგ წუნგი არ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი აზროვნებით და დროს სმა-ჭამასა და სხვადასხვა თამაშობებში ატარებდნენ. იმპერატორმა ძინგ წუნგმა სცადა საჭურისების ძალაუფლების შესუსტება, რის გამოც მათ ის სიცოცხლეს გამოასალმეს.

ძინგ წუნგის მკვლელობის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძმა, იმპერატორი ვენ წუნგი. წინამორბედების უპასუხისმგებლო მმართველობამ გამოიწვია გენერალ-გუბერნატორების ძალაუფლების გაძლიერება. პრეფექტურები ისევ მათ ემორჩილებოდნენ, გარდა ამისა, სახელმწიფო ხაზინა სერიოზულ კრიზისს განიცდიდა. ახალმა იმპერატორმა შეზღუდა საიმპერატორო კარის ფუფუნება. 827-829 წლებში მან წარმატებულად იბრძოლა თანამედროვე ხეპეისა და შანსის პროვინციების გენერალ-გუბერნატორებთან. ნანჭაოს წინააღმდეგ ბრძოლა თანგის იმპერიის მარცხით დასრულდა. 831 წელს იმპერა-

ტორმა შექმნა სპეციალური განყოფილება სამდინარო მეკობრეობასთან საბრძოლველად.

ვენ წუნგის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა იყო ბრძოლა საჭურისების წინააღმდეგ. 830 წელს ამ ბრძოლამ წარმატებას ვერ მიაღწია. 835 წელს იმპერატორმა მოახერხა საჭურისების სხვადასხვა დაჯგუფების დაპირისპირება. იმავე წელს მოეწყო ე.წ. „ტკბილი ცვრის შეთქმულება“[1], რომელიც ჩაიშალა. საბოლოოდ, 839 წელს საჭურისების ინტრიგების გამო იმპერატორი იძულებული გახდა სიკვდილით დაესაჯა საკუთარი შვილი. ამან მას დიდი დარტყმა მიაყენა და მალევე გარდაიცვალა.

თანგის დინასტიის რელიგიური პოლიტიკა

ტახტზე ავიდა ვენ წინგის ძმა, იმპერატორი უ წუნგი. თანგის დინასტია, ზოგადად, რელიგიური ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ეპოქაა. მართალია, ბუდიზმმა ჩინეთში ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში შეაღწია, მაგრამ განვითარების ზენიტს სწორედ თანგის დინასტიის მმართველობისას მიაღწია (სურ. 110). ამ დროს აშენდა და დასრულდა მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი დიდი ბუდისტური ძეგლები, როგორებიცაა, მაგალითად, კანსუს პროვინციაში, ქ. ტუნხუანგის მახლობლად მდებარე მოკაოს გამოქვაბულთა სატაძრო კომპლექსი, რომელსაც „ათასი ბუდას გამოქვაბულებს“ უწოდებენ ხოლმე. ის 25 კმ სიგრძისაა და მოიცავს სხვადასხვა თემატიკის ფრესკებს, პეიზაჟებს, პორტრეტებს, ბუდასა და ბუდისტური ღვთაებების ქანდაკებებსა და ა.შ. ასევე უნდა აღინიშნოს ხენანის პროვინციაში, ქ. ლუოიანგის მახლობლად მდებარე ლუნგმენის ბუდისტურ გამოქვაბულთა კომ-



სურ. 110
ბუდისტი მოძღვარი

[1] კანლუ – იმპერატორს სურდა საჭურისების ერთიანად ამოწყვეტა და მათი ერთად შეკრების მიზნით მოიფიქრეს ასეთი გეგმა: საჭურისების თანდასწრებით იმპერატორს შეატყობინეს, რომ თითქოს ერთ-ერთ ხეზე ტკბილი ცვარი გაჩენილიყო და ეს თითქოს კარგი ნიშანი იყო. საჭურისები წავიდნენ ამ სასწაულის სანახავად, მაგრამ მიხვდნენ, რომ რაღაც რიგზე არ იყო. შეთქმულება ჩაიშალა, ხოლო მისი მონაწილე იმპერატორის მომხრეები სიკვდილით დასაჯეს.



სურ. 111 დიდი ბუდას ქანდაკება. ლუოიანგი, ხენანის პროვინცია

პლექსი. მას საფუძველი ჩრდილოეთ ვეის დინასტიის მმართველობისას ჩაეყარა და მშენებლობა 400 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მისი სიგრძე 1 კმ-ია. აქ დაცულია ბუდას 10000 გამოსახულება (სურ. 111).

ქრისტიანთა პირველი, მეცნიერულად დადასტურებული დასახლებები ჩინეთში გაჩნდა თანგის დინასტიის პერიოდში. 1626 წელს, თანამედროვე ქალაქ სიანის ტერიტორიაზე იეზუიტმა მისიონერებმა აღმოაჩინეს 781 წელს აღმართული ე.წ. „ნესტორიანული სტელა", რომელიც იუწყებოდა, რომ 635 წელს, იმპერატორ თაი წუნგის მმართველობის მეცხრე წელიწადს ნესტორიანელი ეპისკოპოსი ალოპენი და მისი თანმხლები სირიელები ჩამოვიდნენ რომის იმპერიიდან და თან ჩამოიტანეს ქრისტიანული წიგნები და გამოსახულებები. სტელა ბილინგვურია – წარწერის ძირითადი ნაწილი შესრულებულია ჩინურ ენაზე, მცირე ნაწილი კი (ძირითადად სახელები) – სირიულ ენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ნესტორიანელებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს საიმპერატორო კარზე. ალოპენმა მიიღო ტიტულები და მონასტრის აშენების უფლება. შემდგომში, ნესტორიანელებს ჰქონდათ მონასტრები და ჰყავდათ ეპისკოპოსები სხვადასხვა ქალაქში. ნესტორიანელობას ჩინეთში „ძინგძიაო" დაერქვა, რაც ბრწყინვალე მოძღვრებას ნიშნავს. ალოპენს მიეწერება უძველესი ჩინურენოვანი ქრისტიანული ნაშრომის „იესო მესიას სუტრას" შედგენა, რაც, ფაქტობრივად, ნესტორიანულ კატეხიზმოს წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული ტექსტი განიცდის ძალიან დიდ ბუდისტურ გავლენას.

თანგის დინასტიის დროს შევიდა ჩინეთში ისლამიც. ჩინეთს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ჯერ კიდევ ისლამის გამოჩენამდე, ბუნებრივია, რომ ისლამმა ძალიან ადრე შეაღწია ჩინეთში გამუსლიმებული არაბი და სპარსი ვაჭრების მეშვეობით. თუმცა არსებობს სხვა, ოფიციალური, ე.წ. „კანონიკური" ვერსია, რომლის მიხედვითაც, ჩინეთში რამდენჯერმე იმოგზაურა და იმპერატორ თანგ კაო წუნგსაც შეხვდა ერთ-ერთი შაჰაბი – საიდ იბნ აბი ვაქასი. მიუხედავად იმისა,



სურ. 112 ხან იუ

რომ მეცნიერულად ეს არ დასტურდება, ჩინელი მუსლიმები მიიჩნევენ, რომ ამის შემდეგ აშენდა პირველი მეჩეთი ჩინეთის ტერიტორიაზე, კერძოდ ქალაქ კუანგჭოუში მდებარე ხუაიშენგის მეჩეთი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხალიფა ალ-მანსურმა ასევე გაგზავნა 4000 მუსლიმი მხედარი, რომლებიც ჩინეთის ტერიტორიაზე დარჩნენ.

სიენ წუნგის მმართველობისას წინა პლანზე წამოიწია ხან იუს ფიგურა, რომელიც იყო ნეოკონფუციზმის ერთ-ერთი დამაარსებელი, თანგის იმპერიის ოფიციალური პირი, პროზაიკოსი, პოეტი და ა.შ. (სურ. 112). ის ძალიან ნეგატიურად ეკიდებოდა ბუდიზმს და სხვა არაჩინურ მიმდინარეობებს. მას მიაჩნდა, რომ დინასტიის დაცემა ბუდიზმის პოპულარობით იყო გამოწვეული, რადგანაც ბუდიზმი უარყოფდა ტრადიციულ ჩინურ ღირებულებებს, რომლებზეც დაფუძნებული იყო ჩინეთის სახელმწიფო. მართალია, პირველ ხანებში ოფიციალური საიმპერატორო კარი ნაკლებად აქცევდა ყურადღებას მსგავს განცხადებებს, მაგრამ ახალგაზრდა იმპერატორი უ წუნგი სერიოზულად უყურებდა ამ საკითხს. ის ტაოიზმით იყო გატაცებული და ბუდიზმს თავიდანვე ნეგატიურად უყურებდა. გარდა ამისა, ბუდისტური ტაძრები არ იხდიდნენ გადასახადებს და ამ პერიოდის განმავლობაში საკმაო სიმდიდრის დაგროვება მოახერხეს, რაც გაღატაკებული ხაზინის შევსების ძალიან კარგი წყარო იყო. ამრიგად, 845 წელს იმპერატორმა აკრძალა ყველა უცხოური რელიგია. დაიწყო ბუდისტების შევიწროვება. მათ ჩამოერთვათ მონასტრები, ბერ-მონაზვნებს აიძულებდნენ ერში დაბრუნებასა და გადასახადების გადამხდელთა რიგების შევსებას და ა.შ. დევნა შეეხო ქრისტიანებს, მანიქეველებს, ზოროასტრიზმის მიმდევრებს და სხვებს, გარდა მუსლიმებისა.[1]

იმპერიას სჭირდებოდა სახსრები ხარჯიანი სამხედრო პოლიტიკის საწარმოებლად. ჩინეთი უნდა გამკლავებოდა ყირგიზების ზეწოლით აღმოსავლეთისკენ დაძრულ უიღურებს. 840-843 წლებში გამართული ბრძოლების შედეგად ჩინეთი გამარჯვებული გამოვიდა.

[1] ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ის, რომ ჩინეთს არ სურდა ახლო აღმოსავლეთის მუსლიმურ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაფუჭება.

843-844 წლებში თანამედროვე ხეპეის პროვინციის ტერიტორიაზე იმპერატორმა დაამარცხა გენერალ-გუბერნატორების რამდენიმე გავლენიანი გვარი. უ წუნგის მმართველობის პერიოდში შესუსტდა ლისა და ნიოუს არისტოკრატული გვარების გავლენებიც.[1]

მიუხედავად კონკრეტული ნარმატებებისა, იმპერატორი უ წუნგი ასევე იყო შეპყრობილი სიკვდილის შიშით და ტაოისტურ „უკვდავების ელექსირებს" ეტანებოდა, რამაც შეიწირა კიდეც მისი სიცოცხლე 846 წლის გაზაფხულზე. ტახტზე ავიდა მისი ბიძა და იმპერატორ სიენ წუნგის ვაჟი სიუენ წუნგი.

იმპერატორი თანგ სიუენ წუნგი ტახტზე საჭურისების დახმარებით ავიდა, თუმცა მთელი მმართველობის განმავლობაში მათი გავლენის შესუსტებას ცდილობდა. მან გააგრძელა წინამორბედების პოლიტიკა და საიმპერატორო კარს ფუფუნებით არ აცხოვრებდა. 848-851 წლებში სიუენ წუნგის მიერ წამოწყებული ომი ტიბეტთან თანგის იმპერიის გამარჯვებით დასრულდა. იმპერატორმა მოახერხა ყირგიზებთან კავშირის შეკვრა, რითიც უიღურთა შემოსევის საფრთხე გაანეიტრალა.

სიუენ წუნგმა შეწყვიტა რელიგიური დევნა, თუმცა თავიდან მხოლოდ ბუდისტურ ტაძრებს მიეცა გახსნის შესაძლებლობა. იმპერატორის მიერ წინამორბედის მსგავსი სახელის შერჩევა ნიშნავდა, რომ მას სურდა თანგის იმპერიის პირვანდელი დიდების აღდგენა. სიუენ წუნგმა გაატარა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები. კულტურის განვითარება საიმპერატორო კარის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო, მაგრამ იმპერატორი, წინამორბედების დარად, ტაოისტურმა მისტიციზმმა დააინტერესა და ისიც „უკვდავების ელექსირმა" შეიწირა.

ბუნებრივია, „უკვდავების ელექსირზე" დამოკიდებული იმპერატორი ძლიერი მმართველი ვერ იქნებოდა. ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში ბანდიტიზმი მატულობდა. 858 და 859 წლებში[2] აჯანყებებმა იფეთქა ანხუეისა და ჭეძიანგის პროვინციებში. სიტუაციას

---

[1] 牛李党争 – ნიუსა და ლის კლანებს შორის ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ამ ორ კლანს შორის დაპირისპირება თანგის ხუთი იმპერატორის მმართველობის განმავლობაში გრძელდებოდა (დაახლ. 821-846 წწ.).

[2] ამ აჯანყების ლიდერ ციოუ ფუს თავი ცის წარმომადგენლად მიაჩნდა. ეს აჯანყება მიზნად ახალი სახელმწიფოს შექმნას ისახავდა. მათ საკუთარი მონეტაც კი მოჭრეს.

ამძაფრებდა ომი ნანჭაოსთან. ელიტების კონფუციური იდეალებისაგან საგრძნობლად დაშორებული პოლიტიკა და ცხოვრების წესი მოსახლეობაში უკმაყოფილებას იწვევდა. აჯანყებულნი ძარცვავდნენ სახელმწიფო და სატაძრო საწყობებს, ხოლო ნადავლს ერთმანეთში ინანილებდნენ. აჯანყებათა ამ სერიის საბოლოოდ ჩახშობა 866 წელს მოხერხდა.

დინასტიის დასასრული

859 წელს ტახტზე იმპერატორი ი წუნგი ავიდა. ახალი იმპერატორი არ ზრუნავდა პოლიტიკასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. საიმპერატორო კარის ხარჯები ისევ გაიზარდა. იმპერატორს უყვარდა საკუთარ ხარჭებთან დროის გატარება. სიტუაცია იმპერიაში უარესდებოდა. გაუთავებელი ომები იწვევდა გადასახადების ზრდას, მოსახლეობის დიდი ნაწილი აყრილი იყო საკუთარი მიწიდან, რაც ნიშნავდა იმას, რომ მთელი საგადასახადო სიმძიმე დარჩენილ მემამულეებს აწვებოდა მხრებზე. უკმაყოფილებას იწვევდა ფასის ზრდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად მარილზე. 868 წელს აჯანყდა სამხედრო გარნიზონი ქალაქ სიუჭოუს მახლობლად. აჯანყების მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ჩაახშეს.

აჯანყებები ნელ-ნელა მთელ ქვეყანას მოედო და 874 წლიდან ახალი ძალით იფეთქა. 875 წლისთვის აჯანყებული იყო კანსუს, შანსის, ხენანის, ანხუეისა და შანტუნგის პროვინციები. აჯანყებას ხელმძღვანელობდა ვანგ სიენჭი, 875 წელს მას შეუერთდა მარილის კონტრაბანდით გამდიდრებული ხუანგ ჩაო. ხუანგ ჩაომ, განსხვავებით სხვა გლეხებისაგან, იცოდა წერა-კითხვა, შესანიშნავად ფლობდა ხმლით ბრძოლის ხელოვნებას და სხვ. 876 წლისათვის მათი ჯარები უკვე ხუთ პროვინციას აკონტროლებდნენ. მოძრაობის ლიდერები გამუდმებით უსვამდნენ ხაზს ჩინოვნიკების მექრთამეობასა და გაუმაძღრობას, ამხელდნენ მათ ნაკლოვანებებს და ა.შ. რაც საზოგადოებაში საჭირო მუხტის შენარჩუნებას უწყობდა ხელს. 878 წელს ვანგ სიენჭი დაიძრა ლუოიანგისკენ. აქ დაიღუპა 50 ათასი აჯანყებული, ხოლო ვანგი დაიჭირეს და სიკვდილით დასაჯეს. აჯანყებულებს სათავეში ხუანგ ჩაო ჩაუდგა, რომელმაც საკუთარ თავს „ცის დამლაშქვრელი მთავარსადალი“ უწოდა. აჯანყების ძირითად მოტი-



სურ. 113 თანგის ეპოქის სამხედრო პირები და მობელუები

ვად იქცა „სამართლიანი შურისძება". ამ მომენტიდან აჯანყება გლეხების ომში გადაიზარდა. 879 წელს მათ ქ. კუანგჭოუ აიღეს. ხუპეის პროვინციაში სამთავრობო ჯარებმა დაამარცხეს აჯანყებულები. მათ უკან დაიხიეს და 880 წელს განაახლეს ლაშქრობა ჩრდილოეთით. წლის ბოლოს მათ უომრად აიღეს ლუოიანგი. აჯანყებულთა მხარეს სულ უფრო მეტი ადამიანი გადადიოდა, მათ შორის სამხედრო პირები და ჩინოვნიკები (სურ. 113). ძალთა ბალანსი ხუანგ ჭაოს სასარგებლოდ გადაიხარა. 881 წელს, იმპერატორ სი წუნგის გაქცევის შემდეგ, ისინი შევიდნენ დედაქალაქ ჩანგანში. როგორც იმდროინდელი ისტორიკოსები გვამცნობენ, „ავაზაკები დადიოდნენ გაშლილი თმებითა და ფარჩის შესამოსლით", ხოლო ხუანგ ჭაო ოქროს ეტლში იჯდა. მან გასცა ბრძანება დაეხოცათ საიმპერატორო ოჯახის წევრები და თანამდებობებიდან გაეთავისუფლებინათ პირველი სამი რანგის მაღალჩინოსნები. უნდა აღინიშნოს, რომ ნადავლს ღარიბებსა და უპოვარებსაც უნაწილებდნენ.

აჯანყებულებმა ხუანგ ჩაო იმპერატორად გამოაცხადეს. საკვანძო თანამდებობებზე მისი თანამებრძოლეები დაინიშნენ. ხუანგ ჩაო ამტკიცებდა, რომ ცის მანდატი მას გადაეცა როგორც კონფუციური იდეალების მსახურს. თუმცა, 883 წელს მას მოუწია ჩანგანის დატოვება, ხოლო 884 წელს, გადმოცემის თანახმად, მისი ჯარი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, თვითონ კი თავი მოიკლა. 885 წელს იმპერატორი სი წუნგი დაბრუნდა დედაქალაქში, მაგრამ 886 წელს განვითარებული შიდა დაპირისპირების გამო ისევ მოუწია ქალაქიდან გაქცევა. ერთი თვის შემდეგ უკან დაბრუნდა და მალევე გარდაიცვალა. მის შემდეგ საჭურისების აქტიური ჩარევით ტახტზე ავიდა იმპერატორი ჭაო წუნგი.

ცხადია, იმპერატორი არავითარ რეალურ ძალაუფლებას აღარ ფლობდა. ქვეყანა სრულიად დეცენტრალიზებული იყო და გენერალ-გუბერნატორები აბსოლუტურად დამოუკიდებლად მართავდნენ თავ-თავიანთ პროვინციებს. იმპერატორი ჭაო წუნგი 900-903 წლებ-

ში ფაქტობრივად გადააყენეს საჭურისებმა. დედაქალაქში დაბრუნება მან გავლენიანი გენერალ-გუბერნატორის ჭუ ციუენჭუნგის (852–912 წწ.) დახმარებით შეძლო. ამის შემდეგ საიმპერატორო კარი ჭუს ემორჩილებოდა. საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით ჭუმ აიძულა იმპერატორი, დედაქალაქი ლუოიანგში გადაეტანა. ჩანგანმა სამუდამოდ დაკარგა დედაქალაქის სტატუსი.

ლუოიანგში გადასული იმპერატორი, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. იმპერატორის ინტრიგების თავიდან ასაცილებლად ჭუ ციუენჭუნგმა ის სიცოცხლეს გამოასალმა. ტახტზე ავიდა იმპერატორი აი ტი. იმპერატორი თანგ აი ტი იყო თანგის დინასტიის უკანასკნელი იმპერატორი. 907 წელს ჭუ ციუენჭუნგმა გადააყენა იმპერატორი აი და დაარსა გვიანი ლიანგის დინასტია. 908 წელს, მისი ბრძანებით, 15 წლის გადამდგარი იმპერატორი მოწამლეს. ჩინეთის ისტორიაში დაიწყო ახალი – ხუთი დინასტიისა და ათი სამეფოს პერიოდი, რომელიც 960 წელს სუნგის დინასტიის მმართველობის დამყარებით დასრულდა.

თანგის დინასტიის კულტურა

ქვეყნის გაერთიანება და ხანგრძლივი და სტაბილური ეკონომიკური ზრდა მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვადასხვა დარგის განვითარების საშუალებას იძლეოდა. ოფიციალურად თანგის იმპერატორები ტაოიზმის მიმდევრები იყვნენ, თუმცა ამ პერიოდში ჩინეთის ერთ-ერთ უმთავრეს მოძღვრებად იქცა ბუდიზმი. თანგის იმპერიაში მოხდა ბუდიზმის გადააზრება და, შეიძლება ითქვას, ჩინურ ტრადიციასთან დაახლოება. 629-645 წლებში ჩინელმა ბუდისტმა ბერმა სიუენწანგმა იმოგზაურა ინდოეთში და სანსკრიტიდან თარგმნა უამრავი სუტრა (სურ. 114).[1] ახალი სუტრების გამოჩენამ ახალი სინკრეტული



სურ. 114 სიუენწანგი მოიპოვებს სუტრებს

[1] ამ მოგზაურობას ეძღვნება ჩინური ოთხი კლასიკური რომანიდან ერთ-ერთი – „მოგზაურობა დასავლეთში" (西游记), რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეში, მინგის დინასტიის პერიოდშია დაწერილი. მისი ავტორობა უ ჩენგ-ენს (吴承恩) მიეწერება.

ბუდისტური მიმართულებები წარმოშვა. მაგალითად, ჩან (იგივე ძენ) ბუდიზმის[1] სკოლა ტაოიზმთან ძლიერ კავშირს ამყარებდა, ხოლო მიმდინარეობა თიენთაი, ყველა სხვა მოძღვრების საკუთარ თავში გაერთიანებას ცდილობდა (მათ შორის, კონფუციზმისაც). მიუხედავად ბუდიზმის პოპულარობისა, ჩინეთის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია კონფუციზმს და, ნაწილობრივ, ლეგიზმს ეფუძნებოდა. წინაპართა კულტი, იერარქიული მორჩილება, რიტუალების აღსრულება და სხვა კონფუცისეული იდეალები ჩინური კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა. კონფუცის იდეალების განხორციელება, ცხადია, გულისხმობდა მყარი, ფართო და ეფექტური ბიუროკრატიული აპარატის არსებობას, სადაც წამყვანი თანამდებობები განათლებულ ადამიანებს უნდა დაეკავებინათ, რაც, ბუნებრივია, ყოველთვის ასე ვერ იქნებოდა. კონფუცისეული წინაპართა და, ზოგადად, წარსულის კულტი იქცა ისტორიკოსების დანინაურების ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად. თანგის დინასტიის მმართველობის პერიოდში მემატიანე ოფიციალური თანამდებობა გახდა. ისტორიკოსები ადგენდნენ ძველ დინასტიათა ქრონიკებს, ხოლო უმთავრეს მაგალითად სმა ციენის „ისტორიულ ჩანაწერებს" იყენებდნენ. ამ პერიოდში შეიქმნა ძველი დინასტიების სისტემატიზებული წიგნები. პარალელურად მემატიანე-არქივარიუსები წერდნენ მიმდინარე მოვლენებზე. ისტორიული ქრონიკები ეხებოდა უამრავ ასპექტს კოსმოსური მოვლენებიდან დაწყებული მეზობელი ხალხების აღწერით დამთავრებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს ჩნდებიან ისტორიული ნაშრომების კრიტიკოსებიც.

სუეისა და თანგის იმპერიები ზრუნავდნენ ძველი ნაშრომების გადარჩენაზეც. საიმპერატორო ბიბლიოთეკები ყიდულობდნენ ძველ ბამბუკსა და აბრეშუმზე შესრულებულ ხელნაწერებს და გადაპქონდათ ისინი ქაღალდზე.

გამოცდებისათვის მოსამზადებლად კლასიკური კონფუციური ლიტერატურიდან შერჩეულ იქნა ე.წ. „უძინგი" და „სშუ". გარკვეულ პერიოდში კონფუციურ სასწავლებლებში 60 ათასამდე ადამიანი სწავლობდა. აქ იყვნენ არა მხოლოდ ჩინელები, არამედ მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლებიც, მაგალითად, თურქები და ტიბეტელები.

[1] ჩან ბუდიზმის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ ის ნაკლებად ეყრდნობოდა ტექსტებს, და მიიჩნეოდა, რომ სიბრძნე და სწავლება გულიდან გულს გადაეცემა.

გარდა ამისა, იმპერატორ სიუენ ნუნგის კარზე ჩამოყალიბდა ე.წ. ხანლინის აკადემია, რომელმაც, მოგვიანებით საიმპერატორო კანცელარიის სახე მიიღო და 1911 წლამდე იარსება.

თავის მხრივ, ტაოიზმი ხელს უწყობდა ალქიმიისა და სახალხო მედიცინის განვითარებას. ეს სამი მიმდინარეობა არის ჩინური ცივილიზაციის უმთავრესი საყრდენი. როგორც აღინიშნა, აღმოსავლური რელიგიები სინკრეტულია, შესაბამისად, ეს სამი მიმდინარეობაც ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული. მათ, როგორც წესი, მოიხსენიებენ ტერმინით „სამი მოძღვრება“. ჩინელი ადამიანის ცხოვრება განმსჭვალულია აღნიშნული სამი მოძღვრების რიტუალებით და მათ მიერ ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით.

ბუდიზმის ჩინეთში ფართოდ გავრცელებამ, ბუნებრივია, სერიოზული ცვლილებები შეიტანა ჩინურ ხელოვნებასა და არქიტექტურაში. ხანის დინასტიის დროინდელ ბრტყელ ქანდაკებას ჩაენაცვლა ბუდისტური მოცულობითი ქანადაკება. გაჩნდა ახალი არქიტექტურული ნაგებობა – პაგოდა. პაგოდებიდან ყველაზე ცნობილია „გარეული ბატების პატარა პაგოდა“ (523 წ.) ხენანის პროვინციაში და „გარეული ბატების დიდი პაგოდა“ (652 წ.) თანამედროვე ქალაქ სიანში, შაანსის პროვინციაში (სურ. 115; სურ. 116).

ამავე პერიოდში შევიდა ჩინეთში შუა აზიური საკრავები, ცეკვები და სხვ. აზიელმა მხატვრებმა ჩინეთში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა პოლიქრომული მხატვრობის ირანულმა ტექნიკამ. სამეფო კარზე უცხოურ ელჩობათა სიმრავლემ პოპულარული გახადა ლეგენდები შორეული ქვეყნების შესახებ, რაც ნოველების სახით ვრცელდებოდა ჩინეთში.



სურ. 115 გარეული ბატების პატარა პაგოდა



სურ. 116 გარეული ბატების დიდი პაგოდა



სურ. 117 ლი პაი



სურ. 118 ტუ ფუ

ცალკე უნდა აღინიშნოს თანგის იმპერიის პოეზია, რომლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია პოეტი ლი პაი (699-762 წწ.) (სურ. 117). ლი პაი ცოცხალ სამეტყველო ენაზე წერდა. მისთვის დამახასიათებელია ლაკონურობა. ასევე უდიდესი ჩინელი პოეტია ტუ ფუ (712-770 წწ.) (სურ. 118). მისი შემოქმედება ძირითადად ისტორიულ მოვლენებს აღწერს, ამიტომ მას ხშირად „პოეტურ ისტორიასაც“ უწოდებენ.

განვითარდა ჩინური ფერწერაც. ვანგ ვეიმ (701-761 წწ.) უარი თქვა მრავალფეროვან პალიტრაზე და მხოლოდ შავი ტუშით ხატავდა. მისი ნახატების წინა პლანზე გამოსახულია მდინარე, ხოლო უკანა პლანზე – გამხმარი ხეებით დაფარული მთები. ის არასოდეს არ ხატავდა ადამიანებსა და ცხოველებს. ვანგ ვეი პოეტიც იყო და მან ჩინური ფერწერა და პოეზია ჰარმონიულად შეუხამა ერთმანეთს.

თანგის იმპერიაში ტაოისტმა ალქიმიკოსებმა მიიღეს დენთი, თუმცა სამხედრო საქმეში მისი გამოყენება მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებამდე არ მომხდარა. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ბეჭდვამ, ფაიფურის დამზადების ხელოვნებამ, გემთმშენებლობამ და ა.შ.

ან ლუშანის აჯანყების შემდეგ არსებულ არასტაბილურ სიტუაციაში ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაც შეჩერდა.

ხუთი დინასტია და ათი სამეფო

თანგის დინასტიის დაცემის შემდეგ ჩინეთში არეულობის ეპოქა დაიწყო. სამხრეთში სიტუაცია შედარებით სტაბილური იყო. მსხვილ მინათმფლობელთა სისტემის გაუქმებამ გარკვეული ეკონომიკური ზრდაც კი გამოიწვია. იმავე პერიოდში ჩრდილოეთი ძალაუფლებისათვის გაუთავებელ ბრძოლებში იყო ჩათრეული. დინასტიები ცვლიდნენ ერთმანეთს. თითოეულის მმართველობის ხანგრძლივობა 13-16 წელიწადს არ აღემატებოდა.

ამ პერიოდში ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში ერთმანეთი ჩაანაცვლა ხუთმა დინასტიამ, ამავე დროს, სამხრეთში არსებობდა ათი შედარებით მყარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. რეალურად, სამხრეთის სამეფოები სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ საკუთარი დინასტიებით, მაგრამ, ვინაიდან ჩინური ისტორიოგრაფიისათვის და, ზოგადად, ჩინური კონფუციური პოლიტიკური აზრისათვის ცენტრალიზებული მმართველობა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, აქედან გამომდინარე თანგის დინასტიის ლეგიტიმურ, ე.წ. „ცის მანდატის" მქონე მემკვიდრეებად მხოლოდ ჩრდილოური დინასტიები ცხადდებოდნენ, რომლებიც თანგის ჩინეთის უდიდეს ნაწილს მართავდნენ. ჩრდილოური დინასტიების ლეგიტიმაციის პროცესი სუნგის დინასტიის პერიოდში დასრულდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული დინასტიის პოზიციებს ამყარებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთის დამოუკიდებელ ერთეულებად დაყოფა დიდი ხნით ადრე დაიწყო. საწყის ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ან ლუშანის და ხუანგ ჩაოს აჯანყებები, რომლებმაც ძირი გამოუთხარა თანგის დინასტიას. მაშასადამე, ახალი ეტაპი დინასტიის ფორმალური დაცემით არ დაწყებულა.

გარდა შიდა დაპირისპირებებისა, სიტუაციას ართულებდა ასევე მეზობელი არაჩინური, ბარბაროსული ტომების გაძლიერება. ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთში თანამედროვე კანსუსა და შიდა მონღოლეთის ტერიტორიაზე გაძლიერდა ტანგუტთა ტიბეტურ-ბირმული ტომი, რომელიც აკონტროლებდა აბრეშუმის გზის ნაწილს და, აქე-



სურ. 119 სცენა ციტანების ცხოვრებიდან

დან გამომდინარე, იქცა შუამავლად ცენტრალურ აზიასა და ჩინეთს შორის ვაჭრობის პროცესში. ჩინელებთან აქტიურმა ურთიერთობამ, ბუნებრივია, დიდი კვალი დააჩნია ტანგუტებს – მათ მიიღეს ბუდიზმი, გადაიღეს თანგის დინასტიის პოლიტიკური და საგანმანათლებლო მოდელები, შეიმუშავეს საკუთარი დამწერლობა. შედეგად, ძირითადად მეცხოველეობით დაკავებულმა ტანგუტებმა 1038 წელს შექმნეს საკუთარი სახელმწიფო დასავლეთი სია, რომელმაც თითქმის ორასი წელი იარსება.

ჩრდილოეთით, თანამედროვე მონღოლეთის საზღვრიდან სამხრეთ მანჯურიამდე ბინადრობდნენ ნახევრადმომთაბარე მონღოლური ტომები – ციტანები, რომელთაც დაარსეს ლიაოს დინასტია. ლიაომ სამხრეთის დედაქალად გამოაცხადა იენძინგი (თანამედროვე პეკინი). ციტანები ცდილობდნენ საკუთარი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებასთან ერთად ჩინური სახელმწიფოებრიობის მოდელის მორგებასაც, რასაც მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებდნენ კიდეც. კერძოდ, არსებობდა ორი პარალელური ადმინისტრაცია ციტანებითა და ჩინელებით დასახლებული რეგიონებისათვის (სურ. 119).

მანჯურიული წარმოშობის ტომებმა – ჯურჩენებმა დაამარცხეს ლიაოს დინასტია და შექმნეს ძინის (ოქროს) იმპერია (金). ჯურჩენები, ციტანების მსგავსად, ნახევრადმომთაბარე ტომები იყვნენ. ისინიც ცდილობდნენ პარალელური ადმინისტრაციების მეშვეობით ემართათ ქვეყანა, თუმცა ჩინურ მოსახლეობასთან შედარებით უმცირესობაში იყვნენ, გარდა ამისა, მათი კულტურა ბევრად ჩამოუვარდებოდა მაღალგანვითარებულ ჩინურს, რამაც ასიმილიაციას შეუწყო ხელი, თუმცა ძინის იმპერიის საბოლოო დამარცხება მხოლოდ მონღოლებმა შეძლეს.

ჭუ ციუენჭუნგის (852-912 წწ., ისტორიოგრაფიაში ხშირად გვხვდება სახელი ჭუ ვენი) მიერ დაარსებული გვიანი ლიანგის დინასტიის დედაქალაქი სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე (სამხრეთთან

სიახლოვე) დღევანდელ ქაიფენგში გადავიდა, თუმცა ლუოიანგი ინარჩუნებდა კულტურული დედაქალაქის წოდებას (სურ. 120). ჭუ ვენის ძლიერი პოლიტიკური მოწინააღმდეგე იყო ლი ქეიუნგი (856-908 წწ.), რომლიც თურქული წარმომავლობის მიუხედავად, თანგის იმპერიის ერთგული ჩინოვნიკი იყო, რისთვისაც მიეცა საიმპერატორო გვარი ლი და ძინის[1] ვანგის წოდება. თურქულ ტომებს აფერხებდა ციტანების ჩრდილოური სახელმწიფო, რომელიც შუალედურ პოზიციას იჭერდა გვიანი ლიანგისა და ძინის სახელმწიფოებს შორის. საბოლოოდ, ლი ქეიუნგის ვაჟმა ისარგებლა გვიანი ლიანგის შიდა არეულობით და დაიკავა ტახტი. შედეგად, გვიანი ლიანგის დინასტია 923 წელს ჩაანაცვლა გვიანი თანგის დინასტიამ (后唐).



სურ. 120 გვიანი ლიანგის დინასტიის მეომარი

დინასტიების ცვლილებამ გამოიწვია პოლიტიკური ცვლილებები. კერძოდ, გვიანი თანგის დინასტია არისტოკრატიის მხარდაჭერით სარგებლობდა. ჩინური არისტოკრატია განათლების დონით ბევრად აღემატებოდა დამპყრობელ თურქულ დინასტიას, რის გამოც ჩინელმა მაღალჩინოსნებმა ფაქტობრივად მოახერხეს ძალაუფლების დაბრუნება. გვიანი თანგის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია ბევრად აღემატებოდა წინამორბედისას. თუმცა, აქაც შიდა არეულობამ იჩინა თავი – 936 წელს ტახტი დაიკავა იმპერატორის სიძემ, რომელიც ციტანების მხარდაჭერით სარგებლობდა და სანაცვლოდ დაუთმო მათ ტერიტორიები თანამედროვე ჩინეთის ჩრდილოეთში. მან დაარსა ახალი, გვიანი ძინის დინასტია (后晋), რომელმაც სულ რაღაც ათი წელი იარსება. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინურ ისტორიოგრაფიაში გვიანი ძინის დინასტია აღიქმება ციტანების ლიაოს სახელმწიფოს მარიონეტად. ამ პერიოდში კიდევ უფრო მეტად გააქტიურდნენ ციტანები. მათ არ იკმარეს ჩრდილოეთის პროვინციების მითვისება, 946-947 წლებში დაიპყრეს დედაქალაქი. მათი მმართ-

[1] ძინი (晋) არის ადმინისტრაციული ერთეული თანამედროვე შანსის პროვინციაში, და არ უნდა აგვერიოს ძინის (金) ჯურჩენულ იმპერიაში. ფონეტიკური მსგავსების მიუხედავად, იეროგლიფები განსხვავებულია.



სურ. 121 გვიანი ჭოუს დინასტიის დამაარსებელი – კუო ვეი

ველი გამოცხადდა ციტანებისა და ჩინელების იმპერატორად.

ჩინური არისტოკრატია ისევ ლოიალური აღმოჩნდა უცხოელი დამპყრობლის მიმართ, ხოლო თურქული დინასტიის წარმომადგენლები ამას ვერ ეგუებოდნენ. 947 წელს გარდაიცვალა ახალი იმპერატორი. გენერალმა ლიოუ ჭიიუენმა (895-948 წწ.) ისარგებლა სიტუაციით და იმავე წელს დაიკავა დედაქალაქი. დაიწყო გვიანი ხანის (后汉) დინასტიის მმართველობა, რომელმაც მხოლოდ არასრული 4 წელი იარსება. ახალი თურქული დინასტია ვერ უწევდა წინააღმდეგობას ჩინურ არისტოკრატიას, 951 წელს მოხდა მორიგი გადატრიალება, რომლის შედეგადაც ხელისუფლებაში მოვიდა ეთნიკური ჩინელი, გენერალი კუო ვეი (904-954 წწ.), რომელმაც დაარსა გვიანი ჭოუს (后周) დინასტია. უნდა აღინიშნოს, რომ ხანის სახლის წარმომადგენლებს არ შეუწყვეტიათ წინააღმდეგობის გაწევა, მათ ციტანების დახმარებით დააფუძნეს ჩრდილოეთ ხანის სამეფო დღევანდელ შანსის პროვინციაში და ინარჩუნებდნენ ნომინალურ დამოუკიდებლობას 979 წლამდე (სურ. 121).

კუო ვეის მემკვიდრე აწარმოებდა სამხედრო კამპანიებს როგორც ციტანების, ისე სამხრეთის სამეფოების წინააღმდეგ, მან მთელ რიგ წარმატებებს მიაღწია, თუმცა 959 წელს გარდაიცვალა ავადმყოფობით.

გვიანი ჭოუ იქცა ე.წ. „ხუთი დინასტიისა და ათი სამეფოს პერიოდის“ დამაგვირგვინებელ დინასტიად. ამ დროს ჩრდილოეთმა დაიწყო სამხრეთთან პირდაპირი დაპყრობითი ომების წარმოება, რაც წარმატებით გააგრძელა სუნგის დინასტიამ და მოახერხა ჩინეთის გაერთიანება.

ჩრდილოეთთან შედარებით, სამხრეთში სიტუაცია გაცილებით უკეთესი იყო. სამეფოები ჩრდილოეთის დინასტიებზე უფრო სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ: ნაკლები იყო შეტაკებები და ბუნებრივი პირობები სწრაფი ეკონომიკური აღმავლობის საშუალებას იძლეოდა. განვითარებული ჩაისა და ფაიფურის ინდუსტრია ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი იყო. სწორედ სამხრეთში ჩამოყალიბდა სავაჭრო ქალაქები, ხოლო იანგწის დელტა სოფლის

მეურნეობის განვითარების საუკეთესო საფუძველს ქმნიდა. შედარებითმა სიმშვიდემ გამოიწვია კულტურული აღმავლობაც – ჩინეთის კულტურის ცენტრმა სამხრეთით გადაინაცვლა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ სუნგის დინასტიამ სწორედ სამხრეთული, ჭეძიანგის არქიტექტურული სტილი აქცია დომინანტურ სტილად.

კულტურული განვითარება განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო თანამედროვე სჩუანის პროვინციაში, სადაც თითქმის მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მშვიდობა სუფევდა. აქ თანაბარ პირობებში ვითარდებოდა ტაოისტური ფილოსოფია, კონფუციური მეცნიერება და, რა თქმა უნდა, ბუდიზმიც. შეიძლება ითქვას, რომ სჩუანში დაიწყო ამ სამი მოძღვრების სინთეზი, რომელიც ჩინური კულტურის განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენდა შემდგომი ათასწლეულის განმავლობაში.

ხუთი დინასტიისა და ათი სამეფოს პერიოდი ცალკე პერიოდად მოიაზრება ჩინეთის ისტორიაში არა მხოლოდ იმიტომ, რომ ესაა გარდამავალი პერიოდი ორ დიდ დინასტიას შორის, არამედ იმიტომაც, რომ ეს არის შუა საუკუნეების დასასრული და ახალ დროზე გადასვლის დასაწყისიც[1]. მართალია, ჩინური ისტორიოგრაფია მრავალი საუკუნის განმავლობაში ძირითადად ნეგატიურად აფასებდა ამ პერიოდს, მაგრამ ბოლო პერიოდში შეიმჩნევა პოზიციის გადახედვის მცდელობა – პოლიტიკური დეზინტეგრაციის, ქაოსისა და სხვა პრობლემების გარდა, აქტიურად საუბრობენ ასევე პოეზიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის აღმავლობასა და გავრცელებაზე, რაც დიდწილად საბეჭდი დაზგის აქტიური გამოყენებით იყო განპირობებული. ხაზი ესმება ეკონომიკის განვითარებას, ქაღალდის ფულის აქტიურად გამოყენებას, ცალკეული საკვანძო სფეროების აღორძინებასა და სხვა პოზიტიურ ასპექტებს.

[1] გასათვალისწინებელია, რომ პერიოდებად დაყოფა პირობითია და განსხვავდება დასავლური დაყოფის პრინციპებისგან.

სუნგის დინასტია

ჩრდილოეთ სუნგის დაარსება



სურ. 122 სუნგის დინასტიის იმპერატორი თაი წუ

გვიანი ჭოუს დინასტიის მმართველობა, ფაქტობრივად, მოსამზადებელი პერიოდი იყო ჩინეთის ხელახალი გაერთიანებისათვის. ახლებური სამხედრო პოლიტიკა, რომელიც სამხრეთის სამხედრო გზით შემოერთებას გულისხმობდა სწორედ ამ პეიოდში დაიწყო. ციტანებთან დაძაბული ურთიერთობისა და რამდენიმე წარმატებული შეტაკების მიუხედავად, გასაგები ხდებოდა, რომ ამ ეტაპზე მათთან კონფრონტაცია არამომგებიანი იყო. 960 წელს ციტანებისა და ჩრდილოეთ ხანის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ ახალი სამხედრო კამპანია დაიწყო, რომელსაც სათავეში ჭაო ქუანგ-ინი ჩაუყენეს. სწორედ ამ ლაშქრობისას გამოაცხადეს ჯარებმა ის იმპერატორად. დედაქალაქში დაბრუნებულ ჭაო ქუანგ-ინს, ფაქტობრივად, ვერავინ გაუწია წინააღმდეგობა, ის შედარებით მშვიდ გარემოში ავიდა ტახტზე და სატაძრო სახელად დაირქვა თაი წუ, ახალ დინასტიას კი სუნგი ეწოდა (სურ. 122).

იმპერატორი თაი წუ წარმატებულ პოლიტიკას ახორციელებდა. წანამორბედებისაგან განსხვავებით, მან კიდევ 16 წელი იცოცხლა და სამხედრო-პოლიტიკური ალღოც გამოიჩინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი იმპერატორის სამხედრო ვექტორი, ძირითადად, სამხრეთისკენ იყო მიმართული. მისი მიზანი იყო ეკონომიკურად ძლიერი, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით შედარებით სუსტი სამეფოების ცენტრის გავლენის ქვეშ დაბრუნება. უნდა ითქვას, რომ სამხრეთის ათი სამეფოც არ უწევდა სუნგის იმპერიას დიდ წინააღმდეგობას. არისტოკრატია და ვაჭართა ფენა ხედავდნენ ერთიან, დიდ იმპერიაში

ცხოვრების დადებით მხარეებსაც. 980 წლისათვის ფაქტობრივად დასრულდა სამხრეთის შემოერთების პროცესი. შემდგომში ექსპანსია კიდევ უფრო სამხრეთით გაგრძელდა და ინდონეზიამდეც კი აღწევდა.

ბუნებრივია, წარმატებულ სამხედრო პოლიტიკას წინ უსწრებდა წარმატებული საკადრო პოლიტიკა. თაი წუმ, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო კონფუციური იდეალების რეაბილიტაცია. ძალაუფლება ნელ-ნელა ჩამოერთვა სამხედრო ლიდერებს და გადაეცა სამოქალაქო განათლებულ ჩინოვნიკებს. იმპერატორმა, წინამორბედებისაგან განსხვავებით, არ დაიწყო სხვა გენერლების დასჯა, არამედ თანამდებობებითა და ტიტულებით მოისყიდა ისინი. გარდა ამისა, ის აქტიურად იყენებდა მატრიმონიალურ კავშირებს და გავლენიან გენერლებს საკუთარი ოჯახის წევრებად აქცევდა.



სურ. 123 სუნგის დინასტიის იმპერატორი სუნგ თაი წუნგი

იმპერატორის დიპლომატიური ნიჭი აიძულებდა სამხრეთის მმართველებს დამარცხების შემდეგ მიეღოთ სხვადასხვა ტიტული და თანამდებობა, ჩამდგარიყვნენ სუნგის იმპერიის სამსახურში. ამის შედეგად, მან მინიმალური დანაკარგებით შემოიერთა სამხრეთის თითქმის ყველა დამოუკიდებელი სამეფო, ხოლო უკანასკნელი, უ იუე – უბრძოლველად დანებდა მის მემკვიდრეს 978 წელს.

თაი წუს გარდაცვალების შემდეგ ტახტი დაიკავა მისმა უმცროსმა ძმამ თაი წუნგმა (სურ. 123), რომელმაც გააგრძელა თაი წუს წარმატებული კამპანია სამხრეთში. ასევე, საბოლოოდ დაამარცხა და შემოიერთა ჩრდილოეთ ხანი (979 წ.). მან გადაწყვიტა ციტანების სახელმწიფოს – ლიაოს დაპყრობაც, თუმცა მარცხი იწვნია. რამდენიმე უშედეგო კამპანიის შემდეგ მან არჩია ციტანებთან თავდაცვითი პოზიციის დაჭერა. უნდა ითქვას ისიც, რომ მარცხი ლიაოს სახელმწიფოსთან არ იყო მხოლოდ ამ სახელმწიფოს სიძლიერით გამოწვეული. ჯერ კიდევ იმპერატორ თაი წუს დროს დაწყებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა გავლენიანი სარდლების სა-

მოქალაქო სფეროებში გადაყვანას და მათი ჯარიდან ჩამოცილებას, უარყოფითი შედეგის მომტანი აღმოჩნდა.

ნინამორბედის მსგავსად, იმპერატორი ჭენ წუნგიც აწარმოებდა ომებს ციტანებთან, თუმცა ორივე მხარე დარწმუნდა იმაში, რომ ომს შედეგი ვერ ექნებოდა, რადგან არც ერთს არ ჰყოფნიდა ძალა მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, ხოლო უშედეგო შეტაკებები მხოლოდ სამხედრო ხარჯებს ზრდიდა. 1004 წელს (ზოგი მონაცემით 1005 წელს) ორი იმპერია დაზავდა. ლიაო თმობდა ჩინეთის დიდი კედლის სამხრეთით მითვისებულ ტერიტორიებს, ხოლო სუნგის იმპერიას ყოველწლიურად უნდა გადაეხადა ლიაოსთვის 100 ათასი ლიანგი ვერცხლი და 200 ათასი გრაგნილი აბრეშუმი. ეს მცირე ფასი იყო მრავალწლიანი მშვიდობისათვის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს გარემოება ჩინეთს არსებითად ახალ სიტუაციას უქმნიდა – აქამდე ის იყო პირველი და მთავარი, ბარბაროსებით გარშემორტყმული ქვეყანა რეგიონში, ამ ზავმა კი ჩინეთი გარკვეულწილად დაუქვემდებარა ლიაოს იმპერიას. მიუხედავად იმისა, რომ ზავის პირობებით გათვალისწინებული გადასახადი ძალიან უმნიშვნელო იყო ეკონომიკურად სულ უფრო მზარდი ჩინეთისათვის (მაგალითისათვის, ლიაოსათვის გადახდილი თანხა იმდროინდელი ბიუჯეტის მხოლოდ 2%-ს შეადგენდა, მაშინ როდესაც სამხედრო ხარჯებზე ბიუჯეტის 25% იხარჯებოდა), ეს მაინც ცვლიდა სტატუს კვოს რეგიონში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიაო ეკონომიკურად სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა სუნგის ჩინეთზე.

დაზავების შემდეგ ჭენ წუნგისათვის მნიშვნელოვანი იყო საკუთარი პრესტიჟის გაზრდა, ის აქტიურად უჭერდა მხარს ტაოიზმს და განამტკიცა „საკუთარი წინაპრის", ნეფრიტის იმპერატორის[1] კულტი. ცინის, ხანისა და თანგის იმპერატორების დარად ჭენ წუნგმა, როგორც უმაღლესმა ქურუმმა, თაის წმინდა მთაზე – თაიშანზე აღასრულა მსხვერპლშეწირვის რიტუალი.

ჭენ წუნგის მმართველობისას დიდი ყურადღება ექცეოდა სოფლის მეურნეობას, დიდად გაიზარდა დამუშავებული მიწის ფართობი, პარალელურად გაძლიერდა საგარეო ვაჭრობა იაპონიასთან, კორეასთან და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან.

[1] იუ ხუანგი – ჩინური ნარმართული პანთეონის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება.

დაპირისპირება ჩრდილოეთისა და სამხრეთის კლანებს შორის

ჭენ წუნგის გარდაცვალების შემდეგ რეგენტ ქვრივ იმპერატორსა და მემკვიდრეს შორის მოხდა დაპირისპირება. ახალგაზრდა უფლისწულს რეგენტმა შეურჩია მეუღლე. სწორედ ამას მოჰყვა წინააღმდეგობა. იმპერატორი ჟენ წუნგი რეგენტის გარდაცვალებისთანავე გაეყარა მეუღლეს და ცოლად სხვა შეირთო. ეს აქტი მიუღებელი იყო კონფუციური მორალისათვის, რამაც იმპერატორს გარკვეული პრობლემები შეუქმნა.

სიტუაციას ამძიმებდა საიმპერატორო კარზე ორი დაპირისპირებული კლანის არსებობაც – ჩრდილოეთის არისტოკრატულ-ჩინოვნიკური კონსერვატული ფრთა და სამხრეთის ახალგამომცხვარი, კონფუციური იდეალებით გამსჭვალული რეფორმატორულ-იდეალისტური ფრთა. უსაშველოდ გაბერილი ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც სარგებლობდა მთელი რიგი საგადასახადო შეღავათებითა და სხვა პრივილეგიებით მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა აჯანყებების სერია, მათ შორის, დედაქალაქთან ახლოს. დასავლეთი სიას და ციტანების გააქტიურება კიდევ უფრო მეტად ზრდიდა სამხედრო ხარჯებს, რაც ხელს არ უწყობდა სიტუაციის სტაბილიზაციას.

მეთერთმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ციტანებმა დაიპყრეს ხეპეის პროვინციის ჩრდილოეთი და განმტკიცდნენ ლიაოტუნგის ნახევარკუნძულზე, რითაც შეაფერხეს ურთიერთობა ჩინეთსა და კორეას შორის. 1024 წლის შეთანხმების მიხედვით სუნგის იმპერიამ იკისრა ყოველწლიურად 300 ათასი გრაგნილი აბრეშუმისა და 200 ათასი ლიანგი ვერცხლის გადახდა.

ტანგუტების სახელმწიფო, დასავლეთი სია დიდი ხნის განმავლობაში ჩინეთის იმპერატორების მიერ ვასალურ სახელმწიფოდ აღიქმებოდა, თუმცა 1038 წლიდან მისი მმართველები თავს იპერატორებს უწოდებენენ, რაც, რა თქმა უნდა, ჩინეთის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იყო. ჩინელ-ტანგუტთა ომები გრძელდებოდა მთელი მეთერთმეტე საუკუნის განმავლობაში.

ახალგაზრდა სამხრეთელი იდეალისტ-რეფორმატორების ფრთა ხმას იმაღლებდა საიმპერატორო კარის ნაკლოვანებების წინააღმდეგ და კონფუციური იდეალების დაცვისაკენ მოუწოდებდა, ასეთ სიტუა-

ციაში იმპერატორმა მხარი სწორედ მათ დაუჭირა. 1043-1044 წლებში რეფორმატორების მიერ მართულმა საიმპერატორო კარმა აქტიური წინააღმდეგობა გაუწია დასავლეთი სიას და აიძულა ტანგუტთა მმართველი, რომ ელიარებინა სუნგის უპირატესობა, თუმცა ჩინეთი იძულებული გახდა ყოველწლიურად საკმაოდ სოლიდური „საჩუქრები" გაეგზავნა დასავლეთ სიაში (100 ათასი გრაგნილი აბრეშუმი და 30 ათასი ძინი[1] ჩაი) დასავლეთის სიამ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და სუნგის იმპერია აღარ სარგებლობდა სიუზერენის სტატუსით.

სუნგის იმპერიის სამხედრო პრობლემები გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით, რომელთაგან ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაინც ის იყო, რომ ტრადიციულ ჩინურ კონფუციურ საზოგადოებაში ბიუროკრატიული ელიტა სამხედროზე გაცილებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რამაც სუნგის დინასტიაში თავის პიკს მიაღწია. სწორედ ამ პერიოდში ჩნდება ცნობილი გამონათქვამი, რომელიც ზოგჯერ კონფუციასაც მიეწერება: "好铁不打钉. 好汉不当兵" – „კარგი ფოლადისგან ლურსმანს არ აკეთებენ, კარგი ადამიანისგან მეომარი არ გამოვა". სამხედრო ელიტისადმი ასეთ დამოკიდებულებას განაპირობებდა ის, რომ სუნგის პირველ იმპერატორებს კარგად ახსოვდათ საკუთარი წინამორბედების ბედი და არ სურდათ მისი გაზიარება. აქედან გამომდინარე, მათ გააუქმეს გენერალ-გუბერნატორების (ძიეტუში) თანამდებობები, რომლთა ხელშიც კონცენტრირებული იყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ხელისუფლება, და გენერლები ადგილობრივ ჩინოსნებს დაუქვემდებარეს. გარდა ამისა, გადაყენებული გენერლები, როგორც ზემოთ აღინიშნა, დანიშნეს სხვა არასამხედრო თანამდებობაზე ან დაუნიშნეს პენსია. ჯარი დემობილიზებული იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით და იმყოფებოდა უშუალოდ იმპერატორის დაქვემდებარებაში. დედაქალაქ ქაიფენგში იყო მობილიზებული საიმპერატორო გვარდია. ჯარისკაცების რაოდენობა ძალიან დიდი იყო, რაც განაპირობა იმან, რომ სუნგის იმპერიის მოდელის მიხედვით, ადამიანს, რომელსაც თუნდაც მინიმალური სამხედრო სამსახური ჰქონდა გავლილი, სამუდამოდ ითვლებოდა ჯარისკაცად, რაც შესაბამის ანაზღაურებასა და პენსიას გულისხმობდა.

[1] ჩინური ნონის ერთეული – 斤 – ძინი, უდრის ნახევარ კილოგრამს.

მძიმე იყო მდგომარეობა სოფლადაც. გადასახადების გადამხდელთა უმრავლეოსობა ეკუთვნოდა მცირე კერძო მიწათმფლობელებელთა ფენას. დინასტიის განმტკიცებასთან ერთად იზრდებოდა მსხვილ მიწათმფლობელთა რაოდენობა, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად იყვნენ დაკავშირებული სამეფო კართან და სხვადასხვა სამართლიანი და უსამართლო მეთოდებით ისაკუთრებდნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მესაკუთრეთა მიწებს. ხშირად, ამ უკანასკნელებს უწევდათ მიწის დათმობა მსხვილი მიწათმფლობელისათვის და საკუთარი მიწის იჯარით აღება. ამ შემთხვევაში ისინი მესაკუთრეს უხდიდნენ აღებული მოსავლის 50-70% პროცენტს, რაც მათ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა იმდენად შემცირდა, რომ ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, მეთერთმეტე საუკუნეში ხაზინას არ მიუღია გადასახადი დასამუშავებელი მიწის 60-70% პროცენტიდან. ამ პერიოდში მსხვილი მიწათმფლობელები დამუშავებული მიწების ნახევარზე მეტს ფლობდნენ.

გარდა ობიექტური მიზეზებისა (სტიქიური უბედურება, ომი და ა.შ.), გლეხების მდგომარეობას ართულებდა ადგილობრივ ხელისუფალთა თვითნებობა – ისინი უმიზეზოდ ზრდიდნენ გადასახადებს. გლეხებს უამრავი ვალდებულება ჰქონდათ სახელმწიფოს წინაშე. საჭიროების შემთხვევაში, მათ უნდა ემუშავათ მოსამსახურეებად, დარაჯებად, მცველებად და ა.შ.

ყოველივე ამას მოჰყვა მასშტაბური გამოსვლები სოფლად, რომლებმაც, იმპერატორ ჟენ წუნგის მმართველობისას, ჩრდილოეთშიც მიაღწია და ქალაქებზეც გავრცელდა. 1043 წელს შანტუნგის პროვინციაში გლეხების აჯანყებას შეურთდნენ მათ ჩასახშობად გაგზავნილი რაზმები. აჯანყებულებმა რამდენიმე ქალაქი დაიკავეს და ქალაქელების ნაწილიც მათ მხარეს გადავიდა.

1047 წლის მიწურულს ახალმა აჯანყებამ იფეთქა ხეპეის პროვინციის ქალაქ პეიჭოუში. აჯანყებულთა დიდ ნაწილს შეადგენდნენ ქალაქის ხელოსნები და დაბალი ფენის მოქალაქეები. აჯანყებულებმა დაიკავეს იარაღის საწყობი და გაათავისუფლეს პატიმრები. მათ შექმნეს საკუთარი სახელმწიფო, რომლის მთავარი მიზანი იყო სუნგის დინასტიის დამხობა, ხოლო მთელი აჯანყება ბუდისტური იდეოლოგიით იყო განსმჭვალული, რომელიც ბუდა მაიტრეიას (ჩი-

ნურად: მილე ფუსა) კულტთან და საყოველთაო ბედნიერებისა და კეთილდღეობის ეპოქის დადგომასთან იყო დაკავშირებული. აჯანყებულები 66 დღის განმავლობაში იცავდნენ ქალაქს და საიმპერტორო ძალებმა მხოლოდ 1048 წლის გაზაფხულზე შეძლეს მათი დამარცხება.

მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ფონი უბიძგებდა სუნგის საიმპერატორო კარს რეფორმების გატარებისაკენ, თუმცა ამას ხელს უშლიდა ორ ფრთას (ჩრდილოეთისა და სამხრეთის) შორის დაპირისპირება. ჯერ კიდევ ხუთი დინასტიისა და ათი სამეფოს პერიოდიდან მოყოლებული (და უფრო ადრეც) საიმპერატორო კარზე წამყვანი როლი ჩრდილოეთის არისტოკრატიულ ბიუროკრატიას ეჭირა, რომელიც დიდწილად აკონტროლებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და არ ჩქარობდა სისტემის რეფორმირებას. გარდა ამისა, აღნიშნული ფრთა მკაცრად ზღუდავდა სამხრეთელების ინტეგრაციას ბიუროკრატიული აპარატის უმაღლეს ეშელონებში, რაც, ბუნებრივია, სამხრეთელების პროტესტს იწვევდა. ამიტომ რეფორმებისაკენ პირველი მოწოდებები სწორედ სამხრეთიდან გაისმა.

სამხრეთში იმპერატორის გავლენა ყოველთვის შედარებით ნაკლები იყო. სახელმწიფო სასწავლებლების პარალელურად არსებობდა კერძო სკოლები, რომლებიც იქმნებოდა არქივების, ბიბლიოთეკების და ა.შ. თანამედროვე ხენანის პროვინციის ქალაქ ინგთიენში შეიქმნა ასეთი სკოლა, სადაც თავი მოიყარეს კონფუციური სულისკვეთებით განმსჭვალულმა ახალგაზრდა რეფორმატორებმა.

იენ შუ (991-1055 წწ.) წარმოშობით სამხრეთელი იყო და მან საკუთარ თავზე გამოსცადა, თუ როგორ ზღუდავდა დედაქალაქის ელიტა სამხრეთელებს. იენ შუმ შემოიკრიბა თანამოაზრეები და სწორედ ინგთიენის აკადემიიდან გაისმა პირველი მოწოდება იმპერატორისადმი, რათა გადაეხედა საკუთარი გარემოცვისათვის. იენ შუმ მთელ რიგ წარმატებებს მიაღწია. ის იყო ხანლინის აკადემიის წევრი და იმპერატორ ჟენ წუნგის კანცლერი, ე.წ. „ცინგლის რეფორმების“[1] ერთ-ერთი პირველი ინიციატორიც ის გახლდათ.

[1] 庆历新政 – „ცინგლი სინჭენგი“, ცინგლის რეფორმები ან ცინგლის ახალი პოლიტიკა, რეფორმების პაკეტი, რომელიც გულისხმობდა ადმინისტრაციის ეფექტურობის ზრდას, ადგილობრივი ხელისუფლებისა და თავდაცვის გაძლიერებას. ცინგლი (庆历) არის ამ პერიოდის სახელწოდება.



სურ. 124 ფან ჭუნგიენი

ოპოზიციური ფლანგის მომდევნო გამოჩენილი წარმომადგენელი იყო აკადემიის მასწავლებელი და დედაქალაქ ქაიფენგის პრეფექტი ფან ჭუნგიენი (989-1052 წწ.), რომელიც თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი იყო და ზოგიერთი მას კონფუცისა და მენგ წის რიგის წმინდანად[1] მოიაზრებს (სურ. 124). მან დაწერა ათი ათასი იეროგლიფის მოცულობის ტრაქტატი, რომელშიც გაადმოცემული იყო მისი მოსაზრება პროვინციაში სამხედრო და სამოქალაქო მაღალჩინოსნების დანიშვნასთან და სხვა არსებით საკითხებთან დაკავშირებით.

ფან ჭუნგიენმა და მისმა მომხრეებმა მოახერხეს დაიკავეს თანამდებობები ცენტრალურ ადმინისტრაციაში. 1043-1044 წლებში მან წარადგინა რამდენიმე ანგარიში, რომლებშიც აღწერილი იყო მისი რეფორმები. როგორც კონფუცის სწავლების მიმდევარი, ის თვლიდა, რომ ხაზინა უპირატესად მიწათმოქმედების მეშვეობით უნდა შევსებულიყო. ამისათვის მან წარადგინა საირიგაციო და სამელიორაციო პროექტებიც. გარდა ამისა, ის ითხოვდა გლეხებისათვის ვალდებულებების შემცირებას და ჯარის დაფინანსების სისტემის შეცვლას. ფან ჭუნგიენს ასევე აუცილებლად მიაჩნდა ბიუროკრატიული აპარატის შემცირება და მაღალჩინოსნების შვილების გამოცდების გარეშე თანამდებობებზე დანიშვნის პრაქტიკის მოსპობა. რა თქმა უნდა, ამას დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა გავლენიანი ჩრდილოური კლანების მხრიდან, შედეგად – ფან ჭუნგიენი და მისი მომხრეები გადააყენეს და რეფორმების პირველი მცდელობა ჩავარდა. იგი რამდენიმე ათეული წლით გადაიდო.

შემდეგი გამოჩენილი მოაზროვნე იყო ლი კოუ (1009-1059 წწ.). მან გადაიაზრა ტერმინი ძინგძი[2]. თუ ტრადიციული გაგებით, ის მომავალი თაობებისათვის აუცილებლად გადასაცემ ეთიკურ ნორმებს გულისხმობდა, ლი კოუმ მას მიანიჭა იმპერატორის, როგორც

[1] ჩინეთში განსაკუთრებული სიბრძნით გამორჩეული მოღვაწეები წმინდანებად/ღვთაებებად მიიჩნევა.

[2] 经济 – ძინგძი, თანამედროვე ჩინურში, სწორედ ლი კოუს გავლენით, ამ ტერმინს ეკონომიკის მნიშვნელობა აქვს.



სურ. 125 ვანგ ანში

„ცის შვილის" თიენ წი[1] მიერ შესასრულებელი ვალდებულებების მნიშვნელობა. ეს იყო: სახელმწიფოს გამდიდრება, ჯარის გაძლიერება და ხალხის დამშვიდება.

ლი კოუს იდეებმა ბევრ იმდროინდელ მოაზროვნეზე იქონია გავლენა, მათ შორის იყვნენ ვანგ ანში (1021-1086 წწ.) და სმა კუანგი (1019-1086 წწ.) (სურ. 125).

იმპერატორმა ინგ წუნგმაც არ მოისურვა რეფორმების კურსის აღება. მისი მმართველობის დროს მხოლოდ უმნიშვნელო ცერემონიალური საკითხები განიხილებოდა, თუმცა მან დაავალა სმა კუანგსა და რამდენიმე სხვა სწავლულს ისტორიის სრული კრებულის შედგენა.[2]

ინგ წუნგის მემკვიდრე, იმპერატორი შენ წუნგი კი ნამდვილი რეფორმატორი აღმოჩნდა. მან თავის პირველ მინისტრად დანიშნა და რეფორმებს სათავეში ჩაუყენა ვანგ ანში. აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ იგი იყო სამხრეთის ახალი ბიუროკრატიის, ე.წ. რეფორმატორების წარმომადგენელი, ხოლო სმა კუანგი კი არისტოკრატიული ჩრდილოური ფრთის წარმომადგენელი, რომელიც, მართალია, თავისი დროის განათლებული და ნიჭიერი ადამიანი იყო, მაგრამ კარიერული წინსვლისათვის აქტიურად იყენებდა კლანურ თუ ნათესაურ კავშირებს.

ვანგ ანში კი მხოლოდ მეორე თაობის ბიუროკრატი იყო, თუმცა, 1059 წელს მისმა რეფორმატორულმა იდეებმა მიიქცია ცხრამეტი წლის ჟენ წუნგის ყურადღება, რითაც მისი სწრაფი კარიერული წინსვლა დაიწყო. უკვე 1070 წელს მან დაიკავა უმაღლესი თანამდებობა და კანცლერი გახდა.

მიუხედავად განსხვავებებისა, მათ შორის მსგავსებაც არსებობდა. ორივე ხვდებოდა, რომ სახელმწიფო აპარატი მძიმე მდგომარეობაში იყო და საჭირო იყო რეფორმები. რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, რაფორმატორების ფრთა გაცილებით უფრო თავშეკავებული რეფორმების მომხრე იყო, ვიდრე კონსერვატული. ვანგ ანშის მიაჩნდა,

[1] იმპერატორის ერთ-ერთი ტიტული

[2] 資治通鑒 – „ნიჭი თუნგძიენი", მმართველობაში დამხმარე ყოველისმომცველი სარკე.

რომ პრობლემური იყო არა საკუთრივ სისტემა, არამედ ის, რომ სისტემაში საკმარისი რაოდენობით არ იყვნენ ნიჭიერი ადამიანები. ეფუძნებოდა რა კონფუციურ შეხედულებებს, ვანგ ანში ცდილობდა შეენარჩუნებინა არსებული სისტემა, აქედან გამომდინარე, მისი რეფორმები კონსერვატიული ხასიათისა იყო და მიზნად სუნგის იმპერიის გადარჩენას ისახავდა.

რეფორმების შედეგად შემცირდა საიმპერატორო კარის ხარჯები. ერთ-ერთი პირველი რეფორმა ეხებოდა დედაქალაქისაკენ მარცვლეულის გადაზიდვას და საჭირო დროს (მოუსავლიანობა, გვალვა და ა.შ.) გლეხების დროულ უზრუნველყოფას. ვანგ ანშიმ ჩაანაცვლა გლეხების შრომითი ვალდებულებები ფულადი გადასახადებით; აიზომა დამუშავებული მინა და მსხვილ მაწათმფლობელებს დაეკისრათ გადასახადების გადახდა, ხოლო წვრილ მიწათმფლობელებს გამოეყოთ სუბსიდიები კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. ფაქტობრივად ვაჭრობას მთლიანად აკონტროლებდა სახელმწიფო. ვანგ ანში რეკრუტირებისა და სხვა მცირე ადგილობრივი რაზმების შექმნის მეშვეობით ცდილობდა ჯარის შენახვის ხარჯების ნაწილის გლეხებზე და გადასახადების სხვა გადამხდელებზე გადანაწილებას.

სახელმწიფო არასოდეს არ ყოფილა ასე აქტიურად ჩართული ეკონომიკურ საქმიანობაში. ვაჭრობა გახდა უშუალოდ ფულზე ორიენტირებული, სახელმწიფო ყიდულობდა საქონელს ერთ რეგიონში და ყიდდა მეორეში. თავისი შეხედულებისამებრ ადებდა ფასებს და იღებდა მოგებასაც. მიუხედავად ამისა, არ გაუქმებულა კერძო ვაჭრობის პრაქტიკა. სახელმწიფო აძლევდა სესხებს წვრილ ვაჭრებს. ასე შეიქმნა ერთგვარი საბანკო სისტემა. რეფორმების შედეგად სახელმწიფო მაქსიმალურად გადავიდა ფულის გამოყენებაზე, რაც ამარტივებდა მის ეკონომიკურ საქმიანობას.

ვანგის რეფორმების შედეგად გაიზარდა სამხედრო სიძლიერეც. მან დაავალა სოფლის მოსახლეობას ერთგვარი რაზმების შექმნა, რომლებიც, ერთი მხრივ, ადგილზე წესრიგს დაიცავდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, რეზერვად გამოიყენებოდნენ. სახელმწიფომ ასევე შეისყიდა ცხენები კავალერიისათვის და გადასცა ისინი ქვეყნის ჩრდილოეთში და ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრებ მემამულეებს. არმიის გაძლიერებამ სუნგის იმპერიას რამდენიმე მცირე გამარჯვება მოუტანა.

გარდა პოზიტიური შედეგებისა, ვანგის რეფორმებს თან ახლდა ნეგატიური პროცესებიც. ვანგი სამხრეთულ ფრთას წარმოადგენდა,



სურ. 126 სმა კუანგი

რომელსაც აქამდე, ფაქტობრივად არ ჰქონია ხელისუფლებაში მოსვლის შესაძლებლობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამხრეთულ ახალ ელიტას უნდა განემტკიცებინა საკუთარი პოზიციები. ამას მოჰყვა ძველი სწავლული ჩინოვნიკების უსამართლო დევნა, სამხრეთელი მიწათმფლობელების ინტერესების გათვალისწინება ჩრდილოელების ხარჯზე და ა.შ.

ბუნებრივია, ჩრდილოური ფრთა სმა კუანგის მეთაურობით ამას ვერ შეეგუებოდა. საიმპერატორო კარზე სხვადასხვა ინტრიგით მოახერხეს და შეიტანეს გარკვეული არეულობა „რეფორმატორთა" გუნდში, საბოლოოდ, 1077 წელს ვან ანში იძულებული გახდა გადამდგარიყო. მისი ადგილი დაიკავა სმა კუანგმა (სურ. 126).

ჩრდილოეთ სუნგის დასასრული

იმპერატორი ჭე წუნგი რვა წლის ასაკში ავიდა ტახტზე. პირველი წლების განმავლობაში რეალური ძალაუფლება ქვრივ დედოფალს (იმპერატორის ბებიას) ეპყრა ხელთ. რეგენტი სმა კუანგის ხაზს უჭერდა მხარს, რაც ჩრდილოური დაჯგუფებას გაძლიერებას მოასწავებდა. ეს აისახა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე. კერძოდ, ჩრდილოელ მეზობლებთან ურთიერთობაში რეგენტი დათმობას ანიჭებდა უპირატესობას. ამრიგად, ვანგ ანშის მიერ მიღწეული მცირე სამხედრო წარმატებები გაბათილდა დასავლეთ სიასთვის ტერიტორიის დათმობით.

1093 წელს რეგენტი გარდაიცვალა და ძალაუფლება ახალგაზრდა იმპერატორ ჭე წუნგის ხელში გადავიდა, რომელმაც, მამის მსგავსად, რეფორმატორული გზა აირჩია. სამხრეთულ ფრთას ისევ დაუბრუნდა ძალაუფლება, ხოლო ჩრდილოელები ნელ-ნელა ტოვებდნენ პოლიტიკურ სცენას.

ჭე წუნგმა შეუმცირა გადასახადები გლეხებსა და მინის მოიჯარეებს; განაახლა ხისტი, შეიარაღებული პოლიტიკა დასავლეთ სიას



სურ. 127 ხუეი წუნგი

სახელმწიფოს მიმართ და მიაღწია რიგ წარმატებებსაც. მისი მმართველობისას დაიწყო მოხუცებულთა და უპოვართა სახლების მშენებლობაც (1098 წ.), ამრიგად, ჭე წუნგი ისტორიაში სუნგის დინასტიის ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური იმპერატორის სახელით შევიდა.

ახალგაზრდა იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი უმცროსი ძმა ავიდა. იმპერატორი ხუეი წუნგი იყო ხელოვანი ადამიანი – უკრავდა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, ხატავდა, იყო კალიგრაფიისა და ჩაის ცერემონიის ოსტატი, ასევე პოეტი (სურ. 127). ის ავტორია სახელგანთქმული „ჩაის ტრაქტატისა". მისი ტახტზე ასვლა მისი ძმის მოულოდნელმა გარდაცვალებამ განაპირობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი სრულიად მოუმზადებელი იყო „ცისქვეშეთის"[1] მმართველობისათვის და მალევე მოექცა გარემოცვისა და ფავორიტების გავლენის ქვეშ. ამან დინასტიისათვისა კატასტროფული შედეგები მოიტანა.

პირველ წლებში იმპერატორი აქტიურად აფინანსებდა სახელმწიფო სასწავლებლებს, რითაც სწავლული ბიუროკრატების სიმპათია დაიმსახურა, თუმცა მისმა მიდრეკილებამ ფუფუნებისადმი, სახელმწიფო საქმეებისადმი უპასუხისმგებლობამ, მფლანგველობამ წარმოქმნა დეფიციტი ხაზინაში, რომლის შევსებაც მან სასწავლო სტიპენდიების ხარჯზე გადაწყვიტა. ამის შედეგად ბიუროკრატიის კეთილგანწყობა მის მიმართ გაქრა.

ხუეი წუნგმა გააგრძელა ჭე წუნგის საქველმოქმედო პოლიტიკა. 1102 წელს შეიქმნა ახალი ორგანო, რომელიც აგზავნიდა სახელმწიფო ექიმებს სახლებსა და საავადმყოფოებში ღარიბ-ღატაკთა სამკურნალოდ. 1104 წელს შეიქმნა დამკრძალავი ბიურო, რომელიც იხდიდა ღარიბთა და უპოვართა დაკრძალვის ხარჯებს. აღსანიშნავია, რომ გაჭირვებულთა მკურნალობის, მზრუნველობისა და დაკრძალვის ხარჯებს ხშირად ბუდისტი ბონზები[2] იხდიდნენ. რიგ შემთხვევაში მათ სახელმწიფოსაგან შესაბამისი ანაზღაურებაც ეძლეოდათ.

[1] 天下 – თიენ სია, „ცისქვეშეთი", ჩინეთის ერთ-ერთი სახელწოდება.
[2] ბონზა – ბუდისტი ბერი/მონაზონი

მიუხედავად ამისა, იმპერია კრიზისს განიცდიდა. უცხოტომელებისათვის ხარკის გადახდა, გადასახადების ზრდა არასახარბიელო სიტუაციაში აყენებდა მოსახლეობას. აჯანყებების სიხშირე და მასშტაბები სულ უფრო იზრდებოდა. 1120-1122 წლებში ჭეძიანგის პროვინციაში მომხდარ აჯანყებაში მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. მას ხელმძღვანელობდა მდიდარი მემამულე ფანგ ლა (?-1121 წწ.). აჯანყებულები აპროტესტებდნენ გაზრდილ გადასახადებს, განსაკუთრებით კი, ციტანებისა და ტანგუტებისათვის ხარკის გადახდას. აჯანყება მოედო ჭეძიანგის, ანხუეისა და ძიანგსის პროვინციებს. აჯანყებულებმა თანამედროვე ქალაქ ხანგჭოუს აღებაც კი შეძლეს, მაგრამ ხელისუფლებამ დროულად მოახერხა მათი დამარცხება.

ფანგ ლას აჯანყების პარალელურად ხეპეის, ხენანის, შანტუნგის, ძიანგსუსა და ანხუეის პროვინციებში მიმდინარეობდა სხვა აჯანყება სუნგ ძიანგის მეთაურობით. წარმატებული არც ეს აჯანყება ყოფილა, თუმცა ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით, საიმპერატორო ჯარებმა ვერ შეძლეს სუნგ ძიანგის დამარცხება, მაგრამ ჩააყენეს ის იმპერიის სამსახურში და წარმატებით გამოიყენეს ფანგ ლას წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ორმა აჯანყებამ დიდი კვალი დატოვა ჩინურ არა მხოლოდ ისტორიულ, არამედ ლიტერატურულ მეხსიერებაშიც.

აჯანყებულთა მოთხოვნები უცხოელებისათვის ხარკის გადახდის შეწყვეტასთან დაკავშირებით საიმპერატორო კარის მიერაც იყო გაზიარებული. ხარკის გადახდა ეკონომიკურად სულ უფრო მძიმე ხდებოდა, ხოლო მასების უკმაყოფილება უბიძგებდა პოლიტიკოსებს საგარეო პოლიტიკური კურსის გადახედვისაკენ.

იმპერატორს არც საგარეო პოლიტიკის წარმართვისათვის ჰყოფნიდა გამჭრიახობა. მისი მმართველობისას შეიცვალა არსებული სტატუს კვო – თუ აქამდე სუნგის იმპერია ინარჩუნებდა მშვიდობას ციტანების ლიაოს სახელმწიფოსთან, ხუეი წუნგის ჩინეთმა დაარღვია ეს ტრადიცია და ჯურჩენებთან ერთად გაილაშქრა ციტანების წინააღმდეგ. ჯურჩენებთან ჩინელებს ოდითგანვე კარგი სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებდათ, თუმცა ლიაომ ისინიც დაიმორჩილა. მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში ლიაოს სახელმწიფოში გაჩენილ-

მა პრობლემებმა და ჯურჩენების გაძლიერებამ[1] განაპირობა ძინისა და სუნგის იმპერიების დაახლოება. 1120 წელს ორ სახელმწიფოს შორის დაიდო სამხედრო ხელშეკრულება. ისინი ლიაოს წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

1115-1125 წლებში ჯურჩენებმა სერიოზული დარტყმები მიაყენეს ციტანებს, საბოლოოდ კი ლიაოს სახელმწიფო დაიპყრეს. ციტანების ნაწილი გაიქცა დასავლეთით და იქ დაარსეს დასავლეთ ლიაოს სახელმწიფო.

ნიშანდობლივია, რომ სუნგის ჯარებს ხელმძღვანელობდა იმპერატორის ფავორიტი საჭურისი, რომელიც არანაირი მხედართმთავრული ნიჭით არ გამოირჩეოდა. მართალია, გაერთიანებულმა ჯარებმა შეძლეს ლიაოს დამარცხება, მაგრამ ეს თითქმის მთლიანად ჯურჩენების სამხედრო ძლიერებით იყო განპირობებული. სუნგის ჯარებს არ შეეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. ჯურჩენები შეიჭრნენ ჩრდილოეთ ჩინეთში და 1126 წლის გაზაფხულისათვის დედაქალაქ ქაიფენგსაც მიადგნენ. იმპერატორი ხუეი წუნგი გადადგა და ძალაუფლება მისი ვაჟის, იმპერატორ ცინ წუნგის ხელში გადავიდა.

ახალ იმპერატორს ურთულეს სიტუაციაში უწევდა მმართველობა. ბიუროკრატიის უმრავლესობა სამხრეთის ფრთის წარმომადგენელი იყო, შესაბამისად, ჩრდილოეთის დაცვა მათ პრიორიტეტებში არ შედიოდა. თავდაპირველად, საიმპერატორო კარი დაზავებასა და ჯურჩენებისათვის ჩრდილოეთის ტერიტორიების გადაცემას უჭერდა მხარს, თუმცა ამას მოჰყვა არეულობები დედაქალაქში. საიმპერატორო კარი იძულებული გახდა დაეწყო სამხედრო სამზადისი. ქაიფენგის პირველი ალყის შედეგად მოხეხრდა ჯურჩენებთან მოლაპარაკება დიდძალი თანხის სანაცვლოდ. ალყის მოხსნის შემდეგ იმპერატორმა დაიწყო გარკვეული ინტრიგების ხლართვა ძინის იმპერიის წინააღმდეგ, რასაც 1127 წელს დედაქალაქ ქაიფენგის აღება მოჰყვა. მოქმედი და გადამდგარი იმპერატორები და მათი სახლეული დაატყვევეს და გადაასახლეს მანჯურიაში. გადარჩენა მოახერხა სუნგის საიმპერატორო სახლის მხოლოდ ერთმა წევრმა, იმპერატორ ცინ წუნგის ძმამ, რომელიც არ იყო დედაქალაქ ქაიფენგში. მან გადაი-

[1] 1115 წელს ჯურჩენებმა ჩამოაყალიბეს ძინის სახელმწიფო, ხოლო მმართველმა იმპერატორის ტიტული მიიღო.



სურ. 128 ჩინეთის ეროვნული გმირის იუე ფეის საფლავი

ტანა დედაქალაქი სამხრეთით, ქალაქ ხანგჭოუში და გააგრძელა სუნგის შემცირებული იმპერიის მართვა. ის ისტორიაში კაო წუნგის სახელით შევიდა. ისტორიოგრაფიაში მიღებულია ამ მოვლენის მიხედვით სუნგის იმპერიის ორ, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილად დაყოფა.[1]

მნიშვნელოვანია ის, რომ განახლებული იმპერიისათვის ჩრდილოეთის დაკარგვა დიდ პრობლემას არ ქმნიდა. იმ დროისათვის მმართველი ელიტა თითქმის მთლიანად სამხრეთელებით იყო დაკომპლექტებული. სამხრეთი ჩრდილოეთზე ეკონომიკურად ბევრად განვითარებული იყო, მმართველი დინასტიის სამხრეთით გადასვლამ მხოლოდ გაზარდა სამხრეთის ცენტრალიზაციის ხარისხი და არ დაუშვა „ათი სამეფოს“ სცენარის გამეორება.

ჩრდილოეთ სუნგის დაცემა განპირობებული იყო ბევრი მიზეზით, მათ შორის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ელიტების პოლიტიკური პროცესების მართვის მიმართ გასხვავებული მიდგომით. კერძოდ, ჩრდილოეთის ფრთა ჯერ კიდევ „ხუთი დინასტიის“ პერიოდში მიჩვეული იყო ძალაუფლების შენარჩუნებას სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურების მეშვეობით, თუნდაც დინასტიის დამხობის ხარჯზე, ხოლო სამხრთელი ნეოკონფუცისტები რადიკალური ცვლილებების მოწინააღმდეგეები იყვნენ. შესაბამისად, ძალაუფლებადაკარგულ ჩრდილოურ ფრთას აწყობდა დინასტიის ცვლილება, ხოლო, სამხრეთელებისათვის არ იყო პრიორიტეტული ჩრდილოეთი საზღვრების დაცვა, შედეგად კი ჩრდილოეთ სუნგი დაემხო.

მიუხედავად ამისა, სუნგის იმპერია სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ჯურჩენებს. „ცისქვეშეთის“ დედაქალაქის დაცემა და

[1] ამრიგად, იმპერატორი ცინ წუნგი იყო სუნგის იმპერიის მეცხრე და ჩრდილოეთ სუნგის უკანასკნელი იმპერატორი, ხოლო კაო წუნგი – სუნგის იმპერიის მეათე და სამხრეთ სუნგის პირველი იმპერატორი.



სურ 129 საიმპერატორო ესკორტი

„ცის შვილის“ დატყვევება ძალიან დიდ დარტყმას აყენებდა ტრადიციულ ჩინურ წარმოდგენებს. ამის გამო ხენანში, შანტუნგსა და შანსიში ჯურჩენები სერიოზულ წინააღმდეგობას გადააწყდნენ. ამ პროვინციების ტერიტორიაზე ჯურჩენებმა შექმნეს ბუფერული სახელმწიფო ცი, რომელსაც სუნგისთვის უნდა გაეწია წინააღმდეგობა. მათ წინააღმდეგ გაერთიანდნენ სუნგის ოფიციალური ჯარები და სახალხო დანაყოფები. განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიხვეჭა წარმოშობით ხუნანელმა გენერალმა იუე ფეიმ (1103-1141 წწ.), რომლის სახელსაც ჩინური საბრძოლო ხელოვნების აღორძინება უკავშირდება (სურ. 128).

მიუხედავად სამხედრო წარმატებებისა, საიმპერატორო კარისათვის ომის წარმოება ძალიან არამომგებიანი იყო (სურ. 129). გარდა უამრავი სამხედრო ხარჯებისა, ხდებოდა შიდა არეულობები და აჯანყებებიც. ამასთანავე, იმპერატორს ესმოდა, რომ წარმატებული სამხედრო კამპანია ზედმეტად გაზრდიდა გენერლების პოლიტიკურ წონასაც. 1135-1136 წლებში კანცლერის პოზიცია დაიკავა ცინ ხუეიმ, რომელიც მშვიდობიანი მოლაპარაკებების მომხრე იყო. ბუნებრივია, იუე ფეი არ იზიარებდა ამ კურსს, მან რამდენიმე მარცხი მიაყენა ჯურჩენებს ჩრდილოეთში, რის გამოც ის გაიწვიეს დედაქალაქში და ფარულად დასაჯეს სიკვდილით 1141 წელს. იუე ფეი შევიდა ჩინეთის ისტორიასა და ლიტერატურაში, როგორც პატრიოტი მებრძოლი და გმირი, ხოლო პრაგმატულად მოაზროვნე კანცლერი ცინ ხუეი კი – როგორც მოღალატე და კონფორმისტი.

საბოლოოდ, 1142 წელს სუნგისა და ძინის იმპერიებს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, სუნგი სცნობდა საკუთარ თავს ძინის ვასალად. ჩინეთის ჩრდილოეთი ტერიტორიები დარჩა ძინის იმპერიას და ჩინეთს დაეკისრა ხარკის გადახდა.

ეს იყო კიდევ ერთი დარტყმა ჩინური თვითშეფასებისათვის, რომლის მიხედვითაც ჩინეთი ბარბაროსებით გარემოცულ სამყაროში უპირველეს სახელმწიფოდ აღიქმებოდა. მაგრამ, აღნიშნულმა

პროცესებმაც კი ვერ გაანადგურა ეს განსაკუთრებულობის განცდა, დიდწილად იმიტომ, რომ ტრადიციული ჩინური წარმოდგენის მიხედვით, მათი გასნაკუთრებულობა არა სამხედრო-პოლიტიკურ სიძლიერეში, არამედ კულტურულ უპირატესობაში ვლინდებოდა. ამ მხრივ კი სამხრეთ სუნგის იმპერია უდავოდ პირველი იყო.

სამხრეთი სუნგი

მშვიდობის დამყარების შემდეგ იმპერატორმა კაო წუნგმა დაიწყო რეფორმების გატარება. სამხრეთ სუნგის პირველი იმპერატორის საშინაო პოლიტიკა ძალიან ჰგავდა სუნგის პირველი იმპერატორებისას. მან აღადგინა ბიუროკრატების რეკრუტირების წესი, რაც ამცირებდა მათ გავლენას პროვინციებში და ზრდიდა ცენტრის გავლენას. იმპერატორი ხედავდა თავის სამხედრო სისუსტეს, ამიტომ მისი უმთავრესი იარაღი დიპლომატია იყო. წინაპრების დარად, ის სხვადასხვა ტიტულებითა და თანამდებობებით აჯილდოვებდა მოწინააღმდეგეებს, რითაც აკმაყოფილებდა მათ პატივმოყვარეობას, უნარჩუნებდა უსაფრთხოებას და სანაცვლოდ ლოიალობას იღებდა. მან არ შეუნარჩუნა თანამდებობები იმ ჩინოსნებს, რომლებიც, მისი აზრით, არ გამოირჩეოდნენ საჭირო ღირსებებით მამამისის მმართველობისას, მაგრამ არ გამოუცხადებია ბრძოლა მათზე დაქვემდებარებული კადრებისთვის, რითაც მოწინააღმდეგეთა ახალი ფრთის შექმნა აირიდა თავიდან. იმპერატორმა დააწინაურა ისინი, განსაკუთრებით ფინანსური სფეროს წარმომადგენელები, რომლებსაც დაავალა საქალაქო გადასახადების მომატება, რაც სამხრეთის მდიდარმა ქალაქებმა ძალიან უმტკივნეულოდ გადაიტანეს.

კაო წუნგი, წინამორბედისაგან განსხვავებით, მტკიცე მმართველი აღმოჩნდა. ის დარწმუნებული იყო, რომ, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ჩრდილოეთისთვის ბრძოლას შედეგი ვერ მოჰყვებოდა. სამხრეთში დაფუძნებისთანავე, მან დედაქალაქად აირჩია ხანგჭოუ, რომელსაც შემდგომში ლინ-ანი[1] უწოდა და უარყო ელიტების შეთავაზება დედაქალაქის ნანძინგში გადატანასთან დაკავშირებით,

[1] 临安 ლინ-ანი – ეს სახელწოდება შეიძლება ითარგმნოს, როგორც დროებითი მშვიდობა.

რომელიც, მათი აზრით, ჩრდილოეთისთვის საბრძოლველად იდეალური ფორპოსტი იყო (სურ. 130).



სურ. 130 დედაქალაქი ლინ-ანი, ტბა სიხუ

სამხედრო ძლიერების გაზრდისა და მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, იმპერატორმა მცირე მილიტარისტულ დაჯგუფებებს ოფიციალური სტატუსი მიანიჭა და საიმპერატორო ტახტს დაუქვემდებარა.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორმა კაო წუნგმა სამხრეთ სუნგის იმპერიაში შეინარჩუნა მშვიდობა და ეკონომიკური აყვავება, ელიტების უკმაყოფილებას იწვევდა ის, რომ იმპერატორი ჩრდილოეთის დაკარგვას შეეგუა. იმპერატორი გადადგა, ტახტზე ავიდა მისი მემკვიდრე სიაო წუნგი, რომელიც თანაუგრძნობდა ჯურჩენების წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყების იდეებს. ამას დაემთხვა გადატრიალება ძინის იმპერიაში, რაც სუნგის ჩინოსნებმა კარგ გარემოებად შეაფასეს. სამხედრო კამპანიამ თითქმის ორ წელიწადს გასტანა, სუნგის დანაკარგები დიდი იყო, თუმცა 1165 წელს დადებული ახალი საზავო ხელშეკრულების მიხედვით, სუნგის იმპერია აღარ განიხილებოდა ძინის მიმართ ვასალურ სახელმწიფოდ, არამედ თითქმის მის თანასწორად აღიქმებოდა, თუმცა ძინის იმპერია ინარჩუნებდა უპირატესობას.

1187 წელს გადამდგარი იმპერატორი კაო წუნგი გარდაიცვალა, რასაც მალევე (1189 წ.) იმპერატორ სიაო წუნგის გადადგომა მოჰყვა. მისი მემკვიდრის, კუანგ წუნგის მმართველობა მხოლოდ ოთხი წელი გაგრძელდა და არსებითი ცვლილებები არ მოუტანია. საბოლოოდ, საიმპერატორო კარის ინტრიგების მეშვეობით მას გადადგომა აიძულეს. არეულობით ისარგებლა ქვრივ დედოფალთან დაახლოებულმა ხან თუოჭოუმ (1152-1207 წწ.), რომელმაც კანცლერის თანამდებობა დაიკავა. ის გამოირჩეოდა თავისი მილიტარისტული შეხედულებებით. ამიტომ იმპერატორ ნინგ წუნგის მმართველობისას სუნგის საიმპერატორო კარმა ისევ მიაპყრო თავისი მზერა ჩრდილოეთს.



სურ. 131 ჭუ სი

ხან თუოჭოუმ მოახერხა განათლებულ ბიუროკრატიასთან დაპირისპირებაც. სუნგის მმართველობის დასაწყისში აღმავლობას განიცდიდა ბუდიზმი და ტაოიზმი, ცხადი იყო, რომ კონფუცის მოძღვრება ვერ უწევდა მათ კონკურენციას. ჩინელმა სწავლულებმა დაიწყეს კონფუციზმის განახლებაზე ზრუნვა. ტექსტების ახლებურმა განმარტებამ მოიტანა სწავლების განახლება, ხოლო ტაოიზმსა და ბუდიზმთან პოლემიკამ – ამ მოძღვრებათა ელემენტების შეთვისება. განახლების პროცესი დაასრულა კონფუციზმის უდიდესმა ფილოსოფოსმა ჭუ სიმ (1130-1200 წწ.)[1] (სურ. 131). მან თავი მოუყარა წინამორბედების ნააზრევს და ნეოკონფუციზმს შესძინა უნივერსალური ხასიათი. მოიხსნა დაპირისპირება, ერთი მხრივ, კონფუციზმს, ხოლო, მეორე მხრივ, ტაოიზმსა და ბუდიზმს შორის. ხან თუოჭოუმ აკრძალა ჭუ სის სწავლება, რითიც გააღიზიანა ინტელექტუალები, რომლებთანაც მას ისედაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა.

კანცლერის მილიტარისტულმა ხედვებმა შედეგი გამოიღო, თუმცა 1204 წელს დაწყებული სამხედრო კამპანია სასტიკად დამარცხდა. სუნგის იმპერია იძულებული გახდა დაზავება ეთხოვა. 1207 წელს კანცლერ ხან თუოჭუს თავი მოჰკვეთეს და დაზავების ნიშნად ძინის იმპერატორს გაუგზავნეს. ურთიერთობები საბოლოოდ აღდგა 1208 წელს.

ახალ კანცლერად დაინიშნა ში მიიუენი (1164-1233 წწ.), რომელიც განათლებული ბიუროკრატების ოჯახის წარმომადგენელი იყო და შესანიშნავად ერკვეოდა საიმპერატორო კარზე მიმდინარე მოვლენებში. მისთვის გასაგები იყო, რომ ჭუ სის სწავლებამ და მისმა მიმდევრებმა განსაკუთრებული პოლიტიკური წონა შეიძინეს, ამიტომ მან ნეოკონფუცისტებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ტიტული და თანამდებობა უბოძა, თუმცა რეალური ძალაუფლება მას ეპყრა.

ში მიიუენის საგარეო პოლიტიკური კურსი მშვიდობიანი იყო. ის მაქსიმალურად ცდილობდა სამხედრო ავანტიურებში მონაწილეობისა-

[1] 1241 წელს ჭუ სი კონფუციზმის უდიდეს ავტორიტეტებს მიაკუთვნეს, ხოლო 1313 წლიდან ნეოკონფუციზმი შევიდა ოფიციალურ საგამოცდო სისტემაში.

გან თავის არიდებას, უარს ამბობდა ძინის წინააღმდეგ დასავლეთ სიას სახელმწიფოსთან ალიანსზე და ა.შ.

კანცლერს შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა იმპერატორ ნინგ წუნგთან. რადგან იმპერატორს შვილი არ ჰყავდა, ში მიიუნგმა ურჩია მას ეშვილებინა ორი მემკვიდრე. იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ მან მხარი უმცროს პრეტენდენტს დაუჭირა, რაც, მართალია, არღვევდა არსებულ წესს, მაგრამ ხაზს უსვამდა კანცლერის ძალაუფლებას.

ში მიიუენი 25 წლის განმავლობაში (1208–1233 წწ.) ინარჩუნებდა კანცლერის თანამდებობას, რაც სუნგის იმპერიაში უპრეცედენტო შემთხვევა იყო. კანცლერის კლანის წევრები მისი გარდაცვალების შემდეგაც იკავებდნენ მნიშვნელოვან თანამდებობებს იმპერიაში, რაც კანცლერის პოლიტიკური კურსის გაგრძელებას გულისხმობდა.

რეალურად, სუნგის ბოლო იმპერატორების მმართველობისას მთელი ძალაუფლება კანცლერის ხელში იყო მოქცეული. იმპერატორები ლი წუნგი და ტუ წუნგი, ფაქტობრივად არ ერეოდნენ ქვეყნის მმართველობაში. ისინი დროს გართობასა და განცხრომაში ატარებდნენ.

სუნგის იმპერიის შიდა პრობლემებს დაერთო უმთავრესი საგარეო პრობლემაც – მონღოლები. მათ 1233-1234 წლებში დაიპყრეს ძინის იმპერია და გააგრძელეს ექსპანსია სამხრეთით. ამის პარალელურად, გადაიღეს კონფუცის კულტი და აღადგინეს მისი ტაძარი პეკინში, ხოლო მოგვიანებით შემოიღეს საგამოცდო სისტემა, რითაც მომთაბარეობაზე დაფუძნებული სახელმწიფოს გაკეთილშობილება დაისახეს მიზნად და მოამზადეს კულტურული ნიადაგი სუნგის იმპერიის დასაპყრობად. კულტურული ექსპანსიის შესაჩერებლად სუნგის იმპერიის სწავლულებმა ჭუ სის მიერ ინტერპრეტირებული ნეოკონფუციზმი აქციეს ოფიციალურ დოქტრინად, რითაც მონღოლები „ჭეშმარიტი კონფუციზმის“ მიღმა დატოვეს.

მიუხედავად საიმპერატორო კარის უნიათობისა, სუნგის იმპერია 40 წლის განმავლობაში უმკლავდებოდა მონღოლების შემოტევას. მონღოლების წინააღმდეგ ამდენი ხანი არავის უბრძოლია. გადამწყვეტი ოპერაცია, რომელსაც ყუბილაი ყაენი ხელმძღვანელობდა, დაიწყო 1267 წელს. მონღოლებმა შეუტიეს ქალაქ სიანგიანგს, რომელსაც განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. 1273 წელს ქა-

ლაქი დაეცა, რაც სუნგის იმპერიის დაცემასაც მოასწავებდა. მომდევნო წელს მოულოდნელად გარდაიცვალა იმპერატორი ტუ წუნგი და ტახტზე მისი ოთხი წლის ვაჟი ავიდა. იმპერატორ კუნგ წუნგის მმართველობისას რეალური ძალაუფლება მის ბებიას – ქვრივ დედოფალ სიეს ეპყრა ხელთ. სწორედ ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს მონღოლებთან, რასაც შედეგად სუნგის იმპერატორის ყუბილაის ვასალად გამოცხადება მოჰყვა. დედოფალმა სიემ (1210-1283 წწ.) გადასცა მონღოლებს დინასტიის ბეჭედი 1276 წელს.[1]

საიმპერატორო კარის სამხრეთში გადახვეწილმა ნაწილმა იმპერატორად კუნგ წუნგის ძმა გამოაცხადა. იმპერატორი ტუან წუნგი სულ რაღაც შვიდი წლის მოექცა. შესაბამისად, რეალური ძალაუფლება კანცლერის ხელში იყო. მონღოლები აგრძელებდნენ სამხრეთით ექსპანსიას, სუნგის უკანასკნელი ძალების მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად, უპირატესობა მონღოლების მხარეს იყო. ბრძოლისას იმპერატორი წყალში გადავარდა, დაავადდა და მალევე გარდაიცვალა თანამედროვე ჰონგ-კონგის ტერიტორიაზე. ტახტზე ავიდა მისი უცროსი ძმა ჭაო პინგი, რომლის მმართველობამაც ერთი წელიც კი ვერ გასტანა. იამენის ბრძოლაში სუნგის საბოლოო დამარცხების შემდეგ, საიმპერატორო კარის ერთგულმა კანცლერმა ლუ სიოუფუმ (1236-1279 წწ.) იმისათვის, რომ ტყვეობის სირცხვილს განერიდებინა, პატარა იმპერატორი ხელში აიყვანა და კლდიდან გადაეშვა. ამით დასრულდა სუნგის დინასტიის ისტორია და დაიწყო იუენის მონღოლური დინასტიის მმართველობა.

სუნგის ეპოქის კულტურა

სუნგის ეპოქა, უდავოდ, ჩინური კულტურის აღმავლობისა და აყვავების ეპოქაა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ხანგრძლივი მშიდობიანი და სტაბილური პერიოდები ხელს უწყობდა კულტურის განვითარებას. ჯერ კიდევ თანგის იმპერიის დროს ვიეტნამიდან შემოტანილი ბრინჯის ახალი სახეობები, რომელიც წელიწადში

[1] ყუბილაის ბრძანებით, სუნგის საიმპერატორო სახლის წარმომადგენლებს შესაბამისი პატივით ეპყრობოდნენ, თუმცა, მოგვიანებით ყოფილი იმპერატორი კუნგ წუნგი გადაასახლეს ტიბეტში, სადაც ის ბერად აღიკვეცა. მონასტრის ჩანაწერების მიხედვით, 1323 წელს მას ებრძანა სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება.


რამდენიმე მოსავალს იძლეოდა, ძლიერ უწყობდა ხელს იმპერიის ეკონომიკურ წინსვლას. მეთორმეტე საუკუნის მინურულისათვის ჩინეთის მოსახლეობამ 115 მლნ-ს მიაღწია, რაც უზარმაზარ, კარგად ორგანიზებულ სამუშაო ძალას წარმოადგენდა. საკვები პროდუქტების სიჭარბე განაპირობებდა ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის ზრდას, სუნგის ეპოქაში ჩინეთი ყველაზე ურბანიზებული ქვეყანა იყო მსოფლიოში, ხოლო დედაქალაქ ხანგჭოუში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა. ქალაქის მოსახლეობის ზრდა, ბუნებრივია, საქალაქო კულტურის განვითარებასაც გულისხმობდა. დიდ ქალაქებში არსებობდა სხვადასხვა ტიპის ვაჭართა და ხელოსანთა გაერთიანებები, ჩაიხანები, მაღაზიები, რესტორნები, საროსკიპოები, თეატრები და ა.შ.

ქსილოგრაფიის განვითარებამ განაპირობა სხვადასხვა სახის ლიტერატურის პოპულარიზაცია. მართალია, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა წერა-კითხვის არმცოდნე იყო, მაგრამ სუნგის იმპერიის უზომოდ გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის წევრებისათვის ლიტერატურის ხელმისაწვდომობა მათი ზოგადი დონის ამაღლებას ნიშნავდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კონფუცისეული იდეალების მიხედვით, სწორედ სწავლული თამაშობს საკვანძო როლს სახელმწიფოში. სუნგის იმპერატორები სამხედრო ელიტაში პოტენციურ საფრთხეს ხედავდნენ, შესაბამისად, მათი საკადრო პოლიტიკა კიდევ უფრო მეტად ახალისებდა სწავლულ ჩინოვნიკებს, გარდა ამისა, აუცილებელი იყო ახალი, ტახტზე დამოკიდებული და, შესაბამისად, ერთგული ელიტის შექმნა, რამაც, სხვა მიზეზებთან ერთად დიდად შეუწყო ხელი განათლების სისტემის განვითარებას. ცინგლის რეფორმების შედეგად დედაქალაქ ქაიფენგში დაარსდა უნივერსიტეტი (თაისიუე)[1], რომელშიც განათლება, უპირატესად, დაბალი ფენის წარმომადგენლებს უნდა მიეღოთ. ვანგ ანშის რეფორმის შედეგად, საიმპერიო უნივერსიტეტი სამ საფეხურიანი გახდა, ხოლო სტუდენტთა რაოდენობა, ფაქტობრივად, გაათმაგდა (თავდაპირველად უნივერსიტეტში ორასამდე სტუდენტი სწავლობდა). გარდა ამისა, ცვლილებები შევიდა სასწავლო პროგრამაშიც, სადაც ძირითადი აქცენტი ნეოკონფუციზმზე გაკეთდა.

ბუნებრივია, მხოლოდ საიმპერატორო სასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებდა უზარმაზარ სახელმწიფო აპარატს, შესაბამისად, სახელმწიფო სასწავლებლების გვერდით გაჩნდა კერძო სასწავლე-

[1] ჩრდილოეთ სუნგის დაცემის შემდგომ, ის ხანგჭოუში გადავიდა.



სურ. 132 იუელუს აკადემია, ხუნანი

ბლებიც. ასეთი პრაქტიკა ჯერ კიდევ თანგის დინასტიაში არსებობდა, მაგრამ სუნგის პერიოდში უდიდეს წარმატებას მიაღწია. იმპერატორებმა ოთხ კერძო სასწავლებელს უბოძეს ოფიციალური სტატუსი, რომელთა შორის ყველაზე ცნობილია იუელუს აკადემია, რომლის მმემკვიდრედ თანამედროვე ხუნანის უნივერსიტეტი ითვლება (სურ. 132).[1] აკადემიების უმთავრესი მიზანი იყო მოემზადებინა სტუდენტები საიმპერიო გამოცდებისთვის, თუმცა საიმპერატორო სასწავლებლებისაგან განსხვავებით გაცილებით ფართო აკადემიური თავისუფლებით სარგებლობდნენ.

ამავე პერიოდში დაიწყეს კომპასის გამოყენებაც. ჩინური კომპასი არა ჩრდილოეთს, არამედ სამხრეთს უჭვენებდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ ჩინური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით სამხრეთით მდებარეობს ნათელი იანგის ენერგიის წყარო. მართალია, კომპასი თავდაპირველად მხოლოდ გეომანტიაში გამოიყენებოდა, მოგვიანებით მას მეზღვაურებიც იყენებდნენ. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ამ პერიოდში ჩინელებმა მიაღწიეს რიგ წარმატებებს გემთმშენებლობაში და დაიწყეს შორ მანძილზე ცურვაც (მაგ. ინდოეთი, სპარსეთი, აღმოსავლეთი აფრიკა და ა.შ.). გემები ხშირად აღჭურვილი იყო დენთის მცირე ზარბაზნებითაც. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ჩინეთი არ ქცეულა საზღვაო სახელმწიფოდ და ძირითადად მაინც ახლო მეზობლებთან ურთიერთობებით შემოიფარგლებოდა.

ბეჭდვის ტექნოლოგიის განვითარებამ ქაღალდის ფულის პოპულარიზაციასაც შეუწყო ხელი. სპეკულაციის თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ ქაღალდის ფულის გამოშვება სახელმწიფოს პრივილეგიად გამოაცხადა. პირველი ასეთი ქაღალდის ფული გამოჩნდა 1024 წელს, სჩუანის პროვინციაში, ხოლო საუკუნის ბოლოსათვის თითქმის მთელი ჩინეთის მასშტაბით დაიბეჭდა ქაღალდის ფული სერიული ნომრებითა და გაყალბებისაგან დამცავი განმასხვავებელი ნიშნებით.

[1] მდებარეობს თანამედროვე ხუნანის პროვინციის დედაქალაქ ჩანგშაში და ჩინეთის უძველეს (976 წ.) უნივერსიტეტად ითვლება.

გარკვეული ძვრები შეინიშნებოდა ლიტერატურაშიც. სუნგის დინასტიის რამდენიმე იმპერატორი გადადგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ უზარმაზარი ფინანსური რესურსი იხარჯებოდა ყოფილი იმპერატორების გასართობად. ამ საქმეს ემსახურებოდნენ კარის პოეტები, მწერლები, მუსიკოსები და ა.შ. ზოგი იმპერატორი თვითონ იყო გატაცებული ხელოვნების სხვადასხვა დარგით, მათ შორის კალიგრაფიით. ურბანიზაციის ზრდამ განაპირობა ახალი, ქალაქური ლიტერატურული ჟანრის – ხუაპენის – წარმოქმნა, რომელიც ქალაქის მცხოვრებთა დაბალი და საშუალო ფენის ყოველდღიურ ცხოვრებას ასახავდა. ეს ჟანრი იმდენად პოპულარული იყო, რომ მთხრობელებს ხშირად სასახლეშიც იწვევდნენ.

სუნგის დინასტიაში აღმავლობას განიცდიდა მხატვრობაც. 1113 წელს იმპერატორ ხუეი წუნგის სამხატვრო აკადემიის 18 წლის სტუდენტმა ვანგ სიმენგმა შექმნა ჩინური მხატვრობის ერთ-ერთი უდიდესი შედევრი „ათას ლიზე გადაშლილი მთები და წყლები“, რომელიც 12 მეტრიან გრაგნილზე კლასიკური და რეალისტური სტილის ოსტატური შერწყმით არის შესრულებული.

სუნგის იმპერიაში კონფუციზმის ხელახლა გადაიაზრეს. მოხდა მისი სისტემატიზაცია, ტაოისტური კოსმოგონიისა და ჩან ბუდიზმის პრინციპების შერწყმა. უდიდესი როლი ამ პროცესში შეასრულა ფილოსოფოსმა ჭუ სიმ, რომელმაც წინამორბედების ნააზრევის სინთეზით ეთიკური ინტერპრეტაცია მიანიჭა. ნეოკონფუციზმშიც მორალი, ეთიკა, ერუდიცია და ა.შ. ტრადიციულად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, მაგრამ ჭუ სი განსაკუთრებულ ყურადღებას ისეთ მეტაფიზიკურ საკითხებს აქცევდა, როგორიცაა არსებულის ბუნება.

ნეოკონფუციზმი არის უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისამდე განმსჭვალავდა (და, დიდწილად, დღესაც განმსჭვალავს) საკუთრივ ჩინეთის და ჩინური კულტურული ორბიტის – იაპონიის, კორეის, ვიეტნამისა და სხვა ქვეყნების ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, ზნეობრივ და სხვა ასპექტებს.

იუენის დინასტია

მონღოლთა ლაშქრობები ჩინეთში



სურ. 133 ჩინგიზ ყაენი

მე-13 საუკუნის დასაწყისში ჩინეთს მეტად საშიში გარეშე მტერი გამოუჩნდა მონღოლების სახით. მონღოლთა სახელმწიფოს დაარსებისთანავე (1206 წ.) ჩინგიზ ყაენი დამპყრობლური საგარეო პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართულებით (სურ. 133). აღმოსავლეთით მისი უმთავრესი სამიზნე მაღალგანვითარებული და მდიდარი ჩინეთის იმპერია იყო. შეტევისთვის ჩინგიზ ყაენი მოთმინებით ელოდა შესაფერის დროს და შორიდან ზვერავდა ჩინეთის დიდი კედლის მიმდებარე ტერიტორიას. ჩინეთში იმხანად საკმაოდ მძიმე ვითარება იყო, მომთაბარე ტომებთან (ციტანებთან და ჯურჩენებთან) ბრძოლებისაგან ქვეყანა იმდენად იყო დასუსტებული, რომ სუნგის დინასტიის ხელისუფლებას მონღოლთათვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა არ ძალუძდა. წერილობით წყაროებში დაცული ინფორმაციის თანახმად, ჩინგიზ ყაენმა ისარგებლა ჩინეთში არსებული მძიმე ვითარებით და 1209 წელს პირველი ლაშქრობა მოაწყო ჩრდილოეთ ჩინეთში, სადაც იმხანად ტუნგუსურ-მანჯურიული ტომები – ჯურჩენები (იგივე – ძინის დინასტია) იყვნენ გაბატონებულნი. თავად ჩინგიზ ყაენი 50 ათასიან ლაშქარს მეთაურობდა, მისი სამი ვაჟი კი ჯარის დანარჩენ ნაწილებს ედგნენ სათავეში. მონღოლებმა შეუფერხებლად და დანაკარგის გარეშე გადალახეს დიდი კედელი (რამდენადაც ჩინგიზ ყაენს კავშირი ჰქონდა საზღვართან მოსახლე ტომებთან, რომლებმაც მის ლაშქარს ერთ-ერთი კარიბჭე გაუღეს), შემდეგ – ხუანგხე და ქვეყნის დარბევა-ძარცვას შეუდგნენ.



სურ. 134 ბრძოლა მონღოლებსა და ჩინელებს შორის

აღნიშნული დროიდან მოყოლებული, გეგმაზომიერად დაიწყო მონღოლთა მიერ ჩინეთის დაპყრობის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა და მთლიანობაში 70 წელი გაგრძელდა (სურ. 134). 1214 წელს ძინის მთავრობამ სამშვიდობო ზავი დადო ჩინგიზ ყაენთან და მან თავისი ჯარი გაიყვანა. ამის მიუხედავად, ძინის იმპერატორმა მაინც სიფრთხილე გამოიჩინა და მეტი დაცულობის მიზნით, დედაქალაქი სამხრეთით, ქაიფენგში გადაიტანა, თან 30 ათასი ეტლით დოკუმენტები და განძეულობა წაიღო. რამდენადაც ჩინგიზ ყაენი მათ თავის ვასალებად თვლიდა, დედაქალაქის შეცვლა მათი მხრიდან ამბოხებად აღიქვა და 1215 წელს ახალი ლაშქრობა მოაწყო მათ წინააღმდეგ. ამჯერად მონღოლებმა უკვე ჯურჩენების მთავარი დედაქალაქი, ჭუნგტუ[1] დაიკავეს, რომელიც გაძარცვეს, შემდეგ კი გადაწვეს. ასეთივე ბედი ეწია ჩინეთის 90-მდე სხვა ქალაქს, გაიჟლიტა რამდენიმე ასეული ათასი მშვიდობიანი მოსახლეობა. ამიერიდან ძინები მხოლოდ ქაიფენგს და მის მიმდებარე ტერიტორიას აკონტროლებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩინელები თავგანწირვით იბრძოდნენ, მონღოლებმა გამარჯვება მოიპოვეს, რის შემდეგაც ჩინგიზ ყაენი ჩინეთიდან ბედნიერი და კმაყოფილი მონღოლეთში დაბრუნდა (1216 წ.) და შუა აზიაში საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. რაც შეეხება ჩინეთს, მისი უკანასკნელი სამხედრო ექსპედიცია 1225 წელს მოეწყო, კერძოდ, ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში – ტანგუტების სახელმწიფოს წინააღმდეგ, სადაც იმხანად ანტიმონღოლური აჯანყება მიმდინარეობდა. მართალია, მონღოლთა ხსენებული ლაშქრობა წარმატებით დასრულდა, მაგრამ სწორედ ამ ლაშქრობიდან დაბრუნებისას, ჩინგიზ ყაენი

[1] მე-10 საუკუნეში, ჩინეთში ციტანების (იგივე – ხიტანები) ლიაოს დინასტიის ბატონობის პერიოდში, მას იენძინგი და ნანძინგი (ჩინურად – სამხრეთის დედაქალაქი) ეწოდებოდა, ჯურჩენების ძინის დინასტიის გაბატონების შემდეგ ქალაქს ჭუნგტუ (ანუ ცენტრალური დედაქალაქი) დაერქვა, რომელიც დღევანდელი პეკინის ადგილას იყო გაშენებული.

ავად გახდა და გზაში გარდაიცვალა (1227 წლის 18 აგვისტოს). მისი ბრძანების თანახმად, ეს ამბავი გარკვეული ხნის მანძილზე საიდუმლოდ უნდა შენახულიყო, რათა მონღოლთა ჯარში პანიკა და ქაოსი არ გამოეწვია. ჩინგიზ ყაენმა თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო მთელი ჩინეთის დაპყრობა, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა მან ანდერძად დაუბარა თავის შთამომავლებს – უღედეის, მუნქეს და ყუბილაის, რომლებმაც აქტიურად გააგრძელეს მისი პოლიტიკური კურსი ამ რეგიონში. ყუბილაიმ, რომელიც ჩინგიზ ყაენის მეოთხე ვაჟის – თულუის შვილი იყო, წარმატებით დააგვირგვინა ჩინეთის დაპყრობა-დამორჩილება.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ მონღოლთა ლაშქრობებსა და ბატონობას ჩინეთში უმძიმესი შედეგები მოჰყვა: დამუხრუჭდა და დაირღვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება. XIII საუკუნის 30-იან წლებისათვის ჩრდილოეთ ჩინეთი, რომელიც მონღოლთა შემოსევების პირველი მსხვერპლი იყო და განსაკუთრებულად დაზარალდა, თითქმის მთლიანად გაუკაცრიელდა, განადგურდა მეურნეობა. ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაცია მიმდინარეობდა სამხრეთის მიმართულებით, სადაც გარკვეულ დრომდე მშვიდობიანობა იყო შენარჩუნებული. პირველი მონღოლი მმართველი, რომელმაც ზრუნვა დაიწყო დაპყრობილ ტერიტორიის ეკონომიკური პოლიტიკის მოწესრიგებაზე, ჩინგიზ ყაენის მესამე ვაჟი – უღედეი იყო, რომელიც ჩინგიზ ყაენმა თავისი ანდერძით მემკვიდრედ დატოვა (სურ. 135). იმ დროისათვის ჯურჩენთა ძინის დინასტიის ხელში რჩებოდა ჩინეთის დიდი კედლის სამხრეთი ნაწილი, ამიტომაც მონღოლთა არმიამ იმ ტერიტორიაზე მიიტანა იერიში. ძინების არმია მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს და მოსახლეობასთან ერთად თავგანწირულად იცავდა ქაიფენგს, სადაც პეკინის დაკარგვის შემდეგ, ჯურჩენებმა დედაქალაქი გადაიტანეს. ბრძოლის გაჭიანურების გამო, უღედეი ყაენმა „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით ძინების წინააღმდეგ მიმართული სამხედრო კავშირი შეკრა სამხრეთ სუნგის იმპერატორთან, რომელსაც



სურ. 135 უღედეი ყაენი

ხენანის პროვინციის ტერიტორიას შეჰპირდა. სუნგის ხელისუფლებას, თავის მხრივ, იმედი ჰქონდა, რომ მონღოლთა დახმარებით, თავის დიდი ხნის დაუძინებელ მტრებს – ჯურჩენებს მოიშორებდა და მათ მიერ დაპყრობილ მიწებს დაიბრუნებდა. მონღოლებისა და სუნგების გაერთიანებული არმიის შეტევების შედეგად, 1234 წელს ჯურჩენებმა უკანასკნელი სამფლობელოებიც დაკარგეს ჩინეთის ტერიტორიაზე და 1234 წელს ჯურჩენების ძინის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. ამით დაასრულეს მონღოლებმა მთელი ჩრდილოეთი ჩინეთის დაპყრობა. რა თქმა უნდა, უღედეი ყაენს არც უფიქრია სუნგის ხელისუფლებისთვის ხენანის გადაცემა. უფრო მეტიც, მან გააუქმა ზემოთ ხსენებული შეთანხმება და 1235 წელს თავისი არმიით სამხრეთ სუნგის იმპერიის წინააღმდეგ დაიძრა. დაიწყო ხანგრძლივი ომიანობის ხანა უშუალოდ ჩინელებსა და მონღოლებს შორის, რომელმაც ხანმოკლე ინტერვალებით, თითქმის ნახევარი საუკუნე გასტანა.

უღედეი ყაენს მხარში ედგა მისი მრჩეველი, სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იელუ ჩუცაი (1190-1244 წწ.), ფრიად განათლებული და რეფორმატორი პოლიტიკური მოღვაწე. ის ნარმოშობით ციტანი იყო. მას კონფუციური ფილოსოფიური განათლება ჰქონდა მიღებული, კარგად იცოდა ჩინური კანონები, ადათ-წესები და სასახლის კარის ცერემონიები. ყოველივე ამის წყალობით, ჯერ კიდევ 1218 წელს ჩინგიზ ყაენმა ის თავის მრჩევლად დანიშნა, რომელსაც ესოდენ ესაჭიროებოდა განათლებული ადამიანები ჰყოლოდა გვერდით. იელუ ჩუცაის ფრთიანი გამონათქვამი ყოფილა: „მართალია, იმპერია ცხენზე ამხედრებულებმა დავიპყარით, მაგრამ უნაგირიდან მისი მართვა შეუძლებელია". ის მომდევნო 25 წელი მონღოლთა სამსახურში იყო და ამ ხნის მანძილზე დიდი მონდომებით ცდილობდა მათ დარწმუნებას იმაში, რომ ჩინეთი ჩინური მეთოდებით უნდა ემართათ. XIII საუკუნის 30-იან წლებში უღედეისა და იელუ ჩუცაის ერთობლივი ძალისხმევით ჩინეთში დაიწყო ადმინისტრაციული მმართველობის სისტემის მოწესრიგება ჩინური მოდელის მიხედვით. უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან გაიმიჯნა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება, შეწყდა მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა და ხოცვა. მონღოლი მრჩევლები უღედეის სთავაზობდნენ ჩრდილოეთ ჩინეთის უმეტესი ნაწილის საძოვრებად გადაქცევას. იელუ ჩუცაი ამის საპირისპიროდ ყაენს ურჩევდა, რომ



სურ. 136 ყუბილაი ყაენი

ჩინელი მეურნეები ადგილზე დარჩენილიყვნენ, რადგან მათგან სამართლიანად ამოღებული გადასახადებით მონღოლთა ხაზინა უზარმაზარ მოგებას მიიღებდა. ეს ყველაფერი მონღოლ დიდებულთა ზღვარგადასული ძალაუფლების შეკვეცასა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ისახავდა მიზნად. სანამ იელუ ჩუცაი თავის დასაბუთებულ პროექტს წარუდგენდა ყაენს, მისმა მოწინააღმდეგეებმა უღედეი დაარწმუნეს იმაში, რომ შემოსავლების გასაზრედელად უკეთესი გზა იქნებოდა ცენტრალური აზიის მუსლიმი ვაჭრები წაექეზებინათ ერთმანეთის წინააღმდეგ, ებრძოლათ გადასახადების აკრეფის ნებართვის მოსაპოვებლად. ჩინელებისათვის კი ეს ცენტრალური აზიიდან მოსული არენდატორები გაცილებით უფრო დამთრგუნველნი იყვნენ, ვიდრე მონღოლი ჩინოვნიკები.

უღედეის პოლიტიკური კურსის გამგრძელებელი იყო ჩინგიზ ყაენის საყვარელი შვილიშვილი ყუბილაი, რომელიც 1252 წელს თავისი ძმის – მუნქეს ზეობის ხანაში (1251-1259 წწ.) ჩინეთში – იუნნანის პროვინციის დასაპყრობად გაგზავნილი არმიის მთავარსარდლად დაინიშნა, მცირე აზიისაკენ მიმავალ მონღოლთა ლაშქარს კი მისი ძმა – ჰულაგუ მეთაურობდა (სურ. 136). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე ყუბილაი შედარებით ჩრდილში იყო მოქცეული. 1240-იან წლებში ის მონღოლეთში იმყოფებოდა და ზედმეტ ამბიციებსაც არ ამჟღავნებდა. მას შემდეგ, რაც მან წარმატებით დაასრულა ლაშქრობები იუნნანის, შანსისა და სჩუანის პროვინციებში, რასაც მან ორი წელი მოანდომა, დიდი პოპულარობა და სახელი მოიპოვა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს, მუნქეს დაღუპვის შემდეგ (1259 წლის 12 აგვისტო), მონღოლთა იმპერიაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა (1260-1264 წწ.), რამაც საბოლოოდ გათიშა მონღოლთა ერთიანობა. ყაენის ტახტის დასაუფლებლად დაწყებული დაპირისპირება ყუბილაისა და ძმას, არიქ ბუღას შორის, ხანგრძლივ ომში გადაიზარდა, რომელიც საბოლოოდ ყუბილაის გამარჯვებით დასრულდა. ომის მსვლელობის პერიოდშივე, 1260 წელს ჩინეთის ქალაქ ქაიფენგში გამართულ

ყურულთაიზე, დიდ ყაენად ყუბილაი იქნა გამოცხადებული, ხოლო ყარაყორუმში კი ყურულთაიზე არიქ ბუღამ გამოაცხადა თავი დიდ ყაენად. აქვე აღსანიშნავია, რომ მონღოლთა მმართველი დინასტიის უმეტესობა არიქ-ბუღას უჭერდა მხარს, ყუბილაის კი ძირითადად მისი მეორე ძმა – ჰულაგუ ყაენი, რომელიც იმჟამად ახლო და ცენტრალურ აღმოსავლეთს მართავდა და ახლო გარემოცვა ემხრობოდა. აქედან გამომდინარე, მის წინააღმდეგ ბრძოლები კიდევ დიდი ხნის მანძილზე გრძელდებოდა, რაც საგრძნობლად აფერხებდა ყუბილაის ძალაუფლების განმტკიცებას რეგიონში. მისი ზეობის ბოლო ეტაპზე ყუბულაის დაუპირისპირდა უღედეის შვილიშვილი ყაიდუ, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ყაენის ტახტზე. მისი დამარცხება ყუბილაიმ მხოლოდ 1289 წელს მოახერხა.

მონღოლთა იუენის დინასტიის დაარსება

1264 წელს ყუბილაიმ ამბიციური ნაბიჯი გადადგა, იმპერიის დედაქალაქი ყარაყორუმიდან ჭონგტუს სიახლოვეს გადაიტანა, რომელსაც ჩინური სახელი, ტატუ[1] უწოდა. რამდენადაც ეს ქალაქი ახლოს იყო ჩინეთის ჩრდილო საზღვართან, ყუბილაი იმედოვნებდა, რომ იქიდან უფრო კარგად გააკონტროლებდა ჩინეთსაც და მშობლიურ მონღოლეთსაც. ახალი დედაქალაქი მუსლიმმა არქიტექტორებმა დააპროექტეს. ირგვლივ მას გალავანი ერტყა, ქალაქში ფართო ქუჩები და პროსპექტები იყო. თავისი ნაგებობებით, ხიდებით, პარკებით, ტბებითა და სხვა დეტალებით, ის ტიპური ჩინური არქიტექტურული სტილის ქალაქი გახდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად ყუბილაის რეზიდენციაში მონღოლური ელემენტებიც იყო. მაგალითად, ჯეირანის ტყავისგან დამზადებული ფარდები. რაშიდ ედ-დინისა და მარკო პოლოს ცნობით, ყუბილაიმ ქალაქის რეკონსტრუქცია და განაშენიანება-გალამაზება დაასრულა, მას ტატუ უწოდა, რომელსაც მონღოლები ხანბალიკად ანუ ხანის

[1] ჩინურად ნიშნავს დიდებული დედაქალაქს. მონღოლთა ბატონობისგან განთავისუფლების შემდეგ, 1368 წელს ხელისუფლების სათავეში ჩინური – მინგის დინასტიის მოსვლის დროიდან ტატუს პეიფინგი (ჩინურად ნიშნავს – ჩრდილოეთის მშვიდობა) ეწოდა.

ქალაქად მოიხსენიებდნენ და ევროპაშიც სწორედ ამ სახელწოდებით გახდა ის ცნობილი. ამის შემდგომ დაიწყო მონღოლთა მიერ ჩინეთის დაპყრობის ბოლო ეტაპი. დედაქალაქის რეკონსტრუქციის პარალელურად, ყუბილაი ყაენი ახალ-ახალი ტერიტორიების დაპყრობას აგრძელებდა. 1271 წელს ჩინეთის დიდი ნაწილის დამორჩილების შემდეგ, მან ახალი დინასტიის დაარსება გამოაცხადა, რომელსაც ჩინელთა თვალში ლეგიტიმაციის გასამყარებლად, ჩინური სახელი – იუენი უწოდა, რაც ჩინურად ნიშნავს სამყაროს დასაბამს, წყაროს. როგორც ჩანს, ამით ყუბილაი ხაზს უსვამდა თავისი ხელისუფლების უნივერსალურ ხასიათს, კერძოდ იმას, რომ ის იყო არა ბარბაროსი (როგორც ჩინელები უწოდებდნენ ყველა უცხოელს) დამპყრობელი, არამედ ჩინეთის ახალი დინასტიის იმპერატორი. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომით, მან კონფუციური იდეებით განმსჭვალული ჩინელი საზოგადოების ზედა ფენის გარკვეული ნაწილის გული მოინადირა. მონღოლები თვლიდნენ, რომ მათ უფლება ჰქონდათ ჩინეთის კანონიერი მმართველები ყოფილიყვნენ თუნდაც იმის გამო, რომ მოახერხეს ჩინეთის იმპერიის ერთიანობის აღდგენა ასწლეულების მანძილზე გათიშულობის შემდეგ.

ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე, ყუბილაი ყაენი მომთაბარე ტრადიციებისგან გამიჯვნის პოლიტიკურ კურსს დაადგა. ასე რომ, მისი მთავარი დასაყრდენი ძალა, უღედეის მსგავსად სწორედ ბინადარ მოსახლეობაზე და ჩინურ მოდელზე დაფუძნებული ბიუროკრატიული აპარატი იყო. მართალია, ის არ იცნობდა ჩინურ კულტურას, არც ჩინურად წერა-კითხვა იცოდა, მაგრამ იმთავითვე გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ჩინეთის ეფექტურად მართვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ჩინური მეთოდებით. მისთვის ნათელი გახდა, რომ მონღოლური სამხედრო ნომადური უნარ-ჩვევებით შეუძლებელი იყო უზარმაზარი იმპერიის მართვა. ამიტომ ყუბილაიმ დაახლოება დაიწყო ჩინელებთან, გადასახადები შეუმცირა მათ და მთელ რიგ სხვა დათმობებზე წავიდა. ამ კონტექსტში ხაზგასასმელია, რომ ყუბილაი გამოირჩეოდა მთავარსარდლობის განსაკუთრებული ნიჭით, გამჭრიახობით და პოლიტიკური ალღოთი. სწორედ ამ თვისებათა გამო, მას ახალგაზრდობაშივე შეარქვეს „სეჩენ" ანუ ბრძენი. ყუბილაიმ სათანადოდ შეაფასა ჩინეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების დონე, ის შესანიშნავად აცნობიერებდა ლოიალური დამოკიდებულების მნიშვნე-

ლობას დაპყრობილ ხალხთა მიმართ იმისთვის, რომ გაეძლიერებინა თავისი გავლენა რეგიონში და გაეფართოვებინა სამფლობელოები. ამიტომაც იყო, რომ მან ჩინელი განსწავლული მრჩევლები შემოიკრიბა, თუმცა პოლიტიკური კუთხით ჩინელები დისკრიმინაციაში რჩებოდნენ. მონღოლი დიდებულები უკმაყოფილონი იყვნენ ყუბილაის ლოიალურობით, რადგანაც მის ამგვარ ქმედებაში ისინი უხეშ გამოწვევას ხედავდნენ მონღოლური მომთაბარული ტრადიციების მიმართ, სადაც უცხო ხალხთა და მათი კულტურის განადგურება დამკვიდრებული ნორმა იყო. ყოველივე ამის გამო სტეპებში დარჩენილი მონღოლები ყუბილაის დიდ ყაენად არ აღიარებდნენ და მისი ზეობის ბოლომდე ოპოზიციაში ედგნენ მას.

მონღოლთა მიერ სამხრეთ სუნგის დინასტიის დამხობა

მთავრობის ფორმირების შემდეგ ყუბილაი ყაენმა მთელი ყურადღება საგარეო ურთიერთობებს მიაპყრო. მონღოლი წინაპრების მსგავსად, მას კარგად ესმოდა, რომ უმთავრესი მიზანი იყო ტერიტორიული ექსპანსია. მისი წარმატებულობა, როგორც მმართველისა, მონღოლთა თვალში გაიზომებოდა სწორედ მისი შესაძლებლობებით სხვადასხვა ხალხისა და ტერიტორიის დაქვემდებარების მასშტაბით. ეს გარემოება ყუბილაის ექსპანსიონიზმისკენ უბიძგებდა. აქედან გამომდინარე, მის მთავარ სამიზნეს, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ ჩინეთში ნომინალურად არსებული სუნგის დინასტია წარმოადგენდა, სადაც სუნგის უკანასკნელი იმპერატორი თავის მომხრეებთან ერთად იმყოფებოდა. ზოგადად, სამხრეთ ჩინეთი მეტად მიმზიდველი იყო მონღოლთათვის, რადგან იქ ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწები იყო, მაღალ დონეზე იყო განვითარებული როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობა (სახმელეთოც და საზღვაოც), სუნგის ხელისუფლებას წარმატებული საზღვაო სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან, ინდოეთთან, შუა აზიასთან, რაც იქაური ქალაქების ეკონომიკურ აღმავლობას განაპირობებდა. სამხრეთ სუნგის დედაქალაქი ხანგჭოუ იმხანად მაღალგანვითარებული, კეთილმოწყობილი ლამაზი ქალაქი იყო – რესტორნებით, ჩაის სახლებით, თეატრებით და სხვადასხვა გასართობი დაწესე-

ბულებით, სასწავლებლებით, ბუდისტური და ტაოსური ტაძარ-მონასტრებით. საყურადღებოა, რომ წვეულებების გასამართავად იქ არსებობდა კომპანიები, რომლებიც მომხმარებლებს სთავაზობდნენ დარბაზებს, მაგიდებს, სკამებს, საკვებს, დეკორაციებსაც კი. ხანძრების საწინააღმდეგოდ, მთავრობას დედაქალაქში და მის შემოგარენში გამწესებული ჰყავდა ორი ათასი ჯარისკაცი 14 სახანძრო სადგურში. ვინაიდან, ზოგადად, სიღარიბის პრობლემა იდგა დიდ ქალაქებში, სუნგის ხელისუფლება არა მხოლოდ არიგებდა სისტემატურად მოწყალებას, არამედ შექმნა საჯარო საავადმყოფოები უქონელი ადამიანებისათვის, მოხუცებულთა თავშესაფრები, გამოყო სასაფლაოს ტერიტორიები ღარიბებისათვის და სხვ. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, სამხრეთ სუნგის დინასტიას შეზღუდული უფლებამოსილება ჰქონდა ქვეყნის მასშტაბით და მხოლოდ ლოკალური ტერიტორიის მმართველობით შემოიფარლებოდა. ფაქტობრივად, მე-14 საუკუნის შუა ხანებში დინასტია თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, შესაბამისად, შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა.

მონღოლთა ხელისუფლება, თავის მხრივ, გულმოდგინედ ემზადებოდა სამხრეთ სუნგის დინასტიის ერთხელ და სამუდამოდ გასანადგურებლად, მაგრამ ჩინეთის სამხრეთ რეგიონის დასაპყრობად გარკვეული დაბრკოლებები არსებობდა. კერძოდ, მართალია, მონღოლთა არმია წარმატებული იყო ჩრდილოეთის კლიმატურ პირობებში, მაგრამ ისინი მიუჩვეველნი იყვნენ სამხრეთის მაღალ ტემპერატურას, მწერებს, ცხენებისთვისაც რთული იქნებოდა იქაური გარემო, სტეპებთან შედარებით. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის, რომ საზღვაო ბრძოლებისთვის მონღოლებს არ გააჩნდათ სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა და არც ცოცხალი ძალა. ეს და კიდევ სხვა გარემოებები დიდ მატერიალურ რესურსს და სერიოზულ მომზადებას მოითხოვდა. თავდაპირველად ყუბილაი სუნგის საიმპერატორო კარს შიკრიკებს უგზავნიდა კაპიტულაციის მოწოდებით, თუმცა სასურველ პასუხს მათგან ვერ იღებდა. სათანადო მომზადების შემდეგ, მონღოლთა არმია მთავარსარდალ ბაიანის (1237-1295 წწ.) მეთაურობით, სამხრეთისაკენ დაიძრა. აღსანიშნავია, რომ მდინარე იანგძის გაღმა საუკუნეთა მანძილზე არც ერთი დამპყრობელი არ იყო გადასული. მონღოლთა მრჩევლები ამის მთავარ მიზეზად

მათ უსახელებდნენ ფლოტის არქონას და მონღოლებმაც ჩინელების დახმარებით, დაჩქარებული ტემპით დაიწყეს გემთმშენებლობა. 1268 წელს მონღოლთა არმია მიადგა სიანგიანგს – მთავარ ქალაქს იანგძისკენ მიმავალ გზაზე. ორივე დაპირისპირებული მხარისათვის ეს ქალაქი იყო მთავარი ადგილი იანგძის გასაკონტროლებლად. მის დასაუფლებლად ბრძოლა ხუთი წელი გაგრძელდა. მონღოლთა სამხედრო ძალა ეთნიკურად მრავალფეროვანი იყო. მასში შედიოდნენ: თავად მონღოლები, ჩინელები, უიღურები, სპარსელები, ჯურჩენები, ასევე კორეელები, რომლებიც წყალზე ბრძოლების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ექსპერტებად ითვლებოდნენ. ჯარის შემადგენლობაში მყოფი მუსლიმი ოსტატები კი თავიანთი საუკეთესო კატაპულტების დემონსტრირებას ახდენდნენ, რომლებიც უზარმაზარ ლოდებს შორ მანძილზე ტყორცნიდნენ. პირველად სიანგიანი ბაიანის 200 ათასიანმა არმიამ 1273 წელს დაიკავა. სუნგის 130 ათასიან არმიას სათავეში პირადად კანცლერი, ძია სიტაო ჩაუდგა სათავეში. მის განკარგულებაში იყო ასევე ფლოტი 250 ხომალდით, რომლებიც ცდილობდნენ მონღოლების შეჩერებას იანგძის ქვემო წელში. მონღოლებს კავალერია მდინარის ორივე მხარეზე ჰყავდათ გადანაწილებული და კატაპულტების მეშვეობით ბრძოლაში უპირატესობას ინარჩუნებდნენ. 1275 წელს მდინარე იანგძის გადალახვის შემდეგ, ერთმანეთის მიყოლებით აიღეს ქალაქები (სურ. 137). ბრძოლების პროცესში, სიმაგრეების და სხვადასხვა დამცავი საშუალების აგებაში მონღოლებს მუსლიმი ინჟინრები უწევდნენ ქმედით დახმარებას.

მართალია, სუნგის სარდლები თავგანწირვით იბრძოდნენ მონღოლთა წინააღმდეგ, მაგრამ ცხადი იყო, რომ ისინი კვალიფიციური ლიდერების დეფიციტს განიცდიდნენ. ბრძოლის წარუმატებლად წარმართვის გამო, ძია სიტაო სუნგის ხელისუფლებამ გადააყენა, შემდეგ კი სიკვდილით დასაჯა. იმპერატო-



სურ. 137 მონღოლების კავალერია და სამხედრო ტყვეები

რი მაშინ მცირეწლოვანი იყო, ქვრივი დედოფლის მრჩევლები კი უმეტეს დროსა და ენერგიას ერთმანეთთან ქიშპობაში ხარჯავდნენ. როდესაც მონღოლები უკვე ხანგჭოუს მიუახლოვდნენ, დედოფალი იძულებული გახდა დახმარებისათვის ხალხთა მასები მოეხმო, რათა შემოსეული ბარბაროსების წინააღმდეგ საომრად გამოსულიყვნენ. ამ მოწოდებას 200 ათასი ახალგაზრდა გამოეხმაურა, მაგრამ ისინი ვერ გაუტოლდებოდნენ ბრძოლებში გამობრძმედილ მონღოლებს. აქედან გამომდინარე, ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მონღოლები დაშინების ტაქტიკასაც მოხერებულად იყენებდნენ. მაგალითად, ხანგჭოუს უბრძოლველად აღების მიზნით მისკენ მიმავალმა მონღოლებმა დასაშინებლად გაავრცელეს ბრძანება ხანგჭოუს მოსახლეობის მასობრივი გაჟლეტვა-ამოხოცვის თაობაზე. ამგვარმა ტაქტიკამ გადამწყვეტი გავლენა იქონია ბრძოლის საბოლოო შედეგებზე. დედოფალი, დედაქალაქის მოსახლეობის გადარჩენის მიზნით, იძულებული გახდა მტრისთვის მორჩილება გამოეცხადებინა.

ამრიგად, 1276 წლის თებერვალში სამხრეთ სუნგის დინასტიის დედაქალაქმა ხანგჭოუმ კაპიტულაცია გამოაცხადა. დატყვევებული დედოფალი, მისი შვილი – იმპერატორი სიუნი და სუნგის საიმპერატორო ოჯახის სხვა წევრები ყუბილაის ჩაუყვანეს პეკინში, რომლებიც მან შეიწყნარა, მოგვიანებით კი ტიბეტში გადაასახლა. ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, სუნგის დინასტიის ერთგული მომხრეები კიდევ სამი წლის მანძილზე აგრძელებდნენ ბრძოლას დინასტიის რეანიმაციისათვის, საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა როგორც წყალზე, ისე ხმელეთზე. საბოლოო გადამწყვეტი ბრძოლა დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოხდა კუანგტუნგის პროვინციაში 1279 წელს, როდესაც განადგურებულ იქნა ჩინელ პატრიოტთა ლაშქარი, რომელსაც სათავეში ედგა ჩინელი ხალხის ეროვნული გმირი ვენ თიენსიანგი (1236-1282 წწ.). ამით მონღოლებმა ჩინეთის დაპყრობა დაასრულეს. ყუბილაი ყაენმა მოახერხა ჩინეთის გაერთიანება ხანგრძლივი დროის მანძილზე დაქუცმაცების შემდეგ. ხაზგასასმელია, რომ ჩინეთის ისტორიაში პირველად ქვეყნის მთელი ტერიტორია უცხო დამპყრობელთა უღელქვეშ მოექცა. ამ გარემოებამ სრულიად ახალი ეთნიკური გარემოება შექმნა ჩინეთში. კერძოდ, ქვეყნის მთავარ პუნქტებში მონღოლთა ჯარი იყო განთავსებული თავიანთი ოჯახებით, ჯოგებითა და სხვა ავლადიდებით. მათ განკარგულება-

ში გადავიდა ასევე არსებული მიწის ფართობები საძოვრებითა და სახნავებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყუბილაიმ იმავე პერიოდში დაიმორჩილა მეზობელი ქვეყნები: ბირმა, კამბოჯა, კორეა, თუმცა მისი ლაშქრობები იაპონიის წინააღმდეგ (1274 და 1281 წწ.) მარცხით დასრულდა. ასე რომ, მხოლოდ ერთი რამ აკნინებდა ყუბილაის სრულ ჰეგემონიას რეგიონში – წარუმატებელი საომარი ოპერაციები იაპონიის წინააღმდეგ.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობებში მონღოლი მმართველები წინასწარ განსაზღვრულ ტრადიციულ ჩინურ დოქტრინას (უნივერსალური იმპერიის შესახებ) იყენებდნენ. კერძოდ, ელჩობების გაცვლისას, მონღოლები მოითხოვდნენ არა თანასწორუფლებიან პირობებს ან ნომინალურ უპირატესობას, არამედ მათზე დამოკიდებულების რეალურ გამოხატულებას (მძევალთა გამოგზავნას, მეომრებით დახმარებას, ადგილობრივ მმართველთა პერიოდულად გამოცხადებას ყაენის წინაშე და სხვ.). ამგვარი დამოკიდებულება ზოგიერთ ქვეყანაში პროტესტს იწვევდა, რაც მონღოლთა მხრიდან საპასუხო დამპყრობლური საომარი ოპერაციების საბაბს იძლეოდა.

საწყის ეტაპზე მონღოლი მმართველები ემიჯნებოდნენ ჩინელ მოსახლეობას, ხაზს უსვამდნენ თავიანთ გამორჩეულობას, მაგრამ დროთა ვითარებაში დამპყრობლებმა მათთვის სასარგებლო ადგილობრივი ელემენტების გათავისება დაიწყეს. საქმე ის იყო, რომ უძველესი კულტურის მქონე ქვეყანაში მონღოლი მმართველები საკმაოდ რთული ამოცანების წინაშე აღმოჩნდნენ ძალაუფლების განმტკიცების კუთხით, რამდენადაც მათ სახელმწიფოს მშვიდობიანი მართვის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდათ. შექმნილ ვითარებაში მმართველი ელიტის წინაშე დაპყრობილ ჩინურ ეთნოსთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა გამოიკვეთა.

ზოგადად, მონღოლებმა ჩინეთში ეკონომიკური, პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრის სასტიკი რეჟიმი დაამყარეს: ჩრდილოეთ ჩინეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარი მონებად აქციეს, გაცხოველდა მონებით ვაჭრობა, აღმოცენდა მონათმფლობელური სასაქონლო მეურნეობა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა მონღოლთა მიერ დაწესებული საგადასახადო სისტემა. მოსახლეობის დამონებასთან ერთად, ეროვნული ჩაგვრა აისახებოდა ჩინელთა იურიდიული უფლე-



სურ. 138 მონღოლები

ბების შეზღუდვასა და მათ დამცირებაში. მონღოლებმა ჩინელ მეურნეებს ჩამოართვეს მიწები, ასახლებდნენ მათ სხვადასხვა რეგიონებში, რათა თავიანთი ოჯახები აღარასოდეს ენახათ, მათი ნაწილი მონებად ან ყმებად აქციეს. მიუხედავად მრავალგვარი დამცირებისა, ადგილობრივი მოსახლეობა ძველ ადათ-წესებს თავგამოდებით იცავდა, ჩინურად მეტყველებდა, პატივს მიაგებდა თავის სალოცავებს, ახალ წელს და სხვა ტრადიციულ დღესასწაულებს აღნიშნავდა, მასწავლებლები უწინდებურად ასწავლიდნენ თავიანთ მოწაფეებს ჩინელ კლასიკოსთა ნაწარმოებებს, სწავლულები წერდნენ ნაშრომებს, რომლებიც ვრცელდებოდა მოსახლეობაში. ასე რომ, ჩინელი ხალხი ყველა ღონეს იყენებდა თავისი იდენტობის შესანარჩუნებლად.

მონღოლებმა ჩინეთის მოსახლეობა ოთხ კატეგორიად დაყვეს რელიგიური და ეროვნული კუთვნილების მიხედვით, რათა საკუთარი დომინანტური პოზიციები უფრო მეტად ყოფილიყო გამოკვეთილი (სურ. 138). პირველ კატეგორიაში შედიოდნენ თავად მონღოლები, ანუ სრულუფლებიანი, პრივილეგირებული ფენა, რომელთათვისაც განსაკუთრებული კანონები არსებობდა და შესაბამისად, მათი გასამართლება ჩვეულებრივ სასამართლოში იკრძალებოდა (სურ. 139). მათ ხელთ იყო ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელობა და ჯარის სარდლობა. მეორე კატეგორიაში მოქცეულნი იყვნენ უცხოელები (მაგალითად, შუა აზიელები, უიღურები, სირიელები, ევროპელები და სხვა); მესამე კატეგორიას განეკუთვნებოდნენ ჩრდილოეთის ჩინელები (რომლებსაც ხანელები ეწოდებოდა), ასიმილირებული ციტანები, ჯურჩენები, კორეელები; მეოთხე კატეგორიაში კი შედიოდნენ ყველაზე უუფლებო და დისკრიმინაციის ქვეშ მყოფი სამხრეთის ჩინელები ანუ სუნგები. სახელისუფლებო თანამდებობის დაკავება მხოლოდ პირველი ორი კატეგორიის წარმომადგენლებს შეეძლოთ. ამ კლასიფიკაციით განისაზღვრებოდა გადასახადების ოდენობა, სამართალი, სამსახურის სახეობა, ჩაცმულობა და ა.შ. ამგვარი ეთნიკური დიფერენციაციით მონღოლებს სურდათ განემტკიცებინათ თავიანთი, როგორც დამპყრობლების, პრივილე-



სურ. 139 ეს არის მონღოლი მაღალი კლასის წარმომადგენელთა ყოველდღიური ცხოვრების სურათი

გიები. ჩინელებს უფლება ჰქონდათ ემსახურათ მხოლოდ მონღოლების მდივნებად ან თანაშემწეებად. მათ ეკრძალებოდათ მონღოლური სახელების მიღება, იარაღის ტარება, შეკრებების მოწყობა, ღამის საათებში გადაადგილება, სამხედრო ხელოვნების დაუფლება, ცხენების ყოლა, უცხო ენების შესწავლა და ა.შ. ყუბილაიმ ბამბუკით ვაჭრობაც კი აუკრძალა ჩინელებს, რადგან შესაძლებელი იყო ის იარაღად ან ისრებად გამოეყენებინათ. ჩინელები მკაცრად ისჯებოდნენ, თუკი მონღოლთა მხრიდან იერიშს შეეწინააღმდეგებოდნენ და ბრძოლით უპასუხებდნენ, მონღოლები კი მხოლოდ ჯარიმას იხდიდნენ ჩინელის მოკვლის შემთხვევაში. ცხადია, რომ ამგვარი მკვეთრი შემობრუნება სოციალურ სფეროში დამლუპველ ზეგავლენას ახდენდა ჩინეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. ფაქტობრივად, მონღოლთა მმართველობამ ეს მაღალგანვითარებული ქვეყანა შორეულ წარსულში დააბრუნა.

რაც შეხება მონღოლთა მმართველობის ადმინისტრაციულ სისტემას, მას ჩინური მოდელი დაედო საფუძვლად, რომელიც ნაწილობრივ უღედეის ზეობის პერიოდში (1229-1241 წწ.) იქნა შემოღებული. იმპერიის მთელი ტერიტორია დაყოფილი იყო 11 პროვინციად, რომლებსაც ხელისუფლების წარგზავნილი მონღოლი ან ცენტრალური აზიის წარმომადგენელი ჩინოვნიკები მართავდნენ. საიმპერატორო კარზე დაარსდა სამხედრო საბჭო და ცენზორთა პალატა, რომელიც ჩინოვნიკთა საქმიანობას აკონტროლებდა. მთავარი აღმასრულებელი ორგანო იყო მინისტრთა კაბინეტი, რომლის მეთაურის პოსტი ტახტის მემკვიდრეს ეკავა. მას სამინისტროს ტიპის ექვსი უწყება ექვემდებარებოდა. ტატუსთან ერთად, თანაბარ უფლებიან დედაქალაქებად ითვლებოდა ყარაყორუმი და შანდუ (იგივე ქაიფენგი). რამდენადაც იუენის იმპერიის მმართველობა მნიშვნელოვანწილად სამხედრო ძლიერებას ეფუძნებოდა, მთავარი ყურადღება სწორედ ამ სფეროზე იყო გადატანილი. დედაქალაქში განთავსებული იყო

მონღოლთა 120000-იანი გვარდია, მსხვილი სამხედრო გარნიზონები იყო ასევე ყარაყორუმში და ყველა დიდ ქალაქში.

ევროპელების მოღვაწეობა ჩინეთში

მართალია, მონღოლებმა ჩინური ბიუროკრატიული აპარატი თითქმის ხელუხლებლად დატოვეს, მაგრამ მათი მმართველობის პირველ ეტაპზე ჩინელთა ნაცვლად, თანამდებობებზე უცხოელებიც ინიშნებოდნენ. პირველად ჩინეთის ისტორიაში სახელმწიფო აპარატში თანამდებობები ევროპელებმაც დაიკავეს. ზოგადად, მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩინეთში გამოიკვეთა დასავლეთ ევროპული კულტურული ზეგავლენა, რაც დაკავშირებული იყო იქ ჩასულ ევროპელ მისიონერთა, მოგზაურთა და დიპლომატიური მისიების საქმიანობასთან. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად მონღოლი მმართველები ხელს უწყობდნენ ევროპელების ჩინეთში ჩასვლას, რადგანაც იმედოვნებდნენ, რომ მათი დახმარებით ქვეყანაში ქაოსის აღკვეთას შეძლებდნენ. ამგვარმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ევროპელ ვაჭართა, მოგზაურთა, მისიონერთა მოზღვავებას ჩინეთში. ცნობილი ფაქტია, რომ იმხანად ჩინეთში 5000 ევროპელი ქრისტიანი დასახლდა.

ქრონოლოგიურად თუ მივყვებით, ერთ-ერთი პირველი, ვინც ჩინეთის შესახებ ევროპაში ინფორმაცია ჩაიტანა, იყო იტალიელი ფრანცისკანელი ბერი პლანო კარპინი (1182-1252 წწ.), რომელიც რომის პაპის ინოკენტი IV-ის ოფიციალური წარმომადგენელი იყო არაქრისტიანულ ქვეყნებში. მას ჰქონდა პაპის ლეგატის წოდება. მისი ნაშრომი „ისტორია მონღოლთა, რომლებსაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ" არის პირველი ევროპული ორიგინალური ნაწარმოები აზიის იმ რეგიონების შესახებ, რომელთა შესახებ მანამდე სანდო ინფორმაცია არ არსებობდა. 1246 წელს კარპინი მონღოლთა დედაქალაქ ყარაყორუმში ჩავიდა გუიუქ ყაენის კარზე. მართალია, უშუალოდ ჩინეთში ის არ ყოფილა, თუმცა თავის ნაშრომში დეტალურად აღწერს მას, რომელიც, მისი სიტყვით, მდიდარია აბრეშუმით, ოქროთი, ვერცხლით, ღვინით, პურეულით, აქვს უძველესი დამწერლობა და კულტურა. თავად ჩინელების შესახებ ის აღნიშნავს, რომ გულთბილი ხალხია და პატივისცემით არიან განწყობილნი

ქრისტიანების მიმართ. 1253-1255 წლებში ყარაყორუმში, მუნქე ყაენის კარზე იმყოფებოდა ლუდოვიკო IX-ს წარგზავნილი საფრანგეთის ელჩი (წარმოშობით ფლამანდრიელი), ფრანცისკანელი გილიომ რუბრუკი (1220-1293 წწ.). თავის ნაშრომში „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“ ის აღწერს ქალაქ ყარაყორუმს, სადაც მას უნახავს ორი მეჩეთი და ერთი ქრისტიანული ეკლესია. ავტორი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ასევე ჩინელთა ადათ-წესების, ტრადიციების შესახებ. საყურადღებოა, რომ რუბრუკს ყარაყორუმში ევროპელთა მცირე კოლონია დახვედრია. ამ კათოლიკური თემის წარმომადგენლები თურმე ტყვედ ჰყოლიათ მონღოლებს მათი ლაშქრობების დროს ევროპაში 1241-1242 წლებში. უკან მიმავალ მონღოლთა არმიასთან ერთად, ისინი შორეულ აზიაში აღმოჩნდნენ. როგორც ისტორიიდან ცნობილია, გამანადგურებელი ლაშქრობებიდან მონღოლებს თან მიჰყავდათ დატყვევებული სხვადასხვა დარგის ოსტატები (იუველირები, მხატვრები, სკულპტორები, ხელოსნები, ინჟინრები.....), რომლებიც შემდგომ მონაწილეობას იღებდნენ ახალი ქალაქების აღმშენებლობაში და მონღოლური სინკრეტული კულტურის ფორმირებაში. ეთნიკური და რელიგიური სიჭრელე მონღოლთა კარზე, თავის მხრივ, ხელს უწყობდა მხატვრულ სტილთა მრავალფეროვნებას.

ჩინეთის შესახებ ინფორმაციის სიუხვით გამორჩეული ადგილი უჭირავს სახელგანთქმულ ვენეციელ ვაჭარს მარკო პოლოს (1254-1324 წწ.) (სურ. 140). თავდაპირველად მისი მამა ნიკოლო და ბიძა – მათეო ჩავიდნენ ხანბალიკში 1265 წელს, სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად და მალე ყუბილაისთან დაახლოებაც მოახერხეს. 1269 წელს ისინი იტალიაში დაბრუნდნენ რომის პაპისადმი ყაენის წერილით აღჭურვილები, რომელშიც პაპის მიმართ დიდი პატივისცემა იყო დაფიქსირებული. იმავდროულად ყუბილაი სთხოვდა მას, რომ გაეგზავნა ჩინეთში ქრისტიანულ ღვთისმეტყველების მცოდნე ასი სწავლული, რომელთაც ამას გარდა ეცოდინებოდათ ე.წ. „შვიდი მეცნიერება“: მხატვრული მეტყველება, ლოგიკა, მათემატიკა,



სურ. 140 მარკო პოლო

სიმღერა, ასტრონომია, მუსიკა და გეოგრაფია. შვიდი მეცნიერება ანუ ტრივიუმ-კვადრიუმი არის: არითმეტიკა, ასტრონომია, გრამატიკა, გეომეტრია, მუსიკა, რიტორიკა და ფილოსოფია. ყუბილაის სიტყვით, პაპისგან წარგზავნილებს ზედმიწევნით უნდა სცოდნოდათ კამათის ხელოვნება ანუ რიტორიკა, რათა ქრისტიანობის უპირატესობაში დაერწმუნებინათ ხალხი. ის სიტყვას იძლეოდა, რომ თუკი ეს სწავლულები მის იმედებს გაამართლებდნენ, მაშინ თვითონაც და მისი ქვეშევრდომებიც ქრისტიანობას მიიღებდნენ და ეკლესიის ჭეშმარიტი შვილები გახდებოდნენ. ამას გარდა, ყუბილაი სთხოვდა ვენეციელებს, რომ ჩინეთში იერუსალიმიდან ქრისტეს საფლავიდან ჩაუქრობელი კანდელის ზეთი ჩამოეტანათ. ცნობილია, რომ პატრიარქის მიერ ნაკურთხი ასეთი ზეთი შუა საუკუნეებში ძალიან ძვირად ფასობდა, რადგანაც ხორციელი თუ სულიერი დაავადებებისგან განკურნების ღვთაებრივ საშუალებად მიიჩნეოდა. ყუბილაის ცხოველი ინტერესი ქრისტიანობის მიმართ არ არის გასაკვირი, თუკი გავიხსენებთ, რომ მისი დედა, სორღაღტანი კერაიტების ანუ მონღოლური წარმოშობის ნესტორიანელი ქრისტიანული ტომიდან იყო. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ ყუბილაის სურვილი გასჩენოდა მეტი ინფორმაცია მოეპოვებინა ამ სარწმუნოების შესახებ და გაერკვია, თუ რატომ იყო ქრისტიანობა ესოდენ ღრმად ფესვგადგმული სარწმუნოება ევროპაში.

გარკვეული ხნის შემდეგ ვენეციელი ვაჭრები კვლავ ჩავიდნენ ჩინეთში, სხვადასხვა საქონლით დატვირთულები, ამჯერად მათ უკვე ახალგაზრდა მარკო პოლოც ახლდათ. ვენეციელებმა რომის პაპის – გრიგოლ X-ისგან რწმუნების სიგელი და წერილი, ასევე იერუსალიმიდან უფლის საფლავიდან აღებული წმინდა ზეთით სავსე ჭურჭელი გადასცეს ყუბილაი ყაენს, რომელმაც დიდი პატივით მიიღო ისინი. იმავდროულად ნიკოლომ სწორედ მაშინ წარუდგინა მას აუდიენციაზე თავისი ვაჟი – მარკო, რომელმაც მთლიანობაში 17 წელი დაჰყო ჩინეთში და ყუბილაის კარზე მაღალი თანამდებობაც მოიპოვა. თავის ნაშრომში (რომელიც მან ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა) ის ხატოვნად, ამასთან, აღფრთოვანებით აღწერს ხანბალიკს, მის ზარაფხანას, საკულტო ნაგებობებს, ფართო ქუჩებს, ასევე სხვა ქალაქებს და მთლიანად მონღოლთა პერიოდის ჩინურ რეალობას. ყუბილაის სასახლით მოხიბლული მარკო პოლო წერს, რომ

ეს იყო მარმარილოსგან აგებული ნაგებობა მოოქროვილი დარბაზებით, რომელთა კედლები დამშვენებული იყო ნადირობის სცენებით, ულამაზესი პეიზაჟებით, ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით. სასახლის ირგვლივ კი უცხო ყვავილებით და ხეხილით სავსე პარკი იყო, რომელსაც მაღალი გალავანი ერტყა (სურ. 141). ვაჭრობასთან დაკავშირებით ის აღნიშნავს: „დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოში არ მოიპოვება ადგილი, სადაც ამდენი ვაჭარი ჩამოდის და ამდენი უძვირფასესი და უცნაური ნივთით ვაჭრობენ, როგორც ხანბალიკში“.



სურ. 141 ყუბილაი ყაენი ნადირობაზე

მარკო პოლოს ცნობით, მათ გარდა, ჩინეთში სხვა ევროპელებიც იყვნენ. კერძოდ, სამი სასტუმრო ეკუთვნოდათ ლომბარდიელებს, გერმანელებს და ფრანგებს. საყურადღებოა, რომ მარკო პოლო ყუბილაის მოიხსენიებს, როგორც „მსოფლიოში ყველაზე ბრძენ მმართველს“, რომელიც სტიქიური უბედურებების დროს მოსახლეობას გადასახადებისაგან ათავისუფლებდა, აგებდა საავადმყოფოებს, ბავშვთა სახლებს, მფარველობას უწევდა სასწავლებლებს; პრივილეგიებით სარგებლობდნენ მხატვრები, სასულიერო ფენა, ექიმები, ფარმაკოლოგები, სწავლულები, რომელთა მხარდაჭერას ის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად მოიაზრებდა. გარდა ამისა, ყუბილაი დიდად უწყობდა ხელს ვაჭრობის განვითარებას აბრეშუმის გზაზე, რათა ფართომასშტაბიანი კონტაქტები დამყარებულიყო ჩინეთსა და დასავლურ სამყაროს შორის. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ყაენი დიდად აფასებდა მას, ენდობოდა და ამიტომაც ყველა ელჩობის შემადგენლობაში ჰყავდა, რადგანაც განსაკუთრებულად მნიშვნელობანი და საინტერესო ინფორმაცია ჩამოჰქონდა. ერთგულების ჯილდოდ და დაფასების ნიშნად, ყუბილაიმ მარკო პოლო ძიანგსუს პროვინციაში მსხვილი სავაჭრო ქალაქის – იანგჭოუს მმართველად დანიშნა, რომელსაც იგი 1284-1287 წლებში მართავდა. მთლიანობაში, მარკო პოლო ყუბილაის უამრავ დამსახურებას უსვამს ხაზს. რა თქმა უნდა, მისი შეფასებები ტენდენციური და გადაჭარბებულია,

მაგრამ ფაქტია, რომ ყუბილაი ყაენმა მართლაც მიაღწია იმპერიის გაერთიანებას და ეკონომიკურ აღმავლობას მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ის ჩაბმული იყო შიდა ომებში სტეპების მონღოლ დიდებულებთან.

იუენის დინასტიის პერიოდში ჩინეთში მოღვაწე ევროპელებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კათოლიკე მისიონერები: ჯოვანი დე მონტეკორვინო (1246-1328 წწ.), ოდორიკო დე პორდენონე (1286-1331 წწ.), ჯოვანი დე მარინიოლი (1290-1358 წწ.) და სხვები. ფრანცისკანელი მონტეკორვინი 1294 წელს ჩავიდა ჩინეთში (მანამდე ის სომხეთში და ირანში ქადაგებდა კათოლიციზმს) და სიცოცხლის ბოლომდე იქ დარჩა. აღსანიშნავია, რომ მან პირველმა თარგმნა მონღოლურად „ახალი აღთქმა“ და ფსალმუნები. მან ასევე იცოდა თურქული, სომხური და სპარსული ენები. თავდაპირველად ის რომის პაპის, ნიკოლოზ IV-ის (1227-1292 წწ.) ელჩის რანგში იმყოფებოდა ჩინეთში და იმთავითვე დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა. მას მფარველობა ჰქონდა მიღებული ყაენისგან და, შესაბამისად, მისი მისიონერული საქმიანობა ჩინეთში დაბრკოლებების გარეშე მიმდინარეობდა. 1300 წლისათვის მის მიერ გაქრისტიანებულთა რაოდენობა 6 ათასიდან 20 ათასამდე აღწევდა. 1299 წელს მონტეკორვინმა პირველი კათოლიკური ეკლესია ააგო პეკინში. ამას მალევე მოჰყვა კიდევ ორი ეკლესიის აგებაც. 1307 წელს, რომის პაპის, კლემენტ V-ის ბულის თანახმად, მონტეკორვინი ხანბალიკის არქიეპისკოპოსი გახდა. ეს თანამდებობა მან იმით დაიმსახურა, რომ ნესტორიანელ ქრისტიანებს კათოლიკობაზე მოაქცევდა, რითაც განხეთქილება შეჰქონდა მონღოლი მმართველების მოწინააღმდეგეთა რიგებში. მონტეკორვინის მიერ მოქცეულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ასევე ჩინეთში მცხოვრებ სომხებს და ალანებს. მოგვიანებით ის „მთელი აღმოსავლეთის ეპისკოპოსი“ გახდა ანუ მას ექვემდებარებოდა ტერიტორია კასპიის ზღვიდან ჩინეთის აღმოსავლეთ საზღვრებამდე. იმავდროულად მას ეკავა წმინდა ფრანცისკის კათოლიკური ორდენის წევრთა მეთაურის პოსტი ჩინეთსა და ცენტრალურ აზიაში. 1318 წლიდან კი მონტეკორვინის დაქვემდებარებაში მოექცნენ ასევე ახლო აღმოსავლეთში და ოქროს ურდოში მქადაგებელი მისიონერები. აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა რუსეთს, კავკასიას, ყირიმს, ხორეზმს, დასავლეთ ციმბირს და სტეპებს – ირტიშიდან დნესტრ-

სა და დუნაიმდე. 32-წლიანი აქტიური მოღვაწეობის შემდეგ, 1328 წელს მონტეკორვინი ჩინეთში გარდაიცვალა. ამის შემდგომ 12 წლის მანძილზე კათოლიკური ეკლესია ჩინეთში მეთაურის გარეშე იყო.

იუენის პერიოდის ჩინეთში მოღვაწეობდა იტალიელი მოგზაური და ფრანცისკანელი მისიონერი ოდორიკო დე პორდენონე. 1316-1330 წლებში ის აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობდა (ინდოეთში, ინდონეზიაში.....), 1324 წელს კი ჩინეთში ჩავიდა და გარკვეული ხნის მანძილზე ხანბალიკში მონტეკორვინის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა. ის იყო შუა საუკუნეების პირველი ევროპელი, რომელმაც ტიბეტი მოინახულა მის დედაქალაქ ლჰასასთან ერთად. იგი წმინდა ადგილად იყო აღიარებული იუენის სამეფო კარზე.

ყუბილაი ყაენის ახლო გარემოცვაში იყო იტალიელი, ქალაქ პიზას მკვიდრი, ფრანცისკანელი ბერი იზოლი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მსახურობდა მონღოლ მმართველთა კარზე და განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა. დიდ დამსახურებათა გამო, 1276 წელს იგი წარგზავნეს იუენის იმპერიის ელჩის რანგში ჰულაგუიანთა იმპერიის კარზე სპარსეთში. იზოლი ცნობილი იყო როგორც კათოლიციზმის გულანთებული მქადაგებელი და მისიონერთა მფარველი; ამასთანავე, მუსლიმთა წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების სულისჩამდგმელი ჩინეთში. 1303-1304 წლებიდან ჩინეთში საქმიანობდნენ გერმანელი ფრანცისკანელი მისიონერი, ქალაქ კიოლნის მკვიდრი – არნოლდი, იტალიელი ვაჭარი პიეტრო დე ლუკალონგო და სხვები. ჩინეთში მონღოლთა სამეფო კარზე ვატიკანის უკანასკნელი ელჩობის ხელმძღვანელი იყო ფრანცისკანელი მისიონერი ჯოვანი მარინიოლი. ხსენებული ელჩობის შემადგენლობაში პაპმა ბენედიქტე XII-მ 1338 წელს 50 ადამიანი გაგზავნა, მათგან მხოლოდ ოცდათორმეტმა ფრანცისკანელმა ბერმა ჩააღწია ჩინეთში 1342 წელს. ელჩობა დიდი პატივით მიიღო იუენის დინასტიის უკანასკნელმა იმპერატორმა, ტოგონ თემურმა, რომლის კარზეც მარინიოლიმ ოთხი წელი დაჰყო. ამ ხნის მანძილზე ის ხშირად აწყობდა თურმე დისპუტებს იუდეველებთან, მუსლიმებთან და სხვა კონფესიების წარმომადგენლებთან. მისი გადმოცემით, იმხანად ჩინეთში მცხოვრები იუდეველები ისევე, როგორც მუსლიმები და ნესტორიანელები, კათოლიკეებს უყურებდნენ როგორც კერპთაყვანისმცემლებს. ჩინეთის შემდეგ მარიონელი დაახლოებით რვა წელი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოგზაურობ-

და, რის შემდეგაც ის ავინიონში დაბრუნდა საჩუქრებითა და ტოგონ თემურ ყაენისგან პაპისათვის გაგზავნილი წერილით. იმხანად პაპი უკვე ინოკენტი VI იყო. აღსანიშნავია, რომ მე-13 საუკუნის მიწურულს არქიეპისკოპოსის პოსტი ჩინეთში ეკავა ფრანგ ფრანცისკანელს, შარლს, 1384 წელს კი ვატიკანმა პეკინში საეპისკოპოსო გააუქმა.

ზემოთ ხსენებულ ევროპელთა მოგზაურობები და მოღვაწეობა ჩინეთსა და ცენტრალურ აზიაში წარმოგვიდგენენ ბოლო ფურცლებს მონღოლთა ეპოქის ისტორიიდან, ხოლო მათი ეპისტოლარული მემკვიდრეობა ძვირფასი პირველწყაროა რომის კათოლიკური ეკლესიის ანკლავების საქმიანობის შესახებ იუენის ჩინეთში. მათ მიერ დატოვებული ცნობები საფუძლად დაედო შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში პირველ რეალურ ინფორმაციას ჩინეთისა და რეგიონის სხვა ქვეყნების შესახებ.

ხაზგასასმელია, რომ მე-13-14 საუკუნეებში ჩინეთში ფართოდ არ გავრცელებულა ევროპული კულტურულ-რელიგიური ზეგავლენა, რადგანაც ვაჭრებს მხოლოდ სავაჭრო ინტერესები ამოძრავებდათ, ხოლო კათოლიკე მისიონერები იმ ეტაპზე უფრო მეტად დაზვერვით სამუშაოებს ეწეოდნენ, ინფორმაციის შეგროვებით ნიადაგს ამზადებდნენ სამომავლო ფართომასშტაბიანი საქმიანობისათვის. რა თქმა უნდა, მისიონერული მოღვაწეობაც მიმდნარეობდა, მაგრამ მომდევნო ხანებთან შედარებით, მცირე დოზით, ევროპელების მეორე ტალღის გამოჩენა და კათოლიციზმის ინტენსიური გავრცელება ჩინეთში უკავშირდება დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ხანას მე-15 საუკუნის მიწურულს და მე-16 საუკუნეში, როდესაც ევროპელებმა გაკვალეს საოკეანო გზები, განავითარეს საწყალოსნო ვაჭრობა მსოფლიოს შორეულ რეგიონებთან და დაიწყეს კოლონიური ექსპანსია აზია-აფრიკის მიმართულებით.

სავაჭრო-ეკონომიკური ვითარება

ჯერ კიდე უღედეის ზეობის პერიოდიდან (1229-1241 წწ.) მონღოლთა უმაღლესი ფენა აქტიურად ჩაება საქარავნო ვაჭრობაში, რაშიც მათ უმთავრესად მუსლიმი ვაჭრები უწევდნენ დახმარებას. ყუბილაიმ კიდევ უფრო გააფართოვა სავაჭრო ურთიერთობების არეალი როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის მიმართულებით, რამაც ქვეყანაში ვაჭრობის არნახულ აყვავებას შეუწყო ხელი. არაბ, სპარსელ, ინდოელ და ევროპელ ვაჭრებს ჩინეთში შეჰყავდათ ცხენები, შეჰქონდათ ხალიჩები, ძვირფასი ქვები, სანელებლები, ჩინეთიდან კი გაჰქონდათ აბრეშუმი, კერამიკა, ფაიფური და ფუფუნების საგნები (სურ. 142). რაც შეეხება საშინაო ვაჭრობას, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური ვითარებისა, ის გარკვეული დოზით განვითარებას აგრძელებდა. ხელისუფლება შესანიშნავად აცნობიერებდა ვაჭარ-ხელოსანთა საქმიანობის სარგებელს ხაზინისათვის. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ქალაქების და მოსახლეობის დარბევისას, მონღოლები მათ (ასევე მხატვრებს, სწავლულებს, სხვადასხვა ხელობის ოსტატებს) სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ და თვიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ. ხელისუფლება ყველანაირად ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ის, რომ მთავრობამ ნებართვა გასცა სუნგის პერიოდის ქაღალდის ფულის კონვენტირებაზე იუენის ფულად სისტემაში და ხელს უწყობდა ცირკულარში მის შენარჩუნებას.

აღსანიშნავია ასევე, რომ საფუძვლიანად იქნა შეკეთებული ე. წ. დიდი არხი[1], (რომელიც ჩრდილოეთ ჩინეთის დაპყრობის



სურ. 142 ცხენების მოყვანა და კვება

[1] დიდი არხი – ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ჰიდროტექნიკური ნაგებობა მსოფლიოში, რომელიც მე-7 საუკუნის დასაწყისში სუეის დინასტიის დროს გაიყვანეს. ამჟამად არხი ჩინეთის შიდა წყლის უმთავრესი არტერიაა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ქვეყნის ორ უდიდეს ნავსადგურს – შანხაისა და თიენძინს, მათ შორის მდებარე სხვა ქალაქებს, მდინარეებს – იანგწისა და ხუანგხეს, ასევე რამდენიმე ტბას.



სურ. 143 ძინგტეჭენის ცისფრად მოხატული ფაიფური წითელი მინანქრით

დროს დაზიანდა), რათა საქონლისა და სხვადასხვა ტვირთის გადაზიდვები შეუფერხებლად მომხდარიყო. მონღოლთა ხელისუფლება, ისევე როგორც მისი წინამორბედი სუნგის დინასტია, მონოპოლიას ინარჩუნებდა მარილის, ფერადი და ძვირფასი მეტალის, ჩაის, ღვინის და აბრეშუმის ვაჭრობაზე, საიდანაც უზარმაზარ შემოსავალს იღებდა. ხსენებულ პერიოდში განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია ფაიფურის წარმოებამ (ვაზები, სხვადასხვა სახის ჭურჭელი, ფუფუნების ნივთები და სხვ.), დიდი რაოდენობით იგებოდა ფაიფურის გამოსაწვავი ღუმელები, რომლებშიც ძველთან ერთად ახალი დეკორატიული სტილი იქნა შემუშავებული ე.წ. ლურჯ-თეთრი ფაიფური, რომელიც ექსპორტში გადიოდა. ყველაზე ცნობილი ამ პერიოდიდან ცისფერი და ვარდისფერი მოჭიქული ფაიფურია. მთელ ჩინეთში ფაიფურის წარმოების განთქმული უმთავრესი ცენტრი იყო ქალაქ ძინგტეჭენი, რომელსაც ფაიფურის დედაქალაქს უწოდებდნენ (სურ. 143).

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩრდილოეთ ჩინეთის ეკონომიკა მთლიანობაში მძიმე ვითარებაში იყო და დიდი ხნის მანძილზე დეზორგანიზია ახასიათებდა, რადგან გამანადგურებელი საომარი ოპერაციები სწორედ ამ მხარეში მიმდინარეობდა. შესაბამისად, ქვეყნის ძირითადი ბეღელი სამხრეთი გახდა. მომდევნო ხანებში სამხრეთის ჩინელი ფეოდალების ეკონომიკური პოზიციები კიდევ უფრო გაძლიერდა, მიუხედავად იმისა, რომ მონღოლი მმართველები ყველანაირი საშუალებებით ცდილობდნენ ამ პროცესისთვის ხელი შეეშალათ. ჩინეთის მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა მონღოლთა საგადასახადო სისტემა, რომელიც განსაკუთრებული სირთულით და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. არანაკლებ მძიმე იყო დამპყრობელთა ფინანსური პოლიტიკა, რომელმაც მე-14 საუკუნის დასაწყისში ინფლაცია გამოიწვია. ჯერ კიდევ ყუბილაი ყაენმა მთლიანად აკრძალა მეტალის მონეტების გამოშვება, რათა მიმოქცევაში ქა-

ღალდის ფული[2] დამკვიდრებულიყო. ჩინეთის სახელმწიფო ხაზინამ ქაღალდის ფული პირველად თანგის დინასტიის მმართველობის პერიოდში გამოუშვა, დაახლოებით 650 წელს, რომელსაც ფეი ციენი ანუ მფრინავი ფული ერქვა.

საწყის ეტაპზე ქაღალდის ფულის გამოშვება მკაცრად რეგლამენტირებული იყო, რამაც მისი საკმაოდ მყარი კურსი უზრუნველყო. მაგრამ დროთა ვითარებაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, ვერცხლის ნაცვლად უამრავი რაოდენობის ქაღალდის და ტყავის ფულის გამოშვება დაიწყეს, რამაც საშინელი ინფლაცია გამოიწვია. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ განსახილველი პერიოდის ჩინეთში მიმოქცევაში არსებულ ქაღალდის ფულის შესახებ ცნობებს გვანვდიან ევროპელი მოგზაურები და მისიონერები: გილიომ რუბრუკი, ოდორიკო დე პორდენონე, მარკო პოლო, არაბი მოგზაური იბნ-ბატუტა (1304-1378 წწ.), რომელიც გაოცებით გვაუწყებს, რომ „ჩინეთში ხალხი სავაჭრო საქმეებში არც ოქროს ფულს ხმარობს, არც ვერცხლისას.....ყველა ყიდვა-გაყიდვა ხდება ხელისგულისოდენა ქაღალდის ფურცლებით, რომლებზეც დასმულია იმპერატორის ბეჭდის ნიშანი".

იუენის ხელისუფლების იდეოლოგიური პოლიტიკა

თავისებურებებით გამოირჩეოდა განსახილველი პერიოდის ჩინეთში იდეოლოგიური ვითარება. ამთავითვე ხაზგასასმელია, რომ მონღოლები დაპყრობილ ქვეყნებში რელიგიურ ტოლერანტობას იჩენდნენ, ეკლესია-მონასტრებს და სასულიერო წოდების ორგანიზაციებს ყოველგვარი გადასახადებისგან ათავისუფლებდნენ. ამის თაობაზე ერთხმად აღნიშნავენ სხვადასხვა წერილობითი წყაროები (მათ შორის ქართველი მეისტორიე). ჩინეთში მოხვედრილ მონღოლთა უმეტესმა ნაწილმა ბუდიზმი მიიღო, განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი დაამყარეს მათ ტიბეტურ ბუდიზმთან – ლამაიზმთან. XIII საუკუნის შუა ხანებიდან მონღოლთა სასახლის კარის ოფიციალურ სარწმუნოებად სწორედ ლამაიზმი იქცა. ტიბეტის საქმეთა და ლამაისტური ეკლესიის უწყება, რომელიც სასახლის კარზე შეიქმნა, თავისი გავლენით დანარჩენ ცენტრალურ სამთავრობო ორგანოებს არ ჩამოუ-

ვარდებოდნენ. გადმოცემის თანახმად, ყუბილაი ყაენი უპირატესობას სწორედ ტიბეტურ ბუდიზმს ანიჭებდა, ვიდრე ქრისტიანობას. ამის მიზეზი ის იყო, რომ თურმე ტიბეტელმა ლამებმა მოახერხეს, რომ ღვინით სავსე ფიალა თავისით აწეულიყო ყაენის ტუჩებამდე, რაც ვერ შეძლეს ქრისტიანმა მისიონერებმა. ყუბილაიმ არა მხოლოდ სუნგის დინასტიის დიდებულთა სასახლეები აქცია ბუდისტურ ტაძრებად, არამედ გათხარა სუნგის საიმპერატორო სამარხები, რათა იქიდან ძვირფასეულობა ამოეღოთ ბუდისტური ტაძრების მშენებლობის ხარჯების დასაფარად. დამარცხებული სუნგის დინასტიის ერთგული მომხრეები კი მალულად იღებდნენ იქიდან თავიანთი იმპერატორების ძვლებს და დიდი პატივით ხელახლა მარხავდნენ.

მონღოლთა უკანასკნელი მმართველი ჩინეთში ტოგონ თემურ ყაენი ასევე გატაცებული იყო ტიბეტური ბუდიზმის რიტუალებითა და შელოცვებით, რის შესახებაც გვამცნობს ჩინური საისტორიო წყარო „იუენ ში“ (ანუ „იუენის ისტორია“). ტოგონ თემურ ყაენი პაპისადმი მიწერილ წერილში ითხოვდა, რომ გამოეგზავნა მისთვის ცხენები და დასავლური იშვიათი ნივთები, ასევე დაელოცა და თავის ლოცვებშიც მოეხსენებინა. მართალია, ის ლამაიზმის მიმდევარი იყო, მაგრამ თავის წინაპრების მსგავსად, რელიგიურ შემწყნარებლობას ამჟღავნებდა. ჩინეთის მოსახლეობისათვის ქრისტიანობა მაინც მიუღებელ უცხო სარწმუნოებად რჩებოდა, რომელიც „ბარბაროსთა“ დოქტრინას განასახიერებდა. როგორც ჩანს, ამიტომაც იყო წარუმატებლობით იმედგაცრუებული ზემოთ ხსენებული მონტეკორვინი, რომ მისიონერებმა ვერ მოახერხეს მონღოლი ყაენების თავიანთ რჯულზე მოქცევა. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ დღემდე არქეოლოგები პოულობენ კათოლიკური ტაძრების ნანგრევებს პეკინში, იანგჭოუში, ხანგჭოუში და სხვა ქალაქებში, ძველ საფლავებს ჯვრებითა და ანგელოზების გამოსახულებებით. სავარაუდოა, რომ ეს მონტეკორვინის აქტიური მოღვაწეობის შედეგი იყო, რომელმაც ჩინეთში დაახლოებით ათი ათასი ადამიანი მოაქცია კათოლიკობაზე. მისი აზრით, „რომ არა ნესტორიანელები, ის 30 ათას ადამიანსაც მონათლავდა“. საყურადღებოა, რომ მისი ქადაგებები განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა მართლმადიდებლებში და გრიგორიანელებში, ჩინეთის სომხურ დასახლებებში. მონტეკორვინის სიტყ-

ვით, მათ შორის „პატივსაცემი, განათლებული და წმინდა ადამიანის სახელი მოიპოვა“.

ხელისუფლების მხრიდან გარკვეული პრივილეგიებითა და მფარველობით სარგებლობდნენ ბუდისტები, ნესტორიანელი ქრისტიანები და პირველ ხანებში – ტაოიზმის ბერ-მონაზვნები. კერძოდ, აკრძალული იყო მათი შეურაცხყოფა, მათთვის ზიანის მიყენება. ამასთანავე, ისინი განთავისუფლებულები იყვნენ გადასახადებისაგან. ნესტორიანული ეპარქიები გახსნილი იყო პეკინში, ხანგჭოუში, სიანში და სხვა ქალაქებში. როგორც ცნობილია, ყუბილაის დედა ნესტორიანელი ქრისტიანი იყო. შესაბამისად, ის და მისი ძმები ქრისტიანულ ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილნი, თუმცა მონათლულები არ ყოფილან. თავისი ზეობის უკანასკნელ წლებში ყუბილაი ნესტორიანულ ეკლესიას დაუპირისპირდა, დედის ოჯახურ ტრადიციებსაც განუდგა და ბუდიზმი მიიღო. იუენის იმპერიაში ფართო გავრცელება ჰპოვა სატაძრო მიწათმფლობელობამ. ბუდისტური და მასთან შედარებით მცირე დოზით ტაოსური მონასტრები, შემოწირულობით მიღებული მიწების გარდა, თავიანთ სამფლობელოებს აფართოებდნენ მიწების ყიდვითა და მიტაცებითაც. ასე რომ, ისინი უზარმაზარ ქონებას და ადგილ-მამულებს ფლობდნენ, რომლებიც თავისუფალი იყო ფისკალური ვალდებულებებისაგან სახელმწიფოს წინაშე და მუდმივ საკუთრებად ითვლებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ პერიოდში ტაოსური ეკლესიის მცდელობამ ბუდიზმის გავლენის შესუსტების მიმართულებით, მარცხი განიცადა.

იუენის ხელისუფლება მზრუნველობას იჩენდა დასავლეთიდან ჩინეთში ჩასული მუსლიმური თემის წარმომადგენელი ვაჭრებისა და მევახშეების მიმართ, რომელთა რაოდენობა სულ უფრო მატულობდა. ხაზგასასმელია, რომ მონღოლთა ბატონობის პერიოდში ისინი უზარმაზარ ეკონომიკურ ძალასა და პოლიტიკურ გავლენას ფლობდნენ ჩინეთში, რამაც საბოლოოდ, მე-14 საუკუნეში ჩინელ მუსლიმთა ეთნო-რელიგიური თემის წარმოშობა განაპირობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, პოზიტიურად ხვდებოდნენ მონღოლი მმართველები პირველ კათოლიკე მისიონერებსაც, რომლებიც იმ ეტაპზე ჯერ კიდევ მოკრძალებულად ასრულებდნენ თავიანთ რელიგიურ მისიას, უფრო მეტად დაზვერვით საქმიანობას ეწეოდნენ და ნიადაგს ამზადებდნენ სამომავლო აქტიური მოღვაწეობის გასაშლელად. როგორც ჩანს,

ზემოხსნებული შელავათების მინიჭებით ხელისუფლება იმედოვნებდა სხვადასხვა კონფესიების მასობრივი აგიტატორების როლში გამოყენებას. რამდენადაც ეკლესია, ზოგადად, ყველგან ძლიერი ორგანიზაცია იყო, ამიტომაც მასთან საერთო ენის გამონახვას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. სხვა სარწმუნოებებისაგან განსხვავებით, კონფუციზმი და მისი მიმდევრები ხელისუფლების მფარველობით არ სარგებლობდნენ. კონფუცისტებიც, თავის მხრივ, მონღოლ მმართველებს უნდობლად და ეჭვით უყურებდნენ, რადგან შიშობდნენ, რომ ისინი საფრთხეს უქმნიდნენ არსებულ ძველ ტრადიციებსა და რიტუალებს. თუმცა ყუბილაის მიერ დაკანონებული მმართველობის ფორმა სახელმწიფოსთან შეზრდილი ამ მოძღვრების მთავარი პოსტულატების გაზიარების აუცილებლობას გულისხმობდა. ამის ნათელი დასტურია 1287 წელს უმაღლესი რანგის კონფუციური კადრების სამჭედლოს, ე.წ. „მამულიშვილთა აკადემიის“ დაფუძნება, ასევე სახელმწიფო საგამოცდო სისტემის აღდგენა (1315 წ.), სამეცნიერო წოდების ან თანამდებობის მისაღებად, რითაც აღდგენილ იქნა განათლების კონფუციური სისტემა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც უპირატესობა მონღოლებსა და მუსლიმური ქვეყნებიდან ჩამოსულებს ენიჭებოდა. ასე რომ, მთლიანობაში კონფუციზმმა უწინდელი პრიორიტეტული სტატუსი იუენის დინასტიის მმართველობის პერიოდში მაინც ვერ მოიპოვა. დაბოლოს, რელიგიის საკითხებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ მონღოლთა სასახლის კარზე ჩვეულებრივი მოვლენა იყო დისპუტების გამართვა ქრისტიანობის სხვადასხვა კონფესიების, ისლამის, ბუდიზმის, ტაოიზმის, კონფუციზმის, იუდაიზმის მიმდევრებს შორის. ცხადია, რომ მათ შორის იყო დაპირისპირების პერიოდებიც, რაც უკავშირდებოდა ქვეყანაში არსებულ კონკრეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციას. მთლიანობაში, თიოეულმა ზემოთ ხსენებულმა სარწმუნოებამ მეტნაკლები დოზით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იუნის იმპერიაში.

ჩინეთში ბატონობის მეორე ეტაპზე მონღოლმა მმართველებმა გააცნობიერეს, რომ პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის მათ ევროპელები არ გამოადგებოდათ, რადგან ამ უკანასკნელთ მხოლოდ საკუთარი სავაჭრო ინტერესები და მეტი მოგების მიღება ამოძრავებდათ. აქედან გამომდინარე, მათი დამოკიდებულება ევროპელთა მიმართ თანდათან შეიცვალა პოზიტიურიდან ნეგატიურით

და ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ჩინელ დიდებულთა დაახლოება-გადმობირება. მით უმეტეს, აშკარა იყო, რომ ჩინელ ჩინოვნიკთა დახმარების გარეშე, მონღოლებს არ ძალუძდათ უზარმაზარი იმპერიის მართვა. მათი პრიმიტიული საზოგადოებრივი ცხოვრების წესი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სამეურნეო პრობლემები დამოუკიდებლად მოეწესრიგებინათ. სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, მონღოლებს გადასახადებისა და აღწერის საქმეებში ჩინელი და მაჰმადიანი ვაჭრები ეხმარებოდნენ. ასე რომ, მონღოლმა მმართველებმა ადგილობრივ დიდებულებთან თანამშრომლობა და გარკვეული კომპრომისული ნაბიჯების გადადგმა დაიწყეს. თავის მხრივ, ჩინელ ფეოდალთა ერთი ნაწილი ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, გამოსავალს მონღოლებთან შეთანხმებაში ხედავდა და ნებსით თუ უნებლიეთ, მათ სამსახურში დგებოდა. ხელისუფლების მხრიდან კომპრომისი იყო ასევე ის, რომ იძულებული გახდა უარი ეთქვა მონღოლური ენის სტატუსზე, როგორც ერთადერთ სახელმწიფო ენაზე; მონღოლთა მცდელობა, რომ გაეუქმებინათ რთული ჩინური იეროგლიფიკა და შემოეღოთ ე.წ. კვადრატული დამწერლობა, რომელიც ტიბეტელმა სწავლულმა – ლამა პაკბამ ტიბეტური ანბანის საფუძველზე შექმნა (1269 წ.), მარცხით დასრულდა. ამგვარად, კვლავ გზა გაეხსნა ჩინური იეროგლიფური დამწერლობის თავისუფალ განვითარებას.

იუენის დინასტიის დასუტება და დამხობა

სამხედრო ძლიერების მიუხედავად, მონღოლთა იმპერია შინაგანი სიმტკიცით არ გამოირჩეოდა, რადგანაც პერმანენტულად მიმდინარე შიდა ომები მას თანდათან უთხრიდა ძირს. განსაკუთრებით გამწვავდა დაპირისპირება ყუბილაის გარდაცვალების შემდეგ (1294 წ.) მის შთამომავლებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ დიდი ყაენის ტახტს. ფაქტობრივად, ყუბილაის ზეობის ხანაში მიაღწია იუენის იმპერიამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია, შემდგომ ხანებში კი მისი დაღმასვლის პროცესი დაიწყო. ხანმოკლე წინსვლით აღინიშნა იმპერატორ უენ წუნგის ზეობის ხანა, რომელიც 1311 წელს მოვიდა ხელისუფლების სათავეში. ის იყო პირ-

ველი იმპერატორი, რომელმაც ჩინურად წერა-კითხვა აითვისა და შესაბამისად, დამოკიდებულებაც შეეცვალა ჩინეთის მიმართ. 1313 წელს მან აღადგინა თანამდებობების დასაკავებლად ადრე არსებული სახელმწიფო გამოცდების სისტემა. 1320 წელს სამეფო ტახტი მისმა ვაჟმა – ინგ ნუნგმა დაიკავა, რომელიც მამის ლიბერალურ პოლიტიკას აგრძელებდა ჩინელებთან ურთიერთობის კუთხით, მაგრამ ოპოზიციურმა ძალებმა მალე ის სიცოცხლეს გამოასალმეს. ამის შემდეგ ქვეყანაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა. სიტუაცია კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა XIV საუკუნის 30-იან წლებში მონღოლთა უკანასკნელი იმპერატორის, ტოგონ თემურ ყაენის ზეობის ხანაში (1333-1367 წწ.), რომელიც 13 წლის ასაკში გამეფდა. ცნობილია, რომ იგი ლიბერალი, განათლებული პიროვნება, ჩინური ენისა და ტრადიციების კარგი მცოდნე, მაგრამ სუსტი მმართველი იყო. ეს აისახა მმართველი დინასტიის უფლებამოსილების არეალის შევიწროებაში, იმპერატორის ძალაუფლების შესუსტებაში, სახელმწიფოში წესრიგის რღვევაში, ჩინოვნიკთა განუკითხავ ქმედებებში და ა.შ. საიმპერატორო სასახლის კარი ტატუში გამუდმებული ინტრიგებისა და სისხლისმღვრელი შეტაკებების ასპარეზად იქცა.

შექმნილ კრიზისულ ვითარებას მე-14 საუკუნის 30-40-იან წლებში ერთვოდა გააქტიურებული ანტიმონღოლური სოციალური მოძრაობები, ქაღალდის ფული, რომელიც მონღოლებმა დიდი რაოდენობით შეიტანეს მიმოქცევაში, ინფლაციას განიცდიდა. ამას ერთვოდა მასობრივი შიმშილობა და სტიქიური უბედურებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1351-1352 წლებში მდინარე ხუანგხეს ადიდება, რომელმაც უზარმაზარი ტერიტორიები დაფარა ხუპეის, ხენანისა და შანტუნგის პროვინციებში და სხვ. ეს ყველაფერი, ცხადია, მასშტაბური სოციალური აფეთქების წინაპირობა გახდა. ასე რომ, მონღოლთა უღელის მოშორების შემდეგ, ჩინეთს მრავალი ათწლეული დასჭირდა, რომ ისტორიული განვითარების ჩვეულ გზას დაბრუნებოდა და თანდათანობით აღორძინების გზას დასდგომოდა.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, კონგლომერატ იმპერიაში ახალი ძალით აგორდა ჩაგრული ჩინელი მოსახლეობის ანტიმონღოლური გამოსვლების ტალღა, რომელიც ფართომასშტაბიან აჯანყებებში გადაიზარდა. ხელისუფლებისათვის ყველაზე საშიშ ძალად გამოიკვეთა ბუდისტური

რელიგიური ორგანიზაცია „თეთრი ლოტოსი“. თავდაპირველად მონღოლები მას რელიგიურ სექტად აღიქვამდნენ და დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, თუმცა მაინც დევნიდნენ მას. ხელისუფლების მხრიდან წნეხის გამო, ხსენებული დაჯგუფების წევრები იატაკქვეშეთში გადავიდნენ და იქიდან გააგრძელეს წინააღმდეგობა. პირველი მასშტაბური შეიარაღებული გამოსვლა „თეთრმა ლოტოსმა“ 1330 წელს მოაწყო ძიანგსის პროვინციაში, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის მიუხედავად, წლიდან წლამდე „თეთრი ლოტოსის“ არალეგალური ქმედებები სულ უფრო ფართო არეალს მოიცავდა – შანტუნგის, ხენანის, ხეპეის და სხვა პროვინციებს. 1330-1340-იან წლებში ორგანიზაციის გავლენის სფეროში უკვე მოქცეული იყო უზარმაზარი ტერიტორია ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციებიდან სჩუანამდე. საბოლოო ჯამში, სწორედ „თეთრი ლოტოსის“ აჯანყებების ციკლმა შეამზადა ნიადაგი შემდგომი საყოველთაო გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

მასობრივი ანტიმონღოლური შეიარაღებული აჯანყება 1351 წელს დაიწყო „თეთრი ლოტოსის“ აქტიური წევრის ლიოუ ფუთუნგის მეთაურობით. ისტორიაში მისი სამხედრო შენაერთი „წითელი არმიის“, ასევე – „წითელთავსაბურიანთა“ სახელით შევიდა (ასე ეწოდა მას, რადგან მოლაშქრეებს წითელი თავსაბურავები ჰქონდათ თავზე წაკრული). 1352 წლის დასაწყისში „თეთრი ლოტოსის“ მოძრაობის კიდევ ერთი დამოუკიდებელი ცენტრი აღმოცენდა ანხუეის სამხრეთ ნაწილში. მალე ხსენებული ძალები გაერთიანდნენ ჭუ იუენჭანგის მეთაურობით და ეტაპობრივად დაიწყო ჩინეთის პროვინციების მონღოლებისაგან განთავისუფლება. ჭუ იუენჭანგი (1328-1398 წწ.) ღარიბი გლეხის ოჯახიდან იყო, ადრე დაობლდა და იძულებული გახდა, ერთხანს თავი მოწყალებით ერჩინა. შემდეგ ბუდისტურ მონასტერში მსახურობდა. 1352 წელს ის აჯანყებულებს შეუერთდა და მალევე თავისი სიმამაცისა და ორგანიზატორული მონაცემების წყალობით სახელი გაითქვა. რიგით მეომართა რიგებიდან ის მთავარსარდლის რანგამდე დაწინაურდა. ჭუ იუენჭანგის დაჯგუფებამ უპირველეს მოთხოვნად წამოაყენა მონღოლთა დინასტიის დამხობა და ჩინური სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აღდგენა. მის მრავალრიცხოვან ლაშქარს, რომელიც თავდაპირველად გლეხებისგან და ღარიბი მოსახლეობისგან შედგებოდა, უერთდებოდნენ ადგილობრივი

ფეოდალები, ჩინოვნიკები, სამხედროები თავიანთი რაზმებით, ასევე კონფუცისტები, რომლებმაც მონღოლთა მმართველობის დროს ჩინები და პოსტები დაკარგეს. კონფუცისტმა სწავლულებმა ჭუ იუენჭანგს საბრძოლო-პოლიტიკური მოქმედებების პროგრამაც კი წარუდგინეს.

1355 წელს „წითელი არმიის" მოძრაობის მეორე ეტაპი დაიწყო. ლიოუ ფუთუნგის არმიამ იერიში მიიტანა მონღოლთა მთავარ სიმაგრეებზე ჩრდილოეთში, დაიკავეს ქალაქ ქაიფენი, რომელიც აჯანყებულთა დედაქალაქად გამოცხადდა. ჭუ იუენჭანგის ჯარმა კი 1356 წელს დაიკავა ქალაქ ნანძინგი – პირველი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი და აჯანყებულთა კონტროლის ქვეშ მოექცა უზარმაზარი ტერიტორია სამხრეთ ჩინეთში, რომელიც გაათავისუფლეს დამპყრობელთა მძიმე უღელისგან. იმავდროულად ჭუ იუენჭანგმა დაიწყო ხელისუფლების ადმინისტრაციული და სამხედრო ორგანოების ფორმირება, რომელთა ხელმძღვანელობა მთლიანად მისი მრჩეველი ჩინოვნიკებითა და ფეოდალებით დაკომპლექტდა. ამასთან ერთად, მიმდინარეობდა ღონისძიებები სამიწათმოქმედო წარმოების აღსადგენად და გადასახადების შესამცირებლად. აღწერეს მიწები, გაათავისუფლეს მონები, კონფისკაციით მიღებული მიწები უქონლებს დაურიგეს და სხვ. ჭუ იუენჭანგის მიერ განხორციელებული სამხედრო გარდაქმნები მდგომარეობდა არმიის დაკომპლექტების, განლაგებისა და თავდაცვის ახალ სისტემაში, ასევე მებრძოლთა სწავლების სრულყოფაში და დისციპლინის განმტკიცებაში. გარდა ამისა, ჭუ იუენჭანგი ცდილობდა აჯანყების მხარდაასაჭერად მოეზიდა განათლებული და ნიჭიერი ადამიანები გაბატონებული კლასის რიგებიდან, უმეტესწილად, კონფუცისტი სწავლულები, რათა ამ გზით მონღოლი მმართველები სრულ იზოლაციაში მოექცია. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ჩინელი მოსახლეობის მხრიდან სულ უფრო მზარდ თანადგომას ჭუ იუენჭანგის აჯანყებისათვის.

ქვეყანაში შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში ყაენის კარი იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო ჩრდილოეთის ჩინელ ფეოდალებთან, რათა თავის მხარეზე გადაებირებინა ისინი. ყველაზე მნიშვნელოვანი კომპრომისი ის იყო, რომ ჩინელ ფეოდალებს ნება დართეს საკუთარი საჯარისო ფორმირებები შეექმნათ, რომლებიც ფაქტობრივად, რეგულარულ სამთავრობო სადამსჯელო

ძალად ჩამოყალიბდებოდა. აღსანიშნავია ასევე, რომ ათწლეულების მანძილზე პირველად მონღოლებმა პირველ მინისტრად ჩინელი დანიშნეს. როგორც ჩანს, ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ 1363 წელს გაერთიანებულმა ჩინურ-მონღოლურმა არმიამ ლიოუ ფუტუნის აჯანყების ჩახშობა მოახერხა. თუმცა, „წითელი არმიის" მიერ ჩრდილოეთში მიყენებული ძლიერი დარტყმის შედეგად, იუენის დინასტია უკვე წელში ვეღარ გაიმართა. აღნიშნული საბრძოლო ოპერაციებით ჩინეთის ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში, „წითელთავსაბურიანებმა" ნიადაგი მოამზადეს შემდგომი ბრძოლების წარმატებული შედეგისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის.

აჯანყებულთა ერთობლივი ძალისხმევით XIV საუკუნის 60-იან წლების დასაწყისში მონღოლებმა ჩინეთში თითქმის ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რაიონი დაკარგეს. 1367 წლის მიწურულს დაიწყო მასშტაბური შეტევა ჩრდილოეთის მიმართულებით, ტატუსკენ (იგივე პეკინისკენ). საბოლოოდ, 1368 წლის დამდეგს აჯანყებულებმა დედაქალაქი ტატუ დაიკავეს. იუენის დინასტიის ბოლო იმპერატორმა მონღოლეთის სტეპებს შეაფარა თავი, რითაც დასრულდა კიდეც მონღოლთა ბატონობა ჩინეთში. იმავე წელს გამარჯვებულმა ჭუ იუენჭანგმა თავი იმპერატორად გამოაცხადა და ახალ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც უწოდა მინგი.

გაერთიანებული „წითელი არმიის" მოძრაობაში, რომელიც 1351 წელს დაიწყო, სახალხო გამათავისუფლებელი ბრძოლის ორი ნაკადი გადაეჯაჭვა ერთმანეთს – პატრიოტულ-ანტიმონღოლური და კლასობრივ-ანტიფეოდალური. მართალია, მოძრაობის სხვადასხვა ეტაპზე და განსხვავებული შემადგენლობის რგოლებში ეს მიმართულებები არაერთგაროვნად მჟღავნდებოდა, თუმცა მთლიანობაში ყველა ძალა მიმართული იყო უცხო დამპყრობელთა ბატონობის წინააღმდეგ. სწორედ ორივე მიმართულების შერწყმამ შესძინა ბრძოლას განსაკუთრებული სიმწვავე და მასშტაბურობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, აჯანყების მამოძრავებელ ძალები იყვნენ გლეხები, ქალაქების მოსახლეობა, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, ასევე ანტიმონღოლურად განწყობილი ჩინელი ფეოდალები და საზოგადოების სხვა ფენათა წარმომადგენლები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებულობა მეომარ ძალთა შემადგენლობაში ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში აისახებოდა ცალკეულ აჯანყებათა ხასიათზე, მათ მსვლელობასა და შედეგზე.

დაკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: უდავოა, რომ მონღოლთა ბატონობამ წარუშლელი უარყოფითი კვალი დატოვა ჩინეთის ისტორიაში. ის გახდა ქვეყნის ნორმალური განვითარების შეფერხების უმთავრესი მიზეზი. რომელსაც თან ახლდა ადგილობრივ საწარმოო ძალთა განადგურება, მოსახლეობის ეროვნული ჩაგვრა და სოციალური მდგომარეობის გაუარესება, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იუენის დინასტიის ბატონობის ხანაში გაცხოველდა აღმოსავლურ-დასავლური ურთიერთობები, წარმატებით ვითარდებოდა იმპერიაში ხელოსნობა-ვაჭრობა, განსაკუთრებით საგარეო ვაჭრობა, მე-14 საუკუნის შუა ხანებში საფეიქრო წარმოებაში კაპიტალისტური ტიპის სახელოსნოებიც კი გაჩნდა სამხრეთ ჩინეთში, სადაც ნაკლები იყო ბრძოლებისგან მიყენებული ზარალი. დაბოლოს, ხაზგასასმელია, რომ, ზოგადად, მონღოლებმა სხვადასხვა რეგიონში, დროთა ვითარებაში თავიანთი იდენტობა დაკარგეს და დაპყრობილი ეთნოსისა თუ ქვეყნის ადათ-წესები გაითავისეს. კერძოდ, უფრო მაღალგანვითარებული და ცივილიზებული ხალხისაგან ისინი იღებდნენ იმას, რაც მათთვის სასარგებლო და საჭირო იყო. ამის კლასიკური ნიმუშია სწორედ მათი ბატონობის პერიოდი ჩინეთში. თუმცა, ცხადია, რომ იყო პირუკუ გავლენაც, ანუ არაერთმა მონღოლურმა ტერმინმა და ადათ-წესმა თავისი კვალი დატოვა მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

მინგის დინასტია

მინგის დაარსება – ჭუ იუენჭანგი

მინგის დინასტია ჩინეთის უკანასკნელი ჩინური დინასტია იყო. მონღოლთა მმართველობის შემდეგ ხანელებმა ისევ დაიბრუნეს კონტროლი ჩინეთზე. მინგის დინასტიამ თითქმის აღადგინა თანგის დროინდელი სახელმწიფო საზღვრები, რომლებიც ბოლო ოთხი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა სამეფოს ეკავა. მინგის პერიოდში განხორციელდა არაერთი მასშტაბური პროექტი, რომელთა ნაწილიც დღემდე შემორჩა. ამ პერიოდის ცვლილებებიდან ყველაზე მთავარი მაინც საზოგადოების და პოლიტიკურ სტრუქტურაში განხორციელებული რეფორმებია. ამ ცვლილებებმა დიდი გავლენა იქონია ჩინური საზოგადოების განვითარებაზე და თვით დინასტიის დაცემაზეც.



სურ. 144 მინგის დინასტიის დამაარსებელი – ჭუ იუენჭანგი (მინგ თაი წუ)

1368 წლის 23 იანვარს ჭუ იუენჭანგმა ნანძინგში იმპერატორად გამოაცხადა თავი, ახალ დინასტიას კი მინგი, ანუ ნათელი უწოდა (სურ. 144; სურ. 145). იმპერატორმა ზეობის ეპოქის სახელად[1] აირჩია „ხუნგ-უ“, რაც დიდ სამხედრო იმპერატორს ნიშნავს. იმავე წელს მან იუენის დინასტიის წინააღმდეგ გაგზავნა არმია, რომელმაც მოწინააღმდეგე დაამარცხა და იუენის დედაქალაქი ტატუ[2] (თანამედროვე პეკინი) აიღო. მომდევნო ათწლეული იმპერიის ტერიტორიული მთლიანობის აღდგე-

[1] მინგისა და ცინგის დინასტიის იმპერატორები სწორედ ზეობის ეპოქის სახელით მოიხსენიებიან.

[2] 大都 ტატუ – დიდი ქალაქი. ქალაქის აღების შემდეგ მას სახელი გადაარქვეს და პეიფინგი ანუ ჩრდილოეთის მშვიდობა უწოდეს.



სურ. 145 ნანკინში მინგის სასახლის ნანგრევები

ნას დასჭირდა. 1381 წელს მინგის ჯარებმა აიღეს სჩუანის პროვინციაც და ამგვარად ჩინეთი კვლავ ჩინური დინასტიის მმართველობის ქვეშ გაერთიანდა.

ტახტზე ასვლის შემდეგ ჭუ იუენჭანგის ენთუზიაზმი არ შენელებულა. პირიქით, იგი მიიჩნევდა მთელი ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რეფორმატორ იმპერატორად. მისი რეფორმები შეეხო ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. უპირველეს ყოვლისა, მან გადაწყვიტა ძალაუფლების მაქსიმალური კონსოლიდაცია. შიდა განხეთქილების აღკვეთის მიზნით, ჩამოაყალიბა საიდუმლო პოლიცია, რომელიც უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდა და ხელისუფლების სხვა შტოებთან არანაირი შეხება არ ჰქონდა. საიდუმლო პოლიციას უფლება ჰქონდა სასამართლო განჩინების გარეშე დაეკავებინა ან სიკვდილით დაესაჯა პიროვნება. საიდუმლო პოლიციის მოხსენებაზე დაყრდნობით ჭუ იუენჭანგმა 1380 წელს სიკვდილით დაასჯევინა ყოფილი თანამებრძოლი და იმპერიის მთავარი ვეზირი ხუ ვეიიუნგი (1301-1380 წწ.) და პირველი ვეზირის თანამდებობა გააუქმა. ამ ინციდენტის შემდეგ იმპერატორის ხელისუფლება კიდევ უფრო კონსოლიდირებული გახდა. ძალაუფლების ბერკეტების კონტროლის მიზნით ჭუ იუენჭანგმა იმპერია საუფლისწულოებად დაჰყო და საკუთარი შვილები ჩაუყენა სათავეში. მემკვიდრეობითი გახადა მთელი რიგი თანამდებობებისა, არისტოკრატებს კი გარკვეული პრივილეგიები მიანიჭა, მაგრამ რეალურ ძალაუფლებას ჩამოაშორა. გარდა ამისა, საჭურისებს აუკრძალა განათლების მიღება და სახელმწიფო საქმეებს მაქსიმალურად ჩამოაცილა. ამ მეთოდებით მმართველობის პირველივე წლებში იმპერატორმა გაამყარა საკუთარი ხელისუფლება და ადმინისტრაციული აპარატის მუშაობაც მოაწესრიგა.

მინგის დინასტიის დაარსებასთან ერთად მოიშალა ბევრი მონღოლური წესი. მაგალითად, აიკრძალა ტრადიციული ხანის სამოსის გარდა სხვა სამოსის ტარება. დიდი რეფორმაცია განხორციელდა

ადმინისტრაციის სისტემაშიც. უცხოელი მოხელეები გაათავისუფლეს და აპარატი მთლიანად ჩინელებით დააკომპლექტეს. შენარჩუნდა ტრადიციული საიმპერიო გამოცდები, თუმცა გარკვეული ცვლილებები შეიტანეს სასწავლო მასალაში. ახლა კიდევ უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებდნენ კონფუციურ და ნეოკონფუციურ ნაწარმოებებზე.

როგორც გლეხის ოჯახში დაბადებული, კარგად იცნობდა საზოგადოების დაბალი ფენების გაჭირვებას, ჭუ იუენჭანგი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა სოფლის მეურნეობის განვითარებას. მას მიაჩნდა, რომ სოფლის მეურნეობა უნდა ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკის საყრდენი. ეს ხედვა შენარჩუნდა დინასტიის არსებობის განმავლობაში. მისი მმართველობის პერიოდში ჩატარდა მიწების დანაწილების რეფორმა. ერთ-ერთი მეთოდი იყო გლეხების გადასახლება მჭიდროდ დასახლებული რეგიონიდან აუთვისებელ მიწებზე. შედეგად, 90-იანი წლების დასაწყისში იმპერიის მასშტაბით დამუშავებულმა მიწებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია.

იმპერატორს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა ვაჭრებისადმი. ამას ხელს უწყობდა ვაჭრების დაბალი სტატუსიც კონფუციურ საზოგადოებრივ სისტემაში. სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად ვაჭრობა ძალიან იზღუდებოდა. განსაკუთრებით დიდი დარტყმა მიიღო საგარეო ვაჭრობამ. საკუთრივ ჭუ იუენჭანგი ერთგვარად ჩაკეტილი საზღვრების პოლიტიკას ატარებდა ვაჭრობაშიც. მან აკრძალა საგარეო ვაჭრობა. ჩინელ ვაჭრებს არ შეეძლოთ უცხოელებთან საქმის წარმოება და უცხოელებსაც აკრძალული ჰქონდათ პორტში შემოსვლა. ამ კანონის დარღვევა სიკვდილით ისჯებოდა. საგარეო ვაჭრობის აკრძალვამ გამოიწვია კონტრაბანდის აყვავება. იაპონელი და ჩინელი მეკობრეები ჩინეთის სანაპირო სივრცის მოუშორებელ ჭირად იქცნენ დინასტიისათვის. მაშინ როცა იუენის დინასტიის დროს ჩინეთი საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი იყო, მინგის დინასტიამ პირველივე წლებში მოაშთო ყოველგვარი საგარეო ვაჭრობის განვითარების იდეა.

ასეთივე უარყოფითი იყო ჭუ იუენჭანგის დამოკიდებულება საგარეო პოლიტიკისადმი. ხანის დინასტიიდან მოყოლებული ჩინეთი შორეული აღმოსავლეთის პოლიტიკური კლიმატის მთავარ განმსაზღვრელ ძალად გვევლინებოდა. მინგის დინასტიის ჩამოყალიბებიდან

კი დაიწყო ერთგვარი პასიური პოლიტიკის პერიოდი. ჭუ იუენჭანგს არასოდეს არ უწარმოებია დაპყრობითი ან სადამსჯელო ომები. სავარაუდოდ, ამგვარად იმპერატორს სურდა მთელი ენერგია და რესურსები შიდა პოლიტიკის სტაბილიზაციისაკენ მიემართა.

ჭუ იუენჭანგმა გაატარა მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმები. მან საზოგადოება დაყო პროფესიულ ჯგუფებად: სამოქალაქო ოჯახები, სამხედრო ოჯახები, მარილის მუშები და სხვა. აღნიშნული ჯგუფების წევრობა მემკვიდრეობითი იყო და ერთიდან მეორეში გადასვლა იკრძალებოდა. საინტერესოა, რომ მიუხედავად პასიური საგარეო პოლიტიკისა, ქვეყნის სამხედრო მზადყოფნა არ შესუსტებულა. სამხედრო ოჯახებს ევალებოდათ ოჯახიდან გამოეყვანათ ერთი მეომარი და ერთი რეზერვი. მშვიდობიანობის დროს ისინი მათზე განაწილებულ მიწას ამუშავებდნენ და რეგულარულ წვრთნას გადიოდნენ. ომის დროს კი მითითებულ ადგილზე გადაადგილდებოდნენ და საომარი ოპერაციების დასრულების შემდეგ ისევ უბრუნდებოდნენ თავიანთ პოსტებს. მინგის დინასტიის არმია მე-14 საუკუნის ბოლოს 1 200 000 ჯარისკაცს მოითვლიდა.

ჭუ იუენჭანგი, გარდა ერთ-ერთი ყველაზე რეფორმატორი იმპერატორის სტატუსისა, ასევე ატარებს გამორჩეულად სასტიკი იმპერატორის ტიტულსაც. ის დაუნდობელი იყო განაჩენის გამოტანისას. ტახტზე ასვლის შემდეგ მას გაუჩნდა ავადმყოფური შიში თავისი ყოფილი თანამებრძოლებისადმი. იგი მათში ხედავდა ახალი ამბოხების საფრთხეს. საიდუმლო პოლიციის მთავარი დანიშნულებაც სწორედ ჭუ იუენჭანგის სამეგობრო წრის კონტროლი და დაკვირვება იყო. ხუ ვეიიუნგის „ღალატის" გამოვლენის შემდეგ, აღადგინეს ჩინეთის ისტორიაში ყველაზე სასტიკი სასჯელი – „ცხრა თაობის ამოწყვეტა"[1], ანუ სიკვდილით ისჯებოდა არა მარტო ბრალდებული, არამედ მთელი მისი სანათესაო. მსგავსი სასჯელი მიიღო ყველამ, ვისთანაც ხუს რაიმე შეხება ჰქონდა. საერთო ჯამში 15 ათასი ადამიანი შეეწირა ამ წმენდას. მსგავსი სცენარი განვითარდა 1390 და 1393 წლებში დამსახურებული ვეზირის, ლი შანჩანგისა (1314-1390 წწ.) და სარდალ ლან იუს სახელმწიფოს ღალატის ბრალდების

[1] ეპოქების მიხედვით განსხვავდებოდა „ცხრა თაობის" მნიშვნელობა. მინგის დინასტიის დროს იგი მოიცავდა მამის მხრიდან 4 თაობას, დედის მხრიდან სამ თაობას და ცოლის მხრიდან ორ თაობას.

ნაყენებისას. ზუსტად არავინ იცის. სულ რამდენი ადამიანი შეეწირა იმპერატორის ავადმყოფურ შიშს, მაგრამ ათიათასობით იზომება მსხვერპლთა რაოდენობა.

1398 წელს ჭუ იუენჭანგი გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა მისი შვილიშილი იმპერატორ ძიენვენის ტიტულით. ჭუ იუენჭანგმა დიდი გზა გაიარა გლეხის ოჯახიდან მსოფლიოს უდიდესი იმპერიის ტახტამდე. მან ჩინეთი ქაოსიდან კვლავ სტაბილურ რელსებზე დააბრუნა. ბუნებრივია, იგი იყო ძალიან ექსცენტრიკული, ნიჭიერი, ენერგიული და მიზანდასახული პიროვნება. მის მიერ გატარებული რეფორმების გავლენა საუკუნეების განმავლობაში შეინიშნებოდა ჩინურ საზოგადოებაზე. დღემდე ის მიჩნეულია, როგორც ჩინეთის მთელ ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო იმპერატორი.

იმპერატორი ძიენვენი და ძინგნანის კამპანია

ჭუ იუენჭანგი საკმაოდ დღეგრძელი იმპერატორი იყო. მისი უფროსი შვილი და ტახტის მემკვიდრე მასზე ადრე გარდაიცვალა. ტახტისთვის ბრძოლის თავიდან ასაცილებლად იმპერატორმა ხუნგუმ სიცოცხლის ბოლო წლებში გამოსცა ბრძანება, რომ მხოლოდ იმპერატორისა და მისი პირველი ცოლის, ან სხვა კანონიერი ცოლის (და არა ხარჭის) შვილებზე შეიძლებოდა გადასულიყო ტახტი. შესაბამისად, როცა ჭუ იუენჭანგი გარდაიცვალა, ტახტი მისმა უფროსმა შვილიშვილმა დაიკავა, რომელიც ცნობილია როგორც იმპერატორი ძიენვენი.

ახალი იმპერატორის მთავარი საზრუნავი ძალაუფლების კონსოლიდირება იყო. საქმე ისაა, რომ სწორედ ძალაუფლების კონსოლიდირების მიზნით თავის დროზე ჭუ იუენჭანგმა თავისი შვილები გაგზავნა სხვადასხვა პროვინციაში. დროთა განმავლობაში უფლისწულებმა საკუთარ პროვინციებში გაიმყარეს პოზიციები. ჩინეთის ისტორიას კარგად ახსოვს, თუ რამდენად საშიში შეიძლება იყოს რეგიონებში გამაგრებული სამეფო ოჯახის წევრები. ხანისა და ძინის დინასტიებში სწორედ ამ მიზეზის გამო დაიწყო გრანდიოზული სამოქალაქო ომები, რომლებსაც დასავლეთი ძინის დინასტია შეეწირა კიდეც. იმპერატორი ძიენვენი ცდილობდა თავიდან აღეკვეთა მო-



სურ. 146 მინგის დინასტიის ერთ-ერთი დედაქალაქის – ნანძინგის ნაწილი

მავალი გართულებები. ტახტზე ასვლიდან მალევე იმპერატორმა ნელ-ნელა დაიწყო ბიძების მოშორება: ზოგი დააკავა, ზოგს ტიტულები ჩამოართვა, ზოგი გადაასახლა. იმპერატორის მცდელობა, განეიარაღებინა უფლისწულების ავტონომია წარმატებულად მიდიოდა, თუმცა მალე ძიენვენი მთავარ მოწინააღმდეგეს გადააწყდა, იენის მეფეს, ჭუ ტის.

ჭუ ტი ჭუ იუენჭანგის მეოთხე შვილი იყო. მას თანამედროვე პეკინის მიმდებარე ტერიტორია ერგო სამართავად. ტახტზე ასვლის შემდეგ ახალი იმპერატორი მასზე განსაკუთრებით ეჭვიანობდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ, როცა ჭუ ტი ნანძინგში მიდიოდა შეიარაღებულ დაცვასთან ერთად მამამისის სამარხის სანახავად, იმპერატორის ბრძანებით ის უკან გააბრუნეს (სურ. 146). მომხდარმა ინციდენტმა და ძიენვენის მიერ უფლისწულების ჩამოშორებამ ჭუ ტი არჩევანის წინაშე დააყენა – აჯანყება ან დანებება. მან პირველი არჩია და 1399 წელს დაიწყო ე.წ. ძინგნანის კამპანია, რომელიც სამ წელს გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ ჭუ ტის ოფიციალურად იმპერატორის წინააღმდეგ არ გაულაშქრია, არამედ მისი მიზანი იყო იმ „ბოროტი მოხელეების" დასჯა, რომლებიც თურმე იმპერატორს ტვინს უმღვრევდნენ. სამწლიანი კამპანია გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ჭუ ტის მხარს უჭერდა საჭურისების მთელი ინსტიტუტი, რადგან ისინი ჯერ ჭუ იუენჭანგის და შემდეგ ძიენვენის მიერ ძლიერ შევიწროებულნი იყვნენ. ჭუ ტის გამარჯვება მნიშვნელოვანწილად განაპირობა მინგის დინასტიის გავლენიანი სარდლების მის მხარეზე გადასვლამ. 1402 წელს მან ნანძინგი აიღო. იმავე დღეს იმპერატორის სასახლეში ხანძარი გაჩნდა. უშუალოდ იმპერატორ ძიენვენის ცხედარი ვერ აღმოაჩინეს. ამიტომ ოფიციალური ვერსიით, ის ხანძრის დროს დაიღუპა. ამგვარად, ტახტზე ავიდა მინგის დინასტიის მესამე იმპერატორი ჭუ

ტი, რომლის ეპოქის სახელია „იუნგლე“ – მარადიული ბედნიერება (სურ. 147). იმისათვის რომ ისტორიაში უზურპატორის სახელი არ შერჩენოდა, იუნგლეს ბრძანებით გაანადგურეს იმპერატორ ძიენვენის შესახებ არსებული ჩანაწერების უმრავლესობა და მისი მმართველობის ხანა ჭუ იუენჭანგს მიაწერეს.



სურ. 147 მინგ ჩენგ ნუ (ჭუ ტი)

იუნგლეს მმართველობა

ახალი იმპერატორის მმართველობის სტილი რადიკალურად განსხვავდებოდა წინამორბედისაგან. შეიძლება ითქვას, იუნგლე მამამისის ანტიპოდი იყო. იგი უფრო გახსნილ პოლიტიკას ატარებდა. თუ ჭუ იუენჭანგი პასიურ საგარეო პოლიტიკას ქადაგებდა, იუნგლემ ამ მხრივ შეზღუდვები მოხსნა და ძველი კონტაქტები აღადგინა. დაამყარა აქტიური დიპლომატიური კავშირი ცენტრალური აზიის ქვეყნებთან, განაახლა სამხედრო დაპირისპირებები ჩრდილოეთით მომთაბარეებთან და შეიჭრა ვიეტნამში, მოაწყო მანამდე უპრეცენდენტო მასშტაბის საზღვაო მოგზაურობები.

მამა-შვილს შორის მთავარი მსგავსება სისასტიკისაკენ მიდრეკილება იყო. ჭუ იუენჭანგის მსგავსად, იუნგლეც სასტიკად უსწორდებოდა მოწინააღმდეგეებს, განსაკუთრებით კი იმპერატორ ძიენვენის მომხრეებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ძიენვენის ერთ-ერთი უახლოესი მრჩევლის, ფანგ სიაოჟუს (1357-1402 წწ.) მაგალითი. იგი სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ აღიარებდა იუნგლეს კანონიერ იმპერატორად[1]. ამან იმდენად გააბრაზა იმპერატორი, რომ ჩინეთის ისტორიაში პირველად და უკანასკნელად „ათი თაობის ამოწყვეტა“[2] მიუსაჯა მას.

---

[1] როცა ფანგ სიაოჟუს სიკვდილით სჯიდნენ, მან საკუთარი სისხლით დაწერა იეროგლიფი 篡 უზურპატორი.

[2] განსხვავებით ჩვეულებრივი „ცხრა თაობის“ ამოწყვეტისაგან, ფანგ სიაოჟუს შემთხვევაში სიკვდილით დასაჯეს მისი მეგობრებისა და მოსწავლეების ოჯახებიც, საერთო ჯამში – 873 კაცი.

ზოგადად, ხელისუფლების სათავეში უზურპაციის გზით მოსვლამ თავისი კვალი დატოვა იუნგლეზე. იგი ყოველთვის ცდილობდა თავისი მმართველობის კანონიერების დადასტურებას და გამუდმებით ეძებდა წინა იმპერატორის, ძიენვენის კვალს[1]. სურდა ეჩვენებინა, რომ „ცის მანდატი“ მას ეკუთვნოდა. იუნგლემ რამდენიმე გრანდიოზული პროექტი წამოიწყო. პირველი იყო „იუნგლეს ენციკლოპედიის“ შედგენა. კონფუციანისტი სწავლულების გულის მოგების გზით მან წამოიწყო დიდი პროექტი: ჩინურ ენაზე დაწერილი ყველა ნაწარმოების ერთად თავმოყრა.

მეორე გრანდიოზული წამოწყება იყო ჭენგ ხეს მოგზაურობა. 1405-1433 წლებში საჭურისს ჭენგ ხეს მეთაურობით უზარმაზარმა ჩინურმა ფლოტმა შვიდჯერ იმოგზაურა ინდოეთის ოკეანის გარშემო. დამყარდა ახალი სავაჭრო და დიპლომატიური კონტაქტები, იმპერატორ იუნგლეს სახელი ინდონეზიიდან აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროებამდე გავრცელდა. ზოგი ვერსიით, ჭენგ ხეს მოგზაურობების ერთ-ერთი მიზანი იმპერატორ ძიენვენის კვალის პოვნაც იყო.



სურ. 148 მინგის დინასტიის პეკინის სასახლის გეგმა

ტახტზე ასვლიდან მალევე იუნგლემ დაიწყო პეიფინგის (თანამედროვე პეკინი) დედაქალაქად მომზადება (სურ. 148). ამ იდეას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავდა, განსაკუთრებით სამხრეთელ მოხელეებს არ სურდათ შორეულ პეკინში გადასახლება, თუმცა იმპერატორს თავისი მოტივები ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, ნანძინგი მაინც ასოცირდებოდა ჭუ იუენჭანგისა და ძიენვენის სახელთან. აქაური მოსახლეობის თვალში ის უზურპატორად რჩებოდა. გარდა ამისა, დედაქალაქის ჩრდილოეთით გადატანა სტრატეგიული მიზნებითაც

[1] ჭორები დადიოდა, რომ იმპერატორი ძიენვენი და მისი მეუღლე ბუდისტი ბერის სამოსში გადაცმული გაიპარნენ ნანძინგიდან.

იყო ნაკარნახევი. მართალია, მონღოლები ჩინეთიდან განდევნეს, მაგრამ ეს ჩრდილოელი მომთაბარეების საკითხს დღის წესრიგიდან ვერ ხსნიდა. რამდენადაც იუნგლეს მამამისის დროს იენის პროვინცია (თანამედროვე პეკინის შემოგარენი) გადაეცა, ის კარგად აფასებდა მომთაბარეებიდან მომდინარე საფრთხეს. დედაქალაქის ჩრდილოეთით გადატანა კი თავდაცვის ხაზს უფრო ჩრდილოეთით სწევდა. თავისი მმართველობის განმავლობაში იუნგლემ შვიდი ჩრდილოური ექსპედიცია მოაწყო მომთაბარეების წინააღმდეგ, რომლის დროსაც იგი თვითონ მიუძღვოდა წინ არმიას. შედეგად, სასაზღვრო რეგიონების მოსახლეობას ამოსუნთქვის დრო მიეცა. ასევე გასათვალისწინებელი იყო ის საკითხი, რომ სამხრეთი სუნგისა და იუენის დინასტიის პერიოდში ჩრდილოეთ ჩინეთი კულტურული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების მხრივ მნიშვნელოვნად ჩამორჩა სამხრეთს. ჩრდილოეთში დედაქალაქის დაფუძნება კი გამოაცოცხლებდა ამ რეგიონს.

დედაქალაქი ვერ იფუნქციონირებდა სასახლის გარეშე. იუნგლემ ამ მხრივაც პომპეზურობისადმი მიდრეკილება გამოიჩინა. 14 წლის განმავლობაში მისი ბრძანებით იგებოდა ახალი საიმპერატორო სასახლე, რომელიც დღეს „აკრძალული ქალაქის"[1] სახელით არის ცნობილი. მომდევნო ხუთი საუკუნის განმავლობაში იგი იყო მინგისა და ცინგის დინასტიების იმპერატორების მთავარი რეზიდენცია. გავრცელებული ლეგენდის მიხედვით სასახლეში 9999 ოთახი იყო. 1420 წელს „აკრძალული ქალაქის" მშენებლობა დასრულდა. იმავე წელს იმპერატორმა პეიფინგს დაარქვა „პეიძინგი" (ჩრდილოეთის დედაქალაქი) და იგი დედაქალაქად გამოცხადდა, ნანძინგს კი მეორე დედაქალაქის სტატუსი მიენიჭა. იმისათვის რომ დედაქალაქი იმპერიის დანარჩენი ნაწილებისათვის, განსაკუთრებით კი სამხრეთისათვის დაეკავშირებინა, იმპერატორმა დაიწყო სუეის დინასტიის დროს გაყვანილი „დიდი არხის" რესტავრაცია. 2000 კილომეტრზე გადაჭიმული ეს არხი მე-6 საუკუნიდან აკავშირებდა ერთმანეთს იანგწისა და ხუანგხეს აუზებს, პეკინსა და ხანგჭოუს. დროთა განმავლობაში ბუნებრივი კატაკლიზმებისა და ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობის გამო არხის გამოყენება შეუძლებელი გახდა. იუნ-

[1] 紫禁城 ნიძინჩენგი – ეს ჩინური სახელწოდება სიტყვასიტყვით ნიშნავს „მეწამულ აკრძალულ ქალაქს.

გლემ აღადგინა „დიდი არხი", რითაც შესაძლებელი გახდა პეკინსა და სამხრეთ ჩინეთს შორის სწრაფი და მოსახერხებელი სანაოსნო მიმოსვლის აღორძინება.

1424 წელს მეშვიდე ჩრდილოური ლაშქრობიდან უკან მომავალი იმპერატორი იუნგლე თანამედროვე შიდა მონღოლეთის ავტონომიური რეგიონის ტერიტორიაზე გარდაიცვალა. ის იყო ერთ-ერთი გამორჩეული იმპერატორი ჩინეთის ისტორიაში. მისი და მამამისის წყვილი შეიძლება შევადაროთ თანგის დინასტიის დამაარსებელ ლი იუენსა და მეორე იმპერატორს, ლი შიმინს. მიუხედავად იმისა, რომ დინასტია მამებმა დააარსეს, იმპერიის აღორძინება და ძლიერების ზენიტზე ასვლა შვილების სახელებთანაა ასოცირებული. იუნგლეც ხშირად ავლებდა პარალელს თავის თავსა და ლი შიმინს შორის. იგი იყო მეომარი, სწავლული, რეფორმატორი, ტირანი, გრანდიოზულობით შეპყრობილი პიროვნება, რომელმაც დიდი კვალი დატოვა ჩინეთის ისტორიაში.

ჭენგ ხეს მოგზაურობა

ადმირალი ჭენგ ხე ჩინელი მუსლიმების ოჯახში დაიბადა. დაზუსტებითაა ცნობილი მისი დაბადების თარიღი – 1371 წელი. ხოლო გარდაცვალების თარიღად 1433 ან 1435 წელს მიიჩნევენ. იგი ჩინეთის სამხრეთ პროვინციაში იუნნანში დაიბადა, ქალაქ ქუნმინგში. იუნნანის პროვინციას მისი წინაპრები საუკუნეების წინ მართავდნენ მონღოლური იმპერიის ფარგლებში. გადმოცემების მიხედვით თავდაპირველად ის მუსლიმი იყო, თუმცა მეზღვაურად გახდომის შემდეგ წარმართულ ღვთაებებს სცემდა თაყვანს. 1381 წელს მინგის დინასტიამ დაიწყო სამხედრო კამპანია იუნნანის პროვინციის დასაკავებლად. ჭენგ ხეს ოჯახი მონღოლთა მხარეს იბრძოდა და სწორედ ბრძოლაში დაიღუპა ჭენგის მამა, ხოლო თავად ტყვედ ჩავარდა. ამის შემდეგ



სურ. 149 ჭენგ ხე

ის სასახლეში გაგზავნეს და 1385 წელს დაასაჭურისეს. ჭენგ ხე პრინც ჭუ ტის სამსახურში ჩადგა და თავისი ნიჭის დამსახურებით მალე მოიპოვა მომავალი იმპერატორის ნდობა (სურ. 149).

ზუსტად არავინ იცის, რატომ გადაწყვიტა იუნგლემ, რომ უზარმაზარი ფლოტილია გაეგზავნა ინდოეთის ოკეანის სანაპიროებზე. ზოგის აზრით, ეს მისი სახელის განდიდებას ემსახურებოდა, ახალი სავაჭრო გზების ძიებას ან იმპერატორ ძიენვენის პოვნას ისახავდა მიზნად. ფაქტი ისაა, რომ ამ დიდი წამოწყების სათავეში იმპერატორმა სწორედ ჭენგ ხე ჩააყენა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არც გავლენიან საგვარეულოს ეკუთვნოდა და თან საჭურისიც იყო. რადგან ჩანაწერების დიდი ნაწილი განადგურდა მინგის დინასტიის დროს, ჭენგ ხეს მოგზაურობის დეტალების გაცნობის საშუალება არ გვაქვს, მაგრამ შესაძლებელია აღვადგინოთ მისი მოგზაურობების მარშრუტი:

1. 1405-1407 წწ. – იავა, მალაკა, შრი-ლანკა, კალკუტა
2. 1407-1409 წწ. – იავა, სიამი, შრი-ლანკა, კალკუტა
3. 1409-1411 წწ. – ჩამპა, იავა, მალაკა, შრი-ლანკა, სიამი და ინდოეთის ზღვისპირა ქალაქები
4. 1413-1415 წწ. – ჩამპა, მალაკა, იავა, სემუდარა, შრი-ლანკა კალკუტა, ჰორმუზის სრუტე, მალდივის კუნძულები, მოგადიშო, ადენი
5. 1417-1419 წწ. – რუიკუ (დღეს იაპონიის შემადგენლობაშია), ბენგალი, მალაკა, შრი-ლანკა, მოგადიშო, კენიის სანაპიროსთან მდებარე კუნძულები
6. 1421-1422 წწ. – ბენგალი, შრი-ლანკა, კალკუტა, მალდივი, ჰორმუზი, მოგადიშუ
7. 1430-1432 წწ. – ჰორმუზი, მალდივი, ბენგალი, ადენი, მექა, მოგადიშუ.

ჩინურ ისტორიოგრაფიაში პირველ ექსპედიციაზე აღნიშნულია, რომ მასში 25 ათასამდე კაცი მონაწილეობა. იმ პერიოდის ევროპისთვის ეს რიცხვი ძალიან მასშტაბური და არარეალურია, თუმცა სავსებით რეალური იყო მინგის დინასტიისთვის. ექსპედიციაში კარტოგრაფებთან და ვაჭრებთან ერთად მნიშვნელოვანი სამხედრო ძალაც მონაწილეობდა. სწორედ მათ მოახერხეს ინდოეთის ოკეანეში მეკობრეთა გემების განადგურება და ფაქტობრივად შრი-ლანკის

ტერიტორიაზე კოტეს სამეფოს დედაქალაქის ოკუპაცია, რომელიც მალევე დატოვეს, თუმცა ფაქტი მიანიშნებს, რომ ექსპედიცია მართლა ძალიან მასშტაბური იყო. ექსპედიციის მთავარი სავიზიტო ბარათი მაინც ე.წ. „საგანძურის გემები" იყო. თითოეულ ექსპედიციას თან ახლდა რამდენიმე ასეთი ხომალდი, რომლებსაც, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, 130-140 მ სიგრძე ჰქონდათ. თუ ეს მონაცემები სწორია, მაშინ ჭენგ ხეს მოგზაურობის „საგანძურის გემები" მსოფლიო ისტორიაში უდიდესი ხის გემები ყოფილა.

აღმოსავლეთი აფრიკიდან დაწყებული იაპონიის სანაპიროებთან დამთავრებული უდიდესი გეოგრაფიული სივრცე სულ რაღაც 20 წელინადში მოიფინა ჩინელი გეოგრაფებით, ვაჭრებით, სამხედროებით და ა.შ აფრიკის კონტინენტიდან ნანძინგში ჩაყავდათ იქაური ეგზოტიკური ცხოველები და ჩაქონდათ სავაჭრო პროდუქტი. ეს მოითხოვდა უზარმაზარ თანხებს. ამას ემატებოდა ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის ეჭვნარევი დამოკიდებულება იზოლაციონიზმის პოლიტიკის დაკარგვისადმი, რაც ართულებდა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენის ჩინურ ვერსიას. 1424 წელს გარდაიცვალა ჭენგ ხეს მეგობარი და მხარდამჭერი იმპერატორი ჭუ ტი. იგი ჩაანაცვლა იმპერატორმა ხუნგსიმ, რომელმაც გააგრძელა ადმირალის ექსპედიციის მხარდაჭერა, თუმცა ახალი იმპერატორი ერთ წელიწადში შეცვალა იმპერატორმა სიუენტემ, რომელმაც შეწყვიტა ადრინდელი მხარდაჭერა და ადმირალი ნანძინგში გაამწესა უმაღლეს ფინანსურ თანამდებობაზე. უზარმაზარი ფლოტი სხვადასხვა გადმოცემის მიხედვით ერთ ღამეში დაიწვა ან ეტაპობრივად განადგურდა, ექსპედიციების შესახებ ჩანაწერები კი გაქრა.

იუნგლეს მემკვიდრეები და თუმუს კრიზისი

იმპერატორ იუნგლეს მემკვიდრეების პერიოდში დინასტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია აქტიური საგარეო პოლიტიკიდან ისევ პასიურ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლა. იმპერატორი იუნგლე არა მხოლოდ დიპლომატიური გზებით ცდილობდა იმპერიის საზღვრებს გარეთ კონტაქტების დამყარებას, არამედ სამხედრო ძალასაც აქ-

ტიურად მიმართავდა. მომდევნო რამდენიმე იმპერატორის მმართველობის ხანაში საგარეო ლაშქრობები საერთოდ შეწყდა და ელჩების მიმოცვლაც შეიზღუდა. გარდა ამისა ჯარები გამოიყვანეს ვიეტნამიდან, რომელიც თავის დროზე იუნგლემ დაიპყრო. ეს პრაქტიკულად მარცხის აღიარებას ნიშნავდა. ასევე შეწყდა ჭენგ ხეს ექსპედიციების დაფინანსება.

იუნგლეს მემკვიდრეების სუსტი საგარეო პოლიტიკა ერთი შეხედვით კრიტიკას იმსახურებს, მაგრამ მათ ჰქონდათ მიზეზები მსგავსი ნაბიჯების გადადგმისათვის. საქმე ისაა, რომ იუნგლეს ექსტრავაგანტური ცხოვრების სტილი, აქტიური საგარეო ლაშქრობები და ახალი დედაქალაქის აგება ძალიან დიდ თანხებს მოითხოვდა. ხაზინის შევსება კი მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობას. განსაკუთრებით რეფორმატორი იყო იმპერატორი სიუენტე. მან შეამცირა გადასახადები, გააუქმა უსარგებლო თანამდებობები, მოხსნა არაკომპეტენტური კადრები, დააწესა დედაქალაქის გარეთ მოხელეების რეგულარული შემოწმება.

ხუნგსიმ და სიუენტემ, მიუხედავად მართველობის მცირე პერიოდისა, მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარეს. ხუნგსიმ დაიწყო საგადასახადო სიების მოწესრიგება და გადასახადების თავდაპირველი შემცირება, რაც შემდეგ სიუენტემ გააგრძელა. ხუნგსის დროიდან ასევე დაიწყო კონფუცისტი მოხელეების უფრო დიდი რაოდენობით აყვანა სამსახურში და კონფუციზმის დოგმების დაცვის სავალდებულოდ გახდომა. არაერთ შემთხვევაში მოხელეები მხოლოდ იმიტომ ინიშნებოდნენ თანამდებობაზე, რომ ზედმიწევნით იცავდნენ „სიაოს“, მშობლებისადმი პატივისცემის კონფუციურ ტრადიციას. სუან ტეს იმპერატორობის ხანაში განხორციელდა კიდევ ორი მნიშვნელოვანი ცვლილება. პირველი არის საჭურისებისათვის განათლების მიცემის დაკანონება. მართალია, ჭუ იუენჭანგის ეს დადგენილება არც მანამდე სრულდებოდა ზედმიწევნით, მაგრამ ამიერიდან დაიწყო საჭურისების მასშტაბური სწავლა-განათლება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გამოდგა მინგის დინასტიის მომავალი განვითარების, რადგან სწორედ აქედან დაიწყო საჭურისების ფენის გაძლიერება. საქმე ისაა, რომ ისინი უშუალოდ იმპერატორს ემსახურებოდნენ და მის გარშემო ტრიალებდნენ. წერა-კითხვის სწავლის შემდეგ კი ოფიციალურ დოკუმენტებზე მუშაობაც დაიწყეს და დიდი გავლენა მოიპოვეს

იმპერიაში. მეორე რეფორმა იყო ე.წ. „შიდა კაბინეტის" ჩამოყალიბება. შიდა კაბინეტი კომპლექტდებოდა კონფუციური განათლების სისტემაში უმაღლესი რანგის მქონე ექვსი სწავლულისაგან. მათ ევალებოდათ მთავრობის სხვადასხვა დანაყოფიდან იმპერატორთან გაგზავნილი საქმეების გადახედვა, გაანალიზება, დასკვნის გამოტანა და გადაწყვეტის მეთოდის რჩევა. ამგვარად, შიდა კაბინეტმა დიდი ძალაუფლება მოიპოვა. მათ შეეძლოთ რიგი საქმეების გადადება ან სასურველი კუთხით წარდგენა იმპერატორისათვის. შიდა კაბინეტის შექმნა არ იყო საკმარისი პირველი ვეზირის სახელის გაუქმებით გამოწვეული სიცარიელის შესავსებად. მათ არ ჰქონდათ პირდაპირი გავლენა ხელისუფლების სხვა შტოებზე, მათ ნებისმიერ დადგენილებას საბოლოოდ იმპერატორის დასტური უნდა მიეღო ძალაში შესასვლელად.

მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, მე-15 საუკუნის 30-40-იანი წლები მოსახლეობისათვის ძალიან მძიმე გამოდგა. ამ პერიოდში ჩინეთის არაერთ პროვინციაში მიყოლებით მოხდა გვალვა, შიმშილობა, წყალდიდობა, კალიების შემოსევა. წყალდიდობის შედეგად ჩაიხერგა „დიდი არხი" და დედაქალაქის სურსათით მომარაგება პრობლემატური გახდა. ამ ბუნებრივმა კატაკლიზმებმა კიდევ უფრო გააუარესა მოსახლეობის მდგომარეობა და აჯანყებებმა იფეთქა.

მოვლენათა ასეთი განვითარების ფონზე სცენაზე შემოდის ორი პიროვნება: იმპერატორი ჭენგთუნგი და ვანგ ჭენი[1]. ჭენგთუნგი სულ რაღაც ექვსი წლის იყო, როდესაც ტახტზე ავიდა. სრულწლოვანების მიღწევამდე იმპერიას რეგენტების კოლეგია მართავდა, მაგრამ ნელ-ნელა ძალაუფლება ვანგ ჭენის, იმპერატორის აღმზრდელი საჭურისის ხელში მოექცა. ვანგ ჭენი იმპერატორის სრული ნდობით სარგებლობდა და თუ ვინმეს იმპერატორამდე მისვლა სჭირდებოდა, ჯერ ვანგ ჭენთან უნდა მორიგებულიყო. ეს ამბიციური და ჭკვიანი პიროვნება ამავდროულად ძალიან სასტიკი იყო. იგი დაუნდობლად უსწორდებოდა ყველას, ვინც წინ აღუდგებოდა. ამის შედეგად იმპერატორი ერთგვარ ჩაკეტილ სივრცეში მოექცა და ვერც აცნობიერებდა იმპერიის მდგომარეობას.

[1] ვანგ ჭენი იყო ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ცუდი სახელის მქონე საჭურისი.

გლეხთა აჯანყებას არაორგანიზებულობის გამო დიდი წარმატება არ მოჰყოლია და მალევე ჩაახშეს. სულ მცირე ხანში ქვეყანას ახალი საფრთხე გამოუჩნდა, ამჯერად ჩრდილოეთიდან. ჭუ იუენჭანგის და იუნგლეს ლაშქრობების შედეგად დამარცხებული მონღოლები ერთი პერიოდი თავს იკავებდნენ ჩინეთზე თავდასხმისაგან, მაგრამ მინგის მხრიდან ლაშქრობების შეწყვეტამ მათ დრო მისცა ძალების აღსადგენად. 1449 წელს დასავლეთ მონღოლებმა, ოირატებმა მინგის ჩრდილოეთ საზღვარს შეუტიეს. ვანგ ჭენის რჩევით, იმპერატორმა გადაწყვიტა თვითონ გაძღოლოდა არმიას ოირატების წინააღმდეგ. ოირატები პირდაპირ ბრძოლას გაერიდნენ და უკან დაიხიეს. ამ დროს ვანგ ჭენმა მიიღო დამღუპველი გადაწყვეტილება. იმის მაგივრად, რომ უსაფრთხო სამხრეთის გზით წასულიყვნენ, მან იმპერატორი დაარწმუნა იმავე გზით დაბრუნებულიყვნენ უკან. ამის მიზეზი იყო ის, რომ ვანგ ჭენს არ სურდა არმიას მის მამულზე გაევლო. რაც მთავარია, ვანგ ჭენი უფლებას არ აძლევდა სარდლებს იმპერატორამდე მიეწვდინათ ხმა და არც თვითონ ისმენდა მათ რჩევებს. უკან გაბრუნებულ მინგის არმიას ოირატები აედევნენ და ქალაქ თუმუსთან დაესხნენ თავს. არმიის ნახევარი განადგურდა, იმპერატორი ტყვედ ჩავარდა, ვანგ ჭენი კი სარდლებმა მოკლეს. ეს მოვლენა „თუმუს კრიზისის" სახელით ახსოვს ჩინეთის ისტორიას.

იმპერატორის დატყვევება წარმოუდგენელი დარტყმა და სირცხვილი იყო დინასტიისათვის. თუმცა, დრო არ ითმენდა. ოირატები დედაქალაქისაკენ დაიძრნენ და მოქმედების დრო დადგა. ასეთ სიტუაციაში ინიციატივა გამოიჩინა სარდალმა იუ ციენმა (1398-1457 წწ.). მისი წინამძღოლობით საჭიროების გამო ახალ იმპერატორად აირჩიეს ჭენგთუნგის ნახევარძმა, რომელიც წინა იმპერატორმა კამპანიის დაწყებისას დედაქალაქის ზედამხედველად დანიშნა. ტახტზე ავიდა იმპერატორი ძინგთაი. როგორც მოსალოდნელი იყო, ოირატებმა დატყვევებული იმპერატორის სახელით მოითხოვეს ქალაქში შესვლა, თუმცა უარი მიიღეს. იუ ციენის მომზადებულმა ქალაქის დაცვამაც წარმატებით გაუძლო თავდაცვას და ოირატები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. რამდენადაც ჭენგთუნგი მათთვის ღირებული ტყვე აღარ იყო, იგი უკან გააბრუნეს. ამ ნაბიჯს სხვა მიზანიც ჰქონდა: იმპერატორებს შორის დაპირისპირება და იმპერიის დასუსტება. შედეგად პეკინში ორი იმპერატორი აღმოჩნდა. როგორც

ოირატებმა იწინასწარმეტყველეს, იმპერატორებს შორის უსიტყვო პაექრობა არსებობდა, რაც ბუნებრივი იყო: ერთ ცაზე ორი მზე ვერ იქნებოდა. ძინგთაის ბრძანებით, ჭენგთუნგი სასახლის ერთ ნაწილში დააბინავეს და ხელისუფლების საქმეებს ჩამოაშორეს. 1457 წელს სასახლის კარზე მოხდა გადატრიალება. იმპერატორი ძინგთაი შეთქმულებმა მოკლეს და კვლავ ჭენგთუნგი დააბრუნეს ტახტზე.

„თუმუს კრიზისმა" დინასტიის ძლიერი და სუსტი მხარეები გამოავლინა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია იმპერიის სტაბილურობა. მიუხედავად ხშირი კატაკლიზმების, გლეხთა აჯანყებებისა და ბოლოს, „თუმუს კრიზისისა", ქვეყნის შიგნით სეპარატისტული მოძრაობა ალარ მომხდარა. ძალაუფლებისათვის ბრძოლა საიმპერატორო ოჯახს არ გასცილებია. მეორე მხრივ, გამოიკვეთა საჭურისების ინსტიტუტის გაძლიერება. ვანგ ჭენის სახით დაიწყო ძალაუფლებას მოწყურებული საჭურისების სწრაფვა საიმპერატორო კარზე. ცხადი გახდა იმპერიის სამხედრო სისუსტე. იუნგლეს გარდაცვალებიდან მოყოლებული სამხედრო სფეროს უფრო და უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. შემცირდა მეომრების რაოდენობა, დაეცა არმიის დისციპლინა, შესუსტდა გამოცდილება. ამის შედეგად კი დინასტიამ კატასტროფული მარცხი განიცადა. იუ ციენის პიროვნული ფაქტორისა და დროული გადაწყვეტილებების შედეგად იმპერია შენარჩუნდა და სტაბილურობაც აღდგა. სამწუხაროდ, იუ ციენი გადატრიალებას ემსხვერპლა, თუმცა ეროვნული გმირის სახელით ჩაინერა ჩინეთის ისტორიაში.

სტაგნაციის საუკუნე – მინგის დინასტიის შუა პერიოდი (1464-1566)

მინგის დინასტიის შუა მონაკვეთი გარეგნულად სტაბილური, მაგრამ რეალურად მრავალი ცვლილების ეპოქა იყო. ამ ერთ საუკუნეში იმპერიის ადმინისტრაციამ, ფისკალურმა, საშინაო და საგარეო პოლიტიკამ, სამხედრო სფერომ მნიშვნელოვნად იცვალა სახე. ამ ცვლილებებმა კი დიდი გავლენა მოახდინეს დინასტიის დაღმასვლაში. იმისათვის, რომ მინგის დინასტიის დაცემის საფუძვლები გავიგოთ, საჭიროა გავაანალიზოთ შუა პერიოდი.

უპირველეს ყოვლისა, განსახილველია იმპერატორების ფაქტორი. რამდენადაც მინგი ტრადიციული ჩინური დინასტია იყო, კელავაც „ცის შვილს" ეკუთვნოდა ბოლო სიტყვა ნებისმიერი საქმის გადაწყვეტაში. შესაბამისად, დინასტიის ავკარგიანობაზე საუბრისას, იმპერატორის ფაქტორს გვერდს ვერ ავუვლით. აღსანიშნავია, რომ ამ ერთი საუკუნის განმავლობაში დინასტიამ მხოლოდ 4 იმპერატორი შეიცვალა, რაც სტაბილურობის მხრივ კარგი მაჩვენებელია. მით უმეტეს, რომ მათგან უკანასკნელი იმპერატორი 45 წელი იყო ტახტზე. ეს იმპერატორები იყვნენ: ჩენგხუა, ხუნგჭი, ჭენგტე და ძიაძინგი. თითოეული მათგანი გამოირჩეოდა მართველობის საკუთარი სტილით. ოთხივე ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული იყო პიროვნულად და სახელმწიფოს მართვის ხასიათით. თუ ხუნგჭი კონფუციზმის იდეალურ იმპერატორს განასახიერებდა, მისი შვილი ჭენგტე მთელი ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე არაკომპეტენტური იმპერატორის შთაბეჭდილებას ტოვებს. პრობლემა მხოლოდ მართვის განსხვავებული სტილი არ იყო. საქმე ისაა, რომ არცერთ მათგანს არ შემოუთავაზებია არსებული პრობლემებიდან რეალური გამოსავალი. არ დაუსახავთ ახალი მიმართულება დინასტიისათვის, რომელიც დინასტიას გამოაცოცხლებდა და სტიმულს მისცემდა. მათი მმართველობის პერიოდი იყო არსებულის შენარჩუნებაზე ფიქრი და არა ახლის შექმნის მცდელობა. გარდა ამისა, იმპერატორ ხუნგჭის გარდა, დანარჩენი სამი იმპერიის საქმეებით თავს დიდად არ იწუხებდა. ჩენგხუა და უფრო მეტად ძიაძინგი თვეობით, ხან წლობითაც განმარტოვდებოდნენ ხოლმე სასახლეში თავის პარამხანასთან ერთად. ჭენგტე კი ხან გენერლობანას თამაშობდა და დედაქალაქიდან გარბოდა, ხან კი სასახლიდან იპარებოდა და პეკინის ქუჩებში მთვრალი დადიოდა. ბუნებრივია, ასეთი იმპერატორების ხელში არათუ ახლის შექმნა ან განვითარება, არსებულის შენარჩუნებაც კი ძნელი იქნებოდა. კარგად გამართული ადმინისტრაციული აპარატი, მსგავსი იმპერატორების ტახტზე ყოფნის მიუხედავად, მაინც კარგად გაუძლებოდა ქვეყნის მართვას, მაგრამ აქაც დიდი შიდა დაპირისპირება არსებობდა.

მინგის დინასტიის ადმინისტრაციული აპარატის მუდმივი პრობლემა იყო ის, რომ მთავარი მინისტრი არ ჰყავდათ. მთავარი მინისტრი უნდა ყოფილიყო განათლებული და საქმიანი კადრი, რომელიც

მეორე კაცი იყო მთელ იმპერიაში და, იმპერატორის ავკარგიანობის მიუხედავად, მას შეეძლო გაძღოლოდა ხელისუფლებას. ეს სახელო ჯერ კიდევ 1380 წელს გააუქმა დინასტიის დამაარსებელმა ჭუ იუენჭანგმა. ამის შედეგად აპარატში გაჩნდა ვაკუუმი, რომელსაც შევსება სჭირდებოდა. ამ ვაკუუმის შევსებაზე გამუდმებული დაპირისპირება ჰქონდათ ერთმანეთში საჭურისებსა და კონფუცისტ მოხელეებს.

საჭურისების ტრადიცია ჩინეთში უძველესი დროიდან არსებობდა და ალბათ არც ერთი სხვა ქვეყნის ისტორიაში მათ იმხელა როლი არ უთამაშიათ, როგორც ჩინეთში. საჭურისების რიგების შევსების მრავალი მეთოდი არსებობდა. ყველაზე მარტივი იყო ტყვეების კასტრაცია და მათი დასაქმება. ხშირად მეზობელი ქვეყნებიდან ხარკის სახით აგზავნიდნენ ხოლმე საჭურისებს. არაერთ შემთხვევაში მამები უკეთებდნენ შვილებს კასტრაციას, რომ საჭურისთა რიგებში ჩაეყენებინათ შვილები და შემდეგ მათი გავლენა გამოეყენებინათ. თავდაპირველად ძირითადი მოვალეობა მხოლოდ იმპერატორის სასახლეში სამსახურით შემოიფარგლებოდა და ოფიციალურად შორს იყვნენ ძალაუფლებისაგან. მაგრამ, იმპერატორის გარშემო ტრიალი და მისი კეთილგანწყობის მოპოვება ძალაუფლების მოპოვების მთავარი გზა იყო, რომელსაც არანაირი გამოცდა არ სჭირდებოდა. ამიტომ რიგ შემთხვევებში საჭურისები დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის ცხოვრებაში. განსაკუთრებით მაშინ, როცა დინასტია დაღმასვლის გზაზე იდგა. თანგის დინასტიის ბოლო პერიოდში საჭურისები წყვეტდნენ, ვინ უნდა ასულიყო ტახტზე. მიუხედავად ჭუ იუენჭანგის მიერ საჭურისებისათვის მკაცრი აკრძალვების დანესებისა, მინგის დინასტიის შუა პერიოდი მათი აყვავების ეპოქა იყო. მართალია, მინგის დინასტიაში მათ ისეთი გავლენა იმპერატორის არჩევაზე არ ჰქონდათ, როგორც თანგის დინასტიაში, მაგრამ ძალიან გაიზარდა მათი რიცხვი და უფლებები. მინგის დინასტიის ბოლოს მხოლოდ პეკინში 70 ათასამდე საჭურისი მოხელე იყო. მათი მოვალეობები გასცილდა სასახლის ფარგლებს და ხელისუფლების აპარატის თითქმის ყველა სფეროს მოედნენ – სარდლით დაწყებული გადასახადების ამკრეფით დამთავრებული. იმპერატორმა ძიაძინგმა ჩამოაყალიბა პეკინის დამცველი არმია, რომლის ზედა ეშელონები მხოლოდ საჭურისებით დააკომპლექტა.

კონფუცისტი მოხელეები ჯერ კიდევ ხანის დინასტიიდან იყვნენ ჩართულნი იმპერიის მართვის სისტემაში. სუნგის დინასტიიდან დაიწყო რეგულარული გამოცდები, რომელთა ჩაბარება აუცილებელი იყო ადმინისტრაციულ აპარატში დასაქმებისთვის. საგამოცდო თემატიკა კი სწორედ კონფუციზმის წიგნები იყო. კონფუცისტი მოხელეების აყვანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მინგის დინასტიის ადრეული წლებიდან. იმპერატორებმა ხუნგსიმ და სიუენტემ ამ მხრივ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარეს. მათი მმართველობის პერიოდიდან კონფუციზმის დოქტრინის ცოდნა უმთავრესი მოთხოვნა გახდა მოხელის სტატუსის მისაღებად. ხანლინის აკადემია იყო ყველაზე გავლენიანი და განათლებული კონფუცისტების ცენტრი. აქედან კომპლექტდებოდა შიდა კაბინეტი.

ამ ორ დაჯგუფებას შორის მიმდინარეობდა დაპირისპირება ძალაუფლებისათვის დინასტიის შუა პერიოდში. თავდაპირველად კონფუცისტი მოხელეები სრულ უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა დროთა განმავლობაში მათ პოზიციების დათმობა მოუწიათ. ერთი საუკუნის განმავლობაში საჭურისების რაოდენობა და უფლებები გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. მხოლოდ ხუნგჭის ეპოქაში შეჩერდა მათი წინსვლა. ეს ლამის ოცწლიანი ეპოქა კონფუცისტების ოქროს ხანა იყო მინგის დინასტიაში. იმპერატორი ხუნგჭი მთლიანად აკმაყოფილებდა მათი მოძღვრების იდეალური მმართველის მოთხოვნებს: იგი ყოველ დილით ადრე დგებოდა და დაღამებამდე იმპერიის საქმეებს განიხილავდა. ყოველთვის რჩევას ეკითხებოდა მოხელეებს და კრიტიკასაც ითხოვდა მათგან, მაგრამ ხუნგჭის მმართველობამ დიდი შედეგი ვერ გამოიღო. მას არ გაუტარებია სპეციალური პოლიტიკა საჭურისების მუდმივი ზრდის შესაჩერებლად და კონფუცისტების სტატუსის დასაცავად. შესაბამისად, მან მხოლოდ დროებით დაამუხრუჭა საჭურისების მზარდი გავლენა.

რამ გამოიწვია ამ ასწლოვან მონაკვეთში ძალაუფლებისათვის ბრძოლაში საჭურისების მსგავსი უპირატესობა? ძირითადი მაინც ორი მიზეზია: იმპერატორებისა და კონფუციზმის თავისებურება. კონფუციზმი დეტალებით სავსე მოძღვრებაა, რომელიც იმპერატორის ცხოვრების ყოველ წამს და ყოველ სფეროს მოიცავს. ტრადიციული დოქტრინის მიხედვით, იმპერატორი უნდა იყოს მიუკერძოებელი, სახელწმიფო საქმეებისადმი ინტერესით სავსე, პატივისცემით

ეპყრობოდეს მრჩევლებს და ისმენდეს მათ რჩევასა თუ კრიტიკას, ზედმიწევნით უნდა ასრულებდეს რიტუალებს და ა.შ. განსაკუთრებით მინგის დინასტიაში იმპერატორისათვის წაყენებული მოთხოვნები ძალიან გაიზარდა კონფუციზმის სტატუსის ზრდასთან ერთად. კონფუცისტი მოხელეები შეუვალობას იჩენდნენ მათი მოძღვრებიდან მცირე გადახრის მიმართაც და იმპერატორის კრიტიკას არ ერიდებოდნენ. მეორე მხრივ, ამ ეპოქაში, გარდა იმპერატორ ხუნგჭისა, მმართველები ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ კონფუციზმისადმი დიდი სიმპატიით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არცერთი ოთხი იმპერატორიდან ტახტზე ასვლისას 18 წელს გადაცილებული არ იყო. ჭენგტე და ძიაძინგი კი საერთოდაც 14-13 წლისა გახდნენ იმპერატორები. ბუნებრივია, როცა ასეთ ასაკში მათ მოთხოვეს კონფუციზმის დოქტრინის მიხედვით ემართათ ქვეყანა და მათი ცხოვრების ყოველი დეტალი ჩასვეს ამ ჩარჩოში, კონფუციზმმა კარგი შთაბეჭდილება ნამდვილად ვერ დატოვა ახალგაზრდა იმპერატორებზე. გარდა ამისა, ბავშვობიდანვე ისინი იზრდებოდნენ სასახლის კარზე საჭურისების გარემოცვაში. საჭურისები, კონფუცისტი მოხელეებისაგან განსხვავებით, რაიმე დოქტრინის ჩარჩოებით არ იყვნენ შემოსაზღვრული. მათი მიზანი გამორჩენა და კერძო სარგებელი იყო. ისინი მზად იყვნენ დაეკმაყოფილებინათ იმპერატორის ნებისმიერი მოთხოვნა, იმისდა მიუხედავად, თუ რა ზარალს მოუტანდა ეს ქვეყანას. სწორედ ამით დაიმსახურეს მათ იმპერატორის ნდობა და სიმპათია. კონფუცისტი მოხელეები კი ამასობაში მოქნილობას არ იჩენდნენ და ყველა დეტალზე აკრიტიკებდნენ იმპერატორს. მაგალითად, ავიღოთ იმპერატორ ძიაძინგისა და კონფუცისტი მოხელეების დაპირისპირება იმპერატორის მშობლებისათვის წოდების მინიჭებაზე.

ძიაძინგი წინა იმპერატორის, ჭენგტეს შვილი არ იყო. მას შთამომავლობა არ დარჩენია. ამიტომ მოხელეებმა საიმპერატორო საგვარეულოში აარჩიეს ახალგაზრდა ძიაძინგი და ტახტზე დასვეს. ახალ იმპერატორს სურდა საკუთარი მშობლებისათვის საიმპერატორო წოდებები მიეცა, თუმცა ეს ეწინააღმდეგებოდა კონფუციზმის წესებს, რადგან მისი მშობლები არ იყვნენ იმპერატორები. დავა ამ საკითხზე დაახლოებით ოცი წელი გაგრძელდა. საბოლოოდ, ძიაძინგმა მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ ამ პროცესმა მასზე ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. ის აღარ ენდობოდა კონფუცისტ მოხელე-



სურ. 150 იმპერატორ ჩენგხუას გართობა ფარნების დღესასწაულზე

ებს და ძირითადად საჭურისებს ეყრდნობოდა. ასეთი მაგალითები მრავლად მოინახება მინგის დინასტიის ისტორიაში. კონფუცისტების ჯიუტი ორთოდოქსობა მათ სავალალო ფასად დაუჯდათ.

დავა ზემოთ ნახსენებ ორ დაჯგუფებას შორის აფერხებდა იმპერიის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტას. ამ პერიოდის მთავარი პრობლემა კი ფინანსური საკითხი იყო. იმპერატორ ჩენგხუადან მოყოლებული იმპერიის გასავალი ნელ-ნელა აჭარბებდა შემოსავალს (სურ. 150). ასწლიანი პერიოდის ბოლოს კი სიტუაცია უკვე კატასტროფულ სიტუაციამდე მივიდა. ხაზინის დაცარიელების ძირითადი მიზეზები იყო იმპერატორების მფლანგველობა, თავდაცვითი კედლების მშენებლობა, ბუნებრივი კატაკლიზმები, კორუფცია დაბალ ეშელონებში, საჭურისი მოხელეების რიცხვის ზრდა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ხუნგჭის გარდა, დანარჩენი სამი იმპერატორი დიდად კომპეტენტური მმართველები არ იყვნენ. ამას ემატებოდა მფლანგველობაც. არც ერთი მათგანი და განსაკუთრებით ბოლო ორი არ დაგიდევდათ თანხის რაოდენობას ან წარმომავლობას, ოღონდ კი მათი უაზრო გეგმები შესრულებულიყო. მაგალითად, ჭენგტეს დროს ყოველ წელს უამრავი თანხა იხარჯებოდა ფარნების ფესტივალისთვის[1] ფარნების საყიდლად. ძიაძინგი ფულს არ იშურებდა ტაოიზმის ფესტივალების შესრულებისა და უკვდავების წამლის შექმნისათვის.

[1] ფარნების ფესტივალი ჩინური კალენდრის პირველი თვის მე-15 დღეს ტარდებოდა. ფესტივალი აგვირგვინებდა ჩინური ახალი წლის ზეიმის პერიოდს. მისი ფესვები ჯერ კიდევ ხანის დინასტიიდან მოდის.

გარდა ამისა, ხშირი იყო ხანძარი საიმპერატორო სასახლეში – ე.წ. „აკრძალულ ქალაქში", რამეთუ სასახლე ხისგან იყო ნაგები. უზარმაზარი სასახლის ერთი ნაწილის შეკეთებაც კი ძალიან დიდ თანხა ჯდებოდა.

გარდა მფლანგველობისა, ეს იმპერატორები ატარებდნენ ერთ ძალიან არამომგებიან და ჯიუტ პოლიტიკას – ყურადღებას არ აქცევდნენ საგარეო ვაჭრობას. არავითარ შემთხვევაში არ ეთანხმებოდნენ მომთაბარე ტომებთან ბაზრების გახსნას ან საზღვაო საგარეო ვაჭრობის ლეგალიზებას. ერთადერთი გზა, რომ უცხო ქვეყნის ვაჭრები შემოსულიყვნენ ჩინეთში და ევაჭრათ, იყო იმპერატორისადმი ძღვენის მიცემის რიტუალი, რომელსაც, თავის მხრივ, პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. ასეთი რიტუალების ჩატარების უფლებასაც არ იძლეოდნენ ხშირად. მაგალითად, იაპონიის ელჩებს შეეძლოთ ათ წელში ერთხელ მოსულიყვნენ, ძღვენი მიერთმიათ იმპერატორისადმი და შემდეგ შეესყიდათ სასურველი პროდუქტი. მომთაბარეებისათვის ჩინური პროდუქტი უმაღლესი ფუფუნების საგანი იყო, რამეთუ თვითონ არ შეეძლოთ მსგავსი პროდუქტის შექმნა. მიუხედავად ამისა, იმპერატორები პოლიტიკას არ ცვლიდნენ, რამაც ხაზინას შემოსავლის ერთი მნიშვნელოვანი წყარო მოაკლო.

ხაზინის დაცარიელების მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო თავდაცვითი კედლების შენება. კედლების აგება მტრისაგან დასაცავად უხსოვარი დროიდან მოდის ჩინეთში. განსაკუთრებით კი მინგის დინასტიის პერიოდში გაძლიერდა ეს ფენომენი. ცნობილი ჩინეთის დიდი კედლის უმეტესი და ყველაზე კარგად შემონახული ნაწილი სწორედ მინგის დინასტიის დროს აიგო. დაწყებული ამ ასწლიანი პერიოდიდან მინგის დინასტიამ კედლით ერთგვარი ნაჭუჭი შექმნა და შიგ მყარად ჩაიკეტა გარეთ გასვლის სურვილის გარეშე. ყოველი ახალი იმპერატორი დიდი მონდომებით აგებდა კედლებს ჩრდილოეთით მომთაბარეების მოსაგერიებლად. კედლის მასშტაბები კი წარმოუდგენლად დიდი იყო – ასეულობით და ათასეულობით კილომეტრი. ბუნებრივია, ასეთი მასშტაბის სამუშაოებს უამრავი მუშა ხელი სჭირდებოდა. მართალია, გლეხებს ყოველწლიური სავალდებულო სამუშაო კვოტა ჰქონდათ, მაგრამ მშენებლობების მოთხოვნებმა გაციცლებით გადააჭარბა ამ კვოტას. საიმპერატორო კარი დამატებით სამუშაო დროს ვერცხლით უნაზღაურებდა მუშებს.

მინგის დინასტია ბუნებრივი კატაკლიზმებით დახუნძლული პერიოდი იყო. თითქმის წელი არ გაივლიდა, გვალვა ან წყალდიდობა რომ არ მომხდარიყო. ამის შედეგად გამოწვეული შიმშილი კი, ბუნებრივია, მოსახლეობის განწყობაზე ძალიან მოქმედებდა. ამიტომ იმპერია ცდილობდა დაზარალებული რეგიონებისათვის მატერიალური დახმარება აღმოეჩინა. კატაკლიზმების სიხშირისა და ფართომასშტაბიანობის გამო დაზარალებული რეგიონების შენახვა მძიმე ტვირთად აწვა ხაზინას.

გარდა გარე მიზეზებისა, შიდა ფაქტორებიც განაპირობებდა ეკონომიკურ კრიზისს. კერძოდ, საჭურისების რიცხვის ზრდა და კორუფცია დაბალ და საშუალო ეშელონებში. საჭურისების რაოდენობის კატასტროფული ზრდა ასევე მძიმე ტვირთად აწვა ხაზინას, რადგან მოხელეების ხელფასიც ვერცხლით ანაზღაურდებოდა. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში მოსახლეობა იზრდებოდა, ახალ მიწებს ითვისებდნენ, რასაც ხაზინის გამდიდრება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ასე არ ხდებოდა. კორუმპირებული ქვედა ფენების მოხელეები ხშირად არ არეგისტრირებდნენ ოჯახებს საგადასახადო რეესტრში, რომ ფული მიეთვისებინათ. ასეთი სახის კორუფციის აღმოფხვრა რამდენჯერმე სცადეს როგორც საჭურისებმა, ისე კონფუციანელებმა, მაგრამ ერთმანეთთან დაპირისპირების გამო, ეს ორი დაჯგუფება მუდმივად ეწინააღმდეგებოდა მეორის წამოწყებულ კამპანიას და შედეგად პრობლემაც გადაუჭრელი რჩებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სახელმწიფო საცავი, რომელსაც შეეძლო 7-8 წელი შეენახა ქვეყანა, შუა პერიოდის ბოლოსკენ დაცარიელდა და ხშირად იმპერატორს უწევდა საკუთარი ფული გაეღო იმპერიის საჭიროებებისათვის.

ხაზინის შევსებას არაერთი მეთოდით ცდილობდნენ, უმეტეს შემთხვევაში არაეფექტური და საზიანო მეთოდებით. მაგალითად, ახალი გადასახადების დამატებით და ძველის გაზრდით, ვერცხლისა და მარცვლეულის გაცვლის კურსის ხელოვნური ცვლით, ხელფასების შემცირებით და სხვა. მსგავსი მეთოდები დიდ შედეგს არ იძლეოდა და იმპერიას ახალი გზის ძიება უწევდა. მაგრამ, იმპერატორების პიროვნული ფაქტორისა და ადმინისტრაციაში დაპირისპირების გამო ვერ მოხერხდა სწორი ნაბიჯების გადადგმა. საბოლოოდ, იმდენად უიმედო სიტუაციამდე მივიდნენ, რომ გლეხებს შეეძლოთ სავალდებულო შრომისაგანაც კი დაეღწიათ თავი, ოღონდ ვერცხლი გა-

დაეხადათ. მართალია, ვერც ამან იქონია დიდი გავლენა კრიზისის მოგვარებაზე, მაგრამ მსგავსი პროცესების შედეგად ეკონომიკურ სისტემაში ვერცხლი ნელ-ნელა მთავარი ერთეული გახდა როგორც მაღალ ეშელონებში, ისე დაბალ ფენებში.

მინგის დინასტიის შუა პერიოდი მნიშვნელოვანი გარდატეხა იყო დინასტიის სამხედრო სფეროში. მაგრამ, ცვლილებები სასიკეთო მიმართულებით ნამდვილად არ წასულა. მინგის არმია დროთა განმავლობაში უდისციპლინო მასა გახდა. ვერ ხერხდებოდა კვოტით გათვალისწინებული მეომრების რაოდენობის შეკრება და შეკრებილი ჯარისკაცებიც მცირე ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდნენ. არმიის ასეთი დაცემის მიზეზი იყო საიმპერატორო კარის ჩაკეტილი პოლიტიკა, კონფუციზმის დოქტრინა და ეკონომიკური კრიზისი.

პირველ რიგში გავნიხილოთ დინასტიის იზოლაციის პოლიტიკა. როგორც აღვნიშნეთ, მინგის დინასტიამ აქტიურად დაიწყო თავდაცვითი კედლების მშენებლობა. მთელი შუა პერიოდის განმავლობაში მხოლოდ 1470-იან წლებში განახორციელეს რამდენიმე შეტევა მონღოლებზე. ეს ლაშქრობები დაპყრობით ხასიათს არ ატარებდა და მხოლოდ მტრის დაფანტვის მიზნით ტარდებოდა. მეტი საგარეო ლაშქრობა არ მომხდარა. იმპერია პასიურ თავდაცვით პოზიციაზე გადავიდა. შედეგად, ჯარისკაცების გამოცდილების დონე დაეცა. მათ იშვიათად თუ უწევდათ ხოლმე ბრძოლაში ჩაბმა. გარდა ჩრდილოეთის საზღვრის დამცველებისა, მინგის არმიის ბრძოლისუნარიანობა ძალიან დაბალ დონეზე იყო.

სამხედრო სფეროს რეგრესი გამოიწვია კონფუცის მოძღვრებამ. კონფუციზმის სოციალურ მოდელში სამხედროებს ძალიან დაბალი სტატუსი აქვთ. ზოგადად, კონფუციზმი უარყოფითად უყურებს ძალისმიერ მეთოდებს პრობლემის გადაწყვეტისას. შედეგად, სამხედრო სფეროს პრესტიჟი დაეცა, რამეთუ აქ მოხვედრა კარიერულ წინსვლას ვერ გთავაზობდა. ნიჭიერი სამხედროების ნაცვლად საჭურისებმა და კონფუცისტმა მოხელეებმა დაიწყეს სარდლის პოზიციების დაკავება. ეს მოხელეები მხოლოდ წიგნებიდან იცნობდნენ სტრატეგიებს და არაფერი გაეგებოდათ რეალური ბრძოლისა. ამის შედეგად არმიის ზედა ფენის კომპეტენტურობაც შემცირდა.

ხელმძღვანელთა არაკომპეტენტურობა, დაბალი სოციალური სტატუსი, განვითარების უქონლობა, რეალური ბრძოლის გამოცდილე-

ბის არქონა გახდა მიზეზი არმიის დემორალიზებისა. ამას დაემატა ეკონომიკური სიდუხჭირეც. ხშირად საიმპერატორო კარი ხაზინიდან გასავლის შემცირებისთვის სამხედროებს უმცირებდა ულუფებს. ეს, ბუნებრივია, ისედაც დაბალი მორალის ჯარისკაცებში, კიდევ უფრო მეტ უკმაყოფილებას იწვევდა და არაერთხელ ავჯანყების მიზეზიც გახდა.

დინასტიის შუა პერიოდის ბოლოს არმიის მდგომარეობა კატასტროფული იყო. მათ უკვე აღარ შეეძლოთ მომთაბარეების მომატებული იერიშების მოგერიება. 1549 წელს მომთაბარეებმა ახალი რეიდი მოაწყვეს ორდოსის რეგიონიდან[1]. გაიარეს შაანსის, შანსის პროვინციები და პეკინსაც კი მიადგნენ. თუმცა ქალაქს არ შეუტიეს და უკან წავიდნენ. უმოწყალოდ ძარცვავდნენ გზად სოფლებსა და ქალაქებს. ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ ერთხელაც კი არ მოუწიათ ბრძოლა მინგის ჯარებთან. მათ ისე გაიარეს რამდენიმე ასეული კილომეტრი ძარცვა-გლეჯით იმპერიის შიგნით, დედაქალაქთან ახლოს, რომ ერთი კაციც კი არ დაუკარგავთ. ეს ერთი მაგალითიც კარგად მეტყველებს როგორ მდგომარეობაში იყო იმდროინდელი სამხედრო სფერო.

დიდი ცვლილებები მოხდა მინგის დინასტიის საგარეო პოლიტიკაში შუა პერიოდის განმავლობაში. საგარეო პოლიტიკის მხრივ ძირითადად განვიხილავთ ურთიერთობას ჩრდილოელ და დასაველელ მომთაბარეებთან, საგარეო საზღვაო ვაჭრობას და ევროპელების გამოჩენას. უპირველეს ყოვლისა, განსახილველია, თუ როგორ უყურებდა მინგის დინასტია საკუთარ გარემოცვას – სრული იგნორირებითა და უინტერესობით. მინგის დინასტიას არ აინტერესებდა, რა ხდებოდა საზღვრებს გარეთ მანამ, სანამ გარე მოვლენები უშუალოდ იმპერიას არ შეეხებოდა. საიმპერატორო კარმა არ იცოდა მონღოლეთის შიდა ამბები: ვინ ვის ცვლიდა და ვის რა ინტერესები ჰქონდა. მათი ერთადერთი ინტერესი ჰქონდათ – მოეგერიებინათ მონღოლთა თავდასხმა. დინასტია ჩაიკეტა საკუთარ ნაჭუჭში. დიდი კედელი გახდა აბსოლუტური საზღვარი მინგსა და არამინგს, კულტურასა და ბარბაროსებს შორის. ერთადერთი სახის საგარეო ურთიერთობა, რომელსაც მინგნის დინასტია ცნობდა, იყო საძღვენო

[1] თანამედროვე შიდა მონღოლეთი.

ელჩობების მიღება. იმპერატორი იღებდა მეზობელი ქვეყნებიდან და ტომებიდან ელჩობებს, რომლებსაც მისთვის საჩუქრები უნდა მიერთმიათ. ამით ხაზი ესმებოდა იმპერატორის უზენაესობას ყველა სხვა მმართველზე. მსგავსი ელჩობის შედეგად, იმპერატორი ამა თუ იმ მმართველს „ასაჩუქრებდა“ ტიტულით და მის ტერიტორიას თავისი გავლენის სფეროდ თვლიდა. რეალურად, მას არანაირი გავლენა არ ჰქონდა სხვა მეზობელ მმართველებზე, თუმცა მინგის დინასტია იმდენად ღრმად ჩაეფლო თავის წარმოსახვით სისტემაში, რომ რიგ შემთხვევებში რუკებზეც კი მინგის სამფლობელოდ დაჰქონდათ ის ტერიტორიები, რომლებიც მას საძღვენო ელჩობებს უგზავნიდნენ.

მომთაბარეების საკითხი მინგის დინასტიის მოუშორებელი ჭირი იყო. რა თქმა უნდა, ძირითადი ძალა კვლავაც მონღოლები იყვნენ. ჩინეთიდან განდევნის შემდეგ მათ კვლავ მშობლიურ სტეპებს მიაშურეს. ნაწილმა კიდევ უფრო დასავლეთით გადაინაცვლა, თანამედროვე კანსუსა და სინძიანგის ტერიტორიაზე. ამგვარად, იმპერიის მთელი ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს მონღოლები ესხმოდნენ თავს. მონღოლების თავდასხმები დაპყრობითი ხასიათის არ იყო. მათ პროდუქტი აინტერესებდათ და არა მიწა. მათი ლიდერები ხშირად ითხოვდნენ სასაზღვრო ბაზრობების აღდგენას, მაგრამ იმპერატორები კატეგორიულ უარზე იდგნენ. რეალურად, მთელი მომთაბარეების სისტემა ძალიან იყო დამოკიდებული ჩინურ პროდუქტებზე. მინგის დინასტიას შეეძლო მანიპულირება ეკონომიკის გამოყენებით, მაგრამ იმპერატორებმა თავისი ნებით თქვეს უარი ამ შესანიშნავ ბერკეტზე. იმპერია არა მხოლოდ ერთეულ თავდასხმებს იღებდა, არამედ დასავლეთით რამდენიმე ქალაქიც დაკარგა, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქალაქი ხამი[1], რომელიც კანსუსა და სინძიანგის საზღვარზეა. ეს ქალაქი იყო და არის გასასვლელი სინძიანგში. ერთი პერიოდი უიღური მუსლიმი მეფეები თავს მინგის ვასალად აღიარებდნენ და ხამიც ასე თუ ისე ჩინურ სფეროში მოიაზრებოდა. მაგრამ მოგვიანებით ტურფანის სამეფოსა და მონღოლების ჩარევით დინასტიამ საერთოდ დაკარგა კონტროლი ამ ქალაქსა და მეზობელ რეგიონებზე. საინტერესო კი ისაა, რომ მაინცდამაინც არც უცდიათ ქალაქის უკან დაბრუნება.

[1] თანამედროვე სინძიანგი, ჩინეთი.

მინგის იმპერატორები არა მხოლოდ მომთაბარეებთან ვაჭრობას არ თანხმდებოდნენ, საზღვაო ვაჭრობაც აკრძალეს. შემოსავლის ეს შესანიშნავი წყაროც თავისი ხელით გადაკეტეს. ბუნებრივია, აკრძალვა ვერ შეაჩერებდა ფულს მოწადინებულ ხალხს. გაჩაღდა ფართომასშტაბიანი არალეგალური საზღვაო ვაჭრობა. მიუხედავად იმპერატორის მხრიდან მკაცრი აკრძალვებისა, ვაჭრობა მაინც გრძელდებოდა. ძირითადი პორტები იყო ქალაქი ნინგპო ჭეძიანგის პროვინციაში, ფუძიენისა და კუანგტუნგის პროვინციის სანაპირო ქალაქები. საქმე ისაა, რომ ადგილობრივი მოხელეები პირდაპირ უარს აცხადებდნენ ვაჭრობის ამკრძალავი კანონები შეესრულებინათ. სანაპირო ზოლებში საზღვაო ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული საზოგადოების ყველა ფენა. მდიდარი ვაჭრები და წარჩინებული ოჯახები დიდ შემოსავალ იღებდნენ ამ ვაჭრობიდან. მოგების ნაწილს უნაწილებდნენ ადგილობრივ მოხელეებს და ჯარის წარმომადგენლებს, რათა მათი პროდუქტი უსაფრთხოდ ყოფილიყო. გლეხები კი დასაქმების შესაძლებლობას იღებდნენ სავაჭრო სფეროში. ბუნებრივია, ეკონომიკური კრიზისის პირობებში ვაჭრობის აკრძალვა, თავის რჩენის ალტერნატიული გზის შეთავაზების გარეშე არარეალური იქნებოდა. მე-16 საუკუნეში განსაკუთრებით გახშირდა მეკობრეების დაჯგუფებების გამოჩენა. მეკობრეებს ვამბობთ, მაგრამ თავდაპირველად ასე არ იყო. უბრალოდ, მინგის დინასტია ასე მოიხსენიებდა არალეგალურ საზღვაო ვაჭრობაში ჩართულ ხალხს მაშინ, როცა 40-50-იან წლებში დინასტიამ მკაცრი ნაბიჯები გადადგა მეკობრეების ამოძირკვის მიზნით და სამხედრო შენაერთები გაგზავნა სამხრეთის საპორტო ქალაქებში. ამ პერიოდში ვაჭრებს შექმნილი ჰქონდათ სავაჭრო დაჯგუფებები. იმპერიის მხრიდან მკაცრი მეთოდების გამოყენების გამო ისინიც თავდასხმაზე გადავიდნენ. 40-50-იან წლებში ვაჭრები ხშირად უტევდნენ ჩინეთის სანაპირო ზოლს. ტერიტორია ნანძინგსა და ხანგჭოუს შორის სრულიად უკონტროლო იყო. მხოლოდ 50-იანი წლების ბოლოს მოხერხდა ამ არეალში მშვიდობის დამყარება, მაგრამ „მეკობრეების" თავდასხმები მთლიანად ვერ ამოიძირკვა. ისინი სამხრეთით გადავიდნენ ფუძიენისა და კუანგტუნგის პროვინციებისკენ. იმის მაგივრად, რომ შემოსავლის წყაროდ გამოეყენებინა საზღვაო ვაჭრობა, იმპერიამ არასწორი ქმედებით უფრო მეტი ზარალი მიიღო, ვიდრე სარგებელი.

XVI საუკუნის დასაწყისში პირველად დიდი პაუზის შემდეგ ევროპელები გამოჩნდნენ ჩინეთის მიწაზე. იუენის დინასტიის დაცემის შემდეგ შეწყდა სახმელეთო მიმოსვლა ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთს შორის. მაგრამ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად საზღვაო მარშრუტებმა ინდოეთამდე მიაღწია. აქედან ჩინეთამდე მიღწევა კი დროის საკითხი იყო. პირველი ევროპელები ჩინეთში დიდი ხნის შემდეგ პორტუგალიელები იყვნენ. 1513 წელს მათი პირველი გემი მიადგა კუანგჭოუს ნავსადგურს. 1517 წელს კი პირველი ოფიციალური პორტუგალიური წარმომადგენლობა შევიდა კუანგჭოუში ფერნანდო პირეს დე ანდრადის მეთაურობით. მათ დაარწმუნეს ადგილობრივი ზედამხედველი, რომ ძღვენი ჰქონდათ იმპერატორისათვის და ელჩი გაგზავნეს პეკინისაკენ. როცა ელჩმა პეკინს მიაღწია, იმპერატორი ჭენგტე უკვე ძალიან ავად იყო და მალევე გარდაიცვალა, ამიტომ ელჩი უკანვე გააბრუნეს. მალე ჩინურ-პორტუგალიური ურთიერთობები უარესობისაკენ შეიცვალა. ფერნანდო ანდრადეს უმცროსმა ძმა მონათვაჭრობა დაიწყო და არაერთი ადგილობრივი კანონი დაარღვია. ამის გამო პორტუგალიელები გაყარეს კუანგჭოუდან. 1522-1524 წლებში მიმდინარეობდა საზღვაო ომი პორტუგალიელებსა და ჩინელებს შორის, რომელიც პორტუგალიელების მარცხით დასრულდა. მიუხედავად ამისა, პორტუგალიელები არ დანებდნენ და სანაპირო ქალაქებში არალეგალურად შედიოდნენ. საბოლოოდ, ჩინური მხარე დათანხმდა მათთვის გამოეყო ცალკე კუნძული. პორტუგალიამ იჯარით აიღო კუნძული მაკაო (აომენი) და აქედან შეეძლო ევაჭრა კონტინენტურ ჩინეთთან (სურ. 151).

მინგის დინასტიის შუა პერიოდში გამოიკვეთა იმპერიის სისუსტეები და მომავალი საფრთხეები. იმპერატორების პირადი სისუსტით, კონფუციზმის დოქტრინის გაძლიერებით შექმნილი ჩაკეტილობის სინდრომით და ხელისუფლების აპარატში მუდმივი შიდა დაპირისპირებით იმპერია ძალიან დაზარალდა.



სურ. 151 მაკაო (აომენი)

ასწლიანი პერიოდის ბოლოს იმპერიის ეკონომიკა ძლიერ კრიზისში იყო. დაცარიელებული ხაზინის შევსების გზა არ ჩანდა ან ჩანდა, მაგრამ ძალით იბრმავებდნენ თავს. ვერც თავში და ვერც ბოლოში ვერ გაიაზრეს ვაჭრობის მნიშვნელობა და შესაძლო მოგების შანსი. უყურადღებობისა და პასიურობის გამო არმიის ყველა ფენა უკიდურესად ბრძოლისუუნარო ელემენტებით გახდა დაკომპლექტებული. ფისკალური კრიზისით და ბუნებრივი კატაკლიზმებით შეწუხებული ხალხი და არმიაც არაერთხელ აწყობდა აჯანყებას და კიდევ უფრო ასუსტებდა ქვეყანას. დინასტიას მოუნია პირველი შეხვედრა დასავლეთ ევროპულ სივრცესთან, მაგრამ მკაცრ ჩარჩოებში მოქცეული მსოფლმხედველობის მოდელის გამო საწყისი ეტაპიდანვე ვერ გააცნობიერეს, ევროპული სახელმწიფოების სახით რა საფრთხე ელოდათ ან რა შესაძლებლობები შეიძლებოდა გაჩენილიყო.

დინასტიის გვიანი პერიოდი. მინგის დაცემა (1567-1644)

მინგის დინასტიის გვიანი პერიოდი უკუსვლისა და კატაკლიზმების ეპოქაა. ბუნებრივი კატასტროფები და სახელმწიფო საქმეების ტრაგიკული განვითარება ერთად ხდებოდა, თითქოს საზოგადოება და ბუნება შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ამ 80 წლიან პერიოდში თავი იჩინა ყველა იმ არასწორმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა, რაც დინასტიის საწყის და შუა ეტაპებზე გადაიდგა. მიუხედავად აშკარა მცდარი კურსისა, დინასტიამ არათუ გამოასწორა შეცდომები, საქმე უარესობისაკენ წაიყვანა, რაც საბოლოოდ დინასტიის დაცემით დაგვირგვინდა. მოვლენათა ასეთი განვითარების მიზეზებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გამოვყოთ: ხელისუფლების ფაქტორი, ეკონომიკურ. სამხედრო, საგარეო და ბუნების ფაქტორები.

ხელისუფლების ფაქტორი

ხელისუფლების ფაქტორში იგულისხმება საიმპერატორო კარი და ადმინისტრაციული აპარატი. თუ რა გავლენა მოახდინა დინასტიის დაცემაზე ხელისუფლების ფაქტორმა, ამ საკითხს ოთხი მიმართულე-



სურ. 152 ვანლი

ბით განვიხილავთ: არაკომპეტენტური იმპერატორები, დაპირისპირება იმპერატორებსა და მოხელეებს შორის, დაპირისპირება მოხელეებსა და საჭურისებს შორის, „პარტიული" დაპირისპირება კონფუციისტ მოხელეებს შორის.

წინა თავში განვიხილეთ დინასტიის შუა პერიოდის ოთხი იმპერატორი. მათგან მხოლოდ ერთზე შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად იმსახურებდა საიმპერატორო ტახტს. დანარჩენი სამი არ იყო დაჯილდოვებული მმართველის უნარით, მაგრამ მინგის ბოლო პერიოდის იმპერატორებთან შედარებით, ისინიც კი ნამდვილ ანგელოზებად ჩანან. 1567-1644 წლებში დინასტიამ ხუთი იმპერატორი გამოიცვალა: ლუნგცინგი, ვანლი, თაიჩანგი, თიენცი, ჩუნგჭენი. ამ ხუთიდან მნიშვნელოვანია სამი იმპერატორი: ვანლი, თიენცი და ჩუნგჭენი. პირველი ორი – ვანლი და თიენცი, ერთმანეთს ჰგავდნენ სახელმწიფო საქმეების სრული იგნორირებითა და პირადი ხარჯების მუდმივი ზრდით. ვანლი ათეულობით წელი არ მონაწილეობდა ხელისუფლების ფუნქციონირებაში. იგი უარს ამბობდა მასთან გაგზავნილი დოკუმენტების თუნდაც ხელის მოწერაზე. მოხელეების დიდი ნაწილი, რომლებსაც პენსიაზე გასვლა სურდათ, თანხმობას ვერ იღებდნენ. ამიტომ ვანლის მმართველობის ბოლოს ბევრი ისეთი პოსტი არსებობდა, რომელსაც უკვე არავინ ასრულებდა (სურ. 152). უკანასკნელი იმპერატორი, ჩუნგჭენი, მართალია, დაინტერესებული იყო სახელმწიფო საქმეებით, მაგრამ არ გააჩნდა პოლიტიკური ალღო და არ იყო ძლიერი პიროვნება. არასოდეს არ იღებდა პასუხისმგებლობას და მუდამ განტევების ვაცს ეძებდა. ამ იმპერატორებს არათუ კრიზისიდან გამოსავალი ან ახალი ხედვა არ შემოუთავაზებიათ, თავიანთი ულოგიკო და უპასუხისმგებლო ქმედებებით კიდევ უფრო დააჩქარეს დინასტიის აღსასრული.

არაკომპტენტური იმპერატორები ჩინეთის ისტორიაში ბევრი იყო, მაგრამ ზოგიერთ სიტუაციებში ხელისუფლების აპარატი აწონასწორებდა იმპერატორის სისუსტეებს. ამ შემთხვევაში ხელისუ-

ფლების აპარატმა ვერ შეძლო მსგავსი დავალების შესრულება. მიზეზი რამდენიმეა. მათ შორისაა დაპირისპირება იმპერატორსა და მოხელეებს შორის. ამ დაპირისპირების მიზეზი იყო მოხელეების მცდელობა შეეზღუდათ იმპერატორის ერთპიროვნული ძალაუფლება. საქმე ისაა, რომ იმპერატორების, ხუნგსისა და სიუენტეს პერიოდიდან ადმინისტრაციული აპარატი, კონფუციანისტი მოხელეებითა და მოგვიანებით საჭურისებით დაკომპლექტებული, უკვე იმდენად აწყობილი სისტემა იყო, რომ არ მოითხოვდა იმპერატორის აქტიურ ჩარევასა და მნიშნელოვანი ცვლილებების გატარებას მართვის პროცესში. მოხელეებისათვის იდეალური იმპერატორის ტიპი იყო იმპერატორი ხუნგჭი – კონფუციზმის მკაცრი მიმდევარი, პასუხისმგებლობისა და თვითკრიტიკის უნარის მქონე, რიტუალების შემსრულებელი და წესების მიმდევარი იმპერატორი, რომელთანაც კამათი შესაძლებელი იქნებოდა. მოხელეებს სურდათ ამ ჩარჩოში მოექციათ ნებისმიერი იმპერატორი, რაც აშკარად იმპერატორის ძალაუფლების შეზღუდვას ნიშნავდა. დინასტიის ბოლო პერიოდში იმპერატორები არაერთხელ წაწყდომიან წინააღმდეგობას მოხელეების მხრიდან, რაც მათ აიძულებდათ გადაწყვეტილების გაუქმებას. იმპერატორის ერთპიროვნული ძალაუფლების შეკვეცის წინაპირობა იყო იმპერატორის, როგორც თვითმპყრობელის უკანა პლანზე გადაწევა. როგორც წინა თავში აღინიშნა, იმპერატორი ფაქტობრივად მოწყდა სამხედრო სფეროს. თუკი დინასტიის დამფუძნებელი იმპერატორები – ხუნგ-უ და იუნგლე არაერთხელ გასძღოლიან არმიას, მოგვიანებით იმპერატორი უფრო და უფრო დაშორდა სამხედრო სფეროს. ამან ბუნებრივად გამოიწვია იმპერატორისადმი შიშის შემცირება. თანგის დინასტიაში, თუნდაც მინგის საწყის წლებში ვერ ნახავდით სიტუაციას, როცა იმპერატორი იძულებული იყო უკან წაეღო თავისი გადაწყვეტილება იმიტომ, რომ მოხელეებს მისი შესრულება არ სურდათ. მინგის ბოლო წლებში კი ასეთი პრეცედენტები გამრავლდა.

კიდევ ერთი მიზეზი იმპერატორსა და მოხელეებს შორის დაპირისპირებისა იყო მოხელეების მხრიდან იდეალურ იმპერატორზე შემუშავებული მკაცრი კონფუციური ხედვა. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, თუ როგორ წარმოედგინათ მოხელეებს იდეალური იმპერატორი. მსგავსი ჩარჩოები დიდ ტვირთად ანვათ იმპერატორებს და ზღუდავდა მათ სურვილებსა და გამოხატვის მეთოდებს. ამას გარდა,

ხუნგჭის შემდეგ იმპერატორები, არათუ კონფუციურ, არამედ ნორმალური იმპერატორის მოდელსაც კი ვერ აკმაყოფილებდნენ. საინტერესოა, რომ იმპერატორებისადმი ყველაზე მაღალალი მოთხოვნების პერიოდში ყველაზე ცუდი იმპერატორები გამოვიდნენ ასპარეზზე.

საჭურისების აღმავლობა მე-15 საუკუნიდან დაიწყო და მე-16 საუკუნის ბოლოს უკვე პიკს მიაღწია. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ამ დროის პეკინში ყოველწლიურად 3000 ახალი საჭურისი მიიღებოდა. მათი მოქმედების სფეროები მოიცავდა ხელისუფლების ყველა დარგს – სამოქალაქო, სამხედრო და ფინანსურ სფეროებს. საჭურისების მსგავსი გაძლიერება კონფუცისტი მოხელეების მძლავრ უკმაყოფილებას იწვევდა. საიმპერატორო კარზე ამ ორ დაჯგუფებას შორის მუდმივად იყო კონფლიქტის ნაპერწკალი. ისეც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყველა მოხელე და საჭურისი ერთმანეთის ყელზე დანამიბჯენილნი იყვნენ. მინგის ბოლო პერიოდში ხშირი იყო მათ შორის თანამშრომლობა. მაგალითად, იმპერატორ ვან ლის მთავარი მოხელე, ჭანგ ძიუჭენგი (1525-1582 წწ.) დიდწილად საჭურისებთან მეგობრობით ინარჩუნებდა იმპერატორთან კარგ ურთიერთობას და გავლენას ადმინისტრაციულ აპარატზე. მაგრამ, მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ისეთი პიროვნებაც კი, როგორიც ჭანგ ძიუჭენგი იყო, იძულებული გახდა საჭურისებს დაყრდნობოდა იმპერატორთან ურთიერთობის აწყობაში, მეტყველებს ამ დაჯგუფების დიდ ძალაუფლებაზე (სურ. 153).

ჩინურ ისტორიოგრაფიაში არსებობს ასეთი ტერმინი: „ყველაზე უარესი 10 საჭურისი“. მართალია, მათი შემადგენლობა ხანდახან იცვლება ხოლმე, მაგრამ ყველა ვარიაციაში არის მინგის დინასტიის 3-4 წარმომადგენელი. მათ შორის კი აუცილებლად შედის ვეი ჭუნგსიენი (1568-1627 წწ.). ეს ცნობილი საჭურისი იმპერატორ თიენცის მმართველობის ეპოქაში საიმპერატორო კარის ნამდვილი ჭირი გახდა. იგი სასტიკად უსწორდებდა ნებისმიერ მეტოქეს და უკონტროლოდ ფლანგავდა საიმპერატორო ხარჯებს. საბოლოოდ, ახალი იმპერატორის არჩევისთანავე დაკარგა ძალაუფლება



სურ. 153 ჭანგ ძიუჭენგი

და სიცოცხლეც. უნდა ითქვას, რომ ასეთ გამორჩეულად ძლიერ და სასტიკ საჭურისებს არათუ მოხელეები, საკუთრივ საჭურისებიც ებრძოდნენ ხოლმე.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჩინეთის ისტორიაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა სუსტი იმპერატორის ნაკლოვანებას კარგად ფუნქციონირებადი ადმინისტრაციული აპარატი ავსებდა. სამწუხაროდ, მინგის დინასტიის უკანასკნელ ეტაპზე ამ აპარატში ბზარები გაჩნდა. მოხელეებს არა მხოლოდ იმპერატორსა და საჭურისებთან ჰქონდათ დაპირისპირება, არამედ მიმდინარეობდა ძლიერი შიდა სისტემური ბრძოლა. ამის მიზეზი იყო მე-16-17 საუკუნეებს მიჯნაზე ე.წ. „პარტიების" გამოჩენა სამოხელეო აპარატში. ამ შემთვევაში „პარტია" არ უნდა გავიგოთ თანამედროვე მნიშვნელობით. მათ არ ჰქონიათ ერთიანი სისტემა, საორგანიზაციო ჯგუფი, პარტიის წევრების სია და ა.შ. ეს არ იყო ოფიციალური გაერთიანება, არამედ ხალხის ჯგუფი, რომელთაც მსგავსი აზრი ჰქონდა ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე და მისი გადაჭრის გზებზე. პირველი, ყველაზე ცნობილი და გავლენიანი ასეთი პარტიებიდან იყო ე.წ. „ტუნგ ლინი". ოფიციალურად „ტუნგ ლინი" 1603 წელს დაარსდა. ამ „პარტიის" ძირითადი იდეა იყო კონფუციზმის სრული დანერგვა ხელისუფლებასა და საზოგადოებაში. მათი აზრით, არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კრიზისი კონფუციზმის დებულებების დარღვევით იყო გამოწვეული. შესაბამისად, კონფუციზმიდან ნებისმიერი გადახვევა მათთვის დანაშაულს უტოლდებოდა. შეიძლება ითქვას, „ტუნგ ლინი" იმ პერიოდის რადიკალურ მოაზროვნეთა იდეების გამომხატველი იყო. მართალია, უშუალოდ „პარტიის" წევრები ბევრნი არ იყვნენ და დიდი თანამდებობებიც არ ეკავათ, მაგრამ მათ მრავალი მოხელე თანაუგრძნობდა და მხარდამჭერების ნაკლებობას არ უჩიოდნენ.

მე-16 საუკუნის 10-20-იან წლებში საიმპერატორო კარზე აშკარა გახდა დაპირისპირება „ტუნგ ლინის" მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. როგორც აღვნიშნეთ, „ტუნგ ლინის" დოგმა იყო კონფუციზმის აბსოლუტური დაცვა. ბუნებრივია, რეალურ პოლიტიკაში შეუძლებელია, ბოლომდე მიჰყვე აბსოლუტს დათმობებზე წასვლის გარეშე. სწორედ ეს იყო „ტუნგ ლინისა" და მათი მეტოქეების დაპირისპირების მიზეზი. სამწუხარო კი ისაა, რომ ამ დაპირისპირე-

ბას ეწირებოდა პრობლემის საღი ხედვა და ობიექტური შეფასება. „პარტიული" ხედვიდან გამომდინარე არაერთხელ მომხდარა, რომ ამ ორ დაჯგუფებას ერთმანეთის პროექტი და იდეა დაუბრკოლებია, მიუხედავად მათი ღირებულებისა. ეს მნიშვნელოვნად აზარალებდა მინგის პოლიტიკას და კრიზისს კიდევ უფრო აღრმავებდა. „პარტიული" დაპირისპირების კიდევ ერთი შედეგი იყო იმპერატორის მოხელეებისადმი ნდობის დაკარგვა, რომელმაც იჩინა თავი ჩუნგჭენის მმართელობის დროს. იმპერატორი აღარ ენდობოდა მოხელეების რჩევებს, რადგან მიაჩნდა, რომ ისინი, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი „პარტიის" სარგებელზე ფიქრობდნენ და არა ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეებზე. ამ ფაქტორმა კი კიდევ უფრო გააღრმავა ნაპრალი იმპერატორსა და მოხელეებს შორის.

ამგვარად, მინგის დინასტიის ბოლო პერიოდის ხელისუფლებამ ვერ უპასუხა ეპოქის გამოწვევებს. მაშინ როცა დინასტიას ყველაზე მეტად სჭირდებოდა შველა, მათ მხოლოდ გააუარესეს სიტუაცია. ამაში ბრალს ვერ დავდებთ ერთ პიროვნებას ან ერთ რომელიმე დაჯგუფებას. მინგის ხელისუფლების უუნარობა არაკომპეტენტური იმპერატორების, საჭურისებისა და მოხელეების ერთმანეთთან და შიდა კონფლიქტების შედეგი იყო.

ეკონომიკური ფაქტორი

ეკონომიკური ფაქტორი დინასტიის დასუსტების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი გახდა. ეკონომიკური კრიზისი მინგის დინასტიაში ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის დასაწყისიდან გამოიკვეთა და აქედან მოყოლებული დინასტიის გადაუჭრელ პრობლემად იქცა. იმპერიის შემოსავლისა და გასავლის უარყოფითი ბალანსი დინასტიის დაცემამდე თითქმის არ შეცვლილა. მხოლოდ გვიანი მინგის საწყის წლებში შეინიშნება ეკონომიკის გაუმჯობესება. ამის მიზეზი კი უკვე ნახსენები მოხელე – ჭანგ ძიუჭენგი იყო. იმპერატორ ვანლის ტახტზე ასვლიდან მომდევნო ათი წლის განმავლობაში ჭანგი მეორე კაცი იყო მთელ იმპერიაში. მიუხედავად მთავარი ვეზირის სახელოს გაუქმებისა, ფაქტობრივად ჭანგი ამ მოხელის ძალაუფლებას ფლობდა. იგი იყო განათლებული და ჭკვიანი პიროვნება,

რომელმაც მოახერხა ეკონომიკური კრიზისის დროებითი შენელება. როცა ჭანგი გარდაიცვალა (1582 წ.) სახელმწიფო საცავებში იმდენი მარცვლეული ინახებოდა, რომ 9 წელი ეყოფოდა ქვეყანას. გარდა ამისა, მთელი იმპერიის მასშტაბით საცავებში 400 ტონაზე მეტი ვერცხლი დაგროვდა.

როგორ მოახერხა ჭანგ ძიუჭენგმა მსგავსი შედეგის მიღწევა? ჭანგის ფისკალური პოლიტიკა კონცენტრირებული იყო სახელმწიფო ხარჯების მაქსიმალურ დაზოგვაზე. მან გააუქმა ან შეაჩერა უსარგებლო პროექტები, შეკვეცა საფოსტო სადგურების რაოდენობა, შეამცირა ჩრდილოეთ საზღვარზე მდგარი მეომრების რაოდენობა და მათი დიდი ნაწილი მიწას მიამაგრა. შესაბამისად, შემცირდა მათ შესანახად საჭირო მარცვლეულის მოცულობაც. გარდა ამისა, ჭანგმა დააწესა გადასახადების აკრეფის პროცესის მკაცრი კონტროლი. ამ მეთოდებით მან შეძლო ცარიელი ხაზინის ისევ შევსება. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ჭანგის გარდაცვალების შემდეგ მალევე განახლდა ეკონომიკური კრიზისი და უფრო მძიმე სახე მიიღო.

რატომ ვერ იმოქმედა ჭანგის პოლიტიკამ ხანგრძლივად? საქმე ისაა, რომ ჭანგის ფისკალური პოლიტიკა ძირეულ ცვლილებებს არ მოიცავდა. მან უბრალოდ მაქსიმალური დაზოგვის პოლიტიკით მიაღწია უარყოფითი ბალანსის ამოვსებას. ეს შედეგი მან მიიღო ასევე ხელისუფლების სხვადასხვა აპარატის დიდი წნეხის ქვეშ მოქცევის შედეგად. ბუნებრივია, მისი გარდაცვალების შემდეგ ეს წნეხიც გაქრა და დაზოგვის პოლიტიკაც გაუქმდა. ჭანგმა ვერ შექმნა შემოსავლის სტაბილური წყარო, მაგრამ ეს მისი ბრალი სულაც არ იყო. მას ჰქონდა შეზღუდული ძალაუფლება და შედეგს მხოლოდ მოქმედი სისტემის მაქსიმალური გამოყენებით მიაღწია. მას არ ჰქონდა ძალაუფლება, გაეტარებინა რეალური ცვლილებები ფისკალურ პოლიტიკაში, როგორიცაა საგადასახადო სისტემაში კორუფციის აღმოფხვრა, საგადასახადო სიების მოწესრიგება, სავაჭრო გადასახადის და საგარეო ვაჭრობის დარეგულირება, ვერცხლის რაოდენობის გაკონტროლება და სხვა. ეს ძირეული ცვლილებები მხოლოდ იმპერატორის მიერ ან მისი თანხმობით შეიძლებოდა გატარებულიყო, მაგრამ იმპერატორი მხარს არ უჭერდა რეფორმებს.

მინგის გვიანი პერიოდის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობდა ვერცხლი. ვერცხლი გახდა იმპერიის მთავარი ვალუტა. ქაღალდის

ფული მე-14-15 საუკუნეებში ძლიერი ინფლაციის გამო გაუფასურდა, სპილენძის ფულიც ნელ-ნელა ამოვარდა გამოყენებიდან ყალბი მონეტების სიმრავლის გამო. მე-16 საუკუნიდან მოყოლებული ვერცხლი გახდა იმპერიის ეკონომიკის საყრდენი. იგი იმდენად გავრცელდა მთლიანად საზოგადოებაში, რომ გვიანი მინგის დროს გადასახადები, სავალდებულო სამუშაოები უკვე ვერცხლის სახით უნდა გადაეხადათ. ეს, თავის მხრივ, დადებითად მოქმედებდა გადასახადების აკრეფაზე, რადგან ადრე სხვადასხვა რეგიონს სხვადასხვა სახის და რაოდენობის პროდუქტის ჩაბარება უწევდა გადასახადის სახით, რაც ართულებდა დიდ იმპერიაში საგადასახადო სისტემის მოწესრიგებას.

ეკონომიკის ვერცხლზე დამოკიდებულებამ დადებითთან ერთად არაერთი უარყოფითი შედეგი მოიტანა. კერძოდ, იმპერიის ეკონომიკა ზედმეტად გახდა დამოკიდებული ვერცხლის საერთაშორისო ბრუნვაზე. ვერცხლზე. მე-16 საუკუის 70-იან წლებამდე იმპერია აკონტროლებდა ვერცხლის რაოდენობას. მაგრამ, 70-იანი წლებიდან, როცა გაიხსნა საზღვაო ვაჭრობა, ქვეყნის გარედან ვერცხლის დიდმა ნაკადმა დაიწყო დინება. ვერცხლის ძირითადი წყარო იყო იაპონია, ესპანელებთან და პორტუგალიელებთან ვაჭრობა. ვერცხლის მოზღვავებული რაოდენობა უკვე აღარანაირ კონტროლს არ ექვემდებარებოდა. თავდაპირველად, ამას პრობლემა არ გამოუწვევია, მაგრამ მოგვიანებით კი იჩინა თავი. მე-17 საუკუნიდან ვაჭრობა იაპონიასა და ესპანელებთან გაუარესდა. იაპონიაში ტოკუგავას რეჟიმის (1603-1868 წწ.) მოსვლიდან მალევე შეწყვიტეს ვაჭრობა ჩინეთთან. ესპანელებსა და ჩინელებს შორის დაპირისპირებამ გამოიწვია ესპანელების მიერ ჩინელი მოსახლეობის გენოციდი ფილიპინებზე, რასაც, ბუნებრივია, სავაჭრო ურთიერთობების ძლიერი შემცირება მოჰყვა. ამას დაემატა აჯანყებები ჩინეთის სამხრეთ პროვინციებში – იუნნანსა და კუეიჭოუში, სადაც ვერცხლის მაღაროები იყო. ამ ფაქტორების გამო იმპერიაში „ვერცხლის კრიზისი" დაიწყო – ვერცხლის თვითღირებულება გაიზარდა, პროდუქტების ფასი კი შემცირდა.

ეკონომიკური კრიზისის ფონზე დინასტიის ფისკალური პოლიტიკა რეალობას ვერ პასუხობდა. იმპერატორები უარს ამბობდნენ რეფორმების გატარებაზე ან თუნდაც საკუთარი ხარჯების შემცირებაზე. ხაზინის შევსების წყაროს ისინი ხედავდნენ გადასახადების გაზრდაში ან ახალი გადასახადების დაწესებაში. მხოლოდ ჩუნგჭენის იმპერა-

ტორობის დროის ისედაც გაზრდილი გადასახადები კიდევ ექვსჯერ გაიზარდა. მსგავსი კატასტროფული ფისკალური პოლიტიკა კი ძალიან უარყოფითად მოქმედებდა საზოგადოების განწყობაზე. მინგის გვიან პერიოდში ძალიან გახშირდა გლეხთა აჯანყებები. განსაკუთრებით მე-17 საუკუნის 30-იან წლებში. სწორედ გლეხთა აჯანყებებს ემსხვერპლა დინასტია.

სამხედრო ფაქტორი

მინგის დინასტია სამხედრო კუთხით არასოდეს ყოფილა გამორჩეულად ძლიერი, გარდა დინასტიის საწყისი ნახევარი საუკუნისა. მე-15 საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო სამხედრო სფეროს სტაბილური დეგრადირება: დაინია მეომრების რაოდენობამ, სამხედრო დისციპლინამ და მორალმა, საზოგადოებაში სამხედროების სტატუსმა, რადგან კონფუციისტი მოხელეები და საჭურისები ინიშნებოდნენ სარდლებად. დინასტია ჯერ კიდევ შუა პერიოდიდან გადავიდა პასიურ დაცვაზე და გვიან პერიოდშიც ერთგულად განაგრძო მსგავსი პოლიტიკა. მინგის მოგვიანო პერიოდში არმიის მთავარი პრობლემები იყო: მეომრების სიმცირე, დისციპლინის ნაკლებობა და არაპროფესიონალი სარდლობა (სურ. 154).



სურ. 154 მინგის მეომარი

მეომართა რაოდენობის შემცირების სახით მინგის დინასტიას კიდევ ერთი გადაუჭრელი პრობლემა ედგა წინ. დინასტიის დაარსებისას იმპერატორმა ხუნგ უმ მეომართა ფენა ცალკე გამოყო საზოგადოებაში და მისცა მათ მემკვიდრეობითი მოვალეობა, ემსახურათ არმიაში ან სამხედრო მიწები დაემუშავებინათ არმიის შესანახად. მაგრამ თუმუს კრიზისის დროს (1449 წ.) გამოჩნდა არმიის შევსების კიდევ ერთი მეთოდი – მოხალისეების ჩაწერა არმიაში. ამ მეთოდის დანერგვა მაშინ აუცილებელი იყო, რადგან იმპერიამ დიდი მარცხი

განიცადა და დადედაქალაქი საფრთხეში ჩავარდა. მოხალისეთა არმია უფრო ეფექტური გამოდგა, ვიდრე რეგულარული არმია. მე-16 საუკუნის შუა ხანებში ამ მეთოდით არმიის შევსებამ თითქმის ჩაანაცვლა მემკვიდრეობითი ოჯახებიდან მეომრების გაწვევა. მაგრამ არმიის შევსების მეთოდის შეცვლა ვერ გადაჭრიდა იმ პრობლემებს, რომლებიც არსებობდა არმიაში და ზოგადად, ქვეყანაში. არმიის სისუსტე და მეომართა მუდმივი შემცირება გამოწვეული იყო არა იმდენად სამხედრო სისტემის თავისებურებებით, არამედ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისით და საიმპერატორო კარის სამხედრო სფეროსადმი უყურადღებობით. ბუნებრივია, რეგულარული არმიის შენახვა დიდ ტვირთად აწვა ხაზინას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩრდილოეთ საზღვრის გამაგრება. მაგრამ ფინანსური კრიზისის გამო არაერთი დანაყოფი ხელფასისა და მარაგის გარეშე რჩებოდა. შესაბამისად, იკლო არმიაში ჩაწერის მსურველებმა. 1619 წელს, როცა მინგის დინასტიამ დიდი ლაშქრობა განახორციელა მანჯურიელების წინააღმდეგ, მთლიანი არმია 75-80 ათას მეომარს ითვლიდა. ეს ნამდვილად არ არის დიდი რიცხვი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს ქვეყნის მოსახლეობა 150 მილიონს შეადგენდა. მეომრების სიმცირემ გამოიწვია კიდევ ერთი პრობლემა – ზოგიერთ პროვინციას ჯარი საერთოდ არ ჰყავდა. საქმე ისაა, რომ ჯარისკაცების შემცირების დროს ცენტრალური ტერიტორიებიდან გადაჰყავდათ არმია ჩრდილოეთის საზღვრისაკენ. ბუნებრივია, ჩრდილოეთის დაცვა მთავარი პრიორიტეტი იყო, მაგრამ ასეთი ქმედება დაუცველს ტოვებდა შიდა რეგიონებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ დინასტიის ბოლო ათწლეულებში აჯანყებულთა ჯგუფები წლობით მოძრაობდნენ იმპერიის შიგნით.

ეკონომიკური პრობლემების, დაბალი სტატუსის, განვითარების ნაკლებობისა და სუსტი სარდლობის პირობებში არმიის მორალი დაეცა. ხშირ შემთხვევებში დანაყოფები უბრალოდ უარს ამბობდნენ ბრძანების შესრულებაზე ან თუ კი ცენტრიდან წამოსული ბრძანება არ მოეწონებოდათ, დედაქალაქიდან მოსულ წარმომადგენლობას ხოცავდნენ და არც ადგილობრივ სარდლობას ინდობდნენ. რეალური ბრძოლების ნაკლებობის გამო კავშირი სარდალსა და უბრალო ჯარისკაცს შორის თითქმის გაწყდა. სარდლები უმეტესად დედაქალაქიდან გაგზავნილი მოხელეები იყვნენ, კონფუციური წარსულით და არა

ნამდვილი მეომრების წრიდან გამოსულნი. მოხელეების სარდლებად დანიშვნამ ფაქტობრივად მოუსპო ჩვეულებრივ ჯარისკაცს წინსვლის შესაძლებლობა. მართლაც, ჯერ კიდევ მინგის დინასტიის შუა პერიოდიდან ჩანს დაბალი წრიდან გამოსული სარდლების რიცხვის ძლიერი შემცირება. მინგის გვიან პერიოდში არმიას ისეთი დაბალი დისციპლინა ჰქონდა, რომ ხშირად არ ემორჩილებოდნენ ფრონტზე გასვლის ბრძანებას და თვითონ იწყებდნენ აჯანყებებს.

არაკომპეტენტური სარდლობა კიდევ უფრო აუარესებდა არმიაში არსებულ სიტუაციას. არაკომპეტენტურ სარდლებში იგულისხმება მოხელეების წრიდან გამოსული სარდლები. მათ უმეტესობას არ ესმოდა რეალური ბრძოლის წესები, ვერ იმსახურებდნენ მეომრების პატივისცემას და არმიის მორალურად ამაღლებასაც ვერ ახერხებდნენ. გვიან მინგის პერიოდშიც იყო მეომრების წრიდან გამოსული რამდენიმე სარდალი. მე-17 საუკუნის 20-30-იან წლებში სწორედ მათი წყალობით მოხერხდა მანჯურიელების დროებითი შეკავება. ასეთი სარდლები არაერთ შემთხვევაში საიმპერატორო კარზე მიმდინარე პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი ხდებოდნენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ დროის ხელისუფლებაში მიმდინარეობდა ცხარე „პარტიული“ დაპირისპირება. შესაბამისად, თუკი ამ სარდლებს რომელიმე პარტიასთან რაიმე კავშირი ჰქონდათ, მოწინააღმდეგე „პარტია“ ყველანაირად ცდილობდა მათ გამოწვევას თუ დასჯას მცირე შეცდომისთვისაც კი.

ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო მინგის არმია გვიან პერიოდში ძალიან ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა. არმიამ კატასტროფული კრახი განიცადა მანჯურიელების წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიაში. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, მინგის არმია თითქმის სრულიად განადგურდა. ამ კატასტროფის შემდეგ არმიის ბრძოლისუნარიანობა უკიდურეს დონემდე დაეცა. დინასტია იმდენად უსუსური იყო, რომ 1631 და 1637 წლებში, როცა მანჯურიელებმა დალაშქრეს ჩრდილოეთ ჩინეთი და სამხრეთ რეგიონებსაც კი მიაღწიეს, ფაქტობრივად მათი შემაჩერებელი ძალა არ არსებობდა. პეკინის აღება ჯერ კიდევ არ შედიოდა მათ გეგმებში და ამან მისცა დინასტიას არსებობის კიდევ რამდენიმე წელი.

საგარეო ფაქტორი

გვიან მინგის დინასტიის საგარეო პოლიტიკაში ორი ძირითადი საკითხი გამოიყოფა – მანჯურიელები და ევროპული სახელმწიფოები. ეს ორი ძალა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა და მათთან ურთიერთობა დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა, მაგრამ მინგის ხელისუფლებამ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გამოიჩინა თავი.

მანჯურიელების წარმომავლობას, მათი სახელმწიფოს დაარსებასა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს დაწვრილებით ცინგის დინასტიაზე საუბრისას განვიხილავთ. აქ კი მოკლედ აღვწერთ მინგის დინასტიასთან დაკავშირებულ მოვლენებს. ცინგის დინასტიის მამამთავარი და მანჯურიელების სამეფოს დამაარსებელი იყო ნურხაჩი. ერთი პერიოდი ის მინგის ვასლად აცხადებდა თავს და საიმპერატორო კარზე გზავნიდა კიდეც საძღვენო მისიებს. როგორც კი გააერთიანა ჯურჩენების ტომი და გამოაცხადა მანჯურიის სამეფოს დაარსება 1616 წელს, შეწყვიტა ძღვენის გზავნა და მინგის დინასტია მთავარ სამიზნედ გამოაცხადა. მომდევნო წლებში მანჯურიელებმა მიყოლებით დაამარცხეს მინგის არმიები და ნელ-ნელა დაიწყეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის დაკავება. მათი დაპყრობა არ ჰგავდა ხუთი საუკუნის წინათ მათი წინაპრების, ჯურჩენების მიერ ჩრდილო ჩინეთის დაპყრობას. ამჯერად მათ ყურადღება არა სწრაფ დაპყრობაზე, არამედ ნელ-ნელა დაპყრობასა და ახალ ტერიტორიაზე კონტროლის გამყარებაზე გადაიტანეს. ამიტომაც გადადეს მათ პეკინის აღება სამომავლოდ, რადგან იცო-



სურ. 155 პორტუგალიელების მიერ შედგენილი საზღვაო რუკა



სურ. 156 ციხესიმაგრე, რომელიც აშენდა თაივანზე მინგის დინასტიის ბოლოს, რათა თავიდან აიცილებინათ ჰოლანდიელების თავდასხმა

დნენ ეს ნაბიჯი გამოიწვევდა მრავალწლიან ფართომასშტაბიან ომს მთელ ჩინეთში. ამისათვის კი მოსამზადებელი სამუშაოები იყო ჩასატარებელი. საბოლოოდ მათ აიღეს პეკინი 1644 წელს, მაგრამ ამ დროს მინგის დინასტია უკვე გლეხთა აჯანყების შედეგად დაცემული იყო.

გვიან მინგის პერიოდში ხელისუფლებამ შეცვალა საგარეო ვაჭრობისადმი დამოკიდებულება. 1567 წელს იმპერატორმა მოხსნა აკრძალვა საზღვაო ვაჭრობაზე, 1574 წელს კი უფლება მისცეს მინგის მოქალაქეებს ზღვაში გასულიყვნენ. იმავე პერიოდში ევროპული სახელმწიფოებიც ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ შორეული აღმოსავლეთის აკვატორიაში. მე-16 საუკუნის დასაწყისში პორტუგალიელები ვაჭრები გამოჩნდნენ მინგის საზღვრებთან (სურ. 155). საუკუნის შუა ხანებში მათ ესპანელებიც მოჰყვნენ, მოგვიანებით კი – ჰოლანდიელები. ესპანელებსა და მინგის დინასტიას შორის პირველი კონტაქტები მე-16 საუკუნის 50-იან წლებში ჩანს, მაგრამ უთანხმოების გამო ესპანელებმა დატოვეს ჩინეთის სანაპიროები და ყურადღება გაამახვილეს ფილიპინებზე. 1565-1574 წლებში მათ კონტროლი დაამყარეს მანილაზე, ლუსონზე და აქედან დაიწყეს აქტიური ვაჭრობა ჩინეთთან. მიუხედავად კარგი სავაჭრო ურთიერთობისა ჩინელებთან, ესპანელები ძალიან ცუდად ეპყრობოდნენ ფილიპინებზე მცხოვრებ ჩინელ მოსახლეობას და რამდენჯერმე მოაწყვეს მათი დევნა.

აგრესიული იყო ჰოლანდიელების გამოჩენაც. 1622 წელს პირველმა ჰოლანდიურმა ფლოტილიამ დაიკავა პესკადორის კუნძულები[1] და მოითხოვა სავაჭრო უფლებები. მინგის ადგილობრივმა ხელისუფლებამ უარი უთხრა ჰოლანდიელებს და ძალის გამოყენებით გაყარეს პესკადორიდან, მაგრამ ჰოლანდიელები შორს არ წასულან. მათ შემდეგ ბაზად თაივანი აირჩიეს და იქ დარჩნენ რამდენიმე ათწლეული (სურ. 156).

[1] 澎湖列島 – არქიპელაგი თაივანსა და კონტინენტურ ჩინეთს შორის.



სურ. 157 მატეო რიჩი

ევროპელების გამოჩენას გარდა ვაჭრობისა, კულტურული ურთიერთობების დაწყებაც მოჰყვა. ვაჭრებს და მეომრებს სხვადასხვა ქრისტიანული ორდენის წარმომადგენლები ჩაჰყვნენ ჩინეთში. პირველი ნაბიჯი ჩინეთში შესასვლელად იეზუიტების ორდენმა გადადგა. საუკუნის დასაწყისში მათ ინდოეთში მოაწყვეს ბაზა და აქედან გავრცელდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიაში. იეზუიტებმა ჩინეთში მისიის დაწყება მიანდეს მატეო რიჩის (1552-1610 წწ.) (სურ. 157).



სურ. 158 შალ ფონ ბელი

ამ იტალიელმა მისიონერმა სრულიად უცხო კულტურის ათვისების საოცარი უნარი გამოავლინა. იგი 1583 წელს ჩავიდა კუანგჭოუში. ისწავლა ჩინური, ჩინური კულტურა და კონფუციზმი, ადგილობრივ მოხელეებთან კარგი ურთიერთობის დამყარებით მან მოახერხა ჯერ ნანძინგში, შემდეგ კი პეკინში ჩასვლა და იქ დაფუძნება. მრავალმხრივ განათლებულმა რიჩიმ იმპერატორი მოხიბლა თავისი ერუდირებით, ჩინურ კულტურაში განსწავლულობით და მათთვის უცხო ევროპული ცოდნით. რიჩი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ჩინეთში. სიცოცხლის ბოლო წლებში ის აქტიურად თარგმნიდა დასავლურ ნიგნებს ჩინურად. ამას გარდა, სწავლობდა და თარგმნიდა ჩინურ ნაწარმოებებსაც. რიჩის გარდაცვალების შემდეგ იეზუიტებს შორის ყველაზე ცნობილი იყო გერმანელი იოჰან ადამ შალ ფონ ბელი (1591-1666 წწ.) (სურ. 158). ამ პიროვნებამ თავისი განსწავლულობის გამო მინგის და ცინგის დინასტიებს იმპერატორების დიდი პატივისცემა დაიმსახურა, რაც, თავის მხრივ, დაეხმარა იეზუიტების საქმიანობას ჩინეთში.

ბუნების ფაქტორი

ბუნების ფაქტორმა მინგის დინასტიაზე ძალიან დიდი გავლენა იქონია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მე-16-17 საუკუნეებში ჩინეთის ჩრდილოეთ რეგიონებში კლიმატის მნიშვნელოვანი გაუარესება. ამ პერიოდში ტემპერატურამ არა მხოლოდ ჩინეთში, არამედ ჩრდილოეთ განედების სხვა რეგიონებშიც დაიწია. ტემპერატურის დაწევამ მნიშვნელოვნად დააზარალა ჩრდილოეთ ჩინეთის სოფლის მეურნეობა. ამის გამო ჩრდილოეთი კიდევ მეტად უფრო გახდა დამოკიდებული სამხრეთიდან გადმოზიდულ პროდუქტზე.

გარდა ზოგადი ტემპერატურის კლებისა, მინგის დინასტიის პერიოდი გამოირჩევა ბუნებრივი კატაკლიზმების სიხშირით. განსაკუთრებით გაიზარდა მათი რაოდენობა დინასტიის გვიან პერიოდში. წყალდიდობა, გვალვა, კალიების შემოსევა, მიწისძვრა – ხშირად ხდებოდა მთელი იმპერიის მასშტაბით. მე-17 საუკუნის 20-30-იან წლებში სამხრეთის რეგიონებიც გახდა მსგავსი კატაკლიზმების მსხვერპლი. ამან კიდევ უარეს დღეში ჩააგდო იმპერია, რადგან სამხრეთი მარცვლეულის ცენტრი იყო. გარდა ადამიანური მსხვერპლისა და პროდუქტის დანაკლისისა, იმპერიას მძიმე ტვირთად აწვა დაზარალებული რეგიონების შენახვა. ამგვარად, ბუნებრივი კატაკლიზმების გამო იმპერიის ეკონომიკა კიდევ უფრო უარესდებოდა.

დინასტიის აღსასრული

მინგის უკანასკნელი იმპერატორის, ჩუნგჭენის ტახტზე ასვლისას იმპერია უკვე გამოუვალ მდგომარეობაში იყო. ადმინისტრაციული აპარატი ისევ „პარტიულ" დაპირისპირებაში იყო ჩართული, ამიტომაც იმპერატორი მათდამი უნდობლობით იყო გამსჭვალული. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი სწორედ მოხელეებს აბრალებდა იმპერატორი დინასტიის დაღმასვლას, მათი კერძო ინტერესების სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა დაყენებას. ხაზინა კვლავაც ცარიელი იყო, იმპერატორი კი ჯიუტად აგრძელებდა გადასახადების ზრდას. მდიდარი ოჯახები და ვაჭრები მოხელეების მოსყიდვით ახერხებდნენ გადასახადებისათვის თავი აერიდებინათ, ან ისევ



სურ. 159 მინგის დინასტიის მოხელეები

გლეხებს ძალავდნენ ფულს (სურ. 159). იმპერიის ეკონომიკური კრიზისის მთელი სიმძიმე ყველაზე დაბალ ფენას აწვა კისერზე. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის არმია დემორალიზებული იყო და ლამის არ არსებობდა, განსაკუთრებით კი შიდა რეგიონებში, უკმაყოფილო გლეხები და მეომრებიც კი აჯანყებებს უერთდებოდნენ. 1630-იან წლებში მთელი ცენტრალური ჩინეთი – შაანსი, შანსი, ხენანი, ხეპეი, სჩუანი სავსე იყო აჯანყებულთა კერებით. მანჯურიელებთან ბრძოლით დასუსტებულმა დინასტიამ საჭირო ზომები ვერ მიიღო მათ ჩასახშობად. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა აჯანყებულთა რამდენიმე დიდი გაერთიანება. მათ შორის იყო ლი წიჩენგის დაჯგუფებაც. მან 1643 წელს თავი მეფედ გამოაცხადა, მომდევნო წლის აპრილში კი პეკინი აიღო. მინგის უკანასკნელმა იმპერატორმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მინგის დინასტიის კულტურა და მეცნიერება

მინგის დინასტიის პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა კულტურაში. დინასტიამ ასე თუ ისე სამი საუკუნის განმავლობაში მშვიდობა შეინარჩუნა ქვეყნის შიგნით. ამ ფაქტორმა შესანიშნავი შესაძლებლობა მისცა ქვეყანას კულტურის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ლიტერატურა. მინგის დინასტიის პერიოდში დაიწერა ჩინური ლიტერატურის ოთხი შედევრიდან სამი[1].

მინგის დინასტიაში შეიქმნა მთელი ჩინეთის ისტორიაში საუკეთესო ენციკლოპედია. იმპერატორ იუნგლეს ბრძანებით 2195-მა კონფუცისტმა სწავლულმა ხუთი წლის განმავლობაში შეაგროვა და დაახარისხა

[1] ესენია: 《三国演义》 „სამი სამეფოს რომანი", 《水浒传》 „ამბები წყლის პირას" და 西游记》 „მოგზაურობა დასავლეთში".



სურ. 160 მინგის თეთრი და ლურჯი ფერის ლარნაკი

იმ დროისათვის არსებული ლიტერატურული, ისტორიული, გეოგრაფიული, ასტრონომიული, მუსიკალური, ტექნოლოგიური, ფილოსოფიური და სხვა მრავალის ჟანრის ნაწარმოებები. შედეგად შეიქმნა ე.წ. „იუნგლეს ენციკლოპედია", რომელიც 370 მილიონ იეროგლიფსა და 11 ათას ტომს აერთიანებდა. არა მხოლოდ იმდროინდელ მსოფლიოში, არამედ მომდევნო ექვსი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობის ისტორიაში შედგენილი ყველაზე დიდი ენციკლოპედია იყო. მხოლოდ 21-ე საუკუნეში დათმო მან პირველი ადგილი, ისიც ვიკიპედიასთან. სამწუხაროდ, დღესდღეობით ენციკლოპედიის მხოლოდ მცირე – 3.5% არის შემორჩენილი 400-მდე ტომის სახით თავდაპირველი 11 095 ტომიდან.

მინგის პერიოდში დიდი წინსვლა იყო ფაიფურის წარმოებაში. ამ პერიოდის ყველაზე ცნობილი ნაწარმი იყო თეთრი და ლურჯი ფერის ფაიფური. ეს ნაწარმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპასა და იაპონიაში (სურ. 160).

მინგის დინასტიის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დასტყობია ტექნოლოგიის სფეროს. ამ კუთხით მინგის დინასტია ნამდვილად ჩამორჩება თანგისა და სუნგის პერიოდებს. მაგრამ დასავლეთ ევროპასთან სავაჭრო კავშირების დამყარების და იეზუიტების მისიის გამოჩენის გამო, ჩინეთში შეიდა ევროპული ტექნოლოგია. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მატეო რიჩისა და იოჰან ადამ შალ ფონ ბელის დამსახურება. მატეო რიჩიმ შეადგინა პირველი მსოფლიო ატლასი ჩინეთში, ჩინურად თარგმნა ევკლიდეს მათემატიკური ტრაქტატები, დაწერა ნაშრომები ტრიგონომეტრიაზე. კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანეს ჩინური მეცნიერების განვითარებაში შალ ფონ ბელმა და მისმა თანამედროვე იეზუიტებმა. მათ ჩინეთს გააცნეს ტელესკოპი, კეპლერისა და გალილეო გალილეის იდეები, გრეგორიანული კალენდარი, მექანიკური საათი და ა.შ.

ცინგის დინასტია

მინგის დინასტიის დასასრული და გლეხთა მასშტაბური აჯანყებები

ჩინეთის ისტორიაში მრავლად გვხვდება საბრძოლო მოქმედებები, აჯანყებები, მცირე თუ მასშტაბური ომები, თუმცა ბოლო ორი ათას წელს თვალს თუ გადავავლებთ, აუცილებლად შევნიშნავთ მასშტაბური ცვლილებების კანონზომიერებასა და მთავარ არასამხედრო კომპონენტებს. სახელდობრ, ჩინეთში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების ანალიზი აუცილებლად მოითხოვს დემოგრაფიისა და გარემო პირობების კომბინირებულ გააზრებას. ჭარბმოსახლეობა ჩინეთის ტერიტორიაზე მხოლოდ 21-ე საუკუნის ნაყოფი არ არის, თუ 1600 წლისთვის ჩინეთის მოსახლეობას შევადარებთ სხვა ქვეყნებისას, აღმოვაჩენთ სერიოზულ განსხვავებას. მინგის დინასტიის პერიოდში იმპერიის მოსახლეობა 150 მილიონს აღწევდა, ეს იყო დაახლოებით მესამედი პლანეტის ჯამური მოსახლეობისა, შესაბამისად მოთხოვნა საკვებსა და სამომხმარებლო ნივთებზე გაცილებით დიდი იყო ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ამას ემატებოდა გეოგრაფიული თავისებურებაც. მინგის დინასტიის დასავლეთით მდებარე ტიბეტის პლატო, ჰიმალაის და თიენშანის მთათა სისტემა მნიშვნელოვნად აბრკოლებდა სახმელეთო ვაჭრობას. ჩრდილოეთით კი მტრული მომთაბარე მანჯურიულ-მონღოლური ტომებისა და ჯუნგარების გამო, არცთუ მარტივი იყო გადაადგილება. მინგის დინასტია პირველ ეტაპზე აქტიურად იყო ჩართული გარესამყაროსთან კონტაქტში, თუმცა ეტაპობრივად იზოლაციონიზმსა და შეზღუდული კომუნიკაციის გზას დაადგა, რაც კრიზისებისას მხოლოდ საკუთარ თავზე დამოკიდებულს ტოვებდა ჩინურ საზოგადოებას. კიდევ ერთი საინტერესო გეოგრაფიული კომპონენტი ჩინური მდინარეების უხვწლიანობაა. ჰიმალაიდან, ტიბეტის პლატოდან და თიენშანიდან წამოსული მდინარეები ან მათი შენაკადები

უხვწლყლიანობით გამოირჩევიან. უხვწყლიანობას ჰქონდა როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგებიც. მდინარეების ხუანგხეს, იანგწის, მარგალიტის მდინარის, ლის, ლანცანგის და ა.შ. აუზები მოსავლიანობით გამოირჩეოდა. შესაბამისად, მდინარეების სანაპიროები და მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდ იყო დასახლებული და ათვისებულიც. ჩინეთის არაერთი დინასტია აწარმოებდა სამუშაოებს, რათა წყალმოვარდნებისგან დაეცვა მოსახლეობა, ზოგ შემთხვევაში წარმატებულად, ზოგჯერ – არც თუ ისე. აქედან გამომდინარე, ხშირად დემოგრაფიული და ბუნებრივი პირობებისგან, უპირველესად წყალდიდობებისგან გამოწვეული კატაკლიზმები არაერთხელ გამხდარა დიდი ძვრების საწყისი ჩინური საზოგადოებისთვის.

მეჩვიდმეტე საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ეკონომიკური მდგომარეობა დამძიმდა ჩინეთის ცენტრალურ პროვინცია შაანსიში, სადაც ბუნებრივი პირობების გამო მოსავალი საკმაოდ მცირე იყო. ამას ემატებოდა საგადასახადო წნეხი მოსახლეობაზე, რაც სულ უფრო და უფრო დიდ უკმაყოფილებას იწვევდა გლეხებში. ასევე ცენტრალური ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილებში, რომლებიც დამცავი ხაზის სამხრეთით მდებარეობდა, ხშირი იყო სხვადასხვა სამხედრო ნაწილების გადაადგილება, რასაც ადგილზე სჭირდებოდა მრავალნაირი საბრძოლო საწყობი. საწყობებს ხშირად თავს ესხმოდნენ ბანდები, იპარავდნენ იარაღს და შემდეგ მთებში იხიზნებოდნენ.

1627 წელს შაანსიში გლეხმა სახელად, ვანგ ერმა, შეაგროვა რამდენიმე ასეული გლეხი და შეუტია ადგილობრივ მაგისტრატს, მათ მოკლეს ჩენგჩენგის მაგისტრი და ხელში ჩაიგდეს მისი ქონება. შემდეგ წელს იმავე პროვინციაში გლეხთა სხვა ჯგუფებმაც წამოიწყეს შეტევები მაგისტრატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების რეზიდენციებზე. 1631 წელს მინგის ხელისუფლებამ გაგზავნა სადამსჯელო რაზმები მდინარე ხუანგხეს ორივე ნაპირის გასწვრივ. იმ პერიოდისთვის არც ისე სწორად კოორდინირებული გლეხთა რაზმები მარტივად გაითიშნენ და მინგის გენერლებს არ გასჭირვებიათ მათი დამარცხება, ხოლო ლიდერებმა გაქცევით მოახერხეს თავი დაეღწიათ ტყვეობისთვის.

1635 წელს გლეხთა რაზმებმა ახალი ალიანსი შექმნეს და სამი ლიდერის (ლი წიჩენგის, კაო ინსიანგისა და ჭანგ სიენჭუნგის) მეთაურობით მინგის დინასტიისთვის საიმპერატორო საძვალეს შეუ-

ტიეს. ფენგიანგი, სადაც იყო დინასტიის წარმოშობის არტეფაქტები და ხელშეუხებელ სიწმინდედ ითვლებოდა დინასტიისთვის, თუმცა ის სასტიკად დაარბიეს და გაანადგურეს გლეხებმა. საძვალის დარბევა იყო პოლიტიკური აქტი, რომ მათთვის ცის მანდატი აღარ იყო ავტორიტეტი. მინგის საძვალის დარბევის შემდეგ აჯანყებულებმა შეუტიეს ჩინეთის ცენტრალურ პროვინციებს, კერძოდ, შაანსისა და ანხუეის ქალაქებს. 1638 წელს ისინი დასავლეთით დაიძრნენ ერთ-ერთი მდიდარი და მნიშვნელოვანი პროვინცია სჩუანისკენ. თუმცა 1638 წელს ხელისუფლებასთან ბრძოლებში დამარცხდნენ სასტიკად. მხოლოდ ლი წიჩენგმა და მისმა თვრამეტმა მხლებელმა ძლივს გაასწრეს ბრძოლის ველიდან და შაანსის მთებს შეაფარეს თავი. ჩინეთის უზარმაზარი ტერიტორია და მთები იყო საუკეთესო მოკავშირე აჯანყებულთათვის და ყველაზე რთული მონინააღმდეგე საიმპერატორო ჯარებისათვის. ერთი წლის შემდეგ ლი წიჩენგი და ჭანგ სიენჭუნგი ჩამოვიდნენ მთებიდან და ისევ დაიწყო გლეხების შეიარაღება. ლი წიჩენგმა სჩუანში 1643 წელს დაარსა სახელმწიფო, რომელსაც ტასი ანუ დიდი დასავლეთი უწოდა, ხოლო თავის თავს – იმპერატორი. აჯანყებული ლიდერებიდან ყველაზე სწორად გლეხებს ლი ნიჩენგი მიუდგა. მან გამოაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში მინის საკუთრების თანასწორობის პრინციპს დაიცავდა და გადასახადებს გააუქმებდა. ამ და სხვა საკითხებმა იმდენად მიიპყრო ხალხის ყურადღება, რომ მის რიგებს ყოველდღიურად ემატებოდა ასეულობით უპოვარი და გაღატაკებული გლეხი. ისარგებლა რა სჩუანში მინგისა და ჭანგ სიენჭუნგის ბრძოლებით, თავს დაესხა ცენტრალური ჩინეთის, კერძოდ, ხენანში მდებარე ლუოიანგს, მოკლა ადგილობრივი უფლისწული და ხელში ჩაიგდო სიმდიდრე და იარაღი. ლუოიანგის აღების შემდეგ დაიძრა ჩრდილოეთით და აიღო ისტორიული ქალაქი სიანი, რომელიც გაერთიანებული ჩინეთის პირველი დედაქალაქი იყო. შეუცვალა სიანს სახელი და დაარქვა სინძინგი ანუ ახალი დედაქალაქი, საკუთარ რეჟიმს დიდი შუნი უწოდა, ხოლო თავისი თავი მეფედ გამოაცხადა. თავის დაარსებულ სახელმწიფოში ლი წიჩენგმა შეასრულა პირობა და გამოაცხადა საყოველთაო თანასწორობა საკუთრების უფლების მხრივ. ამავდროულად, დაიწყო მდიდარი მემამულეების ქონებების ჩამორთმევა და გლეხებისთვის

გადაცემა. ამ ტიპის ნაბიჯებმა დიდი პოპულარობა მოუტანა ლი ნიჩენგს.



სურ. *161* შანხაიკუანის რუკა

1644 წელს აპრილში ლი ნიჩენგმა დაძრა თავისი ძალები პეკინისკენ და ფაქტობრივად მცირე წინააღდეგობით გაიარა ასეულობით კილომეტრი, რადგან იმ დროს საიმპერატორო ძალები გადასროლილი იყო კედლის ჩრდილოეთით, მანჯურიელების წინააღმდეგ. 1644 წლის 25 აპრილს ლი ნიჩენგი მინამალური დანაკარგებით შევიდა პეკინში, იმპერატორი სპი წუნგი[1] დღევანდელი პეიხაის პარკში გაიქცა, რომელიც აკრძალული ქალაქის უკან მდებარეობს და იქ ხეზე თავი ჩამოიხრჩო.[2]

პეკინის ჩრდილოეთით მდებარე საფორტიფიკაციო ნაგებობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ე.წ. შანხაიკუანი[3] – შანხაის ანუ „მთისა და ზღვის" კარიბჭე, რომელიც იყო ყველაზე დაცული სტრატეგიული პუნქტი (სურ. 161).

შანხაის კარიბჭე ზღვაში იჭრებოდა და მას იცავდა მინგის გენერლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი გენერალი უ სანკუეი, რომლის მიერ მოწყობილი წინააღმდეგობის ხაზი გადაულახავი აღმოჩნდა თვით მანჯურიელების არტილერიისთვისაც კი (სურ. 162).

როდესაც უ სანკუეიმ გაიგო დედაქალაქის დაცემის ამბავი, ფაქტობრივად მისი მისია ამოწურულად ჩათვალა. ის იცავდა დედაქალაქს თვეების განმავლობაში ჩრდილოელი მანჯურიელებისგან, როდესაც აჯანყებულმა ჩინელებმა თავად აიღეს მთავარი ქალაქი. ძალიან რთულია მისი მოტივის ზუსტად გაგება, თუ რატომ წამოიწყო მან მეტად უცნაური პოლიტიკური თამაში. ლი ნიჩენგს ახა-

---

[1] სპი წუნგი – მინგის დინასტიის უკანასკნელი იმპერატორი.

[2] ის ხე, რომელზეც იმპერატორმა თავი ჩამოიხრჩო, მეოცე საუკუნის 60-იან წლებამდე იდგა პეიხაის პარკში. ეს ხე კულტურული რევოლუციის დროს მაოს „წითელმა მცველებმა" არ მოჭრეს, როგორც ფეოდალიზმის სიმბოლო.

[3] შანხაიკუანი, 山海关 – არ უნდა აგვერიოს ჩინეთის სამხრეთ აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ შანგხაიში. „შანხაიკუანიდან": „შან" ნიშნავს მთას, „ხაი" – ზღვას ხოლო მესამე სიტყვა „კუან" – კი კარიბჭეს/გასავალს. შანხაიკუანი მდებარეობს ხუპეის პროვინციის ქ. ცინხუანგტაოში.



სურ. 162 შანხაიკუანი

სიათებენ როგორც ოპორტუნისტ სამხედროსა და პოლიტიკოსს, თუმცა, როგორც ჩანს, ნილი ნაყარი იყო და ყველასთვის მოულოდნელად ლი ნიჩენგმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელმაც მთლიანად შეცვალა ჩინეთში ისტორიული და პოლიტიკურ პროცესები. მან გადაწყვიტა, გამხდარიყო იმათი მოკავშირე, ვისაც მთელი მისი ცხოვრება ებრძოდა.

ლი ნიჩენგმა გაუხსნა დიდი კედლის გასასვლელი მანჯურიელებს, რომ დაებრუნებინა დედაქალაქი. მანჯურიელებმაც სიამოვნებით მიიღეს წინადადება და დაიწყო მათი უზარმაზარი სამხედრო კოლონის გადმოსვლა დიდ კედელზე ორ წყებად. ისტორიული ცნობების თანახმად, ლი ნიჩენგს არ ჰქონდა ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია, ამიტომ მან დაძრა ძალები უ სანკუეის წინააღმდეგ, რათა მინგის უკანაკნელი გენერლის ძალები საბოლოოდ გაენადგურებინა. იმჟამად მის დაქვემდებარებაში იყო 60 ათასამდე მებრძოლი, რომლებიც მარშით მიდიოდნენ პეკინიდან ჩრდილო აღმოსავლეთით. კედლის სიახლოვეს გაიმართა პირველი შეტაკებები უ სანკუეისა და ლი ნიჩენგს შორის მაშინ, როცა ლის ძალებს ფლანგიდან მანჯურიელთა მძიმე კავალერიამ შემოუტია. ლი ნიჩენგისთვის ეს საბოლოო და გამანდაგურებელი ფაქტორი აღმოჩნდა და ბრძოლის ველიდან გაიქცა, მან ჯერ თავდაპირველად პეკინს შეაფარა თავი და იმპერატორის კორონაციისთვის დაიწყო სამზადისი, მაგრამ უ სანკუეი და მანჯურიელთა გენერალი დორგონი ფეხდაფეხ შეჰყვნენ მას პეკინში და იძულებული გახადეს გადახვეწილიყო შაანსის პროვინციაში, იქ, სადაც თავისი ერთგული ნაწილები ეგულებოდა.

დორგონმა, რომელიც მანჯურიელთა უფლისწულის შუნჭის რეგენტი იყო, დედაქალაქი შენიანგიდან პეკინში გადმოიტანა და ასე დაიწყო 1644 წელს ცინგის დინასტიის მმართველობა ჩინეთში. უშუალოდ უ სანკუეიმ ერთგულება გამოუცხადა ახალ იმპერატორს და

გახდა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფეოდალი და გენერალი მთელი ჩინეთის ტერიტორიაზე. ბოლო ჩინური დინასტიის უფლისწულები სამხრეთ ჩინეთში გადაიხვეწნენ და იქ ცდილობდნენ ფეხის მოკიდებას, თუმცა ცინგის დინასტია აქტიურად შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობასა და მათ დევნას. მეორედ ჩინეთის ისტორიაში ცის მანდატის მფლობელი არაჩინური დინასტია გახდა, რომელსაც ერთ დროს ბარბაროსებს უწოდებდნენ და არაფრად აგდებდნენ.

მანჯურიელების ეთნოგენეზი და პოლიტიკური აღმასვლა

ჩინეთის მრავალათასწლიან ისტორიაში, სადაც დინასტიები დროგამოშვებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, მხოლოდ რამდენჯერმე მოახერხა გარე ძალამ დაეკავებინა დედაქალაქი და ცის მანდატის მფლობელი გამხდარიყო. პირველად მონღოლებმა 1271 წელს დააარსეს იუენის დინასტია, რომელიც 1368 წლამდე არსებობდა. ისევ ჩინელებმა აიღეს ძალაუფლება ხელში და იუენის მონღოლური დინასტია მინგის ჩინური დინასტიითვე ჩაანაცვლეს. მეორედ ეს უკვე მანჯურიელებმა შეძლეს. ისინი სულაც არ იყვნენ მონღოლების მსგავსად ნახევარი ევრაზიის მბრძანებლები. მანჯურიელები ქვეყანას 1644 წლიდან 1912 წლამდე მართავდნენ. როგორც ბევრი დასავლური მონარქია, მანჯურიელთა ძლიერებაც რევოლუციამ შეარყია. სწორედ 1911 წლის სინხაის რევოლუცია გახდა მონარქიისთვის საბედისწერო. სინხაის რევოლუციამ სათავე დაუდო ჩინეთის რესპუბლიკას, თუმცა მშვიდობისა და კეთილდღეობის მომტანი როგორც რევოლუციონერებს ეგონათ, ვერ გახდა.

მანჯურიას, როგორც გეოგრაფიულ სახელს, ორი შინაარსი აქვს. იგი მანჯურიელების ისტორიულ განსახლების არეალს მოიცავდა დღევანდელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე: ხეილუნგძიანგის, შანტუნგისა და ძილინის პროვინციებს. თუმცა არსებობს მისი მეორე გაგებაც, ამ შემთხვევაში მანჯურია გაცილებით ვრცელი რეგიონია და რუსეთის ფედერაციის მცირე ნაწილსაც მოიცავდა. მანჯურიელი ხალხი ტუნგუსური წარმომავლობისა იყო, ხოლო მანჯურიული ენა ლინგვისტურად ახლოს იდგა მონღოლურ და ჩინურ ენათა ჯგუფთან. თავად სახელი მანჯურია კი დასა-

ვლეთში იაპონურიდან გავრცელდა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სახელი მანჯურია გეოგრაფიული არეალის აღსანიშნავად თავად მანჯურიელებს არასოდეს გამოუყენებიათ. სავარაუდოდ, იაპონურიდან გავრცელებული სიტყვა ევროპელებში მე-19 საუკუნეში იმდენად აქტიურად დამკვიდრდა, რომ უკვე თავად მანჯურიელებმაც გამოიყენეს. მანჯურიელები იგივე ჯურჩენი ტომები არიან, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში აქტიურად აკონტროლებდნენ უდიდეს ტერიტორიებს შორეულ აღმოსავლეთში. ჯურჩენებს ჩინური წყაროები მოიხსენიებენ როგორც „女真" – „ნიუჭენ". საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კონფუციური ჩინეთისგან განსხვავებით ჯურჩენ ხალხში გენდერული ბალანსი გაცილებით უკეთესი იყო. შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები სხვა ტომებისგან განსხვავებით, არ ყოფილან აქტიური მიგრირებითა და დაპრყობითი ომებით ცნობილნი. თუმცა მათ მაინც მოახერხეს სახელმწიფოს შექმნა, რომელიც მოიცავდა დღევანდელი ჩინეთის, მონღოლეთისა და რუსეთის ფედერაციის ნაწილებს. ჯურჩენები შედარებით ადრე გადავიდნენ მკვიდრი მოსახლეობის წესებზე, თუმცა მომთაბარე ტომებისთვის დამახასიათებელი საქმიანობაც არ დაუვიწყებიათ. ჯურჩენებმა 1115 წელს დაარსეს ე.წ. ტაძინი ანუ დიდი ძინის იმპერია, რომელიც 1234 წლამდე არსებობდა, სანამ მონღოლებმა საბოლოოდ არ გაანადგურეს ის.

მონღოლების მიერ შევიწროვებული ჯურჩენები თანდათან დასუსტდნენ და მათი განსახლების არეალიც შედარებით შემცირდა. მინგის დინასტიის შუა ხანებში მათი გავლენა საკმაოდ დასუსტდა, რადგან პეკინშიც ახსოვდათ კედლის გადაღმიდან მომდინარე საფრთხეები და დიდ სამხედრო ოპერაციებს ატარებდნენ ჩრდილოელი ხალხების წინააღმდეგ. მეტიც, მე-15 საუკუნეში ჯურჩენების მიერ კონტროლირებადი არეალი საკმაოდ შემცირდა და მინგის ჯარებმა ისინი კორეის საზღვრებამდე შეავიწროვეს. თუმცა მინგის ოპერაციებმა ის შედეგი გამოიღო, რომ ტომებს შორის კონტაქტი უფრო გაძლიერდა, რაც კონსოლიდაციით დასრულდა და სათავე დაუდო ახალი სახელმწიფოს შექმნას. მინგის სამხედრო ოპერაციებისგან თავის დასაცავად ჯურჩენები თავდაპირველად აღიარებდნენ მათ უზენაესობას, თუმცა ნელ-ნელა იმდენი ქნეს, რომ თავიანთი კავშირის ლიდერად ხანი დანიშნეს. ჯურჩენების, იგივე მანჯურიელების სახელმწიფო კონსოლიდაცია დაკავშირებულია ნურხაჩის სახელთან, რომელმაც მანჯურიელების




სურ. 163 ნურხაჩი
(ცინგ თაი ნუ)

გასაერთიანებლად მე-16 საუკუნის ბოლოს აქტიური პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებები წამოიწყო (სურ. 163). ნურხაჩის უშუალო ხელმძღვანელობით მანჯურიელებმა დაიწყეს სხვადასხვა ტომებთან აქტიური ურთიერთობა სამხედრო და პოლიტიკური კავშირების დასამყარებლად. პირველი სტრატეგია, რომელიც მანჯურიელებმა აირჩიეს, იყო ტომებს შორის თანასწორობა. ადრე დომინანტი გაერთიანება სხვა ჯგუფებზე მაღლა აყენებდა თავის თავს. ამ წესზე უარის თქმით მიმზიდველნი გახდნენ მეზობელი ხალხებისთვის, მათ შორის მონღოლებისა და თავად ჩინელებისთვისაც კი. მანჯურიელების განსახლების არეალში ასევე ცხოვრობდნენ ეთნიკური ჩინელები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მიუხედავად მინგისადმი ერთგულებისა, ეთნიკურ ჩინელებს მეზობელ მანჯურიელებთან მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდათ. ახლო ნათესაური კავშირები არსებობდა ასევე მონღოლურ ტომებთან, რადგანაც ლინგვისტურადაც და ეთნოლოგიურადაც მანჯურიელები და მონღოლები ყველაზე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან.

1583 წელს ნურხაჩი, რომელიც წარმოადგენდა აისინ გიოროს კლანს, აირჩიეს ჯურჩენების ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელად და სწორედ ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს მისი აღმასვლის დასაწყისად. მისი ამბიციები უკვე ცნობილი იყო მეზობელი ტომებისთვის, რომლებმაც მცირე სამხედრო ალიანსი შექმნეს და 1593 წელს პირველი დარტყმა მიაყენეს მას. მოწინააღმდეგეთა რიგებში ასევე შედიოდნენ მონღოლური ტომებიც, თუმცა ნურხაჩის დაჯგუფებამ მოიპოვა პირველი დიდი გამარჯვება და მეტად გაძლიერდა. 1593 წლიდან ის იწყებს კიდევ უფრო აქტიურ მოქმედებებს ჯურჩენების გასაერთიანებლად, რომელიც დაახლოებით 20 წელი გრძელდებოდა. ნურხაჩის სასარგებლოდ უნდა ითქვას ისიც, რომ ის არ ყოფილა მხოლოდ მებრძოლი და ცდილობდა, საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობისთვის და ადმინისტრაციული რეფორმები გაეტარებინა. 1616 წელს მოახერხა თითქმის უმრავლესი ჯურჩენული ტომების გაერთიანება, საკუთარ თავს უწოდა დიდი ხანი, ხოლო სახელმწიფოს

– დიდი ძინი ანუ „大金“. ჯურჩენები პრეტენზიას გამოთქვამდნენ მათი წინაპრების მემკვიდრეობაზე, რომელთაც 12-13 საუკუნეში უკვე შექმნეს სახელმწიფო შორეულ აღმოსავლეთში. ნურხაჩიმ ასევე გადაარქვა სახელი დედაქალაქ ხეთუალას და უწოდა სინძინგი, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავდა ახალ დედაქალაქს.

რვა სადროშოს ჩამოყალიბება. ნურხაჩის რეფორმებიდან ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამოდგა ძინის სახელმწიფოს მსხვილ სამხედრო ტერიტორიულ ერთეულებად, სადროშოებად ჩამოყალიბება („პა ცი“. „პა“ რვას ნიშნავს ჩინურად, ხოლო „ცი“ დროშას). სადროშოები დაეფუძნა ჯურჩენულ მცირე ერთეულებს (სურ. 164). კერძოდ ჯურჩენები, როგორც ნახევრად მომთაბარე ტომები, დიდ ტერიტორიაზე ნადირობდნენ. ეს იყო მათი ეკონომიკის ერთ-ერთი სერიოზულად განვითარებული დარგი. ტომური სისტემის გამო კოლექტიური ნადირობისას ტომები ვალდებულნი იყვნენ შეექმნათ 300-კაციანი კოლექტივი, რომელსაც ნიულუ ეწოდებოდა. 5 ნიულუ ანუ ჯამში 1500 კაცი იწოდებოდა ძიალად, ხოლო 5 ძიალა ანუ 7500 მებრძოლი უკვე შეადგენდა ერთ სადროშოს. სწორედ რვა სადროშოდ დაყოფილ ადმინისტრაციულ ერთეულებს ევალებოდათ ომიანობის პერიოდში 7500 მებრძოლი გამოეყვანათ. საბოლოო ჯამში ნურხაჩიმ თავდაპირველად სადროშოების ფორმირებით თავი მოუყარა 60 ათას მეომარს. ერთი შეხედვით, 60 ათასი მეომარი მცირე ძალა იყო უზარმაზარი მინგის დინასტიის წინააღმდეგ, თუმცა მანჯურიელებს ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ თითოეული სადროშო იყო ერთიანი, ორგანიზებული და მობილური ჯგუფი. ამიტომ სადროშოებს შეეძლოთ ერთი დღის განმავლობაში უზარმაზარი ტერიტორიების დაფარვა მათი განსახლების არეალიდან გამომდინარე. მანჯურიელებმა სამხედრო



სურ. 164 რვა სადროშოს აბჯრები

კუთხით განავითარეს როგორც მომთაბარეთა საბრძოლო ტაქტიკა, მათ შორის ცხენზე ამხედრებულ ცხენოსანთა ჯგუფები, ასევე მათ დაიწყეს საარტილერიო შენაერთების ჩამოყალიბებაც.

მეჩვიდმეტე საუკუნე საკმაოდ რთულად დაიწყო მინგის დინასტიისთვის. შიდა პოლიტიკური ქაოსი და კრიზისი ისე ღრმავდებოდა, რომ პეკინს ფაქტობრივად აღარ ჰქონდა სიტუაციის მართვის უნარი. სწორედ კრიზისი გამოიყენა ნურხაჩიმ და 1618 წელს დაიწყო სამხრეთით სამხედრო ექსპედიციები. ჩინელების ისტორიულ მეხსიერებაში ჩრდილოეთი ყოველთვის იყო გამოწვევა ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ამის გამო დღევანდელ ლიაონინგის პროვინციაში ანუ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებობდა მთელი რიგი საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომლებიც პეკინს იცავდნენ. 20 ათასი მებრძოლით ნურხაჩიმ შეტევა განახორციელა ლიაონინგის პროვინციაში მდებარე ფუშუნის საფორტიფიკაციო ნაგებობების წყებაზე, რომელიც სამხრეთით გზას კეტავდა. მანჯურიელებმა ბრძოლებში გამოიყენეს როგორც კავალერია, ასევე ახლად ფორმირებული საარტილერიო დანაყოფებიც, რაც მოულოდნელი აღმოჩნდა ფორტიფიკაციების დამცველთათვის. ჩინელები სასტიკად დამარცხდნენ და დაკარგეს ფუშუნის სიმაგრეები. პეკინისთვის უკვე საგანგაშო იყო ეს მდგომარეობა. ამიტომ იმპერატორმა გამოსცა საგანგებო ბრძანება და მინგის გენერალს იანგ კაოს დაევალა მათ წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებების დაწყება. იანგ კაომ თავი მოუყარა 90 ათასი მებრძოლს და ჯურჩენების დედაქალაქისკენ ოთხი სხვადასხვა გზით დაიძრა. ჩინელებს ასევე შემოურთდნენ კორეელებიც, დაახლოებით 10 ათასი კაცის ოდენობით. ჯურჩენებმა მოძლიერებასთან ერთად მოუხშირეს კორეელების ძარცვასა და მათ წინააღდეგ მცირემასშტაბიან ოპერაციებს. ამიტომ მინგის დინასტიის შემოთავაზება უმალ მიიღეს და შეუერთდნენ ჩინელების წამოწყებულ ლაშქრობას ჯურჩენების დასასჯელად. ჩინელ-კორეელების სამხედრო ლაშქრობა თანაც უშუალოდ დედაქალაქზე იყო პირველი დიდი საფრთხე, რომელიც ნურხაჩის მიერ ფორმირებულ ახალ სახელმწიფოს დაემუქრა. ჯურჩენებმა დაიწყეს საგანგებო მობილიზაცია და დედაქალაქის დასაცავად რვავე სადროშო გამოვიდა, ჯამში 60 ათასი მებრძოლით. მთავარი ბრძოლა გაიმართა 1619 წელს ფუშუნის ფორტიფიკაციების სამხრეთით, სადაც მინგის ჯარებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს. ჩინუ-

რი წყაროების მიხედვით ფაქტობრივად მთლიანი ჯარის ნახევარზე მეტი ბრძოლის ველზე დაიღუპა. დაახლოებით 300 მაღალი რანგის სამხედროც იყო მათ შორის, რაც სერიოზული დარტყმა იყო მინგის დინასტიისთვის როგორც ფსიქოლოგიურად, ისე პრაქტიკულადაც. მათ დაკარგეს სამხედროების საუკეთესო ნაწილი.

განსხვავებით ჯურჩენებისგან, მინგის რესურსები არ იყო შეზღუდული, არც პოლიტიკურად და არც ფინანსურად. მარცხიდან რამდენიმე წელიწადში მათ ახალი სამხედრო კამპანია წამოიწყეს ჯურჩენების წინააღმდეგ. პეკინის ჩრდილოეთით საფორტიფიკაციო ნაგებობები ასწლეულების განმავლობაში შენდებოდა. კოლოსალური თანხები უშუალოდ მინგის დინასტიამ გაიღო. მიუხედავად ფუშუნის სიმაგრეების აღებისა, არც ისე მარტივი იყო ჯურჩენებისთვის პეკინზე შემოტევის წამოწყება.

1625 წელს ნურხაჩიმ დედაქალაქი თავისი სახელმწიფოს სიღრმეში, შენიანგში გადაიტანა, რადგან კიდევ იყო საფრთხრე მინგის იმპერიის მხრიდან უშუალოდ დედაქალაქის დასაკავებლად დაწყებული ოპერაციები განახლებულიყო. მიუხედავად მთელი რიგი სამხედრო ნარმატებებისა, მაინც დიდი იყო მანჯურიელთა დანაკარგები, მით უფრო, რომ ისინი რაოდენობრივადაც და ფინანსურადაც საკმაოდ ჩამორჩებოდნენ ჩინელებს. 1626 წელს ნურხაჩი გარდაიცვალა ახალ დედაქალაქში და მისი ადგილი შვილმა, ხუანგ თაიძიმ დაიკავა.

ხუანგ თაიძის ერა. ნურხაჩის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა მისმა მეოთხე ვაჟმა, რომელიც დასავლურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც ხუანგ თაიძი და ხუნგ თაიძი. მამამისის მსგავსად, იგი ენერგიული და ჭკვიანი პოლიტიკოსი გამოდგა, რომელმაც მშობლის დაწყებული საქმე კიდევ უფრო განავრცო.

პრინცი ხუანგ თაიძი მამის სიცოცხლეშივე აქტიურად იყო ჩართული ძინის სახელმწიფოს შიდა და საგარეო საქმეებში. მისი პირველი ინიციატივით მანჯურიელებმა დაიწყეს დანათესავება მათ სამეზობლოში მცხოვრებ ჩინელებთან, რაც საკმაოდ წარმატებული ნაბიჯი გამოდგა და ორ ხალხს შორის ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ისეთი მდგომარეობა შექმნა, როცა ჩინელები სადროშოს სახითაც კი შედიოდნენ მანჯურიელთა საბრძოლო რიგებში. 1632 წელს მისი ბრძანებით მოეწყო მასშტაბური შერეული ქორწინება მანჯურიელებსა და ჩინელებს შორის, რამაც მათ შორის კავშირები კიდევ უფრო გააძლიერა.

ხუანგ თაიძი საკმაოდ მოქნილი პოლიტიკოსი გამოდგა. მის პერიოდში მანჯურიელებმა თავი გამოცხადეს ტიბეტური ბუდიზმის ანუ ლამაიზმის დამცველად, რომელიც აშკარად შორსმიმავალ გეგმებზე იყო გათვლილი, რადგან, პირველ რიგში, ეს ფაქტორი დაეხმარათ ლამაისტ ბუდისტებთან სამხედრო კავშირისათვის, ხოლო წლების შემდეგ ლამაისტური ბუდიზმის ოფიციალური ქომაგობა გამოიყენეს მიზეზად ლჰასას „გასათავისუფლებლად" და იმპერიის ფარგლებში დასაქვემდებარებლად. როგორც ისტორიკოსები იუწყებიან, ის თვითონ სულაც არ იყო ლამაიზმის დიდი მიმდევარი და პატივს სცემდა მომთაბარე ხალხის წარმართულ რწმენებს. მისი აზრით, სტეპების მომთაბარე ხალხი, უპირველესად მონღოლები. ლამაისტურმა რწმენამ დაასუსტა და იდენტობა დააკარგვინა. ხუანგ თაიძიმ 1627 წელს გადაკვეთა მდინარე იალუ და შეუტია ჩინურ ფორტიფიკაციებს, თუმცა დამარცხდა, რადგან მინგის გენერალი იუენ ჩუნგკუანი საკმაოდ კარგად მომზადებული დახვდა მანჯურიელებს და აქტიურად გამოიყენა საარტილერიო ფორმირებები.

1636 წელს ხუანგ თაიძის რადგან ახსოვდა მინგის მოკავშირე კორეელების ზურგიდან დარტყმა, განიზრახა მათი საბოლოო მოწყვეტა მინგის დინასტიიდან. ჯოსეონის დინასტიის წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო კამპანია მანჯურიელებმა წამრმატებით დააგვირგვინეს. კორეელები ვასალ სახელმწიფოდ გაიხადეს და საბოლოოდ ააღებინეს ხელი მინგის ჩინეთთან თანამშრომლობაზე. კორეის დამორჩილებით ხუანგ თაიძი ფაქტობრივად დაცული ხდებოდა ზურგიდან და მას შეეძლო მთელი ყურადღება გადაეტანა ჩინელებთან ბრძოლაზე. კორეაში საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ მან უმალ წამოიწყო ახალი კამპანია მდინარე ამურისპირეთში[1] მცხოვრები ხალხების წინააღდეგ, მათ შორის მონღოლებისა და ევენკების წინააღმდეგ,[2] რომლებიც არ ემორჩილებოდნენ მათ. ოთხ წელიწადში

[1] მდინარე ამური არის სასაზღვრო მდინარე დღევანდელ რუსეთის ფედერაციასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის.

[2] ევენკები არის ტუნგუსური მოდგმის, რომლებიც ცხოვრობდნენ მდინარე ამურისპირეთში დღესდღეობით მათი რიცხვი რამდენიმე ათეულ ათასს შეადგენს და რუსეთის, ჩინეთის და მონღოლეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მათ შორის შედიან ჩინეთში მცხოვრები 55 ოფიციალურად რეგისტრირებულ ეთნიკურ უმცირესობებს შორის.

დაიმორჩილეს ევენკებიც და ფაქტობრივად 1644 წლისთვის მთლიანად გაფართოვდნენ ჩინეთის ჩრდილოეთით.

სახელმწიფოსთვის სახელის შეცვლა და ცინგის დაარსება. 1636 წელი მანჯურიელთათვის უმნიშვნელოვანი თარიღია, რადგან სწორედ ამ წელს შეცვალა ხუანგ თაიძიმ ქვეყნის სახელწოდება და თავისი ტიტული. ხანის ტიტული მან იმპერატორის ტიტულით შეცვალა, ხოლო ძინის სახელმწიფოს უწოდა ცინგის იმპერია, მეორენაირად „大清" ანუ დიდი ცინგი. უშუალოდ ცინგის მნიშვნელობა, როგორც ხუანგ თაიძის სახელი დღესაც კამათს იწვევს ისტორიკოსებში. არსებობს რამდენიმე მოსაზრება. მათ შორის ერთ-ერთი ამტკიცებს, რომ „明" მინგის დინასტიის ჩინური იეროგლიფი შედგება ორი ნაწილისგან მზისა და მთვარისგან, ანუ უკავშირდება ცეცხლს. „清" ცინგის პირველი ნაწილი არის წყლის გასაღები, ხოლო სიმბოლურად წყალი ცეცხლის დამმარცხებელია. მეორე ვერსიის თანახმად, ცინგი მომდინარეობს მონღოლური სიტყვიდან „დაიჩინ", რომელიც მეომარს ნიშნავდა, ცინგის სახელმწიფო კი – მეომრების სახელმწიფოს. ეს ორივე ვერსია საკმაოდ რეალურია. ხუანგ თაიძიმ ტიტულისა და სახელმწიფოს სახელის შეცვლის შემდეგ უკვე ღიად გამოთქვა პრეტენზია პეკინზე. მეტიც, მონღოლებთან კულტურული და იდენტობრივი სიახლოვის გამო, იგი გარკვეულწილად იუენის დინასტიის გამგრძელებლადაც მიიჩნევდა თავს.

1639 წელს მინგის მთავრობამ ხუნგ ჩენგჩოუს დაავალა გადასულიყო კედლის ჩრდილოეთით და განეახლებინა საბრძოლო მოქმედებები ხუანგ თაიძის წინააღმდეგ. ხუანგ თაიძი და ხუნგ ჩენგჩოუ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქალაქ ძინჭოუს მიდამოებში. ბრძოლა ექვს თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და საბოლოოდ მინგის ჯარების სასტიკი დამარცხებით დასრულდა, ხოლო ხუნგ ჩენგჩოუ ტყვედ ჩავარდა. მინგის დინასტიისთვის მძიმე დრო დგებოდა, თუმცა ყველასთვის მოულოდნელად ხუანგ თაიძი 1643 წელს გარდაიცვალა, რაც დიდი ვერაფერი შვება იყო მინგის დინასტიისთვის, რადგან პეკინი საფრთხეში იყო როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე სამხრეთიდანაც, სადაც აჯანყებული ლი ნიჩენგი უზარმაზარი არმიით მოიწევდა დედაქალაქისკენ. მანჯურიელებმა სასწრაფოდ აიყვანეს ტახტზე პრინცი ფუ ლინი, რომელიც კორონაციის შემდგომ იწოდა იმპერატორ შუნჭიდ.

იმპერატორ შუნჭის მმართველობა და ბრძოლა მინგის დინასტიის მემკვიდრეებთან

1644 წლიდან იწყება ახალი ერა ჩინეთის ისტორიაში, დედაქალაქი მანჯურიელებმა დაიკავეს, ხოლო მინგის დინასტიის პრინცები ქვეყნის სამხრეთით გადაიხვეწნენ და „უზურპატორებისთვის" წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ. ცინგის დინასტიის ისტორიაში ტახტზე ადის რიგით მეორე იმპერატორი შუნჭი, თუმცა ის ამავდროულად პირველი მანჯურიელი იმპერატორია, რომელიც პეკინში, აკრძალულ სასახლეში იწყებს მმართველობას. აკრძალული ქალაქის დაკავებისას იმპერატორი შუნჭი მცირეწლოვანი, სულ რაღაც ხუთი წლის იყო, ხოლო რეალური ძალაუფლება მის ბიძას, რეგენტს დორგონს ჰქონდა (სურ. 165). შუნჭის მმართველობა 1661 წლამდე გაგრძელდა და ძირითადი ყურადღება გადატანილი ჰქონდა იმპერიის ტერიტორიაზე წინა დინასტიის მემკვიდრეებთან და ერთგულ მოხელეებთან ბრძოლაზე. სწორედ ასე შემორჩა მისი სახელი ისტორიას.

ახალგაზრდა იმპერატორის ტახტზე ასვლამ წერტილი დაუსვა ხუანგ თაიძის გარდაცვალების შემდეგ დაწყებულ ბრძოლას გავლენისათვის. ამას ემატებოდა პეკინში მინგის მმართველობის დასუსტება და პრინცები თავისი მხარდამჭერი სადროშოებით ცდილობდნენ ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ. ხუანგ თაიძი ისე მოულოდნელად გარდაიცვალა, რომ არათუ მოსაყდრე პრინცი, არც მემკვიდრედ არ ყოფილა რომელიმე პრეტენდენტი გამოკვეთილი. მანჯურიელთა სამეფო ოჯახი სავსე იყო ტახტის მემკვიდრეებით, რომელთაგან ზოგს ფინანსური გავლენა ჰქონდა, ხოლო ზოგსაც – სამხედრო მხარდაჭერა ამა თუ იმ სადროშოდან. კერძოდ, ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა



სურ. 165 აკრძალული ქალაქი /კუკუნგი, პეკინი

ნურხაჩის სამი შვილი: დაისანი, დორგონი და დოდო. ასევე ტახტის მემკვიდრედ განიხილებოდა ხუანგ თაიძის უფროსი შვილი. ნურხაჩის სამივე შვილი უკვე გამოცდილი სამხედროები იყვნენ და სადროშოებს აკონტროლებდნენ. მდგომარეობა საკმაოდ მწვავე იყო, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლებოდა დაწყებულიყო ოჯახის წევრებს შორის შეიარაღებული შეტაკება. ამიტომ სამეფო ოჯახმა მოიწვია საბჭო, რომელშიც შედიოდნენ მინისტრები და გენერლები. საბჭომ მსჯელობის შემდეგ დაადგინა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ დორგონი ჩაუდგებოდა დინასტიას სათავეში, რადგან მას ჰქონდა როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო გამოცდილება. ყველასთვის მოულოდნელად დორგონმა უარყო საბჭოს შეთავაზება და წამოაყენა წინადადება, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ტახტზე ხუანგ თაიძის რომელიმე ვაჟი ავიდოდა. ფაქტობრივად, ამ გადაწყვეტილებამ გაუნაღდა მას მომავალი იმპერატორის რეგენტობა და რეალური ძალაუფლება. სწორედ დორგონი იყო ის ადამიანი, ვისაც უ სანკუეი დაუკავშირდა და მასთან ერთად დაიგეგმა პეკინის დაკავება. ის ხელმძღვანელობდა ლი წიჩენგის მიმართ საბრძოლო ოპერაციას და მისივე დაგეგმილი იყო ლის დევნის ოპერაციები შაანსის პროვინციაში.

1644 წლის ივნისის დასაწყისში, როდესაც უ სანკუეისა და მანჯურიელთა ძალები პეკინს მიუხალოვდნენ, ლი წიჩენგმა ბრძანა სამეფო სასახლეები გადაეწვათ, ხოლო თვითონ ქალაქიდან გაიქცა თავის ძველ დედაქალაქ სიანში. 4-5 ივნისს პეკინი სრულიად გაიწმინდა აჯანყებულთა ძალებისგან და ოფიციალურად დაიწყო მანჯურიელთა ბატონობა. პეკინის მოსახლეობისთვის განსაკუთრებულად მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომ ჩინელ სარდალ უ სანკუეისთან ერთად ქალაქში შემოვიდა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც აცხადებდა, რომ იმპერატორის რეგენტი იყო. დორგონმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც მინგის მოხელეებს ეძლეოდათ უფლება, შეენარჩუნებინათ ბიუროკრატიული თანამდებობები, ოღონდ მანჯურიელთა ერთგულების ნიშნად თმა მათი წესისამებრ უნდა გადაეპარსათ. თმის გადაპარსვა და ბოლოში ნაწნავის გაკეთება მანჯურიელებში ძველი ტრადიცია იყო. ჩინეთის დაპყრობისას ის გახდა მათი იდენტობის და დომინირების გამოხატვის უმთავრესი საშუალება. არსებობდა გამოთქმაც კი „გაიკეთე ნაწნავი და

შეინარჩუნე, ან დაკარგე თავი." მანჯურიული ნაწნავის გაკეთების ძალდატანებითი პოლიტიკა გაგრძელდა ათეულობით წელი მთელი ჩინეთის მასშტაბით და მას შეეწირა ათასობით ადამიანი (სურ.166). სინხაის რევოლუციის დროს 1911 წელს, მანჯურიული ნაწნავის შეჭრა იყო მთავარი რევოლუციური აქტი, რომლითაც ეთნიკური ჩინელები დაუმორჩილებლობას აცხადებდნენ.




სურ. 166 მანჯურიული ტრადიციისამებრ, თმის ნახევრად გადაპარსვისა და ნაწნავის გაკეთების პროცესი

დორგონის ხელმძღვანელობით მანჯურიელები რამდენიმე თვე ემზადებოდნენ იმპერატორის პეკინში შესასვლელად. 1644 წლის 19 ოქტომბერს 6 წლის იმპერატორი საზეიმოდ შევიდა დედაქალაქში და მას გადასცეს სიგელი, რომლითაც დასტურდებოდა, რომ ის ფლობდა ცის მანდატს. უშუალოდ დორგონი თავიდან ბიძა რეგენტად, ხოლო შემდეგ პრინც რეგენტად გამოცხადდა და რეალურად 1650 წლამდე იმპერიას ის მართავდა. მისივე თაოსნობით პეკინსა და მის გარშემო მიწები მანჯურიულ სადროშოებს გადაეცა. ასე მაგალითად, თეთრ სადროშოს გადაეცა დასავლეთი მხარე, წითლებს – სამხრეთი და ა.შ. ამ პოლიტიკის შედეგად პეკინის ირგვლივ რამდენიმე ასეული კილომეტრი მთლიანად აღმოჩნდა მანჯურიელების გამგებლობის ქვეშ და მათ მამულებად იქცა.

1946 წელს დორგონმა გამოაცხადა ახალი ტალღა სახელმწიფო გამოცდებისა, რომელსაც უნდა დაეკომპლექტებინა მანჯურიელთა ერთგული სრულიად ახალი ბიუროკრატიული ფენა, რომელიც შედარებით მარტივად ერგებოდა ახალ რეალობას (სურ. 167).

პეკინისთვის ბრძოლაში მანჯურიელებმა გაანადგურეს აჯანყებული გლეხების ჯარი ლი წიჩენგის მეთაურობით. იმ პერიოდში ფაქტობრივად არ არსებობდა მინგის რომელიმე გენერალი, რომელსაც შეეძლო პეკინი გაეთავისუფლებინა. თუმცა ცალკეულ პროვინციებსა და სიმაგრეებს ქვეყნის სილრმეში ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ მინგის დინასტიის ერთგული ნაწილები. ქვეყნის გეოგრაფიიდან



სურ. 167 საიმპერიო გამოცდების – ქუძუს საგამოცდო ადგილი

გამომდინარე, არც ისე მარტივი იყო ხეობებსა და უდაბნოებში აგებული სიმაგრეების დროის მოკლე მონაკვეთში აღება. როდესაც აჯანყებულმა ლი წიჩენგმა პეკინი აიღო, ჩინელებმა ისტორიაში ნაცად ხერხს მიმართეს და სამეფო ოჯახის წევრები სამხრეთ ჩინეთში გააპარეს. როდესაც დედაქალაქს საფრთხე ემუქრებოდა ხოლმე, სამხრეთ ჩინეთი ყოველთვის იყო იმპერატორებისა და მათი ოჯახის წევრების თავშესაფარი. მეტიც, როდესაც მონღოლებმა პეკინი აიღეს და იუენის დინასტია დაარსეს, მაშინ სამხრეთ ჩინეთი, კერძოდ, მდინარე იანგწის აუზის ქალაქები გახდა სამხრეთ სუნგის დინასტიის მთავარი დასაყრდენი. ისტორია ამჯერადაც განმეორდა და საიმპერატორო ოჯახის წევრებმა თავი ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ ნანძინგს შეაფარეს თავი. სწორედ მათ აღსანიშნავად გამოიყენება ზოგჯერ ტერმინი „სამხრეთ მინგის დინასტია", თუმცა ფაქტობრივად არ არის ერთიანი აზრი იმაზე, მართებულია თუ არა, რამდენიმე ოჯახის წევრის მიერ ქალაქ ნანძინგისა და მიმდებარე ტერიტორიების ფლობა მცირე ხნით, განისაზღვროს როგორც რეალური მმართველობა. ფორმალურად სამხრეთში მყოფ ხელისუფლებას ხელმძღვანელობდა პრინცი ფუ, თუმცა რეალურად ძალაუფლება გადანაწილებული იყო მა შიინგს, ში კეფასა (სამხედრო მინისტრი) და საჭურის ბიუროკრატებს შორის გამორჩეულ ჟუან ტაჩენგს შორის. ფუმ შესთავაზა დორგონს გაეთავისუფლებინა პეკინი და დაეარსებინა სამეფო პეკინის ჩრდილოეთით, ხოლო მინგის დინასტია კისრულობდა, რომ გადაიხდიდა ყოველწლიურ ხარკს და მშვიდობიანად იცხოვრებდა მანჯურიელების გვერდით. ამის საპასუხოდ დორგონმა მას ნება დართო, ჰქონოდა სამხრეთში მცირე სამეფო, ოღონდ იმპერატორის ტიტულისთვის აღარ უნდა ებრძოლა და პეკინზეც არ უნდა გამოეცხადებინა პრეტენზია. არც ერთმა მხარემ თავისი პოზიცია არ შეცვალა, რაც მოასწავებდა ახალ ომს სამხრეთში.



სურ. 168 დოდოს შეჭრა ნანძინგში

1645 წელს პრინცი დოდო დაიძრა სამხრეთისკენ, რათა სამხრეთი ჩინეთიც დაექვემდებარებინა საიმპერატორო ტახტისთვის. მან ერთმანეთის მიყოლებით აიღო მდინარე იანგწის აუზში მდებარე ქალაქები. ჩინური წყაროების მიხედვით, სამხრეთ ჩინეთში მანჯურიელებმა სისხლის გუბეები დააყენეს მთელ რიგ ქალაქებში: ძიატინგში, სუნძიანგში, იანგჭოუსა და ნანძინგში (სურ. 168). მდინარე იანგწის აუზში მცხოვრები ჩინელებისათვის ჩრდილოეთიდან მოსული ბარბაროსები იმდენად მიუღებელნი იყვნენ, რომ ბრძოლა ყველა სიმაგრის ასაღებად უწევდათ მანჯურიელებს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სამხრეთის დამორჩილებაში ლომის წვლილი შეიტანეს მინგის ყოფილმა გენერლებმა, რომლებიც უკვე ცინგის დინასტიას ემსახურებოდნენ. მაგალითად, ლიუ ლიანგწუო და ლუ ჩენგტუნგი, რომლებიც ერთ დროს აქტიურად ებრძოდნენ ცინგს, ახლა უკვე მისი მორჩილნი იყვნენ. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელმაც ათასობით ადამიანი შეიწირა, იყო თმის მანჯურიული წესით გადაპარსვა და ნაწნავის გაკეთება. სამხრეთ ჩინელებისთვის იმდენად მიუღებელი იყო თავის გადაპარსვა და ნაწნავის გაკეთება, რომ ათასობით ადამიანი უარს ამბობდა ამ წესზე და პირდაპირ მიდიოდა სიკვდილზე. განსაკუთრებით ცნობილია ქალაქ იანგჭოუში მასობრივი უარი თავის გადაპარსვაზე, რის გამოც ქალაქი სასაკლაოდ იქცა. დღევანდელი ჩინური ისტორიოგრაფია ამ ფაქტს „იანგჭოუს სასკლაოს“ უწოდებს. იმავე წელს ნანძინგს ალყა შემოარტყეს საიმპერატორო ძალებმა და პრინცი ფუ ცოცხლად აიყვანეს ტყვედ, პეკინს გაგზავნეს და იქ იყო ტყვეობაში სიცოცხლის ბოლომდე. ნანძინგის დაცემისას ძიანგსუსა

და ჭეძიანგის პროვინციებში კიდევ იყვნენ მინგის დინასტიის წარმომადგენლები. ძიანგსუს პროვინციაში მცირე ძალები შემოკრებილი ჰყავდა ე.წ. „ლუნგ-უ იმპერატორს", ხოლო ჭეძიანგში კი პრინცი ლუ იყო გამაგრებული. იმის მაგივრად, რომ მათ ერთობლივად ემოქმედათ ცინგის ჯარების წინააღმდეგ, აბსოლუტურად გათიშულნი იყვნენ ერთმანეთისგან, რამაც შედეგი მალე გამოიღო. მანჯურიელმა გენერალმა დოდომ ჯერ ერთი დაამარცხა და შემდეგ უკვე – მეორე.

უკიდურეს სამხრეთში, კუანგსისა და კუანტუნგის პროვინციებში, რომლებიც უკვე სასაზღვრო პროვინციებად იქცნენ, კიდევ იყო მინგის ოჯახის ორი წევრი – შაო-უ და იუნგი, რომლებიც ერთმანეთში აწარმოებდნენ ბრძოლას ადგილობრივი ბანდების დახმარებით. 1647 წელს ლი ჩენგტუნგის მცირე ძალებმა აიღო სიმაგრეები და შაო-უ ადგილზე მოკლეს, სამი წლის შემდეგ ცინგის ჯარები შევიდნენ ქალაქ კანტონში და დაიკავეს ის. სამი წლის თავზე სამხრეთ ჩინეთი მთლიანად დაქვემდებარებული იყო პეკინის საიმპერატორო ტახტს. გარკვეული პრობლემები არსებობდა ცენტრალურ და დასავლეთ ჩინეთში, რომლის აღმოსაფხვრელად აქტიურად მოქმედებდა დორგონი. ცინგის სხვა გენერლებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიკავეს სჩუანის, კანსუსა და ცინგხაის პროვინციები და თითქმის მთლიანი ტერიტორია, რომელსაც მინგი აკონტროლებდა, მათ დაქვემდებარებაში გადავიდა.

სამხრეთ კამპანიის დროს ძალიან გაიზარდა დორგონის ავტორიტეტი და მას უკვე გაცილებით დიდი ფუნქციები ჰქონდა, ვიდრე ზოგადად რეგენტებს აქვთ ხოლმე. 1647 წელს იმპერატორ შუნჭის ბაბუის ძმამ (ნურხაჩის უმცხროსი ძმა) ჯირჰალანგმა შეკრიბა მისი მომხრე სადროშოები, კერძოდ, ე.წ. ყვითელი სადროშოები, რომლებიც ხუნაგ თაიძის დროიდან უშუალოდ იმპერატორს ემორჩილებოდნენ. ასევე იმ სადროშოების წარმომადგენლებიც დაიხმარა, რომლებიც შევიწროვებულნი იყვნენ დორგონის ძალაუფლებით და დაიწყო კამპანია დორგონის წინააღდეგ. 1651 წელს, როდესაც იმპერატორი უკვე 13 წლის იყო, ჯირჰალანგმა სამხედროების თანხლებით წაუყენა ბრალდება დორგონს, რომ მისი რეგეენტობა აჭარბებდა ოფიციალურად დადგენილ უფლებამოსილებას და ის ფაქტობრივად ხელისუფლების უზურპაციას ახდენდა, ხოლო იმპერატორი უკვე საკმარისად დიდი იყო, რათა დამოუკიდებელი მმართველობა დაეწყო.

1651 წელს დორგონი გადააყენეს თანამდებობით და აჰყარეს უფლებები. თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ დორგონი მალევე გარდაიცვალა, თუმცა დანამდვილებით არ არის ცნობილი სიკვდილის მიზეზი. პრინც რეგენტის თანამდებობიდან ჩამოშორების შემდეგ დაიწყო მისი პოლიტიკური გუნდის წევრების შევიწროვება და უკანა პლანზე გადაწევა.

1650 წლისათვის ცინგის დინასტიის ჯარებმა ფაქტობრივად მოსპეს წინააღმდეგობის მთავარი კერები სამხრეთ ჩინეთში. მათი კონტროლის ქვეშ რჩებოდა მხოლოდ ერთი განაპირა პროვინცია სამხრეთ-დასავლეთ ჩინეთში. კუანგსი ტროპიკულ სარტყელში მდებარეობს. სავსეა ღრმა და წყალუხვი მდინარეებითა და ხეობებით. ამიტომ ვერ ხერხდებოდა აქტიური საბრძოლო მოქმედებები ისე სწრაფად, როგორც ჩინეთის სხვა რეგიონებში მოხდა. კუანგსიში ძალაუფლება იყო ე.წ. სამხრეთ მინგის დინასტიის ბოლო წარმომადგენლის იუნგლეს ხელში, რომელიც თავის თავს იმპერატორს უწოდებდა. ჩინეთის ცენტრალურ პროვინციაში, სჩუანში კი დიდი გავლენით სარგებლობდა ე.წ. ბანდიტების პრინცი ჭანგ სიენჭუნგი, რომელიც საკმაოდ მრავალრცხოვან ბანდიტურ რაზმებს მეთაურობდა. ჭანგ სიანგჭუნგმა მოულოდნელად თავი გამოცხადა სამხრეთ მინგის დინასტიის დამცველად და შეუერთდა თვითგამოცხადებულ იმპერატორს. მათი ძალები კუანგსიში ნელ-ნელა ძლიერდებოდა. ასევე ყველას გასაკვირად, კუანგსიში მინგის ყოფილი გენერლები, რომლებმაც ერთგულება ცინგის იმპერატორს შეჰფიცეს, მოულოდნელად გადავიდნენ იუნგლეს მხარეზე. ფაქტობრივად, კუანგსის სრული პროვინცია გადაიქცა მცირე სახელმწიფოდ და იუნგლეს ირგვლივ გაერთიანდნენ როგორც პროფესიონალი გენერლები, ასევე ყაჩაღთა ბანდებიც. ცენტრალური ხელისუფლება აცნობიერებდა, რომ საჭირო იყო აქტიური ზომების გატარება და წამოიწყეს რამდენიმეწლიანი სამხედრო კამპანია იუნგლეს წინააღმდეგ. პირველი, რაც შუნჭიმ გააკეთა, ის იყო, რომ ეთნიკურად ჩინელი გენერალი ხუნგ ჩენგჩოუ დანიშნა სამხრეთ-დასავლეთ მხარის მმართველად და მას დაავალა თვითგამოცხადებულ იმპერატორთან ბრძოლა. 1653 წელს დაწყებული კამპანია თითქმის 5 წელს გაგრძელდა. ხუნგ ჩენგჩოუმ და მანჯურიელმა პრინცმა დონიმ ორი მხრიდან შეიყვანეს სამხედრო კოლონები კუანგსიში და 1659 წელს

უკვე კუანგსის დედაქალაქიც აიღეს. იუნგლე იძულებული გახდა ქვეყნიდან გაქცეულიყო. მას აღარსად ჰქონდა თავშესაფარი, გარდა სამხრეთ აზიისა. იმჟამინდელი ბირმის მმართველი დინასტიის თოუნგოუს ხელმძღვანელმა, მეფე პინდალინ მინმა დახმარება შესთავაზა მას და შეიაფარა რამდენიმე წლის განმავლობაში. მანჯურიელები ვერ მოისვენებდნენ მანამ, სანამ არსებობდნენ მინგის შთამომავლები, თუნდაც დასუსტებულნი. ამიტომ მათ დაავალეს ლეგენდარულ უ სანკუეის[1], საბოლოოდ გაენადგურებინა იუნგლე და მისი მომხრეები. უ სანკუეიმ გადალახა კუანტუნგის პროვინცია და მიადგა ბირმის საზღვრებს. თოუნგუს დინასტია აცნობიერებდა, თუ რაოდენ გამანადგურებელი იქნებოდა მათთვის მანჯურიელებთან ომი. მათ შეფარებული იუნგლე დააკავეს და ამით ბირმა გადარჩა დიდ ომს ცინგის იმპერიასთან. შეპყრობილი იუნგლე კი უ სანკუეის გადასცეს, რომელმაც ის სიკვდილით დასაჯა 1662 წელს და ამით მოსპო ნინაალმდეგობის სერიოზული კერა სამხრეთ ჩინეთში.

იუნგლეს სიკვდილით დასჯით არ დასრულებულა მინგის დინასტიისა და ეთნიკური ჩინელების წინააღმდეგობა. მანჯურიელებს სულ მალე ახალი თავსატეხი გაუჩნდათ, ამჯერად უკვე საფრთხე ზღვიდან მოდიოდა. ერთი მხრივ, სამხრეთ ჩინეთში პორტუგალიელი, ჰოლანდიელი და ესპანელი კოლონისტები გამოჩნდნენ და მეორე მხრივ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში ძლიერდებოდა იაპონიაში დაბადებული სამურაის ოჯახში გაზრდილი ჩინელი მეკობრის შვილი, რომელიც შვილად გამოაცხადა სამხრეთ მინგის დინასტიის წარმომადგენელმა.

კოსინგა და მისი ომები ცინგის დინასტიასთან და ჰოლანდიელებთან. ისტორიულად ჩინეთი რეგიონის ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო ხოლმე, მაგრამ მისი სიძლიერის ტოლფასი საზღვაო ძალა არასოდეს ჰყოლია. მხოლოდ მინგის დინასტიამ სცადა შეექმნა[2] ძლიერი სამხედრო და სავაჭრო ფლოტი, თუმცა ჩინური ფლოტის რამდენიმე ათეულწლიანი ჰეგემონია ზღვებში მალევე დასრულდა. ფაქტობრივად

[1] უ სანკუეი – ჩინელი გენერალი, რომელმაც გააღო დიდი კედლის გასასვლელი და მანჯურიელები კედლის სამხრეთით გადმოუშვა 1644 წელს.

[2] ადმირალ ჭენგ ხეს მოგზაურობები ინდოეთის ოკეანესა და აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროზე.



სურ. 169 კოსინგა

კოსინგას ფლოტი იყო მეორე შემთხვევა ჩინეთის ისტორიაში, როდესაც მან სერიოზული როლი შეასრულა სხვადასხვა ბრძოლაში. შუნჭი და კოსინგა ჩართული იყვნენ ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში.

ჭენგ ჩენგკუნგი, იგივე კოსინგა[1], 1624 წელს დაიბადა იაპონიაში. მისი მამა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ჩინელი ვაჭარი და მეკობრე იყო, რომელიც ყველაზე დიდ ფლოტს ფლობდა მახლობელ ზღვებში, ხოლო დედამისი იაპონელი გახლდათ. კოსინგა იაპონიაში შვიდ წლამდე იზრდებოდა, შემდეგ ჩინეთში გადაიყვანეს დღევანდელი ფუძიენის პროვინციაში, სადაც მან მიიღო ტრადიციული ჩინური განათლება და მეტიც, მან ჩააბარა საჯარო მოხელის გამოცდებიც (სურ. 169). 1644 წელს ის ირიცხება ნანძინგის საიმპერატორო აკადემიაში და იქ იღებს განათლებას. აკადემიის დასრულების შემდეგ კოსინგას ენიჭება საჯარო მოხელის მაღალი რანგი და იწყებს სახელმწიფო სამსახურში მუშაობას.

მას შემდეგ რაც პეკინი მანჯურიელებმა დაიკავეს, მინგის დინასტიის წევრებმა სამხრეთში გადმოინაცვლეს. მათი ძირითადი დასაყრდენი ჭეძიანგის, ძიანგსუსა და ფუძიენის პროვინციები გახდა. 1645 წელს თვითგამოცხადებულ სამხრეთ მინგის დინასტიის ტახტზე ეკურთხა პრინცი თანგი, როგორც იმპერატორი ლუნგ-უ. იმპერატორ ლუნგ-უს მხარს უჭერდნენ ზღვისპირა პროვინციების ფეოდალები, მათ შორის კოსინგას მამა, ჭენგ ჭილუნგი. სამეფო ოჯახთან ახლობლობის გამო იმპერატორმა ლუნგ-უმ მას მიანიჭა სახელი, რომლითაც ის დღეს ჩინურ წყაროებშია ცნობილი – ჭენგ ჩენგკუნგი. ამასთან ერთად, მისცა წოდება, რომელსაც მისი ოჯახის წევრები ატარებდნენ. კოსინგა ფაქტობრივად სამხრეთ მინგის დინასტიის ოჯახის წევრად გამოცხადდა.

[1] კოსინგა მას შეარქვეს ევროპელმა ვაჭრებმა და ასეა ის ცნობილი დასავლურ ისტორიოგრაფიაში.

1646 წელს კოსინგამ პირველად უხელმძღვანელა ჩინურ დანაყოფებს ცინგის წინააღმდეგ და პირველივე შეტაკებებში წარმატებას მიაღწია. თუმცა მას შემდეგ რაც მანჯურიელებმა მრავალრიცხოვანი ჯარები დაძრეს სამხრეთ მინგის წინააღმდეგ კოსინგას მამასა და იმპერატორ ლუნგ-უს შორის ბრძოლის სტრატეგიაზე გაუგებრობა წარმოიშვა. ჭენგ ჭილუნგი ფლობდა როგორც სახმელეთო ძალებს, ასევე საზღვაოსაც. მან უარი განუცხადა იმპერატორს გადასულიყო კონტრშეტევაზე. მისი აზრით, საჭირო იყო თავდაცვითი ბრძოლის წამოწყება და სიმაგრეების გამაგრება. სწორედ ამ მიზეზის გამო მანჯურიელები ფუჭოუში ფაქტობრივად მინიმალური წინააღმდეგობით შევიდნენ. ტყვედ ჩაიგდეს სამხრეთ მინგის იმპერატორი ლუნგ-უ და სიკვდილით დასაჯეს.

მანჯურიელები კარგად აცნობიერებდნენ ჭენგ ჭილუნგის ოჯახის მნიშვნელობას, მეტადრე, რომ ის იყო იმდროინდელ აღმოსავლეთ აზიაში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ფლოტის მფლობელი, გადაწყვიტეს მასთან მოლაპარაკება დაეწყოთ. კერძოდ, ჭენგ ჭილუნგს შესთავაზეს ფუძიენისა და კუანტუნგის პროვინციების გუბერნატორობა, თუ ის ცინგის იმპერატორს აღიარებდა. ყველასთვის გასაკვირად, ჭენგ ჭილუნგმა მიიღო ეს წინადადება, რითაც საკუთარი ოჯახის წევრებს დაუპირისპირდა. კოსინგამ გააპორტესტა მამის ნაბიჯი და დატოვა ფუძიენის პროვინცია. კოსინგასთან ერთად ჭენგ ჭილუნგის გადაწყვეტილება უარყვეს მისმა ძმებმა და მათაც დატოვეს ოჯახის რეზიდენცია. კოსინგას შეუერთდნენ ბიძები და ფლოტისა და ჯარების სერიოზული ნაწილი. ისინი ღია ზღვაში გავიდნენ. ისარგებლეს საზღვაო უპირატესობით და იკავებდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთის საზღვაო პროვინციების სიმაგრეებსა და ქალაქებს; მუდმივად ესხმოდნენ თავს მანჯურიელებს. ჭენგების ოჯახში ფრიად უცნაური მდგომარეობა შეიქმნა. ჭენგ ჭილუნგი, რომელმაც ერთგულება გამოუცხადა მანჯურიელებს, ფაქტობრივად დარჩა მცირე ფლოტისა და მცირე ძალების ამარა. მისი ძალების დიდი ნაწილი შეუერთდა კოსინგასა და მის შვილებს. 1651-1654 წლებში ჭენგ ჭილუნგი პეკინიდან უგზავნიდა მის შვილს წერილებს, რომ შეეწყვიტათ სამხედრო კამპანია მანჯურიელების წინააღმდეგ და ელიარებინათ მათი ძალაუფლება, თუმცა კოსინგა სასტიკ უარზე იდგა და მოლაპარაკებები ვერ შედგა. ამას დაემატა ცინგის ჯარების მიერ ქალაქ ანფინგის აღება, სადაც

იმყოფებოდა მისი იაპონელი დედა, რომელმაც ვერ მოასწრო ქალაქიდან გასვლა და თავი მოიკლა მანჯურიელების ქალაქში შესვლისას. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააძლიერა წინააღმდეგობა კოსინგასა და მანჯურიელების შორის.

1656 წლის მაისში მანჯურიელებმა მოუყარეს თავი საზღვაო ძალებს, რომელსაც უსარდლეს პრინცი ჯიდუ და წამოიწყეს საზღვაო ექსპედიცია სიამენის[1] გასწვრივ. სიამენის აღმოსავლეთით მდებარეობდა პატარა კუნძულები, სადაც კოსინგას სამხედრო ბაზები ჰქონდა მოწყობილი და წვრთნიდა თავის მებრძოლებს. მანჯურიელების ფლოტმა დიდი დანაკარგი განიცადა კუნძულ ჭოუშანის აღებისას, რადგან, ერთი მხრივ, მათ შეტაკებები უწევდათ გამოცდილ ჩინელ მეზღვაურებთან, მეორე მხრივ კი, აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში საშინელი შტორმები ურთულებდა მათ კოორდინაციას. მეტიც, მაისში რამდენიმედღიანი შტორმი მძვინვარებდა ზღვაში, რამაც ფლოტი საკმაოდ დიდი ნაწილი კუნძულზე გადაუსვლელად ჩაუძირა მანჯურიელებს. კოსინგამ გამოიყენა ეს მდგომარეობა, გაგზავნა მისი ერთ-ერთი ადმირალი და გადარჩენილი ფლოტის ნაწილებიც გაანადგურა სიამენის ზღვის ირგვლივ. მანჯურიელთა სამხედრო-საზღვაო ძალა ფაქტობრივად აღარ არსებობდა და კოსინგას ჰქონდა აბსოლუტური თავისუფლება ნებისმიერი მიმართულებით შეეტია ზღვიდან მათთვის.

კოსინგამ განიზრახა გამოეყენებინა საზღვაო უპირატესობა და ნამოწყო შეტევა მდინარე იანგწის აუზში. იმდროინდელ ჩინეთში იანგწის აუზში ყველაზე დიდი ქალაქი ნანძინგი იყო, რომელიც ერთ პერიოდში სამხრეთი მინგის დინასტიის მთავარი საყრდენი ქალაქი გახდლათ, კოსინგამ დაძრა თავისი ფლოტი და ალყა შემოარტყა ნანძინგს. ნანძინგის ალყა ფაქტობრივად მთელი აგვისტო გაგრძელდა. მიუხედავად საზღვაო უპირატესობისა, ნანძინგი კარგად იყო დაცული მანჯურიელების მხრიდან. ამას დაემატა დამხარე ძალები კავალერიის სახით და კოსინგას ჯარებმა დიდი დანაკარგი განიცადეს. მათ დატოვეს ნანძინგი. როგორც ზემოთ ვახსენეთ, კოსინგა იაპონიაში დაიბადა და იქ იზრდებოდა თავდაპირველად. არის ცნობები, რომ მის აღზრდაში სამუარაებიც იღებდნენ მონაწილეობას, მან კარგად იცოდა ბუშიდოს კოდექსი და პატივს სცემდა მას. იქე-

[1] სიამენი მდებარეობს ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

დან გამომდინარე, რომ ევროპელ ვაჭრებთან ხშირი ურთიერთობა ჰქონდა, საკმაოდ მრავალრიცხოვანია ევროპული ცნობები მასზე. ესპანელი მისიონერების ცნობით, კოსინგას ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები მას შემდეგ, რაც გაიგო დედამისის და თავისი ოჯახის წევრების თვითმკვლელობის ამბავი. ამას ემატებოდა ბუშიდოს კოდექსი და სამურაის კანონები. დამარცხების შემდეგ ის სასტიკად უსწორდებოდა თავის ჯარისკაცებს.

თანამედროვე ჩინური ისტორიოგრაფია კოსინგას ეროვნულ გმირად განიხილავს, რომელიც, ერთი მხრივ, ერთგულებდა მინგის ჩინურ დინასტიას და იბრძოდა მანჯურიელების წინააღმდეგ; მეორე მხრივ, ის უპირისპირდებოდა ევროპელებს, მეტწილად კი ჰოლანდიელებს და უშუალოდ მის სახელს უკავშირდება ჰორმოზადან (იგივე თაივანი) ჰოლანდიელების გაყრა და იქ ეთნიკური ჩინელების დასახლება.

1661 წელს კოსინგა თავისი ფლოტით მიადგა თაივანს და მოსთხოვა ჰოლანდიელებს, რომ დაეტოვებინათ კუნძული, რადგან ის ყოველთვის იყო ჩინეთის შემადგენელობაში. კოლონისტებმა უარი განაცხადეს და ჩინელებმაც დაიწყეს ფორტ ზეელანდიას ბლოკადა (სურ. 170). თაივანის აბორიგენი მოსახლეობა თავდაპირველად საკმაოდ ახლოს თანამშრომლობდნენ ჰოლანდიელებთან და 1652 წელს ჩინელების აჯანყების ჩახშობაშიც კი დაეხმარნენ მათ. თუმცა ზეელანდიის ბლოკადის დროს ისინი კოსინგას მხარეს გადავიდნენ და გამოაცხადეს კუნძულზე ყველა ცოცხალ ჰოლანდიელზე ნადირობა. კოსინგამ ისინი მინგის დინასტიის დამცველებად გამოაცხადა და გადასცა სამუშაო და საბრძოლო იარაღები. 1662 წლისთვის კუნძულიდან უკვე იდევნებოდნენ ჰოლანდიელები და მათ დაიწყეს ნელ-ნელა სხვადასხვა ადგილებში გადასვლა, ხოლო თაივანი გამოცხადდა მინგის დინასტიის ერთგულების თავშესაფრად და დაიწყო კუნძულის ათვისება და განაშენიანება.



სურ. 170 ჰოლანდიელი კოლონისტები კოსინგას ნებდებიან

თაივანი სრულად იყო კოსინგას კონტროლქვეშ, მისი საზღვაო ფლოტი კი კიდევ უფრო გაზრდილიყო და გამრავლებულიყო. ამ ფაქტმა, როგორც ჩანს, კოსინგას გაუზარდა ამბიციები და ჰოლანდიელების შემდეგ ის დაუპირისპირდა ესპანელებსა და მათ კოლონიებს. იმ დროისთვის ფილიპინების დიდი ნაწილი ესპანელების მიერ კონტროლდებოდა, კოსინგამ გაუგზავნა მათ ელჩები, მათ შორის ერთი იტალიელი წარმოშობის ვაჭარიც და მოსთხოვა გადაეხადათ დიდძალი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩინელები იმუქრებოდნენ მანილაზე თავდასხმით და ესპანელების ლიკვიდაციით. ესპანელებმა უარი განაცხადეს თანხის გადახდაზე და მოემზადნენ ბრძოლისთვის, თუმცა კარგად ხვდებოდნენ, რომ ძალები არ იყო თანაბარი და ამიტომ ჩინელების შიშით დატოვეს მანილა და გამაგრებულ სიმაგრეებში გადავიდნენ. მანილაზე თავდასხმა არ შედგა, რადგან კოსინგა მალარიისგან მოულოდნელად გარდაიცვალა 1662 წლის ივნისში.

კოსინგას გარდაცვალებით ფაქტობრივად უკანასკნელი მოწინააღმდეგე ჩამოშორდა ცინგის დინასტიას და მათ უკვე გაეხსნათ ყველანაირი შესაძლებლობა მთლიან ჩინეთზე გამოეთქვათ პრეტენზია და ზღვიდან თავდასხმის შიში აღარ ჰქონოდათ. თაივანი დაახლოებით 20 წლის შემდეგ შევიდა მინგის დინასტიის შემადგენლობაში. დღეს კოსინგა ეროვნულ გმირად მიიჩნევა როგორც თაივანზე, ასევე მატერიკულ ჩინეთში ცინგისა და ჰოლანდიელების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების გამო.

შუნჭის დამოუკიდებელი მმართველობა, ადმინისტრაციული რეფორმები. შუნჭი პირველი იმპერატორი იყო, რომელმაც მმართველობა პეკინში დაიწყო. ცინგის დიდებულები ხვდებოდნენ, რომ ჩინელების გულის მოსაგებად აუცილებელი იყო შუნჭის კარგად ცოდნოდა ჩინური ენა და ფილოსოფია. ამიტომ ის ჩინელი სწავლულების გარემოცვაში იზრდებოდა და ვითარდებოდა. იგი სრულყოფილად ფლობდა ჩინურ ენასა და დეტალურად იცოდა კონფუციური ეთიკისა და ბუდისტური მოძღვრებების დეტალები. ის ასევე ცნობილია, როგორც განათლებული, კულტურული იმპერატორი, რადგან გაცილებით კარგად ერკვეოდა ფილოსოფიასა და კულტურაში, ვიდრე ნებისმიერი მისი შთამომავალი. შუნჭის პირველი აქტიური ნაბიჯი იყო კორუფციასთან ბრძოლა და ადმინისტრაციული რეფორმები. რეფორმების მიზანი იყო ძალაუფლება გადანაწილებულიყო მანჯურიელებს, მონ-

ღოლებსა და ჩინელ მოხელეებს შორის ისე, რომ, ერთი მხრივ, ყველა ყოფილიყო ჩართული მართვაში; მეორე მხრივ, არ გაჩენოდა რომელიმე ჯგუფს უკმაყოფილება და დაძაბულობის ახალი კერაც არ შექმნილიყო. შუნჭიმ შექმნა 6 მთავარი სამინისტრო: სამოქალაქო საქმეების, ფინანსების, რიტუალების (მოიცავდა ასევე საგარეო სფეროსაც), ომის, სამართლის, საჯარო საქმეების.

მინისტრს უნდა ჰყოლოდა 4 მოადგილე, აქედან ორი ჩინელი, ხოლო ორი – მანჯურიელი. გარდა სამინისტროებისა, რეფორმირდა ე.წ. „დიდი სამდივნო", სადაც ორი ჩინელი, ორი მანჯურიელი და სამი მინგის დინასტიის გამოცდილი მოხელე ინიშნებოდა. ქალაქების დაცვაც ასევე ინტეგრირებულ გარნიზონებს დაევალათ. ჩრდილოეთ ჩინეთში გარნიზონები შედგებოდა მონღოლი, მანჯურიელი და ჩინელი მებრძოლებისგან, ხოლო სამხრეთში მანჯურიელები და ჩინელები ინაწილებდნენ ფუნქციებს.

როდესაც შუნჭიმ 13 წლის ასაკში დამოუკიდებელი მმართველობა დაიწყო, მისი რეგენტი უფლებააყრილი და გაძევებული იყო პეკინიდან. შუნჭის პრინც რეგენტთან ბრძოლაში ბაბუამისის ძმასთან ერთად დიდი დახმარება გაუწიეს მინგის დინასტიის საჭურისთა საბჭოს წევრებმა. საჭურისები აზიურ სამეფოებში დიდი გავლენით სარგებლობდნენ. საჭურისები ფლობდნენ მინგის კარზე ძალიან დიდ გავლენას. დორგონის მიერ პეკინის დაკავების შემდგომ ისინი ჩამოშორდნენ ძალაუფლებას, თუმცა მათ გაიაზრეს შექმნილი ვითარება და ერთგულება გამოუცხადეს ახალ, მცირეწლოვან იმპერატორს და ფარულად ეხმარებოდნენ მას რეგენტთან ბრძოლაში. როდესაც შუნჭიმ ძალაუფლება ხელში აიღო, ფაქტობრივად მანჯურიული იდენტობა მთლიანად დაკარგული ჰქონდა, რადგან ჩინელი სწავლულები ზრდიდნენ. ის მადლიერი იყო მისი დამხმარე საჭურისი მოხელეებისა და განიზრახა დაებრუნებინა მათთვის ძველი გავლენა და კვლავ ჩაეყენებინა სახელმწიფო სამსახურში. მანჯურიელი პოლიტიკოსები შუნჭის მმართველობის შეფასებისას წერენ, რომ იგი იყო „ჩინური ტიპის მმართველი" და ა.შ. რაც ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად დაცილებული იყო ტრადიციულ მანჯურიულ ელიტასა და მართვის სტილს. გარდა დიდი სამდივნოს აღდგენისა, შუნჭიმ ასევე აღადგინა ხანლინის აკადემია, რომელიც მინგის დინასტიის დროს იყო უმაღლესი ორგანო მაღალი რანგის

ბიუროკრატების მოსამზადებლად. შუნჭი ახლობლობდა ევროპელ მისიონერებთან.

ახალგაზრდა და ენერგიულ იმპერატორს დიდხანს მმართველობა არ დასცალდა ყვავილის ინფექციით დასნეულების გამო. შუნჭი გარდაიცვალა 23 წლის ასაკში, ხოლო ტახტზე მისი შვილი ქანგსი ავიდა, რომლის დროსაც ცინგის დინასტია საგრძნობლად გაფართოვდა და გაძლიერდა.

მანჯურიელების პარალელურად ცენტრალურ აზიაში ძლიერდებოდა დასავლურ მონღოლური ტომები – ჯუნგარები, რომლებიც სულ უფრო და უფრო დიდ გეოგრაფიულ სივრცეებს აკონტროლებდნენ. სწორედ მანჯურიელებთან მრავალწლიან ომებში ჩაერთო ცინგის დინასტია, რომლის შედეგიც იმპერიის საზღვრების გაორმაგება იყო და ისეთი ტერიტორიები დაუქვემდებარა პეკინს, რომელზეც ფაქტობრივად იშვიათად თუ ვრცელდებოდა ჩინური დინასტიების გავლენა.

ჯუნგარების სახანოს აღზევება ცენტრალურ აზიაში, დასავლეთ ჩინეთისა და მონღოლეთის სტეპებში

მონღოლეთის უზარმაზარი იმპერიის დაშლის შემდგომ ის ტომები, რომლებიც ერთ დროს წარმოადგენდნენ მონღოლების მთავარ მოკავშირეებს და ეთნოგრაფიულადაც ახლოს იდგნენ მათთან, ეტაპობრივად გაეთიშნენ ერთმანეთს. შორეული აღოსავლეთისა და ცენტრალური აზიის უდაბნოებსა და სტეპებში ხშირად იქმნებოდა სხვადასხვა ტომობრივი გაერთიანებები, რომლებიც დროებით იკავებდნენ ამა თუ იმ ტერიტორიას და შემდეგ ან იშლებოდნენ ან ერთმანეთთან ბრძოლის შედეგად ნადგურდებოდნენ. აღმოსავლეთში ჯურჩენების შთამომავლების, მანჯურიელების მიერ პეკინის დაკავების პარალელურად, დასავლეთში კერძოდ კი, დღევანდელი ცენტრალური აზიის, მონღოლეთისა და დასავლეთი ჩინეთის ტერიტორიაზე საკმაოდ მოძლიერდა ჯუნგარების ტომი, ერთ-ერთი „ოთხი ოირატის" კონფედერაციიდან. უშუალოდ სახელი „ჯუნგარ" მონღოლური ენიდან მოდის და მარცხენა ხელს ნიშნავს. ჯუნგარების შთამომავლები არიან ასევე ჩრდილოეთ კავკასიის კასპიისპირეთში მცხოვრები ყალმუხელი ბუდისტებიც. ჯუნგართა სახანო და

მათი აღზევება-დაცემა პირდაპირ კავშირშია ჩინეთის უახლეს ისტორიასთან. აქედან გამომდინარე, გვერდს ვერ ავუვლით ხალხთა ამ ყველაზე დიდ გაერთიანებას, რომელიც ფაქტობრივად მონღოლების შემდეგ ყველაზე დიდ გეოგრაფიულ არეალს აკონტროლებდა ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში. დღესდღეობით მათი რიცხვის დადგენა საკმაოდ რთულია, რადგან უკვე ასიმილირებულნი არიან და გაბნეულად ცხოვრობენ ჩინეთის, რუსეთის, მონღოლეთისა და ყაზახეთის ტერიტორიაზე.

წარმოშობა და აღზევება. ჯუნგარების წარმომავლობის შესახებ ინფორმაციას უშუალოდ გვაწვდის თავად მათი სახელი, რომელიც მონღოლურად „მარცხენა ხელს" ნიშნავდა. ისინი დასავლურ მონღოლურ ტომებს წარმოადგენდნენ და თავის დროზე მონღოლეთის იმპერიაში შედიოდნენ. 1207 წელს მდინარე ონონის პირას ჩინგიზ ყაენის არჩევაშიც მიიღეს მონაწილეობა. ჯუნგარები იყვნენ ოირატის[1] კონფედერაციის შემადგენლობაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ტომები. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, 1636-1642 წლებში ოირატის ხელმძღვანელმა ხოშუტ, იგივე გუში ხანმა წამოიწყო სამხედრო კამპანია ტიბეტში, საკუთარი გავლენის გასაფართოებლად. იქედან გამომდინარე, რომ 1644 წელს პეკინის დაკავებით დაწყებული ბრძოლები ფაქტობრივად 40 წელიწადზე მეტ ხანს გაგრძელდა, ჩინეთის სხვადასხვა პროვინციაში ცინგის დინასტიას არ ეცალა ცენტრალურ აზიასა და გობის უდაბნოს გადაღმა მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისთვის. აქედან გამომდინარე, ჯუნგარების ექსპანსიას ვერაფერი ვერ აფერხებდა, გარდა აღმოსავლური მონღოლური ტომებისა, რომლებიც საკმაოდ დასუსტდნენ ომის შედეგად და ჯუნგარების შემაკავებელ ფაქტორად აღარ ითვლებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯუნგარებს არ ჰყავდათ სერიოზული გარე მოწინააღმდეგეები, თავი იჩინა შიდა დაპირისპირებამ სხვადასხვა საგვარეულოს შორის და ასევე, ხანის შვილებს შორისაც. სწორედ ხანის ტიტულს ატარებდა ჯუნგარების ლიდერი, ხოლო მოგვიანებით მათი სახელმწიფო ხაკანატად იწოდებოდა. 1653 წელს ბაათურის

[1] ოირატი – მონღოლური ტომების გაერთიანება და ზოგადი სახელი მონღოლური ჯგუფებისა, რომელთა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი მოიცავდა 4 დიდ ჯგუფს: ჯუნგარების, ტორგუტები, ხოშუტები და დორბეტები, ასევე შემდეგ მცირერიცხვოვან ტომებსაც: ხოიდები, ბაიადები, მიანგადი და ა.შ.

ვაუმა, სენგგემ გადაიბარა ხელისუფლება, თუმცა ის იმთავითვე გადააწყდა პრობლემებს თავისი ნახევარძმებისგან. ომი ნახევარძმებთან გაგრძელდა მრავალ წელს, რადგან მათაც ჰყავდათ თავიანთი მომხრე საგვარეულოები ოირატში, თუმცა სენგგეს ერთგულად და აქტიურად მხარს უჭერდა მისი უმცროსი ძმა გალდანი, რომელიც მოგვიანებით გახდა ყველაზე დიდი და ძლევამოსილი ლიდერი ჯუნგარების ისტორიაში. სენგგე წარმატებებს აღწევს მე-17 საუკუნის 60-იან წლებში ძმებთან ბრძოლაში. ამავე დროს გალდანი ლჰასაში ჩადის და იმდროინდელ, მეოთხე პანჩენ ლამას კარზე, რომელიც შემდეგ მეხუთე დალაი ლამა ხდება, იწყებს მსახურებას, როგორც ბუდისტი ღვთისმსახური. გალდანმა გამოიყენა ტიბეტში პანჩენ ლამასთან ყოფნა და აქტიურად დაიწყო ბრძოლა ნახევარძმებთან. 1671 წელს გალდანი დაქორწინდა გავლენიანიანი საგვარეულოს ხელმძღვანელ ორჩიტუს ქალიშვილზე, რითაც კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი მდგომარეობა. ცოტა ხანში კი დალაი ლამამ მას უბოძა ხანის ტიტული, რომელიც გახდა ბოლო ნაბიჯი მისი აღზევებისთვის. გალდანის პოპულარობა და ძალაუფლება იმდენად იზრდებოდა, რომ უკვე შეშფოთებას იწვევდა არა მხოლოდ მტრებში, არამედ თვით ნათესავებშიც კი. კერძოდ, ყველასთვის მოულოდნელად, მას განუდგა მისი სიმამრი და გალდანთან საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. რამდენიმეწლიანი დაპირისპირების შემდეგ, 1677 წელს, საბოლოოდ დაამარცხა ორჩიტუ და ამით გალდანმა მთლიანი ძალაუფლება მოიპოვა არა მხოლოდ ჯუნგარების ტომზე, არამედ დასავლეთ მონღოლებზე და სრულიად ოირატზე. ოირატი უკვე მთლიანად ექვემდებარებოდა ერთ ადამიანს. სახანოს დაარსებით აზიელმა მომთაბარეებმა შექმნეს ჩინგიზ ყაენის შემდეგ ყველაზე დიდი სახელმწიფო, რომელიც თავის ტკივილი გახდა მახლობელი მეზობლებისთვის. დღევანდელი გადმოსახედიდან, ჯუნგარების პოლიტიკური შეცდომა იყო ბრძოლა ყველა ფრონტზე. მათი ძირითადი განსახლების არეალი დღევანდელი სინძიანგი ანუ დასავლეთ ჩინეთი იყო, თუმცა ისინი ფლობდნენ ყაზახეთისა და მონღოლეთის სტეპებზეც მიწებს. ჯუნგარები მძარცველურ ომებს აწარმოებდნენ ცენტრალური აზიის ხალხების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ყაზახებისა და ყირგიზების. მეტიც, ჯუნგარებთან დაპირისპირება გახდა ყაზახური ტომების ეროვნული გაერთიანების დამაჩქარებელი ფაქტორი. ლამაისტური რწმენის გამო

ისინი სასტიკად დევნიდნენ სინძიანგის თურქულენოვან მუსლიმურ მოსახლეობას, რითაც ფაქტობრივად აიძულეს თურქულენოვანი უიღურები[1] საკუთარი ინიციატივით მოეწვიათ ცინგის დინასტია, რათა ჯუნგარები გაედევნათ ჩინეთის თურქესტანიდან.

1677 წელს დალაი ლამამ გალდანს მიანიჭა უმაღლესი პოლიტიკური ტიტული „ბოშოქთუ ხანი" რომელიც არც ერთ ჯუნგარ მმართველს არ ჰქონია. საგულისხმოა, რომ თავდაპირველად ჯუნგართა ხაკანატმა შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო გაფართოება დასავლეთით დაიწყო. 1680 წელს ე.წ. შავი ყირგიზების მებრძოლებმა დაიკავეს იარკენდი და კაშგარი[2], დაპყრობილი ქალაქების ხელმძღვანელებმა დახმარება გალდანს სთხოვეს. გალდანმა არ დააყოვნა და გაათავისუფლა კაშგარიც და იარკენდიც ყირგიზებისგან, თუმცა ეს ქალაქები ხაკანატის შემადგენლობაში შევიდნენ. კაშგარის დაკავების შემდეგ უკვე გზა გაიჭრა ცენტრალური აზიის მდიდარ თვითმმართველ ქალაქებში. 1683 წლისთვის ჯუნგარებმა დაიკავეს საირამი, ტურფანი და ჰამი. ხოლო ქალაქების დამორჩილების შემდეგ ტაშკენტიც დაარბიეს. ცენტრალურ აზიაში ყველაზე რთულ მდგომარეობაში ყაზახები აღმოჩნდნენ, რომლებიც ხშირად განიცდიდნენ შევიწროებას. ჯუნაგრები იტაცებდნენ ბავშვებსა და მათ საქონელს. იმდენად აუტანელი იყო მდგომარეობა, რომ ყაზახებმა დასავლეთით დაიწყეს მიგრირება და ბოლოს რუსებს სთხოვეს დახმარება.

მე-17 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჯუნგარების ექსპანსიას უკვე სერიოზული შემაკავებელი გამოუჩნდა ცინგის იმპერიის სახით. მათი ომი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა და ცინგის მხრიდან ჩართული იყო სამი იმპერატორი – ქანგსი, იუნგჭენგი და ციენლუნგი. ომის პერიპეტიებზე უშუალოდ იმპერატორების ეპოქების დახასიათებისას გავამახვილებთ ყურადღებას. ერთ დროს უზარმაზარი ხაკანატი

---

[1] უიღურები – თურქულენოვანი მუსულიმი ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ დღევანდელი სინძიანგ-უიღურეთის ავტონომიურ რეგიონში და შეადგენენ მოსახლეობის ნახევარს. უიღურები დღევანდელ ჩინეთში არიან ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები.

[2] კაშგარი – დასავლეთ ჩინეთში, სინძიანგის რეგიონში მდებარე უძველესი ქალაქი, რომელიც იყო აბრეშუმის გზაზე უმნიშვნელოვანესი პუნქტი და ლოგისტიკური ცენტრი საუკუნეების განმავლობაში. კაშგარში იყრიდნენ თავს ჩინური ქარავნები და შემდეგ იქედან ნაწილდებოდა ცენტრალური აზიის სხვადასხვა მარშრუტზე.

იმპერატორ ციენლუნგის[1] დროს ფაქტობრივად განადგურდა. ძნელია იმის თქმა, თუ რა გახდა ჯუნგარების გაქრობის ძირითადი მიზეზი, თუმცა არსებობს საკმაოდ პოპულარული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, მანჯურიელებმა ფაქტობრივად გენოციდი მოუწყვეს ჯუნგარებს. ჩინელი ისტორიკოსი ვეი იუენი, რომელიც ცინგის მმართველობის პერიოდში ცხოვრობდა, ციენლუნგის დროს ჯუნგარების სავარაუდო რაოდენობად ასახელებს 600 ათას. აქედან, მისი აზრით, დაახლოებით 40% შეეწირა წითელას ეპიდემიას, დაახლოებით 20%-მდე რუსეთის იმპერიაში გადავიდა, ხოლო დანარჩენი ფიზიკურად განადგურდა ციენლუნგის მმართველობის ხანაში ბრძოლების დროს.

მე-18 საუკუნეში ხაკანატის ტერიტორიაზე ჯუნგარების წინააღდეგ აჯანყება დაიწყეს სუნიტმა უილურებმა, რომლებიც წლების განმავლობაში იყვნენ ჯუნგარების მმართველობის ქვეშ და როგორც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობა, განიცდიდნენ ჩაგვრას. უილურების ლიდერმა ემინ ხოჯამ გამოიყენა და ცინგის იმპერიის ანტაგონისტური დამოკიდებულება ჯუნგარების მიმართ და თხოვნით მიმართა იმპერიას დახმარებისთვის. მანჯურიელებმაც არ დააყოვნეს და როგორც სამხედრო ძალით, ასევე იარაღითა და რესურსებით დაეხმარნენ უილურებს (სურ. 171). ასე შევიდა სინძიანგის ტერიტორია ცინგის იმპერიის შემადგენლობაში და ეწოდა სახელი სინძიანგი ანუ ახალი საზღვარი, მანამდე მას სხვადასხვა სახელებით მოიხსენიებდნენ. ჩინელები ისტორიულად იმ არეალს, რომელიც ევროპაში ჩინეთის თურქესტანის სახელით იყო ცნობილი, სი იუდ ანუ დასავლეთ რეგიონად მოიხსენიებდნენ. ჯუნგარების ადგილზე იმპერიამ მათ დასაბალანსებლად დაიწყო ყაზახების, უილურებისა და ხუეის[2]



სურ. 171 სი-იუს (დასავლეთი რეგიონის) მუსლიმების ჯუნგარებისგან გათავისუფლება

[1] იმპერატორი ციენლუნგი – ცინგის დინასტიის გამოჩენილი მმართველი (1735-1796).

[2] ხუეი – ერთ-ერთი ეთნიკური უმცირესობა თანამედროვე ჩინეთში, რომლებიც სუნიტური ისლამის მიმდევარნი იყვნენ. დღესდღეობით მათი განსახლების არეალია ნინგსია-ხუეის ავტონომიური რეგიონი ცენტრალური ჩინეთის აღმოსავლეთ ნაწილში, თუმცა ასევე სახლობენ სინძიანგშიც.

ჩასახლება. დაარსდა ქალაქები – ურუმჩი და ინინგი. ცინგის დინასტიამ მუსლიმი მოსახლეობის იდენტობა და ანტი-ჯუნგარული განწყობები გამოიყენა მათ წინააღდეგ. სწორედ მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან გაიზარდა მუსლიმების კონცენტრაცია დასავლეთ ჩინეთში და თანდათან შეივინროვდა ლამაისტური ბუდიზმის გავლენა. უშუალოდ ჯუნგარები და მათი ხაკანატის ხალხები ასიმილირდნენ და გაიფანტენენ მთელ აზიაში, მათ შორის მოაღწიეს ჩრდილოეთ კავკასიის კასპიისპირეთში და ცნობილნი არიან როგორც ყალმუხები. ყალმუხები ერთადერთი ხალხია რეგიონში, რომლებიც ბუდიზმის ლამისტურ მიმართულებას მისდევენ და დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ რწმენას. ჯუნგართა შთამომავლები დღეს ყაზახეთში, რუსეთის, მონღოლეთისა და ჩინეთის სხვადასხვა პროვინციებში არიან გაფანტულნი.

იმპერატორი ქანგსი



სურ. 172 იმპერატორი ქანგსი

შუნჭის გარდაცვალების შემდეგ ცის მანდატის მფლობელი მისი შვილი ქანგსი გახდა, რომელიც გამორჩეული მონარქია არა მხოლოდ ცინგის დინასტიის, არამედ მთლიანად ჩინეთის ისტორიაში (სურ. 172). ქანგსი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე დიდ მმართველად ჩინეთისთვის, რომლის დროსაც ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ქანგსის მმართველობისას პეკინმა ფაქტობრივი კონტროლი დაამყარა თაივანზე და სამხრეთ ჩინეთზე. ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაფართოვდა დასავლეთით. დასავლეთ ჩინეთში დაამარცხა ჯუნგარები, ხოლო ცენტრალურ ჩინეთში ჩაახშო ე.წ. „სამი ფეოდალის აჯანყება“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა იყო ახალგაზრდა ცინგის დინასტიისთვის. გარდა ამისა, შეაჩერა რუსების კოლონიზაცია მდინარე ამურისპირეთში. მისი მმართველობა ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი იყო მთლიანად ჩინეთის ისტორიაში და 61 წელს მოიცავდა. ქანგსის მმართველობის

დროს გაიზარდა ეკონომიკა და დამუშავებული სავარგულების მოცულობა მთელი ჩინეთის მასშტაბით, რაც სერიოზული პრობლემა იყო სახელმწიფოსთვის მისი არსებობის ყველა ეტაპზე. მცირე მოსავალი და კლიმატური პრობლემები ხშირად სოციალურ კატაკლიზმებსა და აჯანყებებს იწვევდა, რადგან მოსახლეობას ფიზიკურად არ ჰქონდა არათუ გადასახადების გადახდის შესაძლებლობა, არამედ თავის გამოკვების საშუალებაც კი.

იმპერატორი შუნჭი მცირე ხნით ავადმყოფობდა. მან თადარიგი დაიჭირა და ქანგსის აღზრდა რეგენტთა საბჭოს ჩააბარა, რომელშიც ოთხი მანჯურიელი დიდგვაროვანი შედიოდა: სონინი, სუკსაჰა, ებილუნი და ობოი. ეს უკანასკნელი ყველაზე გამორჩეული იყო თავისი გავლენითა და შესაძლებლობით, რაც ბოლოს ახალგაზრდა იმპერატორთან დაპირისპირებაშიც კი გადაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქანგსის ტახტზე ასვლისას ქვეყანაში მეტნაკლებად სტაბილური მდგომარეობა იყო. ის მალე დადგა ძალიან დიდი საფრთხის წინაშე, იმ მასშტაბის საფრთხისა, რომელიც 1644 წლიდან ცინგის დინასტიას არ დამუქრებია და ეს იყო „სამი ფეოდალის" აჯანყება.

სამი ფეოდალის აჯანყება (1673-1681). მანჯურიელების მულტიეთნიკური პოლიტიკის გამო, რომელიც დღევანდელი გადასახედიდად მეტწილად წარმატებული გამოდგა, ძალიან გაძლიერდნენ ტახტის ერთგული ჩინელი ფეოდალები, რომელთაც ასევე საკმაო წვლილი შეიტანეს მანჯურიელების ძალაუფლების განმტკიცების საქმეში. ჩინელ ფეოდალებს შორის ყველაზე გავლენიანი გახდლათ ჩვენთვის კარგად ცნობილი უ საკუეი, ის ადამიანი, რომელმაც 1644 წელს დიდი კედლის კარი გახსნა და მანჯურიელებთან ერთად პეკინი დაიკავა. უ არა მხოლოდ დიდ და კარგად გაწვრთნილ სამხედრო დაჯგუფებას ფლობდა, არამედ უზარმაზარ ქონებაც ჰქონდა. შუნჭის მმართველობის დროს სამხრეთ რეგიონებში არასტაბილური ვითარება იყო. ქვეყნის გამთლიანებისთვისა და სამხრეთში კონტროლის აღდგენისთვის მანჯურიელებმა მიმართეს ნაცად და ჭკვიანურ ხერხს: „以汉制汉" – „ჩინელებითვე მართე ჩინელები". მიუხედავად იმისა, რომ რვა სადროშო საკმაოდ მრისხანე სამხედრო ძალა იყო, მანჯურიელებთან შედარებით მცირერიცხოვან ეთნოსს ფიზიკურად არ შეეძლო უზარმაზარი ჩინეთის კონტროლი ჩინელების დახმარე-

ბის გარეშე. ამიტომ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ პროვინციების მმართველად შუნჭიმ ჩინელი სადროშოები გამოიყენა. ისინი აკონტროლებდნენ ტიბეტის აღმოსავლეთიდან მდინარე იანგწის დასავლეთით ტერიტორიებს.

უ სანკუეი – სჩუანის ნაწილსა და კუანგსის (ცენტრალური ჩინეთის დასავლეთ ნაწილი და ქვეყნის სამხრეთ დასავლეთ ტერიტორიები);

შანგ ჭისინი – კუანგტუნგის პროვინცია (სამხრეთი ჩინეთი);

კენგ ძინგჭუნგი – ძიანგსუსა და ჭეძიანგის პროვინციები (სამხრეთ-აღმოსავლეთი ჩინეთი).

შუნჭის პოლიტიკამ იმხანად შედეგი გამოიღო და ჩინელების ხელითვე ჩინელების მართვა წარმატებული გამოდგა, თუმცა უცნობი მიზეზების გამო ახალგაზრდა ქანგსის თითქმის ერთი და იმავე პერიოდში სამი უმდიდრესი და უძლიერესი ჩინელი ფეოდალი განუდგა. ისტორიული წყაროებით არ დასტურდება, თუ რა იყო მიზეზი ერთდროულად სამი ჩინელი ფეოდალის აჯანყებისა და ჰქონდათ თუ არა მათ ახლო კოორდინაცია წინასწარ, თუმცა თუ მათ შემდგომ ნაბიჯებს გავაანალიზებთ არ ჩანს, რომ ისინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ სტრატეგიულ დონეზე. სამივეს ხელში უზარმაზარი ფინანსური და სამხედრო რესურსი იყო თავმოყრილი. იმ პერიოდის ჩინელი ისტორიკოსების მიხედვით ის ფინანსური რესურსი, რომელსაც სამივე ფეოდალი ერთად აკონტროლებდა, დაახლოებით იყო მეოთხედი მთლიანი ჩინეთის ხაზინის. ამ ყველაფერთან ერთად, მათ მანჯურიელებმა მიანიჭეს იმ ადგილების პრინცების წოდებები, რომლებსაც ისინი მართავდნენ და ამ ფაქტმა, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაზარდა მათი ამბიციები.

1667 წელს უ სანკუეიმ თხოვნით მიმართა იმპერატორს, რომ თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა, რადგან მას ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს, ქანგსი და მისი მინისტრები დიდად არ მოხიბლულან უ სანკუეის ამ წინადადებით, რადგან უს მეშვეობით მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შენარჩუნებული იყო ხანგრძლივი მშვიდობა. უ სანკუეისთან ერთად სამხრეთ ჩინეთის სხვა ჩინელმა ფეოდალებმაც იმავე ხერხს მიმართეს და მოითხოვეს უფლებამოსილების შეწყვეტა.

იმპერატორის მრჩეველთა საბჭო უარზე იყო, დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა. პირველი, რაც მათ კითხვებს უჩენდა, რამ გამოიწვია ასე ერთმნიშვნელოვნად გადადგომის მოთხოვნა. ასევე კითხვებს აჩენდა ის ფაქტიც, როგორი იქნებოდა მდგომარეობა მდინარე იანგწის სამხრეთით, მათი გადადგომის შემდგომ. საბოლოოდ ქანგსიმ სამივე ფეოდალის სურვილი დააკმაყოფილა.

1673 წელს უ სანკუიმ შეწყვიტა ცინგის დინასტიასთან კავშირი და გამოცხადა ჭოუს დინასტიის დაარსება მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. უ სანკუიმ წამოიწყო „მინგის აღდგენისა“ და ცინგთან დაპირისპირების პოლიტიკა. ფაქტია, რომ უ სანკუეი აპირებდა ამ დინასტიის აღდგენას, რომელსაც თავად გამოაცალა საყრდენი რამდენჯერმე. პირველად, როცა მანჯურიელებს დიდი კედლის კარი გაუღო 1644 წელს, ხოლო შემდეგ წლების განმავლობაში ებრძოდა და დევნიდა მინგის შთამომავლებს, მათ შორის ბირმაშიც კი. უ სანკუეის პარალელურად აჯანყდა დანარჩენი ორი საფეოდალოც, შანგ ჭისინისა და კენგ ძინგჭუნგის მეთაურობით. აჯანყებულებს შეუერთდა კუნძულ თაივანიდან კოსინგას მიერ დაარსებული სამეფოს საზღვაო ფლოტი და მათ დესანტი გადმოსხეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში. ფაქტობრივად მდინარე იანგწის სამხრეთ ნაწილი პეკინის კონტროლს გარეთ იყო და მათი დროშების ქვეშ ასობით ათასი მეომარი იდგა. უ სანკუეის დაახლოებით ორასი ათასამდე მეომარი, ხოლო დანარჩენ ორ ფეოდალს ასი ათასი ჯარისკაც ჰყავდა. საფრთხის მასშტაბიდან გამომდინარე, მანჯურიელებმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადეს. გაწვეული იყო რვავე მანჯურიული სადროშო და მონღოლური სადროშოებიც. ამასთან ერთად, საბრძოლო მდგომარეობაში იყო ე.წ. ლუინგპინგი ანუ „მწვანე არმია“, რომელიც მინგის დინასტიის დროს შეიქმნა. ეს უმთავრესი ჯარისო ნაწილები სრულად იყო დაკომპლექტებული ეთნიკური ჩინელებით. ბრძოლების პირველ ეტაპზე, 1673-1674 წლებში, მანჯურიელთა გენერლებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს უ სანკუეის პირისპირ. მანჯურიული სადროშოებისგან განსხვავებით, შედარებით წარმატებას მიაღწიეს ჩინურმა დანაყოფებმა.

უ სანკუეის სამხედრო წარმატებებმა თავდაჯერებულობა შეჰმატა და ის უფრო და უფრო შედიოდა ცენტრალური ჩინეთის სიღ-

რმეში. ხუნანის პროვინციაში მან გამოაცხადა ახალი დიდი ჭოუს დინასტიის დაარსება „大周" – ტა ჭოუ, ხოლო თავი იმპერატორად გამოაცხადა, თუმცა სულ რამდენიმე თვე მოასწრო იმპერატორის რანგში ეგრძნო თავი. 1678 წლის აგვისტოში ხანში შესული უ სანკუეი გარდაიცვალა და მისი მემკვიდრეობა შვილმა, უ შიფანმა გადაიბარა.

უ შიფანი კარგად აცნობიერებდა რომ ჩინეთის სიღრმეში ყოფნა სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ სახიფათო იყო. უ სანკუეის ჯარებმა დაიწყეს ნელ-ნელა უკან დახევა. 1680 წლისთვის უ შიფანის ძალებმა უკან დახევა დაიწყეს და ცინგის სადროშოებმა კონტროლი დაამყარეს სჩუანის და ხუნანის პროვინციებზე. ერთი წლის შემდეგ ცინგის ძალები გაართიანა გენერალმა ჭაო ლიანგტუნგმა და სამ ნაკადადად დაიწყეს იუნნანის პროვინციის დაკავება. უ შიფენი ყოველდღიურად თმობდა პოზიციებს და 1681 წლის დეკემბერში მანდ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. იუნნანის პროვინციაშიც აღდგა ცინგის ძალაუფლება.

უ სანკუეის მემკვიდრეობა განადგურებული იყო. დანარჩენ ორ ფეოდალთან ბრძოლა შედარებით მარტივი აღმოჩნდა. სამხრეთ-დასავლეთის დაკავების შემდეგ ჩინელები და მანჯურიელები სამხრეთ აღმოსავლეთს მიადგნენ და სათითაოდ დაიკავეს ქალაქები და სიმაგრეები. ის ფაქტი, რომ წარმატებით დაწყებული აჯანყება ასე დასრულდა, სავარაუდოდ ფეოდალებს შორის სათანადო კავშირის არარსებობის ბრალი იყო, რამაც ისინი დაქსაქსა და უფრო მარტივი გახადა მათთან ბრძოლა. სიამენის პროვინციაში თავდაპირველად მარცხი განიცადა თაივანიდან გადმოსულმა კოსინგას შთამომავლებმა, რომლებმაც მალე კუნძულიც კი დაკარგეს. ერთი შეხედვით ცინგის დინასტიისთვის ყველაზე საშიში გამოწვევა მათთვის ყველაზე დიდ წარმატებად გადაიქცა, რადგან სამი ფეოდალის აჯანყების შემდეგ არა მხოლოდ მთლიანი მატერიკული ჩინეთი დაიმორჩილეს მანჯურიელებმა, არამედ თაივანიც დაუქვემდებარეს საიმპერატორო ტახტს. უ სანკუეის შვილის ბედი ენია მეორე ფეოდალს, შანგ წისინსაც, რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, ხოლო მესამე ფეოდალი კენგ ჭინგჭუნგი კი სიკვდილით დასაჯეს. ასე ტრაგიკულად დასრულდა სამი უძლიერესი ფეოდალის აჯანყება ცინგის დინასტიის წინააღმდეგ. მათგან ყველაზე უცნაურად უ სანკუეის

ბედი წარიმართა: მინგის უძლიერესი გენერალი, რომელმაც ფაქტობრივად მანჯურიელები პეკინში შეიყვანა, შემდეგ მინგის შთამომავლების ამოწყვეტაში ლომის წილილი შეიტანა, ბოლოს მანჯურიელებს დაუპირისპირდა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მონღოლთა აჯანყებები და პირველი კონტაქტები რუსეთის იმპერიასთან. შიდა მონღოლეთის სტეპებში მცხოვრები მონღოლური ტომის, ჩაჰარის, ლიდერები თავიდანვე ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში იყვნენ მანჯურიელებთან. ისინი თავს ჩინგიზ ყაენის შთამომავლად მიიჩნევდნენ და ამიტომ თავს სხვა მონღოლურ ტომებზე მაღლა აყენებდნენ და არ აპირებდნენ, დამორჩილებოდნენ მანჯურიელებს. როდესაც მათი ლიდერი ლიგდან ყაენი ყვავილის დაავადებით გარდაიცვალა, მანჯურიული სადროშოები ნელ-ნელა შევიდნენ შიდა მონღოლეთის ტერიტორიაზე და დაიკავეს მათი საძოვრები. ლიგდან ხანის შვილი, აბუნაი მანჯურიელებმა შიდა პატიმრობაში განამწესეს, თუმცა 1675 წელს მან გამოიყენა სამხრეთში აჯანყებები და უერთგულესი ხალხის გამოყენებით დახოცა მანჯურიელი მცველები და რამდენიმე ათასი მეომრით დაიწყო მანჯურიელებზე თავდასხმა შიდა მონღოლეთის ტერიტორიაზე. 2 თვეში აბუნაის აჯანყება ნეიტრალიზირებული იყო, და ტომის ყველა მამაკაცი წევრი ფაქტობრივად ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო ქალები ხარჭებად წაიყვანეს მანჯურიელებმა.

1783 წლისთვის სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ჩინეთში ფაქტობრივად ყველანაირი წინააღმდეგობა შეწყვეტილი იყო. თაივანიც კი, რომელიც ყოველთვის იყო მეკობრეების, კონტრაბანდისტებისა და არალეგალების თავშესაფარი, უკვე პროვინციად შევიდა ცინგის დინასტიის შემადგენლობაში. თუმცა ახალი გამოწვევა იმპერიისთვის ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მოდიოდა. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს რუსებმა დაიწყეს გაფართოება აღმოსავლეთ ციმბირისკენ და შექმნეს ახალშენები. ქანგსი თავიდანვე უკმაყოფილებით შეხვდა ევროპული იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრებთან გამოჩენას, რადგან ჩინელებს უკვე ჰქონდათ არასასიამოვნო გამოცდილება სამხრეთში პორტუგალიელებთან და ჰოლანდიელებთან ურთიერთობისა. რუსები გაცილებით ფრთხილნი და დიპლომატიურნი იყვნენ ჩინელებთან, ვიდრე დასავლეთ ევროპელი ვაჭრები და კოლონისტები. მათ ელჩები გამოაგზავნეს პეკინში და ითხოვეს, რომ

პეკინში შემოეშვათ რუსების სავაჭრო ქარავნები. რუსების თხოვნაზე ქანგსიმ უარი განაცხადა, თუმცა იძულებული იყო სამხედრო ოპერაციებისგან თავი შეეკავებინა, რადგან სამხრეთში არ იყო სრული მშვიდობა. მანჯურიელებს აშფოთებდათ რუსების გავლენის ზრდა ჩრდილოეთ საზღვრებთან. ამასთან ერთად, პრობლემას ქმნიდა რუსებისა და აღმოსავლეთ ციმბირში მომთაბარე ტომების ეკონომიკური თანამშრომლობა, რომელიც შეიძლება პრობლემა გამხდარიყო პეკინის ჩრდილოეთით გაფართოებისთვის. მას შემდეგ, რაც ქანგსიმ სამხრეთ ჩინეთში მოაწესრიგა მდგომარეობა, აქტიურად გადაერთო ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებზე. კერძოდ, 1685 წელს, მან ჩრდილოეთში, მდინარე ამურისპირეთში სამხედრო ექსპედიცია გაგზავნა და დაიკავეს მცირე კოლონია ალბაზინი, დახოცეს იქ მყოფი რუსები, მთლიანად გადაწვეს სახლები და გაუნადგურეს სანოვაგე. ერთი წლის შემდეგ კიდევ გაიგზავნა სამხედრო ექსპედიცია ჩრდილოეთში რუსებისა და მათი მოკავშირე ტომების წინააღმდეგ. რუსებმა დახმარებისთვის ჩინეთში მყოფ იეზუიტებს მიმართეს, რომ შუამდგომლობა გაეწიათ იმპერატორთან და შეწყვეტილიყო სამხედრო მოქმედებები. იეზუიტების შუამდგომლობამ მართლა გაჭრა და 1689 წელს დაიწყო მოლაპარაკებები საზღვრების დემარკაციისთვის. კერძოდ, საზღვრები გავიდა მდინარე არგუნთან. გადამწვარი ალბაზინი ისევ რუსებმა დაიკავეს და რეკონსტრუქცია დაიწყეს. 1689 წელს გაფორმებული ზავისა და დემარკაციის შესახებ ხელშეკრულება *ნერჩინსკის ზავის* სახელითაა ცნობილი. ამ ნაბიჯით ქანგსიმ ხაზი გაუსვა მათ ურთიერთობებს რუსებთან და ის თავიდანვე გამოაცალკევეა ევროპელებისგან, თუმცა შემდგომში ასწლიან „ჩაგვრის საუკუნეში“ რუსებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას. ზავის ერთ-ერთი მიზეზი იყო ჯუნგარების სახანოს გაძლიერება იმპერიის დასავლეთით. პეკინში შიშობდნენ, რომ რუსებსა და ჯუნგარებს შორის არსებული კარგი ურთიერთობები შეიძლება გადაზრდილიყო მათ წინააღმდეგ ალიანსში და ასეთ ვითარებაში დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან სახელმწიფო დაუცველი იქნებოდა, ხოლო სამხრეთში ნებისმიერ დროს შეიძლებოდა ჩინელების აჯანყება დაწყებულიყო. ნარჩინკის ზავით ხანგრძლივი მშვიდობა გაინაღდეს რუსებმაც და მანჯურიელებმაც.

ომი ცინგის იმპერიასა და ჯუნგარების სახანოს შორის. იმპერატორი ქანგსი სავსებით სწორად მიიჩნევა ჩინეთის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ და ძლიერ მმართველად. მის პერიოდში ქვეყანამ გამოიარა შიდა აჯანყებები, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები და წარმატებით დაასრულა მრავალწლიანი ომები ჯუნგარების სახანოს წინააღმდეგ.

მეჩვიდმეტე საუკუნეში მანჯურიელების აღმასავლის პარალელურად ცენტრალური აზიის აღმოსავლეთ ნაწილში გაძლიერდნენ ჯუნგარი ტომები. მათი კონტროლის ქვეშ მოექცა სრულიად სინძიანგი, ტიბეტის ნაწილი და ასევე ცენტრალური აზიისა და დღევანდელი მონღოლეთის გარკვეული ნაწილებიც. ჩინგიზ ყაენის შემდეგ ფაქტობრივად ჯუნგართა სახანო იყო ყველაზე დიდი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც კი მომთაბარე აზიელებს შეუქმნიათ შორეულ აღმოსავლეთში.

ომის პირველი ეტაპი: 1687-1697 წლები. ჯუნგარების ტერიტორიული გაფართოება მეჩვიდმეტე საუკუნის 80-იან წლებში აღმოსავლეთისკენ, თანამედროვე მონღოლეთისა და რუსეთის ტერიტორიის სტეპებისკენ იყო მიმართული. მომთაბარე მონღოლურ ტომებში ჯუნგარებს მოკავშირეებიც ჰყავდათ და მოწინააღმდეგეებიც. დღევანდელი ულან-ბატორის მიმდებარედ ცხოვრობდნენ მონღოლური ხალხას ტომები. პირველი შეტაკება მათთან მოუწიათ ჯუნგარებს და ფაქტობრივად ხალხას ტომები ფიზიკური განადგურების წინაშე დააყენეს. ხალხას ტომებს ორი გამოსავალი ჰქონდათ: წასულიყვნენ უფრო ჩრდილოეთით ან სამხრეთით, ჩინეთისკენ. მათი მიგრანტების ნაკადები ჩინეთისკენ დაიძრა და დახმარება სთხოვეს ცინგის დინასტიას, ხოლო სანაცვლოდ უზენაესობის აღიარებას ჰპირდებოდნენ. მანჯურიელებმაც გამოიყენეს ეს შესაძლებლობა და დაიწყეს სამხედრო მოქმედებები ჯუნგარების წინააღმდეგ. პირველ სამხედრო ექსპედიციას სახანოს წინააღმდეგ მანჯურიელი პრინცი ფუციუენი მეთაურეობდა. ცინგის ჯარებმა მოულოდნელობის ეფექტის შესაქმნელად გობის უდაბნოს გადაკვეთა განიზრახეს, რათა მოევლოთ დასავლეთით მონღოლეთში დაბანაკებული ჯარებისთვის. მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა და მკაცრმა უდაბნომ მრავალი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა. გალდან ხანის ჯუნგარები მომზადებულნი იყვნენ ბრძოლისთვის, მათ შორის შეიარაღე-

ბულნი იყვნენ აქლემებზე დამაგრებული მცირეკალიბრიანი ქვემეხებით. ცინგის ჯარებმა მცირედი წარმატება მოიპოვეს იმით, რომ გალდანმა პოზიციური უკანდახევა გამოაცხადა და ჩრდილოეთით, ჯაო მოდოსკენ დაიძრა. პრინცმა ფუ ციუენმა დაიცადა დამატებით ძალების მოსვლამდე და იმ ტერიტორიების გაკონტროლება დაიწყო, რომლებიც ჯუნგარებმა მიატოვეს. 1690 წელს პირველი შეტაკება მოხდა ულან ბუთუნგთან ჩრდილოეთ ჩინეთში, რომელშიც მანჯურიელებმა გაიმარჯვეს, თუმცა დიდი დანაკარგის ფასად. იმავე წელს დღევანდელი მონღოლეთის ტერიტორიაზე ოლოპოის ველზე გაიმართა კიდევ ერთი ბრძოლა მანჯურიელებსა და ჯუნგარებს შორის, რომელსაც უშუალოდ გალდან ხანი მეთაურობდა. მიუხედავად იმისა, რომ მანჯურიელებისა და ჯუნგარების რაოდენობის შეფარდება 2:1 იყო, გალდანის მოულოდნელმა თავდასხმამ და აქლემებზე დამაგრებული ქვემეხების გამოყენებამ მანჯურიელების დამარცხება გამოიწვია. მდგომარეობა მძიმდებოდა და ქანგსიმაც დაიწყო საბოლოო დარტყმისთვის მზადება.

1691 წელს ხალხას მონღოლურმა ტომმა ოფიციალურად მიიღო ცინგის დინასტიის ვასალობა და ცნო ქანგსის უზენაესობა. ამას გარდა, ხალხი დააგზავნეს მონღოლურ ტომებში და მოუწოდეს სხვა კლანებსაც ჯუნგარების წინააღმდეგ ებრძოლათ. ქანგსიმ ხალხას ტომების აღიარება გამოიყენა როგორც საბაბი მონღოლეთის სიღრმეში ახალი და მასშტაბური სამხედრო ექსპედიციისთის. 1696 წელს გამოაცხადა მზადება ახალი სამხედრო ექსპედიციისთვის ჯუნგარების წინააღმდეგ. პეკინში დაიწყო სამხედრო ექსპედიციის მოსამზადებელი სამუშაოები. სპეციალურად დაამზადეს ეტლები და ოთხთვალები საარტილერიო დანადგარებისა და დენთის გადასატანად. იმპერატორის ბრძანებით, თავი მოუყარეს 100 ათასამდე მებრძოლს. ქანგსიმ ისინი სამ ნაწილად გაყო. ერთ-ერთ, 32 ათასიან ნაწილს უშუალოდ ჩაუდგა სათავეში და მანჯურიულ-ჩინური ექსპედიცია სამი მხრიდან დაიძრა ჯუნგარების წინააღმდეგ. მანჯურიელებმა გამოიყენეს ჯუნგარების პრაქტიკა და მცირე ზომის ქვემეხები ცხენებიან ოთხთვალებზე შედგეს, ასევე აქლემებზეც დაამაგრეს შედარებით მცირეკალიბრიანი საარტილერიო დანადგარები. სამ ნაკადად მოძრავი იმპერიული სამხედრო კოლონა დღევანდელი მონღოლეთის ტერიტო-

რიაზე ჯაო მოდოსთან გაერთიანდა და იქ გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა ჯუნგარების წინააღმდეგ.

ჯაო მოდოს ბრძოლა მანჯურიელ-ჩინელებსა და ჯუნგარებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა დღევანდელი ულან ბატორიდან 60 კმ-ის დაშორებით, მდინარე თერეჯის ნაპირზე. ქანგსის ძალები სამი სარდლით სამ ნაწილად იყო გაყოფილი. მანჯურიელები შესანიშნავ ფორმაში იყვნენ. მათ განკარგულებაში იყო როგორც ბრძოლისუნარიანი საკავალერიო ნაწილები, ასევე ჩინური მწვანე სტანდარტული არმია. ამასთან ერთად ცალკეული ნაწილები შეიარაღებულნი იყვნენ ცეცხლსასროლი იარაღითა და ქვემეხებით.

ქანგსის, გალდანისგან განსხვავებით, ჰქონდა ტაქტიკური უპირატესობა. მას შეეძლო გრძელ ხაზზე გაეშალა ბრძოლები. მისმა გენერლებმა დაიკავეს პოზიციები, მათ შორის მახლობელ გორაკებზე. განალაგეს არტილერია, რითაც სერიოზული უპირატესობა მოიპოვეს. კერძოდ, ალყაში მოქცეულმა გალდანმა ბრძოლის ველიდან გაქცევა და ალყის გარღვევა მოინდომა, თუმცა გორაკებიდან ჩინურმა არტილერიამ მას დიდი ზიანი მიაყენა. ცინგის არტილერიას შეეწირა მისი მეულღე და უახლოესი ნათესავები. გალდანმა მაინც მოახერხა 40-50 მეომრით ალყის გარღვევა და ალთაის მთებს შეაფარა თავი. ალთაის მთებში დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 1697 წლის 4 აპრილს გარდაიცვალა. ქანგსის მიერ პირადი ხელმძღანელობით მოპოვებული გამარჯვება ჯაო მოდოს ბრძოლაში გახდა ერთ-ერთი საკვანძო მოვლენა მის ცხოვრებაში. მის მიმართ აღტაცებასა და მადლიერებას გამოხატავდნენ როგორც მანჯურიელები და მონღოლები, ასევე ჩინელებიც. ჯაო მოდოდან იმპერატორმა პეკინში წერილი გამოგზავნა: „მიწა და წყალი დაცულია, მე მოვიხადე ჩემი ვალი წინაპრების წინაშე, ახლა შეგვიძლია მშვიდად ვიცხოვროთ.“ მართლაც, ჯაო მოდოს შემდეგ მანჯურიელები უკვე იქეთ გადავიდნენ კონტრშეტევით ჯუნგარების წინააღმდეგ და დაიწყო ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გაფართოება დასავლეთისკენ.

ჯაო მოდოს ბრძოლით წერტილი დაესვა ჯუნგარების აღმოსავლეთით გაფართოებას, თუმცა არ დასრულებულა ომი. ცინგის დინასტიასა და ჯუნაგრებს შორის ომი კიდევ დაახლოებით 50 წელი გაგრძელდა, უკვე ტიბეტსა და სინძიანგზე გავლენის მოპოვებისთვის

და მასში ჩართული იყო ქანგსის შვილი იუნგჭენგი და შვილიშვილი – ციენლუნგი.

დამარცხებულმა ჯუნგარებმა საბოლოოდ ხელი აიღეს აღმოსავლეთ აზიაზე, დაბრუნდნენ სინძიანგში და იქ შეეცადნენ ძალაუფლების კონსოლიდაციას. 1717 წელს გალდანის ძმისშვილმა, ცევანგმა ჯარები დაძრა ტიბეტისკენ. ჯუნგარები ტიბეტური ბუდიზმის მიმდევრები იყვნენ და აქტიურ შეხებაში იყვნენ ტიბეტურ პოლიტიკასთან, მეტიც, გალდანი დალაი ლამას კარზე იზრდებოდა წლების განმავლობაში. ცევანგის ჯარებმა დაიკავეს ლჰასა და ტახტიდან ჩამოაგდეს დალაი ლამა. მანჯურიელებს იმპერიას ხუანგ თაიძის დროიდან გამოცხადებული ჰქონდა, რომ იყო ტიბეტური ბუდიზმის მიმდევარი. ცინგის დინასტიაში შემავალი მანჯურიული სადროშოებიც ტიბეტური ბუდიზმის მიმდევარნი იყვნენ. ქანგსიმ გამოიყენა ჯუნგარების ლჰასაში შეჭრა და 1720 წელს წამოიწყო ექსპედიცია დასავლეთის მიმართულებით. ტიბეტში ჩინური ჯარები რამდენიმე მიმართულებით შევიდნენ. მათთან მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ადგილობრივი ტიბეტელების ნაწილი. 1720 წლისთვის ლჰასადან და ტიბეტიდან ჯუნგარები საბოლოოდ განდევნეს და უკვე ოფიციალურად დაექვემდებარა ტიბეტი პეკინსა და ცინგის დინასტიას 1720 წლიდან.

ქრისტიანობა ქანგსის ჩინეთში. ქანგსის მამის დროიდან მოყოლებული ჩინეთში კათოლიკე მისიონერები საკმაოდ თავისუფლად ასრულებდნენ თავიანთ მისიას. გარდა რელიგიური საქმიანობისა, ისინი ასევე აქტიურად ეხმარებოდნენ ჩინელებსა და მანჯურიელებს მეცნიერებასა და სამხედრო საქმეში. კერძოდ, მისიონერების დახმარებით იქმნებოდა და ფუნქციონირებდა საარტილერიო და ასტროლოგიური სკოლები (სურ. 173). ქანგსის მმართველობის პირველ ეტაპზეც მათ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ. იეზუიტმა მისიონერებმა, რომლებიც უკვე წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ ჩინეთში, მეტყველებდნენ მანდარინზე, კა-



სურ. 173 ადამ ვონ შან ბელი-გერმანელი მისიონერი (პეკინის ობსერვატორიის ხელმძღვანელი)

რგად გაიაზრეს, თუ რამდენად გამჯდარიყო იყო ჩინურ საზოგადოებაში ტრადიციული კონფუციური და ბუდისტური ფილოსოფიები. მათი მსოფლაღქმა აბსოლუტურად განსხვავდებოდა დასავლური რელიგიებისგან. აღმოსავლური რელიგიური ფილოსოფიები, მათ შორის ბუდიზმიც, კონფუციზმიცა და ტაოიზმიც არსით განსხვავდება აბრეამისეული რელიგიისგან, რომელშიც არსებობს ყოვლისშემძლე ღმერთი და მის მიერ შექმნილი სამყარო. აქედან გამომდინარე, ჩინელებს უჭირდათ დასავლური რელიგიების, მათ შორის ქრისტიანობისა და ისლამიც არსის გაგება. იეზუიტებმა სცადეს გამოსავლის მოძებნა და შეეცადნენ მათთვის გასაგებ ენაზე აეხსნათ ქრისტიანობა. კერძოდ, კათოლიციზმზე მონათლული ჩინელები ისევ ესწრებოდნენ კონფუციურ და ბუდისტურ რიტუალებს და იეზუიტები ამას არ ეწინააღმდეგებოდნენ. ფაქტობრივად იქმნებოდა უცნაური რელიგიური დენომინაცია დასავლეთ რომის წიაღში, როდესაც ადამიანი ერთდროულად წმინდა სამებასა და ქრისტეს აღიარებდა და ამასთან ერთად მონაწილეობას იღებდა ტრადიციულ აღმოსავლურ რელიგიურ რიტუალებშიც. ასეთი სინთეზი სავსებით მისაღები და საინტერესო აღმოჩნდა ჩინელებისთვის. იეზუიტების მუშაობა ჩინეთში სულ უფრო აქტიურდებოდა (სურ. 174). ქანგსი მადლიერი იყო მათი დახმარების სამეცნიერო და სამხედრო საქმეში და თავისუფალი საქმიანობის უფლებას აძლევდა. მეტიც, იეზუიტებმა მოითხოვეს აბსოლუტური თანასწორობა და თავისუფლება ჩინელი ქრისტიანების მსგავსად, რაზეც იმპერატორი სიამოვნებით დათანხმდა და 1692 წლეს გამოსცა ტოლერანტობის ედიქტი. ტოლერანტობის ედიქტის შემდეგ იეზუიტების გავლენა და სიახლოვე ჩინურ და მანჯურიულ პოლიტიკურ ელიტასთან კიდევ უფრო გაიზარდა, თუმცა მათი მდგომარეობა ცოტა ხნის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. კერძოდ, იმ ხანად აზიაში საქმიანობას ეწეოდა დომინიკელთა ორდენიც, რომლებიც ქრისტიანობისა და აზიური რელიგიური მოძღვრებების სინთეზმა ძალიან გააღიზიანა. დანამდვილებით რთულია იმის



სურ. 174 იეზუიტი ბერები და ობსერვატორია

თქმა, მათი დაპირისპირება იეზუიტებთან უშუალოდ კანონიკურ თემებზე დაწყო, თუ ისინი იეზუიტების გავლენას დაუპირისპირდნენ იმპერატორის კარზე, მაგრამ ფაქტია, რომ დომინიკელთა ორდენმა რომში უჩივლა იეზუიტებს და ისინი მრწამსის ღალატში დაადანაშაულა. რომის პაპმა კლიმენტი მეთერთმეტემ რომიდან საგანგებოდ გაგზავნა სპეციალური საგამოძიებო კომისია პეკინში, რათა გაერკვია, რა ხდებოდა ჩინეთის ქრისტიანულ თემში. კომისიას ხელმძღვანელობდა ჩარლზ თომას მაინლარდ დე ტერნერი. რომიდან გაგზავნილმა კომისიამ დომინიკელთა ორდენის მხარე დაიჭირა და ჩინელი ქრისტიანების მონაწილეობა კონფუციურ და ბუდისტურ რიტუალებში დაგმო. კომისიის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, რომის პაპმა 1715 წელს გამოსცა ბულა, რომლითაც გმობდა ნებისმიერი კათოლიკე მორწმუნის რაიმე ტიპით მონაწილეობას აღმოსავლურ რიტუალებში. იეზუიტები ცდილობდნენ, რომ არსებული სტატუს კვო შეენარჩუნებინათ, თუმცა უკვე დაპირისპირება გაღრმავებული იყო. პაპის ბულის საპასუხოდ საიმპერატორო კარმა აკრძალა ქრისტიანული მისიები ჩინეთში და ამას შემდეგ მათი მდგომარეობა საგრძნობლად დამძიმდა. თუ მანამდე ქრისტიანებს ჰქონდათ თავისუფლად წირვისა და სხვა აქტივობების ჩატარების უფლება, ახლა უკვე მათ მთელი რიგი შეზღუდვები დაუწესდათ. თუმცა ქრისტიანული მისიონერები მაინც რჩებოდნენ ჩინეთის ტერიტორიაზე და ახორციელებდნენ სხვადასხვა საქმიანობას, მათ შორის, მჭიდროდ თანამშრომლობდნენ შემდგომში ჩინეთის სხვადასხვა ნაწილებში მყოფ ევროპელ კოლონიზატორებთან.

ქანგსი და ჩინელები. სამხედრო წარმატებებთან ერთად იმპერატორ ქანგსის მმართველობა კონფუციუსტ ჩინელ მეცნიერებთან საინტერესო ურთიერთობით არის გამორჩეული. მიუხედავად იმისა, რომ 1644 წელს მანჯურიელებმა დაიპყრეს ჩინეთი და ჩინელი მოსახლეობა მათ სამხედრო ძალით ვერ უპირისპირდებოდა, ჩინელი არისტოკრატიისთვის ისინი მაინც ბარბაროსებად რჩებოდნენ. განსაკუთრებული წინააღმდეგობა შეხვდათ სამხრეთ ჩინეთის ინტელექტუალურ ელიტასთან. იმპერატორი, ჩინური წყაროების მიხედვით, ძალიან განათლებული პიროვნება იყო. კერძოდ, ჯუნგარებთან ომის დროს ის უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამხედრო ექსპედიციას და ექსპედიციის მიმდინარეობისას თან ახლდნენ ჩინელი სწავლულები,

რომლებთანაც განიხილავდა სამხედრო და ისტორიულ ფილოსოფიას. ჯუნგარების დამარცხების შემდგომ ქვეყანაში ხანგრძლივი მშვიდობა დამკვიდრდა, რამაც იმპერატორის პოპულარობა ძალიან გაზარდა სრულიად ჩინეთში. ქანგსი კარგად ხვდებოდა ომების დროს მანჯურიელთა სამხედრო ელიტის მხარდაჭერის მნიშვნელობას, თუმცა იმპერიის მართვისთვის აუცილებელი იყო ჩინური გამოცდილების, ჩინელი ბიუროკრატებისა და სწავლულების გამოყენება. პირველი, რაც იმპერატორმა გააკეთა ამ მხრივ, 1670 წელს გამოსცა ედიქტი, რომელიც კონფუციურ სწავლებაზე დაფუძნებული 16 პრინციპისგან შედგებოდა. ედიქტი გავრცელდა მთელ ჩინეთში. იგი გააკრეს ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ხოლო მათთვის ვინც წერა-კითხვა არ იცოდა, ეწყობოდა საჯარო განხილვები და ადგილობრივი მოხელეები კითხულობდნენ იმპერატორის ედიქტს მოედნებზე. თექვსმეტივე პრინციპი ძირითადად მშვიდობიანი თანაცხოვრების, კანონმორჩილებისა და ჰარმონიული საზოგადოების იდეების პროპაგანდა იყო. იმპერატორის პირადი ბრძანებით, დაფინანსდა და დაიწყო მინგის დინასტიის ისტორიის კვლევა და მომზადდა ერთიანი გამოცემა. ამ ფაქტმა ძალიან გაახარა ჩინელი ინტელექტუალური ელიტა. ამასთან ერთად, მომზადდა ე.წ. ქანგსის ლექსიკონი, რომელიც ფაქტობრივად იყო ენციკლოპედიის დონის ნამუშევარი და მოიცავდა ჩინური ანდაზებისა და შეგონებების განმარტებებს. მანჯურიელები ასევე ცდილობდნენ, ყოველ სამ წელში ერთხელ ჩაეტარებინათ სახელმწიფო გამოცდები, რათა უზარმაზარ იმპერიას, რომელიც საგრძნობლად გაფართოვდა ქანგსის მმართველობისას, არ შექმნოდა სახელმწიფო ბიუროკრატების პრობლემა. თავდაპირველად ჩინელი სწავლულები უარს აცხადებდნენ გამოცდებში მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქანგსიმ ზემოთ ხსენებული რეფორმები გაატარა და მშვიდობა დაამყარა ქვეყანაში, ნელ-ნელა მისი პოპულარობა გაიზარდა ეთნიკურ ჩინელებშიც. იმ პერიოდში სამხრეთ ჩინეთში ბევრი ინტელექტუალი ცხოვრობდა, თუმცა მათგან გამორჩეულნი იყვნენ:

ვანგ ფუჭი – თავდაპირველად მსახურობდა სამხრეთ მინგის დინასტიის კარზე. ეკუთვნის უმნიშნელოვანესი ცნობები სამხრეთ მინგის დინასტიასა და ასევე დევნილ პრინც ცუეიზე. მის ნაშრომ-



სურ. 175 ვანგ ფუჭი



სურ. 176 ხუანგ წუნგსი



სურ. 177 კუ იენ-უ

ში, რომელიც დევნილ დინასტიას ეხებოდა, აკრიტიკებდა, უუანრობასა და არასწორ მოქმედებებში სდებდა ბრალს (სურ. 175).

ხუანგ წუნგსი – ჩინელი ინტელექტუალი, რომელიც აქტიურად იბრძოდა მანჯურიელების წინააღმდეგ და მხარს უჭერდა მათ წინააღმდეგ აჯანყებებს. მას ეკუთნის საისტორიო ცნობები მინგის დინასტიის ბოლო მმართველებზე. ის აკრიტიკებდა ცენტრალურ მმართველობას და გამოდიოდა ინიციატივით, რომ პროვინციებს გაცილებით მეტი უფლება ჰქონოდათ მართვის მხრივ (სურ. 176).

კუ იენ-უ – ძიანგსუელი სწავლული და ენციკლოპედიური განათლების მქონე პიროვნება, რომელიც მოგზაურობდა მთელ ჩინეთში და ადგილზე იკვლევდა ქვეყნის ეკონომიკას, სოციალურ ურთიერთობებსა და პოლიტიკას. მას პირადად იმპერატორმა ქანგსიმ შესთავაზა, მონაწილეობა მიეღო მინგის დინასტიის ისტორიის შექმნაში, თუმცა უარი განაცხადა და დამოუკიდებლად გააგრძელა საქმიანობა (სურ. 177).

მემკვიდრის არჩევა და მისი თანმდევი პროცესები. გაითვალისწინა რა პირადი და მამის გამოცდილება რეგენტებთან დაკავშირებით, ქანგსიმ გადაწყვიტა, თავიდანვე გარკვეული ყოფილიყო ვინ იქნებოდა ტახტის შემდეგი მემკვიდრე და უშუალოდ აღეზარდა ის მმართველად. მან საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში, 1674 წელს პრინცი ინ ჟენგი დაასახელა მომავალ იმპერატორად და უშუალოდ დაიწყო მისი აღზრდა. თავდაპირველად ინ ჟენგი ჩვეულებრივი ხასიათის ახალგაზრდა ჩანდა და იმპერატორიც ბედნიერი იყო მისი ვაჟის მონდომებით სწავლისა და მმართველო-

ბის მიმართ, თუმცა საკმაოდ მოხშირდა ხმები პრინც ინ ჟენგის არასათანადო ქცევის შესახებ. კერძოდ, იმპერატორს მისი მხლებლები ხშირად აწვდიდნენ ინფორმაციას ინ ჟენგის სისასტიკის შესახებ, რომელსაც ის იჩენდა მსახურებისა და ნებისმიერი ადამიანის მიმართ, ვინც თვალში არ მოუვიდოდა. ქანგსიმ საბოლოოდ ახალი პრინცი გამოაცხადა მის მემკვიდრედ.

მანჯურიელთა დინასტიაში იმპერატორ ქანგსის 61 წლიანმა მმართველობამ წარუშლელი კვალი დატოვა, მისი ზეობის დროს ჩინეთი არნახულად გაფართოვდა ფაქტობრივად ყველა მიმართულებით. მოისპო სეპარატისტული რეჟიმები სამხრეთ ჩინეთში, კუნძული თაივანი შევიდა დინასტიის ოფიციალურ იურისდიქციაში. ტიბეტის სამეფო 1720 წლიდან ასევე გახდა ცინგის დინასტიის ნაწილი. ქანგსიმ მოახერხა ჩაეხშო სამი უძლიერესი ფეოდალის აჯანყება და დაემარცხებინა ჯუნგართა სახანო, რომელიც გახდა ჩინეთისთვის უზარმაზარი მიწის, სახელად სინძიანგის, კონტროლის დასაბამი. ქვეყანაში დამყარდა მშვიდობა და ეკონომიკამ სტაბილურად დაიწყო განვითარება. ზემოთ ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე, იმპერატორი ქანგსი ჩინეთის ხანგრძლივ ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მმართველად არის მიჩნეული.

იუნგჭენგის მმართველობა

ქანგსის იმპერატორობის შემდეგ ტახტზე უკვე მისი ვაჟი იუნგჭენგი ავიდა, რომელიც იმპერატორის ფავორიტი შვილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ის თავდაპირველად არ ითვლებოდა ტახტის პრეტენდენტად, რადგან რიგითობით მამის მეთერთმეტე შვილი გახდლათ, მისი ძმის ინ ჟენგის მოქმედებების გამო, დაასახელეს საიმპერატორო ტახტის მემკვიდრედ. იმპერატორ ქანგსის შვილების აღზრდის განსაკუთრებული სტილი ჰქონდა. ის ჩინელი წინამორბედებისგან განსხვავებით, სასახლეებსა და ფუფუნებაში არ ზრდიდა მათ, ბავშვობიდან აჩვევდა საბრძოლო საქმეა და ხშირად გზავნიდა ამა თუ იმ პროვინციაში სამოგზაუროდ. მეტიც, იუნგჭენგი მეთაურობდა ერთ-ერთ სადროშოს „ჯაო მოდოს"[1] ბრძოლაში 1689 წელს,

[1] ჯაო მოდო – ისტორიული ქალაქი დღევანდელი მონღოლეთის ტერიტორიაზე, სადაც გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა ცინგის დინასტიასა და ჯუნგარებს შორის.

როცა ცინგის ჯარებმა საბოლოოდ დაამარცხეს ჯუნგარები გალდანის მეთაურობით და დასავლეთით მათი გაფართოებაც დაიწყო. ენერგიული პრინცი მალევე გამოარჩია მამამ და ბრძოლიდან 9 წელიწადში, 1698 წელს, ის აქცია "ძიუნ ვანგის" ანუ მეორე რანგის პრინცად, ხოლო 1709 წელს უკვე მას მიენიჭა „ცინ ვანგის" ანუ პირველი რანგის ტიტული, რაც დიდი ნახტომი იყო საიმპერატორო ტახტისკენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იუნგჭენგი იყო ერთ-ერთი ყველაზე განათლებული იმპერატორი ცინგის დინასტიაში, რომლის დროსაც საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „მორალურ ღირებულებებზე დაფუძნებულ მმართველობას", რომლის ქვაკუთხედს კონფუციური ეთიკა ქმნიდა. ასევე მისი მსოფლხედველობით მმართველობა უნდა დაფუძნებოდა ოთხ პრინციპს:

I. ერთგულება – 忠 (ჭუნგი)
II. სამართლიანობა – 公 (კუნგი)
III. გულწრფელობა – 诚 (ჩენგი)
IV. უნარიანობა, მერიტოკრატია – 能 (ნენგი)

იმპერატორის დაბადების სახელი ინჭენი იყო, თუმცა ტრადიციისამებრ, ტახტზე ასვლისას მას ეწოდა ის სახელი, რომლითაც გამორჩეული უნდა ყოფილიყო მისი მმართველობა, 雍 (იუნგი – ჰარმონია) და 正 (ჭენგი – სწორი, სამართლიანი) ანუ ჰარმონიული სამართლიანობა.

იუნგჭენგი საკმაოდ ერუდირებული პიროვნება იყო, რომელიც გამთენიიდან საღამომდე ისტორიულ ტექსტებსა და ეტრატებს კითხულობდა. ასევე პირადად შეჰქონდა კორექტირება ტექსტებში. ახალგაზრდა იმპერატორი მამის მსგავსად სამხრეთ ჩინეთს ძალიან ჰყვარობდა და ხშირად მოგზაურობა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ეკონომიკური მდგომარეობა იუნგჭენგის დროინდელ ჩინეთში. 1723 წლისთვის ჩინეთის იმპერიის ეკონომიკა დაახლოებით 35 მილიონი ვერცხლი იყო, რომელიც სხვადასხვა ტიპის გადასახადებით ივსებოდა. აქედან 6 მილიონი კომერციული გადასახადებიდან შემოდიოდა ხოლო დანარჩენი – მიწებიდან. ცენტრალური ხელისუფლება დაახლოებით 70 პროცენტს იტოვებდა, ხოლო დანარჩენი სხვადასხვა ტიპის პროექტების განსახორციელებლად იხარჯებოდა.

წარმატებულმა საგადასახადო რეფორმამ საკმაოდ გაზარდა შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში. კერძოდ, 1730 წლისთვის შემოსავლებმა მიაღწია 60 მილიონ ტაელს, რაც ორჯერ მეტი იყო ქანგსის მმართველობის ბოლო წლების აღრიცხულ მაჩვენებელზე და ამ შედეგს სულ რაღაც 8-9 წელიწადში მიაღწიეს.

საგადასახადო რეფორმასთან ერთად კიდევ ერთი წარმატებული რეფორმა გამოდგა ეთნიკური უმცირესობებისთვის და დაბალი ფენის წარმომადგენლებისთვის სამოხელეო გამოცდის ჩაბარების უფლების დაკანონება. განსაკუთრებით საინტერესო იყო სამხრეთული პროვინციის, იუნნანის ეთნიკურ უმცირესობათა ჩართვა უზარმაზარ იმპერიულ ბიუროკრატიაში, რაც, ერთი მხრივ, ასუსტებდა მათ სეპარატისტულ მისწრაფებებს, მეორე მხრივ კი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი პეკინზე დაქვემდებარებული ხდებოდა.

მიუხედავად საგადასახადო რეფორმისა, იუნგჭენგს არ ჰქონდა იმის სრული შესაძლებლობა, რომ დიდხანს კონცენტრირებულიყო ქვეყნის ეკონომიკურ რეფორმებზე. მატერიკულ ჩინეთს ირგვლივ ბევრი კუნძული აკრავს. მათ შორის ორი უდიდესია და მათი სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობაც ძალიან დიდი იყო. ესენია: კუნძული ხაინანი – სამხრეთ ჩინეთში და კუნძული თაივანი – მატერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. კუნძული თაივანი დასახლებული იყო აბორიგენი მოსახლეობით და მთელი აზიის მეკობრეების, ვაჭრებისა და პოლიტიკური დამნაშავეების თავშესაფრად იყო ქცეული. შესაბამისად, ნომინალური იურისდიქცია პეკინს კუნძულზე არ ჰქონდა. ამას ემატებოდა კუნძულის რთული გეოგრაფიული პირობები, კერძოდ, მის დასავლეთ ნაწილში ხშირად იყო შტორმი და ქარიშხალი, რაც ართულებდა მიმოსვლას. იმპერატორმა ხელი შეუწყო მატერიკიდან მოსახლეობის მიგრაციას კუნძულზე. ამავდროულად ნება დართო მიგრირებულ ხალხს, ექირავათ სახლები და მიწები ადგილობრივებისაგან, რადგან უფრო მეტად განვითარებულიყო იმპერიის ფორმალური გავლენა კუნძულზე, ამ ყველაფრის ლოგიკური შედეგი სამხრეთ ჩინეთის პეკინის გავლენის განმტკიცება იყო.

რუსებთან პირველი კავშირების დამყარება. მეთვრამეტე საუკუნეში უკვე გავრცელდა ცნობები, რომ აღმოსავლეთ ციმბირში იყო ძვირფასი ლითონების საბადოები, რაც გახდა კიდევ ერთი მიზეზი რუსეთ-ჩინეთს შორის კონკურენცია-თანამშრომლობისა. ქანგსის დროს

დადებული ნერჩინსკის ხელშეკრულება საზღვრის დემარკაციის შესახებ გადასახედი იყო. 1728 წელს დაიდო კიახტას ხელშეკრულება, რომელიც ზუსტად განსაზღვრავდა სასაზღვრო ზოლს კიახტასა[1] და არგუნს შორის. ამავდროულად, გამოიკვეთა ის ადგილობრივი ხალხები, რომელთაც ჰქონდათ უფლება ეცხოვრათ ჩინეთის ან რუსეთის ტერიტორიაზე. ხოლო რუსულ მართლმადიდებლურ თემს, რომელიც პეკინში ცხოვრობდა, მიენიჭა უფლება ღვთისმსახურების, ოღონდ იმ პირობით რომ მათ უნდა ესწავლათ ჩინური ენა და ადგილობრივი ტრადიციები. ასევე რუსულ ქარავანს მიეცა უფლება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ პეკინში შემოსულიყო და ევაჭრა.

გაფართოება დასავლეთისკენ (ჯუნგარებთან ომის გაგრძელება). ჯუნგარების სწრაფი გაფართოება ძალისმიერი მეთოდებით შეაჩერა იმპერატორმა ქანგსიმ 1696 წელს, როდესაც ისინი გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა, თუმცა გეოგრაფიული არეალი ცენტრალური აზიიდან ცენტრალურ ჩინეთამდე ტიბეტისა და სინძიანგის ჩათვლით მაინც ვერ კონტროლდებოდა ჯეროვნად. მანჯურიელების გამაერთიანებელ პოლიტიკას და მრავალეთნიკური იმპერიის შექმნის იდეას სწორად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ჯუნგარული ტომები, რომლებიც გობის უდაბნოს გადაღმა მცხოვრებ უიღურებში, ასევე ტიბეტელებსა და სხვა ტომებში მაინც სარგებლობდნენ გავლენით. ამიტომ საჭირო იყო მათი საბოლოოდ განდევნა იმპერიის საზღვრებიდან და აღმოსავლეთ თურქესტანისა[2] და ტიბეტის შემოერთება. თუმცა ამასთან ერთად პრობლემას ქმნიდა გეოგრაფიული სიშორე და მდებარეობა. ახალი ოპერაციის წამონყებას უზარმაზარი რესურსები ესაჭიროებოდა. 1929 წელს განახლდა ომი ცინგის იმპერიასა და ჯუნგარებს შორის, თუმცა თავიდან ცინგი რამდენიმე ბრძოლაში დამარცხდა მათთან, თუმცა დიდი ძალების შეგროვების შემდეგ 1733 წელს დაამარცხეს ჯურჩენები, რის შემდეგაც ჯურჩენებმა უკან დახევა დაიწყეს.

---

[1] კიახტა – ისტორიული ქალაქი აღმოსავლეთ რუსეთში, ბურიატიის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ესაზღვრება მონღოლეთს.

[2] ევროპული წყაროები დღევანდელ სინძიანგ-უიღურეთის ავტონომიურ რეგიონს მოიხსენიებდნენ როგორც თურქესტანს ან ჩინეთის თურქესტანს, რადგან ის არეალი, რომელსაც დღეს სიძნიანგი ჰქვია, დასახლებული იყო თურქულენოვანი ტომებით – უიღურებით.

ჯუნგარების წინააღმდეგ კამპანია საკმაოდ ძვირი იყო საიმპერატორო კარისთვის. დასავლეთით და ჩრდილოეთით ოპერაციები უზარმაზარ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს მოითხოვდა. დღევანდელი გათვლებით, სამხედრო კამპანიის მიახლოებითი სამხედრო ბიუჯეტი 10 მილიონი ვერცხლის ტაელი იყო, რაც იმ დროისთვის უდიდეს მაჩვენებელს წარმოადგენდა. ამიტომ იუნგჭენგი მაქსიმალურად ცდილობდა მალე გადაეჭრა ჯუნგარების პრობლემა და იძულებული გახდა დაეწყო ჯუნგარებთან მშვიდობიანი მოლაპარაკება.

იუნგჭენგის დროს დამატებით გადადგმული ნაბიჯები. კიდევ ერთი ნაბიჯი, რომელიც მიმართული იყო იმპერიის გაერთიანებისა და კონსოლიდაციისკენ, ეხებოდა განათლებასა და საზოგადოებაში ახალი ღირებულებების გავრცელებას. როგორც „ბარბაროსები"[1], ცინგის დინასტიის წარმომადგენლები ხშირად ეხვეოდნენ კრიტიკის ქარცეცხლში კონფუცისტი ფილოსოფოსების მხრიდან. იუნგჭენგის ამოცანა იყო, მას არა მხოლოდ სამხედრო ძალაუფლება მოეპოვებინა, არამედ მორალური და ინტელექტუალური უპირატესობაც ჰქონოდა. სწორედ ამის გამო გამოცხადდა ახალი კამპანია, როცა ტრადიციულ ჩინურ ტექსტებს აქვეყნებდნენ იმპერატორის ბრძანებით ან ინტერპრეტაციით. ახლებური ინტერპრეტაციები აუცილებელი იყო სახელმწიფო მოხელეებისათვის. ჭენგი ასევე სიფრთხილეს იჩენდა კათოლიკური ეკლესიის მიმართ. მისი მმართველობის პერიოდში მისიონერებს უფლება მიეცათ მაკაოში დასახლებულიყვნენ. თუმცა მათ მიმართ ჭენგის უნდობლობა სულ უფრო იზრდებოდა.

თვითონ იმპერატორი ბუდიზმის სხვადასხვა მიმდინარეობებს შორის ყველაზე მეტად დაინტერესებული იყო ძენ ბუდიზმით და მისი პრაქტიკული გამოყენებით. ზაფხულის სასახლეში იმპერატორთან ერთად ყოველთვის იყვნენ ბუდისტი და ტაოისტი[2] ბერები, რომლებიც კამათობდნენ სხვადასხვა თეოლოგიურ საკითხებზე იმპერატორთან ერთად. ფაქტობრივად ის იყო ცინგის დინასტიის პირველი იმპერატორი, რომელიც ცენზურით გახდა ცნობილი. თუ მის ხედვებთან

---

[1] ჩინეთის ისტორიაში მონღოლების შემდეგ, მანჯურიელები იყვნენ ის გამონაკლისი ხალხი, რომელთაც დაიპყრეს ჩინეთი და იმპერიის მართვა გადაიბარეს, თუმცა ათეული წლების განმავლობაში მაინც ინვევდნენ ანტიპათიას გარკვეულ წრეებში როგორც კულტურულად არათანასწორი ხალხი, რომელმაც მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია.

[2] ტაოიზმი – იგივე დაოიზმი, ლაო წის (ლაო ძის) ფილოსოფიური მოძღვრება.

არ მოდიოდა ტაოიზმის ან ძენ ბუდიზმის ესა თუ ის მიმდინარეობა, იმპერატორი წვავდა ასეთ წიგნებს.

მისი მმართველობის პერიოდს ასევე დაემთხვა ჩინეთის უახლეს ისტორიაში საბედისწერო პროდუქტის, ოპიუმის გამოჩენა. სწორედ მეთვრამეტე საუკუნის ოციან წლებში გამოჩნდა სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში (ჭეძიანგი, ფუძიენი, ძიანგსუ) ოპიუმი და მალე მოიკიდა ფეხი, როგორც გართობის საშუალებამ. ფაქტობრივად ის მხოლოდ თამბაქოს ჩამოუვარდებოდა პოპულარობით. მატერიკულ ჩინეთში თაივანიდან შემოვიდა. მისი შემოტანა უკავშირდება იმ სამხედროებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თაივანზე ცინგის იმპერიის იურისდიქციის გასავრცელებელ სამხედრო კამპანიაში. იმხანადვე გაჩნდა პროტესტი ოპიუმის წინააღმდეგ მმართველ წრეებში, რომელმაც იმპერატორის ყურამდეც მიაღწია, თუმცა მაშინ აქტიური კამპანია არ წამოწყებულა იმ პროდუქტის წინააღდმეგ, რომელიც ასი წლის შემდეგ გახდა ომების, აჯანყებებისა და ნახევრად კოლონიური მდგომარეობის დაწყების მიზეზი.

ციენლუნგის მმართველობა

იუნგჭენგის გარდაცვალების შემდეგ მმართველობა მისმა მეოთხე ვაჟმა, ხუნგლიმ გადაიბარა. ციენლუნგის მმართველობა ქანგსისთან ერთად იყო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პერიოდი ჩინეთის ახალ ისტორიაში. წარმატებებთან ერთად მისი მმართველობა იყო ერთგვარი პიკი ცინგის დინასტიისა, რომლის შემდეგ ქვეყანამ ნელი ნაბიჯებით დაღმა სვლა დაიწყო ნელი ნაბიჯებით. ციენლუნგის ეპოქა ბევრი მახასიათებლით გამოირჩეოდა. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩინელი ერისა და მულტიეთნიკური საზოგადოების აღქმის საკითხი. სწორედ მისი მმართველობის დროს დაიწყო ტერმინ „ჩინეთის“ გამოყენება. ციენლუნგის დროს საბოლოოდ განმტკიცდა პეკინის საიმპერატორო კარის მმართველობა ტიბეტზე, სინძიანგსა და დღევანდელი მონღოლეთისა და რუსეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ტერიტორიებზე (სურ. 178). შესაბამისად, ქვეყანა აღარ იყო მონოეთნიკური და საჭირო გახდა ახალი ტიპის მმართველობის შემოღება. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ციენლუნგს წინააღმდე-



სურ. 178 იმპერატორი ციენლუნგი

გობა შეხვდა სინძიანგისა და მონღოლეთის შემოერთების საკითხში ტრადიციონალისტი ჩინელი ბიუროკრატების მხრიდან. ისინი ამბობდნენ, რომ სინძიანგი არასოდეს ყოფილა ჩინური ტერიტორია და არ იყო დასახლებული ეთნიკური ჩინელებით, ამიტომ იქ ცის მანდატი არ უნდა გავრცელებულიყო, რაზეც იმპერატორმა სასტიკი უარი განაცხადა. მან კარგად გამოიყენა ანტიჯუნგარული განწყობები გობის უდაბნოს დასავლეთით და მანდამდე აღმოსავლეთ თურქესტანად წოდებულ რეგიონში იმპერიის იურისდიქცია გაავრცელა. ციენლუნგის მმართველობაში კიდევ ერთი გამორჩეული ფაქტი მოსახლეობის მასშტაბური ზრდა იყო, რომელიც წლების განმავლობაში იყო დამოკლეს მახვილივით დაკიდებული ჩინური სახელმწიფო თავზე. ჩინური წყაროების მიხედვით, გვიანდელი მინგის პერიოდში მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს, ქვეყნის მოსახლეობა 100 მილიონი იყო, ხოლო ციენლუნგის მმართველობის პერიოდში მან 300 მილიონს გადააჭარბა. ამას ორი მიზეზი ჰქონდა: ახალი ტერიტორიების შემოერთება და ხანგრძლივი მშვიდობიანი და სტაბილური პერიოდი. მისი მმართველობის ბოლო პერიოდი შეგვიძლია მივიჩნიოთ დასავლური სახელმწიფოების მხრიდან ჩინეთში ფეხის მოკიდების აქტიურ მცდელობად, რომელსაც იმხანად დიდად წარმატება ვერ მოჰყვა.

პრინცი ხუნგლი, შემდგომში იმპერატორ ციენლუნგად წოდებული, იყო ქანგსის ფავორიტი შვილიშვილი, რომელთანაც ის დიდ დროს ატარებდა. ბაბუა-შვილიშვილის განსაკუთრებულ ურთიერთობაზე მეტყველებს ციენლუნგის გადადგომა 1696 წელს, რათა ბაბუის მმართველობის ხანგრძლივობისთვის არ გაესწრო.

იმპერატორის სამხედრო კამპანიები ჩინეთის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. ციენლუნგის მმართველობის პირველი ხანები დაემთხვა ჯუნგარებთან დინასტიის ომს (სურ. 179). მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორმა ქანგსიმ ჯაო მოდოს ბრძოლაში დაამარცხა გალდანი და მისი არმია, წლების შემდეგ მაინც მოახერხეს ჯუნგარებმა კონსოლიდაცია და ახალი ძალებით დაუპირისპირდნენ ცინგს.



სურ. 179 ციენლუნგი

ამავდროულად, პეკინი უკვე პრეტენზიას აცხადებდა ჯუნგართა სახანოს ტერიტორიებზე. ციენლუნგის მიერ დასავლეთში სამხედრო კამპანიის შედეგად ჯუნგარების სახანო არა მხოლოდ განადგურდა როგორც პოლიტიკური ერთეული, არამედ ჯუნგარი ხალხის ფიზიკური განადგურების საფრთხეც შეიქმნა. ჩინეთის შემსწავლელ სამეცნიერო წრეებში ჯუნგარებისა და ცინგის შორის ომის ბოლო პერიოდი განხილულია, როგორც ჯუნგართა გენოციდი, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიზიკურად გაქრა მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში. ჩინელი ისტორიკოსი ვეი იუენის მიხედვით, ჯუნგარების 40% შეინირა დაავადებამ, შავმა ყვავილმა, რომელიც გავრცელებული იყო ჩინეთის ტერიტორიაზე. დაახლოებით 30% მანჯურიელებთან და ჩინელებთან ომებში დაიხოცა, ხოლო დანარჩენი გადავიდა თანამედროვე რუსეთისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე.

1750 წელს მონღოლური ტომების სამხედრო ინტერვენცია ტიბეტის დედაქალაქში საბაბად გამოიყენა ციენლუნგმა და გაგზავნა დასავლეთით დიდი სამხედრო ექსპედიცია, რომელმაც 1750 წელს პეკინის პროტეჟე დალაი ლამა დაამტკიცა ოფიციალურ მმართველად ტიბეტში და კიდევ უფრო განიმტკიცა მმართველობა იქ.

სამხედრო ინტერვენცია ბირმაში: 1765-1769 წლები. საუკუნეების მანძილზე ჩინეთის მმართველთა მთავარი საქმე შიდა ომები და აჯანყებების ჩახშობა იყო, ამიტომ სამეზობლო არეალში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით ისინი ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი. სწორედ ციენლუნგის მმართველობისას მიაღწია ჩინეთმა სიძლიერის იმ მასშტაბს, როდესაც შეეძლოთ თავიანთი გემოვნებისამებრ შეეცვალათ მმართველები და ჩარეულიყვნენ მეზობლების შიდა პოლიტიკურ საქმეებში.

ბირმულ სამეფოებთან ჯერ კიდევ მინგის დინასტიამ დაამყარა მეზობლური კავშირები, როცა მათ იუნნანის სამხრეთ ნაწილები გაა-

ფართოვეს მეთხუთმეტე საუკუნის შუა ხანებისთვის. იმ პერიოდში ბირმის ტერიტორიაზე რამდენიმე მცირე ზომის სახელმწიფო არსებობდა: შანის, კაჩინისა და შაიანის სახელმწიფოები. 1557 წელს მეფე ბაიიანუგმა თოუნგოს დინასტიიდან დაიწყო ბირმული სახელმწიფოების გაერთიანებისთვის მოქმედება და ფაქტობრივად მიზანსაც მიაღწია. ჩინეთ-ბირმის სასაზღვრო ზოლში არსებობდა მცირე ზომის, შანის სამთავრო, რომელიც ვასალურ მდგომარეობაში იყო როგორც თოუნგოს დინასტიასთან, ასევე მინგის ჩინურ და შემდეგ ცინგის მანჯურიულ დინასტიასთან. მას შემდეგ, რაც მანჯურიელები საგრძნობლად გაძლიერდნენ მეთვრამეტე საუკუნეში, შანის მმართველებმა ჩათვალეს რომ უმჯობესი იქნებოდა მხოლოდ მათი ვასალი გამხდარიყვნენ და შეუწყვიტეს ხარკისა და გადასახადების გადახდა თოუნგოს დინასტიას. მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში იუნნანის მმართველებმა დაიწყეს მკაცრი საგადასახადო პოლიტიკის გატარება მთელ პროვინციაში და მათ შორის ვასალ ტომებში. მათ მოითხოვეს შანის მმართველებისგან გაზრდილი გადასახადების გადახდა, მაგრამ შანის ბირმელმა მოსახლეობამ უარი განაცხადა გაზრდილ ტარიფებზე და საერთოდ უარყვეს ყველა ვალდებულება ცინგის დინასტიის მიმართ. მეთვრამეტე საუკუნის 30-იან წლებში შანის სამთავროს ბირმელმა ჯარისაკაცებმა დაიკავეს სასაზღვრო სიმაგრეები და უარი განაცხადეს ცინგის დინასტიის მორჩილებაზე, თუმცა გარკვეული ნაწილები მაინც რჩებოდა ცინგის ერთგულად და ისინი ისევ ცინგის დინასტიის პროტექტორატის ქვეშ იყვნენ. პარალელურად დედაქალაქ ავაში საინტერესო პოლიტიკური პროცესები დაიწყო. აჯანდნენ ცალკეული სამხედროები და მმართველი თოუნგოს დინასტია მმართველობას ჩამოშორდა. დაარსდა სამეფო, რომელიც უფრო მილიტარისტულ პოლიტიკას მისდევდა. მათ მალე სამხედრო ლაშქრობა წამოიწყეს ჩრდილოეთით და ცინგის მოხარკე ბირმული სამთავროები და ფეოდალები დალაშქრეს, მათი მიწები დაისაკუთრეს. ადგილობრივი მოხელეები იუნნანში გაიქცნენ და ცინგის მოხელეებს დახმარება სთხოვეს. ცინგის დინასტიამაც არ დააყოვნა. საიმპერატორო კარის განკარგულებით, არმია დაიძრა ბირმისკენ. სადამსჯელო ოპერაციას გენერალი ლიუ წაო ხელმძღვანელობდა.

პირველი საგარეო სამხედრო ინტერვენცია მანჯურიელებს ბირმაში მოუხდათ, რაც, ყველასთვის გასაკვირად, მათი მარცხით დას-

რულდა. ოთხი სხვადასხვა სამხედრო ექსპედიციის დროს მანჯურიელებმა მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს, მაგრამ სუბტროპიკულმა კლიმატმა, ბირმის ჯუნგლების მარშრუტებმა, მალარიამ, ბირმელების პარტიზანულმა ტაქტიკურმა მოქმედებამ და სხვა, მათი ეფექტურობა ძალიან შეამცირა, რამაც 1769 წელს სამხედრო კატასტროფა გამოიწვია ჯერ ჩინური მწვანე არმიისთვის, შემდეგ კი უკვე მანჯურიული ელიტური სადროშოებისთვის.

ფაქტობრივად, 1644 წლის შემდეგ ბირმა აღმოჩნდა პირველი ადგილი, სადაც იმპერია დამარცხდა, ხოლო ბირმის ჯუნგლები იმპერიის ჯარისკაცთა საფლავებად გადაიქცა.

განათლების საკითხები ციენლუნგის ჩინეთში და ლიტერატურული ინკვიზიცია. სამხედრო კამპანიასთან ერთად ციენლუნგის მმართველობა ცნობილი იყო ლიტერატურული აუტოდაფეებითა და ამავდროულად პარადოქსულად მისი საქციელისა, ციენლუნგი დიდი გულშემატკივარი იყო მხატვრობისა და ხელოვნებისა. მისი ბრძანებით, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შეგროვდა სუნგისა და მინგის დინასტიების დროს შექმნილი ნახატების უზარმაზარი კოლექცია. ასევე ის ხელს უწყობდა წინარე პერიოდების ლიტერატურისა და პოეზიის ნიმუშების შეგროვებას. სწორედ მისი მმართველობის დროს შეგროვდა „四庫全书“ სქუ ციუენშუ ანუ იმპერიული კოლექცია, რომელიც ოთხი მთავარი ნაწილისგან შედგებოდა. იმპერიული კოლექციის შექმნისთვის მუშაობდა 15000-მდე კალიგრაფისტი, რადგან გადასაწერი იყო ათასობით ჩანაწერი. იმპერიულ კოლექციასთან ერთად ციენლუნგის მმართველობისას შეგროვდა ჩინეთის ლანდშაფტისა და პეიზაჟების უზარმაზარი კოლექცია. ეს საქმე უშუალოდ იმპერატორის მეთვალყურეობის ქვეშ მიმინარეობდა.

საიმპერატორო ლიტერატურული კოლექციის შეგროვებისას გადამწერებმა მრავლად იპოვეს ცინგის პირველ ხანებში ჩინელი ინტელექტუალების ნაშრომები, რომლებიც მანჯურიელებს აკრიტიკებდნენ და უწოდებნენ მათ ბარბაროსებსა და განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხს. ციენლუნგმა ბრძანა ყველა იმ ნაწერის პირწმინდად განადგურება, რომლებშიც ცინგის დინასტიის კრიტიკა იყო. ასე განადგურდა ათასობით უნიკალური ისტორიული თუ მხატვრული ჩანაწერი, რომლებშიც ამა თუ იმ ფორმით გაკრიტიკებული იყვნენ მანჯურიელები და მათი ქმედება ჩინეთში.

ლიტერატურული ინკვიზიციის მიუხედავად, მაინც აღსანიშნავია იმ პერიოდის ჩინელი გეოგრაფების სამუშაოები შემოერთებული ტერიტორიებისთვის ახალი სახელების მინიჭების კუთხით. სწორედ იმ პერიოდში ეწოდა ჯუნგარების სახანოს ტერიტორიას სინძიანგი ანუ ახალი საზღვარი. ასევე სახელები დაერქვა ოირატის ტერიტორებს მონღოლეთისა და რუსეთის დღევანდელ მიწებზე.

ინტერვენცია ნეპალში და ტიბეტის დაცვა ცინგის ჯარების მიერ. კიდევ ერთი საგარეო სამხედრო ინტერვენცია ცინგის ჯარებს ნეპალში მოუხდათ ტიბეტელების დასაცავად (სურ. 180). ბირმისგან განსხვავებით, აქ იმპერიამ წარმატებას მიაღწია და ტიბეტთან ერთად ფინანსური ვალდებულებები ნეპალელებმაც აიღეს ცინგის დინასტის წინაშე. ტიბეტელები დიდი ხნის განმავლობაში იყენებდნენ ნეპალურ ვერცხლის მონეტებს, როგორც ფულად ერთეულს და ორი რეგიონის ვაჭრებსა და მოსახლეობას აქტიური გაცვლა-გამოცვლა ჰქონდთ. მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში ქვეყნის შიგნით დაიწყო მმართველებს შორის ბრძოლები. კერძოდ, გორქხას სამეფოს მიერ კატმანუდს ველის ბლოკადამ დააზიანა აქამდე სანდო ტიბეტური ვერცხლის მონეტების ინდუსტრია და მათ მიმოქცევაში სპილენძი შეურიეს. 1769 წლიდან შაჰის დინასტიამ დაიწყო ნეპალის მართვა, თუმცა ისინი ტიბეტელი ვაჭრებისა და სოვდაგრების მხრიდან წააწყდნენ დიდ წინააღმდეგობას. ტიბეტელები მოითხოვდნენ, რომ მიმოქცევიდან ამოეღოთ ყველა შერეული მონეტა და მხოლოდ ვერცხლის ნომინალები გამოეყენებინათ. ნეპალელები პირობას იძლეოდნენ, რომ გააკონტროლებდნენ და მხოლოდ ვერცხლის ფულს გამოიყენებდნენ, თუმცა ათასობით მონეტის ჩანაცვლება უზარმაზარ დანახარჯებს იწვევდა და მათ ეს არ შეეძლოთ. ამას მოჰყვა ნეპალელი ვაჭრების ლჰასასა და სხვა ქალაქებში შევიწროება მონეტების პრობლემის გამო. სიტუაცია



სურ. 180 ინტერვენცია ნეპალში

სულ უფრო მძიმდებოდა. ფინანსურ ფონზე წარმოქმნილ კრიზისს დაემატა ლჰასასგან დევნილი ლამებისთვის ნეპალში თავშესაფრის მიცემა. თავდაპირველად ნეპალელებმა სცადეს დელეგაციის გაგზავნით მოეგვარებინათ ფინანსური პრობლემები, მაგრამ ტიბეტელები უარზე იყვნენ, მიმოქცევაში მიეღოთ შერეული მონეტები და ასევე არ უშვებდნენ იმ ვაჭრებს, რომლებიც იყენებდნენ ამ სახის მონეტებს. 1788 ნეპალის მმართველმა ბაჰადურ შაჰმა გააგზავნა ჯარი ტიბეტში, რომელმაც უპრობლემოდ აიღო რამდენიმე დასახლებული პუნქტი. პანჩე ლამამ მოლაპარაკება ითხოვა და სარდლები სამშვიდობო მაგიდასთან მიიწვია. პარალელურად ცინგის დინასტიისაგან მოითხოვა მისი ვალდებულების შესრულება და ტიბეტის დაცვა. იმპერატორმა ციენლუნგმაც არ დააყოვნა და ჯარი გაგზავნა ტიბეტში. სანამ ცინგის ჯარები ტიბეტში შევიდოდნენ, მანამდე პანჩე ლამამ დრო მოიგო და იკისრა იმ დანაკარგის ანაზღაურება, რაც ნეპალელ ვაჭრებს მიადგათ მათი აკრძალვების გამო. 70000 მეომარი მიდიოდა ტიბეტისკენ და 1792 წელს ისინი ლჰასაში შევიდნენ. ცინგის გენერლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ნეპალელების დასჯა. მიუხედავად პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკისა, 70000 ჩინელი და მანჯურიელი სერიოზული ძალა იყო და ნეპალელები იძულებულნი იყვნენ, მოლაპარაკება ეთხოვათ. იმავე წელს გაფორმდა ზავი, რომლის მიხედვით, ნეპალი აღიარებდა ცინგის დინასტიის უფლებებს ტიბეტზე და ასევე თავადაც იღებდა ვალდებულებას, გადაეხადა გადასახადი მანჯურიელთათვის. სამაგიეროდ, მანჯურიელები კისრულობდნენ ნეპალელების დაცვას იმ შემთხვევაში, თუ მათ საგარეო საფრთხე დაემუქრებოდათ. ასე წარმატებით დასრულდა ტიბეტში უცხო ძალების შემოჭრის ალაგმვა და კიდევ უფრო განმტკიცდა მათი გავლენა ადგილობრივ სასულიერო პოლიტიკურ საქმეებზე.

ჯორჯ მაკარტნის დიპლომატიური მისია

დიდი ბრიტანეთის პირველი ოფიციალური დელეგაცია, რომელიც დიპლომატიური ურთიერთობების წამოწყებას ცდილობდა ცინგის დინასტიის ჩინეთთან, სწორედ ციენლუნგის მმართველობის ხანაში ჩავიდა პეკინში. 1793 წლისთვის ბრიტანეთი უკვე აღმოსავლეთ აზიაში აქტიურად იყო წარმოდგენილი თავისი კოლონიებითა და სავაჭრო

ფაქტორიებით. მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსთვის ჩინეთის იმპერია მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი და ასევე ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელმწიფო იყო. შესაბამისად, ბრიტანეთის სავაჭრო კომპანიებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ბაზრის ათვისებას. აღმოსავლეთ აზიური სახელმწიფოები იაპონიისა და ჩინეთის ჩათვლით უცხო ქვეყნების ფაქტორიების დაარსებას არ ეთანხმებოდნენ და ამაში საფრთხეს ხედავდნენ. მეტიც, ჩინეთი და იმპერიული არისტოკრატია ბარბაროსებად განიხილავდა მთელ დანარჩენ მსოფლიოს, ხოლო ჩინეთს ცენტრალურ სახელმწიფოდ და ცივილიზაციის კერად. ასევე ვერ აღიქვამდნენ სწორად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და არ აფასებდნენ დასავლური ქვეყნების აღმავალ სიძლიერეს, რაც სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ საკმაოდ ძვირად დაუჯდათ.

მეთვრამეტე საუკუნის 20-იან წლებში ციენლუნგის მამის, იუნგჭენგის დროს იქმნება ე.წ. კანტონის სისტემა, რომელიც გულისხმობდა სამხრეთ ჩინეთში, დღევანდელი კუანგტუნგის პროვინციაში ქალაქ კანტონში[1] საერთაშორისო ვაჭრობის დაშვებას. კანტონი ისტორიულად იყო ეკონომიკური კარიბჭე და ყველაზე დიდი ნავსადგური ჩინეთის იმპერიისთვის. ადგილობრივი ლიცენზიით რამდენიმე ათეულ უცხოურ კომპანიას შეეძლო კანტონში ევაჭრა, თუმცა მათ აკრძალული ჰქონდათ ცოლების და ოჯახების ჩამოყვანა ჩინეთის ტერიტორიაზე და ასევე ჩინურ სკოლებში იკრძალებოდა მათთვის ჩინური ენის სწავლება. მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებიდან უკვე იწყება ინდოეთის კოლონიზების აქტიური ფაზა და ბრიტანული აღმოსავლეთი ინდოეთის კომპანიაც უზარმაზარ მოგებაზე გადის. უკვე აღარ აკმაყოფილებდათ მხოლოდ კანტონში ვაჭრობა და ითხოვდნენ ჩინეთის სხვადასხვა ქალაქებში შესვლის უფლებას. ამავდროულად, დასავლეთში იზრდებოდა მოთხოვნა ჩინურ ჩაიზე, აბრეშუმსა და სხვადასხვა პროდუქტზე. ამ მასშტაბის ეკონომიკურ მოთხოვნას მხოლოდ კანტონში სავაჭრო ფაქტორია ვერ აუდიოდა, ამიტომაც აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიამ დაიწყო ხელისუფლებასთან ლობისტური საქმიანობა, რომ დაემყარებინათ ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები პეკინთან, დაეყოლიებინათ ხელისუფლება

[1] კანტონი – იგივე დღევანდელი ქალაქი კუანგჭოუ (ჩინურ-ქართული ტრანსლიტერაციის წესების გათვალისწინებით), მანამდე კი სხვა ენების გავლენის გამო იყო დამკვიდრებული: გუანჯოუ. მდებარეობს ჩინეთის სამხრეთით.

და სხვა ქალაქებშიც დაეშვათ ბრიტანელი ვაჭრები. 1787 წელს პრემიერ-მინისტრმა უილიამ პიტმა პირველი ელჩი გააგზავნა ჩინეთში, პოლკოვნიკი ჩარლზ კათკარტი, რომელიც ჩინეთში ჩასვლამდე ზღვაში გარდაიცვალა. შემდეგი ელჩის მისიასაც საფრთხე შეექმნა და ბოლო შეირჩა ინდოეთის ერთ-ერთი პროვინციის მმართველი, ჯონ მაკარტნი შესაფერის კანდიდატურად. დიპლომატიურ მისიაში დაახლოებით 100 წევრი ირიცხებოდა, მათ შორის სასულიერო პირებიც, რომლებიც ასრულებდნენ თარჯიმნის ფუნქციას. ასევე სამეფო საზოგადოების წევრები, ფინანსისტები და ბოტანიკოსები, რომელთაც ევალებოდათ გაცნობოდნენ ჩაის მოყვანისა და წარმოების ტექნოლოგიებს, აღერიცხათ ჩაის უცნობი ჯიშები და შემდეგ უზრუნველეყოთ ინდოეთში მისი გაშენება.

მისიამ ბრიტანეთი 1792 წლის 26 სექტემბერს დატოვა და გაემართა ჩინეთისკენ. ზღვაოსნობას მეთაურობდა კაპიტანი ერასმუს გოვერი. ისინი დაუყვნენ აფრიკის დასავლეთს და შეჩერდნენ კაპე ვერდესთან. ატლანტიკის ოკეანეში ძალიან გართულდა კლიმატური პირობები და მათ რამდენჯერმე მოუხდათ მარშრუტის შეცვლა. 1793 წლის იანვარში გაიარეს კუნძული იავა და მარტში უკვე ჯაკარტაში იყვნენ. მისიის გადაწყვეტილებით, ღუზა უნდა ჩაეშვათ პეკინთან უახლოეს ნავსადგურში, რომელიც თიენძინში იყო და აერიდებინათ კანტონში შესვლა. თიენძინში შესვლას გარკვეულწილად ჰქონდა პოლიტიკური დატვირთვა, რადგან ისინი ამ ნაბიჯით აცხადებდნენ, რომ დაინტერესებულნი იყვნენ თიენძინში სავაჭრო ფაქტორიების გახნით.

თიენძინში შესვლას სჭირდებოდა ნებართვა, რაზეც თავდაპირველად კუანგტუნგის გუბერნატორმა უარი განაცხადა და მოითხოვა, როგორც ადრე, კანტონში გადმომსხარიყვნენ და შემდეგ სახმელეთო გზით დაძრულიყვნენ ჩრდილოეთით, პეკინისკენ. ბრიტანელებმა განაცხადეს, რომ მათ ჰქონდათ ძვირფასი ბრიტანული საჩუქრები გადასატანი სპეციალურად იმპერატორისთვის, რომელიც ტრანსპორტირების დროს შეიძლებოდა დაზიანებულიყო და პასუხისმგებლობას ამაზე თავად ვერ აიღებდნენ. ასევე კანტონიდან პეკინამდე მგზავრობას დიდი დრო დასჭირდებოდა და ითხოვდნენ თიენძინთან ახლოს მიეცათ ღუზის ჩაშვების უფლება. კუანგტუნგის გუბერნატორმა ითხოვა გაკრვეული დრო, რათა ეკითხა ცენტრალური ხელი-

სუფლებისთვის აზრი. ციენლუნგი დასთანხმდა თიენძინში შესვლას, ოღონდ გემები უნდა გაჩერებულიყვნენ ღია ზღვაში ჩინური ნავებით შესულიყვნენ თიენძინში და შემდეგ უკვე პეკინში. 11 აგვისტოს მისია უკვე შევიდა თიენძინში და იქ დაესწრნენ მათ პატივსაცემად გამართულ ბანკეტს. ბანკეტის შემდეგ დაიძრნენ პეკინისკენ, სადაც მათი ბანაკი განთავსდა დღევანდელი ძველი აკრძალული სასახლის მიმდებარედ. ჩინური მხარის მკაცრი მოთხოვნით, მისიის წევრებს ეკრძალებოდათ დამოუკიდებლად გადაადგილება და საკუთარი ნებით მოძრაობა პეკინის ქუჩებში. იმპერატორი იმჟამად დიდი კედლის ჩრდილოეთით განთავსებულ რეზიდენციაში იყო და სწორედ იქ დაიგეგმა ბრიტანულ-ჩინური შეხვედრა. ბრიტანელებს პატივით დახვდნენ კედლის გადალმა. მათ პატივსაცემად გაიმართა სამხედრო და სხვა სახის წარმოდგენები, ასევე მოეწყო ფეირვერკები და ნადირობა.

ჩინური ეტიკეტის საკითხი და მაკარტნის სიჯიუტე. იმპერატორთან შეხვედრის წინ ჩინურმა მხარემ ბრიტანელებს გააცნო წესები, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ციენლუნგის პირისპირ. იმპერატორი ჩინეთში, განურჩევლად იმისა, თუ რომელ დინასტიას მიეკუთვნებოდა ის, მიიჩნეოდა ცის შვილად და მასთან ქცევის ეტიკეტიც განსაკუთრებული იყო. კერძოდ, იმპერატორის ბრძანების დროს აუცილებელი იყო პირქვე დამხობა, ხელზე ამბორი და სხვა, რათა მის ქვეშევრდომებს გამოეხატათ მისდამი პატივისცემა. ამ წესს მისდევდა ყველა, ჩინელებიცა და უცხოელებიც. კერძოდ, პორტუგალიელი და ჰოლანდიელი ვაჭრები არ თაკილობდნენ ჩინური წესების შესრულებას, თუმცა მაკარტნიმ მკაცრად განაცხადა, რომ ის არ იყო ვაჭარი და წარმოადგენდა ბრიტანეთის მეფე ჯორჯ მესამეს, ხოლო ბრიტანეთი და ჩინეთი ორი თანასწორუფლებიანი სუვერენული სახელმწიფოები იყვნენ. ის მზად იყო, გამოეხატა მოწიწება და ქედი მოეხარა ციენლუნგის წინაშე, თუმცა კატეგორიულად უარყოფდა ჩინური ეტიკეტისამებრ თავის მიწაზე შეხებას და ხელზე ამბორის ტრადიციებს (სურ. 181). საკითხი საკმაოდ გამწვავდა, რადგან ჩინელებისთვის ბრიტანეთი არ იყო „ცენტრალური სამეფოს" თანასწორი სახელმწიფო. შესაბამისად, მათთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ ჯიუტობდა ბარბაროსული სახელმწიფოს ელჩი. ჩინელ-მანჯურიული არისტოკრატია ბრიტანულ საჩუქრებს განიხილავდა, როგორც



სურ. 181 მაკარტნის მისია

ძლევს ცის შვილისთვის და თანასწორუფლებიანობაზე პრეტენზიებს არ იღებდა. ჩიხური სიტუაცია ისევ ციენლუნგმა განმუხტა, როცა მან უფლება მისცა მაკარტნის გამოეხტა პატივისცემა მის მიმართ ისე და იმ ფორმით, როგორც ამას გამოხატავდა ჯორჯ მესამის წინაშე. ამ ნაბიჯმა ჩინურ მხარეში გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია, თუმცა იმპერატორის ნების წინააღმდეგ ვერავინ წავიდა.

იმპერატორთან შეხვედრა 14 სექტემბერს გაიმართა. ბრიტანელები ღამის სამი საათიდან ელოდნენ იმპერატორს უზარმაზარ მანჯურიულ იურტაში, სადაც რამდენიმე ასეული ადამიანი შეკრებილიყო. ციენლუნგი დილის შვიდი საათისთვის მოვიდა იურტაში და დაიკავა მისთვის სპეციალურად გამზადებული ადგილი. მაკარტნი მიეახლა იმპერატორს, მის წინაშე მუხლი მოიყარა და გადასცა ჯორჯ მესამეს წერილი.

ციენლუნგმა სასტიკად უარყო ყველა ბრიტანული შეთავაზება, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა ადგილებში პორტების გახსნასა და ახალი ტიპის კავშირების დამყარებას ორ ქვეყანას შორის. მან ასევე არ მისცა ბრიტანულ მისიას ნებართვა მუდმივად განთასებულიყვნენ პეკინში. ფაქტობრივად, მაკარტნის რამდენიმენწლიანი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ციენლუნგი ევროპულ ქვეყნებს ბარბაროსულ სახელმწიფოებად მოიხსენიებდა და უარყოფდა რაიმე სახის თანასწორობას მათთან.

ასე უშედეგოდ დამთავრდა დიდი ბრიტანეთის პირველი მცდელობა, დაემყარებინათ ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა ცინგის დინასტიასთან. ციენლუნგის ხანა, ბირმის ჯუნგლებში სამხედრო ჩავარდნებს თუ არ ჩავთვლით, იყო ერთ-ერთი ძლიერი ეპოქა ჩინეთის უახლეს ისტორიაში. ბრიტანელებს კარგად ესმოდათ, რომ სამხედრო ძალით ციენლუნგის ჩინეთთან ვერას გახდებოდნენ და ისინი ბედს შეეგუვნენ. თუმცა გამოჩნდა ახალი შესაძლებლობა

ბრიტანელებისთვის. ეს იყო ოპიუმი. ინდოეთის სხვადასხვა მხარეში მასობრივად დაიწყეს ოპიუმის მოყვანა და გასაღების ბაზრად ჩინეთი დასახეს. მართლაც, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ სრულიად ჩინეთის პოლიტიკური და სამხედრო ელიტა ოპიუმზე დამოკიდებული გახდა, რამაც გამოიწვია ქვეყნის დემორალიზება და ხანგრძლივი ქაოსი.

ციელუნგმა 1796 წელს დატოვა ტახტი და ოფიციალურად ტახტზე მისი შვილი, ძიაცინგი ავიდა. უშუალოდ ციენლუნგი კი თაი შანგ იმპერატორად ანუ გადამდგარ იმპერატორად გამოცხადდა. რეალურად ის 1799 წლამდე მართავდა ქვეყანას და 87 წლის ასაკში გარდაიცვალა. ციენლუნგის ეპოქა იყო ცინგის დინასტიის სიძლიერის პიკი, რომლის შემდეგაც ქვეყანამ უკუსვლა იწყო.

იმპერატორი ძიაცინგის მმართველობა და ცინგის დინასტიის დასუსტება

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს უკვე იკვეთება ცინგის დინასტიის მოსალოდნელი კრიზისი, მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი ციენლუნგი ენერგიული მმართველი იყო, მისი მმართველობის ბოლო პერიოდში ბევრი შიდა და საგარეო პოლიტიკური გამოწვევა გამოუჩნდა სახელმწიფოს. პეკინის დაქვემდებარებაში უზარმაზარი სივრცე მოექცა – ცენტრალური აზიიდან კორეის ნახევარკუნძულამდე და ვიეტნამიდან ციმბირის ტაიგამდე, რაც თავისთავად ართულებდა სახელმწიფოს მართვას. ამას ემატებოდა დასავლური სახელმწიფოების მიერ ჩინეთის ირგვლივ დაწყებული კოლონიზაციის ძლიერი ტალღა, რომელიც საბედისწერო გახდა ქვეყნისთვის. ციენლუნგის მმართველობის ბოლო ეტაპზე თავი იჩინა სოციალურმა და პოლიტიკურმა პრობლემებმა და სამხედრო გამოსვლებმა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიაოს ეთნიკურმა ჯგუფმა წამოიწყო სამხედრო გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ. მიაოს აჯანყება შედარებით მარტივად ჩაახშვეს და ციენლუნგის მიერ მაკარტნის მისიის უარით გასტუმრება განიხილეს როგორც გადაწყვეტილი პრობლემა დასავლეთთან. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ევროპას არ ეცალა ჩინე-

თისთვის. ცის მანდატს ირიბი მოკავშირე გამოუჩნდა ნაპოლეონის სახით. ნაპოლეონის ომებმა დაახლოებით 30 წლით გადაატანინეს ევროპელებს ყურადღება დასავლეთით. როდესაც იმპერატორი ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, შემდეგ ევროპელ კოლონიზატორებს, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთს ჰქონდა შესაძლებლობა, ყურადღება აღმოსავლეთით მიეპყრო. ინდოეთის მთელ რიგ პროვინციებში დაწყებული იყო ტონობით ოპიუმის წარმოება, ხოლო ჩინეთი პროდუქტის მთავარი მომხმარებელი გახდა. აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიას იმჟამინდელი ტვირთბრუნვა არ აკმაყოფილებდა და საჭირო იყო მოცულობის გაზრდა, რომელიც საკმაოდ რთული მისაღწევი აღმოჩნდა პეკინის საიმპერატორო კარის წინააღმდეგობის გამო.

მას შემდეგ რაც ნაპოლეონ ბონაპარტე ვატერლოოს ბრძოლაში დამარცხდა და დიდ ბრიტანეთს ევროპაში საფრთხე მოეხსნა, ბრიტანელებმა თითქმის 22-წლიანი ინტერვალის შემდეგ ახალი დიპლომატიური მისია მიავლინეს ჩინეთში ლორდ ამჰერსტის ხელმძღვანელობით. მაკარტნისგან განსხვავებით, ამჰერსტს არ დახვდნენ პატივით. მეტიც, მან მრავალკვირიანი მოგზაურობის შემდეგ რამდენიმე დღე ითხოვა დასვენება, რომ იმპერატორს შეხვედროდა, თუმცა ამის საშუალებაც არ მისცეს. აშკარაა, რომ ჩინეთის იმდროინდელი პოლიტიკური ელიტა აბსოლუტურად ვერ ერკვეოდა გლობალურ პროცესებსა და საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებში. ისინი აბსოლუტურად მოწყვეტილნი იყვნენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ეთნოცენტრიზმის პოლიტიკით ხელმძღვანელობდნენ. მიუხედავად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მცირედი პრობლემებისა, იმდროინდელი ცინგის იმპერია ჯამური მთლიანი შიდა პროდუქტით პლანეტის უდიდესი სახელმწიფო იყო, რომელზეც მსოფლიოს სიმდიდრის დაახლობით 30% მოდიოდა. დიდი პოპულაციის გამო ერთ სულ მოსახლეზე მაჩვენებელი შედარებით მცირე იყო, მაგრამ მაინც უმდიდრეს სახელმწიფოდ რჩებოდა. მეცხრამეტე საუკუნის პირველ დეკადაში, ქვეყანას ის გზა რომ გაეგრძელებინა, რომელიც დასავლურმა სახელმწიფოებმა გაიარეს, კერძოდ, ინდუსტრიალიზაცია და კაპიტალისტური საბაზრო ელემენტების დანერგვა, დიდი ალბათობით ჩინეთი მთელი საუკუნე ეკონომიკურად პლანეტის პეგემონი იქნებოდა, თუმცა ყველაფერი

სხვაგვარად განვითარდა, რამაც მძიმე შედეგი მოიტანა ქვეყნისთვის. ტერიტორიულადაც ცინგის იმპერია ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანა იყო იმ დროისთვის, გაცილებით დიდი ვიდრე დღევანდელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაა. მისი საზღვრები ჩრდილოეთით გრძელდებოდა ბაიკალის ტბამდე, დასავლეთით ღრმად იყო შეჭრილი ცენტრალურ აზიაში, ხოლო აღმოსავლეთით – სახალინის კუნძულამდე.

დასავლური ქვეყნების მცდელობა, რომ დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონოდათ ჩინეთის იმპერიასთან, მთავრდებოდა კრახით, რადგან ცის მანდატის მქონე იმპერატორი ყველა უცხოურ სახელმწიფოს განიხილავდა როგორც ბარბაროსულს და ელჩებთანაც შეხვედრის წინ ე.წ. კოვტოვის[1] სისტემით მათგან ითხოვდა ისეთივე მოპყრობას, როგორც თავისი ქვეშევრდომები ეპყრობოდნენ. ეს არ შეესაბამებოდა მსოფლიოს დიპლომატიურ ეთიკას. მხოლოდ 1864 წელს ითარგმნა იმ პერიოდის საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ წიგნი ჩინურად, მანამდე პლანეტის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა დიპლომატიის და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ. იზოლაციონიზმისგან გამოწვეული არაადეკვატურობა განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში, როდესაც წაგებული იმპერია იქეთ უყენებდა პირობებს ბრიტანელებს.

1796 წელს დაიწყო ძიაცინგის მმართველობა, თუმცა სამი წელი რეალური ძალაუფლება გადამდგარ იმპერატორს ჰქონდა. იგი აქტიურად განაგებდა სახელმწიფო საქმეებს. ძიაცინგის მმართველობის დასაწყისს დაემთხვა ორი სერიოზული სამხედრო აჯანყება ჩინეთის ისტორიაში – მიაოს ეთნიკური ჯგუფისა და თეთრი ლოტოსის რელიგიური საზოგადოების აჯანყებას.

მიაოს ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგობა 1795-1806 წლებში. მიაოს ეთნიკური ჯგუფი სამხრეთ ჩინეთში საკმაოდ მრავლად იყო წარმოდგენილი. თუ დღეს ისინი კუეიჭოუს და კუანგსის პროვინციებში ცხოვრობენ, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გაცილებით დიდ ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი. მიაოს ხალხების ეთნიკურ ხანებთან დაპირისპირება საუკუნეებს ითვლიდა. ძირითადი მიზეზი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები იყო, რომლებიც სამხრეთში ნაყო-

[1] ტრადიციული ჩინური ეტიკეტი, როცა იმპერატორის წინ მუხლს იყრიან და თავს იატაკს ახებენ.

ფიერებით გამოირჩეოდა და შემოსავლის კარგი წყარო ხდებოდა. ჯერ კიდევ მინგის დინასტიაში იყო მიზანმიმართული კამპანია იმ ნაწილებში ეთნიკური ჩინელების ანუ ხანელების ჩასახლებისა, რათა დაებალანსებინათ მიაოს და სხვა დიდი ეთნიკური ჯგუფების რაოდენობა. ცინგის ჯარებს ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის 30-იან წლებში მოუწიათ შეტაკება მიაოს ხალხებთან, თუმცა მაშინ აჯანყება მარტივად ჩაიხშო. 1796 წელს ხუნანის პროვინციის მაცხოვრებლებმა დაიწყეს სამხედრო გამოსვლები ეთნიკური ჩინელების წინააღმდეგ. მიზეზი ისევ სასოფლო სავარგულები იყო. მანჯურიელებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ეთნიკური ბალანსის შესანარჩუნებლად მათი რიცხვი ძალიან ცოტა იყო, ამიტომ შემოერთებულ და პრობლემურ ტერიტორიებზე ხელს უწყობდნენ ჩინელების დასახლებასა და სხვადასხვა საგადასახადო შეღავათებით ეხმარებოდნენ მათ. ხუნანის პროვინცია იყო ერთ-ერთი რეგიონი, სადაც მიაოს ხალხი მრავლად ცხოვრობდა იმ პერიოდში და სწორედ იქ იფეთქა შეიარაღებულმა გამოსვლებმა. ასევე კუეიჭოუს მიდამოებშიც მიმდინარეობდა სახელმწიფო შენობებსა და საჯარო მოხელეებზე თავდასხმები. პირველადი წინააღმდეგობა ადგილობრივმა საპოლიციო ძალებმა და ეთნიკური ჩინელების თვითორგანიზებულმა ჯგუფებმა გასწიეს, შემდეგ კი მიიხმარეს ჩრდილოეთიდან მოსული მანჯურიული სადროშოები და ე.წ. ლუინპინგები[1], ანუ ჩინელებით დაკომპლექტებული არმია. სახელისუფლებო ძალებმა მალევე ჩაახშეს გამოსვლები, თუმცა ახლა უკვე განსხვავებული ტაქტიკა შეიმუშავეს, რომელიც გულისხმობდა საფორტიფიკაციო ნაგებობის აშენებას იმ არეალში, სადაც დამარცხებული მიაოს ხალხები ცხოვრობდნენ. შეიქმნა ერთგვარი სეგრეგირებული ზონები უზარმაზარი ციხე-სიმაგრეებითა და გალავნებით. ხუნანის პროვინციაში ამგვარ ნაგებობებს სამხრეთის დიდ კედელსაც უწოდებდნენ. გალავნები და კოშკები ყოფდათ ჩინელებსა და მიაოს ხალხს და მუდმივად გაძლიერებული დაცვა ჰყავდა პრობლემურ რაიონებს, რომ კიდევ არ განმეორებულიყო დაპირისპირება ორ ჯგუფს შორის.

საბრძოლო მოქმედებები საკმაოდ დიდხანს, თითქმის ათი წელი, მიმდინარეობდა, რომელიც საბოლოდ მიაოს ხალხისთვის მძიმე შე-

[1] 绿营兵 – ლუინგპინგი – ხანელებისგან დაკომპლექტებული შეიარაღებული ძალები.

დეგით დასრულდა. იმპერია არ აპირებდა დათმობაზე წასვლას, მასობრივად ჩამოართვეს მიწები და მათ მიწებზე დაიწყეს ჩინელების ჩასახლება. ასევე, გალავნებითა და კოშკებით შემოსაზღვრეს ის ტერიტორიები, სადაც მასობრივად ცხოვრობდნენ აჯანყებულთა ოჯახის წევრები და ნათესავები. ქალაქი ფენგხუანგი დღესდღეობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ადგილია, რომელიც შესანიშნავად აჩვენებს ცინგის სეგრეგაციულ პოლიტიკას.

თეთრი ლოტოსის საზოგადოება და მრავალწლიანი წინააღმდეგობა. თეთრი ლოტოსის საზოგადოება ერთ-ერთი უძველესი რელიგიური გაერთიანება არის ჩინეთის ისტორიაში, რომელიც არსებობის მრავალ საუკუნეს ითვლიდა. ისინი ასპარეზზე დროდადრო გამოდიოდნენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძალიან უჭირდა ჩინურ სახელმწიფოს. თეთრი ლოტოსის საზოგადოება, ერთი მხრივ, იყო ნასაზრდოები რელიგიური იდეებით და აერთიანებდა ტაოიზმის, ბუდიზმისა და კონფუციზმის ელემენტებს. მათი მთავარი სათაყვანებელი ღვთაება ბუდა მაიტრეა იყო, რომლის დაბრუნებასაც ქადაგებდნენ საზოგადოების წევრები. მათი აქტიური საქმიანობა იუენის დინასტიის პერიოდში იწყება. იუენის დინასტიის დროს თეთრი ლოტოსის საზოგადოებამ შეიძინა რელიგიურ-ნაციონალისტური ხასიათი და ეს ნიშა მას მანჯურიელების დროსაც გაჰყვა. ჩინური წყაროების მიხედვით, თეთრი ლოტოსის საზოგადოება დაფუძნებული იყო ბუდისტურ რელიგიურ შეხედულებებზე, თუმცა მათ ასევე ჰქონდათ სექტის გამოვლინება, რადგან რელიგიურ მსახურებაში შემოჰყავდათ ის ღვთაებები, რომლებიც კლასიკურ ბუდიზმში არ არსებობს. კლასიკური ბუდიზმიდან გადმოღებული ბუდა მაიტრეასთან ერთად, მათ სჯეროდათ რომ ემსახურებოდნენ „არდაბადებულ მოხუც დედას", რომელმაც ისინი შეკრიბა განსაკუთრებული მისიისთვის. თეთრი ლოტოსის საზოგადოებას ახასიათებდა გენდერული ეგალიტარიზმი, რომელიც ასევე საკმაოდ უცხო იყო აღმოსავლური კონსერვატული საზოგადოებისთვის. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საზოგადოების წევრების აბსოლუტური უმრავლესობა იყო ეთნიკური ჩინელი, რაც რელიგიურ აქტივობებთან ერთად ხელს უწყობდა ნაციონალისტური იდეების გატარებას. იუენის დინასტია არაჩინური წარმომავლობის ბარბაროსული დინასტია იყო, რომელსაც დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა ჩინელი მოსახლეობის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ჩინელებს არ შეეძლოთ

მონღოლთა უძლიერეს სამხედრო მანქანას დაპირისპირებოდნენ, მათ შეეძლოთ გამოეყენებინათ მოსახლეობის დიდი რაოდენობა და ასევე ვრცელი გეოგრაფიული არეალი სხვადასხვა წინააღმდეგობრივი საქმიანობისთვის. თეთრი ლოტოსის საზოგადოების შექმნის პირველ ხანებში მხოლოდ საპროტესტო აქციებით შემოიფარგლებოდა და არ ჰქონდა მასშტაბური ხასიათი. მონღოლებმა საზოგადოება ძირითადად რელიგიურ სექტად აღიქვეს და თავდაპირველად დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ, თუმცა მოგვიანებით მაინც აქტიურად დევნიდნენ მათ. ხელისუფლების წნეხის შემდეგ დაჯგუფების წევრები იატაკქვეშეთში გადავიდნენ და იქედან გააგრძელეს ნინააღმდეგობა.

როდესაც ცინგის დინასტია მოვიდა ხელისუფლებაში, რელიგიურ-ნაციონალისტურ დაჯგუფებას ახალი მიზანი გაუჩნდა. ისინი ასპარეზზე გამოდიან მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მიზეზი კი საგადასახადო მდგომარეობის გამო დაგროვილი პროტესტია. 1774 წელს პეკინთან ახლოს მდებარე შანტუნგის პროვინციაში საბრძოლო ხელოვნების ოსტატი ვანგ ლუნი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებით უკმაყოფილო ჯგუფებს. მძიმე ტვირთად დაწოლილი გადასახადები იყო მთავარი პრობლემა, რასაც აქტიურად აკრიტიკებდა საზოგადოება და ძალადობრივ მეთოდებსაც არ ერიდებოდა პროტესტის გამოსახატად. სამწუხაროდ, დღესდღეობით სტერეოტიპული შეხედულებაა გავრცელებული ჩინელი საზოგადოების შესახებ, რომ ისინი ისტორიულად მორჩილნი არიან და იშვიათად გამოხატავდნენ პროტესტს ხელისუფლების მიმართ. ეს არ შეესაბამება რეალობას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბოლო 2500 წელი არის სავსე გლეხთა აჯანყებებით, რომლებსაც ზოგჯერ დინასტიებიც კი ეწირებოდნენ, ხოლო მიზეზი პროტესტისა საგადასახადო და მიწის საკუთრების საკითხი იყო.

1774 წელს წამოწყებული სოციალური პროტესტი ხელისუფლებამ მალევე ჩააწყნარა, რადგან იმჟამად ცინგი თავისი ძლიერების ზენიტში იყო და ნამდვილად არ გასჭირვებია რამდენიმე ათასი შეიარაღებული ბერისა და გლეხის განეიტრალება. თუმცა დაახლოებით 20 წლის შემდეგ უკვე იმავე საზოგადოების მიერ ორგანიზებული, გაცილებით მასშტაბური გამოსვლა დაიწყო, რომელიც ძალიან ძვირად დაუჯდა იმპერატორ ციენლუნგსა და შემდგომ უკვე – ძიაცინგს. 1796 წელს ჩინეთის სამ პროვინციაში დაიწყო გამოსვლები

ისევ გადასახადების გამო. გამოსვლები ორგანიზებული იყო ლოტოსის საზოგადოების მიერ. პირველ ეტაპზე საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს. მიუხედავად იმისა, რომ სამი პროვინცია – სჩუანი, ხუპეი და შაანსი არც ისე ახლოსაა ერთმანეთთან, მოულოდნელობის ეფექტმა თავისი როლი შეასრულა და ის სადამსჯელო რაზმები, რომელთაც ლოტოსის წევრების დასჯა ევალებოდათ, პირწმინდად გაანადგურეს. ფაქტობრივად ეს იყო ცინგის დინასტიის პირველი სერიოზული წარუმატებლობა შიდა ფრონტზე. ლოტოსის წევრები მიმართავდნენ პარტიზანულ ტაქტიკას, რომელთან დასაპირისპირებლად ხელისუფლებამ დაიწყო ადგილობრივი მმართველების წახალისება და საპოლიციო ძალების შექმნა, რომლებიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ხეობებსა და ტყეებში აჯანყებულებს. ამასვე დაემატა მანჯურიული სადროშოებისა და ჩინური არმიის – ლუინგპინგის ნაწილებიც და საბოლოო ჯამში ტაქტიკამ გაამართლა. დაახლოებით 10-წლიანი ბრძოლების შედეგად აჯანყებულები გამოიფიტნენ და ნელ-ნელა შეწყდა სამხედრო წინააღმდეგობები. ძალიან რთულია ზუსტ ციფრებზე საუბარი, მაგრამ ჩინური წყაროების მიხედვით, დაახლოებით 100 000 ადამიანი დაიღუპა აჯანყების შედეგად.

სიძლიერიდან ქაოსისკენ. დინასტიის დასუსტება. უზარმაზარ გეოგრაფიულ არეალზე გადაჭიმულ იმპერიას ფაქტობრივად ყველა მხრიდან გაუჩნდა პრობლემები. ერთ-ერთი ყველაზე გადაუჭრელი საკითხი კორუფცია და იზოლაციონიზმი იყო. ეთნიკური მანჯურიელები სამხედრო ელიტად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც არ ერკვეოდნენ და არც ინტერესდებოდნენ პოლიტიკურ-ეკონომიკური ინიციატივებით. ფაქტობრივად ბიუროკრატია და ეკონომიკა ეთნიკურ ჩინელებს ეყრდნობოდა. რა თქმა უნდა, არ არსებობს კორელაცია ეთნოსსა და კორუფციას შორის, მაგრამ მანჯურიელების უცოდინარობა და ელიტარულ პოზიციაში ყოფნა, გარკვეულწილად გახდა საზოგადოებრივ საფეხურზე დაბლა მყოფი ჩინელებისთვის შესაძლებლობა, რომ ეკონომიკური სარგებელი ენახათ და კორუფციის ჭაობი სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში უკვე ნათლად ჩანდა ის ნეგატიური კონტურები, რომლებიც იმპერის პრობლემებზე მიანიშნებდა. მანჯურიელი მედროშეები წინა დეკადანსებისგან განსხვავებით სულ უფრო სცილდებოდნენ სამხედრო საქმეს. თუ წლების განმავლობაში მანჯურიული კავალერია ელიტარულ ნაწილებს

წარმოადგენდა და შიშის ზარს სცემდა იმპერიის შიდა და გარე მტრებს, ძიაცინგის პერიოდში უკვე მათი ბრძოლისუნარიანობა საგრძნობლად დაეცა. სამხედრო მმართველები იმის მაგივრად რომ ჯარის წვრთნასა და მომარაგებაზე ეზრუნათ, გადართულნი იყვნენ მასობრივ გართობაზე. კერძოდ, მომრავლდა ოპიუმის სახლები, სადაც გართობა და დროს ტარება საყოველთაო წესად იქცა. ამავე პერიოდს ემთხვევა მამლების ორთაბრძოლების საჯაროდ ყურებების მასობრივი გავრცელება. ერთი სიტყვით, მთლიანი სახელმწიფო ნელ-ნელა იმ უნარს რამაც შედარებით მცირერიცხოვანი მანჯურიელები მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი იმპერიის მმართველ ხალხად აქცია. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში მანჯურიელთა ტომების გაერთიანების კვალდაკვალ მათთვის წარმატების მომტანი ფაქტორი იყო ინოვაციებისადმი მათი დამოკიდებულება. ადრეული ცინგის პოლიტიკური ელიტა ცდილობდა შეეთვისებინა ყველა დეტალი, რომელიც შეიძლებოდა მათი სამომავლო საქმისთვის წარმატების მომტანი ყოფილიყო, დაწყებული ადმინისტრაციულ სამხედრო მოწყობით, გაგრძელებული სხვა საარტილერიო და სანაოსნო საქმეების სწავლით. ძიაცინგის მმართველობის პირველი ხანები კი უკვე სერიოზული კრიზისით აღინიშნა. მიუხედავად იმისა, რომ ლოტოსის საზოგადოების აჯანყება წარმატებით ჩაახშვეს სახელისუფლებო ძალებმა, ისინი არ იყვნენ მზად იმ გამოწვევებისა და სირთულეებისთვის, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის საერთაშორისო სისტემისთვის იყო დამახასიათებელი.

კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა, რომელიც დინასტიისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, იყო ე.წ. „ცენტრალიზმის განცდა"[1]. ჩინური ცენტრალიზმი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ნიშანსვეტი იყო ჩინური პოლიტიკური აზროვნების, მეცხრამეტე საუკუნეშიც გადმოვიდა ტრადიციით. ჩინური ცენტრალიზმის იდეა, რომლის მიხედვითაც თავად ქვეყანა სამყაროს ცენტრია არა მხოლოდ გეოგრაფიულად, არამედ კულტურულადაც, კიდევ უფრო გაძლიერდა მე-18 საუკუნეში, როდესაც იმპერია ფაქტობრივად ორჯერ გაიზარდა და მეზობელი სახელმწიფოები (ნეპალის სამეფო, კორეის სამეფო, ვიეტნამი) ხარკს უხდიდნენ ცინგის იმპერიას. თუმცა მეცხრამეტე საუკუნის

[1] ტერმინი ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორს, ჩინეთის ახალი და უახლესი ისტორიის ექსპერტს ოდდ არნი ვესტადს ეკუთვნის.

პირველი ნახევარი უკვე რადიკალურად განსხვავებულ საერთაშორისო სისტემას წარმოადგენდა. კოლონიალისტი ევროპული სახელმწიფოები, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთი, პორტუგალია, ესპანეთი და საფრანგეთი, აქტიურად იმტკიცებდნენ გავლენებს აღმოსავლეთ აზიაში. ჩინეთში კი მათ შესაძლებლობებზე ძალიან სუსტი წარმოადგენა ჰქონდათ. ერთადერთი სახელმწიფო, რომელთანაც ჩინეთს ისეთივე ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული, როგორიც ვესტფალიის შემდგომ საერთაშორისო სისტემაში იყო დამკვიდრებული, რუსეთის იმპერია გახლდათ. ამას თავისი ლოგიკური მიზეზიც ჰქონდა, რადგან რუსეთ-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობის განსხვავებული ხასიათი ზუსტად განაპირობა ცინგის დინასტიის ჯუნგართა ხაკანატთან ბრძოლამ იმისათვის, რომ ზურგი დაცული ჰქონოდა იმპერიას, იმპერატორმა ქანგსიმ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსი მართლმადიდებელი მღვდლები ერთადერთი ქრისტიანული ჯგუფი იყო, რომელიც უპრობლემოდ აღავლენდა წირვას პეკინში. რუსებს იეზუიტებისგან განსხვავებით არ ჰქონიათ მცდელობა, კონფუციზმთან და ბუდიზმთან ქრისტიანობის საერთო მახასიათებლები ეძებნათ. შედეგად, ისინი აბსოლუტურად იზოლირებულნი იყვნენ ადგილობრივებისგან და დიდი პრობლემა არ შეუქმნიათ.

სახელმწიფოს პრობლემებზე ასევე მეტყველებს თავდასხმა იმპერატორ ძიაცინგზეც. ნაპოლეონ ბონაპარტის ევროპაში დამარცხების შემდეგ ბრიტანეთის იმპერიამ მთელი ყურადღება აღმოსავლეთზე გადაიტანა. აღმოსავლეთის ინდოეთის კომპანია ცდილობდა მონოპოლია დაემყარებინა ვაჭრობაში. პოზიტიური შეტყობინებები მოდიოდა ინდოეთიდან და ჩინეთიდან ოპიუმის გაყიდვის მასშტაბებზე. იმ პირობებშიც, როცა მხოლოდ კანტონში იყო გახსნილი სავაჭრო პუნქტი, ბრიტანელი ვაჭრები მაინც დიდ მოგებას ნახულობდნენ. სწორედ ამ ვითარებაში, 1820 წელს გარდაიცვალა იმპერატორი ძიაცინგი, რომელმაც მამისგან უზარმაზარი მემკვიდრეობა მიიღო 1796 წელს, თუმცა მისი ერა ჩინურ ისტორიოგრაფიაში შევიდა როგორც რეგრესისა და პრობლემებით სავსე ხანა, რომელმაც პლანეტის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო ქაოსისა და დაპირისპირების არეალად აქცია.

ოპიუმის პირველი ომი და „ჩაგვრის საუკუნის“ დასაწყისი

1820 წელს, როდესაც იმპერატორი ძიაცინგის გარდაიცვალა, ტახტი დაიკავა მისმა მეთხუთმეტე ვაჟმა მიენნინგმა, რომელიც 1782 წელს დაიბადა აკრძალულ სასახლეში. ტახტზე ასვლისას იმპერატორს ეწოდა ტაოკუანგი. ტაოკუანგის პერიოდი გახდა დასაწყისი ასწლიანი ქაოსისა და ნახევრად კოლონიური რეჟიმისა ქვეყნის ისტორიაში, როდესაც ფაქტობრივად მოიშალა ცინგის დინასტიის პირველ ეტაპზე შექმნილი წარმატებული მმართველობითი სისტემა. ქვეყანა მოიცვა შიდა ქაოსმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც საბოლოო ჯამში მონარქიის დამხობა გამოიწვია.

ხოჯების აჯანყება სინძიანგში. ტაოკუანგი ახალი ასული იყო იმპერიის ტახტზე, როდესაც ქვეყნის უკიდურეს დასავლეთში პრობლემებმა იჩინა თავი. სინძიანგში პეკინის მმართველობა სწორედ ცინგის დინასტიის დროს დაიწყო. რეგიონში არსებობდა იმპერიის მიმართ ლოიალურად განწყობილი ჯგუფებიც და ასევე მათ მოწინააღმდეგე მუსლიმური ჯგუფები. იმპერიის მიმართ ლოიალურად განწყობილნი იყვნენ ეთნიკური უიღურები, რომლებიც ცხოვრობდნენ შავი მთის მიდამოებში. მათ მეორენაირად ხიტაი ფარასტს ანუ ჩინეთის მიმდევრებს უწოდებდნენ. უიღურთა ეს ჯგუფი ართუშში ცხოვრობდა კომპაქტურად. უიღურთა შორის ასევე არსებობდა თეთრი მთის მიდამოებში მცხოვრები ჯგუფები, რომლებიც იმავე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები იყვნენ, თუმცა იწოდებოდნენ როგორც საიდ ფარასტად, ანუ მორწმუნეებად. უიღურთა ეს ჯგუფი გამოირჩეოდა მკვეთრად ნაციონალისტური შეხედულებებით. ისინი სხვადასხვა მეთოდებით ეწინააღმდეგებოდნენ ჩინელ-მანჯურიელთა ექსპანსიას რეგიონში.

როდესაც ცინგის დინასტიამ ფაქტობრივად აიღო ძალაუფლება რეგიონში, მან იქ ჩინური ბიუროკრატიული ელემენტები შეიტანა. მანჯურიელების ტრადიციების თანახმად, ისინი ადგილობრივებს აქტიურად იყენებდნენ სამოხელეო აპარატში. ასე აღმოჩნდნენ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ხიტაი ფარასტის უიღურები, რომლებიც მუდმივ დაპირისპირებაში იყვნენ ე.წ. „მორწმუნე უიღურებთან“. უიღურების გარდა რეგიონში ასევე მრავლად სახლობდა ორი მუსლი-

მური ეთნიკური ჯგუფი: ხუეის და ტუნგანის ხალხი. ორივე ჯგუფი პეკინისადმი ლოიალურად იყო განწყობილი. „მორწმუნე უილურებს“ სამხედრო და ფინანსური კუთხით მხარს უმაგრებდა კოკანდის სახანო, რომელიც დღევანდელი უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის გარკვეულ ტერიტორიებს მოიცავდა.

1825 წელს რეგიონის ყველაზე გავლენიანმა ჯაჰანგირ ხოჯამ წამოიწყო სამხედრო კამპანია სინძიანგში ცინგის დინასტიისა და მათი მხარდამჭერი უილურების წინააღმდეგ. ისინი მოულოდნელად თავს დაესხნენ რეგიონის უკიდურესი დასავლეთით მდებარე ქალაქ კაშგარს, რომელიც მთელი შუა საუკუნეების პერიოდში საკვანძო ქალაქი იყო აბრეშუმის გზაზე ვაჭრობის მხრივ. კაშგარში დახოცეს უილური გამგებელი და ქალაქის ჩინელი მცველები. 21-ე საუკუნეშიც კი, როდესაც სინძიანგ-უილურეთის ინფრასტრუქტურა წლიდან წლამდე ვითარდება, ზოგ შემთხვევაში ძნელია კაშგარამდე გადაადგილება რთული გეოგრაფიული მდებარეობის გამო. აქედან გამომდინარე, ვერ მოხერხდა სწრაფად დაკავშირება მახლობელ ჩინურ პროვინციებში დისლოცირებულ ჩინურ ჯარებთან. პირველი რაც მოკავშირე ჩინელებმა და უილურებმა გააკეთეს, შექმნეს პოლიციური ძალები და გაამაგრეს საფორტიფიკაციო ნაგებობები. ასევე, მათ დასახმარებლად უხმეს დუნგანების[1] მომთაბარე ტომებს. როგორც სხვა მომთაბარენი, დუნგანებიც სწრაფად გადაადგილდებოდნენ სტეპებსა და უდაბნოებში. ქალაქ ილთან დუნგანების ჯარს ჩინელებმაც მიუსწრეს და ჯაფანგირის ძალები სასტიკად დაამარცხეს. ჯაფანგირი ბრძოლის ველიდან გაიქცა და თავი ხეობებს შეაფარა. ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, ის უზბეკებმა მოკლეს. კოკანდის სახანომ ახლა უკვე ჯაფანგირის ძმას, იუსუფს დაუჭირა მხარი და 1830 წელს ცენტრალურმა აზიელებმა მეორედ აიღეს კაშგარი. ამ მდგომარეობაში უილურები და მანჯურიელები უშუალოდ მოელაპარაკნენ კოკანდის ხანს, რომ შეეწყვიტა დახმარება ხოჯებისადმი და საბოლოოდ დაემყარებინათ მშვიდობა. კოკანდის ხანი დათანხმდა

[1] დუნგანები – ჩინეთის ჩრდილოეთით სტეპებში მომთაბარე ეთნიკური ჯგუფი, რომელიც თავდაპირველად პეკინისადმი ლოიალურად იყო განწყობილი და ზოგ შემთხვევებში სამხედრო კამპანიებშიც კი იღებდა მონაწილეობას, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მათ შორის ურთიერთობა გართულდა, რამაც დუნგანების აჯანყება გამოიწვია. აჯანყება წარუმატებელი გამოდგა. ამის შემდეგ დუნგანებმა ნელ-ნელა დაიწყეს შუა აზიასა და რუსეთში დასახლება.

და ცინგის დინასტიამ 1830 წელს გააფორმა მშვიდობის დაცვის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით კოკანდა პირობას დებდა, რომ არ აღმოუჩენდა სამხედრო ან სხვა ტიპის დახმარებას სეპარატისტულად განწყობილ ხოჯებს.

ანტინარკოტიკული კამპანია და სამხედრო დაპირისპირება დიდ ბრიტანეთთან. სინძიანგში აჯანყების ჩახშობის შემდეგ საიმპერატორო კარმა გადაწყვიტა მოეძებნა რაიმე ტიპის გამოსავალი ოპიუმის ვაჭრობასთან დაკავშირებით. მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში ჩინეთსა და ბრიტანეთს შორის იყო დიდი სავაჭრო დეფიციტი. ჩინურ პროდუქტებზე – ჩაიზე, აბრეშუმსა და ა.შ. ბრიტანეთის იმპერიაში უდიდესი მოთხოვნა იყო, ხოლო ბრიტანეთიდან შეტანილი პროდუქტი საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურებოდა იმპორტთან შედარებით. ერთადერთი პროდუქტი, რომელზეც ჩინურ ბაზარზე მოთხოვნა იზრდებოდა, ოპიუმი იყო, თუმცა მკაცრად რეგულირებული კანტონური სისტემის გამო ინგლისელები მხოლოდ მცირე რაოდენობით პროდუქტის ყიდვას ახერხებდნენ. ცინგის დინასტიის სავაჭრო რეგულაციების მიხედვით, მხოლოდ ქოპონგის[1] ვაჭრებს ჰქონდათ უცხოელებთან ვაჭრობის ლეგალური უფლება. 1834 ბრიტანეთიდან კანტონში ბრიტანელების ახალი მისია ჩავიდა ლორდ ნაპიერის ხელმძღვანელობით, რომელმაც კუანგტუნგის გენერალ-გუბერნატორთან აუდიცენცია მოითხოვა, რათა მასთან ვაჭრობის საკითხები განეხილა, თუმცა პროვინციის გენერალ-გუბერნატორმა „ბარბაროს ვაჭართან" შეხვედრა არ ჩათვალა საჭიროდ. 1836 წლისთვის აღმოსავლეთ ინდოეთიდან იმპორტირებული ოპიუმის მოცულობა 30 ათას ყუთს შეადგენდა, ეს მოცულობა ორ წელიწადში 10 ათასი ყუთით გაიზარდა. ოპიუმით ვაჭრობა გახდა ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი ბიზნესი ქოპონგის ვაჭრებისა და ადგილობრივი კორუმპირებული ხელისუფლებისათვის. 1838 წლისათვის პეკინში დაიწყო დისკუსია, თუ როგორ უნდა მოეგვარებინათ ოპიუმის პრობლემა. იმპერატორს ურჩევდნენ როგორც ოპიუმის ლეგალიზებას, ასევე მის მკაცრად აკრძალვას. ორ ბანაკს იყო დაპირისპირება პრობლემების

[1] ქოპონგის ვაჭრები – სპეციალური სავაჭრო გილდია ცინგის დინასტიაში, რომელსაც ჰქონდა უფლება უცხოელებთან ევაჭრა კანტონური სისტემის რეგულაციებით. სწორედ ეს ჯგუფი იყო ერთ-ერთი მთავარი წყარო კონტრაბანდისა და უკანონო ვაჭრობისა.

გადაჭრის გზებზე. პეკინისთვის სამხრეთ ჩინეთიდან მიღებული ინფორმაცია საგანგაშო იყო. თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ოპიუმი უბრალო სარელაქსაციო ან სამედიცინო მიზნით გამოიყენებოდა, მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებში მისი მოხმარება უკვე ფართოდ იყო გავრცელებული მოსახლეობაში, განსაკუთრებით ბიუროკრატიულ ელიტასა და სამხედრო ნაწილებში. ცნობები იყო საგანგაშო, რადგან ფაქტობრივად სამხრეთ ჩინეთში მდებარე ცალკეული საბრძოლო დანაყოფები აბსოლუტურად ბრძოლის უუნარონი იყვნენ და მათი გართობის ძირითადი წყარო ოპიუმის სახლებში საათობით ყოფნა იყო. აქედან გამომდინარე, იმპერატორმა ტაოკუანგმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საბოლოოდ აეკრძალა ოპიუმის ყველა ფორმით ვაჭრობა კანტონში და დაემყარებინა წესრიგი. ამისათვის მან შეარჩია გამორჩეული ბიუროკრატი ლინ წესიუ, რომელიც აბსოლუტურად თავისუფალი იყო მოქმედებაში. ლინ წესიუს დაევალა ჩასულიყო სამხრეთ ჩინეთში და აღეკვეთა ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა (სურ. 182).



სურ. 182 ლინ წესიუ

ლინ წესიუს ჩასვლა კანტონში და ბრძოლა ნარკოტიკებით ვაჭრობასთან. 1839 წელს ლინ წესიუ მოულოდნელად და საიდუმლოდ ჩავიდა კანტონში და დაიწყო სხვადასხვა ღონისძიების გატარება, რათა აღეკვეთა უკანონო ვაჭრობა. საიმპერატორო კარისთვის ოპიუმის ვაჭრობასთან ერთად პრობლემას ქმნიდა უცხო ძალების მხრიდან პოლიტიკური ზეწოლა სავაჭრო საკითხებთან დაკავშირებით. ამიტომ პეკინში მტკიცედ გადაწყვიტეს, ჭკუა ესწავლებინათ უცხოელებისთვის. ფაქტია, რომ იმდროინდელ ჩინურ სამხედრო დაზვერვას წარმოდგენა არ ჰქონდა ბრიტანეთის საზღვაო ძალებსა და მის პოტენციალზე განსხვავებით ბრიტანელებისგან, რომლებიც მშვენივრად ხედებოდნენ, რომ ომში ჩინეთს ვერ დაამარცხებდნენ. მეტიც, არავის სჭირდებოდა ფართომასშტაბიანი კონფლიქტი სამას მილიონიან ქვეყანასთან, საჭირო იყო მხოლოდ მცირემასშტაბიანი კონფლიქტი, რომელიც აიძულებდა ჩინელებს წასულიყვნენ დათმობებზე და გაეხსნათ სხვა ქალაქები სავაჭროდ.

ლინ წესიუ გამოცდილი ბიუროკრატი იყო, რომელმაც ხანლინის ელიტური აკადემია დაამთავრა და დიდი ხნის განმავლობაში მსახურობდა სახელმწიფო აპარატში. ოპიუმის ომის წინა პერიოდში ის ხუპეისა და ხენანის პროვინციებს მართავდა და გამოირჩეოდა ანტინარკოტიკული პოლიტიკით. სწორედ ასეთი გამოცდილების გამო იმპერატორმა მას ჩააბარა ოპიუმის საკითხი. როდესაც ლინ წესიუ კანტონში ჩავიდა, მან აქტიური ღონისძიებების გატარება დაიწყო. ლინის ანტინარკოტიკული კამპანია შეგვიძლია რამდენიმე მიმართულებად დავაჯგუფოთ:

- ოპიუმის მასობრივი კონფისკაცია და იმ გასართობი სახლების დახურვა, სადაც ოპიუმს მოიხმარდნენ;
- ქოჰონგის ვაჭრებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების დაკითხვა და ხშირ შემთხვევაში მათი დაკავება;
- ბრიტანელი ვაჭრების გაფრთხილება ოპიუმის მიმოქცევის სრულად აკრძალვაზე;
- სანაპირო ზოლის საფორტიფიკაციო ნაგებობების გამაგრება.

როგორც ლინმა გაარკვია, მდგომარეობა იმაზე საგანგაშო იყო, ვიდრე თავად წარმოედგინა. ნარკოტიკებით ვაჭრობაში ჩართული იყო ჩინელი ვაჭრებისა და მოხელეების მთელი ქსელი და არსებობდა კონტრაბანდული სქემა, რომლის მეშვეობითაც ოპიუმი ლეგალური აქციზის ქვეშ ხვდებოდა კანტონის პორტში და შემდეგ იქედან – მთელ ჩინეთში.

ჩამორთმეულ ოპიუმს ზღვაში ყრიან. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაახლოებით 1600 ჩინელი დააკავეს საპოლიციო ძალებმა. დაკავებულებს შორის ზოგი საჯარო მოხელე იყო, ზოგი – ქოჰონგის სავაჭრო გილდიის წევრი. კონფისკირებულ იქნა ასეულობით ყუთი ოპიუმი, რომელიც ლინ წესიუს ბრძანებით, საჯაროდ გადაყარეს წყალში. ამას გარდა, ლინმა ბრიტანელ ვაჭრებს მოსთხოვა ზუსტი ანგარიში, თუ რა სახის და რაოდენობის იარაღს ფლობდნენ ჩინეთის ტერიტორიაზე. ბრიტანელებმა იარაღის შესახებ მონაცემების წარდგენაზე თავი შეიკავეს და თავდაცვისათვის მოემზადნენ. ლინ წესიუმ ღია წერილი მისწერა ინგლისის დედოფალ ვიქტორიას, რომელშიც მან ხაზი გაუსვა იმ უარყოფით ფაქტორებს, რაც ოპიუმით ვაჭრობასა და უშუალოდ ნარკოტიკს მოჰქონდა. თუმცა ისტორიული

ცნობების მიხედვით, აღნიშნულ წერილს არ მიუღწევია ლონდონამდე და გზაში „დაიკარგა". ჩინურმა ფლოტმა ასევე ჩაკეტა მარგალიტის მდინარის არხი, რომელიც აქტიურად გამოიყენებოდა კანტონში შესასვლელად. მათ დაიწყეს რეიდები ახლო მყოფ ბრიტანულ გემებზე და მთლიანად ჩამოართვეს საქონელი.

ბრიტანულ ოპიუმთან ერთად ასევე კონფისკირებული იყო თურქული ოპიუმი, რომელსაც ამერიკელი ვაჭრები ეზიდებოდნენ ჩინეთში და ფასის გამო კონკურენცია ჰქონდათ ბრიტანელებთან. ჩინეთის მთავრობის პოლიტიკამ გამოიწვია აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის შეშფოთება. მათ თავიანთი ძალებით დაიწყეს სამხედრო წინააღმდეგობისთვის მომზადება და ითხოვდნენ ჩამორთმეული საქონლის ანაზღაურებას, რასაც, რა თქმა უნდა, ჩინური მხარე არ აპირებდა. ჩარლზ ელიოტი[1] მკაცრ სამხედრო პასუხს ითხოვდა. მისი აზრით, ეს იყო ბრიტანეთის იმპერიისთვის სახეში სილის გაწვნა და აუცილებელი იყო „ჩინელებისთვის ჭკუის სწავლება". რადგან აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის მთავარი პროდუქტით ვაჭრობა აიკრძალებოდა პლანეტის ყველაზე მრავალრიცხოვან სახელმწიფოში, ამით ბრიტანეთის საზღვაო და სავაჭრო ჰეგემონიას, სავარაუდოდ, საფრთხე დაემუქრებოდა. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ხანებში ბრიტანეთი უკვე იყო ზღვების მბრძანებელი იმპერია, ხოლო ხმელეთზე მისი მთავარი მოწინააღმდეგის, საფრანგეთის დამარცხების შემდეგ მას მოქმედების ფართო არეალი გაეხსნა. აღმოსავლეთ აზიაში ცინგის დინასტია იყო ყველაზე დიდი და მრავალრიცხოვანი სუვერენული სახელმწიფო, რომელიც სასურველი გასაღების ბაზარი იყო ნებისმიერი ქვეყნისთვის, უპირველეს ყოვლისა, დასავლური სახელმწიფოებისთვის, სადაც მიმდინარე ტექნოლოგიურმა პროგრესმა გაზარდა გამოშვებული საქონლის რაოდენობა და შეიქმნა პროდუქციის სიჭარბე. ოპიუმი შესანიშნავი საშუალება იყო მოკლე დროში უზარმაზარი კაპიტალის ბრუნვისთვის, რადგან მისი პლანტაციები მეტწილად ინდოეთში ჰქონდათ გაშენებული, ხოლო გასაღების ბაზარი იქვე ჩინეთში იყო, ტრანსპორტირებაც და ლოჯისტიკაც საკმაოდ გამართული სქემით ხდებოდა. ლინ წესიუს პოლიტიკა პირდა-

[1] ჩარლზ ელიოტი-ბრიტანეთის სამეფო საზღვაო ძალების მაღალჩინოსანი და 1842 წლიდან ჰონგ-კონგის ადმინისტრატორი.

პირ საფრთხეს უქმნიდა ინგლისის კოლონიალისტურ ჰეგემონიას და სწორედ ამის გამო ითხოვდა ელიოტი სამხედრო პასუხს.

ბრიტანელები უკვე წლების განმავლობაში ვაჭრობდნენ ჩინეთში. მათ მშვენივრად იცოდნენ ძალთა თანაფარდობა. დედოფალ ვიქტორიას მიმართ გაგზავნილ წერილებში აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის ხელძღვანელები ამტკიცებდნენ, რომ საერთოდაც არ იყო საჭირო ფართომასშტაბიან ომში ჩართვა, რადგან ჩინური ნიჩბიანი გემები ბრიტანულ ხომალდებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. ამასთან გემებზე დამონტაჟებულ ბრიტანულ ქვემეხებს გაცილებით შორს შეეძლოთ ზიანის მიყენება, ვიდრე ჩინურებს.

ოპიუმის აკრძალვის პარალელურად ლინმა შესთავაზა უცხოელ და ჩინელ ვაჭრებს, გაეფორმებინათ დოკუმენტურად ვალდებულება, რომ ოპიუმით ვაჭრობაში აღარ მიიღებდნენ მონაწილეობას, ხოლო ლეგალური საქონლის ბრუნვა გაგრძელდებოდა ჩვეულებრივ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბრიტანელ ვაჭრებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დასთანხმდნენ ამ ნინადადებას, რათა არ დაეკარგათ უფლება სხვა პროდუქტების გაყიდვისა. თუმცა ჩარლზ ელიოტი და მისი თანამოაზრეები უარს აცხადებდნენ ამ ვალდებულების აღებაზე. მათი მტკიცებით, ეს ეწინააღმდეგებოდა თავისუფალი ვაჭრობის პირობებს. მეტიც, ისინი მოითხოვდნენ ჩამორთმეული ოპიუმის ფულად კომპენსაციას.

კოვლონის ინციდენტი და პირველი შეტაკებები. მარგალიტის მდინარის დელტაში დაპირისპირებულ მხარეებს შორის კვირიდან კვირამდე რთულდებოდა სიტუაცია. 1839 წლის ივლისში დელტაში მდებარე ერთ-ერთ დასახლებაში ჩინელი ვაჭრისგან ნაყიდი პროდუქტით ორი ბრიტანელი ჯარისკაცი მოიწამლა. ამ ფაქტის შემდეგ ბრიტანელმა მეზღვაურებმა მოკლეს ჩინელი ვაჭარი, სახელად ლინ ვეისი. ეს ინციდენტი გახდა სერიოზული პროტესტის მიზეზი ჩინურ საზოგადოებაში. ადგილობრივი ხელისუფლება ითხოვდა დამნაშავეების გადაცემასა და სიკვდილით დასჯას, რაზეც ბრიტანელებმა უარი განაცხადეს. ჩარლზ ელიოტმა მეზღვარების გადაცემაზე უარი განაცხადა და ლინ წესიუს შეუთვალა, რომ მათ დასჯიდა ბრიტანული კანონებით. ამას გარდა, მოიწვია ჩინელებიც რათა თვალყური ედევნებინათ დასჯისთვის. ჩინელმა მოხელეებმა სასტიკი უარი განაცხადეს ელიოტის შეთავაზებაზე. ლინ წესიუმ ბრიტანელების სა-

ქციელი ჩინეთის სუვერენიტეტის დარღვევად მიიჩნია და მაკაოში მცხოვრებ ჩინელ ვაჭრებსა და გლეხებს აუკრძალა საკვები პროდუქტებით ვაჭრობა ბრიტანელებთან. ფაქტობრივად მდინარის დელტაში მყოფი ბრიტანელი მოსახლეობა შიმშილობისთვის იწირებოდა. ამ ფაქტთან ერთად ბრიტანულ გემებს რამდენჯერმე მეკობრეები დაესხნენ თავს. ვაჭრების აზრით, მეკობრეები ლინთან შეთანხმებულად მოქმედებდნენ.

4 სექტემბერს ჩარლზ ელიოტმა ორი გემი გააგზავნა კოვლონში რათა საკვები პროდუქტი შეეძინა დასახლებისთვის. ისინი ჩინური სამხედრო გემების მეთვალყურეობით შევიდნენ ფორტში და ითხოვეს საკვები პროდუქტები. ფორტის ხელმძღვანელმა უარი განაცხადა საკვები პროდუქტების მიყიდვაზე, ჩარლზ ელიოტი დაიმუქრა, რომ არ დაუშვებდა ბრიტანელების შიმშილს და თუ საჭირო გახდებოდა, გახსნიდა ცეცხლს დასახლების მიმართულებით. მართლაც, დღის სამ საათზე ბრიტანულმა ქვემეხებმა გაისროლეს. საპასუხო სროლამაც არ დააყოვნა ჩინელების მხრიდან. ორმხრივი სროლის შედეგად ჩინურმა გემებმა უკანდახევა გადაწყვიტეს, რადგან გაანალიზეს მოწინააღმდეგეების ტექნიკური უპირატესობა. ბრიტანელების ნაწილი ითხოვდა სახმელეთო ოპერაციის დაწყებას კოვლონის საფორტიფიკაციო ნაგებობის წინააღმდეგ, რათა დაესაჯათ ჩინური მხარე, თუმცა ელიოტს კარგად ესმოდა ფორტის მცველების რაოდენობრივი უპირატესობა. თან სახმელეთო ბრძოლებში ის ტექნიკური უპირატესობა სულაც არ ექნებოდათ, რომელიც ზღვაზე ჰქონდათ. ამიტომ თავი შეიკავა სახმელეთო ოპერაციისაგან. ამასთან ერთად, მან წერილები დააგზავნა ახლომდებარე ჩინურ სოფლებსა და დასახლებებში, რომ არც ერთ ბრიტანელს არ სურდათ ომი, მათ მხოლოდ საკუთარი თანამემამულეების გამოკვება უნდოდათ. ამის შემდეგ ბრიტანელებმა ნელ-ნელა დაიწყეს პროდუქტების მომარაგება. კოვლონის ფორტის ხელმძღვანელის მონაცემებით 50-ამდე ჯარისკაცი დაელუპა მოწინააღმდეგეს, ორი გემი ჩაიძირა და ჯამში ბრიტანელებთან შეტაკება წარმატებულად ჩათვალა, რაც კარგად აჩვენებს იმას, თუ იმ დროისთვის რამდენად მოკლებულნი იყვნენ რეალობის ობიექტურ აღქმას და სამხედრო სადაზვერვო ინფორმაციას.

ჩუანპის საზღვაო შეტაკება. 1839 წლის ოქტომბრის ბოლოს ჩინეთის სასაზღვრო წყლებში შევიდა ბრიტანული სავაჭრო ხომალდი

„Thomas Coutts“, რომელსაც ხელმძღვანელობდა კაპიტანი ვარნერი. ისინი უარს აცხადებდნენ ოპიუმით ვაჭრობაზე და აკრიტიკებდნენ ჩარლზ ელიოტის პოლიტიკას. ვარნერის აზრით, ოპიუმის აკრძალვაზე დათანხმებით, მათ შეეძლოთ სხვა პროდუქტებით თავისუფლად ევაჭრათ ზედმეტი გართულებების გარეშე და არ იყო საჭირო პრობლემების შექმნა ნარკოტიკების გამო მომგებიან ბაზარზე. ამიტომ ისინი ელიოტის გვერდის ავლით ცდილობდნენ მოლაპარაკებებს ჩინელ მოხელეებთან და თანხმდებოდნენ მათ წინადადებას ოპიუმის მკაცრად აკრძალვის თაობაზე. „Thomas Coutts“-ის მაგალითს კიდევ ერთი ბრიტანული სავაჭრო ხომალდი „Royal Saxon“ მიჰყვა. აღნიშნული პრეცენდენტი საფრთხეს უქმნიდა აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის ეკონომიკურ მონოპოლიას. ამიტომ ელიოტის ბრძანებით ჩინური კანტონის მისადგომებთან გამოცხადდა ბლოკადა ნებისმიერ ბრიტანულ გემზე, რომელიც კი მათი გვერდის ავლით შეეცდებოდა ჩინურ მხარესთან დამოუკიდებლად მოლაპარაკებას. საბრძოლო მოქმედებები აღმოსავლეთ ინდოეთის ჩინურმა ფლოტმა დაიწყო იმიტომ, რომ პორტში შემოეშვათ ის ბრიტანული ხომალდები, რომლებსაც პროდუქცია უნდა გაეყიდათ კანტონის ბაზრობაზე. როდესაც „Roayl Saxon“-მ გაფრთხილებების მიუხედავად კურსი კანტონისკენ აიღო, ელიოტის ბრძანებით გახსნეს გამაფრთხილებელი ცეცხლი, რაზეც საპასუხო ცეცხლი მოჰყვა ჩინური მხრიდან. ჩუანპის შეტაკებებში 4 ჩინური ხომალდი ჩაიძირა და რამდენიმე მძიმედ დაზიანდა. შეტაკების დასრულების შემდეგ ელიოტმა უბრძანა ბრიტანულ გემებს მაკაოსკენ აეღოთ კურსი და სთხოვა მაკაოს პორტუგალიელ გუბერნატორს მიეწოდებინა საკვები და სხვა საჭირო პროდუქტები, რაზეც პორტუგალიელებმა უარი განაცხადეს, რადგან მათ არ სურდათ ნასულიყვნენ ჩინეთის კანონების წინააღმდეგ. 1840 წელს იმპერატორმა ტაოკუანგმა ჩინეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა უცხოურ სავაჭრო მისიას აუკრძალა ბრიტანელებთან ნებისმიერი სახის სავაჭრო ურთიერთობები.

განხეთქილება ბრიტანელ პოლიტიკოსებში ოპიუმის ომის გამო. სამხედრო შეტაკებების შემდეგ ბრიტანულ პოლიტიკურ წრეებში დაიწყო განხეთქილება ჩინეთის და ოპიუმის საკითხის გარშემო. საკანონმდებლო ორგანოში სხვადასხვა ჯგუფების პრობლემის გა-

დაჭრის განსხვავებულ მეთოდებს სთავაზობდნენ ბრიტანეთის ხელისუფლებას.

იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, ლორდი პალმერსტონი ცნობილი იყო თავისი აგრესიული საგარეო პოლიტიკით. მისი აზრით, ოპიუმი უნდა განხილულიყო როგორც ინგლისელების კერძო საკუთრება, რომელიც ჩინეთის მთავრობამ გაანადგურა. შესაბამისად პასუხიც უნდა ყოფილიყო მკაცრი. საბოლოოდ, პოლიტიკური დებატებიც ომის მომხრეების სასარგებლოდ დასრულდა. ფინანსური უზრუნველყოფის შემდეგ მთავარი ინიციატივა ხელში პალმერსტონმა აიღო. მან ორი საგანგებო წერილი მოამზადა. ერთი წერილით ის ელიოტს აძლევდა დავალებებს, ხოლო მეორე წერილით იმპერატორ ტაოკუანგს მიმართავდა. ელიოტისთვის გაგზავნილ წერილში ის კანტონთან ერთად მდინარე იანგწის შესართავის დაკავების ბრძანებას იძლეოდა, რათა გაკონტროლებულიყო ჩინეთის შიდა სამდინარო სისტემის უმნიშნელოვანესი ე.წ. „დიდი არხი", რომელიც ქალაქ ხანჭოუდან ლამის პეკინამდე აკავშირებდა სხვადასხვა მდინარესა და ტბას. ამასთან ერთად, ბრიტანულ გემებს უნდა მოეხდინათ მარგალიტის მდინარის დელტის ბლოკადა. იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში პალმერსტონი იტყობინებოდა, რომ ბრიტანული ფლოტი გააგრძელებდა სანაპიროების ბლოკადას მანამ, სანამ არ შესრულდებოდა შემდეგი პირობები:

- პატივითა და დიპლომატიური ეთიკის დაცვით მიეღოთ ბრიტანული მისიები პეკინსა და მის ფარგლებს გარეთ;
- აენაზღაურებინათ უკლებლივ ყველა იმ პროდუქტის საზღაური (მეტწილად ოპიუმის), რომელიც ჩამოართვეს ლინ წესიუს ბრძანებით;
- გაეხსნათ პორტები ბრიტანული გემებისთვის შანგხაისა და ნინგპოში. ასევე მიეცათ უფლება თაივანის ჩრდილოეთით მდებარე დასახლებებში საჭიროებისამებრ ჩაეშვათ ლუზა და ევაჭრათ.

ამასთან ერთად, პალმერსტონის წერილში იყო მოთხოვნები ჩინეთის ტერიტორიაზე ბრიტანელების ვაჭრობასა თუ სხვა საკითხებში უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების თაობაზე. ფაქტობრივად პალმერსტონის წერილი გახდა იმ პროცესების ინდიკატორი, რომელიც დღესაც ახდენს გავლენას ჩინეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. თემთა პალატის გადაწყვეტილება გახდა საფუძველი ასნლია-

ნი ქაოსისა ჩინეთის უახლეს ისტორიაში, რომელსაც თანამედროვე ჩინური ისტორიოგრაფია ასწლიანი ჩაგვრის საუკუნედ მოიხსენიებს.


ომის მიმდინარეობა. ბრიტანელებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ფართომასშტაბიან ომს ვერ დაიწყებდნენ პლანეტის ყველაზე მრავალრიცხოვან სახელმწიფოსთან, მიუხედავად ტექნოლოგიური უპირატესობისა და უკეთ დისციპლინირებული პროფესიონალი სამხედროებისა. პალმერსტონს სურდა მხოლოდ მცირემასშტაბიანი სადამსჯელო ოპერაცია და იმ პუნქტების შესრულება, რომელიც წერილში იყო ჩამოთვლილი. სამხედრო ოპერაციისთვის ლოგისტიკურ სამუშაოებში ჩართული იყო ბრიტანეთის ინდური კოლონიები, რათა უფრო მალე მიეწოდებინათ სხვადასხვა მასალა სამხედროებისთვის. ჩინურ სამხედრო ფლოტს კანტონის მახლობლად ადმირალი კუან თიენფეი ხელმძღვანელობდა, ხოლო სახმელეთო ძალებს გენერალი იანგ ფენგი. მოწინააღმდეგე ბანაკიდან კოორდინირებულად სხვადასხვა შენაერთებს მეთაურობდნენ ჩარლზ ელიოტი, კომოდორი ჯეიმს ბრემერი და გენერალ-მაიორი ქუგ ქოუგი.

1840 წლის ივნისისთვის სამხრეთ ჩინეთის წყლებში თავი მოიყარა სხვადასხვა წყალწყვის სამხედრო ხომალდებმა. ბრიტანელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ საზღვაო ბლოკადა მოეწყოთ არა მხოლოდ კანტონის სანაპიროზე, არამედ ფაქტობრივად შეეზღუდათ ჩინელების საზღვაო კომუნიკაციები ქალაქ კანტონიდან მდინარე იანგწის დელტამდე (შანგხაის მიდამოები). შესაბამისად, ოპიუმის პირველი ომის საკმაოდ დიდ მანძილზე იყო განფენილი.

ერთ-ერთი პირველი ფორტი, რომელსაც ელიოტმა დანებება მოსთხოვა, მდებარეობდა ჭეძიანგის პროვინციის სანაპიროზე, დღევანდელი ჭოუშანის მიდამოებში. ქალაქის გარნიზონის უფროსმა უარი განაცხადა დანებებაზე და ჩაერთო ბრძოლაში. ბრიტანელებმა შორსმსროლელი არტილერიის წყალობით ადვილად ჩაძირეს 12 ჩინური ხომალდი.

ჭოუშანის (ძველი სახელი ტინგხაი) ბრძოლები მალე დამთავრდა და 1840 წლის 5 ივლისს უკვე ტინგხაის ფორტს ისინი აკონტროლებდნენ. მათ გადაწყვიტეს რომ ეს ადგილი გამხდარიყო საკვანძო ადგილი ლოგისტიკური მომარაგებისთვის.

ბევრი წარუმატებლობის შემდეგ იმპერატორმა ტაოკუანგმა გადაწყვიტა ლინ წესიუ გაეწვია სამხრეთიდან და მის მაგივრად



სურ. 183 ნემესისი

დაენიშნა ახალი მოხელე, ციშანი. ჩინური ისტორიოგრაფიაში ლინ წესიუ ეროვნული გმირია, რომელიც ყველა საშუალებებით ებრძოდა კოლონიზატორებს, თუმცა თანამედროვე ისტორიკოსების დიდი სიმპათიით არ სარგებლობს ციშანი და მისი პოლიტიკა, რომელიც ფაქტობრივად ყველა კომპრომისზე წავიდა, რაც კი შეიძლებოდა იმ დროისთვის.

ჭოუშანის დაკავების შემდეგ ჯერი მარგალიტის მდინარის დელტის ბლოკადაზე მიდგა, რომელიც საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა და არც ისე ადვილი საქმე იყო, მით უფრო, როცა ჩინელებს რაოდენობრივი უპირატესობა ჰქონდათ და სანაპიროებს არტილერიით იცავდნენ. მარგალიტის მდინარის შესართავთან ბრიტანელებმა გააგზავნეს იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი, ორთქლისძრავიანი ხომალდი „ნემესისი“ („Nemesis“), რომელიც ასევე აღჭურვილი იყო შორსმსროლელი არტილერიით (სურ. 183).

„ნემესისის“ გამოყენებით ინგლისელებმა ახლა უკვე მაკაოს მისადგომების დაკავება დაიწყეს. თავდაპირველად მაკაოს ფორტის პორტუგალიელმა ვაჭრებმა და ჯარისკაცებმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს. თუმცა მას შემდეგ, რაც ხომალდი „ნემესისი“ მაკაოს მიუახლოვდა, იძულებულნი გახდნენ ლუზის ჩაშვების ნება მიეცათ. მაკაოს მისადგომების დაკავებით კიდევ ერთ პუნქტს იკავებდნენ მარგალიტის მდინარის საბოლოო ბლოკირებისთვის. 1841 წლის იანვარში კანტონის მისადგომებთან, ჩუანპიში კიდევ ერთხელ დაუპირისპირდნენ საზღვაო ბრძოლაში ერთმანეთს ბრიტანული და ჩინუ-



სურ. 184 ჩუანპის ბრძოლა

რი ფლოტი (სურ. 184). ჩუანპის მეორე ბრძოლაში „ნემესისმა" და სხვა დამხმარე ხომალდებმა ჩაძირეს 14 ჩინური გემი და დაიწყეს სანაპიროების დაბომბვა. მიუხედავად იმისა, რომ გენერალ კუან თიეფეის საკმაოდ გამაგრებული ჰქონდა სანაპირო ზოლი, ფაქტობრივად ცინგის საჯარისო ნაწილები ქმედუუნარონი აღმოჩნდნენ, ფლოტი განადგურებული იყო. ისინი მოექცნენ ბრიტანელების საარტილერიო დაბომბვაში. საპასუხო საარტილერიო ცეცხლი იხსნებოდა სანაპირო სიმაგრეებიდან, მაგრამ ჩინური არტილერია ვერ აზიანებდა ბრიტანულ ხომალდებს. ჩინელების სამხედრო დანაკარგი საათობრივად იზრდებოდა, რადგან ისინი საარტილერიო სწავლებების სამიზნეებს ჰგავდნენ, რომელთაც არ ჰქონდათ უნარი დაეზიანებინათ მოწინააღმდეგე. ბრიტანელები ნაპირზე გადმოსვლას არ ჩქარობდნენ. ჩუანპის მეორე ბრძოლა ტრაგიკული შედეგით დასრულდა ჩინეთისთვის.

მდგომარეობა იმდენად კრიტიკული იყო, რომ საიმპერატორო წარმომადგენელმა, ცუშანმა ელიოტი მოსალაპარაკებლად მიიწვია, რათა შეწყვეტილიყო საბრძოლო მოქმედებები და გარკვეულ შეთანხმებამდე მისულიყვნენ. მხარეებმა შეიმუშავეს ე.წ. „ჩუანპის კონვენცია", რომლის მიხედვითაც ჩინეთისა და ბრიტანეთის იმპერიებს შორის მყარდებოდა თანასწორი დიპლომატიური ურთიერთობა. ჩინური მხარე 6 მილიონი ტაელის გადახდას კისრულობდა ოპიუმის საკომპენსაციოდ. ამასთან ერთად, კანტონი ბრიტანული გემებისთვის გაიხსნებოდა იმავე წლის პირველ თებერვალს, ხოლო ჰონგ-კონგს ჩუშანში გაცვლიდნენ. მხარეთა წარმომადგენლები შეთანხმდნენ ამ პირობებზე, თუმცა შეთანხმებას დიდი ხანი არ უარსებია. კონვენციის პირობებით უკმაყოფილო იყო როგორც იმპერატორი, ასევე პალმერსტონი, ამიტომ მათ არ აუმოქმედებიათ „ჩუანპის კონვენცია". ჩინური მხარე მეტისმეტად რთულ პირობებზე საუბრობდა და კონვენციის მუხლებს აფასებდა, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტში უხეშ ჩარევას, ხოლო ბრიტანელები გაცილებით მეტს მოელოდნენ. „ჩუანპის კონვენცია" რეალურად ძალაში არ შესულა. სულ მალე ჩინელებს გაცილებით უფრო რთულ პირობებზე მოუწიათ დათანხმება.

იმავე წლის თებერვალში ბრიტანელებმა უკვე უშუალო მოქმედებები დაიწყეს მარგალიტის მდინარის ბლოკადისათვის. ჩინელებმა დაიწყეს მთავარი ძალების მობილიზირება კანტონის დასაცავად, ასევე დამატებითი საფორტიფიკაციო ნაგებობების აგება მარგალი-

ტის მდინარის გასწვრივ მდებარე სიმაღლეებზე, სადაც განათავსეს ქვემეხები. ასევე ცინგის ინჟინრებმა დაიწყეს ჩაძირული გემებისა და სხვა წინაღობების თავმოყრა მდინარეში, რათა გადაადგილების საშუალება მოესპოთ ინგლისელებისათვის და შეესუსტებინათ მათი უპირატესობა. უშუალოდ ქალაქს კი საკმაოდ მრავარიცხოვანი გარნიზონი იცავდა.

18 მარტს ბრიტანელებმა მთელი ძალებით დაიწყეს ქალაქის შტურმი. მათ გაარღვიეს ჩინური ზღუდეები და არტილერიით დააზიანეს მთავარი საფორტიფიკაციო ნაგებობები. ზღვიდან დაბომბვის პარალელურად ინგლისელებმა დაიწყეს ნავებით დესანტირება. მძიმე ბრძოლების შედეგად ქალაქის ინდუსტრიულ ნაწილზე ბრიტანეთის დროშა ააფრიალეს. ფაქტობრივად კანტონი ორ ნაწილად გაიყო. ბრიტანული ქარხნების ტერიტორიას და ნავმისადგომს აკონტროლებდნენ ბრიტანელები, ხოლო ქალაქის დარჩენილ ნაწილს – ჩინელები. ორხელისუფლებიანობის პირობებში ხელახლა გაიხსნა ვაჭრობა და დაიწყო სხვადასხვა საქონლის შემოდინება ქალაქში.

იმპერატორმა ტაოკუანგმა ციშანის გაწვევის შემდეგ კანტონის საქმეები გადააბარა მის ბიძაშვილს, იშანს, რომელმაც ქალაქის გათავისუფლება გადაწყვიტა და მახლობელი დასახლებებიდან სამხედროების შეკრება დაიწყო. მაისისთვის ჩინელებმაც და ბრიტანელებმაც დაიწყეს ვაჭრების და მშვიდობიანი მოქალაქეების გახიზვნა ქალაქიდან. ცხადი იყო, რომ ჩინელები ასე მარტივად არ დათმობდნენ კანტონს.

21 მაისის ღამეს ჩინელებმა კოორდინირებულად წამოიწყეს შეტევა ბრიტანელების პოზიციებზე, სახმელეთო შეტევას აძლიერებდა არტილერია, რომელიც საგანგებოდ იყო გადამალული ქალაქის ახლოს მდებარე სიმაღლეებზე. ბრიტანელებს არტილერიის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ, მათი ვარაუდით, ჩინური არტილერია სრულად დაზიანებული იყო ბრიტანული გემებისგან. ამასთან ერთად, ჭუძიანგში (მარგალიტის მდინარეში) მცურავი თევზსაჭერი და სატრანსპორტო გემებიდანაც გაიხსნა ცეცხლი მცირეკალიბრიანი ქვემეხებიდან, რომელიც ჩინელებმა საგანგებოდ შენიღბეს ოპერაციის დაწყებამდე. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელები კარგად მომზადებულნი იყვნენ, მოულოდნელობის ეფექტმა და რაოდენობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა. ცინგის ჯარისკაცებმა ნელ-ნელა

დაიწყეს პოზიციების დაკავება, ხოლო ინგლისელებმა – უკან დახევა. ელიოტი აცნობიერებდა, რომ შეიძლებოდა სრულიად დაეკარგათ ქალაქი. ამიტომ დახმარება ითხოვა ჰონგ-კონგში დისლოცირებული ჯგუფისგან, რომელმაც კონტრშეტევა დაიწყო 25 მაისს. დამხმარე ჯგუფმა ნელ-ნელა დაიკავა პოზიციები ქალაქში და უკვე 31 მაისისთვის ბრიტანელები სრულად აკონტროლებდნენ ქალაქს.

სიტუაციის აბსურდულობას კარგად ასახავს იშანის წერილი იმპერატორისადმი, რომელშიც ის საკუთარ სტრატეგიულ წარმატებაზე წერდა და ხაზს უსვამდა მანჯურიული სადროშოებისა და ჩინელი ჯარისკაცების „ბლიცკრიგის“ შედეგს. პეკინში ფაქტობრივად არც იცოდნენ, რომ ჩინელების წარმატება რამდენიმე დღეში ბრიტანელებმა კონტრშეტევით შეცვალეს. იშანის მოხსნებით ბარათში ნახსენებიც არ იყო ის ფაქტი, რომ ქალაქს მოწინააღმდეგე აკონტროლებდა.

1841 წლის აგვისტოში ჩარლზ ელიოტს ჰონგ-კონგში მოუვიდა ცნობა, რომ ის გაწვეული იყო ქალაქიდან და მის მაგივრად ინიშნებოდა ჰენრი პოტინგერი, რომელიც კიდევ უფრო მაქსიმალისტი იყო და არათუ კანტონის დაკავებას სჯერდებოდა, არამედ აქტიურად ითხოვდა ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ პორტების შტურმსა და ბლოკირებას, რათა მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარი ჩინელებისგან მეტი სარგებელი მიეღოთ. ჰენრი პოტინგერის ბრძანებით, მალევე დაიწყეს მომზადება პორტ ამოის[1] ბლოკადისთვის. 25 აგვისტოს 15 ბრიტანული გემი 2500 ჯარისკაცით მიუხლოვდა ამოის და ცეცხლი გაუხსნეს ჩინურ გემებს. საზღვაო ბრძოლების შედეგად 26-ზე მეტი ჩინური ხომალდი დააზიანეს ან ჩაძირეს. მას შემდეგ, რაც პორტი ფლოტილიის გარეშე დარჩა, ბრიტანელებმა დაიწყეს ნელ-ნელა ნაპირზე გადასვლა. ამოის პორტს სამჯერ მეტი ჩინელი ჯარისკაცი იცავდა, თუმცა მაინც მოახერხეს ქალაქის აღება. ამოის აღებით უკვე ნელ-ნელა მიიწევდნენ იანგწის დელტისკენ და უახლოვდებოდნენ ნანძინგსა და შანგხაის.

30 აგვისტოს ლორდი პალმერსტონი გაათავისუფლეს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან და მისი ადგილი დაიკავა უილიამ ლემბმა, რომელიც ასევე აქტიურად უჭერდა საბრძოლო მოქმედებებს მხარს. ამოის დაკავების შემდეგ ბრიტა-

[1] დღევანდელი ქალაქი სიამენი ფუძიენის პროვინციაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთი.

ნელებმა ჩრდილოეთით წაინიეს და უკვე ჭეძიანგის პროვინციის საპორტო ქალაქს შეუტიეს, რომელსაც არც ისე მრავალრიცხოვანი ძალები იცავდნენ. ნინგპოს დაკავების შემდეგ პეკინში ჩააღწია იმ ამბავმა, რომ იშანის მიერ მიწოდებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა და სიცრუე იყო. კანტონთან ერთად ჩინელებმა კონტროლი დაკარგეს მთელ რიგ პორტებზე. იმპერატორმა ბრძანა, იშანის დაპატიმრება და ის გაასამართლეს ინფორმაციის დამალვისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისათვის. სასამართლოს შემდეგ კუანგსის გენერალ-გუბერნატორს დაეკალა ვითარების დეტალური ანალიზი. გენერალ-გუბერნატორმა პეკინში საგანგაშო ცნობები გაგზავნა. საიმპერატორო კარი ნელ-ნელა პანიკაში ვარდებოდა. ტაოკუანგმა ახლა უკვე სხვა ბიძაშვილს, იძინგს დაავალა ნინგპოს გათავისუფლება, რომელიც წარუმატებლად დასრულდა. ბრიტანელები მიუახლოვდნენ მდინარე ციენთანგს და პირდაპირი საფრთხე დაემუქრა დიდ არხს, რომელიც თითქმის პეკინამდე აღწევდა და უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო არხი იყო შიდა სამდინარო მიმოსვლისთვის.

ნინგპოს დაკავების შემდეგ ბრიტანელებმა კიდევ მიიღეს დამატებით . ჯარისკაცები და გემები, ჯამურად დაახლოებით 10 ათასი ჯარისკაცი რომელიც უკვე იძლეოდა შესაძლებლობას მდინარე იანგწის დელტა ბლოკირებულიყო და სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთის უდიდეს ქალაქ ნანძინგზე შეტევა წამოწყებულიყო. 1942 წლის ივნისში გაზრდილი ძალებით ბრიტანელებმა ისევ დაიწყეს მახლობელ ქალაქებსა და პორტებზე შტურმი. ერთმანეთის მიყოლებით ეცემოდა ქალაქები: უსუნგი და პაოშანი. 19 ივნისს აიღეს შანგხაიც. პეკინში სერიოზულად ეჭვობდნენ დედაქალაქზე შეტევის წამოწყების შემთხვევაში, დაიცავდნენ თუ არა ქალაქს. ერთ დროს მოწინავე მანჯურიული სადროშოები და მონღოლური კავალერია აბსოლუტურად უუნარო და დეზორგანიზებული იყო. ბრიტანელებს კარგად ესმოდათ, რომ თუ ისინი გადაკეტავდნენ დიდ არხს, მაშინ ადვილად დასვამდნენ ჩინელებს მოლაპარაკების მაგიდასთან. დიდი არხის გადაკეტვისთვის აუცილებელი იყო ჩინკიანგის[1] დაკავება. ჩინკიანგში მობილიზირებულნი იყვნენ მონღოლური და მანჯურიული საკავალე-

[1] დღევანდელი ჭენძიანგი, მდებარეობს ძიანგსუს პროვინციაში

რიო ნაწილები. თუმცა ბრიტანელები უჩუმრად გამოჩნდნენ ქალაქის მისადგომებთან. ჩინელი ისტორიკოსების აზრით, ზოგიერთი მეთაურის ღალატის გამო ქალაქი მალე დაეცა 22 ივნიისს. მანჯურიული სადროშოების ხელმძღვანელებმა 100 ჯარისკაცი დასაჯეს ღალატისა და მოვალეობის შეუსრულებლობისთვის, თუმცა ქალაქი და დიდი არხი უკვე ბრიტანელებს ჰქონდათ გადაკეტილი.

ცინგის გენერალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ძირითადი ძალები გადასროლილიყო დედაქალაქის დასაცავად, რადგან სიტუაცია კრიტიკული იყო. ერთ დროს ძლევამოსილი მანჯურიული სადროშოები და მონღოლური კავალერია, რომელიც შიშის ზარს სცემდა ნებისმიერ მოწინააღმდეგეს, ახლა უკვე დედაქალაქის დაცვაზე ღელავდა. აგვისტოში ჩინელი დიპლომატები მოალაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ. ქალაქ ნანძინგში მინისტრთა კაბინეტი ურჩევდა იმპერატორს, რომ მიეღოთ ზავის პირობები, რაც უნდა მძიმე ყოფილიყო, რადგან უარის შემთხვევაში შესაძლოა ნანძინგიც დაცემულიყო და პეკინს შექმნოდა პირდაპირი საფრთხე. ამიტომ ტაოკუანგმა 1942 წლის 14 აგვისტოს ნება დართო ჩინელ დიპლომატებს გაეფორმებინათ ნანძინგის ზავი, რომელსაც ხელი მოეწერა 29 აგვისტოს და ომიც ოფიციალურად დასრულდა (სურ. 185).

ნანძინგში შეკრებილ დელეგაციებს ბრიტანეთის მხრიდან ჰენრი პოტინგერი, ხოლო ჩინეთის მხრიდან ციინგი, ილიპუ და ნიოუ ძიენი ხელმძღვანელობდნენ. 29 აგვისტოს ხელმოწერილი დოკუმენტის რატიფიცირება იმპერატორმა ტაოკუანგმა 27 ოქტომბერს, ხოლო დედოფალმა ვიქტორიამ 28 დეკემბერს მოახდინა. ზავის პირობები რთული იყო ჩინელებისთვის. მათ უნდა გადაეხადათ ყველა იმ საქონლის საფასური, რომელიც ჩინელებმა ინგლისელებს ოპიუმის თუ სხვა პროდუქტის სახით ჩამოართვეს 1838-1839 წლებში, ჯამურად ეს 21 მილიონ დოლარზე მეტი იყო. ამასთან ერთად, ჩინელებს ააღებინეს ვალდებულება



სურ. 185 ჰონგ-კონგის უცხოელი ვაჭრებისთვის გახსნა. ჰონგ-კონგი იქცა ბრიტანეთის ეკონომიკურ ბაზად აზიაში

გაეხსნათ შემდეგი პორტები: სიამენი, ფუჭოუ, კანტონი და შანგხაი, ხოლო ბაჟის გადასახადი უნდა შეთანხმებულიყო ბრიტანეთის ხელისუფლებასთან.

ზავის პირობები მძიმე ტვირთად დააწვა ჩინეთის ხელისუფლებას. გახსნილ პორტებში უფრო მეტად გაიზარდა ბრიტანელების გავლენა, ხოლო ცინგის დინასტიის ბიუროკრატიული ქაოსი კიდევ უფრო გაღრმავდა. ომის შედეგების შემხედვარე სხვა ევროპელმა სახელმწიფოებმაც დაიწყეს წნეხის გაძლიერება ღია ვაჭრობასთან დაკავშირებით, რომლის მართვის უნარი ცინგის დინასტიის ძირმომპალ რეჟიმს აღარ ჰქონდა.

ჩინურ-სიქხური ომი ტიბეტის გამო. დიდ ბრიტანეთთან მძიმე დიპლომატიური ურთიერთობის პარალელურად იმპერიის დასავლეთ ნაწილში იზრდებოდა დაძაბულობა ტიბეტის გარშემო. ტიბეტი, როგორც აღმოსავლეთ აზიის ბუდისტური ცენტრი ხშირად ხვდებოდა მეზობელი სახელმწიფოების ინტერესის სფეროში. ცინგის დინასტიას უკვე გადატანილი ჰქონდა რამდენიმე ომი ტიბეტის დასაცავად ჯუნგარებისა და ნეპალელების წინააღმდეგ, რის შედეგადაც პეკინის გავლენა რეგიონზე კიდევ უფრო გაძლიერდა.

დღევანდელი ინდოეთისა და პაკისტანის ტერიტორიებზე მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ყალიბდებოდა სიქხების იმპერია. სახელმწიფოს ფორმირების პროცესი უშუალოდ უკავშირდება მოგოლების დინასტიის დასუსტებასა და აურაზგების სიკვდილს[1]. 1799 წელს სიქხების ჯარმა დაასრულა სახელმწიფოს ფორმირების პროცესი. დედაქალაქად პენჯაბი და დინასტიის დაარსება გამოაცხადეს. სიქხების იმპერია ტერიტორიულ დავებში იყო ჩართული მეზობელ ავღანეთთან და ცდილობდა აზიის სავაჭრო მარშრუტებზე მოეპოვებინა კონტროლი. ავღანელებთან წარმატებული ომის შემდეგ, სიქხებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა ტიბეტიდან მომავალმა სავაჭრო-საქარავნო გზებმა, რომლებიც ცინგის დინასტიას ექვემდებარებოდა. მას შემდეგ, რაც პეკინსა და ლონდონს შორის ურთიერთობა ჩიხში შევიდა და მხარეებმა სამხედრო დაპირისპირება დაიწყეს, სიქხებმა ჩათვალეს, რომ შესაბამისი მომენტი დადგა, საბოლოოდ გაეკონტროლებინათ ტიბეტზე გამავალი საქარავნო გზე-

[1] აურაზგები-მოგოლების დინასტიის მეექვსე იმპერატორი, მოგოლთა იმპერიას მართავდა 1658-1707 წლებში.

ბი. დღეს, როდესაც პეკინიდან ლჰასამდე რკინგიზა თავისუფლად მიდის, მაინც პრობლემურია გადაადგილება რთული კლიმატური პირობების გამო, 170 წლის წინ კი ჩინურ და მანჯურიულ ჯარებს საკმაოდ უჭირდათ სწრაფი გადაადგილება საომარი მდგომარეობისას.

სავაჭრო გზების გაკონტროლება იყო ერთ-ერთი მიზეზი მხარეებს შორის კონფლიქტისა. თუმცა ასევე არის ვერსია, რომ სიქხები ემზადებოდნენ ბრიტანელებთან ომისთვის. შესაბამისად, სჭირდებოდათ ნეპალთან პირდაპირი გზით დაკავშირება, ხოლო ნეპალსა და სიქხების მიერ კონტროლირებად ტერიტორიამდე გზა ლადაკზე[1] გადიოდა. ოპიუმის ომის მიმდინარებობისას სიქხების შედარებით მცირერიცხოვანმა ჯარმა, დაახლოებით 5-6 ათასმა მებრძოლმა, 1841 წლის ზაფხულში გადაიარა უღელტეხილები და ტიბეტის ტერიტორიაზე გადავიდა. რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო უღელტეხილებსა და მასზე მდებარე სიმაგრეებს ტიბეტელების მცირერიცხოვანი გარნიზონი იცავდა. თანაც, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი იყო გასული, რაც მანჯურიულ-ჩინურ-ტიბეტურ ძალებს აღეკვეთათ ნეპალელების თავდასხმა ტიბეტზე და რეგიონში მშვიდობა სუფევდა. ამიტომ მოულოდნელ შეტევას არავინ მოელოდა. სიქხებმა აიღეს რამდენიმე მცირე დასახლება, ქალაქი ტაკლაკოტი[2] და შეუდგენენ ოკუპირებულ ტერიტორიების მართვა-გამგეობას. თუმცა ბრიტანელების წარმომადგენელი პენჯაბში მოითხოვდა ჯარების უკან გამოყვანას, რადგან ბრიტანელებს ტიბეტთან დაკავშირებით შორს მიმავალი გეგმები ჰქონდათ. ტაკლაკოტის აღება სავაჭრო გზებზე კონტროლის დაკარგვას ნიშნავდა, ამიტომ სახელისუფლებო დესპანი პეკინიდან სწრაფად ჩავიდა რეგიონში და კონტრშეტევისთვის მზადება დაიწყეს. იმავე წლის დეკემბერში ჩინურ-ტიბეტურმა საპოლიციო ძალებმა შეუტიეს სიქხების მიერ დაკავებულ სიმაგრეეს. ბრძოლების პარალელურად კლიმატური პირობები გაუსაძლისი გახდა ორივე მხარისთვის. საბრძოლო დანაკარგების მხრივ ბრძოლა სიქხების სასარგებლოდ დასრულდა. ორივე მხარე ცდილობდა სწრაფად მიეღწიათ სამშვიდობო შეთანხმებისათვის, რადგან ორივეს საერთო სამხედრო მოწინააღმდეგე ჰყავდა ბრიტანელების სახით. ძალთა გადაჯგუფების

[1] დღეს ინდოეთის შემადგენლობაში მდებარე რეგიონი, მოიცავს ჯამუსა და ქაშმირის ნანილებს

[2] თანამედროვე ქალაქი ბურანგი

შემდეგ ჩინურ-ტიბეტური სამხედრო ექსპედიცია მეორედ გადავიდა კონტრშეტევაზე 1842 წლის აგვისტოში, თუმცა ისევ წარუმატებლად. მეტიც, სიქხებმა შური იძიეს ზოვაჰარ სინგხის სიკვდილისათვის, შეტაკებებისას დაატყვევეს და სიკვდილით დასაჯეს ჩინელი სამხედრო მაღალჩინოსანი.

შექმნილი ვითარების გაანალიზების შემდეგ მხარეებმა მოლაპარაკება გადაწყვიტეს, რომლის მიხედვითაც აღდგა ომამდელი სტატუს კვო და შეიარაღებული ძალები დაუბრუნდნენ ძველი დისლოკაციის ადგილს. ლადაკი კი გამოცხადდა მხარეებისთვის თავისუფალ სავაჭრო ზონად, სადაც ტიბეტური და სიქხური ქარავნებიც უპრობლემოდ იმოძრავებდნენ. მიუხედავად აქტიური მოქმედებებისა. საბომავლოდ ორივე მხარე ისევ დამარცხდა ბრიტანეთის იმპერიასთან, ხოლო სიქხების იმპერიამ 1849 წელს არსებობა შეწყვიტა.

თაიფინგის ზეციური სამეფო და ქრისტიანების აჯანყება სამხრეთ ჩინეთში

საგარეო აგრესიასთან და გარე სამყაროსთან ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, ხშირი იყო ბუნებრივი კატაკლიზმები: წყალდიდობა, გვალვა მიწისძვრები. ბუნებრივი კატაკლიზმების შემდეგ ირღვეოდა სოციალური ბალანსი და მილიონობით ადამიანი ულუკმაპუროდ რჩებოდა. მიუხედავად ბუნებრივი პრობლემებისა, ჩინეთის მოსახლეობამ დაიწყო სწრაფი ტემპით ზრდა, ხოლო სავარგულები და წარმოება ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილი მოსახლეობის მოთხოვნებს. ოპიუმის პირველი ომის დასრულების შემდეგ ჩინეთს დიდი ფინანსური კონტრიბუცია დაეკისრა, თუმცა ეს არ იყო ერთადერთი ფინანსური კონტრიბუცია, რომელსაც იმპერია იხდიდა მეცხრამეტე საუკუნეში. შექმნილი გარემოება ქმნიდა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონს და ათობით ათასი საკვები პროდუქტის გარეშე დარჩენილი გლეხი ხშირად პროტესტის რადიკალურ გზას მიმართავდა. ცენტრალური ხელისუფლების ფინანსურმა პრობლემებმა, დემოგრაფიული მაჩვენებლის ზრდამ და ბუნებრივმა კატასტროფებმა გამოიწვია რამდენიმე სერიოზული აჯანყება და სამოქალაქო დაპი-

რისპირება, რომელთაც კაცობრიობის ისტორიაში იქამდე არნახული მსხვერპლი მოჰყვა.

ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი სოციალური პროტესტი მსოფლიო ისტორიაში თაიფინგის აჯანყებითაა ცნობილი, თუმცა ტერმინი აჯანყებაც პირობითად შეიძლება გამოვიყენოთ, რადგან განსხვავებულია ისტორიკოსთა ხედვები ამ სოციალური პროტესტის მიმართ. ზოგიერთი მას რევოლუციას უწოდებს, ზოგიც – სამოქალაქო ომს, ხოლო ყველაზე გავრცელებული ვერსია მაინც აჯანყება რჩება. განსხვავებული ინტერპრეტაციები სავსებით ლოგიკურია, რადგან თაიფინგელების წინააღმდეგობა არ ჰგავდა ჩინეთის ისტორიაში მომხდარ არც ერთ სამხედრო ამბოხს. ის, ერთი მხრივ, ატარებდა ნაციონალისტურ ხასიათს, რადგან უპირისპირდებოდა მანჯურიელთა მმართველობასა და სუვერენიტეტს, მეორე მხრივ, კი იდგა იმდროინდელი ჩინეთისთვის წარმოუდგენელ ეგალიტარულ სანყისებზე. სწორედ ამის გამო თაიფინგის აჯანყება და ხუნგ სიოუციუენი პოპულარობით სარგებლობდა მაო ნეტუნგის პარტიზანებს შორის დიდი მარშის დროს და შემდგომ პერიოდშიც. უშუალოდ ცინგის დინასტიის მიერ სამხედრო შეტაკებების 15 წლიან პერიოდსაც აჯანყებას უწოდებდნენ, თუმცა აჯანყების კლასიკური გაგებისგან ის განასხვავებდა თაიფინგის ზეციურ სამეფოს, რომ ფაქტობრივად მათ შეძლეს ალტერნატიული ტერიტორიული ერთეულის შექმნა დაახლოებით 15 წლის მანძილზე და თავისივე საზღვრებში იმდროინდელი ჩინეთისგან რადიკალურად განსხვავებული წესწყობილება შექმნეს. თანაც, ეს ყველაფერი ნასაზრდოები იყო ქრისტიანული თეოლოგით. 太平天国运动 ანუ „თაიფინგის (დიდი მშვიდობის) ზეციური სამეფოს მოძრაობა“ – ასეთი სახელწოდებით გვხდება ჩინურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მოძრაობის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სამხრეთ ჩინეთში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის ხაკკას[1] წარმომადგენელთან, ხუნგსიოუციუენთან, რომელიც, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, ცდილობდა ჩაებარებინა საჯარო მოხელეების გამოცდები, თუმცა მეორე ეტაპზე წლების განმავლობაში ვერ გადადიოდა, რის გამოც ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები შეექმნა და ლოგინად ჩა-

[1] ხაკკას ეთნიკური ჯგუფი, რომელიც 12-13 წლებში ცენტრალური ჩინეთიდან გადავიდა სამხრეთ ჩინეთში. მე-19 საუკუნის შუა ხანებში მასობრივად დაინყეს ქრისტიანობის მიღება, რის გამოც ხშირად იდევნებოდნენ.

ვარდა. გამოჯანრთელების შემდეგ მან საჯაროდ გამოაცხადა, რომ მისი მოწოდება იყო, დემონებთან ანუ მანჯურიელებთან ებრძოლა და ხალხი გაეთავისუფლებინა მათი ტირანიისგან. იგი თავის თავს უწოდებდა ქრისტეს უმცროს ვაჟს. მიუხედავად იმისა, რომ ხუნგსიოუციუენი ქრისტიანულ მოტივებს იყენებდა, თავიდანვე გამოიკვეთა ქრისტიანობის უცნაური ინტერპრეტაცია, რის გამოც მისი ხილვები და ჰალუცინაციები არ იყო სანდო სამხრეთ ჩინეთში მყოფი ქრისტიანი მისიონერებისათვის. 1836 წელს ქალაქ კანტონში ის აქტიურ ურთიერთობას იწყებს ქრისტიანებთან, კერძოდ კი, ამერიკელ პროტესტანტ მისიონერთან, ედვინ სტევანსთან. სტევანსი ეხმარება მას სახარებისა და ბიბლიის არსის გაცნობაში. მისი ხილვებიდან ექვსი წლის განმავლობაში ხუნგი სკოლის მასწავლებლად მუშაობდა და ცდილობდა სამოხელეო გამოცდების ჩაბარებას, თუმცა – უშედეგოდ. 1847 წლისთვის ისევ ბრუნდება კანტონში და ჩინურად თარგმნილი ბიბლიის სწავლას იწყებს. 1847-1849 წლებში ხუნგი მახლობელ მთებში დადის და ქადაგებს დემონების წინააღმდეგ ბრძოლას. ხუნგის თავდაპირველი დასაყრდენი მისივე ჩაგრული ეთნიკური ჯგუფი იყო, რომელიც კუანგტუნგის პროვინციის ხეობებსა და მთიან მხარეებში სახლობდა. ორი წლის განმავლობაში მის მოძღვრებას, რომელიც ქრისტიანული ფილოსოფიისა და ნაციონალიზმის უცნაური ნაზავი იყო, 10 ათასი ადამიანი შეუერთდა. ათი ათას მომხრესთან ერთად, ხუნგთან გაერთიანება იწყეს ადგილობრივი ჩინური ტრიადების[1] წევრებმაც, რომელთაგან ზოგიერთი შეიარაღებულიც იყო. სამხრეთ ჩინეთში ტრიადებისა და ბანდების კულტურა შუა საუკუნეებიდან იწყება და დღესაც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი ფორმაა. ტრიადების შეერთების შედეგად უკვე მასობრივად დაიწყეს გასამხედროებული ორგანიზაციების შექმნა და იარაღის შეგროვება, რომელსაც საგულდაგულოდ მალავდნენ კუანტუნგის ხეობებსა და მთებში.

ხუნგის პოპულარობა და მისეული დოქტრინა მანჯურიელ დემონებთან ბრძოლისა და საყოველთაო ეგალიტარიზმისა სწრაფად ვრცელდებოდა საზოგადოებაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სიოუციუენის თანამოაზრეები უერთდებოდნენ არა მხოლოდ ხაკკას ეთნიკური ჯგუფიდან და დაბალი ფენებიდან, არამედ ეთნიკურ ჩი-

[1] ჩინური კლანური დაჯგუფებები, რომლებიც ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფების გაერთიანებას წარმოადგენდნენ.

ნელებიც არანაკლები ენთუზიაზმით ისმენდნენ მის მესიანისტურ და თანასწორების იდეებს. სწორედ ამ პოპულარობას უნდა მიეწეროს, ორი ახალგაზრდის – იანგ სიოუცინგისა და ში ტაქაის ინტერესი მოძრაობის მიმართ. იანგი მხოლოდ 19 წლის იყო, თუმცა ძალიან ნიჭიერი აღმოჩნდა პარტიზანულ ბრძოლებსა და სამხედრო სტრატეგიაში. ში ტაქაი კი ადგილობრივი წარჩინებული ოჯახიდან იყო, რომლის აჯანყებულების რიგებში გაწევრიანებამ უბიძგა ბევრ ჩინელ წარჩინებულს, შეერთებოდა ხუნგ სიოუციუენის ჯგუფს, რაც მათ ჰმატებდა ფინანსურ და ადამიანურ რესურსს. 1849 წლისთვის პარტიზანული ჯგუფები აერთიანებდა 20 ათას ადამიანს. იგი ჰგავდა მობილურ სახელმწიფოს თავისი შეიარაღებული ნაწილით, ბიუროკრატიითა და სხვა ნიშნებით. სიოუციუენის ბრძანებით, მასობრივად დაიწყეს მამაკაცებმა ძველ სტილზე თმების მოშვება და უარყვეს მანჯურიული სტილი[1]. ამასთან ერთად, აკრძალული იყო ოპიუმის მოხმარება; ქალები და კაცები სეგრეგირებულად ცხოვრობდნენ. პეკინისთვის უკვე საგანგაშო იყო ათასობით ადამიანის ხეობებში გამაგრება, მით უფრო, რომ ისინი შეიარაღებულნი იყვნენ. ამიტომ იმპერატორმა ტაოკუანგმა გამოცდილი მოხელე, ლინ წესიუ მიავლინა კუანგტუნგში აჯანყებულებთან საბრძოლველად, თუმცა ხანში შესული ლინი დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე გარდაიცვალა. 1850 წელს მაინც შეუტიეს აჯანყებულებს სამთავრობო ჯარებმა, მაგრამ საშინლად დამარცხნდნენ, რის შემდეგაც ისინი ხეობებიდან და მთებიდან გამოვიდნენ და კუანგისის ცენტრ კუეილინს მიადგნენ. კუეილინის ალყაში კაცების მხარდამხარ მონაწილეობდა ასეულობით ქალი, თუმცა მათ ვერ აიღეს ქალაქი. 1851 წელს ხუნგ სიოუციუენმა ოფიციალურად გამოაცხადა თაიფინგის (დიდი მშვიდობის) ზეციური სამეფოს შექმნა და დაიწყო შვიდდღიანი კალენდრის დანერგვის რეფორმა. რამდენიმე თვის შემდეგ აჯანყებულებმა ჩრდილოეთისკენ იწყეს სვლა და ჩანგშას შემოარტყეს ალყა. ჩანგშაში გაავრცელეს პროკლამაციები. ისინი ჩინელ მამაკაცებს მიმართავდნენ; სთავაზობდნენ ებრძოლათ მანჯურიელების წინააღმდეგ და აღედგინათ ღირსება. 1852 წლის დეკემბერში მოულოდნელი შეტევით თაიფინგელებმა აიღეს მდიდარი სავაჭრო ქალაქი იუეჭოუ, სადაც

[1] მანჯურიული სტილით მამაკაცები თავს ნახევრად იპარსავდნენ და თავის უკანა მხარეს ნაწნავს იზრდიდნენ.

აჯანყებულებმა აღმოაჩინეს იარაღით სავსე საწყობები, დენთი და ქვემეხები. ამავდროულად ასეულობით სავაჭრო ნავი, რომლითაც მათ მდინარეებზე სწრაფი გადაადგილების შესაძლებლობა მიეცათ. იუეჭოუში აღმოჩენილი იარაღითა და არტილერიით მათ სწრაფად დაძლიეს სამთავრობო მილიციის წინააღმდეგობები და მიყოლებით აიღეს ხუქოუ და უჩანგი. უჩანგის შემდეგ უკვე გზა ხსნილი იყო სამხრეთ ჩინეთის უდიდეს ქალაქ ნანძინგზე, რომელიც ისტორიის განმავლობაში ბევრჯერ გამხდარა ჩინელების დასაყრდენი და დედაქალაქის ფუნქციაც ხშირად შეუთავსებია.

1853 წლისათვის ნანძინგის მისადგომებთან გამოჩნდა აჯანყებულთა დროშები და არტილერია. იმ დროისთვის ქალაქში დაახლოებით 45 ათასი მანჯურიელი იყო, რომელთაგან 5000 სამხედრო იყო, ხოლო დანარჩენი – სამოქალაქო პირი. როდესაც ქალაქის ბოლო ციტადელი აიღეს, ნანძინგი სასაკლაოდ აქციეს: უკლებლივ ყველა მანჯურიელი დახოცეს განურჩევლად ასაკისა და სქესისა. ნანძინგი გახდა თაიფინგის ზეციური სამეფოს დედაქალაქი და სტატუსი შეინარჩუნა 11 წლის განმავლობაში. ფაქტობრივად ქვეყანა ორად გაიყო. სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფოებრივი ერთეული, თავისი შეიარაღებული ძალებით, მონარქითა და დედაქალაქით.



სურ. 186 ცინგის ჯარები იღებენ თაიფინგელების მიერ კონტროლირებად ქალაქს

ნანძინგის აღების შემდეგ ყველასათვის მოულოდნელად ძალაუფლება ხუნგსიოუციუენმა გადასცა მის ერთ-ერთ გავლენიან მიმდევარს, იანგ სიოუცინგს, რომელიც დე ფაქტო ლიდერი გახდა (სურ. 186). მმართველობის დაწყებისას შენარჩუნდა ძველი წესრიგი. შესაბამისად, ქალები და კაცები ცალკე ცხოვრობდნენ; ისევ აკრძალული იყო ოპიუმისა და სხვა ნარკოტიკების მოხმარება. მასობრივად დაიწყეს ჩინურად თარგმნილი ბიბლიის სწავლება, რომელსაც ხუნგ

სიოუციუენის კომენტარები და ინტერპრეტაციები ჰქონდა დართული. რელიგიურ განათლებასთან ერთად თაიფინგის სამეფოში გატარდა დღევანდელი გადასახედიდან საკმაოდ პროგრესული მინის რეფორმა. ოჯახები სულადობის მიხედვით იღებდნენ მინის ნაკვეთებს. მესაკუთრენი იყვნენ როგორც კაცები, ასევე ქალები. 25-კაციანი გაერთიანებები აწარმოებდნენ მათ სამყოფ პროდუქტს, დამატებითი პროდუქტი კი ნაწილდებოდა საერთო სარგებლობისთვის. მიუხედავად ჩამოთვლილი რეფორმებისა, თაიფინგის სამეფო ნელ-ნელა დაღმასვლისკენ წავიდა, რასაც რამდენიმე სერიოზული მიზეზი ჰქონდა. არადა ის საკმაოდ პოპულარული უნდა გამხდარიყო ჩინური საზოგადოებისთვის, რომელიც წლების განმავლობაში უთანასწორობითა და მინის ნაკლებობით იტანჯებოდა. თუმცა მდგომარეობა საპირისპირო კუთხით შეიცვალა. კერძოდ, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების მაგივრად თაიფინგელების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის გამგებლობა იყო საძმოებისა და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ხელში. ხუნგის ხელდასმით, თაიფინგში რამდენიმე ე.წ. მეფე მართავდა ტერიტორიულ ერთეულებს. საინტერესოა უშუალოდ ხუნგის პიროვნების ტრანსფორმაცია. ის ასკეტური ცხოვრების წესიდან ნელ-ნელა გამოდიოდა და არც ალკოჰოლსა და საყვარლებში გართობას ერიდებოდა. ამას ემატებოდა მის ორ ნიჭიერ მხარდამჭერთან ურთიერთობის გაფუჭება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ წლების განმავლობაში სამხედრო თუ ფინანსური მართვის კუთხით. კერძოდ, იანგ სიოუცინგი. რომელიც დე ფაქტო მმართველი იყო, 1856 წელს ხუნგმა სამეფო დარბაზში მოაკვლევინა, ხოლო ში ტაქაის ოჯახის წევრები ამოუხოცა, რამაც ში ტაქაი აიძულა ნანძინგიდან გაქცეულიყო სჩუანში, სადაც მან თავისი პატარა სამეფოს დაარსება სცადა, თუმცა 1863 წელს ცინგის ჯარებთან შეტაკებისას დაიღუპა. პოლიტიკურ მოკავშირეებთან დაპირისპირების შემდეგ ხუნგის მმართველობა კიდევ უფრო ღრმა კრიზისში შევიდა. თაიფინგის ზეციური სამეფო ნელ-ნელა კარგავდა იმ ნიშას, რომელმაც რამდენიმე წელში ათეულობით ათას ადამიანს სურვილი გაუჩინა, მათ შეერთებოდა. ხუნგის პოლიტიკური გუნდი ნელ-ნელა შორდებოდა ნაციონალისტურ იდეებსა და ანტიმანჯურიულ ხედვებს. იმის ნაცვლად, რომ მანჯურიულიელებთან ბრძოლა გაეგრძელებინათ, მათ შენყვიტეს გაფართოება და დამატებითი მომხრეების შეძენა. ხუნგის ხედვებისა და მისი

ქრისტეთან კავშირის იდეა პოპულარობას კარგავდა. ამას ემატებოდა ჩინელი მოსახლეობის უკმაყოფილება, რადგან თაიფინგის ზედა ეშელონებში ძირითადად ხაკკას ეთნიკური უმცირესობა იყო, რომელიც მანჯურიელებზე არანაკლებ უცხო იყო მათთვის. ამასვე ემატებოდა წარუმატებელი აჯანყებები ჩრდილოეთში მუსლიმების მხრიდან და სამხრეთში წითელთავსაბურავებიანების მხრიდან. მათი კოორდინირებულად მოქმედების შემთხვევაში დიდი ალბათობით ცინგის დინასტია არსებობას შეწყვეტდა და აჯანყებულებს პეკინიც შეიძლება აეღოთ, თუმცა ორივე პარალელური სამხედრო გამოსვლა წარუმატებლად დამთავრდა. ამას ემატებოდა ევროპელების უნდობლობა ხუნგის ფსევდოქრისტიანული იდეებისადმი, რამაც გამოიწვია უცხოელი ვაჭრებისა და სამხედროების ალიანსი ცინგის დინასტიასთან. მეტიც, დასავლელი ვაჭრები და სამხედროები სამხედრო და ფინანსურ დახმარებასაც კი უწევდნენ ცინგის ჯარებს, რადგან თაიფინგელებთან მათ ვერ გამონახეს საერთო ენა. რელიგიურ-ნაციონალისტური ჯგუფის მიზნები მათ ეკონომიკურ ხედვებთან ახლოს ვერ მოდიოდა.

1853 წელს ნანძინგიდან ხუნგის სამხედრო შენაერთებმა შანგხაისკენ გადაინაცვლეს და ქალაქზე შეტევა წამოიწყეს. შანგხაიში უკვე საკმაოდ გაზრდილი იყო დასავლური სახელმწიფოების კაპიტალი. ამიტომ მათ ცინგის ძალებს მხარდაჭერა გამოუცხადეს, კოალიციური რაზმები შეკრიბეს და ზღვიდან უტევდნენ ხუნგის ძალებს. კოალიციურ ძალებს თავიდან ამერიკელი ფრედერიკ ვარდი ხელმძღვანელობდა, შემდგომში – ბრიტანელი ჩარლზ გორდონი. ზღვიდან და ხმელეთიდან მასირებულმა საარტილერიო ცეცხლმა ფაქტობრივად გადაარჩინა შანგხაი დაცემას, თუმცა თაიფინგელებმა მაინც მოახერხეს გარკვეული ნაწილის დაკავება და გაკონტროლება ორი წლის განმავლობაში. აჯანყებულებთან ბრძოლამ კარგად გამოაჩინა ერთ დროს მრისხანე მანჯურიული კავალერიის რვა სადროშოს უუნარობა. მათი კავალერია ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მტერთან ბრძოლაში, მათ არაერთი ბრძოლა მოიგეს ათეულობით წლის განმავლობაში, თუმცა ძველი დიდება წარსულში დარჩა.

მეცხრამეტე საუკუნეში ჩინეთის იმპერიის სხვადასხვა ნაწილში არა ერთი ამბოხი და აჯანყება მოხდა, თუმცა თაიფინგის აჯანყებამ შეძრა ჩინურ-მანჯურიული პოლიტიკური ელიტა. გლეხებისა და ამბიციური მოხელეების აჯანყებები ნამდვილად ჩვეული მოვლენა



სურ. 187 წენგ კუოფანი

იყო ქვეყანაში. თუმცა ჩინეთისთვის უცხო ქრისტიანულ დოქტრინაზე დაფუძნებული ამბოხი, რომელიც ფაქტორბივად რადიკალურად ცვლიდა კონფუციურ ეთიკას, შიშის ზარს სცემდა ტრადიციულ ჩინელებს. ტრადიციული წესრიგის მოსპობის შიშმა, ჩინელი სწავლულები და მიწათმფლობელები გააერთიანა თაიფინგელების წინააღმდეგ. პირველი სერიოზული წინააღმდეგობა წამოიწყო ხუნანელმა კონფუციანისტმა წენგ კუოფანმა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ხუნგსიოუციუენიისა და მისი მომხრეების დამარცხების საქმეში (სურ. 187). წენგმა და მისმა ძმამ დაიწყეს ხუნანის პროვინციის მაცხოვრებლების წვრთნა და შეიარაღება. ისინი საკუთარ არმიაში აწევრიანებდნენ ყველას – გლეხებს, საჯარო მოხელეებს, ჯარისკაცებს და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში მყოფი ევროპელების თვალში თაიფინგის აჯანყება სულაც არ იყო პოპულარული, ევროპაში ახალგაზრდა მეცნიერებისა და თანასწორობის იდეების მხარდამჭერებს შორის სასახელო გახდა. ერთ-ერთი პირველი ევროპელი ინტელექტუალი, რომელიც თაიფინგის აჯანყებას გამოეხმაურა, კარლ მარქსი იყო. იგი წერდა, რომ დგებოდა ჩინელი ხალხის გაერთიანების დრო დიდი რევოლუციის მოსახდენად. მისივე რწმენით, თუ ჩინეთში რევოლუცია მოხდებოდა, ის იმჟამინდელ კაპიტალისტურ მსოფლიოში დომინოს ეფექტს გამოიწვევდა და რევოლუციური ტალღა სხვა ქვეყნებსაც გადაედებოდა. თუმცა მარქსის წინასწარმეტყველება არ ახდა და თაიფინგის რევოლუციური მიდგომები უკვალოდ გაქრა.

აჯანყების დასასრული. მიუხედავად სამხედრო-პოლიტიკური კრიზისისა, ხუნგი მაინც ცდილობდა აღმოსავლეთით გაფართოებას, რისთვისაც მას ჭეძიანგის პროვინციისა და შანგხაის დაკავება ესაჭიროებოდა. შანგხაის აღება მანჯურიულ-ევროპული სამხედრო ალიანსით შეუძლებელი გახდა, თუმცა 1860 წელს მეორედ შემოარტყეს ალყა შანგხაის, ისევ – უშედეგოდ. ამასთან ერთად, წენგ კუოფანის ჯარები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ ნანძინგს. 1862 წელს წენგის დროშები ნანძინგის კედლებთან გამოჩნდნენ. ხუნგმა ქალაქის

მცხოვრებლებს მიმართა, რომ ღმერთი გადაარჩენდა მათ დედაქალაქს. ალყა თვეების განმავლობაში გაგრძელდა, ხოლო ხუნგსიოუციუენი მოულოდნელად საკვებით მონამვლისგან გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ ქალაქი ქაოსმა მოიცვა.

1864 წელს წენგის ძალები ნანძინგში შევიდნენ, სადაც მანჯურიელი გენერლების ცნობებზე დაყრდნობით, ასუელობით ხაკკას ტომის წარმომადგენელმა თავი დაიწვა, რათა ტყვედ არ ჩავარდნოდა მანჯურიელებსა და ჩინელებს. ორი წლის შემდეგ თაიფინგის უკანასკნელი გენერლებიც დანებდნენ და ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და უცხო იდეებით დაწყებული ექსპერიმენტი მარცხით დასრულდა.

ოპიუმის მეორე ომი და მუსლიმთა აჯანყებები

მეცხრამეტე საუკუნის ტოტალური ჩინური ქაოსი ალბათ გამორჩეულია მსოფლიოს ისტორიისთვის. რთულად თუ მოიძებნება იმდროინდელ მსოფლიოში სხვა ნაწილები, სადაც ასე მიყოლებით და შეუჩერებლივ მიმდინარეობდა სოციალური აფეთქებები თუ ეთნიკური წინააღმდეგობები, რომელსაც, თავის მხრივ, იყენებდნენ დასავლური ქვეყნები და მეტ ზეწოლას ახდენდნენ ცინგის მთავრობაზე, რათა სარგებელი მიეღოთ არსებული მდგომარეობიდან. ევროპული ქვეყნებისგან ზეწოლა ძირითადად პორტების გახსნასა და სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმებაში გამოიხატებოდა. მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში, მიუხედავად მრავალი პრობლემისა, ჩინეთის იმპერია მაინც სასურველ უდიდეს ეკონომიკურ ბაზრად რჩებოდა, სადაც დამკვიდრება გარანტირებულ შემოსავლებს ნიშნავდა.

ჩინურ ისტორიოგრაფიაში ბრიტანულ-ფრანგულ-ჩინური სამხედრო კონფლიქტი ძირითადად დამკვიდრებულია „ოპიუმის მეორე ომის“ სახელით, თუმცა დასავლელი ისტორიკოსები ზოგჯერ იყენებენ სხვა სახელებსაც: „ჩინურ-ბრიტანული სამხედრო ექსპედიცია“, „ისრის ომი“[1] და ა.შ.

[1] ისარი ერქვა ბრიტანული დროშით მცურავ გემს, რომელიც მეკობრეობის ბრალდებით დააკავეს ჩინელმა მეზღვაურებმა,რაც სამხედრო მოქმედებების დაწყების მიზეზი გახდა.

1856 წლისთვის 12 წელი გადიოდა ვამფოას[1] და ვანგპიას[2] ხელშეკრულებებიდან. 12-წლიანი პერიოდი გულისხმობდა ხელშეკრულებების გადახედვას და ახალი პირობებით მის გაფორმებას, თუმცა ეს არ ახარებდათ ჩინელებს, ხოლო დასავლური ქვეყნები ყველა შესაძლო მიზეზს ეძებდნენ, რომ როგორმე მოლაპარაკებების მაგიდასთან დაესვათ პეკინის წარმომადგენლები.

1856 წელს სამხრეთ ჩინეთში, კანტონში ჩინელმა მეზღვაურებმა დააკავეს ხომალდი „ისარი", რომელიც რეგისტრირებული იყო, როგორც ბრიტანული გემი და მასზე ფრიალებდა ბრიტანული დროშა. „ისრის" ეკიპაჟი ეჭვმიტანილი იყო მეკობრეობასა და კონტრაბანდაში. თომას კენედი, რომელიც მახლობელ გემზე იმყოფებოდა კანტონში, ბრიტანეთის წარმომადგენელს შეშფოთებით აუწყებდა, რომ მან საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ ჩამოაგდეს ბრიტანული დროშა ჩინელებმა და მოუწოდებდა დაეცვა იმპერიის ღირსება. ბრიტანეთის კონსული ჰარი პარკესი დაუყონებლივ ითხოვდა გემისა და ეკიპაჟის ჩინელი და ბრიტანელი წევრების გათავისუფლებას. თავდაპირველად ჩინურმა მხარემ რამდენიმე დაკავებული გაათავისუფლა, თუმცა უარს აცხადებდა ყველა წევრის გათავისუფლებაზე.

23 ოქტომბერს ბრიტანულმა სამხედრო ნაწილებმა მოძრაობა დაიწყეს კანტონის მიმართულებით და ცეცხლი გაუხსნეს რამდენიმე ფორტს. 28 ოქტომბერს ბრიტანული ნაწილები ქალაქში შევიდნენ. ქალაქის კედელზე ამერიკის კონსულმა გადმოკიდა ამერიკის დროშა. რამდენიმე საზღვაო შეტაკების შემდეგ ბრიტანელებმა დატოვეს კანტონი და დაუბრუნდნენ დისლოკაციის ადგილს ჰონგ-კონგში. ბრიტანელები ცდილობდნენ მოკავშირეები ეპოვათ ახალი სამხედრო კამპანიისთვის, თუმცა პრობლემებს წააწყდნენ. კერძოდ, 1857 წლისთვის ბრიტანეთში არჩევნები იმართებოდა. პოლიტიკურ წრეებში არ იყო დიდად პოპულარული ახალი სამხედრო კამპანიის წამოწყების

[1] ვამფოას ხელშეკრულება-გაფორმდა 1844 წელს ჩინეთსა და საფრანგეთს შორის, რომელიც ფრანგულ მხარეს ნებას რთავდა ესარგებლა ხუთი ჩინური ნავსადგურით, ასევე პეკინში ჰყოლოდა დიპლომატიური წარმომადგენელი.

[2] ვანგპიას ხელშეკურლება გაფორმდა 1844 წელს ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის და შტატებს ანიჭებდა განსაკუთრებული ქვეყნის სტატუსს, როგორიც ჰქონდა ბრიტანეთის იმპერიას. ეს გამოიხატებოდა ქვეყნის შიგნით ხუთი ნავსადგურის სარგებლობით. ამავდროულად, საგადასახადო პრივილეგიებით და ამერიკელი ვაჭრებისადმი ჩინური ენის სწავლის ნებართვით.

იდეა და ფინანსური ხარჯების გაღება. ბრიტანეთის მთავრობა ცდილობდა მოკავშირეები ეპოვა. თავიდან მათ რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შესთავაზეს მოკავშირეობა, რადგან მათაც აინტერესებდათ ახალი ხელშეკრულებები უკეთესი პირობებით ჩინეთთან, თუმცა მათ უარყვეს ბრიტანელების წინადადება. მიუხედავად რუსულ-ამერიკული უარისა, ბრიტანელებმა მაინც მოახერხეს ფრანგების დაყოლიება და სამხედრო ალიანსიც შედგა. სამხედრო კამპანიაში დაახლოებით 7000 ფრანგი და 13000 ბრიტანელი მონაწილეობდა. ფრანგულ მხარეს ხელმძღვანელობდა ჟან პაბტისტ ლუის გროსი, ხოლო ბრიტანულს – ლორდი ელგინი. თავდაპირველად მათ მიიტანეს იერიში კანტონზე და სამი წლის განმავლობაში დაკავებული ჰქონდათ ქალაქი. 1857 წელს ჩინელებმა გაათავისუფლეს „ისრის" ყველა წევრი, თუმცა არ მოუხდიათ ბოდიში და არც კომპენსანცია გადაუხდიათ. ფრანგულ-ბრიტანულმა ალიანსმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ კანტონზე შეეტიათ. იმ დროისთვის ქალაქის მოსახლეობა მილიონს აღწევდა, თუმცა მას მხოლოდ 6000 ჯარისკაცი იცავდა. საარტილერიო შტურმმა მალე გატეხა ქალაქის გარნიზონის წინააღმდეგობა და 1858 წლის პირველ იანვარს ისინი ქალაქში შევიდნენ. ქალაქის თავი იე მინგჩენი დაატყვევეს და კალკუტაში გაგზავნეს, სადაც ის პროტესტის ნიშნად შიმშილობის გამო გარდაიცვალა. 1858 წელს კი ოპერაცია გაშალეს და სხვადასხვა მიმართულებით დაიწყეს ჩინელების შევიწროება. მიუხედავად იმისა, რომ რუსები და ამერიკელები უშუალოდ სამხედრო მოქმედებში არ ჩარეულან, ისინი მაინც ეხმარებოდნენ მოკავშირეებს ფინანსურად და შეიარაღების მხრივ.

1858 წლისთვის მოკავშირეებმა თავისი გაიტანეს და ჩინური მხარე მოლაპარაკების მაგიდასთან დასვეს (სურ. 188). მოლაპარაკებებში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკული და რუსული მხარეებიც.



სურ. 188 „თიენძინის ზავის" ხელმოწერის პროცესი

თიენძინის ზავის თანახმად:

- ბრიტანეთს, რუსეთს, საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს ეძლეოდათ უფლება ჰყოლოდათ დიპლომატიური წარმომადგენლობა პეკინში, რომელიც იმხანად დახურული ქალაქი იყო;
- მდინარე იანგწი გამოცხადდა ღია სანაოსნო სივრცედ უცხოელი ვაჭრებისთვის;
- დამატებით გაიხსნა ცხრა ნავსადგური ჩინეთის სანაპიროებზე და ოთხი ქვეყნის ვაჭრებს უფლება მიეცათ ღუზა ჩაეშვათ და ჩამოეტვირთათ საქონელი ამ ადგილებში;
- ჩინურ მხარეს დაეკისრა 4 მილიონი ტაელის გადახდა ბრიტანული და 2 მილიონის გადახდა ფრანგული მხარისთვის;
- ხელშეკრულების თანახმად. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ეძლეოდათ უფლება ემოგზაურათ ქვეყნის შიდა პროვინციებში, რაც ადრე შეზღუდული ჰქონდათ.

თიენძინის ზავის პარალელურად რუსებმაც მოითხოვეს საზღვრის გადახედვა და აიძულეს ცინგის ხელისუფლება, რათა გაეფორმებინათ აიკუნის ხელშეკრულება, რომლითაც რუსებმა მიაღწიეს წყნარი ოკეანის გაუყინავ სანაპიროს და დაარსეს ქალაქი ვლადივოსტოკი. ამასთან ერთად, მდინარე ამურის ორივე ნაპირი რუსეთის მხარეს მოექცა, რაც კონფლიქტის კერად იქცა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ჩინელ და საბჭოთა მესაზღვრეებს შორის (სურ. 80). ოპიუმის მეორე ომში სერიოზული ადგილი უჭირავს ბრძოლებს ტაკუქოუს სიმაგრეებისთვის რომელიც თიენძინის მისადგომებთან მდებარეობდა (სურ. 189). იგი ყველაზე ახლომდებარე ნავსადგური იყო დედაქალაქთან. 1858 წლის 2 ივნისს იმპერატორმა სიენფენგმა ბრძანება გასცა, რომ ტაკუქოუს პორტის დაცვა გაძლიერებულიყო. მან მონღოლ გენერალს, სენგგე რინჩენს უბრძანა საფორტიფიკაციო ნაგებობის



სურ. 189 1860 წელს ტაკუქოუს პორტის ალება მოკავშირეების მიერ

დაცვა. სენგგე 4000 კავალერისტთან ერთად ჩავიდა დისლოკაციის ადგილას და შეუდგა გამაგრებით სამუშაოებს.

1859 წელს ტაკუქოუს პორტში ლუზა ჩაუშვა 21-მა ბრიტანულმა გემმა 2200 ჯარისკაცით, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ევალებოდათ ფრანგულ-ბრიტანული დიპლომატიური მისიის პეკინისკენ ესკორტირება. სენგგე რინჩენმა უარი განაცხადა სამხედრო ესკორტის გატარებაზე. მან ალტერნატიული გზა შესთავაზა დიპლომატიურ კორპუსს პეკინში შესასვლელად. ჩინელებს ასევე დანაღმული ჰქონდათ მდინარე პაიხე, რომელზეც რამდენიმე ბრიტანული გემი აფეთქდა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებს კონფლიქტის შემთხვევაში ნეიტრალიტეტი ჰქონდათ გამოცხადებული, კომოდორმა ჯოსიაჰ ტატნელმა ცეცხლი გაუხნა ჩინურ კავალერიას და დაიცვა ბრიტანული გემები უკან დახევისას.

ერთი წლის შემდეგ ფრანგულ-ბრიტანულმა კოალიციამ თავი მოუყარა 11000 ბრიტანულ და 6000-ზე მეტ ფრანგ ჯარისკაცს. ისინი ჰონგ-კონგში გაერთიანდნენ და გაემართნენ ჩრდილოეთით. გაერთიანებული ძალებით მათ დაიკავეს ტაკუქოუს პორტი. ასევე, ტალიენისა და პოხაის ყურის ბლოკადა მოახდინეს. ბლოკადის შემდეგ დედაქალაქი ფაქტობრივად დაუცველი ხდებოდა და იმპერატორის სიცოცხლეც საფრთხეში იყო. იმპერატორმა სიენფუენგმა დედაქალაქი დატოვა და რამდენიმე ასეული კილომეტრით მოშორებით, ჩენგტეს რეზიდენციაში გადავიდა. 1860 წლის ადრეულ შემოდგომაზე კოალიციური ჯარები პეკინში შევიდნენ. ფრანგულმა არტილერიამ მასირებული შტურმი მიიტანა ზაფხულის სასახლეზე და ფაქტობრივად გაანადგურა ძველი მინგის დინასტიის დროინდელი ზაფხულის სასახლე. პეკინის დაკავებით მოკავშირეებმა კიდევ დამატებითი დათმობები მოსთხოვეს ჩინელებს, კერძოდ:

- თიენძინი ცხადდებოდა თავისუფალ პორტად;
- ჰონგ-კონგი გადადიოდა ბრიტანეთის მმართველობაში;
- რვა მილიონი ტაელი ეძლეოდა კომპენსაციის სახით ბრიტანულ-ჩინურ მხარეს;
- ქრისტიანული ღვთისმსახურება ცხადდებოდა ლეგალურად;
- ოპიუმით ვაჭრობა ლეგალური ხდებოდა.

ზაფხულის სასახლის აღებამ გამოიწვია შოკი ჩინეთის მოსახლეობაში. მიუხედავად სირთულეებისა, სხვადასხვა ეპოქაში იმპერატორის რეზიდენცია იშვიათად გამხდარა თავდასხმის ობიექტი, მით უფრო გარე ძალების მხრიდან. დამწვარმა რეზიდენციამ გამოიწვია სხვადასხვა მოძრაობების წარმოშობა ცინგის მთავრობის შიგნით, რომლებიც ცდილობდნენ რეფორმებით დაეძლიათ არსებული კრიზისი და ჩამორჩენილობა დასავლურ ქვეყნებთან შედარებით.

ოპიუმის ომებისა და თაიფინგის აჯანყების პარალელურად ქვეყნის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში არ წყდებოდა შეიარაღებული გამოსვლები, რომელიც სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული. ჩინეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტებით აქტიურად სარგებლობდნენ ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობები და ცდილობდნენ ქაოსიდან სარგებელი ენახათ. ამას ემატებოდა ცენტრალური ხელისუფლების უუნარობა და არაადეკვატურობა ქვეყნის შიდა და საგარეო პრობლემების მიმართ. ოპიუმის პირველი ომიდან მოყოლებული 1949 წლამდე ტოტალური ქაოსი სუფევდა იმპერიაში.

ნიენის აჯანყება. თაიფინგის აჯანყება უნიკალური მოვლენა იყო მსოფლიოს ისტორიისთვის, რადგან მისი საფუძვლები და მიზნები განსხავდებოდა სხვა ნებისმიერი სამხედრო ამბოხისგან. თუ სხვა ამბოხებების მიზეზი ძირითადად ხელისუფლების ხელში ჩაგდება იყო, თაიფინგის რევოლუცია ეგალიტარიულ და რელიგიურ საწყისებს ეფუძნებოდა და იგი შთაგონების წყარო გახდა ხალხთა ჯგუფისთვის ჩინეთის სხვადასხვა ნაწილში. თაიფინგის აჯანყების პარალელურად ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში სხვადასხვა კლანებმა და ბანდებმა დაიწყეს სამხედრო ჯგუფების ფორმირება, ხელისუფლების წარმომადგენლების ძარცვა.

სიტყვა „ნიენი“ აღნიშნავდა ბანდიტებს. სწორედ ბანდიტებად მოიხსენიებდნენ ცინგის ხელისუფლების წარმომადგენლები აჯანყებულებს. ცენტრალურ ჩინეთში შეიარაღებული ბანდები თაიფინგის ზეციურ სამეფოსთან ერთად იყვნენ ალიანსში ხელისუფლების წინააღმდეგ, თუმცა რეალურად მათ შორის სერიოზული და კარგად დაგეგმილი კოორდინაცია არასდროს ყოფილა.

პირველი ამბოხი 1851 წელს დაიწყო და დაახლოებით 1868 წლამდე გრძელდებოდა პარტიზანულად. 1840 წელს დაწყებული

ბანდების გაერთიანების პროცესი 1851 წელს დასრულდა. იმ პერიოდისთვის ჭანგ ლესინგს, რომელიც კლანებს ხელმძღვანელობდა, 40 ათასი შეიარაღებული მებრძოლი ჰყავდა, რომელთა ერთადერთი მიზანი მანჯურიელების ხოცვა და მათი სიმდიდრის მიტაცება იყო. მიუხედავად პრიმიტიული მიზნებისა, ბანდების ლიდერები ხვდებოდნენ, რომ სჭირდებოდათ ლეგიტიმაცია იმპერიასთან საბრძოლველად. ამიტომ დაიწყეს „თეთრი ლოტოსის" ბანდებისგან სიმბოლიკის გადმოლება. კერძოდ, ხელმძღვანელები იწოდებოდნენ დიდ ხანად, ზოგჯერ კი – ბრწყინვალე მეფეებად.

1851 წელს მდინარე ხუანგხეს კატასტროფულმა ადიდებამ ასობით ათასი ადამიანი საკვების გარეშე დატოვა. ამას ემატებოდა სამხრეთ ჩინეთში თაიფინგელების სამხედრო დაუმორჩილებლობა და ლოკალური ომები სამთავრობო ჯარებთან. ეს ყველაფერი გახდა შესაძლებლობა ხენანელი[1] ბანდებისთვის, რომ მათაც დაეწყოთ ადგილობრივი ფეოდალებისა და მოხელეების ძარცვა და იარაღის შეგროვება. მას შემდეგ რაც ჭანგ ლესინგმა გაანალიზა ადგილობრივი მთავრობების სისუსტე, კარგად გაწვრთნილი კავალერიით 1855 წელს შეუტია ძიანგსუსა და ხუნანის პროვინციებს. ნიენის ბანდები ხუთ სადროშოდ დაიყვნენ და სადროშოებს ჰქონდათ როგორც სამხედრო, ასევე ადმინისტრაციული ფუნქციები. ცინგის მთავრობამ მონღოლი გენერალი სენგგელინცუინი გაგზავნა ნიენის ბანდებთან საბრძოლველად, რადგან თაიფინგის აჯანყებულებთან ერთად ისინი დღითიდღე საშიში ხდებოდნენ იმპერიისთვის. რამდენიმეწლიანი ბრძოლის შემდეგ ჭანგ ლესინგი 1863 წელს ბრძოლისას დაიღუპა და ნიენის მოძრაობის სერიოზული ნაწილი გაუვნებელყოფილი იყო, თუმცა კავალერისტები თაიფინგის ზეციური სამეფოს გენერლებს შეუერთდნენ და ისე აგრძელებდნენ ბრძოლას ცინგის წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც ცინგის გენერალმა წენგ კუოფენმა სამხრეთისკენ მასირებული შეტევა წამოწყო, ნიენისა და თაიფინგის ძალები ნელ-ნელა თავდაცვაზე გადავიდნენ. მიუხედავად ოპიუმის ომებისა, დასავლეთის ქვეყნები ეჭვის თვალით უყურებდნენ აჯანყებულებს და მაინც ამჯობინებდნენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ალიანსს. სწორედ ევროპელები აიარაღებდნენ წენგ კუოფენის სამხედრო

[1] პროვინცია ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

ნაწილებს ახალი საარტილერიო სისტემებით. მასობრივი შეტევების შედეგად თაიფინგელებმა ნანძინგი დაკარგეს და ამ მარცხმა ნიენელი კავალერისტების ბედიც გადაწყვიტა. ბოლო სამხედრო შეტაკება 1868 წელს მოხდა, როდესაც სამთავრობო ძალებმა სრულად გაწმინდეს ის ტერიტორია, რომელსაც ბანდები წლების განმავლობაში აკონტროლებდნენ. მიუხედავად თაიფინგისა და ნიენის აჯანყების წარმატებულად ჩახშობისა, ქაოსი ჩინეთის იმპერიაში გრძელდებოდა. სახელისუფლებო აპარატი იმდენად მოიშალა, რომ ერთიანი იმპერია მხოლოდ რუკებზე არსებობდა, რადგან აკრძალულ სასახლეში მჯდომ იმპერატორებს აღარ შესწევდათ უნარი, სრული იურისდიქცია ჰქონოდათ მთლიან იმპერიაზე. 1870 წლისათვის ჩინური საპორტო ქალაქები ფაქტობრივად ნახევრად კოლონიზირებულნი იყვნენ. იქ ინდუსტრიულ პოლიტიკას წარმართავდნენ დასავლური ქვეყნების წარმომადგენლები და მათთან ალიანსში მყოფი ადგილობრივი ელიტები.

ფანთაის იგივე ტუ ვენსიოუს ამბოხება. კიდევ ერთი სამხედრო-პოლიტიკურ ამბოხი, რომელმაც საგრძნობლად დაასუსტა სახელმწიფო აპარატი, იყო ფანთაის, იგივე ტუ ვენსიოუს ამბოხება მუსლიმი ერთნიკური უმცირესობის მხრიდან, რომლებმაც ისევე გამოიყენეს სახელმწიფოს სისუსტე, როგორც ნიენისა და თაიფინგის აჯანყების მონაწილეებმა. სახელი „ფანთაი" ბირმული წარმომავლობისაა. ასე უწოდებდნენ ისინი მუსლიმ ხუეის ტომებს, რომლებიც იუნნანის პროვინციაში ცხოვრობდნენ და აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხებთან.

იუნნანის პროვინციაში ეთნიკურ ჩინელებსა და ხუეის ხალხებს შორის ხშირად ხდებოდა სხვადასხვა ტიპის შეტაკება ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე, თუმცა ამბოხი, რომელიც 1856-დან 1871 წლამდე გაგრძელდა, მაღაროელებს შორის შეტაკების გამო დაიწყო. ხუეის და ხანელ ჯგუფებს შორის მაღაროების და მადნეულის გამო დაწყებული შეტაკება ცინგის ადგილობრივმა ხელისუფლებამ 1856 წელს სისხლში ჩაახშო. ქალაქ ქუნმინგის ქუჩები მუსლიმი ჩინელების გვამებით იყო მოფენილი, რამაც ადგილობრივი კლანის ხელმძღვანელი ტუ ვენსიოუ აიძულა, გამოეცხადებინა დამოუკიდებელი სამეფო, ხოლო დედაქალაქად იარჩია ტალი, იუნნანის დასავლეთ ნაწილში. მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებული ტე ვენსიოუ და მისი მომხრეებიც მუსლიმები იყვნენ, ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ ცინგის

ხელისუფლებასა და მანჯურიელებს, როგორც უთანასწორობისა და ტირანიის სიმბოლოს. კონფლიქტი ჩინელებსა და ხუეის ეთნიკურ ჯგუფს შორის დაიწყო, თუმცა პრობლემის წყაროდ მაინც მანჯურიელები და ცინგის სისტემა განიხილებოდა, რის გამოც ხუეის ხალხების ამბოხს ეთნიკური ჩინელებიც უერთდებოდნენ. ზოგადად, საშხრეთი ჩინეთი ჩინური ნაციონალიზმის წყარო იყო და ისინი გაცილებით უფრო რთულად ადაპტირდებოდნენ მანჯურიელებთან, ვიდრე ჩრდილოეთ ჩინეთში მაცხოვრებელი ჩინელები. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ტუ ვენსიოუ ეთნიკურად ხანი იყო ანუ ჩინელი, რომელიც სუნიტურ ისლამზე მოექცა. მიუხედავად მისი ეთნიკური კუთვნილებისა, ის ძალიან პოპულარული იყო როგორც ხუეის, ასევე ხანელებს შორის. ტუ იყენებდა ანტიმანჯურიულ რიტორიკას და უხმობდა ყველა ხანს, ებრძოლათ მანჯურიული ტირანიის წინააღმდეგ. ტუ ატარებდა ჩინურ ტანსაცმელს. მისი ბრძანებით, კონფუციური ტრადიციები დააბრუნეს მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რათა უფრო მეტ ჩინელს გასჩენოდა სურვილი მათთან თანამშრომლობისა. აჯანყებულებმა დაარსეს სამეფო, რომელსაც „სამხრეთის მშვიდობიანი სამეფო" დაარქვეს. ეთნიკურ ხანებსა და ხუეის ხალხებს ასევე შეუერთდნენ იუნნანში მცხოვრები შანისა და კაჩინის ტომები. ტუ ვენსიოუ ცდილობდა შეტაკებების დროს არ დაეზიანებინა ეთნიკური ჩინელები და ყოველთვის მოუწოდებდა მათ ერთიანობისკენ, რათა უცხოტომელი მანჯურიელები გაეძევებინათ ჩინეთიდან.

1860 წელს ტუ ვენსიოუმ შეიცვალა სახელი და თავი სულთან სულეიმანად გამოაცხადა, ხოლო იუნნანის პროვინცია კი – ისლამურ სასულთნოდ. ისლამური სასულთნო ჩინეთის ტერიტორიაზე რვა წლის განმავლობაში არსებობდა, 1868 წლიდან ნელ-ნელა სამთავრობო ძალებმა დაიწყეს მისი შევიწროება. ალყაში მოქცეული ტუ ვენსიოუ ბრძოლისას მოკვდა.

ტუნკანების აჯანყება. 15-წლიანი ქაოსი დასავლეთ ჩინეთში. მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანების ქაოსი ჩინეთში მართლაც განსაკუთრებული მოვლენა იყო მსოფლიოს ისტორიაში. ოპიუმის პირველი ომის შემდეგ დაწყებული ქაოსური პროცესები მთელ ქვეყანას მოედო და ფაქტობრივად არ დარჩენილა პროვინცია, რომელიც სამოქალაქო შეტაკებას ან სხვა ტიპის სამხედრო დაპირისპირებას

გადაურჩა. 1862-1877 წლებში დასავლეთ ჩინეთის პროვინციები – სინძიანგი, კანსუ, ნინგსია და შაანსი – ხუეის ეთნიკური ჯგუფებისა და სხვა მუსლიმი კლანების სამხედრო ამბოხმა მოიცვა.

მინგის დინასტიის ბოლო პერიოდში საკმაოდ გაუმჯობესდა ურთიერთობები მინგის ელიტასა და მუსლიმ ჩინელებს შორის.

თაიფინგის აჯანყების ბოლო ეტაპზე აჯანყებულებმა შაანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილამდე მიაღწიეს.

ტუნკანების სამხედრო ამბოხის მთავარი შემოქმედნი ეთნიკური ხუეის წევრები იყვნენ, რომლებიც ზოგჯერ შეცდომით იდენტიფიცირებულნი არიან ცენტრალური აზიის თურქული მოდგმის ხალხებთან. აჯანყების მიზეზები დაკავშირებული იყო ჯერ კიდევ მინგის დინასტიის ბოლო პერიოდთან, როდესაც მინგის ერთგული ფეოდალები და სამხედროები ჩინელ მუსლიმებს აფარებდნენ თავს და იქედან იღებდნენ სამხედრო თუ სხვა სახის მხარდაჭერას. მე-18 საუკუნიდან მუსლიმების წარმომადგენლებმა დაიწყეს დასავლეთით სხვადასხვა მიზეზით მოგზაურობა. ხშირად ჰქონდათ კონტაქტი მექელ და მედინელ მუსლიმებთან, რის შედეგადაც მათ ჩინეთში შემოიტანეს სუფიზმი[1], რომელიც აქტიურად იკიდებდა ფეხს. ცინგის მთავრობა სუფიზმს ტოლერანტულად შეხვდა.

ტუნკანების აჯანყების 1862 წელს დაიწყო, ბამბუკის ჯოხებს შუბებად და სხვა საშუალებად იყენებდნენ. არსებული ცნობების მიხედვით, პირველად მუსლიმი ჩინელები დაესხნენ თავს მათ მეზობლად მცხოვრებ ჩინელებს და სასკლაოებად აქციეს ქუჩები და ქალაქები. შიგადაშიგ დგებოდა ისლამური სახელმწიფოს დაარსების საკითხიც, რომელსაც აღარაფერი ექნებოდა საერთო მანჯურიელებთან.

ჩინელი მუსლიმების აჯანყების პარალელურად საინტერესო პროცესები ვითარდება დასავლეთ სინძიანგსა და ცენტრალურ აზიაში. კოკანდის სახანომ დაკარგა ტაშკენტი რუსებთან ბრძოლისას და იაქუბ ბეგი, თავისი ერთგული ნაწილებით აღმოსავლეთში გადავიდა. მან დაიკავა სინძიანგის უკიდურესი დასავლეთით მდებარე ქალაქი კაშგარი, სადაც ახალი სახანო გამოაცხადა. იაქუბ

[1] სუფიზმი (არაბ. تصوف თასავუფ) — ისლამის შინაგანი, მისტიკური, ფსიქო-სულიერი განზომილება. სუფიზმის მიმდევარს სუფი ეწოდება. დღევანდელი მონაცემებით, მსოფლიოში 70 სუფიური საძმოა და მათ ასობით ათასი მიმდევარი ჰყავს.



სურ. 190 წუო წუნგთანგი

ბეგს ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას უცხადებდნენ ოსმალეთისა და ბრიტანეთის იმპერიები, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღითა და სხვა თანამედროვე საშუალებებით ამარაგებდნენ მათ, რადგან ცენტრალურ აზიაში მათდამი პოზიტიურად განწყობილი ახალი სახელმწიფოს შექმნა სასიცოცხლოდ აუცილებელ საქმედ მიაჩნდათ. რუსეთის იმპერიის შორეული აღმოსავლეთის ნაწილები ცინგის ჯარებს აქტიურად ეხმარებოდნენ. მეტიც, გენერალი გორჩაკოვი სპეციალურ ძალებს აგზავნიდა ჩინეთში, რათა საცეცხლე მომზადება და საარტილერიო საქმის ცოდნა აემაღლებინა მანჯურიელებისთვის. საბრძოლო მოქმედებებს მანჯურიელების მხრიდან გენერალი წენგ წუნგთანგი მეთაურობდა, რომელსაც სრულიად მოულოდნელი პოლიტიკური მდგომარეობა შეექმნა. კერძოდ, კაშარში იაქუბ ბეგის მომხრეებსა და ჩინელ მუსლიმებს შორის მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ იაქუბ ბეგმა ჯიჰადი გამოუცხადა ტუნკანებს, რამაც რუსები, ტუნკანები და მანჯურიელები ბუნებრივ მოკავშირეებად აქცია. იაქუბ ბეგის წინააღმეგ გაერთიანებულ მანჯურიელთა სადროშოებს ტუნკანური ბანდების ნაწილიც შეუერთდა და ერთიანი ძალებით შეუტიეს დასავლეთ სინძიანგში იაქუბის ნაწილებს. 1870 წლისთვის სინძიანგი და კაშგარი ისევ ცინგის დინასტიის იურისდიქციის ქვეშ მოექცა. რაც შეეხება ტუნკანებს, მათმა ნაწილმა რუსეთსა და ცენტრალურ აზიაში გადასვლა გადაწყვიტა, ნაწილი კი იმპერიის შემადგენლობაში დარჩა. აჯანყების ჩახშობის ბოლო პერიოდში სიტუაცია დაიძაბა რუსულ და ჩინურ საჯარისო ნაწილებს შორის, რადგან წუო წუნგთანგი კატეგორიულად მოითხოვდა, რუსებს დაეტოვებინათ სინძიანგის დაკავებული პუნქტები და დაბრუნებოდნენ აჯანყების წინა პოზიციებს. მეტიც, ჩინურ-მანჯურიულმა ნაწილებმა ცეცხლიც კი გაუხსნეს რუსებს ილის მისადგომებთან (სურ. 190). მოლაპარაკებები პეტერბურგის ზავით დასრულდა და რუსებმა დატოვეს სინძიანგის ტერიტორია, თუმცა შემდგომში არ შეუწყვეტიათ აქტიური ჩარევა ჩინური პროვინციის ამ მონაკვეთში.

ტუნკანების აჯანყებამ და იაქუბ ბეგთან ბრძოლამ კიდევ უფრო დაასუსტა ცინგის იმპერია. პოლიტიკური ელიტა ნელ-ნელა ხვდებოდა, რომ აუცილებელი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარება, რაც მახლობელ იაპონიაში უკვე დაწყებული იყო მეიჯის რესტავრაციის სახით. უზარმაზარ იმპერიაში რეფორმის აუცილებლობას ბევრი არ უჭერდა მხარს. კონსერვატულ ძალებსა და სამხედრო მმართველებს აწყობდათ ნახევრად ჩამოშლილი სახელმწიფო, სადაც გადასახადების დამალვასა და კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობას უფრო კარგად ახერხებდნენ, ვიდრე გამართული აპარატის პირობებში მოახერხებდნენ. ამასთან ერთად, უცხოური ქვეყნების გავლენა კიდევ უფრო იზრდებოდა. ჩინურ პროვინციებში კოლონისტური ევროპა წარმატებით თანამშრომლობდა ადგილობრივ კორუმპირებულ მოხელეებთან ოპიუმითა თუ სხვა საქონლით ვაჭრობის მხრივ.

რეფორმები კრიზისის დასაძლევად და დედოფალ ცსის მმართველობის დასაწყისი

გამუდმებული შიდა დაპირისპირებისა და საგარეო წნეხის ფონზე, ცინგის მთავრობის ელიტურ წრეებში მომწიფდა შეხედულება, რომ იმპერიის გადასარჩენად აუცილებელი იყო რეფორმების გატარება. მით უფრო, როცა მეზობელ იაპონიაში მეიჯის რესტავრაცია წარმატებით მიმდინარეობდა. რეფორმები იმპერატორი თუნგჭის სახელს უკავშირდება. იგი სამოციან წლებში მცირეწლოვანი გამეფდა და რეალური ძალაუფლება დედამისს, დედოფალ ცსის და მის პოლიტიკურ მხარდამჭერებს ჰქონდათ (სურ. 191).

რეფორმების ეპიცენტრში კონფუცისტი წარმატებული მოხელე, ხანლინის აკადემიის წევრი, წენგ კუოფენი იყო, რომელიც ცნობილი გახდა თაიფინგის აჯანყების და ნიენის ამბოხის ჩახშობით. წენგი არ იყო რადიკალი კონსერვატორი. მისი იდეები ახლოს იდგა კლასიკურ კონფუციზმთან, ეფუძნებოდა რა მორალისა და ეთიკის პრინციპებს, თუმცა თავად სულაც არ იყო იზოლაციონისტი. წენგი აცნობიერებდა დასავლურ ქვეყნებთან შედარებით ჩინეთის სამხედრო ჩამორჩენილობას და აქტიურად მოუწოდებდა ხელისუფლების წევრებს

მეტი ურთიერთობა ჰქონოდათ მათთან, რათა სამხედრო და საინჟინრო ტექნოლოგიები აეთვისებინათ მათგან. შანგხაის მისადგომებთან წენგის საჯარისო ნაწილებს თაიფინგელების წინააღმდეგ მიეხმარნენ ამერიკელი და ბრიტანელი არტილერისტები. სწორედ იქ გააცნობიერა წენგ კუოფენმა დასავლური ქვემეხებისა და ცეცხლსასროლი იარაღის საგრძნობი უპირატესობა.



სურ. 191 დედოფალი ცსი

ამერიკის სამოქალაქო ომი საარტილერიო საქმის განვითარებისთვის ნამდვილი საჩუქარი გამოდგა. ამერიკული და ევროპული კომპანიები ცდილობდნენ, რაც შეიძლება გაუმჯობესებული იარაღი შეექმნათ, რადგან ბაზარზე მოთხოვნა საგრძნობლად იზრდებოდა. ეს მდგომარეობა წენგის ყურამდეც მივიდა. მისი უშუალო მოქმედებით, ამერიკიდან მოიწვიეს არტილერისტები და იარაღის სპეციალისტები იმ მიზნით, რომ ჩინელებისთვის თანამედროვე სამხედრო ინდუსტრია და დასავლური საბრძოლო მეთოდები გაეცნოთ. გარდა სამხედრო საქმისა, წენგის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იყო საინჟინრო სფერო და ტექნიკური განათლების საკითხები.

მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ცინგის დინასტია იწყებს საკუთარი საგარეო პოლიტიკის ფორმირებას. პოლიტიკური ელიტა ნელ-ნელა აცნობიერებდა, რომ აუცილებელი იყო მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებთან პოლიტიკური-ეკონომიკური ურთიერთობები და საერთაშორისო სისტემაში ინტეგრაცია. ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი იყო გასული მას შემდეგ, რაც 1793 წელს ბრიტანეთის იმპერიის მიერ პირველი ოფიციალური დელეგაცია უარით გაისტუმრეს მანჯურიელებმა. უარი თქვეს თანასწორუფლებიან დიპლომატიურ ურთიერთობებზეც. ამის შედეგი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მწარედ იწვნიეს ოპიუმის ომებისა და სხვა კონფლიქტების სახით. გარდა საგარეო პოლიტიკისა, იმავე პერიოდში აქტიურად დაიწყეს საბაჟო სისტემის განვითარება.

1854 წელს შეიქმნა დასავლური ტიპის საბაჟო შანგხაიში, სადაც კრეფდნენ გადასახადებს და პეკინში გზავნიდნენ. უცხო ქვეყნებთან

ეკონომიკური ურთიერთობებისთვის აღადგინეს იმპერატორ იუნგჭენგის დროს შექმნილი უწყება, რომელსაც წუნგლი იამენი ეწოდებოდა. მის სათავეში კი ახალგაზრდა მანჯურიელი პრინცი კუნგი იყო, რომელიც რეფორმატორებს შორის ერთ-ერთი აქტიური და გავლენიანი გახლდათ. მასთან ერთად რეფორმატორების ჯგუფში ასევე გამოირჩეოდა ახალგაზრდა ბიუროკრატი ვენ სიანგი, რომელიც არ იყო წარჩინებული ოჯახიდან, თუმცა საკუთარი უნარებით მოახერხა და ჩააბარა უძველეს სამოხელეო „ძინში" გამოცდა და აქტიურად მონაწილეობდა პეკინის შემოგარენის დაცვაში აჯანყებების დროს.

1836 წელს ჰენრი ვიტონმა გამოაქვეყნა იმ პერიოდისთის ყველაზე პოპულარული ნაშრომი საერთაშორისო სამართლის შესახებ: „საერთაშორისო სამართლის ელემენტები", რომელიც აქტიურად გამოიყენებოდა დასავლური სახელმწიფოების მიმართ საერთაშორისო სამართლებრივ დავებში. 1862 წელს, პრინც კუნგის ბრძანებით, დაიწყო წიგნის თარგმნა ჩინურად. თარგმანი ერთი წლის თავზე მზად იყო, თუმცა, კუნგის აზრით, ზოგიერთი თავი სადავო იყო. ჩინეთი არ აპირებდა, წიგნი რედაქტირების გარეშე მიეღო. მიუხედავად აღნიშნული ფაქტისა, ჩინეთმა მაინც გამოიყენა იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის პრინციპები 1864 წელს. სამოციან წლებში დანიასა და პრუსიას შორის ომი გაჩაღდა, რომელიც გასცდა ევროპის საზღვრებს და აზიასაც მიაღწია. 1864 წელს პრუსიულმა გემებმა დააკავეს დანიური გემები ტაკუქოუს პორტის მიმდებარე წყლებში. პრინცმა კუნგმა ისარგებლა ვიტონის ნაშრომით და პრუსიელებს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ დანიური ხომალდები, რომლებიც ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში დააკავეს. მეტიც, პრუსიელებმა გადაიხადეს 1500 დოლარი საკომპენსაციოდ. ამის შემდეგ პეკინში დაიბეჭდა ნაშრომის 1500 ეგზემპლარი და დაეგზავნა პროვინციების მოხელეებს გასაცნობად.

1862 წელს ვენ სიანგისა და კუნგის ხელძღვანელობით პეკინში გაიხსნა მთარგმნელობითი სკოლა, რომელიც მალე კოლეჯად გადაკეთდა. კოლეჯში ისწავლებოდა ინგლისური, ფრანგული და რუსული ენები.

რეფორმების შუა პერიოდში, ახალგაზრდა იმპერატორი თუნგჭი 18 წლის ასაკში გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიით, გარდაცვალების მიზეზი ყვავილის დაავადება იყო, თუმცა ეს ვერსია დღემდე

ეკონომიკური ურთიერთობებისთვის აღადგინეს იმპერატორ იუნგჭენგის დროს შექმნილი უწყება, რომელსაც წუნგლი იამენი ეწოდებოდა. მის სათავეში კი ახალგაზრდა მანჯურიელი პრინცი კუნგი იყო, რომელიც რეფორმატორებს შორის ერთ-ერთი აქტიური და გავლენიანი გახლდათ. მასთან ერთად რეფორმატორების ჯგუფში ასევე გამოირჩეოდა ახალგაზრდა ბიუროკრატი ვენ სიანგი, რომელიც არ იყო წარჩინებული ოჯახიდან, თუმცა საკუთარი უნარებით მოახერხა და ჩააბარა უძველეს სამოხელეო „ძინში" გამოცდა და აქტიურად მონაწილეობდა პეკინის შემოგარენის დაცვაში აჯანყებების დროს.

1836 წელს ჰენრი ვიტონმა გამოაქვეყნა იმ პერიოდისთის ყველაზე პოპულარული ნაშრომი საერთაშორისო სამართლის შესახებ: „საერთაშორისო სამართლის ელემენტები", რომელიც აქტიურად გამოიყენებოდა დასავლური სახელმწიფოების მიმართ საერთაშორისო სამართლებრივ დავებში. 1862 წელს, პრინც კუნგის ბრძანებით, დაიწყო წიგნის თარგმნა ჩინურად. თარგმანი ერთი წლის თავზე მზად იყო, თუმცა, კუნგის აზრით, ზოგიერთი თავი სადავო იყო. ჩინეთი არ აპირებდა, წიგნი რედაქტირების გარეშე მიეღო. მიუხედავად აღნიშნული ფაქტისა, ჩინეთმა მაინც გამოიყენა იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის პრინციპები 1864 წელს. სამოციან წლებში დანიასა და პრუსიას შორის ომი გაჩაღდა, რომელიც გასცდა ევროპის საზღვრებს და აზიასაც მიაღწია. 1864 წელს პრუსიულმა გემებმა დააკავეს დანიური გემები ტაკუქოუს პორტის მიმდებარე წყლებში. პრინცმა კუნგმა ისარგებლა ვიტონის ნაშრომით და პრუსიელებს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინათ დანიური ხომალდები, რომლებიც ჩინეთის ტერიტორიულ წყლებში დააკავეს. მეტიც, პრუსიელებმა გადაიხადეს 1500 დოლარი საკომპენსანციოდ. ამის შემდეგ პეკინში დაიბეჭდა ნაშრომის 1500 ეგზემპლარი და დაეგზავნა პროვინციების მოხელეებს გასაცნობად.

1862 წელს ვენ სიანგისა და კუნგის ხელძღვანელობით პეკინში გაიხსნა მთარგმნელობითი სკოლა, რომელიც მალე კოლეჯად გადაკეთდა. კოლეჯში ისწავლებოდა ინგლისური, ფრანგული და რუსული ენები.

რეფორმების შუა პერიოდში, ახალგაზრდა იმპერატორი თუნგჭი 18 წლის ასაკში გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიით, გარდაცვალების მიზეზი ყვავილის დაავადება იყო, თუმცა ეს ვერსია დღემდე

საკამათოა. იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ დედოფალ-რეგენტის, ცსის წინაშე ძალაუფლების შენარჩუნების პრობლემა დადგა. ერთადერთი გამოსავალი მისი რეგენტობის გახანგრძლივება იქნებოდა სხვა არასრულწლოვანი იმპერატორის ტახტზე ასვლამდე. მან დაარღვია მანჯურიული წესი და ტახტზე აიყვანა მცირეწლოვანი ძმისშვილი, კუანგსიუ (სურ. 192). კონფუცისტი მოხელეების ნაწილმა სასტიკად გააპროტესტა უძველესი ტრადიციების დარღვევა. მეტიც, ერთ-ერთმა მათგანმა იმპერატორ თუნგჭის საფლავზე თავი მოიკლა, რათა საჯაროდ დაეგმო ტრადიციების უარყოფა. თუმცა ცსის გავლენამ მაინც თავისი ქნა და ტახტზე ახალი იმპერატორი ავიდა, რომლის რეგენტად თავადვე დაინიშნა.



სურ. 192 კუანგსიუ

ცსის რეგენტობა მისთვის ხელსაყრელ პოლიტიკურ პერიოდში განახლდა, რამდენიმე წლის გარდაცვლილი იყო ერთ-ერთი გავლენიანი რეფორმატორი, წენგ კუოფენი. 1876 წელს გარდაიცვალა ვენ სიანგიც, ხოლო საიმპერატორო საბჭო კონსერვატორი რეაქციონერებით კომპლექტდებოდა, რომლებიც რეგენტის მოკავშირეები იყვნენ.

რეგიონალური დომინანტობის მცდელობა და კონფლიქტი საფრანგეთთან



სურ. 193 ფრანგმა ოფიცრებმა დაიკავეს კუანგჭოუ

ცინგის დინასტიას, განსხვავებით მისი წინამორბედისგან, გაცილებით დიდი პოლიტიკური ამბიციები ჰქონდა. მანჯურიელების მმართველობის პირველ ასწლეულში იმპერიის ტერიტორია თითქმის ორჯერ გაიზარდა და მიაღწია ისეთ მასშტაბებს, რომელიც არასდროს არ ჰქონია. მიუხედავად მეცხრამეტე საუკუნეში მთელი რიგი პოლიტიკური წარუმატებლობისა, პეკინს მაინც გააჩნდა რეგიონალური დომინანტობის ამბიციები კორეისა და ვიეტნამის მიმართულებით. მე-19 საუკუნის ბოლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში საფრანგეთი გამოჩნდა, როგორც ახალი კოლონისტური ძალა (სურ. 193). ფრანგების ყურადღება ვიეტნამისკენ იყო მიპყრობილი, რომელსაც მანჯურიელები საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევდნენ. რეგენტ ცსის უახლოესმა პირმა ლი ხუნგჭანგმა, რომელიც ფაქტობრივად თავის თავზე იღებდა საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების წარმართვას,



სურ. 194 ლი ხუნგჭანგი

მოუწოდა ფრანგებს, შეეწყვიტათ დასახლებების შექმნა ვიეტნამის ტერიტორიაზე, თუმცა ფრანგებისგან უარი მიიღო (სურ. 194). მეტიც, მდგომარეობა იქამდე მივიდა, რომ ფუჭოუს სიახლოვეს მანჯურიელებსა და ფრანგებს შორის მცირე საზღვაო ინციდენტიც მოხდა. ფრანგებს იმ მომენტში 8 საბრძოლო გემი და ტორპედოების გამშვები ორი მცურავი საშუალება ჰქონდათ, რაც ჯამურად 70-მდე თანამედროვე ქვემეხს იტევდა. მიუხედავად იმისა, რომ მანჯურიელებს უკვე დაწყებუ-

ლი ჰქონდათ ევროპული ფლოტის მშენებლობა, მათი ფლოტილია სამხრეთ ჩინეთში აშკარად ჩამორჩებოდა ფრანგულს. იმ მომენტისთვის მანჯურიელების განკარგულებაში იყო ტრადიციული საბრძოლო გემები, რომლებსაც ჯამში 45 ქვემეხი გადაჰქონდათ, თუმცა გაცილებით უფრო წვრილკალიბრიანი, ვიდრე მათ ფრანგ მონინააღმდეგეებს. საბრძოლო მოქმედებები ორ ქვეყანას შორის დაახლოებით ნელინადი მიმდინარეობდა. რიცხობრივი უპირატესობით მანჯურიელებმა და ვიეტნამელებმა სახმელეთო ბრძოლებში წარმატება მოიპოვეს, თუმცა საზღვაო ბრძოლებში სამხრეთ ჩინეთში განთავსებული სამხედრო გემები ფაქტობრივად განადგურდნენ, რამაც საშუალება მისცა ფრანგებს ფორმოზისა და სხვა პორტების ბლოკირებისა. ამასთან ერთად, იქმნებოდა საფრთხე, რომ იაპონელები და რუსები დაიწყებდნენ სამხედრო მოქმედებებს ჩინეთის წინააღმდეგ. ამის გამო ლი ხუნგჭანგის გადაწყვეტილებით, ჩრდილოეთიდან დამატებითი გემები აღარ გაიგზავნა სამხრეთში. მოლაპარაკებების დროს მანჯურიელებმა აღიარეს ფრანგების პრეტენზიები და დაწესდა საზღვარი ფრანგულ პროტექტორატსა და ცინგის იმპერიას შორის.

პირველი ჩინურ-იაპონური ომი და იაპონიის სამხედრო-პოლიტიკური აღმასვლა

ჩინეთის იმპერია აღმოსავლეთ აზიაში ასეულობით წლის განმავლობაში წარმოადგენდა რეგიონალურ ჰეგემონს არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისითაც. იაპონიის კუნძულოვანი სახელმწიფოსთვის ჩინეთი იყო ხიდი დანარჩენ სამყაროსთან. სწორედ ჩინეთიდან შევიდა იეროგლიფური დამწერლობა, ბუდიზმი, გარკვეული ტიპის არქიტექტურა და სხვა ბევრი გამოგონება იაპონიის ტერიტორიაზე. მე-19 საუკუნემდე ჩინური და მანჯურიული პოლიტიკური ელიტა კორეასაც და იაპონიასაც ე.წ. „უმცროს ძმად“ მოიხსენიებდნენ. სწორედ ამ სინოცენტრული მიდ-



სურ. 195 იუენ შიქაი

გომისა და არსებული პოლიტიკური ქაოსის გამო ჩინეთში გამორჩათ ის სამხედრო-ტექნოლოგიური პროგრესი, რომელსაც იაპონიამ ძალდატანებითი გახსნის[1] შემდეგ მიაღწია.

იაპონიასთან ერთად კორეის სამეფოსაც იმავე კონტექსტში განიხილავდა ცინგის მთავრობა. ოღონდ კორეასთან მიმართებით ცინგის დინასტიის ამბიციები გაცილებით უფრო რეალური იყო. კორეა იაპონიისგან განსხვავებით არ იყო უცხოური ძალების გავლენის ქვეშ და არც მეიჯის რესტავრაციის მსგავსი პროცესი მომხდარა ნახევარკუნძულზე. ამასთან ერთად, კორეა სახმელეთო გზაც ჰქონდა იმპერიასთან, რაც გაცილებით მეტად აკავშირებდა სავაჭრო და კულტურული კუთხით პეკინთან, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანას.

80-იანი წლების ბოლოს დედა-დედოფლის ნდობით აღჭურვილმა ლი ხუნგჭანგმა საკუთარ ხელში აიღო საგარეო პოლიტიკის წარმართვა. მისი გავლენა საკმაოდ გაიზარდა კორეის პოლიტიკურ ელიტაზე, თუმცა არც იაპონელი პოლიტიკოსები ისხდნენ უქმად. ფაქტობრივად, 80-იანი წლების კორეა გადაქცეული იყო ჩინეთ-იაპონიის შორის საჯილდაო ქვად, სადაც ორივე მხარეს ჰყავდა მათი მხარდამჭერი პოლიტიკოსები სამეფო კარზე. 1894 წელს დაიწყო აჯანყება კორეის ნახევარკუნძულზე რომელიც არც ისე სერიოზული იყო, თუმცა მეფე გოჯონგმა ცინგის მთავრობას სამხედრო დახმარება სთხოვა. პეკინიდან კორეაში გაიგზავნა გენერალი იუენ შიქაი და 3000-მდე ჯარისკაცი (სურ. 195). იაპონია აღნიშნულ ნაბიჯს კორეის სუვერენტიტეტისა და თიენძინის ზავის დარღვევად მიიჩნევდა და სთხოვდა იუენ შიქაის, ჯარები უკან გაეყვანა. მხარეებმა თითქოსდა მოილაპარაკეს კორეის მთავრობის რეფორმირებაზე და იუენ შიქაიც ჩინეთში დაბრუნდა იმ იმედით, რომ იაპონელები შეასრულებდნენ ნაკისრს ვალდებულებებს. 1894 წლის 14 ივნისს იაპონელი ჯარისკაცები სეულში შევიდნენ და კორეის მეფე ტყვედ აიყვანეს. დაკომპლექტდა ახალი პროიაპონური მთავრობა, რომელიც ცინგის იმპერიის ჯარებს მოუწოდებდა, სრულად დაეტოვებინათ კორეის ტერიტორია, რაზეც უარი მიიღეს, რადგან ჩინეთის მთავრობა ახალ კაბინეტს არალეგიტიმურად თვლიდა.

[1] საუბარია 1852 წლებში კომოდორ პერის მიერ იაპონიის ძალისმიერი ინტეგრაცია სავაჭრო ურთიერთობებში.

სწრაფი მანევრირებისათვის ჩინელებმა 1,200 მეომრის გადაყვანა ბრიტანელ ვაჭრებს სთხოვეს იმ იმედითაც, რომ იაპონელები ვერ გაბედავდნენ ცეცხლის გახსნა, თუმცა ბრიტანული გემები იაპონელების ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდნენ და მხოლოდ ორასამდე ჩინელი ჯარისკაცი გადარჩა 1200-დან. სეულთან და ფიონიანგთან განლაგებული საჯარისო ნაწილებიც დაამარცხეს იაპონელებმა და დაიძრნენ ჩრდილოეთისკენ. ფაქტობრივად, უპრობლემოდ გადალახეს მდინარე იალუ და გადავიდნენ მანჯურიელთა ტერიტორიაზე, სადაც დაიკავეს რამდენიმე საფორტიფიკაციო ნაგებობა.

დიდი ხანი არ იყო გასული, რაც ცინგის დინასტიამ ჩრდილოეთ ფლოტის აშენება დაიწყო. ფლოტილიაში სხვადასხვა პოზიციას იკავებდნენ ახალგაზრდა მეზღვაურები, რომლებმაც განათლება დიდი ბრიტანეთის საზღვაო აკადემიაში მიიღეს. მიუხედავად წინააღმდეგობისა, იაპონელები ტექნიკურადაც და სტრატეგიულადაც გაცილებით მომზადებულნი აღმოჩნდნენ და ჩინური ფლოტი ჩრდილოეთშიც დამარცხდა. 20 ათასი იაპონელი მებრძოლი ჩინეთის ტერიტორიაზე შემოვიდა. იაპონიაში გაგზავნილი ლი ხუნგჭანგი თავდასხმის ობიექტი გახდა, თუმცა გადარჩა. დღემდე არ არის ცნობილი, ვინ იყო თავდასხმის ორგანიზატორი. ჩინეთის მთავრობა მილიტარისტულად განწყობილ გენერლებს ადანაშაულებდა სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვაში. ჩინეთისთვის წაყენებული პირობები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. შიმონოსეკის ზავით,

- ცინგის დინასტია აღიარებდა კორეის დამოუკიდებლობას და იაპონიის პროტექტორატს მასზე;
- ვალდებულებას იღებდა გადაეხადა ორასი მილიონი ტაელი;
- აღიარებდა იაპონიის სუვერენიტეტს თაივანსა და ტალიენზე;
- ხსნიდა ხანჭოუსა და სუჭოუს პორტებს იაპონელებისთვის და ვაჭრობაში აღიარებდა იაპონიის უპირატესობას.

იაპონიასთან კატასტროფულმა მარცხმა საბოლოოდ დაამსხვრია ცის მანდატის მითი და ის, რომ იმპერატორი ცის შვილია. ფაქტობრივად, უცხოელებისგან მომეტებულმა შევიწროებამ და მართვის უუნარობამ ლეგიტიმაციის კრიზისი წარმოშვა იმ საზოგადოებაში, რომელიც თვალებში შეხედვასაც ვერ უბედავდა იმპერატორს. ცინგის ხელისუფლება ღრმა კრიზისში იყო შესული, საიდანაც გამო-

სავალი არ ჩანდა. კოლონიზატორ ქვეყნებს ახლა უკვე იაპონიაც დაემატა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში შუა სამეფოს უმცროს ძმად განიხილებოდა. პოლიტიკურ ელიტებსა და საზოგადოების თითქმის ყველა ფენაში ღრმა კრიზისი მწიფდებოდა, რომელშიც ჩინური საზოგადოება მანჯურიულ დინასტიას ადანაშაულებდა.

რეფორმების ასი დღე და კონსერვატორული ელიტის რევანში

აბსოლუტიზმის ხიბლში მყოფი აღმოსავლეთ აზიური მონარქიები ათასწლეულების განმავლობაში ინარჩუნებდნენ საყოველთაო კონტროლს საზოგადოებაზე. გარედან შემოსული ცვლილებების საწინააღდეგოდ ისინი ზოგჯერ იზოლაციონიზმისა და ჩაკეტვის პოლიტიკას ირჩევდნენ. პირველი სახელმწიფო, რომელმაც მოდერნისტული გარდაქმნები დაიწყო, იაპონია იყო (მეიჯის გარდაქმნები). მის დარადად ჩინეთშიც ჩამოყალიბდა პროგრესული ჩინოსნების ჯგუფი, რომელიც ჩინეთის იმდროინდელი მდგომარეობის გამოსწორებისათვის იბრძოდნენ. 1898 წელს ამ ჯგუფმა ახალგაზრდა იმპერატორის, კუანგსიუს ნდობა მოიპოვეს და წამოიწყეს რეფორმების ტალღა, რომელიც ცნობილია „რეფორმების ასი დღის" სახელით. რეფორმატორებს ქანგ იოუვეი ხელმძღვანელობდა. იმპერატორისთვის შეთავაზებული რეფორმები ასე გამოიყურებოდა:

- ტრადიციული სამოხელეო საგამოცდო სისტემის გაუქმება;
- პეკინის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და უცხოელი კადრების მოწვევა;
- კონფუციური ტექსტების ნაცვლად თანამედროვე სამეცნიერო ტექსტების მასობრივი სწავლება;
- საიმპერატორო კარის წევრების გაგზავნა უცხოეთში განათლების მისაღებად;
- კონსტიტუციური მონარქიის შექმნისთვის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება;
- კაპიტალისტური სისტემის სწავლება და განვითარება;
- სამხედრო მოდერნიზაცია და საზღვაო აკადემიის ჩამოყალიბება;

- ინდუსტრიალიზაციის დაწყება;
- ყველა პროვინციაში აგრარული სკოლებისა და სასწავლებლის დაარსება;
- მალაროებისა და რკინიგზის სამართავი ბიუროს შექმნა.



სურ. 196 ცსი უცხო ქვეყნების ელჩების ცოლებთან ერთად

ახალგაზრდა იმპერატორის რეფორმატორულ იდეებს დაუპირისპირდა კონსერვატიული ელიტა, რომელიც ამ რეფორმების წამოწყების შემდეგ გაეულენებისა და ფინანსური რესურსების გარეშე შეიძლებოდა დარჩენილიყო. კონსერვატორებს ხელმძღვანელობდა სამეფო ოჯახის წევრი, დედოფალი ცსი და იუენ შიქაი. იგი საკმაოდ გაელენიანი მოხელე იყო ცინგის დინასტიის კარზე. მას ემორჩილებოდა კარგად გაწვრთნილი არმია. სწორედ მისმა ღალატმა განაპირობა იმპერიის დამარცხება. იუენ შიქაი ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა სუნ იატსენის შემდეგ. სახელმწიფო გადატრიალების შედეგად იმპერატორი ზაფხულის სასახლეში გამოკეტეს და დედა-დედოფალმა ცსიმ ფორმალური ძალაუფლება აიღო ხელში (სურ. 196). ასეთ მდგომარეობაში შეხვდა ჩინეთის იმპერია მეოცე საუკუნის გარიჟრაჟს. სამხრეთ პროვინციებში სულ უფრო მატულობდა რევოლუციური განწყობა და ანტიმონარქსიტული მოძრაობა, რომელსაც იაპონიასა თუ ევროპაში განათლებამიღებული ინტელექტუალური ელიტა ხელძღვანელობდა.

მოკრივეთა აჯანყება და პეკინის აღება რვა ქვეყნის ალიანსის მიერ

დედა-დედოფალ ცსისა და მისი პოლიტიკური მოკავშირეების რევანშის შემდეგ ფორმალური და არაფორმალური ძალაუფლებაც მისი და იმ სამხედრო ლიდერების ხელში გადავიდა, რომელ-



სურ. 197 მაკაო ცინგის დინასტიის ბოლო წლებში

თაც ჩინეთის პროვინციები საკუთარ საფეოდალოებად ჰქონდათ გადაქცეული. მანჯურიულ-ჩინური მცირე პოლიტიკური ჯგუფი, თავის მხრივ, აკონტროლებდა როგორც სამხედრო, ასევე ფინანსურ რესურსებსაც. მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ინდუსტრიალიზაციის პიკია, როდესაც მთელი დასავლეთი და იაპონია ცდილობდა განევითარებინა სამრეწველო თუ სამხედრო ინდუსტრია, ამ პერიოდის ჩინეთში კი ინდუსტრიულ ანკლავებად მხოლოდ ის ადგილები გვევლინებოდა, რომლებსაც უცხოელი კოლონიზატორები იკავებდნენ ან აკონტროლებდნენ: ჰონგ-კონგი, მაკაო, თაივანი, ცინგტაო, ხარპინი, თიენძინი (სურ. 197). ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქები პირდაპირ ან ირიბად იყვნენ უცხო ძალების გავლენის სფეროში მაშინ, როცა ფაქტობრივად არ არსებობდა ან ძალიან მცირე იყო საკუთრივ ჩინური ინდუსტრია.

ნახევრად კოლონიურმა სისტემამ საზოგადოების დაბალ და საშუალო ფენებში გამოინვია ნაციონალისტური განწყობები, რომელსაც კლასობრივი ბრძოლის ლაიტმოტივიც გასდევდა. იაპონიასთან მარცხის შემდეგ საზოგადოებაში გაძლიერდა მოსაზრება მანჯურიული მთავრობის უუანარობის შესახებ, რომლის გამოც უძველესი იმპერია უცხო ქვეყნებთან კაბალურ ხელშეკრულებებს აწერდა ხელს და შიდა პრობლემებით გამოწვეულ ქაოსს უპირისპირდებოდა. ანტისახელისუფლო განწყობებთან ერთად ძლიერდებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ აგრესიული განწყობებიც. უცხოელებს ჩინური სიმდიდრის მითვისებასა და ჩინელი ხალხის ექსპლუატაციაში ადანაშაულებდნენ, ხოლო ქრისტიან მისიონერებს დემონებად და ტრადიციული კონფუციურ-ბუდისტური კულტურის მტრებად მიიჩნევდნენ. სწორედ ამ ფონზე ჩრდილო – აღმოსავლეთ ჩინეთში, ლიაონინგისა და შანტუნგის პროვინციებში, გამოჩნდნენ შეიარაღებული ჯგუფები, რომლებიც შედგებოდნენ კონფუცისტი სწავლულებისგან, ქუჩის ბანდებისა და ჩინური საბრძოლო ხელოვნების ოსტატების-

გან, რომლებიც საიდუმლოდ ამზადებდნენ მოხალისეებსა და მებრძოლებს. მიუხედავად ანტიმანჯურიული განწყობისა, მოკრივეთა საზოგადოების პირდაპირი სამიზნე უცხოელი კოლონიზატორები, მათთან დაახლოებული ჩინური ელიტა და მისიონერები იყვნენ. თავდაპირველად სწორედ მათზე დაიწყეს თავდასხმა შანტუნგის პროვინციაში. 1898 წელს მოკრივეები შეიჭრნენ კათოლიკურ ეკლესიაში, რომელიც შუა საუკუნეების ჩინურ სასახლეში იყო გახსნილი. ეკლესიის დარბევასთან ერთად მათ სასტიკად სცემეს მისიონერებსა და მრევლს. გასამხედროებულ ჯგუფებს ჰქონდათ დევიზი: „დაეხმარე იმპერატორს, გაანადგურე უცხოელები!" მათი იდეოლოგიის მიხედვით, ცინგის მთავრობა და იმპერატორები იყვნენ უცხოელთა გავლენის ტყვეობაში და მას შემდეგ, რაც მათ ქვეყნიდან განდევნიდნენ, ჩინეთს ძველი დიდება დაუბრუნდებოდა (სურ. 198). უცხოელებსა და მათთან დაკავშირებულ ჯგუფებზე თავდასხმები გრძელდებოდა 1899 წელსაც. ცინგის მთავრობა საპოლიციო ძალებს გზავნიდა მისიონერებისა და ვაჭრების დასაცავად, თუმცა თვიდან თვემდე იზრდებოდა მოკრივეთა რიგები ძირითადად იმ ადამიანების ხარჯზე, რომელთაც დასაკარგი არაფერი ჰქონდათ.



სურ. 198 სურათზე ვეფხვი წარმოადგენს ბრიტანეთს, დათვი – რუსეთს, ბაყაყი – საფრანგეთს, მზე – იაპონიას, ბოლო არწივი – ამერიკის შეერთებულ შტატებს და სხვ. ის ასახავს უცხოელების მიერ ჩინეთის განაწილების მდგომარეობას და ცინგის მთავრობის მედიდურობასა და კორუფციას ცინგის დინასტიის ბოლოს

1900 წლის იანვარში დედოფალმა ცსიმ და კონსერვატიულმა ელიტამ გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს ტალღა და გაესწორებინათ ანგარიში უცხოელებისათვის. თან ისე, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში ყველაფერი აჯანყებულებს დაბრალდებოდათ,

ხოლო წარმატების შემთხვევაში საიმპერატორო კარი გამოიყენებდა მიღწეულ შედეგებს. ცსიმ გამოსცა ედიქტი, რომლითაც კრძალავდა მოკრივეთა დევნასა და დაპატიმრებას. ამის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა ქვეყანაში მდგომარეობა. თუ აქამდე მოკრივეები დარბევითა და ცემით შემოიფარგლებოდნენ, ახლა ისინი ლიკვიდაციაზე გადავიდნენ. ჩრდილო-აღმოსავლეთის ქალაქებში ფატქტობრივად ნადირობა გამოაცხადეს სასულიერო პირებსა და ვაჭრებზე. ისინი ყველა ეროვნების ადამიანებს ესხმოდნენ თავს, რამაც მათ წინააღმდეგ რვა ქვეყნის ძალთა გაერთიანება გამოიწვია.

პეკინსა და თიენძინს შორის სივრცე მოკრივეთა ბანდების სანადირო არეალად იქცა. საკუთარი კაპიტალის დასაცავად დასავლური ქვეყნები გზავნიდნენ შეიარაღებულ ჯგუფებს, თუმცა მოკრივეთა რიცხვი ბევრად აღემატებოდა მათ, რაც თავდაცვით ოპერაციებს ართულებდა. 1901 წლის ივნისში გერმანელმა ჯარიკსაცებმა და დიპლომატებმა ფიზიკური დაპირისპირების დროს მოკლეს მოკრივეთა ჯგუფის ახალგაზრდა წევრი. ინციდენტის შემდეგ ქალაქში ათასობით შეიარაღებული ჩინელი შევიდა, რომლებიც წვავდნენ და ანგრევდნენ ქრისტიანთა სამოსახლოებს და კლავდნენ ნებისმიერს, ვისაც არაჩინური გარეგნობა ჰქონდა. ზაფხულში მოკრივეთა მხარდამჭერი პრინცი ტუანი დაწინაურდა საიმპერატორო კარზე და დაინიშნა საგარეო განყოფილების ხელმძღვანელად, რომელიც პასუხისმგებელი იყო საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებზე. პრინცი ტუანი შეიარაღებული მოკრივეების ფაქტობრივი ლიდერი გახდა. ის გამოირჩეოდა თავისი ანტაგონისტური დამოკიდებულებით კოლონიზატორთა მიმართ. მან გამოსცა ბრძანება, რომ სახელისუფლებო ძალებს არათუ ხელი არ უნდა შეეშალათ მოკრივეებისთვის, მეტიც, უნდა დახმარებოდნენ მათ სამხედრო-ტექნიკური საშუალებებით. ამ ბრძანებამ გაუგებრობა გამოიწვია მანჯურიულ გენერალიტეტში, რადგან რამდენიმე თვის წინ მათ ნაბრძანები ჰქონდათ შეიარაღებული ბანდების დაკავება და უცხოელთა დაცვა. ახლა კი ვითარება მთლიანად შეიცვალა.

პეკინში ბრიტანელებმა სამხედროთა 2000-კაციანი კორპუსი გამოგზავნეს ვიცე-ადმირალ სეიმურის ხელმძღანელობით, რომელსაც განზრახული ჰქონდა მატარებლით გადაეყვანა მებრძოლები პეკინში. რადგან რკინიგზა დააზიანეს აჯანყებულებმა, ფეხით დაიწყ-

ეს ბრიტანელებმა პეკინისკენ მსვლელობა. დედაქალაქთან რამდენიმე ათეულ კილომეტრში ბრიტანელებს უეცრად თავს დაესხნენ. დაახლოებით 5000 ჩინელი ჯარისკაცი და გაურკვეველი რაოდენობის მოკრივე უტევდა მათ რამდენიმე მხრიდან. ბრიტანალები მსუბუქად შეიარაღებულნი იყვნენ. აჯანყებულები და სამთავრობო ძალები კი ქვემეხებსა დ კავალერიასაც იყენებდნენ. სეიმურის კორპუსი სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდა, გაეგრძელებინა გზა პეკინისკენ, თუ უკან დაეხია, თიენძინისკენ. არც ერთ შემხთვევაში არ არსებობდა გარანტია, რომ მათ კიდევ არ დაესხმებოდნენ ჩინელები თავს. ბრიტანელებმა დახმარება სთხოვეს სხვა ქვეყნის წარმომადგნელებს. ყველაზე ახლოს პორტ-არტური იყო, სადაც რუსებს ჰქონდათ სამხედრო ბაზა. პორტ-არტურიდან მოყვანილ 900 რუს ჯარისკაცს შეუერთდნენ ბრიტანელები, რომლებმაც დახმარება გამოგზავნეს სამხრეთიდან და გაერთიანებული ძალები თიენძინში მშვიდობიანად დაბრუნდნენ.

შეტაკების შემდეგ დაძაბულობამ პიკს მიაღწია, კერძოდ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მაღალი იეარარქიის პოლიტიკოსები, რომელთა ნაწილიც მოკრივეთა მხარდაჭერის შეწყვეტას მოითხოვდა. ზოგი კი შესაძლებლობის გამოყენებას მოითხოვდა, რომ აჯანყებულ ჩინელ ხალხთან ერთად შური ეძიათ კოლონიზატორებზე. გადამწყვეტი სიტყვა დედოფალ ცსიზე იყო, რომელიც თვლიდა, რომ საიმპერატორო კარს აღარ უნდა მოეთმინა ამდენი დამცირება კოლონიური ძალების მხრიდან. მას საზოგადოების განწყობის იმედი ჰქონდა და სჯეროდა, რომ მილიონობით ჩინელი და მანჯურიელი გამოვიდოდა უცხოელი დემონების წინააღმდეგ. მანჯურიული საიმპერატორო კარი და მოკრივეთა ბანდები გაერთიანდნენ. მათ გადაწყვიტეს კოორდინირებულად ემოქმედათ უცხოელების წინააღმდეგ. ცსიმ გამოსცა ედიქტი, რომ 24 საათის განმავლობაში ნებისმიერ უცხოელს შეეძლო პეკინის დატოვება უსაფრთხოდ, შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე ის პასუხისმგებლობას აღარ იღებდა. 21 ივნისს მან ომი გამოუცხადა ჩინეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა უცხო ძალას და პროვინციების მმართველებს დაუგზავნა ბრძანება, რომ მათაც უნდა ეწარმოებინათ სამხედრო მოქმედებები უცხოელთა წინააღმდეგ. თუმცა მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. ოთხმა ყველაზე გავლენიანმა სამხედრო-პოლიტიკურმა მმართველმა: ლი

ხუნგჭანგმა, იუენ შიქაიმ, ლიოუ ქუნ-იმ და ჭანგ ჭიტუნგმა უარი განაცხადეს უცხოელთა მიმართ საბრძოლო მოქმედებების დანყებაზე. ისინი შეუთანხმდნენ ევროპელ და ამერიკელ ვაჭრებსა და დიპლომატიურ მისიებს, რომ დაიჭერდნენ ნეიტრალიტეტს და არ მიიღებდნენ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას. ფაქტობრივად, იმპერიის ყველაზე ბრძოლისუნარიანი და კარგად აღჭურვილი ოთხი არმია განზე გადგა შეტაკებების დროს. მიუხედავად ამისა, პეკინის მანჯურიული და მოკრივეთა შეიარაღებული ძალები საკმარისი იყო ქრისტიანი ჩინელებისა და უცხოელი ვაჭრების გასანადგურებლად. პეკინში მყოფმა მისიონერებმა და სამხედროებმა დაიწყეს ბარიკადების მოწყობა და თავიანთი საცხოვრებელი კვარტლები თავდაცვით ნაგებობებად აქციეს. ბრიტანული, გერმანული, ფრანგული, რუსული, იაპონური ჯგუფები ერთმანეთის მხარდამხარ აგებდნენ ზღუდეებს, რათა თავი დაეცვათ მოკრივეთა ჯგუფებისა და მათი მხარდამჭერი სამთავრობო ძალებისგან. იმპერიის დედაქალაქი სასაკლაოს ჰგავდა, სადაც თითოეული ქუჩისთვის მიმდინარეობდა ბრძოლა. საბოლოო ჯამში, 50 ათასი მებრძოლისგან შემდგარი საჯარისო ნანილები დაიძრნენ დედაქალაქისკენ, ჯარისკაცთა ეთნიკური და რიცხობრივი შემადგენლობა ასეთი იყო:

- იაპონელი – 20000
- რუსი – 13300
- ბრიტანელი – 12000
- ფრანგი – 3500
- გერმანელი – 900
- იტალიელი – 80
- ავსტრია-უნგრელი – 75

დანარჩენი კი ჩინელი დაქირავებული მებრძოლები და ქრისტიანი ჩინელები იყვენენ, რომლებიც მოკრივეთა აჯანყების იდეის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მოკავშირეები პეკინის მისადგომებთან აგვისტოს შუა რიცხვებში გამოჩნდნენ. მანჯურიელ პრინცებს გამაგრებული ჰქონდათ ქალაქის საფორტიფიკაციო ნაგებობები, თუმცა დედაქალაქის დაცვაში არ მონაწილეობდა ოთხი გენერალი, რომელთა ათეულ ათასობით ჯარისკაცი სხვადასხვა პროვინციებში ელოდნენ პროცესების განვითარებას. გაანალიზეს რა სიტუაციის სიმწვავე,



სურ. 199 პეკინის ალება

სამეფო კარმა გადაწყვიტა დედოფალი ცსი და პრინცი კუანგსიუ გაეპარებინათ ქალაქიდან. ისინი უბრალო ტანსაცმელში გადაცმული გააპარეს ალყაშემორტყმული ქალაქიდან და კანსუს პროვინციის ხეობებისკენ დაიძრნენ. იქ უსაფრთხო საცხოვრებელი იყო მოწყობილი მათთვის, რომელსაც იმპერიის ერთგული სამხედროები და მუსლიმი ჩინელები იცავდნენ (სურ. 199).

პეკინის ალყის დაწყებამდე ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში მოკრივეთა მხარდამჭერებმა ქრისტიანთა სასაკლაოები მოაწყვეს. მათ ადგილობრივი ხელისუფლება და ჯარისკაცები აქტიურად ეხმარებოდნენ. დაუდგენელია ზუსტი რიცხვი, თუ რამდენი ჩინელი ქრისტიანი დახოცეს მოკრივეთა ბანდებმა. სავარაუდოდ, 30-40 ათასი ადამიანი შეეწირა ამ ბრძოლებს. ათეულობით მისიონერი საჯაროდ დასაჯეს ქალაქებისა და სოფლების მოედნებზე. მოკრივეები ერთნაირი სისასტიკით უსწორდებოდნენ როგორც პროტესტანტ, ასევე კათოლიკე და მართლმადიდებელ სასულიერო პირებსაც. პეკინის ალყის დროს საჯაროდ დახოცეს რუსი არქიმანდრიტი ფუგუროვსკი და მისი ეკლესიის წევრები. ქრისტიანებზე ნადირობა მიმდინარეობდა პეკინის დაცემის შემდეგაც ჩინეთის სხვადასხვა პროვინციებში.

მოკავშირეთა რაზმები სხვადასხვა მხრიდან მიემართებოდნენ პეკინისკენ. მათ ვერ შეძლეს ერთსა და იმავე დროს ქალაქთან მისვლა. ყველაზე ადრე ბრიტანელები მიუხლოვდნენ პეკინს, ხოლო ყველაზე გვიან – გერმანელთა ნაწილები. საბრძოლო მოქმედებების დაწყებისას მალევე ცხადი გახდა, რომ ევროპულ-ამერიკულ-იაპონური ძალების შეტევას ვერ გაუძლებდნენ. ამიტომ ჩინურ-მანჯურიული ძალები ნელ-ნელა ქალაქს ტოვებდნენ. ბრძოლები მიმდინარეობდა თითოეული კვარტლისთვის. პირველი ციტადელი რუსმა სამხედროებმა აიღეს, შემდეგ იაპონელები შევიდნენ ქალაქში და ა.შ. ფრანგე-



სურ. 200 1854 წელს რუსული ხომალდები აიხუეში (აიკუნში) შეიჭრნენ

ბის საარტილერიო ცეცხლს ემსხვერპლა იმპერატორთა საზაფხულო რეზიდენციაც.

წყაროების მიხედვით, პეკინის „გაწმენდის" ოპერაციისას განსაკუთრებით სასტიკად რუსი, გერმანელი და იაპონელი ჯარისკაცები მოქმედებდნენ. პეკინი, თიენძინი და მახლობელი დასახლებები დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში იყო ოკუპირებული საექსპედიციო ძალების მიერ. მართვის სადაველები გერმანელი გენერლის ალფრედ გრაფ ვონ ვანდერსის ხელში იყო. ოკუპაციის პარალელურად იუენ შიქაი და სხვა ჩინელი გენერლები, რომლებმაც არ შეასრულეს ცსის ბრძანება, ახლა უკვე უცხო ქვეყნის ჯარისკაცებთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას მოკრივეთა ბანდების განდევნაში.

შექმნილ ვითარებაში დედოფალმა ცსიმ გადაწყვიტა მოლაპარაკებებზე წასულიყო, რადგან ფაქტობრივად მისი გენერლები უცხო ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად აწარმოებდნენ საბრძოლო მოქმედებებს ჩინეთის ტერიტორიაზე, რაც სერიოზული პრობლემა იყო ძალაუფლების შენარჩუნების კუთხით. მოლაპარაკებების შედეგად, გადაწყდა, რომ საიმპერატორო კარი დასჯიდა 10 მაღალჩინოსანს, რომლებიც უშუალოდ ხელძღვანელობდნენ უცხოელთა მასობრივ ხოცვას. ამასთან ერთად, პეკინმა იკისრა ფულადი კონტრიბუცია. დაახლოებითი მონაცემებით 1901 წლიდან 1939 წლამდე ჩინელებს გადახდილი აქვთ 60 მილიარდი დოლარის შესაბამისი ფულადი ჯარიმა. აჯანყების შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა ჩინეთში ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. მანჯურია უკვე ღიად კონტროლდებოდა რუსეთის მხრიდან, რომელიც ახლა იაპონიას უწევდა კონკურენციას მანჯურიული წიაღისეულის ათვისებაში. რამდენიმე წელიწადში ეს კონკურენცია ომით დაგვირგვინდა (სურ. 200).

მოკრივეთა აჯანყება განაჩენი გამოდგა იმპერიული ჩინეთისთვის. ქვეყნის შიგნით და გარეთ იქმნებოდა და ფართოვდებოდა მოძრაობები, რომლებიც მანჯურიელი „დემონების" განდევნისკენ მოუწოდებდნენ და რესპუბლიკური ჩინეთის შექმნის იდეით გამო-

დიოდნენ. ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას დაკარგული ჰქონდა რეპუტაცია საზოგადოებაში. იმ საზოგადოებაში, სადაც იმპერატორი ღმერთის შვილად ითვლებოდა, ლეგიტიმაციის კრიზისი იდგა. ჩინელებში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ნაციონალისტური (ანტიმანჯურიული განწყობები) და მემარცხენე იდეები. მათი მტრები იყვნენ, ერთი მხრივ, უცხო ქვეყნის წარმომადგენლები, მეორე მხრივ კი, კორუმპირებული შიდა პოლიტიკური ელიტა. ამან სახელმწიფოს კოლაფსი გამოიწვია. ანტიმანჯურიული განწყობები განსაკუთრებით მძლავრობდა ჩინეთის სამხრეთ პროვინციებში. განსხვავებით ჩრდილოური პროვინციებისგან, სადაც მანჯურიელები და ხანელები მარტივად ასიმილირდნენ, სამხრეთ პროვინციებში მაინც შენარჩუნებული იყო ანტაგონისტური განწყობები ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის, რამაც პიკს მეოცე საუკუნის დასაწყისში მიაღწია. სწორედ სამხრეთ პროვინციები გახდნენ ანტიროიალისტური მოძრაობის სულისჩამდგმელნი. ეს მოძრაობა რამდენიმე წელიწადში სინხაის რევოლუციით დაგვირგვინდა.

სინხაის რევოლუცია და იმპერიული ჩინეთის დასასრული

მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩინეთის სამხრეთით იქმნება სხვადასხვა გაერთიანება, რომლებიც იატაკქვეშეთში იწყებენ მოძრაობას მანჯურიული მმართველი პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ. საზოგადოებაში დიდი პოპულაურობით სარგებლობდა პროფესიით ექიმი, სუნ იატსენი (სუნ ჭუნგშანი). ჯერ კიდევ 1894 წელს ჰონოლულუში სუნ იატსენმა დაარსა ორგანიზაცია „სინგჭუნგხუეი". ათი წლის მერე დაარსდა „სუასინგხუეი", რომლის დევიზი იყო: „აიღე ერთი პროვინცია ძალით, რათა უბიძგო სხვებს აჯანყებისკენ!" ანტისახელისუფლებო გამოსვლებს, მათ შორის ძალადობრივი მეთოდებით, ახორციელებდნენ ე.წ. „მწვანე ბანდები". ისინი კრიმინალური მეთოდებით თავს ესხმოდნენ და ხოცავდნენ ჩინოვნიკებს. 1905 წელს სუნ იატსენმა ტოკიოში მოახერხა სხვადასხვა რადიკალურად განსხვავებული ჯგუფი გაეერთიანებინა „თუნგმენგხუეის" რიგებში და შეიქმნა ერთიანი ფრონტი. დოქტორი სუნ იატსენი გამოსვლებისას მოუწოდებდა მოსახლეობას, რომ მოეცილებინათ სამეფო ტახ-

ტიდან თათარი ბარბაროსები, რათა გადარჩენილიყო ჩინეთი. ამის შემდეგ ჩინელი ხალხი დაარსებდა რესპუბლიკას და ის ჩაგვრა და უუნარობა, რაც ახლა სუფევდა, საბოლოოდ დასრულდებოდა. სუნ იატსენმა საზოგადოებას შესთავაზა თუნგმენგხუეის სამი პრინციპი, რომელიც იქნებოდა ქვაკუთხედი ამ მოძრაობისათვის:

- ნაციონალიზმის პრინციპი;
- დემოკრატიის პრინციპი;
- ხალხთა ღირსეული არსებობის პრინციპი (ეს გულისხმობდა საკუთრების უფლებასა და ამ უფლების ფართო საზოგადოებაში დანერგვას).

სუნ იატსენი 1866 წელს დაიბადა კუანგტუნგის პროვინციაში, მაკაოსთან ახლოს. მისი ოჯახის წევრები არ იყვნენ წარჩინებულთა ფენიდან. ნიჭიერმა იატსენმა მოახერხა თინეიჯერობისას ჰონოლულუზე (ჰავაის შტატი) წასულიყო და იქ დასავლური განათლება მიეღო. ჩინეთში დაბრუნების შემდგომ ჰონგ-კონგსა და კუანგტუნგში სამედიცინო სფეროში მუშაობს. წინააღდეგობის მოძრაობას ძირითადად კორეაში ჩინეთის დამარცხების შემდეგ იწყებს.

საპროტესტო ტალღა, რომელიც რევოლუციური სცენარით განვითარდა, მართლაც არნახული იყო. ფაქტობრივად სხვადასხვა პროვინციებში წელი არ ჩავარდნილა, რომ არ მომხდარიყო მასობრივი მანიფესტაცია, შეიარაღებული შეტაკება თუ დაგეგმილი დივერსიები. 1895 წლიდან მოყოლებული 1911 წლამდე გრძელდებოდა ასე, რაც დღითიდღე ასუსტებდა რეჟიმს. ქრონოლოგიურად შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ამბები, რომელთა ლოგიკური დასასრულიც იყო სინხაის რევოლუცია:

- კანტონის პირველი აჯანყება, 1895. 1895 წელს ნახევრად გასამხედროებულმა ჯგუფებმა მიიტანეს იერიში სახელისუფლებო ჯგუფებზე. ოპერაციას ხელმღვანელობდნენ იანგ ციუიუნი[1], ჭენგ შილიანგი, ლუ ხუოტუნგი. აჯანყება წარუმატებელი გამოდგა. მანჯურიელთა საპოლიციო ძალებმა მოახერხეს მისი შეჩერება. მეტიც, იანგ ციუიუნი ჯაშუშმა მოკლა ჰონგ-კონგის ქუჩებში და დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები. სუნ იატსენი და სხვა ლიდე-

[1] იანგ ციუიუნი (ფუთუნგხუაში) , ასევე ცნობილი როგორც Yeung Ku-wan.

რები იძულებულნი იყვნენ ქვეყანა დაეტოვებინათ, რევოლუციური საბჭოს კოორდინაცია საზღვარგარეთიდან დაიწყეს. სუნ იატსენი ჯერ იაპონიაში, შემდეგ კი დასავლეთში წავიდა მცირე ხნით.

➢ აჯანყების შემდეგი მცდელობა ხუნანისა და ხუპეის პროვინციაში იყო, თანგ ცაიჩანგის და თან სთუნგის მეთაურობით ე.წ. „დამოუკიდებელი არმია" დაუპირისპირდა სამხედრო სახელისუფლებო ძალებს, თუმცა ისევ უშედეგოდ.

➢ ხუეიჭოუს აჯანყება – 1900 წლის 8 ოქტომბერს 20000 კაციანმა კარგად შეიარაღებულმა აჯანყებულთა ქვედანაყოფებმა შეუტიეს სამთავრობო ძალებს. როგორც წინა აჯანყებებში, აქაც არ ეყოთ ბოლომდე ძალები. ეს აჯანყება იმით არის გამორჩეული, რომ მაშინ პეკინმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა იაპონიის იმპერატორს, რის შემდეგაც თაივანზე ყოფნა აუკრძალეს აჯანყების მეთაურებს. რევოლუციის მომავალი ბურუსმა მოიცვა. მათ აღარ შეეძლოთ იაპონიასა და იაპონიის მიერ კონტროლირებად კუნძულებზე თავის შეფარება.

➢ 1903 -1905 წლებში სხვადასხვა ადგილებში კიდევ ი›მართებოდა დემონსტრაციები და შეტაკებები. მათგან გამორჩეული იყო ფინგ ლიოულის აჯანყება და პეკინის ტერაქტი, რომელსაც ხუთი უმაღლესი თანამდებობის პირი შეეწირა.

➢ 1905-დან 1907 წლამდე შედარებით მშვიდობიანი პერიოდი სუფევდა ქვეყანაში. თუმცა, 1907 წლის შემდეგ ისევ განახლდა გამოსვლები და შეტაკებები.

➢ ანცინგი – 1907, ცინჭოუ – 1907, ცინთიენი – 1907, ხექოუ – 1908 წელი. ხოლო 1911 წელს უშუალოდ ქალაქ კანტონში დაიწყო დიდი აჯანყება, რომელმაც საბოლოო დარტყმა მიაყენა საიმპერატორო კარს. 1911 წელს დაწყებული მასშტაბური გამოსვლები მთელს პროვინციებს მოედო.

1911 წლის ოქტომბერში საყოველთაო შეტაკებებმა და დემონსტრაციებმა მოიცვა ჩინეთი. ხუნანის პროვინციის ცენტრში, ქალაქ ჩანგშაში გაიხსნა ერთ-ერთი პირველი ფრონტი. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, თუნგმენგხუეის (ჩინეთის ერთიანობის ლიგა) წევრები საკმაოდ მომზადებულნი იყვნენ და სხვადასხვა პროვინციებში ჰქონდათ ორგანიზებული გამოსვლები. შეტაკებები დაიწყო შაან-

სის პროვინციის ცენტრში, სიანშიც. თავდაპირველად მანჯურიელთა მხარეს იყო მუსლიმი გენერალი მა ანლიანგი, თუმცა შემდეგ მან აჯანყებულთა მხარეს გადასვლა არჩია. ასეულობით მანჯურიელი მოკვდა სიანის შტურმისას. ბევრმა მაღალი თანამდებობის პირმა თვითვმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, რადგან არ უნდოდათ აჯანყებულების ხელში ჩავარდნა. გამოსვლები მიმდინარეობდა ძიანგსუს, შანსის, იუნნანის, ჭეძიანგის, ანხუეის, კუანგტუნგისა და შანტუნგის პროვინციებში. შანგხაიში აჯანყებას ადგილობრივი მენარმე ჩენ ციმეი ჩაუდგა, რომელსაც ადგილობრივი საპოლიციო ძალებიც მიემხრნენ. კანტონში კი საყოველთაო დაუმორჩილებლობის აქტი მიიღეს და დამოუკიდობლისკენ მოწოდებები ისმოდა. კუეიჭოუში აჯანყდნენ სამხედრო აკადემიის კურსანტები, ხანგჭოუს დაკავების ოპერაციას შემდეგში უკვე ცნობილი სამხედრო-პოლიტიკური მოღვანე ჩანგ ქაიში (ძიანგ ძიეში) ხელმძღვანელობდა.

უჩანგის (უხანის) აჯანყება და რესპუბლიკის დაარსება. 1911 წლის აჯანყებათა შორის უჩანგის 10 ოქტომბრის მოქმედებებს საკვანძო ადგილი უჭირავს. სწორედ 10 ოქტომბერი ითვლება ჩინეთის რესპუბლიკის დაარსების სიმბოლურ თარიღად (სურ. 201). თუნგმენგხუეის ორმა საიდუმლო ორგანიზაციამ „ინტელექტუალთა საზოგადოებამ" და „მარტის გაერთიანებულმა საზოგადოებამ" იერიში მიიტანეს ხუპეის სამთავრობო ჯარების პოზიციებზე. დღენახევრიანი ბრძოლების შემდეგ „ახალმა არმიამ" დაიკავა უჩანგი, მათ პარალელურად შეტევა დაიწყეს ხანქოუსა და ხანიანგზე. სიტუაცია კრიტიკული იყო. პეკინი პოზიციებს ყოველდღიურად კარგავდა. ნოემბრის დასაწყისში 13 პროვინცია უკვე გამოსული იყო საიმპერატორო ძალების იურისდიქციიდან. თითოეულ მათგანს აჯანყებულთა გასამხე-



სურ. 201 1911 წლის 11 ოქტომბერს ჩინეთის რესპუბლიკის ხუპეის სამხედრო მთავრობის დაარსება



სურ. 202 ცინგის დინასტიის ბოლო იმპერატორი - ფუ ი

დროებული ძალები მართავდნენ. ერთი თვის შემდეგ ჭეძიანგისა და ძიანგსუს პროვინციების გაერთიანებულმა ძალებმა ნანძინგი დაიკავეს და ის გამოცხადდა ჩინეთის რესპუბლიკის დროებით ადმინისტრაციულ ცენტრად. 25 დეკემბერს ემიგრაციიდან დაბრუნდა სუნ იატსენი და 1912 წლის 1 იანვარს (გრეგორიანული კალენდრით) მან დაიწყო ჩინეთის რესპუბლიკის მართვა. ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა ლი იუენხუნგი, რომელიც თავდაპირველად კონსტიტუციური მონარქიის დიდი ლობისტი იყო, თუმცა ბოლოს მაინც შეთანხმდნენ მის ვიცე-პრეზიდენტად დანიშვნაზე. ფაქტობრივად, 1912 წლის დასაწყისში ქვეყანა ორ ნაწილად იყო გაყოფილი. სამხრეთ და ცენტრალურ პროვინციებს აკონტროლებდა ჩინეთის რესპუბლიკა და ორგანიზაცია თუნგმენგხუეი, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილი ოფიციალურად იმპერიის დაქვემდებარებაში იყო, თუმცა რეალურად სამხედრო მმართველების, უმეტესწილად კი იუენ შიქაი დაქვემდებარებაში აგრძელებდა არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ფართობის თვალსაზრისით სამხედრო მმართველები უფრო დიდ ტერიტორიას აკონტროლებდნენ, თუნგმენგხუეის კონტროლირებადი არეალი უფრო მჭიდროდ იყო დასახლებული. ამავდროულად მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ბუნებრივი რესურსები. შესაბამისად, იქმნებოდა საფრთხე, რომ ქვეყანა ორ ნაწილად გაიყოფოდა. მდგომარეობა რთული იყო, თუმცა ყველასთვის მოულოდნელად იუენ შიქაიმ და მისმა პოლიტიკურმა გუნდმა 1912 წლის 22 იანვარს პროვინციულ მთავრობას ნანძინგში გამოუგზავნეს ოფიციალური უწყება, რომლის მიხედვითაც, იმპერატორი ფუ ი გადაყენებული იყო, 2000-წლოვანი მონარქიული სისტემა თვალსა და ხელს შუა გაქრა (სურ. 202). მიუხედავად გარკვეული წინააღდეგობისა, სუნ იატსენმა გადადგა შემხვედრი ნაბიჯი იუენ შიქაის მისამართით. მან დატოვა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა და ამით იუენ შიქაის გაუნაღდა

საპრეზიდენტო პოსტი. მოვლენები დრამატულად განვითარდა. ყოფილი მონარქისტები ახლა რესპუბლიკელების მანტიაში მოევლინენ ქვეყანას. პროვინციებში სამხედრო მმართველების ძალაუფლება გამყარდა. სინხაის რევოლუციამ ის შედეგი ვერ მოიტანა, რაც ჩაფიქრებული იყო, თუმცა ჩინეთის უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. ღვთიური ლეგიტიმაციის მონარქიას ძირი ძირითადად უუნარობამ გამოუთხარა. ცინგის მანჯურიელთა დინასტიამ ვერ მოახერხა ქვეყნის რეალური სუვერენიტეტის დაცვა. ე.წ. „ჩაგვრის საუკუნეში" ჩინური პორტები სხვადასხვა კოლონიური ძალების ხელში იყო. 1820 წლისათვის მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტით ყველაზე დიდი სახელმწიფო მეოცე საუკუნის დასაწყისს უღარიბეს მდგომარეობაში შეხვდა. რეალურად ჩინეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე ინდუსტრიალიზაციის ტალღა მხოლოდ იმ ნაწილებს შეეხო, რომლებსაც უცხო ქვეყნები აკონტროლებდნენ ან მათ გავლენას განიცდიდნენ. იუენ შიქაის პრეზიდენტობის პირველ ხანებში მცირეწლოვანი იმპერატორი საკუთარ „მმართველობას" აკრძალული ქალაქის კედლებში აგრძელებდა, თუმცა ისიც მალე დაატოვებინეს.

თანამედროვე ჩინური ისტორიოგრაფია სინხაის რევოლუციას არც თუ ისე წარმატებულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენად აფასებს, რომელმაც ქვეყანას სულაც არ მოუტანა ის სტაბილურობა, რომელიც რევოლუციის ორგანიზატორებს ჩაფიქრებული ჰქონდათ. ჩინეთის იმპერია, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა, რესპუბლიკურმა ჩინეთმა ჩაანაცვლა, სადაც შიდა დაპირისპირებები სამხედრო მმართველების თვითნებობა ისევ გაგრძელდა, რომელიც მოგვიანებით ხანგრძლივ და სისხლიან სამოქალაქო ომში გადაიზარდა. თანამედროვე ჩინურ ისტორიოგრაფიაში გამოყენებული ტერმინი „ჩაგვრის საუკუნე" მეტწილად ცინგის დინასტიის მმართველობას ემთხვევა, „ჩაგვრის საუკუნე" აქტიურად გამოიყენებოდა და ახლაც გამოიყენება კომუნისტური პარტიის მიერ ეროვნული კონსოლიდაციისთვის. ამ ანტიკოლონიალისტურ კონცეფციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე ჩინეთის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებშიც.

ქალაქები, რომლებიც დიდ როლს თამაშობმდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში. მეთვრამეტე საუკუნეში ჩინეთში უკვე ფესვგადგმულია

ე.წ. „კანტონის სისტემა“, რომლის მიხედვითაც ქალაქი კანტონი არის ექსკლუზიური პორტი, სადაც ქოჰონგის ვაჭრებს აქვთ უცხოური ვაჭრების მიღებისა და მათი პროდუქციის ყიდვის უფლება. კანტონის ექსკლუზიურობა ათეულობით წელი გრძელდებოდა მანამ, სანამ პირველმა ოპიუმის ომმა არ შეცვალა ეს მდგომარეობა.

მეცხრამეტე საუკუნეში კი მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. პირველი და მეორე ოპიუმის ომების შემდგომ ასპარეზზე გამოდის ე.წ. “ხელშეკრულების პორტები“, რომლებიც უცხოელთა ძალდატანების შემდგომ გაახსნევინეს მანჯურიელებს. ეს პორტები და საზღვაო ქალაქებია: შანგხაი, ნანკინი, ძიოუძიანგი, ხანქოუ, ნინგპო, ვენჭოუ, სიამენი, ფუჭოუ, თიენძინი, შენიანგი, ჩანგჩუნი, ხარპინი.

ეს “ხელშეკრულების ქალაქების“ არასრული ჩამონათვალია. ამათ გარდა სხვადასხვა წლებში კიდევ არსებობდა სხვა პორტები, რომლებიც იძულებით გაახსნევინეს ჩინეთის ხელისუფლებას უცხოელთათვის. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს, რეალურად, ეს ქალაქები იყვნენ ინდუსტრიის მთავარი კვანძები და ქვეყნის ეკონომიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ.

დემოგრაფიული აფეთქების მიზეზები ჩინეთში XIX საუკუნეში. მეცხრამეტე საუკუნე ჩინეთის ისტორიაში ხასიათდება როგორც წინააღმდეგობრივი ეპოქა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ნახევრადკოლონიური სისტემის დანერგვა ქვეყნის ზღვისპირა ქალაქებში. ამასთან ერთად ეს საუკუნე უკავშირდება დემოგრაფიულ აფეთქებას, რომელმაც ჩინეთის მოსახლეობა ერთიორად გაზარდა მიუხედავად სამხედრო კონფლიქტისა და აჯანყებებისგან მიყენებული ზიანისა. მეცხრამეტე საუკუნეში ჩინეთში გაუმჯობესდა სასოფლო სამეურნეო სავარგულების დამუშავება და მორყნვა. ქვეყანაში შევიდა გაუმჯობესებული სათესლე საშუალებები, რომელმაც პირველ რიგში იმოქმედა ბრინჯის მოსავლიანობაზე, ამასთან ერთად სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკიდან ჩინეთში აქტიურად იწყო შესელა მარცვლეულმა კულტურებმა (განსაკუთრებით სიმინდმა) და კარტოფილისებრმა ბოსტნეულმა. ეს კულტურები შედარებით რთულ პირობებშიც ახერხებდნენ გახარებას, შესაბამისად კვებით ჯაჭვში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს განსაკუთრებით დაბალ სოციალურ ფენებში. ინდუსტრიალიზაციის კვალდაკვალ ჩინეთშიც შევიდა თანამედროვე მედიცინის საშუალებები (სამეანეო და ჩვილთა მოვლის)

რომლის აქტიურად გამოყენების შედეგადაც შემცირდა ჩვილთა სიკვდილიანობა. ცინგის მთავრობა აქტიურად უწყობდა ხელს ეთნიკური ჩინელების სინძიანგში, იუნნანში, კუეიჭოუში მიგრირებას და იქაური მინების ათვისებას, რაც საბოლოო ჯამში სოფლის მოსახლეობის მკვეთრი ზრდით დაგვირგვინდა. განსხვავებით დასავლეთისგან, სადაც მოსახლეობის რაოდენობის ზრდა ქალაქების ხარჯზე ხდებოდა იმავე ეპოქაში.



პოსტ-იმპერიული ჩინეთი

ჩინეთის რესპუბლიკა

ეს ჩინეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდია, როცა ქვეყანაში საგულისხმო ცვლილებები მოხდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით. რესპუბლიკის პერიოდი ემთხვევა მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს – პირველ და მეორე მსოფლიო ომებს. ორივე მსოფლიო ომმა დიდი გავლენა მოახდინა ჩინური სახელმწიფოს ტერიტორიულ შედგენილობაზე და გადამწყვეტი როლი ითამაშა საკუთარი ისტორიის გადააზრების საკითხში. რესპუბლიკური ხანა რევოლუციით დაიწყო და რევოლუციით დასრულდა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლო და მეოცე საუკუნის დასაწყისი მასშტაბური ცვლილებების ხანაა მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში. იმხანად არსებული ლეგიტიმაციის კრიზისი და ღირებულებათა გადაფასება შეეხო როგორც პლანეტის დასავლურ ნაწილს, ასევე აღმოსავლეთსაც. ნახევრად კოლონიურმა სისტემამ მანჯურიელთა მმართველობას დიდი ბზარი გაუჩინა და გააჩინა პროტესტის ისეთი ტალღა, რომელმაც შეინირა მონარქიული სისტემა და შექმნა რესპუბლიკა.

იუენ შიქაის მმართველობა. ჩინეთის რესპუბლიკა პირველი მსოფლიო ომის დროს



სურ. 203 სუნ იატსენი

სინხაის რევოლუციას მოჰყვა ჩინეთის რესპუბლიკის დაარსება, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდა დაბალი და საშუალო ფენა. რევოლუციის იდეები და რესპუბლიკური მმართველობა სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა.



არჩევნების შედეგები

სუნ იატსენის[1] დაჯგუფებას, მიუხედავად საზოგადოების აქტიური მხარდაჭერისა, ბოლომდე არ შესწევდათ უნარი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე საკუთარი იურისდიქცია გაევრცელებინათ (სურ. 203). სწორედ ეს იყო მიზეზი რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტის თანამდებობიდან სუნ იატსენის გადადგომისა. მან იუენ შიქაის დაუთმო პრეზიდენტობა იმპერატორის უფლებამოსილების შეწყვეტის სანაცვლოდ.

იუენ შიქაი ჩინეთის ახალი ისტორიისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო ფიგურაა. იგი პოლიტიკურ და სამხედრო პროცესებში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან იყო ჩართული. მან უშუალოდ მიიღო მონაწილეობა 1884 წელს კორეის იმპერატორის დაცვისა და გადარჩენის ოპერაციაში, რომლის გატაცებასაც იაპონური სპეცსამსახურები აპირებდნენ. კორეაში თავის გამოჩენის შემდგომ იუენი კორეული ხელისუფლების მრჩეველი გახდა. მოგვიანებით, ჩინეთში დაბრუნებისას, მას დაევალა არმიის გაწვრთნა. 1898 წელს დაინიშნა შანტუნგის პროვინციის გუბერნატორად, რამაც მისი ძალაუფლება კიდევ უფრო გაზარდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იუენის პოლიტიკის შედეგად იხეთუანელების, იგივე მოკრივეთა აჯანყება[2] მის პროვინციას მსუბუქად შეეხო.



სურ. 204 იუენ შიქაი, როგორც ჩინეთის რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტი, პეკინში, 1912

მიუხედავად ამჟამად იუენ შიქაისადმი ნეგატიური დამოკიდებულებისა, ფაქტია, რომ იგი კარგი პოლიტიკური ალღოს მქონე პოლიტიკოსი იყო, რომელიც წინასწარ ხვდებოდა, თუ ვისი მხარე უნდა დაეჭირა გადამწყვეტ მომენტში, მით უფრო, როცა პოლიტიკოსის

[1] იგივე სუნ ჭუნგშანი (სალიტერატურო ჩინური ენის მიხედვით), აქ ასევე გათვალისწინებულია „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები".

[2] იხეთუანი 义和团

ზურგს უკან კარგად შეიარაღებული და ორგანიზებული სამხედრო დაჯგუფებები იდგნენ. 1911 წლის ბოლოს იუენი კანცლერის პოსტზე ინიშნება და სწორედ მაშინ ირჩევენ სუნ იატსენს რესპუბლიკის პრეზიდენტად. იუენ შიქაიმ საკუთარი საჯარისო ნაწილებით სამხრეთისკენ დაიწყო გადაადგილება. ამისთვის რევოლუციონერთა გასამხედროებული ნაწილები მზად არ იყვნენ. მოუმზადებლობის გამო დაუთმო სუნ იატსენმა მას თანამდებობა და 1912 წლის 15 თებერვალს იუენ შიქაი ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა (სურ. 204)

ეროვნული ასამბლეის არჩევნები და ნაციონალისტების წარმატება

მიუხედავად იუენ შიქაის გაპრეზიდენტებისა, რაც განაპირობა მისმა მხარდამჭერმა სამხედრო დაჯგუფებებმა, უშუალოდ პოლიტიკურ ავანსცენაზე მას არც ისე დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. 1912 წლის დეკემბერსა და 1913 წლის იანვარში გაიმართა სენატისა და წარმომადგენლობითი პალატის პირველი საყოველთაო არჩევნები. არჩევნების შედეგები იუენისთვის არც ისე კარგი იყო. კერძოდ, ხმათა უმრავლესობა ნაციონალისტურმა პარტიამ ანუ კუომინტანგმა[1] მოიპოვა და მასვე ჰქონდა უფლება პრემიერ-მინისტრის პოსტზე საკუთარი კანდიდატი წარედგინა.



სურ. 205 ლიანგ ციჩაო

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას არ ჰქონდა შესაძლებლობა ტიბეტში, სინძიანგში, გარე-მონღოლეთსა[2] და საზღვარგარეთის უბნებზე არჩევნების ჩატარებისა. ამიტომ 64 მანდატი პირდაპირ გადაანაწილეს ზემოხსენებულ ოლქებზე.

არჩევნების შედეგების მიხედვით, ნაციონალისტური პარტია პრემიერ-მინისტრის პოსტზე უნდა წარედგინა სუნგ ძიაოჟენი. ამით იუენის ძალაუფ-

[1] იგივე გომინდანი (დამკვ. ფორმა), აქ გათვალისწინებულია „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები"

[2] 外蒙古 – გარე-მონღოლეთი (ჩრდილოეთ მონღოლეთი) – დღევანდელი მონღოლეთის რესპუბლიკა, ასევე არსებობს 内蒙古自治区 – შიდა მონღოლეთის ავტონომიური რეგიონი.

ლება მნიშვნელოვნად იზღუდებოდა. ასამბლეაში რესპუბლიკურმა პარტიამ დემოკრატიულ პარტიასთან ერთად შიდა ოპოზიცია შექმნა ლიანგ ციჩაოს მეთაურობით (სურ. 205). იმავე წლის 20 მარტს სუნგ ძიაოჟენი მოგზაურობის დროს მოკლეს, რამაც რესპუბლიკაში დიდი მღელვარება გამოიწვია. ყველა სამხილი იუენ შიქაისკენ მიდიოდა, რამაც სუნ იატსენს და მის მომხრეებს იცლისში ამბოხისკენ უბიძგა, თუმცა იუენ შიქაიმ ისინი მალევე დაამარცხა. ძიაოჟენის სიკვდილისა და ამბოხების მარცხის შემდეგ ნაციონალისტების პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა. ამას დაემატა მოქმედი სამხედრო ლიდერების მხრიდან ძალადობრივი ზეწოლა და მოსყიდვა. ამის შედეგად იუენ შიქაი ეროვნული ასამბლეის ხმათა 71%-ით აირჩიეს რესპუბლიკის ფორმალურ და კანონიერ პრეზიდენტად. პრეზიდენტობასთან ერთად მან ფაქტობრივად დაშალა ეროვნული ასამბლეა და შექმნა საბჭო, რომელშიც იყვნენ სამხედრო წარმომადგენლები ყველა პროვინციიდან. სწორედ ამ გარემოებამ დაუდო საფუძველი სამხედრო მმართველობის ერას. აღსანიშნავია იუენის მცდელობაც ეროვნული ვალუტის შექმნის საქმეში. მოიჭრა ვერცხლის მონეტები, რომლებიც მიმოქცევაში კიდევ რამდენიმე დეკადით რჩებოდა.

1914 წელს პირველ მსოფლიო ომს ჩინეთის რესპუბლიკამ ნეიტრალიტეტის გამოცხადებით უპასუხა, მაგრამ იაპონურ პოლიტიკურ ელიტას კარგად ესმოდა შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარება და გადაწყვიტა ჩინეთის ტერიტორიაზე მოქმედ გერმანულ კოლონიებს დაპატრონებოდა. მიუხედავად რესპუბლიკის პროტესტისა, იაპონიამ ანტანტის კვალდაკვალ ცეცხლი გახსნა გერმანული გარნიზონების მისამართით და ნელ-ნელა დაიკავა ქალაქი ცინგტაო და მიმდებარე რაიონები. კონტინენტურ ომში გართულ ევროპელებს პირიქით, ხელს აძლევდა გერმანიის შორეულ აღმოსავლეთში დასუსტება. ამიტომ მათ პროტესტი არ გამოუთქვამთ ჩინეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის დარღვევაზე.

იაპონურმა დელეგაციამ იუენ შიქაის მთავრობას 21 პუნქტიანი მოთხოვნა წაუყენა, რომელიც ხუთ ნაწილად იყოფოდა:

ნაწილი პირველი – იაპონელები მოითხოვდნენ მათი უფლებების ფორმალურ აღიარებას შანტუნგის პროვინციაზე რკინიგზის, პორტებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ჩათვლით;

ნაწილი მეორე – იაპონური მხარე მოითხოვდა მანჯურიის რკინიგზის 99-წლიან მართვას და შიდა მონღოლეთის ოლქის ბუნებრივ რესურსებზე წვდომას. აგრეთვე იაპონელი ფინანსისტებისა და ბიზნესმენების პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნას;

ნაწილი მესამე – ჩინეთის ცენტრალურ ნაწილში მეტალურგიულ კომპლექსებსა და საბადოებზე უპირობო წვდომას;

ნაწილი მეოთხე – ჩინეთს ეზღუდებოდა ნებისმიერი უცხო ქვეყნისადმი სანაპირო ზოლის გამოყენების უფლების მინიჭება;

ნაწილი მეხუთე – რესპუბლიკურ მთავრობას უნდა ჰყოლოდა იაპონელი მრჩევლები, რომლებიც განკარგავდნენ საპოლიციო და ფინანსურ საქმეებს. ამავდროულად, იაპონია კისრულობდა სამი სარკინიგზო ხაზის აგებას, რომელსაც ისინი თავად გააკონტროლებდნენ.

თავდაპირველად იუენ შიქაის მთავრობა არ აპირებდა იაპონიის მოთხოვნების შესრულებას, თუმცა ისინი კარგად აცნობიერებდნენ, რომ სამოქალაქო ომის ზღვარზე მყოფ ქვეყანას არ შეეძლო იაპონელებთან კონფრონტაცია. 1915 წლის 8 მაისს იუენ შიქაიმ მიიღო იაპონელთა ულტიმატუმი.

იაპონელთა ულტიმატუმს პროტესტი მოჰყვა მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა მას სერიოზული რყევები არ გამოუწვევია, რადგან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და ზუსტად არავინ იცოდა, მსოფლიო ომის შედეგები რას მოუტანდა ჩინეთს. ნაციონალისტების დასუსტებამ იუენს უბიძგა კიდევ უფრო ამბიციური წამოწყებისკენ. კერძოდ, მის გარემოცვაში მომწიფდა მონარქიის აღდგენის იდეა. მსჯელობდნენ კონსტიტუციურ და აბსოლუტურ მონარქიაზე. საბოლოოდ, 1915 წლის 12 დეკემბერს, იუენ შიქაი ჩინეთის იმპერატორად[1] იკურთხა და ეწოდა ხუნგსიენი. იუენის გაიმპერატორებას თავდაპირველად დადებითი გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო საზოგადოების იმ ნაწილში, რომლებსაც ჩინეთში ფაქტორიები ჰქონდა, თუმცა შიდა გარემოცვიდან ბევრი პოლიტიკოსი შეეწინააღმდეგა რესპუბლიკის იმპერიად გარდაქმნის იდეას. მეტიც, სუნ იატსენი და მისი თანამოზარეები იაპონიაში გაიქცნენ და იაპონიამ მათ უპირობოდ მისცა თავშესაფარი. იუენ შიქაის იმპერატორობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. 1915 წლის ბოლო გენერლებმა ცაი იმ და თანგ ძიიაომ ღიად გამოაცხადეს, რომ იმპერა-

[1] 中华帝国大皇帝 ჩინეთის იმპერიის დიდი იმპერატორი

ტორის ღია ოპოზიციაში გადადიოდნენ. სახელმწიფოს კიდევ უფრო ღრმა კრიზისი ელოდა. ამავდროულად ცალკეული პროვინციის სამხედრო მმართველებმა დაიწყეს დამოუკიდებლობის გამოცხადება. იუენმა 83-დღიანი იმპერატორობის შემდეგ ტახტი დატოვა.

1916 წლის მაისში იუენი მძიმედ დასნეულდა და ერთთვიანი ავადმყოფობის ბოლოს 6 ივნისს გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდგომ ჩინეთში იწყება ურთულესი და ქაოსური სამხედრო მმართველების ერა, რომლის დროსაც ისედაც მოშლილი სახელმწიფო ინსტიტუტები სრულიად მოირყა და ქვეყნის სუვერენიტეტიც მხოლოდ ქაღალდზე არსებულ ფიქციად დარჩა.

სამხედრო მმართველების ერა და ოთხი მაისის საპროტესტო ტალღა

მმართველობის ბოლო ეტაპზე იუენ შიქაიმ განუსაზღვრელი ძალაუფლება მიანიჭა საკუთარ გენერლებს. ამან დასაბამი მისცა ჩინეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდის – სამხედრო მმართველების ხანის დაწყებას, თუმცა ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ სამხედრო მმართველების ისტორიას საფუძველი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა ხანებში, თაიფინგის აჯანყების დროს ჩაეყარა. მაშინდელმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ პროვინციების მმართველებს გაცილებით გაუმარტივდებოდათ აჯანყებებისა და გამოსვლების ჩახშობა, თუ მათ საკუთარი შეიარაღებული ძალები ეყოლებოდათ.

სამხედრო მმართველები ჩინურად 军阀 – ძიუნფად ინოდებოდა და ისინი ჩინეთის სხვადასხვა პროვინციებს აკონტროლებდნენ. შეიარაღებული ძალების გარდა ფლობდნენ ადმინისტრაციულ და ეკონომიკურ ბერკეტებსაც. 1916 წლის შემდგომი ჩინეთი დაყოფილი იყო რამდენიმე რეგიონად, სადაც სამხედრო მმართველებს შეუზღუდავი ძალაუფლება ჰქონდათ. პეკინის მთავრობას არ შესწევდა ძალა, რომ აელაგმა თვითნებობა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ტიბეტი და სინძიანგი ფაქტობრივად გასული იყო ქვეყნის იურისდიქციიდან, ხოლო უცხოელი კოლონიზატორები პეკინის ნაცვლად ადგილობრივ მმართველებთან

დებდნენ ხელშეკრულებებს სხვადასხვა საკითხზე. ფაქტობრივად ჩინეთის რესპუბლიკა როგორც ერთიანი სახელმწიფო აღარ არსებობდა.

იუენ შიქაის სიკვდილის შემდგომი მდგომარეობა ჩინეთში კიდევ უფრო დაამძიმა სამხედრო მმართველების თვითნებურმა მოლაპარაკებებმა იაპონიასა და სხვა ქვეყნებთან. მოლაპარაკების საგანი ძირითადად იყო ჩინური ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა, ჩინელი მუშახელის ევროპის ფრონტზე გადასროლა და რკინიგზის მართვა. სამხედრო მმართველების პოლიტიკა დაფუძნებული იყო ფინანსურ და სამხედრო ინტერესებზე. როგორც კი რომელიმე კლანი საგრძნობლად გაძლიერდებოდა, დანარჩენი მმართველები უმალ კრავდნენ სამხედრო ალიანსს მის წინააღმდეგ. ამ მდგომარეობაში სუნ იატსენი და კუომინტანგი სამხრეთ ჩინეთში დაბანაკდნენ და იქ შექმნეს ალტერნატიული მთავრობა. პეკინში პარალელურად არსებობდა ე.წ. პეიიანგის მთავრობა. ამავდროულად, დასავლეთ და ცენტრალურ რეგიონებში სამხედრო ფრაქციები სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ.



სურ. 206 იენ სიშანი

ზემოთ ხსენებული სამხედრო მმართველებიდან გამოირჩეოდნენ შემდეგი გენერლები:

იენ სიშანი – შანსის პროვინციის მმართველი, რომელმაც სპეციალურად განსხვავებული ზომების ლიანდების რკინიგზა გაიყვანა რეგიონში, რათა გართულებოდათ სარკინიგზო ხაზის გამოყენება სხვა პროვინციის მმართველებს საომარი მოქმედებების დროს (სურ. 206);



სურ. 207 ფენგ იუსიანგი

ფენგ იუსიანგი – ცნობილია როგორც ე.წ. ქრისტიანი გენერალი. ის თავდაპირველად იუენ შიქაისთან ერთად განუდგა ცინგის დინასტიას, თანამშრომლობდა საბჭოთა კავშირთან (სურ. 207). 1924 წელს მიემხრო ნაციონალისტებს და მოაწყო პეკინში გადატრიალება. 30-იან წლებში ჩანგ ქაიშის[1] ერთპიროვნულ

[1] ჩანგ ქაიში (დამკვ. ფორმა), ამავდორულად იუეს დიალექტშია Chiang Kai-shek (ჩანგ ქაიშეკი), რომელიც ასევე ფართოდაა გავრცელებული. 蔣介石 ძიანგ ძიეში (სალიტერატურო ჩინურ ენა – ფუთუნგხუაში. აქ ვტოვებთ ეერსიას – ჩანგ ქაიში).



სურ. 208 უ ფეიფუ



სურ. 209 ჭანგ წუოლინი



სურ. 210 ჭანგ წუნგჩანგი

დიქტატურას არ შეურიგდა და დაუპირისპირდა სამხედრო გზით;

უ ფეიფუ – ე.წ. ფილოსოფოსი გენერალი, რომელიც მისდევდა კონფუციურ ღირებულებებს (სურ. 208). ის ემხრობოდა მილიტარისტულ დემოკრატიას და აღმერთებდა ჯორჯ ვაშინგტონს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მართავდა შიდა მონღოლეთის ტერიტორიას;

ჭანგ წუოლინი – ყველასგან გამორჩეული სამხედრო მმართველი იყო თავისი გავლენებითა და შესაძლებლობებით (სურ. 209). 1904-1905 იაპონია-რუსეთის ომის დროს, ის იაპონელების მხარეს იბრძოდა და სწორედ ამ პერიოდიდან დაამყარა ახლო ურთიერთობა მათთან. ჭანგ წუოლინი იმდროინდელი აზიის ინდუსტრიულ ცენტრს, მანჯურიას მართავდა, რომელშიც ჩინეთის მოსახლეობის მხოლოდ 3% ცხოვრობდა, თუმცა აკუმულირებული იყო ინდუსტრიის 90%. იაპონური მხარდაჭერის გამო მისი არმია საგრძნობლად აღემატებოდა მისი კონკურენტი გენერლების არმიებს შეიარაღებითაც და რიცხოვნობითაც;

ჭანგ წუნგჩანგი – გამოირჩეოდა სისასტიკით. იგი მართავდა შანტუნგის პროვინციას (სურ. 210); თანამშრომლობდა რუს თეთრ გვარდიელებთანაც. მის მხარდამხარ იბრძოდა ცარისტული რუსეთის ყოფილი სამხედრო ჩინოსანი, იმხანად კი თეთგვარდიელი კონსტანტინ ნეჩაევი.

პირველი მსოფლიო ომის დასასრული და ჩინეთის საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე



სურ. 211 პრემიერ-მინისტრი ტუან ციჟუეი

პირველ მსოფლიო ომში ჩინეთის რესპუბლიკა თავდაპირველად ნეიტრალიტეტს აცხადებდა. საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრი ორად იყო გაყოფილი საომარი მოქმედებებში მონაწილეობაზე, თუმცა საბოლოოდ ჩინეთის რესპუბლიკაც ანტანტის მხარეს აღმოჩნდა. 1917 წელს პრეზიდენტის პოსტი ლი იუენხუნგმა დაიკავა. პრემიერის სავარძელი ტუან ციჟუეიმ შეინარჩუნა (სურ. 211). პრეზიდენტისა და პრემიერის ხედვები ომში მონაწილეობაზე ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ტუან ციჟუეი ომში ჩართვას მოითხოვდა, ხოლო ლი იუენხუნგი, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოც უმაგრებდა მხარს, ამის წინააღმდეგი იყო. იმავე წლის მაისში დაპირისპირებამ პიკს მიაღწია, როდესაც ლიმ დაითხოვა პრემიერი და ამას მოჰყვა საკანონმდებლო ორგანოს დაშლაც. ლიმ შუამავლობა სთხოვა ყოფილ მონარქისტ გენერალს, ჭანგ სუნს, რომელიც პეკინში ჯარით შემოიდა 13 ივნისს და ყველასგან მოულოდნელად იმპერიის აღდგენა გამოაცხადა. მან ფუ ი ისევ ტახტზე აიყვანა. მანჯურიელთა დაბრუნების პერსპექტივას საყოველთაო უკმაყოფილება მოჰყვა. ყოფილი მოწინააღმდეგები ისევ გაერთიანდნენ და 14 ივლისს ტუან ციჟუეიმ ისევ დაიკავა პეკინი. ფუ ი მეორეჯერ ჩამოაგდეს ჩინეთის იმპერიის ტახტიდან. მან და მისმა მომხრეებმა დედაქალაქი სასწრაფოდ დატოვეს. რესპუბლიკის მესამედ გამოცხადების შემდგომ ტუან ციჟუეი ისევ პრემიერის პოსტზე დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ე.წ. ანხუეის დაჯგუფებას, ხოლო პრეზიდენტის პოსტი ფენგ კუოჭანგმა დაიკავა, რომელიც, თავის მხრივ, ჭილის დაჯგუფებას მეთაურობდა. 1917 წლის 14 აგვისტოს ჩინეთის რესპუბლიკამ გერმანიას ომი გამოუცხადა. პირველ მსოფლიო ომს ისედაც რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ჩინეთის რესპუბლიკაზე დიდი კვალი არ დაუტოვებია, რადგან ცინგტაოსა და მიმდებარე ტერიტორიების გარდა საომარი მოქმედება ჩინეთის ტერიტორიაზე არ გავრცელებულა. თუმცა საგულისხმოა ჩინელი მუშების (დღევანდელი მონაცემებით 150 ათასი მუშის) მონაწილეობა დასავ-

ლეთის ფრონტზე ანტანტის მხარეს. პირველი მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე რუსეთის ოქტომბრის რევოლუციამ ჩინელ ინტელექტუალებში სერიოზული რყევები გამოიწვია: გაჩნდნენ სოციალისტებისა და მარქსისტების გაერთიანებები, რომლებიც რუსული მაგალითის ჩინეთში გადმოტანას ემხრობოდნენ. ახალგაზრდა ინტელექტუალების ძირითადი დასაყრდენი პეკინისა და ცინგხუას უნივერსიტეტები იყო, სადაც მსჯელობდნენ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სხვა თეორეტიკოსების ხედვებსა და იდეებზე. ხშირად იყო კამათი დასავლური თეორიების ჩინურ ტრადიციულ ფილოსოფიასთან თავსებადობის საკითხებზე.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულს პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე მხარეები შეიკრიბნენ, რათა განეხილათ ომის შემდგომი მსოფლიოს ტერიტორიული დანაწილების საკითხი. ფორმალურად ჩინეთის რესპუბლიკა გამარჯვებულთა მხარეს იყო. ერთი შეხედვით, მას კარგი პოზიციები ჰქონდა მოლაპარაკებისას, თუმცა სიტუაცია გამწვავდა მაშინ, როდესაც იაპონიის დელეგაციამ ჩინეთის ტერიტორიაზე გერმანიის ყოფილი კოლონიების გადაცემა და ამ ტერიტორიაზე პრივილეგიები მოითხოვა. ჩინეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ლუ ჭენგსიანგი, ცაო ჟულინი და ჩინეთის რესპუბლიკის ელჩი საფრანგეთში, ველინგტონ ქუ. იგი კონფერენციის მსვლელობისას ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის მხარდაჭერით სასტიკად ეწინააღმდეგებოდა იაპონიის პრივილეგიების შენარჩუნებას შანტუნგის პროვინციაში. კონფერენციის დროს მან შანტუნგის პროვინცია, სადაც კონფუცი დაიბადა, ჩინელებისთვის ისეთივე წმინდა ადგილად მოიხსენია, როგორიც ქრისტიანებისთვის იერუსალიმია. მიუხედავად ვილსონის მხარდაჭერისა, იაპონიის დელეგაციამ შანტუნგის პროვინციაზე შეინარჩუნა გავლენა. პროტესტის ნიშნად ჩინეთის დელეგაციას შეთანხმებაზე ხელი არ მოუწერია.

1919 წლის მაისის დასაწყისში პარიზის სამშვიდობო მოლაპარაკებებზე მიღებული გადაწყვეტილება ჩინელ ახალგაზრდებსა და ინტელექტუალებში პროტესტის მიზეზი გახდა. ტრადიციული ჩინური კონფუციზმისადმი გაუცხოება მე-19 საუკუნის ბოლოდან ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჩინელი ნაციონალისტები, რომლებიც ნელ-ნელა ეცნობოდნენ დასავლური საზოგაოდების ღირებულებებსა და ინსტიტუციებს, სულ უფრო მეტ სიმპატიებს გამოხატავდნენ დემოკრატიის, რესპუბლიკის, სოციალიზმისა და სხვა ღირებულებების მიმართ, რომლებიც მათივე



სურ. 212 4 მაისის მოძრაობა

გაგებით, დასავლური საზოგადოების წარმატების საწინდარი იყო, კონფუციზმს კი დრომოჭმულ იდეოლოგიად მიიჩნევდნენ. ამასთან ერთად არსებობდა ჯგუფები, რომლებიც ჩინური ტრადიციული ღირებულებების ნაწილს უნივერსალურ მოვლენად თვლიდა და მის შენარჩუნებას ემხრობოდნენ. სწორედ მეოცე საუკუნის ათიან წლებში გახდა პოპულარული ე.წ. 賽先生 (Mr. Science) და 德先生 (Mr. Democracy) ხედვები, რომლებიც მეცნიერებისა და დემოკრატიის უზენაესობას აღიარებდნენ და მათ დანერგვას ესწრაფოდნენ ჩინურ საზოგადოებაში.

1919 წლის 4 მაისის დილით პეკინის უნივერსიტეტიდან დაძრულ სტუდენტებს შეუერთდნენ სხვა სასწავლებლების სტუდენტები, რომლებიც აპროტესტებდნენ შანტუნგის პროვინციის იაპონისათვის გადაცემას (სურ. 212). ისინი ასევე მოითხოვდნენ იაპონური პროდუქციის ბოიკოტს და ჩინეთის ხელისუფლებას იაპონიასთან გარიგებაში ადანაშაულებდნენ. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა პარიზიდან დიპლომატები გამოეწვია. მათ გაათავისუფლეს დემონსტრანტი სტუდენტები, რომლებიც აქციების მსვლელობისას დააპატიმრეს.



სურ. 213 ლი ტაჭაო

4 მაისის მოძრაობამ კიდევ უფრო გააძლიერა ჩინელი ინტელექტუალების, ლი ტაჭაოსა და ჩენ ტუსიოუს გავლენა საზოგადოებრივ ასპარეზზე (სურ. 213; სურ. 214). ისინი ჩინეთის კომუნის-



სურ. 214 ჩენ ტუსიოუ

ტური პარტიის პირველი თაობის წარმომადგენლები გახდნენ, რომლებიც რუსეთის ბოლშევიკურ რევოლუციას იმედით შეჰყურებდნენ. ამასთან ერთად, 4 მაისის მოძრაობამ და ჩინურ საზოგადოებაში ახლებური იდეების შემოტანამ გააძლიერა ნაციონალისტური პარტიის რეაქციონიზმი. ჩანგ ქაიშიც და სუნ იატსენიც უფრთხოდნენ ჩინურ ტრადიციულ ღირებულებებზე ერთიან შეტევას და 4 მაისის მოძრაობის ლიდერებს ახალგაზრდების ტვინის რეცხვაში ადანაშაულებდნენ. დაპირისპირება კონსერვატორებს, ანარქისტებსა და სოციალისტებს შორის მოგვიანებით კიდევ უფრო გაღრმავდა, თუმცა მანამდე მათ საერთო მტრები, სამხედრო მმართველები აერთიანებათ, რომელთა წინააღმდეგ რამდენიმე წელში ერთიანი ფრონტი გახსნეს კომუნისტებმაც და ნაციონალისტებმაც.

კომუნისტური პარტიის დაარსება და ეროვნული თანხმობა ნაციონალისტურ პარტიასთან (1924-1927)

1917 წლის ბოლშევიკურ რევოლუციას მთელ მსოფლიოში მოჰყვა გამოხმაურება. გლობალური მსოფლიო ომის შემდგომ ახალ მსოფლიო წესრიგში სოციალისტურ იდეებს ბევრი პოლიტიკური ჯგუფი თუ გაერთიანება კოლონიალიზმისა და უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან საშუალებად აღიქვამდა. 4 მაისის სტუდენტური მოძრაობის შემდეგ ქვეყანაში მომრავლდა მარქსიზმითა და რუსული რევოლუციის მონაპოვრით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობა. ამას ემატებოდა სამხედრო მმართველთა უწინდელი ძალაუფლება, რაც ქვეყანას ფაქტობრივად შლიდა. თავის მხრივ, ლენინიც და რუსული კომინტერნიც[1] აქტიურ ყურადღებას იჩენდნენ აღმოსავლეთის მიმართ.

[1] კომინტერნი – (აბრევ. Komintern. Comintern) იგივე კომუნისტური ინტერნაციონალი. საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოსკოვიდან იმართებოდა და აერთიანებდა სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს 1919-1943 წლებში. მიზნად ისახავდა მსოფლიოში კომუნიზმის იდეების მხარდაჭერასა და გავრცელებას.

რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას სტრატეგიული ინტერესი ჰქონდა ჩინეთის, როგორც პარტნიორის მიმართ. რუსეთს ჯერ კიდევ ცარისტული დროიდან მანჯურიისა და კორეის ნახევარკუნძულზე საკუთარი ფაქტორიები ჰქონდა. ამას ემატებოდა იაპონიასთან 1904-1905 წლებში განცდილი მარცხი. აქედან გამომდინარე, ჩინეთის რესპუბლიკაში მათი მხარდამჭერი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ჯგუფების გაძლიერებას კრემლისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის პირველი თაობის ლიდერები ჩენ ტუსიოუ და ლი ტაჭაო იყვნენ. პირველი თაობის ჩინელი კომუნისტები სრულიად იზიარებდნენ ლენინის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს. მათი ხედვები ემთხვეოდა კომინტერნისა და კლასიკური მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს. მათი აზრით, მთავარი ბრძოლა ჩინეთის ინდუსტრიულ ნაწილებსა და ურბანულ სივრცეებში უნდა წარმართულიყო, ხოლო ჩინელი მუშები რევოლუციის სათავეში უნდა ყოფილიყვნენ. ფორმალურად ჩინეთის კომუნისტური პარტია 1921 წლის 23 ივლისს დაარსდა შანგხაიში. პარტიის დაარსებას თავდაპირველად მხოლოდ 50 დელეგატი ესწრებოდა და მისი გაელენა ნაციონალისტურ პარტიასთან ახლოსაც ვერ მივიდოდა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ 10-იანი წლების კუომინტანგი ერთგვარი ზეიდეოლოგიური გაერთიანება იყო, რომელშიც შედიოდნენ როგორც მარქსისტები, ასევე კონსერვატულად განწყობილი ნაციონალისტებიც. ჯერ კიდევ ჩანასახში მყოფი კომუნისტური პარტია კარგად აცნობიერებდა, რომ ქვეყანაში არსებულ ე.წ. პეიიანგის მთავრობასა და სამხედრო მმართველების თვითნებობას დამოუკიდებლად ვერაფერს მოუხერხებდა. ამას გარდა, კუომინტანგის სამხედრო და ადმინისიტრაციული რესურსი, რომელიც სულ უფრო ძლიერდებოდა და იქმნებოდა რეალური შესაძლებლობა, რომ ჩინეთის ქაღალდზე დაწერილი სუვერენიტეტი რეალურად განხორციელებულიყო. ნაციონალისტური პარტიის ლიდერები კი თავიანთ წიაღში მემარცხენე ფრთის ასიმილირებით ცდილობდნენ კონტროლქვეშ ჰყოლოდათ ჯერ კიდევ სუსტი ორგანიზაციის მქონე მემარცხენეები. ამას ემატებოდა მოსკოვური ხედვა, რომ ჩინეთში რეალური რევოლუცია მხოლოდ კუომინტანგთან ალიანსით შეიძლებოდა მომხდარიყო. ჩინელი სამხედრო მმართველები აქტიურად თანამშრომლობდნენ იაპონელებთანაც და დასავლეთის ქვეყნებთანაც, რაც ახლად დაარსებული საბჭოთა კავშირისთვის გეოპოლიტიკური საფრთხე იყო.

პირველი ეროვნული გაერთიანება (1924-1927) და ჩრდილოთის ექსპედიციის დასაწყისი

კომინტერნის უშუალო დახმარებით ახლად დაარსებული კომუნისტური პარტიის წევრები ჩინეთის ნაციონალისტურ პარტიას ინდივიდუალურად უერთდებოდნენ, მზადდებოდა საფუძველი, რომ საერთო-სახალხო ფრონტით საბოლოოდ მოესპოთ ქვეყანაში სამხედრო მმართველთა ძალაუფლება. ამას ემატებოდა დღევანდელი კუანგტუნგისა[1] და მიმდებარე ტერიტორიებზე სუნ იატსენის გავლენის გაძლიერება, რომელსაც ადგილობრივი სამხედრო მმართველი ჩენგ მინგი მოიხსენიებდა როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტს. გარდა სამხრეთ ჩინეთისა, სუნ იატსენსა და ნაციონალისტებს სერიოზული მხარდამჭერი ფრაქცია ჰყავდათ შანგხაიში, რომელიც იმდროინდელი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინდუსტრიული და ფინანსური ცენტრი იყო.

პირველ ეროვნულ ალიანსამდე საკმაოდ რთული და მძიმე დიალოგი ჰქონდათ პარტიის იდეოლოგიურ მამებს. ჩენ ტუსიოუ, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალისტებს არ მიიჩნევდა ბურჟუაზიის ნაწილად, პარტიის ლიდერთა დიდ ნაწილს მაინც დომინანტ კლასებთან ალიანსში განიხილავდა. 1924 წელს მიღწეულ შეთანხმებში დიდი როლი ჰქონდა მიხეილ ბოროდინს (იგივე გრუზენბერს), რომელიც კომინტერნის სპეციალური წარმომადგენელი იყო ჩინეთში. სწორედ ბოროდინის ინსტრუქტაჟით მოეწყო კუომინტანგის პარტიული სტრუქტურები. ის მოუწოდებდა ჩინელ კომუნისტებს, რომ რეალური წარმატების მისაღწევად შეერთებოდნენ სუნ იატსენის პარტიას. საბოლოო ჯამში, ალიანსი შედგა. ჩინურ ისტორიოგრაფიაში 1924-1927 წლები იხსენიება როგორც პირველი ეროვნული თანხმობა სამხედრო მმართველების წინააღმდეგ.

კუომინტანგის შიგნით ძლიერი მემარცხენე ფრთის არსებობას დიდხანს არ უარსებია. მას საფუძველი 1924 წელს ჯერ ლენინის გარდაცვალებამ შეურყია, ხოლო ერთი წლის შემდეგ რესპუბლიკის მამად წოდებული სუნ იატსენიც გარდაიცვალა. სუნ იატსენის გარდაცვალებამ კუომინტანგის შიგნით გავლენებისთვის ბრძოლა გააძლიერა. პრეტენდენტებს შორის იმთავითვე გამოიკვეთა სუნის ქვისლი, ახალგაზრდა და ენერგიული სამხედრო ჩანგ ქაიში, რომელიც აქტიურად მონაწილე-

[1] პროვინცია ჩინეთის სამხრეთ ნაწილში

ობდა ჯერ კიდევ სინხაის რევოლუციაში (სურ. 215). სინხაის რევოლუციის შემდეგ რამდენჯერმე გადაარჩინა სუნ იატსენი სამხედრო მმართველების მოწყობილი თავდასხმისაგან. ჩანგ ქაიშის სამხედრო განათლება იაპონიაში ჰქონდა მიღებული. იგი კარგად იცნობდა როგორც იაპონურ საბრძოლო სტრატეგიასა და ტაქტიკას, რომლითაც შედარებით მცირერიცხოვანმა იაპინიამ ჯერ ჩინეთის იმპერია სასტიკად დაამარცხა 1894-1895 წლების საზღვაო ბრძოლებში, შემდგომ კი რუსეთის იმპერიას აგემა დამამცირებელი მარცხი.



სურ. 215 ჩანგ ქაიში

4 მაისის მოძრაობის დროს პარტიაში გამოიკვეთა ჩანგ ქაიშის კონსერვატიული ხედვები, რომელიც დიდად არ ესადაგებოდა პეკინელი ინტელექტუალების სოციალისტურ ხედვებს. მიუხედავად ამისა, ჩანგიც იზიარებდა კომინტერნის რეკომენდაციას კომუნისტებთან კოალიციის აუცილებლობაზე, რადგან ერთხელ და სამუდამოდ აელაგმათ ქვეყნის დამანაწევრებელი სამხედრო მმართველები და ჩინეთის რესპუბლიკა მხოლოდ რუკაზე შექმნილი ფიქცია არ ყოფილიყო. სუნ იატსენის გარდაცვალების დროს კუომინტანგში არსებობდა სამი მოზრდილი ფრაქცია:

- კონსერვატიული რესპუბლიკელები, ჩანგ ქაიშის ხელმძღვანელობით;
- ნაციონალისტების მემარცხენე ფრთა, ვანგ ძინგვეის ხელმძღვანელობით;
- კომუნისტური პარტია, ლი ტაჭაოსა და ჩენ ტუსიოუს მეთაურობით.

20 მარტის ინციდენტი და ნაციონალისტების მემარცხენე ფრთის დეზინტეგრაცია

1926 წლისათვის კომინტერნის მხარდაჭერით საგრძნობლად გაძლიერდა კუომინტანგის მემარცხენე ფრთა, რომელსაც ტროცკი ყველანაირად ეხმარებოდა გავლენის მოპოვებაში. ამას ემატებოდა კუომინ-

ტანგის ყველაზე მძლავრი ხომალდის „სუნ ჭუნგშანზე“[1] ლი ჭილუნგის კონტროლი, რომელიც მოსკოველი მრჩევლების დახმარებით, წვრთნიდა და მართავდა გემის ეკიპაჟს. დღესაც არ არის ზუსტი და შეთანხმებული ვერსია, თუ რა მოხდა 1926 წლის მარტში, რამაც ნაციონალისტებს სამხედრო ძალით პარტიული ძალაუფლების განმტკიცებისკენ უბიძგა. არსებობს საბჭოთა წარმომადგენლის ჩანაწერი, რომელიც ტექნიკურ გაუგებრობას აბრალებს კომუნისტებსა და ნაციონალისტებს შორის დაწყებულ დაპირისპირებას. ფაქტია, რომ „სუნ ჭუნგშანმა“ დატოვა ქალაქი კუანგჭოუ[2] და შემდეგ ისევ დაბრუნდა იქ, როგორც კაპიტანი ლი ჭილუნგი იტყობინებოდა, ჩანგ ქაიშის ბრძანების შესაბამისად, რომელიც მას რეალურად არასოდეს გაუცია. ნაციონალისტების მხრიდან ქმედება შეფასებული იყო როგორც აჯანყების მცდელობა. ჩანგ ქაიშიმ გამოიყენა ვამფოას სამხედრო აკადემიის კურსანტები და მისი ერთგული ჯარისკაცები. შეუწყვიტა კუანგჭოუს სატელეფონო კავშირი დანარჩენ ჩინეთთან და დაიწყო პარტიისა და ჯარის მემარცხენე ლიდერების დაპატიმრება. დააპატიმრეს ხომალდის კაპიტანი ლი ჭილუნგი, მემარცხენე მეთაურები: ვანგ ძინგვეი, ჭოუ ენლაი[3] და ასევე კომინტერნის მრჩევლები. ინცინდენტის შემდეგ პარტიის ძალაუფლება ფაქტობრივად კონსერვატორი მილიტარისტების ხელში აღმოჩნდა. ჭოუ ენლაი მალევე გაათავისუფლეს და ის შანგხაიში გადავიდა მუშათა გაფიცვის მოსამზადებლად (სურ. 216). ვანგ ძინგვეიმ პირობა დადო, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, საზღვარგარეთ წავიდოდა და, მართლაც, გაემგზავრა საფრანგეთში.



სურ. 216 ჭოუ ენლაი

პირველი ეროვნული ფრონტი საფრთხის წინაშე იყო. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ტროცკის მეთაურობით მოითხოვდა, რომ შეეწყვიტათ ნაციონალსიტების ყველანაირი დახმარება, თუმცა სტალინმა თავისი გაიტანა და კომინტერნმა მაინც გააგრძელა მასთან თანამშრომლობა და დახმარება.

[1] სუნ ჭუნგშანი არის სუნ იატსენის სახელი ჩინურ სალიტერატურო ენაზე.

[2] დამკვ. ფორმა: გუანჯოუ; ასევე ცნობილი როგორც: კანტონი

[3] იგივე ჯოუ ენლაი (დამკვ. ფორმა), აქ გათვალისწინებულია „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები“.

1926 წლის ბოლოსკენ ჩანგ ქაიშიმ აქტიური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო სამხედრო მმართველების წინააღმდეგ. მის ჩრდილოურ ექსპედიციას სულ უფრო მეტი მომხრე ემატებოდა. პირველი ფაზა 1927 წელს დასრულდა, როდესაც ნაციონალისტები მათი მომხრე სამხედრო მმართველების დახმარებით ქალაქ ნანძინგში შევიდნენ. 1927 წელი საგულისხმოა იმითაც, რომ ეროვნული თანხმობა ნაციონალისტებსა და კომუნისტებს შორის შეწყდა. ამის მიზეზი შანგხაიში მომხდარი მუშათა გაფიცვა გახდა, რომელიც კუომინტანგის ჯარისკაცებმა ძალის გამოყენებით დაშალეს. აშკარა იყო, რომ კომუნისტებისა და ნაციონალისტების კონკურენცია მხოლოდ დებატებითა და იდეოლოგიური დისპუტებით აღარ შემოიფარგლებოდა.

1927 წლის შანგხაის ინციდენტი და „კუომინტანგის დეკადის“ დასაწყისი

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ჩინეთის ისტორიაში რამდენიმე საკვანძო თარიღი იყო. 1927 წელი ერთ-ერთი მათგანია, როდესაც საბოლოოდ და ოფიციალურად დაირღვა კომუნისტურ-ნაციონალისტური ერთიანი ფრონტის იდეა და ფაქტობრივად დაიწყო სამოქალაქო ომი.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში შანგხაი აზიის ერთ-ერთი უმთავრესი ფინანსური და ინდუსტრიული ცენტრი იყო, სადაც ერთმანეთს კვეთდა მსოფლიოს თითქმის ყველა დიდი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები. შანგხაიში შეხვდებოდით ფრანგულ და ბრიტანულ დასახლებებს ფაბრიკებით, ბანკებითა და სხვა ფინანსური თუ ინდუსტრიული ელემენტებით. აქედან გამომდინარე, შანგხაიში განსხვავებით სხვა ჩინური ურბანული ცენტრებისა მძლავრი იყო მუშათა კლასი, რომელსაც, კომინტერნის რეკომენდაციით, უნდა დაყრდნობოდა კომუნისტური პარტია რევოლუციისას. ამას ემატებოდა უცხო ქვეყნების შეიარაღებული ჯგუფების ქარხნებისა და ფაბრიკების არსებობა, რაც საფუძველს უქმნიდა კომუნისტურ პარტიის წევრებსა და კუომინტანგის მემარცხენე ფრთას, რომ მოემზადებინათ ნიადაგი გაფიცვებისა და დემონსტრაციებისთვის. 1927 წლის გაზაფხულზე ეროვნულ-რევოლუციურ არმიასა და კუომინტანგს სერიოზული წინსვლა ჰქონდა ჩრდილოეთის სამხედრო ექსპედიციაში. ჩანგ ქაიშის იურისდიქცია ნანკინში ვრცელდებოდა,

ხოლო ნაციონალისტური პარტიის მემარცხენე ფრაქციის ლიდერი, ვანგ ძინგვეი და კომუნისტური პარტიის სხვა წევრები უშუალოდ უხანში იყვნენ გამაგრებულნი. სამხედრო მმართველები ნელ-ნელა კარგავდნენ გავლენებს ჩინეთის ტერიტორიაზე. ზოგი ბძოლით, ზოგიც თავისი ნებით გადადიოდა სამხრეთიდან წამოსული ეროვნულ-რევოლუციური არმიის მხარეზე. ამასთან ერთად, ჩრდილოეთის ექსპედიციის სამხედრო კორპუსებს ჭრელი შემადგენლობა მართავდა. ზოგიერთის სათავეში უშუალოდ ჩანგ ქაიშის დაქვემდებარებული ოფიცრები იყვნენ, ზოგან კი – მემარცხენე ხედვების მიმდევარი სამხედროები. ზემოხსენებული სიჭრელის გამო, ჩრდილოეთის ექსპედიციის ჯარისკაცებსა და ნანკინში განთავსებულ კოლონისტურ საპოლიციო ჯგუფებს შორის შეტაკება მოხდა, რაც ლამის საომარ მდგომარეობამდე მივიდა. ჩანგ ქაიშიმ ინციდენტი მემარცხენე ფრთას გადააბრალა და პირობა დადო, რომ გაფიცვისა და დემონსტრაციების შემთხვევაში მსგავსი რამ არ განმეორდებოდა. ამას დაემატა მისი მხრიდან ეროვნულ-რევოლუციური არმიის ერთპიროვნულ ხელმძღვანელად გამოცხადება, რაც ანტაგონიზმს ზრდიდა ისედაც მრავალფეროვან პოლიტიკურ გაერთიანებაში. ჭოუ ენლაისა და ჩენ ტუსიოუს ხელმძღვანელებით შანგხაი განთავისუფლდა სამხედრო მმართველობისგან და სახელდახელოდ შექმნილმა დაჯგუფებებმა ქალაქის დიდ ნაწილზე კონტროლი დაამყარეს, გარდა უცხოური ინდუსტრიული ზონებისა. შანგხაის კოლონიურ ძალებსა და ჩანგ ქაიშის მემარჯვენე ფრაქციაში ერთდროულად იზრდებოდა შეშფოთება კომუნისტური ძალების წარმატების გამო, რადგან შანგხაი აზიის ფინანსური ცენტრი იყო და მისი კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

2 აპრილს კუომინტანგის მემარჯვენე ფრაქციამ საჯაროდ გამოიცხადა, რომ პარტიაში კომუნისტები და მემარცხენე იდეების მიმდევრები საბოლოოდ უნდა ამოეძირკვათ. დაძაბულობის განსამუხტად, ვანგ ძინგვეი ხუთ აპრილს შანგხაიში ჩამოვიდა და ჭოუ ენლაისთან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კუომინტანგი ინარჩუნებდა მრავალპარტიულ ერთიანობას.

9 აპრილს ჩანგ ქაიშიმ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, დაგმო ვანგ ძინგვეისა და უხანელი ნაციონალისტების ჭოუ ენლაისთან თანამშრომლობა და ბრძანება გასცა, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით გაეძევებინათ კომუნისტური დაჯგუფებები პარტიიდან. 12 აპრილს 26-ე

არმიის მე-12 დივიზია შანგხაიში შევიდა და მუშებისა და გლეხების რაზმების განიარაღება დაიწყო. ფიზიკურ დაპირისპირებას ასობით ადამიანი შეეწირა. მე-12 დივიზიის ქალაქში შესვლას მასობრივი დემონსტრაციები მოჰყვა, რომელშიც დაახლოებით 200 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს, რამაც ასეულობით ადამიანის დაღუპვა და ათასობით ადამიანის დაშავება გამოიწვია. 12 აპრილი გარდამტეხი გამოდგა მრავალპარტიული თანამშრომლობისთვის. სამწლიანი ეროვნული თანხმობა დასასრულს უახლოვდებოდა, ხოლო ნაციონალისტურ პარტიაში სამპოლუსიანი პოლარიზაცია გაძლიერდა. ერთი მხრივ, ჩანგ ქაიშის კონსერვატორები მძლავრობდნენ, რომელთაც ყველაზე კარგად შეიარაღებული საჯარისო დანაყოფები ჰყავდათ; მეორე მხრივ, ვანგ ძინგვეი კუომინტანგის მემარცხენე ფრთას ხელძღვანელობდა. კომუნისტური პარტია ცალკე დაჯგუფებად იყო წარმოდგენილი. 1927 წლის 12 აპრილის ინციდენტმა საბოლოოდ გათიშა ეროვნული თანხმობა და უკვე ნათლად გამოიკვეთა ჩანგ ქაიშის ბანაკის სამხედრო უპირატესობა დანარჩენ ორ პოლუსთან შედარებით.

1927 წლის 12 აპრილის შემდეგ ოფიციალურად დაიშალა ნაციონალისტური პარტიის ეკლექტური ერთობა. ნანკინს და უკვე შანგხაისაც ჩანგ ქაიშის კონსერვატული ფრთა აკონტროლებდა, ხოლო უხანს – კუომინტანგის მემარცხენე ფრაქცია ვანგ ძინგვეის მეთაურობით და კომუნისტური პარტია, რომელსაც დახმარებას უწევდნენ მოსკოვიდან გამოგზავნილი კომინტერნის წევრები. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უშუალოდ უხანის მთავრობაშიც არ იყო ერთსულოვნება და ფარულად ბრძოლა მიმდინარეობა გავლენის მოსაპოვებლად. ჩრდილოეთის ექსპედიცია დაემსგავსა მარათონს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა, ვინ გამოსტაცებდა პეკინს ხელიდან სამხედრო მმართველებს.

პეკინისთვის სამხედრო რბოლაში თავდაპირველად უხანის მთავრობის საჯარისო ნაწილები დაწინაურდნენ. მათ პირველი შეტაკება მოუხდათ უ ფეიფუს[1] სამხედროებთან, რომლებმაც მარცხი განიცადეს, ხოლო მცირე ხნის შემდეგ ჭანგ წუოლინის[2] შეიარაღებულ ძალებთან მოუხდათ დაპირისპირება, რომელიც ასევე წარმატებით დაძლიეს და

[1] სამხედრო მმართველი ცენტრალურ ჩინეთში.

[2] სამხედრო მმართველი ცენტრალურ ჩინეთში, პეკინის მიმდებარედ და შანტუნგის პროვინციაში.

მიაღწიეს ჭენგჭოუს.[1] მიუხედავად ტაქტიკური წარმატებისა, ქალაქ უხანის მიმდებარედ არც ისე მრავალრიცხოვანი საჯარისო დანაყოფები იყო განლაგებული. სჩუანის და სხვა სამხედრო მმართველები ერთმანეთის მიყოლებით გადადიოდნენ ჩანგ ქაიშის ეროვნულ-რევოლუციური არმიის შემადგენლობაში. ამის გამო უხანის მთავრობა ფაქტობრივად ალყაში მოექცა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან.

იმავე წლის ზაფხულში კომუნისტებმა კომინტერნისა და სტალინის რეკომენდაციით, სცადეს ძალაუფლების მოპოვება. 1-ელ აგვისტოს ძიანგსის ადმინისტრაციულ ცენტრ ნანჩანგში აჯანყება დაიწყო, რომელიც უხანელი ნაციონალისტების წინააღმდეგ იყო მიმართული. სწორედ ამ პროცესებმა დაუდო სათავე წითელი არმიის დაარსებას. კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა, რომ ძალაუფლების მოპოვებისთვის ერთადერთი გზა სამხედრო მოქმედებები იყო. ნანჩანგის დაკავების შემდგომ წითელი არმია სამხრეთით გადაადგილდა, რითაც ისარგებლეს ნაციონალისტებმა და ნანჩანგი ისევ დაიკავეს. ერთი თვის შემდეგ მაო წეტუნგმა[2] სცადა გლეხების მობილიზება ხუნანსა და ძიანგსის პროვინციებში, რომელიც ისტორიოგრაფიაში „შემოდგომის მოსავლის აჯანყების“ სახელით შევიდა. მაოს მცდელობას დიდი შედეგი არ გამოუღია, რადგან იმხანად კომუნისტურ პარტიას არ ჰქონდა სამხედრო მხარდაჭერა.



სურ. 217 ვანგ ძინგვეი და ჩანგ ქაიში

სამხრეთში დაპირისპირებით ისარგებლეს სამხედრო მმართველებმა. ჭანგ წუოლინის საჯარისო დანაყოფები სამხრეთით დაიძრნენ და მდინარე იანგწიმდე მიაღწიეს. ვანგ ძინგვეის მემარცხენე ფრაქციასთან ერთიანობის შენარჩუნების მიზნით ჩანგ ქაიში თანამდებობიდან გადადგა, თუმცა ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო (სურ. 217). იმდორინელ სამხედრო-პოლიტიკურ ქაოსში ათეულობით მცირე და დიდი პოლიტიკური ჯგუფი არსებობდა, რომლებიც ერთმანეთს

[1] ცენტრალური ჩინეთის აღმოსავლეთით მდებარე ხენანის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი.

[2] იგივე მაო ძედუნი, აქ გათვალისწინებულია „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები“.

ეცილებოდნენ ძალაუფლებისა და გავლენების მოპოვებაში. უწინდელი მტრები ალიანსს კრავდნენ და პირიქით. ჩინეთს ფაქტობრივად სამი დედაქალაქი ჰქონდა: საერთაშორისოდ აღიარებული პეკინი, ნაციონალისტების მემარცხენე ფრაქციისგან კონტროლირებული უხანი და კონსერვატული სამხედრო ელიტისგან კონტროლირებული ნანკინი. მას შემდეგ, რაც ჭანგ წუოლინი ნანკინს მიუხლოვდა, ჩანგ ქაიშიმ შანგხაის შეაფარა თავი. ნაციონალისტებს შანგხაიში ძლიერი პოზიციები ჰქონდათ. ასევე, აქტიურად თანამშრომლობდნენ კოლონისტური სახელმწიფოების წარმომადგენლობებთან. შემოდგომის ბოლოს კომუნისტურმა პარტიამ ქალაქ კანტონის დაკავება სცადა, თუმცა იგი ეროვნულ-რევოლუციურმა ძალებმა შეაჩერეს. პარტიის მემარცხენე ფრაქციაში ვანგ ძინგვეის პოზიციები საკმაოდ შესუსტდა. მან დეკემბრის ბოლოს ჩინეთის დატოვება გადაწყვიტა და საფრანგეთში გაემგზავრა. ყოფილი სამხედრო მმართველი და იმ დროს უკვე გენერალი, თანგ შენგჭი იაპონიაში წავიდა გარკვეული ვადით. დროებით კულისებში გადასულ ჩანგ ქაიშის საშუალება მისცა ასპარეზე ისევ გამოსულიყო გაძლიერებული პოზიციებით.



სურ. 218 სუნ იატსენი და ჩანგ ქაიში. იენისი, 1926 წ.

ნაციონალისტური პარტიის კონსერვატიული ფრაქციის დანინაურებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. მათგან ყველაზე მთავარი სამხედრო, ფინანსური და სუნ იატსენის პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე სწორება იყო. სამხედრო თვალსაზრისით, ჩანგ ქაიშის უშუალო დასაყრდენი ვამფოას სამხედრო აკადემიის კურსანტები და ეროვნულ-რევოლუციური არმია იყო (სურ. 218). ამას გარდა, სამხედრო მმართველები მის რიგებს ნებაყოფლობით უერთდებოდნენ. ჩინური საზოგადოების კოლექტივიზმისკენ მიდრეკილი ხასიათის გამო, ჩანგ ქაიში შანგხაის გავლენიანი ოჯახის წარმომადგენლის ქალიშვილზე, სუნგ მეილინგზე დაქორწინდა. ეს იყო პოლიტიკური ქორწინება, რომელმაც საკმაოდ აქტიური როლი ითამაშა ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში მოგვიანებით. ფინანსური კუთხით კი მის სტაბილურობას უზრუნველყოფდა შანგხაის

ჩინელი და უცხოელი მეწარმეები, რადგან საყოველთაო ქაოსის პერიოდში თუ ჩანგ ქაიში მშვიდობას დაამყარებდა, ამას მათი ფინანსური შემოსავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

ჩინეთის სამოქალაქო ომზე მსჯელობისას, ხშირ შემთხვევაში საზოგადოებას თვალწინ წარმოუდგება ომი კომუნისტურ პარტიასა და კუომინტანგს შორის, თუმცა ამ ორ ორგანიზაციას შორის კონფლიქტის გარდა იყო არანაკლებ სისხლიანი ლოკალური და რეგიონალური ომები სამხედრო მმართველებს, კუომინტანგის კონსერვატიულ და ვანგ ძინგვეის ფრაქციებს შორის.

1928 წელს ნანკინში ჩანგ ქაიში ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ შეეცადა, მშვიდობა დაემყარებინა პარტიის სხვადასხვა ფრაქციებს შორის. მან ეროვნულ-რევოლუციური არმია 4 ნაწილად გაყო; საკუთარი საჯარისო ნაწილების დემობილიზაციაზე უარი განაცხადა, რაც გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა სხვადასხვა ფრაქციას შორის მშვიდობის დამყარებას.

ერთადერთი ჩინური რეგიონი, სადაც მეტნაკლებად სიმშვიდე სუფევდა, იყო მანჯურია, რომელსაც სამხედრო მმართველი ჭანგ წუოლინი აკონტროლებდა. მას აქტიური კავშირი ჰქონდა რუსეთიდან დევნილ თეთგვარდიელებთან, რომლებსაც თავშესაფარი მისცა და სხვადასხვა შენაერთი მის მხარდამხარაც იბრძოდა. იაპონიის გავლენის მიუხედავად ჭანგი, მეტნაკლებად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რაც იაპონელ პოლიტიკოსებსა და სამხედროებში უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომ გადაწყდა მისი ლიკვიდაცია და უფრო ლოიალური პიროვნებით ჩანაცვლება. ისტორიკოსები ვერ თანხმდებიან, ეს იყო ტოკიოდან წამოსული დირექტივა თუ ადგილობრივი იაპონელების გადაწყვეტილება. ფაქტია, რომ 1928 წელს პეკინიდან შენიანგში მიმავალი მატარებელი, რომლითაც მარშალი მგზავრობდა, ააფეთქეს. იაპონელთა ჩანაფიქრი არასწორი აღმოჩნდა. წუოლინის შვილი ჭანგ სიუელიანგი ხელისუფლებაში მოვიდა, რომელსაც მეტსახელად ახალგაზრდა მარშალი შეარქვეს. ის კარგად აცნობიერებდა, რომ იაპონელების პირდაპირი დადანაშაულების შემთხვევაში, შესაძლოა საბრძოლო მოქმედებები დაწყებულიყო, რასაც პეიიანგის არმია წინ ვერ აღუდგებოდა. ამიტომ მან დუმილი არჩია. საიდუმლოდ დაუკავშირდა ჩანგ ქაიშის და თანამშრომლობისთვის მზაობა გამოხატა. ჭანგ სიუელიანგის დახმარება ჩრდილოეთიდან საკმაოდ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩანგ ქაიშის სამხედრო წარმატებაში.

1929 წელს სამმა სამხედრო მმართველმა, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩინეთის რესპუბლიკის წამყვან პოზიციებზე იყვნენ, ჩამოაყალიბეს სამხედრო კოალიცია ჩანგ ქაიშის წინააღმდეგ. მასში გაერთიანებული იყვნენ: იენ სიშანი (შანსის პროვინციის მმართველი), ფენგ იუსიანგი, ლი წუნგჟენი (შემდგომში ჩინეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი) და ჭანგ ფაქუეი. ნანკინის მთავრობის წინააღდმდეგ ჩინეთის რესპუბლიკის გენერლების გაერთიანება სერიოზული გამოწვევა იყო ჩანგის მმართველობისთვის. ეს ოთხი სამხედრო და პოლიტიკური ფიგურა აკონტროლებდა ცენტრალური ჩინეთის საკმაოდ მოზრდილ ნაწილს, რომელშიც შედიოდა ხენანი, შანტუნგის ნაწილი და ანხუეის პროვინციები. გენერალისიმუსის საწინააღმდეგო კოალიციასთან სამხედრო დაპირისპირება ჩინურ ისტორიოგრაფიაში შესულია როგორც „ცენტრალური დაბლობის[1] ომი". ცენტრალური დაბლობის ომი რამდენიმე ფაზისგან შედგებოდა. პირველი ფაზა 1929 წელს დაიწყო, როდესაც ნაციონალისტური პარტიის გენერლებმა ვანგ ივეისთან ერთად პეკინში ალტერნატიული მთავრობა ჩამოაყალიბეს იენ სიშანის მეთაურობით და მოითხოვეს ჩანგის გადადგომა, რაზეც ნანკინიდან უარი მიიღეს. კონფლიქტში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მუსლიმმა ჩინელებმა (ხუეის ეთნიკური ჯგუფიდან), კერძოდ, მას ოჯახმა, რომელიც ფაქტობრივად დასავლეთი და ცენტრალური ჩინეთის დასავლეთ პროვინციებს აკონტროლებდა. მა ცნობილი და გავლენიანი ოჯახი იყო ჯერ კიდევ ცინგის დინასტიის დროს. ნანკინის მთავრობისადმი მუსლიმი ჩინელების ერთგულებამ სერიოზული დახმარება გაუწია ჩანგს, რადგან დასავლეთ ჩინეთში მას მრავალრიცხოვანი მოკავშირე ჰყავდა. ცენტრალური დაბლობის ომი ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი იყო ჩინეთის სამოქალაქო ომის ისტორიაში. კერძოდ, ორივე მხრიდან კონფლიქტში მონაწილეობა მიიღო მილიონამდე სამხედრომ. ჩანგ ქაიშის ძალები თავდაპირველად ორჯერ ჩამოუვარდებოდა მოწინააღმდეგისას.

საბრძოლო მოქმედებების მეორე ფაზა 1930 წლის ზაფხულში დაიწყო, როდესაც მდინარე იანგწის მიდამოებში მიმდინარეობდა შეტაკებები. ივნის-აგვისტოს მდგომარეობით ჩანგის ძალებმა უკან დაიხიეს, რათა გადაჯგუფებულიყვნენ. სექტემბერში ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ცინგტაოდან ჩანგმა კონტრშეტევა წამოიწყო და ძინანის პროვინ-

[1] ჩინეთში ცენტრალურ დაბლობად მოხსენიებენ მდინარე იანგწის ზემო წელს.

ცია დაიკავა. სექტემბრის ბოლოს ჭანგ სიუელიანგმა, რომელიც ჩანგის მოკავშირედ ითვლებოდა, ბრძოლებში ჩართვა გადაწყვიტა. მისმა ძალებმა მანჯურიიდან სამხრეთით წაიწიეს, გადალახეს „მთისა და ზღვის" გასასვლელი და პეკინი რამდენიმე დღეში დაიკავეს. პეკინის დაკარგვის შემდეგ უ ფეიფუც და იენ სიშანიც გადადგნენ თანამდებობებიდან. ჩანგ ქაიშის გავლენებს ნაციონალისტურ პარტიაში მოწინააღმდეგე ფაქტობრივად აღარ ჰყავდა. ჩინეთის რესპუბლიკის ლიდერობის გზაზე სხვა პრედენდენტი აღარ იყო. რაც შეეხება კომუნისტურ პარტიას, ამ პერიოდში პარტიზანულ მომზადებაზე იყვნენ გადასული და ხალხში ნელ-ნელა პოპულარობას იძენდნენ, თუმცა კუომინტანგთან შედარებით მათი სამხედრო ძალები ჯერ კიდევ საგრძნობლად სუსტი იყო.

მიუხედავად ჩანგის წარმატებისა, რომელშიც ჭანგ სიუელიანგმა დიდი როლი ითამაშა, ჩინეთის რესპუბლიკას სერიოზული პრობლემები ჰქონდა. სიუელიანგის საჯარისო ნაწილები პეკინთან იდგნენ, რითაც საკმაოდ შესუსტდა მანჯურიის დაცვის ხაზი. ამან იაპონელებს შესაძლებლობა მისცა მანჯურიის ოკუპაციაზე ეფიქრათ.

მანჯურიაში იაპონელთა სამხედრო ინტერვენცია და მანჭოუკუოს დაარსება

მეიჯის რესტავრაციის შემდეგ, ერთ დროს სხვა სახელმწიფოებისგან ჩაკეტილი იაპონური სახელმწიფო თანდათან ებმებოდა საერთაშორისო პროცესებში უპირველესად აზიის ტერიტორიაზე. დისციპლინამ, დასავლური ტექნოლოგიების ათვისებამ და შიდა სტაბილურობამ იაპონელებს შესაძლებლობა მისცა ერთმანეთის მიყოლებით დაემარცხებინა ჯერ ცინგის იმპერია კორეის ნახევარკუნძულზე (1894-1895 წწ.) მოგვიანებით კი რუსეთის იმპერია (1904-1905 წწ.). პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იაპონელთა გადაწყვეტილებამ გერმანელებზე თავდასხმის შესახებ მათ კიდევ უფრო გაუძლიერა გავლენა ჩინეთის ტერიტორიაზე. ამას ემატებოდა ქაოსი და სამოქალაქო დაპირისპირება, რაც ხელს უხსნიდა იაპონელებს საკუთარი სამხედრო-მილიტარისტული გეგმების განხორციელებისთვის. ჭანგ სიუელიანგის ჯარების დიდი ნაწილის მანჯურიიდან გამოსვლის შემდგომ, იაპონელებმა გადაწყვიტეს, რომ ნიადაგი მზად იყო ამ უზარმაზარი ტერიტორიის ოკუპაციისთვის. მი-

უხედავად იმისა, რომ ჭანგ სიუელიანგის საჯარისო ნაწილები ერთ-ერთი ყველაზე კარგად აღჭურვილი ნაწილები იყო სხვა ჩინურ არმიებთან შედარებით, მათი მომზადების დონე მაინც არ იყო საკმარისი იაპონელთა დისციპლინირებული და კორეიდან მომარაგების შემთხვევაში კიდევ უფრო მრავარცხივოვანი საჯარისო არმიის შესაჩერებლად. ამას დაემატა 1929 წელს საბჭოთა წითელ არმიასა და სიუელიანგის ჯარებს შორის შეტაკება რკინიზგის კონტროლის გამო. საბჭოელებმა სრული უპირატესობით მოიგეს სიუელიანგისა და თეთრგვარდიელების გაერთიანებულ რაზმებთან. იაპონელთა აგენტურა ყურადღებით აკვირდებოდა საბრძოლო მოქმედებებს. მათთვის ნათელი იყო, რომ ჩინელები დიდ წინააღმდეგობას ვერ გაწევდნენ.

1931 წლის 18 სექტემბერს ქალაქ შენიანგის შემოგარენის მუკდენთან იაპონელთა გარნიზონმა დანაღმული რკინიგზა ააფეთქეს, რომელიც იაპონელთა საკუთრებაში იყო. იაპონიის ხელისუფლებამ ღიად დაადანაშაულა ჩინელი დივერსანტები და დაიწყო რეგიონის სრული სამხედრო ოკუპაცია. ჭანგ სიუელიანგის ჯარებს, რომლებიც მანჯურიაში იყვნენ დისლოცირებული, დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რის გამოც მას ჩინური პრესა უმოქმედო გენერლად მოიხსენიებდა. წინაღმდეგობა სცადა ხეილუნგძიანგის მოქმედმა გუბერნატორმა მა ჭანშანმა, თუმცა დაახლოებით 5 თვიანი ბრძოლების შემდეგ იაპონელებმა ყველა ძირითადი დიდი ქალაქი დაიკავეს.

მიუხედავად ჩანგ ქაიშის საგრძნობი გაძლიერებისა, ის პროფესიონალი სამხედრო იყო, რომელმაც იაპონიაში მიიღო სამხედრო განათლება. აცნობიერებდა, რომ ფართომასშტაბიან და კონვენციურ ომში იაპონიას წინ ვერ აღუდგებოდა. ამიტომ ჩინეთის რესპუბლიკის ხელძღვანელობამ საერთაშორისო საზოგადოებას და ერთა ლიგას მიმართა. ერთა ლიგამ დაგმო იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაცია. იაპონელებმა გაანალიზეს შექმნილი ვითარება და გადაწყვიტეს, მანჯურიის ოკუპაციისთვის სხვა ფორმა მიეცათ. იქ სატელიტი სახელმწიფო ჩამოეყალიბებინათ, რომლის ხელმძღვანელიც შერჩეული პყავდათ. ჩინეთის უკანასკნელი იმპერატორი ფუ ი, რომელიც ხელისუფლებას 1912 წელს ჩამოაცილეს, უკვე ზრდასრული კაცი იყო. მანჯურია მისი სამეფო დინასტიის წარმოშობის ადგილი იყო. იაპონელთა გაზრახვა ლოგიკური ჩანდა. ფუ ის ხელისუფლებაში დაბრუნებით იქმნებოდა შესაძლებლობა, რომ ტოკიოს

ეკონტროლებინა უზარმაზარი ჩინური ტერიტორია მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, რომელთა სიმწირესაც კუნძული ყოველთვის განიცდიდა.

1932 წლის 18 თებერვალს ჩინეთის იმპერიის უკანასკნელი იმპერატორი ფუ ი მანჯურიის მეთაური გახდა, თუმცა სახელმწიფო რესპუბლიკურ ფორმას ინარჩუნებდა. ორი წლის შემდეგ რესპუბლიკური წყობა კონსტიტუციური მონარქიით შეიცვალა. შეიქმნა მანჯურიის იმპერია, რომელსაც ისევ ფუ ი მეთაურობდა. ეს მისი მესამე ინაუგურაცია იყო იმპერატორის ტახტზე. თავდაპირველად მანჯურიას დე იურედ ცოტა ქვეყანა აღიარებდა, თუმცა შემდგომში იგი გერმანიამ, იტალიამ, ესპანეთმა, უნგრეთმა, კოსტა-რიკამ, ელ სალვადორმა და დომინიკის რესპუბლიკამ ოფიციალურად აღიარეს. საბჭოთა კავშირი თავს იკავებდა დე იურედ ცნობისგან, თუმცა ინარჩუნებდა ეკონომიკურ ურთიერთობებს მასთან. საბჭოთა კავშირმა და იაპონიამ ნეიტრალიტეტის პაქტზე მოლაპარაკების დროს, ერთმანეთში გაცვალეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და მანჯურიის იმპერიის დე იურე აღიარება.

ანტაგონიზმი და თანამშრომლობა კომუნისტურ პარტიასა და კუომინტანგს შორის. ბრძოლა იაპონელთა წინააღმდეგ.

1931 წელს იაპონელთა მანჯურიაში ინტერვენციამდე ჩანგ ქაიშის მიერ ნაციონალისტების ერთ-ერთი ლიდერის, ხუ ხანმინის დაპატიმრებამ, პარტიაში პროტესტი გამოიწვია. დიდი ალბათობით ამას სამოქალაქო დაპირისპირების ახალ ტალღა მოჰყვებოდა, რომ არა იაპონელების ნაბიჯი ჩრდილოეთ ჩინეთში. იაპონელების სამხედრო აგრესიამ შეაჩერა შიდა სისხლისღვრა, მაგრამ ნაციონალისტების მოთხოვნა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ჩანგმა დატოვა პრეზიდენტობის პოსტი. პრეზიდენტი გახდა ლინ სენი, რომელიც პოსტს 1947 წლამდე იკავებდა. ლინ სენს რეალური გავლენა არასდროს ჰქონია, ის უფრო წარმომადგენლობით ხასიათს ატარებდა. მას არასოდეს დაუკავებია პრეზიდენტის სასახლე, რომელიც თანამდებობრივად ეკუთვნოდა. იქ ჩანგ ქაიშის რეზიდენცია იყო, საიდანაც ის არასოდეს გამოსულა.

ლინ სენის გაპრეზიდენტებას ჩანგის გავლენისთვის დიდი ცვლილებები არ გამოუწვევია. ვითარება გარკვეულწილად დამშვიდდა და ნაციონალისტების პარტიას მიეცა შესაძლებლობა ეკონომიკურ

რეფორმებსა და ინფრასტრუქტურაზე ეზრუნა. სახელმწიფომ დაიწყო დახმარებების გაცემა, სასოფლო კოოპერატივების შექმნა და მათი დაფინანსება, თუმცა გამუდმებულმა ომებმა ფაქტობრივად მოშალა ჩინეთის ინფრასტრუქტურა და ეკონომიკური რეფორმები, ქვეყნის აღდგენა ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

ნაციონალისტური პარტიის კონსერვატიულმა ფრთამ გადაწყვიტა საბოლოოდ დაესრულებინა კომუნისტების საკითხი, მით უფრო მაშინ, როცა მაო წეტუნგმა და ჭუ ტემ 1931 წელს სცადეს, ძიანგსისა და ფუძიენის ჩინეთის საბჭოთა რესპუბლიკა დაეარსებინათ. კომინტერნის ოფიციალური წარმომადგენელი ჩინეთის ტერიტორიაზე წარმოშობით გერმანელი კომუნისტი ოტო ბრაუნი იყო, რომელიც მოსკოვის ინსტრუქციებსა და რჩევებს გადასცემდა მათ. ბრაუნსა და ჩინელ კომუნისტებს ზოგჯერ საბრძოლო ტაქტიკასა და სტრატეგიაზე განსხვავებული ხედვა ჰქონდათ. ამას ემატებოდა შიდა პარტიული ბრძოლები გავლენისთვის. 1931 წელს მაოს პირველობა ჭოუ ენლაიმ ჩამოართვა. ნითელი არმია მუდმივ წნეხს განიცდიდა ნაციონალისტებისა და მათი მოკავშირე სხვადასხვა სამხედრო ბანდების მხრიდან, რის გამოც გადაწყდა, ერთი შეხედვით, წარმოუდგენლად რთული მანევრი, რომ დაშორებოდნენ მტრულ ძალებს და ცენტრალური ჩინეთის ჩრდილოეთით მდებარე მოკავშირეებთან გაერთიანებულიყვნენ. ეს მანევრი ისტორიაში „გრძელი მარშის“ სახელით შევიდა. ნითელი არმიის გრძელი მარში სტრატეგიული უკანდახევა იყო. ძიანგსის პროვინციიდან თავდაპირველად დასავლეთით, ხოლო შემდგომ ჩრდილოეთით დაიძრნენ. მარში 370 დღე გრძელდებოდა, რომლის დროსაც ათობით ათასმა ჯარისკაცმა ჯამურად დაფარა 9000 კილომეტრი და საბოლოოდ შანსის პროვინციის ქალაქ იენანში დასრულდა 1935 წელს. გრძელი მარშის დროს მაოს პოპულარობა და გავლენა ნითელ არმიაში საგრძნობლად გაიზარდა. იმავე წლის ნოემბერში მაო წეტუნგი პარტიისა და არმიის პირველი ფიგურა გახდა, ხოლო მის მოადგილეებად ჭოუ ენლაი და ტენგ სიაოფინგი დაინიშნენ.

სიანის ინციდენტი

იაპონელთა სამხედრო ინტერვენციის შემდგომ ჩინური საზოგადოება პროტესტს აცხადებდა უცხოური ოკუპაციის წინააღმდეგ. პროტესტს გამოხატავდა როგორც კომუნისტური პარტია, ისე ის სამხედრო მმართველები, რომლებიც იმჟამად ჩანგ ქაიშისთან თანამშრომლობდნენ. ჩანგის არგუმენტით, ჩინეთის რესპუბლიკის ჯარებს არ ჰქონდათ შესაბამისი შეიარაღება და არც ქვეყანა იყო ფინანსურად მზად იაპონიასთან საბრძოლველად. წითელარმიელები ცდილობდნენ როგორმე დაეყოლიებინათ ჩანგი, შეეწყვიტათ მათ წინააღმდეგ ბრძოლა და გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. კომუნისტურ პარტიასთან ერთად ამ ხედვას იზიარებდა ყოფილი სამხედრო მმართველის ჭანგ წუოლინის ვაჟი ჭანგ სიუელიანგი, რომლის მამაც იაპონელთა დივერსიას შეეწირა.

ჭოუ ენლაის, ჭანგ სიუელიანგსა და იანგ ხუჩენგს შორის შედგა საიდუმლო მოლაპარაკება, რომ ძალისმიერი მეთოდით ეიძულებინათ ჩანგ ქაიში შეეწყვიტა კომუნისტებთან ბრძოლა და დაეწყო მომზადება იაპონელებთან ომისთვის. 1936 წლის 12 ოქტომბერს ჭანგ სიუელიანგისა და იანგ ხუჩენგის მცველებმა აიღეს ჩანგ ქაიშის საცხოვრებელი ტერიტორია და ჩანგი დაატყვევეს. მოგვიანებით ნანძინგში ტელეგრამა გააგზავნეს რომ ჩანგი პატიმრობაში რჩებოდა მანამ, სანამ არ დაიწყებდა თანამშრომლობას იაპონელების წინააღმდეგ. ჩანგ ქაიშის ზოგიერთმა გენერალმა სამხედრო კამპანიის წინააღმდეგობას დაუჭირა მხარი სიანის მიმართულებით. ეს წინადადება ჩანგის მეუღლემ სუნგ მეილინგმა შეაჩერა და მოუწოდა პარტიის წევრებს, მოლაპარაკებების გზით გამოეხსნათ იგი. 16 ოქტომბერს ჭოუ ენლაი სიანში ჩავიდა, რათა პირადად გადაერწმუნებინა ის საერთო ფრონტის გახსნაზე. ჩანგი თავიდან უარზე იდგა თუმცა შემ-



სურ. 219 „სიანის ინციდენტი", 1936 წ. მარჯვნიდან მარცხნივ: ჩანგ ქაიში, ჭანგ სიუელიანგი და იანგ ხუჩენგი

დგომ სიანში მისი მეუღლეც ჩავიდა, რომელმაც ურჩია, დათანხმებულიყო ჭოუსა და ჭანგის წინადადებაზე. მან საბოლოოდ მიიღო წინადადება და გამოთქვა მზადყოფნა, შეეწყვიტა კომუნისტური პარტიიის დევნა და იაპონელებთან ბრძოლაზე გადასულიყო (სურ. 219). სიანის ინციდენტის დროს საბჭოთა კავშირი დაჟინებით ითხოვდა ჩანგის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რადგან მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში ჩინეთი ისევ ქაოსში გაეხვეოდა, ხოლო იაპონიას გზა ეხსნებოდა შორეულ აღმოსავლეთში მოქმედებისთვის. საბოლოო ჯამში, ჩანგმა შეწყვიტა კომუნისტებთან სამხედრო კონფრონტაცია, რამაც მაოს საშუალება მისცა გაეძლიერებინა წითელი არმია. მტრის ხატად უკვე უცხოელი აგრესორი იაპონია გამოდიოდა, რაც პატრიოტულ სულისკვეთებას უძლიერებდა ჩინელ ახალგაზრდებს და საყოველთაო მობოლიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

იაპონური იმპერიალიზმის გრადაცია და ფართომასშტაბიანი ომი ჩინეთის რესპუბლიკასთან

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში მიღწეულმა სამხედრო წარმატებებმა იაპონურ პოლიტიკურ ელიტას რეგიონალური ჰეგემონიის ამბიციები გაუჩინა. ბუნებრივი რესურსებით ღარიბ კუნძულს, ფაქტობრივად ოკუპირებული ჰქონდა მანჯურია, რომელიც აღმოსავლეთ აზიის ინდუსტრიული ცენტრი იყო. ამას ემატებოდა ჩინეთის რესპუბლიკის დაუსრულებელი შიდა ქაოსი, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ჰეგემონიას უწყობდა ხელს. რუსეთთან და შემდეგ გერმანიის იმპერიასთან მოპოვებული წარმატებით იაპონიის მილიტარიზმმა არნახული თავდაჯერება შეიძინა. დღემდე არ არსებობს ზუსტი დასაბუთება, რეალურად არსებობდა თუ არა ე.წ „ტანაკას მემორანდუმი", თუმცა ჩინური ისტორიოგრაფია აქტიურად იყენებს მას, როგორც იაპონური იმპერიალიზმისა და ექსპანსიური პოლიტიკის მამხილებელ დოკუმენტს. ბარონი ტანაკა გიიჩი იაპონიის პრემიერ-მინისტრი იყო. სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული იაპონური სამხედრო ექსპანსიის გეგმა, რომელიც 1928 წლით თარიღდება. დოკუმენტის მიხედვით, ევრაზიულ სივრცეში დომინირებისთვის იაპონიას ჯერ მანჯურია უნდა დაეკავებინა, შემდეგ ჩინეთი და მთელი ევრაზია

ურალამდე. მიუხედავად იმისა, რომ „ტანაკას მემორანდუმის“ არსებობა საეჭვოა, განვითარებულმა მოვლენებმა და იაპონელთა მხრიდან პერლ-ჰარბორზე თავდასხმამ აჩვენა, რომ იაპონელთა გეგმა მხოლოდ ევრაზიული მიმართულებით არ ვრცელდებოდა. მეორე ჩინურ-იაპონური ომი თავდაპირველად იაპონელთა სრული უპირატესობით წარიმართა, თუმცა საბოლო ჯამში, 1945 წელს, იაპონელთა კაპიტულაციით დასრულდა. იაპონიამ მეორე მსოფლიო ომში დამარცხება აღიარა.

1937 წლის მარკო პოლოს ხიდის ინციდენტი ჩინურ-იაპონური მეორე ომის ოფიციალური დასაწყისია (სურ. 220). წლების განმავლობაში მატერიკულ ჩინეთის სკოლის სახელმძღვანელოებში იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლის ათვლას 1937 წელს იწყებდნენ, თუმცა ბოლო წლებში მისი ათვლა 1931 წლიდან, მუკდენის ინციდენტისა და მანჯურიის ოკუპაციიდან დაიწყეს. მარკო პოლოს ხიდი დღევანდელი პეკინის გარეუბანში მდებარეობს, სადაც ერთმანეთის მახლობლად განლაგებულნი იყვნენ იაპონური საჯარისო დანაყოფები და ეროვნულ-რევოლუციური არმია. ხიდს ჩინელები აკონტროლებდნენ. იაპონელებმა მოთხოვეს ხიდის კვეთა დაკარგული იაპონელი ჯარისკაცის მოსაძებნად. ჩინურმა გარნიზონმა უარი განუცხადა იაპონელებს ხიდის გადაკვეთაზე, რაც კონფლიქტის მიზეზი გახდა. 1937 წლის 7 ივლისს მარკო პოლოს ხიდის გასწვრივ შეტაკებები დაიწყო, რომელიც ფართომასშტაბიან კონფლიქტში გადაიზარდა და თითქმის რვა წელი გრძელდებოდა. პეკინის მისადგომებთან ერთად, იაპონელებმა ფართომასშტაბიანი შეტევა განახორციელეს თიენძინის მიმართულებით, რომელიც დედაქალაქთან ყველაზე ახლოს მდებარე პორტი იყო. ივლისის ბოლოს ორივე ქალაქი იაპონელებმა დაიკავეს. ამ ბრძოლებში გამორჩეული წვლილი შეიტანეს ჩინელმა მუსლიმებმა, რომელთა ქვეითი და საკავალერიო ნაწილები მრავალი მიმართულებით უტევდნენ იაპონელებს, მაგრამ დისციპლინამ, შეიარაღებამ და ამავდროულად იაპონელთა მომზადების დონემ აიძულა ეროვნულ-რევოლუციური არმია უკან დაეხია.



სურ. 220 1937 წლის 7 ივლისს ჩინეთის არმია ჩაება ომში იაპონელი აგრესორების წინააღმდეგ

1931 წლისგან განსხვავებით, ჩანგ ქაიშის მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ფართომასშტაბი-

ანი საბრძოლო მოქმედებების დაწყება. კომუნისტური წითელ არმიაც მზად იყო პარტიზანულად ებრძოლა აგრესორების წინააღმდეგ, რაც ფრონტის ხაზს ასეულობით კილომეტრზე გაშლიდა და იაპონელებს დამატებით პრობლემებს შეუქმნიდა.

1934 წელს ჩანგს სამხედრო კონსულტაციებს უწევდა გერმანიიდან საგანგებოდ გაგზავნილი გენერალი ალექსანდერ ვონ ფალკენჰაუსენი. ფალკენჰაუსენი ჩინელებს აცნობდა გერმანულ ტაქტიკასა და სტრატეგიას. ორი წლით ადრე ვიდრე გერმანელები „ბლიცკრიგს“ გამოიყენებდნენ ევროპაში, იგი არწმუნებდა ჩანგს, რომ ეროვნულ-რევოლუციურ არმიას ჰქონდა საკმარისი ძალა, რათა მოულოდნელი ძალით წელში გაეტეხა იაპონია პეკინსა და თიენძინში. ნანკინიდან ბერლინში გაგზავნილ ტელეგრამაში ფალკენჰაუსენი ირწმუნებოდა, რომ ჩინელებს დიდი შანსი ჰქონდათ წარმატებისთვის მიეღწიათ, რადგან მათი ძალები ფაქტობრივად არ ჩამოუვარდებოდა იაპონელებისას. ჩანგმა პეკინის მაგივრად შანგხაიში გადაწყვიტა ახალი ფრონტის გახსნა. ძნელი ასახსნელია, რა მიზნით დაიწყო მან იაპონელებთან შანგხაიში ახალ ფრონტს გახსნა. როგორც შემდეგ ინტერვიუებიდან ირკვევა, მას არ ჰქონდა მოლოდინი, რომ ერთი შეტევით სამხრეთ-აღმოსავლეთი ჩინეთიდან იაპონელებს განდევნიდა. მისი თქმით, ეს იყო ერთ-ერთი ფაზა ხანგრძლივი ომისა და გამაფრთხილებელი ნაბიჯი ტოკიოსთვის, რომ ჩინეთის რესპუბლიკის ჯარებს ასეულობით კილომეტრით დაშორებულ სხვადასხვა წერტილებში შეეძლო საბრძოლო მოქმედებების წარმოება.

შანგხაიში იაპონური ნაწილების მიმართულებით ჩინურმა დივიზიებმა შეტევა 13 აგვისტოს დაიწყეს და სერიოზული ზიანი მიაყენეს იაპონურ ნაწილებს. ტოკიომ უსწრაფესად მოახდინა მობილიზაცია და ძიანგსუს პროვინციაში საზღვაო დესანტი გადასხა. მრავალწლიანი ქაოსის შედეგად ფაქტობრივად აღარ არსებობდა ჩინური სანაპირო დაცვის ხაზი. ამიტომ იაპონელებს დანაკარგი არ ჰქო-



სურ. 221 იაპონელების მიერ ნანკინის მშვიდობიანი მოსახლეობის ცოცხლად დამარხვის პროცესი



სურ. 222 ნანკინის მოსახლეობის მასობრივი განადგურება

ნიათ. მეორე და მესამე ფაზა იმავე წლის შემოდგომაზე მიმდინარეობდა, სადაც ჩანგ ქაიშის ე.წ „გერმანული ყაიდის არმიამ" დიდი წინააღმდეგობა გასწია, რასაც იაპონური სარდლობა არ მოელოდა. მესამე ფაზის ბოლოს ჩინელებმა ნანკინისკენ დაიხიეს, რომელიც იმჟამად მათი დედაქალაქი იყო. ნანკინიც გარკვეული პერიოდის შემდგომ დაეცა, რასაც მე-20 საუკუნის სამხედრო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი სასაკლაო მოჰყვა, არავინ იცის კონკრეტულად რამდენი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა ქალაქში, დაფიქსირებულია 300 ათასი ადამიანი. ეს სამხედრო დანაშაული რჩება ერთ-ერთ შავ ლაქად იაპონიის ისტორიაში (სურ. 221; სურ. 222).

ნანკინიდან უკან დახევის შემდეგ, ჩანგმა გადაწყვიტა ჩინეთის გეოგრაფიისა და რელიეფის გამოყენება და დასავლეთით დაიხია უკან. ეროვნულ-რევოლუციურ არმიას ახალი დასაყრდენი ჰქონდა ქალაქ ჩუნგცინგის სახით.

ჩინურ-იაპონური ომის მეორე ეტაპი 1942 წლამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში ჩინელი ნაციონალისტები დახმარებას იღებდნენ შეერთებული შტატებისგან. ამერიკელები არა მხოლოდ ფინანსურად და ტექნიკით ეხმარებოდნენ ჩინელებს, არამედ დაახლოებით 60 საჰაერო გამანადგურებლისგან შემდგარი მოხალისეთა რაზმით უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას საომარ ოპერაციებში. ამერიკულ პილოტთა ჯგუფს „მფრინავ ვეფხვებს" კლარ ლი ჩენაულტი მეთაურობდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამერიკული თვითმფრინავები სპეციალურად ატარებდნენ ჩინურ სიმბოლოებს და ისე მოქმედებდნენ, თითქოს ჩინელი ჯარისკაცები ყოფილიყვნენ.

საბრძოლო მოქმედებებში წითელ არმიასა და ეროვნულ-რევოლუციურ არმიას შორის კოორდინაციის პიკი 1938 წელს იყო, როდესაც ისინი უხანისა და თაიიუენის ბრძოლებში ფაქტობრივად მხარდამხარ იბრძოდნენ. 1939 წლიდან, მიუხედავად საერთო ფრონტისა, ცხადი გახ-

და, რომ მათი ერთობა მყიფე იყო და იაპონელთა დამარცხებისთანავე დამთავრდებოდა.

1941 წლის 7 დეკემბრის პერლ-ჰარბორის თავდასხმის შემდეგ დასავლელმა მოკავშირეებმა გაანალიზეს, რომ ნაცისტურ გერმანიასთან ერთად მილიტარისტული იაპონიის საიმპერატორო ძალები აზია-წყნარი ოკეანის აუზში სერიოზულ საფრთხეს ქმნიდნენ. ამიტომ სხვადასხვა ფორმით მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ ჩინეთის რესპუბლიკას. მიუხედავად საბჭოთა კავშირსა და ჩანგს შორის გაფუჭებული ურთიერთობისა, მოსკოვიც ცდილობდა დახმარებოდა ჩინეთის წითელ არმიასა და ნაციონალისტებს, მანამ იაპონიასთან ნეიტრალიტეტის პაქტს გააფორმებდნენ. პაქტი მოსკოვმა 1945 წელს დაარღვია და იაპონიის მიმართულებით მრავალხმრივი შეტევა წამოიწყო, მათ შორის მანჯურიასა და ჩინეთის სხვა ტერიტორიებზე.

1943 წელს კაიროში სამოკავშირეო კონფერენცია გაიმართა, რომელიც აზიის ფრონტზე საომარ ვითარებას შეეხებოდა. კონფერენციას აშშ პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი და ჩინეთის მხრიდან გენერალისიმუსი ჩანგ ქაიში დაესწრნენ. კონფერენციას არ დასწრებია არც სტალინი და არც საბჭოთა კავშირის უმაღლესი წარმომადგნელობა, რადგან ეს იაპონიასთან ნეიტრალიტეტის დარღვევად ჩაითვლებოდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამერიკელებმა ჩინელებს ინდოჩინეთის ნახევარკუნძული გავლენის სფეროდ შესთავაზეს, რომ იქ ფრანგების დაბრუნება შეეფერხებინათ, რაზეც ჩანგმა საჯაროდ უარი განაცხადა.

1943 წლიდან, იაპონიის კაპიტულაციამდე, წითელ არმიასა და ეროვნულ-რევოლუციურ არმიას ბრძოლის განსხვავებული ტაქტიკა ჰქონდა. ჩანგ ქაიშის ტექნიკა და მისი ჯარისკაცების მომზადების დონე ბევრად აღემატებოდა წითელი არმიისას, რაც მას საშუალებას აძლევდა იაპონიის საიმპერატორო ჯარების წინააღმდეგ კონვენციური ომი ეწარმოებინა მაშინ, როცა კომუნისტები პარტიზანულ ტაქტიკაზე იყვნენ გადასული. ისინი დივერსიული ბრძოლით ცდილობდნენ წყობიდან გამოეყვანათ რკინიგზა, მაღაროები და სხვა საკომუნიკაციო ობიექტები, რათა იაპონელთა მომარაგებას სერიოზული პრობლემები შექმნოდა. ომის ბოლო ეტაპზე იაპონელებსაც და ჩინელებსაც გაუჭირდათ. საბჭოთა კავშირი უარს აცხადებდა ყაზახეთისა და სინძიანგის

გავლით გაეტარებინა ამერიკული ტვირთები, ხოლო წყნარი ოკეანე ბრძოლის ველად იყო გადაქცეული.

სინძიანგის პროვინციას გეოგრაფიული მდებარეობის გამო ფაქტობრივად არ ეხებოდა იაპონური აგრესია, თუმცა სინძიანგში ერთმანეთს ებრძოდნენ პროსაბჭოთა, სეპარატისტული და ნანკინის მთავრობის ერთგული სამხედრო მმართველები. სეპარატისტულმა მოძრაობამ 1933 წლის ნოემბერში აღმოსავლეთ თურქისტანის რესპუბლიკაც კი გამოაცხადა, რომელმაც მხოლოდ ერთი წელი იარსება და ქალაქ კაშგარსა და მის მიმდებარე რაიონებს მოიცავდა. სტალინისა და საბჭოთა ჯარების უშუალო მხარდაჭერით სარგებლობდა სამხედრო მმართველი შენგ შიცაი, რომელსაც ჩანგ ქაიშის მოკავშირე ჩინელ მუსლიმთა ოჯახი სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა. შიცაიმ ძალაუფლება 1944 წლამდე შეინარჩუნა. საბოლოოდ ნაციონალისტური პარტიის მოკავშირეებმა გადაიბარეს პროვინციის მმართველობა.

იაპონელთა კაპიტულაცია და სამოქალაქო ომის ბოლო ეტაპი

1945 წელს პიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა წამოიწყეს მეორე მსოფლიო ომის ბოლო, ყველაზე დიდი საომარი კამპანია ჩინეთში განლაგებული იაპონური ჯარების ნინააღმდეგ. მათი პირველი სამიზნე იყო სატელიტი სახელმწიფო მანჭოუკუო, რომლის იმპერატორი ფუ ი საბჭოთა ჯარისკაცებმა დააპატიმრეს.

იაპონიის იმპერიის უპირობო კაპიტულაცია ჩინეთსაც შეეხო. ჩანგ ქაიშის ბრძანებით, იაპონელ ჯარისკაცებს მხოლოდ ეროვნულ-რევოლუციური არმიის წინაშე უნდა დაეყარათ იარაღი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დანებებულიყვნენ წითელ არმიას. მიუხედავად იმისა, რომ გენერალისიმუსი ჩანგი ჩინეთს წარმოადგენდა საერთაშორისო დონეზე, მასა და იაპონურ ნაწილებს შორის ჩინეთის და საბჭოთა კავშირის წითელი არმიები იდგნენ. საბჭოთა ნაწილებს გენერალი როდიონოვ მალინოვსკი ხელმძღვანელობდა, რომელმაც სტალინისგან პირდაპირი ბრძანება მიიღო, იაპონელებისთვის ჩამორთმეული ტექნიკა ჩინელი კომუნისტებისთვის გადაეცათ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1945 წლამდე სტალინი და პოლიტბიურო თავს იკავებდნენ მაოსა და კომუნისტური პარტიის ფართომასშტაბიანი მხარდაჭერისგან, თუმცა

სინძიანგში განვითარებულმა მოვლენებმა და ჩანგის თანამშრომლობამ ამერიკელებთან და ბრიტანელებთან სერიოზულად დააფრთხო კრემლი. ნაციონალისტების გამარჯვების შემთხვევაში, აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის დომინანტობა გარანტირებული იქნებოდა. საბჭოთა ნაწილებმა სრულად გადასცეს ჩინეთის წითელ არმიას სხვადასხვა სახეობის სამხედრო ტექნიკა, მათ შორის ქვემეხები და თვითმფრინავები. ეს უდიდესი დახმარება იყო წითელი არმიისთვის. პარტიზანული რაზმებიდან იგი გადაიქცა უზარმაზარ სამხედრო მანქანად, რომელსაც საჰაერო ძალები და სატანკო დივიზიები უმაგრებდა ზურგს. ამასთან ერთად, მალინოვსკის უკანდახევის პერიოდში წითელი არმია ნელ-ნელა იკავებდა ჩრდილოეთ ჩინეთის ტერიტორიებს.

მიუხედავად წითელი არმიის საგრძნობი გაძლიერებისა, არც ჩანგ ქაიშის შეიარაღებულ ძალებს აკლდათ ამერიკის მხრიდან ფინანსური და ტექნიკური დახმარება. შანტუნგის პროვინციაში დაახლოებით 50 ათასი ამერიკელი იცავდა სხვადასხვა სტრატეგიულ ობიექტს კომუნისტების თავდასხმისგან. ამასთან ერთად, ნაციონალისტების მასობრივი შეტევა 1947 წლამდე წარმატებით მიიწევდა ჩრდილოეთისკენ. მათ წითელი არმიის მთავარი ბაზაც კი აიღეს შაანსის პროვინციის ქ. იენანში.

1948 წლის ბოლოსკენ წითელმა არმიამ მასშტაბური შეტევა წამოიწყო ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში. მათ დაიკავეს ქალაქი შენიანგი და დაიწყეს ნაციონალისტების უდიდესი ბაზის, ქალაქ ჩანგჩუნის ალყა, რომელიც ძილინის პროვინციაში მდებარეობდა. ჩანგჩუნის ალყა 4 თვე გრძელდებოდა. მასობრივი დაბომბვისა და შიმშილობის გამო ქალაქში 100 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. ჩანგჩუნი იმავე წლის ოქტომბერში დაეცა, რაც კომუნისტების ტრიუმფის დასაწყისი იყო. სტალინი ცდილობდა მაოს დარწმუნებას, რომ შეექმნათ კოალიციური მმართველობა და რეკომენდაციას უწევდა წითელ არმიას, მდინარე იანგწი არ გადაეკვეთა. მიუხედავად სტალინის რეკომენდაციებისა, მაო და კომუნისტური პარტია არ აპირებდნენ მოლაპარაკებების გამართვას. 1949 წლის აპრილში წითელი არმია ქალაქ ნანკინში შევიდა, ხოლო ნაციონალისტებმა ჯერ სამხრეთით, ხოლო შემდგომ უკვე ჩუნგცინგისკენ დაიხიეს უკან. ომის ბედი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილი იყო, როდესაც იმავე წლის 1-ელ ოქტომბერს მაო ნეტუნგმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსება გამოაცხადა და საბრძოლო

მოქმედებებიც არ წყდებოდა. ნოემბრის თვეში ფაქტობრივად მხოლოდ ტიბეტი და სინძიანგის ნაწილი იყო წითელი არმიის კონტროლს მიღმა დარჩენილი. ნაციონალისტების ჯაშუშები ცდილობდნენ ისინი წითელი არმიის წინააღმდეგ გამოეყენებინათ. სიტუაციას საბჭოთა კავშირის მხრიდან წაქეზებული და შეიარაღებული უიღურებიც ართულებდნენ, რომლებმაც ჩანგ ქაიშის ბოლო ერთგულ დივიზიებზე მიიტანეს იერიში. ნოემბრის ბოლოს უკვე ნათელი იყო ნაციონალისტების მარცხი. ამიტომ დეკემბრის დასაწყისიდან ნაციონალისტების დივიზიებმა ოჯახებით და ქონებით კუნძულ თაივანსა და ხაინანს მიაშურეს. კუნძული თაივანი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს იაპონური ანექსიის ქვეშ ცხოვრობდა. მათი კაპიტულაციის შემდეგ კუნძული ავტომატურად ჩინეთის რესპუბლიკის დაქვემდებარებაში გადავიდა და მას ნაციონალისტები აკონტროლებდნენ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებას შეერთებულ შტატებში უიმედოდ შეხვდნენ. მათი გათვლებით, წითელი არმია მალე თაივანსაც აიღებდა. ამერიკის ფლოტს ნაბრძანები ჰქონდა, რომ პროცესებში აღარ ჩარეულიყვნენ. დიდი ალბათობით, ეს მართლაც ასე მოხდებოდა, რომ არა კორეის ომი, რომელმაც ამერიკელებს გლობალურ დონეზე კომუნისტური საფრთხის წინაშე შეკავების პოლიტიკის წარმოება აიძულა, რის შედეგადაც თაივანის სრუტეში ამერიკის მეშვიდე ფლოტი ჩადგა. წითელ არმიას 50-იანებში ჰქონდა მცდელობა სამხედრო ოპერაციით აეღო კუნძული, თუმცა ეს ადვილი საქმე არ გამოდგა. კუნძულზე ათეულობით ათასი პროფესიონალი ეროვნულ-რევოლუციური არმიის სამხედრო იყო შესაბამისი შეიარაღებითა და გამოცდილებით. ამიტომ მისი დაკავება სულაც არ იყო მარტივი სამხედრო ამოცანა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებით ქვეყანაში დასრულდა მრავალწლიანი ქაოსი და ერთმანეთის პარალელურად მოქმედი მთავრობები. ტიბეტის პლატოზე წარმოებული სამხედრო ოპერაციების შემდეგ პეკინის იურისდიქცია აღდგა ტიბეტის პროვინციაზე და შეიქმნა ავტონომიური რეგიონი. 1949 წლიდან მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში ორი ჩინეთი არსებობდა: მატერიკულ სახალხო რესპუბლიკას კომუნისტური პარტია აკონტროლებდა, ხოლო კუნძულ თაივანზე ჩინეთის რესპუბლიკა განაგრძობდა არსებობას, რომელსაც ჩანგ ქაიში სიცოცხლის ბოლომდე მართავდა. 50-იან წლებში ჩინეთის რესპუბლიკა სარგებლობდა შეერთებული შტატების სამხედრო და ეკონომი-

კური დახმარებით. სიტუაცია 60-იანი წლების ბოლოსკენ შეიცვალა, როდესაც დასავლური ქვეყნები დათანხმდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივმოქმედ საბჭოში პეკინის დაბრუნებას. ამის შედეგად ნელ-ნელა იკლო ჩინეთის რესპუბლიკის დე იურედ ამღიარებელ სახელმწიფოთა რიცხვმა.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსება და ახალი ჩინეთის საშინაო პოლიტიკა

სამოქალაქო ომი დასრულდა, კუომინტანგის ჯარებმა დატოვა კონტინენტური ჩინეთი და თაივანის კუნძულზე გადავიდნენ. 1949 წლის 1-ელ ოქტომბერს ოფიციალურად დაარსდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (სურ. 223). ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა როგორც ჩინელი ერისთვის, ისე მთელი მსოფლიოსთვის. ფაქტობრივად, ამით დასრულდა უცხო ქვეყნების, უწინარეს ყოვლისა კი, იაპონიის კონტროლი და ბატონობა ჩინეთის ტერიტორიაზე. ახალ ჩინეთს იცავდა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია.

თაივანზე გახიზნული კუომინტანგის მთავრობა იმედოვნებდა, რომ დიდი ავჯანყების მეშვეობით დაიბრუნებდა ხელისუფლებას, თუმცა უშედეგოდ.

რთული იყო იმ ქვეყნის აღმშენებლობა, რომლის მოსახლეობაც, 1954 წლის მონაცემებით, შეადგენდა 601 938 038 ადამიანს.

სამხედრო ოპერაციების დასრულების შემდეგ ჩინეთის ხელისუფლებას სასწრაფოდ უნდა დაეწყო ეკონომიკის აღდგენის პროცესი, რადგან ქვეყანა მთლიანად დანგრეული იყო ხანგრძლივი იაპონური ოკუპაციის და სამოქალაქო ომის გამო. ხელისუფლებამ გამოაცხადა ბიუროკრატიული კაპიტალის კონფისკაცია და სახელმწიფო ეკონომიკის დაფუძნება. დაიწყო მსჯელობა უცხოური კაპიტალით შექმნილი საწარმოებისა და უცხო ქვეყნებისთვის ეკონომიკური



სურ. 223 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების გამოცხადება

პრივილეგიების ანულირების საკითხებზე. ხელისუფლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო ფეოდალურ-აგრარული წყობის ლიკვიდაცია. 1950 წლის 24 იანვარს დაიწყო მოძრაობა აგრარული რეფორმის გასატარებლად. ამ მიზნით 1950 წლის 30 ივნისს გამოქვეყნდა „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონი აგრარული რეფორმების შესახებ".

ახალი ხელისუფლება შეუდგა სოფლის მეურნეობის და მრეწველობის აღდგენასა და განვითარებას. იგი მიზნად ისახავდა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას; მათი სამუშაო ადგილებითა და სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფას. დაიწყეს ჯანდაცვის პრობლემების გადაჭრა.

1953 წელს მაო წეტუნგმა განაცხადა, რომ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია თანდათანობით განხორციელებოდა. ეს დიდ დროს მოითხოვდა. ასევე სოციალისტური უნდა გამხდარიყო სოფლის მეურნეობა, კუსტარული მრეწველობა, კაპიტალისტური მრეწველობაა და ვაჭრობა. ეს იქცა პარტიის პოლიტიკის გენერალურ ხაზად გარდამავალ პერიოდში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ათწლეულის განმავლობაში საბჭოთა კავშირი დახმარებას უწევდა ჩინეთს მრეწველობის საფუძვლებისა და სამხედრო პოტენციალის შექმნაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ ჩსრ-ს გამოცხადებამდე, ჩინეთის პოლიტიკური ურთიერთობები კრემლთან პერიოდულად დაძაბული და რთული იყო. ამ უთანხმოებებს შორის იყო იდეოლოგიური წინააღმდეგობა – ქალაქის მუშათა კლასის რევოლუციურ როლზე მარქსისტულ-ლენინურ აქცენტსა და ჩინეთის კომუნისტი ლიდერების წარმოდგენებზე უმიწო გლეხობის რევოლუციური პოტენციის თაობაზე. ეს ძირითადად განპირობებული იყო იმით, რომ ჩინეთის ქარხნებში ძალიან მცირე რაოდენობის ადამიანი მუშაობდა. მაომ თავის დროზე არჩევანი შეაჩერა გლეხობაზე, როგორც ჩინეთის მოსახლეობის ძირითად მასაზე და ეწინააღმდეგებოდა ორთოდოქსურ დოქტრინას, რომელიც ეყრდნობოდა პროლეტარიატსა და ქალაქების დაკავებას. სწორედ ამანაც განაპირობა, რომ მაო იქცა გლეხთა ლიდერად.

თავდაპირველად მოსკოვი დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა, რათა ერთი პოლიტიკური მმართველობის ქვეშ ერთიანი ჩინეთის ჩამოყალიბებისათვის ხელი შეეშალა. რეალურად მას ჩინეთის გაძლიერების ყოველთვის ეშინოდა, თუმცა საბოლოო ჯამში,



სურ. 224 მაო ნეტუნგი

როცა მიხვდა მაო წეტუნგის ძალების უპირატესობას, იძულებული გახდა პირველს ელიარებინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და დაემყარებინა მასთან დიპლომატიური ურთიერთობები.

ქვეყანაში მუშაობდა უამრავი საბჭოთა სპეციალისტი. ჩინელების დიდი ნაწილი სწავლობდა საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში; ჩინელი ინჟინრები და ტექნიკოსები სტაჟირებას გადიოდნენ საბჭოთა კავშირის ქარხნებში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველ წლებში ინდუსტრიალიზაციის პროცესში შეინიშნებოდა ცვლილებები, ასევე ძირითადად დასრულდა სოფლის მეურნეობის სფეროში სოციალისტური გარდაქმნები. დაიწყო კოოპერირების ტალღის ზრდა.

1954 წელს შეიქმნა ჩსრ-ს პირველი კონსტიტუცია, ასევე სახალხო წარმომადგენელთა კრების სისტემა.

შედგა გეგმა 1956-1967 წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის. დაიწყო მოდერნიზებული და რეგულარული, იმავდროულად, რევოლუციური არმიის შექმნა. სახელმწიფოს სამხედრო საქმეებით ხელმძღვანელობის სისტემა ჩამოყალიბდა. ჩსრ-ის შეიარაღებული ძალები მთლიანად ექვემდებარებოდა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, კერძოდ კი, მის ხელმძღვანელს, ერთ ადამიანს – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს – მაო წეტუნგს (სურ. 224).

1955 წელს შემოვიდა ხელფასის, სავალდებულო სამხედრო სამსახურის და სამხედრო ჯილდოების სისტემა. 1949-1956 წლები იყო პერიოდი, როცა ძირითადად ყველა დაკავებული იყო მშენებლობით, შექმნით და დაიწყო ქვეყნის შიგნით პრობლემების მოგვარება.

1956 წლიდან იწყება სოციალიზმის მშენებლობის ისეთი გზების ძიება, რომელიც შეესაბამებოდა ჩინეთში არსებულ პირობებს. ამავე დროს, დაიწყო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის შიგნით დაპირისპირება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშენებლობის თაობაზე.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში იყვნენ როგორც ფეოდალურ-კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურში



სურ. 225 კაო კანგი

თანმიმდევრული საბაზრო ტრანსფორმაციის მომხრეები (ჩსრ-თავმჯდომარეს მოადგილე და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი – ლიოუ შაოცი და სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე, რომელიც მოგვიანებით აირჩიეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად – ტენგ საოფინგი), ისე უტოპიელები, რომლებიც ითხოვდნენ სოციალიზმისკენ სწრაფ ნახტომს. მათ ლიდერად ითვლებოდა ჩსრ-ს სახელმწიფო გეგმის თავმჯდომარე – კაო კანგი (სურ. 225).[1]

სამწუხაროდ, მაო წეტუნგმა გაითვალისწინა უტოპიელების წინადადება.[2] კაო კანგმა მოახერხა ლიოუ შაოცისა და მისი მომხრეების გაუბედავ და არამდგრად კომუნისტებად გამოყვანა, რომლებიც „ერთ ადგილს ტკეპნიდნენ, იმის მაგივრად, რომ წინ ევლოთ".

პარტიამ აირჩია სოციალიზმის უსწრაფესი მშენებლობის კურსი. ასეთ გადაწყვეტილებას ასევე ხელი შეუწყო უამრავმა დარღვევამ, რაც თან ახლდა კერძო კაპიტალის საქმიანობას (გადასახადების გადახდისგან თავის არიდება, სპეკულაცია, უხარისხო პროდუქციის გამოშვება). აღდგენილმა და რეფორმირებულმა სოფლის მეურნეობამ ვერ შეძლო ქვეყნის საკმარისი რაოდენობის სურსათითა და ბამბით უზრუნველყოფა. ამან დააჩქარა სოციალიზმის უსწრაფესი კურსის აღება. ის, რაც იწარმოებოდა, პირველ რიგში, ხმარდებოდა გლეხებს და არ გადიოდა ბაზარზე. ეს იყო ბუნებრივი და დროთა განმავლობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვა გაიზრდებოდა საჭირო ზღვრამდე, რომ მიეცათ საშუალება ლიოუ შაოცისა და მის მომხრეებს ემოქმედათ იმდენ ხანს, რამდენი ხანიც საჭირო იქნებოდა. და ამგვარად ყველა ნაკლოვანება კერძო სექტორში დროთა განმავლობაში საგრძნობლად შემცირდებოდა. თუმცა ეს ასე აღარ მომხდარა.

ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის ომმა 1950-1953 წლებში. ახალი პოლიტიკური ძალაუ-

[1] 1954 წელს კაო კანგი დაადანაშაულეს ანტიპარტიულ საქმიანობაში და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

[2] „70% გამარჯვება და 30% შეცდომა", – ასეთია ოფიციალურად მიღებული მაო წეტუნგის საქმიანობის შეფასება.

ფლების გაძლიერების ამოცანის გადაჭრა ქვეყანაში კომუნისტურ პარტიას მოუწია კორეის ნახევარკუნძულზე ომის პირობებში.

1953 წლის ოქტომბერში ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მარცვლეულით ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის შემოღო და ქალაქებში მარცვლეული ბარათებით გაენაწილებინა. 1954 წელს სახელმწიფო მონოპოლია გავრცელდა მცენარეულ ზეთზე, ბამბასა და ბამბის ქსოვილზე. ამით კიდევ უფრო გაფართოვდა ბარათების სისტემის გამოყენება ყველაფერი ძირითადი და საჭირო ბარათებით ნაწილდებოდა. ვაჭრობამ ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა, რამაც გამოიწვია კერძო წარმოების ვარდნა. მარცვლეული და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გლეხებს ჩამოერთმეოდა მკაცრი ნორმების მიხედვით. პირველი წლების სამეურნეო მიღწევები განადგურდა. ქვეყანა შიმშილის პირას იყო.

1958 წელს გადაიხედა წინა გეგმა და წამოაყენეს ახალი სტრატეგია: დაიწყო მოძრაობა „დიდი ნახტომი", შეიქმნა „სახალხო კომუნები" და „ახალი გენერალური ხაზი", ანუ ჩინელი ხალხის ენთუზიაზმის ხარჯზე ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება.

როცა მაო წეტუნგმა გამოაცხადა თავი დიდი ნახტომის მომხრედ, დაქვემდებარებულებმა მოიწონეს ეს წამოწყება და დაიწყეს სტატისტიკური მონაცემების მომზადება ისე, რომ ეს ნახტომი გამოჩენილიყო განხორციელებად პროექტად. მაგალითად, მზადდებოდა გადაჭარბებული მონაცემები მარცვლეულის წარმოების შესახებ, რაც ადამიანს აფიქრებინებდა, რომ მოსახლეობის მარცვლეულის მომარაგების პრობლემა მოგვარებული იყო, თუმცა სინამდვილეში ჭირდა ამ საქმის მოგვარება.

ზოგიერთ მოხელეს აინტერესებდა წამიერი სარგებელი და პირადი კეთილდღეობა – ჯილდოები და დაწინაურებები და არა ჩსრ-ის ეკონომიკის პერსპექტივები.

სახალხო კომუნებს მაო თვლიდა „სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის საუკეთესო ფორმად". სახალხო კომუნის ძირითადი იდეა იყო სრული სოციალიზაცია ყველა სფეროში, დაწყებული მისი წევრების პირადი ქონებით და პირადი ცხოვრებით დამთავრებული. კომუნების თავისებურება გამოიხატებოდა სამრეწველო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის შეთავსებაში. 1958 წელს იგეგმებოდა ლითონის წარმოების გაორმაგება და ეს დიდი ნახტომის მხოლოდ

დასაწყისი იყო. ამან გამოიწვია ხარისხის ვარდნა, მიუხედავად უამრავი ადამიანური რესურსისა. ამიტომ შეწყდა ამ მიმართულებაზე მუშაობა, მთლიანობაში ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა 2 000 000 000 იუენი. სოფლის მეურნეობაში დიდი ნახტომი ითვალისწინებდა მიწის ნაკვეთისგან რაც შეიძლება მეტი მოსავლის აღება, რომლის ნაცვლად მიიღეს უნაყოფო მიწა. ამ პროცესებმა გამოიწვია ნიადაგის გამოფიტვა.

1960 წელს გატარებული არასწორი და არამეცნიერული კამპანიების გამო, მათ შორის – მიწების ღრმა ხვნის ტექნოლოგიამ, გლეხობის უმეტესი ნაწილის ლითონის გამოდნობაზე ყურადღების გადატანამ, საკუთარი შემოგარენი მიწის ნაკვეთების (რისი იმედიც ჰქონდათ გლეხებს რთულ დროს) ლიკვიდაციამ, ბელურების მასობრივმა განადგურებამ და სხვა. დატრიალდა სტიქიური უბედურებები. დაზარალდა ნახევარზე მეტი სახნავი მიწა. ამის მერე დაწყებული შიმშილისგან დაიღუპა ათეულობით მილიონი ადამიანი. ამ დროს სასოფლო მეურნეობაში გრძელდებოდა „დიდი ნახტომი". მრეწველობაში ისევ შემოიღეს გადაჭარბებული გეგმიური მაჩვენებლები. ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზულმა სირთულეებმა იჩინეს თავი.

უკვე 1959 წლის აპრილში მაო წეტუნგმა საჯაროდ აღიარა დაშვებული შეცდომები და ითხოვა მისი ჩსრ-ის თავმჯდომარის ვალდებულებებისგან გათავისუფლება. ეს პოსტი დაიკავა ლიოუ შაოციმ (სურ. 226). 1960 წელს ჩინეთმა დაადანაშაულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირი „იმპერიალისტურ შოვინიზმში". მალე საბჭოთა სპეციალისტები უკან დააბრუნეს. 1964 წელს კი, მაო წეტუნგმა მკაცრად მოითხოვა სტრატეგიული ზურგის შექმნა, ანუ „მესამე ხაზის" დიდი მასშტაბებით მშენებლობა. მან დაყო ქვეყანა სამ „ხაზად". თითოეულ მათგანს ევალებოდა ამა თუ იმ ამოცანების შესრულება მომავალი ომის მსვლელობისას. დაიწყო ჩინეთის სიღრმეებში უზარმაზარი გამოქვაბულებისა და გვირაბების ფართომასშტაბიანი მშენებლობა. ამ გამოქვაბულებსა და გვირაბებში უნდა ემუშავა საწარმოებს, რომლებიც მოამარაგებდა არმიას ომის დროს.



სურ. 226 ლიოუ შაოცი მეუღლესთან ერთად

1962 წელს ლიოუ შაოცის ხელმძღვანელობით, ჩატარდა სხდომა, რომელზეც გადაწყდა ყველა სფეროს რეგულირება, პირველ რიგში კი, სოფლის მეურნეობისა. დიდი ნახტომის პოლიტიკაში შეცდომის სწრაფად გამოსწორების მცდელობები არ გამოდგა წარმატებული. „ნახტომის“ შედეგების ლიკვიდაციას სათავეში ჩაუდგნენ ლიოუ შაოცი და ტენგ სიაოფინგი. 1964 წლის ბოლოსთვის ქვეყნის ეკონომიკის დარეგულირების ამოცანები ძირითადად შესრულდა. ამის შემდეგ, წამოაყენეს „ოთხ დარგში (მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებაში და ტექნიკასა და სამხედრო დარგში) მოდერნიზების“ გეგმა.

შეიძლება უცებ და მთლიანად არა, მაგრამ მაინც მოახერხეს მდგომარეობის გაუმჯობესება. თუმცა ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში მოხდა განხეთქილება. ბევრი კოლეგა, რომელიც ემხრობოდა ულტრამემარცხენეთა პოზიციებს, ამ ზომებს თვლიდნენ „კაპიტალიზმში დაბრუნებად“. მოგვიანებით კი, კულტურული რევოლუციის დროს ულტრამემარცხენეები გაუსწორდნენ ყველას, ვისაც თვლიდნენ კომუნიზმის ინტერესების მოღალატეებად.

კულტურული რევოლუცია

1966 წელს გამოცხადდა კაპიტალიზმის რესტავრაციის წინააღმდეგობისა და შიდა და გარე რევიზიონიზმთან ბრძოლის მასშტაბური და ხანგრძლივი კამპანია – „კულტურული რევოლუცია“, რომელიც გაგრძელდა 1976 წლამდე (სურ. 227). როგორც ჩინელი ისტორიკოსები აღნიშნავენ, ამ წინააღმდეგობისა და ბრძოლის უკან იდგა მაო წეტუნგის მეოთხე ცოლი – ძიანგ ცინგი, რომელიც გეგმავდა ქვეყანაში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და სათავეში ჩადგომას მაო წეტუნგის გარდაცვალების შემდეგ. მის თანამებრძოლეებთან ერთად იგი ისტორიაში შევიდა სახელწოდებით „ოთხეულის ბანდა“. ძიანგ ცინგის გარდა, რომელ-



სურ. 227 კულტურული რევოლუციის დასაწყისი

საც კულტურის მინისტრის თანამდებობა ეკავა, იყვნენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვანგ ხუნგვენი, ქ. შანგხაის მერი და ჩინეთის კომუნისტური პარტიის შანგხაის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ჭანგ ჩუნციაო და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი იაო ვენიუენი, რომელიც იყო პასუხისმგებელი იდეოლოგიურ მუშაობაზე. ეს „ოთხეულის ბანდა" იდგა ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და ჩსრ-ის უმაღლესი ხელმძღვანელობის მემარცხენე რადიკალების ფრაქციის სათავეში. მაო წეტუნგზე ძიანგ ცინგის გავლენის წყალობით, ბანდას ხშირად ეძლეოდა საშუალება ჩაედინა შავი საქმეები მაოს სახელით, რომელსაც მიეწოდებოდა დამახინჯებული ინფორმაცია საქმის ვითარებაზე.



სურ. 228 ტენგ სიაოფინგი და ჭოუ ენლაი

„ოთხეულის ბანდის" მთავარი სამიზნე გახდნენ ლიოუ შაოცი, ჭოუ ენლაი და ტენგ სიაოფინგი. ისინი მხარს უჭერდნენ მცირე მეწარმეებს და გლეხების მეურნეობას, რაც „მემარცხენეების" მიერ შეფასდა რევიზიონიზმად და კაპიტალიზმის რესტავრაციის მცდელობად (სურ. 228). ოთხეულის ბანდა არწმუნებდა მაო წეტუნგს, რომ ისინი ცდილობდნენ შიდაპოლიტიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას და „დიდი ნახტომის" პოლიტიკის შემდეგ მაოს შერყეული ავტორიტეტის აღდგენას.

თავიანთი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ოთხეულის ბანდამ შექმნა ახალგაზრდა მეამბოხეების დაჯგუფება – ხუნგვეიპინგები და ნაოფანები[1], რომლებიც წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლის საბაბით თვითნებობდნენ. ნებისმიერი ადამიანი შეიძლებოდა გამოცხადებულიყო რევიზიონისტად ან კაპიტალისტური გზის მიმდევრად და ამის გამო რეპრესიების მსხვერპლი გამხდარიყო. რაც უფრო მაღალი თანამდებობა ეკავა ადამიანს, მით უფრო მეტი ალბათობა არსებობდა იმისა, რომ რეპრესიების მსხვერპლი გახდებოდა.

[1] ხუნგვეიპინგი (სიტყვასიტყვით „წითელი მცველები") შეირჩეოდნენ სტუდენტებს შორის, ხოლო ნაოფანი („მეამბოხეები") კი – ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეებს შორის.



სურ. 229 ჭოუ ენლაი, მაო ზეტუნგი და ლინ პიაო

მოგვიანებით დაფუძნდა მოძრაობა „ფართო კრიტიკა". იგი ებრძოდა მაო ზეტუნგის მოწინააღმდეგეებს. შეიკერა უამრავი ყალბი საქმე, რომელთა საფუძველზე მრავალმა უდანაშაულო ადამიანმა იწვნია რეპრესიები. 1967 წლის მარტში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ლიოუ შაოცის „სპეციალური საქმის" გამოძიებისთვის ჯგუფის შექმნის თაობაზე. ივლისში ლიოუ შაოცის წინააღმდეგ „ბრძოლისა და კრიტიკის მიზნით" მიტინგი ჩატარდა. მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ჩსრ-ის თავმჯდომარე იზოლირებულ იქნა. იგი გარიცხეს პარტიიდან და ყველა პოსტიდან გაათავისუფლეს. ცხოვრების ბოლო წლები მან ციხეში გაატარა და 1969 წელს გარდაიცვალა. ტენგ სიაოფინგს გაუმართლა. იგი მას შემდეგ, რაც წაოფანებმა სასტიკად სცემეს, გააგზავნეს ტრაქტორის ქარხანაში მუშად.

იმავე წელს ლინ პიაო დასახელდა მაო ზეტუნგის მემკვიდრედ (სურ. 229). თუმცა მალევე ლინ პიაოს მისამართითაც დაიწყო კრიტიკა. 1971 წელს ლინ პიაო და მისი მომხრეები დასახელდნენ „კონტრრევოლუციურ დაჯგუფებად", რომელიც გეგმავდა „პოლიტიკურ გადატრიალებას" და მაო ზეტუნგის მოკვლას. იმავე წელს ლინ პიაო ოჯახით ათპირებდა უცხოეთში გაქცევას, მაგრამ მათმა თვითმფრინავმა მონღოლეთში კატასტროფა განიცადა და მასში მყოფი ყველა მგზავრი დაიღუპა. ლინ პიაოს მიმართ კრიტიკის ფართო კამპანია გრძელდება. 1973 წელს კი იგი და მისი მომხრეები სამუდამოდ გარიცხეს პარტიიდან.

ამ პერიოდში ეკონომიკაში მოხდა დიდი ცვლილებები. „მესამე ხაზის" მშენებლობა ხორციელდებოდა გრანდიოზული მასშტაბებით. ვითარდებოდა თავდაცვითი მეცნიერება და ტექნიკა, შესაბამისად, ვითარდებოდა ჩინური არმიაც. 1964-1970 წლებში მოხდა ამ დარგში დიდი გარღვევა – გამოიცადა ატომური იარაღი და გაუშვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი. თუმცა ქვეყანაში გრძელდებოდა

მცდარი გადაწყვეტილებების იძულებით გატარება, მემარცხენეთა შეცდომები და ამასთან ერთად დადებითად ფასდებოდა „კულტურული რევოლუციის" თეორია და პრაქტიკა. ამის შედეგად კი, „ძიანგ ცინგის დაჯგუფების" პოზიციები კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა.

ჩინეთი იყო პარალიზებული. თითქმის არავინ მუშაობდა. ბოროტებისთვის თითქოსდა ოქროს ხანა დამდგარიყო. ტრადიციულ ჩინურ, ე. წ. „ფეოდალურ" კულტურასთან ბრძოლას მოჰყვა კულტურული მემკვიდრეობის განადგურება. თეატრებში იდგმებოდა მხოლოდ ძიანგ ცინგის მიერ შექმნილი რევოლუციური ოპერები. სახვითი ხელოვნება დავიდა პროპაგანდისტური პლაკატების დონემდე და მთელი სამეცნიერო საქმიანობა უკავშირდებოდა „წარსულის გადმონაშთების" კრიტიკას. დაახლოებით 20 მილიონი განათლებული ახალგაზრდა იძულებით იგზავნებოდა შორეულ რაიონებში მძიმე ფიზიკური სამუშაოების შესასრულებლად.

„კულტურული რევოლუციის" უარყოფითი შედეგების გამოსწორებაში დიდი წვლილი შეიტანა ჩსრ-ის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჭოუ ენლაიმ. მაგალითად, 1973 წელს მან მიაღწია იმას, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ტენგ სიაოფინგი დააბრუნა გადასახლებიდან და დანიშნა ჭოუს მოადგილედ. ეტაპობრივად დაწინაურების შემდეგ გადაწყდა, რომ ტენგ სიაოფინგი უხელმძღვანელებდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიურ მუშაობას. ჭოუ იმ პერიოდში იყო ძლიერ ავად და ტენგ სიაოფინგში იგი ხედავდა თავის მემკვიდრეს.

ჭოუ ენლაი 1976 წლის იანვარში გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ ჩინეთში გაიმართა „ხუთი აპრილის" მასობრივი მოძრაობა. ხალხი გამოხატავდა მწუხარებას ჭოუ ენლაის სიკვდილის გამო. ეს იყო ქვეყანაში „კულტურული რევოლუციის" წინააღმდეგ პროტესტიც. ამის საპასუხოდ, „კულტურული რევოლუციის" აქტიური გამტარებლები გამოვიდნენ მოწოდებებით „გავაკრიტიკოთ ტენგი", „გამოვიდეთ ჭოუს წინააღმდეგ", რამაც გამოიწვია მთელი ქვეყნის მასშტაბით უკმაყოფილება. მასობრივი საპროტესტო აქციე-



სურ. 230 ოთხეულის ბანდა

ბი სასტიკად ჩაახშეს. მაო წეტუნგმა ტენგი ყველა თანამდებობიდან მოხსნა. 1976 წლის სექტემბერში 83 წლის მაო წეტუნგი გარდაიცვალა, ერთი თვის შემდეგ „კულტურული რევოლუციის" გამტარებლები – ძიანგ ცინგის, ჭანგ ჩუნციაოს, იაო ვენიუენის და ვანგ ხუნგვენის „ოთხეულის ბანდა" დააპატიმრეს (სურ. 230). ისინი დაადანაშაულეს შეთქმულების ორგანიზებაში ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. აქ მთავარი როლი შეასრულა მარშალმა ე ძიენინგმა, რომლის ხელშიც მოექცა ქვეყნის სამხედრო ძალაუფლება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოფიციალური შეფასებით, 1966-1976 წლებში ჩინეთმა გადაიტანა „კულტურული რევოლუციის" უპრეცედენტო კატასტროფა. ეკონომიკური განვითარების საქმეში შეცდომებმა გამოიწვია ეროვნული ეკონომიკის ნგრევა, რაც ჩინური სამრეწველო მოდერნიზაციის პროცესს აფერხებდა. „კულტურული რევოლუციის" პერიოდში ჩინეთის ეროვნულმა ეკონომიკურმა ზარალმა შეადგინა 500 მილიარდი იუენი. ქვეყანა დადგა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ცხოვრების ჩიხიდან გამოსვლის აუცილებლობის წინაშე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოფიციალური პოზიცია ასეთია: მაო წეტუნგმა, მართალია, მრავალი შეცდომა დაუშვა, მაგრამ მიღწევები გაცილებით მეტი ჰქონდა და, მიუხედავად უამრავი სირთულისა, ჩინეთი დღეს მსოფლიო ლიდერების რიგშია. ეს დიდწილად განპირობებულია იმდროინდელი წარმატებული საგარეო პოლიტიკით.

ახალი ჩინეთის საგარეო პოლიტიკა



სურ. 231 ჭოუ ენლაი

საგარეო პოლიტიკის სფეროში ჩინელი ხელმძღვანელები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ დამოუკიდებლობასა და მშვიდობიანობას. ჩინეთის საგარეო პოლიტიკასა და დიპლომატიური სკოლის შექმნაში უდიდესი წვლილი შეიტანა ჭოუ ენლაიმ (სურ. 231). 1949 წელს შექმნილი ახალი ჩინეთის უპირველესი ამოცანა იყო მსოფლიო აღიარების

მოპოვება. მან უდიდესი ძალისხმევა გასწია ჩინეთისთვის ამ სტატუსის მოსაპოვებლად. იმ რთულ პერიოდში სწორმა დიპლომატიამ და თანმიმდევრულმა საგარეო პოლიტიკამ არა მხოლოდ გადაარჩინა ჩინეთი, არამედ, ანგარიშგასაწევ ქვეყნად აქცია.

ჭოუ ენლაის ეხერხებოდა სერიოზული უთახმოების დროსაც კი მოეძებნა საერთო პარტნიორებთან. მას შეეძლო, საჭირო სიტუაციაში, განსხვავებული აზრი დროებით განზე გადაედო. იგი ამბობდა: „მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული პოლიტიკური სისტემა და განსხვავებული იდეოლოგია გააჩნია, ძალიან რთულია ერთსულოვნების მიღწევა. იმისთვის, რომ დედამიწაზე ერთად ვიარსებოთ, უნდა ვიპოვოთ შეხების წერტილი".

1949 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების პირველივე დღეებიდან ჭოუ ენლაის ეკავა ჩინეთის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერისა და, შეთავსებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა.[1]

ჩინეთი 1949 წელს ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემების წინაშე იდგა. ახალი ჩინეთის დიპლომატია პირველ ნაბიჯებს დგამდა და მას არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური კადრი. სახელმწიფოს მოუწია დიპლომატების, სამთავრობო და სამხედრო სტრუქტურებიდან თანამშრომლებისა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა კურსდამთავრებულების გადამზადება.

1950 წლების დასაწყისში, ჭოუმ მაოსთან შეთანხმებით გამოაცხადა, რომ უცხო ქვეყნის ყველა დიპლომატიურ თუ საკონსულო მისიას უუქმდებოდა დიპლომატიური სტატუსი, რომლის აღდგენა დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, მოხდებოდა თუ არა ახალი ჩინეთის აღიარება და თანასწორობის დაცვა.

მუდმივად იმართებოდა მოლაპარაკებები უცხო ქვეყნებთან ახალი ჩინეთის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და სამომავლო ორმხრივ ურთიერთობათა შესახებ. თავად ჭოუ ენლაი ეცნობოდა დეტალურ ინფორმაციას იმ ქვეყანათა შესახებ, რომელებშიც გეგმავდა ვიზიტს

[1] მაშინაც კი, როცა მან საგარეო საქმეთა სამინისტრო მარშალ ჩენ ის (1958-1972 წწ.) გადასცა, ჭოუ რჩებოდა ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივ მმართველად. იგი რეგულარულად მოგზაურობდა, ჩადიოდა უცხო ქვეყნებში სიცოცხლის ბოლომდე. იგი ხელისუფლებაში იყო გარდაცვალებამდე, 1976 წლამდე. როგორც აღვნიშნეთ, ფაქტობრივად, ყოველთვის განსაზღვრავდა ქვეყნის საგარეო კურსს და უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, ბრწყინვალე შედეგებს აღწევდა.



სურ. 232 ჭოუ ენლაი ჟენევაში, 1954 წელი.

ან მათ წარმომადგენლობებთან შეხვედრას.

ახალი ჩინეთის დიპლომატიის ამოცანა იყო მოძლიერებისთვის სამოკავშირეო ურთიერთობების დამყარება ჯერ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. 1950 წელს გამოაცხადა ოცამდე ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. მალევე ჩინეთი იწყებს საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას სხვადასხვა სფეროში.

1953 წლის დეკემბერში ინდოეთის დელეგაციის მიღების დროს, ჭოუ პირველად გამოდის „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის" ერთ-ერთ ინიციატორად.[1] 1954 წელს ჩინეთი იწყებს ტერიტორიული საკითხების მოგვარებას, ასევე აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან მეგობრული და თანამშრომლური ურთიერთობების დამყარებას (სურ. 232).

საომარი მოქმედებები კორეის ნახევარკუნძულზე. კორეის ნახევარკუნძულზე სამხრეთში – კორეის რესპუბლიკის და ჩრდილოეთში – კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს (თითოეულ მხარეს) ჰქონდათ მთელ კორეაზე იურისდიქციის პრეტენზია. 1950 წლის 25 ივნისს ჩრდილოეთ კორეის არმიამ მოულოდნელი იერიში წამოიწყო სამხრეთ კორეის წინააღმდეგ, რამაც მისცა საშუალება მალევე სეულიც აეღო, 15 სექტემბერს კი მთელი ნახევარკუნძული აიღო. აშშ-ს დახმარებით, ჩრდილოეთ კორეის არმიას უკან დაახევინეს, ფხენიანი აიღეს და გეზი აიღეს ჩინეთის რეგიონ – მანჯურიისკენ. ამას წინ უძღოდა აშშ-ს მიერ თაივანის სრუტეში აშშ-ს საზღვაო-სამხედრო ძალების გაგაზავნა. აშშ-ს ამ ნაბიჯებმა პეკინის მთავრობის მწვავე რეაქცია გამოიწვია და უბიძგა მას მოქმედებისკენ. ჩინელებმა კორეაში შეიყვანეს მოხალისეთა ნაწილე-

[1] მიზანი იყო ყველასთვის სამართლიანი და მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის უზრუნველყოფა. „მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის" საბოლოო სახეა: სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემა; თანასწორობა და ურთიერთსარგებლიანობა; საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურევლობა; ურთიერთთავდაუსხმელობა; მშვიდობიანი თანაარსებობა.

ბი (სურ. 233) და უკვე ჩინეთისა და ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ძალებმა 1951 წელს ერთად მოახერხეს სამხრეთის დედაქალაქის აღება. ომი ძალიან გაჭიანურდა, ჩინელები ახორციელებდნენ აქტიურ დაცვას. აშშ-ს პრეზიდენტმა ტრუმანმა ჩათვალა, რომ ჩინეთის ამ ომში ჩართულობა გამოიწვევდა უფრო ფართომასშტაბიან ომს. ამ ბრძოლამ საბოლოოდ მიიყვანა მხარეები მოლაპარაკებამდე. მებრძოლი მხარეები შეჩერდნენ ერთ მუდმივ ფრონტის ხაზზე. ჩინეთის მოხალისეთა ჯარის ნაწილები ჩრდილოეთ კორეიდან გაყვანილ იქნა 1958 წლის ბოლოს.



სურ. 233 ჩინელ მოხალისეთა ჯარის ნაწილები

საომარ მოქმედებებში ჩართვამ, აშშ-ს სხვა ქმედებებთან ერთად (მათ შორის იაპონიასთან თანამშრომლობამ და მისი გაძლიერების ხელშეწყობამ, ასევე თაივანის მთავრობისთვის ეკონომიკურმა და სამხედრო დახმარებამ საბოლოოდ გაამწვავეს აშშ-ჩინეთის ურთიერთობები, რის გამოსწორებასაც დასჭირდა 25 წელიწადი.

ჩინეთმა ჩრდილოეთ კორეას გაუწია არა მხოლოდ მასშტაბური სამხედრო დახმარება, არამედ ეკონომიკური დახმარებაც. ძალიან ძვირი დაუჯდა ჩინეთს ჩართვა ამ ომში, რომელშიც დაიღუპა დაახლოებით 400 ათასი ჩინელი ჯარისკაცი, მათ შორის მაო წეტუნგის შვილი მაო ანინგი (სურ. 234).

მოსკოვსა და პეკინს შორის ურთიერთობების დაძაბვა და მიზეზები. ჩინურ-საბჭოთა მყარ მეგობრობას თანდათან აშკარა ბზარები უჩნდებოდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა:

- 1955 წელს ხრუშჩოვმა მიუმხრობელ ქვეყნებზე საბჭოთა გავლენის გავრცელების კამპანია დაიწყო;



სურ. 234 მაო წეტუნგი შვილთან, მაო ანინგთან ერთად

- სსრკ მეტ რესურსებს ახმარდა არაკომუნისტ სახელმწიფოებს, როგორიცაა ინდოეთი და ეგვიპტე, ვიდრე კომუნისტ მეზობლებს აზიაში;
- არადამაკმაყოფილებელი იყო სამხედრო დახმარებაც;
- მოსკოვი ბირთვული იარაღის შექმნაში დახმარებას შეჰპირდა და არ შეასრულა პირობა;
- პეკინსა და მოსკოვს შორის მიმდინარე იდეოლოგიური დავები;
- რუსეთისა და აშშ-ს სახელმწიფო მეთაურთა რამდენიმე პირისპირ შეხვედრა, რომელმაც პეკინს შეუქმნა მარტო დარჩენის საფრთხე;
- თაივანის გამო აშშ-სთან ურთიერთობის დაძაბვის დროს, სსრკ-ს მთავრობა სდუმდა;
- ხრუშჩოვის საჯარო რიტორიკა, სადაც აფრთილებდა ჩინეთს თავი აერიდებინა თაივანის გამო აშშ-თან კონფრონტაციისათვის, რამაც მოსკოვის მხარდაჭერის სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა;
- ტიბეტის (ოდესღაც ჩინური პროვინციის) გამო ჩინეთ-ინდოეთის დავაში ჯერ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა და განაცხადა, რომ დელისთვის ძალიან დიდი რაოდენობის სესხის მიცემას აპირებდა და მასთან დაახლოების ინტერესებიდან გამომდინარე, ჩინეთის უსაფრთხოების ინტერესები ეწირებოდა;
- ხრუშჩოვის მიერ ჩინეთის მოხშირებულ კრიტიკას უპასუხა მაომ;
- დებატებს მალე კონკრეტული ქმედებები მოჰყვა. ხრუშჩოვმა ჩინეთიდან გაიწვია 1390 ტექნიკური კონსულტანტი და ეკონომიკური მოდერნიზაციის გეგმაც თან წააღებინა.

ამ და სხვა დაპირისპირებების შემდეგ ხშირად ისმოდა ჩინეთის მიერ სსრკ-ს კრიტიკა და 1964 წლის ბოლოს უკვე ბზარი თვალში საცემი და შეუქცევადი გახდა.

ჩინეთის მოძლიერება საერთაშორისო არენაზე. ჩინეთი უკვე 1960-იანი წლებისთვის მოძლიერდა საერთაშორისო არენაზე და წარმატებით აგრძელებდა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ღირსების დაცვას. მოაგვარა ზოგიერთ მეზობელ ქვეყანასთან ისტორიული საზღვრების პრობლემები. აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან და ლათინურ ამერიკასთან დაამყარა და განავითარა მეგობრული ურთიერთობები. დასავლეთ ევროპასა და იაპონიასთან ურთიერთობებში ახალი პროგრესი შეინიშნებოდა. 1964 წელს ჩინეთსა და საფრანგეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება შეიძლება ჩაითვალოს როგორც დასავლეთ ქვეყნებთან

ურთიერთობების ნორმალიზების დასაბამი, რასაც ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაუარესებამ.

1966 წელს დაიწყო „კულტურული რევოლუცია", რომელიც პერიოდულად უშლიდა ხელს ჭოუ ენლაის საგარეო ურთიერთობების წარმოებაში. უკიდურესად რთულ პირობებში მყოფი ჭოუ ენლაი მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა "ოთხეულთა ბანდის"[1] მიერ საგარეო საქმეების კონტროლის მცდელობას და ყველანაირად ცდილობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრების დაცვას, რომლებიც "ოთხეულთა ბანდის" წარმომადგენლების მიერ 1968 წლამდე იდევნებოდნენ და ჭოუ ენლაის დიპლომატიური ნიჭისა და მოლაპარაკებების ძლიერი უნარის წყალობით სამინისტროში მაინც განაგრძობდნენ დიპლომატიურ საქმიანობას. ჭოუ ახერხებდა განემარტა მაოსთვის, რომ ესა თუ ის მიდგომა თუ გადაწყვეტილება შედიოდა ჩინეთის ეროვნულ ინტერესებში, რაც, როგორც მაო თავად აღნიშნავდა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნისთვის.

მოსკოვი და პეკინი დაძაბულობის პიკში. 1968 წლიდან „საბჭოთა რევიზიონიზმის" წინააღმდეგ ბრძოლა ხდებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი. 1968 წელს საბჭოთა არმიის შეჭრა ჩეხოსლოვაკიაში იყო დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი. ეს მოვლენა აღქმული იყო ჩინეთის შიდა საქმეებში შესაძლო ჩარევად. ჭოუ ენლაიმ 1968 წლის 30 ოქტომბერს ოფიციალურ მიღებაზე განაცხადა, რომ „მათგან (რუსებისგან) უკვე მოსალოდნელია ყველაფერი, მათ შორის, ჩინეთში შემოჭრაც". გარდა ამისა, ჩინეთმა რუსეთს ტერიტორიული პრეტენზია წაუყენა, რამაც სსრკ ძალიან გააღიზიანა. 1969 წელს წლის 2 მარტს ჩინეთის სამხედრო ძალები სადავო დამანსკის (ჭენპაო) კუნძულთან ახლოს, მდინარეების – ამურის და უსურის შესართავთან, საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების კონტინგენტს მოულოდნელად დაესხა თავს. ამის შემდეგ, იმავე რეგიონში და ჩინეთის სინძიანგის რეგიონში ჩინეთის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების განახლება მოჰყვა. მოსკოვმა საზღვრის გასამაგრებლად სამხედრო კონტინგენტი

[1] 四人帮 სჟენპანგი – „ოთხეულთა ბანდა", „კულტურული რევოლუციის დროის" დაჯგუფება, რომელშიც გაერთიანდნენ ვანგ ხუნგვენი, ჭანგ ჩუნციაოი, ძიანგ ცინგი, იაო ვენიუენი.

გაზარდა და ჩინეთის ბირთვული დანადგარების წინააღმდეგ წინსწრები დარტყმის განხორციელებას განიხილავდნენ.

ჩინეთ-ამერიკის დაახლოება და ჩინეთის საერთაშროსო არენაზე დამკვიდრების ახალი გზების ძიებაში. ამასობაში, ჭოუ ენლაის ინიციატივით, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გამწვავების ფონზე, 70-იან წლებში ჩინეთმა გააძლიერა განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობა. ჩინეთმა ასევე დაიწყო საერთაშორიო არენაზე დამკვიდრების ახალი გზების ძიება. მნიშვნელოვანი იყო ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების მოწესრიგება. ჩინეთსა და აშშ-ს შორის დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. აღსანიშნავია, რომ სსრკ-სა და ჩინეთს შორის არსებული განხეთქილების ფონზე, ჩინეთმა და აშშ-მა დაიწყეს დიალოგი, რასაც მოჰყვა მათ შორის ურთიერთობების ღრმა ცვლილება. თეთრმა სახლმა მოხსნა ვაჭრობისა და ტურიზმზე დაწესებული შეზღუდვები. ჩინეთმა უპასუხოდ არ დატოვა ამერიკელების ეს ჟესტი. 1971 წლის აპრილში ჩინეთის მთავრობამ სათამაშოდ მიიწვია მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდი, რომელიც იაპონიაში საასპარეზოდ იმყოფებოდა. ჭოუ ენლაის ინიცირებულ „პინგპონგის დიპლომატიას“ აშშ-ს სერიოზული რეაქცია მოჰყვა, მან ოფიციალურად გააუქმა ეკონომიკური ემბარგო.

1971 წლის ოქტომბერში ჩინეთმა აღიდგინა ლეგიტიმური ადგილი გაეროში, უამრავ ქვეყანასთან გადო დიპლომატიური ხიდი, განავითარა მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები სხვადასხვა სფეროში.

1972 წელს, დიპლომატიური ჟესტების ნიადაგის შემზადების შემდეგ, ჩინეთში გაიმართა პირველი შეხვედრა აშშ-ს პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონთან (სურ. 235).

ჭოუ ენლაი ასევე ბევრს მუშაობდა იაპონიასთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, ჰქონდა ინტენსიური მოლაპარაკებები. 1972 წელს იაპონიასა და ჩინეთს შორის ურთიერთობები მოწესრიგდა.



სურ. 235 რიჩარდ ნიქსონი და ჭოუ ენლაი, 1972 წ.

1976 წლის ბოლოსთვის, „კულტურული რევოლუციის“ ბოლო წელს, ჩინეთს ყველა განვითარებულ ქვეყანასთან ჰქონდა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობები აშშ-ს გარდა.



სურ. 236 აშშ-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, 1979 წ.

1976 წელს მათთან ვაჭრობის მოცულობამ ბევრად გადააჭარბა სოციალისტურ ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვას. თუმცა ჩინეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები საგრძნობლად დათბა. ხოლო ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების ნორმალიზებასთან ერთად, ქვეყნების დიდ უმრავლესობასთან დიპლომატიური ურთიერთობების დაამყარების ძირითადი მისია ჩინეთმა შეასრულა.


უკვე 1979 წლის იანვარში დამყარდა აშშ-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობები (სურ. 236). აშშ-მ აღიარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ერთადერთ ლეგიტიმურ მთავრობად იმ პირობით, რომ აშშ თაივანთან არაოფიციალურ ურთიერთობას მაინც შეინარჩუნებდა.

ჭოუ ენლაი განაგრძობდა თავის საქმიანობას 1976 წლამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ ესტაფეტა გადაეცა ლირსეულ მემკვიდრესა და თანამოაზრეს, ტენგ სიაოფინგს.

ტენგ სიაოფინგი, თავის მხრივ, მუშაობდა ეკონომიკურ რეფორმებზე და დაიწყო „ღია კარის პოლიტიკის" გატარება. ამ პერიოდისთვის ჩინეთის საერთაშორისო მდგომარეობა სერიოზულად შეიცვალა.

ახალი ჩინეთის საგარეო პოლიტიკის მიღწევების შესაჯამებლად, უნდა აღვნიშნოთ, რომ უიმედო მდგომარეობაში მყოფ ახალ ჩინეთს, რომელიც ყოველმხრივ კრიზისს განიცდიდა და ამ ფონზე უნდა ეზრუნა ყველაფრის თავიდან შენებაზე, ქვეყნის უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მთლიანობაზე ზრუნვა უწევდა. ამის მიღწევა წარმოუდგენელი იქნებოდა უცხო ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობებისა და საერთაშორისო არენაზე გასვლის გარეშე. მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ჩინეთი უკვე ეტაპობრივად აღწევს წარმატებებს.

ამა თუ იმ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად აუცილებელი პირობა იყო, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა უნდა ეღიარებინათ ერთადერთ ლეგიტიმურ მთავრობად, რომელიც წარმოადგენს ჩინეთს და თაივანი არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიის განუყოფელი ნაწილი.



სურ. 237 პროტოკოლი გაეროში ჩსრ-ს ლეგიტიმური უფლებების აღდგენის შესახებ

ჭოუ ენლაი სხვადასხვა დროს და ადგილას, განსხვავებული ფორმებით გმობდა „ორი ჩინეთის", „ერთი ჩინეთისა და ერთი თაივანის" თუ „ერთი ჩინეთისა და ორი ხელისუფლების" დამკვიდრების მცდელობას. ამ ბრძოლას დღესაც აგრძელებს თანამედროვე ჩინეთი.

ჩინეთმა აღიდგინა ლეგიტიმური ადგილი გაეროში და გახდა უსაფრთხოების საბჭოს ხუთიდან ერთ-ერთი მუდმივი წევრი. გამოქვეყნდა რეზოლუცია, რომლის საფუძველზეც გაეროდან გარიცხეს თაივანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მიიღეს მის ნაცვლად (სურ. 237). გაეროდან თაივანის გარიცხვას მხარი დაუჭირა გაეროს 75-მა წევრმა სახელმწიფომ, თავი შეიკავა 17-მა და წინააღმდეგი წავიდა 35 ქვეყანა. ამ 35 წევრს შორის იყო აშშ, რომელიც სთავაზობდა გაეროს თაივანისთვის ადგილის შენარჩუნებას, მაგრამ ამ შეთავაზებას მხარი არ დაუჭირეს გაეროს დანარჩენმა წევრებმა, მათ შორის, დასავლეთი ევროპისა და ლათინო-ამერიკულმა ქვეყნებმა, მთელმა სოციალისტურმა ბანაკმა და არაბულმა სამყარომ. ამასთან, ინდოეთმა, თურქეთმა, ირანმა და კანადამაც ასევე დაუჭირეს მხარი თაივანის გაეროდან გარიცხვას.

70-იანი წლების ბოლოსთვის ჩინეთი დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს ქვეყნების დიდ უმრავლესობასთან, რაც ჭოუ ენლაის სწორი, მიზანმიმართული და ეფექტური პოლიტიკის შედეგია და ადასტურებს მის მნიშვნელოვან წვლილს ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში.

ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკა

მეოცე საუკუნის 70-იან წლებში, მიუხედავად ჭოუ ენლაის წარმატებული საგარეო პოლიტიკისა, ჩინეთი პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით უმძიმეს ვითარებაში იმყოფებოდა. 1966-1976 წლებში ე.წ. „კულტურულმა რევოლუციამ" კომუნისტურ პარტიასა და



სურ. 238 ტენგ სიაოფინგი

ჩინეთის სოციალიზმს დიდი ზიანი მიაყენა. ქვეყანა ეკონომიკური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში მძვინვარებდა უკიდურესი გაჭირვება, მაშინ როდესაც ჩინეთის მოსახლეობის 82 პროცენტი ცხოვრობდა სოფლად. გეგმიური ეკონომიკის პირობებში, ჩინელ გლეხებს აღარ შეეძლოთ საკუთარი თავის და მით უმეტეს, ქვეყნის გამოკვება. ცვლილებები გახდა აუცილებელი.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ისტორიიის სხვადასხვა პერიოდებში გატარებული რეფორმების უმეტესობას, არ მოჰყოლია საგრძნობი შედეგი – დაწყებული ძვ. წ. 350 წლის შანგ იანგის რეფორმებით და ოპიუმის ომის შემდეგ, 1840 წელს „განვითარებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით“ დამთავრებული.

ჩინეთის გარდაქმნა დაიწყო კომუნისტური პარტიის პრაგმატიკოსთა ფრთამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტენგ სიაოფინგი (სურ. 238). დასავლეთში ჩინეთის მიერ დაწყებული გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკა, იგივე სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით, გარკვეულწილად აღქმული იყო, როგორც დაბრუნება კაპიტალიზმში. ქვეყნის ხელისუფლება იდეოლოგიური წინააღმდეგობებისა და საკუთარი ლეგიტიმურობის შელახვის თავიდან აცილების მიზნით ამტკიცებდა, რომ ეს იყო სოციალიზმის ერთ-ერთი ფორმა. ამავე დროს, ჩინეთი არ უარყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ეკონომიკური რეფორმები აპრობირებულია კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მდგომარეობას ორიგინალური ახსნა მოუძებნა რეფორმების არქიტექტორმა ტენგ სიაოფინგმა: „რა მნიშვნელობა აქვს რა ფერისაა კატა, მთავარია, ის იჭერდეს თაგვებს“.

თანამედროვე ჩინეთისთვის მნიშვნელოვანია სამი ძირითადი პრინციპი: სოციალური სტაბილურობა – უმთავრესი წინაპირობა, განვითარება – საფუძველი და რეფორმები, რომლის წარმატებული განხორციელება გამორიცხულია წინა ორი ფაქტორის გარეშე. აღნიშნული სამი პრინციპის სინთეზით, გამოიხატება უნივერსალური მნიშვნელობა ჩინური გამოცდილებისა და რეფორმების წარმატების საფუძვლად. ამ პრინციპების დაცვით სტაბილურად მართეს ჩინეთი შემდგომმა ლი-



სურ. 239 ძიანგ წემინი და ხუ ძინთაო

დერებმა – ძიანგ წემინმა და ხუ ძინთაომ (სურ. 239). ჩინეთი და მსოფლიო დღესაც აღიარებს, რომ ეს გზა ჩინეთის წარმატების საწინდარია.

ჩინეთში ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი. გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის დასაწყისში, ქვეყნის მთავრობამ მიზნად დაისახა, ოც წელიწადში ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გაოთხმაგება, რაც შესრულდა 1995 წელს, დაგეგმილზე ადრე და დაედო საფუძვლად ჩინეთის წარმატებას. მთლიანი შიდა პროდუქტის თანმიმდევრულმა ზრდამ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაში და პროგრესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველი ნახევრიდან, ჩინეთში მიმდინარე მოვლენები, დანარჩენი მსოფლიოს მხრიდან საყოველთაო ყურადღებისა და დაკვირვების საგნად იქცა.

სოციალიზმს ჩინური სპეციფიკით, გააჩნია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები, კერძოდ – ჩინეთის პოლიტიკური სისტემა, ელექტორალური სისტემის ჩათვლით, ხარისხობრივად განსხვავდება დასავლური სისტემისაგან. ჩინეთისათვის ზოგადად მიუღებელია ისეთი მოდელი, როდესაც ხდება ხელისუფლების განშტოება სამ ნაწილად: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამართლებრივი. ამის ნაცვლად, ჩინეთი აწარმოებს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალიზებულ და გაერთიანებულ მმართველობას, სადაც ხალხთა ეროვნულ ყრილობას გააჩნია უმაღლესი სახელმწიფო ძალაუფლება, ხოლო დანარჩენი პოლიტიკური პარტიები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო საქმეების განხილვასა და ადმინისტრირებაში. მთავრობა გაცილებით უფრო დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ყველა სექტორსა და სფეროში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წახალისების ჩათვლით. ასევე ძალზედ მაღალია, ისტორიული, კულტურული და ტრადიციული ფაქტორების ზეგავლენა. მაგალითად, ურთიერთობები კანონის უზენაესობასა და ღირსების უზენაესობას შორის, წესრიგსა და კანონს შორის, სოციალურ ქსელსა და განვითარებას შორის დღემდე რეგულირდება „კონფუციზმის" ძირითადი იდეებით. შესაბამისად, ხდება სახელმწიფო ინსტიტუტებისა და

მორალური ნორმების შერწყმა და ორივე ფაქტორს ენიჭება ფაქტობრივად თანაბარი მნიშვნელობა ჩინეთის საზოგადოებაში.

შედეგად, გარდაქმნების პროცესის დაწყების შემდეგ, ჩინეთმა განავითარა უნიკალური უპირატესობები სახელმწიფოსა და ბაზრის როლთა კოორდინირების საქმეში. ეროვნული და რეგიონალური პროექტების განხორციელების დროს სოციალისტურმა სისტემამ და ინსტიტუტებმა დაამტკიცეს განსაკუთრებული ეფექტურობა მუშახელის, მატერიალური სახსრებისა და ფინანსური რესურსების გაერთიანების საქმიანობაში. ამავე დროს, ჩინეთის ისტაბლიშმენტი დარწმუნებულია, რომ მომავალშიც უფრო მეტი გასაკეთებელია, ვიდრე მხოლოდ მთავრობისა და ბაზრის როლების სათანადო კოორდინირება.

ქვეყნის ხელისუფლებამ ყველა რეფორმების საფუძვლად გამოაცხადა ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ოთხი პრინციპი, „ოთხი მოდერნიზაცია". ამ პრინციპის მიხედვით, ეკონომიკა დაიყო 4 სექტორად: თავდაცვითი წარმოება, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება და სამეწარმეო საქმიანობა. პრიორიტეტად არჩეულ იქნა სტრატეგია „სოციალისტური საბაზრო ეკონომიკა". რეფორმების გატარების დროს, იდეოლოგიური პრინციპების გარკვეულწილად უკანა რიგებში გადაწევამ დაამტკიცა მათი ეფექტურობა.

ჩინეთის ხელისუფლების მიერ დაწყებული რეფორმები თანმიმდევრული ხასიათისაა. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ სფეროში გატარებული რეფორმა მოიტანდა კონკრეტულ შედეგს, იგივე პრინციპი გამოიყენებოდა უკვე დიდი მასშტაბებით. ჩინეთის თანმიმდევრული და წინდახედული პოლიტიკის პრინციპით – „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი" წარმოადგენს ქვეყნის რეფორმებისა და გახსნილობის პოლიტიკის წარმატებით რეალიზების მნიშვნელოვან წინაპირობას. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკამ განიცადა კარდინალური ცვლილებები. მართვის გეგმიური და ცენტრალიზებული სისტემიდან, ქვეყანა საბაზრო პრინციპებზე ორიენტირებულ ეკონომიკის რელსებზე გადავიდა, რამაც უზრუნველყო კერძო სექტორის სწრაფი განვითარება და ქვეყნის ინტენსიური ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში.

1992 წელს რეფორმების დაწყებიდან 14 წლის შემდეგ, ჩინეთის მთავრობამ დააფიქსირა ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმირების მთავარი პრინციპები, კერძოდ: საზოგადოებრივი სექტორის პრიორიტე-

ტული როლის შენარჩუნებასთან ერთად, დივერსიფიცირებული ეკონომიკური ელემენტების მკვეთრი განვითარება;

- საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად, საწარმოებში თანამედროვე მართვის სისტემების ჩამოყალიბება;
- უნიფიცირებული და ღია საბაზრო სისტემის ჩამოყალიბება ჩინეთის გარშემო, შიდა და საერთაშორისო ბაზრების ერთმანეთთან დაკავშირება; რესურსების ოპტიმალური გადანაწილება;
- სახელმწიფო ეკონომიკური მენეჯმენტის ტრანსფორმირება მაკრო-მაკონტროლებელი სისტემის შექმნის მიზნით;
- გარკვეული წამყვანი ჯგუფებისა და რეგიონების პრიორიტეტული წახალისება, მათი კეთილდღეობის სწრაფი ამაღლების მიზნით, რათა შემდეგ წარმატებულმა სუბიექტებმა ხელი შეუწყონ ქვეყნის სხვა კუთხის (ჩინეთის ცენტრალური და განსაკუთრებით დასავლეთის პროვინციების) განვითარებას;
- სოციალური სადაზღვევო სისტემის შექმნა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობისათვის.

1997 წელს ჩინეთის მთავრობამ სახალხოდ აღიარა არასამთავრობო სექტორის მნიშვნელობა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. ჩინეთი იცავს საკუთარი სახელმწიფო საწარმოების არსებობასა და განვითარებას და ხელს უწყობს კონკურენტული კერძო საწარმოების შექმნასაც.

ჩინეთის რეფორმების წარმატება განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ სახელმწიფომ ყველა ეტაპზე შეინარჩუნა საბაზრო პროცესებზე კონტროლი ქვეყანაში. დღესაც სახელმწიფოს გააჩნია რეგულაციის პირდაპირი და ირიბი მეთოდები ამ მიმართულებით. ხელისუფლება აკონტროლებს საბაზრო ინფრასტრუქტურის პრაქტიკულად ყველა ელემენტს.

ჩინეთში დაწყებული ფართომასშტაბიანი რეფორმების მიზანი გასაგები იყო მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისთვის. ქვეყნის ცხოვრებაში დაწყებული ახალი ეტაპი, ჩინელი ხალხის პატრიოტულ გრძობებსაც შეეხო: ქვეყნის აღმასვლა, ხალხის კეთილდღეობა, ჩინეთის ძლევამოსილების აღორძინება. რეფორმები ხალხში აღქმული იყო ნაციონალურ იდეად და დღესაც ასე გრძელდება. დიდი ჩინეთის აღორძინების პერსპექტივამ, გააერთიანა არა მარტო ქვეყნის მოსახლეობა, არამედ უცხოეთში მცხოვრები მათი თანამემამულეები. ამ იდეოლოგიამ

დაიწყო მუშაობა ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის სასარგებლოდ.

მნიშვნელოვანი წვლილი ჩინეთის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობაში, შეიტანა სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნამ და ამოქმედებამ ჩინეთის სხვადასხვა პროვინციასა და რეგიონში. ბუნებრივია, რომ აღნიშნულმა პროცესებმა ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალის შემოდინებას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის დანერგვას. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ჩინეთში იწყება სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა. მისი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი არის „ტერიტორიული გახსნილობა", რეგიონების განვითარება უცხოური ინვესტიციებისთვის მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნით. 1990 წლის აპრილში შანგხაის მახლობლად, დაარსდა პირველი მაღალი ტექნოლოგიების წარმოების სივრცე – „ფუტუნგის განვითარების ზონა", ხოლო მომდევნო წელს მთავრობამ დაამტკიცა „მაღალი ტექნოლოგიების წარმოების ზონების" შექმნის გეგმა. შედეგად, 2021 წლისთვის ჩინეთში ფუნქციონირებს, 170-ზე მეტი ასეთი ტიპის ზონები. ქვეყანაში ასევე იქმნება, განსაკუთრებული ეკონომიკური, ტექნიკური, თავისუფალი ვაჭრობისა და საზღვრისპირა ეკონომიკური თანამშრომლობის ზონები.

ჩინეთი განეკუთვნება იმ სახელმწიფოების კატეგორიას, რომელმაც თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, თავისუფალი ეკონომიკური ზონების კონცეფცია წარმატებით განახორციელა. აღნიშნული ობიექტების შექმნის საწყის ეტაპზე, მთავრობამ გათვლა ასევე გააკეთა „ხუაციაოების" (საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკური ჩინელები) კაპიტალზე. მართლაც, ჩინეთში შემოდინებული ინვესტიციების 80 პროცენტს სინგაპურში, თაივანში, ვიეტნამში, კამბოჯაში, ტაილანდსა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის რეგიონის სხვა სახელმწიფოებში მცხოვრები ჩინელების წილი შეადგენდა. „ხუაციაოები" უპირატესობას ანიჭებდნენ „მშობლიურ" (ანუ მათი წარმოშობის) პროვინციებში ინვესტირებას. შედეგად, ჩინეთის ზღვისპირა, სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციებმა, განვითარების დონითა და დინამიურობით გაუსწრეს დანარჩენი ჩინეთის რეგიონებს.

ერთი სახელმწიფო – ორი სისტემა



სურ. 240 ჰონგ-კონგის დაბრუნების აღნიშვნა, 1997 წ.

მეოცე საუკუნის მიწურულს, 1997 წელს, როდესაც ჰონგ-კონგში ჩამოხსნეს ბრიტანეთის დროშა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო სიმბოლოები, ბევრს აშფოთებდა ამ რეგიონის მომავალი და სტატუსი (სურ. 240). დასავლეთს სახელწიფოები შიშობდნენ, რომ ჰონგ-კონგი გახდებოდა ტიპური ჩინური ქალაქი. ადგილობრივი მოსახლეობა ეჭვობდა, რომ მატერიკული ჩინეთიდან უამრავი მათი თანამემამულე გადმოსახლდებოდა, რაც გამოიწვევდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას. ფაქტია, რომ ეს პროგნოზი არ გამართლდა.

ფორმულამ „ერთი სახელმწიფო – ორი სიტემა“ დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და ეფექტურობა. უფრო მეტიც, ეს ფორმულა ეხმარება ჰონგ-კონგს სტაბილურად განვითარდეს ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში.

კუნძული ჰონგ-კონგი მოექცა დიდი ბრიტანეთის იურისდიქციის ქვეშ ე.წ. ოპიუმის პირველი ომის (1839-1842 წწ.) დროს, რომელიც მიმდინარეობდა დიდ ბრიტანეთსა და ცინის დინასტიას შორის. საკუთარი გავლენის გასამყარებლად ინგლისელები შეეცადნენ, რაც შეიძლება მეტი ტერიტორიები დაექვემდებარებინათ. 1898 წელს დიდ ბრიტანეთს, მის მიერვე ოკუპირებული ტერიტორია 99-წლიანი იჯარით გადაეცა.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს, როდესაც ტენგ სიაოფინგმა გამოაცხადა ჩინეთში გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის დაწყება, საფუძველი ჩაეყარა მატერიკულ ჩინეთსა და ჰონგ-კონგს შორის ეკონომიკურ ინტეგრაციას. ამავე პერიოდში, ლონდონსა და პეკინს შორის დაიწყო მოლაპარაკება, კუნძულის მომავალის განსაზღვრასთან დაკავშირებით. 1997 წელს იჯარას ვადა გასდიოდა. მოლაპარაკებების დროს ოფიციალური პეკინის პოზიცია იყო მტკიცე და შეუვალი, ჰონგ-კონგი მის ისტორიულ სამშობლოს, ჩინეთს უნდა დაბრუნებოდა.



სურ. 241 მოლაპარაკებები ტენგ სიაოფინგსა და მარგარეტ ტეტჩერს შორის.

ისტორიული პროცესის მთავარი მოქმედი გმირები იყვნენ: ჩინეთის მხრიდან – ტენგ სიაოფინგი, ხოლო ბრიტანეთის მხრიდან მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ე.წ. „რკინის ლედი", მარგარეტ ტეტჩერი (სურ. 241). ძალიან რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად ლონდონი დათმობებზე წავიდა და 1984 წელს ხელი მოეწერა ჩინეთ-ბრიტანეთის ერთობლივ დეკლარაციას, რომლის თანახმადაც, 1997 წლის 1 ივლისიდან ჰონგ-კონგი ჩინეთის იურისდიქციის ქვეშ დაბრუნდებოდა, იმ პირობით, რომ 50-წლის განმავლობაში კუნძულზე შენაჩუნდებოდა არსებული წყობა. თანამედროვე ჩინეთის არქიტექტორმა, ტეტჩერს შესთავაზა ფორმულა: „ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა".

ეს არის ჭეშმარიტად უნიკალური მოვლენა დეკოლონიზაციის ისტორიაში. ჰონგ-კონგი გახდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი. ისტორიას შემორჩა ტენგ სიაოფინგის ცნობილი ფრაზა, რომელიც მან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს გაანუცხადა: „ჩინეთი არც ისეთი სულელია, რომ შეაგდოს ღუმელში ქათამი, რომელიც ოქროს კვერცხებს დებს".

ამასთან, აღსანიშნავია ტენგ სიაოფინგის მიმართვა ჰონგ-კონგელების მისამართით: „ჩვენ არ ვითხოვთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მხარს უჭერდეს სოციალისტურ წყობას. ვინ არის ჩინეთის პატრიოტი? არა აქვს მნიშვნელობა, მას სჯერა თუ არა კაპიტალიზმის, სოციალიზმის, ფეოდალიზმის ან თუნდაც მონობის. ჩინეთის პატრიოტი არის ის, ვინც პატივს სცემს საკუთარ ერს, გულწრფელად სურს სამშობლოს გაერთიანება და ჰონგ-კონგის აღორძინება".

შეთავაზებული კონცეფციის მიხედვით, ჰონგ-კონგს შეეძლო შეენარჩუნებინა არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სასამართლო სისტემა. კუნძულს მიეცა ფართო ავტონომია, მაგრამ ემორჩილება ცენტრალურ სახალხო ხელისუფლებას. პეკინი ვალდებულია დაიცვას კუნძულის უსაფრთხოება, ჰონგ-კონგის მთავრობა კი პასუხისმგებელია საზოგადოებრივ წესრიგზე. ამასთან, ჰონგ-კონგს უფლება აქვს შეინარ-

ჩუნოს საკუთარი წარმომადგენლობები საერთაშორისო ორგანიზაციებში, რაც მას გარკვეულ საერთაშორისო თავისუფლებასაც ანიჭებს. ამავე დროს, მას არ შეუძლია ჩინეთისგან დამოუკიდებლად აწარმოოს საგარეო პოლიტიკა და ჰყავდეს სამხედრო ძალები.

შეთანხმების თანახმად, 2047 წლამდე ე.წ. გარდამავალ პერიოდში, კუნძულის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა ხელშეუხებელია.

ჰონგ-კონგს გააჩნია საკუთარი ვალუტა (ჰონგ-კონგური დოლარი), ალმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემები, ასევე ახორციელებს დამოუკიდებელ იმიგრაციულ და საგადასახადო პოლიტიკას. მოგვიანებით „რკინის ლედიმ“ აღიარა, რომ მისი პროგნოზი ყოფილი კოლონიის რეგრესისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით არ გამართლდა.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისა და გლობალიზაციის ფონზე, ასევე 2001 წელს, ჩინეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ, კუნძულის განვითარება პირდაპირ კავშირშია მატერიკულ ჩინეთთან და ეს სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი, რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ ფინანსურ ცენტრად; ამავე დროს, პერიოდულად ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, გამოხატავს უკმაყოფილებას, მათი აზრით პეკინის მხრიდან უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

თანამედროვე ჰონგ-კონგი არის სტაბილურად განვითარებული ტერიტორია, რომლის ეკონომიკა არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი. სრულყოფილია ინფრასტრუქტურა, მაღალია მოსახლეობის ცხოვრების დონე. 2020 წლის ოფიციალური მონაცემებით, შვიდმილიონიან ქალაქში, მილიონერების რაოდენობა 100 ათასს აღწევს.

ეკონომიკის თავისუფლების 2020 წლის ინდექსის მიხედვით (2020 Index of Ecomomic Freedom), ზედიზედ 25 წლის განმავლობაში, ჰონგ-კონგი მიიჩნეოდა მსოფლიოში ყველაზე თავისუფალ ეკონომიკად. როგორც საერთაშორისო ფინანსური ცენტრი, ის იზიდავს ინვესტორებს მსოფლიოს ყველა რეგიონიდან, მყარი სამართლებრივი სისტემის, დაბალი გადასახადების, მაღალ დონეზე განვითარებული სავაჭრო და ფინანსური მომსახურების სერვისებისა და მაღალკვალიფიციური მუშახელის გამო. ჰონგ-კონგი სთავაზობს ბიზნესს შეუზღუდავ შესაძლებლობებს და წარმოადგენს გლობალური ეკონომიკისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან პლატფორმას. ნიშანდობლივია, რომ ჩინეთის სპეცია-

ლურ ადმინისტრაციულ რეგიონში ფუნქციონირებს ათი ათასამდე საერთაშორისო კომპანია, ხოლო რეგიონალური სათაო ოფისი ჰონგ-კონგში, 1500-ზე მეტ კომპანიას აქვს გახსნილი.

ეფექტურია ასევე სავალუტო რეგულაცია, რომელიც უცხოურ კომპანიებს უფლებას აძლევს შეზღუდვების გარეშე შეიტანონ და გაიტანონ კაპიტალი; ადგილობრივი ეკონომიკის საბაზისო მიმართულებებია: იმპორტ-ექსპორტის ოპერაციები, სატრანსპორტო გადაზიდვები, ფინანსები, ტურიზმი და სასტუმროების ბიზნესი. ჩინეთის იუსრუსდუქციის ქვეშ გადასვლის შემდეგაც, კორუფციის დონე ჰონგ-კონგში საკმაოდ დაბალია.

ნიშანდობლივია, რომ 2018-19 წლებში ჰონგ-კონგს ეწვია 55 მილიონზე მეტი ტურისტი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მატერიკული ჩინეთიდან იყო. ჩინეთის მოქალაქეებს ჰონგ-კონგში შესასვლელად ესაჭიროებათ ვიზის მიღება. ჰონგ-კონგის საკონსულო წარმომადგენლობა განლაგებულია მატერიკული ჩინეთის 5 ქალაქში, მათ შორის, პეკინსა და შანგხაიში. გარდა ამისა, მსოფლიოს არაერთ სახელმწიფოს აქვს გახსნილი კუნძულზე, საკონსულო და სავაჭრო წარმომადგენლობები.

ტენგ სიაოფინგის ინიციატივა, ერთნაირად წარმატებული გამოდგა როგორც ჩინეთისთვის, ასევე ჰონგ-კონგისთვისაც. ქვეყანამ ერთი გასროლის გარეშე დაიბრუნა ძირძველი ტერიტორია, თან ისე, რომ არ გაირთულა ურთიერთობები დიდ ბრიტანეთთან. ჰონგ-კონგმა არა თუ შეინარჩუნა მსოფლიო ფინანსური ცენტრის სტატუსი, არამედ კიდევ უფრო განიმტკიცა საკუთარი პოზიციები საერთაშორისო ეკონომიკაში. ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის მიზანი, არა მხოლოდ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს, არამედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასაც ითვალის-



სურ. 242 1999 წელს მაკაოს დაბრუნების ზეიმი

წინებს. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ ჰონგ-კონგისა და მაკაოს შემთხვევაში (კუნძული მაკაოც 1999 წელს მსგავსი პრინციპით დაუბრუნდა ჩინეთის იურისდიქციას, რომელიც მანამდე პორტუგალიის კოლონია იყო) დასახულ ამოცანას წარმატებით ართმევს თავს (სურ. 242).

ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების საწყის ეტაპზე, ქვეყანას ფაქტობრივად უკრიტიკოდ გაადმოჰქონდა საბჭოთა კავშირის გეგმიური ეკონომიკის მოდელი, რომელმაც უზრუნველყო ჩინეთის პროდუქტიულობისა და ეროვნული ეკონომიკის ზრდა, მაგრამ იმავდროულად წარმოქმნა უამრავი პრობლემა, რამაც დაარწმუნა ჩინეთის ხელისუფლება, რომ გამოწვევების გამკლავებისთვის, აუცილებელი იყო საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული სისტემისა და ინსტიტუტების შექმნა. ჩინეთმა დაიწყო რეფორმების გატარება, რომელიც საქონლის წარმოებისა და გაცვლის სტიმულირებაზე დაყრდნობით, მიზნად ისახავდა სასაქონლო (სამომხმარებლო) ეკონომიკის შექმნას. ამის შედეგად, ევოლუციური გზით, ჩამოყალიბდა ძლიერი საბაზრო ეკონომიკა. ჩინეთს სრულად არ გააუქმებია გეგმიური ეკონომიკის სისტემა და ინსტიტუტები. მან ხელი შეუწყო ძველი და ახალი სისტემებისა და ინსტიტუტების თანაარსებობასა და ურთიერთთავსებადობას. ამით მიაღწიეს სამთავრობო დაგეგმვასა და საბაზრო ფუნქციონირებას შორის წონასწორობას, რამაც შესაძლებელი გახადა სოციალური სტაბილურობის შენარჩუნება. გარდაქმნების დაწყების რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ჩინეთის ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები ახალ ეტაპზე გადადის. ეს გულისხმობს რეფორმების შემდგომ გაღრმავებას, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის გადამწყვეტ როლს რესურსების განაწილებაში.

სარტყელისა და გზის გლობალური ინიციატივა

ჩინეთის ხელისუფლების კონცეფციის თანახმად, ოფიციალური პეკინი სთავაზობს დანარჩენ მსოფლიოს თანამშრომლობის ახალ მოდელს – სარტყელისა და გზის ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს, სახმელეთო და საზღვაო აბრეშუმის გზის ეკონომიკური კორიდორების ფორმირებას: თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონების შექმნას, ერთიანი საგზაო ქსელების მშენებლობას, სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, სახალხო დიპლომატიის გააქტიურებას და ა.შ.

ნიშანდობლივია, რომ ამ ფართომასშტაბიანი ინიციატივაში, ეკონომიკური კორიდორის გასწვრივ მცხოვრები ადამიანების რაოდენობა სამ მილიარდს აჭარბებს. შესაბამისად, ახალი პროექტის ფარგლებში, წარმოქმნილი ახალი ბაზრების მასშტაბები და პოტენციალი უპრეცედენტო და უნიკალურია.

სარტყელისა და გზის საერთაშორისო აქტუალობას და მხარდაჭერას, ჩინეთის ისტაბლიშმენტი ხსნის იმით, რომ ეს ინიციატივა ეყრდნობა კონსულტაციებისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პრინციპებს, ჩართულობასა და ტრანსპარენტულობას, სადაც არ დომინირებს მხოლოდ ერთი მხარე და ექსკლუზიური წრეები. ოფიციალური პეკინი ასევე აცხადებს, რომ აღნიშნული ინიციატივა, არ არის მიმართული ერთიანი და იძულებითი რეჟიმების მშენებლობისკენ, არ იგეგმება უკვე არსებული ეკონომიკური სისტემების უგულვებელყოფა. ეს არის პრაგმატული ხასიათის ეკონომიკური თანამშრომლობის მოდელი, რაც უმთავრესად მიმართულია, მასში ჩართულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთსასარგებლო სავაჭრო ეკონომიკური კონტაქტების მუდმივი სტიმულირებისკენ.

ჩინეთის ხელისუფლების ხედვით, სარტყელისა და გზის იმპლემენტაციამ უნდა გაზარდოს ურთიერთმხარდაჭერა და მონაწილე ქვეყნების ეკონომიკების განვითარება, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მსოფლიოს მშვიდობის, ღიაობის, ინოვაციებისა და ჩართულობის გლობალური პროცესების უზრუნველყოფის საქმიანობაში. ამასთან, ამ პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის დამყარებას, მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობასა და კულტურულ მრავალფეროვნებას.

რაც შეეხება საზღვაო გზის ფორმირებას, აქ იგეგმება ჩინეთის დაკავშირება ევროპასთან სამხრეთ ჩინეთის ზღვისა და ინდოეთის ოკეანის გავლით, ხოლო მეორე გზით სამხრეთ ჩინეთის ზღვით წყნარი ოკეანის სამხრეთამდე.

ჩინეთის მხარის განცხადებით, აღნიშნული მარშრუტების ჩამოყალიბება-განვითარებაში პროექტში შემავალმა ყველა ქვეყანამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, რათა ერთობლივი ძალებით დროულად მოხდეს რეგიონალური მასშტაბით ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე ზრუნვა. ჩინეთის ხელისუფლება განმარტავს, რომ ინიციატივა ღიაა თანამშრომლობისთვის – ახალი პროექტი ფარავს, თუმცა არ იზღუდება ძველი აბრეშუმის გზის ქვეყნებით. იგი ღიაა ყველა სახელმწიფოსთვის, საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციისთვის. ამრიგად გაწეული სამუშაოების ეფექტით ისარგებლებს უფრო მეტი სუბიექტი.

2020 წლის ოფიციალური მონაცემების თანახმად, ვაჭრობა ჩინეთსა და ინიციატივაში მონაწილე სახელმწიფოებს შორის აღემატება 6 ტრილიონ აშშ დოლარს, ასევე აღნიშნულ ქვეყნებში განხორციელდა 110 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ჩინური ინვესტიცია, რამაც უზრუნველყო 300 ათასზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნა.

თანამედროვე რეალობაში, ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენა, არ წარმოადგენს მხოლოდ ტრანს-კონტინენტურ ეკონომიკურ მარშრუტებს, რომელზეც ტვირთების ტრანსპორტირება ხორციელდება და ტურისტები მიმოსვლა ხდება. ის ასევე არის, დიდი მასშტაბის მქონე დერეფანი კულტურათა, პოლიტიკური იდეოლოგიების და ცივილიზაციების ურთიერთგაცვლის კუთხით.

პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა

ჩინეთის საზოგადოება ერთხმად აღნიშნავს, რომ მთავარი ფაქტორი, რამაც უზრუნველყო ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმებისა პოლიტიკის წარმატება, არის პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის შენარჩუნება ქვეყანაში. როგორ შეძლო ეს ჩინეთმა, რომელსაც ჰყავს უდიდესი მოსახლეობა მსოფლიოში? ქვეყნის მოსახლეობა შედგება 56 ეთნიკური ჯგუფისაგან, სადაც აბსოლუტურ უმრავლესობას ხანელები შეადგენენ. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალიზებული და გაერ-

თიანებული მმართველობა, ქმნის ჩინეთის პოლიტიკური სტაბილურობის ქვაკუთხედს. ჩინეთის კომპარტია არის ერთადერთი მმართველი პარტია ქვეყანაში და მისი ხელმძღვანელობით მონაწილეობენ სხვა პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოს საქმიანობაში. ქვეყნის ყველა დონეზე ადგილობრივი ორგანიზაციების მეშვეობით, ჩინეთის კომპარტია ეფექტურად მართავს საზოგადოებას. მრავალი პოლიტოლოგი, მათ შორის დასავლეთში ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ დაარსებიდან 100 წლის განმავლობაში, ჩინეთის კომპარტიამ დააგროვა მდიდარი გამოცდილება ქვეყნის მართვის თვალსაზრისით. გარკვეული შეცდომების მიუხედავად, მათ შორის ყველაზე დრამატული „კულტურული რევოლუციის" ჩათვლით, ჩინეთის მმართველი ძალა ყოველთვის აღიარებდა გადახრებსა და შეცდომებს, გამოხატავდა გამოსწორების სურვილს და ამყლავნებდა ქმედითუნარიანობას, რის გამოც ჩინელი ხალხისაგან სულ უფრო მზარდ მხარდაჭერას იმსახურებდა. ჩინეთის კომპარტია და მთავრობა ყველა დონეზე პრიორიტეტს ანიჭებს სოციალურ სტაბილურობას და ამ კონტექსტში, ხელმძღვანელობს დევიზით: „ყველაფერზე მაღლა დგას სტაბილურობა". ჩინელ ხალხს ღრმად სწამს, რომ მყარი, სტაბილური საზოგადოების არსებობის გარეშე, შეუძლებელია რაიმე მნიშვნელოვანის მიღწევა.

ქვეყნის შთამბეჭდავ განვითარებასთან ერთად, დღის წესრიგში დგება რეფორმების გატარება მმართველ პარტიაში. ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანებულია 95 მილიონამდე ადამიანი. მისი უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა პარტიის ყრილობა, რომელიც იმართება ხუთ წელიწადში ერთხელ. ყრილობა ირჩევს პოლიტბიუროს წევრებსა და მუდმივმოქმედი კომიტეტის შემადგენლობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მმართველი პარტია სრულად აკონტროლებს სიტუაციას ქვეყანაში და იღებს გადაწყვეტილებას ყველა სტრატეგიულ საკითხზე, მთავრობას ეძლევა მეტი თავისუფლება როგორც ცენტრში, ასევე რეგიონებში.

ჩინეთში მუშათა და გლეხთა კლასისა და ინტელიგენციის ფენის გარდა, რეფორმების განვითარების შედეგად გაჩნდა საშუალო ფენა (კერძო მესაკუთრეთა ახალი სოციალური ფენა). თუ 2000 წელს საშუალო ფენის წარმომადგენელთა საერთო რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენდა, 2020 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა გადააჭარბა 50 პროცენტს და 700 მილიონ ადამიანზე

მეტს ითვლის. ისინი განკარგავენ და მართავენ 11 ტრილიონი იუანის (1.7 ტრილიონი აშშ დოლარი) მოცულობის კაპიტალს; იყენებენ ქვეყნის ტექნიკური პატენტების ნახევარს. ქვეყნის ბიუჯეტში იხდიან გადასახადების მოცულობის ერთ მესამედს. ყოველწლიურად უზრუნველყოფენ მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს სამუშაო ადგილებით. ამასთან, მონაწილეობენ ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათი დიდი ნაწილი არ არის კომუნისტური პარტიის წევრი.

გარდა ამისა, სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ჩინეთი ახორციელებს მასშტაბურ საორგანიზაციო სამუშაოებს: აფართოებს სოციალური მმართვის ორგანიზაციებს ყველა დონეზე – როგორც ქალაქებში, ასევე სოფლად. ჩინეთს ჰყავს სათანადოდ აღჭურვილი და მომზადებული პოლიცია და სამხედრო საპოლიციო ძალები, რომლებსაც გააჩნიათ უნარი, ეფექტურად აღუდგნენ და დაამარცხონ ნებისმიერი დივერსიული ელემენტი, დაიცვან სოციალური სტაბილურობა და წესრიგი. ჩინეთს გააჩნია საკმარისი ფისკალური რესურსი სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. მნიშვნელოვანი წვლილი სოციალურ სტაბილურობაში შეაქვს ჩინეთის ტრადიციულ კულტურულ ელემენტებს. ჩინეთის კულტურა ყველაზე მეტად აფასებს ჰარმონიასა და კეთილდღეობას ე.წ. „ოქროს შუალედს“.

ახალი ერა



სურ. 243 სი ძინფინგი

2013 წლიდან ჩინეთის პრეზიდენტმა, სი ძინფინგმა გაახმოვანა ქვეყნის განახლებული პოლიტიკურ პლატფორმა, „ჩინური ოცნება“ – ჩინური საზოგადოების დიდი გამოცოცხლება/გაჯანსაღება. „ჩინურ ოცნებას“ ხშირად აღწერენ როგორც „ორი 100“-ის რეალიზების გეგმას (სურ. 243). პირველი – ეს იყო ჩინეთის მატერიალური მიზანი, „საშუალოდ

შეძლებული საზოგადოება", რომელიც წარმატებით განხორციელდა 2021 წელს, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ასი წლის იუბილეზე და მეორე – 2049 წლისთვის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 100 წლის თავზე სოციალიზმის მოდერნიზაციის საფუძველზე, ჩინეთი უნდა გარდაიქმნას მდიდარ, ძლიერ, დემოკრატიულ, ცივილიზებულ და თანამედროვე სოციალისტურ სახელმწიფოდ.

„ჩინური ოცნების" კონცეფცია ოთხი ნაწილისგან შედგება:

- ძლიერი ჩინეთი (ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური, სამეცნიერო, სამხედრო კუთხით);
- ცივილური ჩინეთი (თანასწორობა და სამართლიანობა, მდიდარი კულტურა, მაღალი მორალური ღირებულებები);
- ჰარმონიული ჩინეთი (სოციალურ კლასებს შორის მეგობრობა);
- ლამაზი ჩინეთი (ჯანსაღი გარემო, ნაკლები დაბინძურება);

2018 წლის 5-დან 21 მარტის ჩათვლით, პეკინში გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის მე-13 მოწვევის ეპოქალური, პირველი სესია, რომელმაც კონსტიტუციაში შეიტანა ჩინეთის პრეზიდენტის, სი ძინფინგის იდეა – „ახალ ეპოქაში სოციალიზმის ჩინური სპეციფიკა", რომელიც ჩინეთის რეალობაში მარქსიზმის ადაპტირების განსაკუთრებული მაგალითია. აღსანიშნავია, რომ სი ძინფინგი არის ჩინეთის მესამე უმაღლესი პოლიტიკური ლიდერი, რომლის სახელი მაო წეტუნგისა და ტენგ სიაოფინგის შემდეგ აისახა ქვეყნის კონსტიტუციაში.

კონსტიტუციის მესამე თავს – „სახელმწიფოს სტრუქტურა" – დაემატა მუხლი „ზედამხედველობის კომისიის შესახებ". ეს კომისია აერთიანებს ანტიკორუფციულ რესურსებს, აფართოებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში კომპარტიის ცენტრალიზებულ და საერთო ხელმძღვანელობას და ქმნის ცენტრალიზებული, გაერთიანებული და ეფექტური ზედამხედველობის ქსელს. აღსანიშნავია, რომ მითითებული ზედამხედველობის კომისიები შეიქმნა როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეებზე. მის შემადგენლობას ამტკიცებს ეროვნული ან ადგილობრივი სახალხო კრება, რომლის წინაშე პასუხისმგებელია ზედამხედველობის კომისია. ეროვნული ზედამხედველობის ორგანო მეთვალყურეობას უწევს ადგილობრივ ზედამხედველობის სტრუქტურას. კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ „ჩინეთი იღებს ვალდებულებას, იყოს მშვიდობისა და განვითარების გზის, ურთიერთსასარგებლო და

ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის, გახსნილობისა და კაცობრიობისათვის საერთო მომავლის საზოგადოების მშენებლობის მიმდევარი". ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ახალ კონსტიტუციაში, ისევე როგორც ჩინეთის კომპარტიის წესდებაში ჩაიწერა: „საერთო ბედის გამზიარებელ ქვეყანათა თანამეგობრობის" დაფუძნება.

კონსტიტუციის პირველ მუხლს დაემატა წინადადება: „ჩინეთის კომუნისტური პარტია წარმოადგენს არსებით თავისებურებას სოციალიზმისათვის ჩინური სპეციფიკით", რითაც ანალიტიკოსების აზრით, კიდევ უფრო ძლიერდება ჩინეთის კომპარტიის ფუნდამენტალური, ყოვლისმომცველი და თანამედროვე როლი, ქვეყნის სრულ მართვასა და ხელმძღვანელობაში.

მიღებულ იქნა კონსტიტუციური შესწორებები, პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის ვადებთან დაკავშირებით. კონსტიტუციის ახალ რედაქციაში მოხდა არსებითი ცვლილება. კერძოდ, მანამდე არსებული ჩანაწერი: „პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობებზე ყოფნის პერიოდი არის ისეთივე, როგორიც ეროვნული ხალხთა ყრილობის უფლებამოსილების ხუთწლიანი ვადა და მათ შეუძლიათ აღნიშნული თანამდებობების დაკავება ორი თანმიმდევრული პერიოდით" – შეიცვალა ჩანაწერით: „პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობებზე ყოფნის ვადა არის ისეთივე, როგორც ეროვნული ხალხთა ყრილობის უფლებამოსილების ვადა". შესაბამისად, ახალი ჩანაწერით, ჩინეთის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ეძლევათ საშუალება თავიანთი პოსტები დაიკავონ უვადოდ.

ჩინელი ექსპერტების აზრით, შეზღუდვების მოხსნა ქვეყნის პირველი პირის თანამდებობის დაკავების ვადებთან დაკავშირებით „ხელს უწყობს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალიზებულ და ერთიან ხელმძღვანელობას, რომლის ბირთვს წარმოადგენს სი ძინფინგი". პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია, უზრუნველყოფს აზრთა მრავალფეროვნების მოქცევას ერთიან ჩარჩოში, რეფორმებთან დაკავშირებული ბრძოლის პირობებში. ჩინეთის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ამოცანის პრინციპულ ნაწილს, ქმნის ჩინეთის კომპარტიასა და ჩინეთის არაკომუნისტური პარტიებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება. ჩინეთში კომუნისტური პარტიის გარდა, ასევე ფუნქციონირებს რვა პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლებსაც გააჩნიათ პარტიული ნიშნები. აქ ძირითადად თავმოყრილნი არიან

მატერიკზე დაბრუნებული უცხოელი ჩინელები და ისინიც, რომლებსაც აქვთ მჭიდრო კავშირები ჩინურ დიასპორასთან უცხოეთში. ამასთან, ხაზგასმით აღინიშნება, რომ ჩინეთის პოლიტიკური სისტემა ვითარდება „მრავალპარტიული თანამშრომლობისა და პოლიტიკური კონსულტაციების" საფუძველზე, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩინეთის კომპარტია. მაშასადამე, აქ არ არის კონკურენცია, როგორც ეს მიღებულია დასავლეთში.

სი ძინფინგის შეფასებით, ჩინეთის პოლიტიკური სისტემის მიზანია ქვეყნის ყველა პარტია ერთობლივად ეძებდეს ჩინეთის მომავლისთვის საუკეთესო გზას. ზოგადად, ჩინეთის კომპარტიის მე-19 ყრილობისა და პარლამენტის მე-13 მოწვევის გადაწყვეტილებების მიზანი იყო არა სახელმწიფო მართვის „მობილიზირებული მოდელის" შექმნა, არამედ ჩინეთის კომპარტიის პოლიტიკური მმართველობის ეფექტურობის გაზრდა, რათა შენარჩუნებულ იქნას, პარტიის წამყვანი როლი ჩინეთის საზოგადოებაში, ახალი გამოწვევების პირობებში. ერთი მხრივ, ჩინეთის ხელმძღვანელობა ხაზს უსვამს, ეკონომიკური უფლებებისა და თავისუფლების აუცილებლობას სამეურნეო სუბიექტებისათვის, რაც მნიშვნელოვანია დამატებითი ინვესტიციების, მათ შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის. მეორე მხრივ, ამაში ხედავს ახალ გამოწვევებსა და რისკებს, რომელთა ნეიტრალიზებისათვის საჭიროა პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია.

2019 წლის გაზაფხულზე ჩინეთის მმართველმა პარტიამ მიიღო დოკუმენტი, სოციალისტური წყობის შენარჩუნება-სრულყოფასთან, ასევე სახელმწიფოს მმართველობითი სისტემისა და მისი პოტენციალის მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე. დოკუმენტი, რომელიც თავად ჩინეთის პრეზიდენტმა და პარტიის ლიდერმა, სი ძინფინგმა ნარადგინა, ერთხმად იქნა დამტკიცებული 23-ე ყრილობის მიერ. დადგენილებაში აღინიშნა, რომ 2035 წლისთვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დასრულდება ქვეყნის მმართველობითი სისტემის მოდერნიზაციის პროცესი.

პარტიულ დოკუმენტში აისახა შემდეგი ძირითადი თეზისები და ამოცანები:

- პარტიული ხელმძღვანელობის ინსტიტუციური სისტემის შენარჩუნება და სრულყოფა, მეცნიერული, დემოკრატიული და კანონზე დაფუძნებული ქვეყნის მმართველობის განხორციელების მიზნით.

- ინსტიტუციური სისტემის შენარჩუნება და სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს სოციალისტური დემოკრატიის პოლიტიკური წყობის მშენებლობას, სადაც ხალხია ქვეყნის ბატონ-პატრონი;
- სოციალისტური სამართლებრივი სისტემის შენარჩუნება და სრულყოფა ჩინური სპეციფიკით, პარტიის შესაძლებლობების გაფართოება და ქვეყნის მართვისას კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელება;
- სოციალისტური ადმინისტრაციული სისტემის შენარჩუნება და სრულყოფა ჩინური სპეციფიკით. უნდა შეიქმნას სამთავრობო მართვის სისტემა მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციებითა და ვალდებულებებით, რომელიც იმოქმედებს კანონის შესაბამისად;
- სოციალისტური ეკონომიკური სისტემის შენარჩუნება და სრულყოფა ჩინური სპეციფიკით, მაღალი ხარისხის ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;
- სოციალისტური კულტურის განვითარების სისტემის შენარჩუნება და სრულყოფა, ჩინელი ხალხის ბრძოლის იდეოლოგიური საფუძვლების განმტკიცების მიზნით;
- ჩინეთის ქალაქად და სოფლად მყოფი მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის სისტემის შენარჩუნება და სრულყოფა;
- სამართლიანი სოციალური მართვის სისტემის შენარჩუნება და სრულყოფა, რომელიც ჩინეთის ყველა მოქალაქეს ქვეყნის განვითარების შედეგებითა და სოციალური სტაბილურობით სარგებლობის საშუალებას;
- ეკოლოგიური ცივილიზაციის ინსტიტუციური სისტემის შენარჩუნება და სრულყოფა, ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული სინერგიის ხელშეწყობა;
- პარტიის მხრიდან ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის აბსოლუტური ხელმძღვანელობის შენარჩუნება და სრულყოფა, შეიარაღებული ძლების მიერ ახალი ეპოქის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა;
- „ერთი სახელმწიფოს და ორი წყობის“ სისტემის შენარჩუნება, ჰონგ-კონგსა და მაკაოში განვითარებისა და სტაბილურობის ხელშეწყობა და ჩინეთის მშვიდობიანი გაერთიანების პროცესის გაგრძელება.

- დამოუკიდებელი, თვითმყოფადი და მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის შენარჩუნება და სრულყოფა, კაცობრიობისთვის ერთიანი მომავლის თანამეგობრობის ფორმირება (community with a shared future for humanity);
- კონტროლის პარტიულ-სახელმწიფოებრივი სისტემის შენარჩუნება და სრულყოფა, მთავრობის ფუნქციონირების პროცესზე კონტროლის მექანიზმების გაძლიერება.

ჩინეთის რეაგირება COVID-19-ის პანდემიაზე



სურ. 244 კორონავირუსის კვლევა და პანდემიასთან ბრძოლა

გლობალური პანდემია, როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის ასევე ჩინეთისთვისაც იქცა მნიშვნელოვან გამოწვევად (სურ. 244).

პანდემიიდან გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პიკი, ჩინეთმა მხოლოდ მისი დაწყების პირველ თვეებში გადაიტანა, მაშინ როდესაც მსოფლიო მასშტაბით ვირუსი ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული. შედეგად, 2020 წელს, ჩინეთის ეკონომიკა 2.3 პროცენტით გაიზარდა და მსოფლიოს მსხვილ ეკონომიკებს შორის ერთადერთმა დააფიქსირა ზრდის მაჩვენებელი. აღნიშნული განაპირობა მძიმე მრეწველობის და მშენებლობის სექტორებმა. მასზე ასევე პოზიტიურად იმოქმედა გაზრდილმა ექსპორტმა. მთავარ საექსპორტო პროდუქციას პანდემიის დროს, წარმოადგენდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ელექტროტექნიკა.

ქვეყნის ხელისუფლების დროული და თანმიმდევრული ქმედებების, ასევე ჩინელი ხალხის მაღალი თვითშეგნების და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ჩინეთმა ეფექტურად გაატარა პრევენციული ზომები, არა მარტო მის ეპიცენტრში, ხუპეის პროვინციის ქ. უხანში, არამედ ქვეყნის მასშტაბით.

პოსტ-პანდემიურ მსოფლიოსა და გლობალიზაციის პერსპექტივებზე ოფიციალურ პეკინის ხედვები ასეთია:

- მსოფლიო აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც პანდემიამდე იყო. აუცილებელია გლობალიზაციის პროცესი გახდეს უფრო მეტად ინკლუზიური და ყველასათვის ხელმისაწვდომი. გლობალიზაცია მსოფლიოს განვითარების შეუქცევადი ტენდენციაა და იგი მძლავრი იმპულსია კაცობრიობის პროგრესისთვის. გლობალიზაციაზე უარის თქმა და პროტექციონიზმში დაბრუნება უფრსკრულისკენ მიმავალი გზაა.
- აუცილებელია მრავალმხრივი მიდგომის მტკიცედ დაცვა და განვითარება. პანდემიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არც ერთ სახელმწიფოს, რაოდენ ძლიერიც უნდა იყოს, არ ხელეწიფება მხოლოდ საკუთარი რესურსებით თავის დაცვა. თითის სხვისკენ გაშვერა და დადანაშაულება, დახმარების აღმოჩენის ნაცვლად, აზიანებს სხვა ქვეყნების ლეგიტიმურ უფლებებსა და ინტერესებს. გლობალური გამოწვევების მომძლავრების ფონზე მხოლოდ მრავალმხრივი მიდგომა და სოლიდარობის მაღალი დონე მისცემს საერთაშორისო თანამეგობრობას, გაერთიანებისა და კრიზისის დაძლევის საშუალებას.
- აუცილებელია გლობალური მართვის წერტილოვანი რეფორმა და სრულყოფა. პანდემიამ გამოავლინა სახელმწიფოთა ჯანდაცვის სისტემების პრობლემები, ასევე მსოფლიოში არსებული წარმოებისა და მიწოდების არხების სუსტი მხარეები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გაერომ და მისმა სპეციალიზებულმა სტრუქტურებმა, განსაკუთრებით კი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შეასრულოს თავისი ვალდებულებები. აუცილებელია მაკროპოლიტიკური კოორდინაციის გაძლიერება, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების განუხრელი დაცვა.
- პანდემიამ იქონია ნეგატიური გავლენა „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის (Belt and Road Initiative) ფარგლებში თანამშრომლობაზე. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, თანამშრომლობა აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, იქნება ბევრად უფრო მდგრადი, შედეგიანი და პერსპექტიული.
- „სარტყელისა და გზის“ ინიციატივის საფუძველში, მასში მონაწილე ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესები დევს. პანდემიის პერიოდში ევროპასთან ავიამიმოსვლის შეწყვეტის გამო სარკინიგზო-სატვირთო კონტეინერების რაოდენობა 24, ხოლო ტვირთბრუნვა მარშრუტით „ჩინეთი-ევროპა“ წინა წლებთან შედარებით 27 პროცენტით გაიზარდა. მარშრუტი, რომელზეც 8000 ტონაზე მეტმა ტვირთმა გაიარა, პან-

დემიის დროს, ნამდვილად იქცა ევროპისა და აზიის შემაერთებელ „სასიცოცხლო არტერიად".

გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის შედეგები

გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის შედეგად, XXI საუკუნეში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იქცა გლობალური მნიშვნელობის სახელწიფოდ და მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად.

ნიშანდობლივია, რომ 2021 წელს, ჩინეთის ეკონომიკა 8.1 პროცენტით გაიზარდა და 18 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტ-იმპორტმა პირველად გადააჭარბა 6 ტრილიონ აშშ დოლარს. ჩინეთის მშპ-მ ერთ სულ მოსახლეზე – 12 ათას 551 აშშ დოლარი შეადგინა, რაც მსოფლიო ბანკის შეფასებით, აღემატება საშუალო მაჩვენებელს და დაუახლოვდა მაღალი შემოსავლის სახელმწიფოების მონაცემებს.

2018-19 წლებში ქვეყნის უცხოურმა სავალუტო რეზერვებმა გადააჭარბა 3 ტრილიონ აშშ დოლარს, მაშინ როდესაც 1976 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 1.6 მილიარდ აშშ დოლარს.

2020 წლისთვის ჩინეთის წარმოების სექტორი გახდა უმსხვილესი მსოფლიოში. ქვეყანა იქცა „გლობალურ ქარხანად". რეფორმების დაწყების შემდეგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 0-დან 134 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, რაც მესამე მაჩვენებელია მსოფლიოში, ხოლო ჩინეთიდან საზღვარგარეთ პირდაპირი ინვესტიციები 0-დან 170 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ეს მეორე მაჩვენებელია, ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ.

საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, 500 ძირითადი ინდუსტრიული პროდუქციიდან, 220-ის უმსხვილესი მწარმოებელია ჩინეთი, მათ შორის: რკინის, ფოლადის, ქვანახშირის, ცემენტის, ელექტროლიტური ალუმინისა და გადამუშავებული სპილენძის. დამატებითი ღირებულების, ექსპორტის ღირებულებისა და ექსპორტის დამატებითი ღირებულების მიხედვით, ჩინეთის მაღალტექნოლოგიურმა ინდუსტრიამ უკვე გადაუსწრო აშშ-ს, რაც ნიშნავს იმას, რომ მაღალტექნოლოგიური წარმოებით ჩინეთი მიუახლოვდა წამყვან პოზიციებს.

2019 წლის GDP-ში ჩინეთის სოფლის მეურნეობის დამატებითი ღირებულების წილმა შეადგინა მხოლოდ 8.6%-პროცენტი, რაც ნიშნავს

იმას, რომ დასრულდა ჩინეთის აგრარული ქვეყნიდან, სამეწარმეო ქვეყნად ტრანსფორმირება. ურბანიზაციის დონემ მიაღწია 58 პროცენტს, ჩინეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სოფლიდან ქალაქებში გადავიდა საცხოვრებლად.

დინამიურად მატულობს ჩინელი ხალხს მსყიდველობითი უნარიანობა. ამაზე მიუთითებს საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს, მათი მასშტაბური დანახარჯები. გლობალური პანდემიის დაწყებამდე, 2019 წელს ჩინელმა ტურისტებმა მოგზაურობების დროს დახარჯეს დაახლოებით 268 მილიარდი აშშ დოლარი, რაც მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის ჭრილში, საერთო დანახარჯების 22 პროცენტს შეადგენს.

2010 წლიდან ჩინეთი არის მსოფლიოს რიგით მეორე უმსხვილესი იმპორტიორ ქვეყანა და მისი წილი გლობალურ იმპორტში აჭარბებს 12% პროცენტს. ნიშანდობლივია, რომ 2035 წლისთვის ჩინეთი გეგმავს 24 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციის იმპორტირებას.

ჩინეთი დინამიურად ანვითარებს ჩქაროსნული მატარებლების ქსელს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ჩინეთმა ააშენა მსოფლიოში ყველაზე დიდი ჩქაროსნული სარკინიგზო ქსელი, რომლის გავლენა სცილდება სარკინიგზო სექტორს და გამოიხატება ურბანული განვითარების მოდელის შეცვლაში, ტურიზმის გაზრდაში და რეგიონული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში. 2008 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, ქვეყანაში აშენდა 40 ათასი კილომეტრის სიგრძის ჩქაროსნული რკინიგზის ხაზები. ყოველწლიურად აღნიშნული მარშრუტებით, გადაადგილდება 2 მილიარდზე მეტი ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ერთი კილომეტრი ჩქაროსნული სარკინიგზო ხაზის მშენებლობის ღირებულება, რამდენიმე მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

ჩინეთში განხორციელებული სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროექტის მასშტაბი, შედარებულია ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობასთან. ქვეყნის ხელისუფლებამ დაახლოებით 300 მილიარდზე მეტი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა ჩქაროსნული სარკინიგზო ხაზების შესაქმნელად. შედეგად, დღეს ჩინეთის ჩქაროსნული სარკინიგზო ქსელი უფრო გრძელია, ვიდრე იაპონიასა და ევროპაში არსებული ჩქაროსნული სარკინიგზოს ხაზების საერთო სიგრძე.


1978 წლიდან 2020 წლამდე, 800 მილიონმა ჩინელმა შეძლო უკიდურესი სიღარიბის დაძლევა, რაც საყოველთაოდ აღიარებული

კიდევ ერთი უნიკალური მიღწევაა, ქვეყნის ეკონომიკური ტრანსფორმაციის დაწყების შემდეგ. აღნიშნულის ძირითადი ფაქტორები შემდეგია:

- ქალაქებში ყოველწლიურად იქმნება 12 მლნ. სამუშაო ადგილი. ქვეყანაში უმუშევრობის დონე დავიდა 5 პროცენტამდე.
- საგრძნობლად გამარტივდა განათლების მიღება, რამაც შეამცირა გაუნათლებლობის დონე 30-დან 3 პროცენტამდე. უმაღლესი განათლების მქონე მუშახელის წილი გაიზარდა – 0.5 პროცენტიდან 25 პროცენტამდე.
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სოციალური დაზღვევის სისტემა. მოსახლეობის 85 პროცენტზე მეტი სარგებლობს საბაზისო საპენსიო სისტემით, ხოლო 95 პროცენტი საბაზისო სამედიცინო დაზღვევით.
- მეთოდურად მცირდება სხვაობა, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შემოსავლებს შორის.

ჩინეთი მსოფლიო ლიდერია მრეწველობისა და ფინანსური პოტენციალის ზრდის ტემპებით; ქვეყანა გახდა ყველაზე მსხვილი მსოფლიო ექსპორტიორი და ნედლეულის რესურსების მომხმარებელი, აგრეთვე, კრედიტორი, მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობითა და ჯარით.

ჩინეთმა მიაღწია შთამბეჭდავ შედეგებს სახელმწიფოსა და ბაზრის როლის კოორდინირებაში. ეროვნული და რეგიონალური პროექტების განხორციელების დროს, სოციალისტურმა სისტემამ და ინსტიტუტებმა დაამტკიცეს მუშახელის, მატერიალური სახსრებისა და ფინანსური რესურსების გაერთიანების განსაკუთრებული ეფექტურობა.




სურ. 245 აღლუმი ჩინეთის სახელმწიფოებრიობის დღესასწაულთან დაკავშირებით

აზია იქცა გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებების მთავარ ასპარეზად, სადაც გადაინაცვლა მსოფლი-

ოს ეკონომიკურმა ცენტრმა. აზიაში მდებარეობს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით მსოფლიოს წამყვანი ხუთი სახელმწიფოდან სამი: ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია. აგრეთვე, ბირთვული იარაღის მქონე ცხრა ქვეყნიდან – ექვსი. საერთაშორისო ექსპერტები უკვე პროგნოზირებენ, რომ 2030 წლისთვის აზიის წილი მსოფლიო ეკონომიკაში გაიზრდება 65 პროცენტამდე. წამყვან ძალად კი გვევლინება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (სურ. 245; სურ. 246). 2010-2020 წლებში ამ უძველესი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფომ შეძლო, ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლების გაორმაგება მაშინ, როდესაც იგივე პროცესს შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა მეცხრამეტე საუკუნეში, ინდუსტრიალიზაციის დროს ნახევარი საუკუნე მოანდომეს.

ჩინეთში დაწყებული ტრანსფორმაციის პარალელურად, დამკვიდრდა აზრი იმის თაობაზე, რომ ქვეყანა თანდათანობით გადავიდოდა დასავლურ რელსებზე. მაგალითად, საბაზრო ეკონომიკას დემოკრატიზაცია მოჰყვებოდა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მეტი თავისუფლება მიენიჭებოდათ. გამოჩნდა, რომ ასეთი გათვლები არასწორი იყო.



სურ. 246 ჩინეთის თანამედროვე ქალაქების ხედები

საკითხი აქ გაცილებით ღრმაა და დასავლური ტიპის დემოკრატიის პრობლემით, მედიის თავისუფლებითა და ადამიანის უფლებებით არ შემოიფარგლება. ჩინეთი დასავლეთი არ არის და ასეთი არც არასდროს გახდება. ძირითადი არგუმენტი შემდეგია, რომ მოდერნიზაციის პროცესს აუცილებლად მოჰყვება ჩინეთის „გადასავლურება". თუმცა, მოდერნიზაციის ფორმირება არა მხოლოდ ბაზრების, კონკურენციისა და ტექნოლოგიების, არამედ ისტორიისა და კულტურის დახმარებითაც ხორციელდება. ჩინეთის ისტორია და კულტურა კი მნიშვნელოვნად განსხვავდება ნებისმიერი დასავლური სახელმწიფოსგან. ძირითადი მიზეზი, რის გამოც ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი სახელმწიფოების მხრიდან, ჩინეთის მომავალზე სწორი პროგნოზები არ კეთდებოდა იყო ის, რომ ჩინეთის წარსულის შესახებ მწირი ინფორმაცია ჰქონდათ. მართალია, ჩინეთი საკუთარ თავს ეროვნულ სახელმწიფოს უწოდებს, მაგრამ სინამდვილეში ის სახელმწიფო-ცივილიზაციაა. ჩინეთში მსოფლიოში ყველაზე უწყვეტი მმართველობის ფორმა არსებობდა, რომელიც ძვ. წ. 221 წელს ცინის დინასტიის გამარჯვების შემდეგ წარმოიქმნა. მრავალი ნაციონალური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ჩინელთა იდენტობა სახელმწიფო-ცივილიზაციის ხანგრძლივ ისტორიას ეფუძნება.

ბევრი სახის ცივილიზაცია არსებობს, მაგრამ ჩინეთი მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო-ცივილიზაციაა. მისი გამორჩეული მახასიათებლებია: ხანგრძლივი ისტორია, განსაკუთრებული გეოგრაფიული და დემოგრაფიული მასშტაბები და მრავალფეროვნება. ამის შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია. ჩინეთის მთავარი პრიორიტეტი მისი ერთიანობაა, ხოლო მრავალრიცხოვნება მრავალფეროვნებაში მისი არსებობის ფორმაა. სწორედ ამიტომ შეძლო ჩინეთმა ჰონგ-კონგისთვის ასეთი ფორმულის შეთავაზება – „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა", რაც უცხოა ნაციონალური სახელმწიფოსთვის.

ჩინეთის სახელმწიფოს, დასავლური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საზოგადოებასთან სხვაგვარი ურთიერთობები აქვს. ის ბუნებრივი ავტორიტეტით, ლეგიტიმურობითა და პატივისცემით სარგებლობს. მიზეზი ის არის, რომ ჩინელები სახელმწიფოში „გუშაგს" და საკუთარი ცივილიზაციის განსახიერებას ხედავენ. სახელმწიფოს მოვალეობა მისი ერთიანობის დაცვაა. შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობა, ჩინეთის ისტორიის სიღრმეებიდან მოდის და ამით ჩინეთი რადიკალურად განსხვავდება იმ წარმოდგენებისგან, რომლებიც

ბევრი ქვეყნის საზოგადოებებში სახელმწიფოზე არსებობს. თითოეულ რეფორმას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლება ატარებს თანამიმდევრულად, რათა მოსახლეობისთვის გასაგები და ადვილად აღქმადი იყოს, ამა თუ იმ ცვლილების არსი და მნიშვნელობა.

ჩინეთის რეფორმების დაწყებიდან 40 წელზე მეტია გასული. ეს საკმარისი პერიოდია შედეგების შესაფასებლად და გარდაქმნების სპეციფიციკისა და მისი უნივერსალიზმის გამოსავლენად. სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით" წარმატების კიდევ ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩინეთის ლიდერებმა ზედმიწევნით გაანალიზეს ხალხის მოთხოვნები და ანგარიში გაუწიეს მოსახლეობის მენტალიტეტს, რაც უმეტეს შემთხვევაში კონფუცის სწავლებებზეა დაფუძნებული. ტენგ სიაოფინგმა ჩამოაყალიბა პრაქტიკის აღქმა, როგორც „ჭეშმარიტების ერთადერთი კრიტერიუმი", რამაც დიდი გავლენა მოახდინა რეფორმების წარმატებაზე. ჩინეთის ტრანსფორმაციას, ხელი შეუწყო რეფორმატორების გუნდის პრაგმატიზმმა, რაციონალიზმმა და უსაზღვრო მოთმინების უნარმა. ეს თვისებები ჩინელ ხალხს ისტორიულად ახასიათებთ.

ჩინეთის ადმინისტრაციული დაყოფა

ჩინეთი იყოფა 34 ადმინისტრაციულ ერთეულად:
23 პროვინცია (省); 5 ავტონომიური რეგიონი (自治区); 4 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი (直辖市); 2 სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი (特别行政区).

23 პროვინცია (省):

- ჩრდილოეთი (华北): ხეპეი (河北 Hebei), შანსი (山西 Shanxi);
- ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი (东北): ლიაონინგი (辽宁 Liaoning), ძილინი (吉林 Jilin), ხეილუნგძიანგი (黑龙江 Heilongjiang);
- ჩრდილოეთ-დასავლეთი (西北): შაანსი (陕西 Shanxi/Shaanxi), განსუ (甘肃 Gansu), ცინგხაი (青海 Qinghai);
- აღმოსავლეთი (华东): შანტუნგი (山东 Shandong), ძიანგსუ (江苏 Jiangsu), ჭეძიანგი (浙江 Zhejiang), ანხუეი (安徽 Anhui), ძიანგსი (江西 Jiangxi);
- სამხრეთ-აღმოსავლეთი (东南): ფუძიენი (福建 Fujian), თაივანი (台湾 Taiwan);
- სამხრეთ-დასავლეთი (西南): სჩუანი (四川 Sichuan), კუეიჭოუ (贵州 Guizhou), იუნნანი (云南 Yunnan);
- ცენტრალური (华中): ხენანი (河南 Henan), ხუპეი (湖北 Hubei), ხუნანი (湖南 Hunan) ;
- სამხრეთი (华南): კუანგტუნგი (广东 Guangdong), ხაინანი (海南 Hainan).

5 ავტონომიური რეგიონი (自治区):

- ჩრდილოეთი (华北): შიდა მონღოლეთის ავტონომიური რეგიონი (内蒙古自治区 Neimenggu Zizhiqu);
- ჩრდილოეთ-დასავლეთი (西北): სინძიანგ-უიღურეთის ავტონომიური რეგიონი (新疆维吾尔自治区 Xinjiang-Weiwu'er Zizhiqu), ნინგსია-ხუეის ავტონომირუი რეგიონი (宁夏回族自治区 Ningxia Huizu Zizhiqu);

❖ სამხრეთი (华南): კუანგსი-ჭუანგის ავტონომიური რეგიონი (广西壮族自治区 Guangxi-Zhuangzu Zizhiqu);
❖ სამხრეთ-დასავლეთი (西南): ტიბეტის ევტონომიური რეგიონი (西藏自治区 Xizang Zizhiqu).

4 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი (直辖市):
პეკინი/პეიძინგი (北京Beijing), თიენძინი (天津Tianjin), შანგხაი (上海 Shanghai), ჩუნგცინგი (重庆 Chongqing).

2 სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი (特别行政区):
❖ ჰონგ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი (香港特别行政区 Xianggang Tebie Xingzhengqu);
❖ აომენის (მაკაოს) სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი (澳门特别行政区 Aomen Tebie Xingzhengqu).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რუკა



ჩინეთის ისტორიის ქრონოლოგიური ცხრილი

სიას დინასტია 夏			ძვ.წ. 2070-1600
შანგის დინასტია 商			ძვ.წ. 1600-1046
ჭოუს დინასტია 周	დასავლეთი ჭოუ 西周		ძვ.წ. 1046-771
	აღმოსავლეთი ჭოუ 东周	გაზაფხულისა და შემოდგომის პერიოდი (ჩუნციოუ) 春秋	ძვ.წ. 770-476
		მებრძოლი სამეფოების პერიოდი (ჭანკუო) 战国	ძვ.წ. 475-221
ცინის დინასტია 秦			ძვ.წ. 221-206
ხანის დინასტია 汉	დასავლეთი ხანი 西汉		ძვ.წ. 206-ახ.წ. 25
	აღმოსავლეთი ხანი 东汉		25-220
სამი სამეფო 三国	ვეი 魏		220-265
	შუ 蜀		221-263
	უ 吴		222-280
ძინი 晋	西晋 დასავლეთი ძინი		265-317
	东晋 აღმოსავლეთი ძინი		317-420
16 სამეფო 十六国			304-439
სამხრეთისა და ჩრდილოეთის დინასტიები 南北朝	სამხრეთის დინასტიები 南朝	სუნგი 宋	420-479
		ცი 齐	479-502
		ლიანგი 梁	502-557
		ჩენი 陈	557-589
	ჩრდილოეთის დინასტიები 北朝	ჩრდილოეთი ვეი 北魏	386-534
		დასავლეთი ვეი 西魏	535-556
		აღმოსავლეთი ვეი 东魏	534-550
		ჩრდილოეთი ცი 北齐	550-577
		ჩრდილოეთი ჭოუ 北周	557-581

სუეის დინასტია 隋			581-618
თანგის დინასტია 唐			618-907
ხუთი დინასტია და ათი სამეფო 五代十国	ხუთი დინასტია 五代	გვიანი ლიანგი 后梁	907-923
		გვიანი თანგი 后唐	923-936
		გვიანი ძინი 后晋	936-947
		გვიანი ხანი 后汉	947-950
		გვიანი ჭოუ 后周	951-960
	ათი სამეფო 十国		902-979
სუნგის დინასტია 宋	ჩრდილოეთი სუნგი 北宋		960-1127
	სამხრეთი სუნგი 南宋		1127-1279
იუენის დინასტია 元			1271-1368
მინგის დინასტია 明			1368-1644
ცინგის დინასტია 清			1644-1911
ჩინეთის რესპუბლიკა 中华民国			1912-1949
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა 中华人民共和国			1949 -

ჩინეთის ხელისუფალთა მმართველობის ქრონოლოგიური ცხრილები[1]

სიას დინასტია 夏

იუ	禹
ცი	启
თაი ქანგი	太康
ჭუნგ ქანგი	仲康
სიანგი (სიანგ-ანი)	相 (相安)
შაო ქანგი	少康
ჭუ	杼
ხუაი	槐
მანგი	芒
სიე	泄
პუ სიანგი	不降 (降)
ძიუნგი	扃
ინ ძია (ძინი)	胤甲 (庶)
ქუნგ ძია	孔甲
კაო	皋
ფა	发
კუეი (ძიე)	癸(桀)

შანგის დინასტია 商

ჩენგ თანგი (შანგ თანგი)	成汤 (商汤)
თაი ტინგი	太丁
ვაი პინგი	外丙
ჭუნგ ჟენი	仲壬
თაი ძია	太甲
ვო ტინგი	沃丁
თაი კენგი	太庚
სიაო ძია	小甲
იუნგ ძი	雍己

[1] აქ წარმოდგენილია პოსტ-იმპერიულ პერიოდამდე ხელისუფალთა მმართველობის ქრონოლოგიური ცხრილები.

თაი უ		太戊
ჭუნგ ტინგი		仲丁
ვაი ჟენი		外壬
ხე ტან ძია		河亶甲
წუ ი		祖乙
წუ სინი		祖辛
ვო ძია		沃甲
წუ ტინგი		祖丁
ნან კენგი		南庚
იანგ ძია		阳甲
ძვ. წ. 1313-1286 ძვ. წ. 1300 *(დედაქალაქის გადატანა)*	ფან კენგი	盘庚
ძვ. წ. 1285-1272	სიაო სინი	小辛
ძვ. წ. 1271-1251	სიაო ი	小乙
ძვ. წ. 1250-1192	უ ტინგი	武丁
წუ კენგი		祖庚
წუ ძია		祖甲
ძვ. წ. 1191-1148	ლინ სინი	廪辛
ქანგ ტინგი		康丁
ძვ.წ. 1147-1113	უ ი	武乙
ძვ.წ. 1112-1102	ვენ ტინგი (თაი ტინგი)	文丁 (太丁)
ძვ.წ. 1101-1076	ტი ი	帝乙
ძვ.წ. 1075-1046	ტი სინი (ჭოუ ვანგი)	帝辛 (纣王)

ჭოუს დინასტია 周
დასავლეთი ჭოუ 西周

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
ძვ. წ. 1046-1043	უ ვანგი	武王	ძი ფა	姬发
ძვ. წ. 1042-1021	ჩენგ ვანგი	成王	ძი სუნგი	姬诵
ძვ. წ.1020-996	ქანგ ვანგი	康王	ძი ჭაო	姬钊
ძვ. წ. 995-977	ჭაო ვანგი	昭王	ძი სია	姬瑕
ძვ. წ. 976-922	მუ ვანგი	穆王	ძი მანი	姬满

ძვ. წ. 922-900	კუნგ ვანგი	共王	ძი იხუ	姬繁扈
ძვ. წ. 899-892	ი ვანგი	懿王	ძი ძიენი	姬黯
ძვ. წ. 891-886	სიაო ვანგი	孝王	ძი პიფანგი	姬辟方
ძვ. წ. 885-878	ი ვანგი	夷王	ძი სიე	姬燮
ძვ. წ. 877-841	ლი ვანგი	厉王	ძი ხუ	姬胡
ძვ. წ. 841-828	კუნგ ხე (ერთობლივი მმართველობა, ზეობის სახელი)	共和行政	ჭაო კუნგი, ჭოუ კუნგი 召公 (召穆公)、周公 (周定公)	
ძვ. წ. 827-782	სიუენ ვანგი	宣王	ძი ძინგი	姬静
ძვ. წ. 781-771	იოუ ვანგი	幽王	ძი კუნგშენგი	姬宫涅

აღმოსავლეთი ჭოუ 东周

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
ძვ. წ. 770-720	ფინგ ვანგი	平王	ძი იძიოუ	姬宜臼
ძვ. წ. 719-697	ხუან ვანგი	桓王	ძი ლინი	姬林
ძვ. წ. 696-682	ჭუანგ ვანგი	庄王	ძი თუო	姬佗
ძვ. წ. 681-677	სი ვანგი	釐王	ძი ხუცი	姬胡齐
ძვ. წ. 676-652	ხუეი ვანგი	惠王	ძი ლანგი	姬阆
ძვ. წ. 651-619	სიანგ ვანგი	襄王	ძი ჭენგი	姬郑
ძვ. წ. 618-613	ცინგ ვანგი	顷王	ძი ჟენჩენი	姬壬臣
ძვ. წ. 612-607	ქუანგ ვანგი	匡王	ძი პანი	姬班
ძვ. წ. 606-586	ტინგ ვანგი	定王	ძი იუ	姬瑜
ძვ. წ. 585-572	ძიენ ვანგი	简王	ძი ი	姬夷
ძვ. წ. 571-545	ლინგ ვანგი	灵王	ძი სიესინი	姬泄心
ძვ. წ. 544-521	ძინგ ვანგი	景王	ძი კუეი	姬贵
ძვ. წ. 520	ტაო ვანგი	悼王	ძი მენგი	姬猛
ძვ. წ. 519-477	ძინგ ვანგი	敬王	ძი კაი	姬匄
ძვ. წ. 476-469	იუენ ვანგი	元王	ძი ჟენი	姬仁
ძვ. წ. 468-441	ჭენ ტინგ ვანგი	贞定王	ძი ძიე	姬介
ძვ. წ. 441	აივანგი	哀王	ძი ციუძი	姬去疾
ძვ. წ. 441	სპი ვანგი	思王	ძი შუ	姬叔
ძვ. წ. 440-426	ქაო ვანგი	考王	ძი ვეი	姬嵬

ძვ. წ. 425-402	ვეილიე ვანგი	威烈王	ძი უ	姬午
ძვ. წ. 401-376	ან ვანგი	安王	ძი ძიაო	姬骄
ძვ. წ. 375-369	ლიე ვანგი	烈王	ძი სი	姬喜
ძვ. წ. 368-321	სიენ ვანგი	显王	ძი პიენი	姬扁
ძვ. წ. 320-315	შენძინგ ვანგი	慎靓王	ძი ტინგი	姬定
ძვ. წ. 314-256	ნან ვანგი	赧王	ძი იენი	姬延
ძვ. წ. 256-249	შუნ ვანგი	顺王	ძი ძიე	姬杰

ცინის დინასტია 秦

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
ძვ. წ. 221-210	ში ხუანგტი (ცინ შიხუანგტი)	始皇帝 (秦始皇帝)	ინგ ჭენგი	嬴政
ძვ. წ. 209-207	ერში ხუანგტი	二世皇帝	ინგ ხუხაი	嬴胡亥
ძვ. წ. 207	ცინ ვანგი	秦王	ინგ წიინგი	嬴子婴

ხანი 汉
დასავლეთი ხანი 西汉

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
ძვ. წ. 206-195	კაო წუ ხუანგტი 高祖皇帝 ხან კაოტი 汉高帝 სატაძრო სახელი: თაი წუ 太祖		ლიოუ პანგი	刘邦
ძვ. წ. 194-188	ხუეი ტი	惠帝	ლიოუ ინგი	刘盈
ძვ. წ. 187-180	კაო წუ ხუანგხოუ	高祖皇后	ლიუ ჭი	吕雉
ძვ. წ. 179-157	ვენ ტი	文帝	ლიოუ ხენგი	刘恒
ძვ. წ. 156-141	ძინგ ტი	景帝	ლიოუ ცი	刘启
ძვ. წ. 140-87	უ ტი 武帝 სატაძრო სახელი: ში წუნგი 世宗		ლიოუ ჩე	刘彻
ძვ. წ. 86-74	ჭაო ტი	昭帝	ლიოუ ფულინგი	刘弗陵

ძვ. წ. 73-49	სიუენ ტი	宣帝	ლიოუ სი-უნი	刘询
ძვ. წ. 48-33	იუენ ტი	元帝	ლიოუ ში	刘奭
ძვ. წ. 32-7	ჩენგ ტი	成帝	ლიოუ აო	刘骜
ძვ. წ. 6–1	აი ტი	哀帝	ლიოუ სინი	刘欣
1-5	ფინგ ტი	平帝	ლიოუ ქანი	刘衎
6-8	ჟუნი ინგი	孺子婴	ლიოუ ინგი	刘婴
9-23	სინ ხუანგტი	新皇帝	ვანგ მანგი	王莽
23-25	კენგ ში ტი (ხუაი იანგ ვანგი)	更始帝 (淮阳王)	ლიოუ სი-უენი	刘玄

ალმოსავლეთი ხანი 东汉

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
25-57	კუანგ უ ტი	光武帝	ლიოუ სიოუ	刘秀
58-75	მინგ ტი	明帝	ლიოუ ჭუანგი	刘庄
76-88	ჭანგ ტი	章帝	ლიოუ ტა	刘炟
89-105	ხე ტი	和帝	ლიოუ ჭაო	刘肇
106	შანგ ტი	殇帝	ლიოუ ლუნგი	刘隆
107-125	ან ტი	安帝	ლიოუ ხუ	刘祜
125	შაო ტი	少帝	ლიოუ ი	刘懿
126-144	შუნ ტი	顺帝	ლიოუ პაო	刘保
145	ჩუნგ ტი	冲帝	ლიოუ პინგი	刘炳
146	ჭი ტი	质帝	ლიოუ ნუანი	刘缵
147-167	ხუან ტი	桓帝	ლიოუ ჭი	刘志
168-189	ლინგ ტი	灵帝	ლიოუ ხუნგი	刘宏
189	შაო ტი	少帝	ლიოუ პიენი	刘辩
189-220	სიენ ტი	献帝	ლიოუ სიე	刘协

სამი სამეფო 三国

ვეი 魏

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
220-226	ვენ ტი	文帝	ცაო ფი	曹丕
227-239	მინგ ტი	明帝	ცაო ჟუი	曹叡
240-254	ცი ვანგი	齐王	ცაო ფანგი	曹芳
254-260	კაო კუეი სიანგ კუნგი	高贵乡公	ცაო მაო	曹髦
260-265	იუენ ტი	元帝	ცაო ხუანი	曹奂

შუ 蜀

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
221-223	ჭაო ლიე ტი	昭烈帝	ლიოუ პეი	刘备
223-263	ხოუ ჭუ	后主	ლიოუ შანი	刘禅

უ 吴

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
222-252	ტა ტი	大帝	სიუნ ცი-უენ	孙权
252-258	ქუაი ძი ვანგი	会稽王	სუნ ლი-ანგი	孙亮
258-264	ძინგ ტი	景帝	სუნ სიოუ	孙休
264-280	უ ჩენგხოუ	乌程侯	სუნ ხაო	孙皓

ძინი 晋

დასავლეთი ძინი 西晋

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
265-290	უ ტი	武帝	სმა იენი	司马炎
290--306	ხუეი ტი	惠帝	სმა ჭუნგი	司马衷

307-313	ხუაი ტი	怀帝	სმა ჩი	司马炽
313-317	მინ ტი	愍帝	სმა იე	司马邺

აღმოსავლეთი ძინი 东晋

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
317-322	იუენ ტი	元帝	სმა ჟუეი	司马睿
322-325	მინგ ტი	明帝	სმა შაო	司马绍
325-342	ჩენგ ტი	成帝	სმა იენი	司马衍
343-344	ქანგ ტი	康帝	სმა იუე	司马岳
345-361	მუ ტი	穆帝	სმა ტანი	司马聃
362-365	აი ტი	哀帝	სმა ფი	司马丕
366-371	ფეი ტი (ხაი სი კუნგი)	废帝 (海西公)	სმა ი	司马奕
371-372	ძიენ ვენ ტი	简文帝	სმა იუ	司马昱
373-396	სიაო უ ტი	孝武帝	სმა იაო	司马曜
397-418	ან ტი	安帝	სმა ტეწუნ-გი	司马德宗
419-420	კუნგ ტი	恭帝	სმა ტეევენ	司马德文

16 სამეფო 十六国

დაარსების წელი	სამეფო		დამაარსებელი	
304	ჩენგ ხანი	成汉	ლი თე, ლი სიუნგი	李特、李雄
304	ადრეული ჭაო	前赵	ლიოუ იუე-ნი, ლიოუ იაო	刘渊、刘曜
319	გვიანი ჭაო	后赵	ში ლე	石勒
337	ადრეული იენი	前燕	მუჟუნგ ხუანგი	慕容皝
320	ადრეული ლიანგი	前凉	ჭანგ კუეი	张轨
351	ადრეული ცინი	前秦	ფუ ძიენი	苻坚
384	გვიანი ცინი	后秦	იაო ჩანგი	姚苌

384	გვიანი იენი	后燕	მუჟუნგ ჩუეი	慕容垂
385	დასავლეთი ცინი	西秦	ციფუ კუო-ჟენი	乞伏国仁
386	გვიანი ლიანგი	后凉	ლიუ კანგი	吕光
397	ჩრდილოეთი ლიანგი	北凉	ტუან იე, ძიუციუ მენგსიუნი	段业、沮渠蒙逊
397	სამხრეთ ლიანგი	南凉	თუფა უქუ	秃发乌孤
398	სამხრეთ იენი	南燕	მუჟუნგ ტე	慕容德
400	დასავლეთ ლიანგი	西凉	ლი კაო	李暠
407	სია	夏	ხელიენ პოპო	赫连勃勃
409	პეი იენი	北燕	ფენგ პა	冯跋

სახმრეთისა და ჩრდილოეთის დინასტიები 南北朝
სამხრეთის დინასტიები 南朝
(ლიოუ) სუნგი (刘) 宋

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
420-422	უ ტი	武帝	ლიოუ იუ	刘裕
423-424	შაო ტი	少帝	ლიოუ იფუ	刘义符
424-453	ვენ ტი	文帝	ლიოუ ილუნ-გი	刘义隆
454-464	სიაო-უ ტი	孝武帝	ლიოუ ძიუნი	刘骏
465	ციენ ფეიტი	前废帝	ლიოუ ნიე	刘子业
465-472	მინგ ტი	明帝	ლიოუ იუ	刘彧
473-477	ხოუ ფეიტი	后废帝	ლიოუ იუ	刘昱
477-479	შუნ ტი	顺帝	ლიოუ ჭუნი	刘準

ცი 齐

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
479-482	კაო ტი	高帝	სიაო ტაო-ჩენგი	萧道成
483-493	უ ტი	武帝	სიაო წე	萧赜
494	ფეი ტი (იულინ ვანგი)	郁林王	სიაო ჭაოიე	萧昭业
494	ფეი ტი (ხაილინგ ვანგი)	海陵王	სიაო ჭაო-ვენი	萧昭文
494-498	შინგ ტი	明帝	სიაო ლუანი	萧鸾
499-501	ტუნგხუნ ხოუ	东昏侯	სიაო პაოძი-უენი	萧宝卷
501-502	ხე ტი	和帝	სიაო პაო-ჟუნგი	萧宝融

ლიანგი 梁

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
502-549	უ ტი	武帝	სიაო იენი	萧衍
550-551	ძიენვენ ტი	简文帝	სიაო კანგი	萧纲
552-554	იუენ ტი	元帝	სიაო ი	萧绎
555-557	ძინგ ტი	敬帝	სიაო ფანგჭი	萧方智

ჩენი 陈

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
557-559	უ ტი	武帝	ჩენ პასიენი	陈霸先
560-566	ვენ ტი	文帝	ჩენ ციენი	陈蒨
567-568	ფეი ტი	废帝	ჩენ პო-ნუნგი	陈伯宗
569-582	სიუენ ტი	宣帝	ჩენ სიუ	陈顼
583-589	ხოუ ჭუ	后主	ჩენ შუპაო	陈叔宝

ჩრდილოეთის დინასტიები 北朝

ჩრდილეოთი ვეი 北魏

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
386-409	ტაო-უ ტი	道武帝	თუოპა კუეი	拓跋珪
409-423	მინგიუენ ტი	明元帝	თუოპა სპი	拓跋嗣
424-452	თაი-უ ტი	太武帝	თუოპა თაო	拓跋焘
452	ნან-ან ვანგი	南安王	თუოპა იუ	拓跋余
452-465	ვენჩენგ ტი	文成帝	თუოპა ძიუნი	拓跋濬
466-471	სიენვენ ტი	献文帝	თუოპა ხუნგი	拓跋弘
471-499	სიაოვენ ტი	孝文帝	თუოპა ხუნგი	拓跋宏
500-515	სიუენ-უ ტი	宣武帝	თუოპა ქე	拓跋恪
516-528	სიაომინგ ტი	孝明帝	თუოპა სიუ	拓跋诩
528-530	სიაოჭუანგ ტი	孝庄帝	თუოპა ნიიოუ	拓跋子攸
530-531	ჩანგკუანგ ვანგი	长广王	თუოპა იე	拓跋晔
531-532	ძიემინ ტი	节闵帝	თუოპა კუნგი	拓跋恭
531	ანტინგ ვანგი	安定王	თუოპა ლანგი	拓跋朗
532-534	სიაო-უ ტი	孝武帝	თუოპა სიოუ	拓跋脩

დასავლეთი ვეი 西魏

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
535-551	ვენ ტი	文帝	იუენბაო ძიუ	元宝炬
552-553	ფეი ტი	废帝	იუენბაო ცინი	元宝钦
554-556	კუნგ ტი	恭帝	იუენ ქუო	元廓

აღმოსავლეთი ვეი 东魏

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
534-550	სიაოძინგ ტი	孝静帝	იუენ შანძიენი	元善见

ჩრდილოეთი ცი 北齐

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
550-559	ვენსიუენ ტი	文宣帝	კაო იანგი	高洋
560	ფეი ტი	废帝	კაო ინი	高殷
560-561	სიაოჭაო ტი	孝昭帝	კაო იენი	高演
561-565	უჩენგ ტი	武成帝	კაო ჭანი	高湛
565-576	ხოუ ჭუ	后主	კაო ვეი	高纬
577	იოუ ჭუ	幼主	კაო ხენგი	高恒

ჩრდილეოთი ჭოუ 北周

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
557	სიაო მინ ტი	孝闵帝	იუვენ ძიუე	宇文觉
557-560	მინგ ტი	明帝	იუვენ იუნგი	宇文毓
561-578	უ ტი	武帝	იუვენ იუნგი	宇文邕
579	სიუენ ტი	宣帝	იუვენ იუნი	宇文赟
579-581	ძინგ ტი	静帝	იუვენ ჩანი	宇文阐

სუეის დინასტია 隋

მმართველობის წლები	გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
581-604	ვენ ტი	文帝	იანგ ძიენი	杨坚
605-618	იანგ ტი	炀帝	იანგ კუანგი	杨广
617-618	კუნგ ტი	恭帝	იანგ იოუ	杨侑

თანგის დინასტია 唐

მმართველობის წლები	სატაძრო სახელი		პირადი სახელი	
618-626	კაო წუ	高祖	ლი იუენი	李淵
627-649	თაი წუნგი	太宗	ლი შიმინი	李世民
650-683	კაო წუნგი	高宗	ლი ჭი	李治
684	ჭუნგ წუნგი	中宗	ლი სიენი	李显
684	ჟუეი წუნგი	睿宗	ლი ტანი	李旦
684-690	უ ხოუ	武后	უ ზეთიენი (უ ჭაო)	武則天 (武曌)
690-704			უ ზეთიენი (უ ჭაო)	武則天 (武曌) *იმპერატორი, სახელმწიფო – ჟოუ*
705-710	ჭუნგ წუნგი	中宗	ლი სიენი	李显
710-712	ჟუეი წუნგი	睿宗	ლი ტანი	李旦
712-756	სიუენ წუნგი	玄宗	ლი ლუნგძი	李隆基
756-761	სუ წუნგი	肃宗	ლი ხენგი	李亨
762-779	ტაი წუნგი	代宗	ლი იუ	李豫
780-805	ტე წუნგი	德宗	ლი ქუო	李适
805	შუნ წუნგი	顺宗	ლი სუნგი	李诵
806-820	სიენ წუნგი	宪宗	ლი ჩუნი	李纯
821-824	მუ წუნგი	穆宗	ლი ხენგი	李恒
824-826	ძინგ წუნგი	敬宗	ლი ჭანი	李湛
826-840	ვენ წუნგი	文宗	ლი ანგი	李昂
841-846	უ წუნგი	武宗	ლი იენი	李炎
846-859	სიუენ წუნგი	宣宗	ლი ჩენი	李忱
859-873	ი წუნგი	懿宗	ლი კუეი	李漼
873-888	სი წუნგი	僖宗	ლი სიუენი	李儇
889-904	ჭაო წუნგი	昭宗	ლი იე	李晔
904	აი ტი	哀帝	ლი ჩუ	李柷

ხუთი დინასტია და ათი სამეფო 五代十国

დაარსების წელი	ხუთი დინასტია 五代	დამაარსებელი	
907	გვიანი ლიანგი 后梁	ჭუ ციუენჭუნგი	朱全忠
923	გვიანი თანგი 后唐	ლი ცუნსიუ	李存勖

936	გვიანი ძინი 后晋	ში ძინგთანგი	石敬瑭
947	გვიანი ხანი 后汉	ლიოუ ჭიიუენი	刘知远
951	გვიანი ჭოუ 后周	კუო ვეი	郭威
დაარსების წელი	ათი სამეფო 十国	დამაარსებელი	
902	ნან უ 南吴	იანგ სინგმი	杨行密
937	სამხრეთ თანგი 南唐	ლი პიენი	李昇
907	უ იუე 吴越	ციენ ლიოუ	钱镠
907	ადრეული შუ 前蜀	ვანგ ძიენი	王建
934	გვიანი შუ 后蜀	მენგ ჭისიანგი	孟知祥
907	ნან ჩუ 南楚	მა ინი	马殷
917	სამხრეთი ხანი 南汉	ლიოუ ინი	刘隐
909	მინი 闽	ვანგ შენჭი	王审知
924	ძინგნანი (ნანფინგი) 荆南 (南平)	კაო ძისინგი	高季兴
951	ჩრდილოეთ ხანი 北汉	ლიოუ ჩუნგი	刘崇

სუნგის დინასტია 宋
ჩრდილოეთი სუნგი 北宋

მმართველობის წლები	სატაძრო სახელი		პირადი სახელი	
960-976	თაი წუ	太祖	ჭაო ქუანგ-ინი	赵匡胤
976-997	თაი ზუნგი	太宗	ჭაო კუანგ-ი (ჭაო ძიუნგი)	赵光义 (赵炅)
997-1022	ჭენ ზუნგი	真宗	ჭაო ხენგი	赵恒
1022-1063	ჟენ ზუნგი	仁宗	ჭაო ჭენი	赵祯
1063-1067	ინგ ზუნგი	英宗	ჭაო შუ	赵曙
1068-1085	შენ ზუნგი	神宗	ჭაო სიუ	赵顼
1086-1100	ჭე ზუნგი	哲宗	ჭაო სიუ	赵煦
1100-1126	ხუეი ზუნგი	徽宗	ჭაო ძი	赵佶
1126-1127	ცინ ზუნგი	钦宗	ჭაო ხუანი	赵桓

სამხრეთი სუნგი 南宋

მმართველობის წლები	სატაძრო სახელი		პირადი სახელი	
1127-1162	კაო წუნგი	高宗	ჭაო კოუ	赵构
1162-1189	სიაო წუნგი	孝宗	ჭაო შენი	赵昚
1189-1194	კუანგ წუნგი	光宗	ჭაო ტუნი	赵惇
1194-1224	ნინგ წუნგი	宁宗	ჭაო ქუო	赵扩
1224-1264	ლი წუნგი	理宗	ჭაო იუნი	赵昀
1264-1274	ტუ წუნგი	度宗	ჭაო ცი	赵禥
1274-1276	კუნგ წუნგი	恭宗	ჭაო სიენი	赵㬎
1276-1278	ტუან წუნგი	端宗	ჭაო ში	赵昰
1278-1279	მო ტი	末帝	ჭაო პინგი	赵昺

იუენის დინასტია 元

მმართველობის წლები	სატაძრო სახელი		პირადი სახელი
1260-1294	ში წუ	世祖	忽必烈 Hubilie
1295-1307	ჩენგ წუნგი	成宗	铁穆耳 Tiemuer
1308-1311	უ წუნგი	武宗	海山 Haishan
1312-1320	ჟენ წუნგი	仁宗	爱育黎拔力八达 Aiyulibalibada
1321-1323	ინგ წუნგი	英宗	硕德八剌 Shuodebala
1324-1327	თაიტინგ ტი	泰定帝	也孙铁木儿 Yesuntiemuer
1328	თიუნშუნ ტი	天顺帝	阿速吉八 Asujiba
1328-1332	ვენ წუნგი	文宗	图帖睦尔 Tutiemuer
1329	მინგ წუნგი	明宗	和世球 Heshila
1332	ნინგ წუნგი	宁宗	懿璘质班 Yilinzhiban
1333-1368	ხუეი წუნგი	惠宗	妥懽帖睦尔 Tuohuantiemuer

მმართველობის წლები	სატაძრო სახელი (ზეობის სახელი)		გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
1368-1398	თაი წუ (ხუნგ-უ)	太祖 (洪武)	კაო ტი	高帝	ჭუ იუენჭანგი	朱元璋
1399-1402	ხუეიწუნგი (ძიენვენი)	惠宗 (建文)	ხუეი ტი	惠帝	ჭუ იუნვენი	朱允炆
1403-1424	ჩენგ წუ (იუნგლე)	成祖 (永乐)	ვენ ტი	文帝	ჭუ ტი	朱棣
1425	ჟენ წუნგი (ხუნგსი)	仁宗 (洪熙)	ჭაო ტი	昭帝	ჭუ კაოჩი	朱高炽
1426-1435	სიუენ წუნგი (სიუენტე)	宣宗 (宣德)	ჭანგ ტი	章帝	ჭუ ჭანძი	朱瞻基
1435-1449	ინგ წუნგი (ჭენგთუნგი)	英宗 (正统)	ჟუეი ტი	睿帝	ჭუ ციჭენი	朱祁镇
1450-1457	ტაი წუნგი (ძინგთაი)	代宗 (景泰)	ძინგ ტი	景帝	ჭუ ციიუ	朱祁钰
1457-1464	ინგ წუნგი (თიენშუნი) ტახტზე დაბრუნება	英宗 (天顺)	ჟუეი ტი	睿帝	ჭუ ციჭენი	朱祁镇
1465-1487	სიენ წუნგი (ჩენგხუა)	宪宗 (成化)	ჩუნ ტი	纯帝	ჭუ ძიენშენი	朱见深
1488-1505	სიაო წუნგი (ხუნგჭი)	孝宗 (弘治)	ძინგ ტი	敬帝	ჭუ იოუთანგი	朱祐樘
1506-1521	უ წუნგი (ჭენგტე)	武宗 (正德)	ი ტი	毅帝	ჭუ ხოუ-ჭაო	朱厚照
1522-1566	ში წუნგი (ძიაძინგი)	世宗 (嘉靖)	სუ ტი	肃帝	ჭუ ხოუცუნგი	朱厚熜
1567-1572	მუ წუნგი (ლუნგცინგი)	穆宗 (隆庆)	ჭუანგ ტი	庄帝	ჭუ ნაიხოუ	朱载垕
1573-1620	შენ წუნგი (ვანლი)	神宗 (万历)	სიენ ტი	显帝	ჭუ იძიუნი	朱翊钧
1620	კუანგ წუნგი (თაიჩანგი)	光宗 (泰昌)	ჭენ ტი	贞帝	ჭუ ჩანგლუო	朱常洛

1621-1627	სი წუნგი (თიენცი)	熹宗 (天启)	ჭე ტი	悊帝	ჭუ იოუძიაო	朱由校
1628-1644	სპი წუნგი (ჩუნ-გჭენი)	思宗 (崇祯)	მინ ტი	愍帝	ჭუ იოუძიენი	朱由检

ცინგის დინასტია 清

მმართველობის წლები	სატაძრო სახელი (ზეობის სახელი)		გარდაცვალების შემდგომი სახელი		პირადი სახელი	
1616-1626	თაი წუ (თიენმინგი)	太祖 (天命)	კაო ტი	高帝	ნურხაჩი	努尔哈赤
1627-1643	თაი წუნგი (თიენწუნგი, ჩუნგტე)	太宗 (天聪, 崇德)	ვენ ტი	文帝	ხუანგ თაიძი, ხუნგ თაიძი	皇太极, 洪太极
1644-1661	ში წუ (შუნჭი)	世祖 (顺治)	ჭანგ ტი	章帝	ფუ ლინი	福临
1662-1722	შენგ წუ (ქანგსი)	圣祖 (康熙)	ჟენ ტი	仁帝	სიუენ იე	玄烨
1723-1735	ში წუნგი (იუნგჭენგი)	世宗 (雍正)	სიენ ტი	宪帝	ინ ჭენი	胤禛
1736-1795	კაო წუნგი (ციენლუნგი)	高宗 (乾隆)	ჩუნ ტი	纯帝	ხუნგ ლი	弘历
1796-1820	ჟენ წუნგი (ძიაცინგი)	仁宗 (嘉庆)	ჟუეი ტი	睿帝	იუნგ იენი	颙琰
1821-1850	სიუენ წუნგი (ტაოკუანგი)	宣宗 (道光)	ჩენგ ტი	成帝	მინ ნინგი	旻宁
1851-1861	ვენ წუნგი (სიენფენგი)	文宗 (咸丰)	სიენ ტი	显帝	ი ჭუ	奕䜣
1862-1874	მუ წუნგი (თუნგჭი)	穆宗 (同治)	ი ტი	毅帝	ნაი ჩუნი	载淳
1875-1908	ტე წუნგი (კუანგსიუ)	德宗 (光绪)	ძინგ ტი	景帝	ნაი თიენი	载湉
1909-1911	ბოლო იმპერატორი (სიუენთუნგი)	末代皇帝 (宣统)	სიუნ ტი	逊帝	ფუ ი	溥仪

სახელთა საძიებელი

ა

ათას ლიზე გადაშლილი მთები და წყლები (千里江山图) 333
აი ტი, ხანის მმართველი (汉哀帝) 167
აი ტი, თანგის მმართველი (唐哀帝) 301
აკრძალული ქალაქი, ნიძინჩენგი (紫禁城) 375, 415, 425, 544
ალ-მანსური (曼苏尔) 291, 297
ალოპენი (阿罗本) 296
ან ლუშანი (安禄山) 289, 290, 291, 304, 305
ან ტი, ხანის მმართველი (安帝) 173
ანიანგი, ქალაქი (安阳市) 57, 60, 71, 78, 79, 80. 81, 82, 83
ანცინგი (安庆) 541
ანხუეი (安徽) 38, 76, 187, 190, 228, 298, 299, 322, 363, 414, 542, 555, 569
არიქ ბუღა (阿里不哥) 338, 339
არუნაშვა (阿罗那顺) 284

ბ

ბაიანი (伯颜) 342, 343
ბამბუკის ანალები (竹书纪年) 234
ბამბუკის ტყის 7 ბრძენი (竹林七贤) 203
ბენედიქტე XII (本笃十二世/Benedict XII) 353
ბნელი მოძღვრება (玄学) 203
ბოდჰიდჰარმა (菩提达摩) 252
ბუდა მაიტრეია - მილეფუსა (弥勒菩萨) 479
ბუდიზმი (佛教) 183, 204, 232, 233, 248, 252, 256, 264, 270, 274, 286, 287, 295, 297, 301, 302, 303, 306, 309, 328, 333, 357, 358, 359, 360, 423, 444, 454, 455, 463, 464, 479, 483, 527

გ

განდჰარა (健驮逻) 265
გარეული ბატების დიდი პაგოდა (大雁塔) 303
გარეული ბატების პატარა პაგოდა (小雁塔) 303
გენერალ-გუბერნატორები, ძიეტუში (节度使) 288, 289, 290, 293, 294, 298, 300, 314
გილიომ რუბრუკი (鲁不鲁乞) 349, 357
გრიგოლ X (额我略十世/ Gregory X) 350
გუიუქი (贵由) 348

დ

დასავლეთი რეგიონები, სი-იუ (西域), იგივე სინძიანგი 160, 161, 163, 166, 171, 191
დატკეპნილი მინის მეთოდი (夯土) 30, 42, 76, 77, 79, 83,
დედოფალი ვეი (韦) 287
დედოფალი ვენ სიენი (文献皇后) 272, 273
დედოფალი ლუ (吕太后) 151, 152, 158
დედოფალი ტოუ (窦太后) 156
დედოფალი ფენგი (冯太后) 257
დედოფალი ძია (贾皇后) 214, 219
დიდი არხი (大运河) 136, 144, 274, 275, 276, 277, 291, 293, 355, 375, 376, 380, 493, 499, 500
დიდი დასავლეთი (大西) 414
დიდი ძინის იმპერია, ტაძინი (大金) 418
დორგონი (多尔衮) 416, 425, 426, 428, 430, 431, 438
დრაკონის ძვალი (龙骨) 70, 71, 78

ე

ემინ ხოჯა (額敏和卓) 443
ერლითოუს არქეოლოგიური კულტურა (二里头文化) 42, 43, 44, 45, 66, 75
ერლიკანგის არქეოლოგიური კულტურა (二里岗文化) 45, 75, 76, 77, 82
ექვსი გარნიზონის აჯანყება (六镇叛乱) 260

ვ

ვანგ ანში (王安石) 318, 319, 320, 331
ვანგ ენის აჯანყება (王恩之乱) 231
ვანგ ვეი (王维) 304
ვანგ იჟუნგი (王懿荣) 70
ვანგ კუოვეი (王国维) 71
ვანგ მანგი (王莽) 165, 167, 168, 169, 170
ვანგ მენგი (王猛) 241, 242,
ვანგ სიენჭი (王献之) 233, 299
ვანგ სიმენგი (王希孟) 333
ვანგ სიუენცე (王玄策) 284
ვანგ სიჭი (王羲之) 233
ვანგ ტუნი (王敦) 224, 227
ვანგ ფუჭი (王夫之) 458
ვანგ შიჩუნგი (王世充) 279
ვანგ შუხე (王叔和) 204
ვანგ ჩუნგი (王充) 183
ვანგ ძინგვეი (汪精卫) 561, 562, 564, 565, 566, 567, 568
ვანგ ჭენი (王振) 380, 381, 382
ვანგ ხუნგვენი (王洪文) 591, 594, 599
ვანლი (万历) 396, 400
ვეი ცინგი (卫青) 159
ვეი ჭუნგსიენი (魏忠贤) 398
ვეი, მებრძოლი სამეფოების პერიოდის ერთ-ერთი სამეფო (魏) 96, 111, 112, 113, 116, 122, 123, 125
ვეი, ჯან მინის დაარსებული სამეფო 16 სამეფოს ეპოქაში (魏) 238
ვეი, სამეფო სამი სამეფოს ეპოქაში (魏) 185, 186, 187, 189, 190, 193
ვეიშუ (魏书) 253
ვენ თიენსიანგი (文天祥) 344
ვენ კუნგი, ძინის მფლობელი (晋文公) 100, 104
ვენ სიანგი (文祥) 54
ვენ ტი, დასაელეთ ხანის მმართველი (汉文帝) 152, 153, 155, 157, 158, 162, 178
ვენ ტი, სუეის მმართველი (隋文帝) 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 276
ვენ ტი, ცაოვეის მმართველი (魏文帝), ასევე ცაო ფი 191
ვენ წუნგი (文宗) 294, 295
ვენ ვანგი, ჭოუს მმართველი (周文王) 87, 93
ვენჩენგი (文成) 283
ვიეტნამი (南越) 330

ზ

ზემო გამოქვაბულის ადამიანი (山顶洞人) 17, 18, 19, 30
ცის დამლაშქვრელი მთავარსადალი (冲天大将军) 299
ზეციური ღერო (天干) 67
ზეციური ხაკანი (天可汗) 283

თ

თაი უ ტი, ჩრდილოეთ ვეის იმპერატორი (太武帝) 255
თაი ქანგი, სიას მეფე (夏太康) 39
თაი წი (太子) 102
თაი წუ, სუნგის იმპერიატორი (宋太祖) 310, 311
თაი წუნგი, თანგის იმპერატორი (唐太宗) 280, 281, 282, 283, 284, 285, 286, 296
თაი წუნგი, სუნგის იმპერატორი (宋太宗) 311
თაივანი (台湾) 407, 436, 437, 444, 447, 448, 449, 459, 461, 464, 493, 529, 532, 541, 582, 584, 596, 597, 598, 601, 602, 607

თაის წმინდა მთა, თაიშანი (泰山) 312
თაიფინგი, პრინცესა (太平) 287
თაიფინგის ზეციური სამეფო (太平天国) 503, 504, 506, 507, 508, 516
თაიჩანგი (泰昌) 396
თაი ძია, შანგის მეფე (商太甲) 49
თაიხუ, ტბა (太湖) 200
თან სთუნგი (谭嗣同) 541
თანგ შენგჭი (唐生智) 567
თანგ ცაიჩანგი (唐才常) 541
თანგ ძიიაო (唐继尧) 551
თანგი, შანგის დინასტიის პირველი მეფე (商汤) 41, 48, 49, 77
თაო იუენმინგი (陶渊明) 233
თიენთაი (天台) 302
თიენცი (天启) 396, 398
თიენძინი (天津) 472, 473, 514, 515, 532, 534, 535, 538, 545, 576, 577
თიენხოუ (天后) 285
თუიუხუნი, ტომი (吐谷浑) 275
თუმუს კრიზისი (土木之乱) 378, 381, 382, 403
თუნგმენგხუეი (同盟会) 539, 540, 541, 542, 543
თუნთიენი, სამხედრო მეურნეობა (屯田) 166, 188, 189, 190, 191, 201
თუოპა კუეი (拓跋珪) 254
თუოპა (拓跋) 244, 254, 256, 257, 261, 263

ი

ი ვანგი (懿王) 92
ი ინი (伊尹) 41
იამატოს სამეფო (大和王权) 191, 201
იანგ იენი (杨炎) 292
იანგ იუხუანი (杨玉环) 288, 289
იანგ კუეიფეი (杨贵妃) 289, 290
იანგ კუოჭუნგი (杨国忠) 289, 290
იანგ სიოუცინგი (楊秀清) 506, 507, 508
იანგ ტი, სუეის იმპერატორი (隋炀帝) 273, 274, 275, 276, 277, 278, 279
იანგ ციუიუნი (杨衒云) 540
იანგ ძიენი (杨坚) 225, 264, 266, 267, 272
იანგ ძიუნი (杨骏) 214
იანგ ჭუ (杨朱) 119
იანგ ხუჩენგი (杨虎城) 574
იანგშაოს არქეოლოგიური კულტურა (仰韶文化) 23, 24, 25, 26, 27, 28, 30, 31, 67, 69
იანგწი, მდინარე (扬子) 24, 26, 27, 29, 31, 47, 66, 77, 82, 83, 87, 114, 186, 194, 199, 200, 201, 202, 220, 223, 224, 225, 227, 232, 242, 244, 249, 251, 255, 272, 274, 280, 287, 292, 293, 308, 355, 375, 413, 428, 429, 435, 446, 447, 493, 494, 498, 499, 514, 566, 569, 581
იანგჭოუ (扬州) 113, 188, 274, 277, 351, 358, 429
იაო ვენიუენი (姚文元) 591, 594 , 599
იაო, ერთ-ერთი 5 ლეგენდარული იმპერატორიდან (尧帝) 36, 37
იარკენდი, იგივე იეერციანგი (叶尔羌), დღევანდელი შაჩესიენი (莎车县) 442
იბნ ბატუტა (伊本·白图泰/Ibn Battuta) 357
იელუ ჩუცაი (耶律楚材) 337, 338
იენ სიშანი (阎锡山) 553, 569, 570
იენ შუ (晏殊) 316
იენი, სამეფო ლიაოტუნგის ნახევარკუნძულზე აღმოსავლეთ ხანის ბოლოსა და სამი სამეფოს დასაწყისში (燕国) 192, 193
იენტი (炎帝) 36
იესო მესიას სუტრა (序听迷诗所经) 296
ილიპუ (伊里布) 500
ინ ჟენგი (胤礽), იგივე იუნ ჟენგი (允礽) 458, 459
ინგ წუნგი, იუენის მმართველი (元英宗) 362
ინგ წუნგი, სუნგის მმართველი (宋英宗) 319
ინგ ჭენგი (嬴政) 122, 125

ინგთიენის აკადემია (应天书院) 316
ინი, შანგის დედაქალაქი (殷) 50, 69
ინოკენტი IV (意诺增爵四世/Innocent IV) 348
ინოკენტი VI (意诺增爵六世/Innocent VI) 354
იოუ ვანგი (周幽王) 95
ისტორიული ჩანაწერები (史记) 12, 34, 35, 39, 48, 162, 202
იუ ციენი (于谦) 381, 382
იუ, სიას დინასტიის დამაარსებელი (禹) 37, 38
იუე ფეი (岳飞) 325
იუე, სამეფო ჩუნციოუსა და ჭანკუოს პერიოდში (越) 102, 104, 105, 111
იუელუს აკადემია (岳麓书院) 332
იუენ ტი, დასავლეთ ხანის მმართველი (汉元帝) 165
იუენ ტი, ცაო ვეის მმართველი (魏元帝) 194
იუენ ში, იუენის ისტორია (元史) 358
იუენ შიქაი (袁世凯) 528, 531, 536, 538, 543, 544, 548, 548, 550, 551, 552, 553
იუენმოუელი ადამიანი (元谋人) 15
იუეფუ (乐府) 182
იუეჭი, ხალხი (月氏) 159, 178
იუვენ თაი (宇文泰) 261, 262, 263
იუვენ ხუაძი (宇文化及) 279
იუნგლე (永乐) 373, 374, 275, 276, 277, 278, 279, 281, 282, 397, 410, 411, 431, 432
იუნგლეს ენციკლოპედია (永乐大典) 374, 411
იუნგძიას ქაოსი (永嘉之乱) 216, 217
იუნგჭენგი (雍正) 442, 454, 459, 460, 461, 463, 464, 471, 524
იუნკანგი (云岗) 264, 265
იუნნანი (云南) 15, 195, 197, 338, 376, 402, 448, 461, 466, 467, 518, 519, 542, 546
იძინგი, ცვლილებების წიგნი (易经) 34, 203

კ

კან ინგი (甘英) 171, 179
კანსუ (甘肃) 24, 43, 47, 76, 126, 159, 161, 188, 190, 195, 196, 215, 239, 262, 275, 295, 299, 305, 392, 430, 520, 537
კაო ინსიანგი (高迎祥) 413
კაო ტი, ხანის დინასტიის პირველი იმპერატორი (汉高帝) 248, 267
კაო წუ, იგივე ლიოუ პანგი (汉高祖) 148
კაო წუ, იგივე ლი იუენი (唐高祖) 278, 279, 280
კაო წუნგი, თანგის მმართველი (唐高宗) 280, 284, 285, 286, 296
კაო წუნგი, სუნგის მმართველი (宋高宗) 324, 326, 327
კაო ხუანი (高欢) 261, 262
კაო კანგი (高岗) 587
კარტერი, თომას ფრენსის (托马斯·弗朗西斯·卡特/Thomas Francis Carter) 33
კაშგარი (喀什) 442, 485, 520, 521, 580
კენგ ძინგჭუნგი (耿精忠) 446, 447
კოგურიო (高句丽) 193, 276, 277, 284
კონფუცი (孔子) 70, 103, 108, 109, 110, 118, 120, 122
კონფუციზმი (儒教) 34, 85, 108, 117, 118, 119, 120, 155, 156, 157, 165, 203, 204, 212, 255, 264, 266, 270, 297, 302, 328, 329, 331, 333, 360, 379, 383, 385, 386, 390, 394, 397, 399, 408, 455, 479, 483, 522, 556, 557, 604, 653
კოსინგა, იგივე ჭენგ ჩენგკუნგი (郑成功) 433, 434, 435, 436, 437, 438
კოუ ძიენი (勾践) 104
კუ იენ-უ (顾炎武) 458
კუ ქაიჭი (顾恺之) 234
კუან თიენფეი (关天培) 494
კუან იუ (关羽) 195, 196, 200
კუან შუ (管叔) 88
კუან ჭუნგი (管仲) 101

კუანგსი (广西) 430, 431, 432, 446, 477, 499, 525, 530, 537
კუანგსიუ (光绪) 525, 537
კუანგტუნგი (广东) 344, 393, 446, 471, 472, 486, 505, 506, 540, 542, 560
კუანგჭოუ (广州), იგივე კანტონი 162, 202, 249, 251, 272, 297, 300, 394, 408, 430, 471, 472, 483, 486, 487, 488, 489, 492, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 501, 505, 512, 513, 526, 540, 541, 542, 545, 562, 567
კუანლუნგ ფენგი (关龙逢) 40
კუანჭუნგი (关中) 262, 263, 266, 269, 274
კუეიჭოუ (贵州) 162, 402, 477, 478, 542, 546
კულტურული რევოლუცია (文化大革命) 415, 590, 593, 564, 599, 600, 615
კუნგ ვანგი (共王) 94
კუნგ სუნხუნგი (公孙弘) 157
კუნგ ტი (恭帝) 278
კუნგ ნი (公子) 101
კუნგ წუნგი (恭宗) 330
კუნი, სიას დინასტიის დამაარსებლის, იაოს მამა (鯀) 38
კუო ვეი (郭威) 308
კუო მოჟუო (郭沫若) 116
კუო ფუ (郭璞) 234
კუომინტანგი (国民党) 75, 547, 553, 559, 560, 561, 563, 564, 565, 568, 570, 572, 584

ლ

ლამაიზმი (喇嘛教) 357, 258, 423
ლან იუ (蓝玉) 370
ლაო წი (老子) 118, 119, 203, 463
ლეგიზმი (法家) 120, 121, 138, 165, 302
ლეი წუ (嫘祖) 28
ლი ვანგი (厉王) 95
ლი იუენი, იგივე კაოწუ, თანგის მმართველი (李渊) 277, 278, 376
ლი იუენხუნგი (黎元洪) 543, 555
ლი კოუ (李觏) 317, 318
ლი კუანგი (李光) 159, 161
ლი კუანგლი (李广利) 161
ლი ლინფუ (李林甫) 288, 289
ლი ლუნგძი (李隆基) 287
ლი პაი (李白) 289, 304
ლი ტაჭაო (李大钊) 557, 559, 561
ლი ფუკუო (李辅国) 291
ლი ქეიუნგი (李克用) 307
ლი შანჩანგი (李善长) 370
ლი შიმინი (李世民) 376, 379, 380
ლი ძიენჩენგი (李建成) 279, 280
ლი წითუნგი (李子通) 280
ლი ნიჩენგი (李自成) 410, 413, 414, 415, 416, 424, 426, 427, 428
ლი წუნგი (理宗) 329
ლი წუნგჟენი (李宗仁) 569
ლი ჭი (李治) 284
ლი ხუნგჭანგი (李鸿章) 526, 527, 528, 529
ლიანგ ციჩაო (梁启超) 550
ლიანგჭოუ (凉州) 188
ლიანგჭუს არქეოლოგიური კულტურა (良渚文化) 29, 31, 32
ლიაონინგი (辽宁) 240, 421, 532
ლიაოტუნგის ნახევარკუნძული (辽东半岛) 126, 192, 201, 313
ლინ პიაო (林彪) 592
ლინ სენი (林森) 572
ლინ წესიუ (林则徐) 487, 488, 489, 490, 493, 494, 495, 506
ლინ-ანი (临安) 326
ლინგ ტი (灵帝) 173, 174, 177
ლიოუ ე (刘鄂) 71
ლიოუ იაო (刘曜) 237, 238, 240
ლიოუ ინგი (刘婴) 167
ლიოუ იუ (刘裕) 246, 247, 248, 250
ლიოუ იუენი (刘渊) 216
ლიოუ პანგი, იგივე კაოწუ, ხანის მმართველი (刘邦) 143, 145, 146, 147, 148, 149,

150, 151, 152, 153, 158, 200, 210
ლიოუ პეი (刘备) 186, 195, 196, 197, 199, 200
ლიოუ სიანგი (刘向) 182
ლიოუ სიე (刘燮) 253
ლიოუ სინი (刘歆) 182
ლიოუ სიოუ (刘秀) 170
ლიოუ უჭოუ (刘武周) 279
ლიოუ ფუთუნგი (刘福通) 363, 364
ლიოუ ქუნ-ი (刘坤一) 536
ლიოუ შანი, შუ ხანის მმართველი (刘禅) 197, 199
ლიოუ შაოცი (刘少奇) 587, 589, 590, 591, 592
ლიოუ ცუნგმა (刘聪) 217, 237
ლიოუ ჭიიუენი (刘知远) 308
ლიოუ ხეითა (刘黑闼) 279
ლიოუ ხუეი (刘徽) 205
ლიუში ჩუნციოუ (吕氏春秋) 117
ლიძი, რიტუალების წიგნი (礼记) 34
ლუ სიოუფუ 陆秀夫 330
ლუ ჭენგსიანგი (陆征祥) 556
ლუდოვიკო IX (路易九世) 349
ლუნ იუ (论语) 103, 109
ლუნგ-უ (隆武) 430, 433, 434
ლუნგმენი (龙门) 264, 265, 295
ლუნგსი (陇西) 266
ლუნგშანის არქეოლოგიური კულტურა (龙山文化) 31, 35, 45, 69, 79
ლუნხენგი (论衡) 183
ლუო კუანჭუნგი (罗贯中) 186
ლუოი (雒邑) 88, 93, 95, 96, 100
ლუოიანგი (洛阳) 93, 165, 169, 170, 176, 191, 199, 204, 205, 214, 217, 218, 237, 238, 256, 259, 260, 261, 262, 264, 265, 274, 275, 278, 279, 286, 290, 295, 296, 299, 300, 301, 307, 414
ლჰასა (拉萨) 253, 283, 423, 441. 454, 469, 470, 502

მ

მა ძიუნი (马钧) 204
მა ჭანშანი (马占山) 571
მათემატიკის ხელოვნების ცხრა თავი (九章算术) 205
მანი, ეთნიკური ჯგუფი სამხრეთში (蛮) 103
მანჯურიელები (满族人) 284, 404, 405, 406, 410, 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 429, 432, 433, 434, 435, 436, 437, 438, 439, 443, 445, 446, 447, 448, 449, 450, 451, 452, 453, 454, 456, 457, 458, 462, 463, 466, 467, 468, 470, 478, 479, 481, 484, 485, 505, 506, 509, 511, 517, 519, 520, 521, 523, 526, 527, 539, 545
მაო წეტუნგი/მაო ძედუნი (毛泽东) 75, 504, 566, 573, 581, 585, 586, 587, 588, 589, 590, 591, 592, 594, 597, 619
მარილისა და რკინის დისკუსია (盐铁论)
მარკო პოლო (马可 . 波罗) 339, 349, 350, 351, 357
მენგ წი (孟子) 117, 118, 124, 317
მენგ ხუო (孟获) 197
მიაოს ეთნიკური ჯგუფი (苗族) 475, 477, 478
მინ ტი (愍帝) 217
მინგ ტი, ცაო ვეის იმპერატორი (明帝) 192, 193
მინიერი განშტოება (地支) 67, 68
მმართველობაში დამხმარე ყოვლისმომცველი სარკე (资治通鉴) 318
მო წი (墨子) 120
მოგზაურობა დასავლეთში (西游记) 186, 301, 410
მოკაო (莫高) 264, 295
მრავალი უფლისწული (多子) 55
მუ ვანგი (穆王) 94
მუ წუნგი (穆宗) 294
მუიე (牧野) 87

მუნქე (蒙哥) 336, 338, 349
მუჟუნგი, ტომი (慕容) 240
მწვანე არმია, ხანელებისგან დაკომპლექტებული ქვეითი ჯარი - ლიუინგპინგი/ლუინგპინგი (绿营兵) 447, 468

ნ
ნანკინი, ნანძინგი (南京) 206, 220, 230, 233, 251, 253, 326, 335, 364, 367, 372, 374, 375, 378, 393, 408, 428, 429, 433, 435, 498, 499, 500, 507, 508, 509, 510, 511, 518, 543, 545, 563, 564, 565, 567, 569, 574, 577, 578, 580, 581
ნანჩაოს სამეფო (南朝国) 41
ნანჭაო (南诏) 289, 293, 294, 299
ნერჩინსკის ზავი (尼布楚条约) 450
ნესტორიანული სტელა (景教碑) 296
ნეფრიტის იმპერატორი, იგივე იუ ხუანგი (玉皇) 312
ნიენის აჯანყება (捻乱) 518
ნიკოლოზ IV (尼各老四世/Nicholas IV) 352
ნინგ წუნგი 宁宗
ნინგპო (宁波) 393, 493, 493, 499, 545
ნინგსია (宁夏) 159, 443, 520
ნიოუ, გვარი (牛) 298
ნიუ კუნგ ნი (女公子) 101
ნურხაჩი (努尔哈赤) 406, 418, 419, 420, 421, 422, 426, 430

ო
ოდორიკო დე პორდენონე (鄂多立克/Odorico da Pordenone) 352, 353, 357
ოთხი წიგნი, იგივე ოთხწიგნეული, სშუ 四书
ოირატი (额鲁特) 381, 382, 439, 440, 441, 469

პ
პაიხე (白河) 515
პაკპა (八思巴) 361
პაკუა (八卦) 35
პან იუნგი (班勇) 171
პან კუ (班固) 171, 182
პან ჩაო (班超) 171
პეიფინგი (北平) 339, 374, 375
პეიძინგი, იგივე პეკინი (北京) 375
პეიჭოუ (贝州) 315
პეკინელი ადამიანი (北京人) 15, 16, 17
პესკადორის კუნძულები (澎湖列岛) 407
პი კანი (比干) 51
პრინცი ტუანი, იგივე წაი ი (载漪) 534

ჟ
ჟან მინი (冉闵) 238
ჟენ წუნგი, იუენის მმართველი (仁宗) 361
ჟენ წუნგი, სუნგის მმართველი (宋仁宗) 315, 316, 318
ჟენი, სოციალური ფენა შანგის დინასტიაში (人) 55, 56
ჟუეი წუნგი (睿宗) 286, 287
ჟუნგი, ტომი დასავლეთში (西戎) 95, 103

რ
რვა ვანგის აჯანყება (八王之乱) 214, 215, 216, 237

ს
საგანძურის გემები (宝船) 378
საიდ იბნ აბი ვაქასი (赛义德·本·阿比·瓦卡斯) 296
საიმპერიო გამოცდები, იხილეთ ქეძიუ (科举) 157, 268, 332, 369
საიმპერიო უნივერსიტეტი (太学) 331
სამი მთავარი და ხუთი იმპერატორი (三皇五帝) 35
სამი მოძღვრება (三教) 288
სამი სამეფოს რომანი (三国演义) 186, 191, 410
სამხედრო მეურნეობა (屯田) 166, 188,

189, 191, 210
სამხრეთის მაჩვენებელი ეტლი (指南车) 204
სანსინგტუეის არქეოლოგიური ძეგლი (三星堆遗址) 82, 83, 84
სი ძინფინგი (习近平) 616, 617, 618, 619
სი წუნგი, თანგის მმართველი (僖宗)
სი-იუ (西域) 160, 161, 163, 166, 171, 178, 191
სიამენი (厦门) 435, 448, 498, 501, 545
სიანგ იუ (项羽) 146, 147, 148
სიანგიანგი (襄阳) 329, 343
სიანგიანგი (襄阳) 329, 343
სიანი (西安) 82, 92, 96, 129, 134, 143, 146, 296, 303, 359, 414, 426, 542, 574, 575
სიაო ვანგი (孝王) 94
სიაო ვენ ტი (孝文帝) 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263
სიაო იენი (萧衍) 248
სიაო სიენი (萧铁) 279, 280
სიაო ტაოჩენგი (萧道成) 248
სიაო უ ტი (孝武帝) 224
სიაო წუნგი, სუნგის იმპერატორი (宋孝宗) 327
სიაოთუნი (小屯) 70, 71
სიე ანი (谢安) 230
სიე სიუენი (谢玄) 229, 230
სიე ტაოცინგი, დედოფალი სიე (谢道清) 330
სიე, სიას დინასტიის წინაპარი (契) 48, 49
სიენ ტი (献帝) 176, 188, 191
სიენ წუნგი (宪宗) 293, 294, 297, 298
სიენიანგი (咸阳) 125, 129, 135, 139, 147, 150
სიენპეი (鲜卑) 191, 215, 235, 240, 244, 254, 256, 260, 261, 275
სიზმარი წითელ სასახლეში (红楼梦) 186
სილა (新罗) 276, 284
სიმღერა მულანზე (木兰诗) 265
სიმღერების წიგნი, იხილეთ შიძინგი (诗经) 34, 110
სინგლუნგვას არქეოლოგიური კულტურა (兴隆洼文化) 20, 21, 22, 23, 28, 30
სინძიანგი (新疆) 159, 160, 161, 171, 178, 179, 186, 202, 283, 392, 441, 442, 443, 451, 453, 454, 459, 462, 464, 465, 469, 484, 485, 486, 520, 521, 546, 549, 552, 579, 580, 581, 582, 599
სინძინგი, ახალი დედაქალაქი (新京) 414, 420
სინხაის რევოლუცია (辛亥革命) 417, 427, 539, 540, 544, 547, 561
სიუე ძიუ (薛举) 278
სიუენ ვანგი (宣王) 95
სიუენ ტი (宣帝) 166
სიუენ წუნგი (玄宗) 287, 288, 290, 293, 303
სიუენ წუნგი (宣宗) 298
სიუენტე (宣德) 378, 379, 385, 397
სიუენწანგი (玄奘) 301
სიუნ ნი (荀子) 117, 118
სიუნგნუ (匈奴) 150, 151, 158, 159, 161, 163, 166, 167, 169, 171, 191, 215, 216, 235, 237, 261
სიუჩანგი (许昌) 188, 191
სიუჭოუ (徐州) 299
სიქხები (锡克) 501, 502, 503
სმა ი (司马懿) 192, 193
სმა იენი (司马炎) 194, 206, 207, 208, 209, 210, 211, 212, 213, 214, 216, 218, 219, 225
სმა იოუ (司马攸) 207
სმა იუ (司马遹) 208
სმა კუანგი (司马光) 318, 320
სმა ლიანგი (司马亮) 214
სმა ჟუეი (司马睿) 220, 223, 224
სმა ში (司马氏) 193, 207
სმა ციენი (司马迁) 35, 48, 71, 88, 98, 126, 135, 142, 162, 182,
სმა ციენი (司马迁) 10, 32, 33, 46, 69,

86, 96, 124, 133, 140, 160, 180, 300, 302
სმა ჭაო (司马昭) 193, 194, 204, 207
სმა ჭუნგი (司马衷) 208
სორლალტანი (唆鲁禾帖尼) 350
სოლდი, სოგდიანე (粟特) 289
სრონგცენ გამპო (松赞干布) 283
სტა მინგჭუ, ჩინური ლიტერატურის ოთხი შედევრი (四大名著) 186
სუ წუნგი (肃宗) 290, 291
სუეიჟენი, ერთ-ერთი სამი ლეგენდარული მთავარიდან (燧人) 35, 36
სულის მოკვდინების თეორია (神灭论) 252
სუნ იატსენი, იგივე სუნ ჭუნგშანი (孙中山) 531, 539, 540, 541, 543, 547, 548, 549, 550, 551, 553, 558, 560, 561, 562, 567
სუნ ციუენი (孙权) 186, 190, 196, 197, 199, 200, 201, 202, 203
სუნგ მეილინგი (宋美龄) 567, 574
სუნგ ძიანგის (宋江) 322
სუნგ ძიაოჟენი (宋教仁) 549, 550
სუნგშუ (宋书) 253
სუფიზმი, ჩინურად მოიხსენიებოდა როგორც 老教 520
სქუ ციუენშუ (四库全书) 468
სშუ (四书), ოთხი ნიგნი 34, 302
სჩუანი (四川) 82, 83, 106, 188, 195, 196, 215, 216, 227, 232, 242, 244, 264, 272, 290, 293, 309, 332, 338, 363, 368, 410, 414, 430, 431, 446, 448, 481, 508, 566, 629, 656, 657
სჰი მუ უ (司母戊) 73
სჰი წუნგი, მინგის იმპერატორი (思宗) 415

ტ

ტავენქოუს არქეოლოგიური კულტურა (大汶口文化) 27, 28, 69
ტაკუქოუ, ტაკუ (大沽口) 514, 515, 524
ტალასის ბრძოლა (怛罗斯之战) 289
ტან-იანგი (丹阳) 280
ტანგუტები, ტოში (党项) 306, 313, 322, 335
ტაო ტე ძინგი (道德经) 119, 203
ტაოიზმი (道教) 270, 287, 297, 301, 302, 303, 312, 328, 359, 360, 387, 455, 464, 479
ტაოკუანგი (道光) 484, 487, 492, 493, 494, 497, 499, 500, 506
ტასინგი (大兴) 270
ტასის არქეოლოგიური კულტურა (大溪文化) 27
ტატუ, პეკინის ისტორიული სახელი (大都) 339, 347, 362, 365, 367
ტაფუ (大夫) 91
ტაჩენგი, სამეფო (大成) 216
ტაცინი (大秦) 180
ტახეცუნი, იანგშაოს კულტურის არქეოლოგიური ძეგლი (大河村) 67
ტე წუნგი (德宗) 292, 293
ტენგ სიაოფინგი (邓小平) 13, 573, 590, 591, 592, 593, 601, 603, 608, 609, 611, 617, 628
ტი სინი (帝辛), ასევე ჭოუ, შანგის უკანასკნელი მეფე 51, 52, 87, 89
ტიბეტი (藏区) 215, 235, 241, 283, 284, 288, 289, 293, 298, 302, 305, 330, 344, 353, 357, 358, 361, 412, 423, 440, 441, 446, 451, 453, 454, 459, 462, 464, 466, 469, 470, 501, 502, 503, 549, 552, 582, 598
ტკბილი ცვრის შეთქმულება, კანლუ (甘露) 295
ტოუ ძიენტე (窦建德) 278, 279
ტოგონ თემური (妥懽贴睦尔) 353, 358, 362
ტუ ვენსიოუს (ფანთაის) აჯანყება (杜文秀起义) 518, 519
ტუ ფუ (杜甫) 289, 304
ტუ წუნგი (度宗) 329
ტუან ციჟუეი (段祺瑞) 555
ტუან წუნგი (端宗) 330
ტუნგ ჭუნგშუ (董仲舒) 156, 157, 172,
ტუნგ ჭუო (董卓) 176

ტუნკანების აჯანყება (同治回乱) 520, 522
ტუნხუანგი (敦煌) 160, 264, 295
ტურფანი (吐鲁番) 392, 442

უ
უ ვანგი (武王) 85, 87, 88, 89, 93
უ იუე (吴越) 311
უ კენგი (武庚) 87, 88
უ სანკუეი (吴三桂) 415, 416, 426, 432, 446, 447, 448
უ ტი, ჩრდილოეთ ჭოუს მმართველი (周武帝) 263, 264, 269, 270
უ ტი, ძინი მმართველი (晋武帝) 207, 224
უ ტი, ხანის მმართველი (汉武帝) 155, 156, 157, 158, 159, 161, 162, 163, 164, 166, 172, 178, 179, 180, 182
უ ტინგი, შანგის მმართველი (武丁) 49, 50, 51, 58, 60, 63, 64, 78, 80, 81
უ ფეიფუ (吴佩孚) 554, 565, 570
უ შიფანი (吴世璠) 448
უ ნეთიენი (武则天) 285, 286, 287, 288
უ წუნგი (武宗) 295, 297, 298
უილურები (维吾尔族) 290, 297, 343, 346, 442, 443, 462, 484, 582
უსუნგი (吴淞) 499
უსუნი, მომთაბარე ტომი (乌孙) 161
ულედეი (窝阔台) 336, 337, 338, 339, 340, 347, 355
უჩანგი (武昌) 202, 507, 542
უ ჭაო (武曌) 285
უ ხოუ (武后) 285, 286
უხუანი (乌桓) 191

ფ
ფაძია (法家) 117, 120, 138
ფან კენგი, შანგის მმართველი (盘庚) 50
ფან ჭენი (范缜) 252
ფან ჭუნგიენი (范仲淹) 317
ფანგ ლა (方腊) 322
ფანგ სიაოჟუ (方孝孺) 373
ფანგი, შანგის დინასტიის მეტოქე სამეფოები (方) 54
ფანგლუნგჩენგის არქეოლოგიური ძეგლი (房龙城遗址) 77
ფეილიკანგის არქეოლოგიური კულტურა (裴李岗文化) 22, 28, 69
ფეიშუეის ბრძოლა (淝水之战) 228, 230
ფენგ იუსიანგი (冯玉祥) 553, 569
ფენგ კუოჭანგი (冯国璋) 555
ფენგშუეი (风水) 234, 270
ფენგხუანგი (凤凰县) 479
ფერდინანდ ფონ რიხტოფენი (费迪南·冯·李希霍芬/ Ferdinand von Richthofen) 178
ფერლანა (费尔干纳) 161
ფინგ ვანგი (平王) 95
ფინგ ლიოულის აჯანყება (萍浏醴起义) 541
ფინგ ტი (平帝) 167, 170
ფუ ი (溥仪) 543, 555, 571, 572, 580
ფუ კუნგში (辅公祏) 280
ფუ სუ (扶苏) 133, 142
ფუ ჩაი (夫差) 104
ფუ ძიენი (苻坚) 241, 242, 243, 244, 254, 255
ფუ ხაო (妇好) 50, 64, 80, 81
ფუსი, ერთ-ერთი სამი ლეგენდარული მთავარიდან (伏羲) 35
ფუციუენი (福全), იგივე პრინცი იუცინგი (裕親) 451
ფუძიენი (福建) 200, 393, 433, 434, 464, 498, 573
ფუჭოუ 福州) 434, 501, 526, 545
ფხენიანი, იგივე ფიონგიანგი (平壤) 276, 284

ქ
ქაიფენგი (开封) 307, 314, 317, 323, 331, 335, 336, 338, 347
ქანგ ვანგი (康王) 93

ქანგ იოუვეი (康有为) 530
ქანგ ტინგი (康丁) 49
ქანგსი (康熙) 439, 442, 444, 445, 446, 447, 449, 450, 451, 452, 453, 454, 455, 456, 457, 458, 459, 461, 464, 465, 483
სქოპონგი, კუნგხანგი (公行) 486, 488, 545
ქუნმინგი (昆明) 376, 451, 518
ქუშანების სამეფო (贵霜帝国) 265

ყ
ყაიდუ (海都) 339
ყარაყორუმი (哈剌和林) 339, 347, 348, 349
ყვითელთავსაბურიანთა აჯანყება (黄巾之乱) 168, 175, 195
ყუბილაი (忽必烈) 329, 330, 336, 338, 339, 340, 341, 342, 344, 345, 347, 349, 350, 351, 352, 353, 355, 356, 358, 359, 360, 361

შ
შაანსი (陕西) 24, 42, 53, 103, 111, 112, 125, 129, 150, 159, 188, 196, 215, 262, 288, 303, 391, 410, 413, 414, 416, 426, 481, 520, 581
შანგ იანგი (商鞅) 114, 120, 121, 123, 132, 603
შანგ ჭისინი (尚之信) 446, 447, 448
შანგშუ/შუძინგი (尚书/书经) 34, 74, 110
შანგხაი (上海) 415, 493, 494, 498, 499, 501, 509, 510, 523, 542, 545, 559, 560, 562, 563, 564, 565, 567, 577, 591, 607, 611
შანიუე (山越) 200
შანსი (山西) 338, 391, 410, 542, 553, 569, 573
შანტუნგი (山东) 362, 363, 417, 480, 532, 533, 542, 548, 550, 554, 556, 557, 565, 569, 581
შანხაიკუანი, მთისა და ზღვის კარიბჭე (山海关) 140, 415
შაო ქანგი, სიას მმართველი (夏少康) 39
შაოფუ (少府) 128
შემოდგომის მოსაელის აჯანყება (秋收起义) 566
შენ წუნგი, სუნგის მმართველი (宋神宗) 318
შენნუნგი, ერთ-ერთი სამი ლეგენდარული მთავარიდან (神农) 35
შვიდი სამფლობელოს აჯანყება (七国之乱) 154
ში (士) 89
ში ლე (石勒) 237, 238, 240, 255
ში მიიუენი (史弥远) 328, 329
ში ტაქაი (石逢開) 506, 508
ში ხუ (石虎) 238, 240
შიდა კაბინეტი (内阁) 380, 385
შიდა მონღოლეთი (内蒙古) 24, 44, 111, 137, 376, 391, 449, 549, 551, 554
შიძი (史记) 12, 34, 35, 48, 162
შიძინგი (诗经) 34, 110
შუა სამეფო (中国) 530
შუნ ტი (顺帝) 173, 174
შუნ წუნგი (顺宗) 293
შუნი, ერთ-ერთი 5 ლეგენდარული იმპერატორიდან (舜) 37, 122
შუნჭი (顺治) 416, 424, 425, 430, 431, 433, 437, 438, 439, 444, 445, 446
შუჟენი (庶人) 91

ჩ
ჩაის ტრაქტატი (大观茶论) 321
ჩაკრავარტინი მეფე (转轮圣王) 270
ჩან ბუდიზმი (禅宗) 252, 302, 333
ჩანგ ქაიში (蒋介石), ფუთუნგხუა: ძიანგ ძიეში 542, 553, 558, 560, 561, 562, 563, 564, 565, 566, 567, 568, 569, 570, 571, 572, 574, 576, 578, 579, 580, 581, 582
ჩანგანი (长安) 150, 161, 164, 167, 176, 206, 217, 218, 219, 227, 237, 238, 262,

263, 270, 174, 178, 283, 284, 290, 300, 301
ჩანგშა (长沙) 332, 506, 541
ჩანგძიანგი (长江), იგივე იანგწი 24
ჩანიუ (单于) 151, 166, 167, 171
ჩაო ცუო (晁错) 154
ჩენ პასიენი (陈霸先) 248, 249
ჩენ ტუსიოუ (陈独秀) 557, 558, 559, 560, 561, 564
ჩენ ციმეი (陈其美) 542
ჩენგ ვანგი (成王) 88, 89, 92, 93
ჩენგ ტი (成帝) 167, 169
ჩენგ ხანი (成汉) 227
ჩენგჭოუ, ქალაქი (成周) 90
ჩენგხუა (成化) 383, 387
ჩინგიზ ყაენი, ჩინგიზ ხანი (成吉思汗) 334, 335, 336, 337, 338, 340, 441, 449
ჩინეთის რესპუბლიკა (中华民国) 417, 543, 547, 549, 550, 551, 553, 555, 557, 559, 561, 563, 565, 567, 569, 570, 571, 573, 575, 577, 579, 581, 582, 583
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (中华人民共和国) 581, 582, 584, 585, 586, 587, 589, 591, 594, 595, 597, 599, 601, 602, 603, 607, 608, 609, 611, 612, 617, 619, 623, 626, 628
ჩინკიანგი, იგივე ჭენძიანგი (镇江市) 499
ჩიპის ბრძოლა, იგივე წითელი კლდის ბრძოლა (赤壁之战) 186, 188
ჩრდილოური არმია (北府兵) 228, 229, 230, 231, 242, 247
ჩუ (楚) 90, 96,
ჩუანპი (穿鼻) 492, 495, 496
ჩუნგჭენი (崇祯) 396, 400, 402, 409
ჩუნციოუ, ანალები (春秋) 34

ც
ცაი ლუნი (蔡伦) 181
ცაი შუ (蔡叔) 88
ცაო ჟულინი (曹汝霖) 556
ცაო ფანგი (曹芳) 194
ცაო ფი (曹丕) 176, 186, 188, 191, 192, 196, 199, 200, 205, 268,
ცაო შუანგი (曹爽) 193
ცაო ცაო (曹操) 186, 187,188, 189, 190, 191, 192, 193, 195, 196, 205, 207, 215, 218, 229, 231, 242, 248, 268,
ცაო ჭი (曹植) 191, 205
ცევანგი (Tsewang 策妄) 454
ცენტრალური შანგი (中商) 62
ციანგი, ტომი (羌) 215, 235
ციენთანგი, მდინარე (钱塘江) 274, 499
ციენლუნგი (乾隆) 442, 443, 454, 465, 466, 468, 470, 471, 473, 474, 475, 480
ციინგი (雀英) 500
ცილიენის მთები (祁连山)
ცინ შიხუანგტი (秦始皇帝) 36, 125, 126, 127, 128, 129, 130, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 141, 142, 144, 147, 164, 206, 212, 242
ცინ წუნგი (钦宗) 323, 324
ცინ ხუეი (秦桧) 325
ცინგი - ძველი ჩინური ფართობის საზომი ერთეული (顷) 213
ცინგლის რეფორმები (庆历新政) 316, 331
ცინგხაი (青海) 24, 159, 161, 239, 275, 400
ცინჭოუ (钦州) 541
ციოუ ფუ (裘甫) 298
ცის დამლაშქრელი მთავარსადალი (冲天大将军) 299
ცის მანდატი, თიენ მინგი (天命) 12, 40, 46, 51, 89, 90, 99, 170, 172, 199, 204, 207, 208, 216, 218, 270, 281, 300, 305, 374, 414, 417, 427, 444, 465, 476, 477, 529
ცის შვილი, თიენ წი (天子) 40, 90, 99, 156, 218, 221, 237, 275, 290, 318, 325, 474, 529
ცისქვეშეთი (天下) 88, 89, 97, 98, 111, 119, 120, 124, 129, 224, 321, 324

ციტანები (ტომი), იგივე ხიტანები, კიდანები (契丹) 240, 284, 289, 306, 307, 308, 310, 311, 312, 313, 322, 323, 334, 335, 337, 346
ციუენჟუნგი (犬戎) 96
ციშუ (齐书) 253
ციძიას არქეოლოგიური კულტურა (齐家文化) 43, 44, 75
ცსი (慈禧) 522, 523, 525, 526, 531, 533, 534, 535, 537, 538
ლუნგცინგი (隆庆) 396
ცხრა თაობის ამოწყვეტა (株连九族) 370, 373

ძ

ძველი ბატონები (先公) 54, 58, 59
ძი ქანგი (稽康) 204
ძი ჩანგი (姬昌) 87
ძიაკუვენი (甲骨文) 33, 34, 47, 48, 49, 50, 52, 52, 54, 55, 56, 57, 58, 62, 63, 64, 65, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 78, 79, 82
ძიანგ ვეი (姜维) 198
ძიანგ ცინგი (江青) 595, 594, 599
ძიანგ ჩემინი (江泽民) 604
ძიანგსუ (江苏) 38, 200, 274, 322, 351, 429, 430, 433, 446, 458, 464, 499, 517, 542, 543, 577
ძიანგტუ (江都) 278
ძიაოს პროვინცია (交州) 201
ძიაცინგი (嘉靖) 475, 477, 480, 482, 483, 484
ძიაძინგი (嘉靖) 383, 384, 386, 387
ძიახუს არქეოლოგიური ძეგლი (贾湖遗址) 28
ძიე, სიას დინასტიის უკანასკნელი მეფე (夏桀王) 39, 40, 41
ძიენ ტი, სიას დინასტიის წინაპარი (简狄) 48, 69
ძიენვენი (建文) 371
ძიენიე, თანამედროვე ნანკინის/ნანძინგის (南京), ძველი სახელწოდება (建邺) 202
ძიენქანგი (建康) 220, 230, 249, 251
ძილინი (吉林) 44, 249, 417, 581
ძინგ ტი (景帝) 153, 154, 155, 157, 158, 162, 178
ძინგ წუნგი (敬宗) 294
ძინგთაი (景泰) 381, 382
ძინგის პროვინცია (荆州) 195, 196, 200
ძინგნანი (靖难) 372
ძინგტეჭენი (景德镇) 356
ძინგძიაო (景教) 296
ძინვენი (金文) 47, 48, 68, 72, 73
ძინჭოუ (锦州) 424
ძღვენის სისტემა (朝贡体系) 166, 171

წ

წენგ კუოფანი (曾国藩) 510
წითელთავსაბურიანთა აჯანყება (红巾起义) 363, 365, 509
წუ თი (祖逖) 226, 227
წუ ჩუნგჭი (祖冲之) 253
წუნგჭოუ, ქალაქი (宗周) 92
წუო წუნგთანგი (左宗棠) 521

ჭ

ჭანგ ლესინგი (张乐行) 517
ჭანგ პინი (张宾) 240
ჭანგ სიენჭუნგი (张献忠) 413, 414, 431
ჭანგ სუელიანგი (张学良) 568, 570, 571, 574
ჭანგ სუნი (张勋) 555
ჭანგ ტი (章帝) 177
ჭანგ ფაქუეი (张发奎) 569
ჭანგ ფეი (张飞) 195
ჭანგ ჩუნციაო (张春桥) 591, 594, 599
ჭანგ ციენი (张骞) 158, 159, 161, 178
ჭანგ ძიუჭენგი (张居正) 398, 400, 401
ჭანგ წუნგჩანგი (張宗昌) 554
ჭანგ წუოლინი (张作霖) 554, 565, 566, 567, 568, 574
ჭანგ ჭიტუნგი (张之洞) 536

ჭანგ ხენგი (张衡) 181
ჭანგსუნ უძი (长孙无忌) 286
ჭაო ვანგი (昭王) 93
ჭაო პინგი 赵偃 330
ჭაო ქუანგ-ინი (赵匡胤) 310
ჭაო წუნგი (昭宗) 300
ჭე წუნგი (哲宗) 320, 321
ჭენ წუნგი (真宗) 312, 313
ჭენგ ჭილუნგი (郑芝龙) 433, 434
ჭენგ ხე (郑和) 374, 376, 377, 378, 379, 432
ჭენგთუნგი (正统) 380, 381, 382
ჭენგტე (正德) 383, 386, 387, 394
ჭენგჭოუ, ქალაქი (郑州市) 75, 76, 77, 79, 83, 566
ჭენპაო, დამანსკი, იგივე ჭენპაოტაო (珍宝岛) 599
ჭეძიანგი (浙江) 200, 274, 280, 298, 309, 322, 393, 430, 433, 446, 464, 494, 499, 510, 542, 543
ჭილის დაჯგუფება (直隶) 555
ჭოუ ენლაი (周恩来) 562, 564, 573, 574, 591, 592, 593, 594, 595, 596, 599, 600, 601, 602
ჭოუ იაფუ (周亚夫) 154
ჭოუ კუნგი (周公) 88, 89, 90, 92
ჭოუ, შანგის უკანასკნელი მეფე, ასევე იხილეთ ტი სინი (商纣王) 51
ჭოუს დინასტია, მე-17 საუკუნე, უ სანკუეის დომინიონი (大周朝) 447, 448
ჭოუს ტომი (周族) 51, 52
ჭოუქოუტიენი (周口店遗址) 15, 17
ჭოუშანი (舟山) 435, 494, 495
ჭუ ვენი 朱温 306, 307
ჭუ იუენჭანგი (朱元璋) 363, 364, 365, 367, 368, 369, 370, 371, 372, 373, 374, 379, 381, 384
ჭუ სი (朱熹) 328, 329, 333
ჭუ ტი, იგივე იუნგლე (朱棣) 372, 377, 378
ჭუ ციუენჭუნგი, იგივე ჭუ ვენი (朱全忠) 301, 306, 307
ჭუან სიუ, ერთ-ერთი 5 ლეგენდარული იმპერატორიდან (颛顼) 36
ჭუკე ლიანგი (诸葛亮) 190, 192, 196, 197, 198
ჭუნგ წუნგი (中宗) 286, 287
ჭუნგ ხუეი (仲虺) 41
ჭუნგი, სოციალური ფენა შანგის დინასტიაში (众) 55, 56, 63, 65
ჭუნგტუ, პეკინის ისტორიული სახელი (中都) 335
ჭუძიანგი, იგივე მარგალიტის მდინარე (珠江) 413, 489, 490, 493, 495, 496, 497
ჭუნი პაიძია (诸子百家) 117
ჭუხოუ (诸侯) 90, 91, 95, 96, 98

ხ

ხაინანი, კუნძული (海南岛) 162, 201, 461, 582
ხაკკა (客家) 504, 505, 509, 511
ხან თუოჭოუ (韩侂胄) 327, 328
ხან იუ (韩愈) 297
ხან ფეი (韩非) 120, 121, 122, 124
ხანბალიკი, პეკინის ისტორიული სახელი (汗八里) 339, 349, 350, 351, 352, 353
ხანგჭოუ (杭州) 274, 322, 324, 326, 331, 341, 358, 359, 375, 393, 542
ხანელები, ეთნიკური ჩინელები (汉族) 222, 235, 238, 240, 243, 245, 254, 256, 258, 261, 262, 263, 270, 271, 346, 367, 478, 519, 539, 614
ხანკოუს ზავი (汉狗条约) 147
ხანლინის აკადემია (翰林院) 303, 316, 385, 438, 522
ხანშუ (汉书) 171, 182
ხანჭუნგი (汉中) 188, 196, 198
ხაო, ქალაქი ჭოუში, ჩენგ ვანგის დროს (镐) 92
ხე ტი (和帝) 171, 173
ხე ძინი (何进) 176
ხემუტუს არქეოლოგიური კულტურა

(河姆渡文化) 24, 26, 27, 28, 31
ხენანი (河南) 22, 24, 39, 42, 46, 47, 50, 53, 71, 75, 78, 87, 102, 111, 188, 256, 259, 279, 290, 295, 296, 299, 303, 316, 322, 325, 337, 362, 363, 410, 414, 488, 517, 566, 569
ხეპეი (河北) 36, 38, 42, 47, 103, 111, 215, 279, 290, 292, 293, 294, 298, 313, 315, 322, 363, 410
ხეცინი (和亲) 151, 158
ხოუ ძინგი (侯景) 249, 251
ხოუხანშუ (后汉书) 662
ხუ ძინთაო (胡锦涛) 604
ხუ ხანმინი (胡汉民) 572
ხუ ხანსიე (呼韩邪) 166
ხუაი ტი (怀帝) 214, 216, 217, 219
ხუაისი (淮西) 293
ხუაიშენგის მეჩეთი (广州怀圣寺) 297
ხუაიხე, მდინარე (淮河) 168, 186, 199, 220, 274
ხუან ვენი (桓温) 225, 227, 228, 230, 241
ხუან კუნგი, სამეფო ცის მმართველი (齐桓公) 101, 103, 104
ხუან სიუენი (桓玄) 225, 230, 231
ხუან ტი (桓帝) 173
ხუანგ ჩაო (黄巢) 299, 300, 305
ხუანგტი ნეიძინგი (黄帝内经) 181
ხუანგტი, ყვითელი იმპერატორი (黄帝) 28, 36, 168
ხუანგფუ მი (皇甫谧) 205
ხუანგხე, მდინარე (黄河) 24, 26, 27, 31, 38, 41, 78, 111, 114, 126, 159, 160, 168, 170, 187, 196, 201, 202, 227, 232, 237, 239, 245, 255, 258, 259, 262, 274, 292, 334, 355, 362, 375, 413, 413, 517
ხუაპენი (话本) 333
ხუეი ტი, დასავლეთ ძინის მმართველი (晋惠帝) 208, 214, 215, 219
ხუეი ტი, დასავლეთ ხანის მმართველი (汉惠帝) 151, 152
ხუეი წუნგი, სუნგის მმართველი (宋徽宗) 321, 322, 323, 324
ხუეი, ეთნოსი (回族) 443, 485, 518, 519, 520
ხუთი ბარბაროსის აჯანყება (五胡乱华) 215, 216
ხუთი კლასიკა, იგივე ხუთნიგნეული, უძინგი (五经) 32, 34, 302
ხუნანი (湖南) 82, 112, 325, 448, 478, 510, 517, 541, 566,
ხუნანის უნივერსიტეტი (湖南大学) 332
ხუნგ თაიძი, იგივე ხუანგ თაიძი (皇太极) 422, 423, 424, 425, 426, 454
ხუნგ სიოუციუენი (洪秀全) 504
ხუნგ ჩენგჩოუ (洪承畴) 424, 431
ხუნგ-უ (洪武) 367, 397
ხუნგსი (洪熙) 378, 379, 385, 397
ხუნგსიენი (洪憲) 551
ხუნგჭი (弘治) 383, 385, 386, 387, 387
ხუო კუანგი (霍光) 163
ხუო შუ (霍叔) 88
ხუო ციუპინგი (霍去病) 159, 163
ხუპეი (湖北) 42, 77, 82, 112, 195, 202, 300, 362, 415, 481, 488, 541, 542, 621
ხუხაი (胡亥) 133, 142

ჯ

ჯოვანი დე მარინიოლი (马黎诺里/Giovanni de' Marignolli) 352, 353
ჯოვანი დე მონტეკორვინო (若望·孟高维诺/Giovanni da Montecorvino) 352
ჯურჩენები, ტომი (女真) 306, 307, 322, 323, 324, 325, 327, 334, 335, 336, 337, 343, 346, 406, 418, 419, 420, 421, 422, 439, 462

ჳ

ჳულაგუ (旭烈兀) 338, 339

ბიბლიოგრაფია

1. გელაშვილი, ნანა. *მონღოლთა ბატონობა ჩინეთში*, აღმოსავლეთმცოდნეობა, N3, თბილისი, 2018.
2. გელაშვილი, ნანა. *შორეული აღმოსავლეთის რელიგიები*, უნივერსალი, თბილისი, 2018.
3. კალანდია, არჩილ. *ჩინეთის ტრანსფორმაცია XXI საუკუნეში*, მწიგნობარი, თბილისი, 2015.
4. კარპინი, პლანო. *ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ*, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბილისი, 1942.
5. *ქართლის ცხოვრება*, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959.
6. ქილორი, უილიამ რ., *მეოცე საუკუნის მსოფლიო, საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.
7. ყარალაშვილი, რეზო. *ჩინეთის დიდი კედლის მიღმა*, ნაკადული, თბილისი, 1989.
8. *ჩინეთი ჟამთა სივრცეში*, მერიდიანი, თბილისი, 2007.
9. ცინცაძე, ი., *მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები*, თბილისი, 1960.
10. *ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია*, რედ. გიორგი მელიქიშვილი, თბილისი, 1971.
11. ჯიბლაძე, მარინე, თინათინ ბოლქვაძე, ლიოუ ჩაო, ლიანგ ქუნგქუნგი, ნიკო ქელბაქიანი, მაკა თეთრაძე, 2019-2020. *ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები*, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ბიულეტენი II. http://enadep.gov.ge/uploads/Bulletin_II_2019-2020.
12. ჯიბლაძე, მარინე. *ახალი ჩინეთის დიპლომატიური მიღწევები (1949-1979)*, თავისუფალი უნივერსიტეტის აზიური კვლევების ჟურნალი, N3 (მარტი), 2021. https://journals.org.ge/index.php/asianstudies/article/view/85
13. ჯიბლაძე, მარინე. *ჩინეთის საგარეო პოლიტიკა სსრკ-ს დაშლამდე (1980-1991)*, აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალი), ტომი 5, I, 2022.

14. ჰარტი, ჰენრი. *მარკო პოლო*, მთარგმნელი: ნანა თარგამაძე, თბილისი, 2011.
15. ჩინეთის სახელისუფლებო გვერდი, *ჩსრ-ს ადმინისტრაციული დაყოფა*: http://www.gov.cn/guoqing/2005-09/13/content_5043917.htm

16. Bai, Shouyi. *An Outline History of China*. Foreign Languages Press, 2002.
17. Bentley, H., and F. Ziegler. *Traditions & Encounters: A Global Perspective on the Past. McGraw-Hill*, 2003.
18. Britannica, The Editors of Encyclopedia. *Tang dynasty*. Encyclopedia Britannica, 9 Oct. 2022.
19. Buckley Ebrey, Patricia. *The Cambridge Illustrated History of China*. Calman & King Ltd, 1996.
20. C., P. H., and L. Carrington Goodrich. *A Short History of the Chinese People*. The Far Eastern Quarterly, vol. 11, no. 3, 1952.
21. Cai, Yanxin. *Chinese Architecture*. Translated by Li Lin and Gu Weiguang, 2nd ed., China Intercontinental Press, Beijing, 2016.
22. Cartwright, Mark. *Song Dynasty*. World History Encyclopedia, 26 Sep 2017. Web. 07 Feb 2023.
23. Ch, E. A. *The Sino-Japanese War and the Open Door. International Affairs*, Royal Institute of International Affairs, Vol. 17, 1931.
24. Ch'ên, Jerome. *The Nature and Characteristics of the Boxer Movement - A Morphological Study*. Bulletin of the School of Oriental and African Studies, vol. 23, no. 2, 1960.
25. Charles, O. Hunker. *China's Imperial Past: An Introduction to Chinese History and Culture*. Stanford University Press, 1975.
26. Chen, S. C. *Merchants of War and Peace: British Knowledge of China in the Making of the Opium War*, Hong Kong University Press, 2017.
27. *China Images of Civilization*, Foreign language press, Beijing, 2010.
28. Dawson, R. *The Chinese Experience*, Phoenix Press - Orion, 2017.
29. De, John, E.-Ru Zen Sun. *Government Artisans of the Yuan Dynasty*, Chinese Social History: Translation of Selected Studies, 1956.
30. Deyong, Xin. *History of Dress*, Encyclopedia of China Publishing House, Sydney, 2009.
31. Dillon, M. *China*, Routledge, 1998.
32. Eberhard, W. *A History of China*, Indy Publish, 2004.
33. Eberhard, Wolfram. *A history of China*. Routledge, London, 2005.

34. Ebrey, P. B. *The Cambridge Illustrated History of China*, Cambridge University Press, 2010.
35. Ebrey, P. *A Cultural, Social and Political History*, Social and Political History, 2009.
36. Ebrey, P. B. *East Asia*, Wadsworth Publishing, 2013.
37. Fairbank, J. K. & Goldman, M. *China a New History* (second ed.), Harward University Press. 2006.
38. Fairbank, J. K. & Twitchett, D. (Eds.). *The Cambridge History of China* (Vol. 13), Cambridge University Press, 2008.
39. Fang, Lili. *Chinese Ceramics a History of Elegance*, China International Press, Beijing, 2010.
40. Farquhar, David. *Structure and Function in the Yuan Imperial Government, China under Mongol Rule*, Edited by D. Langlois, 1981.
41. Foster, John. *The Christian Origins of the Taiping Rebellion*. International Review of Missions, vol. 40, no. 158, Wiley, Apr. 1951.
42. Fox, Grace, J. S. Gregory. *Great Britain and the Taiping*. The American Historical Review, vol. 75, no. 2, JSTOR, Dec. 1969.
43. Galambos, Imre. *Orthography of early Chinese writing: evidence from newly excavated manuscripts*, Budapest, 2006.
44. Goodrich, C. Luther. *A Short History of the Chinese People*, Sturgis Press, 2007.
45. Han, Jiantang. *Chinese Characters, Cultural China Series*, China International Press, Beijing, 2008.
46. Helle, Horst, J. *Exchanges of Threats: The Opium Wars*. China: Promise or Threat? Brill, 2017.
47. Hevia, J. L. *Opium, Empire, and Modern History [Review of Modern China and Opium: A Reader; Opium Regimes: China, Britain, and Japan, 1839-1952; Britain's China Policy and the Opium Crisis: Balancing Drugs, Violence and National Honour, 1833-1840; Opium, Empire, and the Global Political Economy: A Study of the Asian Opium Trade 1750-1950*, China Review International, edited by A. Baumler et al., vol. 10, no. 2, 2003, pp. 307–326.
48. Hsu, I. C.Y. *The Rise of Modern China* (six ed.), Oxford University Press, 2002.
49. Jian, Hang, Guo, Qiuhui. *Chinese Arts and Crafts*, China Intercontinental press, Beijing, 2006.
50. Jin, Jie. *Introductions to Chinese Culture: Chinese Music*, 3rd ed., Cambridge University Press, 2011.

51. Khamouch, M. *Jewel of Chinese Muslim's Heritage*, FSTC Limited, Manchester, 2005.
52. King Fairbank, J., and M. Goldman. *China a New History*. The Belknap press and Harvard university press, 2006.
53. Kruger, Rayne. *All Under Heaven: A Complete History of China*, JohnWiley & Sons, 2004.
54. Li, Zhengping. *Chinese Wine*, Cambridge University Press, 2011.
55. Li, Li. *Introductions to Chinese Culture: China's Cultural Relics*, 3rd ed., Cambridge University Press, 2011.
56. Li, Song. *Introductions to Chinese Culture: Chinese Bronze Ware*, 3rd ed., Cambridge University Press, 2011.
57. Li, Xueqin. *The Earliest Writing? Sign Use in the Seventh Millennium BC at Jiahu*, Henan Province, China, Antiquity, vol. 77, no. 295, Cambridge University Press (CUP), Mar. 2003.
58. Liu, Junru. *Chinese Food*. Cambridge University Press, 2011.
59. Loewe, Michael, and Edward L. Shaughnessy. *The Cambridge History of Ancient China: From the Origins of Civilization to 221 BC*. Cambridge University press, 1999.
60. Lorge, Peter. *Five Dynasties and Ten Kingdoms*. Hong Kong Press, 2011.
61. Luo, Z. *National Humiliation and National Assertion: The Chinese Response to the Twenty-One Demands*, Modern Asian Studies, vol. 27, no. 2, 1993, pp. 297–319.
62. Macnair, Harley Farnsworth. *The Political History of China under the Republic*, The Annals of the American Academy of Political and Social Science, vol. 152, no. 1, SAGE Publications, Nov. 1930, pp. 214–228.
63. Mark, Emily. *Tang Dynasty*, World History Encyclopedia, 28 Feb 2016, Web. 07 Feb 2023.
64. Masato, Hasegawa & Ulrich Theobald, *War Finance and Logistics in Late Imperial China: A Study of the Second Jinchuan Campaign (1771–1776)*, Monies, Markets, and Finance in East Asia, 1600–1900, 5. Leiden: Brill, 2013.
65. Mitter, Rana, and Aaron William Moore. *China in World War II, 1937–1945: Experience, Memory, and Legacy*, Modern Asian Studies, vol. 45, no. 2, Cambridge University Press (CUP), Mar. 2011, pp. 225–240
66. Morris, Rossabi. *A History of China*, Wiley-Blackwell, 2017.
67. Morris, Rossabi. *The Muslims in the Early Yuan Dynasty, China under Mongol Rule*, Edited by John D. Langlois, 1981.

68. Otte, T. *The China Question*. Oxford University Press, New York, 2007.
69. Pletcher, Kenneth. *The History of China*, 1st ed. Britannica Educational Pub. in Association with Rosen Educational Services, 2011.
70. Postgage, Nicolas, et al. *The Evidence for Early Writing: Utilitarian or Ceremonial?* 1994.
71. Red. Pletcher, Kenneth. *A History of China*. Britannica Educational Publishing, London, 2011.
72. Roberts, J. A. *Concise History of China*, Harvard University Press, 1995.
73. Rowe, William T. *China's Last Empire, History of Imperial China*, Belknap Press, 2012.
74. Song, Shuhong, *History Stories*, China Intercontinental Press, Beijing, 2011.
75. Spence, J. D. *The Search for Modern China*, W.W Norton & Company, 1990.
76. Spence, J. J. *The God's Chinese Son*, Norton & Company, 1996.
77. Starr, John Bryan. *Understanding China*, Beijing, 2007.
78. Tanner, H. M. *China: A History*, Vol. I., Hackett Publishing Company, Inc., 2010.
79. *The Cambridge History of China*, vol. 6, edited by Herbert Franke and Denis Twitchett, Cambridge University Press, 1994.
80. Theobald, Ulrich. *Monetary History of East Asia*. Oxford University Press, 2017.
81. Theobald, Ulrich. *Tang Period Event History*, Ulrich Theobald, 2010.
82. Theobald, Ulrich. *Southwest China in a Regional and Global Perspective (c. 1600–1911): Metals, Transport, Trade and Society*, Brill, Leiden, 2018.
83. Tingyou, Chen. *The Chinese Calligraphy: The Art of Handwriting*, China Intercontinental Press, 2010.
84. Treat, Payson J. *The Cause of the Sino-Japanese War, 1894. Pacific Historical Review*, vol. 8, no. 2, University of California Press, June 1939, pp. 149–157.
85. Twitchett, Denis C., and Frederick W. Mote. *The Cambridge History of China the Ming Dynasty*, Volume 8: 1368-1644, Part 2, Cambridge University Press, 2008.
86. Twitchett, Denis, and John K. Fairbank, editors. *The Cambridge History of China*, Volume I, Qin and Han Empires, 221 BC-AD 220, Cambridge university press, 2008.
87. Victor H. Mair. *Was there a Xia dynasty*? Sino-platonic papers, 2013.

88. Wang, D. D., & Wei, S. (Eds.). *Dynastic Crisis and Cultural Innovation: From the Late Ming to the Late Qing and Beyond* (1st ed., Vol. 249), Harvard University Asia Center, 2005.
89. Wang, W. *Social Crises and Political Reform during the Jiaqing Reign of Qing China. From Early Tang Court Debates to China's Peaceful Rise*, edited by F. Assandri and &. D. Martins, Amsterdam University Press, 2009, pp. 33–52.
90. Weinstein, J. L. *THE CONSOLIDATION OF QING RULE. Empire and Identity in Guizhou: Local Resistance to Qing Expansion*, University of Washington Press, 2014, pp. 37–58.
91. Westad, O. A. *Restless Empire, China and the World since 1750*, Basic Books, 2012.
92. William G. Boltz. *Language and Writing, Cambridge history of ancient China*, University of Washington, 1999.
93. Wintle, J. *The Timeline History of China*, Barnes & Noble Books, 2005.
94. Wood, F. *Britain's First View of China: The Macartney Embassy 1792-1794*, RSA Journal, vol. 142, no. 5447, 1994, pp. 59–68.
95. Wright, C. David. *The History of China Santa Barbara –California*, 2011.
96. Wright, Arthur F., et al. *Science and Civilization in China*, Vol. 3: Mathematics and the Sciences of the Heavens and the Earth. Pacific Affairs, vol. 34, no. 1, JSTOR, 1961, p. 77
97. Wise-Bauer, Susan. *History of ancient world*, W. W. Norton & Company, 2007.
98. Yu Ming. *Chinese Jade*, Cambridge University Press, 2011.
99. Yue, Pan. *The Warring States and Ancient Greece*. Comparative Studies on Chinese and Western Civilizations, New World Press, 2022.
100. Yue, Pan. *The Qin and Han Dynasties and Ancient Rome*, Comparative studies on Chinese and Western Civilizations, New World Press, 2022.
101. Zhao, G. *Reinventing China: Imperial Qing Ideology and the Rise of Modern Chinese National Identity in the Early Twentieth Century*, Modern China, vol. 32, no. 1, 2006
102. Zürcher, Erik-Jan, editor. *Fighting for a Living: Origins, Practices and Consequences of Different Forms of Military Employment in Europe, the Middle East and Asia*, Amsterdam University Press, 1500, pp. 353–392.
103. http://www.chinaknowledge.de/History/Song/song.html
104. http://www.guoxuemeng.com/guoxue/songshi/

105. http://www.gissky.net/map/chinazqyw.html
106. Bai, Shouyi. *An Outline History of China*, Foreign Language Press, 2010.
107. Период Пяти династий, империя Сун, государства Ляо, Цзинь, Си Ся (907- *1279)*, Том 4, М., 2016.
108. Кадырбаев А. Ш. Хубилай-хан – Завоеватель или обьединитель Китая? Москва, 2009.
109. Булдыгерова Л. Н. История Китая, Издательство ТОГУ, Хабаровск, 2016.
110. Адамчик В. В, Адамчик М. В, Войнич И. Е. История Китая, Минск, 2004.
111. Чингиз-хан, Москва, 1949.
112. Харт Г. Венецианец Марко Поло. Перевод с английского Н. В. Банникова, Москва, 2001.
113. Гарольд Лэмб. Чингиз-хан властелин мира, Москва, 2005.
114. История Китая с древнейших времен до начала XXI века, Гл. ред. Тихвинский С.Л, М., 2016.
115. История Китая, под редакцией Меликсетова А. В., Москва, 2002.
116. История стран зарубежной Азии в средние века, ответственные редакторы Голдобин А. М., Гольдберг Д. И., Москва, 1970.
117. Патканов К. П. История Монголов по армянским источникам, 1-2 выпуск, пер. с армянского Патканова К. П., СанктПетербург, 1873.
118. Книга Марко Поло, под ред. П. Магидовича, Москва, 1955.
119. Комаров Д.А.Чиновничество в период Северная Сун: формирование элиты нового типа и смена парадигм развития, Общество и государство в Китае, vol. 43, no. 1, 2013.
120. Меликсетов А.В.. История Китая, Москва: Издательство Московского Университета, 2007.
121. Мэн Джон. Хубилай: от Ксанагу до сверхдержвы, Москва –Владимир, 2008.
122. Россаби М. Золотой век империи Монголов, перевод с Англйского. С. В. Иванова, Санкт-Петербург, 2009.
123. Очерки истории Китая с древности до "опиумых" воин, редактор Шан Юе, издательство восточной литературы, Москва 1959.
124. Рашид-ад-дин. Сборник летописей, т. I, книга II, перевод с персидского О. И. Смирновой, редакция Семенева А. А., Москва-Ленинград, 1952.

125. 钱宗范等著:《春秋战国史话》，北京出版社，1981.
126. 应永深等著:《春秋史话》，中国青年出版社，1982.
127. 段扬华，柳海松，冷厚诚，司马迁 《史记》，辽海出版社，沈阳，2015.
128. 邓荫柯:《中国古代发明》，五洲传播出版社，2005.
129. 蔽，蒋:《中国近代史》，中国出版集团，2017.
130. 龚莉主编: 《中华文明史话》，编委会，中英双语版，Encyclopedia of China Publishing House，2009.
131. 方豪:《中西交通史》，浙江大学出版社，2016.
132. 韩鉴堂: 《中国文化》，北京语言大学出版社，北京，1999.
133. 蒋廷黻: 《中国近代史》，现代出版社，北京，2017.
134. 刘泽澎:《中国历史学书》，高等教育出版社，2006.
135. 李，侃，李，时，& 李，德: 《中国近代史》 (第四版)，中华书局，2009.
136. 牟复礼，崔瑞德:《剑桥中国明代史1368-1644年》，上卷，中国社会科学院出版社， 北京，1992.
137. 求进:《中国与罗马》，黄山出版社，合肥: 2008.
138. 罗士烈著:《秦汉史话》，中国青年出版社，1985
139. 龚莉主编，辛德勇副编: 《七大古都》，《中华文明史话》编委会，中英双语版，Encyclopedia of China publishing house，2009.
140. 王玉哲:《中国远古史》，上海出版社，上海: 1999.
141. 中国国家博物馆编:《文物里的古代中国》， 上册， 中国社会科学出版社，2010.
142. 中国国家博物馆编:《文物里的古代中国》， 中册， 中国社会科学出版社，2010.
143. 中国国家博物馆编:《文物里的古代中国》， 下册， 中国社会科学出版社，2010.
144. 宛华:《中华上下五千年》，中国华侨出版社，北京，2013.
145. 宛华: 《中华上下五千年》，北京: 2013.
146. 许嘉璐主编: 《古代汉语》，上，高等教育出版社，北京，1992.
147. 彭邦炯等著: 《战国史话》，中国青年出版社，1982.
148. 张传玺主编: 《简明中国古代历史》，北京大学出版社，1999.
149. 阴法鲁:《中国古代文化史上》，北京: 北京大学出版社，2017.
150. 宛华主编:《中国上下五前年》，北京: 中国华侨出版社，2013.
151. 孙勇红主编:《中国通史》，卷一，延吉: 延边人民出版社，2005.
152. 范文澜主编: 《中国通史》，第一册，人民出版社，1994.
153. 范文澜主编: 《中国通史》，第二册，人民出版社，1994.
154. 范文澜主编: 《中国通史》，第三册，人民出版社，1994.

155. 白寿彝总主编：《中国通史》，第二卷，上海人民出版社，1994.
156. 白寿彝总主编：《中国通史》，第三卷，上海人民出版社，1994.
157. 白寿彝总主编：《中国通史》，第四卷，上海人民出版社，1995.
158. 白寿彝总主编：《中国通史》，第五卷，上海人民出版社，1995.
159. 白寿彝总主编：《中国通史》，第六卷，上海人民出版社，1997.
160. 白寿彝总主编：《中国通史》，第七卷，上海人民出版社，1999.
161. 编写组编著：《中国历史速查：从远古到21世纪》，外文出版社，2010.
162. 袁行霈，严文明等主编：《中华文明史》，第一卷，北京大学出版社，2006.
163. 袁行霈，严文明等主编：《中华文明史》，第二卷，北京大学出版社，2006.
164. 袁行霈，严文明等主编：《中华文明史》，第三卷，北京大学出版社，2006.
165. 袁行霈，严文明等主编：《中华文明史》，第四卷，北京大学出版社，2006.
166. 孙机著：《中国古代物质文化》，中华书局，2017.
167. 耿向东主编：《图解中国外交》，人民出版社，2014.
168. 中国国家博物馆编：文物中国史（全八册），世界图书出版公司，2019



ჩინეთის ისტორია

საქართველოს სინოლოგთა ასოციაცია
格鲁吉亚汉学家协会

გამომცემლობა ოქროს საწმისი
金羊毛出版社



ჩინეთის ისტორია

საქართველოს სინოლოგთა ასოციაცია
格鲁吉亚汉学家协会

პირველი ქართული გამოცემა

წიგნი მოიცავს ჩინეთის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე - ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ანალიზით.

ოქროს საწმისი
GOLDEN FLEECE
გამომცემლობა ოქროს საწმისი
金羊毛出版社